Karl Marx, Friedrich Engels, Vladimir Lenin, Joseph Stalin, Enver Hoxha

5 Classics of Marxism

Comintern (Stalinist-Hoxhaists)

http://ciml.250x.com

Georgian Section

www.joseph-stalin.net

SHMG Press

Karl Marx Press of the Georgian section of
Comintern (SH) – Stalinist-Hoxhaists Movement of Georgia

ლენინი

ლენინი

თხზულებანი

5

ი ბ ე ჭ დ ე ბ ა
რკკ(ბ) IX ყრილობისა
და სსრკ საბჭოების
II ყრილობის
დადგენილებით

ИНСТИТУТ МАРКСА-ЭНГЕЛЬСА-ЛЕНИНА при ЦК ВКП(б)

В. И. ЛЕНИН

СОЧИНЕНИЯ

Издание четвертое

ОГИЗ
ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ПОЛИТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
1948

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის
ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი

ვ. ი. ლენინი

თხზულებანი

გამოცემა მეოთხე

სახელგამი
პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი
1949

ვ. ი. ლენინი

ტომი
5

მაისი 1901—თებერვალი 1902

წინასიტყვაობა

მეხუთე ტომი შეიცავს ვ. ი. ლენინის მიერ 1901 წლის მაისიდან 1902 წლის თებერვლამდე დაწერილ ნაწარმოებთ.

ტომში შედის ლენინის სტატიები და შენიშვნები, რომლებიც გამოქვეყნებული იყო «ისკრაში»: «რით დავიწყოთ?». «ახალი ხოცვა-ყლეტა», «საგულისხმო აღიარება», «კრიზისის გაკვეთილები», «ბატონყმობის მოტრფიალენი მუშაობენ». «ბრძოლა დამშეულებთან», «საზღვარგარეთული საქმეები», «საუბარი ეკონომიზმის დამცველებთან», «დემონსტრაციების დასაწყისი», «პოლიტიკური აგიტაცია და «კლასობრივი თვალსაზრისი»» და სხვანი. ამ სტატიებში ლენინი ეხმაურება რუსეთის შინაური ცხოვრების ყველა უმნიშვნელოვანეს მოვლენას, აშუქებს პარტიის მშენებლობისა და პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის კონკრეტულ ამოცანებს.

სტატია «ერობის მდევნელნი და ლიბერალიზმის ჰანიბალები», რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ «ზარიაში» 1901 წლის დეკემბერს, მიძღვნილია ლიბერალური ბურჟუაზიის მიმართ პროლეტარიატის მარქსისტული პარტიის ტაქტიკის შემუშავებისადმი.

ნაწარმოები «აგრარული საკითხი და «მარქსის კრიტიკოსები»» მიძღვნილია აგრარული საკითხის მარქსისტული თეორიის გადმოცემისა და განვითარებისადმი და რუსეთისა და საერთაშორისო რევიზიონისტების კრიტიკისადმი.

ამ ტომში შედის აგრეთვე ლენინის ნაშრომი «რა ვაკეთოთ?», რომლის თეორიული დებულებანი საფუძვლად დაედო ბოლშევიკური პარტიის იდეოლოგიას.

ტომში მოთავსებულია ვ. ი. ლენინის თხზულებებში პირველად შეტანილი ლენინის შვიდი ნაშრომი. მათში სამი შენიშვნა «ისკრიდან»: «ერობის ყრილობა», ««სამხრეთის მუშების» წერილის შესახებ» და «პასუხი «მკითხველს»». შემდეგი ოთხი დოკუმენტი: «სიტყვა, წარმოთქმული 21 სექტემბერს (4 ოქტომბერს)» (ლენინის სიტყვა რსდმპ საზღვარგარეთული ორგანიზაციების «გამაერთიანებელ» ყრილობაზე 1901 წლის 21 სექტემბერს (4 ოქტომბერს)), «ჟურნალ «სვობოდას» შესახებ», «გ. ვ. პლეხანოვის რევოლუციური მოღვაწეობის ოცდახუთი წლისთავისათვის» და «ანარქიზმი და სოციალიზმი», — მათი დაწერის პერიოდში არ დაბეჭდილა და მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გამოქვეყნდა.

რით დავიწყოთ? [1]

დაწერილია 1901 წლის ივნისში
დაიბეჭდა 1901 წლის მაისში
«ისკრის» № 4-ში

იბეჭდება გაზეთ «ისკრის»
ტექსტის მიხედვით

РОССІЙСКАЯ СОЦІАЛЬ-ДЕМОКРАТИЧЕСКАЯ РАБОЧАЯ ПАРТІЯ

ИСКРА

„Искра искрой возгорится в пламя"...
Отъ стиха декабристовъ-Пушкину

№ 4. МАЙ 1901 ГОДА № 4.

СЪ ЧЕГО НАЧАТЬ?

[illegible]

САМОДЕРЖАВІЕ И ФИНАНСЫ

[illegible]

პირველი ვვერდი გაზეთ «ისკრის» № 4-ისა
ვ. ი. ლენინის სტატიით «რით დავიწყოთ?» — 1901 წ.

ფაქტარავდბულია

[საკითხი: «რა ვაკეთოთ?» უკანასკნელ წლებში განსაკუთრებული სიძლიერით წამოიჭრა რუსეთის სოციალ-დემოკრატების წინაშე. აქ ლაპარაკია არა გზის ამორჩევაზე (როგორც ეს იყო 80-იანი წლების დამლევს და 90-იანის დამდეგს), არამედ იმაზე, თუ რა პრაქტიკული ნაბიჯები უნდა გადავდგათ გარკვეულ გზაზე და სახელდობრ როგორ. ლაპარაკია პრაქტიკული მოღვაწეობის სისტემასა და გეგმაზე.] და უნდა გამოვტყდეთ, რომ პრაქტიკული პარტიისათვის ეს ძირითადი საკითხი ბრძოლის ხასიათისა და საშუალებათა შესახებ ჯერ კიდევ არ გადაგვიჭრია და ჯერ კიდევ სერიოზულ უთანხმოებას იწვევს, რაც აზრის სამწუხარო არასიმტკიცესა და მერყეობას ააშკარავებს. ერთი მხრივ, ჯერ კიდევ სულაც არ მომკვდარა ის «ეკონომიური» მიმართულება, რომელიც ცდილობს შეკვეცოს და შეზღუდოს პოლიტიკური ორგანიზაციის მუშაობა და აგიტაცია. მეორე მხრივ, წინანდებურად ამაყად აუწევია თავი უპრინციპო ეკლექტიზმის მიმართულებას, რომელიც ყოველ ახალ «აზრთა მიმართულების» ნიღაბით გვევლინება, ის კი არ შეუძლია, რომ ერთიმეორისაგან გაარჩიოს მომენტის მოთხოვნები და მთლიანად აღებული მოძრაობის ძირითადი ამოცანები და მუდმივი საჭიროებანი. როგორც ცნობილია, ასეთმა მიმართულებამ «რაბოჩეე დელოში» დაიბუდა. მისი უკანასკნელი «პროგრამული» განცხადება — მყვირალა სტატია მაღალფარდოვანი სათაურით «ისტორიული შემობრუნება» («ლისტოკ «რაბოჩეე დელოს»» № 6) — განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ადასტურებს მოცემულ დახასია-

თებას. ჯერ კიდევ გუშინ ველოლიავებოდით «ეკონომიზმს», გულისწყრომას გამოვთქვამდით «რაბოჩაია მისლის»[3] მკაცრად დაგმობის გამო, «ვარბილებდით» თვითმპყრობელობასთან ბრძოლის საკითხის პლეხანოვურ დაყენებას, — დღეს კი უკვე ლიბკნეხტის სიტყვები მოგვყავს: «თუ გარემოება 24 საათში შეიცვლება, საჭიროა ტაქტიკაც 24 საათში შეიცვალოსო», უკვე ვლაპარაკობთ «მტკიცე მებრძოლ ორგანიზაციაზე» თვითმპყრობელობის წინააღმდეგ პირდაპირი იერიშის მისატანად, «ფართო რევოლუციურ პოლიტიკურ (აი ხედავთ რა ენერგიულად: რევოლუციურ და პოლიტიკურ!) აგიტაციაზე მასაში», იმაზე, რომ «დაუღალავად მოვუწოდოთ ქუჩაში საპროტესტოდ გამოსვლისათვის», «ქუჩაში მკვეთრი (sic!*) პოლიტიკური ხასიათის მანიფესტაციების მოწყობისათვის» და სხვ. და ა. შ.

ჩვენ, თითქოს, შეგვეძლო სიამოვნება გამოგვეთქვა იმის გამო, რომ «რაბ. დელომ» ასე მალე შეითვისა ჩვენს მიერ უკვე «ისკრის»[4] პირველ ნომერში წამოყენებული ისეთი მტკიცე დარაზმული პარტიის შექმნის პროგრამა, რომელიც მიმართულია არა მარტო ცალკეულ დათმობათა, არამედ თვითმპყრობელობის თვით ციხე-სიმაგრის დასაპყრობად, მაგრამ ამ პროგრამის შემთვისებელთ არ მოეპოვებათ რაიმე მტკიცე თვალსაზრისი და ამას შეუძლია წაგვამწაროს მთელი სიამოვნება.

ლიბკნეხტის სახელს «რაბოჩეე დელო», რა თქმა უნდა, ამაოდ ახსენებს. 24 საათში შეიძლება შესცვალო აგიტაციის ტაქტიკა რაიმე სპეციალურ საკითხზე, პარტიული ორგანიზაციის რაიმე დეტალის გატარების ტაქტიკა, მაგრამ 24 საათში კი არა, თუნდაც 24 თვეში შეცვლა თავისი შეხედულებებისა იმაზე, საჭიროა თუ არა საზოგადოდ, მუდამ და უსათუოდ მებრძოლი ორგანიზაცია და პოლიტიკური აგიტაცია მასაში, —

* — ასე! რ ე დ.

შეუძლიათ მხოლოდ ყოვლად უპრინციპო ადამიანებს. სასაცილოა ვითარების სხვადასხვაობის, პერიოდების ცვლის დამოწმება: მებრძოლი ორგანიზაციის შესაქმნელად და პოლიტიკური აგიტაციის საწარმოებლად მუშაობა სავალდებულოა ყოველ ვითარებაში, რა «ჩვეულებრივი და მშვიდობიანიც» უნდა იყოს, «რევოლუციური სულისკვეთების დაცემის» რა პერიოდიც უნდა იყოს, — უფრო მეტი: სწორედ ასეთ ვითარებაში და ასეთ პერიოდში განსაკუთრებით საჭიროა აღნიშნული მუშაობა, ვინაიდან აფეთქებათა და აალებათა მომენტებში გვიანღაა ორგანიზაციის შექმნა; ის მზად უნდა იყოს, რათა ერთბაშად გაშალოს მუშაობა. «24 საათში ტაქტიკის შეცვლა»! იმისათვის, რომ ტაქტიკა შესცვალო, საჭიროა ჯერ გქონდეს ტაქტიკა, ხოლო თუ პოლიტიკური ბრძოლის ყოველგვარ ვითარებაში და ყოველგვარ პერიოდში გამოწრთობილი მტკიცე ორგანიზაცია არ მოგეპოვება, მაშინ ლაპარაკიც ზედმეტია რაიმე ტაქტიკაზე, ვინაიდან ტაქტიკის სახელწოდების ღირსი მხოლოდ ისეთი სამოქმედო გეგმაა, რომელიც მტკიცე პრინციპებზეა აგებული და სისტემატურად და განუხრელად ხორციელდება. მართლაც, უყურეთ: ჩვენ უკვე გვეუბნებიან, რომ «ისტორიულმა მომენტმა» ჩვენი პარტიის წინაშე წამოაყენა «სრულიად ახალი» საკითხი — ტერორის შესახებ. გუშინ «სრულიად ახალი» იყო პოლიტიკური ორგანიზაციისა და აგიტაციის საკითხი, დღეს — ტერორის საკითხია. განა უცნაური არ არის, რომ ეს ადამიანები, რომელთაც ასე დავიწყებული აქვთ თავიანთი წარსული, ტაქტიკის ძირეულად შეცვლაზე მსჯელობენ?

საბედნიეროდ, «რაბოჩეე დელო» მართალი არ არის. ტერორის საკითხი სრულებითაც არ არის ახალი საკითხი; საკმაოა მოკლედ მოვიგონოთ რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში განმტკიცებული შეხედულებანი.

პრინციპულად ტერორზე ჩვენ არც არასოდეს გვითქვამს უარი და ვერც ვიტყვით. ტერორი წარმოადგენს ერთ-ერთ სამხედრო მოქმედებას, რომელიც შეიძლება სავსებით გა-

მოსადეგი და აუცილებელიც იყოს ბრძოლის გარკვეულ მომენტში, ჯარების გარკვეული მდგომარეობის დროს და გარკვეულ პირობებში. მაგრამ საქმის არსი სწორედ ის არის, რომ ტერორს ამჟამად აყენებენ არა როგორც მოქმედი არმიის ერთ-ერთ ოპერაციას, ბრძოლის მთელ სისტემასთან მჭიდროდ დაკავშირებულს და შეთანხმებულს, არამედ როგორც თავისთავადს და ყოველგვარი არმიისაგან დამოუკიდებელ ერთეული თავდასხმის საშუალებას. და ტერორი არც შეიძლება სხვა რაიმეს წარმოადგენდეს, როცა ცენტრალური რევოლუციური ორგანიზაცია არ არსებობს და ადგილობრივნი კი სუსტნი არიან. აი ამიტომ ჩვენ გადაჭრით ვაცხადებთ, რომ არსებულ პირობებში ბრძოლის ასეთი საშუალება არადროული და მიზანშეუწონელია, იგი ყველაზე უფრო აქტიურ მებრძოლთ ჩამოაშორებს ნამდვილ, მთელი მოძრაობისთვის ყველაზე დიდმნიშვნელოვან ამოცანას და დეზორგანიზაციას შეიტანს არა მთავრობის, არამედ რევოლუციურ ძალებში. მოიგონეთ უკანასკნელი ამბები: ჩვენს თვალწინ ქალაქის მუშების და ქალაქის «მდაბიო ხალხის» ფართო მასები ბრძოლისაკენ ისწრაფვიან, ხოლო რევოლუციონერებს არ მოეპოვებათ ხელმძღვანელთა და ორგანიზატორთა შტაბი. ასეთ პირობებში ყველაზე უფრო ენერგიული რევოლუციონერების ტერორით გატაცება დასუსტებას ხომ არ უქადის იმ მებრძოლ რაზმებს, რომლებზეც შეიძლება მხოლოდ სერიოზული იმედის დამყარება? განა ეს საფრთხეს არა ჰქმნის, რომ კავშირი გაწყდება რევოლუციურ ორგანიზაციებსა და იმ უკმაყოფილო, პროტესტანტ და ბრძოლისათვის მზადმყოფ დაქსაქსულ მასებს შორის, რომლებიც სწორედ თავიანთი დაქსაქსულობით არიან სუსტნი? და ეს მაშინ, როცა ეს კავშირი ჩვენი წარმატების ერთადერთი საწინდარია. ჩვენ ფიქრადაც არ მოგვდის უარვყოთ ცალკეულ გმირულ დარტყმათა ყოველგვარი მნიშვნელობა, მაგრამ ჩვენი ვალია მთელი ენერგიით გამოვთქვათ გაფრთხილება ტერორით გატაცების წინააღმდეგ, ბრძოლის მთავარ და ძირითად საშუალებად მისი აღიარების წინააღმ-

დეგ, რისკენაც ახლა ძალიან, ძალიან ბევრნი იხრებიან. ტერორი ვერასოდეს ვერ გახდება ჩვეულებრივ სამხედრო მოქმედებად: უკეთეს შემთხვევაში ის გამოსადეგია მხოლოდ როგორც გადამწყვეტი იერიშის ერთ-ერთი ხერხი. კითხვა იბადება, შეგვიძლია თუ არა ჩვენ ახლა მ ო ვ უ წ ო დ ო თ ასეთი იერიშისთვის? «რაბ. დელო», ჩანს, ფიქრობს, რომ შეგვიძლია. ყოველ შემთხვევაში ის გაჰკივის: «დაეწყეთ საიერიშო კოლონებად!» მაგრამ ესეც ხომ უაზრო გულმოდგინებაა. ჩვენი სამხედრო ძალების მთავარი მასა — მოხალისენი და აჯანყებულნი არიან. ჩვენი მუდმივი ჯარი მხოლოდ რამდენიმე პატარა რაზმს შეიცავს და ისიც არ არის მობილიზებული, ურთიერთშორის დაკავშირებული, საერთოდ სამხედრო კოლონებად დაწყობაც კი არ იციან, არამცთუ საიერიშო კოლონებად. ასეთ პირობებში ყველასათვის, ვისაც ჩვენი ბრძოლის საერთო პირობების მიმოხილვის უნარი აქვს და არ ივიწყებს ამ პირობებს ამბების ისტორიული მსვლელობის ყოველ «მოსახვევზე», — ნათელი უნდა იყოს, რომ ჩვენი ლოზუნგი დღევანდელ მომენტში არ შეიძლება იყოს «იერიშზე გადასვლა», არამედ უნდა იყოს: «წესიერი ალყის შემორტყმა მტრის ციხე-სიმაგრისათვის». სხვა სიტყვებით: ჩვენი პარტიის უშუალო ამოცანა არ შეიძლება იყოს მოწოდება მთელი არსებული ძალების ახლავე იერიშზე გადასვლისაკენ, არამედ უნდა იყოს მოწოდება ისეთი რევოლუციური ორგანიზაციის შექმნისაკენ, რომელსაც შეეძლება ყველა ძალის გაერთიანება და მოძრაობის ხელმძღვანელობა არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც, ე. ი. მუდამ მზად ყოფნით მხარისდასაჭერად ყოველი პროტესტისათვის და ყოველი აფეთქებისათვის, რათა ისინი გამოყენებულ იქნან გადამწყვეტი ბრძოლისათვის გამოსადეგი სამხედრო ძალების გასამრავლებლად და განსამტკიცებლად.

თებერვლისა და მარტის ამბების[5] გაკვეთილი ისე მნიშვნელოვანია, რომ ასეთი დასკვნის წინააღმდეგ ახლა საეჭვოა ვინმეს პრინციპული მოსაზრებანი ჰქონდეს. მაგრამ ამჟამად

ჩვენ მოგვეთხოვება საკითხის არა პრინციპული, არამედ პრაქტიკული გადაჭრა. მოგვეთხოვება არა მხოლოდ იმის გამორკვევა, თუ სახელდობრ რა ორგანიზაცია, სახელდობრ რა მუშაობისთვისაა საჭირო, — მოგვეთხოვება ორგანიზაციის გარკვეული ვ ე გ მ ი ს შემუშავება, რათა შესაძლებელი გახდეს ამ გეგმის აგების დაწყება ყოველი მხრით. საკითხის გადაუდებელი მნიშვნელობის გამო ჩვენ, ჩვენდათავად, გადავწყვიტეთ ამხანაგების საყურადღებოდ წარმოვადგინოთ იმ გეგმის წინასწარი მონახაზი, რაც უფრო დაწვრილებით განხილული გვაქვს ბროშურაში, რომელიც დასაბეჭდად მზადდება.

ჩვენი აზრით, მუშაობის ამოსავალი პუნქტი, პირველი პრაქტიკული ნაბიჯი სასურველი ორგანიზაციის შესაქმნელად, დასასრულ, მთავარი ძაფი, რომელზე ხელის ჩაჭიდებით შევძლებთ ამ ორგანიზაციის განუხრელად განვითარებას, გაღრმავებას და გაფართოებას, — უნდა იყოს საერთო-რუსეთის პოლიტიკური გაზეთის დაარსება. უწინარეს ყოვლისა ჩვენ გვესაჭიროება გაზეთი, — უმისოდ შეუძლებელია პრინციპულად გამართული და ყოველმხრივი პროპაგანდისა და აგიტაციის სისტემატურად წარმოება, რაც შეადგენს სოციალ-დემოკრატიის მუდმივსა და მთავარ ამოცანას საერთოდ და განსაკუთრებით კი ახლანდელი მომენტის საარსებო ამოცანას, როცა მოსახლეობის მეტად ფართო ფენებში გაღვიძებულია ინტერესი პოლიტიკისადმი, სოციალიზმის საკითხებისადმი. და არასოდეს ასე ძლიერ საგრძნობი არ ყოფილა, როგორც ახლა, იმის მოთხოვნილება, რომ დაქსაქსული აგიტაცია შევსებულ იქნას პირადი ზემოქმედების, ადგილობრივი ფურცლების, ბროშურების და სხვათა საშუალებით, იმ განზოგადებული და რეგულარული აგიტაციით, რომლის წარმოება შეიძლება მხოლოდ პერიოდული პრესის საშუალებით. გადამეტებული არ იქნება იმის თქმა, რომ გაზეთის გამოსვლის (და გავრცელების) სიხშირე და რეგულარობა ყველაზე უფრო ზუსტი საზომი იქნება იმისა, თუ რამდენად საფუძვლიანად არის დაყენებული ჩვენი სამხედრო მუშაობის

სწორედ ეს პირველდაწყებითი და ყველაზე საარსებო დარგი. შემდეგ, ჩვენ გვესაჭიროება სწორედ საერთორუსეთის გაზეთი. თუ ჩვენ ვერ შევძლებთ და სანამ ვერ შევძლებთ ჩვენი ზემოქმედება ხალხსა და მთავრობაზე გავაერთიანოთ ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით, — უტოპია იქნება იმის ფიქრი, რომ გავაერთიანებთ ზემოქმედების სხვა, უფრო რთულ, ძნელ, მაგრამ სამაგიეროდ უფრო გადამწყვეტ საშუალებებს. (ჩვენს მოძრაობას როგორც იდეური, ისე პრაქტიკული, ორგანიზაციული მხრივ ყველაზე მეტად აბრკოლებს დაქსაქსულობა, ის, რომ სოციალ-დემოკრატების დიდი უმრავლესობა თითქმის სრულიად გართულია წმინდა ადგილობრივი მუშაობით, რაც ზღუდავს მათს გონებრივ არეს, მათი მუშაობის გაქანებას, მათს კონსპირაციულ ხერხიანობასა და მომზადებულობას. სწორედ ამ დაქსაქსულობაში უნდა ვეძიოთ იმ არასიმტკიცისა და მერყეობის ყველაზე ღრმა ფესვები, რაზედაც ზემოთ ვლაპარაკობდით. და პ ი რ ვ ე ლ ი წინგადადგმული ნაბიჯი ამ ნაკლისაგან თავის დაღწევის გზაზე, რამდენიმე ადგილობრივი მოძრაობის ერთიანი საერთორუსეთის მოძრაობად გადაქცევის გზაზე უნდა იყოს საერთორუსეთის გაზეთის დაარსება.) დასასრულ, ჩვენ გვესაჭიროება უსათუოდ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გაზეთი. პოლიტიკური ორგანოს გარეშე თანამედროვე ევროპაში წარმოუდგენელია მოძრაობა, რომელიც პოლიტიკური მოძრაობის სახელწოდების ღირსი იქნება. უმისოდ აბსოლუტურად განუხორციელებელია ჩვენი ამოცანა — პოლიტიკური უკმაყოფილებისა და პროტესტის ყველა ელემენტის კონცენტრაცია და მათი საშუალებით პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის განაყოფიერება. ჩვენ გადავდგით პირველი ნაბიჯი, მუშათა კლასში გავაღვიძეთ მისწრაფება «ეკონომიური», ფაბრიკული მხილებისადმი. ჩვენ უნდა გადავდგათ შემდგომი ნაბიჯი: ხალხის ცოტად თუ ბევრად შეგნებულ ფენებში გავაღვიძოთ მისწრაფება პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი მხილებისადმი. არ უნდა შეგვაკრთოს იმან, რომ ამჟამად პოლიტიკური მხილების ხმები

ასე სუსტად, იშვიათად და გაუბედავად გაისმის. ამის მიზეზი სრულებითაც არ არის საყოველთაო შერიგება პოლიციის თვითნებობასთან. მიზეზი ის არის, რომ იმ ადამიანებს, რომელთაც შესწევთ მხილების უნარი და მზად არიან ამხილონ, არა აქვთ ტრიბუნა, საიდანაც შეეძლებათ ლაპარაკი, — არა ჰყავთ აუდიტორია, ორატორების გატაცებით მომსმენი და გამამხნევებელი, — ისინი ვერსად ვერ ხედავენ ხალხში ისეთ ძალას, რომ გარჯად ღირდეს მას მიმართონ ჩივილით რუსეთის «ყოვლისშემძლე» მთავრობის წინააღმდეგ. ახლა კი ყოველივე ეს უდიდესი სისწრაფით იცვლება. ასეთი ძალა არის, ესაა რევოლუციური პროლეტარიატი, მან უკვე დაამტკიცა, რომ მზად არის არამცთუ მოისმინოს და მხარი დაუჭიროს პოლიტიკური ბრძოლისადმი მოწოდებას, არამედ გაბედულადაც გადაეშვას ამ ბრძოლაში. ახლა ჩვენ შეგვიძლია და მოვალენიც ვართ შევქმნათ ტრიბუნა მეფის მთავრობის საყოველთაო-სახალხო მხილებისათვის; — ასეთი ტრიბუნა უნდა იყოს სოციალ-დემოკრატიული გაზეთი. რუსეთის მუშათა კლასი, რუსეთის საზოგადოების სხვა კლასებისა და ფენებისაგან განსხვავებით, მუდმივ ინტერესს იჩენს პოლიტიკური ცოდნისადმი, მუდმივ (და არა მხოლოდ განსაკუთრებული აღტყინების პერიოდებში) უდიდეს მოთხოვნებს აყენებს არალეგალურ ლიტერატურაზე. როცა ასეთი მასობრივი მოთხოვნაა, როცა უკვე ყალიბდებიან გამოცდილი რევოლუციური ხელმძღვანელები, როცა მუშათა კლასი ისე კონცენტრირებულია, რომ ფაქტიური ბატონი გამხდარა დიდი ქალაქის მუშათა უბნებში, საქარხნო და საფაბრიკო დაბებში, ასეთ პირობებში პოლიტიკური გაზეთის დაარსება საკვლევით შესაძლისია პროლეტარიატისათვის. ხოლო პროლეტარიატის საშუალებით გაზეთი შეიჭრება ქალაქის მდაბიო მოსახლეობაშიც, სოფლის შინამრეწველებსა და გლეხებში და ნამდვილ სახალხო პოლიტიკურ გაზეთად გადაიქცევა.

მაგრამ გაზეთის როლი არ შემოიფარგლება მარტო იდეების გავრცელებით, მარტო პოლიტიკური აღზრდით და პოლიტი-

კურ მოკავშირეთა მოპოვებით. გაზეთი არის არა მარტო კოლექტიური პროპაგანდისტი და კოლექტიური აგიტატორი, არამედ კოლექტიური ორგანიზატორიც. ამ უკანასკნელი მხრივ ის შეიძლება შევადაროთ ხარაჩოს, რასაც აგებენ ასაშენებელი შენობის გარშემო; ხარაჩო სახავს შენობის კონტურებს, ააღვილებს კავშირს ცალკეულ მშენებელთა შორის, ეხმარება მათ სამუშაოს განაწილებასა და ორგანიზებული შრომით მიღწეული საერთო შედეგების დათვალიერებაში. გაზეთის შემწეობით და მასთან დაკავშირებით თავისთავად მოეწყობა მუდმივი ორგანიზაცია, რომელიც გასწევს არა მარტო ადგილობრივს, არამედ რეგულარულ საერთო მუშაობასაც, რომელიც მიაჩვევს თავის წევრთ ყურადღებით ადევნონ თვალყური პოლიტიკურ ამბებს, შეაფასონ მათი მნიშვნელობა და მათი გავლენა მოსახლეობის სხვადასხვა ფენაზე, გამოიმუშაონ რევოლუციური პარტიის მხრივ ამ ამბებზე მიზანშეწონილი ზემოქმედების საშუალებანი. უკვე მარტოოდენ ტექნიკური ამოცანა — გაზეთის უზრუნველყოფა მასალების წესიერად მიწოდებით და გაზეთის წესიერად გავრცელება — გვაიძულებს შევქმნათ ერთიანი პარტიის ადგილობრივი აგენტების ქსელი, აგენტებისა, რომელთაც ცოცხალი კავშირურთიერთობა ექნებათ ერთმანეთთან, ეცოდინებათ საქმის საერთო მდგომარეობა, შეეჩვევიან საერთო-რუსეთის სამუშაოს ცალკე ფუნქციების რეგულარულად შესრულებას, მოსინჯავენ თავიანთ ძალებს ამა თუ იმ რევოლუციური მოქმედების მოსაწყობად. აგენტების * ეს ქსელი

* თავისთავად ცხადია, ასეთი აგენტები მხოლოდ მაშინ შესძლებენ წარმატებით მუშაობას, თუ მჭიდროდ დაუკავშირდებიან ჩვენი პარტიის ადგილობრივ კომიტეტებს (ჯგუფებს, წრეებს). საზოგადოდ ჩვენ მიერ დასახული მთელი გეგმა შეიძლება განხორციელდეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას უაღრესად აქტიურად დაუჭერენ მხარს ის კომიტეტები, რომლებსაც არა ერთხელ გადაუდგამთ ნაბიჯი პარტიის გაერთიანებლად და რომლებიც — დარწმუნებული ვართ — მიაღწევენ ამ გაერთიანებას დღეს თუ არა, ხვალ მაინც, თუ არა ამგვარ, სხვა ფორმით მაინც.

სწორედ ისეთი ორგანიზაციის ჩონჩხი იქნება, როგორიც ჩვენ გვესაჭიროება: საკმაოდ დიდისა, რომ მთელი ჩვენი ქვეყანა მოიცვას; საკმაოდ ფართო და მრავალმხრივისა, რომ ზუსტად და დეტალურად გაანაწილოს შრომა; საკმაოდ გამ-ძლისა, რომ ყოველ გარემოებაში, ყოველ «მოსახვევში» და მოულოდნელ შემთხვევებში შეხძლოს მტკიცედ წარმარ-თოს თ ა ვ ი ს ი საქმე; საკმაოდ მოქნილისა, რომ შესძლოს, ერთი მხრივ, გაშლილ ველზე თავი აარიდოს შეტაკებას ბევრად უფრო ძლიერ მტერთან, როცა ამ უკანასკნელს ერთ ადგილას დაუგროვებია მთელი ძალები, ხოლო მეორე მხრივ, რომ შესძლოს ისარგებლოს ამ მტრის მოუქნელო-ბით და თავს დაესხას მას მაშინ და იქ, სადაც ყველაზე ნაკლებად მოელიან თავდასხმას. დღეს ჩვენს წინაშე წამო-იჭრა შედარებით იოლი ამოცანა: მხარი დავუჭიროთ სტუდენტებს, რომლებიც დემონსტრაციებს მართავენ დიდი ქალაქების ქუჩებში. ხვალ, შეიძლება, უფრო ძნელი ამოცანა დადგეს ჩვენს წინაშე, — მაგ., მხარისდაჭერა გარკვეული რაიონის უმუშევართა მოძრაობისთვის. ზეგ ჩვენ უნდა გავჩნდეთ ჩვენს პოსტზე, რათა რევოლუციური მონაწილეობა მივიღოთ გლეხთა ამბოხებაში. დღეს ჩვენ უნდა ვისარგებ-ლოთ პოლიტიკური მდგომარეობის იმ გამწვავებით, რომელიც შექმნა მთავრობამ ერობის წინააღმდეგ გალაშქრებით. ხვალ ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ მოსახლეობის აღშფოთებას მეფის ამა თუ იმ თავგასული ბაშიბუზუკის წინააღმდეგ და დავეხმაროთ — ბოიკოტით, დევნით, მანიფესტაციებით და სხვ. — ისეთი დღე დააყენოს ძას, რომ იძულებული გახდეს აშკარად უკან დაიხიოს. საომრად მზადყოფნის ასეთი მდგომარეობის მიღწევა შეიძლება მხოლოდ მუდმივი მუ-შაობით, რომელშიც ჩაბმული უნდა იყოს რეგულარული ჯარი. და თუ ჩვენს ძალებს შევაერთებთ საერთო გაზეთის გაძღოლის ირგვლივ, ასეთი მუშაობა მოამზადებს და წამო-აყენებს არა მარტო ყველაზე უფრო უნარიან პროპაგანდის-ტებს, არამედ აგრეთვე ყველაზე უფრო დახელოვნებულ

ორგანიზატორებსაც, პარტიის ყველაზე ნიჭიერ პოლიტიკურ ბელადებს, რომელთაც შეეძლებათ საჭირო მომენტში წამოაყენონ გადამწყვეტი ბრძოლის ლოზუნგი და უხელმძღვანელონ ამ ბრძოლას.

დასასრულ — ორიოდე სიტყვა შესაძლო გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად. ჩვენ ამდენ ხანს მხოლოდ სისტემატურსა და გეგმაჩეწონილ სამზადისზე ვლაპარაკობდით, მაგრამ ამით სულაც არ გვინდოდა გვეთქვა, თითქოს თვითმპყრობელობა შეიძლება დაემხოს მხოლოდ და მხოლოდ წესიერი ალყის შემორტყმით ან ორგანიზებული იერიშით. ასეთი შეხედულება უაზრო დოქტრინიორობა იქნებოდა. პირიქით, სავსებით შესაძლოა და ისტორიულად გაცილებით უფრო მოსალოდნელიცაა, რომ თვითმპყრობელობა დაემხობა ერთ-ერთ იმ სტიქიურ აფეთქებათა ან გაუთვალისწინებელ პოლიტიკურ გართულებათა ზეგავლენით, რომლებიც მუდამ ყოველი მხრივ ემუქრება მას. მაგრამ არც ერთ პოლიტიკურ პარტიას, თუ ის ავანტურიზმში არ გადავარდნილა, არ შეუძლია თავისი მუშაობა ააგოს ასეთ აფეთქებათა და გართულებათა ვარაუდზე. ჩვენ უნდა ვიაროთ ჩვენი გზით, განუხრელად ვაწარმოოთ ჩვენი სისტემატური მუშაობა, და, რაც უფრო ნაკლებ გვექნება მოულოდნელი შემთხვევების იმედი, მით უფრო მეტი შესაძლებლობა გვექნება, რომ მზად ვიქნებით ყოველგვარ «ისტორიულ მოსახვევზე».

ახალი ხოცვა-ჟლეტა

როგორც ეტყობა, ჩვენ განვიცდით მომენტს, როცა ჩვენს მუშათა მოძრაობას კვლავ შეუკავებელი ძალით მივყავართ იმ გამწვავებულ შეჯახებამდე, რომელიც ასე აფრთხობს მთავრობასა და შეძლებულ კლასებს, ასე ამხნევებს და ახარებს სოციალისტებს. დიახ, ჩვენ გვამხნევებს და გვახარებს ეს შეჯახებანი, მიუხედავად სამხედრო შურისგების უამრავი მსხვერპლისა, იმიტომ რომ წინააღმდეგობის გაწევით მუშათა კლასი ამტკიცებს, რომ ის ვერ ურიგდება თავის მდგომარეობას, არ სურს მონად დარჩეს, არ ემორჩილება უხმოდ ძალმომრეობას და თვითნებობას. თანამედროვე წესწყობილება ყოველთვის და აუცილებლად, მაშინაც კი, როცა ყველაფერი მშვიდობიანად მიმდინარეობს, მუშათა კლასისაგან ურიცხვ მსხვერპლს მოითხოვს. ათასობით და ათიათასობით ადამიანი, რომლებიც მთელს თავის სიცოცხლეში შრომობენ სხვისი სიმდიდრის შესაქმნელად, თვითონ შიმშილით და მუდმივი გაჭირვებისაგან იხოცება, უდროოდ ესალმება წუთისოფელს სხვადასხვა ავადმყოფობით, რასაც იწვევს შრომის საძაგელი პირობები, საცხოვრებელი ბინის ღატაკური მოწყობილობა, დაუსვენებლობა. და ასწილ გმირის სახელის ღირსია ის, ვინც ამჯობინებს უმალ მოკვდეს პირდაპირ ბრძოლაში ამ საზიზღარი წესწყობილების დამცველთა წინააღმდეგ, ვიდრე დაძაბუნებულ, წელმოწყვეტილ და მორჩილ ჯაგლაგსავით ამოხდეს სული ნელი სიკვდილით. ამით ჩვენ სულაც არ გვინდა ვთქვათ, თითქოს პოლიციასთან

ხელჩართული ომი ბრძოლის საუკეთესო სახე იყოს. პირიქით, ჩვენ ყოველთვის მივუთითებდით მუშებს, რომ მათი ინტერესები მოითხოვს უფრო დინჯი და გამძლე ბრძოლა აწარმოონ და ეცადონ ყოველნაირი უკმაყოფილება მიმართონ რევოლუციური პარტიის ორგანიზებული ბრძოლის დასახმარებლად. მაგრამ მთავარი წყარო, რომელიც ასაზრდოებს რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას, არის სწორედ მუშათა მასების ის პროტესტის სული, რომელიც მუშების მუდმივი ჩაგვრისა და მათზე ძალმომრეობის პირობებში არ შეიძლება დროგამოშვებით არ გამოვლინდეს თავგანწირულ აფეთქებად. ეს აფეთქებანი შეგნებული ცხოვრებისათვის აღვიძებენ გაქირვებითა და სიბნელით დაბეჩავებულ მუშათა ფართო მასებს, ავრცელებენ მათში კეთილშობილი სიძულვილის სულს მჩაგვრელებისა და თავისუფლების მტრებისადმი. და ეს ამიტომ არის, რომ ისეთი ხოცვა-ჟლეტის ამბები, როგორიც, მაგ., 7 მაისს მოხდა ობუხოვის ქარხანაში, გვაიძულებს წამოვიძახოთ: «მუშათა აჯანყება ჩახშობილია, გაუმარჯოს მუშათა აჯანყებას!».

იყო დრო, და შედარებით არც ისე დიდი ხანია მას შემდეგ, როცა მუშათა აჯანყება იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა და მხოლოდ რაიმე განსაკუთრებული პირობებით იყო გამოწვეული. ახლა ეგრე როდია. რამდენიმე წლის წინათ ჩვენ მრეწველობის აყვავებას განვიცდიდით, როცა აღებ-მიცემობა გაცხოველებით მიმდინარეობდა და მუშა-ხელის დიდი მოთხოვნილება იყო. და მიუხედავად ამისა, მუშები მთელ რიგ გაფიცვებს აწყობდნენ, შრომის უკეთეს პირობებს მოითხოვდნენ: მუშები მიხვდნენ, რომ მათ არ უნდა გაეშვათ მომენტი, უნდა ესარგებლნათ სწორედ იმ დროით, როცა მეფაბრიკეთა მოგება განსაკუთრებით დიდია და უფრო ადვილია დათმობებზე მათი დათანხმება. მაგრამ აი აყვავება კრიზისით შეიცვალა: მეფაბრიკეები საქონელს ვეღარ ასაღებენ, მათი მოგება მცირდება, გაკოტრებათა რიცხვი მატულობს, ფაბრიკები ამცირებენ წარმოებას, ითხოვენ მუშებს, რომლებიც მასობ-

რივად რჩებიან ქუჩაში ულუკმაპუროდ. მუშები იძულებული არიან თავგანწირვით იბრძოლონ უკვე თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის კი არა, არამედ წინანდელი მდგომარეობის შენარჩუნებისათვის და იმ დანაკლისთა შესამცირებლად, რომელთაც მეფაბრიკე აკისრებს მათ. ამგვარად, მუშათა მოძრაობა ღრმავდება და ფართოვდება: თავდაპირველად ბრძოლა განსაკუთრებულ ცალკეულ შემთხვევებში, შემდეგ შეუპოვარი და განუწყვეტელი ბრძოლა მრეწველობის გამოცოცხლებისა და აღებ-მიცემობის გაცხოველების ხანებში, დასასრულ — ასეთივე განუწყვეტელი და მედგარი ბრძოლა კრიზისის დროს. ახლა უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მუშათა მოძრაობა ჩვენი ცხოვრების მუდმივ მოვლენად გადაიქცა და განაგრძობს ზრდას ყოველგვარ პირობებში.

მაგრამ სამრეწველო გამოცოცხლების შეცვლა კრიზისით ასწავლის მუშებს არა მხოლოდ იმას, რომ გაერთიანებული ბრძოლა მათთვის მუდმივ აუცილებლობას წარმოადგენს. ეს შეცვლა დაამსხვრევს აგრეთვე იმ მავნე ილუზიებსაც, რომლებმაც წარმოშობა იწყეს მრეწველობის აყვავების პერიოდში. ზოგან მუშები შედარებით იოლად ახერხებდნენ მეპატრონეთაგან დათმობათა გამოგლეჯას გაფიცვების საშუალებით, და ამ «ეკონომიური» ბრძოლის მნიშვნელობა გააზვიადეს, დაივიწყეს, რომ მუშების პროფესიულ (ამქრულ) კავშირებს და გაფიცვებს უკეთეს შემთხვევაში შეუძლიათ მხოლოდ რამდენადმე უფრო ხელსაყრელი პირობების მოპოვება საქონლის — სამუშაო ძალის — გაყიდვისთვის. ამქრული კავშირები და გაფიცვები უძლური არიან საქმეს უშველონ, როცა კრიზისის გამო ამ «საქონელზე» მოთხოვნილება არ არის, უძლური არიან შესცვალონ ის პირობები, რომლებიც სამუშაო ძალას საქონლად აქცევენ და მშრომელთა მასების უალრესად მძიმე გაჭირვებასა და უმუშევრობას იწვევენ. ამ პირობების შესაცვლელად აუცილებელია რევოლუციური ბრძოლა მთელ თანამედროვე საზოგადოებრივსა და პოლიტიკურ წყობილებასთან, და სამრეწველო კრიზისიც ბევრსა და

ბევრ მუშას აიძულებს დარწმუნდეს ამ ჭეშმარიტების სა-მართლიანობაში.

დავუბრუნდეთ 7 მაისის ხოცვა-ჟლეტას. ქვემოთ მოგვყავს ის ცნობები, რომლებიც მოგვეპოვება პეტერბურგის მუშების მაისის გაფიცვებსა და მღელვარებათა შესახებ [9]. აქ კი განვი-ხილოთ პოლიციის ცნობა 7 მაისის ხოცვა-ჟლეტის შესახებ. ბოლო ხანებში ჩვენ ცოტათი უკვე შევეჩვიეთ მთავრობის (იმავე პოლიციის) ცნობებს გაფიცვების, დემონსტრაციების, ჯარებთან შეტაკებების შესახებ; ჩვენ ახლა უკვე საკმაო მასალა მოგვეპოვება იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად სარწმუნოა ასეთი ცნობები, ჩვენ შეგვიძლია ზოგჯერ პოლი-ციის სიცრუის კორიანტელის მიხედვით მივხვდეთ, თუ რაოდენ ძლიერია ხალხის აღშფოთება.

«7 მაისს — ამბობს ოფიციალური ცნობა — სასადილო შესვენების შემდეგ, ობუხოვოს ფოლადსამსხმელო ქარხანაში სოფ. ალექსანდროვკაში, შლისელბურგის შარაგზაზე, ქარხნის სხვადასხვა განყოფილების ორასამდე მუშამ შესწყვიტა მუშაობა და ქარხნის უფროსის თანაშემწე პოდპოლკოვნიკ ივანოვთან მოლაპარაკების დროს წარადგინა სხვადასხვა უსაფუძვლო მოთხოვნა».

უკეთუ მუშებმა, ორი კვირით ადრე გაუფრთხილებლად, შესწყვიტეს მუშაობა — თუ დავუშვებთ, რომ მუშაობის შეწყვეტა არ იყო გამოწვეული რაიმე უკანონო მოქმედებით ძეპატრონეთა მხრივ, როგორც ეს ძალიან ხშირად ხდება, — მაშინ ეს თვით რუსეთის კანონმდებლობითაც (რომელსაც ბოლო ხანებში სისტემატურად ავსებენ და აძლიერებენ მუ-შების წინააღმდეგ) პოლიციის საყურადღებო უბრალო ბრალს შეადგენს და მომრიგებელ მოსამართლეს ექვე-მდებარება. მაგრამ რუსეთის მთავრობა სულ უფრო სასაცილო მდგომარეობაში ვარდება თავისი სასტიკი ზომების გამო: ერთი მხრივ, სცემენ კანონებს, რომლებიც განსაზღვრავენ ახალ დანაშაულობებს (მაგ., მუშაობაზე თვითნებურად უარის თქმა ან მონაწილეობა ისეთ თავმოყრაში, რომელიც სხვის

ქონებას აზიანებს ან წინააღმდეგობას უწევს მთავრობის შეიარაღებულ ძალას), აძლიერებენ სასჯელს გაფიცვებისთვის და სხვ., — მეორე მხრივ, ფიზიკურადაც და პოლიტიკურადაც შეუძლებელი ხდება ამ კანონების გამოყენება და კანონიერი სასჯელის მისჯა. ფიზიკურად შეუძლებელია პასუხი აგებინო მუშაობაზე უარისთქმისათვის, გაფიცვისათვის, «თავმოყრისათვის» ათასსა და ათიათას ადამიანს. პოლიტიკურად შეუძლებელია ყოველი ასეთი შემთხვევა სასამართლოს მიანდო გასარჩევად, ვინაიდან, როგორც უნდა შეარჩიო სასამართლოს შემადგენლობა, რაც უნდა შეკვეცო მისი საჯაროობა, სასამართლოს ნასახი მაინც დარჩება და, რა თქმა უნდა, ეს იქნება «გასამართლება» არა მუშების, არამედ მთავრობის. და აი სისხლის სამართლის კანონებს, რომელთა გამოცემის პირდაპირი მიზანი იყო გაეადვილებინა მთავრობის პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ბრძოლა პროლეტარიატის წინააღმდეგ (და იმავე დროს მისი პოლიტიკური ხასიათი მ ი ე ჩ ქ მ ა ლ ა «საზოგადოებრივ წესრიგზე» «სახელმწიფოებრივ» მოსაზრებათა საშუალებით და სხვ.), ულმობელად უკანა რიგში აყენებს პ ი რ დ ა პ ი რ ი პოლიტიკური ბრძოლა, აშკარა შეტაკება ქუჩებში. «მართლმსაჯულება» მიუკერძებლობისა და კეთილშობილების ნიღაბს იხდის, სამოქმედო ასპარეზიდან გარბის და ამ ასპარეზს უტოვებს პოლიციას, ჟანდარმებსა და კაზაკებს, რომელთაც ქვებით უმასპინძლდებიან.

მოიგონეთ, მართლაც, მთავრობის ეს მითითება მუშების «მოთხოვნებზე». კანონის თვალსაზრისით, მუშაობის შეწყვეტა დანაშაულობაა, მიუხედავად იმისა, თუ რანაირი იყო მუშების მოთხოვნები. მაგრამ საქმეც ისაა, რომ მთავრობამ დაჰკარგა უკვე შესაძლებლობა იმავე კანონის ნიადაგზე დადგეს, რომელიც ასე ცოტა ხნის წინათ გამოსცა, და «თავისი საშუალებებით» გამკლავება მას სურს გაამართლოს იმით, რომ მუშების მოთხოვნები უსაფუძვლო იყოო. და მერე ვინ იყო მსაჯული ამ საკითხში? პოდპოლკოვნიკი ივანოვი, ქარხნის უფროსის თანაშემწე, ე. ი. იგივე ადმინისტრაცია, რომელსაც

უჩიოდნენ მუშები! რაღა გასაკვირველია, რომ ხელისუფალთა ასეთ ახსნა-განმარტებას მუშები ქვებით უპასუხებენ!

და აი, როცა მუშები ყველანი ქუჩაში გამოვიდნენ და ცხენის ტრამვაის მოძრაობა შეაჩერეს, ნამდვილი ომი გაჩაღდა. მუშები, როგორც ჩანს, თავგამოდებით იბრძოდნენ, ვინაიდან მათ ო რ ჯ ე რ შესძლეს პოლიციის, ჟანდარმების, ცხენოსანი ჩაფრებისა და ქარხნის შეიარაღებული რაზმის * თავდასხმის მოგერიება — და ეს, მიუხედავად იმისა, რომ მუშების ერთადერთ იარაღს ქვები შეადგენდა. მართალია, «რამდენიმე გასროლა» ხალხის მხრივაც გაისმა, — თუ პოლიციის ცნობებს დავუჯერებთ, — მაგრამ ამ გასროლით არავინ არ დაჭრილა. სამაგიეროდ ქვა «ს ე ტ ყ ვ ა ს ა ვ ი თ» მოდიოდა, მასთან მუშები არამცთუ მედგარ წინააღმდეგობას, არამედ დიდ ოსტატობას და უნარს იჩენდნენ პირობებთან სწრაფად შეგუებასა და ბრძოლის უკეთესი ხერხის გამოძებნაში. მათ დაიკავეს მეზობელი ეზოები და მეფის ბაშიბუზუკებს ღ ო ბ ე ს ი ქ ი დ ა ხ დაუშინეს ქვა, ასე რომ სამი ზალპის შ ე მ დ ე გ ა ც, რითაც მოკლულ იქნა ერთი (ვითომ მხოლოდ ერთი?) მუშა და დაიჭრა რვა (?) (ერთი მეორე დღეს მოკვდა), ამის შემდეგაც კი, მიუხედავად იმისა, რომ ხალხი გაიფანტა, ბრძოლა კიდევ გრძელდებოდა, და გამოწვეულ ომსკის ქვეითი პოლკის ასეულებს დაევალათ მეზობელი ეზოების «გაწმენდა მუშებისაგან».

მთავრობამ გაიმარჯვა. მაგრამ თვითეული ასეთი გამარჯვება განუხრელად მოაახლოებს მის საბოლოო დამარცხებას. თვითეული შეტაკება ხალხთან გაამრავლებს აღშფოთებულ

* მთავრობის ცნობაში ნათქვამია, რომ «ქარხნის შეიარაღებული რაზმი» «უკვე მზად იყო ქარხნის ეზოში», ხოლო ჟანდარმები, ცხენოსანი ჩაფრები და პოლიციელები მხოლოდ შემდეგ იქნენ გამოწვეულნი. რა დროიდან და რისთვის ჰყავდათ მ ზ ა დ ქარხნის ეზოში შ ე ი ა რ ა ღ ე ბ უ ლ ი რაზმი? პირველი მაისიდან ხომ არა? მუშათა დემონსტრაციებს ხომ არ მოელოდნენ? ეს ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ მთავრობა განზრახ მალავს მის ხელთ არსებულ ფაქტიურ ცნობებს იმის შესახებ, თუ რა იწვევდა და როგორ იზრდებოდა მუშების უკმაყოფილება და მღელვარება.

და ბრძოლის წყურვილით გამსჭვალულ მუშათა რიცხვს. წამოაყენებს უფრო გამოცდილ, უკეთ შეიარაღებულ, უფრო გაბედულად მოქმედ წინამძღოლებს. თუ რა გეგმით უნდა იმოქმედონ წინამძღოლებმა, ამაზე უკვე გამოვთქვით ჩვენი აზრი. მტკიცე რევოლუციური ორგანიზაცია რომ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს — ეს ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს. მაგრამ ისეთი ამბების შესახებ, როგორიცაა 7 მაისის ამბავი, საჭიროა აგრეთვე მხედველობაში ვიქონიოთ შემდეგი.

უკანასკნელ ხანებში ბევრი ითქვა იმაზე, რომ ქუჩაში ბრძოლა თანამედროვე ჯარის წინააღმდეგ შეუძლებელი და უიმედოა; განსაკუთრებით ამტკიცებდნენ ამას ის «კრიტიკოსი» ჭკუის კოლოფები, რომლებიც ბურჟუაზიული სწავლულობის ძველ ხარახურას მიუკერძებელი მეცნიერების ახალ დასკვნებად ასაღებდნენ, და ამასთან ერთად ამახინჯებდნენ ენგელსის სიტყვებს, რომელიც ლაპარაკობდა, და ისიც შენიშვნებით, გერმანელი სოციალ-დემოკრატების მხოლოდ დროებით ტაქტიკაზე [7]. ჩვენ ვხედავთ თვით ცალკეული შეტაკების მაგალითზედაც კი, რომ მთელი ეს ლაპარაკი სრული სისულელეა. ქუჩაში ბრძოლა შესაძლებელია, უიმედოა არა მებრძოლთა მდგომარეობა, არამედ მთავრობის მდგომარეობა, თუ მას საქმე ექნება არა მარტოოდენ ქარხნის მოსახლეობასთან. მუშებს შვიდი მაისის შეტაკების დროს არაფერი არ გააჩნდათ, გარდა ქვებისა, — და, რაღა თქმა უნდა, ქალაქის უფროსის მიერ აკრძალვა როდი დაუშლის მათ მომავალში სხვა იარაღიც მოიმარაგონ. მუშები არ იყვნენ მომზადებული და მათი რიცხვი მხოლოდ 3½ ათასს თუ აღწევდა და, ძიუხედავად ამისა, მათ ძაინც უკუაქციეს ცხენოსანი ჩაფრების, ჟანდარმერიის, პოლიციელებისა და ქვეითი ჯარის რამდენიმე ასეული. მოიგონეთ, განა ადვილად "შესძლო პოლიციამ შლისელბურგის შარაგზაზე ერთი სახლის № 63 იერიში! ? ახლა წარმოიდგინეთ, განა ადვილი იქნება, რომ «მუშებისაგან გასწმინდონ» არა ორი-სამი ეზო

და სახლი, არამედ პეტერბურგის მთელი მუშათა უბნები! როცა საქმე გადამწყვეტ ბრძოლაზე მიდგება, განა არ დასჭირდებათ დედაქალაქის სახლებისა და ეზოების «გ ა წ მ ე ნ დ ა» არა მარტო მუშებისაგან, არამედ აგრეთვე ყველა იმათგან, ვისაც არ დავიწყებია 4 მარტის საზიზღარი ხოცვა-ყლეტა", ვინც არ შერიგებია პოლიციურ მთავრობას, მხოლოდ დაშინებულია მისგან და ჯერ კიდევ არა აქვს თავისი ძალღონის იმედი.

ამხანაგებო! ეცადეთ გამოარკვიოთ 7 მაისს ყველა მოკლულისა და დაჭრილის ვინაობა. დაე დედაქალაქის ყველა მუშამ პატივი სცეს მათს ხსოვნას და ემზადოს ახალი და გადამწყვეტი ბრძოლისათვის პოლიციური მთავრობის წინააღმდეგ, ხალხის თავისუფლებისათვის!

«ისკრა» № 5, 1901 წლის ივნისი

იბეჭდება გაზეთ «ისკრის» ტექსტის მიხედვით

ეროვნების მდევნელნი
და ლიბერალიზმის ჰანიბალები [10]

პირველად დაიბეჭდა 1901 წლის
დეკემბერს ჟურნალ «ზარიას»
№ 2 — 3-ში.
ხელმოწერა: ტ. ბ.
დაწერილია 1901 წლის მაისში

იბეჭდება ჟურნალის ტექსტის მიხედვით, რომელიც შეჯერებულია კრებულის ტექსტთან:
ვლ. ი ლ ი ნ ი. «12 წლის
მანძილზე», 1907 წ.

№ 2-3

Декабрь

1901-го г.

ЗАРЯ

Соціаль-демократическій научно-политическій журналъ. Издается при ближайшемъ участіи Г. В. Плеханова, В. И. Засуличъ и П. Б. Аксельрода.

Die Morgenröthe

Heft 2-3

Dezember 1901

Цѣна 3 руб.

Stuttgart

J. H. W. Dietz Nachf. (G. m. b. H.)

1901

გარეკანი ჟურნალ «ზარიას» № 2—3-ისა—1901 წ., რომელშიც დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის ნაშრომები: «ერობის მდევნელნი და ლიბერალიზმის პანიბალები», პირველი ოთხი თავი ნაშრომისა «აგრარული საკითხი და «მარქსის კრიტიკოსები»» (სათაურით «ბატონი «კრიტიკოსები» აგრარულ საკითხში») და «შინაური მიმოხილვა»

თუ რუს გლეხზე უთქვამთ, რომ ის ყველაზე უფრო მეტად თავისი სიღარიბის შეგნებით არის ღარიბიო, რუს ობივატელზე ან ქვეშევრდომზე შეიძლება ითქვას, რომ ის, სამოქალაქო უფლებებით ღარიბი, განსაკუთრებით ღარიბია თავისი უუფლებობის შეგნებით. როგორც გლეხი შეჩვეულია თავის გაძოუვალ სიღატაკეს, შეჩვეულია ისე ცხოვრებას, რომ არც კი უფიქრდება სიღატაკის მიზეზებს და მისგან თავის დაღწევის შესაძლებლობას, ასევე რუსი ობივატელიც საზოგადოდ შეეჩვია მთავრობის ყოვლისშემძლებლობას, შეეჩვია ისე ცხოვრებას, რომ არ უფიქრდება — შეიძლება თუ არა მუდამ ასე გასტანოს ამ ყოვლისშემძლებლობამ და არის თუ არა მის გვერდით ისეთი მოვლენები, რომლებიც ძირს უთხრიან დახავსებულ პოლიტიკურ წყობილებას. განსაკუთრებით «უებარი საშუალება» ამ პოლიტიკური შეუგნებლობისა და ძილის წინააღმდეგ ჩვეულებრივ არის «საიდუმლო დოკუმენტები» *, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ არამცთუ ვიღაც თავზეხელაღებულნი ან მთავრობის დაუძინებელი მტრები, არამედ თვით მთავრობის წევრნიც, მათ შორის მინისტრებიცა და მეფეც, გრძნობენ მართვა-გამგეობის თვითმპყრობელური ფორმის სისუსტეს და ეძიებენ ყოველგვარ საშუალებას გაიუმჯობესონ მდგომარეობა, რომელიც მათ სრულებით ვერ აკმაყოფილებს. ასეთ დოკუმენტებს ეკუთვნის ბარათი

* მე ვლაპარაკობ, რასაკვირველია, მხოლოდ იმ — სრულიად არა ერთადერთსა და სრულიად არა განსაკუთრებით «ძლიერ მოქმედ» — «უებარ საშუალებაზე», რომელსაც შეადგენენ ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებნი.

ვიტესი, რომელმაც, წაეჩხუბა რა შინაგან საქმეთა მინისტრს, ვორემიკინს, განაპირა მხარეებში ერობის დაწესებულებათა შემოღების საკითხის გამო, გადასწყვიტა საგანგებოდ გამოეჩინა თავისი შორსმჭვრეტელობა და თვითმპყრობელობისადმი ერთგულება ერობის წინააღმდეგ საბრალდებო აქტის შედგენით *.

ერობას ბრალად ის ედება, რომ იგი შეუთავსებელია თვითმპყრობელობასთან, რომ იგი თვით თავისი ბუნებით კონსტიტუციურია, რომ მისი არსებობა აუცილებლად ბადებს შეხლა-შემოხლას და შეტაკებას საზოგადოებისა და მთავრობის წარმომადგენელთა შორის. საბრალდებო აქტი შედგენილია მეტად (შედარებით) ვრცელი და მეტად კარგად დამუშავებული მასალის საფუძველზე, ხოლო ვინაიდან ეს არის საბრალდებო აქტი პოლიტიკურ საქმეზე (და თანაც საკმაოდ თავისებურზე), შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ მას არანაკლები ინტერესით და არანაკლები სარგებლობით წაიკითხავენ, ვიდრე იმ პოლიტიკური პროცესების საბრალდებო აქტებს, რომლებიც ოდესღაც ჩვენს გაზეთებში ობეჭდებოდა.

I

მაშ ვცადოთ და განვიხილოთ, ამართლებს თუ არა ფაქტები იმის მტკიცებას, რომ ჩვენი ერობა კონსტიტუციურია, და თუ ამართლებს, რა ზომამდე და სახელდობრ რა აზრით.

ამ საკითხში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ერობის შემოღების ეპოქას. ბატონყმობის გადავარდნა ისეთ დიდ ისტორიულ გარდატეხას წარმოადგენდა, რომ მას არ შეეძლო არ ჩამოეხია პოლიციური ფარდაც, რომელიც ფა-

* თვითმპყრობელობა და ერობა. ფინანსთა მინისტრ ს. ი. ვიტეს კონფიდენციური ბარათი რ. ნ. ს-ს წინასიტყვაობითა და შენიშვნებით. დაიბეჭდა «ზარიაში». [1] Stuttgart, Verlag von J. H. W. Dietz Nachf. (შტუტგარტი, ი. ჰ. ვ. დიცის შემკვიდრეების გამოცემა. რედ.) 1901, გვ. XLIV და 212.

რავდა წინააღმდეგობას კლასთა შორის. ყველაზე შემჭიდროებულმა, ყველაზე განათლებულმა და პოლიტიკურ ბატონობას ყველაზე უფრო შეჩვეულმა კლასმა — თავადაზნაურობამ — სრული გარკვეულობით გამოიჩინა მისწრაფება შეეზღუდა თვითმპყრობელური ხელისუფლება წარმომადგენლობითი დაწესებულებების საშუალებით. ამ ფაქტის მოგონება ვიტეს ბარათში მეტისმეტად საგულისხმოა. «განცხადებანი თავადაზნაურთა საერთო «წარმომადგენლობის» საჭიროების შესახებ, შესახებ «რუსთა ქვეყნის უფლებისა — ჰყავდეს თავისი ამორჩეული პირები უმაღლესი ხელისუფლებისათვის რჩევის მისაცემად», გაუკეთებიათ უკვე თავადაზნაურთა კრებებზე 1859 — 1860 წლებში». «წარმოუთქვამთ თვით სიტყვა «კონსტიტუცია»» *. «მართვა-გამგეობაში მონაწილეობის მისაღებად საზოგადოების მიწვევის აუცილებლობაზე მიუთითებდნენ გლეხთა საქმეების ზოგიერთი საგუბერნიო კომიტეტიც, კომიტეტთა წევრებიც, გამოწვეულნი სარედაქციო კომისიებში. «დეპუტატები აშკარად მიისწრაფიან კონსტიტუციისაკენ», წერდა 1859 წელს თავის დღიურში ნიკიტენკო».

«როცა 1861 წლის 19 თებერვლის დებულების გამოქვეყნების შემდეგ თვითმპყრობელობაზე დამყარებული ეს იმედი ოდნავაც არ განხორციელდა და თანაც ამ დებულების სისრულეში მოყვანის საქმეს ჩამოაშორეს უფრო «წითელი» ელემენტები თვით ადმინისტრაციიდან (როგორც, მაგ., ნ. მილიუტინი), მოძრაობა «წარმომადგენლობის» სასარგებლოდ უფრო ერთსულოვანი გახდა. ეს გამოიხატა წინადადებებში, რომლებიც შეტანილ იქნა 1862 წელს თავადაზნაურთა მრავალ კრებაზე და ამ კრებების მთელ იდრესებში ნოვგოროდში, ტულაში, სმოლენსკში, მოსკოვში, პეტერბურგში, ტვერში. ადრესებში ყველაზე შესანიშნავია მოსკოვის ადრესი, რომელიც თხოულობდა ადგილობრივ თვითმმართველობას, საჯარო სამართლისწარმოებას, გლეხთა მიწების სავალდებულო გამოსყიდვას, ბიუჯეტის სა-

* დრაგომანოვი. «ერობის ლიბერალიზმი რუსეთში», გვ. 4. ბარათის ავტორი ბ-ნი ვიტე ხშირად აღუნიშნავად სტოვეს, რომ მას გადმოწერილი აქვს დრაგომანოვისაგან (შეად., მაგ., «ბარათი», გვ. 36 — 37 და ხსენებული სტატია, გვ. 55 — 56), თუმცა სხვა ადგილას იმოწმებს მას.

ჯარორობას, ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებას და მოსკოვში საერო კრების მოწვევას ყველა კლასისაგან რეფორმათა მთლიანი პროექტის მოსამზადებლად. ყველაზე მკვეთრი იყო ტვერის თავადაზნაურობის დადგენილებანი და ადრესი 2 თებერვლის თარიღით, რომელიც აუცილებლად სცნობდა მთელ რიგ სამოქალაქო და ეკონომიურ რეფორმებს (მაგ., წოდებათა უფლებების გათანასწორებას, გლეხთა მიწების სავალდებულო გამოსყიდვას) და «მთელი რუსთა ქვეყნის წარმომადგენელთა მოწვევას, როგორც ერთადერთ საშუალებას იმ საკითხთა დამაკმაყოფილებლად გადაჭრისთვის, რომლებიც წამოაყენა, მაგრამ ვერ გადასჭრა 19 თებერვლის დებულებამ» *.

მიუხედავად ადმინისტრაციული და სასამართლოს წესით მისჯილ სასჯელთა, რომლებითაც დასაჯეს ტვერის ადრესის ინიციატორები **, — განაგრძობს დრაგომანოვი. — (თუმცა დასჯილთ არა პირდაპირ ადრესის გამო, არამედ მომრიგებელ მოსამართლეთა თანამდებობის კოლექტიურად დატოვების მკვეთრი დასაბუთებისათვის) ასეთივე ხასიათის განცხადებებს აკეთებდნენ 1862 და 1863 წლის დამდეგს თავადაზნაურთა სხვადასხვა კრებაზე, სადაც იმავე დროს იმუშავებდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტებსაც.

---

* დრაგომანოვი, 5. შემოკლებული გადმოცემა «ბარათში», გვ. 64, მითითებით არა დრაგომანოვზე, არამედ დრაგომანოვის მიერ მოყვანილ ციტატზე «კოლოკოლიდან» № 126 და «Revue des deux Mondes» («ძველი და ახალი ქვეყნის მიმოხილვა». რ ე დ.), 1862, 15 ივნისი.

** ამას წინათ (ამა წლის, ე. ი. 1901 წლის 19 აპრილს) თავის საკუთარ მამულში, ტვერის გუბერნიაში გარდაიცვალა ამ ადრესის ერთ-ერთი ინიციატორი, ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბაკუნინი, განთქმული მ. ა. ბაკუნინის უმცროსი ძმა. ნ. ა-მ თავის უმცროს ძმა ალექსისთან და სხვა მომრიგებლებთან ერთად ხელი მოაწერა 1862 წლის ადრესს. ამ ადრესმა — გვაცნობებს ნ. ა. ბაკუნინის შესახებ დაწერილი შენიშვნის ავტორი ერთ-ერთს ჩვენს გაზეთში — სასჯელი დაატეხა მასზე ხელისმომწერთ. პეტრე-პავლეს ციხეში ერთი წლის პატიმრობის შემდეგ პატიმარნი გაათავისუფლეს, მაგრამ ნ. ა-ს და მის ძმას ალექსის არ აპატიეს (მათ არ მოაწერეს ხელი პატიების თხოვნაზე), რის გამოც მათ აღარ მისცეს ნება რაიმე საზოგადოებრივი თანამდებობის დაჭერისა. ამის შემდეგ ნ. ა. არასოდეს არ გამოსულა და არც შეეძლო გამოსულიყო საზოგადოებრივ ·ასპარეზზე... აი როგორ უსწორდებოდა ჩვენი მთავრობა ყველაზე «დიდი რეფორმების» დროს ლეგალურად მოქმედ აზნაურ-მემამულეებს! და ეს იყო 1862 წელს, პოლონეთის აჯანყებამდე, როცა კატკოვიც კი[12] იძლეოდა წინადადებას მოეწვიათ სრულიად რუსეთის საერო კრება.

ამ დროს კონსტიტუციური მოძრაობა იყო «რაზნოჩინცებშიც» და ეს აქ გამოიხატა ცოტად თუ ბევრად რევოლუციური საიდუმლო საზოგადოებებისა და პროკლამაციების სახით: «ველიკორუსი» (1861 წლის აგვისტოდან ნოემბრამდე; ამ გამოცემაში მონაწილეობას იღებდნენ ოფიცრები, როგორც, მაგ., ობრუჩევი და სხვ.), «საერო კრება» (1862 წ.), «მიწა და თავისუფლება» (1862 — 1863 წწ.)... «ველიკორუსს» დართული ჰქონდა აგრეთვე იმ ადრესის პროექტი, რომელიც უნდა წარედგინათ ხელმწიფისთვის, როგორც ამბობდნენ ბევრნი, რუსეთის ათასი წლისთავის დღესასწაულის დროს 1862 წლის აგვისტოში. ადრესის ამ პროექტში, სხვათა შორის, ნათქვამი იყო: «კეთილ ინებეთ, ხელმწიფეო, მოწვევა ჩვენს სამშობლო რუსეთის ერთ-ერთ დედაქალაქში, მოსკოვში ან პეტერბურგში, რუსი ერის წარმომადგენლებისა, რათა მათ შეადგინონ კონსტიტუციაᲐ რუსეთისათვის...» *.

თუ მოვიგონებთ კიდევ პროკლამაციას «ახალგაზრდა რუსეთი» [13], მრავალრიცხოვან დაპატიმრებებს და «პოლიტიკურ» დამნაშავეთა (ობრუჩევის, მიხაილოვის და სხვ.) დრაკონულ დასჯას, რაც დაგვირგვინდა ჩერნიშევსკისთვის კატორღის უკანონოდ და განზრახ მოწყობილი მისჯით, ჩვენთვის ნათელი იქნება ის საზოგადოებრივი ვითარება, რომელმაც წარმოშვა საერობო რეფორმა. როცა ვიტეს «ბარათი» ამბობს, რომ «საერობო დაწესებულებათა შექმნის აზრი უეჭველად პოლიტიკური იყო», რომ საზოგადოების ლიბერალურ და კონსტიტუციონალისტურ განწყობილებას მმართველ სფეროებში «უსათუოდ ანგარიშს უწევდნენო», ის მხოლოდ ს ა ნ ა ხ ე ვ რ ო დ ამბობს მართალს. ის ოფიციალური, ფორმალური შეხედულება საზოგადოებრივ მოვლენებზე, რომელსაც ყველგან ამყლავნებს «ბარათის» ავტორი, თავს იჩენს აქაც, თავს იჩენს რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი მოძრაობის უგულებელყოფაში, იმ დრაკონული რეპრესიული ზომების მიჩქმალვაში, რომლებითაც მთავრობა თ ა ვ ს ი ც ა ვ დ ა რევოლუციური «პარტიის» შეტევისაგან. თუმცა, ჩვენი თანამედროვე შეხედულებით უცნაურად გვეჩვენება რევოლუციურ «პარტიაზე» და მის შეტევაზე ლაპარაკი 60-იანი წლების დასაწ-

* შეად. ვ. ბურცევის «ასი წლის მანძილზე», გვ. 39.

ყისში. ორმოცი წლის ისტორიულმა გამოცდილებამ ერთობ გააძლიერა ჩვენი მომთხოვნელობა იმის შესახებ, თუ რას შეიძლება ეწოდოს რევოლუციური მოძრაობა და რევოლუციური შეტევა. მაგრამ არ უნდა დავიიწყოთ, რომ იმ დროს, ნიკოლოზის რეჟიმის ოცდაათი წლისთავის შემდეგ, ჯერ კიდევ არავის არ შეეძლო გაეთვალისწინებინა მოვლენათა შემდგომი მსვლელობა, არავის არ შეეძლო გამოერკვია მთავრობის წინააღმდეგობის ნამდვილი ძალა, ხალხის აღშფოთების ნამდვილი ძალა. დემოკრატიული მოძრაობის გამოცოცხლება ევროპაში, მღელვარება პოლონეთში, უკმაყოფილება ფინეთში, პოლიტიკური რეფორმების მოთხოვნა მთელი პრესის და მთელი თავადაზნაურობის მიერ, «კოლოკოლის» გავრცელება მთელს რუსეთში, ძლიერი ქადაგება ჩერნიშევსკისა, რომელსაც ლეგალური სტატიებითაც კი შეეძლო ნამდვილი რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ნ ე რ ე ბ ი ს აღზრდა, პროკლამაციების გაჩენა, მღელვარება გლეხებისა, რომლებსაც «ძალიან ხშირად» *

* ლ. პ ა ნ ტ ე ლ ე ე ვ ი. «მოგონებანი 60-იან წლებზე», გვ. 315 კრებულისა «ნა სლავნომ პოსტუ». ამ პატარა სტატიაში თავმოყრილია ზოგიერთი მეტად საინტერესო ფაქტი 1861—1862 წლების რევოლუციური მღელვარებისა და პოლიციური რეაქციის შესახებ... «1862 წლის დამდეგისთვის საზოგადოებრივი ატმოსფერო უკიდურესობამდე იყო დაძაბული; მცირეოდენ გარემოებას შეეძლო ცხოვრების მსვლელობის ამა თუ იმ მხრით მკვეთრად წაბიძგება. სწორედ ეს როლი შეასრულა მაისის ხანძარმა 1862 წელს პეტერბურგში». ხანძარი დაიწყო 16 მაისს, განსაკუთრებით გაჩაღდა 22-სა და 23 მაისს — ამ უკანასკნელ დღეს ხუთი ხანძარი იყო. 28 მაისს ცეცხლი მოედო აპრაქსინის ქარვასლას და მის ირგვლივ დიდ სივრცეზე ყველაფერი გადაიბუგა. ხალხში ავრცელებდნენ ხმებს — ხანძარს სტუდენტები აჩენენო, და ამ ჭორებს გაზეთებიც იმეორებდნენ. პროკლამაციას «ახალგაზრდა რუსეთი», რომელიც სამკვდროსასიცოცხლო ბრძოლას უცხადებდა მთელ თანამედროვე წყობილებას და ყოველგვარ საშუალებას ამართლებდა, იმოწმებდნენ ცეცხლის განზრახ გაჩენის ხმების დასადასტურებლად. «28 მაისს მოჰყვა პეტერბურგში რაღაც სამხედრო წესების მაგვარის გამოცხადება». დაწესდა განსაკუთრებული კომიტეტი, რომელსაც მიანდეს დედაქალაქის დასაცავად გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი ზომების მიღება. ქალაქი სამ უბნად გაჰყვეს, თვი-

სამხედრო ძალისა და სისხლისღვრის საშუალებით აიძულებდნენ იმ «დებულების» მიღებას, რომელიც სულიანხორციანად ფცქვნიდა მათ, აზნაურ მომრიგებელ მოსამართლეთა კოლექტიური უარი ასეთი «დებულების» გატარებაზე, სტუდენტების არეულობა — ასეთ პირობებში უაღრესად ფრთხილსა და ფხიზელ პოლიტიკოსსაც კი უნდა ეღიარებინა, რომ რევოლუციური აფეთქება სავსებით შესაძლო იყო და გლეხთა აჯანყება მეტად სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა. ასეთ პირობებში თვითმპყრობელ მთავრობას, რომელიც თავის უმაღლეს დანიშნულებას იმაში ხედავდა, რომ, ერთი მხრივ, რადაც უნდა დაჯდომოდა, დაეცვა სასახლის კამარილიის და წურბელა-მოხელეთა არმიის ეს ყოვლისშემძლებლობა და უპასუხისმგებლობა, ხოლო, მეორე

თეულს სათავეში სამხედრო გუბერნატორი დაუყენეს. ცეცხლის წაკიდების საქმეებისთვის სამხედრო-საველე სასამართლო შემოიღეს. რვა თვით შეაჩერეს «სოვრემენნიკი» [14] და «რუსსკოე სლოვო» [15], დახურეს აქსაკოვის «დენ» [16], გამოაცხადეს მკაცრი დროებითი წესები ბეჭდვითი სიტყვის შესახებ (დამტკიცებული ჯერ კიდევ 12 მაისს, ე. ი. ხანძრამდე. მაშასადამე, «ცხოვრების მსვლელობა» მკვეთრად მიიმართებოდა რეაქციისაკენ ხანძრისაკან დამოუკიდებლადაც, წინააღმდეგ ბ-ნ პანტელეევის აზრისა), სტამბებზე თვალყურის დევნების წესები, ამას მოჰყვა პოლიტიკური ხასიათის შრავალი დაპატიმრება (ჩერნიშევსკის, ნ. სერნოსოლოვიევიჩის, რიმარენკოსი და სხვათა), დახურეს საკვირაო სკოლები და სახალხო სამკითხველოები, გაძნელდა საჯარო ლექციების ნებართვის აღება ს.-პეტერბურგში, დახურეს სალიტერატურო ფონდთან არსებული მეორე განყოფილება, დახურეს საუბრაკო კლუბიც კი.

საგამომძიებლო კომისიამ ვერავითარი კავშირი ვერ აღმოაჩინა ხანძარსა და პოლიტიკას შორის. კომისიის წევრს, სტოლპოვსკის, უამბნია ბ-ნ პანტელეევისათვის, «როგორ მოახერხა მან ცოცხალ ტუილებში მხილება მთავარი ცრუმოწმეებისა, რომლებიც, ალბათ, პოლიციის აგენტების უბრალო იარაღს წარმოადგენდნენ» (325 — 326). ამრიგად, მეტად მტკიცე საფუძველი გვაქვს ეიფიქროთ, რომ ხანები ცეცხლის წამკიდებელ-სტუდენტთა შესახებ დაეყარა პოლიციამ. ხალხის სიბნელისა და უმეცრების უსახიზღრეს ექსპლოატაციას რევოლუციონერთა და პროტესტანტთა მიმართ ცილისწამებისათვის, მაშასადამე, ეწეოდნენ გაცხოველებული «დიდი რეფორმების ეპოქაშიც».

მხრივ, იმაში, რომ ხელი შეეწყო ექსპლოატატორ კლასთა ყველაზე უარეს წარმომადგენელთათვის, — ასეთ მთავრობას არ შეეძლო სხვანაირად მოქცეულიყო, თუ არა ისე, რომ უმოწყალოდ გაეჟლიტა ცალკეული პირნი, ტირანიისა და ექსპლოატაციის შეგნებული და შეუდრეკელი მტრები (ე. ი. «რევოლუციური პარტიის» «თაოსნები»), დაეშინებინა და მცირეოდენი დათმობებით მოესყიდა მრავალი უკმაყოფილო ელემენტი. კატორღა — იმას, ვინც ამჯობინებდა დადუმებულიყო, ვიდრე გონებაჩლუნგი და ფარისევლური ქება შეესხა «დიადი განთავისუფლებისათვის»; რეფორმები (თვითმპყრობელობისა და ექსპლოატატორ კლასებისთვის უვნებელი რეფორმები) იმათ, ვინც იხიბლებოდა მთავრობის ლიბერალიზმით და აღტაცებაში მოდიოდა პროგრესის ხანით.

ჩვენ იმის თქმა არ გვინდა, თითქოს ეს წინასწარ ნავარაუდევი პოლიციურ-რეაქციული ტაქტიკა მკაფიოდ ჰქონდა შეგნებული ყველას, ან თუნდაც მმართველი ხროვის რამდენიმე წევრს, და თითქოს სისტემატურად მისდევდნენ მას. რა თქმა უნდა, შესაძლოა, რომ ამ ხროვის ცალკე წევრები თავიანთი შეზღუდულობის გამო არც კი ჩაფიქრებიან ამ ტაქტიკას საერთოდ, გულუბრყვილოდ მოდიოდნენ აღტაცებაში «ლიბერალიზმით» და ვერ ამჩნევდნენ მის პოლიციურ ჩარჩოს. მაგრამ საერთოდ და მთლიანად უეჭველია, რომ მმართველთა კოლექტიური გამოცდილება და კოლექტიური გონება აიძულებდა მათ განუხრელად გაჰყოლოდნენ ამ ტაქტიკას. დიდკაცთა და წარჩინებულთა უმრავლესობამ ტყუილად როდი გაიარა ნიკოლოზის სამსახურის და პოლიციური გაწვრთნის გრძელი კურსი, გაიარა, შეიძლება ითქვას, ქარცეცხლში. მათ ახსოვდათ, რომ მონარქები ხან ელაქუცებოდნენ ლიბერალიზმს, ხან კი რადიშჩევების[17] ჯალათებად გვევლინებოდნენ და ერთგულ ქვეშევრდომთ არაკჩეევებს[18] «მიუსევდნენ» ხოლმე; მათ ახსოვდათ 1825 წლის 14 დეკემბერი[19] და ევროპის ჟანდარმერიის იმ ფუნქციას ასრულებდნენ, რომელიც

რუსეთის მთავრობამ შეასრულა 1848 — 1849 წლებში [30]. თვითმპყრობელობის ისტორიული გამოცდილება არათუ აიძულებდა მთავრობას დაშინებისა და გახრწნის ტაქტიკა ეწარმოებინა, არამედ ბევრ დამოუკიდებელ ლიბერალსაც კი აგულიანებდა ასეთი ტაქტიკა ერჩია მთავრობისთვის. აი ამ უკანასკნელი შეხედულების სისწორის დასადასტურებლად კოშელიოვისა და კაველინის მსჯელობანი. თავის ბროშურაში: «კონსტიტუცია, თვითმპყრობელობა და საერო კრება» (ლაიფციგი, 1862 წ.) ა. კოშელიოვი გამოსთქვამს კონსტიტუციის ს ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო აზრს და მხარს უჭერს სათათბირო საერო კრებას და თან ასეთ შემოდავებას ითვალისწინებს:

«საერო კრების მოწვევა ნიშნავს რუსეთის წაყვანას რევოლუციისაკენ, ე. ი. ჩვენში «Etats généraux»-ის * განმეორებას, რომლებიც კონვენტად გადაიქცა და თავისი მოქმედება 1792 წლის ამბებით — პროსკრიფციებით, გილოტინით, «noyades»-ით ** და სხვ. დაგვირგვინა». «არა! ბატონებო, — უპასუხებს კოშელიოვი, — საერო კრების მოწვევა კი არ უხსნის და უმზადებს ასპარეზს რევოლუციას, როგორც ეს თქვენ გგონიათ, არამედ უმალ და უფრო დანამდვილებით მას იწვევს მთავრობის გაუბედავი და წინააღმდეგობით აღსავსე მოქმედება, ნაბიჯი წინ და ნაბიჯი უკან, ძწელად შესასრულებელი ბრძანებანი და კანონები, აზრსა და სიტყვაზე დადებული ბორკილი; პოლიციის (აშკარა და კიდევ უარესი — საიდუმლო) მეთვალყურეობა წოდებათა და კერძო პირთა მოქმედებაზე, ზოგიერთ პირთა წვრილმანი დევნა, ხაზინის, განიავება, უზომო და უგუნური ხარჯები და საჩუქრები ხაზინის ანგარიშზე, მაღალ სახელმწიფო თანამდებობის პირთა უნიჭობა და მათი მოწყვეტილობა რუსეთის სინამდვილისაგან და სხვა და სხვა. კიდევ უფრო ბეჯითად მიგვიყვანს რევოლუციამდე (ისევ თქვენი გაგებით) ჩვენს ქვეყანაში. რომელმაც მხოლოდ ახლახან დაიღწია თავი მრავალწლოვან ჩაგვრას, სამხედრო ეკზეკუციები, საპყრობილეები და გადასახლებანი: ვინაიდან ძველი იარა გაცილებით უფრო მტკივნეული და გამაღიზიანებელია, ვინემ ახალი იარა. მაგრამ ნუ შიშობთ: რევოლუცია, რომელიც საფრანგეთში, როგორც თქვენ გგონიათ, ჟურნალისტებმა და სხვა მწერლებმა მოახდინეს, — ჩვენში არ მოხდება. ვიმედოვნებთ აგრეთვე, რომ რუსეთში არ შესდგება (თუმცაღა ამის თავ-

* — გენერალური შტატები [31]. რ ე დ.

** — მასობრივად წყალში დახრჩობით. რ ე დ.

დებობა უფრო ძნელია) საზოგადოება ფიცხ და თავზეხელაღებულ ადამიანთა, რომლებიც თავიანთი მიზნების მისაღწევ საშუალებად მკვლელობას აირჩევენ. მაგრამ გაცილებით უფრო მოსალოდნელი და სახიფათო ის არის, რომ საერობო, საქალაქო და საიდუმლო პოლიციის შეუმჩნევლად, განხეთქილების ზეგავლენით, დამყარდება თანხმობა გლეხებსა და ქალაქელთა შორის, რომელთაც შეუერთდებიან ახალგაზრდა და ხანშესული «ადამიანები, «ველიკორუსისა», «ახალგაზრდა რუსეთის» და სხვ. მთხზველნი და მიმდევარნი. ასეთი თანხმობა, ყველაფრის გამანადგურებელი და მქადაგებელი თანასწორობისა არა კანონის წინაშე, არამედ მის წინააღმდეგ (რა უბადლო-ლიბერალიზმია! ჩვენ, რასაკვირველია, თანასწორობის მომხრე ვართ, მაგრამ თანასწორობისა არა კანონის წინააღმდეგ, — კანონისა. რომელიც არღვევს თანასწორობას!), მქადაგებელი არა სახალხო, ისტორიული თემისა, არამედ მისი ავადმყოფური ნაშიერისა, და არა გონების ბატონობისა, რომლისაც ესოდენ ეშინია ზოგიერთ სახელმწიფო საქმოსანს, არამედ ტლანქი ძალის ბატონობისა, რომელსაც თვითონ ისინი ესოდენი ხალისით მიმართავენ ხოლმე, — ასეთი თანხმობა, ვამბობ მე, ჩვენში გაცილებით უფრო შესაძლებელია, და ის შეიძლება გაცილებით უფრო ძლიერიც გამოდგეს, ვიდრე ზომიერი, კეთილმოაზროვნე და დამოუკიდებელი ოპოზიცია მთავრობის მიმართ, — ოპოზიცია, რომელიც ესოდენ ეჯავრებათ ჩვენს ბიუროკრატებს და რომელსაც ისინი ყოველნაირად ავიწროებენ და ცდილობენ ჩაახშონ. ნუ ფიქრობთ, ვითომც შინაური, საიდუმლო, უსახელო პრესის პარტია მცირეიცხოვანი და სუსტი იყოს, და ნუ წარმოგიდგენიათ, ვითომც თქვენ ხელში ჩაგეგდოთ მისი ტოტები და ფესვები; არა! თქვენ რომ ახალგაზრდობას უკრძალავთ სწავლის დამთავრებას, თქვენ რომ მის ცელქობას სახელმწიფოებრივ დანაშაულობათა ხარისხამდე აზვიადებთ, ამით და ყოველგვარი წვრილმანი დევნითა და თვალ-თვალით თქვენ გააათკეცეთ ამ პარტიის ძალა, გაავრცელეთ და გაამრავლეთ იგი მთელს იმპერიაში. როცა ასეთი შეთანხმება იფეთქებს, რა ღონისძიებას მიმართავენ ჩვენი სახელმწიფოს მესვეურნი? — სამხედრო ძალას? მაგრამ შეიძლება კი ნამდვილად მასზე იმედის დამყარება?» (გვ. 49 — 51).

განა ამ ტირადის მაღალფარდოვანი ფრაზებიდან თვალნათლივ არ გამომდინარეობს ტაქტიკა: გაჟლიტე «თავზეხელაღებულნი» და «გლეხთა და ქალაქელთა შორის თანხმობის» მიმდევარნი, ხოლო «კეთილმოაზროვნე ზომიერი ოპოზიცია» დააკმაყოფილე და გათიშე დათმობებით? მაგრამ მთავრობა უფრო ჭკვიანი და მოხერხებული გამოდგა, ვიდრე ეს ბატონ კოშელიოვებს წარმოედგინათ, და თავი დააღწია უფრო მცირე დათმობებით, ვიდრე «სათათბირო» საერო კრებაა.

აი კ. დ. კაველინის კერძო წერილი გერცენისადმი 1862 წლის 6 აგვისტოს თარიღით: «...რუსეთიდან მოსული ამბები, ჩემი შეხედულებით, არც ისე ცუდია. დაუპატიმრებიათ არა ნიკოლოზ, არამედ ალექსანდრე სოლოვიევიჩი. დაპატიმრებანი მე არ მაკვირვებს და, უნდა გამოვტყდე, არც აღმაშფოთებლად მიმაჩნია. რევოლუციური პარტია ყოველგვარ საშუალებას მიმართავს მთავრობის დასამხობად, მთავრობა კი ყოველნაირი საშუალებით იცავს თავს. სულ სხვა იყო დაპატიმრებანი და გადასახლებანი საზიზღარი ნიკოლოზის დროს. ხალხი იღუპებოდა თავისი აზრებისთვის, რწმენისთვის, სარწმუნოებისა და სიტყვისთვის. ვისურვებდი, რომ შენ ყოფილიყავი მთავრობის ადგილას, და ვნახავდი მაშინ, როგორ მოექცეოდი პარტიებს, რომლებიც ფარულადაც და აშკარადაც მუშაობენ შენს წინააღმდეგ. მე მიყვარს ჩერნიშევსკი, ძალიან, ძალიან მიყვარს, მაგრამ ასეთი brouillon» (ჩხუბისთავი, ჭირვეული, მოურიგებელი, განხეთქილების ჩამომგდები), «ასეთი უტაქტო, გულზვიადი კაცი მე ჯერ არასოდეს არ მინახავს. თავი დაიღუპო არაფრის გულისთვის, სრულიად არაფრის გულისთვის! ხანძარი რომ პროკლამაციებთან არის დაკავშირებული, ახლა ეს ყოველ ეჭვს გარეშეა» *. აი პროფესორულ-ლაქიური ღრმააზროვნების ნიმუში! ყველაფერში დამნაშავენი არიან რევოლუციონერები, რომლებიც ისე გულზვიადნი არიან, რომ უსტვენენ ლამაზი ფრაზებით მოლაყბე ლიბერალებს, იმდენად თავხედები არიან, რომ ფარულად და აშკარად მუშაობენ მთავრობის წინააღმდეგ, იმდენად უტაქტონი არიან, რომ «პეტროპავლოვკაში» ვარდე-

* ციტატი მოგვყავს კ. დ. კაველინის და ი. ს. ტურგენევის ა. ი. გერცენთან მიწერ-მოწერის დრაგომანოვის გამოცემის გერმანული თარგმანიდან: Bibliothek russischer Denkwürdigkeiten, herausgegeben von Th. Schiemann, Bd. 4, S. 65 — 66. Stuttgart, 1894 (რუსულ ლიტერატურულ ძეგლთა ბიბლიოთეკა, გამოცემა ტ. შიმანისა, ტ. 4, გვ. 65 — 66, შტუტგარტი, 1894. რ ე დ.).

ბიან. ასეთ ადამიანებს ისიც კი, ლიბერალი პროფესორი, გაუსწორდებოდა «ყოველგვარი საშუალებით», ხელისუფლების სათავეში რომ იდგეს.

II

ამრიგად, საერობო რეფორმა ერთ-ერთი ისეთი დათმობა იყო, რომელიც გამოგლიჯა თვითმპყრობელ მთავრობას აზვირთებულმა საზოგადოებრივმა აღტყინებამ და რევოლუციურმა შეტევამ. ჩვენ განსაკუთრებით დაწვრილებით შევჩერდით ამ შეტევის დახასიათებაზე, რათა შეგვევსო და შეგვესწორებინა გადმოცემა «ბარათისა», რომლის ბიუროკრატმა ავტორმა მიაფუჩეჩა ამ დათმობის გამომწვევი ბრძოლა. მაგრამ ამ დათმობის ორჭოფი, ლაჩრული ხასიათი საკმაოდ მკაფიოდ არის დასურათებული «ბარათშიც»:

«თავდაპირველად, როცა ის-იყო შეუდგნენ საერობო რეფორმების გატარებას, ეჭვს გარეშეა, მხედველობაში ჰქონდათ პირველი ნაბიჯის გადადგმა წარმომადგენლობით დაწესებულებათა შემოღების გზაზე*; მაგრამ შემდეგ, როცა გრაფი ლანსკოი და ნ. ა. მილიუტინი შესცვალა გრაფმა ვალუევმა, სრულიად აშკარად იჩინა თავი სურვილმა, რასაც თვით ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრიც არ უარყოფდა, ემოქმედნათ «ძორიგებით», «ლმობიერად და მიკიბულ-მოკიბულად». «მთავრობას თვითონ არ გაუთვალისწინებია თავისი განზრახვა», ამბობდა ის ამ დროს. ერთი სიტყვით, სცადეს ისეთი რამ, რასაც, სამწუხაროდ, ფრიად ხშირად იმეორებენ სახელმწიფოს მესვეურნი და რაც ყოველთვის ყველასთვის უარყოფითს შედეგს იძლევა, — სცადეს ემოქმედნათ მიკიბულ-მოკიბულად ორ საწინააღმდეგო შეხედულებათა შორის და, ლიბერალური მისწრაფების დაკმაყოფილებით შეენარჩუნებინათ არსებული წესწყობილება»...

სასაცილოა აქ ეს ფარისევლური «სამწუხაროდ»! პოლიციური მთავრობის მინისტრს აქ ისე გამოჰყავს, თითქოს შემთხვევითი იყოს ტაქტიკა, რომელსაც არ შ ე ი ძ ლ ე ბ ა არ

* «უეჭველია», რომ «ბარათის» ავტორი, რომელიც გადმოგვცემს ლერუა-ხოლიეს ნათქვამს, ჩვეულებრივ ბიუროკრატიულ გადაჭარბებაში ვარდება. «უეჭველია», რომ არც ლანსკოის, არც მილიუტინს სინამდვილეში გარკვეული რამ ფრაფერი არ ჰქონიათ მხედველობაში, და მილიუტინის ორჭოფი ფრაზების «პირველ ნაბიჯად» მიღება («პრინციპულად მომხრე ვარ კონსტიტუციისა, მაგრამ მისი შემოღება ნაადრევად მიმაჩნია») სასაცილოა.

მ ი ს დ ი ო ს ამ მთავრობამ, რომელსაც ის ატარებდა საფაბრიკო ინსპექციისა და სამუშაო დღის შემოკლების შესახებ კანონების გამოცემისას (1897 წ. 2 ივნისს), — რომელსაც ის ახლაც (1901 წ.) ატარებს გენერალ ვანოვსკის ლაქუცით «საზოგადოებასთან» [22].

«ერთი მხრივ, ერობის დაწესებულებათა დებულების განმარტებითს ბარათში ნათქვამი იყო, რომ განზრახული კანონის ამოცანაა — ადგილობრივი თვითმმართველობის საფუძველთა შეძლებისდაგვარად სრული და თანმიმდევარი განვითარება, რომ «ერობის სამმართველო მხოლოდ ერთი და იმავე სახელმწიფო ხელისუფლების ცალკე ორგანოა»... შინაგან საქმეთა სამინისტროს მაშინდელი ორგანო «სევერნაია პოჩტა» თავის სტატიებში გადაკრულად, მაგრამ სრულიად აშკარად ამბობდა. — დაწესებულებანი, რომლებიც არსდება, წარმომადგენლობით დაწესებულებათა სკოლა გახდებიანო.

მეორე მხრივ... განმარტებითი ბარათი ერობის დაწესებულებებს უწოდებს კერძო და საზოგადოებრივ დაწესებულებებს, რომლებიც საერთო კანონებს ექვემდებარებიან იმავე საფუძვლით, როგორც ცალკეული საზოგადოებანი და კერძო პირნი...

როგორც თვით დადგენილებანი 1864 წლის დებულებისა, ისე განსაკუთრებით შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა შემდგომი ღონისძიება ერობის დაწესებულებათა მიმართ საკმაოდ ნათლად მოწმობენ, რომ ერობის დაწესებულებათა «დამოუკიდებლობისა» ძალიან ეშინოდათ და ერიდებოდნენ, რომ სათანადო განვითარების საშუალება მიეცათ ამ დაწესებულებებისთვის, ვინაიდან კ ა რ გ ა დ ი ც ო დ ნ ე ნ რ ა მ ო ჰ ყ ვ ე ბ ო დ ა ა მ ა ს». (ხაზგასმა ყველგან ჩვენია.)... «უეჭველია, რომ ისინი, ვისაც წილად ხვდა ერობის რეფორმის დამთავრება, ამ რეფორმას ატარებდნენ მ ხ ო ლ ო დ რ ო გ ო რ ც დ ა თ მ ო ბ ა ს ს ა ზ ო გ ა დ ო ებ რ ი ვ ი ა ზ რ ი ს ა დ მ ი; რათა, როგორც ეს განმარტებითს ბარათში იყო აღნიშნული, «საზღვარი დაედოთ ერობის დაწესებულებათა შემოღებით აღძრული გ ა ნ უ ხ ო რ ც ი ე ლ ებ ე ლ ი ი მ ე დ ე ბ ი ს თ ვ ი ს და ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა წ ო დ ე ბ ი ს თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ მ ი ს წ რ ა ფ ე ბ ა თ ა თ ვ ი ს»; ამავე დროს ამ პირთ ნათლად ჰქონდათ შეგნებული ეს (? რეფორმა?) და ც დ ი ლ ო ბ დ ნ ე ნ ე რ ო ბ ი ს ს ა თ ა ნ ა დ ო გ ა ნ ვ ი თ ა რ ებ ი ს ა თ ვ ი ს ხ ე ლ ი შ ე ე შ ა ლ ა თ, მისთვის კერძო ხასიათი მიეცათ, შეეკვეცათ მისი კომპეტენციები და სხვ. გრაფი ვალუევი ამშვიდებდა ლიბერალებს დაპირებებით, ეს პირველი ნაბიჯი უკანასკნელი არ იქნებაო, «ამბობდა, ანუ, უფრო სწორად, იმეორებდა ლიბერალური მიმართულების მომხრეების ნათქვამს — ერობის დაწესებულებანი აუცილებლად ნამდვი-

ლი და დამოუკიდებელი ძალაუფლებით უნდა აღიჭურვონო, და ამავე დროს თვით 1864 წლის დებულების შემუშავებისას ყოველნაირად ცდილობდა შეეზღუდა ეს ძალაუფლება და ერობის დაწესებულებანი მკაცრი ადმინისტრაციული მეურვეობისთვის დაექვემდებარებინა...

მოკლებულნი ერთ ხელმძღვანელ აზრს, როგორც ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო შიმართულების კომპრომისის შედეგი, ერობის დაწესებულებანი იმ სახით, რა სახითაც შექმნა ისინი 1864 წლის დებულებამ, როცა მათი გამოყენება დაიწყო, არ შეესაბამებოდნენ როგორც თვითმმართველობის ძირითად იდეას, რაც მათ საფუძვლად ედო, ისე იმ ადმინისტრაციულ წყობილებას, რომელშიც ისინი მექანიკურად იყვნენ ჩასმული და რომელსაც ამასთანავე რეფორმა არ შეხებია და იგი ცხოვრების ახალ პირობებთან შეუგუებელი დარჩა. 1864 წლის დებულება შეეცადა შეეთავსებინა ერთმანეთთან შეუგუებელი მოვლენანი და მით ერთ და იმავე დროს დაეკმაყოფილებინა ერობის თვითმმართველობის მომხრენიცა და მოწინააღმდეგენიც. პირველთ შესთავაზეს გარეგნობა და მომავლის იმედები, მეორეთა დასაკმაყოფილებლად ერობის დაწესებულებათა კომპეტენცია მეტისმეტად ელასტიკურად იქნა განსაზღვრული».

რა მოსწრებულ სიტყვებს ისვრიან ზოგჯერ უცაბედად ჩვენი მინისტრები, როცა უნდათ სარმა გამოსდონ რომელიმე კოლეგას და გამოიჩინონ თავისი ღრმააზროვნება, და რარიგ სასარგებლო იქნებოდა ყველა გულალალი რუსი ობივატელისთვის და «დიდი» რეფორმების ყველა თაყვანისმცემლისთვის კედელზე დაეკიდათ ოქროს ჩარჩოში ჩასმული პოლიციური სიბრძნის ეს დიადი მცნებები: «ლიბერალების დამშვიდება დაპირებებით, რომ ეს პირველი ნაბიჯი უკანასკნელი არ იქნება», «შეთავაზება» მათთვის «გარეგნობისა და მომავლის იმედებისა»! განსაკუთრებით ამჟამად იქნებოდა სასარგებლო ამ მცნებათა გადახედვა გენერალ ვანოვსკის «გულითადი მზრუნველობის» შესახებ გაზეთის ყოველი სტატიის ან შენიშვნის კითხვის დროს.

ამრიგად, ერობას იმთავითვე არგუნა ბედმა რუსეთის სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობის ურმის მეხუთე თვალი ყოფილიყო, ისეთი თვალი, რომელსაც ბიუროკრატია მხოლოდ

იმდენად ი თ მ ე ნ დ ა, რამდენადაც მისი ყოვლისშემძლებლობა არ ირღვეოდა, ხოლო მოსახლეობისაგან არჩეული დეპუტატების როლი განისაზღვრებოდა მარტოოდენ პრაქტიკით, იმ ამოცანათა უბრალო ტექნიკური ასრულებით, რომლებიც იმავე მოხელეებმა დასახეს. ერობებს არ გააჩნდათ თავიანთი აღმასრულებელი ორგანოები, მათ უნდა ემოქმედნათ პოლიციის საშუალებით; ერობები არ იყვნენ ურთიერთშორის დაკავშირებული და ერთბაშად დაექვემდებარნენ ადმინისტრაციულ კონტროლს. და თავისთვის ასეთი უვნებელი დათმობის შემდეგ მთავრობა ერობის შემოღების მეორე დღესვე შეუდგა მის სისტემატურად შევიწროებასა და შეზღუდვას: ყოვლისშემძლე მოხელეთა ხროვას ა რ შ ე ე ძ ლ ო შეგუებოდა ყველა წოდებათაგან არჩეულ წარმომადგენლობას და ყოველნაირად სდევნიდა მას. ცნობები ამ დევნის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ის აშკარად არასრულია, «ბარათის» ფრიად საინტერესო ნაწილს შეადგენს.

ჩვენ დავინახეთ, რა ლაჩრულად და უგუნურად იქცეოდნენ ლიბერალები 60-იანი წლების დამდეგის რევოლუციური მოძრაობის მიმართ. იმის ნაცვლად, რომ ხელი შეეწყოთ ««ველიკორუსის» მიმდევრებთან ქალაქელთა და გლეხთა შეთანხმებისთვის», მათ ეშინოდათ ამ «შეთანხმებისა» და აშინებდნენ ამით მთავრობას. იმის ნაცვლად, რომ ამხედრებულიყვნენ მთავრობის მიერ დევნილ დემოკრატიული მოძრაობის წინამძღოლთა დასაცავად, ისინი ფარისევლურად იბანდნენ ხელს და მთავრობას ამართლებდნენ. და სამართლიანი სასჯელიც იგემეს ამ მაღალფარდოვანი ლაყბობისა და სამარცხვინო უილაჯობის ამ მოღალატური პოლიტიკის გამო. გაუსწორდა რა იმ ადამიანებს, რომელთაც შესწევდათ არა მარტო ლაყბობის, არამედ თავისუფლებისათვის ბ რ ძ ო ლ ი ს უნარიც, მთავრობამ საკმაოდ მაგრად იგრძნო თავი, რათა გაეძევებინა ლიბერალები იმ მცირედი და მეორეხარისხოვანი პოზიციებიდან, რომლებიც მათ ეკავათ «მთავრობის ნებართვით». სანამ რევოლუციონერებთან «ქალაქელთა და გლეხ-

თა თანხმობა» სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა, თვით შინაგან საქმეთა სამინისტრო ბუტბუტებდა «წარმომადგენლობით დაწესებულებათა სკოლის» შესახებ, ხოლო მოიშორეს თუ არა თავიდან «უტაქტო და ზვიადი» მსტვინავები და «ჩხუბისთავნი», — «შეგირდებს» უბოდიშოდ მოუჭირეს მუხრუჭი. იწყება ტრაგიკომიკური ეპოპეა: ერობა შუამდგომლობს უფლებათა გაფართოების შესახებ, მას კი ზედიზედ ა რ თ მ ე ვ ე ნ უფლებებს და შუამდგომლობაზე «მამობრივი» დარიგებით უპასუხებენ. მაგრამ დაე ისტორიულმა თარიღებმა ილაპარაკონ, თუნდაც მხოლოდ იმ თარიღებმა, რომლებიც «ბარათშია» მოყვანილი.

1866 წლის 12 ოქტომბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცირკულარი ერობის მოსამსახურეთ სავსებით უქვემდებარებს მთავრობის დაწესებულებებს. 1866 წლის 21 ნოემბერს გამოდის კანონი, რომელიც ზღუდავს ერობათა უფლებას გადასახადები შეაწერონ სავაჭრო და სამრეწველო საწარმოებს. პეტერბურგის ერობის კრებაზე 1867 წელს მკაცრად აკრიტიკებენ ამ კანონს და გადაწყვეტილება გამოაქვთ (გრაფ ა. პ. შუვალოვის წინადადებით) იშუამდგომლონ მთავრობის წინაშე, რათა ის საკითხები, რომელთაც ეს კანონი შეეხება, განეხილათ «ცენტრალური ადმინისტრაციისა და ერობის ერთობლივი ძალებითა და შრომით ერთ და იმავე დროს». ამ შუამდგომლობაზე მთავრობა უპასუხებს პეტერბურგის ერობის დაწესებულებათა დახურვით და რეპრესიებით: ს.-პეტერბურგის ერობის სამმართველოს თავმჯდომარე კრუზე გადასახლებულ იქნა ორენბურგს, გრაფი შუვალოვი — პარიზს, სენატორ ლიუბოშჩინსკის ებრძანა თხოვნის შეტანა სამსახურიდან გადადგომის შესახებ. შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო «სეევერნაია პოჩტაში» დაიბეჭდა სტატია, სადაც «ასეთი მკაცრი სასჯელი იმით იყო ახსნილი, რომ ერობათა კრებებიც თავისი სხდომების გახსნის დროიდანვე კანონთან შეუთანხმებლად მოქმედებდნენ» (რომელ კანონთან? და რატომ არ აძლევდნენ კანონის დამრღვევთ პასუხისგებაში

სასამართლოს წესით? აკი ახლად შემოღებული იყო სასამართლო სწრაფი, მართალი და მოწყალე?) «და ნაცვლად იმისა, რომ მხარი დაეჭირათ სხვა გუბერნიების ერობათა კრებებისათვის იმ უფლებათა გამოყენებით, რომლებიც უმაღლესად ებოძათ ნამდვილი მზრუნველობის გასაწევად მათდამი რწმუნებული ადგილობრივი საერობო-სამეურნეო ინტერესებისათვის» (ე. ი. ნაცვლად იმისა, რომ ქედმოხრით დამორჩილებოდნენ და მიჰყოლოდნენ მოხელეთა «მიზნებს»), «განუწყვეტლივ იჩენდნენ მისწრაფებას საქმის არაზუსტი გაშუქებით და კანონის არასწორი განმარტებით მთავრობისადმი უნდობლობისა და უპატივცემულობის გრძნობები აღეძრათ». რაღა გასაკვირველია, რომ ასეთი დარიგების შემდეგ «სხვა ერობებმა მხარი აღარ დაუჭირეს პეტერბურგის ერობას, თუმცა 1866 წლის 21 ნოემბრის კანონმა ყველგან ძლიერი უკმაყოფილება გამოიწვია; ბევრნი აცხადებდნენ კრებებზე, რომ ეს კანონი ერობის მოსპობას უდრისო».

1866 წლის 16 დეკემბერს გამოდის სენატის «განმარტება», რომელიც გუბერნატორებს უფლებას ანიჭებს არ დაამტკიცონ ერობის კრების მიერ არჩეული არც ერთი პირი, რომელსაც იგი — გუბერნატორი — არაკეთილსაიმედოდ სცნობს. 1867 წლის 4 მაისს გამოდის სენატის მეორე განმარტება: კანონს არ ეთანხმება საერობო განზრახულობათა შეტყობინება სხვა გუბერნიების ერობათათვის, ვინაიდან ერობის დაწესებულებანი უნდა განაგებდნენ ადგილობრივ საქმეებს. 1867 წლის 13 ივნისს დადგინდა სახელმწიფო საბჭოს უმაღლესად დამტკიცებული შეხედულება; ეს დადგენილება კრძალავდა ადგილობრივი საგუბერნიო ხელისუფლების ნებადაურთველად ერობათა, ქალაქთა და წოდებათა საზოგადო კრებებზე გამოტანილ დადგენილებათა, სხდომების ანგარიშთა, სხდომებზე წარმოებული კამათისა და სხვათა დაბეჭდვას. შემდეგ, იგივე კანონი აფართოებს ერობის კრებების თავმჯდომარეთა ძალაუფლებას, უფლებას ანიჭებს მათ დახურონ

კრებები და ავალდებულებს დასჯის მუქარით დახურონ ის კრებები, სადაც განსახილველად აყენებენ საკითხებს, რომლებიც კანონს არ ეთანხმება. ამ ზომას საზოგადოება მეტისმეტად მტრულად შეხვდა და იგი ერობის საქმიანობის სერიოზულ შეზღუდვად ჩათვალა. «ყველამ უწყის, — წერდა თავის დღიურში ნიკიტენკო, — რომ ერობას ხელფეხი შეუკრა ახალმა კანონმა, რომლის ძალით კრებების თავმჯდომარეებს და გუბერნატორებს თითქმის შეუზღუდავი ძალაუფლება მიენიჭათ ერობის მიმართ». 1868 წლის 8 ოქტომბრის ცირკულარი გუბერნატორთა ნებართვას უქვემდებარებს ერობის გამგეობათა ანგარიშების დაბეჭდვასაც კი და ზღუდავს ერობათა ურთიერთკავშირს. 1869 წელს აწესებენ სახალხო სასწავლებელთა ინსპექტორის თანამდებობას იმ მიზნით, რომ ჩამოაშორონ ერობა სახალხო განათლების ფაქტიურად მართვის საქმეს. 1869 წლის 19 სექტემბერს მინისტრთა კომიტეტის უმაღლესად დამტკიცებული დებულება აღიარებს, რომ «ერობის დაწესებულებანი არც თავისი შემადგენლობით და არც ძირითადი საფუძვლებით არ წარმოადგენენ მთავრობის ხელისუფლებას». 1870 წლის 4 ივლისის კანონი და 1870 წლის 22 ოქტომბრის ცირკულარი ადასტურებენ და აძლიერებენ ერობის მოსამსახურეთა დამოკიდებულებას გუბერნატორებზე. 1871 წლის ინსტრუქცია სახალხო სასწავლებელთა ინსპექტორებისადმი უფლებას ანიჭებს მათ სამსახურიდან დაითხოვონ ის მასწავლებლები, რომლებიც ცნობილი იქნებიან როგორც არაკეთილსაიმედონი, შეაჩერონ სასწავლებლის საბჭოს ყოველგვარი გადაწყვეტილება და საქმე გადასაწყვეტად წარუდგინონ მზრუნველს. 1873 წლის 25 დეკემბერს ალექსანდრე II რესკრიპტში სახალხო განათლების მინისტრისადმი გამოსთქვამს შიშს, რომ სახალხო სკოლა მზრუნველობითი მეთვალყურეობის ნაკლებობის გამო შეიძლება გადაიქცეს «ხალხის ზნეობრივი გახრწნის იარაღად, რის ერთგვარი ცდა უკვე გამომჟღავნდაო»,

და უბრძანებს თავადაზნაურობის წინამძღოლთ თავიანთი უახლოესი მონაწილეობით ხელი შეუწყონ ამ სკოლების ზნეობრივი გავლენის უზრუნველყოფას. შემდეგ 1874 წელს გამოდის სახალხო სასწავლებელთა ახალი დებულება, რომელიც სკოლების გამგებლობის მთელ საქმეს სახალხო სასწავლებელთა დირექტორებს უგდებს ხელში. ერობა «პროტესტს აცხადებს», თუ კი შეიძლება უირონიოდ პროტესტი ვუწოდოთ "შუამდგომლობას — გადაისინჯოს ეს კანონი ერობათა წარმომადგენლების მონაწილეობით (ყაზანის ერობის შუამდგომლობა 1874 წ.). შუამდგომლობა, რა თქმა უნდა, უარყოფილ იქნა. და სხვ. და სხვ.

III

ასეთი იყო იმ მეცნიერებათა პირველი კურსი, რომელიც რუსეთის მოქალაქეთ წაუკითხეს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწყობილ «წარმომადგენლობით დაწესებულებათა სკოლაში». საბედნიეროდ, გარდა პოლიტიკური შეგირდებისა, რომლებიც 60-იანი წლების კონსტიტუციურ განცხადებათა გამო წერდნენ: «დროა თავი დავანებოთ სისულელეებს და საქმეს შევუდგეთ, ხოლო საქმე ახლა ერობის დაწესებულებებშია და არსად სხვაგან» *, რუსეთში მოიპოვებოდნენ «ჩხუბისთავებიც», რომელნიც ასეთ «ტაქტიანობას» არ სჯერდებოდნენ და რევოლუციურ ქადაგებას იწყებდნენ ხალხში. მიუხედავად იმისა, რომ მათი თეორიის დროშა არსებითად რევოლუციური არ იყო, — მათი ქადაგება მაინც უკმაყოფილებისა და პროტესტის გრძნობას აღვიძებდა განათლებული ახალგაზრდობის ფართო ფენებში. წინააღმდეგ უტოპიური თეორიისა, რომელიც უარყოფდა პოლიტიკურ ბრძოლას, მოძრაობამ მაინც მთავრობასთან თავგანწირულ შეტაკებამდე,

* კაველინის 1865 წლის წერილი მშობლებისადმი მოსკოვის თავადაზნაურობის შუამდგომლობის გამო «რუსთა ქვეყნის ხალხის საერთო კრების მოწვევის შესახებ მთელი სახელმწიფოს საერთო საჭიროებათა განსახილველად».

პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლამდე მიიყვანა ერთი მუჭა გმირები. ამ ბრძოლის და მხოლოდ ამ ბრძოლის მეოხებით საქმეთა ვითარება ერთხელ კიდევ შეიცვალა, მთავრობა ერთხელ კიდევ იძულებული გახდა დაეთმო, და ლიბერალურმა საზოგადოებამაც ერთხელ კიდევ დაამტკიცა თავისი პოლიტიკური მოუმწიფებლობა, დაამტკიცა, რომ არ ჰქონდა უნარი მხარი დაეჭირა მებრძოლთათვის და ნამდვილი გავლენა მოეხდინა მთავრობაზე. ერობის კონსტიტუციური მისწრაფებანი მკაფიოდ გამოაშკარავდა, მაგრამ ის უილაჯო «გატაცება» გამოდგა, მიუხედავად იმისა, რომ თავისთავად ერობის ლიბერალიზმმა საგრძნობი ნაბიჯი გადადგა წინ პოლიტიკური მხრივ. განსაკუთრებით შესანიშნავია მისი ცდა შეექმნა არალეგალური პარტია და მოეწყო თავისი საკუთარი პოლიტიკური ორგანო. ვიტეს «ბარათი» აჯამებს რამდენიმე არალეგალური ნაწარმოების (კენანის, დრაგომანოვის, ტიხომიროვის) მონაცემებს იმ «მოლიპული გზის» დასახასიათებლად (გვ. 98), რომელსაც ერობები დაადგნენ. 70-იანი წლების დამლევს ერობის ლიბერალების რამდენიმე ყრილობა გაიმართა. ლიბერალებმა გადაწყვიტეს «ზომების მიღება უკიდურესი რევოლუციური პარტიის დამრღვევი მუშაობის თუნდაც დროებით შესაწყვეტად, ვინაიდან ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ მშვიდობიანი საშუალებებით არაფრის მიღწევა არ შეიძლებოდა, უკეთუ ტერორისტები განაგრძობდნენ მთავრობის გაღიზიანებას და შეწუხებას მუქარითა და ძალადობის აქტებით» (გვ. 99). ამრიგად, ნაცვლად იმისა, რომ ეზრუნათ ბრძოლის გაფართოებაზე, ცალკეული რევოლუციონერებისთვის ხელისშეწყობაზე ცოტად თუ ბევრად ფართო საზოგადოებრივი ფენის მხრივ, რაიმე საერთო შეტევის მოწყობაზე (დემონსტრაციის სახით, სავალდებულო ხარჯებზე ერობების მხრივ უარისთქმის სახით და სხვ.), ლიბერალები კვლავ იმავე «ტაქტიანობით» იწყებენ: «ნუ გააღიზიანებთ» მთავრობას! ვეცადოთ «მშვიდობიანი საშუალებებით», იმ მშვიდობიანი საშუალებებით, რომელთაც

ასე ბრწყინვალედ დაამტკიცეს თავისი არარაობა 60-იან წლებში! * ცხადია, სამხედრო მოქმედების არავითარ შეწყვეტაზე ან შეჩერებაზე რევოლუციონერები არ დათანხმდნენ. ერობელებმა მაშინ შექმნეს «ოპოზიციური ელემენტების ლიგა», რომელიც შემდეგში «ერობათა კავშირის და თვითმმართველობის საზოგადოებად» ანუ «ერობათა კავშირად» გადაიქცა. ერობათა კავშირის პროგრამა მოითხოვდა: 1) სიტყვისა და პრესის თავისუფლებას; 2) პიროვნების გარანტიებს და 3) დამფუძნებელი კრების მოწვევას. არალეგალური ბროშურების გამოცემის ცდა გალიციაში ფუჭი გამოდგა (ავსტრიის პოლიციამ ხელში ჩაიგდო ხელნაწერებიც და ის პირნიც, რომლებსაც მათი დაბეჭდვა განეზრახათ), და 1881 წლის აგვისტოდან «ერობათა კავშირის» ორგანოდ გახდა ჟურნალი «ვოლნოე სლოვო», რომელიც გამოდიოდა ჟენევაში დრაგომანოვის (კიევის უნივერსიტეტის ყოფილი პროფესორის) რედაქციით. «ბოლოს და ბოლოს — წერდა თვითონ დრაგომანოვი 1888 წელს — ...«ვოლნოე სლოვოს» სახით ერობის ორგანოს გამოცემის ცდა არ შეიძლება წარმატებულ ცდად მივიჩნიოთ, თუნდაც იმიტომ, რომ საკუთრივ ერობის მასალების წესიერად მიწოდება რედაქციისთვის დაიწყო მხოლოდ 1882 წლის დამლევიდან, ხოლო 1883 წლის მაისში გამოცემა უკვე შეწყდა» (დასახ. თხზ., გვ. 40). ლიბერალური ორგანოს წარუმატებლობა ლიბერალური მოძრაობის სისუსტის ბუნებრივი შედეგი იყო. 1878 წლის 20 ნოემბერს ალექსანდრე II მოსკოვში წოდებათა წარმომადგენლებს მიმართა სიტყვით

* სამართლიანად ამბობდა დრაგომანოვი: «სრულიად «მშვიდობიანი საშუალებები» ლიბერალიზმს არც კი შეიძლება მოეპოვებოდეს რუსეთში, ვინაიდან ჩვენში კანონებით აკრძალულია ყოველგვარი განცხადება უმაღლესი მართვა-გამგეობის შეცვლის შესახებ. ერობის ლიბერალებს გაბედულად უნდა გადაელახათ ეს აკრძალვა და ამით მაინც გამოეჩინათ თავიანთი ძალა როგორც მთავრობის, ისე ტერორისტების წინაშე. რადგან ერობის ლიბერალებმა ასეთი ძალა ვერ გამოიჩინეს, ისინი მოესწრნენ იმას, რომ «მთავრობამ განიზრახა თვით უფლებაშეკვეცილ საერობო დაწესებულებათა მოსპობა» (დასახ. თხზ., გვ. 41 — 42).

და იმედი გამოსთქვა, რომ ისინი «ხელს შეუწყობდნენ იმას, რათა შემცდარი ახალგაზრდობა ასცდენოდა იმ დამღუპველ გზას, რომელზეც მის დაყენებას ცდილობენ არაკეთილსაიმედო ადამიანები». შემდეგ «პრავიტელსტვენი ვესტნიკშიც»[28] (1878 წ., № 186) გამოქვეყნდა მოწოდება საზოგადოებისადმი, რომ ხელი შეეწყოთ ამ საქმისათვის. ამის პასუხად ხუთმა ერობის კრებამ (ხარკოვის, პოლტავის, ჩერნიგოვის, სამარისა და ტვერის) განაცხადა, რომ საჭიროა საერო კრების მოწვევაო. «შეიძლება აგრეთვე ვიფიქროთ» — წერს «ბარათის» ავტორი ვიტე, მოჰყავს რა დაწვრილებით შინაარსი ამ ადრესებისა, რომელთაგან მხოლოდ 3 დაიბეჭდა სრულად, — «რომ ერობათა განცხადებები საერო კრების მოწვევის შესახებ გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანი იქნებოდა, შინაგან საქმეთა სამინისტროს რომ დროზე არ მიეღო ზომები ასეთ განცხადებათა ასაკრძალავად: თავადაზნაურობის წინამძღოლთ, რომლებიც ერობათა საგუბერნიო კრებებს თავმჯდომარეობდნენ, დაეგზავნათ ცირკულარი — წაკითხვაც კი არ დაუშვათ კრებებზე ასეთი ადრესებისო. ზოგიერთ ადგილას დააპატიმრეს და გადაასახლეს ხმოსნები, ხოლო ჩერნიგოვში სხდომის დარბაზში ჟანდარმებიც კი შეიჭრნენ და ძალით გარეკეს კრება» (104).

ლიბერალური ჟურნალები და გაზეთები მხარს უჭერდნენ ამ მოძრაობას, «25 წარჩინებულ მოსკოველ მოქალაქეთა» პეტიცია ლორის-მელიქოვისადმი მიუთითებდა ერობათა წარმომადგენლების დამოუკიდებელი კრების მოწვევასა და ამ კრებისთვის წინადადების მიცემაზე — მონაწილეობა მიიღოს ერის მართვა-გამგეობის საქმეში. და შინაგან საქმეთა მინისტრად ლორის-მელიქოვის დანიშვნით მთავრობა, თ ი თ ქ ო ს, დათმობის გზაზე დგებოდა. მაგრამ სწორედ რომ თ ი თ ქ ო ს, ვინაიდან არათუ არავითარი გადამჭრელი ნაბიჯი არ გადაუდგამთ, არამედ არც არავითარი დადებითი და გარკვეული განცხადება არ გაუკეთებიათ. ლორის-მელიქოვმა მოიწვია პეტერბურგის პერიოდულ გამოცემათა რედაქტო-

რები და გადაუშალა მათ თავისი «პროგრამა»: ბოლომდე იქნას გამორკვეული მოსახლეობის სურვილი, საჭიროება და სხვ., საშუალება მიეცეს ერობას და სხვ. ისარგებლოს კანონიერი უფლებებით (ლიბერალური პროგრამა უზრუნველჰყოფს ერობებისთვის იმ «უფლებებს», რომელთაც კანონი სისტემატურად უკვეცავს მათ!) და სხვა. «ბარათის» ავტორი წერს:

«მის თანამოსაუბრეთა საშუალებით — ისინი სწორედ ამისთვის იყვნენ მოწვეულნი — მინისტრის პროგრამა მთელ რუსეთს ეუწყა. არსებითად ის გარკვეული რამის დაპირებას არ იძლეოდა. იქ ყველას შეეძლო ამოეკითხა რასაც მოისურვებდა, ე. ი. ყველაფერს ანუ არაფერს. მართალი იყო თავისებურად (მხოლოდ «თავისებურად», და არა უსათუოდ «ყოველმხრივ», მართალი?) ერთ-ერთი იმდროინდელი არალეგალური ფურცელი, როცა ამ პროგრამის შესახებ სთქვა, რომ მასში ერთსა და იმავე დროს «მელიას კუდი» მოსჩანს და «მგლის კბილები» ღრჭიალებსო. ასეთი უდიერი გამოსვლა პროგრამისა და მისი ავტორის მიმართ მით უფრო გასაგებია, რომ, როცა მას აცნობდა პრესის წარმომადგენელთ, გრაფი დაჟინებით ურჩევდა მათ, «ტყუილუბრალოდ ნუ შეაკრთობთ და ნუ ააღელვებთ საზოგადოებრივ აზრს თქვენი ოცნება-ილუზიებითო»». მაგრამ ლიბერალურმა ერობელებმა არ დაუჯერეს არალეგალური ფურცლის ამ ს ი მ ა რ თ ლ ე ს და «მელიას კუდის» ქნევა მიიჩნიეს «ახალ გეზად», რომელსაც შეიძლება კაცი დაენდოს. «ერობა ენდობოდა და თანაუგრძნობდა მთავრობას», — იმეორებს ვიტეს «ბარათი» სიტყვებს არალეგალური ბროშურიდან — «ერობათა კრებების აზრი რუსეთის თანამედროვე მდგომარეობაზე», — «თითქოს ერობას აშინებდა წინ წარბენა, მიმართვა მთავრობისადმი გადამეტებული თხოვნებით». დამახასიათებელი აღიარებაა ერობის მომხრეთა, რომელნიც თავისუფლად გამოთქვამენ თავიანთ აზრს: ერობათა კავშირმა 1880 წლის ყრილობაზე ის-იყო გადაწყვიტა «მოეთხოვა ცენტრალური სახალხო წარმომადგენლობა, ერთი

პალატისა და საყოველთაო არჩევნების აუცილებელი პირობით», — და აი ამ მოთხოვნის შესახებ ეს გადაწყვეტილება ხორციელდება ტაქტიკით «ნუ წაირბენ წინ», «ენდე და თანაუგრძნე» ორაზროვან განცხადებებს, რომელნიც არავის არ აკისრებენ რაიმე ვალდებულებას! ერობელებს რაღაც მიუტევებელი გულუბრყვილობით წარმოედგინათ, თითქოს პეტიციების წარდგენა ნიშნავდა «მოთხოვნას» — და პეტიციებიც «უხვად შეჰქონდათ». ლორის-მელიქოვმა 1881 წლის 28 იანვარს უქვეშევრდომილესი მოხსენება წარადგინა «უმაღლესი ნებით» გათვალისწინებული კანონპროექტების დასამუშავებლად შექმნილიყო ერობათა მიერ არჩეულ პირთაგან შემდგარი კომისია, — მხოლოდ სათათბირო ხმის უფლებით. ალექსანდრე II მიერ დანიშნულმა განსაკუთრებულმა თათბირმა ეს ღონისძიება მოიწონა, მეფემ დაამტკიცა 1881 წლის 17 თებერვლის თათბირის დასკვნა და მოიწონა აგრეთვე ლორის-მელიქოვის მიერ წარდგენილი მთავრობის ცნობის ტექსტიც.

«ეჭვს გარეშეა, — წერს «ბარათის» ავტორი ვიტე, — რომ ასეთი წმინდა სათათბირო კომისიის დაარსება ჯერ კიდევ არ ჰქმნიდა კონსტიტუციას». მაგრამ — განაგრძობს ის — არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ეს იყო შემდგომი (60-იანი წლების რეფორმების შემდეგ) ნაბიჯი კონსტიტუციისაკენ და არა სხვა რამისაკენ. და ავტორი იმეორებს უცხოეთის პრესის ცნობას, რომ ალექსანდრე II ლორის-მელიქოვის მოხსენების გამო სთქვაო: «ეს ხომ Etats généraux არის»... «ჩვენგან პირდაპირ მოითხოვენ მოვიწვიოთ ლუი XVI ნოტაბლების კრება»[24].

ჩვენი მხრივ უნდა შევნიშნოთ, რომ ლორის-მელიქოვის პროექტის განხორციელება გარკვეულ პირობებში შეიძლებოდა ყოფილიყო ნაბიჯი კონსტიტუციისაკენ, მაგრამ შეიძლებოდა ასეთი არც ყოფილიყო: ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული, რა გადასწონიდა — ზეგავლენა რევოლუციური პარტიის და ლიბერალური საზოგადოებისა, თუ წინააღმდეგობა თვითმპყრობელობის შეუდრეკელ მომხრეთა ფრიად

ძლიერი და შეკავშირებული პარტიისა, რომელიც არავითარ საშუალებას არ ერიდება. თუ ვილაპარაკებთ არა იმაზე, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო, არამედ იმაზე, რაც მოხდა, უნდა აღვნიშნოთ მთავრობის მერყეობის უცილობელი ფაქტი. ზოგი ლიბერალიზმთან გადამწყვეტ ბრძოლას მოითხოვდა, ზოგიც დათმობის მომხრე იყო. მაგრამ — და ეს განსაკუთრებით საყურაღღებოა — ეს უკანასკნელნიც მერყეობდნენ, რადგან არავითარი სავსებით გარკვეული პროგრამა არ მოეპოვებოდათ და ბიუროკრატ-საქმოსანთა დონეს ვერ სცილდებოდნენ.

«გრაფ ლორის-მელიქოვს — ამბობს «ბარათის» ავტორი ვიტე — თითქოს ეშინოდა პირდაპირ შეეხედა საქმისათვის, ეშინოდა ზედმიწევნით გამოერკვია თავისი პროგრამა და განაგრძობდა — მართალია, სხვა მიმართულებით — წინანდელ მიკიბულ-მოკიბულ პოლიტიკას, რომელსაც ერობის დაწესებულებათა მიძართ ჯერ კიდევ გრაფი ვალუევი აწარმოებდა.

როგორც სამართლიანად იყო შენიშნული მაშინდელ ლეგალურ პრესაშიც, თვით პროგრამაშა, გამოცხადებული ლორის-მელიქოვის მიერ, დიდი გაურკვევლობით განირჩეოდა. ეს გაურკვევლობა ჩანს გრაფის ყველა შემდგომ მოქმედებასა და სიტყვებშიც. ერთი მხრივ, ის აცხადებს, რომ თვითმპყრობელობა «გათიშულია მოსახლეობისაგან», რომ «საზოგადოების მხრივ დახმარებას ის უყურებს როგორც მთავარ ძალას...», განზრახულ რეფორმას «ის არ უყურებდა როგორც საბოლოო რამეს, არამედ ის მხოლოდ პირველ ნაბიჯად მიაჩნდა» და სხვ. ამავე დროს, მეორე მხრივ, გრაფი უცხადებდა პრესის წარმომადგენლებს, რომ «...საზოგადოებაში აღძრული იმედები მხოლოდ ოცნება-ილუზიებია და სხვა არაფერი...», ხოლო ხელმწიფისადმი უქვეშევრდომილეს მოხსენებაში კატეგორიულად აცხადებდა, საერო კრება «წარსულისადმი დაბრუნების სახიფათო ცდა იქნებოდა...», რომ მის მიერ გათვალისწინებულ ღონისძიებას არავითარ მნიშვნელობა არ ექნება თვითმპყრობელობის შეზღუდვის აზრით, ვინაიდან საერთო არაფერი აქვს დასავლეთის კონსტიტუციურ ფორმებთანო. საერთოდ, ლ. ტიხომიროვის სამართლიანი შენიშვნით, თვით ეს მოხსენება შესანიშნავად დაბნეული ფორმით განირჩევა» (გვ. 117).

ხოლო თავისუფლებისათვის მებრძოლთა მიმართ «გულის დიქტატურის»[25] ამ ყბადაღებულმა გმირმა, ლორის-მელიქოვმა, «სისასტიკე ისეთ ფაქტებამდე მიიყვანა, როგორიც არც წინათ მომხდარა, არც შემდეგ — სიკვდილით

დასაჯეს 17 წლის ბიჭი იმისთვის, რომ მას ნაბეჭდი ფურცელი უპოვეს. ლორის-მელიქოვმა არ დაივიწყა ციმბირის თვით უშორესი კუთხეები, რათა გაეუარესებინა იქ იმ ადამიანთა მდგომარეობა, რომლებიც პროპაგანდისთვის იტანჯებოდნენ» (ვ. ზასულიჩი, «სოციალ-დემოკრატი»[26] № 1, გვ. 84). მთავრობის ასეთი მერყეობის დროს მხოლოდ სერიოზული ბრძოლის უნარის მქონე ძალას შეეძლო კონსტიტუციის მოპოვება, ეს ძალა კი არსად იყო: რევოლუციონერებმა პირველ მარტს ამოსწურეს თავიანთი ძალები, მუშათა კლასში არ იყო არც ფართო მოძრაობა და არც მტკიცე ორგანიზაცია, ლიბერალური საზოგადოება ამჯერადაც იმ ზომამდე პოლიტიკურად განუვითარებელი აღმოჩნდა, რომ ის ალექსანდრე II მოკვლის შემდგომაც შუამდგომლობებს ვერ გასცილდა. შუამდგომლობდნენ ერობები და ქალაქები, შუამდგომლობდა ლიბერალური პრესა («პორიადოკ», «სტრანა», «გოლოს»), შუამდგომლობდნენ—განსაკუთრებით კეთილგანწრახული, დახვლანჯული და გაბუნდოვანებული ფორმით — მოხსენებითი ბარათების ლიბერალური ავტორები (მარკიზი ველეპოლსკი, პროფ. ჩიჩერინი და პროფ. გრადოვსკი — ვიტეს «ბარათი» მოგვითხრობს მათს შინაარსს ლონდონის ბროშურის მიხედვით*: «გრაფ ლორის-მელიქოვის კონსტიტუცია», თავისუფალი რუსული პრესის ფონდის გამოცემა. ლონდონი, 1893 წ.) და ცდილობდნენ «მოხერხებულად გადაეყვანათ მონარქი მამაპაპური ზღვარიდან ისე, რომ ეს მისთვის შეუმჩნეველი დარჩენილიყო». ყველა ეს ფრთხილი შუამდგომლობანი

* «ბარათის» ავტორი საერთოდ ფრიად გულმოდგინედ გადმოსწერს ხოლმე, როგორც დავინახეთ, არალეგალურ ბროშურებს და აღიარებს, რომ «არალეგალური პრესა და უცხოური ლიტერატურა თავისი თვალსაზრისით საკითხის მდგომარეობის საკმაოდ სწორ შეფასებას იძლეოდნენ» (გვ. 91). რუს სწავლულ «სახელმწიფოთმცოდნეს» თურმე ორიგინალური მოეპოვება მხოლოდ ცოტა რამ ნედლი მასალა, ხოლო ყველა ძირითადი თვალსაზრისი რუსეთის პოლიტიკურ საკითხებზე მან არალეგალური ლიტერატურიდან უნდა გადმოიღოს.

და მოხერხებული ცდები გამოდგა, რაღა თქმა უნდა, რევოლუციურ ძალას მოკლებული — ნული, და გაიმარჯვა თვითმპყრობელობის პარტიამ, გაიმარჯვა, მიუხედავად იმისა, **რომ** 1881 წლის 8 მარტს მინისტრთა საბჭოში უმეტესობამ (7-მა 5-ის წინააღმდეგ) მ ხ ა რ ი დ ა უ ჭ ი რ ა ლორის-მელიქოვის პროექტს. (ასე მოგვითხრობს იგივე ბროშურა, მაგრამ მისი გულმოდგინედ გადმომწერი ავტორი «ბარათისა», ვიტე, აქ რატომღაც აცხადებს: «რა მოხდა ამ — 8 მარტის — თათბირზე და რა გზას დაადგა ის, დანამდვილებით არ ვიცით; უცხოურ პრესაში გატანილ ხმებზე დაყრდნობა კი სიფრთხილეს მოკლებული იქნებოდა», 124.) 1881 წლის 29 აპრილს თვითმპყრობელობის დამკვიდრებისა და დაცვის შესახებ გამოვიდა მანიფესტი, რომელსაც კატკოვმა «ცის მანანა» უწოდა.

გლეხთა განთავისუფლების შემდეგ ეს მეორედ იქნა უკუქცეული რევოლუციური შეტევის ტალღა, და ლიბერალური მოძრაობა აბის შემდგომ და ამის გამო მეორედ შეიცვალა რ ე ა ქ ც ი ი თ, რომელსაც პროგრესული რუსი საზოგადოება, რა თქმა უნდა, მწარედ დასტიროდა. ჩვენ ხომ დიდი ოსტატები ვართ დატირებისა: დავტირით რევოლუციონერების უტაქტობას და გულდაჯერებულობას, როცა ისინი აღიზიანებენ მთავრობას; დავტირით მთავრობის გაუბედავობას, როცა ის, თავის წინაშე ნამდვილ ძალას რომ არ ხედავს, ყალბ დათმობებს აკეთებს და, რასაც ერთი ხელით იძლევა, მეორე ხელით ართმევს; დავტირით «უიდეობისა და უიდეალობის ხანას», როცა მთავრობა ჯერ მუსრს ავლებს რევოლუციონერებს, რომელთაც ხალხმა მხარი არ დაუჭირა, და შემდეგ ცდილობს აინაზღაუროს დაკარგული და ძალღონეს იკრებს ახალი ბრძოლისთვის.

IV

«გულის დიქტატურის» ეპოქამ, როგორც ლორის-მელიქოვის სამინისტროს ეწოდა, ჩვენს ლიბერალებს დაანახვა, **რომ** ერთი მინისტრის, თუნდაც თვით პრემიერ-მინისტრის «კონს-

ტიტუციონალიზმიც» კი, მთავრობის სრული მერყეობის დროს, როცა მინისტრთა საბჭოს უმეტესობა იწონებს კიდეც «პირველ ნაბიჯს რეფორმისაკენ», — არაფერის გარანტიას არ იძლევა, თუ არ არსებობს სერიოზული საზოგადოებრივი ძალა, რომელსაც შეუძლია ქედი მოახრევინოს მთავრობას. საინტერესოა აგრეთვე ისიც, რომ ალექსანდრე III მთავრობამაც, იმის შემდეგაც კი, როცა მანიფესტი გამოსცა თვითმპყრობელობის დამკვიდრების შესახებ, ერთბაშად კი არ გამოაჩინა თავისი ბრჭყალები, არამედ საჭიროდ სცნო რამდენიმე ხნით ესინჯა «საზოგადოების» გაბრიყვება. როცა ვამბობთ «გაბრიყვებაო», ჩვენ არ ვფიქრობთ მთავრობის პოლიტიკა მივაწეროთ ამა თუ იმ მინისტრის, წარჩინებული პირის და სხვათა რაიმე მაკიაველურ [27] გეგმას. ბევრი მტკიცება არ უნდა იმას, რომ ყალბ დათმობათა სისტემა და ზოგიერთი მოჩვენებითი მნიშვნელოვანი ნაბიჯი, გადადგმული თითქოს საზოგადოებრივი აზრის «დასაკმაყოფილებლად», შესისხლხორცებული აქვს ყოველ თანამედროვე მთავრობას და მათ შორის რუსეთის მთავრობასაც, ვინაიდან რუსეთის მთავრობამაც უკვე მრავალი თაობის განმავლობაში შეიგნო საზოგადოებრივი აზრისათვის ასე თუ ისე ანგარიშის გაწევის აუცილებლობა, უკვე მრავალი თაობის განმავლობაში ზრდიდა საშინაო დიპლომატიაში დახელოვნებულ სახელმწიფო მოღვაწეებს. ასეთ დიპლომატად, რომლის დანიშნულებასაც შეადგენდა აშკარა რეაქციისაკენ მთავრობის უკან დახევის დაფარვა, მოგვევლინა შინაგან საქმეთა მინისტრი გრაფი იგნატიევი, რომელმაც ლორის-მელიქოვი შესცვალა. იგნატიევი არა ერთხელ გამოსულა როგორც წმინდა წყლის დემაგოგი და მატყუარა, ასე რომ «ბარათის» ავტორი ვიტე დიდ «პოლიციურ გულკეთილობას» იჩენს, როცა მისი მინისტრობის პერიოდს «თვითმპყრობელი მეფის მეთაურობით ადგილობრივად თვითმმართველი ქვეყნის შექმნის ამაო ცდას» უწოდებს. მართალია, სწორედ ასეთი «ფორმულა» წამოაყენა იმ დროს ი. ს. აქსაკოვმა, მით სარგებლობდა თავისი ლაქუცი-

სათვის ძთავრობა, მას სახელს უკეთებდა კატკოვი, როცა საფუძვლიანად ამტკიცებდა, ადგილობრივ თვითმმართველობასა და კონსტიტუციას შორის აუცილებელი კავშირი არსებობსო. მაგრამ სიბეცე იქნებოდა პოლიციური მთავრობის გარკვეული ტაქტიკის ა ხ ს ნ ა (ტაქტიკისა, რომელიც თვითონ მის თანდაყოლილ თვისებას შეადგენს) განსაზღვრულ მომენტში ამა თუ იმ პოლიტიკური შეხედულების ბატონობით.

იგნატიევი გამოვიდა ცირკულარით, რომელშიც დაპირებას იძლეოდა, რომ მთავრობა «დაუყოვნებლივ მიიღებს ზომებს მართებული წესების დასამყარებლად, რომლებიც უზრუნველყოფენ უმაღლეს განზრახვათა განხორციელების საქმეში ადგილობრივ მოღვაწეთა აქტიური მონაწილეობის უდიდეს წარმატებას». ერობებმა ამ «მოწოდებაზე» უპასუხეს შუამდგომლობებით «ხალხის წარმომადგენლების მოწვევის» შესახებ (ჩერეპოვეცის ერობის ხმოსნის ბარათიდან; გუბერნატორმა ნებაც კი არ დართო დაებეჭდათ კირილოვის ერობის ხმოსნის აზრი). მთავრობამ წინადადება მისცა გუბერნატორებს ასეთი შუამდგომლობების «გარჩევა შეეჩერებინათ», «და იმავე დროს, როგორც ეტყობა, ზომებიც იქნა მიღებული, რომ ამგვარი 'შუამდგომლობანი სხვა კრებებს აღარ აღეძრათ». ახდენენ ყბადაღებულ ცდებს — მინისტრების შერჩევით მოიწვიონ «ძცოდნე პირები» (გამოსასყიდი გადასახდელების შემცირების, გადასახლებათა მოწესრიგების, ადგილობრივი მართვა-გამგეობის რეფორმის და სხვ. საკითხთა განსახილველად). «საექსპერტო კომისიების მუშაობამ არავითარი თანაგრძნობა არ გაწოიწვია საზოგადოებაში, ხოლო ერობათა მხრივ, მ ი უ ხ ე დ ა ვ ა დ ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი გ ა მ ა ფ რ თ ხ ი ლ ე ბ ე ლ ი ზ ო მ ე ბ ი ს ა, პირდაპირი პროტესტიც კი გამოიწვია. თორმეტი ერობის კრებამ შუამდგომლობა აღძრა, რომ საკანონმდებლო მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად ერობის მუშაკნი მიეწვიათ არა ცალკეულ შემთხვევებში და არა მთავრობის მიერ დანიშვნით, არამედ მუდმივად და ერობების მიერ არჩევით». სამარის ერობაში ასეთი წინადადება

შეაჩერა თავმჯდომარემ, «რის შემდეგ კრება პროტესტის ნიშნად დაიშალა» (დრაგომანოვი, დასახ. თხზ., გვ. 29; «ბარათი», გვ. 131). გრაფი იგნატიევი რომ ერობელებს ა ტ ყ უ ე ბ დ ა, ეს ჩანს, მაგ., ასეთი ფაქტით: «პოლტავის თავადაზნაურობის წინამძღოლმა ბ-მა უსტიმოვიჩმა, 1879 წლის კონსტიტუციური ადრესის ავტორმა, თავადაზნაურთა საგუბერნიო საკრებულოში აშკარად განაცხადა, გრაფმა იგნატიევმა მ ტ კ ი ც ე დ ა ღ მ ი თ ქ ვ ა (sic! *), რომ მთავრობა მოიწვევს ქვეყნის წარმომადგენელთ საკანონმდებლო მუშაობაში მონაწილეობის მისაღებადო» (დრაგომანოვი, იქვე).

სრულიად ახალ კურსზე მთავრობის გადასვლის დაფარვა იგნატიევის ასეთი ოინებით დამთავრდა, და 1882 წლის 30 მაისს შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნულმა დ. ა. ტოლსტოიმ ტყუილად როდი დაიმსახურა «ბრძოლის მინისტრის» სახელწოდება. ერობათა შუამდგომლობებს თუნდაც რაიმე კერძო ყრილობების მოწვევის შესახებ უბოდიშოდ უარყოფდნენ; ისეთი შემთხვევაც კი იყო, რომ ერობის (ჩერეპოვეცის) «სისტემატურ ოპოზიციაზე» გუბერნატორის ჩივილის შედეგად გამგეობა შესცვალეს მთავრობის კომისიით, და გამგეობის წევრები ადმინისტრაციული წესით გადაასახლეს. დ. ა. ტოლსტოიმ, კატკოვის ერთგულმა მოწაფემ და მიმდევარმა, გადასწყვიტა შესდგომოდა უკვე პირდაპირ ერობის დაწესებულებათა «რეფორმას», ხელმძღვანელობდა რა იმ ძირითადი შეხედულებით (რომელსაც, როგორც დავინახეთ, მართლაც ადასტურებდა ისტორია), რომ «მთავრობისადმი ოპოზიციამ მტკიცე ბუდე გაიკეთა ერობაში» («ბარათი», გვ. 139: საერობო რეფორმის პირვანდელი პროექტიდან). დ. ა. ტოლსტოის პროექტით ერობათა გამგეობები უნდა შეცვლილიყო გუბერნატორისადმი დაქვემდებარებული საკრებულოებით და ერობათა კრებების ყველა დადგენილება გუბერნატორისთვის უნდა წარედგინათ დასამტკიცებლად. ეს

* — sic! რ ე დ.

მართლაც რომ «რადიკალური» რეფორმა იქნებოდა, მაგრამ უაღრესად საინტერესოა, რომ კატკოვის ამ მოწაფემაც კი, «ბრძოლის მინისტრმა», «არ გადაუხვია — თვით «ბარათის» ავტორის თქმით — შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩვეულებრივ პოლიტიკას ერობის დაწესებულებათა მიმართ. თავისი აზრი — არსებითად გაეუქმებინათ ერობა — მან პირდაპირ არ გამოსთქვა თავის პროექტში; თვითმმართველობის საფუძველთა ვითომდა წესიერად განვითარების სახით მას სურდა ამ თვითმმართველობის გარეგანი ფორმის დატოვება, მაგრამ ისე, რომ გამოეცალა მისთვის ყოველგვარი შინაარსი». სახელმწიფო საბჭოში «მელიას კუდის» ეს ბრძნული სახელმწიფოებრივი პოლიტიკა კიდევ უფრო შეავსეს და განავითარეს, რის შედეგად 1890 წლის საერობო დებულება «ახალი ნახევარზომა გამოდგა ერობის დაწესებულებათა ისტორიაში. ამ დებულებას არ გაუუქმებია ერობა, მაგრამ გააუპიროვნა და გააუფეროვნა იგი; არ მოუსპია არც საერთოწოდებრივი საწყისი, წოდებრივი ელფერი კი შესძინა მას; ...ერობის დაწესებულებანი ხელისუფლების ნამდვილ ორგანოებად არ გადაუქცევია, ...მაგრამ კიდევ უფრო მეტად დაუქვემდებარა ისინი გუბერნატორებს, ...გააძლიერა გუბერნატორის პროტესტის უფლება». «1890 წლის 12 ივლისის დებულება მისი შემდგენლის განზრახვით წარმოადგენდა ნაბიჯს ერობის დაწესებულებათა გაუქმებისაკენ, მაგრამ არამც და არამც ერობის თვითმმართველობის ძირითად გარდაქმნას».

ახალმა «ნახევარზომამ» — როგორც გადმოგვცემს შემდეგ «ბარათი» — მთავრობისადმი ოპოზიცია კი ვერ მოსპო (რეაქციული მთავრობისადმი ოპოზიციის მოსპობა, რასაკვირველია, არც შეიძლებოდა ამ რეაქციულობის გაძლიერებით), არამედ მხოლოდ მიჩქმალა ზ ო გ ი ე რ თ ი მისი გამოხატულება. ოპოზიცია თავს იჩენდა, ჯერ-ერთი, იმით, რომ ზოგიერთ ანტისაერობო, თუ შეიძლება ითქვას, კანონი წინააღმდეგობას ხვდებოდა და de facto * აუსრულებელი რჩებოდა; მეორე,

* — ფაქტიურად, სინამდვილეში. რ ე დ.

თავს იჩენდა ისევ და ისევ კონსტიტუციური (ანდა, ყოველ შემთხვევაში ისეთის, რომ კონსტიტუციონალიზმის სუნი ჰქონოდა) შუამდგომლობებით. პირველნაირ ოპოზიციას წააწყდა, მაგალითად, 1893 წლის 10 ივნისის კანონი, რომელმაც დაწვრილებითს რეგლამენტაციას დაუქვემდებარა საექიმო საქმის ერობის ორგანიზაცია. «ერობის დაწესებულებებმა ერთსულოვნად გაუწიეს წინააღმდეგობა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელმაც უკან დაიხია. იძულებული გახდნენ შეეჩერებინათ უკვე დამზადებული წესდების შემოღება სამოქმედოდ, გადაედოთ განზე კანონთა სრულ კრებულში შესატანად და შეემუშავებინათ ახალი პროექტი, აგებული სრულიად საწინააღმდეგო (ე. ი. ერობათათვის უფრო მისაღებ) საფუძვლებზე». 1893 წლის 8 ივნისის კანონს უძრავ ქონებათა შეფასების შესახებ, რომელსაც ასევე რეგლამენტაციის პრინციპი შემოჰქონდა და ერობის უფლებებს ზღუდავდა გადასახადების გაწერის საქმეში, ასევე არათანაგრძნობით შეხვდნენ და მრავალ შემთხვევაში «სულაც არ იყენებდნენ პრაქტიკაში». საექიმო და სტატისტიკურ დაწესებულებებს, რომლებიც ერობებმა შეჰქმნეს და რომლებმაც საგრძნობი (ბიუროკრატიულ დაწესებულებებთან შედარებით, რა თქმა უნდა) სარგებლობა მოუტანეს მოსახლეობას, საკმაო ძალა გამოაჩნდათ, რომ გაებათილებინათ პეტერბურგის კანცელარიებში გამომცხვარი წესდებები.

მეორენაირმა ოპოზიციამ თავი იჩინა ახალ ერობაშიც 1894 წელს, როცა ერობათა ადრესებმა ნიკოლოზ II-ისადმი კვლავ აშკარა გახადა, რომ ისინი მოითხოვდნენ თვითმმართველობის გაფართოებას და გამოიწვია «ცნობილი» სიტყვები უაზრო ოცნებათა შესახებ.

ერობის «პოლიტიკური ტენდენციები» არ გამქრალა, ბატონ მინისტრების სავალალოდ. «ბარათის» ავტორს მოჰყავს ტვერის გუბერნატორის მწარე ჩივილი (მისი 1898 წლის ანგარიშიდან) «ლიბერალური მიმართულების ადამიანთა მჭიდროდ შეკავშირებული წრის» მიმართ, რომელმაც საგუ-

ბერნიო ერობის მთელი საქმის გაძღოლა ჩაიგდო ხელში. «იმავე გუბერნატორის 1895 წლის ანგარიშიდან ჩანს, რომ ერობის ოპოზიციასთან ბრძოლა მძიმე ამოცანას შეადგენს ადგილობრივი ადმინისტრაციისათვის და ერობათა კრებების თავმჯდომარეებს — თავადაზნაურობის წინამძღოლებს ზოგჯერ «მოქალაქობრივი გამბედაობის» გამოჩენაც კი სჭირდებათ (აი რა ყოფილა!) შინაგან საქმეთა სამინისტროს კონფიდენციური ცირკულარების შესასრულებლად ისეთ საგნებზე, რომელთაც ერობის დაწესებულებანი არ უნდა შეეხონ». შემდეგ მოთხრობილია იმის შესახებ, თუ როგორ გადააბარა კრების გახსნამდე თავისი თანამდებობა გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლმა მაზრის თავადაზნაურობის (ტვერის) წინამძღოლს, ტვერისამ — ნოვოტორჟსკისას, ხოლო ნოვოტორჟსკისამ ავადმყოფობა მოიმიზეზა და თავმჯდომარეობა სტარიცკისას გადასცა. ამრიგად, თვით თავადაზნაურობის წინამძღოლნიც კი გარბიან, ოღონდ კი თავი დააღწიონ პოლიციურ მოვალეობათა ასრულებას! «1890 წლის კანონით — ჩივის «ბარათის» ავტორი — ერობას წოდებრივი ელფერი მიეცა, კრებებში გაძლიერდა მთავრობის ელემენტი, საგუბერნიო ერობის კრებების შემადგენლობაში შეიყვანეს ყველა მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლნი და ერობის უფროსები, და თუ ამ ზომამდე გაუპიროვნებული წოდებრივ-ბიუროკრატიული ერობა მაინც იჩენს პოლიტიკურ ტენდენციას, ამას კარგად უნდა ჩავუფიქრდეთო». ...«წინააღმდეგობა არ მოსპობილა: ყრუ უკმაყოფილება, ჩუმი ოპოზიცია უეჭველად არსებობს და იარსებებს მანამდე, სანამ არ მოკვდება საერთოწოდებრივი ერობა». ასეთია ბიუროკრატიული სიბრძნის უკანასკნელი სიტყვა: თუ შეკვეცილი წარმომადგენლობა უკმაყოფილებას წარმოშობს, ყოველგვარი წარმომადგენლობის მოსპობა, — უბრალო ადამიანური ლოგიკით — კიდევ უფრო გააძლიერებს ამ უკმაყოფილებას და ოპოზიციას. ბ-ნ ვიტეს ისე წარმოუდგენია, რომ თუ დავხურავთ ერთ-ერთ ისეთ დაწესებულებას, რომელიც თუნდაც მცირეოდენ უკმა-

ყოფილებას ააშკარავებს, უკმაყოფილება გაქრება! მაგრამ იქნებ თქვენ ფიქრობთ, თითქოს ვიტე რაიმე გადამწყვეტ წინადადებას იძლევა, მაგ., ერობის მოსპობის წინადადებას? არა, სრულებითაც არა. ვიტე მიკიბ-მოკიბვის პოლიტიკას აცამტვერებს ლამაზი სიტყვისათვის, მაგრამ თვითონ ასეთი პოლიტიკის მეტს არაფერს იძლევა, — და არც შეუძლია სხვა რაიმე მოგვცეს, თუ არ გამოძვრა თვითმპყრობელი მთავრობის მინისტრის თავის ქურქიდან. ვიტე რაღაც სისულელეს ბუტბუტებს «მესამე გზის» შესახებ: არა ბიუროკრატიის ბატონობა და არა თვითმმართველობა, არამედ ადმინისტრაციული რეფორმა, რომელიც «წესიერად მოაწყობს» «საზოგადოებრივი ელემენტების მონაწილეობას მთავრობის დაწესებულებებში». ასეთი სისულელის თქმა ადვილი საქმეა, მაგრამ ახლა — «მცოდნე პირთა» გამოყენების ყოველგვარი ცდის შემდეგ — ვერავის ვერ მოატყუებს ეს ოინი: სავსებით აშკარაა, რომ უ კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი ო დ ყოველგვარი «მონაწილეობა საზოგადოებრივი ელემენტებისა» ფიქცია იქნება, ეს იქნება საზოგადოების (ან საზოგადოებისაგან ამა თუ იმ «მოწვეულის») დაქვემდებარება ბიუროკრატიისადმი. ვიტე აკრიტიკებს შინაგან საქმეთა სამინისტროს კერძო ღონისძიებას — განაპირა მხარეებში ერობის შემოღებას, — მაგრამ ზოგად საკითხზე, რომელიც თვითონვე წამოაყენა, ახალს ვერაფერს ამბობს და მხოლოდ ნახევარზომათა, ცრუდათმობათა, ყოველგვარი სიკეთის დაპირებათა და ყოველგვარი დაპირების აუსრულებლობის ძველი ოინებით კმაყოფილდება. არ შეიძლება საკმაო სიძლიერით გავუსვათ ხაზი იმ გარემოებას, რომ «საშინაო პოლიტიკის გეზის» ზოგად საკითხში ვიტე და გორემიკინი — ერთი და იგივენი არიან, და მათ შორის ატეხილი დავა არის თავისიანთა დავა, შინაური ჩხუბი ერთი ხროვის ფარგლებში. ერთი მხრივ, ვიტეც აცხადებს, «არც ერობის დაწესებულებათა გაუქმება, არც არსებული წესწყობილების რაიმე მსხვრევა მე არ მომითხოვია და არც მოვითხოვ... ახლანდელ პირობებში საეჭვოა ლაპარაკი შეიძ-

ლებოდეს მათს (არსებულ ერობათა) გაუქმებაზე». ვიტე, «თავის მხრივ, ფიქრობს, რომ ადგილობრივ მთავრობის ძლიერი ხელისუფლების შექმნით შესაძლებელი იქნება მეტის ნდობით მოვეპყრათ ერობებს» და სხვ. თუ ძლიერ ბიუროკრატულ დაპირისპირებას შევუქმნით თვითმმართველობას (ე. ი. დავაუძლურებთ თვითმმართველობას), მაშინ შეიძლება უფრო «ვენდოთ» მასო. ეს ხომ ძველი სიმღერაა! ბ-ნ ვიტეს ეშინია მხოლოდ «საერთოწოდებრივი დაწესებულებებისა», მას «სრულებითაც არ ჰქონია მხედველობაში და თვითმპყრობელობისათვის არც საშიშად მიუჩნევია სხვადასხვაგვარი კორპორაციის, საზოგადოების, წოდებრივი ან პროფესიული კავშირების მოქმედება». მაგალითად, «სოფლის თემების» შესახებ ბ-ნ ვიტეს სრულიად ეჭვი არ ეპარება, რომ ისინი, თავიანთი «დამყაყებულობის» გამო, არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენენ თვითმპყრობელობისათვის. «საადგილმამულო ურთიერთობის და მასთან დაკავშირებული ინტერესების სიჭარბე სოფლის მოსახლეობას ისეთს სულიერ თავისებურებებს უნერგავს, რომლებიც გულგრილს ხდიან მას ყოველივე იმისადმი, რაც თავისი სამრეკლოს პოლიტიკის საზღვრებს სცილდება... ჩვენი გლეხი ყრილობებზე გართულია გადასახადების გაწერით,... მიწის ნაკვეთების განაწილებით და სხვ. გარდა ამისა, ის წერა-კითხვის უცოდინარი ან ნახევრად-მცოდნეა, — რ ა პ ო ლ ი ტ ი კ ა შ ე ი ძ ლ ე ბ ა აქ ი ყ ო ს?». ბ-ნი ვიტე მეტად ფხიზელია, როგორც ხედავთ. წოდებრივი კავშირების მიმართ ის აცხადებს, რომ ცენტრალური ხელისუფლებისათვის მათი საშიშროების მხრივ «არსებითი მნიშვნელობა აქვს მათი ინტერესების გათიშულობას. ამ გათიშულობის გამოყენებით მთავრობას ყოველთვის შეუძლია ერთი წოდების პოლიტიკურ მოთხოვნათა წინააღმდეგ დასაყრდენი და საწინააღმდეგო ძალა ჰპოვოს სხვა წოდებებში». ვიტეს პროგრამაც: «მთავრობის დაწესებულებებში საზოგადოებრივი ელემენტების წესიერად ორგანიზებული მონაწილეობა» სხვას არას წარმოადგენს, თუ არ პოლიციური

სახელმწიფოს ერთ-ერთ დაუსრულებელ ცდას— «გათიშოს» საზოგადოება.

მეორე მხრივ, ბ-ნი გორემიკინიც, რომელსაც ასე გააფთრებით ეკამათება ბ-ნი ვიტე, თვითონაც ისეთსავე გათიშვისა და შევიწროების სისტემატურ პოლიტიკას აწარმოებს. ის ამტკიცებს (თავის ბარათში, რომელზეც პასუხს აძლევს ვიტე) ერობის თვალყურის სადევნებლად მოხელეების ახალ თანამდებობათა შექმნის აუცილებლობას, ის წინააღმდეგია ერობის მოღვაწეთა თუნდაც უბრალო ადგილობრივ ყრილობათა მოწვევის ნებართვისა, ის თავგამოდებით იცავს 1890 წლის დებულებას, ერობის გაუქმებისაკენ მიმართულ ამ ნაბიჯს, მას ეშინია ერობებმა შეფასების სამუშაოთა პროგრამაში «ტენდენციური კითხვები» არ შეიტანონ, ეშინია ერობის სტატისტიკისა საერთოდ, ის იმის მომხრეა, რომ სახალხო სკოლა ჩამოერთვას ერობას და გადაეცეს მთავრობის დაწესებულებებს, ის ამტკიცებს, რომ ერობებს არა აქვთ უნარი სასურსათო საქმეს გაუძღვნენ (ერობის მოღვაწენი ჰქმნიან — თურმე ნუ იტყვით — «გადაჭარბებულ წარმოდგენას მოუსავლობით დაზარალებული მოსახლეობის გაჭირვებასა და საჭიროებაზე»!!), ის იცავდა საერობო გადასახადების ზღვრულ წესებს «საერობო გამოსაღებთა მეტისმეტი გადიდებისაგან მიწათმფლობელობის დაცვის მიზნით». ამრიგად, ვიტე სავსებით მართალია, როცა აცხადებს: «შინაგან საქმეთა სამინისტროს მთელი პოლიტიკა ერობის მიმართ იმაში მდგომარეობს, რომ ნელა, მაგრამ განუხრელად გამოუთხაროს ძირი მის ორგანოებს, თანდათან შეასუსტოს მათი მნიშვნელობა და მათი ფუნქციებიც თანდათანობით დაუქვემდებაროს მთავრობის დაწესებულებებს. სრულიად გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ როდესაც (გორემიკინის) ბარათში აღნიშნული «ღონისძიებანი, მიღებულნი უკანასკნელ ხანებში ერობის მეურნეობისა და მართვა-გამგეობის ცალკეულ დარგთა მოწესრიგების მიზნით», კეთილად დაგვირგვინდება, მაშინ სინამდვილეში უკვე ჩვენ არავითარი თვითმმართველობა აღარ

გვექნება, — ერობის დაწესებულებათაგან დარჩება მხოლოდ ყოველგვარ საქმიან შინაარსს მოკლებული იდეა და გარეგანი ნაჭუჭი». გორემიკინის (და კიდევ უფრო სიპიაგინის) პოლიტიკა და ვიტეს პოლიტიკა მიიმართება, მაშასადამე, ერთი და იმავე გზით, და მათი შეჯიბრება ერობისა და კონსტიტუციონალიზმის საკითხის გამო არის, ვიმეორებთ, მხოლოდ შინაური დავა და მეტი არაფერი. მეგობრები ჩხუბობენ — მხოლოდ ერთობიან. ასეთია ბატონ ვიტეს და გორემიკინის «ბრძოლის» შედეგი. რაც შეეხება ჩვენს დასკვნას თვითმპყრობელობისა და ერობის ზოგად საკითხზე, მისი გამოტანა უფრო მოხერხებულია ბ-ნ რ. ნ. ს-ს * წინასიტყვაობის გარჩევასთან დაკავშირებით.

V

ბ-ნ რ. ნ. ს-ს წინასიტყვაობა ბევრ რამეში დიდად საინტერესოა. მასში აღძრულია მეტად ფართო საკითხები რუსეთის პოლიტიკური გარდაქმნის შესახებ, ამ გარდაქმნის სხვადასხვაგვარი წესების შესახებ, ამა თუ იმ ძალების მნიშვნელობის შესახებ, რომლებსაც გარდაქმნისაკენ მივყავართ. მეორე მხრივ, ბ-ნი რ. ნ. ს., რომელიც, ეტყობა, ახლო დამოკიდებულებაშია ლიბერალურ წრეებთან საერთოდ და ერობის ლიბერალურ წრეებთან განსაკუთრებით, უსათუოდ, რაღაც ახალს წარმოადგენს ჩვენი «არალეგალური» ლიტერატურის გუნდში. ამიტომ ერობის პოლიტიკური მნიშვნელობის პრინციპული საკითხის გასარკვევად და ლიბერალებთან დაახლოებულ წრეებში არსებული სულისკვეთების და... არ ვიტყვი: აზრთა მიმართულების, არამედ განწყობილების გასაცნობად დიახაც ღირს დაწვრილებით შევჩერდეთ ამ წინასიტყვაობაზე, გავარჩიოთ, პლუსია თუ მინუსი, რამდენად არის პლუსი, რამდენად და რით არის მინუსი ეს ახალი?

* ამ ფსევდონიმს ხმარობდა ბ-ნი სტრუვე. (ავტორის შენიშვნა 1907 წლის გამოცემისათვის. რ ე დ.)

ბ-ნ რ. ნ. ს-ს შეხედულებათა ძირითადი თავისებურება შემდეგში მდგომარეობს. როგორც ჩანს მისი სტატიის მრავალი ადგილიდან, რაც ჩვენ ქვემოთ მოგვყავს, ის თაყვანისმცემელია მშვიდობიანი, თანდათანობითი და მტკიცე ლეგალური განვითარებისა. მეორე მხრივ, ის სულითა და გულით ამხედრებულია თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და მოწყურებულია პოლიტიკურ თავისუფლებას. მაგრამ თვითმპყრობელობა სწორედ იმიტომ არის თვითმპყრობელობა, რომ ის კრძალავს და სდევნის ყოველგვარ «განვითარებას» თავისუფლებისაკენ. ამ წინააღმდეგობით გაჟღენთილია ბ-ნ რ. ნ.ს-ს მთელი სტატია და ამის გამო მისი მსჯელობა უაღრესად არათანამიმდევარი, სიმტკიცეს მოკლებული და მერყეევია. კონსტიტუციონალიზმის შეთავსება თვითმპყრობელური რუსეთის მტკიცე ლეგალური განვითარებისათვის ზრუნვასთან შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოვიდგენთ ან დავუშვებთ მაინც, რომ თვითმპყრობელი მთავრობა თვითონვე შეიგნებს, დაიქანცება, დათმობს და სხვა. და ბ-ნ რ. ნ. ს-ს მისი მოქალაქობრივი აღშფოთების მწვერვალიდან მართლაც უხდება ჩამოქვეითება სრულიად განუვითარებელი ლიბერალიზმის ამ ვულგარულ თვალსაზრისამდეც. აი მაგალითიც. ბ-ნი რ. ნ. ს. თავის თავზე ამბობს: ...«ჩვენ, რომლებიც პოლიტიკური თავისუფლებისთვის ბრძოლაში რუსეთის თანამედროვე შეგნებულ ადამიანთათვის ვხედავთ მათს ჰანიბალის ფიცს, ისევე წმიდას, როგორიც იყო ოდესღაც გლეხთა განთავისუფლებისათვის ბრძოლა 40-იანი წლების ადამიანთათვის»... და კიდევ: ...«რაგინდ მძიმეც უნდა იყოს ჩვენთვის, იმ ადამიანებისთვის, რომელთაც თვითმპყრობელობასთან ბრძოლის «ჰანიბალის ფიცი» დაგვიდვია», და სხვ. კარგად არის ნათქვამი, ძლიერი ნათქვამია! ეს ძლიერი სიტყვები სტატიის დამამშვენებელი იქნებოდა, ის რომ მთლად გამსჭვალული იყოს ასეთივე შეუდრეკელი, შეურიგებელი ბრძოლის სულისკვეთებით («ჰანიბალის ფიცი»!). ეს ძლიერი სიტყვები — სწორედ იმიტომ, რომ ისინი

ასე ძლიერი არიან — ერთგვარ ყალბ ხმებს გამოიღებს, თუ მათ ახლოს გაისმა ხელოვნური შერიგებისა და დამშვიდების კილო, ცდა — გატარებულ იქნას, თუნდაც ყოველგვარ ნაძალადევ მტკიცებათა საშუალებით, მშვიდობიანი, მტკიცე ლეგალური განვითარების კონცეფცია. ხოლო ბ-ნ რ. ნ. ს-ს ასეთი კილო და ასეთი ცდები, სამწუხაროდ, ბლომად მოეპოვება. მაგალითად, ის მთელ ერთნახევარ გვერდს უთმობს იმ აზრის დაწვრილებით «დასაბუთებას», რომ «ნიკოლოზ II მეფობის დროს სახელმწიფოებრივი პოლიტიკა კ ი დ ე ვ უ ფ რ ო (ხაზგასმა ჩვენია) სასტიკი დაგმობის ღირსია ზნეობრივი და პოლიტიკური თვალსაზრისით, ვიდრე ალექსანდრე II რეფორმების ხელახალი განაწილება ალექსანდრე III დროს». რატომ უ ფ რ ო სასტიკი დაგმობისა? თურმე, იმიტომ, რომ ალექსანდრე III ებრძოდა რევოლუციას, ხოლო ნიკოლოზ II— «რუსი საზოგადოების ლეგალურ მისწრაფებებს», პირველი — პოლიტიკურად შეგნებულ, მეორე — «სრულიად მშვიდობიანსა და ხშირად ყოველგვარი გარკვეული პოლიტიკური აზრის უქონლად მოქმედ საზოგადოებრივ ძალებს» («რომელთაც ისიც კი არა აქვს კარგად შეგნებული, რომ მათი შეგნებული კულტურული მუშაობა ძირს უთხრის სახელმწიფო წყობილებას»). ეს ფაქტიურად მეტწილად არ არის სწორი, — რაზედაც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი. მაგრამ ესეც რომ არ იყოს, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ თვით ავტორის მსჯელობის მსვლელობის უცნაურობა. ის ჰკიცხავს თვითმპყრობელობას და ორ თვითმპყრობელს შორის ის უ ფ რ ო ჰკიცხავს ერთს არა იმ პოლიტიკის ხასიათის მიხედვით, რომელიც წინანდელივე დარჩა, არამედ იმიტომ, რომ მის წინაშე არ არიან (თითქოს) «ჩხუბისთავნი», რომელნიც, «ბუნებრივად», სასტიკ წინააღმდეგობას იწვევენ, და არ არსებობს, მაშასადამე, საბაბიც დევნისათვის. ასეთი არგუმენტის გამოყენებაში უკვე თავისთავად ხომ არ გამოსჭვივის აშკარა დათმობა იმ უქვეშევრდომილესი მოსაზრების წინაშე, რომ ჩვენს მამა-მეფეს სრულებითაც არ უნდა ეშინოდეს თავის

საყვარელ ადამიანთა მოწვევისა, ვინაიდან ყველა ამ საყვარელ ადამიანს არასოდეს ფიქრადაც არ მოსვლია ისეთი რამ, რაც მშვიდობიან მისწრაფებათა და მტკიცე ლეგალობის ფარგლებს სცილდება? ჩვენ არ გვაკვირვებს, როცა ასეთ «აზრთა მსვლელობას» (ან სიცრუის ასეთ მსვლელობას) ვხვდებით ბ-ნ ვიტეს ნაწერებში, რომელიც თავის ბარათში წერს: «თითქოს, იქ, სადაც არც პოლიტიკური პარტიებია და არც რევოლუციები, სადაც არავინ არ ეცილება უფლებებზე უმაღლეს ხელისუფლებას, — იქ არ შეიძლება ადმინისტრაციის დაპირისპირება ხალხის ან საზოგადოებისადმი...» * და სხვ. ჩვენ არ გვაკვირვებს ასეთი მსჯელობა ბ-ნ ჩიჩერინისა, რომელიც გრაფ მილიუტინისადმი წარდგენილ ბარათში 1881 წლის 1 მარტის შემდეგ აცხადებდა, რომ «ხელისუფლებამ უწინარეს ყოვლისა თავისი ენერგია უნდა გამოიჩინოს, დაამტკიცოს, რომ მუქარის წინაშე მას არ დაუხრია თავისი დროშა», რომ «მონარქიული წესწყობილება შესათავსებელია თავისუფალ დაწესებულებებთან მხოლოდ მაშინ, როცა ისინი თვით უმაღლესი ხელისუფლების მშვიდობიანი განვითარების და მშვიდი ინიციატივის ნაყოფს წარმოადგენენო», და ურჩევდა შეექმნა «ძლიერი და ლიბერალური» ხელისუფლება, რომელიც იმოქმედებდა «არჩეული ელემენტით გაძლიერებული და განახლებული საკანონმდებლო ორგანოს» დახმარებით **. აი ამ ბ-ნ ჩიჩერინის მხრივ სრულიად ბუნებრივი იქნებოდა მეტი გაკიცხვის ღირსად აღიარება ნიკოლოზ II პოლიტიკისა ი მ ი ტ ო მ, რომ მისი მეფობის დროს თვით უმაღლესი ხელისუფლების მშვიდობიან განვითარებას და მშვიდ ინიციატივას შ ე ი ძ ლ ე ბ ა მოჰყოლოდა თავისუფალი დაწესებულებანი.

* გვ. 205. «ეს უჭკუობაც კი არის», ამბობს ბ-ნი რ. ნ. ს. თავის შენიშვნაში ამ ადგილისადმი. სრულიად სამართლიანია. მაგრამ განა იმავე თიხით არ არის ნაძერწი ბ-ნ რ. ნ. ს-ს ზემომოყვანილი მსჯელობა მისი წინასიტყვაობის XI — XII გვერდზე?

** ვიტეს «ბარათი», გვ. 122 — 123. «გრაფ ლორის-მელიქოვის კონსტიტუცია», გვ. 24.

მაგრამ განა ბუნებრივია და შეშვენის განა ასეთი მსჯელობა ისეთ ადამიანს, რომელმაც ბრძოლის ჰანიბალის ფიცი დასდო?

და ფაქტიურადაც არ არის მართალი ბ-ნი რ. ნ. ს. «ახლა, — ამბობს ის, ახლანდელ მეფობას რომ ადარებს წინანდელს, — ... იმ ძალდატანებითს გადატრიალებაზე, რომელიც «ნაროდნაია ვოლიას»[28] მოღვაწეებს ეხატებოდათ, არავინ სერიოზულად აღარ ფიქრობს». Parlez pour vous, monsieur! მხოლოდ თქვენს თავზე ილაპარაკეთ! ჩვენ კი დანამდვილებით ვიცით, რომ უკანასკნელი მეფობის დროს რევოლუციური მოძრაობა რუსეთში არამცთუ არ მომკვდარა და არ შესუსტებულა წინანდელი მეფობის დროსთან შედარებით, არამედ, პირიქით, აღსდგა და ბევრად უფრო გაძლიერდა. ანდა რანაირი «რევოლუციური მოძრაობა» უნდა ყოფილიყო ეს, თუ მის მონაწილეთაგან არავინ სერიოზულად არ ფიქრობდა ძალდატანებითს გადატრიალებაზე! შეიძლება, შემოგვედავონ, რომ მოყვანილ სტრიქონებში ბ-ნი რ. ნ. ს. გულისხმობს არა ძალდატანებითს გადატრიალებას საზოგადოდ, არამედ სპეციფიკურ «ნაროდოვოლცურ» გადატრიალებას, ე. ი. პოლიტიკურ და სოციალურ გადატრიალებას ერთსა და იმავე დროს, გადატრიალებას, რომელსაც მოჰყვება არა მარტო თვითმპყრობელობის დამხობა, არამედ ძალაუფლების დაპყრობაც. ასეთი პასუხი უსაფუძვლო იქნებოდა, ვინაიდან, ჯერ-ერთი, თვითმპყრობელობისთვის, როგორც ასეთისთვის (ე. ი. თვითმპყრობელი მთავრობისთვის და არა «ბურჟუაზიისთვის» ან «საზოგადოებისთვის») საგულისხმო ის კი არ არის, თუ რ ი ს თ ვ ი ს უნდათ მისი დამხობა, არამედ ი ს, რ ო მ მისი დამხობა უნდათ. ხოლო, მეორე, «ნაროდნაია ვოლიას» მოღვაწეებმაც ალექსანდრე III მეფობის დასაწყისში სწორედ ისეთი ალტერნატივა «წარუდგინეს» მთავრობას, რანაირსაც სოციალ-დემოკრატია აყენებს ნიკოლოზ II წინაშე: ან რევოლუციური ბრძოლა, ან თვითმპყრობელობაზე უარის თქმა. (იხ. «ნაროდნაია ვოლიას» აღმასრულებელი კომიტეტის წერილი ალექსანდრე III-სადმი 1881 წლის 10 მარტის თარიღით, სადაც

წამოყენებულია ორი პირობა: 1. საერთო ამნისტია ყველა პოლიტიკური დანაშაულისთვის და 2. მთელი რუსეთის ხალხის წარმომადგენელთა მოწვევა საყოველთაო საარჩევნო უფლებისა და პრესის, სიტყვისა და კრებების თავისუფლების დაცვით.) ბ-ნმა რ. ნ. ს-მ თვითონაც მშვენივრად იცის, რომ ძალდატანებითს გადატრიალებაზე «სერიოზულად ფიქრობენ» ბევრნი არა მარტო ინტელიგენციის წრიდან, არამედ მუშათა კლასის წრიდანაც: გადახედეთ მისი სტატიის XXXIX და შემდეგ გვერდებს, სადაც ლაპარაკია «რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიაზე», რომელიც უზრუნველყოფილია «მასობრივი საფუძვლითაც და გონებრივი ძალებითაც», რომელიც მიისწრაფვის «გადამწყვეტი პოლიტიკური ბრძოლისაკენ», «თვითმპყრობელურ-ბიუროკრატიულ რეჟიმთან რევოლუციური რუსეთის სისხლისმღვრელი ბრძოლისაკენ» (XLI). ამრიგად, ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ბ-ნ რ. ნ. ს-ს «კეთილგანწრახული სიტყვები» წარმოადგენს მხოლოდ თავისებურ ხერხს, ცდას, რომ გავლენა მოახდინოს მთავრობაზე (ან «საზოგადოებრივ აზრზე») თავის (ან სხვის) თავმდაბლობაში დარწმუნებით.

თუმცა ბ-ნი რ. ნ. ს. ფიქრობს, რომ ბრძოლის ცნება შეიძლება მეტად ფართოდ იქნას გაგებული. «ერობის გაუქმება — წერს ის — უდიდეს კოზირს მისცემს რევოლუციურ პროპაგანდას — ამას ჩვენ ვამბობთ სრულიად ობიექტურად (sic!) და ისე, რომ არავითარ ზიზღს არ ვგრძნობთ იმისადმი, რასაც ჩვეულებრივ რევოლუციურ მუშაობას უწოდებენ, მაგრამ არც აღტაცებული ვართ და არც გატაცებული პოლიტიკური და საზოგადოებრივი პროგრესისათვის ბრძოლის სწორედ ამ ფორმით (sic!)». ეს ტირადა ფრიად მნიშვნელოვანია. თუ დავაკვირდებით quasi *-მეცნიერულ ფორმულირებას, რომელიც სრულიად უადგილოდ იწონებს თავს «ობიექტურობით» (რახან ავტორი თვითონ აყენებს საკითხს იმის შესახებ, თუ

* — ვითომდა. რ ე დ.

მუშაობის ან ბრძოლის რომელი ფორმაა მისთვის უფრო მისაღები, მაშინ მისი დამოკიდებულების ობიექტურობაზე ლაპარაკი იგივეა, რომ ორჯერ ორი შევადაროთ სტეარინის სანთელს), — მივიღებთ ძველისძველ არგუმენტაციას: თქვენ, ბატონო მმართველნო, შეგიძლიათ მენდოთ, თუ მე რევოლუციით გაშინებთ, ვინაიდან რევოლუციისაკენ გული სულაც არ მიმიწევს. ობიექტურობის დამოწმება მხოლოდ ლეღვის ფოთოლია, რომელიც ჰფარავს სუბიექტურ ანტიპათიას რევოლუციისა და რევოლუციური მუშაობისადმი და მეტი არაფერი. ხოლო ამ დაფარვას ბ-ნი რ. ნ. ს. იმიტომ საჭიროებს, რომ ბრძოლის ჰანიბალის ფიცთან ამგვარი ანტიპათია ყოვლად შეუთავსებელია.

თუმცა, ხომ არ ვცდებით ჩვენ თვით ამ ჰანიბალის შესახებ? მართლაც რომაელებთან ბრძოლის ფიცი დასდო მან, თუ მხოლოდ კართაგენის პროგრესისათვის ბრძოლის ფიცი, რომელი პროგრესიც, რა თქმა უნდა, საბოლოო ანგარიშში ავნებდა რომს? არ შეიძლება განა სიტყვა «ბრძოლა» გავიგოთ არა ასე «ვიწროდ»? ბ-ნი რ. ნ. ს. ფიქრობს, რომ შეიძლება. თვითმპყრობელობასთან ბრძოლა — ასე გამოდის მოყვანილი ტირადის ტექსტთან ჰანიბალის ფიცის შეპირისპირებიდან — მყღავნდება სხვადასხვა «ფორმით»: ერთი ფორმა — ეს არის რევოლუციური, არალეგალური ბრძოლა, მეორე ფორმა — ეს არის საერთოდ «ბრძოლა პოლიტიკური და საზოგადოებრივი პროგრესისთვის», ე. ი., სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მშვიდობიანი, ლეგალური მუშაობა, რომელიც ნერგავს კულტურას თვითმპყრობელობის მიერ ნებადართულ ფარგლებში. ჩვენ ოდნავადაც ეჭვი არ გვეპარება იმაში, რომ თვითმპყრობელობის დროსაც შესაძლოა ლეგალური მოღვაწეობა, რომელიც წინ წასწევს რუსეთის პროგრესს: ზოგიერთ შემთხვევაში საკმაოდ სწრაფად მიჰყავს წინ ტექნიკური პროგრესი, მცირეოდენ შემთხვევებში ფრიად უმნიშვნელოდ — საზოგადოებრივი პროგრესი, სრულიად განსაკუთრებულ შემთხვევაში და სრულიად მინიატურული ოდენობით — პოლიტიკური პროგ-

რესი. შეიძლება ვიდავოთ იმაზე, თუ სახელდობრ რამდენად დიდია და რამდენად შესაძლებელია ეს მინიატურული პროგრესი, ამ პროგრესის ერთეულ შემთხვევებს რამდენად შეუძლიათ გააქარწყლონ მოსახლეობის ის მასობრივი პოლიტიკური გარყვნა, რასაც თვითმპყრობელობა ეწევა ყოველგან და ყოველთვის. მაგრამ მშვიდობიანი ლეგალური მუშაობისათვის შეფარდება, თუნდაც არაპირდაპირ, თვითმპყრობელობასთან ბრძოლის ცნებისა იმას ნიშნავს, რომ ხელი შეუწყო ამ გარყვნას, ეს ნიშნავს — შეასუსტო რუს ობივატელში ისედაც უზომოდ სუსტი შეგნება იმისა, რომ მას, როგორც მოქალაქეს, ეკისრება პასუხისმგებლობა ყ ო ვ ე ლ ი ვ ე იმისათვის, რაც მთავრობა სჩადის.

სამწუხაროდ, ბ-ნი რ. ნ. ს. განმარტოებული არ არის არალეგალურ მწერლებში, რომლებიც ცდილობენ წაშალონ განსხვავება რევოლუციურ ბრძოლასა და მშვიდობიან კულტურულ-ოსნულ მუშაობას შორის. მას ჰყავს წინამორბედი, ბ-ნი რ. მ., ავტორი სტატიისა «ჩვენი სინამდვილე» ცნობილ ««რაბოჩაია მისლის» ცალკე დამატებაში»[20] (1899 წლის სექტემბერი). სოციალ-დემოკრატ-რევოლუციონერებისადმი პასუხში ის წერდა: «საერობო და საქალაქო საზოგადოებრივი თვითმმართველობისათვის ბრძოლაც, საზოგადოებრივი სკოლისათვის ბრძოლაც, საზოგადოებრივი სასამართლოსთვის ბრძოლაც, დამშეული მოსახლეობისადმი საზოგადოებრივი დახმარებისათვის ბრძოლაც და სხვ. ხომ თვითმპყრობელობასთან ბრძოლაა... ამ საზოგადოებრივ ბრძოლას, რომელიც რაღაც უცნაური გაუგებრობის გამო ვერ იპყრობს ბევრი რუსი რევოლუციონერი მწერლის მოწყალე ყურადღებას, როგორც დავინახეთ, უკვე ეწევა რუსი საზოგადოება და ეს ბრძოლა გუშინ როდი დაიწყო... ნამდვილი საკითხი ის არის, თუ როგორ აწარმოონ ეს ბრძოლა თვითმპყრობელობასთან რაც შეიძლება უფრო წარმატებით... საზოგადოების ცალკე ფენებმა... ხოლო მთავარი საკითხი ჩვენთვის არის: როგორ უნდა აწარმოონ ეს საზოგადოებრივი ბრძოლა თვითმპყრობელობასთან ჩვენმა

მუშებმა, რომელთა მოძრაობას ჩვენი რევოლუციონერები უყურებენ როგორც საუკეთესო საშუალებას თვითმპყრობელობის დასამხობად» (გვ. 8 — 9). როგორც ხედავთ, ბ-ნი რ. მ. საჭიროდაც არ სთვლის დამალოს თავისი ანტიპათია რევოლუციონერებისადმი; ლეგალურ ოპოზიციას და მშვიდობიან მუშაობას იგი თვითმპყრობელობასთან პირდაპირ ბრძოლად აცხადებს და მთავარ საკითხად მიაჩნია ის, თუ როგორ უნდა აწარმოონ მუშებმა «ეს» ბრძოლა. ბ-ნი რ. ნ. ს. არც ისე პრიმიტიული და არც ისე გულახდილია, მაგრამ ჩვენი ლიბერალის და წმინდა მუშათა მოძრაობის უკიდურესი თაყვანისმცემლის პოლიტიკურ ტენდენციათა შორის ნათესაობა საკმაოდ აშკარად მოსჩანს *.

რაც შეეხება ბ-ნ რ. ნ. ს-ს «ობიექტივიზმს», უნდა შევნიშნოთ, რომ ის ზოგჯერ პირდაპირ შორს უკუაგდებს მას. ის «ობიექტური» რჩება, როცა ლაპარაკობს მუშათა მოძრაობაზე. მის ორგანულ ზრდაზე, რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის მომავალ გარდუვალ ბრძოლაზე თვითმპყრობელობასთან, იმაზე, რომ ლიბერალების ორგანიზება არალეგალურ პარტიად ერობის გაუქმების აუცილებელი შედეგი იქნებაო. ყოველივე ეს ფრიად საქმიანად და მეტად ფხიზლად არის გადმოცემული, იმ ზომამდე ფხიზლად, რომ სიხარული გვიპყრობს ლიბერალურ წრეებში რუსეთის მუშათა მოძრაობის სწორი გაგების

* «მუშების სამეურნეო ორგანიზაციები, — ამბობს ბ-ნი რ. ნ. ს. სხვა ადგილას, — მუშათა მასების რეალური პოლიტიკური აღზრდის სკოლა გახდებიან». ჩვენ ვურჩევდით ავტორს ცოტა უფრო ფრთხილად იხმაროს ოპორტუნიზმის რაინდების მიერ ეს გაცვეთილი სიტყვა «რეალური». არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ გარკვეულ პირობებში მუშების სამეურნეო ორგანიზაციებსაც ბევრის მოცემა შეუძლიათ მათი პოლიტიკური აღზრდისათვის (როგორც არ შეიძლება იმის უარყოფაც, რომ სხვა პირობებში მათ შეუძლიათ მოგვცეს ზოგი რამ მუშების პოლიტიკურად გარყვნისთვისაც). მაგრამ რ ე ა ლ უ რ ი პოლიტიკური აღზრდა მუშათა მასებს შეუძლია მისცეს მხოლოდ მათს ყოველმხრივ მონაწილეობას რევოლუციურ მოძრაობაში, თვით აშკარა ბრძოლამდე ქუჩებში, თვით სამოქალაქო ომამდე პოლიტიკური და ეკონომიური მონობის დამცველებთან.

გავრცელების გამო. მაგრამ როცა ბ-ნი რ. ნ. ს. იწყებს ლაპარაკს არა მტერთან ბრძოლაზე, არამედ მტრის შესაძლო «დაცხრომაზე», — ის მყისვე ჰკარგავს თავის «ობიექტივიზმს», გამოსთქვამს თავის გრძნობებს, და თხრობითი კილოდან ბრძანებითზედაც კი გადადის.

«მხოლოდ იმ შემთხვევაში არ მივა საქმე თვითმპყრობელურ-ბიუროკრატიულ რეჟიმთან რევოლუციური რუსეთის საბოლოო და სისხლისმღვრელ ბრძოლამდე, თუ ხელისუფალთა შორის აღმოჩნდებიან ისეთი პირნი, რომელნიც სიმამაცეს გამოიჩენენ — დავმორჩილონ ისტორიას და დაუმორჩილონ მას თვითმპყრობელიც... უეჭველია, რომ უმაღლეს ბიუროკრატიაში მოიპოვებიან ისეთი პირნიც, რომლებიც არ თანაუგრძნობენ რეაქციულ პოლიტიკას... ისინი ერთადერთი პიროვნებებია, რომლებიც დაახლოებული არიან ტახტთან, ვერასოდეს ვერ ბედავენ ხმამაღლა გამოსთქვან თავიანთი რწმენა... მაგრამ, შეიძლება, ისე მოხდეს, რომ გარდუვალი ისტორიული ანგარიშის გასწორების უზარმაზარმა აჩრდილმა, დიადი ამბების აჩრდილმა რყევა შეიტანოს მთავრობის წრეებში და დროზე დაშალოს რეაქციული პოლიტიკის რკინისებური წყობილება. საამისოდ ახლა შედარებით ცოტა რამაა საჭირო... შეიძლება, ის (მთავრობა) არა მეტისმეტი დაგვიანებით შეიგნებს აგრეთვე თვითმპყრობელური რეჟიმის ყოველგვარი საშუალებით დაცვის საბედისწერო საშიშროებას. შეიძლება, ის, ჯერ კიდევ რევოლუციასთან შეხვედრამდე, თვითონვე დაიქანცება თავისუფლების ბუნებრივ, ისტორიულად აუცილებელ განვითარებასთან თავისივე ბრძოლით და შედრკება თავის «შეურიგებელ» პოლიტიკაში. დაჰკარგავს რა თანამიმდევრობას თავისუფლებასთან ბრძოლაში, ის იძულებული გახდება სულ უფრო ფართოდ გაუღოს მას კარები. შეიძლება... არა, არამცთუ შეიძლება, არამედ დ ა ე ა ს ე მ ო ხ დ ე ს!» (ხაზგასმა ავტორისაა.)

ამინ! მხოლოდ ესღა დაგვრჩენია ვთქვათ ამ კეთილგანზრახული და განდიდებული მონოლოგის გამო. ჩვენი ჰანიბალი ისეთ სწრაფ პროგრესს განიცდის, რომ უკვე მესამე ფორმით გამოდის ჩვენს წინაშე: პირველი ფორმაა — თვითმპყრობელობასთან ბრძოლა, მეორე — კულტურის დანერგვა, მესამე — მორჩილებისადმი მოწოდება მტრისა და ცდა მისი დაშინებისა «აჩრდილით». რა საშინელებაა! ჩვენ სავსებით ვეთანხმებით პატივცემულ ბ-ნ რ. ნ. ს-ს, რომ რუსეთის მთავრობის მუზმუზელებს არაფერი ისე არ შეაშინებს ქვეყანაზე, როგორც

«აჩრდილი». და აჩრდილთა ამ შელოცვის წინ ჩვენი ავტორი, მიუთითებდა რა რევოლუციურ ძალთა ზრდასა და მომავალ რევოლუციურ ქარტეხილზე, გაიძახოდა: «ღრმა მწუხარებით ვითვალისწინებთ იმ საშინელ მსხვერპლთ ადამიანებისა და კულტურული ძალების სახით, რომელთაც შეიწირავს ეს უგუნური აგრესიულ-კონსერვატიული პოლიტიკა, რომელსაც არც პოლიტიკური აზრი მოეპოვება და არც ზნეობრივი გამართლების ნატამალი». დოქტრინიორობისა და პირფერობის რა უძირო უფსკრულს გვიჩვენებს რევოლუციურ ქარტეხილზე მსჯელობის ასეთი ბოლო! ავტორს იმის ოდნავი შეგნება არ მოეპოვება, თუ რა გიგანტური ისტორიული მნიშვნელობა ექნებოდა რუსეთის ხალხს თუნდაც ერთხელ რომ კარგად ესწავლებინა ჭკუა მთავრობისათვის. იმის ნაცვლად, რომ მიუთითოთ «საშინელ მსხვერპლზე», რომელიც შეუწირავს ხალხს აბსოლუტიზმისათვის და ახლაც სწირავს, აღძრათ მასში სიძულვილი და აღშფოთება, გაუღვივოთ მას ბრძოლის ჟინი და მისთვის მზადყოფნის სურვილი, — ამის ნაცვლად თქვენ მიუთითებთ მ ო მ ა ვ ა ლ მსხვერპლზე, რათა დააშინოთ და ხელი ააღებინოთ ბრძოლაზე. ეჰ, ბატონებო! უმჯობესია სრულიად დაანებოთ თავი «რევოლუციურ ქარტეხილზე» მსჯელობას, ვიდრე ასეთი ფინალით გააფუჭოთ ეს მსჯელობა. «დიადი ამბების» კ ე თ ე ბ ა თქვენ, ცხადია, არა გსურთ, თქვენ გინდათ მხოლოდ ილაპარაკოთ «დიადი ამბების აჩრდილზე», და ისიც ილაპარაკოთ მხოლოდ «ტახტთან დაახლოებულ პირებთან».

აჩრდილებთან და აჩრდილებზე ამგვარი ლაპარაკით აღსავსეა, როგორც ვიცით, ჩვენი ლეგალური პრესაც. ხოლო აჩრდილთათვის რეალობის მისაცემად მიღებულია მაგალითის სახით «დიდი რეფორმების» დამოწმება და მისთვის პირობითი სიცრუით სავსე ალილუიას გალობა. მწერალს, რომელიც ცენზურას ექვემდებარება, არ შეიძლება ზოგჯერ არ ეპატიოს ეს სიცრუე, ვინაიდან სხვაფრივ მას არ შეუძლია გამოხატოს თავისი მისწრაფება პოლიტიკური გარდაქმნისადმი. მაგრამ ბ-ნ რ. ნ. ს-ს ცენზურა არ ზღუდავდა. «დიდი რეფორმები —

წერს იგი — იმისათვის როდი იყო მონაფიქრები, რომ ბიუროკრატიას მეტი გამარჯვება მოეპოვებინა». ერთი ჩაუკვირდით, რაზომ მიკიბულ-მოკიბულია ეს აპოლოგეტური ფრაზა. ვის მიერ «მონაფიქრები»? გერცენის, ჩერნიშევსკის, უნკოვსკის და იმათ მიერ, ვინც მათ მიჰყვებოდნენ? მაგრამ ეს ხალხი გაცილებით იმაზე მეტს მოითხოვდა, რაც «რეფორმებმა» განახორციელა, და ამ მოთხოვნებისათვის მათ სდევნიდა მთავრობა, რომელიც «დიდ» რეფორმებს ატარებდა. — მთავრობის და იმათ მიერ, ვინც დიდების გალობით ბრმად მისდევდა მთავრობას, და უბღვერდა «ჩხუბისთავ ხალხს»? მაგრამ მთავრობამ ხომ არ დაზოგა არაფერი, რაც კი რამ შეეძლო თუ არ შეეძლო, რომ შეძლებისამებრ ნაკლები დაეთმო, რომ შეეკვეცა დემოკრატიული მოთხოვნები და შეეკვეცა სწორედ იმისათვის, რომ «ბიუროკრატიას მეტი გამარჯვება მოეპოვებინა». ბ-მა რ. ნ. ს-მ მშვენივრად იცის ყველა ეს ისტორიული ფაქტი, და მხოლოდ იმიტომ ჩქმალავს მათ, რომ ეს ფაქტები სავსებით აქარწყლებენ მის გულმოწყალე თეორიას თვითმპყრობელის შესაძლო «დაცხრომაზე». პოლიტიკაში დაცხრომას ადგილი არა აქვს, და მხოლოდ უსაზღვრო გულუბრყვილობას (როგორც წმიდა, ისე ცბიერ გულუბრყვილობას) შეუძლია დაცხრომად მიიღოს პოლიციის ძველისძველი ხერხი: divide et impera, გათიშე და იბატონე, დაუთმე უმნიშვნელო, რათა მნიშვნელოვანი შეინარჩუნო, მიეც მარცხენა ხელით და წაართვი მარჯვენით. «...ალექსანდრე II მთავრობა, როცა «დიდ რეფორმებზე» ფიქრობდა და ატარებდა მათ, იმავე დროს არ ისახავდა შეგნებულ მიზანს — რადაც უნდა დასჯდომოდა ყოველგვარი ლეგალური გზა გადაეჭრა რუსი ხალხისთვის პოლიტიკური თავისუფლებისაკენ, ამ თვალსაზრისით როდი უყურებდა ყოველ თავის ნაბიჯს, კანონის ყოველ მუხლს». ეს **არ არის მართალი.** ალექსანდრე II მთავრობა, მაშინაც, როცა რეფორმები «განიზრახა» და მაშინაც, როცა მათ ატარებდა, თავიდანვე სავსებით შეგნებულ მიზანს ისახავდა: არ დაეთმო მაშინვე განცხადებული პოლი-

ტიკური თავისუფლების მოთხოვნის საქმეში. ის თავიდანვე და სულ ბოლომდე ყოველგვარ ლეგალურ გზას ახშობდა თავისუფლებისაკენ, ვინაიდან თვით უბრალო შუამდგომლობებზე-დაც კი რეპრესიებით უპასუხებდა, ვინაიდან არასოდეს იმის ნებასაც კი არ იძლეოდა, რომ თავისუფლად მაინც ელაპარაკ-ნათ თავისუფლებაზე. ბ-ნ რ. ნ. ს-ს ქება-დიდების გასაბათი-ლებლად საკმაოა დავიმოწმოთ თუნდაც ჩვენ მიერ ზემოთ მოყ-ვანილი ფაქტები, რომლებიც ვიტეს «ბარათში» არის მოთხ-რობილი. ხოლო იმ პირებზე, რომლებისგანაც ალექსანდრე II მთავრობა შესდგებოდა, თვითონ ვიტე, მაგალითად, ასე ამ-ბობს: «საჭიროა აღინიშნოს, რომ 60-იანი წლების გამოჩე-ნილმა სახელმწიფო მოღვაწეებმა, რომელთა დიდებული სახე-ლები დარჩება მადლიერ შთამომავლობაშიც, თავის დროზე იმდენად დიდი საქმე გააკეთეს, რამდენიც საეჭვოა რომ მათ მემკვიდრეთ გაეკეთებინოთ, და იღვწოდნენ ჩვენი სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების გასაახლებლად თავიანთი გულწრფელი რწმენის მიხედვით, თავიანთი ხელმწიფისადმი უსაზღვრო ერთგულებით და არა წინააღმდეგ მის მისწრაფე-ბათა» («ბარათი», გვ. 67). აი, რაც მართალია — მართალია: გულწრფელი რწმენის მიხედვით, უსაზღვრო ერთგულებით პოლიციელთა ხროვის სათავეში მდგომი ხელმწიფისადმი...

ზემონათქვამის შემდეგ ჩვენ აღარ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ბ-ნი რ. ნ. ს. სულ მცირე რამეს იძლევა ყველაზე უფრო მნიშ-ვნელოვან საკითხზე — პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლაში ერობის როლის შესახებ. ერობის «პრაქტიკულ» და «კულტურულ» საქმეზე ჩვეულებრივ მითითებათა გარდა, ის გაკვრით აღნიშნავს მის «აღმზრდელობით-პოლიტიკურ მნიშვნელობას», ამბობს, რომ «ერობას პოლიტიკური მნიშ-ვნელობა აქვს», რომ ერობა, როგორც ამას ნათლად ხედავს ბ-ნი ვიტე, «საშიშია (არსებული წესწყობილებისათვის) მხო-ლოდ თავისი განვითარების ისტორიული ტენდენციის გამო — როგორც ჩანასახი კონსტიტუციისა». და ამ თითქოს შემთ-ხვევით წამოცდენილი შენიშვნების დასასრულს გალაშქრება

რევოლუციონერების წინააღმდეგ: «ჩვენ ბ-ნ ვიტეს ნაწარმოებს ვაფასებთ არა მარტო მისი სიმართლისთვის თვითმპყრობელობის შესახებ, არამედ აგრეთვე როგორც ძვირფას პოლიტიკურ ატესტატსაც, თვით ბიუროკრატიის მიერ მიცემულს ერობისთვის. ეს ატესტატი საუცხოო პასუხია ყველა ამათდამი, ვისაც პოლიტიკური განათლების ნაკლებობის გამო ან რევოლუციური ფრაზით (sic!) გატაცების გამო არ სურდა და არ სურს დაინახოს რუსეთის ერობის და მისი ლეგალური კულტურული მუშაობის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა». და მერე ვის გამოაჩნდა განათლების ნაკლებობა ან ფრაზით გატაცება? სად და როდის? ვის და რატომ არ ეთანხმება ბ-ნი რ. ნ. ს.? ამაზე პასუხი არა ჩანს, და ავტორის საქციელი არაფერს არ გვეუბნება გარდა იმისა, რომ ის გამსჭვალულია ანტიპათიით რევოლუციონერებისადმი, რაც ჩვენთვის ცნობილია სტატიის სხვა ადგილების მიხედვითაც. საქმის ვითარებას ოდნავადაც არ არკვევს კიდევ უფრო უცნაური შენიშვნა: «ამ სიტყვებით ჩვენ სრულიადაც არ გვინდა (?!) შეურაცხვყოთ რევოლუციური მოღვაწეები, რომლებშიც არ შეიძლება უწინარეს ყოვლისა არ დავაფასოთ ზნეობრივი სიმამაცე თვითნებობასთან ბრძოლაში». რატომ? რისთვისაა ეს საჭირო? რა კავშირია ზნეობრივ სიმამაცესა და ერობის დაუფასებლობას შორის? ბ-ნი რ. ნ. ს. თავის შესწორებით ჭეშმარიტად «ვაის გაეყარა და უის შეეყარა»: ჯერ რევოლუციონერები «შეურაცხჰყო» უსაბუთო და «ანონიმური» (ე. ი. ისეთი, რომ არავინ უწყის — ვის წინააღმდეგ არის მიმართული) ბრალდებით უმეცრებასა და ფრაზიორობაში, ხოლო ახლა კიდევ «შეურაცხჰყოფს» მათ ვარაუდით, რომ უმეცრების ბრალდების აბს ჩააყლაპვინებს, თუ მოშაქრავს მათი ზნეობრივი სიმამაცის აღიარებით. ბუნდოვანობის დასაგვირგვინებლად ბ-ნი რ. ნ. ს. თავისავე თავს ეწინააღმდეგება, როცა აცხადებს — თითქოს შეხმატკბილებული «რევოლუციური ფრაზით გატაცებულებთან», — რომ «თანამედროვე რუსეთის ერობა... არ არის პოლიტიკური მოვლენა, რომელ-

საც თავისი უშუალო ძალით შეეძლოს ვისიმე მონადირება ან ვისიმე შეშინება... ის ძლივს-ძლივობით იცავს თავის მცირე პოზიციას»... «ასეთი დაწესებულებანი (როგორც ერობა)... თავისთავად შეიძლება საფრთხეს წარმოადგენდეს ამ (თვითმპყრობელური) წყობილებისათვის მხოლოდ შორეულ მომავალში და ისიც მხოლოდ ქვეყნის მთელი კულტურის განვითარებასთან დაკავშირებით».

VI

შეეცადოთ გავერკვეთ ამ საკითხში, რომელზეც ასეთი გულისწყრომით და ასე უშინაარსოდ ლაპარაკობს ბ-ნი რ. ნ. ს. ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი ფაქტები ცხადჰყოფენ, რომ ერობის «პოლიტიკური მნიშვნელობა», ე. ი. მისი, როგორც პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლის ფაქტორის, მნიშვნელობა უმთავრესად შემდეგში მდგომარეობს. ჯერ-ერთი, ჩვენი მქონებელი კლასების (განსაკუთრებით მიწათმფლობელი თავადაზნაურობის) წარმომადგენელთა ეს ორგანიზაცია მუდამ უპირისპირებს წარმომადგენლობითს დაწესებულებებს ბიუროკრატიას, იწვევს დაუსრულებელ კონფლიქტებს მათ შორის, ყოველ ნაბიჯზე ააშკარავებს მეფის უპასუხისმგებლო მოხელეთა რეაქციულ ხასიათს, ხელს უწყობს უკმაყოფილებას და ასულდგმულებს ოპოზიციას თვითმპყრობელი მთავრობისადმი *. მეორე, ერობანი, მეხუთე ბორბლად შეჩრილნი ბიუროკრატიულ ურემში, ცდილობენ განამტკიცონ თავიანთი მდგომარეობა, გააფართოონ თავიანთი მნიშვნელობა, მიისწრაფიან — ხოლო, ვიტეს თქმით, «შეუგნებლად მიდიან» კიდევაც — კონსტიტუციისაკენ და შუამდგომლობებს ადგენენ ამის თაობაზე. ამიტომ ისინი უვარგისი მოკავშირენი არიან მთავრობისა მის ბრძოლაში რევოლუ-

* იხ. საკითხის ამ მხარის უაღრესად საფუძვლიანი განმარტება ჰ. ბ. აქსელროდის ბროშურაში: «ლიბერალური და სოციალისტური დემოკრატიის ისტორიული მდგომარეობა და ურთიერთდამოკიდებულება რუსეთში» (ჟენევა, 1898), განსაკუთრებით გვ. 5, 8, 11 — 12, 17 — 19.

ციონერებთან, მეგობრულ ნეიტრალიტეტს იცავენ რევოლუციონერებისადმი და მათ უწევენ თუმცა არაპირდაპირს, მაგრამ უეჭველ სამსახურს, კრიზისულ მომენტებში მერყეობა შეაქვთ რა მთავრობის რეპრესიულ ზომებში. რასაკვირველია, პოლიტიკური ბრძოლის არც «დიდი», არც საერთოდ რამდენადმე დამოუკიდებელი ფაქტორი არ შეიძლება დავინახოთ იმ დაწესებულებაში, რომელსაც უკეთეს შემთხვევაში აქამდე ეხერხებოდა მხოლოდ ლიბერალურ შუამდგომლობათა წარდგენა და მეგობრული ნეიტრალიტეტის დაცვა, მაგრამ ერთ-ერთი დ ა მ ხ მ ა რ ე ფაქტორის როლს ერობას მაინც ვერ წავართმევთ. ამ მხრივ ჩვენ მზადაც ვართ, თუ გნებავთ, ვაღიაროთ, რომ ერობა — კონსტიტუციის ნამცეცია. შესაძლოა, მკითხველმა სთქვას: მაშასადამე, თქვენ ეთანხმებით ბ-ნ რ. ნ. ს-ს, რომელიც ამის მეტს არც რას ამტკიცებს. სრულიადაც არა. ჩვენი უთანხმოებაც სწორედ აქ იწყება.

ერობა კონსტიტუციის ნამცეციაო. დაე აგრე იყოს. მაგრამ ეს სწორედ ისეთი ნამცეცია, რომლის საშუალებით რუსეთის «საზოგადოებას» ა შ ო რ ე ბ დ ნ ე ნ კონსტიტუციას. ეს სწორედ ისეთი, შედარებით მეტად მცირემნიშვნელოვანი, პოზიციაა, რომელიც თვითმპყრობელობამ დაუთმო მზარდ დემოკრატიზმს, რათა მთავარი პოზიციები შეენარჩუნებინა, დაექსაქსა და გაეთიშა ისინი, ვინც პოლიტიკურ გარდაქმნებს მოითხოვდა. ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ აღწევდნენ ამ გათიშვას ერობისადმი («კონსტიტუციის ჩანასახისადმი») «ნდობის» ნიადაგზე როგორც 60-იან წლებში, ისე კიდევ 1880—1881 წლებშიც. პოლიტიკური თავისუფლებისადმი ერობის დამოკიდებულების საკითხი არის კერძო შემთხვევა რევოლუციისადმი რეფორმების დამოკიდებულების ზოგადი საკითხისა. და ამ კერძო შემთხვევაზე ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ მთელი შეზღუდულობა და უაზრობა მოდაში შემოსული ბერნშტეინული თეორიისა, რომელიც რევოლუციურ ბრძოლას რეფორმებისთვის ბრძოლით სცვლის და რომელიც აცხადებს (მაგ., ბ-ნ ბერდიაევის პირით), რომ «პროგრესის

პრინციპია — რაც უკეთესია, მით უკეთესია». ეს პრინციპი, ზოგადი სახით, ისევე შემცდარია, როგორც მისი საწინააღმდეგო პრინციპი — რაც უარესია, მით უკეთესია. რევოლუციონერები, რა თქმა უნდა, არასოდეს არ იტყვიან უარს რეფორმებისთვის ბრძოლაზე, იმაზე, რომ ხელში ჩაიგდონ მტრის თუნდაც უმნიშვნელო და კერძო პოზიცია, თ უ კ ი ეს პოზიცია გააძლიერებს მათს იერიშს და გააადვილებს სრულ გამარჯვებას. მაგრამ ისინი ამასთანავე არასდროს არ დაივიწყებენ, რომ არის ხოლმე შემთხვევები, როცა ამა თუ იმ პოზიციას განზრახ თმობს მტერი, რათა გათიშოს მომხდურნი და უფრო ადვილად დაამარცხოს. ისინი არასოდეს არ დაივიწყებენ, რომ მოძრაობის აცდენა ყალბი ნაბიჯებისა და სამარცხვინო შეცდომებისაგან მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ მუდამ მხედველობაში ექნებათ «საბოლოო მიზანი» და «მოძრაობის» თვითეულ ნაბიჯს და თვითეულ ცალკე რეფორმას შეაფასებენ საერთო რევოლუციური ბრძოლის თვალსაზრისით.

აი სწორედ საკითხის ეს მხარე — ერობის მნიშვნელობა, როგორც სანახევრო დათმობით თვითმპყრობელობის გ ა ნ მ ტ კ ი ც ე ბ ი ს იარაღისა, როგორც თვითმპყრობელობის მხარეზე ლიბერალური საზოგადოების განსაზღვრული ნაწილის მიზიდვის იარაღისა, — სრულიად ვერ გაიგო ბ-მა რ. ნ. ს-მ. მან ამჯობინა შეეთხზა დოქტრინიორული სქემა, რომელიც პირდაპირი ხაზით აკავშირებს ერობას და კონსტიტუციას «ფორმულის» მიხედვით: რაც უკეთესია, მით უკეთესია. «თუ თქვენ ჯერ ერობას მოსპობთ რუსეთში, — ამბობს ის, მიმართავს რა ვიტეს, — ხოლო შემდეგ პიროვნების უფლებას გააფართოებთ, თქვენ ხელიდან გაუშვებთ საუკეთესო შემთხვევას ქვეყანას მისცეთ ზომიერი კონსტიტუცია, ისტორიულად წარმოშობილი წოდებრივი ელფერის ადგილობრივი თვითმმართველობის ნიადაგზე. კონსერვატიზმის საქმეს ყოველ შემთხვევაში თქვენ მეტად ცუდ სამსახურს გაუწევთ». რა მოხდენილი და ლამაზი კონცეფციაა! წოდებრივი ელფე-

რის ადგილობრივი თვითმმართველობა — ბრძენი კონსერვატორი, ტახტთან დაახლოებული, — ზომიერი კონსტიტუცია. სავალალოა მხოლოდ, რომ სინამდვილეში ბრძენ კონსერვატორებს არა ერთხელ ჰქონიათ ერობის წყალობით «საუკეთესო შემთხვევა» არ «მიეცათ» ქვეყნისთვის კონსტიტუცია.

ბ-ნ რ. ნ. ს-ს მშვიდობიანმა «კონცეფციამ» თავი იჩინა მისი ლოზუნგის ფორმულირებაშიც, ლოზუნგის, რომლითაც ის ამთავრებს სტატიას და რომელიც დაბეჭდილია — სწორედ როგორც ლოზუნგი — ცალკე სტრიქონად და ხაზგასმით: «უფლებები და ძალაუფლებიანი სრულიად რუსეთის ერობა!» აშკარად უნდა აღვიაროთ, რომ ეს ისეთივე არასაკადრისი ლაქუცია რუსეთის ლიბერალთა ფართო მასების პოლიტიკურ ცრურწმენასთან, როგორც «რაბოჩაია მისლის» მხრივ ჩვენ ვხედავთ მუშათა ფართო მასების პოლიტიკურ ცრურწმენასთან ლაქუცს. ჩვენ ვალდებული ვართ გავილაშქროთ ასეთი ლაქუცის წინააღმდეგ როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში. ეს ცრურწმენაა, თითქოს ალექსანდრე II მთავრობას არ გადაუჭრია ლეგალური გზა თავისუფლებისაკენ, — თითქოს ერობის არსებობა წარმოადგენს ქვეყნისთვის ზომიერი კონსტიტუციის მიცემის საუკეთესო შემთხვევას, — თითქოს კონსტიტუციური მოძრაობის დროშად მაინც — რევოლუციურ მოძრაობას ვინღა სჩივის — შეიძლება გამოდგეს ლოზუნგი: «უფლებები და ძალაუფლებიანი ერობა». ეს ის დროშა როდია, რომელიც ხელს უწყობს მტრებისა და მოკავშირეების ერთმანეთისაგან გარჩევას, წარმართავს მოძრაობას და ხელმძღვანელობს მას, ეს ჩვარია, რომელიც მხოლოდ იმისთვის გამოდგება, რომ ხელს შეუწყობს ფრიად არასაიმედო პირთ მიეტმასნონ მოძრაობას, ხოლო მთავრობას გაუადვილებს ერთხელ კიდევ სცადოს იოლად წავიდეს მაღალფარდოვანი დაპირებებით და ნახევრული რეფორმებით. დიახ, საჭირო არ არის წინასწარმეტყველი იყო, რომ იწინასწარმეტყველო: მიაღწევს თუ არა ჩვენი რევოლუციური მოძრაობა თავის აპოგეას — გაათკეცდება ლიბერალური მღელ-

ვარება საზოგადოებაში — გაჩნდებიან მთავრობაში ახალი ლორის-მელიქოვები და იგნატიევები, რომლებიც თავიანთ დროშას წააწერენ: «უფლებები და ძალაუფლებიანი ერობა». ყოველ შემთხვევაში, რუსეთისათვის ეს იქნებოდა ყველაზე არახელსაყრელი, მთავრობისათვის — ყველაზე ხელსაყრელი გამოსავალი. თუ ლიბერალების ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ნაწილი ენდობა ამ დროშას, აედევნება მას და ზურგიდან თავს დაესხმის «ჩხუბისთავ»-რევოლუციონერებს, უკანასკნელნი შეიძლება განმარტოებულნი დარჩნენ და მთავრობაც შეეცდება უზრუნველჰყოს თავი მინიმალური დათმობებით, რომლებიც არ გასცილდება რაიმე სათათბირო და თავადაზნაურულ-არისტოკრატიულ კონსტიტუციას. ექნება თუ არა წარმატება ასეთს ცდას, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რით დამთავრდება გადამწყვეტი შეჯახება რევოლუციურ პროლეტარიატსა და მთავრობას შორის, — მაგრამ ლიბერალები რომ მოტყუებული დარჩებიან, ეს ყოველ ეჭვს გარეშეა. იმნაირი ლოზუნგის საშუალებით, რომელიც წამოყენებული აქვს ბ-ნ რ. ნ. ს-ს («ძალაუფლებიანი ერობა» ანუ «ზემშჩინა» და სხვ.), მთავრობა მათ ლეკვებივით გადაიბირებს რევოლუციონერებისაგან და, რაკი გადაიბირებს, წაავლებს ქეჩოში ხელს და კარგად გაშოლტავს ეგრეთწოდებული რეაქციის როზგებით. ჩვენ კი, ბატონებო, არ გავუშვებთ მაშინ შემთხვევას გითხრათ: ა ს ე ც გ ე კ ა დ რ ე ბ ა თ!

და მერე რის გულისთვის აყენებენ საბოლოო ლოზუნგად აბსოლუტიზმის მოსპობის მოთხოვნის ნაცვლად ამნაირ ზომიერ და წესიერ სურვილს? ჯერ-ერთი, ფილისტერული დოქტრინიორობისათვის, რომელსაც სურს «კონსერვატიზმს სამსახური» გაუწიოს და რომელსაც სწამს, თითქოს მთავრობას გული აუჩვილდება ასეთი ზომიერებისაგან და «დასცხრება» მის წინაშე. მეორეც, იმისათვის, რომ «გააერთიანოს ლიბერალები». მართლაც, ლოზუნგი: «უფლებები და ძალაუფლებიანი ერობა» გააერთიანებს, თუ გნებავთ, ყ ვ ე ლ ა ლიბერალს, — ისევე, როგორც ლოზუნგი — «კაპიკი მანეთ-

ზე» გააერთიანებს («ეკონომისტების» აზრით) ყველა მუშას. მაგრამ ასეთი გაერთიანება წაგება ხომ არ იქნება ნაცვლად მოგებისა? გაერთიანება პლუსია, როცა მას გაერთიანების მსურველნი აჰყავს გამაერთიანებლის შეგნებული და გადამწყვეტი პროგრამის დონემდე. გაერთიანება მინუსია, როცა ის გამაერთიანებელთ აქვეითებს მასის ცრურწმენათა დონემდე. ხოლო რუს ლიბერალთა მასაში უეჭველად მეტისმეტად გავრცელებულია ის ცრურწმენა, — თითქოს ერობა ჭეშმარიტად «კონსტიტუციის ჩანასახი» * იყოს, და მხოლოდ შემთხვევით, ვინმე უზნეო მედროვეთა ზრახვებით იყოს შე-

* იმ საკითხზე, თუ რას უნდა მოველოდეთ ერობისგან, ინტერესს მოკლებული არ არის თავად პ. ვ. დოლგორუკოვის შემდეგი აზრები მისი «ლისტოკიდან», რომელიც გამოდიოდა 60-იან წლებში (ბურცევი, დასახ. თხზ., გვ. 64 — 67): «როცა ერობის დაწესებულებათა ძირითად დებულებებს ვიხილავთ, ჩვენ კვლავ ვხედავთ მთავრობის იმავე, ფარულ, მაგრამ შუდამ გამოვლინებისაკენ მიმსწრაფველ აზრს — გაბრუება გამოიწვიოს თავისი ვითომდა დიდსულოვნობით; მთელს ქვეყანას ამცნოს: «აი, რამდენი სიკეთე გიბოძეო!» ნამდვილად კი ცდილობს რაც შეიძლება ნაკლები მისცეს და რაც შეიძლება ნაკლების მიცემისას შეეცადოს დაბრკოლებაც შეუქმნას, რომ ვერ შესძლონ იმის საკუთარი გამოყენებაც, რაც ნაბოძებია... ამჟამად, თვითმპყრობელური წესწყობილების დროს, ერობის დაწესებულებანი სარგებლობას ვერ მოიტანენ და არც შეუძლიათ მოიტანონ, მათ არ ექნებათ მნიშვნელობა და არც შეიძლება ჰქონდეთ, მაგრამ ისინი მდიდარნი არიან ნაყოფიერი განვითარების ჩანასახებით მომავალში... ახალ საერობო დაწესებულებებს, ალბათ, ბედისაგან უწერიათ საფუძვლად დაედონ მომავალ კონსტიტუციურ წესწყობილებას რუსეთში... მაგრამ რუსეთში კონსტიტუციური მართვა-გამგეობის შემოღებამდე, სანამ თვითმპყრობელობა არსებობს, სანამ არ არსებობს ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება, ერობის დაწესებულებებს უწერიათ პოლიტიკური აჩრდილი, ერობის ხმოსანთა უტყვი ყრილობა იყონ». ამრიგად, დოლგორუკოვი მაშინაც-კი, 60-იანი წლების ამბების დროს, არ ეძლეოდა გადაჭარბებულ ოპტიმიზმს. მას შემდეგ კი 40 წელმა ბევრი რამ გვასწავლა და დაგვანახვა, რომ ერობებს «ბედი» (ხოლო რამდენადმე მთავრობაც) აკისრებდა საფუძვლად დასდებოდნენ მთელ რიგ ღონისძიებებს კონსტიტუციონალისტების გასაბრუებლად.

ჩერებული მისი «ბუნებრივი» მშვიდობიანი და თანდათანი ზრდა, — რომ საკმარისია რამდენიმე შუამდგომლობა თვითმპყრობელის «დასამშვიდებლად», — რომ ლეგალურ კულტურულ მუშაობას საერთოდ და საერობოს კერძოდ «დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა» აქვს, რადგან ათავისუფლებს იმათ, ვინც სიტყვიერად მტრობს თვითმპყრობელობას, მოვალეობისაგან აქტიურად შეუწყოს ხელი, ამა თუ იმ სახით, რევოლუციურ ბრძოლას თვითმპყრობელობასთან, და სხვ. და ა. შ. ლიბერალების გაერთიანება უთუოდ სასარგებლო და სასურველი საქმეა, მაგრამ მხოლოდ ისეთი გაერთიანება, რომელიც მიზნად ისახავს ბრძოლას დახავსებულ ცრურწმენათა წინააღმდეგ და არა მათთან თამაშს, ჩვენი პოლიტიკური განვითარების (უკეთ: განუვითარებლობის) საშუალო დონის ამაღლებას და არა მის სანქციას, — ერთი სიტყვით, გაერთიანება არალეგალური ბრძოლისთვის ხელის შესაწყობად და არა ლეგალური მოღვაწეობის დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობაზე ოპორტუნისტული ფრაზიორობისათვის. თუ შეუძლებელია გამართლებულ იქნას წამოყენება მუშების წინაშე პოლიტიკური ლოზუნგისა: «გაფიცვათა თავისუფლება» და სხვ., სწორედ ასევე შეუძლებელია გამართლებულ იქნას წამოყენება ლიბერალების წინაშე ლოზუნგისა: «ძალაუფლებიანი ერობა». თ ვ ი თ მ პ ყ რ ო ბ ე ლ ო ბ ი ს დ რ ო ს ყოველგვარი ერობა, თუნდაც უაღრესად «ძალაუფლებიანი», აუცილებლად მახინჯი იქნება, განვითარების უნარს მოკლებული, ხოლო კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი ი ს დ რ ო ს ერობა ერთბაშად დაჰკარგავს თავის თანამედროვე «პოლიტიკურ» მნიშვნელობას.

ლიბერალების გაერთიანება ორი სახით შეიძლება: დამოუკიდებელი ლიბერალური (არალეგალური, რასაკვირველია) პარტიის შექმნით და რევოლუციონერებისთვის ლიბერალების მხრივ ხელშეწყობის ორგანიზებით. ბ-ნი რ. ნ. ს. თვითონვე მიუთითებს პირველ შესაძლებლობაზე, მაგრამ... თუ ამ მითითებას აღვიარებთ ლიბერალიზმის მოლოდინთა და

იმედთა ნამდვილ გამოხატულებად, ეს მითითებანი მაინცადამაინც დიდ ოპტიმიზმს ვერ გვინერგავენ. «უერობოდ — წერს ის — ერობის ლიბერალები იძულებული იქნებიან შეჰქმნან ლიბერალური პარტია ან მათ, როგორც დარაზმულმა ძალამ, უნდა დასტოვონ ისტორიული ასპარეზი. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ლიბერალების დარაზმვა არალეგალურ, თუნდაც თავისი პროგრამით და ხერხებით მეტად ზომიერ პარტიად, ერობის გაუქმების აუცილებელი შედეგი იქნება». თუ ეს მხოლოდ ერობის «გაუქმების» შედეგი იქნება, ამის ლოდინი დიდხანს დაგვჭირდება, ვინაიდან თვით ვიტესაც კი არ სურს ერობის გაუქმება, რუსეთის მთავრობა კი საერთოდ დიდად ზრუნავს გარეგნობა დაიცვას შინაარსის სრულიად გამოცლის დროსაც. ლიბერალების პარტია რომ მეტად ზომიერი იქნება, — ეს სავსებით ბუნებრივია, და ბურჟუაზიის წრეებში არსებული მოძრაობისაგან (მხოლოდ ასეთ მოძრაობას შეიძლება დაეყრდნოს ლიბერალური პარტია) სხვა რასმე არც უნდა მოველოდეთ. მაგრამ მაინც რაში უნდა მდგომარეობდეს ამ პარტიის მუშაობა, მისი «ხერხები»? ბ-ნი რ. ნ. ს. არ განმარტავს ამას. «თავისთავად — ამბობს ის — არალეგალურ ლიბერალურ პარტიას, როგორც ორგანიზაციას, შემდგარს ყველაზე მეტად ზომიერი და ყველაზე ნაკლებად მოძრავი ოპოზიციური ელემენტებისაგან, არ შეუძლია განავითაროს არც მაინცადამაინც ფართო და არც მაინცადამაინც ინტენსიური მუშაობა»... ჩვენ ვფიქრობთ, რომ გარკვეულ სფეროში, თუნდაც ადგილობრივი და უმთავრესად ერობის ინტერესების ფარგლებით შეზღუდულში, ლიბერალურ პარტიას სავსებით შეეძლო განევითარებინა როგორც ფართო, ისე ინტენსიური მუშაობა — მაგ., ვთქვათ, პოლიტიკურ მხილებათა ორგანიზაცია... «მაგრამ როცა ასეთ მუშაობას ეწევიან სხვა პარტიები, განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატიული ანუ მუშათა პარტია, ლიბერალური პარტია — კიდევაც რომ პირდაპირ არ შეუთანხმდეს სოციალ-დემოკრატებს — შეიძლება მეტად სერიოზული ფაქტორი გახდეს»... სრულიად სა-

მართლიანია, და მკითხველიც ბუნებრივად მოელის, რომ ავტორმა თუნდაც მეტად ზოგადად დასახოს ამ «ფაქტორის» მუშაობა. მაგრამ ბ-ნი რ. ნ. ს. ამის ნაცვლად გვისურათებს რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ზრდას და ამთავრებს: «როცა ადგილი აქვს მკვეთრ პოლიტიკურ მოძრაობას... თუნდაც ოდნავ დარაზმულ ლიბერალურ ოპოზიციას დიდი პოლიტიკური როლი შეუძლია შეასრულოს: ზომიერი პარტიები, თუ მოხერხებულ ტაქტიკას ადგანან, ყოველთვის მოიგებენ ხოლმე უკიდურეს საზოგადოებრივ ელემენტებს შორის გამწვავებული ბრძოლით»... და მეტი არაფერი! «ფაქტორის» (რომელმაც უკვე მოასწრო პარტიიდან «ოპოზიციად» გადაქცევა) «როლი» იმაში მდგომარეობს, რომ «მოიგოს» ბრძოლის გამწვავებით. ბრძოლაში ლიბერალების მონაწილეობაზე კრინტიც არ არის დაძრული, ლიბერალების მოგება კი ნახსენებია. წამოცდენა, შეიძლება ითქვას, პროვიდენციულია...

რუსეთის სოციალ-დემოკრატებს ყოველთვის ჰქონდათ მხედველობაში, რომ პოლიტიკური თავისუფლება, რომლისთვისაც ისინი უწინარეს ყოვლისა იბრძვიან, სარგებლობას მოუტანს უ წ ი ნ ა რ ე ს ყ ო ვ ლ ი ს ა ბურჟუაზიას. მაგრამ ამის გამო თვითმპყრობელობასთან ბრძოლის წინააღმდეგ ამხედრება შეუძლია მხოლოდ ისეთ სოციალისტს, რომელიც ჩაფლულა უტოპიზმის ან რეაქციული ნაროდნიკობის უცუდეს ცრურწმენაში. ბურჟუაზია ისარგებლებს თავისუფლებით, რათა განცხრომას მიეცეს, — პროლეტარიატს აუცილებლად ესაჭიროება თავისუფლება, რათა ფართოდ გაშალოს თავისი ბრძოლა სოციალიზმისათვის. და სოციალ-დემოკრატია განუხრელად განაგრძობს ამ გამათავისუფლებელ ბრძოლას, რანაირიც უნდა იყოს ბურჟუაზიის ამა თუ იმ ფენების დამოკიდებულება ამ ბრძოლისადმი. პოლიტიკური ბრძოლის გულისთვის ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ ყოველგვარ ოპოზიციას თვითმპყრობელობის უღლის წინააღმდეგ, რა საბაბით და საზოგადოების რომელ ფენაშიც უნდა იჩინოს თავი ასეთმა ოპოზიციამ. ამიტომ ჩვენთვის სრულებითაც არ

არის ინტერესს მოკლებული ოპოზიცია ჩვენი ლიბერალური ბურჟუაზიისა საზოგადოდ და ჩვენი ერობელებისა კერძოდ. შესძლებენ ლიბერალები არალეგალურ პარტიად დარაზმვას, — მით უკეთესი, ჩვენ მივესალმებით პოლიტიკური თვითშეგნების ზრდას მქონებელთა კლასებში, ჩვენ მხარს დავუჭერთ მათს მოთხოვნებს, შევეცდებით, რომ ლიბერალებისა და სოციალ-დემოკრატების მუშაობამ ერთმანეთი შეავსოს *. ვერ შესძლებენ — ჩვენ ამ (უფრო მოსალოდნელ) შემთხვევაშიც არ «ჩავიქნევთ ხელს» ლიბერალებზე, ჩვენ შევეცდებით განვამტკიცოთ კავშირი ცალკეულ პირებთან, გავაცნოთ მათ ჩვენი მოძრაობა, ხელი შევუწყოთ მათ მთავრობის ყველა და ყოველგვარი სისაძაგლისა და ადგილობრივ ხელისუფალთა ყოველგვარი ოინების გამომზეურებით მუშათა პრესაში, მივიზიდოთ ისინი, რომ მხარი დაუჭირონ რევოლუციონერებს. ამგვარი ურთიერთდახმარება ახლაც წარმოებს ლიბერალებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის, საჭიროა მხოლოდ ამის გაფართოება და განმტკიცება. და თუმცა ასეთი ურთიერთდახმარებისათვის მუდამ მზადა ვართ, ჩვენ არასდროს და არავითარ შემთხვევაში ხელს არ ავიღებთ თავგამოდებულ ბრძოლაზე იმ ილუზიებთან, რომელიც ასე გავრცელებულია პოლიტიკურად განუვითარებელ რუს საზოგადოებაში საერთოდ და რუს ლიბერალურ საზოგადოებაში კერძოდ. არსებითად ჩვენ შეგვიძლია, 1848 წლის რევოლუციის შესახებ მარქსის ცნობილი ნათქვამის მიხედვით, რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაზეც ვთქვათ, რომ მის პროგრესს წარმოადგენს არა

* ამ სტრიქონების დამწერს ოთხი წლის წინათ «ნაროდნოე პრავოს» პარტიის გამო შემთხვევა ჰქონდა მიეთითებინა, რომ ლიბერალური პარტია სასარგებლოა. იხ. «რუსი სოციალ-დემოკრატების ამოცანები» (ჟენევა, 1898): «...მაგრამ თუკი («ნაროდნოე პრავოს») ამ პარტიაში მოიპოვებიან არა სამასკარადო, არამედ ნამდვილი არა-სოციალისტი პოლიტიკოსები, არა-სოციალისტი დემოკრატები, — მაშინ ამ პარტიას შეუძლია დიდი სარგებლობის მოტანა ჩვენი ბურჟუაზიის პოლიტიკურ ოპოზიციურ ელემენტებთან დაახლოების ცდით...» (გვ. 26). (იხ. თხზულებანი, გამ. მე-4, ტომი 2, გვ. 425. რ ე დ.)

რაიმე დადებით შენაძენთა მოპოვება, არამედ მავნე ილუ-ზიებისაგან განთავისუფლება[31]. ჩვენ განვთავისუფლდით ანარქიზმისა და ნაროდნიკული სოციალიზმის ილუზიებისაგან, პოლიტიკის უგულებელყოფისაგან, რუსეთის თავისთავადი განვითარების რწმენისაგან, იმ რწმენისაგან, რომ ხალხი მზად არის რევოლუციისათვის, ძალაუფლების დაპყრობისა და თვითმპყრობელობასთან გმირული ინტელიგენციის ორთა ბრძოლის თეორიისაგან.

დროა ჩვენმა ლიბერალებმაც დააღწიონ თავი თეორიულად თითქოს სრულიად უბადრუკ და პრაქტიკულად მეტად ცხო-ველმყოფელ ილუზიას, ვითომც კიდევ შესაძლებელია პარლა-მენტიორობა რუსეთის თვითმპყრობელობასთან, ვითომც რომელიმე ერობა კონსტიტუციის ჩანასახს წარმოადგენდეს, ვითომც კონსტიტუციის გულწრფელ მომხრეებს შეეძლოთ თავიანთი ჰანიბალის ფიცის შესრულება გულმოდგინე ლე-გალური მუშაობით და გულმოდგინე მოწოდებით მტრისადმი, რომ დასცხრეს იგი.

საგულისხმო ალიარება

მუშათა მღელვარებაზე ამ უკანასკნელ დროს კვლავ ყველგან გაძლიერებით ალაპარაკდნენ. შეშფოთდნენ მმართველი სფეროებიც, და ძალიანაც შეშფოთდნენ: ეს იქიდანაც ჩანს, რომ საჭიროდ სცნეს «დაესაჯათ» ერთი კვირის მანძილზე შეჩერებით ისეთი არქიკეთილგანმზრახველი, ხელისუფალთა მუდამ მაამებელი გაზეთი, როგორიც არის «ნოვოე ვრემია»[82] 9051 ნომერში (11 მაისის თარიღით) მოთავსებული სტატიისათვის «მუშათა არეულობის გამო». დასჯა გამოიწვია, რა თქმა უნდა, არა სტატიის შინაარსმა, რომელიც აღსავსეა უაღრესად კეთილი გრძნობებით მთავრობის მიმართ, უგულწრფელესი მზრუნველობით მის ინტერესებზე. საშიშრად იცნეს ყოველგვარი განსჯა-განხილვა ამ «საზოგადოების ამაღელვებელი» ამბებისა, ყოველგვარი ხსენებაც კი ამ ამბების გავრცელებისა და დიდმნიშვნელოვანებისა. ჩვენს მიერ ქვემოთ მოყვანილი საიდუმლო ცირკულარი (11 მაისის თარიღითვე)[83] იმაზე, რომ სტატიების ბეჭდვა არეულობათა შესახებ ჩვენს ფაბრიკებსა და ქარხნებში, მეპატრონეებისადმი მუშების დამოკიდებულების შესახებ შ ე ი ძ ლ ე ბ ა მ ხ ო ლ ო დ პ ო ლ ი ც ი ი ს დ ე პ ა რ ტ ა მ ე ნ ტ ი ს ნ ე ბ ა რ თ ვ ი თ, ყოველგვარ მსჯელობაზე უკეთ ამტკიცებს, თუ რამდენად დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის ამბებად მიაჩნია თვით მთავრობას მუშათა მღელვარება. და «ნოვოე ვრემიას» სტატიაც განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს სწორედ იმიტომ, რომ მასში დასახულია მთელი სახელმწიფოებრივი პროგრამა, რომელიც, არსებითად, მთლიანად იმისკენ არის მიმართული,

რომ ჩააქროს უკმაყოფილება რამდენიმე წვრილმანი და ნაწილობრივ ყალბი საბოძვარის გაცემით, რასაც თან ერთვის დიდი ხმაური მზრუნველობასა და გულშემატკივრობაზე და სხვ. და რაც საბაბს იძლევა გააძლიერონ მოხელეთა მეთვალყურეობა. მაგრამ არა ეს ახალი პროგრამაა, შეიძლება ითქვას, თანამედროვე სახელმწიფოს მესვეურთა «უკიდურესი» სიბრძნის განსახიერება და ისიც არა მარტო რუსეთში, არამედ დასავლეთშიც: იმ საზოგადოებაში, რომელიც დაფუძნებულია კერძო საკუთრებაზე, ერთი მუჭა მდიდრებისადმი მრავალ მილიონ ღარიბ-ღატაკთა დამონებაზე, მთავრობას არ შეუძლია არ იყოს ექსპლოატატორთა უერთგულესი მეგობარი და მოკავშირე, მათი ბატონობის უერთგულესი დარაჯი. ხოლო საიმედო დარაჯი რომ იყო, ამისათვის ჩვენს დროში არ კმარა მხოლოდ ზარბაზანი, ხიშტი და მათრახი: საჭიროა აგრეთვე ჩააგონო ექსპლოატირებულთ, რომ მთავრობა კლასებზე მაღლა დგას, რომ ის ემსახურება არა თავადაზნაურთა და ბურჟუაზიის ინტერესებს, არამედ სამართლიანობის ინტერესებს, რომ ის ზრუნავს მდიდართა და ძლიერთაგან სუსტთა და ღარიბთა დაცვაზე და სხვ. ნაპოლეონ III საფრანგეთში, ბისმარკმა და ვილჰელმ II გერმანიაში მცირე ჯაფა როდი გასწიეს მუშების ასე გასაბიაბრუებლად. მაგრამ ევროპაში, სადაც ცოტად თუ ბევრად თავისუფალი ბეჭდვითი სიტყვა და სახალხო წარმომადგენლობა, საარჩევნო ბრძოლა და ჩამოყალიბებული პოლიტიკური პარტიები არსებობს, ყველა ასეთ ფარისევლურ ხრიკს ძალიან სწრაფად ამხილებდნენ ხოლმე. აზიაში, და მის შორის რუსეთშიც, ხალხის მასები ისე დაბეჩავებული და უმეცარია, ისე ძლიერია ცრურწმენანი, რომლებიც მტკიცე რწმენას უნერგავენ ხალხს მამა-მეფისადმი, რომ ამგვარ ხრიკებს დიდი გასავალი აქვს. და აი, იმის ერთ-ერთი მეტად დამახასიათებელი ნიშანი, რომ რუსეთშიც შემოდის ეს ევროპული სულისკვეთება, არის ასეთი პოლიტიკის წ ა რ უ მ ა ტ ე ბ ლ ო ბ ა უკანასკნელი 10 — 12 წლის განმავლობაში. ასეთ პოლიტიკას

მიმართავდნენ მრავალჯერ, და ყოველთვის ირკვეოდა, რომ მუშების შესახებ რომელიმე ასეთი «მზრუნველობითი» (ვითომცდა მზრუნველობითი) კანონის გამოცემის რამდენიმე წლის შემდეგ ისევ წინანდელი მდგომარეობა მყარდებოდა — იზრდებოდა უკმაყოფილო მუშების რიცხვი, იზრდებოდა შფოთი, ძლიერდებოდა მღელვარება — ისევ დიდი ამბითა და ხმაურით იწყება «მზრუნველობითი» პოლიტიკა, ჰქუხს ბრწყინვალე ფრაზები მუშებზე გულითადი ზრუნვის შესახებ, იცემა რაიმე კანონი, რომელშიც მუშების სასარგებლო რამ ერთი უზალთუნისა ძლივს იქნება, ხოლო ცარიელი და ყალბი სიტყვები — მანეთისას სჭარბობს, — და რამდენიმე წლის შემდეგ მეორდება ძველი ისტორია. მთავრობა ჯარასავით ტრიალებს, ჭაპანწყვეტაშია, რომ როგორმე ხან აქ, ხან იქ პირი დაუცოს მუშების უკმაყოფილებას რაიმე ჩვრის ჩაჩრით, — მაგრამ უკმაყოფილება სხვა ადგილას იჩენს თავს კიდევ უფრო მეტი ძლიერებით.

მართლაც, მოიგონეთ უმთავრესი მომენტები, რომლებიც რუსეთის «მუშათა კანონმდებლობის» ისტორიას აღნიშნავენ. 70-იანი წლების დამლევს ხდება უდიდესი გაფიცვები პეტერბურგში, სოციალისტები ცდილობენ ისარგებლონ შემთხვევით აგიტაციის გასაძლიერებლად. ალექსანდრე III თავის ეგრეთწოდებულ «სახალხო» (ხოლო სინამდვილეში თავადაზნაურულ-პოლიციურ) პოლიტიკაში შეაქვს საფაბრიკო კანონმდებლობა. 1882 წელს არსდება საფაბრიკო ინსპექცია, რომელიც პირველად თავის ანგარიშებსაც კი აქვეყნებდა. მთავრობას, რა თქმა უნდა, ეს ანგარიშები არ მოეწონა და შესწყვიტა მათი ბეჭდვა. საფაბრიკო ზედამხედველობის კანონები მართლაც რომ ჩვარი აღმოჩნდა. დგება 1884 — 1885 წელი. სამრეწველო კრიზისი იწვევს მუშების უდიდეს მოძრაობას და მთელ რიგ უაღრესად მძაფრ გაფიცვებს ცენტრალურ რაიონში (განსაკუთრებით შესანიშნავია გაფიცვა მოროზოვის ფაბრიკებში). კვლავ აყენებენ «მზრუნველობის» პოლიტიკას, — ამხანად განსაკუთრებული ძალით წამოაყენა ასეთი პოლიტიკა კატ-

კოვმა «მოსკოვსკიე ვედომოსტში» [34]. კატკოვი ცოფებსა ჰყრის იმის გამო, რომ მოროზოვის გაფიცულები ნაფიც მსაჯულთა სამართალში მისცეს, ის ასახელებს ას ერთ კითხვას, რომელიც სასამართლომ ნაფიც მსაჯულებს დაუყენა გადასაწყვეტად, — «ას ერთი მისასალმებელი გასროლა რუსეთში წამოჭრილ მუშათა საკითხის პატივსაცემად», მაგრამ ამავე დროს ის მოითხოვს, რომ «სახელმწიფო» გამოესარჩლოს მუშებს, აკრძალოს ის საძაგელი ჯარიმები, რომლებმაც მოთმინებიდან გამოიყვანეს, ბოლოს და ბოლოს, მოროზოვის ფეიქრები. გამოდის 1886 წლის კანონი, რომელიც დიდად აძლიერებს საფაბრიკო ზედამხედველობას და კრძალავს თვითნებურ ჯარიმებს მეფაბრიკის სასარგებლოდ. გავიდა ათი წელიწადი, — და მუშათა მღელვარებამ ხელახლა იფეთქა. 1895 წლის გაფიცვები და განსაკუთრებით 1896 წლის უზარმაზარი გაფიცვა შიშის ზარსა სცემს მთავრობას (განსაკუთრებით იმიტომ, რომ ახლა უკვე მუშებთან ერთად ხელიხელ-ჩაკიდებული სისტემატურად მოქმედებენ სოციალ-დემოკრატები), და მთავრობაც მანამდე გაუგონარი სისწრაფით სცემს «მზრუნველობის» კანონს (1897 წ. 2 ივნისს) სამუშაო დღის შემცირების შესახებ; კომისიაში, სადაც ეს კანონი ირჩეოდა, შინაგან საქმეთა სამინისტროს მოხელეები, და მათ შორის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი, რაც ძალი და ღონე აქვთ გაჰკივიან: საჭიროა, რომ ფაბრიკის მუშები მთავრობის სახით ხედავდნენ მუდმივ დამცველს, სამართლიანსა და გულკეთილ მფარველსო (იხ. ბროშურა: «1897 წლის 2 ივნისის კანონის საიდუმლო დოკუმენტები» [35]). ხოლო ეს მზრუნველობითი კანონი იმავე დროს ჩუმად ყოველნაირად იკვეცება და უქმდება იმავე მთავრობის ცირკულარებით. დგება ახალი სამრეწველო კრიზისი, — მუშები მეასედ რწმუნდებიან, რომ პოლიციური მთავრობის არავითარ «მზრუნველობას» არ ძალუძს სერიოზულად შეამსუბუქოს მათი მდგომარეობა და მოუპოვოს მათ თავიანთ თავზე ზრუნვის თავისუფლება, — ახალი მღელვარებანი და შეტაკებები ქუჩებში,—მთავრობის ახალი წუხილი, —

პოლიციელთა ახალი სიტყვები «სახელმწიფოებრივი მზრუნ-ველობის» შესახებ, ამჯერად წარმოთქმული გაზეთ «ნოვოე ვრემიაში». ნეტავი ალარ მოგბეზრდებათ, ბატონებო, ეს წყლის ნაყვა?

არა, მთავრობას, რა თქმა უნდა, არასოდეს არ მობეზრდება გაიმეოროს თავისი ცდები — შეურიგებელი მუშების დაშინებისა და რაიმე წყალობის ბოძებით იმათი გადაბირებისა, ვინც უფრო მოისუსტებს, მოიბრიყვებს და მოილაჩრებს. მაგრამ ჩვენც არასოდეს არ მოგვბეზრდება ვამხილოთ ამ ცდების ჭეშმარიტი აზრი, ვამხილოთ ის «სახელმწიფოს» მესვეურნი, რომლებიც დღეს გაჰკივიან მზრუნველობაზე, მას შემდეგ რაც გუშინ უბრძანებდნენ ჯარისკაცებს — ესროლეთ მუშებსო. — გუშინ ლაპარაკობდნენ თავიანთ სამართლიანობასა და მუშების მფარველობაზე, დღეს კი იჭერენ და იჭერენ საუკეთესო ადამიანებს როგორც მუშების, ისე ინტელიგენტების წრიდან, რათა პოლიცია გაუსამართლებლად გაუსწორდეს მათ. ამიტომ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ «ნოვოე ვრემიას» «სახელმწიფო პროგრამაზე» წინდაწინ, სანამ გამოტყვრებოდეს კიდევ რაიმე ახალი «მზრუნველობითი» კანონი. გარდა ამისა, ყურადღების ღირსია ისიც, რასაც აღიარებს ჩვენი შინაური პოლიტიკის დარგში ასეთი «ავტორიტეტული» ორგანო.

«ნოვოე ვრემია» იძულებულია აღიაროს, რომ «სამწუხარო მოვლენები მუშათა საკითხის სფეროში» — შემთხვევითი არ არის. რა თქმა უნდა, აქ დამნაშავენი სოციალისტებიც არიან (გაზეთი გაურბის ამ საშინელ სიტყვას და ამჯობინებს უფრო ყრუდ ილაპარაკოს «მავნე ცრუმოძღვრებებზე», «ანტისახელმწიფოებრივი და ანტისაზოგადოებრივი იდეების პროპაგანდაზე»), მაგრამ... მაგრამ რატომ არის, რომ სწორედ ამ სოციალისტებს აქვთ წარმატება მუშათა წრეში? «ნოვოე ვრემია», რა თქმა უნდა, არ უშვებს შემთხვევას ლანძღოს მუშები: ისინი ისე «განუვითარებელნი და უმეცარნი არიან», რომ მეტი ხალისით ისმენენ პოლიციის კეთილდღეობისათვის მავნე სოციალისტე-

ბის ქადაგებას. დამნაშავენი არიან, მაშასადამე, სოციალისტებიც და მუშებიც, — დიდი ხანია სწორედ ამ დამნაშავეთა წინააღმდეგ აწარმოებენ თავგანწირულ ომს ჟანდარმები, ავსებენ ციხეებს და გადასახლების ადგილებს. მაგრამ ეს არ შველის. ცხადია, არსებობს ისეთი პ ი რ ო ბ ე ბ ი ფ ა ბ რ ი კ ა-ქ ა რ ხ ნ ე ბ ი ს მ უ შ ე ბ ი ს მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა შ ი, რომლებიც «იწვევენ და ხელს უწყობენ უკმაყოფილებას თავისი ნამდვილი მდგომარეობით» და ამრიგად «ხელს უწყობენ» სოციალიზმის «წარმატებას». «ფაბრიკა-ქარხნის მუშის მძიმე შრომა მეტად უხეირო საცხოვრებელ პირობებში აძლევს მას არა უმეტეს იმისა, რომ გამოიკვებოს, სანამ მუშაობა შეუძლია, ხოლო შეემთხვევა თუ არა რაიმე და ცოტა თუ ბევრ ხანს უმუშევრად დარჩება, ის ვარდება იმ უმწეო მდგომარეობაში, რომლის შესახებ, მაგ., ამ დღეებში იუწყებოდნენ გაზეთები ბაქოს ნავთის სარეწების მუშებზე». ამრიგად, მთავრობის მომხრენი იძულებული არიან აღიარონ, რომ სოციალიზმის წარმატება მართლაც მუშების ცუდი მდგომარეობით აიხსნება. მაგრამ ამას აღიარებენ მეტად გაურკვევლად და მიკიბ-მოკიბვით, ისეთი შენიშვნებით, რომლებიც ნათლად გვიჩვენებენ, რომ ამგვარ ადამიანებს შეუძლებელია თუნდაც სულ მცირე განზრახვა ჰქონდეთ შეეხონ კაპიტალისტების «წმიდა საკუთრებას», რომელიც ასე ჩაგრავს მუშებს. «სამწუხაროდ, — წერს «ნოვოე ვრემია», — ჩვენ ძლიერ ნაკლებად ვიცით საქმის ფაქტიური მდგომარეობა მუშათა საკითხის სფეროში ჩვენში, რუსეთში». დიახ, სამწუხაროდ! და ნაკლებად ვიცით «ჩვენ» სწორედ იმიტომ, რომ ნებას ვაძლევთ პოლიციურ მთავრობას დაიმონოს მთელი ბეჭდვითი სიტყვა, აღკვეთოს ჩვენი სისაძაგლეების ყოველგვარი პატიოსანი მხილება. სამაგიეროდ აი «ჩვენ» ვცდილობთ მუშის სიძულვილი მივმართოთ არა აზიური მთავრობის, არამედ «ინოროდცების» წინააღმდეგ: «ნოვოე ვრემია» მიუთითებს «სხვა ეროვნების საქარხნო ადმინისტრაციებზე», «უხეშსა და გაუმაძღარს» უწოდებს მათ. ასეთ ანკესზე შეიძლება წა-

მოეგონ მხოლოდ ყველაზე განუვითარებელი და უმეცარი მუშები, რომლებიც ფიქრობენ, რომ მთელი უბედურება, «გერმანელისა» და «ურიისაგან» წარმოსდგება და რომლებმაც არ იციან, რომ როგორც გერმანელი, ისე ებრაელი მუშები ერთდებიან თავიანთი გერმანელი და ებრაელი ექსპლოატატორების წინააღმდეგ საბრძოლველად. თვით ის მუშებიც, რომლებმაც არ იციან ეს, ათასი მაგალითით ხედავენ, რომ ყველაზე «გაუმაძღარი» და მოურიდებელი — რუსი კაპიტალისტებია, ყველაზე «უხეში» — რუსეთის პოლიცია და რუსეთის მთავრობაა.

საინტერესოა აგრეთვე «ნოვოე ვრემიას» სინანული, რომ მუშა უკვე არც ისე უმეცარი და არც ისე მონა-მორჩილია, როგორც გლეხი. «ნოვოე ვრემია» მისტირის იმას, რომ მუშა «სწყდება თავის სოფლურ ბუდეს», რომ «ფაბრიკა-ქარხნების რაიონებში თავს იყრიან არეული მასები», რომ «სოფელი სწყდება სოფელს მისი მცირე (აი რაში ყოფილა საქმე!), მაგრამ დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-ეკონომიური ინტერესებით და ურთიერთობით». მართლაც, როგორ არ უნდა იტირო? «სოფელი» მიჯაჭვულია თავის ბუდეზე და ამ ბუდის დაკარგვის შიშით ვერ ბედავს მოთხოვნები წაუყენოს თავის მემამულეს, გაფიცვით შეაშინოს ის და სხვ.; სოფლელმა არ იცის რა წესებია სხვაგან, მას მხოლოდ თავისი სოფელი აინტერესებს (მთავრობის მომხრენიც სწორედ ამაზე ამბობენ: სოფლელის «დამოუკიდებელი ინტერესიო»; თავის ტყავში ეტევა, პოლიტიკაში არ ერევა — ამაზე უფრო სასიამოვნო რაღა იქნება ხელისუფალთათვის?) — ამ სოფელში კი ადგილობრივი წურბელა, მემამულე ან კულაკი, ყველას თითებზე ჩამოსათვლელად იცნობს, და ყველას ჯერ კიდევ მამაპაპათაგან აქვს შეთვისებული მორჩილების მონური სიბრძნე, და არავინ არის, რომ გამოაღვიძოს მათი შეგნება. ფაბრიკებში კი «არეული» ხალხია, ბუდეს მოწყვეტილი (მისთვის სულ ერთია, სადაც უნდა იმუშაოს), ბევრი რამის მნახველი, გაბედული, რომელსაც ყველაფერი აინტერესებს ქვეყანაზე.

მიუხედავად ამ უბირი გლეხის შეგნებულ მუშად სამწუხარო გარდაქმნისა, ჩვენს პოლიციელ ბრძენთ კიდევ იმის იმედი აქვთ, რომ გააცურებენ მუშათა მასებს «სახელმწიფო მზრუნველობით მუშათა ყოფა-ცხოვრების კეთილმოწყობისათვის». «ნოვოე ვრემია» შემდეგი გაცვეთილი მსჯელობით ლამობს განამტკიცოს ეს იმედი: «კაპიტალიზმი, ამაყი და ყოვლადძლიერი დასავლეთში, ჩვენში — ჯერ კიდევ უსუსური ბალღია, რომელიც მხოლოდ სხვისი დახმარებით დადის, და მისი შემწეა მთავრობა»... ამ ძველ ზღაპარს მთავრობის ყოვლისშემძლეობაზე მხოლოდ უბირი გლეხი თუ დაიჯერებს! მუშა კი მეტად ხშირად ხედავს, როგორ «ეხმარებიან» კაპიტალისტები პოლიციელებსა და სასულიერო პირთ, სამხედროებსა და საერო მოხელეებს. და აი, — განაგრძობს «ნოვოე ვრემია», — მთელი საქმე ის არის, რომ მთავრობამ თავისი «გ ა ი ტ ა ნ ო ს» მუშების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების საქმეში, ე. ი. მოითხოვოს მეფაბრიკეთაგან ეს გაუმჯობესება. ხედავთ, როგორი იოლი საქმე ყოფილა: უბრძანოს — მორჩა და გათავდა. მაგრამ იოლი მხოლოდ თქმაა, სინამდვილეში კი ხელისუფალთა ბრძანებას, სულ «უბრალოსაც» კი, მაგ., ფაბრიკებთან საავადმყოფოების მოწყობას — მთელი ათეული წლების განმავლობაში არ ასრულებენ კაპიტალისტები. და ვერც კი გაბედავს მთავრობა რაიმე სერიოზული მოსთხოვოს კაპიტალისტებს, ისე რომ არ დაარღვიოს «წმიდა» კერძო საკუთრება. არც მოისურვებს მთავრობა მუშების ყოფა-ცხოვრების სერიოზულად გაუმჯობესებას, იმიტომ რომ თვითონ ის ათასობით შემთხვევაში მეპატრონეა, ძარცვავს და ავიწროებს ობუხოვის ქარხნის და სხვა ასეული ქარხნის მუშებს, და ფოსტისა და რკინიგზის ათეულ ათას მოსამსახურეს, და სხვ. და სხვ. «ნოვოე ვრემია» თვითონვე გრძნობს, რომ ჩვენი მთავრობის ბრძანებებს არავინ ათხოვებს ყურს, და ისიც ცდილობს დასაყრდენი განდიდებულ ისტორიულ მაგალითებში ეძიოს. ეს უნდა გაკეთდეს, — ამბობს ის მუშების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების შესახებ, —

«მსგავსად იმისა, როგორც ნახევარი საუკუნის წინათ მთავრობამ თავის ხელში აიღო გლეხთა საკითხი, იხელმძღვანელა რა იმ ბრძნული რწმენით, რომ უმჯობესია ზევიდან გარდაქმნით დავასწროთ ამ გარდაქმნის ქვევიდან მოთხოვნას, ვიდრე დავუცადოთ, სანამ ქვევიდან მოახდენენ ამასო».

აი ეს მართლაც საგულისხმო აღიარებაა! გლეხთა განთავისუფლების წინ მეფე გადაუკრავდა ხოლმე სიტყვას თავადაზნაურებს სახალხო აჯანყებაზე და ეუბნებოდა მათ: უმჯობესია ზევიდან გავათავისუფლოთ, ვიდრე ვუცადოთ, როცა თვითონ დაიწყებენ ქვევიდან თავის განთავისუფლებასო. და აი ახლა მთავრობის წინაშე მლიქვნელი გაზეთი აღიარებს, რომ მუშების განწყობილება მას არანაკლებ შიშს გვრის, ვიდრე გლეხების განწყობილება «განთავისუფლების წინ». «უმჯობესია ზევიდან, ვიდრე ქვევიდან»! დიდად ცდებიან თვითმპყრობელობის ლაქია მეგაზეთენი, «მსგავსებას» თუ პოულობენ ვარდაქმნათა მაშინდელსა და ახლანდელ მოთხოვნას შორის. გლეხები მოითხოვდნენ ბატონყმობის გაუქმებას, მეფის ხელისუფლების საწინააღმდეგო კი არაფერი ჰქონდათ და მეფეს ენდობოდნენ. მუშები ამხედრებული არიან უწინარეს ყოვლისა და უმეტეს ყოვლისა მთავრობის წინააღმდეგ, მუშები ხედავენ, რომ მათი უუფლებობა პოლიციური თვითმპყრობელობის წინაშე ხელფეხს უბორკავს მათ კაპიტალისტებთან ბრძოლაში, — ამიტომაც მუშები მოითხოვენ თავისუფლებას მთავრობის თვითმპყრობელობისაგან და მთავრობის უწესოებათაგან. მუშებიც ღელავენ «განთავისუფლების წინ», — მაგრამ ეს იქნება განთავისუფლება მთელი ხალხისა, რომელიც დესპოტიზმს ხელიდან გლეჯს პოლიტიკურ თავისუფლებას.

* * *

იცით, რა უდიდესი რეფორმით უნდათ ჩაახშონ მუშების უკმაყოფილება და გამოიჩინონ მათდამი «სახელმწიფოებრივი მზრუნველობა»? თუ დავუჯერებთ საკმაოდ დაჟინე-

ბულ ხმებს, — ფინანსთა სამინისტრო ებრძვის შინაგან საქმეთა სამინისტროს: უკანასკნელი მოითხოვს, რომ საფაბრიკო ინსპექცია მის უწყებას გადასცენ და ირწმუნება, რომ მაშინ ის ნაკლებად წააქეზებს კაპიტალისტებს და უფრო ძეტად იზრუნავს მუშებზე, რითაც თავიდან ავიცილებთ მღელვარებასო. დაე ემზადონ მუშები მეფის ახალი წყალობისათვის: საფაბრიკო ინსპექტორები ახალ მუნდირებს ჩაიცვამენ და სხვა უწყებაში ჩაირიცხებიან (ალბათ, ჯამაგირის მომატებით) და თანაც სწორედ იმ უწყებაში, რომელიც ამდენი ხანია და ასეთი სიყვარულით (განსაკუთრებით პოლიციის დეპარტამენტი) ზრუნავს მუშებზე.

«ისკრა» № 6, 1901 წლის ივლისი

იბეჭდება გაზეთ «ისკრის» ტექსტის მიხედვით

კრიზისის გაკვეთილები

აი უკვე თითქმის ორი წელიწადია, რაც სავაჭრო-სამრეწველო კრიზისი გრძელდება. და ის, როგორც ჩანს, სულ უფრო ფართოვდება, მრეწველობის ახალ დარგებს ედება, ახალ რაიონებზე ვრცელდება, ბანკების ახალ-ახალი გაკოტრებით მწვავდება. ჩვენი გაზეთი, გასული წლის დეკემბრიდან დაწყებული, თვითეულ ნომერში აღნიშნავდა ხოლმე ასე თუ ისე ამ კრიზისის განვითარებას და მის დამღუპველ მოქმედებას. დროა დაისვას ზოგადი საკითხი ამ მოვლენის მიზეზებისა და მნიშვნელობის შესახებ. რუსეთისათვის იგი შედარებით ახალი რამაა, როგორც ახალია მთელი ჩვენი კაპიტალიზმიც. ძველ კაპიტალისტურ ქვეყნებში კი, ე. ი. ისეთ ქვეყნებში, სადაც პროდუქტების უმეტესობა გასაყიდად მზადდება, სადაც მუშების უმეტესობას არ გააჩნია არც მიწა, არც სამუშაო იარაღები და ისღა დარჩენია, რომ გაჰყიდოს თავისი სამუშაო ძალა, მიექირაოს სხვის მეურნეობას, მიექირაოს მესაკუთრეებს, რომლებიც ფლობენ მიწას, ფაბრიკებს, მანქანებს და სხვ., — კაპიტალისტურ ქვეყნებში კრიზისი ძველი მოვლენაა, რომელიც დროგამოშვებით მეორდება, როგორც ქრონიკული სნეულების შეტევა. ამიტომ კრიზისის წინასწარმეტყველება შეიძლება, და, როცა რუსეთში სწრაფად იწყო განვითარება კაპიტალიზმმა, — სოციალ-დემოკრატიულ ლიტერატურაში ნაწინასწარმეტყველევი იყო ახლანდელი კრიზისიც. ბროშურაში: «რუსი სოციალ-დემოკრატების ამოცანები», რომელიც დაწერილია 1897 წლის დამლევს, ნათქვამი იყო: «ამჟამად, როგორც ჩანს,

კაპიტალისტური ციკლის (ბრუნვის, რომელიც იმეორებს ერთსა და იმავე მოვლენებს, როგორც მეორდება ზამთარი და ზაფხული) იმ პერიოდს განვიცდით, როდესაც მრეწველობა «ჰყვავის», გაცხოველებული ვაჭრობა სწარმოებს, ფაბრიკები მთელი დატვირთვით მუშაობენ და, როგორც წვიმის შემდეგ სოკოები, ისე ჩნდებიან ახალ-ახალი უამრავი ქარხნები, ახალი საწარმოები, სააქციო საზოგადოებანი, სარკინიგზო ნაგებობანი და სხვ. და სხვ. საჭირო არ არის წინასწარმეტყველი იყო, რომ წინასწარ განჭვრიტო ის აუცილებელი კრახი (ცოტად თუ ბევრად მძაფრი), რომელიც უნდა მოჰყვეს მრეწველობის ამ «აყვავებას». ასეთი კრახი გააჩანაგებს მრავალ წვრილ მეპატრონეს, მუშათა მასებს გადაისვრის უმუშევართა რიგებში»... * და ეს კრახიც მოგვეევლინა — ისეთი მძაფრი, რომლის მსგავსი ჯერ რუსეთს არ უნახავს. რა იწვევს კაპიტალისტური საზოგადოების ამ საშინელ ქრონიკულ სნეულებას, რომელიც ისე წესიერად მეორდება, რომ მისი წინასწარმეტყველებაც კი შეიძლება?

კაპიტალისტურ წარმოებას არ შეუძლია განვითარდეს სხვაფრივ, თუ არა ნახტომებით, ორი ნაბიჯი წინ, ერთი ნაბიჯი (ხოლო ზოგჯერ მთელი ორიც) უკან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კაპიტალისტური წარმოება არის წარმოება გასაყიდად, წარმოება საქონლისა ბაზრისთვის. ხოლო ამ წარმოებას განაგებენ ცალკეული კაპიტალისტები, თვითეული განკერძოებით, და არავის არ შეუძლია სისწორით გაითვალისწინოს — სახელდობრ რამდენი და რა პროდუქტები ესაჭიროება ბაზარს. აწარმოებენ ვარაუდით, მხოლოდ იმაზე ზრუნავენ, რომ ერთმანეთს გაუსწრონ. სრულიად ბუნებრივია, რომ დამზადებული პროდუქტების რაოდენობა შეიძლება არ შეესაბამებოდეს ბაზრის მოთხოვნილებას. ხოლო ამის შესაძლებლობა განსაკუთრებით დიდია, როცა ვეებერთელა ბაზარი უეცრად ფართოვდება ახალი, ჯერ კიდევ გამოუკვ-

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 2, გვ. 426 — 427. რ ე დ.

ლევი და დიდი ოლქების შემომატებით. სწორედ ასეთი იყო საქმის ვითარება, როცა დაიწყო მრეწველობის ამას წინათ ჩვენ მიერ განცდილი «აყვავება». მთელი ევროპის კაპიტალისტებმა გაუშვირეს თათები ასეული მილიონობით დასახლებულ ქვეყნის ნაწილს — აზიას, სადაც მანამდე მხოლოდ ინდოეთი და განაპირა მხარეების მცირე ნაწილი იყო მჭიდროდ დაკავშირებული მსოფლიო ბაზართან. იმპერკასპიის გზამ იწყო შუა აზიის «აღმოჩენა» კაპიტალისათვის. «დიდმა ციმბირის გზამ» (დიდმა არა მარტო თავისი სიგრძით, არამედ აგრეთვე მშენებლების მიერ სახაზინო ფულების უზომოდ დატაცებით, ამ გზის მშენებელი მუშების უზომო ექსპლოატაციით) აღმოაჩინა ციმბირი, იაპონიამ იწყო მრეწველ ერად გადაქცევა და სცადა ჩინეთის კედლის შერღვევა, აღმოაჩინა ისეთი გემრიელი სახრავი, რომელსაც ერთბაშად ჩასჭიდეს კბილები ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთის, რუსეთისა და თვით იტალიის კაპიტალისტებმა. უზარმაზარი რკინიგზების მშენებლობამ, მსოფლიო ბაზრის გაფართოებამ და ვაჭრობის ზრდამ — ყოველივე ამან გამოიწვია მრეწველობის უეცარი გაცხოველება, ახალ საწარმოთა გამრავლება, საქონლის გასასაღებელი ბაზრის გააფთრებული ძებნა, მოგების გამოდევნება, ახალ საზოგადოებათა დაარსება, წარმოებაში მიზიდვა აუარებელი ახალი კაპიტალებისა, რომლებიც ნაწილობრივ სდგებოდა წვრილი კაპიტალისტების მცირე დანაზოგებიდანაც. რაღა გასაკვირველია, რომ ახალი უცნობი ბაზრებისაკენ ამ გააფთრებულმა მსოფლიო ლტოლვამ უდიდესი კრახი გამოიწვია.

ეს ლტოლვა რომ ნათლად წარმოვიდგინოთ, საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ, თუ რა ბუმბერაზები იღებდნენ მონაწილეობას ამაში. როცა ამბობენ: «ცალკეული საწარმოები», «განკერძოებული კაპიტალისტები», ხშირად ივიწყებენ, რომ ეს გამოთქმანი არსებითად არაზუსტია. არსებითად, ცალკეული და განკერძოებული დარჩა მხოლოდ მოგების მითვისება, თვითონ წარმოება კი საზოგადოებრივი გახდა. გი-

განტური კრახები მხოლოდ იმიტომ გახდა შესაძლებელი და აუცილებელი, რომ მდიდართა ხროვა, რომელიც მხოლოდ მოგებას ეძებს, დაეპატრონა უძლიერეს ს ა ზ ო გ ა დ ო ებ-რ ი ვ საწარმოო ძალებს. განვმარტოთ ეს რუსეთის მრეწ-ველობის მაგალითით. უკანასკნელ დროს კრიზისი ნავთის მრეწველობაზეც გავრცელდა. ამ მრეწველობაში კი საქმეებს ატრიალებენ ისეთი საწარმოები, როგორიც არის, მაგალი-თად, «ნავთის წარმოების ამხანაგობა ძმათა ნობელებისა». 1899 წელს ამხანაგობამ გაჰყიდა 163 მლნ. ფუთი ნავთის პროდუქტები, სულ 53½ მლნ. მანეთისა, ხოლო 1900 წელს უკვე 192 მლნ. ფუთი, სულ 72 მლნ. მანეთის. ერთი წლის განმავლობაში ერთს საწარმოში წარმოების გადიდება 18½ მლნ. მანეთით! ასეთი «ერთი საწარმო» დამყარებულია ათეული და ასეული ათასი მუშის გაერთიანებულ შრომაზე; ეს მუშები ეწევიან ნავთის ამოღებას, მის გადამუშავებას, გადაზიდვას ნავთსადენებით, რკინიგზებით, ზღვებითა და მდინარეებით, აშენებენ ყოველივე ამისათვის საჭირო მანქა-ნებს, საწყობებს, მასალებს, კარჭაპებს, გემებს და სხვ. ყველა ეს ათეული ათასი მუშა მუშაობს მთელი საზოგადოებისთვის, ხოლო მათს შრომას განაგებენ ერთი მუჭა მილიონერები, რომლებიც ითვისებენ მთელ მოგებას, რაც მასების ამ ორგა-ნიზებულ შრომას მოაქვს. (ნობელების ამხ-ბამ მიიღო წმინდა მოგება 1899 წელს 4 მლნ. მან., 1900 წელს — 6 მლნ. მან., აქედან აქციონერებს ერგოთ 1 300 მან. თვითეულ 5 000 მა-ნეთიან პაიზე, ხოლო გამგეობის ხუთმა წევრმა ჯ ი ლ დ ო დ მიიღო 528 000 მან.!) თუ რამდენიმე ასეთი საწარმო ებმება გააფთრებულ შეჯიბრებაში უცნობ ბაზარზე აღვილის მო-საპოვებლად, რაღა გასაკვირველია, რომ კრიზისი დგება?

ეგ ცოტაა. საწარმომ რომ მოგება მოიტანოს, საქონელი უნდა გაჰყიდოს, მუშტარი იშოვოს. მუშტარი უნდა იყოს მთელი მოსახლეობა, იმიტომ რომ უზარმაზარი საწარმოები აუარებელ პროდუქტებს აწარმოებენ. ხოლო ყველა კაპიტა-ლისტურ ქვეყანაში მოსახლეობის ცხრა მეათედს შეადგენენ

ლატაკები: მუშები, რომელთაც სულ მცირე ხელფასი აქვთ, და გლეხები, რომელთა უმეტესობა მუშებზე უფრო ცუდად ცხოვრობს. და აი, როცა მსხვილი მრეწველობა აყვავების ხანაში გაფაციცებით აწარმოებს რაც შეიძლება მეტს, — ის ბაზარზე იმდენ პროდუქტებს უშვებს, რომ ხალხის ხელმოკლე უმეტესობას არ ძალუძს მისი ყიდვა. მანქანების, იარაღების, საწყობების, რკინიგზების და სხვათა რაოდენობა სულ უფრო იზრდება, მაგრამ ეს ზრდა დროგამოშვებით სწყდება, იმიტომ რომ ხალხის მასა, რომლისთვისაც ბოლოს და ბოლოს განკუთვნილია წარმოების ყველა ეს გაუმჯობესებული წესი, ისეთ სიღარიბეში რჩება, რომ ლამის მათხოვრობამდე მივიდეს. კრიზისი ცხადჰყოფს, რომ თანამედროვე საზოგადოება შესძლებდა გაცილებით მეტი პროდუქტების დამზადებას მთელი მშრომელი ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისთვის, მიწა, ფაბრიკები, მანქანები და სხვ. ხელში რომ არ ჰქონდეს ჩაგდებული ერთ მუჭა კერძო მესაკუთრეებს, რომლებიც მილიონებს ხვეჭენ გაღატაკებული ხალხიდან. კრიზისი ცხადჰყოფს, რომ მუშები ვერ დასჯერდებიან ბრძოლას კაპიტალისტების მხრივ ცალკეული დათმობებისთვის: მრეწველობის გაცხოველების დროს ასეთ დათმობათა მოპოვება შეიძლება (და რუსეთის მუშებს თავისი ენერგიული ბრძოლით არა ერთხელ მოუპოვებიათ ასეთი დათმობანი 1894 — 1898 წლებში), — მაგრამ იწყება კრახი, და კაპიტალისტებს არათუ უკანვე მიაქვთ თავიანთი დათმობანი, არამედ მუშათა უმწეო მდგომარეობითაც სარგებლობენ ხელფასის კიდევ უფრო შესამცირებლად. და ეს მუდამ ასე იქნება მანამდე, სანამ სოციალისტური პროლეტარიატის არმიები არ დაამხობენ კაპიტალისა და კერძო საკუთრების ბატონობას. კრიზისი ცხადჰყოფს, რა ბეცნი იყვნენ ის სოციალისტები («კრიტიკოსებს» რომ უწოდებდნენ თავიანთ თავს, ალბათ, იმ საფუძვლით, რომ ისინი უკრიტიკოდ ითვისებენ ბურჟუაზიული ეკონომისტების მოძღვრებებს), რომლებიც ორი

წლის წინათ დიდი აურზაურით აცხადებდნენ, კრახი ახლა ნაკლებად მოსალოდნელიაო.

გაკვეთილები კრიზისისა, რომელიც ააშკარავებს საზოგადოებრივი წარმოების კერძო საკუთრებისადმი დაქვემდებარების მთელ შეუსაბამობას, იმ ზომამდე ჭკუისსასწავლია, რომ ახლა ბურჟუაზიული პრესაც კი მოითხოვს ზედამხედველობის გაძლიერებას — მაგ., ბანკების მიმართ. მაგრამ კაპიტალისტებს ვერავითარი ზედამხედველობა ვერ შეუშლის ხელს მრეწველობის გაცხოველების დროს დააარსონ ისეთი საწარმოები, რომლებიც შემდეგ აუცილებლად კოტრდებიან. ალჩევსკი, რომელიც დამაარსებელი იყო შემდეგ გაკოტრებული საადგილმამულო და სავაჭრო ბანკებისა ხარკოვში, ყოველგვარი ღონისძიებით 'შოულობდა მილიონობით ფულს სამთო-სამრეწველო საწარმოთა დასაარსებლად და გასამაგრებლად, რომელთაგან ოქროს მთების დადგმას გამოელოდნენ. მაგრამ შეფერხებამ მრეწველობაში დაღუპა ეს ბანკები და სამთო საწარმოები (დონეც-იურიევის საზოგადოება). მერე რის მაჩვენებელია საწარმოთა ეს «დაღუპვა» კაპიტალისტურ საზოგადოებაში? ეს იმის მაჩვენებელია, რომ სუსტ კაპიტალისტებს, «მეორეხარისხოვან» კაპიტალისტებს, აძევებენ უფრო დიდი მილიონერები. ხარკოველ მილიონერ ალჩევსკის სცვლის მოსკოველი მილიონერი რიაბუშინსკი, რომელიც, როგორც კაპიტალით უფრო მდიდარი, კიდევ უფრო მეტი სიმძიმით დააწვება მუშას. მეორეხარისხოვანი მდიდრების შეცვლა პირველხარისხოვანი მდიდრებით, კაპიტალის ძალის გადიდება, წვრილ მესაკუთრეთა მასის (მაგ., წვრილ მეანაბრეთა, რომელთაც ბანკის გაკოტრებასთან ერთად მთელი ქონება ეკარგებათ) გაპარტახება, მუშების საშინელი გაღატაკება — აი რა მოსდევს კრიზისს. მოვიგონოთ კიდევ «ისკრაში» აწერილი შემთხვევა, რომ კაპიტალისტები აგრძელებენ სამუშაო დღეს და ცდილობენ ანგარიშის გასწორების დროს შეგნებული მუშები უფრო მორჩილი გლეხებით შესცვალონ.

რუსეთ'ში საზოგადოდ კრიზისის მოქმედება განუზომლად უფრო ძლიერია, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყანაში. მრეწველობის მოდუნებას ჩვენში ზედ ერთვის გლეხთა შიმშილობა. უმუშევარ მუშებს ქალაქებიდან სოფლებში ერეკებიან, მაგრამ სადღა უნდა გაასახლონ უმუშევარი გლეხები? მუშების გასახლებით უნდათ ქალაქები გაწმინდონ მოუსვენარი ხალხისაგან, მაგრამ, შესაძლოა, განდევნილებმა მოახერხონ გლეხების თუნდაც ნაწილის გამოღვიძება საუკუნოვანი მორჩილებისაგან და გააბედვინონ მათ არა მარტო თხოვნები, არამედ მ ო თ ხ ო ვ ნ ე ბ ი ც? მუშებსა და გლეხებს ახლა ერთმანეთთან აახლოებს არა მარტო უმუშევრობა და შიმშილი, არამედ აგრეთვე ის პოლიციური ჩაგვრაც, რომელიც საშუალებას უსპობს მუშებს შეერთდნენ და თავი დაიცვან, ართმევს გლეხებს იმ შემწეობასაც კი, რომელიც ნებაყოფლობითი შემომწირველებისაგან მოსდით. პოლიციის მძიმე თათი ასჯერ უფრო სამძიმო ხდება მილიონობით ხალხისთვის, რომელსაც ცხოვრების ყოველგვარი სახსარი დაუკარგავს. ჟანდარმები და პოლიცია ქალაქად, საერობო უფროსები და ურიადნიკები სოფლად ნათლად ხედავენ, რომ სიძულვილი მათდამი იზრდება, და ამიტომ შიშის თვალით უყურებენ არამცთუ სოფლის სასადილოებს, არამედ გაზეთის განცხადებებსაც შემოწირულებათა შეკრების შესახებ. შიში შემოწირულებათა! მართლაც რომ ქურდს ქუდი ეწვის. როცა ქურდი ხედავს, რომ მის მიერ გაძარცულ კაცს გამვლელი მოწყალებას აწვდის, — ქურდს ისე ეჩვენება, თითქოს ისინი ერთმანეთს ხელს უწვდიან, რათა საერთო ძალით გაუსწორდნენ მას.

«ისკრა» № 7, 1901 წლის აგვისტო

იბეჭდება გაზეთ «ისკრის» ტექსტის მიხედვით

ბატონყმობის მოტრფიალენი მუშაობენ

გამოვიდა 1901 წლის 8 ივნისის ახალი კანონი: კერძო პირთათვის ციმბირში სახაზინო მიწების მიცემის შესახებ. როგორ გამოიყენებენ ამ ახალ კანონს, — მომავალი გვიჩვენებს. მაგრამ უკვე თვით ამ კანონის ხასიათი იმდენად საგულისხმოა, ისე ცხადად გვიჩვენებს მეფის მთავრობის შეუფერადებელ ბუნებას და მის ჭეშმარიტ მისწრაფებას, რომ ღირს საფუძვლიანად გავარჩიოთ ეს კანონი და შევეცადოთ რაც შეიძლება ფართოდ გავაცნოთ ის მუშათა კლასსა და გლეხობას.

კარგა ხანია უკვე ჩვენი მთავრობა წყალობას არ აკლებს კეთილშობილ თავადაზნაურ-მემამულეებს: მთავრობამ მათთვის დააარსა სათავადაზნაურო ბანკი, ათასგვარი შეღავათები დააწესა მათთვის სესხის მიცემისა და ვალის ნარჩენების გადახდის ვადის გაგრძელებისათვის, დაეხმარა მათ, რომ შაქრის ქარხნების მეპატრონე-მილიონერებს პირი შეეკრათ ფასების აწევისა და მოგების გადიდების მიზნით, იზრუნა საერობო უფროსების თანამდებობებზე მოეწყო თავადაზნაურთა ქონებაგანიავებული შვილები, ახლა ის არაყსახდელი ქარხნების კეთილშობილ მეპატრონეებს უწყობს არაყი ხაზინას მიჰყიდონ ხელსაყრელ ფასებში. მაგრამ მიწების მიცემით მთავრობა არამცთუ მხოლოდ საბოძვარს აძლევს ყველაზე მდიდარ, ყველაზე წარჩინებულ ექსპლოატატორებს, — ის ამითვე

ჰქმნის ექსპლოატატორთა ახალ კლასს, ის მილიონობით გლეხსა და მუშას ახალი მემამულეებისადმი სამუდამო მონობას უმზადებს.

განვიხილოთ ამ ახალი კანონის მთავარი საფუძვლები. უწინარეს ყოვლისა უნდა შევნიშნოთ, რომ ეს კანონი — სანამ მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი წარუდგენდა მას სახელმწიფო საბჭოს — განხილულ იქნა თავადაზნაურთა წოდების საქმეთა განსაკუთრებულ თათბირზე. ყველას მოეხსენება, რომ ამჟამად რუსეთში ყველაზე მეტად გაჭირვებული არიან არა მუშები და გლეხები, არამედ თავადაზნაური მემამულეები, და აი «განსაკუთრებული თათბირიც» არ აყოვნებს ამ გასაჭირში ძათი დახმარების საშუალების გამონახვას. სახაზინო მიწები ციმბირში გაიყიდება და იჯარით მიეცემა «კერძო პირებს» «კერძომფლობელურ მეურნეობათა» მოსაწყობად, მასთან არარუს ქვეშევრდომთ და «ინოროდცებს» («ინოროდცებში» შედიან ებრაელებიც) სამუდამოდ ეკრძალებათ რაიმე სახით ამ მიწების შეძენა, იჯარით გაცემის ნება კი (ეს, როგორც დავინახავთ, ყველაზე უფრო სარფიანი ოპერაციაა მომავალ მემამულეთათვის) ეძლევა მხოლოდ და მხოლოდ თავადაზნაურთ, «რომლებიც — ამბობს კანონი — სამეურნეო კეთილსაიმედოების მხრივ მთავრობის მიზნებისათვის სასურველი მიწათმფლობელნი არიან» ციმბირში». ამრიგად, მთავრობის მიზნები სწორედ ის არის, რომ შშრომელი მოსახლეობა დაემონოს მსხვილ მიწათმფლობელ-თავადაზნაურებს. რამდენად მსხვილს, — ეს იქიდან ჩანს, რომ გასაყიდი ნაკვეთების ოდენობა კანონით არ უნდა აღემატებოდეს სამი ათას დესეტინას, იჯარით გასაცემი ნაკვეთების ოდენობა სულაც არ არის შეზღუდული, ხოლო იჯარის ვადა განსაზღვრულია 99 წლამდე! გაჭირვებულ მემამულეს, ჩვენი მთავრობის ანგარიშით, ესაჭიროება ორასჯერ მეტი მიწა, ვიდრე გლეხს, რომელსაც ციმბირში მოუჭრიან 15 დესეტინას ოჯახზე.

და მერე კიდეც რა შეღავათები და გამონაკლისები გნებავთ, ეს კანონი რომ არ ითვალისწინებდეს მემამულეთა სასარგებლოდ! მოიჯარადრეს პირველი ხუთი წლის განმავლობაში არავითარი გადასახადი არ შეაქვს. თუ ის მოისურვებს იჯარით აღებული მიწის შესყიდვას (ხოლო ახალი კანონით მას ამის უ ფ ლ ე ბ ა აქვს), მას გამოსაყიდი ფასის გადახდის 37 წლის ვადის უფლება აქვს. განსაკუთრებული ნებართვით შეიძლება გასაყიდად გამოყოფა სამი ათას დესეტინაზე მეტი მიწისაც, და გაყიდვა ხდება თავისუფალი შეფასებით, და არა საჯარო ვაჭრობით, აგრეთვე ვალის ნარჩენის გადახდის ვაღის გაგრძელება შეიძლება ერთი წლით და სამი წლითაც კი. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ახალი კანონით საერთოდ ისარგებლებენ მხოლოდ დიდკაცობა და ის პირნი, ვინც დაახლოებულია მეფის კართან და სხვ., — ასეთ პირებს მთელი ეს შეღავათები და გამონაკლისები სულ იოლად ეძლევათ, ორიოდე სიტყვის გადაკვრით გუბერნატორთან ან მინისტრთან დარბაზობის დროს.

მაგრამ — აი უბედურება რაშია. რა სარგებლობას უნდა გამოელოდნენ ამ მიწის ნაჭრების მფლობელი-გენერლები, თუნდაც სამ-სამი ათასი დესეტინაც ჰქონდეთ, თუ არ მოიძებნება ისეთი «გლეხი», რომელიც იძულებული იქნება ამ გენერლებისთვის იმუშაოს? რარიგ სწრაფადაც უნდა იზრდებოდეს ხალხის გაჭირვება ციმბირში, იქაური გლეხი მაინც შეუდარებლად უფრო დამოუკიდებელია «რუსეთისაზე» და იძულებით მუშაობასაც ნაკლებად არის შეჩვეული. ახალი კანონი ცდილობს შეაჩვიოს იგი. «კერძომფლობელურ მეურნეობათათვის დანიშნული მიწები, შ ე ძ ლ ე ბ ი ს დ ა გ ვ ა რ ა დ, უ ნ დ ა ჩ ა მ ო ი ჭ რ ა ს გლეხებისთვის მიცემულ ფართობებთან ა რ ე ვ ი თ», — ამბობს კანონის მე-4 მუხლი. მეფის მთავრობა ზრუნავს ღარიბ გლეხთა «საშოვარზე». ათი წლის წინათ სწორედ იმ ბ-ნმა ერმოლოვმა, რომელმაც ახლა, როგორც მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა, სახელმწიფო საბჭოში შეიტანა კანონი ციმბირში

სახაზინო მიწების კერძო პირებისათვის მიცემის შესახებ, გამოსცა (ხელმოუწერლად) წიგნი: «მოუსავლობა და ხალხის ვაჭირვება». ამ წიგნში ის პირდაპირ აცხადებდა, რომ არ არსებობს საფუძველი ციმბირში გადასახლების ნება დაერთოს იმ გლეხებს, რომლებსაც შეუძლიათ «საშოვარი» ჰქონდეთ ადგილობრივ მემამულეებთანო. რუსეთის სახელმწიფოს შესვეურნი არ ერიდებიან წმინდა ბატონყმურ შეხედულებათა გამოთქმას: გლეხები იმისთვის არიან გაჩენილი, რომ მემამულეებისთვის იმუშაონ. ამიტომ გლეხებს «ნებაც კი» არ უნდა მიეცეთ გადასახლდნენ სადაც მოესურვებათ, თუ ამით მემამულეებს იაფი მუშახელი ეკარგებათო. ხოლო როცა გლეხებმა, ძალუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებისა, საქმის გაჭიანურებისა და პირდაპირი აკრძალვისაც, მაინც განაგრძეს ასი ათასობით გადასახლება ციმბირში, — მაშინ მეფის მთავრობა, ძველებური ბატონის მოურავივით, დაედევნა მათ, რომ ახალ საცხოვრებელ ადგილასაც გაუმწაროს სიცოცხლე. თუ მკირე ჩამონაჭრებთან და გლეხთა მიწებთან (რომელთაგან საუკეთესო ნაჭრები უკვე დაკავებულია) არეული აღმოჩნდება კეთილშობილ მემამულეთა მიწის ნაკვეთები სამ-სამი ათასი დესეტინის რაოდენობით, — მაშინ, ალბათ, მალე გაუქრებათ გლეხებს ციმბირში გადასახლების ცთუნებაც. და ახალ მემამულეთა მიწების ფასებიც მით უფრო სწრაფად აიწევს, რაც უფრო მეტად გაუჭირდებათ ცხოვრება გარშემო გლეხებს სივიწროვის გამო: ეს გლეხები იძულებული გახდებიან იაფადაც მიექირაონ მემამულეებს და მემამულეთა მიწებიც სამწილ უფრო ძვირად აიღონ იჯარით — სწორედ ისე, როგორც «რუსეთში». ახალი კანონი პირდაპირ იმაზე ზრუნავს, რომ რაც შეიძლება ჩქარა შეუქმნას ახალი სამოთხე მემამულეებს და ახალი ჯოჯოხეთი გლეხებს: სწორედ ერთ დათესვაზე მიწების იჯარით გაცემის კანონს დართული აქვს საგანგებო შენიშვნა. საერთოდ რომ ვთქვათ, იჯარით ალებული სახაზინო მიწის გადაცემისთვის საჭიროა განსაკუთრებული ნებართვა, ხოლო ერთ დათესვაზე გადაცემა სრულიად

თავისუფლად შეიძლება. მემამულეს შეუძლია თავი არ შეიწუხოს სხვა რამეზე, გარდა იმისა, რომ აიყვანს მოურავს, რომელიც თითო დესეტინობით მისცემს მიწას იჯარით მემამულის მფლობელობის ახლო-მახლო მცხოვრებ გლეხებს და ნაღდ ფულს მებატონეს გადაუგზავნის.

მაგრამ თავადაზნაურები ყოველთვის არც ასეთი «მეურნეობისთვის» შეიწუხებენ თავს. მათ შეუძლიათ ერთბაშად აიღონ კარგა დიდი თანხა, თუ სახაზინო მიწას ნამდვილ მეპატრონეებს მიჰყიდიან. ტყუილად როდი გამოდის ახალი კანონი სწორედ იმ დროს, როცა ციმბირში გაყვანილია რკინიგზა, როცა ციმბირში გადასახლება უქმდება, ხოლო ციმბირში დასახლება მეტისმეტად გაიზარდა: ყოველივე ეს აუცილებლად გამოიწვევს (და უკვე იწვევს) მიწის ფასების აწევას. ამიტომ კერძო პირებისათვის სახაზინო მიწების მიცემა ამჟამად, არსებითად, წარმოადგენს ხაზინის გაძარცვას თავადაზნაურთა მიერ: სახაზინო მიწების ფასები მატულობს. ამ მიწებს კი საგანგებოდ შეღავათიან პირობებში ურიგებენ და მიჰყიდიან ხოლმე ყოველგვარ გენერლებს, რომელნიც კიდევაც ისარგებლებენ ფასების ამ აწევით. მაგალითად, უფის გუბერნიაში მარტოოდენ ერთ მაზრაში თავადაზნაურებმა და მოხელეებმა ასეთი ოპერაცია გააკეთეს მათ მიერ (ასეთივე კანონის საფუძველზე) ნაყიდ მიწებზე: მიწის ფასად ხაზინას გადაუხადეს 60 ათასი მან., ხოლო ორი წლის შემდეგ იგივე მიწები 580 ათას მანეთად გაჰყიდეს, ესე იგი უბრალო ყიდვა-გაყიდვით ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი მოგება ნახეს! ამ მაგალითის მიხედვით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ — რამდენ მილიონს ჩაიჯიბებენ გაჭირვებული მემამულენი მათთვის მიწების მიცემით მთელ ციმბირში.

ამ უტიფარი მძარცველობის დასაფარავად მთავრობა და მისი მომხრენი ყოველგვარ მაღალ მოსაზრებას აყენებენ. ლაპარაკობენ კულტურის განვითარებაზე ციმბირში, სანიმუშო მეურნეობათა დიდ მნიშვნელობაზე. სინამდვილეში კი მსხვილ მამულებს, რომლებიც გამოუვალ მდგომარეობაში

აყენებს მეზობელ გლეხებს, შეუძლია ამჟამად გააძლიეროს მხოლოდ ექსპლოატაციის უაღრესად უკულტურო წესები. სანიმუშო მეურნეობათა შექმნა ხაზინის გაქურდვით როდი ხდება, და მიწების გაცემა გამოიწვევს უბრალო დალალობას თავადაზნაურთა და მოხელეების მხრივ, ანდა მეურნეობის გაძღოლის ძონური და მევახშური წესების აყვავებას. კეთილშობილმა თავადაზნაურებმა მთავრობასთან ერთად იმიტომ ჩამოაშორეს ციმბირის სახაზინო მიწებს ებრაელები და სხვა «ინოროდცები» (რომელთაც ისინი ბნელ ხალხს უხასიათებენ როგორც განსაკუთრებით მოურიდებელ ექსპლოატატორებს), რათა თვითონ დაუბრკოლებლად მიჰყონ ხელი ყველაზე ცუდი სახის კულაკობას.

ლაპარაკობენ აგრეთვე მემამულე თავადაზნაურთა წოდების პოლიტიკურ მნიშვნელობაზე ციმბირში: ინტელიგენტთა შორის იქ განსაკუთრებით ბლომად მოიპოვებიან ყოფილი გადასახლებულნი, არაკეთილსაიმედო ადამიანები, და აი, მათთვის დასაპირისპირებლად იქ უნდა შეიქმნას სახელმწიფო ხელისუფლების საიმედო დასაყრდენი, «ერობის» საიმედო ელემენტიო. და ამ მითქმა-მოთქმაში გაცილებით მეტი და უფრო ღრმა სიმართლეა, ვიდრე ეს წარმოუდგენიათ «გრაჟდანინს» [86] და «მოსკოვსკიე ვედომოსტის». პოლიციურ სახელმწიფოს იმ ზომამდე ამხედრებული ჰყავს თავის წინააღმდეგ მოსახლეობის მასა, რომ მისთვის აუცილებელია ხელოვნურად შეჰქმნას ისეთ პირთა ჯგუფები, რომლებიც შესძლებენ სამშობლოს ბურჯი გახდნენ. მისთვის აუცილებელია შეჰქმნას კლასი მსხვილი ექსპლოატატორებისა, რომლებიც ყველაფერს მთავრობას უნდა უმადლოდნენ, მის წყალობაზე იქნებოდნენ დამოკიდებული, უდიდეს შემოსავალს მიიღებდნენ ყოვლად მდაბალი საშუალებით (დალალობა, კულაკობა) და სწორედ ამიტომაც მუდამ ყოველგვარი თვითნებობისა და ჩაგვრის საიმედო მომხრენი იქნებოდნენ. აზიურ მთავრობას ესაჭიროება დასაყრდენი აზიური მსხვილი მიწათმფლობელობის სახით და «მამულთა დარიგების» ბატონყმური სისტემის სახით. და თუ ამჟამად არ შეიძლება «დასახლებული მამუ-

ლების» დარიგება, სამაგიეროდ შეიძლება დარიგება მამულებისა იმ გლეხების მიწებთან შ ე რ ე ვ ი თ, რომლებიც ღატაკდებიან; თუ უხერხულია პირდაპირ აჩუქო ათასობით დესეტინა მლიქვნელ კარისკაცებს, სამაგიეროდ შეიძლება გაჩუქება დაფარო ათასგვარ შეღავათიან პირობებში გაყიდვით ან «იჯარით გაცემით» (99 წლით). როგორ შეიძლება ბატონყმური არ ვუწოდოთ ასეთ საადგილმამულო პოლიტიკას თანამედროვე მოწინავე ქვეყნების, მაგ., ამერიკის, საადგილმამულო პოლიტიკასთან შედარებით? იქ ვ ე რ ა ვ ი ნ გ ა ბ ე დ ა ვ ს იმსჯელოს იმის შესახებ, დაერთოს თუ არ დაერთოს გადასახლების ნება, იმიტომ რომ ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს სადაც ნებავს იქ გადასახლდეს. იქ თავისუფალი მიწები სახელმწიფოს განაპირა მხარეებში კ ა ნ ო ნ ი თ ყველას შეუძლია დაიკავოს, ვისაც კი სურს სოფლის მეურნეობას მოჰკიდოს ხელი. იქ იქმნება არა აზიური სატრაპების კლასი, არამედ კლასი ენერგიული ფერმერებისა, რომლებმაც განავითარეს ქვეყნის ყველა საწარმოო ძალები. იქ მუშათა კლასმა, თავისუფალი მიწების სიუხვის გამო, პირველი ადგილი დაიკავა ცხოვრების დონის სიმაღლის მხრივ.

და მერე რა დროს გამოვიდა ჩვენი მთავრობა თავისი ბატონყმური კანონით? უძლიერესი სამრეწველო კრიზისის დროს. როცა ათეული და ასეული ათასი მუშა სამუშაოს ვერ პოულობს, როცა მრავალ მილიონ გლეხს ახალი შიმშილობა დაატყდა თავს. მთავრობამ მთელი თავისი მზრუნველობა იმისკენ მიმართა, რომ არ «ახმაურებულიყვნენ» გაჭირვების შესახებ. ამისთვის ის თავთავიანთ სამშობლოში გზავნიდა უმუშევარ მუშებს, ამისთვის მან სასურსათო საქმე ერობას ჩაბართვა და პოლიციის მოხელეებს ჩააბარა, ამისთვის აუკრძალა მან კერძო პირებს სასადილოების მოწყობა დამშეულთათვის, ამისთვის ჩაუკმინდა ხმა გაზეთებს. და აი, როცა მისწყდა მაძღართათვის უსიამოვნო «ხმაური» შიმში-

ლობის შესახებ, — მამა-მეფე შეუდგა დახმარების აღმოჩენას, ხელის გამართვას გაჭირვებული მემამულეებისა და უბედური კარისკაც-გენერლებისთვის. ვიმეორებთ: ჩვენ ახლა ისღა დაგვრჩენია — ქვეყანას მოვფინოთ ამბავი ახალი კანონის შესახებ. როცა მას გაეცნობიან, მუშების ყველაზე განუვითარებელი ფენები, ყველაზე უფერული და დაბეჩავებული გლეხები შეიგნებენ, ვის ემსახურება მთავრობა და როგორი მთავრობა ესაჭიროება ხალხს.

«ისკრა» № 3, 1901 წლის 10 სექტემბერი

იბეჭდება გაზეთ «ისკრის» ტექსტის მიხედვით

ეროგათა ურილოგა

ის საზოგადოებრივი ამოძრავება, რომელიც ტალღასავით მოედო ჩვენს ქვეყანას მიმდინარე წლის გაზაფხულის ამბების უმალვე, არ ცხრება; სხვადასხვა სახით ის თავს იჩენს რუსული საზოგადოების ყველა ფენაში, ჯერ კიდევ ამა წლის იანვარში რომ თითქოს ყურთან ახლოს არ იკარებდა და განზე უდგა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის შეგნებულ მუშაობას. მთავრობა ძალღონეს არ ზოგავს, რომ რაც შეიძლება ჩქარა დაამშვიდოს აფორიაქებული საზოგადოებრივი სინდისი ჩვეულებრივი ცარიელი დაპირებებით; მსგავსად 25 მარტის მანიფესტისა «გულითად მზრუნველობაზე», მსგავსად ვანოვსკის ეგრეთწოდებული რეფორმებისა ანდა სიპიაგინისა და შახოვსკოის საზეიმო-სამასხარაო მოგზაურობისა რუსეთში... ზოგი გულუბრყვილო რუსი ადამიანი მართლაც დამშვიდდება ასეთი ზომებით, მაგრამ ყველანი კი არა. თვით თანამედროვე ერობელებიც კი, რომელთა ნახევარს დაშინებული მოხელეები შეადგენენ, როგორც ჩანს, თავს აღწევენ მუდმივი ძრწოლის მდგომარეობას, რომელშიც ისინი ჩააგდო «მშვიდობისმყოფელი მეფის» ჟამთა სიავის ეპოქამ, ისტორიას რომ ბარდება.

მოკრძალების ელემენტარულ საფარველს მოკლებული მისი უდიდებულესობა ბიუროკრატია აღშფოთებისა და ზიზღის გრძნობას იწვევს მათშიც კი, ამ მხდალ ადამიანებში, რომლებშიც თითქმის ჩამკვდარია მოქალაქობრივი გამბედაობა და მოქალაქობრივი ზნეობა.

როგორც გვატყობინებენ, ივნისის დამლევს ქალაქ NN-ში (სიფრთხილის გამო ქალაქს არ ვასახელებთ) შესდგა ერობის მოღვაწეთა ყრილობა. როგორც ამბობენ, მას დასწრებია რამდენიმე გუბერნიის 40 — 50 ერობელი მოღვაწე.

ერობელები შეიკრიბნენ, რა თქმა უნდა, არა პოლიტიკური საკითხების გადასაწყვეტად, არამედ მშვიდობიანი, წმინდა საერობო ამოცანების გადასაწყვეტად, შეიკრიბნენ ისე, რომ «არ დაურღვევიათ უწყების ფარგლები და უფლების საზღვრები», როგორც მხატვრულადაა ნათქვამი ერობის დებულებაში (მ. 87); მაგრამ ეს კრება მოწვეული იყო ადმინისტრაციის ნებადაურთველად და გაუგებინებლად და, მაშასადამე, იმავე დებულების სიტყვებით რომ ვთქვათ, კრება შესდგა «ერობის დაწესებულებათა მოქმედების წესის დარღვევით», ხოლო შეკრებილი ერობელები მშვიდობიანი, უწყინარი საკითხებიდან თავისდა შეუმჩნევლად საერთო ვითარების განხილვაზე გადავიდნენ. ასეთია ცხოვრების ლოგიკა: კეთილსინდისიერი ერობელები, თუმცა ზოგჯერ ყოველნაირად უარყოფენ რადიკალიზმსა და არალეგალურ მუშაობას, მაგრამ საქმეთა ვითარება მაინც აჯახებს მათ უკანონო ორგანიზაციებისა და უფრო გაბედული მოქმედების აუცილებლობას. რა თქმა უნდა, ჩვენ ხომ არ დავგმობთ ამ ბუნებრივ და სრულიად სწორ გზას. ბოლოს და ბოლოს დროა ერობის მოღვაწეებმაც ენერგიულად და ორგანიზებულად გაუწიონ წინააღმდეგობა თავაწყვეტილ მთავრობას, რომელმაც ჩაკლა სასოფლო თვითმმართველობა, დაამახინჯა ქალაქისა და ერობის თვითმმართველობა და ვირული თანამიმდევრობით მოუღირა ცული ერობის დაწესებულებათა უკანასკნელ ნაშთებს. ამბობენ, ყრილობაზე ერთმა მხცოვანმა და პატივცემულმა ერობელმა, როცა იხილავდნენ საკითხს, თუ როგორ ვებრძოლოთ ზღვრული საერობო დაბეგვრის კანონსო, წამოიძახა: «ერობის მუშაკებმა, ბოლოს და ბოლოს, უნდა თქვან თავიანთი სიტყვა, ანდა ისინი უკვე ვერასოდეს ვეღარ იტყვიან ამ სიტყვასო!» ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ლიბერალი მოღვაწის ამ გოდე-

ბას, მოღვაწის, რომელიც მზად არის აშკარა ბრძოლაში გამოიწვიოს მოხელური თვითმპყრობელობა. ერობა შინაგანი გაკოტრების პირასაა. და თუ ერობის საუკეთესო ადამიანები ახლა არ მიიღებენ გადამწყვეტ ზომებს, თუ არ მიატოვებენ თავიანთ ჩვეულებრივ მანილოვობას, თავიანთ წვრილმან, მეორეხარისხოვან საკითხებს — «ტაშტების კალვას», როგორც ეს სთქვა ერთ-ერთმა მხცოვანმა ერობელმა, — ერობა გაუკაცრიელდება და ჩვეულებრივ «სახელმწიფო დაწესებულებად» გადაიქცევა. ასეთი სამარცხვინო აღსასრული გარდუვალია, ვინაიდან არ შეიძლება ათეული წლობით დაუსჯელად მხოლოდ ის აკეთო, რომ შიშით კანკალებდე, მადლობას უძღვნიდე და დამამცირებლად შუამდგომლობდე: საჭიროა დავემუქროთ, მოვითხოვოთ, თავი დავანებოთ ჩხირკედელაობას და ნამდვილ მუშაობას მოვკიდოთ ხელი.

«ისკრა» № 8, 1901 წლის 10 სექტემბერი

იბეჭდება გაზეთ «ისკრის» ტექსტის მიხედვით

აგრარული საკითხი და «მარქსის კრიტიკოსები»[37]

დაწერილია 1901 წლის ივნის-სექტემბერში

თავები I — IV პირველად დაიბეჭდა 1901 წლის დეკემბერს ჟურნალ «ზარიას» № 2 — 3-ში, ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი; თავები V — IX — 1906 წლის თებერვალს ჟურნალ «ობრაზოვანიეს»[38] № 2-ში, ხელმოწერა:
ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება «ზარიასა» და «ობრაზოვანიეს» ტექსტის მიხედვით, რომელიც შეჯერებულია ტექსტთან კრებულისა: ვლ. ილინი — «აგრარული საკითხი», 1908 წ.

XV. 1906.

Образованіе.

ЖУРНАЛЪ

Литературный

и

общественно-политическій.

№ 2.

С.-ПЕТЕРБУРГЪ.
Типо-литографія Б. М. Вольфа. Разъѣзжая, 16.
1906.

თავფურცელი ჟურნ. «ობრაზოვანიეს» 1906 წ. № 2-ისა, რომელშიც დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის ნაშრომის «აგრარული საკითხი და «მარქსის კრიტიკოსები»» V — IX თავები

«...მტკიცება,... რომ დოგმატური მარქსიზმის პოზიცია აგ-რარული საკითხების სფეროში დამარცხდა, — ღია კარებზე კაკუნს უდრის»... ასე განაცხადა გასულ წელს «რუსსკოე ბო-გატსტვომ» [39] ბ-ნ ვ. ჩერნოვის პირით (1900 წ., № 8, გვ. 204). უცნაური თვისება აქვს ამ «დოგმატურ მარქსიზმს»! აი უკვე რამდენიმე წელიწადია ევროპის მეცნიერი და უმეცნიერესი ადამიანები დიდი ამბით აცხადებენ (ხოლო მეგაზეთენი და ჟურნალისტები იმეორებენ და ღეჭავენ), რომ მარქსიზმის პო-ზიცია გაანადგურა «კრიტიკამ», — და მიუხედავად ამისა, თვითეული ახალი კრიტიკოსი ისევ თავიდან იწყებს ტყვია-წამლის დაშენას ამ ვითომდა უკვე დანგრეული პოზიციების წინააღმდეგ. ბ-ნი ვ. ჩერნოვი, მაგალითად, ჟურნალ «რუსსკოე ბოგატსტვოშიც» და კრებულშიც «ნა სლავნომ პოსტუ» მ თ ე-ლ ი 240 გ ვ ე რ დ ი ს მანძილზე «უკაკუნებს ღია კარებს», «ესაუბრება» რა მკითხველს ჰერცის წიგნის გამო. ესოდენ საფუძვლიანად მოთხრობილი თხზულება ჰერცისა, რომელიც თავის მხრივ კაუტსკის წიგნის შესახებ საუბრობს, უკვე გად-მოთარგმნილია რუსულ ენაზე. ბ-მა ბულგაკოვმა თავისი და-პირების შესასრულებლად — იმავე კაუტსკის გაბათილების შესახებ, მთელი ორტომიანი გამოკვლევა გამოუშვა. ახლა უკვე, ალბათ, ნაშთსაც ვეღარავინ ვერ იპოვის «დოგმატური მარქსიზმისას», რომელიც სასიკვდილოდ გაისრისა კრიტიკუ-ლი ნაბეჭდი ქაღალდის ამ გროვათა ქვეშ.

I

ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების «კანონი»

დავუკვირდეთ პირველად კრიტიკოსთა საერთო თეორიულ ფიზიონომიას. ბ-ნი ბულგაკოვი გამოვიდა ჯერ კიდევ ჟურნალ «ნაჩალოში»[40] სტატიით კაუტსკის «აგრარული საკითხის» წინააღმდეგ და ერთბაშად გამოამჟღავნა მთელი თავისი «კრიტიკული» ხერხები. ჭეშმარიტი მოჯირითის არაჩვეულებრივი სიმკვახით და მოურიდებლობით «გაანიავა» მან კაუტსკი: მიაწერა ისეთი რამეები, რაც მას არ უთქვამს, დააბრალა მას, კაუტსკის, ისეთ გარემოებათა და მოსაზრებათა უგულებელყოფა, რომლებიც ზედმიწევნით აქვს გადმოცემული თვითონვე კაუტსკის, გაასაღა რა მკითხველთან თ ა ვ ი ს ი ს ა კ უ თ ა რ ი კრიტიკული დასკვნების სახით — კაუტსკის მიერ გამოყვანილი დასკვნები. მცოდნე კაცის რიხით ბ-ნი ბულგაკოვი კაუტსკის ტექნიკისა და ეკონომიკის ერთმანეთში არევას აბრალებდა, — და იმავე დროს თვითონ იქვე არა თუ წარმოუდგენელ არევ-დარევას იჩენდა, არამედ იმის სურვილსაც კი არ ამჟღავნებდა, რომ ბოლომდე წაეკითხა თავისი მოწინააღმდეგის ნაწერიდან ციტირებული გვერდები. თავისთავად ცხადია, მომავალი პროფესორის სტატია გატენილი იყო გაცვეთილი სიტყვებით სოციალისტების წინააღმდეგ, «კრახის თეორიის», უტოპიზმის, სასწაულთა რწმენის და სხვ. წინააღმდეგ *. ახლა თავის სადოქტორო დისერტაციაში («კაპიტალიზმი და მიწათმოქმედება», სპბ. 1900 წ.) ბ-მა ბულგაკოვმა სრულიად გაუსწორა ანგარიში მარქსიზმს და თავისი «კრიტიკული» ევოლუცია ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა.

---

* ბ-ნ ბულგაკოვის სტატიაზე «ნაჩალოში» მე მაშინვე პასუხი გავეცი სტატიით: «კაპიტალიზმი სოფლის მეურნეობაში». «ნაჩალოს» დახურვის გამო ეს სტატია დაიბეჭდა «ჟიზნში»[41] 1900 წ., № 1 და 2. (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 4, გვ. 117 — 187. რ ე დ.) (ავტორის შენიშვნა 1908 წლის გამოცემისათვის. რ ე დ.)

თავის «აგრარული განვითარების თეორიას» ბ-ნმა ბულგაკოვმა ქვაკუთხედად დაუდო «ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონი». ჩვენ მიგვითითებენ ამონაწერებზე იმ კლასიკოსთა თხზულებებიდან, რომლებიც ადგენენ ამ «კანონს» (რომლის მიხედვით შრომისა და კაპიტალის ყოველ დამატებითს დაბანდებას მიწაზე მოსდევს მოსაყვანი პროდუქტის არა შესაბამისი, არამედ კლებადი რაოდენობა). გვაცნობენ იმ ინგლისელი ეკონომისტების სიას, რომლებიც აღიარებენ ამ კანონს. გვარწმუნებენ, რომ ამ კანონს «უნივერსალური მნიშვნელობა აქვს», რომ ეს — «სრულიად ცხადი ჭეშმარიტებაა, რომლის უარყოფა ყოვლად შეუძლებელია», «რომელიც საკმარისია მხოლოდ გარკვევით აღინიშნოს», და სხვ. და ა. შ.. რაც უფრო გადაჭრით გამოსთქვამს თავის აზრს ბ-ნი ბულგაკოვი, მით უფრო ნათლად ჩანს, რომ ის უ კ ა ნ ი ხ ე ვ ს, ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიისაკენ, რომელიც საზოგადოებრივ ურთიერთობას გამოგონილი «მარადი კანონებით» ფარავს. მართლაც, რაში გამოიხატება ყბადაღებული «ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონის» «სიცხადე»? იმაში, რომ შრომისა და კაპიტალის ყოველი შემდგომი დახარჯვა მიწაზე პროდუქტის არა კლებადს, არამედ თანაბარ რაოდენობას რომ იძლეოდეს, მაშინ რაღა საჭირო იქნებოდა სათესი მიწის ვაფართოება, მაშინ პურის დამატებითი რაოდენობა შეიძლებოდა მოგვეყვანა მიწის წინანდელ ფართობზე, რა გინდ მცირეც უნდა ყოფილიყო ის, მაშინ «მთელი დედამიწის ზურგის მიწათმოქმედება შეიძლებოდა მოგვეთავსებინა ერთ დესეტინაზე». ასეთია ჩვეულებრივი (და ე რ თ ა დ ე რ თ ი) საბუთი ამ «უნივერსალური» კანონის სასარგებლოდ. და სულ მცირეოდენი ჩაფიქრება დაანახვებს ყველას, რომ ეს საბუთი წარმოადგენს უშინაარსო აბსტრაქციას, რომელიც უყურადღებოდ სტოვებს იმას, რაც ყველაზე მთავარია: ტექნიკის დონეს, მწარმოებელი ძალების მდგომარეობას. არსებითად ხომ თვით ცნება: «დამატებითი (ანუ: თანამიმდევარი) დაბანდება შრომისა და

კაპიტალისა» გულისხმობს წარმოების წესების შეცვლას, ტექნიკის გარდაქმნას. მიწაზე დასაბანდებელი კაპიტალის რაოდენობის მნიშვნელოვნად გადიდებისათვის საჭიროა გამოგონებულ იქნას ახალი მანქანები, მემინდვრეობის ახალი სისტემები, პირუტყვის მოვლის, პროდუქტის გადამზიდვის ახალი წესები და სხვ. და სხვ. რა თქმა უნდა, შედარებით მცირე ფარგლებში «შრომისა და კაპიტალის დამატებითი დაბანდება» შეიძლება (და ხდება კიდეც) ტექნიკის არსებული, უცვლელი დონის ბაზისზეც: ამ შემთხვევაში რამდენადმე მისაღებია «ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონიც», მისაღებია იმ აზრით, რომ ტექნიკის უცვლელი მდგომარეობა შედარებით ძლიერ ვიწრო ფარგლებს უქმნის შრომისა და კაპიტალის დამატებით დაბანდებას. მაშასადამე, ნაცვლად უნივერსალური კანონისა ჩვენ ვღებულობთ უაღრესად შედარებითს «კანონს», — იმდენად შედარებითს, რომ რაიმე «კანონზე», მიწათმოქმედების რაიმე კარდინალურ თავისებურებაზე ლაპარაკიც შეუძლებელია. ავიღოთ, როგორც მოცემული: სამმინდვრიანობა, ტრადიციული მარცვლეული პურეულის თესვა, ნაკელის მომცემი მესაქონლეობა, გაუმჯობესებული მდელოებისა და გაუმჯობესებული იარაღების უქონლობა. ცხადია, ამ მონაცემთა უცვლელობისას მიწაზე შრომისა და კაპიტალის დამატებითი დაბანდების ფარგლები მეტად ვიწროა. მაგრამ იმ ვიწრო ფარგლებშიც, როცა შრომისა და კაპიტალის დამატებითი დაბანდება რამდენადმე მაინც შესაძლებელია, ყოველთვის და უსათუოდ სრულიადაც არ მოხდება თვითეული ასეთი დამატებითი დაბანდების ნაყოფიერების შემცირება. ავიღოთ მრეწველობა. წარმოვიდგინოთ საფქვავი ან რკინის დამმუშავებელი წარმოება იმ ეპოქაში, რომელიც წინ უსწრებდა მსოფლიო ვაჭრობას და ორთქლის მანქანების გამოგონებას. ტექნიკის ამ მდგომარეობაში შრომისა და კაპიტალის დამატებითი დაბანდების საზღვრები წვრილ სამჭედლოებზე, ქარის და წყლის წისქვილებზე მეტად ვიწრო იყო; აუცილებლად უნდა მომხ-

დარიყო წვრილი სამჭედლოებისა და წისქვილების უდიდესი გავრცელება, სანამ წარმოების წესების რადიკალური გარდაქმნა არ შექმნიდა ბაზისს მრეწველობის ახალი ფორმებისათვის.

ამრიგად: «ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონი» სრულებით გამოუყენებელია ისეთი შემთხვევებისათვის, როცა ტექნიკა პროგრესს განიცდის, როცა წარმოების წესები გარდაქმნის პროცესშია; მისი გამოყენება მხოლოდ შედარებითი და პირობითია იმ შემთხვევების მიმართ, როცა ტექნიკა უცვლელი რჩება. აი რატომ არის, რომ არც მარქსი და არც მარქსისტები არას ამბობენ ამ «კანონის» შესახებ, მასზე გაჰკივიან მხოლოდ ბურჟუაზიული მეცნიერების ბრენტანოს მსგავსი წარმომადგენელნი, რომელთაც ვერასგზით ვერ დაუღწევიათ თავი ძველი პოლიტიკური ეკონომიის ცრურწმენისა და მისი აბსტრაქტული, მარადი და ბუნებრივი კანონებისათვის.

ბ-ნი ბულგაკოვი «უნივერსალურ კანონს» ისეთი საბუთებით იცავს, რომლებიც სწორედ სასაცილოა.

«რასაც წინათ ბუნება მუქთად იძლეოდა, ახლა ის ადამიანმა უნდა გააკეთოს: ქარი და წვიმა აფხვიერებდა ნიადაგს, რომელიც სავსე იყო მასაზრდოებელი ელემენტებით, საკმარისი იყო მცირეოდენი შრომა ადამიანის მხრივ, რომ ყოველივე აუცილებელი მოეპოვებინა. დროთა განმავლობაში პროდუქტიული მუშაობის სულ უფრო მეტი ნაწილი ეკისრება ადამიანს; როგორც ყველგან, ხელოვნური პროცესები სულ უფრო მეტად იჭერენ ბუნებრივი პროცესების ადგილს. მაგრამ თუ ინდუსტრიაში ეს გამოხატავს ადამიანის გამარჯვებას ბუნებაზე, მიწათმოქმედებაში ეს მაჩვენებელია იმისა, რომ თანდათან ძნელდება არსებობა, რომლისთვისაც ბუნება თავის ძღვენს ამცირებს.

ამ შემთხვევაში სულ ერთია — საზრდოს წარმოების მზარდი სიძნელე ადამიანის შრომის გადიდებით გამოიხატება, თუ მისი პროდუქტების, მაგ., წარმოების იარაღების ან სასუქის

გადიდებით და სხვ.» (ბ-ნ ბულგაკოვს სურს სთქვას: სულ ერთია — საზრდოს წარმოების მზარდი სიძნელე ადამიანის შრომის გადიდებით გამოიხატება, თუ მისი პროდუქტების გადიდებით): «საგულისხმოა მხოლოდ ის, რომ საზრდო სულ უფრო ძვირად უჯდება ადამიანს. ბუნების ძალების ადამიანის შრომით, წარმოების ბუნებრივი ფაქტორების ხელოვნური ფაქტორებით ეს შეცვლა — წარმოადგენს სწორედ ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონს» (16).

ცხადია, ბ-ნ ბულგაკოვს ძილს უფრთხობს დაფნის გვირგვინები ბატონ სტრუვესი და ტუგან-ბარანოვსკისა, რომლებიც იმ დასკვნამდე მივიდნენ, თითქოს ადამიანი კი არ მუშაობს მანქანის შემწეობით, არამედ მანქანა მუშაობს ადამიანის შემწეობით. ამ კრიტიკოსთა მსგავსად ისიც ვულგარული ეკონომიის დონემდე ქვეითდება, როცა ლაპარაკობს — ბუნების ძალთა ადგილს ადამიანის შრომა ი ჭ ე რ ს ო და სხვ. ბუნების ძალთა შეცვლა ადამიანის შრომით, საერთოდ რომ ვთქვათ, ისევე შეუძლებელია, როგორც არშინის შეცვლა ფუთით. ინდუსტრიაშიც და მიწათმოქმედებაშიც ადამიანს შეუძლია მხოლოდ გამოიყენოს ბუნების ძალების მოქმედება, თუ კი შეიგნო მათი მოქმედება, და გ ა ი ა დ ვ ი ლ ო ს ეს გამოყენება მანქანების, იარაღების და სხვათა საშუალებით. პირველყოფილი ადამიანი რომ თითქოს ყოველივე აუცილებელს თავისუფალ ძღვნად იღებდა ბუნებისაგან, — სულელური ზღაპარია, რომლისთვისაც ბ-ნ ბულგაკოვს დამწყებმა სტუდენტებმაც კი შეიძლება უსტვინონ. არავითარი ოქროს საუკუნე ჩვენამდე არ ყოფილა, და პირველყოფილი ადამიანი სრულიად დაბეჩავებული იყო არსებობის სიძნელით, ბუნებასთან ბრძოლის სიძნელით. მანქანებისა და წარმოების გაუმჯობესებული წესების შემოღებამ განუზომლად გაუადვილა ადამიანს ეს ბრძოლა საერთოდ და საზრდოს წარმოება კერძოდ. გაიზარდა არა საზრდოს წარმოების სიძნელე, არამედ მუშების მიერ საზრდოს მიღების სიძნელე — გაიზარდა იმიტომ, რომ კაპიტალისტურმა განვითარებამ მაღლა ასწია მიწის რენტა

და მიწის ფასი, სოფლის მეურნეობა მოაქცია მსხვილი და წვრილი კაპიტალისტების ხელში, თავი მოუყარა კიდევ უფრო მეტ მანქანებს, იარაღებს, ფულს, ურომლისოდაც შეუძლებელია წარმატებითი წარმოება. მუშების არსებობის ამ მზარდი სიძნელის ახსნა იმით, რომ ბუნება ამცირებს თავის ძღვენსო, — ეს ნიშნავს ბურჟუაზიულ აპოლოგეტად გადაქცევას.

«როცა ამ კანონს ვიღებთ, — განაგრძობს ბ-ნი ბულგაკოვი, — სრულიად არ ვამტკიცებთ საზრდოს წარმოების სიძნელის განუწყვეტლივ ზრდას ან არ უარვყოფთ სასოფლო-სამეურნეო პროგრესს: პირველის მტკიცება და მეორის უარყოფა სიცხადის წინააღმდეგ წასვლა იქნებოდა. უეჭველია, რომ ეს სიძნელე იზრდება არა განუწყვეტლივ, განვითარება მიმდინარეობს მიხვევ-მოხვევით. აგრონომიული აღმოჩენანი, ტექნიკური გაუმჯობესებანი მწირ მიწებს ნაყოფიერ მიწებად აქცევს, დროებით აუქმებს ტენდენციას, რომელიც ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონშია აღნიშნული» (ibid. *).

რა ღრმააზროვნებაა, არა?

ტექნიკური პროგრესი — «დროებითი» ტენდენციაა, ხოლო ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონს, ესე იგი კანონს კაპიტალის დაძატებით დაბანდებათა ნაყოფიერების თანდათანი შემცირებისა (და ისიც არა ყოველთვის) შეუცვლელი ტექნიკის ბაზისზე, «უნივერსალური მნიშვნელობა აქვს»! ეს სავსებით იგივეა, რომ ვთქვათ: მატარებლების გაჩერება სადგურებზე ორთქლის ტრანსპორტის უნივერსალურ კანონს წარმოადგენს, ხოლო მატარებლების მოძრაობა სადგურებს შუა — დროებითი ტენდენციაა, რომელიც აუქმებს გაჩერების უნივერსალური კანონის მოქმედებას.

დასასრულ, (მოიპოვება მასობრივი მონაცემებიც, რომლებიც ცხადად არღვევენ კლებადი ნაყოფიერების კანონის უნივერ-

* — ibidem — იქვე. რ ე დ.

სალობას: ეს არის მონაცემები მიწათმოქმედი და არამიწათ-მოქმედი მოსახლეობის შესახებ. ბ-ნი ბულგაკოვი თვითონ აღიარებს, რომ «საზრდოს მოპოვება მოითხოვდა შედარებით განუწყვეტლივ მზარდ» (ეს დაიხსომეთ!) «შრომის რაოდენობას და, მაშასადამე, მიწათმოქმედ მოსახლეობას, ყოველი ქვეყანა რომ თავისი ბუნებრივი რესურსებით იყოს შეზღუდული» (19). თუ დასავლეთ ევროპაში მიწათმოქმედი მოსახლეობა მცირდება, ეს იმით აიხსნება, რომ პურის შეტანის საშუალებით შესაძლებელი შეიქნა თავის დაღწევა კლებადი ნაყოფიერების კანონის მოქმედებისაგან. — კარგი ახსნა კია, აღარ უნდა ლაპარაკი! ჩვენს მეცნიერს დაავიწყდა ის წვრილმანი, რომ მიწათმოქმედი მოსახლეობის შედარებითი შემცირება ხდება ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში, მათ შორის როგორც სამიწათმოქმედო, ისე პურის შემტან ქვეყნებშიც. მიწათმოქმედი მოსახლეობა შედარებით მცირდება ამერიკასა და რუსეთში, ის მცირდება საფრანგეთში XVIII საუკუნის დამლევიდან (იხ. ციფრები ბ-ნ ბულგაკოვის იმავე თხზულებაში, II, გვ. 168), მასთან ეს შედარებითი შემცირება ზოგჯერ აბსოლუტურიც ხდება, მაშინ როდესაც პურის შეტანის სიჭარბე გატანაზე ჯერ კიდევ 30-იან და 40-იან წლებში სრულიად უმნიშვნელო იყო, და მ ხ ო ლ ო დ 1878 წ ლ ი-დ ა ნ აღარ გვხვდება სრულებით ისეთი წლები, როცა გატანა სჭარბობს შეტანას *. პრუსიაში სოფლის მოსახლეობა შედარებით მცირდებოდა 73,5%-დან 1816 წელს 71,7%-მდე 1849 წელს და 67,5%-მდე 1871 წელს, ხოლო ჭვავის შეტანა დაიწყო მხოლოდ 60-იანი წლების დამდეგიდან, ხორბლისა — 70-იანი წლების დამდეგიდან (იქვე, II, გვ. 70 და 88). დასასრულ, თუ ავიღებთ პურის შემტან ევროპის ქვეყნებს, — მაგ., უკანასკნელი ათწლეულის საფრანგეთსა და გერმანიას, — დავინახავთ სოფლის მეურნეობის უ ე ჰ ვ ე ლ პ რ ო გ რ ე ს ს

* «Statistique agricole de la France. Enquête de 1892». P. 1897. P. 113. («საფრანგეთის სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკა. 1892 წლის გამოკვლევა». პარიზი, 1897, გვ. 113. რ ე დ.)

სოფლის მეურნეობაში ჩაბმულ მუშათა რიცხვის ა ბ ს ო ლ უ-ტ უ რ ა დ შ ე მ ც ი რ ე ბ ა ს თ ა ნ ერთად: საფრანგეთში ეს რიცხვი შემცირდა 1882-დან 1892 წლამდე — 6 913 504-დან 6 663 135-მდე («Statist. agric.», ნაწ. II, გვ. 248 — 251), გერმანიაში 1882-დან 1895 წლამდე — 8 064 ათასიდან 8 045 ათასამდე *. ამრიგად, შეიძლება ითქვას, (რომ XIX საუკუნის მ თ ე ლ ი ისტორია მასობრივი მონაცემებით, რომლებიც სულ სხვადასხვა ქვეყანას შეეხება, უცილობლად ამტკიცებს, რომ კლებადი ნაყოფიერების «უნივერსალური კანონი» ს რ უ-ლ ი ა დ გ ა ბ ა თ ი ლ ე ბ უ ლ ი ა იმ ტექნიკური პროგრესის «დროებითი» ტენდენციით, რომელიც შესაძლებლობას აძ-ლევს სოფლის შედარებით (ზოგჯერ კი აბსოლუტურადაც) კლებად მოსახლეობას აწარმოოს მიწათმოქმედების პრო-დუქტთა მზარდი რაოდენობა მოსახლეობის მზარდი მა-სისთვის.)

* «Statistik des Deutschen Reichs», Neue Folge. Bd. 112: «Die Landwirtschaft im Deutschen Reich». Berlin, 1898. S. 6. («გერმანიის იმპერიის სტატისტიკა», ახალი სერია, ტ. 112: «გერმანიის იმპერიის სოფ-ლის მეურნეობა», ბერლინი, 1898, გვ. 6. რ ე დ.). ბ-ნ ბულგაკოვს, რა-საკვირველია, არ მოსწონს ეს, მთელი მისი მალთუსიანობის [42] გამაბათი-ლებელი ფაქტი ტექნიკური პროგრესისა სოფლის მოსახლეობის შემცი-რებისას. ჩვენი «მკაცრი მეცნიერი» ამიტომ ასეთ ოინს მიმართავს: იმის ნაცვლად, რომ აღო სოფლის მეურნეობა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშ-ვნელობით (მიწათმოქმედება, მეცხოველეობა და სხვ.), ის იღებს (იმ ცნო-ბებთან ერთად, რომლებიც მოწმობენ ს ა მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ო პრო-დუქტთა რაოდენობის გადიდებას ერთ ჰექტარზე!) «სოფლის მეურნეობას ფართო მნიშვნელობით», სადაც გერმანულ სტატისტიკას შეაქვს საორან-ჟერეო და კომერციული მებოსტნეობაც, მ ე ტ ყ ე ო ბ ა ც და მ ე თ ე ვ-ზ ე ო ბ ა ც! ვღებულობთ იმ პირთა საერთო ჯამის გადიდებას, რომლებიც მართლაც «მიწათმოქმედებას» ეწევიან! (ბულგაკოვი, ტ. II, 133). ტექსტში მოყვანილი ციფრები შეეხება იმ პირთ, რომელთათვის მიწათმოქმედება მ თ ა ვ ა რ საქმეს შეადგენდა. იმ პირთა რიცხვი, რომლებიც მიწათმოქ-მედებას სხვათა შორის ეწევიან, გაიზარდა 3 144 ათასიდან 3 578 ათასამდე. ამ ციფრების მიმატება წინა ციფრებისადმი სავსებით სწორი არ არის, მაგრამ თუნდაც რომ მივუმატოთ, მივიღებთ მხოლოდ მცირეოდენ გადიდებას: 11 208 ათასიდან 11 623 ათასამდე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს მასობრივი სტატისტიკური მონაცემები სრულიად უარყოფენ აგრეთვე ბ-ნ ბულგაკოვის «თეორიის» შემდეგ ორ ცენტრალურ პუნქტს, სახელდობრ: ჯერ-ერთი, მის მტკიცებას, თითქოს «მიწათმოქმედებას სრულიად არ უდგება» მუდმივი კაპიტალის (წარმოების იარაღებისა და მასალების) ცვალებად კაპიტალთან (სამუშაო ძალასთან) შედარებით უფრო სწრაფი ზრდის თეორია. ბ-ნი ბულგაკოვი დიდის ამბით აცხადებს, რომ ეს თეორია სწორი არ არისო და თავისი აზრის დასამტკიცებლად იმოწმებს: ა) «პროფ. ა. სკვორცოვს» (რომელიც უფრო იმითაა სახელგანთქმული, რომ მარქსის მოგების საშუალო ნორმის თეორიას ის მიაწერდა აგიტატორულ ბოროტგანზრახვას) და ბ) იმ ფაქტს, რომ მეურნეობის ინტენსიფიკაციის დროს მუშათა რაოდენობა იზრდება ფართობის ერთეულზეო. ეს — მარქსის ერთ-ერთი წინასწარ განზრახული გაუგებლობაა, რომელსაც მუდამ იჩენენ ახალმოდის კრიტიკის წარმომადგენელნი. ჩაუფიქრდით მხოლოდ: ცვალებად კაპიტალთან შედარებით მუდმივი კაპიტალის უფრო სწრაფი ზრდის თეორია ბათილდება ფართობის ერთეულზე ცვალებადი კაპიტალის გადიდების ფაქტით! და ბ-ნი ბულგაკოვი ვერც კი ამჩნევს, რომ თვითონ მის მიერ ასე უხვად მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები ადასტურებენ მარქსის თეორიას. თუ გერმანიის მთელ მიწათმოქმედებაში მუშების რიცხვი 1882 წლიდან 1895 წლამდე შემცირდა 8 064 ათასიდან 8 045 ათასამდე (ხოლო თუ მივუმატებთ იმ პირთ, რომლებიც მიწათმოქმედებას სხვათა შორის ეწევიან, გაიზარდა 11 208 ათასიდან 11 623 ათასამდე, ე. ი. სულ 3,7%-ით), მაშინ როდესაც პირუტყვის რაოდენობა ამ ხნის განმავლობაში გაიზარდა 23,0 მილიონიდან 25,4 მილიონამდე (მთელ პირუტყვს მსხვილ პირუტყვზე თუ გადავიყვანთ), ე. ი. 10%-ზე მეტით, ხუთი უმთავრესი მანქანის გამოყენების შემთხვევის რიცხვი გაიზარდა 458 ათასიდან 922 ათასამდე, ე. ი. ორჯერ და უფრო მეტადაც, შეტანილი სასუქის რაოდენობა 636 ათას ტონიდან

(1883 წ.) 1 961 ათას ტონამდე (1892 წ.) და კალიუმის მარილების რაოდენობა 304 ათას ორმაგი ცენტნერიდან 2 400 ათასამდე *,—განა ნათელი არ არის, რომ მუდმივი კაპიტალის შეფარდება ცვალებად კაპიტალთან იზრდება? ჩვენ უკვე იმაზე აღარას ვამბობთ, რომ ეს განურჩევლად აღებული მონაცემები მეტისმეტად ჩქმალავენ მსხვილი წარმოების პროგრესს. ამაზე ქვემოთ.

მეორეც, სოფლის მეურნეობის პროგრესი სოფლის მოსახლეობის შემცირების ანდა უმნიშვნელო აბსოლუტური მომატების დროსაც სავსებით აბათილებს ბ-ნ ბულგაკოვის უაზრო ცდას — აღადგინოს მალთუსიანობა. რუსეთის «ყოფილ მარქსისტთაგან» თითქმის ყველაზე უწინ ეს ბ-მა სტრუვემ სცადა თავის «კრიტიკულ შენიშვნებში», მაგრამ ის, როგორც ყოველთვის, არ გასცილებია გაუბედავ, დაუმთავრებელ და ორაზროვან შენიშვნებს, რომელნიც არ არის ბოლომდე მოფიქრებული და შეხედულებათა ერთ მთლიან სისტემად ჩამოყალიბებული. ბ-ნი ბულგაკოვი უფრო გაბედული და თანამიმდევარია: «კლებადი ნაყოფიერების კანონს» ის, სრულიად უყოყმანოდ, «ცივილიზაციის ისტორიის ერთ-ერთ უაღრესად მნიშვნელოვან კანონად» ასაღებს (sic! ** გვ. 18). «XIX საუკუნის მთელი ისტორია... სიმდიდრისა და სიღარიბის მისი პრობლემებით უამკანონოდ გაუგებარი იქნებოდა». «ჩემთვის სრულიად უეჭველია, რომ სოციალური საკითხი იმ სახით, როგორადაც ის ახლა დგას, არსებითად არის დაკავშირებული ამ კანონთან» (ამას ჩვენი მკაცრი მეცნიერი აცხადებს უკვე თავისი «გამოკვლევის» მე-18 გვერდზე!) ...«ეჭვს გარეშეა, — აცხადებს ის თხზულების ბოლოში, — რომ, მოსახლეობის სიჭარბის დროს, სიღარიბის განსაზღვრული ნაწილი უნდა მიეწეროს ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ს ი ღ ა რ ი ბ ე ს, წარმოების და არა განაწილების სიღარი-

* «Statist. d. D. R.», 112. S. 36. ბულგაკოვი, II, 135.

** — ასე რედ.

ბეს» (II, 221). «მოსახლეობის პრობლემა, დაყენებული მისი ისეთი თავისებურებით, როგორსაც ჰქმნის სასოფლო-სამეურნეო წარმოების პირობები, შეადგენს, ჩემი შეხედულებით, მთავარ სიძნელეს, რომელიც, ყოველ შემთხვევაში, ამჟამად, ეღობება წინ სასოფლო-სამეურნეო საწარმოში კოლექტივიზმისა და კოოპერაციის პრინციპების რაოდენადმე ფართოდ გატარებას» (II, 265). «წარსული მომავალს მემკვიდრეობად უტოვებს პურის საკითხს, უფრო საშინელსა და უფრო ძნელს, ვიდრე სოციალური საკითხია,—წარმოების და არა განაწილების საკითხს» (II, 455) და სხვ., და სხვ., და სხვ. რაკი ჩვენ უკვე გავარჩიეთ ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების უნივერსალური კანონი, საჭიროება აღარ არის ვილაპარაკოთ ამ «თეორიის» მეცნიერულ მნიშვნელობაზე, რომელიც განუყრელად არის დაკავშირებული ამ კანონთან. ხოლო მალთუსიანობასთან კრიტიკული პირფერობა თავის აუცილებელ ლოგიკურ განვითარებაში უაღრესად ვულგარულ ბურჟუაზიულ აპოლოგეტიზმამდე რომ მივიდა, — ეს სრულიად გულახდილად არის დამოწმებული ბ-ნ ბულგაკოვის დასკვნებით, რომლებიც ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ.

შემდგომ ნარკვევში ჩვენ გავარჩევთ ზოგიერთი ახალი წყაროს მონაცემებს, რომლებზეც მიგვითითებენ ჩვენი კრიტიკოსები (ყურები რომ გამოგვიჭედეს — ორთოდოქსები დეტალიზაციას გაურბიანო), და ცხადვყოფთ, რომ ბ-ნი ბულგაკოვი საერთოდ სიტყვას «ჭარბი მოსახლეობა» ტრაფარეტად აქცევს, რომლის გამოყენება ათავისუფლებს მას ყოველგვარი ანალიზისაგან და განსაკუთრებით «გლეხობის» შიგნით არსებულ კლასობრივ წინააღმდეგობათა ანალიზისაგან. ახლა კი, ვკმაყოფილდებით რა აგრარული საკითხის ზოგადთეორიული მხარით, ჩვენ უნდა შევეხოთ კიდევ რენტის თეორიას. «რაც შეეხება მარქსს, — სწერს ბ-ნი ბულგაკოვი, — «კაპიტალის» III ტომშიო,—რა სახითაც ახლა ჩვენ ის გვაქვს, ის არაფერს საყურადღებოს არ უმატებს რიკარდოს დიფერენციული რენტის თეორიას» (87). დავიხსომოთ ეს: «არა-

ფერს საყურადღებოს», და დავუპირისპიროთ კრიტიკოსის განაჩენს მისი შემდეგი წინანდელი განცხადება: «მიუხედავად ამ კანონისადმი (ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონისადმი) აშკარად უარყოფითი დამოკიდებულებისა. მარქსი ძირითად პრინციპებში ითვისებს რიკარდოს რენტის თეორიას, რომელიც ამ კანონზეა აგებული» (13).(ბულგაკოვის მიხედვით გამოდის, რომ მარქსმა ვერ შენიშნა რიკარდოს რენტის თეორიის კავშირი კლებადი ნაყოფიერების კანონთან და ამიტომ თავი და ბოლო ერთმანეთს ვეღარ დაუკავშირა! ჩვენ შეგვიძლია ერთი რამ ვთქვათ ასეთი გადმოცემის გამო: არავინ ისე არ ამახინჯებს მარქსს, როგორც ყოფილი მარქსისტები, არავინ არ იჩენს ასეთ წარმოუდგენელ ბოუ... ბოუ... ბოურიდებლობას გასაკრიტიკებელი მწერლისთვის ათას-ერთი მომაკვდინებელი ცოდვის დაბრალებაში.)

ბ-ნ ბულგაკოვის მტკიცება ჭეშმარიტების აღმაშფოთებელი დამახინჯებაა. სინამდვილეში მარქსმა არამცთუ შენიშნა ეს კავშირი რიკარდოს რენტის თეორიისა მის შემცდარ მოძღვრებასთან ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების შესახებ, არამედ სრული გარკვეულობით გამოააშკარავა კიდევაც რიკარდოს ეს შეცდომა. ვისაც თუნდ ოდნავი «ყურადღებით» წაუკითხავს კაპიტალის III ტომი, მას არ შეეძლო არ შეენიშნა ის უაღრესად «საყურადღებო» გარემოება, რომ სწორედ მარქსმა გ ა ა თ ა ვ ი ს უ ფ ლ ა დიფერენციული რენტის თეორია ყბადაღებულ «ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონთან» ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი კ ა ვ შ ი რ ი ს ა გ ა ნ. მარქსმა ნათელჰყო, რომ დიფერენციული რენტის შესაქმნელად საჭირო და საკმარისია მიწაზე კაპიტალის სხვადასხვა დაბანდების სხვადასხვა ნაყოფიერების ფაქტი. ამასთანავე არსებითად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, გადასვლა ხდება კარგი მიწიდან ცუდ მიწაზე თუ პირიქით, მიწაზე კაპიტალის დამატებითი დაბანდების ნაყოფიერება მცირდება თუ მატულობს. სინამდვილეში ხდება ამ სხვადასხვა შემთხვევის ყოველგვარი კომბინაცია, და ეს კომბინაციები არავითარ

ერთიან საერთო წესს არ ექვემდებარებიან. მაგალითად, მარქსი აგვიწერს ჯერ პირველი სახის დიფერენციულ რენტას, რომელიც წარმოსდგება მიწის სხვადასხვა ნაკვეთზე დაბანდებული კაპიტალის სხვადასხვა ნაყოფიერებისაგან, და თავის გადმოცემას განმარტავს ცხრილებით (რომელთა გამო ბ-ნი ბულგაკოვი მკაცრად შენიშნავს — «მარქსს დასჩემდა თავისი — ხშირად მეტად მარტივი — აზრების შემოსვა რთული მათემატიკური ტანსაცმლითო». ეს რთული მათემატიკური ტანსაცმელი ოთხი არითმეტიკული მოქმედებით ისაზღვრება, ხოლო ეს მეტად მარტივი აზრები, როგორც ვხედავთ, სრულიად მიუწვდომელი აღმოჩნდა სწავლული პროფესორისათვის). გაარჩია რა ეს ცხრილები, მარქსი დაასკვნის: «ამრიგად, ისპობა დიფერენციული რენტის ის პირველი შემცდარი წანამძღვარი, რომელსაც ჯერ კიდევ მტკიცედ ემყარებიან ვესტი (West), მალთუსი, რიკარდო, სახელდობრ ის, რომ დიფერენციული რენტა აუცილებლად გულისხმობს სულ უფრო ცუდ ნიადაგზე გადასვლას ან მიწათმოქმედების ნაყოფიერების განუწყვეტლივ კლებას. დიფერენციული რენტა, როგორც დავინახეთ, შეიძლება იყოს სულ უფრო უკეთეს მიწაზე გადასვლის დროს; დიფერენციული რენტა შეიძლება არსებობდეს, თუ უდაბლეს საფეხურს იჭერს უკეთესი ნიადაგი, ნაცვლად წინანდელი უცუდესი ნიადაგისა; ის შეიძლება დაკავშირებული იყოს მიწათმოქმედების მზარდ პროგრესთან. მის პირობას შეადგენს მხოლოდ და მხოლოდ ნიადაგის სახეთა უთანასწორობა». (მარქსი არ ლაპარაკობს აქ მიწაზე კაპიტალის თანამიმდევრად დაბანდების სხვადასხვა ნაყოფიერებაზე, ვინაიდან ეს წარმოშობს *მეორე* სახის დიფერენციულ რენტას, ამ თავში კი ლაპარაკია *პირველი* სახის დიფერენციულ რენტაზე.) «რამდენადაც საქმე ეხება ნაყოფიერების განვითარებას, — იმდენად დიფერენციული რენტა გულისხმობს, რომ მთელი სასოფლო-სამეურნეო ფართობის აბსოლუტური ნაყოფიერების გადიდება ამ უთანასწორობას კი არ სპობს, არამედ

ან აძლიერებს მას, ან უცვლელად სტოვებს, ანდა მხოლოდ ამცირებს» («Das Kapital», III, 2, S. 199 *). ბ-მა ბულგაკოვმა ვერ შენიშნა მარქსის დიფერენციული რენტის თეორიის ეს ძირითადი განსხვავება რიკარდოს რენტის თეორიისაგან. სამაგიეროდ მან ამჯობინა «კაპიტალის» III ტომში მოენახა «ნაწყვეტი, რომელიც უფრო გვაფიქრებინებს, რომ მარქსი ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონს სრულებითაც არ უყურებდა უარყოფითად» (გვ. 13, შენიშვნა). ბოდიშს ვიხდით მკითხველის წინაშე, რომ ჩვენ მოგვიხდება მეტად დიდი ადგილი დავუთმოთ ამ სრულიად არარსებულ (ჩვენთვის და ბ-ნ ბულგაკოვისათვის. საინტერესო საკითხთან დაკავშირებულ) ნაწყვეტს. მაგრამ რას იზამ, როცა თანამედროვე კრიტიკის გმირები (რომლებიც ბედავენ კიდევაც ორთოდოქსებს რაბულისტიკა ** დასდონ ბრალად) კონტექსტიდან ციტატების ამოგლეჯით და ყალბი გადმოთარგმნით ამახინჯებენ მათი საწინააღმდეგო მოძღვრების სრულიად ნათელ აზრს? ბ-ნ ბულგაკოვს მის მიერ ნაპოვნი ნაწყვეტი ასე მოჰყავს: «წარმოების კაპიტალისტური წესის თვალსაზრისით ყოველთვის ხდება (მიწათმოქმედების) პროდუქტების შედარებითი გაძვირება, რადგან» (ვთხოვთ მკითხველს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ჩვენს მიერ ხაზგასმულ სიტყვებს) «პროდუქტის მისაღებად ეწევიან ერთგვარ ხარჯს, უნდა გასწიონ ხარჯები ისეთ რამეზე, რაშიც წინათ არაფერს არ იხდიდნენ». და შემდეგ მარქსი ამბობს, რომ ბუნების ელემენტები, რომლებიც წარმოებაში შედიან, როგორც მისი აგენტები და არაფერი არა ღირან, შრომის მუქთ ბუნებრივ მწარმოებელ ძალას წარმოადგენენ, ხოლო თუ დამატებითი პროდუქტის საწარმოებლად გვიხდება ამ ბუნებრივი ძალის დაუხმარებლად ვიმუშაოთ, აუცილებელია ახალი კაპიტალი დავხარჯოთ, რაც წარმოების გაძვირებას იწვევს.

* — «კაპიტალი», ტ. III, ნაწ. 2, გვ. 199 [43]. რედ.

** — სიტყვიერი ოინები. რედ.

«ციტატების მოყვანის» ასეთი წესის გამო სამი შენიშვნა უნდა გავაკეთო. ჯერ-ერთი, სიტყვა «რადგან», რომელიც ტირადას რაღაც «კანონის» დადგენის აბსოლუტურ აზრს აძლევს, თვით ბ-ნ ბულგაკოვის მიერ არის ჩასმული. ორიგინალში («Das Kapital», III, 2, S. 277—278 *) სწერია არა «რადგან», არამედ «თუ». თუ უნდა გასწიონ ხარჯები ისეთ რამეზე, რაშიც წინათ არაფერს არ იხდიდნენ, მაშინ ყოველთვის პროდუქტების შედარებითი გაძვირება ხდება; მართლა, როგორ ჰგავს ეს დებულება კლებადი ნაყოფიერების «კანონის» აღიარებას? მეორეც, სიტყვა «მიწათმოქმედების» ფრჩხილებითურთ ჩამატებულია ბ-ნ ბულგაკოვის მიერ. ორიგინალში ის სრულებით არ არის. ბ-მა ბულგაკოვმა გადასწყვიტა, ალბათ, ბატონ კრიტიკოსებისათვის ჩვეული ფუქსავატობით, რომ მარქსს შეუძლია აქ ილაპარაკოს მხოლოდ მიწათმოქმედების პროდუქტებზე, და აჩქარდა მიეცა მკითხველისთვის სრულიად საწინააღმდეგო ხასიათის «განმარტება». სინამდვილეში კი მარქსი აქ ლაპარაკობს ყოველგვარ პროდუქტზე საერთოდ; ბ-ნ ბულგაკოვის მიერ მოყვანილ ნაწყვეტს წინ უძღვის მარქსის სიტყვები: «საერთოდ უნდა შევნიშნოთ შემდეგი». ბუნების მუქთი ძალები შეიძლება შედიოდეს სამრეწველო წარმოებაშიც — ასეთია მარქსის მიერ იმავე განყოფილებაში რენტის შესახებ მოყვანილი მაგალითი ჩანჩქერისა, რომელიც ერთ-ერთი ფაბრიკისათვის ორთქლის ძალის მაგივრობას ასრულებს, — და თუ საჭირო შეიქნა დამატებითი პროდუქტის წარმოება ამ მუქთი ძალების დაუხმარებლად, ყოველთვის მოხდება პროდუქტების შედარებითი გაძვირება. მესამე, უნდა განვიხილოთ, რა კონტექსტშია მოცემული ეს ნაწყვეტი? მარქსი ამ თავში ლაპარაკობს დასამუშავებელი უცუდესი მიწის დიფერენციულ რენტაზე და არჩევს, როგორც ყოველთვის, ორს მისთვის

* — «კაპიტალი», ტ. III, ნაწ. 2, გვ. 277—278 44. რედ.

სავსებით თანასწორუფლებიან, სავსებით ერთნაირად შესაძლო შემთხვევას: პირველი შემთხვევა — კაპიტალის თანამიმდევრად გამოყენების მზარდი ნაყოფიერება (S. 274 — 276) [45] და მეორე შემთხვევა — მისი კლებადი ნაყოფიერება (S. 276 — 278) [46]. შესაძლო შემთხვევათაგან ამ უკანასკნელი შემთხვევის გამო მარქსი ამბობს: «ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების შესახებ კაპიტალის თანამიმდევრად გამოყენებისას იხილე ლიბიხის თხზულებაში... მაგრამ საერთოდ უნდა შევნიშნოთ შემდეგი» (ხაზგასმა ჩვენია). მოყვანილია ბ-ნ ბულგაკოვის მიერ «ნათარგმნი» ნაწყვეტი, რომელიც ამბობს, რომ თუ ხარჯებს ეწევიან ისეთ რამეზე, რაშიც წინათ არაფერს არ იხდიდნენ, მაშინ ყოველთვის პროდუქტების შედარებითი გაძვირება ხდებაო.

თვით მკითხველისთვის მიგვინდია განსაჯოს, თუ რამდენად მეცნიერულად კეთილსინიდისიერია კრიტიკოსი, რომელმაც მარქსის შენიშვნა ერთ-ერთ შესაძლო შემთხვევის შესახებ ისე გაასაღა, ვითომ მარქსს ეს შემთხვევა რაღაც ზოგად «კანონად» ეღიარებინოს.

აი ბ-ნ ბულგაკოვის საბოლოო აზრი მის მიერ ნახული ნაწყვეტის შესახებ:

«ეს ნაწყვეტი, რა თქმა უნდა, არ არის ნათელი»... ოღონდაც! ბულგაკოვის მიერ ერთი სიტყვის მეორით შეცვლის შემდეგ ეს ნაწყვეტი სრულიად მოკლებულია აზრსაც... «მაგრამ არ შეიძლება სხვანაირად იქნას გაგებული, თუ არა როგორც არაპირდაპირი ან პირდაპირი აღიარებაც კი» (უსმინეთ!) «ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონისა. მე არ ვიცი, რომ მარქსს სადმე კიდევ პირდაპირ გამოეთქვას აზრი ამ უკანასკნელის შესახებ» (I, 14). როგორც ყოფილი მარქსისტისათვის, ბ-ნ ბულგაკოვისათვის «უცნობია», რომ მარქსმა პირდაპირ სრულიად შემცდარად გამოაცხადა ვესტის, მალთუსისა და რიკარდოს ვარაუდი, თითქოს დიფერენციული რენტა გულისხმობს უცუდეს მიწებზე გადასვლას ანდა

ნიადაგის კლებად ნაყოფიერებას*. მისთვის «უცნობია», რომ მარქსი რენტის მეტად ვრცელი ანალიზის მანძილზე მრავალჯერ ცხადჰყოფს, რომ კაპიტალის დამატებითს დანახარჯთა კლებადსა და მზარდ ნაყოფიერებას იგი სთვლის სრულიად ერთნაირად შესაძლო შემთხვევებად!

II

რენტის თეორია

მარქსის რენტის თეორია ბ-მა ბულგაკოვმა საერთოდ ვერ გაიგო. ის დარწმუნებულია, რომ ამ თეორიას აბათილებს შემდეგი ორი მოსაზრებით: 1) მარქსის აზრით, სამიწათმოქმედო კაპიტალი მოგების ნორმის გათანაბრებაში შედის, ასე რომ რენტას ჰქმნის დამატებითი მოგება, რომელიც მოგების საშუალო ნორმას აღემატება. ბ-ნ ბულგაკოვის აზრით, ეს სწორი არ არის, ვინაიდან მიწათმფლობელობის მონოპოლია სპობს კონკურენციის თავისუფლებას, რაც აუცილებელია მოგების ნორმის გათანაბრების პროცესისთვის. სამიწათმოქმედო კაპიტალი არ შედის მოგების ნორმის გათანაბრების პროცესში. 2) აბსოლუტური რენტა დიფერენციული რენტის მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევაა, და მისი განსხვავება ამ უკანასკნელისაგან სწორი არ არის: ეს განსხვავება დამყარებულია ერთი და იმავე ფაქტის — წარმოების ერთ-ერთი ფაქტორის მონოპოლიურად ფლობის სრულიად თვითნებურ ორგვარ ახსნაზე. ბ-ნი ბულგაკოვი ისე დარწმუნებულია თავის საბუთების შემმუსვრელ ძალაში, რომ თავს ვერ იკავებს მარქსის წინააღმდეგ მიმართულ მაგარ სიტყვათა მთელი ნა-

---

* კლასიკური ეკონომიის ეს შემცდარი მოსაზრება, უარყოფილი მარქსის მიერ, რასაკვირველია, უკრიტიკოდ გადმოიღო «კრიტიკოსმა» ბ-მა ბულგაკოვმაც თავის მასწავლებელ ბრენტანოს წაბაძვით. «რენტის წარმოშობის პირობას, — წერს ბ-ნი ბულგაკოვი, — წარმოადგენს ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონი...» (I, 90). «...რენტა ინგლისში ... ფაქტიურად ერთმანეთისაგან განასხვავებს სხვადასხვა, საერთოდ კლებადი ნაყოფიერების კაპიტალის თანამიმდევრად დაბანდებას» (I, 130).

კადისაგან: petitio principii *, არამარქსიზმი, ლოგიკური ფეტიშიზმი, გონებრივი აღმაფრენის თავისუფლების დაკარგვა მარქსის მიერ და სხვა. ამავე დროს კი ორივე მისი მოსაზრება საკმაოდ უხეშ შეცდომაზეა დამყარებული. საგნის ასეთივე ცალმხრივ გამარტივებას, რომელმაც აიძულა ბ-ნი ბულგაკოვი ერთ-ერთი შესაძლო შემთხვევა (კაპიტალის დამატებითი დაბანდების ნაყოფიერების შემცირება) კლებადი ნაყოფიერების უნივერსალურ კანონად გამოეცხადებინა, — ის ამ საკითხში იქამდე მიჰყავს, რომ უკრიტიკოდ ხმარობს ცნებას «მონოპოლია» და ამ ცნებას სახავს რაღაც თავისებურ უნივერსალობად, და ამასთანავე ერთმანეთში ურევს იმ შედეგებს, რომლებიც გამომდინარეობენ, მიწათმოქმედების კაპიტალისტური მოწყობის დროს, ერთი მხრით, მ ი წ ი ს რ ა ო დ ე ნ ო ბ ი ს გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ო ბ ი დ ა ნ და, მეორე მხრივ, მ ი წ ი ს კ ე რ ძ ო ს ა კ უ თ რ ე ბ ი დ ა ნ. ეს ხომ ორი სხვადასხვა რამაა. განვმარტოთ.

«მიწის რენტის წარმოშობის პ ი რ ო ბ ა ს, თუმცა არა წყაროს, — წერს ბ-ნი ბულგაკოვი, — წარმოადგენს იგივე გარემოება, რამაც გამოიწვია მიწის მონოპოლიზაციის შესაძლებლობა, — მიწის საწარმოო ძალების განსაზღვრულობა და ადამიანისათვის ამ ძალების უსაზღვროდ მზარდი საჭიროება» (I, 90). ნაცვლად: «მიწის საწარმოო ძალების განსაზღვრულობა», უნდა ეთქვა: «მ ი წ ი ს გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ო ბ ა». (მიწის საწარმოო ძალების განსაზღვრულობა ნიშნავს, როგორც ჩვენ უკვე ცხადვყავით, ტექნიკის ამა თუ იმ დონის, საწარმოო ძალების ამა თუ იმ მდგომარეობის «განსაზღვრულობას»). მიწის განსაზღვრულობა გულისხმობს მართლაც, საზოგადოების კაპიტალისტური წყობილების დროს, მიწის მონოპოლიზაციას, მ ა გ რ ა მ მ ი წ ი ს, რ ო გ ო რ ც მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს ო ბ ი ე ქ ტ ი ს ა, დ ა ა რ ა რ ო გ ო რ ც ს ა კ უ თ რ ე ბ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ო ბ ი ე ქ ტ ი ს ა.

* — არგუმენტი, დამყარებული ისეთი დებულების დასკვნაზე, რომელსაც ჯერ კიდევ დამტკიცება ესაჭიროება. რ ე დ.

მიწათმოქმედების კაპიტალისტური ორგანიზაციის ვარაუდი აუცილებლად შეიცავს იმ ვარაუდს, რომ მთელი მიწა დაკავებული აქვთ ცალკეულ, კერძო მეურნეობებს, მაგრამ სრულებითაც არ შეიცავს იმის ვარაუდს, რომ მთელი მიწა ამ მეპატრონეების ან სხვა პირთა. კერძო საკუთრებაშია ან კერძო საკუთრებაშია საერთოდ. მიწის მფლობელობის მონოპოლია საკუთრების უფლებით და მიწის მეურნეობის მონოპოლია — სრულიად სხვადასხვაა არათუ ლოგიკურად, არამედ ისტორიულადაც. ლოგიკურად ჩვენ სავსებით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მიწათმოქმედების შინდა კაპიტალისტური ორგანიზაცია მიწის კერძო საკუთრების გარეშეც, როცა მიწა სახელმწიფოს ან თემის საკუთრებას შეადგენს და სხვ. და მართლაც ჩვენ ვხედავთ, რომ ყველა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში მთელი მიწა ცალკეულ კერძო მეურნეობებს უკავიათ, მაგრამ ეს მეურნეობები ექსპლოატაციას უწევენ არა მარტო თავის საკუთარ მიწებს, არამედ კერძო მესაკუთრეთაგან იჯარით აღებულ მიწებსაც, სახელმწიფო მიწებსაც, სათემო მიწებსაც (მაგ., რუსეთში, ამასთან გლეხთა სათემო მიწებზე მოწყობილ კერძო მეურნეობებს სათავეში უდგანან, როგორც ცნობილია, კაპიტალისტური გლეხური მეურნეობები). ტყუილად როდი შენიშნავს მარქსი რენტის ანალიზის დასაწყისში, რომ წარმოების კაპიტალისტური წესი თავიდანვე პოულობს (და იმორჩილებს) მიწის საკუთრების სრულიად სხვადასხვანაირ ფორმას, დაწყებული კლანური[47] და ფეოდალური საკუთრებით და გათავებული გლეხთა თემების საკუთრებით.

ამრიგად, მიწის განსაზღვრულობა აუცილებლად გულისხმობს მხოლოდ მეურნეობის მონოპოლიზაციას მიწაზე (კაპიტალიზმის ბატონობის პირობებში). იბადება კითხვა, როგორია ამ მონოპოლიზაციის აუცილებელი შედეგები რენტის საკითხთან დაკავშირებით? მიწის განსაზღვრულობა იწვევს იმას, რომ პურის ფასს განსაზღვრავენ წარმოების პირობები არა საშუალო ხარისხის მიწაზე, არამედ უცუდეს დასამუშა-

ვებელ მიწაზე. პურის ეს ფასი საშუალებას აძლევს ფერმერს (= კაპიტალისტურ მეწარმეს მიწათმოქმედებაში) დაფაროს წარმოების ხარჯები და მიიღოს საშუალო მოგება კაპიტალზე. ფერმერი უკეთეს მიწაზე იღებს დამატებითს მოგებას, რომელიც ჰქმნის სწორედ დიფერენციულ რენტას. საკითხს იმის შესახებ, არსებობს თუ არა მიწის კერძო საკუთრება, არავითარი კავშირი არა აქვს იმ საკითხთან, თუ როგორ წარმოსდგება დიფერენციული რენტა, რომელიც აუცილებელია კაპიტალისტურ მიწათმოქმედებაში თუნდაც სათემო, სახელმწიფო, უპატრონო მიწებზე. მიწის განსაზღვრულობის ეროადერთი შედეგი კაპიტალიზმის პირობებში არის დიფერენციული რენტის წარმოშობა კაპიტალის სხვადასხვაგვარ დაბანდებათა სხვადასხვაგვარი ნაყოფიერების გამო. ბ-ნი ბულგაკოვი მეორე შედეგს იმაში ხედავს, რომ მიწათმოქმედებაში ისპობა კონკურენციის თავისუფლება, და ამბობს, რომ ამ თავისუფლების უქონლობა ხელს უშლის სამიწათმოქმედო კაპიტალს მონაწილეობა მიიღოს საშუალო მოგების შექმნაში. ეს აშკარა არევაა ერთმანეთში მიწის მეურნეობის საკითხისა და მიწის საკუთრების უფლების საკითხისა. მიწის განსაზღვრულობის ფაქტიდან (მიწის კერძო საკუთრებისაგან დამოუკიდებლად) ლოგიკურად გამომდინარეობს მხოლოდ ის, რომ ყველა მიწა კაპიტალისტ-ფერმერებს ჩაუვარდებათ ხელში, მაგრამ სრულებითაც არ გამომდინარეობს ამ ფერმერებს შორის კონკურენციის თავისუფლების რაიმე შეზღუდვის აუცილებლობა. მიწის განსაზღვრულობა საერთო მოვლენაა, რომელიც აუცილებლად ასვამს თავის დაღს ყოველგვარ კაპიტალისტურ მიწათმოქმედებას. ამ სხვადასხვა მოვლენის ერთმანეთ'ში არევის ლოგიკურ შეუსაბამობას ცხადად ამტკიცებს ისტორიაც. ინგლისზე უკვე აღარ ვლაპარაკობთ: იქ სამიწათმოქმედო მეურნეობისაგან მიწათმფლობელობის გამოყოფა აშკარაა, ფერმერებს შორის კონკურენციის თითქმის სრული თავისუფლება არსებობს, ვაჭრობასა და მრეწველობაში შექმნილი კაპიტალის გადატანა სოფლის მეურნეობაში

ხდებოდა და ხდება უაღრესად ფართო მასშტაბით. მაგრამ ყველა დანარჩენ კაპიტალისტურ ქვეყანაშიც წარმოებს (წინააღმდეგ ბ-ნ ბულგაკოვის აზრისა, ამაოდ რომ ცდილობს, მსგავსად ბ-ნ სტრუვესი, გამოჰყოს «ინგლისური» რენტა, როგორც სრულიად თავისებური რამ) სამიწათმოქმედო მეურნეობისაგან მიწათმფლობელობის გამოყოფის სწორედ იგივე პროცესი — მხოლოდ სრულიად სხვადასხვანაირ ფორმებში (იჯარა, ჰიპოთეკა). როცა ბ-ნი ბულგაკოვი ვერ ამჩნევს ამ პროცესს (რასაც დაბეჯითებით უსვამს ხაზს მარქსი), შეიძლება ითქვას, ის ვერ ამჩნევს სპილოს. ევროპის ყველა ქვეყანაში ვხედავთ ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, მიწათმფლობელობის წოდებრივობის დაშლას, მიწის საკუთრების მობილიზაციას, სავაჭრო-სამრეწველო კაპიტალის დაბანდებას სოფლის მეურნეობაში, იჯარისა და საჰიპოთეკო დავალიანების ზრდას. რუსეთშიც, მიუხედავად იმისა, რომ აქ ყველაზე მეტია ბატონყმობის ნაშთები, რეფორმის შემდეგ ვხედავთ მიწების გაძლიერებულ შეყიდვას გლეხების, «რაზნოჩინცებისა» და ვაჭრების მიერ, კერძომფლობელობითი, სახელმწიფო და სათემო მიწების იჯარის განვითარებას და სხვ. და სხვ. რას მოწმობს ყველა ეს მოვლენა? მიწათმოქმედებაში თავისუფალი კონკურენციის შექმნას — წინააღმდეგ მიწის საკუთრების მონოპოლიისა და ამ საკუთრების ფორმათა უსაზღვრო მრავალგვარობის მიუხედავად. ამჟამად ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში კაპიტალის ყოველ პატრონს ისევე ადვილად ან თითქმის ისევე ადვილად შეუძლია თავისი კაპიტალი დააბანდოს სოფლის მეურნეობაში (მიწის ყიდვით ან იჯარით აღებით), როგორც ვაჭრობის ან მრეწველობის ყოველ დარგში.

ბ-ნი ბულგაკოვი მარქსის დიფერენციული რენტის თეორიის წინააღმდეგ მიუთითებს იმაზე, რომ «ყველა ეს განსხვავება (განსხვავებანი მიწათმოქმედების პროდუქტთა წარმოების პირობებში) წინააღმდეგობრივია და შეუძლიათ» (ხაზ-

გასმა ჩვენია) «ერთმანეთის მოსპობა, — მანძილი, როგორც ამას უკვე აღნიშნავდა როდბერტუსი, შეიძლება პარალიზებულ იქნას ნაყოფიერებით, ხოლო სხვადასხვა ნაყოფიერება შეიძლება გათანასწორდეს უფრო გაძლიერებული წარმოებით უფრო მეტად ნაყოფიერ ნაკვეთებზე» (I, 81). მაგრამ ტყუილად ივიწყებს ჩვენი მკაცრი მეცნიერი, რომ მარქსმა აღნიშნა ეს ფაქტი და შესძლო მიეცა მისთვის არა ასეთი ცალმხრივი შეფასება. «ცხადია, — სწერს მარქსი,—დიფერენციული რენტის ეს ორი სხვადასხვა საფუძველი, ნაყოფიერება და მდებარეობა» (მიწის ნაკვეთებისა) «შეიძლება მოქმედებდეს საწინააღმდეგო მიმართულებით. მიწის ნაკვეთი შეიძლება კარგ ადგილას მდებარეობდეს და მეტად მცირე ნაყოფიერებისა იყოს, და პირიქით. ეს საგულისხმო გარემოებაა, ვინაიდან ის გვიხსნის, თუ რატომ არის, რომ ამა თუ იმ ქვეყანაში მიწის დამუშავების დროს გადასვლა შეიძლება ასევე მოხდეს უკეთესი მიწიდან უარესზე, და წინააღმდეგაც. დასასრულ, ცხადია, სოციალური წარმოების პროგრესი საერთოდ მოქმედებს, ერთი მხრივ, გამათანასწორებლად» (მიწის ნაკვეთთა) მდებარეობაზე, «როგორც დიფერენციული რენტის საფუძველზე, ჰქმნის ადგილობრივ ბაზრებს, ჰქმნის მდებარეობას გზების გაყვანით, ხოლო მეორე მხრივ, აძლიერებს მიწის ნაკვეთთა ადგილობრივი მდებარეობის სხვადასხვაობას როგორც მიწათმოქმედების გამოყოფით მრეწველობისაგან, ისე წარმოების მსხვილი ცენტრების შექმნით ამ მოვლენის საწინააღმდეგო მხარესთან ერთად: სოფლის შედარებითი განმარტოების გაძლიერებით» (relative Vereinsamung des Landes) («Das Kapital», III, 2, 190 *). ამგვარად, მაშინ როცა ბ-ნი ბულგაკოვი გამარჯვებულის სახით იმეორებს დიდი ხნიდან ცნობილ მითითებას განსხვავებათა ურთიერთმოსპობის შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ო ბ ა ზ ე, მარქსი აყენებს შ ე მ დ გ ო მ საკითხს ამ შესაძლებლობის სინამდვილედ გადაქცევის შესახებ

* — «კაპიტალი», ტ. III, ნაწ. 2, გვ. 190 [48]. რ ე დ.

და გვიჩვენებს, რომ გამათანასწორებელ ზემოქმედებასთან ერთად არსებობს დიფერენციაციის გამომწვევი ზემოქმედებანიც. ამ ურთიერთსაწინააღმდეგო ზემოქმედებათა საბოლოო შედეგი, როგორც ყველამ უწყის, ის არის, რომ ყველა ქვეყანაში და ყველგან ა რ ს ე ბ ო ბ ს უდიდესი განსხვავება მიწის ნაკვეთებს შორის მათი ნაყოფიერებისა და მდებარეობის მიხედვით. ბ-ნ ბულგაკოვის საწინააღმდეგო მოსაზრება მოწმობს მხოლოდ მისი შენიშვნების სრულ მოუფიქრებლობას.

შრომისა და კაპიტალის უკანასკნელი ყველაზე ნაკლებ ნაყოფიერი დაბანდების ცნებას — განაგრძობს ბ-ნი ბულგაკოვი — «ერთნაირად უკრიტიკოდ ხმარობს როგორც რიკარდო, ისე მარქსი. ძნელი არ არის იმის დანახვა, თუ თვითნებობის რანაირი ელემენტი შემოაქვს ამ ცნებას: ვთქვათ, მიწაზე დაიხარჯა 10 ₯ კაპიტალისა, ამასთან თვითეული შემდგომი ₯ განსხვავდება კლებადი ნაყოფიერებით; ნიადაგის საერთო პროდუქტი იქნება ∆. ცხადია, თვითეულ ₯-ს საშუალო ნაყოფიერება იქნება ∆/10, და თუ მთელ კაპიტალს განვიხილავთ როგორც ერთ მთელს, ფასსაც სწორედ ეს მისი საშუალო ნაყოფიერება განსაზღვრავს» (I, 82). ცხადია, — ვიტყვით ჩვენ ამაზე, — ბ-ნ ბულგაკოვს თავის მაღალფარდოვან ფრაზებში «მიწის მწარმოებელი ძალების განსაზღვრულობის» შესახებ გამორჩა წ ვ რ ი ლ მ ა ნ ი: მიწის განსაზღვრულობა. ეს განსაზღვრულობა — სრულიად დამოუკიდებლად მიწის რაიმე ს ა კ უ თ რ ე ბ ი ს ა გ ა ნ — ჰქმნის გარკვეული სახის მონოპოლიას, სახელდობრ: რადგან მთელი მიწა ფერმერებს უკავიათ, რადგან მოთხოვნილება ვრცელდება მთელ პურზე, რაც კი მოუყვანიათ მთელ მიწაზე, მათ შორის ყველაზე უცუდეს და ბაზრიდან ყველაზე დაშორებულ ნაკვეთებზე, ცხადია, პურის ფასს განსაზღვრავს წარმოების ფასი უცუდეს მიწაზე (ანუ წარმოების ფასი კაპიტალის უკანასკნელი, ყველაზე ნაკლებ ნაყოფიერი დაბანდების დროს). ბ-ნ ბულგაკოვის «საშუალო ნაყოფიერება» ცარიელი არითმეტიკული

ვარჯიშობაა, ვინაიდან ამ საშუალოს ნამდვილ შექმნას ხელს უშლის მიწის განსაზღვრულობა. ეს «საშუალო ნაყოფიერება» რომ შეიქმნას და ფასი განსაზღვროს, ამისათვის აუცილებელია, რომ თვითეულ კაპიტალისტს არამცთუ საერთოდ უნდა შეეძლოს კაპიტალის დაბანდება მიწათმოქმედებაში (რამდენადაც მიწათმოქმედებაში არსებობს, როგორც უკვე ვთქვით, კონკურენციის თავისუფლება), არამედ აგრეთვე ისიც, რომ თვითეულ კაპიტალისტს ყოველთვის შეეძლოს — უკვე არსებულ სამიწათმოქმედო საწარმოთა რიცხვს გარდა — ა ხ ა ლ ი სამიწათმოქმედო საწარმოს მოწყობა. ეს რომ ასე იყოს, მაშინ მიწათმოქმედებასა და მრეწველობას შორის არავითარი განსხვავება აღარ იქნებოდა, მაშინ აღარავითარი რენტა არ წარმოიშობოდა. მაგრამ სწორედ მიწის განსაზღვრულობაა იმის მიზეზი, რომ ეს ასე არ არის.

გავყვეთ ქვევით. აქამდე ჩვენ ისე ვმსჯელობდით, რომ სრულიად განზე ვტოვებდით მიწის საკუთრების საკითხს; ჩვენ დავინახეთ, რომ ასეთი ხერხი აუცილებელია როგორც ლოგიკური მოსაზრების, ისე ისტორიული მონაცემების გამო, რომლებიც მოწმობენ კაპიტალისტური მიწათმოქმედების წარმოშობასა და განვითარებას მიწათმფლობელობის ყოველნაირი ფორმების დროს. დავურთოთ ახლა ეს ახალი პირობაც. ვთქვათ, მთელი მიწა კერძო მესაკუთრეთა ხელშია. როგორ იმოქმედებს ეს რენტაზე? დიფერენციულ რენტას მიწათმფლობელი მიითვისებს ფერმერისაგან მიწის კერძო საკუთრების უფლებით; რადგან დიფერენციული რენტა წარმოადგენს მოგების ნაჭარბს კაპიტალის ნორმალურ, საშუალო მოგებაზე, და რადგან არსებობს (respective * იქმნება კაპიტალისტური განვითარებით) კონკურენციის თავისუფლება კაპიტალის თავისუფლად დაბანდების მხრივ სოფლის მეურნეობაში, მიწათმოქმედებაში, ამიტომ მიწათმფლობელი ყოველთვის იპოვის ფერმერს, რომელიც საშუალო მოგებას

---

* ანუ. რ ე დ.

დასჯერდება და ზემოგებას მისცემს მას, მიწათმფლობელს. მიწის კერძო საკუთრება დიფერენციულ რენტას კი არ ჰქმნის, არამედ მხოლოდ გადააქვს იგი ფერმერის ხელიდან მიწათმფლობელის ხელში. განისაზღვრება თუ არა ამით მიწის კერძო საკუთრების გავლენა? შეიძლება თუ არა წარმოვიდგინოთ, რომ მიწათმფლობელი მუქთად დართავს ნებას ფერმერს დაამუშაოს ის უცუდესი და ყველაზე უარესი მდებარეობის მიწა, რომელიც მხოლოდ საშუალო მოგებას იძლევა კაპიტალზე? რა თქმა უნდა, არა. მიწათმფლობელობა მონოპოლიაა, და ამ მონოპოლიის საფუძველზე მიწათმფლობელი ფერმერისაგან მოითხოვს საფასურს ასეთი მიწისთვისაც. ეს საფასური იქნება აბსოლუტური რენტა, რომელიც არაფრით არ არის დაკავშირებული კაპიტალის სხვადასხვა დანახარჯთა სხვადასხვა ნაყოფიერებასთან და რომელიც მიწის კერძო საკუთრებიდან გამომდინარეობს. ბ-ნი ბულგაკოვი ბრალს სდებს მარქსს ერთი და იმავე მონოპოლიის თვითნებურ ორნაირ განმარტებაში და თავს არ იწუხებს ჩაუფიქრდეს, რომ ჩვენ მართლაც ორგვარ მონოპოლიასთან გვაქვს საქმე; ჯერ-ერთი, ჩვენ გვაქვს მონოპოლია (კაპიტალისტური) მეურნეობისა მიწაზე. ეს მონოპოლია გამომდინარეობს მიწის განსაზღვრულობიდან და ამიტომ აუცილებელი მოვლენაა ყოველ კაპიტალისტურ საზოგადოებაში. ეს მონოპოლია იმას იწვევს, რომ პურის ფასს განსაზღვრავს უცუდეს მიწაზე წარმოების პირობები, ხოლო ჭარბი ზედმეტი მოგება, რომელიც მოაქვს უკეთეს მიწაზე კაპიტალის დანახარჯს ანუ კაპიტალის უფრო ნაყოფიერ დანახარჯს, ჰქმნის დიფერენციულ რენტას. ეს რენტა წარმოსდგება სრულიად დამოუკიდებლად მიწის კერძო საკუთრებისაგან, რომელიც მხოლოდ საშუალებას აძლევს მიწათმფლობელს ეს რენტა ჩამოართვას ფერმერს. მეორეც, ჩვენ გვაქვს მიწის კერძო საკუთრების მონოპოლია. არც ლოგიკურად და არც ისტორიულად ეს მონოპოლია არ არის

განუყრელად * დაკავშირებული ზემოთ აღნიშნულ მონოპოლიასთან. კაპიტალისტური საზოგადოებისათვის და მიწათმოქმედების კაპიტალისტური ორგანიზაციისათვის ეს მონოპოლია არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენს. ერთი მხრივ, ჩვენ სავსებით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ კაპიტალისტური მიწათმოქმედება მიწის კერძო საკუთრების გარეშე, და ბევრი თანამიმდევარი ბურჟუაზიული ეკონომისტი მოითხოვდა მიწის ნაციონალიზაციას. მეორე მხრივ, ჩვენ სინამდვილეშიც ვხვდებით მიწათმოქმედების კაპიტალისტურ ორგანიზაციას მიწის კერძო საკუთრების გარეშე, მაგ., სახელმწიფო და სათემო მიწებზე. ამიტომ ამ ორგვარი მონოპოლიის გარჩევა ერთიმეორისაგან უთუოდ აუცილებელია, და, მაშასადამე, აუცილებელია დიფერენციულ რენტასთან ერთად ცნობილ იქნას არსებობა აბსოლუტური რენტისაც, რომელსაც მიწის კერძო საკუთრება წარმოშობს**.

* არა გვგონია საჭირო იყოს მოვაგონოთ მკითხველს, რომ, რახან აქ საქმე გვაქვს რენტისა და მიწათმოქმედების კაპიტალისტური ორგანიზაციის ზოგად თეორიასთან, ჩვენ აღარ ვეხებით ისეთ ფაქტებს, როგორიცაა მიწის კერძო საკუთრების ხანდაზმულობა და გავრცელება, როგორიცაა ის, რომ იმიერკავკასიის ქვეყნების კონკურენცია ძირს უთხრის ჩვენს მიერ აღნიშნული უკანასკნელი სახის მონოპოლიას და ნაწილობრივ მის ორივე სახეს და სხვ.

** «ზედმეტი ღირებულების თეორიების» (Theorien über den Mehrwert. II. Band, II. Theil) მეორე ტომის მეორე ნაწილში, რომელიც 1905 წელს გამოვიდა, მარქსი იძლევა აბსოლუტური რენტის საკითხის ისეთ განმარტებებს, რომლებიც ადასტურებენ ჩემი განმარტების სისწორეს (განსაკუთრებით მონოპოლიის ორი სახის შესახებ). აი სათანადო ადგილები მარქსიდან: «მიწა რომ განუსაზღვრელ ელემენტს წარმოადგენდეს არა მარტო კაპიტალისა და მოსახლეობის მიმართ, არამედ ფაქტიურადაც, ე. ი. ისევე «განუსაზღვრელი» იყოს, როგორც «ჰაერი და წყალი», «მოიპოვებოდეს განუსაზღვრელი რაოდენობით» (ციტატები რიკარდოდან). მაშინ მიწის მითვისება ერთის მიერ სინამდვილეში სრულიადაც არ შეუშლიდა ხელს მიწის მითვისებას მეორის მიერ. მაშინ აღარ იქნებოდა მიწის არავითარი კერძო საკუთრება (არამცთუ კერძო, არამედ არც «საზოგადო» და «სახელმწიფო» საკუთრება იქნებოდა). ასეთ შემთხვევაში, თანაც თუკი მთელი მიწა ყველგან ერთნაირი ღირსებისა იქნებოდა, მიწის სარგებლო-

სამიწათმოქმედო კაპიტალის ზედმეტი ღირებულებიდან აბსოლუტური რენტის წარმოშობის შესაძლებლობას მარქსი იმით ხსნის, რომ მიწათმოქმედებაში ცვალებადი კაპიტალის წილი კაპიტალის საერთო შემადგენლობაში საშუალოზე მეტია (~~სრულიად~~ -ბუნებრივი ვარაუდია სამრეწველო-ტექნიკასთან შედარებით სამიწათმოქმედო ტექნიკის უეჭველი ჩამორჩენილობის ~~დროს) რაკი ეს ასეა~~ — შაშასადამე, მიწათმოქმედების პროდუქტთა ღირებულებაც საერთოდ მათი წარმოების ფასზე მეტია, — ხოლო ზედმეტი ღირებულება მოგებაზე მეტია. ამავე დროს მიწის კერძო საკუთრების მონოპოლია ხელს უშლის ამ ნაჭარბს მთლიანად შევიდეს მოგების გათანასწორების პროცესში, და აბსოლუტური რენტაც ამ ნაჭარბიდან წარმოიშობა *.

ბისთვის არავითარი რენტის გადახდევინება აღარ იქნებოდა შესაძლებელი... ამ საკითხის მთელი დედაარსი შემდეგია: კაპიტალის მიმართ მიწაც რომ ისევე არსებობდეს, როგორც ბუნების ყოველი ელემენტარული ძალა, მაშინ კაპიტალი სოფლის მეურნეობის დარგშიც სავსებით ისევე იმოქმედებდა, როგორც მრეწველობის ყოველ სხვა დარგში. მაშინ აღარ იქნებოდა მიწის არავითარი საკუთრება და არავითარი რენტა... პირიქით, თუ მიწა 1) განსაზღვრულია, 2) საკუთრებად არის დატაცებული, თუ კაპიტალი წარმოიშვება მიწის კერძო საკუთრების პირობებში — სწორედ ასეთია საქმის ვითარება იმ ქვეყნებში, სადაც კაპიტალისტური წარმოება ვითარდება, ხოლო ისეთ ქვეყნებში, სადაც თავდაპირველად ასეთი პირობები არ ყოფილა (როგორც ძველ ევროპაში), კაპიტალისტური წარმოება თვით ჰქმნის თავისთვის ასეთ პირობებს: მაგ., შეერთებული შტატები, — მაშინ მიწა აღარ წარმოადგენს კაპიტალისთვის ხელმისაწვდომ ელემენტარულ სამოქმედო ასპარეზს. ამიტომაც არსებობს აბსოლუტური რენტა დიფერენციული რენტისაგან დამოუკიდებლად» (გვ. 80, 81) [49]. მარქსი სრული გარკვეულობით განასხვავებს აქ მიწის განსაზღვრულობას და მიწის კერძო საკუთრებას. (ავტორის შენიშვნა 1908 წლის გამოცემისათვის. რ ე დ.)

* სხვათა შორის. ჩვენ აუცილებელ საჭიროებად ვცანით განსაკუთრებით დაწვრილებით შევჩერებულიყავით მარქსის რენტის თეორიაზე იმის გამო, რომ მისი მცდარი გაგება ჩვენ შეგვხვდა აგრეთვე ბ-ნ ბ. მასლოვის სტატიებშიც («ეიზნ», 1901, № 3 და 4. «აგრარული საკითხისათვის»); მასლოვს კაპიტალის დამატებით დანახარჯთა კლებადი ნაყოფიერება

ბ-ნი ბულგაკოვი მეტად უკმაყოფილოა ამ ახსნა-განმარტებით და გაიძახის: «რა არის ეს ზედმეტი ღირებულება, რომ ის, როგორც მაუდი ან ბამბა ან სხვა რამ საქონელი შეიძლება კმაროდეს ან არ კმაროდეს შესაძლო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. უწინარეს ყოვლისა ის არ არის მატერიალური ნივთი, ის — ცნებაა, რომელიც გამოხატავს წარმოების გარკვეულ საზოგადოებრივ ურთიერთობას» (I, 105). «მატერიალური ნივთისა» და «ცნების» ეს დაპირისპირება იმ სქოლასტიკის თვალსაჩინო ნიმუშია, რომელსაც ასეთი ხალისით ასაღებენ ამჟამად «კრიტიკის» სახით. რა მნიშვნელობა ექნებოდა საზოგადოებრივი პროდუქტის წილის «ცნებას», ამ ცნებას რომ გარკვეული «მატერიალური ნივთები» არ შეესაბამებოდეს? ზედმეტი ღირებულება არის ფულადი ექვივალენტი ზედმეტი პროდუქტისა, რომელიც შესდგება მაუდის, ბამბის, პურისა და ყველა სხვა საქონლის გარკვეული წილისაგან. («გარკვეულობა» აქ უნდა გავიგოთ, რა თქმა უნდა, არა იმ აზრით, თითქოს მეცნიერებას შეუძლია კონკრეტულად განსაზღვროს ეს წილი, არამედ იმ აზრით, რომ ცნობილია ის პირობები, რომლებიც ზოგადად განსაზღვრავენ ამ წილის ოდენობას.) მიწათმოქმედებაში ზედმეტი პროდუქტი უფრო მეტია (კაპიტალის პროპორციულად), ვიდრე მრეწველობის

მიაჩნია თუ კანონად არა, ყოველ შემთხვევაში «ჩვეულებრივ» და თითქოს ნორმალურ მოვლენად მაინც, ამ მოვლენას უკავშირებს დიფერენციულ რენტას და უარჰყოფს აბსოლუტური რენტის თეორიას. ბ-ნ პ. მასლოვის საინტერესო სტატია შეიცავს ბევრ სწორ შენიშვნას კრიტიკოსთა მიმართ, მაგრამ მას დიდი ნაკლიც აქვს როგორც ავტორის თეორიის ახლა აღნიშნული მცდარობის გამო (ავტორი იცავს მარქსიზმს, მაგრამ არ გარჯილა ნათლად გამოერკვია «თავისი» თეორიის განსხვავება მარქსის თეორიისაგან), ისე მთელი რიგი წინდაუხედავი და სრულიად უსამართლო მტკიცებისა, როგორც, მაგ., ის, რომ ბ-ნი ბერდიაევი «სრულიად თავისუფლდება ბურჟუაზიული მწერლების ზეგავლენისაგან» და განირჩევა «კლასობრივი თვალსაზრისის სიმტკიცით ობიექტურობის შეულახავად», რომ «ბევრი მხრივ კაუტსკის ანალიზი ალაგ-ალაგ... ტენდენციურია», რომ კაუტსკიმ «სრულიად ვერ გაარკვია, რა მიმართულებით მიდის მწარმოებელი ძალების განვითარება მიწათმოქმედებაში» და სხვ.

სხვა დარგებში, და ეს ნაჭარბი (რომელიც არ შედის მოგების გათანასწორებაში მიწის საკუთრების მონოპოლიის გამო) შეიძლება, და ეს ბუნებრივია, «კმაროდეს ან არ კმაროდეს» მონოპოლისტ-მიწათმფლობელის «მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად».

ჩვენ შეგვიძლია ვიხსნათ მკითხველი რენტის იმ თეორიის დაწვრილებით გადმოცემისაგან, რომელიც შექმნა ბ-მა ბულგაკოვმა, როგორც თვითონ მოკრძალებით შენიშნავს, «საკუთარი ძალებით», «საკუთარი გზით» (I, 111). საკმარისია რამდენიმე შენიშვნა, რომ დავახასიათოთ პროფესორის «შრომის» «უკანასკნელი უმცირესად ნაყოფიერი დახარჯვის» ეს პროდუქტი. რენტის «ახალი» თეორია აგებულია ძველებური რეცეპტით: «ნუ შეხვალ ნუ ებანები, ნუ გამოხვალ ნუ თრთი». რაკი კონკურენციის თავისუფლებაა, — მაშინ იგი აბსოლუტურად შეუზღუდავი უნდა იყოს (თუმცა კონკურენციის ასეთი აბსოლუტური თავისუფლება არსად და არასოდეს არ არსებულა). რახან მონოპოლიაა, — საქმე გათავებულია. მაშასადამე, რენტას იღებენ სრულიადაც არა ზედმეტი ღირებულებიდან, არც მიწათმოქმედების პროდუქტიდან; მას იღებენ არასამიწათმოქმედო შრომის პროდუქტიდან, ეს, უბრალოდ რომ ვთქვათ, ხარკია, გადასახადი, გამოკლებაა მთელი საზოგადოებრივი წარმოებიდან, მიწათმფლობელის თამასუქია. «სამიწათმოქმედო კაპიტალი თავისი მოგებით და სამიწათმოქმედო შრომა, საერთოდ მიწათმოქმედება, როგორც შრომისა და კაპიტალის გამოყენების სფერო, შეადგენს ამრიგად status in statu-ს * კაპიტალისტურ სამყაროში... კაპიტალის, ზედმეტი ღირებულების, ხელფასისა და ღირებულების ყველა (sic!) განსაზღვრა საერთოდ, რამდენადაც ეს მიწათმოქმედებას ეხება, მოჩვენებითი ოდენობანი ყოფილა» (I, გვ. 99).

დიახ, დიახ. ამიერიდან ყოველივე ნათელია: კაპიტალისტებიც, დაქირავებული მუშებიც მიწათმოქმედებაში — ყოვე-

* — სახელმწიფო სახელმწიფოში. რ ე დ.

ლივე ეს მოჩვენებითი ოდენობანია. მაგრამ თუ ბ-ნ ბულგაკოვს უხდება ასე შეტოპვა, ზოგჯერ მისი მსჯელობა არც ისე უგუნურია. თოთხმეტი გვერდის შემდეგ ვკითხულობთ: «მიწათმოქმედების პროდუქტების წარმოება საზოგადოებას ულირს შრომის გარკვეულ რაოდენობად; ეს მათი ღირებულებაა». ჩინებულია. მაშასადამე, უკვე ყოველ შემთხვევაში ღირებულების «განსაზღვრანი» — არცთუ მთლად მოჩვენებითი ოდენობანი ყოფილა. შემდეგ: «რახან წარმოება კაპიტალისტურადაა მოწყობილი და წარმოებას სათავეში უდგას კაპიტალი, მაშასადამე, პურის ფასი წარმოების ფასით განისაზღვრება, მაშასადამე, გამოანგარიშებული იქნება შრომისა და კაპიტალის ამა თუ იმ გამოყენების ნაყოფიერება საშუალო-საზოგადოებრივთან შედარებით». საუცხოოა. მაშასადამე, კაპიტალის, ზედმეტი ღირებულებისა და ხელფასის «განსაზღვრანიც» არცთუ მთლად მოჩვენებითი ოდენობანი ყოფილა. მაშასადამე, კონკურენციის თავისუფლებაც (თუმცა არა აბსოლუტური) არსებობს, ვინაიდან კაპიტალის გადაუსვლელად მიწათმოქმედებიდან მრეწველობაში და პირიქით — შეუძლებელი იქნებოდა «ნაყოფიერების გამოანგარიშება საშუალოსაზოგადოებრივთან შედარებით». შემდეგ: «მიწის მონოპოლიის მეოხებით კი ფასი ადის ღირებულებაზე მაღლა, იმ საზღვრამდე, სანამდეც შესაძლებლობას იძლევა ბაზრის პირობები». ჩინებულია. მაგრამ სად უნახავს ეს ბ-ნ ბულგაკოვს, თითქოს ხარკი, გადასახადი, თამასუქი და სხვ. ბაზრის პირობებზე იყოს დამოკიდებული? თუ მონოპოლიის მეოხებით ფასი ადის იმ საზღვრამდე, რომელიც შესაძლოა ბაზრის პირობებში, მაშინ რენტის «ძველი» თეორიისაგან «ახალი» თეორიის მთელი განსხვავება იმაშია, რომ «თავისი გზით» მავალმა ავტორმა ვერ გაიგო განსხვავება, ერთი მხრივ, მიწის განსაზღვრულობის გავლენასა და მიწის კერძო საკუთრების გავლენას შორის, ხოლო, მეორე მხრივ, — კავშირი «მონოპოლიის» ცნებასა და «შრომისა და კაპიტალის უკანასკნელი უმცირესი ნაყოფიერებით დახარჯვის» ცნებას შორის. განა

გასაკვირველია, თუ კიდევ შვიდი გვერდის შემდეგ (I, 120) ბ-ნ ბულგაკოვს სრულიად ავიწყდება უკვე «თავისი» თეორია და მსჯელობს «ამ (მიწათმოქმედების) პროდუქტის გაყოფის წესზე მიწათმფლობელსა, კაპიტალისტ-ფერმერსა და სასოფლო-სამეურნეო მუშებს შორის»? საუცხოო ფინალია საუცხოო კრიტიკისა! შესანიშნავი შედეგია ახალი, ბ ულ გ ა კ ო ვ ი-ს ე უ რ ი რ ე ნ ტ ი ს თ ე ო რ ი ი ს ა, რომელმაც ამიერიდან გაამდიდრა პოლიტიკური ეკონომიის მეცნიერება!

III

მანჭანები სოფლის მეურნეობაში

გადავიდეთ ახლა ჰერცის, ბ-ნ ბულგაკოვის შეფასებით, «შესანიშნავ» ნაშრომზე (Die agrarischen Fragen im Verhältniss zum Sozialismus. Wien, 1899 *. რუსული თარგმანი ა. ილინსკისა, სპბ. 1900). მაგრამ ჩვენ მოგვიხდება ერთხანს ორივე ამ მწერლის ერთნაირი საბუთების ერთად გარჩევა.

მანქანების საკითხს სოფლის მეურნეობაში და მასთან მჭიდროდ დაკავშირებით მსხვილი და წვრილი წარმოების საკითხს მიწათმოქმედებაში «კრიტიკოსები» განსაკუთრებით ხშირად იყენებენ მარქსიზმის «უარყოფის» საბაბად. ქვემოთ ჩვენ დაწვრილებით გავარჩევთ მათ მიერ მოყვანილ ზოგიერთ დეტალურ მონაცემს, ახლა კი განვიხილოთ ზოგადი მოსაზრებანი, რომლებიც ამ საკითხს შეეხება. კრიტიკოსები მთელ გვერდებს უთმობენ დაწვრილებითს მსჯელობას იმის შესახებ, რომ მანქანების გამოყენებას მიწათმოქმედებაში მეტი სიძნელეები ხვდება, ვიდრე მრეწველობაში, და ამიტომ მათ ნაკლებად იყენებენ და ნაკლები მნიშვნელობაც აქვთ. ყოველივე ეს უდავოა და სრულიად გარკვეულად ჰქონდა აღნიშნული, მაგალითად, იმავე კაუტსკისაც, რომლის სახელის ხსენებაც კი თითქმის ჭკუაზე შლის ბატონ ბულგაკოვს, ჰერცსა და ჩერნოვს. მაგრამ

* — «აგრარული საკითხები და მათი კავშირი სოციალიზმთან». ვენა, 1899 წ. რ ე დ.

ეს უდავო ფაქტი ოდნავადაც არ არღვევს იმას, რომ მანქანების გამოყენება სწრაფად ვითარდება მიწათმოქმედებაშიც და მძლავრ გარდამქმნელ ზეგავლენას ახდენს მასზე. კრიტიკოსებს შეუძლიათ მხოლოდ «თავი აარიდონ» ასეთი აუცილებელი დასკვნის გამოყვანას, მაგალითად, ასეთი ღრმა-აზროვანი მსჯელობის საშუალებით: ...«მიწათმოქმედებას ახასიათებს ბუნების ბატონობა წარმოების პროცესში, ახასიათებს ის, რომ ადამიანის ნება არ არის თავისუფალი» (ბულგაკოვი, I, 43)... «ადამიანის არამტკიცე და არაზუსტი მუშაობის მაგივრად იგი» (მანქანა მრეწველობაში) «მათემატიკური სისწორით ასრულებს როგორც მიკრომეტრულ, ისე უდიდეს სამუშაოებს. მანქანას არაფერი ამისი მსგავსი (?) არ შეუძლია შეასრულოს მიწათმოქმედების პროდუქტთა წარმოების საქმეში, ვინაიდან აქამდე ეს სამუშაო ინსტრუმენტი ხელთ უპყრია არა ადამიანს, არამედ დედა-ბუნებას. ეს მეტაფორა არ არის» (იქვე). ეს მართლაც მეტაფორა კი არა, ცარიელი ფრაზაა, ვინაიდან ყველამ იცის, რომ ორთქლის გუთანი, ძწკრიკვად სათესი მანქანა, სალეწი მანქანა და სხვ. სამუშაოს უფრო «მტკიცედ და ზუსტად» ასრულებენ და, მაშასადამე, თქმა «არაფერი ამის მსგავსიო», იმას ნიშნავს, რომ სისულელე სთქვა! სწორედ ამასვე ნიშნავს იმის თქმა, თითქოს მანქანას მიწათმოქმედებაში «არ შეუძლია თუნდაც ოდნავ (sic!) გარდაქმნას რევოლუციურად წარმოება» (ბულგაკოვი, I, 43—44, ამასთან მოყვანილია ციტატები სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სპეციალისტების ნაშრომებიდან, სადაც თუმცა ლაპარაკია მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო მანქანების სამრეწველო მანქანებისაგან შედარებითს განსხვავებაზე), ანდა ამის თქმა: «მანქანას არამც თუ არ შეუძლია აქ გადააქციოს მუშაკი თავის დანამატად (?), არამედ ამ მუშაკს წინანდებურად პროცესის ხელმძღვანელის როლი ეკისრება» (44) — მაგალითად, მიმწოდებლისა სალეწ მანქანასთან?

ბ-ნი ბულგაკოვი ცდილობს ორთქლის გუთნის უპირატესობა შეასუსტოს შტუმპფისა და კუტცლების დამოწმებით (რო-

მელნიც წერდნენ წვრილი მეურნეობის მხრივ მსხვილი მეურნეობისათვის მეტოქეობის გაწევის უნარზე) წინააღმდეგ სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობისა და სასოფლო-სამეურნეო ეკონომიის სპეციალისტების (ფიულინგის, პერელსის) დასკვნებისა, ამასთან მოყვანილია მოსაზრებანი, რომ ორთქლის გუთნით ხვნის შესაძლებლობა მოითხოვს განსაკუთრებულ ნიადაგს * და «მეტისმეტად დიდი მოცულობის მამულებს» (ბ-ნ ბულგაკოვის აზრით, ეს მოსაზრება მიმართულია არა წვრილი მეურნეობის წინააღმდეგ, არამედ ორთქლის გუთნის წინააღმდეგ!), რომ თუ კვალის სიღრმე 12 დ უ ი მ ს უდრის, პირუტყვის მუშაობა უფრო ი ა ფ ი ა, ვიდრე ორთქლისა, და სხვ. ასეთი მოსაზრებებით შეიძლება მთელი ტომები დაიწეროს, მაგრამ ეს ოდნავაც არ უარჰყოფს არც იმ ფაქტს, რომ ორთქლის გუთანმა შესაძლო გახადა მეტად ღრმა ხვნა (12 დუიმზე უფრო ღრმაც), და არც იმას, რომ მისი გამოყენება სწრაფად ვრცელდებოდა: ინგლისში 1867 წელს მას იყენებდა მხოლოდ 135 მამული, 1871 წელს უკვე ხმარებაში იყო 2 000-ზე მეტი ორთქლის გუთანი (კაუტსკი); გერმანიაში იმ მეურნეობათა რიცხვი, რომლებიც ორთქლის გუთანს იყენებდნენ, გაიზარდა 1882-დან 1895 წლამდე 836-დან 1 696-მდე.

სასოფლო-სამეურნეო მანქანების საკითხზე ბ-ნი ბულგაკოვი არა ერთხელ მიმართავს ფრ. ბენზინგს, «სასოფლო-სამეურნეო მანქანების შესახებ სპეციალური მონოგრაფიის ავტორს», როგორც მას ბ-ნი ბულგაკოვი გვაცნობს (I, 44), და ხშირად მოჰყავს ციტატები მისი ნაწერებიდან. დიდი უსამართლობა იქნებოდა ამ შემთხვევაშიც რომ არ აღგვენიშნა, თუ რ ო გ ო რ მოჰყავს ციტატები ბ-ნ ბულგაკოვს და რ ო გ ო რ ამტყუნებენ მას თავისივე მოწმეები.

---

* ჰერცს განსაკუთრებული «ძლევამოსილების» სახით დაუყენებია ეს და ამტკიცებს — არ არის სწორი «აბსოლუტური» მსჯელობაო (S. 65, რუს. თარგმ. 156), რომ ორთქლის გუთანი «ყოველგვარ ვითარებაში» ჩვეულებრივ გუთანზე უფრო მაღლა დგასო. ეი სწორედ ამას ჰქვია ღია კარების შემტვრევა!

ბ-ნი ბულგაკოვი ამტკიცებს, რომ ცვალებად კაპიტალთან შედარებით მუდმივი კაპიტალის უფრო სწრაფი ზრდის შესახებ მარქსის «კონსტრუქცია» მიწათმოქმედების მიმართ გამოუყენებელიაო და აღნიშნავს, რომ მიწათმოქმედების ნაყოფიერების გადიდებისდა მიხედვით აუცილებელია სულ უფრო მეტი სამუშაო ძალის დახარჯვაო, თან, სხვათა შორის, მოჰყავს ციტატი ბენზინგის გაანგარიშებიდან. «ადამიანის შრომის საერთო საჭიროება მეურნეობის სხვადასხვა სისტემის დროს ასე გამოიხატება: სამმინდვროვანი მეურნეობის დროს — 712 სამუშაო დღე; ნორფოლკის ნაყოფთა ცვალებადი მეურნეობის დროს — 1 615 სამუშაო დღე; ნაყოფთა ცვალებადი მეურნეობის დროს, როცა ბლომად მოჰყავთ ჭარხალი — 3 179 სამუშაო დღე» 60 ჰექტარზე. (Franz Bensing: «Der Einfluss der landwirtschaftlichen Maschinen auf Volks- und Privatwirtschaft», Breslau, 1897, S. 42 *. ბულგაკოვი, I, 32). უბედურება მხოლოდ ის არის, რომ ბენზინგს ამ გაანგარიშებით სურს სწორედ მანქანების მზარდი როლი დაამტკიცოს: ბენზინგი, როცა ამ ციფრებს გერმანიის მთელ სოფლის მეურნეობაზე ავრცელებს, ანგარიშობს, რომ ყველა სასოფლო-სამეურნეო მუშა საკმარისი იქნებოდა მხოლოდ მიწის დასამუშავებლად სამმინდვროვანი სისტემის დროს და რომ, მაშასადამე, ნაყოფთა ცვალებადი სისტემის შემოღება საერთოდ შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი იქნებოდა მანქანების გამოუყენებლად. რადგან ცნობილია, რომ ძველი სამმინდვროვანი სისტემის ბატონობის დროს მანქანები თითქმის სულ არ იხმარებოდა, ამიტომ ბენზინგის გაანგარიშებაც იმის ს ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ს ამტკიცებს, რის დამტკიცებაც ბ-ნ ბულგაკოვს სურს; სახელდობრ: ეს გაანგარიშება ამტკიცებს, რომ მიწათმოქმედების ნაყოფიერების ზრდა აუცილებლად უნდა მომხდარიყო ცვა-

* — ფრანც ბენზინგი: «სასოფლო-სამეურნეო მანქანების გავლენა საზალხო და კერძო მფლობელობის მეურნეობაზე». ბრესლაელი, 1897 წ., გვ. 42. რ ე დ.

ლებად კაპიტალთან შედარებით მუდმივი კაპიტალის უფრო სწრაფ ზრდასთან დაკავშირებით.

მეორედ, როცა ამტკიცებს, რომ «არსებობს ძირითადი (sic!) განსხვავება მანქანის როლს შორის დამმუშავებელ მრეწველობაში და მიწათმოქმედებაში», ბ-ნ ბულგაკოვს მოჰყავს ბენზინგის სიტყვები: «სასოფლო-სამეურნეო მანქანებს არ შეუძლიათ ისევე უსაზღვროდ ასწიონ წარმოება, როგორც სამრეწველო მანქანებს...» (I, 44). ისევ არ წყალობს ბედი ბ-ნ ბულგაკოვს. ბენზინგი აღნიშნავს ამ, სრულებითაც არა «ძირითად» განსხვავებას სამიწათმოქმედო და სამრეწველო მანქანებს შორის VI თავის დასაწყისში, რომლის სათაურია: «სასოფლო-სამეურნეო მანქანების გავლენა საერთო შემოსავალზე». ბენზინგი დაწვრილებით იხილავს სპეციალური სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურისა და განსაკუთრებით მის მიერვე ჩატარებული ანკეტის მონაცემებს თვითეული ცალკე სახის მანქანის მიმართ და ღებულობს ასეთ ზოგად დასკვნას: საერთო შემოსავალი იზრდება ორთქლის გუთნის გამოყენების დროს 10 პროცენტით, მწკრივად სათესი მანქანის — 10 პროცენტით, სალეწი მანქანის — 15 პროცენტით, გარდა ამისა მწკრივად სათესი მანქანა ზოგავს თესლის 20 პროცენტს, და მხოლოდ კარტოფილის ამოღებაზე მანქანის გამოყენებისას შემჩნეულია საერთო შემოსავლის შემცირება 5 პროცენტით. ბ-ნ ბულგაკოვის მტკიცება: «ყოველ შემთხვევაში, ორთქლის გუთანი ერთადერთი სასოფლო-სამეურნეო მანქანაა, რომლის სასარგებლოდ შეიძლება მოყვანილ იქნას გარკვეული ტექნიკური მოსაზრებანიო» (I, 47 — 48), ყოველ შემთხვევაში უარყოფილია სწორედ იმ ბენზინგის მიერ, რომელსაც გაუფრთხილებელი ბ-ნი ბულგაკოვი იქვე იმოწმებს.

რაც შეიძლება უფრო სწორი და მთლიანი წარმოდგენა რომ მოგვცეს მანქანის მნიშვნელობაზე სოფლის მეურნეობაში, ბენზინგი იძლევა მეურნეობის წარმოების მთელ რიგ დეტალურ გაანგარიშებას, როცა მანქანას არ

იყენებენ, როცა იყენებენ ერთ-ორ და მეტ მანქანას და, ბოლოს, როცა იყენებენ ყველა უმნიშვნელოვანეს მანქანას, ორთქლის გუთნისა და სასოფლო-სამეურნეო მისაზიდი რკინიგზის (Feldbahnen) ჩათვლით. როგორც აღმოჩნდა, მანქანების გამოუყენებლობისას საერთო შემოსავალი = 69 040 მარკას, გასავალი = 68 615 მარკას, წმინდა შემოსავალი = 425 მარკას ანუ 1,37 მარკას ჰექტარზე, ხოლო ყველა უმნიშვნელოვანესი მანქანის გამოყენებისას საერთო შემოსავალი = 81 078 მარკას, გასავალი = 62 551,5 მარკას, წმინდა შემოსავალი = 18 526,5 მარკას, ე. ი. 59,76 მარკას ჰექტარზე, ე. ი. ორმოცჯერ და უფრო მეტია. და ეს არის მხოლოდ მანქანების გავლენის შედეგი, ვინაიდან მეურნეობის სისტემა ნაგულისხმევია უცვლელი! მანქანების გამოყენებას რომ თან სდევს, როგორც გვიჩვენებს ბენზინგის იგივე გაანგარიშება, მუდმივი კაპიტალის უზარმაზარი ზრდა და ცვალებადი კაპიტალის შემცირება (ე. ი. კაპიტალისა, რომელიც იხარჯება სამუშაო ძალაზე, და თვით მუშათა რაოდენობისა) — ეს თავისთავად იგულისხმება. ერთი სიტყვით, ბენზინგის ნაშრომი სავსებით უარჰყოფს ბ-ნ ბულგაკოვის დებულებას და ამტკიცებს როგორც მსხვილი მეურნეობის უპირატესობას მიწათმოქმედებაში, ისე იმას, რომ ცვალებადი კაპიტალის ანგარიშზე მუდმივი კაპიტალის ზრდის კანონი შეეფარდება მიწათმოქმედებას.

მხოლოდ ერთი რამ აახლოებს ბ-ნ ბულგაკოვსა და ბენზინგს: ეს ის, რომ უკანასკნელი დგას წმინდა-ბურჟუაზიულ თვალსაზრისზე, სრულიად არ ესმის კაპიტალიზმის დამახასიათებელი წინააღმდეგობანი და სრულიად დამშვიდებით არიდებს თვალს მანქანების მიერ მუშების განდევნას და სხვ. გერმანელი პროფესორების ეს ზომიერი და გულმოდგინე მოწაფე ისეთივე სიძულვილით ლაპარაკობს მარქსზე, როგორც ბ-ნი ბულგაკოვი. მხოლოდ ბენზინგი უფრო თანამიმდევარია: იგი მარქსს უწოდებს «მანქანების მოწინააღმდეგეს» საერთოდ — მიწათმოქმედებაშიც და მრეწველობაშიც,

ვინაიდან მარქსი «ფაქტებს ამახინჯებს», როცა მსჯელობს მუშებზე მანქანათა მავნე გავლენის შესახებ და საერთოდ როცა ყოველგვარ უბედურებას მანქანებს მიაწერსო (Bensing, l. c., 4, 5, 11 *). ბ-ნ ბულგაკოვის დამოკიდებულება ბენზინგისადმი კიდევ და კიდევ გვიჩვენებს, რაში ბაძავენ ბურჟუაზიულ მეცნიერებს ბ-ნი «კრიტიკოსები» და რას არიდებენ თვალს.

თუ რა ხარისხისაა ჰერცის «კრიტიკა», ეს საკმაოდ ჩანს ასეთი მაგალითიდან: 149-ე გვერდზე (რუსული თარგმანისა) ის ბრალად სდებს კაუტსკის «ფელეტონურ ხერხებს» და 150-ე გვერდზე «აბათილებს» მტკიცებას მანქანების გამოყენების მხრივ მსხვილი წარმოების უპირატესობის შესახებ ასეთი მოსაზრებებით: 1. ამხანაგობათა საშუალებით მანქანების შესყიდვა ხ ე ლ მ ი ს ა წ ვ დ ო მ ი ა წვრილი მეურნეობებისთვისაც. ეს, თურმე ნუ იტყვით, უარჰყოფს მანქანების მეტი გავრცელების ფ ა ქ ტ ს მსხვილ მეურნეობებში! ვისთვის უფრო ხ ე ლ მ ი ს ა წ ვ დ ო მ ი ა საამხანაგო გაერთიანების სიკეთენი, ამაზე ჩვენ ცალკე ვისაუბრებთ ჰერცთან მეორე ნარკვევში. 2. დავიდმა «Sozialistische Monatsheft»-ში ** (V, 2) დაგვანახვა, რომ მანქანების გამოყენება წვრილ მეურნეობებში «ფართოდაა გავრცელებული და ძლიერ იზრდება... რომ მწკრივად სათესი მანქანაც ხშირად (sic!) გვხვდება თვით მეტად წვრილ მეურნეობებშიც. იგივე ითქმის სათიბ და სხვა მანქანებზეც» (S. 63, გვ. 151 რუს. თარგ.). ხოლო თუ მკითხველი დავიდის *** პატარა სტატიას მიმართავს, დაინახავს, რომ ის იღებს ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ც ი ფ რ ე ბ ს იმ მეურნეობათა რიცხვის შესახებ, რომლებიც მანქანებს იყენებდნენ, და არა ამ მეურნეობათა პროცენტულ

* — loco citato — ციტირებულ ადგილას, გვ. 4, 5, 11. რ ე დ.

** — «სოციალისტური ყოველთვიური ჟურნალი» [50]. რ ე დ.

*** დავიდის წიგნში «სოციალიზმი და სოფლის მეურნეობა» (სპბ. 1906) განმეორებულია ეს მცდარი ხერხი (გვ. 179). (ავტორის შენიშვნა 1908 წლის გამოცემისათვის. რ ე დ.)

შეფარდებას ამა თუ იმ ჯგუფის მეურნეობათა მთელი რიცხვისადმი (როგორც ამას შვრება, რასაკვირველია, კაუტსკი).

შევადაროთ ერთმანეთს ეს ციფრები, რომლებიც ეხება მთელ გერმანიას 1895 წლის მანძილზე *.

მეურნეობათა ჯგუფები	მეურნეობანი სულ	მათ შორის ისეთები, რომლებიც იყენებდნენ მანქანებს					
		სათეს მანქ.	%	წყვრივად სათეს მანქ.	%	სათიბ და სამკელ მანქანებს	%
2 ha-მდე**...	3 236 307	214	0,01	14 735	0,46	245	0,05
2— 5 „	1 016 318	551	0,05	13 088	1,29	600	0,71
5—20 „	998 804	3 252	0,33	48 751	4,88	6 746	0,06
20—100 „	281 767	12 091	4,29	49 852	17,69	19 535	6,68
100 და მეტი ha.....	25 061	12 565	50,14	14 366	57,32	7 958	31,93
სულ.....	5 558 317	28 673	0,52	140 792	2,54	35 084	0,63

აი ხედავთ, როგორ მტკიცდება ამით დავიდისა და ჰერცის სიტყვები, სათესი და სათიბი მანქანები «ხშირად» გვხვდება «ძალიან წვრილ მეურნეობებშიცო»? და თუ ჰერცი აკეთებს «დასკვნას», რომ «სტატისტიკის მხრივ კაუტსკის მტკიცება კრიტიკას სრულებით ვერ უძლებსო», მაშ ვის ჰქონია სინამდვილეში ჭეშმარიტად ფელეტონური ხერხები?

როგორც კურიოზი უნდა აღინიშნოს, რომ, როცა «კრიტიკოსები» უარყოფენ მსხვილი მეურნეობის უპირატესობას მანქანების გამოყენების მხრივ, როცა უარყოფენ ამით გამოწვეული გადაჭარბებული შრომისა და არასაკმაო მოხმარების ფაქტს წვრილ მეურნეობაში, თვითონ ისინი დაუნდობლად იმათრახებენ თავიანთ თავს, როდესაც იძულებული ხდებიან შეეხონ საქმეთა ფაქტიურ ვითარებას (და როდესაც ივიწყებენ თავიანთ «მთავარ ამოცანას» — «ორთოდოქსალური» მარქსიზმის გაბათილებას). «მსხვილი მეურნეობა—ამბობს. მაგ., ბ-ნი ბულგაკოვი თავისი წიგნის II ტომში (გვ. 115)—კა-

* «Stat. d. D. R.» 112. Bd., S. 36.

** — აქ და შემდგომ ნახმარი «ha» არის შემოკლებული სიტყვა «ჰექტარი». რ ე დ.

პიტალს ყოველთვის უფრო ინტენსიურად ამუშავებს, ვიდრე წვრილი მეურნეობა, და ამიტომ, ბუნებრივია, უპირატესობას აკუთვნებს წარმოების მექანიკურ ფაქტორებს ცოცხალ მუშაძალასთან შედარებით». ბ-ნი ბულგაკოვი, როგორც «კრიტიკოსი», ბატონ სტრუვესა და ტუგან-ბარანოვსკისთან ერთად ვულგარული ეკონომიისაკენ რომ იხრება და «წარმოების» მექანიკურ «ფ ა ქ ტ ო რ ე ბ ს» ცოცხალ ფაქტორებს უპირისპირებს, — ეს, მართლაც, სავსებით «ბუნებრივია». მაგრამ განა ბუნებრივი იყო, რომ ის ასე მოუფიქრებლად უარყოფდა მსხვილი მეურნეობის უპირატესობას?

კონცენტრაციას სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ბ-ნი ბულგაკოვი სხვას არას უწოდებს, თუ არ «კონცენტრაციის მისტიკურ კანონს» და სხვ. მაგრამ აი მას მოუხდა ინგლისური მონაცემების გარჩევა, და გამოირკვა, რომ ფერმების კონცენტრაციის ტენდენცია ყოფილა 50-იანი წლებიდან 70-იანი წლების დამლევამდე. «წვრილი სამომხმარებლო მეურნეობანი, — წერს ბ-ნი ბულგაკოვი, — ერთდებოდნენ უფრო მსხვილ მეურნეობებად. მიწის ნაკვეთების ეს კონსოლიდაცია წარმოადგენს არა მსხვილი და წვრილი წარმოების ურთიერთშორის ბრძოლის შედეგს (?), არამედ ლენდლორდთა შეგნებულ (!?) მისწრაფებას — გაადიდონ თავიანთი რენტა რამდენიმე წვრილი მეურნეობის, რომლებიც მეტად მცირე რენტას იხდიდნენ, შეერთებით დიდ მეურნეობად, რომელსაც შეეძლება დიდი რენტის გადახდა» (I, გვ. 239). გესმით, მკითხველო: ა რ ა მსხვილი მეურნეობის ბრძოლა წვრილთან, ა რ ა მ ე დ უკანასკნელის, როგორც მცირეშემოსავლიანის, განდევნა პირველის მიერ? «რაკი მეურნეობა კაპიტალისტურადაა დაყენებული, უდავოა, რომ განსაზღვრულ ფარგლებში, მსხვილ კაპიტალისტურ მეურნეობას უეჭველი უპირატესობა აქვს წვრილი კაპიტალისტური მეურნეობის მიმართ» (I, 239 — 240). თუკი ეს უდავოა, რაღა ახმაურებს ბ-ნ ბულგაკოვს ასე და რაღა ახმაურებდა («ნაჩალოში») კაუტსკის წინააღმდეგ, რომელიც («აგრარულ საკითხში») თავს მსხვი-

ლი და წვრილი წარმოების შესახებ ი წ ყ ე ბ ს განცხადებით: «რაც უფრო კაპიტალისტური ხდება სოფლის მეურნეობა, მით უფრო ავითარებს ის ხარისხობრივ განსხვავებას ტექნიკაში მსხვილსა და წვრილ წარმოებას შორის»?

მაგრამ მიწათმოქმედების არა მარტო აყვავების ხანას ინგლისში, არამედ კრიზისის ხანასაც წვრილი მეურნეობისათვის არასასურველ დასკვნამდე მივყავართ. კომისიების ანგარიშები უკანასკნელ წლებში «საკვირველი დაჟინებით ამტკიცებენ, რომ ყველაზე უფრო მძიმედ კრიზისი დაატყდა სწორედ წვრილ მეურნეთ» (I, 311). «მათი სახლები — ამბობს ერთი ანგარიში წვრილ მესაკუთრეთა შესახებ — მუშების საშუალო კოტეჯებზე უარესია... მათი მუშაობა, ყველასი, საოცრად მძიმეა და გაცილებით უფრო ხანგრძლივია, ვიდრე მუშებისა, თანაც ბევრი მათგანი ამბობს, რომ ისინი არ იმყოფებიან ისე ხელსაყრელ მატერიალურ მდგომარეობაში, როგორც მუშები, ისე კარგად არ ცხოვრობენ და იშვიათად სჭამენ ახალ ხორცს»... «იომენები, ჰიპოთეკებით დატვირთულნი, პირველნი დაიღუპნენ» (I, 316)... «ისინი ყველაფერში მომჭირნეობას ეწევიან ისე, როგორც ამას მხოლოდ თითოოროლა მუშა თუ ეწევა»... «წვრილ ფერმერებს კიდევ გააქვთ თავი, სანამ თავისი ოჯახის წევრთა მუქთი შრომით სარგებლობენ»... «წვრილი ფერმერის ცხოვრება რომ უსაზღვროდ უფრო მძიმეა, ვიდრე მუშის, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია» (I, 320 — 321). ჩვენ იმიტომ მოვიყვანეთ ეს ამონაწერები, რომ მკითხველმა განსაჯოს, რამდენად სწორია ბ-ნ ბულგაკოვის შემდეგი დასკვნა: «იმ მეურნეობათა სასტიკი განადგურება, რომლებმაც არსებობა შეინარჩუნეს აგრარული კრიზისის ხანამდე, მხოლოდ (!!) იმას მეტყველებს, რომ წვრილი მწარმოებელნი ასეთ შემთხვევებში უფრო სწრაფად იღუპებიან, ვიდრე მსხვილი, — და მეტს არაფერს (sic!). აქედან რაიმე საერთო დასკვნის გამოყვანა მათი საერთო ეკონომიური სიცოცხლისუნარიანობის შესახებ სრულიად შეუძლებელია, ვინაიდან ამ ეპოქაში მთელი ინგლისის მიწათმოქმე-

დება უძლური გამოდგა» (I, 333). კარგად არის ნათქვამი, არა? და ბ-ნი ბულგაკოვი იმ თავში, რომელიც ეხება გლეხური მეურნეობის განვითარების საერთო პირობებს, ანზოგადებს კიდევაც მსჯელობის ამ შესანიშნავ წესს: «ფასების უეცარი დაცემა მძიმედ მოქმედებს წარმოების ყველა ფორმაზე, მაგრამ გლეხური მეურნეობა, როგორც ყველაზე უფრო სუსტი კაპიტალის მხრივ, ცხადია უფრო ნაკლებ გამძლეა, ვიდრე მსხვილი მეურნეობა (რაც სრულებითაც არ ეხება საკითხს მის საერთო სიცოცხლისუნარიანობის შესახებ)» (II, 247). ამრიგად, კაპიტალისტურ საზოგადოებაში კაპიტალის მხრივ სუსტი მეურნეობანი უფრო ნაკლებ გამძლენი არიან, მაგრამ ეს არ ეხება მათს «საერთო» სიცოცხლისუნარიანობას!

მსჯელობის თანამიმდევრობის მხრივ ჰერცის საქმეც ვერ არის უკეთესად. ის «უარჰყოფს» (ზემოთ დახასიათებული ხერხებით) კაუტსკის, მაგრამ, როცა სიტყვა ამერიკაზე ჩამოვარდება, ის აღიარებს მის უფრო მსხვილ მეურნეობათა უპირატესობას, სადაც «გაცილებით უფრო მეტად შესაძლებელია მანქანების გამოყენება, რის საშუალებას არ იძლევა ჩვენი პარცელური მეურნეობა» (S. 36, რუს. თარგ. 93); ის აღიარებს, რომ «ევროპელი გლეხი ხშირად მეურნეობას ეწევა წარმოების დახავსებული, რუტინული წესებით, წელებზე ფეხს იდგამს (robotend) ლუკმა პურისათვის როგორც მუშა, არ მიილტვის უკეთესისაკენ» (იქვე). ჰერცი საზოგადოდაც აღიარებს, რომ «წვრილი წარმოება შედარებით მეტ შრომას ხარჯავს, ვიდრე მსხვილი» (S. 74, რუს. თარგ. 177), მას ადვილად შეეძლო გაეზიარებინა ბ-ნი ბულგაკოვისთვის მონაცემები მოსავლის გადიდების შესახებ ორთქლის გუთნის შემოღების გამო (S. 67 — 68, რუს. თარგ. 162 — 163) და სხვ.

სასოფლო-სამეურნეო მანქანების მნიშვნელობაზე ჩვენი კრიტიკოსების მერყევ თეორიულ შეხედულებათა ბუნებრივი თანამგზავრია მათ მიერ მანქანების წინააღმდეგ განწყობილი აგრარიების წმინდა-რეაქციულ დასკვნათა უმწეო განმეორება. მართალია, ჰერცი ჯერ კიდევ ძლიერ გაუბედავია

ამ საჩოთირო პუნქტში; როცა ის ლაპარაკობს იმ «დაბრკოლებებზე», რომელთაც სოფლის მეურნეობა უქმნის მანქანების შემოღებას, ის შენიშნავს: «გამოთქვამენ აზრს, ზამთარში იმდენი თავისუფალი დრო რჩება, რომ ხელით ლეწვა უფრო ხელსაყრელია» (S. 65, რუს. თარგმ. 156 — 157). ეტყობა, ჰერცს მიდრეკილება აქვს აქედან მისთვის დამახასიათებელი ლოგიკით დაასკვნას, რომ ეს ფაქტი მეტყველებს არა წვრილი წარმოების წინააღმდეგ, არა მანქანების შემოღებისადმი კაპიტალისტურ დაბრკოლებათა წინააღმდეგ, არამედ მანქანების წინააღმდეგ! სამაგიეროდ ბ-ნი ბულგაკოვი ტყუილად როდი უსაყვედურებს ჰერცს, რომ ის «მეტისმეტად შებოჭილია თავისი პარტიის შეხედულებებით» (II, 287). რუსეთის პროფესორი, რა თქმა უნდა, ასეთ დამამცირებელ «შებოჭვაზე» მაღლა დგას და ამაყად აცხადებს: «მე საკმაოდ თავისუფალი ვარ ესოდენ გავრცელებული, განსაკუთრებით მარქსისტულ ლიტერატურაში, ცრურწმენისაგან, რომლის თანახმად პროგრესი უნდა დავინახოთ ყოველ მანქანაში» (I, 48). სამწუხაროდ, აზრთა აღმაფრენას ამ საუცხოო მსჯელობაში სრულიად არ შეესაბამებიან კონკრეტული დასკვნები. «ორთქლის სალეწი მანქანა, — სწერს ბ-ნი ბულგაკოვი, — რომელმაც ძალიან ბევრ მუშას გამოაცალა ხელიდან ზამთრის სამუშაო, უეჭველია, მუშებისათვის დიდი ბოროტება იყო, რომელსაც ვერ ანაზღაურებდა მისი ტექნიკური ხელსაყრელობა *. ამაზე მიუთითებს, სხვათა შორის, ჰოლცი, რომელიც უტოპიურ სურვილსაც კი გამოსთქვამს» (II, 103), სახელდობრ, სურვილს — შ ე ი ზ ღ უ დ ო ს სალეწი მანქანის გამოყენება, განსაკუთრებით ორთქლისა, «სოფლის მეურნეობის მუშების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვისო, — უმატებს ჰოლცი, — და აგრეთვე ემიგრაციისა და მიგრაციის შესამცი-

* შეად. ტ. I, გვ. 51: «...ორთქლის სალეწი მანქანა... ასრულებს სამუშაოებით ისედაც ღარიბი ზამთრის პერიოდის მთავარ სამუშაოს (ამ მანქანის სარგებლიანობა მთელი (sic!!) სოფლის მეურნეობისათვის ამიტომ მეტად საეჭვოა; ამ ფაქტს ჩვენ კიდევ შევხვდებით)».

რებლად» (მიგრაციას, ალბათ, ჰოლცი უწოდებს, დავუმატებთ ჩვენი მხრივ, ქალაქებში გადასახლებას).

მოვაგონებთ მკითხველს, რომ სწორედ ჰოლცის ეს იდეა აღნიშნა კაუტსკიმაც თავის «აგრარულ საკითხში». ამიტომ ინტერესს მოკლებული არ არის შევადაროთ ეკონომიისა (მანქანის მნიშვნელობა) და პოლიტიკის (ხომ არ შევზღუდოთ?) კონკრეტული საკითხისადმი დამოკიდებულება მარქსისტულ ცრურწმენებში ჩაფლული ვიწრო ორთოდოქსისა, და თანამედროვე კრიტიკოსისა, რომელსაც საუცხოოდ შეუთვისებია «კრიტიციზმის» მთელი არსი.

კაუტსკი ამბობს («Agrarfrage» *, S. 41), რომ ჰოლცი სალეწ მანქანას განსაკუთრებით «მავნე გავლენას» მიაწერსო: ის ხელიდან აცლის სოფლის მუშებს მათს უმთავრეს ზამთრის სამუშაოს, ერეკება მათ ქალაქებში, აძლიერებს სოფლის გაუკაცრიელებას. და ჰოლცი წინადადებას იძლევა შეიზღუდოს სალეწი მანქანის გამოყენება, წინადადებას იძლევა— დასძენს კაუტსკი — «ალბათ, სოფლის მუშების სასარგებლოდ, ხოლო სინამდვილეში მემამულეთა სასარგებლოდ, რომლებისთვის», როგორც თვითონ ჰოლცი ამბობს, «ასეთი შეზღუდვით გამოწვეული ზარალი ჭარბად ანაზღაურდება — თუ მაშინვე არა, მომავალში მაინც — მუშა-ხელის რიცხვის გადიდებით ზაფხულში». «საბედნიეროდ, — განაგრძობს კაუტსკი, — ეს კონსერვატიული მეგობრობა მუშებისადმი რეაქციული უტოპიაა და მეტი არაფერი. სალეწი მანქანა მეტისმეტად ხელსაყრელია «მაშინვე», ამიტომ მემამულეები უარს არ იტყვიან მის გამოყენებაზე «მომავალი» მოგების გულისთვის. ამიტომაც სალეწი მანქანა განაგრძობს თავის რევოლუციურ მუშაობას; ის სოფლის მუშებს გარეკავს ქალაქებში, ამის გამო ის გახდება მძლავრი იარაღი, ერთი მხრივ, სოფლად ხელფასის აწევისა, ხოლო მეორე მხრივ, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის შემდგომი განვითარებისა».

* — «აგრარული საკითხი». რ ე დ.

სოციალ-დემოკრატისა და აგრარის მიერ საკითხის ასეთი დაყენებისადმი ბ-ნ ბულგაკოვის დამოკიდებულება უაღრესად დამახასიათებელია: ეს, იმ პოზიციის პატარა ნიმუშია, რომელიც დაიკავა საერთოდ თანამედროვე «კრიტიკამ» პროლეტარიატის პარტიასა და ბურჟუაზიის პარტიას შორის. კრიტიკოსი, რასაკვირველია, ისე ვიწრო და ისე შაბლონური როდია, რომ კლასობრივი ბრძოლისა და კაპიტალიზმის მიერ ყველა საზოგადოებრივი ურთიერთობის გარევოლუციურების თვალსაზრისზე დადგეს. მაგრამ, მეორე მხრივ, თუმცა ჩვენი კრიტიკოსი «დაჭკვიანდა», — მაინც მოგონებანი იმ დროისა, როცა ის «ახალგაზრდა და ბრიყვი» იყო, როცა მარქსიზმის ცრურწმენებს იზიარებდა, — არ აძლევენ მას ნებას სავსებით მიიღოს პროგრამა თავისი ახალი ამხანაგის, აგრარისა, რომელიც «მ თ ე ლ ი სოფლის მეურნეობისათვის» მანქანების მავნებლობიდან სრულიად სამართლიანად და თანამიმდევრად დაასკვნის სურვილს: აიკრძალოს! და ჩვენი კეთილი კრიტიკოსიც ვარდება ბურიდანის ვირის მდგომარეობაში, ორ კონა თივას შუა რომ მოექცა: ერთი მხრივ, მან დაჰკარგა კლასობრივი ბრძოლის გაგების ყოველგვარი უნარი და ახლა შეუძლია ილაპარაკოს მანქანების მავნებლობაზე «მ თ ე ლ ი სოფლის მეურნეობისთვის», და ის კი დავიწყნია, რომ მ თ ე ლ თანამედროვე სოფლის მეურნეობას ხელმძღვანელობენ პირველ რიგში მეწარმენი, რომლებიც მხოლოდ თავიანთ მოგებაზე ფიქრობენ, — მას იმ ზომამდე დავიწყნია «სიჭაბუკის წლები», როცა ის მარქსისტი იყო, რომ უკვე აყენებს ყოვლად უაზრო კითხვას, «ინაზღაურებს» თუ არა მანქანის ტექნიკური ხელსაყრელობა მის მავნე მოქმედებას მუშებზე (ხოლო ასე მავნედ მოქმედებს არა მარტო ორთქლის სალეწი მანქანა, არამედ ორთქლის გუთანიც, სათიბი, მარცვლის საწმენდი მანქანაც და სხვ.)? ის ვერც კი ამჩნევს, რომ აგრარის არსებითად მხოლოდ ის სურს, რომ უფრო ძლიერ დაიმონოს მუშა ზამთარშიც და ზაფხულშიც. მაგრამ, მეორე მხრივ, მას ბუნდოვანად აგონდება ის მოძველებული «დოგ-

მატური» ცრურწმენა, რომ მანქანების აკრძალვა — უტოპიაა. საბრალო ბ-ნი ბულგაკოვი, დააღწევს კი ის თავს ამ არასასიამოვნო მდგომარეობას?

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჩვენი კრიტიკოსები ცდილობენ ყოველნაირად შეასუსტონ სასოფლო-სამეურნეო მანქანების მნიშვნელობა, რისთვისაც «ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონსაც» კი იშველიებენ, მაგრამ ივიწყებენ (ან განგებ არ სურთ) მოიგონონ ის ახალი ტექნიკური გადატრიალება მიწათმოქმედებაში, რომელსაც ელექტროტექნიკა ამზადებს. პირიქით, კაუტსკიმ, — რომელმაც, ბ-ნი პ. მასლოვის მეტისმეტად უსამართლო მსჯელობით, თითქოს «არსებითი შეცდომა ჩაიდინა, როცა სრულებით არ გაარკვია, თუ რა მიმართულებით მიდის საწარმოო ძალების განვითარება მიწათმოქმედებაში» («ჟიზნი», 1901, № 3, გვ. 171), — კაუტსკიმ მიუთითა ელექტრობის მნიშვნელობაზე მიწათმოქმედებაში ჯერ კიდევ 1899 წელს («Agrarfrage»). ამჟამად მომავალი ტექნიკური გადატრიალების ნიშნები უკვე უფრო ნათლად ისახება. უკვე არის ცდები თეორიულად გააშუქონ ელექტროტექნიკის მნიშვნელობა მიწათმოქმედებაში (იხ. Dr. Otto Pringsheim: «Landwirtschaftliche Manufaktur und elektrische Landwirtschaft», Brauns Archiv *, XV, 1900, S. 406 — 418, და კაუტსკის სტატია «Neue Zeit»-ში ** XIX, 1, 1900 — 1901, № 18, «Die Elektrizität in der Landwirtschaft» ***), გაისმის ხმები პრაქტიკოს-მემამულეებისა, რომლებიც აგვიწერენ თავიანთ ცდებს ელექტრობის გამოყენების საქმეში (პრინგსჰაიმს მოჰყავს ამონაწერი ადოლფ ზაიფერჰელდის წიგნიდან, რომელშიც ავტორი მოგვითხრობს თავის მეურნეობაში მოხდენილ ცდებზე), ელექტრობაში ხედავენ საშუალებას კვლავ

* — დ-რი ოტო პრინგსჰაიმი: «სასოფლო-სამეურნეო მანუფაქტურა და ელექტროფიცირებული სოფლის მეურნეობა». ბრაუნის არქივი. რ ე დ.

** — «ახალი დროება» [1]. რ ე დ.

*** — «ელექტრობა სოფლის მეურნეობაში». რ ე დ.

შემოსავლიანი გახადონ მიწათმოქმედება და მოუწოდებენ მთავრობასა და მემამულეებს მოაწყონ ცენტრალური ძალსადგურები და მასობრივად გამოიმუშაონ ელექტრობის ენერგია სოფლის მეურნეთათვის. (კენიგსბერგში გასულ წელს გამოვიდა აღმოსავლეთ პრუსიის მემამულის, პ. მაკის წიგნი — P. Mack: «Der Aufschwung unseres Landwirtschaftsbetriebes durch Verbilligung der Produktionskosten. Eine Untersuchung über den Dienst, den Maschinentechnik und Elektrizität der Landwirtschaft bieten» *).

პრინგსჰაიმი, ჩვენი აზრით, მეტად სწორად შენიშნავს, რომ თანამედროვე მიწათმოქმედება — ტექნიკის საერთო დონისა და, შეიძლება, ეკონომიკის დონის მიხედვითაც — უახლოვდება მრეწველობის განვითარების იმ სტადიას, რომელსაც მარქსმა «მანუფაქტურა» უწოდა. ხელით მუშაობისა და მარტივი კოოპერაციის სიჭარბე, მანქანების სპორადიული გამოყენება, წარმოების შედარებით მცირე ოდენობანი (თუ ვიანგარიშებთ, მაგ., იმ პროდუქტების რაოდენობის მიხედვით, რომელთაც ყოველწლიურად ჰყიდის ერთი საწარმო), უმეტეს შემთხვევაში შედარებით მცირე ზომის ბაზარი, მსხვილი წარმოების კავშირი წვრილთან (მასთან უკანასკნელი, მსგავსად შინამრეწველთა დამოკიდებულებისა მანუფაქტურის მსხვილი მეპატრონისადმი, სამუშაო ძალას აწვდის პირველს, — ანდა პირველი მეორისაგან იძენს «ნახევარფაბრიკატებს», მაგ., მსხვილი მეპატრონენი შეისყიდიან ხოლმე ჭარხალს, პირუტყვს და სხვ. წვრილ მეპატრონეთაგან), — ყველა ეს ნიშანი, მართლაცდა, იმას მეტყველებს, რომ მიწათმოქმედებას ჯერ კიდევ არ მიუღწევია ნამდვილი «მსხვილი მანქანური ინდუსტრიის» საფეხურამდე, როგორც ეს მარქსს ესმის. მიწათმოქმედებაში ჯერ კიდევ არ არსებობს ერთ საწარმოო მექანიზმად შეკრული «მანქანათა სისტემა».

* პ. მაკი: «ჩვენი სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობა წარმოების ხარჯების შეკცირების საშუალებით. გამოკვლევა, თუ რა სამსახურს უწევს სოფლის მეურნეობას მანქანური ტექნიკა და ელექტრობა». რ ე დ.

რა თქმა უნდა, გადამეტებით არ უნდა წარმოვიდგინოთ ეს შედარება: ერთი მხრივ, არის მიწათმოქმედების თავისებურებანი, რომელთა თავიდან აშორება აბსოლუტურად შეუძლებელია (თუ განზე დავტოვებთ ცილეულისა და საკვების ლაბორატორული წესით მომზადების მეტისმეტად შორეულ და მეტისმეტად პრობლემატურ შესაძლებლობას). ამ თავისებურებათა გამო მსხვილ მანქანურ ინდუსტრიას მიწათმოქმედებაში არასოდეს არ ექნება ყველა ის ნიშანი, რაც მას მრეწველობაში მოეპოვება. მეორე მხრივ, მანუფაქტურაშიც მრეწველობის მსხვილმა წარმოებამ უკვე მიაღწია გაბატონებულ მდგომარეობას და მნიშვნელოვან ტექნიკურ უპირატესობას წვრილი წარმოების მიმართ. წვრილი მრეწველი დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდა გაექარწყლებინა ეს უპირატესობა სამუშაო დღის იმ გაგრძელებით და მოთხოვნილებათა შემცირებით, რაც ასე დამახასიათებელია როგორც შინამრეწველის, ისე თანამედროვე წვრილი გლეხისათვის. მანუფაქტურაში ხელით მუშაობის სიჭარბე ჯერ კიდევ აძლევდა წვრილ წარმოებას ერთგვარ შესაძლებლობას თავი გაეტანა ასეთი «გმირული» საშუალებებით, — მაგრამ იმ ადამიანებს, რომლებიც ამით სტყუვდებოდნენ და ლაპარაკობდნენ შინამრეწველის სიცოცხლისუნარიანობაზე (მსგავსად იმისა, როგორც ახლანდელი კრიტიკოსები ლაპარაკობენ გლეხის სიცოცხლისუნარიანობაზე), ძალიან სწრაფად ამარცხებდა ის «დროებითი ტენდენცია», რომელიც აქარწყლებს ტექნიკის გაყინვის «უნივერსალურ კანონს». მაგალითისათვის მოგაგონებთ მოსკოვის გუბერნიის 70-იანი წლების საფეიქრო შინამრეწველობის რუს მკვლევარებს. ბამბეულის ფეიქრობაში — ამბობდნენ ისინი — ხელით მომუშავე ფეიქრის საქმე წაგებულია: აქ მანქანამ გაიმარჯვა, მაგრამ აი სამაგიეროდ აბრეშუმის ფეიქრობაში შინამრეწველებს კიდევ შეუძლიათ გაძლება, აქ მანქანები ჯერ კიდევ არ არის ისე კარგად გაუმჯობესებული. გავიდა ორი ათეული წელი და ტექნიკამ წვრილ წარმოებას კიდევ ერთი მისი უკანასკნელი საფართა-

განი გამოსტაცა და თითქოს ეუბნება — იმათ, ვისაც ყურნი აქვთ სმენად და თვალნი ხედვად — რომ ეკონომისტი მუდამ წინ უნდა იხედებოდეს — ტექნიკის პროგრესისაკენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ის მყისვე ჩამორჩენილი აღმოჩნდება, ვინაიდან ვისაც არ სურს წინ იცქიროს, ის ზურგს აქცევს ისტორიას: საშუალო მდგომარეობა აქ არ არის და არც შეიძლება იყოს.

«მწერლებმა, რომლებიც, მსგავსად ჰერცისა, მსჯელობდნენ წვრილი და მსხვილი წარმოების მეტოქეობაზე მიწათმოქმედებაში და უგულებელჰყოფდნენ ელექტროტექნიკის როლს, თავიდან უნდა დაიწყონ თავიანთი გამოკვლევა», — მოსწრებულად შენიშნა პრინგსჰეიმმა, და მისი შენიშვნა უფრო მეტი ძალით ატყდება თავს ბ-ნ ბულგაკოვის ორტომიან შრომას.

ელექტრონის ენერგია ორთქლის ძალაზე უფრო იაფია, მას ახასიათებს გაყოფის მეტი უნარიანობა, მისი გადაცემა ბევრად უფრო იოლად შეიძლება ძლიერ დიდ მანძილზე, მანქანებსაც უფრო სწორად და წყნარად ამოქმედებს, — ამიტომ მისი გამოყენება გაცილებით უფრო მოსახერხებელია სალიწად, სახნავად, საწველად, პირუტყვის საკვების დასაჭრელად * და სხვ. კაუტსკი აგვიწერს უნგრეთის ერთ-ერთ ლატიფუნდიას **, სადაც ელექტრონის ენერგია გაყვანილია ცენტრალური სადგურიდან ყველა მიმართულებით მამულის შორეულ ნაწილებში სასოფლო-სამეურნეო მანქანების ასამოძრავებლად, ჭარხლის დასაჭრელად, წყლის ამოსაღებად, გასანათებლად და სხვ. და სხვ., «300 ჰექტოლიტრი წყლის ამოსაღებად ყოველდღე 29 მეტრის სიღრმე ჭიდან რეზერვუარში,

* ცნობად გაბედულ ბ-ნ ბულგაკოვს, რომელიც გაბედულად და უსაფუძვლოდ ლაპარაკობს «სასოფლო-სამეურნეო წარმოების ისეთ დარგებზე, სადაც სრულიად შეუძლებელია მანქანების გამოყენება, მაგალითად: მესაქონლეობა» (I, 49).

** კიდევ ერთხელ ცნობად ბ-ნ ბულგაკოვს, რომელიც მსჯელობს «მსხვილი მეურნეობის ლატიფუნდიურ გადაგვარებაზე»!

რომლის სიმაღლე 10 მეტრს უდრის, და საკვების მოსამზადებლად 240 ძროხისა, 200 ხბოს და 60 მუშა-ხარისა და ცხენისთვის, ე. ი. ჭარხლისა და სხვათა დასაჭრელად და დასაკეპად, ზამთრობით საჭირო იყო ორი წყვილი ცხენი, ზაფხულობით ერთი წყვილი, რაც 1 500 გულდენი ჯდებოდა. ცხენების ნაცვლად ახლა 3 და 5-ძალიანი მოტორი მუშაობს, რომელთა მუშაობა ახლა ჯდება, ყველა ხარჯების დაფარვით, 700 გულდენი, ე. ი. 800 გულდენით ნაკლები» (Kautsky, l. c. *). მაკი ანგარიშობს ცხენის სამუშაო დღის ღირებულებას 3 მარკად, ხოლო როცა მის ადგილს ელექტრონის ძალა იჭერს, იგივე სამუშაო ჯდება 40 — 75 პფენიგი, ე. ი. 400 — 700%-ით უფრო იაფი. 50 წლის შემდეგ ან კიდევ უფრო გვიან — ამბობს ის — $1^3/_4$ მილიონი ცხენი გერმანიის მიწათმოქმედებაში რომ შეიცვალოს ელექტრონის ენერგიით (1895 წელს გერმანიის მიწათმოქმედებაში მინდვრის სამუშაოებზე იყენებდნენ 2,6 მილიონ ცხენს + 1,0 მილიონი ხარი + 2,3 მილიონი ძროხა, მათ შორის იმ მეურნეობებში, რომლებსაც 20 ha-ზე მეტი აქვთ — 1,4 მილიონ ცხენს და 0,4 მილიონ ხარს), — ეს შეამცირებდა ხარჯებს 1 003 მილიონი მარკიდან 261 მილიონამდე, ე. ი. 742 მილიონი მარკით. უდიდესი სივრცე, რომელიც საკვებს იძლევა პირუტყვისთვის, ადამიანთა საზრდოს მოყვანის, იმ მუშების კვების გაუმჯობესების წყაროდ გადაიქცეოდა, რომელთაც ასე აშინებს ბ-ნი ბულგაკოვი «ბუნების დოვლათთა შემცირებით», «პურის საკითხით» და სხვ. მაკი დაჟინებით გვირჩევს მიწათმოქმედებისა და მრეწველობის შეერთებას ელექტრონის ენერგიის მუდმივი ექსპლოატაციის მიზნით, გვირჩევს მაზურის არხის გათხრას, რომელიც ელექტრონის ძალას მიაწვდიდა 5 ცენტრალურ სადგურს, რომლებიც ენერგიას მიაწვდიან სოფლის მეურნეებს 20 — 25 კილომეტრ მანძილზე ირგვლივ, გვირჩევს ტორფის გამოყენებას იმავე მიზნით,

* — კაუტსკი ციტირებულ ადგილას. რ ე დ.

მოითხოვს სოფლის მეურნეთა გაერთიანებას: «მხოლოდ ამ-ხანაგურ გაერთიანებას ინდუსტრიასთან და მსხვილ კაპიტალ-თან შეუძლია ისევ მომგებიანი გახადოს მრეწველობის ჩვენი დარგი» (Mack, S. 48). რასაკვირველია, წარმოების ახალი წესების გამოყენება უამრავ დაბრკოლებას წააწყდება და წავა წინ არა სწორი, არამედ მიხვეულ-მოხვეული გზით, მაგრამ ის რომ წინ წავა, მიწათმოქმედების რევოლუციური გარდა-ქმნა რომ აუცილებელია, — ამაში ეჭვის შეტანა არა გვგონია შეიძლებოდეს. «მუშა-პირუტყვის უმეტესი ნაწილის ელექ-ტრომოტორებით შეცვლა — სამართლიანად ამბობს პრინგს-ჰაიმი — ნიშნავს მიწათმოქმედებაში მანქანათა სისტემის შე-საძლებლობას... რაც ორთქლის ძალამ ვერ შესძლო, იმას უთუოდ მიაღწევს ელექტროტექნიკა — სახელდობრ: სოფლის მეურნეობის გადაქცევას ძველებური მანუფაქტურული წარ-მოებიდან თანამედროვე მსხვილ წარმოებად» (l. c., p. 414).

სიტყვას არ გავაგრძელებთ იმის შესახებ, თუ მსხვილი წარ-მოების რა გიგანტური გამარჯვება იქნება (რაოდენადმე უკვე არის) ელექტროტექნიკის შემოღება მიწათმოქმედებაში, — ეს გარემოება მეტად ცხადია, და მისი მტკიცება საჭირო არ არის. უმჯობესია ვნახოთ, რომელ თანამედროვე მეურნეობებში არ-სებობს ჩანასახი იმ «მანქანათა სისტემისა», რომელსაც აამუ-შავებს ცენტრალური ძალსადგური. მანქანათა სისტემისთვის ხომ თავდაპირველად საჭიროა სხვადასხვა მანქანის გამოყე-ნება საცდელად, საჭიროა ბევრი მანქანის ერთად გამოყენების მაგალითები. ამ კითხვაზე პასუხს იძლევა გერმანიის სამიწათ-მოქმედო მეურნეობათა 1895 წლის 14 ივნისის აღწერის ცნობები. ჩვენ მოგვეპოვება ცნობები თვითეული ჯგუფის იმ მეურნეობათა რიცხვის შესახებ, რომლებიც ხმარობდნენ თავის ან სხვის მანქანებს (ბ-ნი ბულგაკოვი ცდება, როცა მეორე ტომის 114-ე გვერდზე მოჰყავს ამ ცნობების ნაწილი და ფიქრობს, რომ ეს ცნობები მ ა ნ ქ ა ნ ა თ ა რიცხვს შეე-ხება. აქვე აღვნიშნავთ, რომ ცნობები იმ მეურნეობათა რიც-ხვის შესახებ, **რომლებიც სხვის ან თავის მანქანებს იყენებენ,**

გვიჩვენებს, რასაკვირველია, მსხვილი წარმოების უპირატესობას უფრო სუსტად, ვიდრე ის არის სინამდვილეში. მსხვილ მეურნეებს უფრო ხშირად მოეპოვებათ საკუთარი მანქანები, ვიდრე წვრილთ, რომლებიც ზედმეტს იხდიან მათი ხმარებისთვის). ეს ცნობები ეხება ან მანქანების გამოყენებას საერთოდ, ან თვითეული გვარეობის მანქანების გამოყენებას ცალ-ცალკე, ასე რომ ჩვენ არ შეგვიძლია განვსაზღვროთ, თუ რამდენ მანქანას იყენებდნენ სხვადასხვა ჯგუფის მეურნეობანი ცალ-ცალკე. მაგრამ თუ ჩვენ შევაჯამებთ თვითეული ჯგუფისათვის ყველა იმ მეურნეობის რიცხვს, რომელთაგანაც თვითეული იყენებდა გარკვეული სახის-მანქანას, მივიღებთ ყოველგვარ სასოფლო-სამეურნეო მანქანათა გამოყენების შემთხვევათა რიცხვს. მოგვყავს ამნაირად დამუშავებული მონაცემები, რომლებიც ცხადჰყოფენ, თუ როგორ მზადდება მიწათმოქმედებაში «მანქანათა სისტემა».

მეურნეობათა სიდიდე	100 მეურნეობაზე მოდის:	
	მეურნეობები, რომლებიც იყენებდნენ სას.-სამ. მანქანებს საერთოდ (1895)	შემთხვევები ამა თუ იმ სას.-სამ. მანქანის გამოყენებისა (1895)
2 ha-ზდე	2,03	2,30
2— 5 „	13,81	15,46
5— 20 „	45,80	56,04
20—100 „	78,79	128,46
100 და მეტი ha	94,16	352,34
სულ	16,36	22,36

ამრიგად, წვრილ მეურნეობებში, 5 ჰექტარამდე (ასეთი მეურნეობები მთელი რაოდენობის სამ მეოთხედზე მეტია, 4,1 მლნ, 5,5 მილიონიდან, ე. ი. 75,5%; მაგრამ მათ უჭირავთ მხოლოდ 5 მლნ. ჰექტარი მიწა 32½ მილიონიდან, ე. ი. 15,6%) — ყოველგვარი სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოყენების შემთხვევათა რიცხვი (ჩვენ აქ მივათვალეთ აგრეთვე ის მანქანებიც, რომელთაც რძის წარმოებაში იყენე-

ბენ) სრულიად უმნიშვნელოა. საშუალო მეურნეობებში (5—20 ha) მეურნეობათა ნახევარზე ნაკლები იყენებს საერთოდ მანქანებს, და 100 მეურნეობაზე სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოყენების მხოლოდ 56 შემთხვევა მოდის. მხოლოდ მსხვილ კაპიტალისტურ წარმოებაში* ვხედავთ ჩვენ, რომ მეურნეობათა უმეტესობა ($^3/_4$ — $^9/_{10}$) იყენებს მანქანებს, და საფუძველი ეყრება მანქანათა სისტემას: თვითეულ მეურნეობაზე მოდის მანქანათა გამოყენების ერთზე მეტი შემთხვევა. მაშასადამე, თვითეულ მეურნეობაში რამდენიმე მანქანას იყენებენ: მაგ., მეურნეობები 100 ha-ზე ზევით იყენებდნენ თვითეული 4 მანქანამდე (352% საერთოდ მანქანის ყველა გამომყენებელთა 94%-ზე). 572 ლატიფუნდიიდან (თვითეული ეს მეურნეობა ფლობს 1 000 და მეტ ha-ს) 555 იყენებდა მანქანებს, და მანქანების გამოყენების შემთხვევები უდრის 2 800, ე. ი. თვითეული მეურნეობა იყენებდა ხუთ მანქანას. აქედან გასაგებია, რომელი მეურნეობები ამზადებენ «ელექტრონულ» რევოლუციას და ყველაზე მეტად რომელი მათგანი ისარგებლებს ამით.

IV

ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲑᲝᲒᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲠᲝᲒᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲔᲚᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ. «ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘᲡ» ᲛᲘᲔᲠ ᲐᲚᲫᲠᲣᲚᲘ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ

ჰერციდან გადავიდეთ ბ-ნ ჩერნოვზე. რადგანაც უკანასკნელი მხოლოდ «საუბრობს» პირველის გამო, ჩვენ აქ დავკმაყოფილდებით ჰერცის მსჯელობის ხერხების (და ბ-ნ ჩერნოვის მიერ მისი გადასხვაფერების ხერხების) მოკლე დახასიათებით, რათა (შემდგომ ნარკვევში) შევუდგეთ «კრიტიკოსების» მიერ

* 20 ha-ზე ზევით მხოლოდ 0.3 მლნ. მეურნეობაა 5,5 მილიონიდან, ე. ი. მთელი რიცხვის მხოლოდ 5,5%, მაგრამ მათ უჭირავთ 17,7 მლნ. ჰექტარი მიწა 32,5 მილიონიდან, ე. ი. მთელი სასოფლო-სამეურნეო ფართობის 54,4%.

წამოყენებული ზოგიერთი ახალი ფაქტიური მონაცემის გარ-ჩევას.

თუ რას წარმოადგენს ჰერცი, როგორც თეორეტიკოსი, ეს საკმარისია ცხადვყოთ ერთი მაგალითით. მისი წიგნის დასაწყისშივე ვხვდებით პარაგრაფს, რომელსაც პრეტენზიული სათაური აქვს: «ნაციონალური კაპიტალიზმის ცნება». ჰერცს სურს მოგვცეს კაპიტალიზმის განსაზღვრა — არც მეტი, არც ნაკლები. «ჩვენ შეგვიძლია, რა თქმა უნდა, — სწერს ის, — დავახასიათოთ იგი, როგორც ისეთი სახალხო-სამეურნეო სისტემა, რომელიც იურიდიულად ემყარება პიროვნებისა და საკუთრების თავისუფლების სავსებით განხორციელებულ პრინციპებზე, ტექნიკურად — ფართო» (დიდი?) «ოდენობის წარმოებაზე *, სოციალურად — უშუალო მწარმოებელთაგან წარმოების საშუალებათა გამოყოფაზე, პოლიტიკურად — ცენტრალური პოლიტიკური ძალაუფლების» (სახელმწიფოს კონცენტრირებული პოლიტიკური ძალის) «კაპიტალისტების ხელში არსებობაზე მხოლოდ საკუთრების განაწილების ეკონომიური საფუძვლის თანახმად» (რუს. თარგმ., გვ. 37). ეს განსაზღვრანი სრული არ არის, მოითხოვს შეზღუდვას, — ამბობს ჰერცი, — მაგ., შინამუშაობა და წვრილი იჯარა ჯერ კიდევ ყველგან არსებობს მსხვილ წარმოებასთან ერთად. «სავსებით შესაფერისი ვერ არის აგრეთვე რეალური (sic!) განსაზღვრა კაპიტალიზმისა, როგორც სისტემისა, როცა წარმოება ექვემდებარება კაპიტალისტების» (კაპიტალის მფლობელთა) «კონტროლს» (ბატონობასა და კონტროლს). რა საუცხოოა კაპიტალიზმის, როგორც კაპიტალისტების ბატონობის, ეს «რეალური» განსაზღვრა, არა? და რა დამახასიათებელია ეს, ამჟამად ესოდენ მოდაში

* ბ-ნი ვ. ჩერნოვი თარგმნის («რუსსკოე ბოგატსტვო» № 4, 132): «წარმოებაზე, რომელმაც განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწია». ასე მოუხერხებია მას «გაგება» გერმანული გამოთქმისა «auf grosser Stufenleiter»!!

შემოსული quasi-*რეალისტური, სინამდვილეში კი ყველა ცალკე ნიშნისა და ცალკე «ფაქტორის» სრული ჩამოთვლისადმი ეკლექტიკური გამოდევნება. შედეგად, რა თქმა უნდა, ამ უაზრო ცდას, რომ ზოგად ცნებაში ერთეულ მოვლენათა ყველა კერძო ნიშანი შეიტანო, ან, პირიქით, «თავიდან აიცილო შეტაკება მოვლენათა უკიდურეს სხვადასხვაობასთან», — ამ ცდას, რომელიც მოწმობს მხოლოდ იმის ელემენტარულ უცოდინარობას, თუ რა არის მეცნიერება, — «თეორეტიკოსი» იქამდე მიყავს, რომ «რიყეზე ქვას ვერ ხედავს». ჰერცმა, მაგ., დაივიწყა ისეთი წვრილმანი რამ, როგორიცაა სასაქონლო წარმოება და სამუშაო ძალის გადაქცევა საქონლად! სამაგიეროდ მან შეთხზა შემდეგი გ ე ნ ე ტ ი კ უ რ ი განსაზღვრა, რომელიც—შემთხზველის დასასჯელად—საჭიროა მთლიანად მოვიყვანოთ: კაპიტალიზმი—«სახალხო მეურნეობის ისეთი მდგომარეობაა, რომელშიც თავისუფალი ბრუნვის, პიროვნებისა და საკუთრების თავისუფლების პრინციპების განხორციელებამ მიაღწია უმაღლეს (შედარებით) წერტილს, რომელიც განისაზღვრება თვითეული ცალკე სახალხო მეურნეობის ეკონომიური განვითარებით და ემპირიული პირობებით» (S. 10, რუს. თარგ. 38 — 39 სავსებით სწორი არ არის). ბ-ნ ვ. ჩერნოვს, რასაკვირველია, აღტაცებული მოკრძალებით გადმოუწერია და გაუმშვენიერებია ეს საპნის ბუშტულები და ამასთანავე «რუსსკოე ბოგატსტვოს» მკითხველებს მთელი ოცდაათი გვერდის მანძილზე უმასპინძლდება ნაციონალური კაპიტალიზმის ტიპების «ანალიზით». ამ დიდად ჭკუისსასწავლი ანალიზიდან შეიძლება გამოვიტანოთ მთელი რიგი უაღრესად საგულისხმო და სრულიადაც არა შაბლონური მითითებანი, მაგ., მითითება «ბრიტანელის დამოუკიდებელ, ამაყ და ენერგიულ ხასიათზე», ინგლისის ბურჟუაზიის «დარბაისლობაზე» და მისი საგარეო პოლიტიკის «არასიმპათიურობაზე», — «რომანული რასის მგზნებარე, გატაცებულ ტემპერამენტზე» და «გერმანულ

* — ვითომდა. რ ე დ.

წესიერებაზე» (გვ. 152, «რუსსკოე ბოგატსტვო» № 4). «დოგ-მატური» მარქსიზმი, რასაკვირველია, საბოლოოდ განადგურე-ბულია ამ ანალიზით.

არანაკლებ შემმუსვრელია ჰერცის მიერ გაკეთებული ანა-ლიზი ცნობებისა ჰიპოთეკების შესახებ. ყოველ შემთხვევაში, ამ ანალიზს აღტაცებაში მოჰყავს ბ-ნი ჩერნოვი. «ფაქტია, — წერს ის, — რომ... ჰერცის ცნობები ჯერ კიდევ არავის უარ-უყვია. კაუტსკი თავის პასუხში ჰერცის წიგნზე ბევრს ლაპარა-კობს ზოგიერთ წვრილმანებზე» (როგორიცაა, მაგ., ჰერცის ს ი-ყ ა ლ ბ ე თ ა დამტკიცება! კარგი «წვრილმანები» კი ყოფილა!), «ჰერცის არგუმენტებს ჰიპოთეკების საკითხზე ე რ თ ი ს ი ტ ყ-ვ ი თ ა ც ა რ უ პ ა ს უ ხ ე ბ ს» («რუსსკოე ბოგატსტვო» № 10, გვ. 217, ხაზგასმა ბ-ნ ჩერნოვისაა). როგორც ჩანს «რუსსკოე ბოგატსტვოს» იმავე წიგნის 238-ე გვერდზე გაკეთებული მი-თითებიდან, ბ-ნი ჩერნოვი იცნობს კაუტსკის საპასუხო სტა-ტიას («Zwei Kritiker meiner Agrarfrage» * «Neue Zeit»-ში, 18, 1; 1899 — 1900); ბ-ნ ჩერნოვს არ შეეძლო არ ცოდნოდა აგრეთვე, რომ ჟურნალი, რომელშიც ეს სტატიაა მოთავსებუ-ლი, რუსეთში აკრძალულია ცენზურის მიერ. მით უფრო აღსა-ნიშნავია მთელი თანამედროვე «კრიტიკის» სახის დასახასია-თებლად ის ფაქტი, რომ თვით ბ-ნ ჩერნოვის მიერ ხაზგას-მული სიტყვები შეიცავენ ა შ კ ა რ ა ს ი ც რ უ ე ს, ვინაიდან კაუტსკიმ ჰიპოთეკების საკითხზე უ პ ა ს უ ხ ა «ჰერცს, დავიდს, ბერნშტეინს, შიპელს, ბულგაკოვს e tutti quanti» ** ი მ ა ვ ე ს ტ ა ტ ი ი ს 472 — 477-ე გვერდზე, რ ო მ ე ლ ზ ე დ ა ც ბ-ნ ი ჩ ე რ ნ ო ვ ი მ ი უ თ ი თ ე ბ ს. მოსაწყენი მოვალეობა კია — დამახინჯებული ჭეშმარიტების აღდგენა, — მაგრამ, როცა ბატონ ჩერნოვებთან გვაქვს საქმე, ასეთ მოვალეობას თავს ვერასგზით ვერ დააღწევ.

---

* — «ჩემი «აგრარული საკითხის» ორი კრიტიკოსი». რ ე დ.

** კაუტსკის გამოთქმა: გვ. 472, «N. Z.» (e tutti quanti — და ყველა მათ მსგავსთ. რ ე დ.).

კაუტსკიმ, რასაკვირველია, დაცინვით უპასუხა ჰერცს, ვინაიდან ჰერცს ამ საკითხშიც დაეტყო, რომ მას არ შეუძლია ან არ სურს გაიგოს საგნის თავი და ბოლო, დაეტყო მიდრეკილება — იმეოროს ბურჟუაზიული ეკონომისტების გაცვეთილი მოსაზრებანი. კაუტსკის «Agrarfrage»-ში ლაპარაკი იყო (S. 88 — 89) ჰიპოთეკათა კონცენტრაციაზე. «უამრავი სოფლელი წვრილი მევახშენი — წერდა კაუტსკი — სულ უფრო მეტად იწევენ უკანა რიგზე და ადგილს უთმობენ მსხვილ ცენტრალიზებულ კაპიტალისტურ ან საზოგადოებრივ დაწესებულებებს, რომლებიც საჰიპოთეკო კრედიტის მონოპოლისტები ხდებიან». კაუტსკი ჩამოთვლის ზოგიერთ ამგვარ კაპიტალისტურ და საზოგადოებრივ დაწესებულებას, ლაპარაკობს საადგილმამულო საურთიერთო კრედიტის საზოგადოებებზე (genossenschaftliche Bodenkreditinstitute), აღნიშნავს იმას, რომ შ ე მ ნ ა ხ ვ ე ლ ს ა ლ ა რ ო ე ბ ს ა ც, დამზღვევ საზოგადოებებსაც და მრავალ კორპორაციასაც (S. 89) შეაქვთ თავიანთი ფონდები ჰიპოთეკებში და სხვ.. მაგ., პრუსიაში 17 საურთიერთო საკრედიტო საზოგადოებამ 1887 წლისთვის გამოუშვა 1 650 მილიონი მარკის საგირავნო ფურცლები. «ეს ციფრები აღნიშნავენ უკვე მიწის რენტის უდიდეს კონცენტრაციას მ ც ი რ ე ო დ ე ნ ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ დ ა წ ე ს ე ბ უ ლ ე ბ ე ბ შ ი» (ხაზგასმა ჩვენია), «მაგრამ კონცენტრაცია სწრაფად იზრდება. 1875 წელს გერმანიის საჰიპოთეკო ბანკებმა გამოუშვეს 900 მილიონი მარკის საგირავნო ფურცლები, 1888 წელს — 2½ მილიარდისა, 1892 წელს ეს თანხა შეადგენდა უკვე 3 400 მილიონს, კონცენტრირებულს 31 (1875 წ. — 27) ბანკში» (S. 89). მიწის რენტის ეს კონცენტრაცია ნათლად გვიჩვენებს მ ი წ ი ს ს ა კ უ თ რ ე ბ ი ს კონცენტრაციას.

არა — უპასუხებენ ჰერცი, ბულგაკოვი, ჩერნოვი და კომპ. — «ჩვენ ვხვდებით სრულიად აშკარა ტენდენციას დეცენტრალიზაციისადმი, საკუთრების დაქუცმაცებისადმი» («რუსსკოე ბოგატსტვო» № 10, 216), ვინაიდან «საჰიპოთეკო კრედიტის მე-

ოთხედზე მეტი თავმოყრილია დემოკრატიულ (sic!) საკრედიტო დაწესებულებათა ხელში აურაცხელი წვრილი მეანაბრეებით» (იქვე). ჰერცი მთელი რიგი ცხრილების მოყვანით არაჩვეულებრივი გულმოდგინებით ამტკიცებს, რომ წ ვ რ ი ლ ი მ ე ა ნ ა ბ რ ე ნ ი შემნახველი სალაროების მასას შეადგენენ და სხვ. კითხვა იბადება მხოლოდ, რა მოსატანია აქ ყოველივე ეს? საურთიერთო კრედიტის საზოგადოებებსა და შემნახველ სალაროებზე თვითონ კაუტსკიმაც ხომ მიუთითა (თუმცა არ წარმოუდგენია, რა თქმა უნდა, როგორც ეს წარმოდგენილი აქვს ბ-ნ ჩერნოვს, თითქოს ესენი განსაკუთრებით «დემოკრატიული» დაწესებულებანი არიან). კაუტსკი ლაპარაკობს რენტის ცენტრალიზაციაზე მცირეოდენ ცენტრალურ დაწესებულებებში, — მას კი მიუთითებენ აურაცხელ წვრილ მეანაბრეზე შემნახველ სალაროებში!! და ამას «საკუთრების დაქუცმაცებას» უწოდებენ! და მერე რა დამოკიდებულება აქვს სოფლის მეურნეობასთან (ლაპარაკია რენტის კონცენტრაციაზე) საჰიპოთეკო ბანკში მეანაბრეთა რიცხვს? განა მსხვილი ფაბრიკა ალარ ნიშნავს წარმოების ცენტრალიზაციას, რაკი მისი აქციები დანაწილებულია ბევრ წვრილ კაპიტალისტს შორის? «სანამ ჰერცმა და დავიდმა არ გამაცნეს — წერდა კაუტსკი ჰერცის საპასუხოდ — წარმოდგენაც კი არ მქონდა, თუ საიდან იღებენ შემნახველი სალაროები თავიანთ თანხებს. მე ვფიქრობდი, ისინი როტშილდებისა და ვანდერბილტების დანაზოგებს ატრიალებენ».

სახელმწიფოს საკუთრებად ჰიპოთეკების გადაცემის გამო ჰერცი ამბობს: «ეს იქნებოდა მსხვილი კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლის ძალიან ცუდი საშუალება და, რა თქმა უნდა, მშვენიერი საშუალება, რათა ასეთი რეფორმის გამომწვევთა წინააღმდეგ ამხედრებულ იქნას წვრილ მესაკუთრეთა უდიდესი, სულ უფრო მზარდი არმია, და მათ შორის განსაკუთრებით სოფლის მოჯამაგირენი» (S. 29, რუს. თარგმ. 78. ბ-ნი ჩერნოვი სიამოვნებით იმეორებს ამას «რუსსკოე ბოგატსტვოს» 217 — 218 გვ.).

მაშ აი ვინ ყოფილან ეს «მესაკუთრენი», რომელთა რიცხვის გადიდებაზე გაჰკივის ბერნშტეინი და კომპ.! — უპასუხებს კაუტსკი. — ესენი არიან შინა-მოსამსახურე ქალები ოც-ოცი მარკით შემნახველ სალაროში! რა ძველი და გაცვეთილია ეს საბუთი სოციალისტების წინააღმდეგ, რომ თავისი «ექსპროპრიაციით» ისინი გაძარცვავენ მშრომელთა უდიდეს არმიასაო. ევგენი რიხტერი და არა სხვა ვინმე, განსაკუთრებული გულმოდგინებით აყენებდა ამ საბუთს თავის ბროშურაში, რომელიც მან გამოუშვა სოციალისტების წინააღმდეგ განსაკუთრებული კანონის გაუქმების შემდეგ [52] (და რომელსაც ათასობით ყიდულობდნენ მეფაბრიკეები, რათა მუქთად დაერიგებინათ მუშებისათვის). ამ ბროშურაში ევგენი რიხტერმა წამოაყენა თავისი განთქმული «მომჭირნე აგნესა»: საბრალო მკერავი ქალი, რომელსაც შემნახველ სალაროში ჰქონდა რამდენიმე ათეული მარკა და რომელიც გაძარცვეს ბოროტმა სოციალისტებმა, ხელში ჩაიგდეს რა სახელმწიფო ძალაუფლება და ბანკები სახელმწიფო საკუთრებად გადააქციეს. აი რა წყაროდან ამოაქვთ თავიანთი «კრიტიკული» მოსაზრებანი ბულგაკოვებს *, ჰერცებს და ჩერნოვებს!

«მაშინ — ამბობს კაუტსკი ევგენი რიხტერის «განთქმულ» ბროშურაზე — ევგენი რიხტერი ერთსულოვნად სასაცილოდ აიგდო ყველა სოციალ-დემოკრატმა. ახლა კი უკანასკნელთა შორის ისეთნიც მოიძებნებიან, რომლებიც ჩვენს ცენტრალურ ორგანოში» (იგულისხმება, მგონი, დავიდის სტატიები «Vorwärts»-ში **) «ქებათა-ქებას უგალობენ თხზულებას, რომელიც იმავე აზრებს იმეორებს: ჰერც, ჩვენ ვადიდებთ შენს გმირობას!

---

* ბ-ნი ბულგაკოვი კაუტსკის წინააღმდეგ იმავე მოსაზრებებს აყენებდა ჰიპოთეკების შესახებ «ნაჩალოში». ხოლო გერმანულად ბრაუნის «არქივშიც».

** — «წინ» [53]. რ ე დ.

საბრალო ევგენისთვის მისი სიცოცხლის მიწურულში ეს ნამდვილი ტრიუმფია, და მე არ შემიძლია არ მოვიყვანო კიდევ, მისდა სასიამოვნოდ, შემდეგი ადგილები ჰერცის წიგნის იმავე გვერდიდან: «ჩვენ ვხედავთ, რომ წვრილ გლეხს, ქალაქელ სახლის პატრონს და განსაკუთრებით მსხვილ მიწათმოქმედს ექსპროპრიაციას უკეთებენ სწორედ დაბალი და საშუალო კლასები, და მათ მთავარ კონტინგენტს იძლევა, უეჭველად, სოფლის მოსახლეობა»» (ჰერცი, S. 29, რუს. თარგმ. 77. — დიდი აღტაცებით არის განმეორებული «რუსსკოე ბოგატსტვოში» № 10, გვ. 216 — 217). «დავიდის თეორია კაპიტალიზმის «დაცლისა» (Aushöhlung) ხელფასის შესახებ კოლექტიურ ხელშეკრულებათა (Tarifgemeinschaften) და მომხმარებელთა საზოგადოებების საშუალებით ახლა ჩამორჩენილია. ის ვერც კი შეედრება ჰერცის ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაციას შემნახველი სალაროების საშუალებით. მომჭირნე აგნესა, რომელიც უკვე გარდაცვლილად მიაჩნდათ, მკვდრეთით აღსდგა ახალი ცხოვრებისათვის» (Kautsky, l. c., S. 475) — და რუსი «კრიტიკოსები», «რუსსკოე ბოგატსტვოს» პუბლიცისტებთან ერთად ისწრაფვიან ეს მკვდრეთით აღმდგარი «მომჭირნე აგნესა» გადარგონ რუსულ ნიადაგზე «ორთოდოქსალური» სოციალ-დემოკრატიის შესარცხვენად.

და აი სწორედ ეს ბ-ნი ვ. ჩერნოვი, რომელიც ცას ეწევა აღტაცებისაგან ჰერცის მიერ ევგენი რიხტერის მოსაზრებათა განმეორების გამო, სულ «ანადგურებს» კაუტსკის «რუსსკოე ბოგატსტვოსა» და ბ-ნ ნ. მიხაილოვსკის პატივსაცემად გამოსული კრებულის «ნა სლავნომ პოსტუს» ფურცლებზე. უსამართლობა იქნებოდა არ აღგვენიშნა ამ «განადგურების» ზოგიერთი მარგალიტი. «კაუტსკი აღიარებს კვლავ მარქსთან ერთად, — წერს ბ-ნი ჩერნოვი «რუსსკოე ბოგატსტვოს» № 8-ში, გვ. 229, — რომ კაპიტალისტური მიწათმოქმედების პროგრესი იწვევს ნიადაგის გამოფიტვას მასაზრდოებელ ნივთიერებათაგან: სხვადასხვა პროდუქტის სახით მიწას განუწყვეტლივ ერთმევა რაღაც, იგზავნება ქალაქად და უკანვე

აღარ უბრუნდება მიწას... როგორც ხედავთ, ნიადაგის ნაყოფიერების კანონთა საკითხში კაუტსკი უმწეოდ (sic!) იმეორებს მარქსის სიტყვებს, რომელიც ლიბიხის თეორიას ემყარებოდა. მაგრამ როცა მარქსი თავის პირველ ტომს წერდა, ლიბიხის «აღდგენის კანონი» აგრონომიის უკანასკნელი სიტყვა იყო. ამ აღმოჩენის შემდეგ უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა. მთელი რევოლუცია მოხდა ჩვენს ცოდნაში ნიადაგის ნაყოფიერების კანონის შესახებ. და მერე რა? ლიბიხის მთელი შემდეგდროინდელი პერიოდი, პასტერის, ვილეს მთელი შემდგომი აღმოჩენანი, სოლარის ცდები ნიადაგში აზოტის შეტანის შესახებ, ბერტელოს, ჰელრიგელის, ვილფარტისა და ვინოგრადსკის აღმოჩენები ნიადაგის ბაქტერიოლოგიის სფეროში, — ყოველივე ამან უკვალოდ ჩაიარა კაუტსკისთვის»... ჩინებული კაცია ბ-ნი ჩერნოვი! რა საოცრად ჰგავს ის ტურგენევის ვოროშილოვს: გახსოვთ—«კვამლში» — ახალგაზრდა რუსი პრივატ-დოცენტი, რომელიც დასეირნობდა საზღვარგარეთ, საერთოდ მეტისმეტად ჩუმი იყო, მაგრამ ხანგამოშვებით ამოხეთქავდა ხოლმე, და იწყებდა ათეული და ასეული მეცნიერული და უმეცნიერესი, იშვიათისა და უიშვიათესი სახელების წამოსროლას? სწორედ რომ ასე იქცევა ჩვენი მეცნიერი ბ-ნი ჩერნოვი, რომელმაც სულ მთლად მოსპო ეს უმეცარი კაუტსკი. მხოლოდ... მხოლოდ, მოდი, მაინც შევამოწმოთ კაუტსკის წიგნი. იქნებ ამ წიგნის სარჩევში მაინც ჩავიხედოთ? ვპოულობთ IV თავს. «თანამედროვე სოფლის მეურნეობა», პარაგრაფი d) «სასუქი, ბ ა ქ ტ ე რ ი ე ბ ი». ვშლით პარაგრაფ d) და ვკითხულობთ:

«გასული ათწლეულის მეორე ნახევარში აღმოჩენილ იქნა, რომ ჰოტოსანი მცენარეები, დანარჩენ კულტურულ მცენარეთაგან განსხვავებით, აზოტის თითქმის მთელ თავის მარაგს იღებენ არა ნიადაგიდან, არამედ ჰაერიდან, რომ ისინი კი არ ფიტავენ ნიადაგს აზოტისაგან, არამედ, პირიქით, კიდევ უფრო ამდიდრებენ. მაგრამ ეს თვისება მათ მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვთ, თუ ნიადაგში მოიპოვება გარკვეული მიკრო-

ორგანიზმები, რომლებიც ასეთ მცენარეებს ფესვებზე ეხვევიან. იქ, სადაც ეს მიკროორგანიზმები არ არის, — შეიძლება სათანადო დამყნის საშუალებით ჭოტოსან მცენარეებს შევძინოთ უნარი აზოტით ღარიბი ნიადაგის აზოტით მდიდარ ნიადაგად გადაქცევისა და ამრიგად ეს ნიადაგი რამდენადმე გავანოყიეროთ სხვა კულტურულ მცენარეთათვის. ბაქტერიების გაჩენა ჭოტოსან მცენარეებზე შესაძლებლობას იძლევა, როგორც საერთო წესი, შესაფერ მინერალურ სასუქთან შეერთებით (ფოსფორმჟავა მარილებთან და კალიუმის სასუქთან), მუდმივ მივიღოთ მიწისაგან უდიდესი მოსავალი ნაკელის გამოუყენებლადაც. მხოლოდ ამ აღმოჩენის წყალობით მოიპოვა «თავისუფალმა მეურნეობამ» სავსებით მტკიცე ბაზა» (Kautsky, 51 — 52). ვინ დაასაბუთა მეცნიერულად ეს შესანიშნავი აღმოჩენა აზოტის შემგროვებელი ბაქტერიებისა? — ჰელრიგელმა...

კაუტსკის დანაშაული ის არის, რომ მას აქვს საძაგელი ჩვეულება (რომელიც ემჩნევა აგრეთვე ბევრ ვიწრო ორთოდოქსს) — არასოდეს არ დაივიწყოს, რომ მებრძოლი სოციალისტური პარტიის წევრებს თავიანთ მეცნიერულ ნაშრომებშიც მხედველობაში უნდა ჰყავდეთ მუშა-მკითხველი, ისინი უნდა ცდილობდნენ წერონ უ ბ რ ა ლ ო დ, არ მიმართონ ენის იმ უმაქნისო დახვანჯულობას, «მეცნიერულობის» იმ გარეგან ნიშნებს, რომლებითაც ასე მოხიბლული არიან დეკადენტები და ოფიციალური მეცნიერების წარჩინებული წარმომადგენელნი. კაუტსკიმ აქაც ამჯობინა გარკვეულად და ნათლად მოეთხრო, თუ რაში მდგომარეობს უახლესი აგრონომიული აღმოჩენანი, და გამოეტოვებინა საზოგადოების ცხრა მეათედისთვის არაფრისმთქმელი მეცნიერული სახელები. ვოროშილოვები წინააღმდეგ იქცევიან: ისინი ამჯობინებენ გადმოყარონ მთელი გოდორი მეცნიერული სახელები აგრონომიის, პოლიტიკური ეკონომიის, კრიტიკული ფილოსოფიის და სხვ. სფეროდან, და მეცნიერულ ნაგავში ჩამარხონ საქმის არსი.

მაგალითად, ვოროშილოვ-ჩერნოვმა ცრუ ბრალდება წაუყენა კაუტსკის მეცნიერულ სახელთა და მეცნიერულ აღმოჩენათა უცოდინარობაში, ხოლო ამით მიკარგა და მიჩქმალა ახალმოდის კრიტიკის ფრიად საინტერესო და საგულისხმო ეპიზოდი, სახელდობრ: ბურჟუაზიული ეკონომიის იერიში სოციალისტურ იდეაზე სოფელსა და ქალაქს შორის წინააღმდეგობის მოსპობის შესახებ. პროფესორი ლუიო ბრენტანო გვარწმუნებს, მაგალითად, რომ სოფლებიდან ქალაქებში გადასახლებას იწვევს არა არსებული სოციალური პირობები, არამედ ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი ა უ ც ი ლ ე ბ ლ ო ბ ა, ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონი*. ბ-ნი ბულგაკოვი, ისევე

* იხ. კაუტსკის სტატია «Neue Zeit»-ში, XIX, 2, 1900—1901, № 27: «Tolstoi und Brentano» («ტოლსტოი და ბრენტანო». რ ე დ.). კაუტსკი თანამედროვე მეცნიერულ სოციალიზმს უპირისპირებს ლ. ტოლსტოის მოძღვრებას, ტოლსტოისა, რომელიც ბურჟუაზიული წყობილების ღრმა დამკვირვებელი და კრიტიკოსია, მიუხედავად თავისი თეორიის რეაქციული გულუბრყვილობისა, — და ბურჟუაზიულ ეკონომიას, რომლის «ეარსკვლავი», ბრენტანო (როგორც ვიცით, მასწავლებელი ბატონ სტრუვესი, ბულგაკოვის, ჰერცის და tutti quanti), წარმოუდგენელ აბდაუბდობას იჩენს, ერთმანეთში ურევს რა ბუნების მოვლენებს და საზოგადოებრივ მოვლენებს, ნაყოფიერებისა და მომგებიანობის, ღირებულებისა და ფასის ცნებებს და სხვ. «ეს იმდენად პირადად ბრენტანოს დამახასიათებელი არ არის, — სამართლიანად ამბობს კაუტსკი, — რამდენადაც იმ ს კ ო ლ ი ს ა, რომლისაც ის ეკუთვნის. თანამედროვე სახის ბურჟუაზიული ეკონომიის ი ს ტ ო რ ი უ ლ ი ს კ ო ლ ა საზოგადოებრივი მექანიზმის მთლიანი გაგებისადმი მისწრაფებას უკეე განვლილ საფეხურად (überwundener Standpunkt) თვლის. ეკონომიურმა მეცნიერებამ, ამ შეხედულების მიხედვით, სოციალური კანონები კი არ უნდა იკვლიოს და მთლიან სისტემად კი არ უნდა ჩამოაყალიბოს ისინი, არამედ წარსულისა და აწმყოს ცალკეული სოციალური ფაქტების საოქმო აღწერით უნდა დაკმაყოფილდეს. ასე ეჩვევა ის მოვლენათა მხოლოდ ზერელედ შეხებას. ხოლო როცა ამ სკოლის ესა თუ ის წარმომადგენელი თავს ვერ დაიჭერს ცთუნებისაგან, რომ განიხილოს მოვლენათა უფრო ღრმა საფუძვლები, — მაშინ ის სრულიად ვეღარ აბერხებს ორიენტირებას და უმწეოდ მიედ-მოედება ხოლმე ღობე-ყორეს. ჩვენს პარტიაშიც რამდენიმე ხანია თავი იჩინა მისწრაფებამ — მარქსის თეორია შესცვალონ არა სხვა რაიმე თეორიით, არამედ

როგორც მისი მასწავლებელი, ჯერ კიდევ «ნაჩალოში» (1899, მარტი, გვ. 29) აცხადებდა, რომ იდეა ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობის მოსპობისა «სრული ფანტაზიაა», რომელიც მხოლოდ «ღიმილს მოჰგვრის აგრონომსო». ჰერცი თავის წიგნში წერს: «ქალაქსა და სოფელს შორის განსხვავების მოსპობა, მართალია, ძველი უტოპისტების (და «მანიფესტისაც») ძირითადი მისწრაფებაა, — მაგრამ ჩვენ მაინც არ გვჯერა, რომ საზოგადოებრივმა წყობილებამ, რომელიც შეიცავს ყველა პირობას კაცობრიობის კულტურის წასამართავად უმაღლესი მისაღწევი მიზნებისადმი, მართლაც მოსპოს ენერგიისა და კულტურის ის დიდი ცენტრები, როგორიცაა დიდი ქალაქები, და, შეურაცხყოფილი ესთეტიკური გრძნობის საამებლად, უარი თქვას ხელოვნებისა და მეცნიერების იმ უხვ საგანძურებზე, ურომლისოდაც პროგრესი შეუძლებელია» (S. 76. რუს მთარგმნელს, 182 გვერდზე, უმარჯვნია სიტყვა «potenzirt» * გადაეთარგმნა როგორც «პოტენციური». რა ხათაბალაა ეს რუსული თარგმანები! 270-ე გვერდზე იგივე მთარგმნელი თარგმნის: «Wer isst zuletzt das Schwein» ** — «ბოლოს და ბოლოს ვინ არის ღორი?»). როგორც ხედავთ, ჰერცი იცავს ბურჟუაზიულ წესებს სოციალისტური «ფანტაზიისაგან» ფრაზებით, რომლებშიც «იდეალიზმისათვის ბრძოლა» არანაკლებია, ვიდრე ბატონ სტრუვესა და ბერდიაევის ნაწერებში! მაგრამ თვით დაცვის საქმე ამ მაღალფარდოვანი იდეალისტური ფრაზიორობით ოდნავაც ვერ იგებს.

ყოველივე თეორიის იმ უქონლობით (Theorielosigkeit), რაც განასხვავებს ისტორიულ სკოლას, — მისწრაფებამ — ჩამოაქვეითონ თეორეტიკოსი რეპორტიორის როლამდე. ვისაც უნდა არა უბრალო და უმიზნო წაჯეკუჯუჯეობა (Fortwurschtein) შემთხვევიდან შემთხვევაზე, არამედ მთლიანი და ენერგიული წინსვლა დიადი მიზნისაკენ, დაე მისთვის ჩვენ მიერ გამოაშკარავებული ბრენტანოსეული აბდაუბდა გამაფრთხილებელი იყოს ისტორიული სკოლის ახლანდელი მეთოდებისაგან» (S. 25).

* — ხარისხში აყვანილი, უხვი. რ ე დ.

** — «ბოლოს და ბოლოს ვინა სჭამს ღორსო?» რ ე დ.

სოციალ-დემოკრატებმა რომ იციან ენერგიისა და კულტურის დიდი ცენტრების ისტორიული დამსახურების დაფასება, ამას ისინი ამტკიცებენ თავიანთი შეურიგებელი ბრძოლით ყოველივე იმის წინააღმდეგ, რითაც მოსახლეობა საერთოდ, ხოლო გლეხები და სოფლის მუშები კერძოდ, მიჯაჭვული არიან ადგილზე. და ამიტომ მათ, კრიტიკოსებისაგან განსხვავებით, ანკესზე ვერ წამოაგებს ვერც ერთი აგრარი, რომელიც ცდილობს გაუჩინოს «გლეხს» ზამთრის «საშოვარი». მაგრამ კაპიტალისტურ საზოგადოებაში დიდი ქალაქების პროგრესულობის გადაჭრით აღიარება სრულიად არ გვიშლის ხელს შევიტანოთ ჩვენს იდეალში (და ჩვენს სამოქმედო პროგრამაში, ვინაიდან განუხორციელებელ იდეალებს ჩვენ ვუთმობთ ბატონ სტრუვეებსა და ბერდიაევებს) ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობის მოსპობა. არ არის მართალი, თითქოს ეს მეცნიერებისა და ხელოვნების განძებზე უარის თქმას უდრიდეს. სწორედ პირიქით: ეს აუცილებელია იმისათვის, რომ ეს განძნი მ თ ე ლ ი ხ ა ლ ხ ი ს ხ ე ლ მ ი ს ა წ ვ დ ო მ ი გავხადოთ, რომ მოვსპოთ სოფლის მილიონობით მოსახლეობის ის მოწყვეტა კულტურისაგან, რასაც მარქსმა ასე მოხდენილად უწოდა «სოფლის ცხოვრების იდიოტიზმი» [64]. და ამჟამად, როცა შესაძლოა ელექტრონის ენერგიის გადაცემა მანძილზე, როცა ტრანსპორტის ტექნიკა იმდენად ამაღლდა, რომ შესაძლებელი გახდა ნაკლები (ახლანდელთან შედარებით) ხარჯების გაღებით მგზავრების გადაყვანა 200-ზე მეტი ვერსის სიჩქარით საათში *, — სრულიად არავითარი ტექნიკური დაბრკოლება აღარ არსებობს იმისათვის, რომ მეცნიერებისა და ხელოვნების განძებით, რაც საუკუნეების განმავლობაში დაგროვილა რამდენიმე ცენტრ-

* ასეთი გზის პროექტი მანჩესტერსა და ლივერპულს შუა არ დაამტკიცა პარლამენტმა მხოლოდ იმის გამო, რომ მას ანგარებით წინააღმდეგობა გაუწიეს რკინიგზების ბობოლებმა, რომლებიც შიშობდნენ, ვაი თუ ამან ძველი კომპანიები გააკოტროსო.

ში, ისარგებლოს მთელმა მოსახლეობამ, რომელიც ცოტად თუ ბევრად თანაბრადაა განლაგებული მთელ ქვეყანაში.

და თუ არაფერი უშლის ხელს ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობის მოსპობას (მასთან, რა თქმა უნდა, ეს მოსპობა უნდა წარმოვიდგინოთ არა ერთი აქტის, არამედ მთელი რიგი ზომების სახით), მაშინ ამას მოითხოვს არა მარტოოდენ «ესთეტიკური გრძნობა». დიდ ქალაქებში ადამიანებს სული ეხუთებათ, ენგელსის სიტყვით, თავის საკუთარ ნეხვში, და პერიოდულად ყველა, ვისაც კი შეუძლია, გარბის ქალაქიდან სუფთა ჰაერისა და წმინდა წყლის საძებნელად [55]. მრეწველობაც ასევე გაფანტულია მთელს ქვეყანაში, ვინაიდან მასაც წმინდა წყალი სჭირდება. ჩანჩქერების, არხებისა და მდინარეების ექსპლოატაცია ელექტრონის ენერგიის მისაღებად ახალ ბიძგს მისცემს «მრეწველობის» ამ «გაფანტვას». დასასრულ, — last but not least *, — მიწათმოქმედებისათვის ესოდენ დიდმნიშვნელოვან ქალაქთა სიბინძურის საერთოდ და ადამიანთა ექსკრემენტების კერძოდ რაციონალური უტილიზაცია აგრეთვე მოითხოვს წინააღმდეგობის მოსპობას ქალაქსა და სოფელს შორის. და აი მარქსისა და ენგელსის თეორიის სწორედ ამ პუნქტის წინააღმდეგ მოინდომეს ბატონმა კრიტიკოსებმა თავისი აგრონომიული მოსაზრებების მომარჯვება (ხოლო იმ თეორიის სრული გარჩევისაგან, რომელიც ამ საკითხზე განსაკუთრებით დაწვრილებით აქვს გადმოცემული ენგელსს «Anti-Dühring»-ში **, ბატონმა კრიტიკოსებმა ამჯობინეს თავი შეეკავებინათ და დაკმაყოფილდნენ, როგორც ყოველთვის, რომელიღაც ბრენტანოს აზრის ნაწყვეტების უბრალო გადასხვაფერებით). მათი მსჯელობის მსვლელობა ასეთია: ლიბიხმა დაამტკიცა, რომ აუცილებელია მიწას იმდენივე დაუბრუნდეს, რამდენიც მისგან მიაქვთ. ამიტომ ქალაქის სიბინ-

* — უკანასკნელია სათვალავით, და არა მნიშვნელობით. რ ე დ.

** — «ანტი-დიურინგი» [56]. რ ე დ.

ძურეთა ზღვებსა და მდინარეებში გადაყრა მას მიაჩნდა მიწათმოქმედებისათვის საჭირო ნივთიერებათა უაზრო და ბარბაროსულ განიავებად. კაუტსკი იზიარებს ლიბიხის თეორიას. მ ა გ რ ა მ უახლესმა აგრონომიამ დაგვანახვა მიწის საწარმოო ძალების აღდგენის სრული შესაძლებლობა ბაგის ნეხვის გამოუყენებლად, ხელოვნური სასუქის საშუალებით, ერთგვარი ბაქტერიების გაჩენით ჭოტოსან მცენარეებზე, რომლებიც აზოტს აგროვებენ, და სხვ. მ ა შ ა ს ა დ ა მ ე, კაუტსკი და ყველა ეს «ორთოდოქსი» — ჩამორჩენილი ხალხია და მეტი არაფერი.

მაშასადამე, — მივუგებთ ჩვენ, — ბატონი კრიტიკოსები. აქაც ახდენენ თავის ერთ-ერთ უთვალავ და უსაზღვრო დ ა მ ა ხ ი ნ ჯ ე ბ ა ს. ლიბიხის თეორიის გადმოცემისას კაუტსკიმ მ ა შ ი ნ ვ ე აღნიშნა, რომ თანამედროვე აგრონომიამ დაამტკიცა, სრული შესაძლებლობა არსებობს «ბაგის ნეხვი სულაც აღარ გამოვიყენოთო» (S. 50. «Agrarfrage»; შეად. ზემოთ მოყვანილი ადგილი), მაგრამ ამასთანავე დაურთო, რომ ეს პ ა ლ ი ა ტ ი ვ ი ა ადამიანთა ექსკრემენტების განიავებასთან შედარებით, რასაც იწვევს ქალაქების გასუფთავების სისტემაო. აი ეს პუნქტი უნდა გაეპათილებინათ კრიტიკოსებს, მათ რომ არსებითად კამათის უნარი შესწევდეთ, — დაენახვებინათ, რომ ეს პალიატივი არ არის. ამაზე მათ არც კი უფიქრიათ. თავისთავად გასაგებია, რომ ბუნებრივი სასუქის ხელოვნური სასუქით შეცვლის შესაძლებლობა და ამ (ნ ა წ ი ლ ო ბ რ ი ვ ი) შეცვლის ფაქტი ოდნავაც არ უარჰყოფს იმას, რომ რაციონალური არ არის ბუნებრივი სასუქის ტყუილუბრალოდ გადაყრა, რაც ამასთანავე სიბინძურით სწამლავს მდინარეებსა და ჰაერს ქალაქისა და ფაბრიკების მიდამოებში. დიდი ქალაქების ახლომახლო ახლაც არსებობს სარწყავი მინდვრები, რომლებიც მიწათმოქმედებისთვის მეტად სასარგებლოდ იყენებენ ქალაქის სიბინძურეს, — მაგრამ ამრიგად იყენებენ სიბინძურის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს. ხელოვნური სასუქი, — ამბობს კაუტსკი

თავისი წიგნის 211-ე გვერდზე პასუხად იმ შემოკამათებაზე, თითქოს უახლესი აგრონომია უარყოფდეს ქალაქის მიერ სოფლის აგრონომიული ექსპლოატაციის ფაქტს, რასაც ბატონი კრიტიკოსები მას აცნობენ რაღაც ახალ რამედ, — ხელოვნური სასუქი «შესაძლებლობას იძლევა თავიდან ავიცილოთ ნიადაგის ნაყოფიერების შემცირება, მაგრამ ამ ხელოვნური სასუქის სულ უფრო მეტი რაოდენობით გამოყენების აუცილებლობა ნიშნავს მხოლოდ სოფლის მეურნეობისათვის ერთ-ერთი იმ მრავალრიცხოვანი ტვირთის დაკისრებას, რაც სრულებითაც არ წარმოადგენს ბუნებრივ აუცილებლობას და მხოლოდ არსებული სოციალური ურთიერთობიდან გამომდინარეობს» *.

ჩვენს მიერ ხაზგასმულ სიტყვებში მარხია საკითხის მთელი დედააზრი, რომელსაც ასე გულმოდგინედ ხლართავენ კრიტიკოსები. მწერლები, რომლებიც, ბ-ნ ბულგაკოვის მსგავსად, აშინებენ პროლეტარიატს «პურის საკითხით», უფრო საშინელი და მნიშვნელოვანი საკითხით, ვიდრე სოციალური საკითხია და რომლებიც აღტაცებული არიან შვილოსნობის ხელოვნურად შეზღუდვით, ამბობენ რა, რომ «მოსახლეობის მატების მოწესრიგება» გლეხობის კეთილდღეობის «ძირითადი (sic!) ეკონომიური პირობა» ხდებაო (II, 261), რომ ეს მოწესრიგება «პატივისცემის» ღირსია, და რომ «ბევრ ფარისევლურ აღშფოთებას» (მხოლოდ ფარისევლურს და არა კანონიერ აღშფოთებას თანამედროვე საზოგადოებრივი წესების წინააღმდეგ?) «იწვევს გლეხური მოსახლეობის მატება სენტიმენტალურ (!?) მორალისტებში, თითქოს თავშეუკავებელი ავხორცობა (sic!) თავისთავად წარმოადგენდეს სათნოებას» (იქვე),—ასეთი მწერლები ბუნებრივად და აუცილებლად უნდა

* რასაკვირველია, — განაგრძობს კაუტსკი, — ხელოვნური სასუქი არ გაჭრება კაპიტალიზმის დამხობასთან ერთად, მაგრამ ის გაამდიდრებს ნიადაგს განსაკუთრებული ნივთიერებებით, ხოლო ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენის მთელ ამოცანას ვერ შეასრულებს.

მიისწრაფოდნენ იქითკენ, რომ მიჩქმალონ სამიწათმოქმედო პროგრესის კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი დაბრკოლებანი, რომ ყველაფერი გადააბრალონ «ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების» ბუნებრივ კანონს, რომ ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობის მოსპობა «სრულ ფანტაზიად» წარმოგვიდგინონ. მაგრამ რა უსაზღვრო ფუქსავატობით უნდა განირჩეოდნენ ბატონი ჩერნოვები, რომ ამგვარ მსჯელობას აჰყვნენ და იმავე დროს მარქსიზმის კრიტიკოსებს უსაყვედურონ «უპრინციპობა, ეკლექტიზმი და ოპორტუნიზმი» («რუსსკოე ბოგატსტვო» № 11, გვ. 246)?! ბ-ნო ჩერნოვ, თქვენ სხვებს უსაყვედურებთ უპრინციპობას და ოპორტუნიზმს, — მაგრამ განა ამაზე მეტი კომიკური სანახაობა შეიძლება?

ჩვენი ვოროშილოვის მთელი დანარჩენი კრიტიკული გმირობანი სავსებით ისეთივეა, როგორც ახლა ჩვენს მიერ გარჩეული.

თუ ვოროშილოვი გარწმუნებთ, რომ კაუტსკის არ ესმის განსხვავება კაპიტალისტურ კრედიტსა და მევახშეობას შორისო, რომ კაუტსკი ამჟღავნებს იმას, რომ სრულიად არ შესწევს უნარი ან არ სურს გაიგოს მარქსი, როცა ლაპარაკობს გლეხზე, რომელიც მეწარმის ფუნქციებს ასრულებს და როგორც ასეთი პროლეტარიატის მიმართ ისეთ ადგილს იჭერს, როგორც მეფაბრიკეო, თუ ვოროშილოვი ამასთან გულზე ხელს იცემს და გაიძახის: «ამას ვამბობ თამამად, ვინაიდან ვგრძნობ (sic!) მტკიცე ნიადაგზე ვდგავარო» («ნა სლავნომ პოსტუ», გვ. 169), — შეგიძლიათ დამშვიდებული იყოთ: ვოროშილოვი კვლავ უღმერთოდ ურევს და ისევ უღმერთოდ ტრაბახობს. კაუტსკის წიგნში მან «ვერ შენიშნა» ის ადგილები, რომლებიც მიძღვნილია მევახშეობისადმი როგორც ასეთისადმი («Agrarfrage», S. 11, 102 — 104, განსაკუთრებით 118, 290 — 292), და მთელი ძალღონით ცდილობს შეამტვრიოს ღია კარები და თან, როგორც წესია, გაჰკივის კაუტსკის «დოქტრინიორულ ფორმალიზმზე», «ზნეობრივ გულქვაობაზე», «ადამიანის ტანჯვათა მასხარად აგდებაზე» და სხვ..

რაც შეეხება გლეხის მიერ მეწარმის ფუნქციების ასრულებას, ეს საოცრად ბრძნული რამ, ალბათ, აღემატება ვოროშილოვის გაგების საზღვარს. მაგრამ შემდგომ ნარკვევში ჩვენ შევეცდებით განვუმარტოთ მას ეს მეტად კონკრეტული მაგალითებით.

თუ ვოროშილოვს სურს დაამტკიცოს, რომ ის ნამდვილი წარმომადგენელია «შრომის ინტერესებისა», და ანადგურებს კაუტსკის «პროლეტარიატის რიგებიდან მრავალი ნამდვილი მუშა-ხალხის განდევნისათვის» (იქვე, გვ. 167), როგორიც არიან Lumpenproletariat-ი *, შინამოსამსახურენი, შინამრეწველნი და სხვ., — იცოდეთ, რომ ვოროშილოვი ურევს. კაუტსკი არჩევს აქ იმ ნიშნებს, რომელნიც განასხვავებენ იმ «თანამედროვე პროლეტარიატს», რომელმაც შეჰქმნა თანამედროვე «სოციალ-დემოკრატიული პროლეტარული მოძრაობა» («Agrarfrage», S. 306), და ვოროშილოვებს აქამდე არაფერი აღმოუჩენიათ ისეთი, რომ მაწანწალებს, შინამრეწველებს ან შინამოსამსახურეებს შეექმნათ სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა. ხოლო საყვედური, თითქოს კაუტსკის შეუძლია შინამოსამსახურეების (რომლებიც გერმანიაში ახლა უერთდებიან მოძრაობას), შინამრეწველებისა და სხვების «განდევნა» პროლეტარიატის რიგებიდან, — გვიჩვენებს მხოლოდ სრულ ურცხვობას ვოროშილოვებისას, რომლებიც მით უფრო მეტი ხალისით ამქღავნებენ თავიანთ მეგობრულ განწყობილებას «ნამდვილი მუშა-ხალხისადმი», რაც უფრო ნაკლები პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ასეთ ფრაზებს და რაც უფრო უსაშიშროა განიავება კაუტსკის «აგრარული საკითხის» მ ე ო რ ე ნ ა წ ი ლ ი ს ა, რომელიც არ გაუშვა რუსეთის ცენზურამ. თუმცა, ურცხვობის მხრივ სხვა მარგალიტებიც მოგვეპოვება: ბ-ნი ჩერნოვი აქებს ბატონ ნ. — ონსა [57] და კაბლუკოვს მათ წინააღმდეგ მიმართული მარქსისტული კრიტიკის სრული მიფუჩეჩებით და იმავე

* — ლუმპენპროლეტარიატი, მაწანწალები. რ ე დ.

დროს ნაძალადევი გულუბრყვილობით გვეკითხება: ვის გულისხმობენ გერმანელი სოციალ-დემოკრატები თავიანთ რუს «ამხანაგებად»? თუ არა გჯერათ, რომ «რუსსკოე ბოგატსტვოში» ასეთ კითხვებს აყენებენ, შეამოწმეთ მე-7 ნომრის 166-ე გვერდზე.

როცა ვოროშილოვი გვარწმუნებს, რომ პრუდონიზმის ზეგავლენის გამო ბელგიის მუშათა მოძრაობის უშედეგოდ ჩავლის შესახებ ენგელსის «წინასწარმეტყველებანი» «დამარცხდაო»,—იცოდეთ, რომ ვოროშილოვი კვლავ ამახინჯებს საქმის ვითარებას, მეტად დარწმუნებული თავის, ასე ვთქვათ, «უპასუხისმგებლობაში». აი მისი სიტყვები: «ტყუილად როდი იყო, რომ ბელგია არასდროს არ ყოფილა ორთოდოქსალურ-მარქსისტული, და ტყუილად როდი იყო, რომ ამით უკმაყოფილო ენგელსი წინასწარმეტყველებდა, რომ ბელგიის მუშათა მოძრაობა, «პრუდონისტული პრინციპების» ზეგავლენით, წავა «von nichts durch nichts zu nichts» *. ვაგლახ! მისი წინასწარმეტყველებანი დამარცხდა, ხოლო ბელგიის მუშათა მოძრაობის სიფართოვემ და ყოველმხრივობამ ის ამჟამად გახადა ნიმუშად, რომლის მიხედვით ბევრს სწავლობს ბევრი «მართლმორწმუნე» ქვეყანა» («რუსსკოე ბოგატსტვო» № 10, გვ. 234). საქმე ასე იყო: 1872 (სამოცდათორმეტ!) წელს ენგელსი ეკამათებოდა სოციალ-დემოკრატიულ გაზეთ «Volksstaat»-ში ** გერმანელ პრუდონისტს მიულბერგერს და, უპასუხებდა რა პრუდონიზმის მნიშვნელობის გაზვიადების წინააღმდეგ, წერდა: «ერთადერთი ქვეყანა, სადაც მუშათა მოძრაობა უშუალოდ იმყოფება პრუდონისტული «პრინციპების» გავლენის ქვეშ — ეს ბელგიაა, და სწორედ ამიტომ ბელგიის მუშათა მოძრაობა მიდის, ჰეგელის სიტყვით, «არაფრიდან არაფრის გზით არაფრისაკენ»» ***.

* — «არაფრიდან არაფრის გზით არაფრისაკენ». რ ე დ.

** — «სახალხო სახელმწიფო» [58]. რ ე დ.

*** იხ. ბროშურა «Zur Wohnungsfrage». Zürich, 1887 (— «საბინაო საკითხისათვის», ციურიხი, 1887 წ. რ ე დ.), რომელიც შეიცავდა ენგელსის

ამრიგად, ა შ კ ა რ ა ს ი ც რ უ ე ა, თითქოს ენგელსი რაიმეს «წინასწარ ამბობდა» ან «წინასწარმეტყველებდა». ის ლაპარაკობდა მხოლოდ ი მ ა ზ ე, რ ა ც ა რ ი ს, ე. ი. იმაზე, რაც იყო 1872 წელს. ეს კი უეჭველი ისტორიული ფაქტია, რომ ი მ დ რ ო ს ბელგიის მუშათა მოძრაობა ერთ და იმავე ადგილს ტკეპნიდა სწორედ პრუდონიზმის ბატონობის გამო, რომლის ბელადები კოლექტივიზმის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ და უარჰყოფდნენ პროლეტარიატის დამოუკიდებელ პოლიტიკურ მოქმედებას. მხოლოდ 1879 წელს შეიქმნა «ბელგიის სოციალისტური პარტია», და მხოლოდ ამ დროიდან იწყება ის აგიტაცია საყოველთაო საარჩევნო უფლებისათვის. რომლითაც აღინიშნა მარქსიზმის გამარჯვება პრუდონიზმზე (დამოუკიდებელ კლასობრივ პარტიად დარაზმული პროლეტარიატის პოლიტიკური ბრძოლის აღიარება) და მოძრაობის თვალსაჩინო წარმატებათა დასაწყისი. «ბელგიის მუშათა პარტიის» თანამედროვე პროგრამა შეიცავს (თუ არაფერს ვიტყვით ცალკეულ უფრო მცირემნიშვნელოვან პუნქტებზე) მარქსიზმის ყ ვ ე ლ ა ძირითად იდეას. და აი 1887 წელს, საბინაო საკითხზე თავისი სტატიების მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში, ენგელსი განსაკუთრებით უსვამს ხაზს «საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გიგანტურ პროგრესს უკანასკნელი 14 წლის განმავლობაში». ეს პროგრესი მჭიდროდ არის დაკავშირებული — ამბობს ის — პრუდონიზმის განდევნასთან, რომელიც მ ა შ ი ნ. გაბატონებული იყო, ა ხ ლ ა კი თითქმის მივიწყებულია». «ბელგიაში — შენიშნავს ენგელსი — ფლამანდელებმა ჩამოაშორეს ვალონელები მოძრაობის ხელმძღვანელობას, ადგილი დააცლევინეს (abgesetzt) პრუდონიზმს და ძალზე განავითარეს მოძრაობა» (გვ. 4 იმავე ბროშურისა, წინასიტყვაობა)[60]. ხედავთ, რარიგ სწორად

1872 წლის სტატიების ამონაბეჭდებს მიულბერგერის წინააღმდეგ და ენგელსის შესავალს, დათარიღებულს 1887 წლის 10 იანვრით. მოყვანილი ადგილი არის 56 გვერდზე[59].

ყოფილა გამოხატული საქმის ვითარება «რუსსკოე ბოგატსტვოში»?

როცა ვოროშილოვი... მაგრამ კმარა! ლეგალურ ჟურნალს, რომელსაც ყოველთვიურად შეუძლია ჭორები თხზას «ორთოდოქსალურ» მარქსიზმზე, როგორც მკვდარზე, — ჩვენ, რასაკვირველია, ვერ ავედევნებით.

V

«თანამედროვე მოწინავე წვრილ; მეურნეობათა აყვავება». ბადენის მაგალითი *

— დეტალიზაცია, დეტალიზაცია! — გაიძახოდა ბ-ნი ბულგაკოვი ჟურნალ «ნაჩალოში» (№ 1, გვ. 7 და 13), და ამ ლოზუნგს ასჯერ და ასნაირად იმეორებს ყველა «კრიტიკოსი».

კარგი, ბატონებო, შევუდგეთ დეტალიზაციას.

როცა თქვენ ასეთ ლოზუნგს მიმართავდით კაუტსკის წინააღმდეგ, ეს სრული უაზრობა იყო, იმიტომ რომ აუარებელი ერთმანეთთან დაუკავშირებელი დეტალით გადატვირთული აგრარული საკითხის მეცნიერულად გამოკვლევის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა სწორედ მთელი თანამედროვე აგრარული წყობისა და მისი განვითარების საერთო სურათის შექმნა. თქვენი ლოზუნგი ფარავდა მხოლოდ თქვენს მეცნიერულ უპრინციპობას, თქვენს ოპორტუნისტულ შიშს ყოველგვარი მთლიანი და აწონილ-დაწონილი მსოფლმხედველობის წინაშე. და კაუტსკის წიგნს რომ თქვენ ვოროშილოვისებურად არ მოპყრობოდით, აუარებელ მითითებას გამოიტანდით იქიდან იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გამოიყენოთ დეტა-

* — თავები V — IX გამოქვეყნდა ჟურნალ «ობრაზოვანიეში» ავტორის შემდეგი შენიშვნებით: «ეს ნარკვევები დაწერილია 1901 წელს. მათი პირველი ნაწილი გამოიცა გასულ წელს ბროშურად ოდესაში (გამომცემლობა «ბურეევსტნიკის» მიერ). მათი მეორე ნაწილი იბეჭდება პირველად. თვითეული ნარკვევი წარმოადგენს ასე თუ ისე დამოუკიდებელ მთელს. მათი საერთო თემაა — რუსულ ლიტერატურაში მარქსიზმის წინააღმდეგ მიმართული კრიტიკის განხილვა». რ ე დ.

ლური ცნობები, როგორ უნდა დაამუშაოთ ისინი. ხოლო თქვენ რომ ამ დეტალური ცნობების გამოყენების უნარი არ შეგწევთ, ამას ახლავე დაგიმტკიცებთ მთელი რიგი თქვენს მიერვე შერჩეული მაგალითების მიხედვით.

თავის სტატიაში: «ბარბაროსი გლეხები», რომელიც კაუტსკის წინააღმდეგ იყო მიმართული და მოთავსებულია ბატონ ვოროშილოვების ჟურნალში: «Sozialistische (??) Monatshefte» (III. Jahrg., 1899, Heft 2), ე. დავიდმა დიდის ამბით დაიმოწმა «ერთ-ერთი დიდად საფუძვლიანი და დიდად საინტერესო მონოგრაფია» გლეხური მეურნეობის შესახებ, უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნებულთა შორის, სახელდობრ მორიც ჰეხტის (Hecht): «Drei Dörfer der Badischen Hard» (Lpz. 1895) *. ჰერცი ჩაეჭიდა ამ დამოწმებას, გაიმეორა დავიდის მიბაძვით რამდენიმე ციფრი ამ «საუცხოო ნაშრომიდან» (S. 68, რუს. თარგ. გვ. 164) და «დაბეჯითებით ურჩევდა ყველას» (S. 69, რუს. თარგ. გვ. 188) გასცნობოდნენ მას—ან დედანში, ან დავიდის მიერ მოყვანილი ციტატებით. ბ-ნმა ჩერნოვმა «რუსსკოე ბოგატსტვოში» არ დააყოვნა გადმოეცა დავიდიც და ჰერციც, და დაეპირისპირებინა კაუტსკისთვის ჰეხტის მიერ დახატული «მოწინავე თანამედროვე წვრილ მეურნეობათა აყვავების წარმტაცი სურათები» (№ 8, 206 — 209).

მაშ მივმართოთ ჰეხტს.

ჰეხტი აგვიწერს ბადენის სამ სოფელს, რომლებიც კარლსრუედან 4 — 14 კილომეტრ მანძილზე მდებარეობენ: ჰაგსფელდს, ბლანკენლოხს და ფრიდრიხსტალს. მიუხედავად მიწის ნაკვეთების მცირე ოდენობისა, 1 — 3 ჰექტარი (ha) თვითეულ მეურნეზე, გლეხები მეტად შეძლებულად და კულტურულად ცხოვრობენ და თავიანთ მიწაზე მეტისმეტად დიდი მოსავალი მოჰყავთ. დავიდი (ხოლო მასთან ერთად ჩერნოვიც) ამ მოსავალს ადარებს გერმანიის საშუალო მოსავალს (დოპელ-

* — «ბადენის ჰარდის სამი სოფელი». ლეიფციგი, 1895 წ. რედ.

ცენტნერობით თვითეულ ha-ზე: კარტოფილი 150 — 160 და 87,8, ჭვავი და ხორბალი 20 — 23 და 10 — 13, თივა 50 — 60 და 28,6) და გაიძახის: როგორ მოგწონთ? ესეც თქვენი «ჩამორჩენილი წვრილი გლეხები»! ჯერ-ერთი, ვუპასუხებთ ჩვენ, რამდენადაც აქ არ არის მოცემული არავითარი შედარება წვრილი და მსხვილი მეურნეობებისა, რომლებიც თანასწორ პირობებში იმყოფებიან, სასაცილოა ეს კაუტსკის წინააღმდეგ მიმართულ საბუთად ჩავთვალოთ. კიდევ უფრო სასაცილოა, როცა იმავე ბ-ნ ჩერნოვს, რომელიც «რუსსკოე ბოგატსტვოს» № 8 229-ე გვერდზე ამტკიცებს, რომ «კაუტსკის რუდიმენტულ შეხედულებაში» (ქალაქის მიერ სოფლის აგრონომიული ექსპლოატაციის შესახებ) «კაპიტალიზმის ბნელი მხარეები გაზვიადებულიც კი არისო», — 209-ე გვერდზე კაუტსკის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ მოჰყავს სწორედ ისეთი მაგალითი, სადაც ეს კაპიტალისტური დაბრკოლება მიწათმოქმედების პროგრესისა ა შ ო რ ე ბ უ ლ ი ა არჩეული სოფლების მდებარეობის გამო ქალაქის მიდამოებში. მაშინ როცა სოფლის მოსახლეობის დიდი უმეტესობა აუარებელ ბუნებრივ სასუქს კარგავს იმის გამო, რომ კაპიტალიზმი იწვევს სოფლის გაუკაცრიელებას და მოსახლეობის კონცენტრაციას ქალაქებში, — ქალაქის გარეუბნებში მცხოვრებ გლეხთა უმნიშვნელო უმცირესობა განსაკუთრებით სარგებლობს თავისი მდგომარეობით და მდიდრდება მასის გაღატაკებით. რა გასაკვირველია, რომ აღნიშნულ სოფლებში მოსავალი ესოდენ დიდია, როცა ისინი 41 000 მარკის ნაკელს იძენენ წლიურად სამხედრო საჯინიბოებიდან სამ მეზობელ ქალაქში (კარლსრუე, ბრუკზალი და დურლახი), რომელთაც გარნიზონები ჰყავთ, და ნაკელის წუნწუხს ქალაქების საასენიზაციო დაწესებულებებიდან (Hecht-ი, S. 65); დამატებით ხელოვნურ სასუქს იძენენ მხოლოდ 7 000 მარკისას *. მსხვილი მეურნეობის ტექნიკური

* სხვათა შორის, ბ-ნი ჩერნოვი «რუსსკოე ბოგატსტვოს» მკითხველებს არწმუნებს, რომ ამ სოფლებში «რაიმე თვალსაჩინო დიფერენციაცია» მ ი წ ა თ მ ფ ლ ო ბ ე ლ ო ბ ი ს ო დ ე ნ ო ბ ი ს მ ხ რ ი ვ არ არსებობს. მაგ-

უპირატესობის უარყოფა ისეთ წვრილ მეურნეობათა მაგალითით, რომლებიც ასეთ პირობებში არიან ჩაყენებული, მხოლოდ თავის უილაჯობის დამტკიცებას ნიშნავს. მეორეც, რამდენად გვყავს ჩვენ სინამდვილეში ამ მაგალითის მიხედვით «ნამდვილი წვრილი გლეხები», echte und rechte Kleinbauern, როგორც ამბობს დავიდი და როგორც მასთან ერთად იმეორებენ ჰერცი და ჩერნოვი? მასთან ისინი იმოწმებენ მ ხ ო ლ ო დ მიწათმფლობელობის ოდენობას და ამყღავნებენ სწორედ დეტალური ცნობების გამოყენების უუნარობას. ქალაქის გარეუბნელი გლეხისთვის, როგორც ყველამ უწყის, ერთი დესეტინა მიწა უდრის მიყრუებულ სოფელში მცხოვრები გლეხის ათ დესეტინას, თან მეურნეობის ტ ი პ ი ც ქალაქთან სიახლოვის გამო რადიკალურად იცვლება. მაგ., მიწის ფასი ფრიდრიხსტალში, რომელიც ყველაზე უფრო მცირემიწიანი და თან ყველაზე მეტად მდიდარი სოფელია დედაქალაქის მიდამოების ამ სოფლებიდან, უდრის 9 — 10 ათას მარკას, ხ უ თ ჯ ე რ უფრო ძვირია ბადენის საშუალო ფასებზე (1 938 მარკა) და ო ც ჯ ე რ უფრო ძვირია იმ მიწების ფასებზე, რომლებიც აღმოსავლეთ პრუსიის შორეულ ადგილებში მდებარეობენ. მაშასადამე, წარმოების ოდენობის მიხედვით (რაც მეურნეობის ოდენობის ერთადერთი სწორი მაჩვენებელია) ესენი სრულებითაც არ არიან «წვრილი» გლეხები. რაც შეეხება მათი მეურნეობის ტ ი პ ს, აქ ჩვენ ვხე-

---

რამ დეტალიზაციის მოთხოვნა მისთვის ცარიელ ფრაზას რომ არ წარმოადგენდეს, ის ვერ დაივიწყებდა, რომ ამ ქალაქის გარეუბნების გლეხებისთვის მიწის რაოდენობას გაცილებით ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სასუქის რაოდენობას. ხოლო ამ მხრივ დიფერენციაცია ძლიერ თვალსაჩინოა. ყველაზე დიდი მოსავალი იცის და ყველაზე უფრო მდიდარი გლეხებია სოფელ ფრიდრიხსტალში, მიუხედავად იმისა, რომ იქ ყველაზე ნაკლებია მიწა; მაგრამ 48 000 მარკიდან, რაც განოყიერებაზე იხარჯება, ამ სოფელზე მოდის 28 000 მარკა; ამრიგად 258 ჰექტარი მიწის არსებობისას ერთ ჰექტარზე მოდის 108 მარკის სასუქი. ჰაგსფელდი ხარჯავს მხოლოდ 30 მარკას ჰექტარზე (12 000 : 397 ჰექტარზე), ხოლო ბლანკენლოხი სულ 11 მარკას ჰექტარზე (8 000 : 736 ჰექტარზე).

დავთ ფ ულ ა დ ი მეურნეობის შესანიშნავ დიდ განვითარებას და მიწათმოქმედების ს პ ე ც ი ა ლ ი ზ ა ც ი ა ს, რასაც განსაკუთრებით უსვამს ხაზს ჰეხტი. თესენ თამბაქოს (45% ფრიდრიხსტალის ფართობისა), მაღალი ჯიშის კარტოფილს (რომელიც ნაწილობრივ სათესლედ მიდის, ნაწილობრივ კი «წარჩინებულ ბატონთა» სუფრისათვის — Hecht, 17 — კარლსრუეში), დედაქალაქში ყიდიან რძესა და ერბო-კარაქს, გოჭებსა და ღორებს, თვითონ ყიდულობენ თავისთვის პურსაც და თივასაც. მიწათმოქმედებამ აქ სავსებით სავაჭრო ხასიათი მიიღო, და დედაქალაქის გარეუბნელი გლეხი წმინდა ტიპის წ ვ რ ი ლ ი ბ უ რ ჟ უ ა ა, ასე რომ ბ-ნი ჩერნოვი მართლაც რომ გასცნობოდა იმ დეტალურ ცნობებს, რომელთაც ის სხვისი სიტყვებით იმოწმებს, ის, შეიძლება, რამდენადმე მიახლოებოდა მისთვის ისეთი თავსატეხი კატეგორიის გაგებას, როგორიცაა გლეხის «წვრილბურჟუაზიულობა» (შეად. «რუსსკოე ბოგატსტვო» № 7, გვ. 163). ფრიად კურიოზულია, როცა ჰერცი და ბ-ნი ჩერნოვი აცხადებენ, რომ მათ ვერ გაუგიათ, როგორ შეუძლია გლეხს შეასრულოს მეწარმის ფუნქციები, როგორ შეუძლია მას გამოვიდეს ხან მუშად, ხან მეწარმედ და იმოწმებენ დეტალურ გამოკვლევას, რომლის ავტორი პირდაპირ ამბობს: «XVIII საუკუნის გლეხი თავისი 8 — 10 ჰექტარი მიწით იყო გლეხი» («ი ყ ო გლეხი», ბ-ნო ჩერნოვ!) «და ფიზიკურად მომუშავე; XIX საუკუნის ჩია გლეხი თავისი 1 — 2 ჰექტარი მიწით არის გონებრივი მუშაკი, მეწარმე, ვაჭარი» (Hecht, S. 69. შეად. გვ. 12: «სოფლის მეურნე ვ ა ჭ ა რ ი დ ა მ ე წ ა რ მ ე გ ა ხ დ ა». ხაზგასმა ჰეხტისაა). განა ვოროშილოვისებურად არ «გაანიავეს» კაუტსკი ჰერცმა და ბ-ნმა ჩერნოვმა გლეხისა და მეწარმის ერთმანეთში არევისათვის?

«მეწარმეობის» უაღრესად თვალსაჩინო ნიშანია დაქირავებული შრომის გამოყენება. და მეტად დამახასიათებელია, რომ არც ერთს იმ quasi-სოციალისტს, რომლებიც ჰეხტის ნაშრომს იმოწმებდნენ, ა რ ც ე რ თ ი ს ი ტ ყ ვ ა ა რ წ ა-

მოცდენია ამ ფაქტის შესახებ. თვითონ ჰეხტიც — მეტად კეთილგანწრახული მიმართულების ფრიად ტიპიური **Kleinbürger**-ი *, აღტაცებული გლეხების მორწმუნეობით და დიდი საჰერცოგოს უფროსთა «მამობრივი მზრუნველობით» მათზე, საერთოდ, და ისეთი «მნიშვნელოვანი» ღონისძიებით, როგორიცაა კულინარული კურსების მოწყობა, კერძოდ, — ცდილობს, ცხადია, მიაფუჩეჩოს ეს ფაქტები, დაამტკიცოს, რომ არავითარი «სოციალური უფსკრული» არ არსებობს არც მდიდრებსა და ღარიბებს შორის, არც გლეხსა და მოჯამაგირეს შორის, არც გლეხსა და ფაბრიკის მუშას შორისო. «სოფლის მეურნეობის დღიურ მუშათა წოდება არ არსებობს, — წერს ჰეხტი. — გლეხობის უმრავლესობას შეუძლია თვითონ ოჯახის დახმარებით დაამუშაოს თავისი მიწის ნაკვეთი; ამ სამ სოფელში მათი მხოლოდ მცირე ნაწილი საჭიროებს სხვის სამუშაო ძალას მკის ან ლეწვის დროს; ასეთი ოჯახები «დასახმარებლად იწვევენ» («bitten»), როგორც ადგილობრივ ამბობენ ხოლმე, ნაცნობ მამაკაცებს ან ქალებს (რომელთაც აზრადაც არ მოსდით «დღიური მუშები» უწოდონ თავიანთ თავს) (31). გასაკვირველი არ არის, რომ ამ სამ სოფელში მეურნეთა მხოლოდ მცირე ნაწილი ქირაობს დღიურ მუშებს, ვინაიდან ამ «მეურნეთაგან», როგორც დავინახავთ, ძალიან ბევრი ფაბრიკის მუშაა. ხოლო კერძოდ ამ მეურნეთა შორის რამდენი წმინდა მიწათმოქმედი მიმართავს დაქირავებას, ამაზე ჰეხტი არაფერს გვეუბნება და ამჯობინებს თავისი საკანდიდატო (სადოქტორო, გერმანულად) დისერტაცია, რომელიც მიძღვნილია მხოლოდ სამი სოფლისადმი (ერთ-ერთ ამ სოფლიდან თვითონ ჰეხტი ბრძანდება წარმოშობით), აავსოს არა სწორი სტატისტიკური ცნობებით გლეხთა სხვადასხვა თანრიგის შესახებ, არამედ მსჯელობით ბეჯითობისა და მომჭირნეობის დიდი ზნეობრივი მნიშვნელობის შესახებ. (მიუხედავად ამისა და, შეიძლება, სწორედ

* — წვრილი ბურჟუა. რედ.

ამის გამოც, ჰერცი და დავიდი ასე აქებ-ადიდებენ ჰეხტის შრომას.) ჩვენ მხოლოდ იმას ვტყობილობთ, რომ დღიური მუშის ხელფასი ყველაზე დაბალია ყველაზე მდიდარსა და წმინდა სამიწათმოქმედო სოფელში — ფრიდრიხსტალში, რომელიც ყველაზე მეტად დაშორებულია კარლსრუეს (14 კილომეტრით). ფრიდრიხსტალში დღიური მუშა იღებს დღეში 2 მარკას თავისი ხარჯით, ჰაგსფელდში (4 კილომეტრზეა კარლსრუედან, რომელიც ფაბრიკის მუშებითაა დასახლებული) — 3 მარკას. ასეთია ერთ-ერთი პირობა იმ «ნამდვილ წვრილ გლეხთა აყვავებისა», რომელთაც ასე აღტაცებაში მოჰყავთ კრიტიკოსები. «ბატონებსა და შინამოსამსახურეთა შორის (Gesinde = შინამოსამსახურეცაა და მოჯამაგირეც), — გვაუწყებს ჰეხტი, — ჯერ კიდევ ნამდვილი პატრიარქალური ურთიერთობა არსებობს ამ სამ სოფელში. «ბატონი», ე. ი. გლეხი, რომელსაც 3 — 4 ჰექტარი მიწა აქვს, «შენობით» ელაპარაკება მოჯამაგირეს, პირდაპირ სახელს ეძახის მას, ისიც თავის მხრივ გლეხს «ძიას» ეძახის (Vetter), ხოლო გლეხ ქალს — «ძალუას» (Base) და «თქვენობით» მიმართავს... მოჯამაგირეები მთელ ოჯახთან ერთად უსხედან სუფრას და თითქოს მის წევრებად ითვლებიან» (S. 93). დაქირავებული შრომის მნიშვნელობაზე მეთამბაქოობაში, რაც ასე ფართოდაა გავრცელებული ამ რაიონში და განსაკუთრებით ბევრ მუშახელს მოითხოვს, «ფრიად საფუძვლიანი» ჰეხტი სდუმს, მაგრამ რაკი მან მაინც თქვა ორიოდე სიტყვა დაქირავებულ შრომაზე, ამიტომ ეს კეთილგანმზრახველი ბურჟუაც კი უფრო მაღლა უნდა დავაყენოთ გამოკვლევის «დეტალიზაციის» უნარის მხრივ, ვიდრე «კრიტიკული» სოციალიზმის ვოროშილოვები.

მესამე. ჰეხტის გამოკვლევას იმოწმებდნენ იმ ფაქტის გასაბათილებლად, რომ გლეხობა ზომაზე მეტს მუშაობს და სულ ცოტას სჭამსო. აქ კი აღმოჩნდა, რომ კრიტიკოსებმა დუმილი ამჯობინეს ჰეხტის მიერ აღნიშნულ ასეთ ფაქტებზე. მათ აქ ხელი შეუწყეს «საშუალო» გლეხის იმ ცნე-

ბამ, რომლის საშუალებით ასე გავრცელებულია «გლეხობის» შეფერადება როგორც რუს ნაროდნიკებში, ისე დასავლეთ-ევროპის ბურჟუაზიულ ეკონომისტებს შორის. «საერთოდ» ამ სამი სოფლის გლეხობა ძალიან შეძლებულია, მაგრამ თვით ჰეხტის სრულიად უსაფუძვლო მონოგრაფიიდანაც ნათლად ჩანს, რომ ამ მხრივ აუცილებელია ერთმანეთისაგან გავარჩიოთ სამი დიდი ჯგუფი. მეურნეთა დაახლოებით ერთი მეოთხედი (ანუ 30%) (უმეტესობა ფრიდრიხსტალში და მცირე ნაწილი ბლანკენლოხში) — შეძლებული წვრილი ბურჟუებია, რომლებიც გამდიდრებულან დედაქალაქის სიახლოვის გამო, ეწევიან შემოსავლიან რძის მეურნეობას (ჰყიდიან 10 — 20 ლიტრ რძეს დღეში) და მეთამბაქოობას (ერთი მაგალითი: 1,05 ჰექტარ თამბაქოს საერთო შემოსავალია 1825 მარკა), ასუქებენ ღორებს გასაყიდად (ფრიდრიხსტალში 1 140 მცხოვრებია, მათ შორის ღორები ჰყავთ 497-ს, ბლანკენლოხში 1 684 მცხოვრებზე ღორები ჰყავთ 445-ს, ჰაგსფელდში 1 273 მცხოვრებზე — 220-ს) და სხვ. ეს უმცირესობა (არსებითად მხოლოდ ამ უმცირესობას ეკუთვნის მთლიანად კრიტიკოსების აღტაცებაში მომყვანი «აყვავების» ნიშნები) დაქირავებულ შრომას უეჭველად საკმაოდ ხშირად მიმართავს. შემდგომ ჯგუფში, რომელსაც ეკუთვნის ბლანკენლოხელ მეურნეთა უმეტესობა, კეთილდღეობა გაცილებით უფრო დაბალია; სასუქს უფრო ნაკლებს ხმარობენ, მოსავალი უფრო დაბალია, პირუტყვი ნაკლები ჰყავთ (ფრიდრიხსტალში პირუტყვი სულ, მსხვილფეხა პირუტყვზე გადაყვანით, 599 მოდის 258 ha-ზე, ბლანკენლოხში—842—736 ha-ზე, ჰაგსფელდში — 324 — 397 ha-ზე), «სუფთა ოთახები» სახლებში უფრო იშვიათია, ხორცს ყოველდღე ვერა სჭამენ, ბევრ ოჯახში ხშირია ისეთი მოვლენა (რომელიც ასე ცნობილია ჩვენთვის — რუსებისათვის), რომ ფულის საჭიროების გამო შემოდგომაზე ჰყიდიან პურს, გაზაფხულზე კი ისევ ყიდულობენ *. ამ ჯგუ-

* სხვათა შორის, ბლანკენლოხის სამეურნეო ჩამორჩენილობას ჰეხტი იმით ხსნის, რომ აქ სჭარბობს ნატურალური მეურნეობა და არსებობს

ფისათვის სიმძიმის ცენტრი მუდამ გადადის მიწათმოქ-მედებიდან მრეწველობისაკენ, და უკვე 103 ბლანკენლოხელი გლეხი მუშაობს კარლსრუეში, როგორც ფაბრიკის მუშა. ეს უკანასკნელნი ჰაგსფელდის თითქმის მთელ მოსახლეობასთან ერთად შეადგენენ მესამე ჯგუფს (ყველა კომლის 40 — 50 პროც.). მიწათმოქმედება აქ უკვე დამხმარე საქმიანობაა, რომელსაც უმთავრესად ქალები ეწევიან. ცხოვრების დონე თუმცა უფრო მაღალია, ვიდრე ბლანკენლოხში (დედაქალაქის ზეგავლენით), მაგრამ გაჭირვება მაინც ძლიერ საგრძნობია. რძეს ჰყიდიან, ხოლო თავისთვის ყიდულობენ ზოგჯერ «უფრო იაფ მარგარინს» (24). სწრაფად მრავლდება თხის სულადობა: 9-დან 1855 წელს 93-მდე 1893 წელს. «ეს გამრავლება, — წერს ჰეხტი, — მხოლოდ იმით შეიძლება აიხსნას, რომ საკუთრივ გლეხური მეურნეობანი ჰქრებიან და გლეხთა წოდება იშლება (Auflösung) სოფლის საფაბრიკო მუშათა წოდებად მეტისმეტად პარცელური მიწათმფლობელობით» (27). ფრჩხილებში შევნიშნავთ, რომ მთელს გერმანიაში თხის რაოდენობა 1882-დან 1895 წლამდე მეტად გაიზარდა: 2,4 მილიონიდან 3,1 მილიონამდე, რაც ნათლად გვიჩვენებს «მაგარი გლეხობის» იმ პროგრესის მეორე მხარეს, რომელსაც ასე აქებ-ადიდებენ ბატონი ბულგაკოვები და წვრილბურჟუაზიული სოციალისტ-«კრიტიკოსები». მუშების უმეტესობა ქვეითად დადის 3½ კილომეტრ მანძილზე ქალაქის ფაბრიკაში, ეშინია ერთი ზედმეტი მარკის (48 კაპ.) დახარჯვისაც კი კვირაში რკინიგზის ბილეთზე. 300 ჰაგსფელდელთაგან 150-მდე მუშას ძვირად მიაჩნია სადილი «სახალხო სასადილოში», სადაც ის 40 — 50 პფენიგი ღირს, და სადილს

თემი, რომლის მეოხებით მიწის ნაკვეთი უზრუნველყოფილია (36 არი — Almengut) ყველასთვის, ვინც კი 32 წლის გახდება, იმისდა მიუხედავად, «ზარმაცია ის თუ ბეჯითი, დანაზოგი აქვს თუ არა» (S. 30). მაგრამ ჰეხტი მაინც წინააღმდეგია სათემო მიწების გაყოფისა: ესაო — ამბობს იგი — ერთგვარი საზოგადოებრივი მზრუნველობის დაწესებულებაა (Altersversorgung) ფაბრიკის მოხუც მუშათათვის, რომელთა რიცხვი თანდათან იზრდება ბლანკენლოხშიო.

შინიდან ღებულობს. «საბრალო ქალები, — გვაუწყებს ჰეხტი, — სწორედ 11 საათზე ჩაალაგებენ ხოლმე სადილს ჭურჭელში და მიაქვთ ფაბრიკაში» (79). რაც შეეხება მუშაქალებს, ისინიც ფაბრიკაში 10 საათს მუშაობენ დღეში და ამაში ღებულობენ სულ 1,10 — 1,50 მარკას (მამაკაცები — 2,50 — 2,70 მარკას), ხოლო ცალობით მუშაობის დროს 1,70 — 2 მარკას. «ზოგი მუშა-ქალი ცდილობს დამხმარე სამუშაოს გაჩენით შეავსოს თავისი მცირე ხელფასი; 4 ბლანკენლოხელი ქალიშვილი მუშაობს კარლსრუეში ქაღალდის ფაბრიკაში და ქაღალდი მიაქვთ შინ, რომ მისგან საღამოობით ქაღალდის ძაბრები დაამზადონ; საღამოობით 8-დან 11 საათამდე (sic!) ამზადებენ 300-მდე პარკს და ამაში ღებულობენ 45 — 50 პფენიგს, — ეს არის დამატება მცირე დღიურ ხელფასზე და ამით ფარავენ რკინიგზით მგზავრობის ხარჯებს. ჰაგსფელდში ზოგიერთ ქალს, რომელიც ქალიშვილობისას ფაბრიკაში მუშაობდა, მცირეოდენი დამხმარე სამუშაო აქვს: ზამთარში, საღამოობით, აკრიალებს ვერცხლის ნივთებს» (36). «ჰაგსფელდელი მუშა, — გულჩვილობს ჰეხტი, — ბინადარია არა საიმპერიო კანონის გამო, არამედ თავისი საკუთარი ენერგიის წყალობით, მას აქვს პატარა სახლი, რომელსაც ის არავის უყოფს, აქვს პატარა ნაკვეთი მიწა; მაგრამ უფრო მეტად საგულისხმოა, ვიდრე ეს ნამდვილი ქონება, — იმის შეგნება, რომ ყოველივე ეს საკუთარი ბეჯითობით აქვს შეძენილი. ჰაგსფელდელი მუშა — ფაბრიკის მუშაც არის და გლეხიც ერთსა და იმავე დროს. ვისაც მიწა არა აქვს, ის იჯარით იღებს რამდენიმე პარცელს მაინც, რათა გაადიდოს თავისი შემოსავალი თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ს ა ა თ ე ბ ი ს გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ი თ. თუ ზაფხულობით მუშაობა ფაბრიკაში «მხოლოდ» («მხოლოდ»!) 7 საათზე იწყება, მუშა დგება 4-ზე, რომ თავის ბოსტანში კარტოფილს მიწა შემოუთხაროს ან პირუტყვს საკვები მიუტანოს: ან თუ საღამოს 7 საათზე ბრუნდება შინ, რა უნდა აკეთოს, განსაკუთრებით ზაფხულში? და აი ისიც საათს ან საათნახევარს წაიმუშავებს თავის ყანაში: მას ხომ თავისი

მიწიდან მაღალი რენტის მიღება არ ესაჭიროება, — მას მხოლოდ ის სურს, რომ სავსებით (sic!) გამოიყენოს თავისი სამუშაო ძალა»... და კიდევ ბევრ ასეთ მოთაფლულ სიტყვებს ამბობს ჰეხტი და თავის წიგნს ათავებს სიტყვებით: «ჩია გლეხი და ფაბრიკის მუშა — ორივენი (sic!) ავიდნენ საშუალო წოდების დონემდე, და ეს მოხდა არა ხელოვნური, იძულებითი ზომების მეოხებით, არამედ საკუთარი ბეჯითობის, საკუთარი ენერგიის და თავის თავში უმაღლესი ზნეობის გამოძუშავების წყალობით» *.

«ბადენის ჰარდის სამი სოფელი წარმოადგენს ახლა ერთ დიდ, ფართო საშუალო წოდებას» (ხაზგასმა ჰეხტისაა).

ჰეხტი რომ ასე წერს, აქ გასაკვირველი არაფერია, ვინაიდან ის — სრულიად ჩვეულებრივი ბურჟუაზიული აპოლოგეტია. მაგრამ რა სახელწოდების ღირსნი არიან ის ადამიანები, რომლებიც სხვებს თვალს უხვევენ იმით, რომ თავიანთ თავს სოციალისტებს უწოდებენ, და რომლებიც სინამდვილეს აფერადებენ ყოველგვარ ჰეხტზე უფრო გულმოდგინედ, ბურჟუაზიული უმცირესობის აყვავებას საერთო პროგრესად ასაღებენ და უმრავლესობის პროლეტარიზაციას აფუჩეჩებენ ძველი საფრთხობელის: «მიწათმოქმედებისა და ინდუსტრიის შეერთების» საშუალებით?

---

* ჰეხტი კიდევ ბევრს, ძალიან ბევრს ლაპარაკობს ამ «უმაღლესი ზნეობის» შესახებ და ბ-ნ ბულგაკოვზე არანაკლებ მოდის აღტაცებაში «ფხიზელი საქორწინო პოლიტიკით», «რკინისებური სიბეჯითით», «მომჭირნეობით» და «ზომიერებით», ამასთანავე მას «ცნობილი გლეხური ანდაზაც» კი მოჰყავს: «Man sieht nicht auf die Goschen (d. h. Mund), Sondern auf die Groschen», რაც თავისუფალი თარგმანით ასე გამოვა: «ისე ვეცადოთ, რომ თუ პირში არა, ჯიბეში მაინც ჩაგვივარდეს». ვურჩევთ მკითხველს ეს ანდაზა დაუპირისპიროს კიეველი პროფესორის, ბ-ნ ბულგაკოვის «მოძღვრებას», რომ გლეხური მეურნეობა (როგორც ისეთი, რომელიც არ საჭიროებს არც რენტას და არც მოგებას) — «მიწათმოქმედების ყველაზე ხელსაყრელი ორგანიზაციაა საზოგადოებისათვის» (sic!) (ბულგაკოვი, I, 154).

VI

წვრილ და მსხვილ მეურნეობათა ნაყოფიერება. მაგალითი აღმოსავლეთ პრუსიიდან

სხვადასხვაობისთვის შორეულ სამხრეთ გერმანიიდან გადავიდეთ რუსეთთან უფრო ახლოს, აღმოსავლეთ პრუსიაში. აქ ჩვენ გვაქვს ერთი უაღრესად ჭკუისსასწავლი დ ე ტ ა ლ უ რ ი გამოკვლევა, რომლის გამოყენება სრულებით ვერ შესძლო ბ-ნმა ბულგაკოვმა, რომელიც დეტალიზაციას მოითხოვდა. «წვრილ და მსხვილ მეურნეობათა ნამდვილ ნაყოფიერებაზე ცნობების შედარება, — წერს ბ-ნი ბულგაკოვი, — ვერ გადასწყვეტს მათს ტექნიკურ უპირატესობათა საკითხს, რადგან ის მეურნეობები, რომელთაც ერთიმეორეს ვადარებთ, შეიძლება სხვადასხვა ეკონომიურ პირობებში იყვნენ. სულ დიდი, რის მოცემაც შეუძლია ასეთ ცნობებს, ეს არის ფაქტიური დადასტურება იმ უარყოფითი დასკვნისა, რომ მსხვილ წარმოებას არა აქვს ტექნიკური უპირატესობა წვრილის წინაშე არათუ თეორიაში, არამედ განსაზღვრულ პირობებში სინამდვილეშიც. ასეთი შედარებები ეკონომიურ ლიტერატურაში ბევრი გაუკეთებიათ, ყოველ შემთხვევაში საკმაო იმისათვის, რომ უწინაზრახვო და ცრურწმენათაგან თავისუფალ მკითხველს შეურყიოს რწმენა საერთოდ მსხვილი წარმოების უპირატესობისა» (I, 57 — 58). და შენიშვნაში მოყვანილია ორი მაგალითი. პირველი—აუჰაგენის სწორედ ის ნაშრომი,—ჰანოვერის მხოლოდ 4,6 და 26,5 ჰექტარიან ორ მეურნეობას რომ ადარებს ერთმანეთს, — საიდანაც კაუტსკისაც მოჰყავს ციტატები «Agrarfrage»-ში (S. 111) და ჰერცსაც (S. 69, რუს. თარგ. 166). წვრილი მეურნეობა ამ შემთხვევაში უფრო დიდ მოსავალს გვიჩვენებს, და აუჰაგენმაც გამოარკვია, რომ ის უფრო დიდ შემოსავალს იძლევა, ვიდრე მსხვილი მეურნეობა, მაგრამ კაუტსკიმ უკვე ცხადჰყო, რომ ეს უმაღლესი შემოსავლიანობა წარმოსდგება ნ ა კ ლ ე ბ ი მ ო ხ მ ა რ ე-

ბ ი ს ა გ ა ნ. ჰერცი შეეცადა უარეყო ეს თავისი ჩვეულებრივი წარმატებით, და რადგან ჰერცი ახლა რუსულ ენაზე თარგმნილია, ხოლო კაუტსკის პასუხი ჰერცისადმი რუსეთში უცნობია, ორიოდე სიტყვით გავაცნობთ მკითხველს ამ პასუხის შინაარსს («Neue Zeit»-ის იმ სტატიის მიხედვით, რომლიდანაც ზემოთ ციტატები მოვიყვანეთ). ჰერცმა, ჩვეულებისამებრ, დაამახინჯა საბუთი კაუტსკისა, რომელიც თითქოს მხოლოდ იმას ემყარებოდა, რომ მსხვილ მეურნეს შვილი ჰყავს გიმნაზიაშიო. სინამდვილეში კი კაუტსკი ამით მხოლოდ ცხადჰყოფდა ცხოვრების დონეს, და ჰერცს რომ მოეყვანა შესადარ ოჯახთა მ თ ე ლ ი ბ ი უ ჯ ე ტ ი (ორივე ოჯახი ხუთ-ხუთი სულისაგან შესდგება), მიიღებდა ასეთ ციფრებს: წვრილი მეურნისთვის — 1 158,40 მარკას, მსხვილისთვის — 2 739,25. მსხვილ მეურნეობასთან ე რ თ ნ ა ი რ ი ცხოვრების დონის დროს წვრილი მეურნეობა ნ ა კ ლ ებ შემოსავლიანი აღმოჩნდებოდა; აუჰაგენის გაანგარიშებით, წვრილის შემოსავალი უდრის 1 806 მარკას, ე. ი. 5,45% კაპიტალზე (33 651 მარკა), ხოლო მსხვილისა—2 720 მარკას—1,82% კაპიტალზე (149 559 მარკა). გამოაკელით წვრილს, რასაც ის იკლებს მოხმარებაში, და მისი შემოსავალი აღმოჩნდება 258 მ ა რ კ ა, ე. ი. 0,80%! და ეს მაშინ, როცა შრომის რაოდენობა არაპროპორციულად მაღალია: წვრილ მეურნეობაში 3 მომუშავეა 4,6 ჰექტარზე, ე. ი. თითო მომუშავე 1,5 ჰექტარზე, მსხვილ მეურნეობაში — 11 (შეად. ჰერცი, S. 75, რუს. თარგ. 179) 26,5 ჰექტარზე, ე. ი. 1 მომუშავე 2,4 ჰექტარზე. აღარას ვამბობთ კაუტსკის მიერ სამართლიანად სასაცილოდ აგდებულ გარემოებაზე, რომ ვითომდა სოციალისტი ჰერცი თანამედროვე გლეხის ბავშვების შრომას ადარებს რუთის მიერ თავთავების კრეფას! [01] რაც შეეხება ბ-ნ ბულგაკოვს, ის მხოლოდ მოსავლიანობის ცნობების მოყვანას დასჯერდა და კ რ ი ნ ტ ი ც ა რ დ ა უ ძ რ ა ვ ს წვრილ და მსხვილ მეურნეთა ცხოვრების დონის შესახებ.

«მეორე მაგალითს, — განაგრძობს დეტალიზაციის ჩვენი მომხრე, — ვპოულობთ Karl Klawki-ს უახლეს გამოკვლევაში: «Ueber Konkurrenzfähigkeit des landwirtschaftlichen Kleinbetriebs» («Thiel's Landwirtschaftliche Jahrbücher»-ში, 1899, Heft 3 — 4) *. მისი შედარება შეეხება აღმოსავლეთ პრუსიას. ავტორი ადარებს ოთხ-ოთხ მეურნეობას — მსხვილს, საშუალოს და წვრილს. მისი შედარების თავისებურება ის არის, რომ, ჯერ-ერთი, შემოსავალი და გასავალი გამოხატულია ფულად, ხოლო შემდეგ, ავტორს გადაჰყავს ფულზე და გასავალში შეაქვს სამუშაო ძალის ღირებულება წვრილ მეურნეობაში, სადაც მას არ ყიდულობენ; ჩვენი მიზნისათვის ასეთი ხერხი ვერ ჩაითვლება სწორად» (sic! ბ-ნ ბულგაკოვს ავიწყდება დაუმატოს, რომ Klawki-ს გადაჰყავს ფულზე სამუშაო ძალის ღირებულება ყველა მეურნეობაში და წვრილი მეურნეობის სამუშაო ძალას წინდაწინ უფრო იაფად აფასებს!); «მიუხედავად ამისა, ჩვენ გვაქვს»... მოყვანილია ცხრილი, რომლიდანაც ჩვენ ახლა მხოლოდ დასკვნას მოვიყვანთ: საშუალო წმინდა მოგება 1 მორგენზე (= ¼ ჰექტარს) მსხვილ მეურნეობაში შეადგენს 10 მარკას, საშუალოში — 18-ს, წვრილში — 12-ს. «ყველაზე მეტი შემოსავლიანობა, — დაასკვნის ბ-ნი ბულგაკოვი, — აქ ახასიათებს საშუალო მეურნეობას, ამას მისდევს წვრილი მეურნეობა, შემდეგ მსხვილი, რომელიც ამრიგად ყველაზე უკან არის მოქცეული».

ჩვენ განგებ მთლიანად ამოვწერეთ ყველაფერი, რასაც ბ-ნი ბულგაკოვი ამბობს წვრილი და მსხვილი მეურნეობის შედარების შესახებ. ახლა განვიხილოთ, რას ამტკიცებს Klawki-ს საინტერესო ნაშრომი, რომელიც აგვიწერს 12 ტიპიურ და თანაბარ პირობებში მყოფ მეურნეობას მთელი 120 გვერდის მანძილზე. ჯერ მოვიყვანოთ საერთო ცნობები მე-

* კარლ კლავკი: «წვრილი სასოფლო-სამეურნეო წარმოების მეტოქეობის უნარიანობის შესახებ» («ტილ-ის სასოფლო-სამეურნეო წელიწდეულებში», 1899 წ., ნაკვ. 3 — 4). რედ.

ურნეობათა შესახებ, ამასთან დავკმაყოფილდეთ, ადგილის ეკონომიისა და დასკვნათა თვალსაჩინოებისათვის, საშუალო მონაცემებით მსხვილ, საშუალო და წვრილ მეურნეობათა შესახებ (საშუალო ოდენობა = 358; 50 და 5 ჰექტარი).

მეურნეობანი	მოდის 1 მორგენზე (1/4 ჰექტარზე) მარკებად:														100 მორგენზე	
	სულ შემოსავალი			შემოს. პროდ. გაყიდვიდან			პროდ. მოხმ. საკუთარ მეურნეობ.			სულ						
													მარკები			
	მიწათმოქმედებიდან	მესაქონლეობიდან	სულ	მიწათმოქმედებიდან	მესაქონლეობიდან	სულ	მიწათმოქმედებიდან	მესაქონლეობიდან	სულ	შემოსავალი	გასავალი	წმინდა მოგება	a	b	დაკირ. საშუშაო დღე	სულ საშუშაო დღე
მსხვილი.....	17	16	33	11	14	25	6	2	8	33	23	10	65	70	887	887
საშუალო.....	18	27	45	12	17	29	6	10	16	45	27	18	35	60	744	924
წვრილი.....	23	41	64	9	27	36	14	14	28	64	52	12	8	50	—	—

Klawki-ს ნაშრომი თითქოს სავსებით ადასტურებს ბ-ნ ბულგაკოვის ყველა დასკვნას: მეურნეობის ოდენობის შემცირებასთან ერთად დიდდება მთლიანი შემოსავალიც და გაყიდვიდან მიღებული შემოსავალიც კი ერთ მორგენზე გაანგარიშებით! ჩვენ ვფიქრობთ, რომ ისეთი ხერხების დროს, რომელთაც Klawki მიმართავს, — ეს ხერხები კი ფრიად გავრცელებულია და ძირითადად საერთოა ყველა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ეკონომისტისათვის, — ყველა ან თითქმის ყველა შემთხვევაში წვრილი მიწათმოქმედების უპირატესობას მივიღებთ. ამიტომ საკითხის მთელი არსი, რომელიც სრულიად ვერ შენიშნეს ვოროშილოვებმა, ამ ხერხების გარჩევაში მდგომარეობს, და ამიტომაც Klawki-ს ნაწილობრივი გამოკვლევა უდიდეს საერთო ინტერესს წარმოადგენს.

* a = თუ ფულზე არ გადავიტანთ მეურნისა და მისი ოჯახის სამუშაო ძალის ღირებულებას; b = თუ გადავიტანთ.

დავიწყოთ მოსავლით. თურმე მარცვლეულის უდიდესი უმეტესობის მოსავალი წესიერად და ფრიად მნიშვნელოვნად მ ც ი რ დ ე ბ ა მსხვილი მეურნეობიდან წვრილი მეურნეობისაკენ. იღებენ (ცენტნერობით მორგენზე) ხორბალს: 8,7 — 7,3 — 6,4; ჭვავს: 9,9 — 8,7 — 7,7; ქერს: 9,4 — 7,1 — 6,5; შვრიას: 8,5 — 8,7 — 8,0; მუხუდოს: 8,0 — 7,7 — 9,2 *; კარტოფილს: 63 — 55 — 42; პირუტყვის საკვებ ჭარხალს: 190 — 156 — 117. მხოლოდ სელს, რომელსაც მსხვილი მეურნეობები სრულიად არ თესავენ, წვრილი მეურნეობები (3 ოთხიდან) იღებენ მეტს, ვიდრე საშუალონი (2 ოთხიდან), სახელდობრ, 6,2 «Stein»-ს (= 18½ გირვანქას) 5,5-ის წინააღმდეგ.

მაშ რაზეა დამოკიდებული უფრო დიდი მოსავლიანობა მსხვილ მეურნეობებში? Klawki გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს შემდეგ 4 მიზეზს: 1) დრენაჟი თითქმის არა აქვთ წვრილ მეურნეთ, ხოლო როცა ის აქვთ, მილებს თვითონ მეურნენი აწყობენ და აწყობენ ცუდად; 2) წვრილი მეურნენი არასაკმაოდ ღრმად ხნავენ მიწას — სუსტი ცხენები ჰყავთ; 3) წვრილ მეურნეთა რქიან პირუტყვს მეტწილად საკვები აკლია; 4) წვრილ მეურნეებს ნაკელი უფრო მცირე უგროვდებათ: ბზე მათს პურს უფრო მოკლე აქვს, ბზის უმეტესი ნაწილი პირუტყვის საკვებად იხმარება (მაშასადამე, საკვების ხარისხიც უარესია), და პირუტყვისათვის ქვეშ დასაგებადაც ნაკლები იხმარება.

ამრიგად, წვრილ მეურნეთა პირუტყვი უფრო სუსტია, უფრო ცუდია ხარისხით და მოვლაც უფრო ცუდი აქვს. ეს გარემოება გვიხსნის იმ უცნაურ და თვალში ყველაზე მეტად მოსახვედრ მოვლენას, რომ, მიუხედავად მსხვილ მეურნეობათა უფრო დიდი მოსავლიანობისა, მიწათმოქმედების შემოსავალი, Klawki-ს გამოანგარიშებით, ერთ მორგენზე უფრო მცირეა, ვიდრე საშუალო და წვრილ მეურნეობებში. საქმე ის არის, რომ Klawki მ ხ ე დ ვ ე ლ ო ბ ა შ ი ა რ ი ღ ე ბ ს

* ითესება მხოლოდ ორ მეურნეობაში 4-დან; მსხვილსა და საშუალოში — სამ-სამი მეურნეობა 4-დან თესს მუხუდოს.

პ ი რ უ ტ ყ ვ ი ს ს ა კ ვ ე ბ ს, ა რ ანგარიშობს მას არც შემოსავალში და არც გასავალში. ამგვარად ხელოვნურად და ყალბად არის ერთმანეთთან გათანაბრებული ის, რაც სინამდვილეში არსებით განსხვავებას ჰქმნის მსხვილსა და წვრილ მეურნეობათა შორის და განსხვავებას არა უკანასკნელთა სასარგებლოდ. გამოანგარიშების ასეთი წესით მსხვილი მეურნეობა თითქოს ნაკლებად შემოსავლიანია ი მ ი ტ ო მ, რომ თავისი სასოფლო-სამეურნეო ფართობის უმეტეს ნაწილს ის პირუტყვის საკვების მოყვანას ანდომებს (თუმცა ფართობის ერთეულზე მას პირუტყვის ბევრად ნაკლები რიცხვი ჰყავს, ვიდრე წვრილ მეურნეობას), მაშინ როცა წვრილი მეურნეობა «იოლად მიდის»: პირუტყვის საკვებად ბზეს სჯერდება. მაშასადამე, წვრილი მიწათმოქმედების «უპირატესობა» ის არის, რომ ის მ ტ ა ც ე ბ ლ უ რ ა დ ე პ ყ რ ო ბ ა მიწასაც (უფრო ცუდია სასუქი) და პ ი რ უ ტ ყ ვ ს ა ც (უფრო ცუდია კვება). თავისთავად იგულისხმება, რომ სხვადასხვა მეურნეობის შემოსავლიანობის ასეთი შედარება მოკლებულია ყოველგვარ მეცნიერულ მნიშვნელობას *.

შემდეგ, მსხვილ მეურნეობებში მიწის უმაღლესი მოსავლიანობის ერთ-ერთ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ისინი უფრო ხშირად (და, როგორც ეტყობა, თითქმის მხოლოდ და მხოლოდაც) ტკილავენ ნიადაგს, მეტ ხელოვნურ სასუქს (გასავალი 1 მორგენზე უდრის 0,81 მარკას — 0,38 —

* უნდა აღინიშნოს, რომ აშკარად არათანასწორ ოდენობათა ასეთი ყალბი შეფარდება წვრილ და მსხვილ მეურნეობებში გვხვდება თანამედროვე აგრარული სტატისტიკის არა მხოლოდ ცალკეულ ძონოგრაფიებში, არამედ მასობრივ ცნობებშიც. როგორც ფრანგული, ისე გერმანული სტატისტიკა ყველა და ყოველგვარ მეურნეობაში იღებს პირუტყვის «საშუალო» ცოცხალ წონას, თვითეული სულის «საშუალო» ფასს. გერმანული სტატისტიკა ამ ხერხით არკვევს კიდევაც პირუტყვის მთელი რაოდენობის საერთო ღირებულებას მეურნეობათა სხვადასხვა ჯგუფში (ფართობის სიდიდის მიხედვით). მაგრამ იქვე შენიშნავენ, რომ მეურნეობათა სხვადასხვა ჯგუფში თვითეული სული პირუტყვის ერთნაირი ღირებულების ვარაუდი «სინამდვილეს არ შეეფერება» (S. 35).

0,43) და Kraftfuttermittel-ს * ხმარობენ (მსხვილ მეურნეობებში — 2 მარკა 1 მორგენზე, დანარჩენებში — ნოლი). «ჩვენი გლეხური მეურნეობანი, — ამბობს Klawki, რომელიც მსხვილ გლეხურ მეურნეობებს აკუთვნებს საშუალო მეურნეობებსაც, — Kraftfuttermittel-ზე არაფერს არ ხარჯავენ. ისინი ძნელად ემორჩილებიან პროგრესს და განსაკუთრებით ერიდებიან ნაღდი ფულის ხარჯებს» (461). მსხვილი მეურნეობანი მაღლა დგანან მემინდვრეობის სისტემის მხრივაც: გაუმჯობესებულ თესლბრუნვას ჩვენ ვხედავთ ოთხსავე მსხვილ მეურნეობაში, სამ საშუალოში (ერთში ძველებური სამმინდვრიანობაა) და მხოლოდ ერთს წვრილში (3-ში—სამმინდვრიანობაა). ბოლოს, მანქანებიც მსხვილ მეურნეობებს ბევრად მეტი მოეპოვებათ. მართალია, თვითონ Klawki იმ აზრისაა, თითქოს მანქანებს მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდეთ. მაგრამ ჩვენ მისი «აზრით» ვერ დავკმაყოფილდებით და ამოვკრებთ ციფრებს მონაცემებიდან. შემდეგი რვა სახეობის მანქანები — ორთქლის სალეწი მანქანები, ცხენის სალეწი მანქანები, მარცვალსაწმენდი მანქანები, ტრიერები, მწკრივად სათესი მანქანები, ნაკელის მოსაყრელი მანქანები, ცხენის ფოცხები და მტკეპნავები — ასეა განაწილებული აღწერილ მეურნეობათა შორის: 4 მსხვილ მეურნეობას აქვს 29 (მათ რიცხვში ერთი ორთქლის სალეწი მანქანა), 4 საშუალოს — 11 (ორთქლისა არც ერთი), 4 წვრილს — 1 მანქანა (ცხენის სალეწი). რა თქმა უნდა, არავითარ «აზრს», გლეხური მეურნეობის რომელ თაყვანისმცემელსაც უნდა ეკუთვნოდეს ის, არ ძალუძს გვაფიქრებინოს, თითქოს მარცვალსაწმენდი მანქანები, მწკრივად სათესი მანქანები, მტკეპნავები და სხვ. გავლენას არ ახდენენ მოსავლიანობაზე. ჰო, ჩვენ აქ მოგვეპოვება ცნობები იმ მანქანათა რაოდენობის შესახებ, რომლებიც ამა თუ იმ მეურნეთა კუთვნილებას შეადგენენ; ეს ცნობები განსხვავდება გერმანული სტატისტიკის მასობრივი

* — კონცენტრირებული საკვები. რ ე დ.

ცნობებისაგან, რომელიც აღრიცხავს მხოლოდ მანქანების მოხმარების შემთხვევებს, — განურჩევლად იმისა, თავისია ეს მანქანები თუ სხვისი. ცხადია, ასეთი რეგისტრაციაც ამცირებს მსხვილი მეურნეობის უპირატესობას და ჩქმალავს Klawki-ს მიერ აღწერილ მანქანების «განათხოვრების» ფორმებს: «მსხვილი მეურნე სიამოვნებით ათხოვებს თავის სატკეპნ მანქანას, თავის ცხენის ფარცხს და მარცვალსაწმენდ მანქანას წვრილ მეურნეს, თუ ეს უკანასკნელი შეპირდება მას, რომ ალოობას მთიბავს მიაშველებს» (443). მაშასადამე, წვრილ მეურნეობაში მანქანების გამოყენების — როგორც დავინახეთ, ისედაც მეტად იშვიათი შემთხვევების განსაზღვრული რიცხვი წარმოადგენს სამუშაო ძალის შეძენის გარდაქმნილ ფორმას.

ჩავყვეთ ქვევით. აშკარად არათანასწორ სიდიდეთა ყალბად შეფარდების სხვა შემთხვევას წარმოადგენს ის, რომ Klawki ერთნაირ გასაყიდ ფასს ანგარიშობს მეურნეობათა ყველა თანრიგის პროდუქტისათვის. გაყიდვის ნამდვილ შემთხვევათა ნაცვლად ავტორი თავის გამოანგარიშებას საფუძვლად უდებს ვარაუდს, რომლის არასისწორეს თვითონვე აღნიშნავს. გლეხები თავიანთ პურს მეტწილად ადგილობრივ ასაღებენ, და ვაჭრებიც პატარა ქალაქებში ძალზე სცემენ ფასებს. «ამ მხრივ მსხვილი მამულები უკეთეს პირობებში არიან, რადგან მათ შეუძლიათ პურის დიდი პარტიები ერთბაშად გაგზავნონ პროვინციის მთავარ ქალაქში. ამასთან ისინი იღებენ ჩვეულებრივ 20 — 30 პროცენტით მეტს ცენტნერზე, ვიდრე პატარა ქალაქებში გაყიდვის დროს» (373). მსხვილი მეურნეები უკეთ აფასებენ თავიანთ პურს (451) და ჰყიდიან მას წონით და არა არწყვით, როგორც ჰყიდიან გლეხები თავისათვის საზარალოდ. სწორედ ასევე მსხვილი მეურნენი წონით ჰყიდიან თავიანთ პირუტყვსაც, მაშინ როცა გლეხებისაგან ყიდულობენ ისე — გარეგნული დათვალიერების მიხედვით. რძის პროდუქტების გასაღების საქმეც უკეთ აქვთ დაყენებული მსხვილ მეურნეებს, ვინაიდან მათ შეუძლიათ რძე ქალაქში

გაგზავნონ და უფრო მაღალი ფასები აიღონ, ვიდრე საშუალო მეურნეთ, რომლებიც რძეს ერბო-კარაქად ამუშავებენ და ისე ჰყიდიან. თავის მხრივ. საშუალო მეურნეთ უკეთესი ერბო-კარაქი აქვთ, ვიდრე წვრილ მეურნეთ (სეპარატორების გამოყენება, ყოველდღიურად დამზადება და სხვ.), რომელთაც 5 — 10 პფენიგით ნაკლებს აძლევენ გირვანქაში. გასაყიდად გასუქებული პირუტყვი წვრილმა მეურნეებმა საშუალო მეურნეებზე უფრო ადრე (უფრო ნაკლებად მომწიფებული) უნდა გაყიდონ, ვინაიდან მათ საკვები არ ყოფნით (444). მსხვილი მეურნეობის, როგორც ბაზარზე მოვაჭრის, ყველა ამ — საერთოდ მეტად არა მცირემნიშვნელოვან—უპირატესობას Klawki მხედველობაში არ იღებს თავის მონოგრაფიაში, მსგავსად იმისა, როგორც წვრილი მეურნეობის თაყვანისმცემელი თეორეტიკოსები უყურადღებოდ სტოვებენ ამ ფ ა ქ ტ ს და იმოწმებენ იმ შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ო ბ ა ს, თითქოს საქმეს კოოპერაცია უშველის. ჩვენ არ გვინდა ერთმანეთში ავურიოთ კაპიტალიზმის სინამდვილე და მეშჩანურ-კოოპერაციული პარადიზის შესაძლებლობანი: ქვემოთ მოვიყვანთ ფ ა ქ ტ ე ბ ს იმის შესახებ, თუ ვის ხვდება სინამდვილეში უფრო მეტი სარგებლობა კოოპერაციისაგან.

უნდა აღვნიშნოთ, რომ Klawki წვრილსა და საშუალო მეურნეობებში «არ ანგარიშობს» თვით მეურნეთა შრომას ნიადაგის დრენაჟზე, ყოველგვარ შეკეთებაზე («გლეხები თვითონ მუშაობენ») და სხვ. წვრილი მეურნის ამ «უპირატესობას» სოციალისტი უწოდებს Ueberarbeit-ს, გადაჭარბებულ შრომას, დაქანცვას, ხოლო ბურჟუაზიული ეკონომისტი — გლეხური მეურნეობის ერთ-ერთ ხელსაყრელ მხარეს («ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს თ ვ ი ს»!). უნდა ვთქვათ, რომ საშუალო მეურნეობებში, როგორც Klawki აღნიშნავს, დაქირავებული მუშები უკეთეს ხელფასს და ხარჯს იღებენ, ვიდრე მსხვილ მეურნეობებში, მაგრამ უფრო ინტენსიურადაც მუშაობენ: მეურნის «მაგალითი» აქეზებს მათ «მეტი სიბეჯითე და ერთგულება» გამოიჩინონ (465). ამ ორ კაპიტალისტურ მე-

ურნეს შორის რომელი, მემამულე თუ «მისი მოძმე» გლეხი გამოსწურავს მუშას მეტ შრომას განსაზღვრულ ხელფასში, — ამის გამორკვევას Klawki არ ცდილობს. ამიტომ ჩვენ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ დასახიჩრებისა და მოხუცებულობის შემთხვევაში მუშების დაზღვევის ხარჯები შეადგენს მსხვილი მეურნისათვის 0,29 მარკას მორგენზე, საშუალო მეურნისათვის — 0,13 მარკას (წვრილ მიწათმოქმედს აქაც ის უპირატესობა აქვს, რომ სრულებითაც არ იზღვევს თავს, — რაც, რასაკვირველია, კაპიტალისტთა და მემამულეთა «საზოგადოებისათვის» არცთუ ისე მცირედ «ხელსაყრელია»), — და, შემდეგ, დავიმოწმებთ რუსეთის სამიწათმოქმედო კაპიტალიზმის მაგალითს. მკითხველს, რომელიც გაცნობილია შახოვსკოის წიგნს «სამიწათმოქმედო გარე-სარეწები», შეიძლება ახსოვდეს კიდეც ასეთი დამახასიათებელი დაკვირვება: ფერმერი გლეხები და გერმანელი-კოლონისტები (სამხრეთში) ქირაობენ მუშებს «მერჩევით», უხდიან მათ 15 — 20%-ით მეტს, ვიდრე მსხვილი დამქირავებელნი, და სამაგიეროდ 50%-ით მეტ შრომასაც გამოსწურავენ მათ. ასეთ ცნობას გვაწვდიდა ბ-ნი შახოვსკოი 1896 წელს, ხოლო მიმდინარე წელს «ტორგოვო-პრომიშლენნაია გაზეტაში» ვკითხულობთ ასეთ ცნობას კახოვკიდან: ...«გლეხები და ფერმერები, ჩვეულებისამებრ, მეტს იძლეოდნენ (ვიდრე ეკონომიები აძლევდნენ დაქირავებულ მუშებს), ვინაიდან მოითხოვენ უკეთესსა და უფრო გამძლე მუშებს» (№ 109, 1901 წლის 16 მაისი). ცრა მგონია საფუძველი არსებობდეს ვიფიქროთ, რომ ასეთი ძოვლენა მხოლოდ რუსეთის დამახასიათებელია.

ზემოთ მოყვანილ ცხრილში მკითხველმა შენიშნა გაანგარიშების ორი ხერხი: მეურნის სამუშაო ძალის ფულადი შეფასების ჩათვლა ან არჩათვლა. ბ-ნ ბულგაკოვს ასეთი ჩათვლის «სისწორე საეჭვოდ» მიაჩნია. რასაკვირველია, როგორც მეურნეების, ისე მოჯამაგირეების ნატურალური და ფულადი ხარჯების ზუსტი ბიუჯეტი ბევრად უფრო სწორი იქნებოდა, მაგრამ რაკი ასეთი ცნობები არ მოგვეპოვება, იძულებული

ვართ ოჯახის ფულადი ხარჯები გავარკვიოთ დაახლოებით. და აი მეტად საინტერესოა, როგორ ახდენს Klawki ამ დაახლოებითს გაანგარიშებას. მსხვილი მეურნენი თვითონ, რა თქმა უნდა, არ მუშაობენ: მათ ის კი არა, განსაკუთრებული მმართველებიც კი ჰყავთ, რომლებიც ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობის მთელ საქმეს ასრულებენ და ამისთვის გასამრჯელოს იღებენ (ოთხი მამულიდან სამს მმართველი ჰყავს, ერთი უმმართველოდ არის; ეს უკანასკნელი მამული შეიცავს 125 ha-ს და Klawki უფრო სწორად ჩასთვლიდა ეწოდებინა მისთვის მსხვილი გლეხური მამული). ორი მსხვილი მამულის მეპატრონეთა «შრომას» (რაც, მაგ., პირველი მამულის მხრივ იმით გამოიხატება, რომ მეპატრონე თავისი მთავარი მამულიდან თვეში ერთხელ შემოივლის რამდენიმე დღით იმის სანახავად, თუ რას აკეთებს მისი მმართველი) Klawki «ანგარიშობს» 2 000 მარკას წელიწადში თვითეულისათვის. 125 ha-ს მფლობელს (პირველს 513 ha აქვს) ის უკვე თვით მეპატრონისა და მისი სამი შვილის მუშაობისთვის «ანგარიშობს» 1 900 მარკას. განა «ბუნებრივი» არ არის, რომ მიწის ნაკლები რაოდენობისას ნაკლები ბიუჯეტით უნდა «დაკმაყოფილდეს»? საშუალო მეპატრონეთათვის Klawki ანგარიშობს ქმრისა და ცოლის მთელ მუშაობას უკვე 1 200 — 1 716 მარკად, ხოლო სამ შემთხვევაში აგრეთვე ბავშვების მუშაობასაც. წვრილ მეურნეთათვის 4 — 5 (sic!) კაცის მუშაობას — 800 — 1 000 მარკად, ესე იგი ცოტათი უფრო მეტად (თუ კი მეტად), ვიდრე ეძლევა მოჯამაგირეს, ინსტმანს, რომელიც მთელი თავისი ოჯახის დახმარებით იღებს სულ 800 — 900 მარკას. ამრიგად, აქ უკვე კიდევ დიდი ნაბიჯია წინ გადადგმული: პირველად აშკარად უთანასწოროს ადარებდნენ ერთმანეთს, ახლა აცხადებენ, რომ ცხოვრების დონე უნდა ეცემოდეს მსხვილიდან წვრილი მეურნეობისაკენო. ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ წინასწარ აღიარო კაპიტალიზმის მიერ წვრილი გლეხის დაქვეითების ის ფაქტი, რასაც თითქოს უარჰყოფს «წმინდა მოგების» ოდენობის გამოანგარიშება!

და თუ ფულადი შემოსავალი კლებულობს მეურნეობის მოცულობის შემცირებასთან ერთად, როგორც ავტორი ვ ა რ ა უ დ ო ბ ს, მოხმარების შემცირება მტკიცდება პირდაპირი მონაცემებით. მეურნეობაში მოხმარებული სამიწათმოქმედო პროდუქტების რაოდენობა ერთ სულზე (თუ ორ ბავშვს ერთ მოზრდილს გავუთანაბრებთ) შეადგენს: მსხვილ მეურნესთან 227 მარკას (ორი ციფრის საშუალო), საშუალოსთან — 218 მარკას (ოთხი ციფრის საშუალო), წვრილთან — 135 (sic!) მარკას (4 ციფრის საშუალო). ამასთან, რაც უფრო დიდია მეურნეობა, მით უფრო მეტ საკვებ პროდუქტებს ყიდულობენ გარეთ (S. 453). Klawki თვითონაც ხედავს, რომ აქ აუცილებელია კითხვის დასმა იმ Unterkonsumption-ზე (არასაკმაო მოხმარებაზე), რასაც უარჰყოფდა ბ-ნი ბულგაკოვი და რაზედაც მან აქ უმჯობესად სცნო გ ა ჩ უ მ ე ბ ა, რის გამოც კიდევ მეტ აპოლოგეტად გამოდის, ვიდრე Klawki. Klawki კი ცდილობს შეასუსტოს ეს ფაქტი. «აქვს თუ არა ადგილი წვრილ მეურნეთა განსაზღვრულ ნაკლებ მოხმარებას, — ამბობს ის, — ამის მტკიცება ჩვენ არ შეგვიძლია, მაგრამ ამას შესაძლებლად ვთვლით წვრილი (IV) მეურნეობის მიმართ» (97 მარკა სულზე). «ფაქტი ის არის, რომ წვრილი გლეხები ძალიან ხელმომჭირნედ ცხოვრობენ (!) და ბევრს რასმე ისეთს ჰყიდიან, რასაც, ასე ვთქვათ, თავიანთი საკუთარი პირისთვის არ იმეტებენ» (sich sozusagen vom Munde absparen) *.

* საინტერესოა, მაგ., ის გარემოება, რომ რძისა და ერბო-კარაქის გაყიდვით მიღებული შემოსავალი მსხვილ მეურნეობაში უდრის 7 მარკას მორგენზე, საშუალოში — 3-ს, წ ვ რ ი ლ შ ი — 7-ს. საქმე ის არის, რომ წვრილი გლეხები თავიანთ მეურნეობაში «ძალზე ნაკლებად ხმარობენ ერბო-კარაქსა და მოუხდელ რძეს... ხოლო წვრილი მეურნეობა IV (მეურნეობაში ნაწარმოებ პროდუქტებს ხარჯავენ სულზე მხოლოდ 97 მარკისას) ამ პროდუქტებს სულაც არ ხმარობს» (450). დაე მკითხველმა ამ ფაქტს (რომელსაც «კრიტიკოსებს» გარდა ყველანი დიდი ხანია იცნობენ) დაუპირისპიროს ჰერცის საუცხოო მსჯელობანი (S. 113, რუს. თარგმ. 270): «და განა გლეხი არაფერს არ იღებს რძეში?» «განა გლეხი არ სჭამს ღორს?» (რძით გასუქებულს). ასეთი აზრები ხშირად უნდა მოვიგონოთ, როგორც სიღატაკის ყველაზე ვულგარული შელამაზების უბადლო ნიმუში.

ცდილობენ დაამტკიცონ, თითქოს ეს ფაქტი არ უარჰყოფს წვრილი მეურნეობის მაღალ «ნაყოფიერებას»: მოხმარებას თუ 170 მარკამდე გავადიდებთ — ეს თანხა სრულიად საკმარისია («უმცროსი ძმისათვის», მაგრამ არა კაპიტალისტ-მიწათმოქმედისათვის, როგორც ვხედავთ), — მივიღებთ, რომ ერთი მორგენით უნდა გავადიდოთ მოხმარება და შევამციროთ შემოსავალი პროდუქტების გაყიდვისაგან 6 — 7 მარკით. ამის გამოკლებით მივიღებთ (იხ. ზემოთ მოყვანილი ცხრილი) 29 — 30 მარკას, ე. ი. მაინც კიდევ მეტს, ვიდრე მსხვილ მეურნეობაში (S. 453). მაგრამ თუ ჩვენ მოხმარებას გავადიდებთ არა ამ თვალზომით აღებულ ციფრამდე (თანაც ძალიან დაბალ ციფრამდე, ვინაიდან «თვალი მისწვდება»), არამედ 218 მარკამდე (= სინამდვილე საშუალო მეურნეობაში), დავინახავთ, რომ პროდუქტების გაყიდვით მიღებული შემოსავალი წვრილ მეურნეობაში დაეცემა 20 მ ა რ კ ა მ დ ე მორგენზე წინააღმდეგ 29 მარკისა საშუალო მეურნეობაში და 25 მარკისა — მსხვილ მეურნეობაში. ესე იგი: Klawki-ს დაპირისპირებებში მარტო ა მ ე რ თ ი შეცდომის (ზემოთ აღნიშნულ მრავალთაგან) გასწორებაც კი არღვევს უკვე წვრილი გლეხის ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ «უპირატესობას».

მაგრამ უპირატესობათა გამოძებნის საქმეში Klawki დაუღალავია. წვრილი გლეხები «მიწათმოქმედებას სარეწებთან აერთებენ»: სამი წვრილი გლეხი (4-დან) «გულმოდგინედ დადის დღიურ სამუშაოზე და ხელფასს გარდა საჭმელსაც იღებს» (435). მაგრამ წვრილი მიწათმოქმედების უპირატესობანი განსაკუთრებით დიდია კრიზისების დროს (როგორც ეს დიდი ხანია იციან უკვე რუსმა მკითხველებმა აუარებელი ნაროდნიკული ვარაუდობიდან ამ თემაზე, რასაც ახლა გადახალისებული სახით გვაწვდიან ბატონი ჩერნოვები): «სასოფლო-სამეურნეო კრიზისის დროს, და აგრეთვე სხვა დროსაც, სწორედ წვრილი მეურნეობა გამოიჩენს ყველაზე მეტ გამძლეობას, შესძლებს შედარებით მეტი პროდუქტების გასაღებას, ვიდრე სხვა თანრიგის მეურნეობანი, შინაური ხარჯების

უაღრესად შემცირებით, თუმცა, მართალია, ასეთი შემცირება გამოიწვევს რამდენადმე მოხმარების შესუსტებას» (481 — Klawki-ს უკანასკნელი დასკვნები, შეად. S. 464). «ბევრი წვრილი მეურნეობა იძულებული ხდება, სამწუხაროდ, ეგრე მოიქცეს ვალებზე მაღალი პროცენტების გამო. სამაგიეროდ, ამ გზით მათ საშუალება ეძლევათ — თუმცა დიდის ვაი-ვაგლახით — გამაგრდნენ და თავი გაიტანონ. ალბათ, სწორედ მოხმარების ძალზე შემცირებით აიხსნება, უმთავრესად, წვრილგლეხურ მეურნეობათა ის გამრავლება ჩვენში, რასაც აღნიშნავს საიმპერიო სტატისტიკა». და Klawki-ს მოჰყავს ცნობები კენიგსბერგის რეგირუნგსბეციერკის * შესახებ, რომელშიც 1882-დან 1895 წლამდე იმ მეურნეობათა რაოდენობა, რომელთაც ეკავათ 2 ha-მდე, გაიზარდა 56 ათასიდან 79 ათასამდე, 2 — 5 ha — 12 ათასიდან 14 ათასამდე, 5 — 20 ha — 16 ათასიდან 19 ათასამდე. ეს სწორედ ის აღმოსავლეთი პრუსიაა, სადაც ბატონი ბულგაკოვები წვრილი წარმოების მიერ მსხვილი წარმოების «გაძევებას» ხედავენ. და ასეთი ვაჟბატონები, რომლებიც ასე «სუზდალურად» ხსნიან მიწის ფართობთა ცარიელი სტატისტიკის ციფრებს, კიდევ «დეტალიზაციაზე» გაჰკივიან! სრულიად ბუნებრივია, რომ Klawki «აღმოსავლეთში სოფლის მუშების საკითხის გადასაჭრელად თანამედროვე აგრარული პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ამოცანად «სთვლის» ყველაზე უფრო საქმიანი მუშების წაქეზებას, რომ მათ ბინადრობას მიჰყონ ხელი, რისთვისაც მათ შესაძლებლობა უნდა მიეცეს, თუ პირველმა თაობამ არა, მეორე (sic!) თაობამ მაინც შეიძინოს მიწის პატარა ნაკვეთი საკუთრებად» (476). რა ვუყოთ, თუ ინსტმანები, რომლებიც თავიანთი დანაზოგით მიწის მცირე ნაკვეთებს იძენენ, «მეტწილად უარეს მდგომარეობაში ვარდებიან უფულობის გამო; ეს თვითონაც იციან, მაგრამ მათ იტაცებს უფრო თავისუფალი მდგომარეობა», — და ბურჟუაზიული ეკონომიის (ამჟამად კი,

* — ადმინისტრაციული ოლქის. რ ე დ.

ალბათ, აგრეთვე «კრიტიკოსებისაც») მთელი ამოცანა ის არის, რომ ეს ილუზიები განამტკიცონ პროლეტარიატის ყველაზე ჩამორჩენილ ნაწილში.

ამრიგად, Klawki-ს გამოკვლევა ყველა პუნქტში არღვევს მასზე დამყარებულ ბ-ნ ბულგაკოვს. ის ამტკიცებს მსხვილი მეურნეობის ტექნიკურ უპირატესობას მიწათმოქმედებაში, წვრილი გლეხობის გადაჭარბებულ შრომას და დამშევას, მის გადაქცევას მემამულის მოჯამაგირედ და დღიურ მუშად, ამტკიცებს, რომ კავშირი არსებობს წვრილგლეხურ მეურნეობათა რიცხობრივ ზრდასა და გაჭირვებისა და პროლეტარიზაციის ზრდას შორის. ამ გამოკვლევიდან გამომდინარე ორ დასკვნას განსაკუთრებით დიდი პრინციპული მნიშვნელობა აქვს. ჯერ-ერთი, ჩვენ აშკარად ვხედავთ იმ დაბრკოლებებს, რომლებიც წინ ეღობება მანქანების შემოღებას მიწათმოქმედებაში: ეს არის უსაზღვრო დამცირება წვრილი მიწათმოქმედისა, რომელიც მზად არის «არაფრად ჩააგდოს» თავისი შრომა და კაპიტალისტისათვის ხელით შრომა უფრო იაფი გახადოს, ვიდრე მანქანებით მუშაობა. ბ-ნ ბულგაკოვის მტკიცებათა მიუხედავად, ფაქტები სავსებით ამტკიცებენ სრულ ანალოგიას მიწათმოქმედებაში წვრილი გლეხის მდგომარეობასა და მრეწველობაში შინამრეწველის მდგომარეობას შორის კაპიტალისტური წესწყობილების დროს. ბ-ნ ბულგაკოვის მტკიცებათა წინააღმდეგ, მიწათმოქმედებაში ჩვენ ვხედავთ მოთხოვნილებათა კიდევ უფრო ფართოდ შემცირებას და შრომის ინტენსივობის გაძლიერებას, როგორც მსხვილ წარმოებასთან კონკურენციის იარაღს. მეორე, როცა ყოველნაირად ერთმანეთს ვადარებთ წვრილ და მსხვილ მეურნეობათა შემოსავლიანობას მიწათმოქმედებაში, ერთხელ და სამუდამოდ უნდა აღვიაროთ, რომ აბსოლუტურად უვარგისი და ვულგარულ-აპოლოგეტურია ისეთი დასკვნები, რომლებიც უგულებელყოფენ სამ გარემოებას: 1) როგორ იკვებება, როგორ ცხოვრობს და როგორ მუშაობს მიწათმოქმედი? 2) როგორაა შენახული და როგორ მუშაობს

პ ი რ უ ტ ყ ვ ი? 3) როგორ ანოყიერებენ და რაციონალურად იყენებენ თუ არა მ ი წ ა ს? წვრილ მიწათმოქმედებას თავი გააქვს ყოველნაირი მტაცებლური საშუალებით: მიწათმოქმედის შრომისა და სასიცოცხლო ძალების განიავებით, პირუტყვის ძალღონისა და ხარისხის განადგურებით, მიწის საწარმოო ძალთა განიავებით; ამიტომაც ყოველი გამოკვლევა, რომელიც ყოველმხრივ არ ითვალისწინებს ამ გარემოებებს, წარმოადგენს მხოლოდ ბურჟუაზიული სოფიზმების გროვას *.

ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ თანამედროვე საზოგადოებაში სწორედ წვრილი გლეხების გადაჭარბებული შრომისა

* Leo Huschke თავის ნაშრომში: «Landwirtschaftliche Reinertrags-Berechnungen bei Klein-, Mittel- und Grossbetrieb dargelegt an typischen beispielen Mittelthüringens» (Jena, 1902, Gustav Fischer) (ლეო ჰუშკე: «წვრილ, საშუალო და მსხვილ მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების წმინდა შემოსავლის გამოანგარიშება შუა ტიურინგიის ტიპიური მაგალითების მიხედვით». იენა, 1902, გუსტავ ფიშერი. რ ე დ.) სამართლიანად აღნიშნავს, რომ წვრილი მიწათმოქმედის სამუშაო ძალის შეფასების «მარტოოდენ შემცირებით შეიძლება» მივიღოთ ისეთი გამოანგარიშება, რომელიც დაამტკიცებს მის უპირატესობას საშუალო და მსხვილი მეურნეობის მიმართ და მათთან წვრილი მეურნეობის მეტოქეობის უნარს (S. 126). სამწუხაროდ, ავტორს ბოლომდე არ მიუყვანია ეს აზრი და ამიტომ თავის წიგნში არ მოჰყავს სისტემატური მონაცემები პირუტყვის მოვლა-შენახვის, მიწის განოყიერების, სხვადასხვა მეურნეობაში მიწათმოქმედთა რჩენის შესახებ. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ კიდევ დავუბრუნდებით ბ-ნ ჰუშკეს საინტერესო წიგნს. ჯერჯერობით კი აღვნიშნავთ მხოლოდ მის მითითებებს, რომ წვრილი მეურნეობა მსხვილ მეურნეობასთან შედარებით უფრო დაბალ ფასებში ასაღებს თავის პროდუქტებს (S. S. 146, 155), და მის დასკვნას: «წვრილი და საშუალო მეურნეობა ცდილობდა გადაეტანა კრიზისი, რომელიც დაიწყო 1892 წლის შემდეგ (სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასების დაცემა), ფულადი ხარჯების რაც შეიძლებოდა მეტი შემცირებით, ხოლო მსხვილი მეურნეობა — მოსავლის გადიდებით მეურნეობის დანახარჯთა გადიდების საშუალებით» (S. 144). ხარჯები თესლზე, საკვებზე, სასუქზე შემცირდა 1887—1891-დან 1893—1897 წლებამდე წვრილ და საშუალო მეურნეობაში, ხოლო გადიდდა მსხვილ მეურნეობაში. წვრილ მეურნეობაში ეს ხარჯები შეადგენს 17 მარკას 1 ha-ზე, მსხვილში — 44 მარკას. (ავტორის შენიშვნა 1908 წლის გამოცემისათვის. რ ე დ.).

და ნაკლები მოხმარების «თეორიამ» გამოიწვია განსაკუთრებით გააფთრებული იერიშები ბატონ კრიტიკოსების მხრივ. ბ-ნი ბულგაკოვი ჯერ კიდევ ჟურნალ «ნაჩალოში» «კისრულობდა» (№ 1, გვ. 10) მოეყვანა რამდენიც გნებავთ იმდენი «ციტატი» იმის საწინააღმდეგოს დასამტკიცებლად, რასაც კაუტსკი ამტკიცებდა. სოციალური პოლიტიკის კავშირის [62] გამოკვლევიდან «Bäuerliche Zustände» («გლეხების მდგომარეობა»),— იმეორებს ბ-ნი ბულგაკოვი თავის წიგნში, — «კაუტსკიმ თავის ცდაში — გამოეცოცხლებინა მოძველებული დოგმის ლეში (sic!) ამოარჩია რამდენიმე ფაქტი, რომლებიც მოწმობენ ამა თუ იმ მომენტისათვის გლეხური მეურნეობის სავსებით გასაგებ დაბეჩავებას; დარწმუნდნენ, რომ იქ რამდენადმე სხვაგვარი ხასიათის ფაქტების ნახვაც შეიძლება» (II, გვ. 282). შაშ ვცადოთ «დავრწმუნდეთ» და შევამოწმოთ «ციტატები» მკაცრი მეცნიერისა, რომელიც ნაწილობრივ მხოლოდ ჰერცის ციტატებს იმეორებს (S. 77, რუს. თარგმ. 183).

«აიზენახიდან გვიმოწმებენ მესაქონლეობის, მიწის განოყიერების, მანქანების გამოყენების გაუმჯობესებას და საერთოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროგრესს»... გადავშალოთ სტატია აიზენახის შესახებ («Bäuerl. Zust.» I. B.). იმ მესაკუთრეთა მდგომარეობა, რომელთაც 5 ha-ზე ნაკლები უჭირავთ (ხოლო ასეთნი აღნიშნულ რაიონში არიან 1 116-დან 887), «საერთოდ ნაკლებად სახეიროა» (66). «რამდენადაც მათ შეუძლიათ მსხვილ მეურნეებთან ქირაზე იმუშაონ მკელებად, დღიურ მუშებად და სხვ., მათი მდგომარეობა შედარებით უმჯობესია» (67)... საერთოდ 20 წლის განმავლობაში საგრძნობი ტექნიკური პროგრესია, მაგრამ «ჯერ კიდევ ბევრი რამაა სასურველი, განსაკუთრებით უფრო წვრილ მეურნეობათა მიმართ» (72)... «უფრო წვრილი მეურნენი მინდვრის სამუშაოებზე ნაწილობრივ სუსტ ძროხებს იყენებენ»... დამხმარე საშოვართა წყაროა: ტყეში მუშაობა, შეშის მოზიდვა; უკანასკნელი სამუშაო მათ «მიწათმოქმედებას აშორებს» და «კეთილდღეობის დაქვეითებას» იწვევს (69).

«ტყის სამუშაოებიც არ იძლევა საკმაო შემოსავალს. ზოგიერთ რაიონში წვრილი მიწათმფლობელნი (Grundstücksbesitzer) ფეიქრობას ეწევიან, რაც მცირედ (leiblich) ფასდება. ცალკეულ შემთხვევებში სიგარებს ამზადებენ შინაური წესით. საერთოდ დამხმარე საშოვართა ნაკლებობაა» (73)... და ავტორი, Ökonomie-Commissar Dittenberger-ი *, ამთავრებს შენიშვნით, რომ გლეხები თავიანთი «უბრალო ცხოვრებითა» და «მცირე მოთხოვნილებით» ღონიერნი და ჯანსაღნი არიან, რაც «გასაკვირველიც კი არის ნაკლებად ნოყიერი საზრდოს მქონე ულარიბესი კლასისათვის, რომლისათვის კარტოფილი საზრდოს მთავარი შემადგენელი ნაწილია» (74)...

აი როგორ აბათილებენ «სწავლული» ვოროშილოვები «მოძველებულ მარქსისტულ ცრურწმენას, თითქოს გლეხურ მეურნეობას არ გააჩნია ტექნიკური პროგრესის უნარი»!

«...გენერალური მდივანი ლანგედორფი საქსონიის სამეფოს შესახებ ამბობს, რომ მთელს ოლქებში, განსაკუთრებით კი უფრო ნაყოფიერ ადგილებში, მსხვილსა და წვრილ მამულებს შორის უკვე საეჭვოა განსხვავება არსებობდეს მეურნეობის ინტენსივობის მხრივ». ასე აბათილებს კაუტსკის ავსტრიელი ვოროშილოვი (ჰერცი, S. 77, რუს. თარგმ. 182 — 183) და მას ბანს აძლევს რუსი ვოროშილოვი (ბულგაკოვი, II, 282, მითითება «Bäuerl. Zust.»-ზე, II, 222). ვშლით კრიტიკოსების მიერ დასახელებული წყაროს 222-ე გვერდს და ჰერცის მიერ მოყვანილი სიტყვების შემდეგ ვკითხულობთ: «ასეთი განსხვავება უფრო შესამჩნევია მთიან ადგილებში, სადაც უფრო მსხვილი მეურნეობებია მოწყობილი შედარებით უფრო დიდი საბრუნავი კაპიტალით; მაგრამ აქაც კი გლეხური მეურნეობა წმინდა მოგების ოდენობის მიხედვით ხშირად არ ჩამოუვარდება მათ, რადგან უფრო მცირე შემოსავალი წონასწორდება მეტი მომჭირნეობით, რაც მოთხოვნილებათა მეტად დაბალი დონის არსებობისას (bei der vorhandenen grossen

* — ეკონომიური კომისარი დიტენბერგერი. რ ე დ.

Bedürfnisslosigkeit) ხშირად იქამდე მიდის, რომ მეურნე გლეხი უფრო ცუდად ცხოვრობს, ვიდრე მრეწველობის მუშა, რომელიც უკვე გაცნობილია უფრო ფართო მოთხოვნილებებს» («Bäuerl. Zust.», II, 222). და შემდეგ ვტყობილობთ, რომ გაბატონებულია ნაყოფცვლითი სისტემის მეურნეობა, რომელიც უკვე სჭარბობს საშუალო მეურნეებში, ხოლო «სამმინდვრიანობა გვხვდება ჯერ კიდევ თითქმის მხოლოდ წვრილგლეხურ მამულთა მფლობელებში». მესაქონლეობაშიც აგრეთვე ყველგან შემჩნეულია პროგრესი. «მხოლოდ რქიანი პირუტყვის მოშენებისა და რძის პროდუქტების გამოყენების მხრივ გლეხი ჩვეულებრივ ჩამორჩება მსხვილ მემამულეს» (223).

«პროფ. რანკე, — განაგრძობს ბ-ნი ბულგაკოვი, — ადასტურებს ტექნიკურ პროგრესს მიუნხენის მიდამოების გლეხურ მეურნეობაში, რაც, მისი სიტყვით, ტიპიურია მთელი ზემო ბავარიისათვის». ვშლით რანკეს სტატიას: სამი თემი გ რ ო ს-ბ ა უ ე რ ე ბ ი ს ა, რომლებიც მეურნეობას ეწევიან დაქირავებული მუშების დახმარებით; 69 გლეხს 119-დან აქვს თვითეულს 20 ჰექტარზე მეტი, მათ ხელშია მთელი მიწის $^{3}/_{4}$, მასთან 38 «გლეხს» აქვს თვითეულს 40 ჰექტარზე მეტი, საშუალოდ თვითეულს 59 ჰექტარი, და სულ მათ ხელშია დაახლოებით მთელი მიწის 60%...

მგონი, ეს საკმარისია ბატონ ბულგაკოვისა და ჰერცის «ციტატების» დასახასიათებლად.

VII

ბადენის ანკეტა გლეხური მეურნეობის შესახებ

«ადგილის ნაკლებობის გამო ჩვენ არ შეგვიძლია, — წერს ჰერცი, — დაწვრილებითი და საინტერესო ცნობების მოყვანა ბადენის ანკეტიდან 37 თემის შესახებ. მეტწილად ეს ცნობები ზემოთ მოყვანილი ცნობების ანალოგიურია: კარგ ცნობებთან ერთად ვხვდებით ცუდ და განურჩეველ ცნობებსაც, მ ა გ რ ა მ ა რ ს ა დ ს ა მ ტ ო მ ი ა ნ ი ა ნ კ ე ტ ი ს მ თ ე ლ

მანძილზე გასავლის დაწვრილებითი ბიუ-ჯეტი არ გვაძლევს უფლებას გავაკეთოთ დასკვნები «საზრდოობის ნაკლებობის» შესახებ (Unterkonsumption), «ბინძური და უაღრესად დამამცირებელი გაჭირვების» შესახებ და სხვ.» (S. 79, რუს. თარგმ. 188). ჩვენს მიერ ხაზგასმული ჰერცის სიტყვები, ჩვეულებრივ, ნამდვილ სიცრუეს შეიცავენ: სწორედ ბადენის ანკეტამ, რომელსაც ის იმოწმებს, უაღრესი დოკუმენტალობით დაამტკიცა სწორედ წვრილი გლეხობის «ნაკლები მოხმარება». ჰერცის მიერ საქმის ვითარების დამახინჯება მჭიდროდ არის აქ დაკავშირებული იმ მიდგომასთან, რომელსაც განსაკუთრებით რუსი ნაროდნიკები მიმართავდნენ, ხოლო ახლა ყველა და ყოველგვარი «კრიტიკოსი» იყენებს აგრარულ საკითხში, — «გლეხობის» უსაფუძვლო დახასიათებასთან. ხოლო რადგან დასავლეთში «გლეხობის» ცნება კიდევ უფრო გაურკვეველია, ვიდრე ჩვენში (არ არსებობს წოდებრიობის მკვეთრი ნიშანი), და რადგან «საშუალო» შეფასებანი და დასკვნები ჩრდილავენ უმცირესობის შედარებითს «კეთილდღეობას» (ან თუნდაც უშიმშილობას) და უმრავლესობის გაუბედურებას, ამიტომაც აქ უსაზღვრო ასპარეზი იშლება ყოველი ჯურის აპოლოგეტისათვის. ბადენის ანკეტა კი სწორედ საშუალებას იძლევა ერთმანეთისაგან განვასხვავოთ გლეხობის ცალკეული ჯგუფები, რაც ჰერცმა, როგორც «დეტალიზაციის» მომხრემ, უმჯობესად ცნო არ შეენიშნა. 37 ტიპიურ თემში ამორჩეულ იქნა მსხვილი გლეხების (Grossbauer), საშუალო და წვრილი გლეხების, აგრეთვე დღიურად მომუშავეების ტიპიური მეურნეობანი, სულ 70 გლეხური (31 მსხვილი, 21 საშუალო და 18 წვრილი) და 17 დღიურად მომუშავეთა მეურნეობა, და ამ მეურნეობების ბიუჯეტი ფრიად დეტალურად იქნა გამოკვლეული. ჩვენ შესაძლებლობა არ გვქონდა ყველა ეს ცნობა დაგვემუშავებინა, მაგრამ საკმარისია ქვემოთ მოყვანილი მთავარი შედეგებიც, რათა ფრიად გარკვეული დასკვნები მივიღოთ.

მოვიყვანოთ ჯერ ცნობები მსხვილ (a), საშუალო (b) და წვრილ (c) გლეხურ მეურნეობათა საერთო სამეურნეო ტიპის შესახებ (VI Anlage-დან: «Uebersichtliche Darstellung der Ergebnisse der in den Erhebungsgemeinden angestellten Ertragsberechnungen» *, ამასთან ამ ცხრილის ცნობები ჩვენ ცალ-ცალკე დავალაგეთ Grossbauer-თა, Mittelbauer-თა და Kleinbauer-თა ** მიხედვით). მიწათმფლობელობის ოდენობა, — საშუალონი ჯგუფების მიხედვით: (a) 33,34 ჰექტარი, (b) 13,5 და (c) 6,96 — შედარებით მაღალია ისეთი წვრილი მიწათმფლობელობის ქვეყნისთვის, როგორიცაა ბადენი, მაგრამ თუ გამოვრიცხავთ 10 მეურნეობას თემებში №№ 20, 22 და 30, რომლებიც განსხვავდებიან განსაკუთრებით მსხვილი მიწათმფლობელობით (43 ჰექტარამდე აქვს Kleinbauer-ს და 170-მდე Grossbauer-ს!), მივიღებთ ბადენისათვის უფრო ნორმალურ ციფრებს: a) 17,8 ჰექტ., b) 10,0 ჰექტ. და c) 4,25 ჰექტარი. ოჯახის სიდიდე: a) 6,4 სული, b) 5,8 სული და c) 5,9 (ეს ცნობები, როგორც ყველა შემდგომი ცნობაც, თუ სათანადო შენიშვნები არ არის, შეეხება ყველა 70 მეურნეობას). მაშასადამე, მსხვილ გლეხებს გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანი ოჯახი ჰყავთ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დაქირავებული შრომა მათს მეურნეობაში შეუდარებლად მეტ როლს ასრულებს. საერთოდ მუშახელის დაქირავებას მიმართავს 54 გლეხი 70-დან, ე. ი. მთელი რიცხვის სამ მეოთხედზე მეტი, სახელდობრ 29 მსხვილი გლეხი (31-დან), 15 საშუალო (21-დან) და 10 წვრილი (18-დან). ამრიგად, მსხვილ გლეხთაგან დაქირავებულ მუშებს საჭიროებს 93%, — წვრილ გლეხთაგან — 55%. ეს ციფრები მეტად საგულისხმოა იმ გაცვეთილი (და «კრიტიკოსების» მიერ უკრიტიკოდ გადმოღებული) აზრის შესამოწმებლად, თითქოს დაქირავებულ შრომას არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდეს თანამედროვე

* — დანართი VI: «სასოფლო საგადასახადო ოლქებში გამორკვეული შემოსავლიანობის გამოანგარიშების შედეგების მოკლე მიმოხილვა». რ ე დ.

** — მსხვილ, საშუალო და წვრილ გლეხთა. რ ე დ.

გლეხურ მეურნეობაში. ჩვენ ვხედავთ, რომ მსხვილ გლეხებს (რომელთა მიწათმფლობელობის ოდენობა, 18 ჰექტარი, შედის 5 — 20-ჰექტარიან რუბრიკაში, რომელიც ,ყოველგვარი ხელაღებითი დახასიათებით ნამდვილ გლეხურ მეურნეობად არის ჩათვლილი) წმინდა კაპიტალისტური მეურნეობა აქვთ: 24 მეურნეობა 71 მოჯამაგირით, თითქმის სამ-სამი მოჯამაგირე თვითეულ მეურნეობაზე, და 27 მეურნე, რომლებიც ქირაობენ დღიურ მუშებს საერთოდ 4 347 დღით (161 სამუშაო დღე ერთ მეურნეზე). შეადარეთ ამას მიუნხენის მიდამოების იმ მსხვილი გლეხების მიწათმფლობელობის ოდენობა, რომელთა «პროგრესით» რიხიანი ბ-ნი ბულგაკოვი უარჰყოფდა «მარქსისტულ ცრურწმენას» კაპიტალიზმის მიერ გლეხების დაქვეითების შესახებ!

საშუალო გლეხებს ჰყავთ: 8-ს — 12 მოჯამაგირე, 14-ს — 956 დღიური მუშა (956 დღე); წვრილ გლეხებს: 2-ს — 2 მოჯამაგირე, 9-ს — 543 დღიური მუშა (დღე). წ ვ რ ი ლ გლეხთა ნახევარი ორი თვის განმავლობაში (543 : 9 = 60 დღე), ე. ი. მიწათმოქმედისთვის უაღრესად მნიშვნელოვან პერიოდში, იძულებულია გამოიყენოს დაქირავებული შრომა (ამ წვრილ გლეხებს კი, მიუხედავად უფრო მსხვილი მიწათმფლობელობისა, შეუდარებლად ნაკლები ოდენობის წარმოება აქვთ, ვიდრე იმ ფრიდრიხსტალელებს, რომელთაც ასეთი გულაჩვილებით იხსენიებდნენ ბატონი ჩერნოვები, დავიდები და ჰერცები).

მეურნეობის შედეგები ასეთია: 31 მსხვილ გლეხს აქვს 21 329 მარკა წმინდა მოგება და 2 113 მარკა დეფიციტი, ე. ი. სულ 19 216 მარკა მოგება, ანუ ერთ მეურნეობაზე 619,9 მარკა (ხოლო თუ თემებიდან №№ 20, 22 და 30 გამოვრიცხავთ 5 მეურნეობას, მაშინ — 523,5 მარკა), საშუალო მეურნეობისათვის შესაფერი თანხა იქნება 243,3 მ. (272,2 სამი თემის გამორიცხვისას), წვრილისთვის — 35,3 მარკა (37,1 სამი თემის გამორიცხვისას). ასე რომ წვრილ გლეხს ძ ლ ი ვ ძ ლ ი ვ ო ბ ი თ გ ა ა ქ ვ ს თ ა ვ ი ამ სიტყვის სრული მნიშვნე-

ლობით, და ამას ახერხებს მხოლოდ მოხმარების შემცირების წყალობით. ანკეტა გვაძლევს ცნობებს («Ergebnisse etc.» * Erhebungen-ის ** IV ტომში, S. 138) იმ უმთავრესი პროდუქტების რაოდენობის შესახებ, რომლებიც მოიხმარება თვითეულ მეურნეობაში. მოგვყავს ეს ცნობები გლეხობის ზემოხსენებული თვითეული ჯგუფისათვის საშუალოს გამოანგარიშებით:

გლეხების თანრიგები	მოხმარება ერთ კაცზე დღეში				ხარჯი ერთ კაცზე	
	პურის და სხვადასხვა ნაყოფის	კარტოფილის	ხორცის	რძის	დღეში კოლონიური საქონლის, ბეთბერის, გასაბების სხვ.	წელიწადში ტანსაცმელზე
	გირვანქა		გრამი	ლიტ.	პფენიგი	მარკა
მსხვილი გლეხები....	1,84	1,82	188	1,05	72	66
საშუალო „	1,59	1,90	111	0,95	62	47
წვრილი „	1,49	1,94	72	1,11	57	38
დღიური მუშები.....	1,69	2,14	56	0,85	51	32

აი რაგვარ ცნობებში «ვერ შეამჩნია» რიხიანმა ჰერცმა ვერც ნახევრად შიმშილობა, ვერც გაჭირვება! ჩვენ ვხედავთ, რომ წვრილი გლეხი ფრიად მნიშვნელოვნად ამცირებს თავის მოხმარებას საშუალო და მსხვილ გლეხთან შედარებით, კვებით და ჩაცმულობით თითქმის დღიურ მუშას ვერ გასცილებია. ხორცს, მაგ., ის ხმარობს ერთნახევარჯერ ნაკლებს, ვიდრე საშუალო გლეხი, და თითქმის ორჯერ ნაკლებს, ვიდრე მსხვილი გლეხი. ეს ცნობები კიდევ და კიდევ იმას მოწმობს, თუ როგორ უვარგისია ხელაღებითი შეფასება და როგორი ყალბია შემოსავლიანობის მთელი ის გამოანგარიშება, რომელიც უგულებელჰყოფს განსხვავებას ცხოვრების დონის მხრივ. მაგ., თუ ავიღებთ ჩვენი ცხრილის მხოლოდ ორ უკანასკნელ სვეტს

* — «შედეგები და სხვ.» რედ.

** — «გამოკვლევათა». რედ.

(რათა არ გავართულოთ გამოანგარიშება საკვები პროდუქტების ფულზე გადაყვანით), დავინახავთ, რომ «წმინდა მოგება» არამცთუ წვრილისა, არამედ საშუალო გლეხისაც კი ნამდვილი ფიქციაა, რომელიც შეუძლიათ წაღმა-უკუღმა ატრიალონ მხოლოდ წმინდა წყლის ბურჟუებმა, როგორიც ბრძანდებიან ჰეხტი და Klawki, ან წმინდა წყლის ვოროშილოვებმა, როგორიც ბრძანდებიან ჩვენებური კრიტიკოსები. მართლაც, თუ წარმოვიდგენთ, რომ წვრილი გლეხი ფულით შესაძენ პროდუქტებზე იმდენს ხარჯავს, რამდენსაც საშუალო გლეხი, მისი გასავალი ასეული მარკით გადიდდება, და ჩვენ მივიღებთ უდიდეს დეფიციტს. საშუალო გლეხი რომ იმდენივეს ხარჯავდეს, რამდენსაც მსხვილი გლეხი ხარჯავს, მისი გასავალი 220 მარკით გაიზრდებოდა, და საზრდოს მხრივ რომ არ «იკვეცავდეს» თავს, მასაც დეფიციტი ექნებოდა *. განა მოხმარების ეს გაუარესება წვრილი გლეხის მიერ, განუყრელად დაკავშირებული, როგორც ეს თავისთავად გასაგებია, პირუტყვის კვების გაუარესებასა და მიწის

* ბ-ნი ჩერნოვი «გვეკამათება»: განა მსხვილი მეურნე კიდევ უფრო არ ავიწროებს საზრდოსა და სხვა ხარჯების მხრივ თავის დღიურ მუშას? («რუსსკოე ბოგატსტვო», 1900 წ., № 8, გვ. 212). ეს შემოკამათება განძეორებაა ძველი, კრივენკო-ვორონცოვის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ფანდისა—ლიბერალურ-ბურჟუაზიული არგუმენტაცია შეაპარონ მარქსისტს. შემოკამათებას აზრი ექნებოდა იმ შემთხვევაში, ვინმეს რომ ეთქვა, რომ მსხვილი წარმოება უფრო მაღლა დგას არა მხოლოდ ტექნიკურად, არამედ იმიტომაც, რომ აუმჯობესებს (ანდა თუნდაც უკეთ ხდის საერთოდ) მუშაკის მდგომარეობასო. მარქსისტები ამას როდი ამბობენ. ისინი მხოლოდ ამაკარავებენ წვრილი მიწათმოქმედის მდგომარეობის შელამაზების ყალბ ოინებს — ვითომცდა აყვავების ხელაღებით დახასიათებით (ბ-ნი ჩერნოვი ჰეხტის შესახებ), ანდა «შემოსავლიანობის» გამოანგარიშებისას ძოხმარების შემცირების მიჩქმალვით. ბურჟუაზია არ შეიძლება არ ცდილობდეს ასეთ შელამაზებას, იმ ილუზიის დაცვას, თითქოს შესაძლებელია ძუშა «მეპატრონეს» გახდეს, ხოლო წვრილმა «მეპატრონემ» დიდი შემოსავალი მიიღოს. სოციალისტთა მოვალეობაა — გამოააშკარაონ ეს სიცრუე და განუმარტონ წვრილ გლეხებს, რომ მათი ერთადერთი ხსნა პროლეტარიატის რევოლუციურ მოძრაობასთან შეერთებაა.

საწარმოო ძალების არასაკმარის აღდგენასთან (ხოლო ზოგჯერ პირდაპირ განიავებასთანაც), — სავსებით არ ამტკიცებს მარქსის იმ სიტყვებს, რომელთა გამოც ასე ქედმაღლურად იჩეჩენ მხრებს თანამედროვე კრიტიკოსები: «წარმოების საშუალებათა დაუსრულებელი დაქუცმაცება და თვით მწარმოებელთა გათიშვა. ადამიანის ძალღონის უზომო განიავება. წარმოების პირობების პროგრესული გაუარესება და წარმოების საშუალებათა გაძვირება — წვრილი მიწის საკუთრების აუცილებელი კანონია» («Das Kapital», III, 2, 342 *).

ამავე ბადენის ანკეტის გამო აღვნიშნავთ ბ-ნ ბულგაკოვის კიდევ ერთ დამახინჯებას (კრიტიკოსები ერთმანეთს ავსებენ, და თუ ერთი დაამახინჯებს რომელიმე წყაროში საქმის ერთ მხარეს, მეორე — მეორე მხარეს დაამახინჯებს). ბ-ნ ბულგაკოვს არა ერთხელ მოჰყავს ციტატები ბადენის ანკეტიდან, — მაშასადამე, თითქოს იცნობს მას. და მიუხედავად ამისა ის ასეთ ოინს აკეთებს: «გლეხის განსაკუთრებული და თითქოს საბედისწერო დავალიანება, — ასე ამბობს უვერტიურა, II, 271, — წარმოადგენს იმ ერთ-ერთ მეტად უცილობელ დოგმატს მითოლოგიაში, რომელიც შეიქმნა ლიტერატურაში გლეხის მეურნეობის შესახებ»... «ჩვენს განკარგულებაში არსებულ გამოკვლევებში აღნიშნულია მხოლოდ სრულიად წვრილი, ჯერ კიდევ გაუმაგრებელი მფლობელობის (Tagelöhnerstellen) დიდი დავალიანება. ასე, მაგ., საერთო შთაბეჭდილებას ბადენის ამ ვრცელი ანკეტის ცნობების შესახებ (შენიშვნაში მითითებაა ანკეტაზე) შპრენგერი შემდეგნაირად გამოხატავს: «...მხოლოდ დღიური მუშების ნაკვეთთა და წვრილი გლეხების მფლობელობათა დავალიანება შედარებით მნიშვნელოვანია გამოკვლეული ადგილების უმეტეს ნაწილში, მაგრამ იგი უმეტეს შემთხვევაში აქაც არ არის ისე დიდი, რომ საშიშროებას წარმოადგენდეს...»» (272). საკვირველი რამაა!

* — «კაპიტალი», ტ. III, ნაწ. 2, გვ. 342 [63]. რედ.

ერთი მხრივ, დამოწმება თვით ანკეტისა, მეორე მხრივ, მოყვანა ვიღაც შპრენგერის, რომელსაც ანკეტის შესახებ დაუწერია, მხოლოდ «საერთო შთაბეჭდილებისა». საუბედუროდ შპრენგერი სტყუის (ყოველ შემთხვევაში იმ ადგილას, რომელიც ბ-ნ ბულგაკოვს მოჰყავს, თვით შპრენგერის თხზულებას კი ჩვენ არ ვიცნობთ). ანკეტის ავტორები ამტკიცებენ, რომ უმეტეს შემთხვევაში სწორედ წვრილი გლეხური მიწათმფლობელობის დავალიანება აღწევს საშიშარ ოდენობასო. ეს ერთი. ხოლო მეორე — ისინი ამტკიცებენ, რომ დავალიანების მხრივ წვრილი გლეხების მდგომარეობა არა მარტო საშუალო და მსხვილ გლეხთა მდგომარეობაზე უარესია (რაც შპრენგერმაც აღნიშნა), არამედ დღიური მუშების მდგომარეობაზეც.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ბადენის ანკეტის ავტორები აღნიშნავენ იმ უაღრესად მნიშვნელოვან ფაქტს, რომ მსხვილ მეურნეობებში დასაშვები დავალიანების საზღვარი (ე. ი. დასაშვები იმ მხრივ, რომ ის კიდევ არ ჰქმნის გაღატაკების საშიშროებას) უფრო მაღალია, ვიდრე წვრილში. მსხვილი, საშუალო და წვრილი მეურნეობის შედეგების შესახებ ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი სტატისტიკური ცნობების შემდეგ ამ გარემოებას განსაკუთრებული ახსნა-განმარტება აღარ ესაჭიროება. მსხვილ და აგრეთვე საშუალო მეურნეობის მიმართ ანკეტის ავტორებს დასაშვებად და არა სახიფათოდ (unbedenklich) მიაჩნიათ დავალიანება მიწის ღირებულების 40 — 70%-ის ფარგლებში, — საშუალოდ 55%-ის რაოდენობით. წვრილი მეურნეობის მიმართ (რომლის სიდიდეს ისინი განსაზღვრავენ მიწათმოქმედებაში 4 — 7 ha-თი, მევენახეობაში და სავაჭრო მცენარეთა გაშენების საქმეში 2 — 4 ha-თი), იმათი აზრით, «დავალიანების საზღვარი... არ უნდა აღემატებოდეს მამულის შეფასების 30%-ს, თუ ვიგულისხმებთ პროცენტების წესიერად გადახდის და ვალის დაფარვის სრულ უზრუნველყოფას» (S. 66, B. IV). გამოკვლეულ თემებში (იმ თემების გამოკლე-

ბით, სადაც Anerbenrecht-ი * მოქმედებს, მაგ., Unadingen-ისა და Neukrich-ის **) პროცენტული (მამულის შეფასების მიმართ) დავალიანება სწორად მცირდება წვრილი მეურნეობიდან დაწყებული მსხვილისაკენ. მაგ., Dittwar-ის *** თემში ¼-ჰექტარიან მეურნეობებში დავალიანების პროცენტი = =180,65%-ს; 1—2-ჰექტ.—73,07%-ს; 2—5-ჰექტ.—45,73%-ს; 5 — 10-ჰექტ. — 25,34%-ს; 10—20-ჰექტ.—3,02%-ს (S. 89 — 90, ibid.). მაგრამ მარტო ციფრები დავალიანების სიდიდის შესახებ ყველაფერს როდი გვეუბნება, და ანკეტის ავტორები ასეთ დასკვნას აკეთებენ:

«ამრიგად ზემოთ მოყვანილი ციფრები ამტკიცებენ მეტად გავრცელებულ აზრს, რომ გლეხთა მამულების ის მფლობელნი, რომელნიც დღიური მუშებისა და საშუალო გლეხების მიჯნაზე (შუაში) დგანან (სოფლად ასეთ მეურნეებს ჩვეულებრივ ეძახიან «საშუალო წოდებას» — Mittelstand), ხშირად უფრო მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან, ვიდრე მფლობელობის ოდენობის მიხედვით უმაღლესი და უდაბლესი (sic!) ჯგუფები, — იმდენად, რამდენადაც ისინი კარგად ართმევენ თავს ზომიერ დავალიანებას, როცა ეს დავალიანება არ გასცილებია გარკვეულ და არც ისე მაღალ საზღვარს, დიდი ვაივაგლახით ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს, ვინაიდან არა აქვთ საშუალება რ ე გ უ ლ ა რ უ ლ ი გარე-საშოვრები ჰქონდეთ (დღიური სამუშაოები და სხვ.) და ამით თავიანთი შემოსავალი გაადიდონ»... დღიური მუშები, «რამდენადაც მათ აქვთ თუნდაც მცირეოდენი რეგულარული გარე-საშოვრები, ხშირად საგრძნობლად უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებიან, ვიდრე ისინი, რომლებიც «საშუალო წოდებას» ეკუთვნიან, ვინაიდან, როგორც ეს გვიჩვენა გამოანგარიშებამ ძალიან ბევრ შემთხვევაში, გარე-საშოვრები ხშირად ისეთ მაღალ ნაღდ (ე. ი. ფულად) შემოსავალს იძლევა, რომ დ ი დ ი ვალების გას-

* — მემკვიდრეობითი უფლება. რ ე დ.
** — უნადინგენისა და ნეიკირხის. რ ე დ.
*** — დიტვარის. რ ე დ.

წორებაც კი შესაძლებელი ხდება» (67, 1. c.) *. და, ბოლოს, ავტორები კიდევ იმეორებენ, რომ წვრილ გლეხურ მეურნეობათა დავალიანება, დავალიანების დასაშვები საზღვრის მხრივ «რაოდენადმე მოკლებული არ არის საშიშროებას», და ამიტომ «განსაკუთრებული დიდი სამეურნეო სიფრთხილე მიწის ყიდვის დროს... აუცილებლად მართებს სწორედ წ ვ რ ი ლ გლეხურ და მათ გვერდით მყოფ დღიურად მომუშავე მოსახლეობას» (98).

აი როგორია წვრილი გლეხის ეს ბურჟუაზიული მრჩეველი! ერთი მხრივ, ის უნერგავს პროლეტარებს და ნახევრადპროლეტარებს იმედს — «პირველ თაობაში თუ არა, მეორე თაობაში» მოახერხებთ მიწის პატარა ნაკვეთის შეძენას და, თუ გულმოდგინედ იმუშავებთ და ზომიერებას დაიცავთ, «წმინდა შემოსავლის» უდიდეს პროცენტს მიიღებთო; მეორე მხრივ, სწორედ ღარიბებს ურჩევს «განსაკუთრებით დიდ სიფრთხილეს» მიწის ყიდვის დროს, თუ «რეგულარული საშოვრები» არ მოეპოვებათ, ესე-იგი თუ ბატონი კაპიტალისტები არ საჭიროებენ ბინადარ მუშებს. და ამის შემდეგ კიდევ მოიძებნებიან «კრიტიკული» მიამიტები, რომლებიც ამ ანგარებიან სიცრუეს და ამ გაცვეთილ უგვანობას ღებულობენ, როგორც სულ უახლესი მეცნიერების განაჩენს!

ჩვენს მიერ მოყვანილ დეტალურ ცნობებს მსხვილი, საშუალო და წვრილი გლეხების შესახებ, თითქოს, ბ-ნ ვ. ჩერნოვისთვისაც კი გასაგები უნდა გაეხადა, თუ სახელდობრ რა შინაარსი აქვს «წვრილბურჟუაზიულობის» იმ კატეგორიას გლეხის მიმართ, რომელიც ასეთ შიშს გვრის მას. კაპიტალისტურმა ევოლუციამ იმდენად დააახლოვა უკვე ს ა ე რ თ ო ეკონო-

* წვრილი გლეხი, — სამართლიანად ამბობენ ანკეტის ავტორები, — შედარებით ცოტას ყიდის ნაღდ ფულზე; ამავე დროს მას ფული დიდად ესაჭიროება, და კაპიტალის ნაკლებობა მეტისმეტად საგრძნობლად ხდის მისთვის პირუტყვის ყოველგვარ ჭირს, სეტყვას და სხვ.

მიური წყობილება არა მარტო დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისა ერთმანეთთან შედარებით, არამედ რუსეთისაც დასავლეთთან შედარებით, რომ გლეხური მეურნეობის ეკონომიკის ძირითადი ნიშნები გერმანიაში იგივეა, რაც რუსეთში. მხოლოდ გლეხობის დაშლის ის პროცესი, რომლის არსებობა დაწვრილებით დაამტკიცა რუსულმა მარქსისტულმა ლიტერატურამ, რუსეთში განვითარების ერთ-ერთ დაწყებითს სტადიაში იმყოფება, — იქ ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა ცოტად თუ ბევრად დასრულებულ ფორმებად, არ გამოუყვია, მაგ., მსხვილი გლეხების (Grossbauer-ების) განსაკუთრებული და ყველასათვის ერთბაშად დასანახი და გარკვეული ტიპი, იქ მასობრივი ექსპროპრიაცია და გლეხობის დიდი ნაწილის გადაშენება ჯერ კიდევ ძლიერ ჩრდილავს ჩვენი გლეხური ბურჟუაზიის «პირველ ნაბიჯებს». დასავლეთ-ევროპაში ამ პროცესმა, ჯერ კიდევ ბატონყმობის გაუქმებამდე დაწყებულმა (იხ. Kautsky, «Agrarfrage», S. 27), დიდი ხანია მიგვიყვანა უკვე, ერთი მხრივ, წოდებრივი ზღუდეების მოსპობამდე გლეხურ და «კერძომფლობელობითს» (ჩვენებურად) მეურნეობას შორის, ხოლო მეორე მხრივ, სასოფლო-სამეურნეო დაქირავებული მუშების უკვე საკმაოდ ჩამოყალიბებული კლასის შექმნამდე *. მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ეს პროცესი — რახან გამომუშავდა სოფლის მოსახლეობის ახალი ტიპების ცოტად თუ ბევრად გარკვეული ფორმები, — შეჩერდა. პირიქით, ეს პროცესი განუხრელად მიდის წინ, რასაკვირველია, ხან მეტი და ხან ნაკლები სიჩქარით, რაც სხვადასხვა უამრავ გარემოებაზეა დამოკიდებული, იღებს სულ სხვადასხვაგვარ ფორმას, სხვადასხვანაირი აგრონომიული პირობების მიხედვით და სხვა. გლეხობის პროლეტა-

* «გლეხობა, — წერს ბ-ნი ბულგაკოვი XIX საუკ. საფრანგეთის შესახებ, — ბათიშა ორ, ერთმანეთისაგან უკვე მკვეთრად განსხვავებულ, ნაწილად: პროლეტარიატად და წვრილ მესაკუთრეებად» (II, 176). ტყუილად ფიქრობს ავტორი, რომ «ბათიშვა» ამით დამთავრდა: ის წარმოადგენს განუწყვეტლივ მიმდინარე პროცესს.

რიზაცია გრძელდება, — ამას დავინახავთ ქვემოთ გერმანული სტატისტიკის მასობრივი ცნობებით, თუმცა ეს ისედაც ნათლად ჩანს წვრილი გლეხობის შესახებ უკვე ზემოთ მოყვანილი სტატისტიკური ცნობებიდან. უკვე მარტო ის ფაქტიც, რომ თანდათან იზრდება სოფლებიდან ქალაქებში არა მხოლოდ სოფლის მუშების გაქცევა, არამედ თვით გლეხებისაც, ნათლად მოწმობს პროლეტარიზაციის ზრდას. მაგრამ გლეხის გაქცევას ქალაქში აუცილებლად წინ უსწრებს მისი გაღატაკება. ხოლო გაღატაკებას წინ უძღვის თავგანწირული ბრძოლა თავისი ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის. და აი ამ ბრძოლას ნათლად გვიჩვენებს ცნობები დაქირავებული შრომის გამოყენების, «წმინდა შემოსავლის» და სხვადასხვა ტიპის გლეხთა მოხმარების ოდენობის შესახებ. ბრძოლის მთავარი საშუალება — «რკინისებური მუყაითობა» და მომჭირნეობა, მომჭირნეობა: «იმდენად პირის ავსებას არ ვცდილობთ, რამდენად ჯიბის». ბრძოლის აუცილებელი შედეგია: მდიდარ, შეძლებულ მეურნეთა უმცირესობის გამოყოფა (და მეტწილად უმნიშვნელო უმცირესობის, — სწორედ ყველა ისეთ შემთხვევაში, როცა არ არსებობს რაიმე განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები, როგორც, მაგ., დედაქალაქის სიახლოვე, რკინიგზის გაყვანა, სავაჭრო მიწათმოქმედების რომელიმე ახალი შემოსავლიანი დარგის გაჩენა და სხვ.) — და უმრავლესობის სულ უფრო და უფრო გაღატაკება, რაც ქრონიკული შიმშილობით და უზომო შრომით ანადგურებს მუშაკის ძალღონეს და აუარესებს მიწისა და პირუტყვის ხარისხს. ბრძოლის აუცილებელი შედეგია: შექმნა კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ, დაქირავებულ შრომაზე დამყარებულ, მეურნეობათა უმცირესობისა და მზარდი აუცილებლობა უმრავლესობისათვის — ეძიონ «გარესაშოვარი», ე. ი. გადაიქცნენ სამრეწველო და სამიწათმოქმედო დაქირავებულ მუშებად. ცნობები დაქირავებული შრომის შესახებ ცხადზე უცხადესად გვიჩვენებს ყოველი წვრილი მწარმოებლის წვრილ კაპიტალისტად გადაქცევის ში-

ნაგან, თანამედროვე საზოგადოებრივ წყობილებაში გარდუვალ, იმანენტურ ტენდენციას.

ჩვენთვის საკვლევად გასაგებია — რატომ არის, რომ ბურჟუაზიული ეკონომისტები, ერთი მხრივ, და ყოველი ჯურის ოპორტუნისტები, მეორე მხრივ, გაურბიან და არც შეიძლება არ გაურბოდნენ საქმის ამ მხარეს: გლეხობის დაშლა გვიჩვენებს კაპიტალიზმის **უ ა ღ რ ე ს ა დ ღ რ მ ა** წინააღმდეგობებს **თვით მათი წ ა რ მ ო შ ო ბ ი ს ა** და შემდგომი ზრდის პროცესში; ამ წინააღმდეგობათა სრულ შეფასებას აუცილებლად მივყავართ იმის აღიარებამდე, რომ წვრილი გლეხობის მდგომარეობა გამოუვალი და უიმედოა (უიმედო — გარეშე პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლისა მთელი კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ). გასაკვირველიც არ არის, რომ **სწორედ ამ**, **უაღრესად ღრმა** და **უაღრესად** განუვითარებელ, წინააღმდეგობებს აფუჩეჩებენ: ცდილობენ გვერდი აუხვიონ წვრილი გლეხების გადამეტებული შრომის და არასაკმარისი მოხმარების იმ ფაქტს, რომლის უარყოფა შეუძლიათ მხოლოდ **არაკეთილსინდისიერ** ან **უმეცარ** ადამიანებს; აბნელებენ საკითხს, რომ გლეხურ ბურჟუაზიას ჰყავს დაქირავებული მუშები, რომ ღარიბი გლეხობა დაქირავებულ შრომას ეწევა. მაგალითად, ბ-ნმა ბულგაკოვმა წარმოადგინა მთელი «ცდა აგრარული განვითარების თეორიისა», რომელშიც ის მჭევრმეტყველური დუმილით * გვერდს უვლის ორივე უკანასკნელ

* ან არანაკლებ მჭევრმეტყველური ოინებით, როგორიც არის შემდეგი: «...მიწათმოქმედებასთან მრეწველობის შეერთების ის მრავალრიცხოვანი შემთხვევა, როცა დაქირავებულ სამრეწველო მუშებს აქვთ მიწის პატარა ნაკვეთი»... წარმოადგენს «მხოლოდ და მხოლოდ დეტალს (!?) სახალხო-სამეურნეო წყობილებაში; ჯერჯერობით (?!) არავითარი საფუძველი არ არსებობს, რომ ეს მიწათმოქმედების ინდუსტრიალიზაციის ახალ გამოხატულებად, მიწათმოქმედების განვითარების დამოუკიდებლობის დაკარგვად ჩავთვალოთ, — ეს მოვლენა მეტისმეტად უმნიშვნელო ოდენობისაა (გერმანიაში, მაგ., მრეწველებზე მოდის სასოფლო-სამეურნეო ფართობის სულ 4,09%)» (sic! — II, 254 — 255). ჯერ-ერთი, მიწის უმნიშვნელო **წ ი ლ ი**, რომელსაც ასეული ათასობით მუშა ფლობს, იმას კი არ

საკითხს! «გლეხურ მეურნეობად,—ამბობს ის,—შეიძლება ჩაითვალოს ისეთი მეურნეობა, რომელიც სავსებით ან მეტწილად კმაყოფილდება გლეხის საკუთარი ოჯახის შრომით; სხვისი შრომის — მეზობლის მოხმარების ან მცირე ხნით დაქირავებული შრომის — გამოუყენებლად იშვიათ გლეხურ მეურნეობას თუ გააქვს თავი, მაგრამ ეს არ სცვლის (აბა, რა თქმა უნდა!) მის ეკონომიურ ფიზიონომიას» (I, 141). ჰერცი — ის უფრო გულუბრყვილოა და თავისი წიგნის დასაწყისშივე შენიშნავს: «წვრილ ანუ გლეხურ მეურნეობად შემდეგ მსჯელობაში მე ყოველთვის ვიგულისხმებ ისეთ მეურნეობას, რომელშიც მუშაობენ მხოლოდ მეპატრონე, მისი ოჯახი და არა უმეტეს 1 — 2 მუშისა» (S. 6, რუს. თარგ. 29). როცა საქმე ეხება «მუშაკის» დაქირავებას, მაშინ ჩვენი Kleinburger-ები სწრაფად ივიწყებენ მიწათმოქმედების სწორედ იმ «თავისებურებებს»,

---

გვიჩვენებს, რომ ეს «მოვლენა უმნიშვნელო ოდენობისაა», არამედ იმას, რომ წვრილი მიწათმოქმედი დაჩაგრული და გაპროლეტარებულია კაპიტალიზმის მიერ. ყველა მიწათმოქმედი, რომელთაც ორ ჰექტარზე ნაკლები მიწა მოეპოვებათ (თუმცა მათი რიცხვი მეტად დიდია: 3,2 მილიონი 5,5 მილიონიდან, ე. ი. 58,2%, მთელი რიცხვის თითქმის ს ა მ ი შ ე ხ უ თ ე დ ი), ფლობენ «სულ» მთელი სასოფლო-სამეურნეო ფართობის 5,6%-ს! გონებამახვილი ბ-ნი ბულგაკოვი აქედან იმას ხომ არ დაასკვნის, რომ წვრილი მიწათმფლობელობისა და მიწათმოქმედების მთელი «მოვლენა» საერთოდ მხოლოდ «დეტალს» წარმოადგენს და «მეტად უმნიშვნელო ოდენობისაა»?? 5,5 მილიონ გერმანელ მიწათმოქმედთაგან—791 ათასი, ე. ი. 14,4%, — დაქირავებული სამრეწველო მუშაა, ამასთან მათი დიდი უმეტესობა ფლობს 2 ჰექტარზე ნაკლებ მიწას, სახელდობრ 743 ათასს, რაც შეადგენს იმ მიწათმოქმედთა მთელი რიცხვის 22,9%-ს, რომელთაც 2 ჰექტარზე ნაკლები აქვთ. მეორე, ბ-ნმა ბულგაკოვმა ისევ, ჩვეულებისამებრ, დ ა ა მ ა ხ ი ნ ჯ ა მ ი ს მ ი ე რ მ ო ყ ვ ა ნ ი ლ ი ს ტ ა ტ ი ს ტ ი კ ა. მან დაუდევრობის გამო ამოიწერა გერმანული ანკეტის იმ გვერდიდან, საიდანაც მას ციტატი მოყავს («Stat. d. D. R.», 112. B. S. 49 *), დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ მრეწველ-მიწათმოქმედთა მიწის ფართობის ციფრი. ხოლო დამოკიდებული მრეწველ-მიწათმოქმედნი (ე. ი. დაქირავებული სამრეწველო მუშები) ფლობენ ს უ ლ სასოფლო-სამეურნეო ფართობის 1,84%-ს. 791 ათასი დაქირავებული მუშა ფლობს ფართობის 1,84%-ს, ხოლო 25 ათასი მემამულე — ფართობის 24%-ს. მართლაც, რა უმნიშვნელო «დეტალია»?

რომელთაც ისინი იმოწმებენ მიუხედავად იმისა, საჭიროა ეს თუ არა. მიწათმოქმედებაში 1 — 2 მუშა, — თუნდაც ისინი მხოლოდ ზაფხულში მუშაობდნენ, — სრულიადაც ცოტა არ არის. ხოლო მთავარი ის კი არ არის, ბევრია ეს თუ ცოტა, არამედ ის, რომ მუშებს ქირაობენ სწორედ უფრო შეძლებული, მდიდარი მეურნენი, რომელთა «პროგრესსა» და «აყვავებას» მეშჩანობის რაინდები მოსახლეობის მასის აყვავებად ასაღებენ. ხოლო უფრო სარწმუნო დასაბუთების ელფერი რომ მისცენ ასეთ დამახინჯებას, ეს რაინდები მაღალფარდოვნად აცხადებენ: «გლეხიც ისეთივე მუშა კაცია, როგორც პროლეტარი» (ბულგაკოვი, II, 288). და ავტორი კმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ «მუშათა პარტიები სულ უფრო და უფრო კარგავენ წინათ მათთვის დამახასიათებელ (წინათ დამახასიათებელ!) გლეხების მოძულეობის ელფერს» (289). ამ «წინანდელი» შეხედულების დროს, თურმე, «მხედველობაში არ იღებდნენ იმ გარემოებას, რომ გლეხური საკუთრება ექსპლოატაციის იარაღი კი არ არის, არამედ შრომის გამოყენების პირობაა». აი როგორ იწერება ისტორია! ჩვენ პირდაპირ აღარ ძალგვიძს თავი შევიკავოთ და არ ვთქვათ: დაამახინჯეთ, ბატონებო, მაგრამ ზომიერება მაინც დაიცავით! განა თვით ბ-ნი ბულგაკოვი არ იყო, ორტომიანი «გამოკვლევა» რომ დასწერა, რვაასგვერდიანი, სავსე «ციტატებით» (რომელთა სისწორე ჩვენ არა ერთხელ გვიჩვენებია) ყველა და ყოველგვარი ანკეტიდან, აღწერიდან, მონოგრაფიიდან და სხვ., მაგრამ ერთხელაც, სწორედ რომ ერთხელაც, ის არც კი ცდილა განეხილა, რა დამოკიდებულებაში არიან ის გლეხები, რომელთა საკუთრება ექსპლოატაციის იარაღს წარმოადგენს, იმ გლეხებისადმი, რომელთა საკუთრება «მხოლოდ» შრომის გამოყენების იარაღია. მას ერთხელაც არ მოუყვანია სისტემატური ცნობები (რომლებიც, როგორც დავინახეთ, მოიპოვება იმ წყაროებშიც, საიდანაც თვითონვე მას მოჰყავს ციტატები) იმის შესახებ, თუ რა ტიპის მეურნეობას ეწევიან, ცხოვრების რა დონეზე დგანან და სხვა ის გლეხები, რომლებიც მუშებს

ქირაობენ, გლეხები, რომლებიც არც ქირაობენ და არც ქირავდებიან, და ის გლეხები, რომლებიც მუშებად ქირავდებიან. ეს კიდევ არაფერი. ჩვენ დავინახეთ, როგორ იმოწმებდა ის «გლეხური მეურნეობის» (ს ა ე რ თ ო დ გლეხური მეურნეობის!) «პროგრესის» დასამტკიცებლად ისეთ ფაქტებს, რომლებიც შეეხება გროსბაუერებს, ისეთ დახასიათებებს, რომლებიც ადასტურებენ როგორც ერთთა პროგრესს, ისე მეორეთა გალატაკებას და პროლეტარიზაციას. ის საერთოდ «სოციალურ გაჯანსაღებასაც» (sic!) კი ხედავს «წელმაგარ გლეხურ მეურნეობათა» შექმნაში (II, 138; შეად. საერთო დასკვნა 456-ე გვ.), თითქოს წელმაგარი გლეხური მეურნეობა ბურჟუაზიული, სამეწარმეო გლეხური მეურნეობის სინონიმი არ იყოს! მისი ერთადერთი ცდა — თავი დააღწიოს ამ წინააღმდეგობათა ხლართს, მდგომარეობს შემდეგს, კიდევ უფრო არეულ-დარეულ, მსჯელობაში: «გლეხობა, რა თქმა უნდა, არ წარმოადგენს ერთგვაროვან მასას; ეს ზემოთ იყო ნაჩვენები (ალბათ, მსჯელობაში ისეთს უმნიშვნელო დეტალზე, როგორიცაა მიწათმოქმედთა დაქირავებული შრომა მრეწველობაში?); აქ წარმოებს ორი მიმდინარეობის მუდმივი ბრძოლა: დიფერენციაციის და გათანაბრების; მაგრამ ეს განსხვავებანი და ცალკეულ ინტერესთა წინააღმდეგობანიც კი განა უფრო მეტია, ვიდრე მუშათა კლასის ცალკეულ ფენებს შორის, ქალაქისა და სოფლის მუშებს შორის, კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ შრომას შორის, ტრედ-უნიონისტებსა და პროფესიულ ორგანიზაციებს გარეთ მყოფთა შორის? მუშათა წოდებაში არსებულ სწორედ ამ განსხვავებათა სრული უგულებელყოფა (განსხვავებათა, რომლებმაც ზოგიერთ მკვლევარს აფიქრებინა განასხვაოს მეოთხე წოდებისაგან კიდევ მეხუთე წოდებაც) იძლეოდა საშუალებას ვითომ-ერთგვაროვანი მუშათა კლასი დაეპირისპირებინათ სხვადასხვაგვაროვანი გლეხობისთვის» (288). ანალიზის რა შესანიშნავი სიღრმეა! პროფესიებს შორის არსებულ განსხვავებათა არევა კლასთა შორის არსებულ განსხვავებაში; საყოფაცხოვრებო განსხვავებათა

არევა კლასთა სხვადასხვა მდგომარეობასთან საზოგადოებრივი წარმოების მთელ წყობაში, — რა ნათლად გვისურათებს ეს ახალმოდის «კრიტიკის» * სრულ მეცნიერულ უპრინციპობას და მის პრაქტიკულ ტენდენციას — წაშალოს თვით «კლასის» ცნება, გააქარწყლოს თვით კლასთა ბრძოლის იდეა. სოფლის მუშა იღებს 50 კაპ. დღეში; მეურნე გლეხი, რომელსაც დღიური მუშები ჰყავს დაქირავებული, — 1 მანეთს დღეში; ქარხნის მუშა დედაქალაქში — 2 მანეთს დღეში; პროვინციის სახელოსნოს წვრილი მეპატრონე 1½ მანეთს დღეში. ყოველი ცოტად თუ ბევრად შეგნებული მუშა სულ ადვილად გაერკვევა იმაში, თუ რომელ კლასებს ეკუთვნიან ეს სხვადასხვა «ფენის» წარმომადგენელნი, რა მიმართულებისა იქნება ამ «ფენათა» საზოგადოებრივი მოღვაწეობა. ხოლო საუნივერსიტეტო მეცნიერების წარმომადგენლისთვის ან თანამედროვე «კრიტიკოსისთვის» ეს ისეთი დიდი სიბრძნეა, რომელსაც ისინი ვერასგზით ვერ დაიტევენ.

---

* მოგაგონებთ, რომ მუშათა კლასის მ ო ჩ ვ ე ნ ე ბ ი თ ს ერთგვაროვნობაზე მითითება ედ. ბერნშტეინისა და ყველა მისი მომხრის გაცვეთილი საბუთია. ხოლო «დიფერენციაციაზე» ჯერ კიდევ ბ-ნი სტრუვე თავის «კრიტიკულ შენიშვნებში» ღრმააზროვნად მსჯელობდა: არის დიფერენციაცია, არის ნიველირებაც, ობიექტური მკვლევარისთვის ეს თანაბარი მნიშვნელობის პროცესებია (როგორც შჩედრინის ობიექტური ისტორიკოსისთვის ხულ ერთი იყო — იზიასლავმა დაამარცხა იაროსლავი, თუ იაროსლავმა იზიასლავი) [84]. არის ფულადი მეურნეობის განვითარება, მაგრამ არის აგრეთვე ნატურალური მეურნეობისაკენ მობრუნებაც. არის მსხვილი საფაბრიკო წარმოების განვითარება, მაგრამ არის აგრეთვე შინა-კაპიტალისტური მეშაობის განვითარებაც (ბულგ., II, 88: «Hausindustrie (შინამრეწველობა. რ ე დ.)... ჯერაც არ ფიქრობს დაღუპვას გერმანიაში»). «ობიექტურმა» მეცნიერმა გულმოდგინედ უნდა აგროვოს პატარა-პატარა ფაქტები, აღნიშნოს «ერთი მხრივ» და «მეორე მხრივ», «გადავიდეს (მსგავსად გოეთეს ვაგნერისა) წიგნიდან წიგნზე, ფურცლიდან ფურცელზე» და სრულიადაც არ უნდა ცდილობდეს იმას, რომ შეიმუშაოს თავისთვის თანამიმდევარი შეხედულებანი და გამოიმუშაოს ზოგადი წარმოდგენა მთელ **პროცესზე საერთოდ**.

VIII

გერმანიის 1882 და 1895 წლების სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკის საერთო მონაცემები. საშუალო მეურნეობათა საკითხი

ჩვენ განვიხილეთ დეტალური ცნობები გლეხური მეურნეობის შესახებ, — განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ჩვენთვის იმიტომ, რომ თანამედროვე აგრარული საკითხის სიმძიმის ცენტრი სწორედ გლეხური მეურნეობის საკითხებია, — ახლა შევეხებით გერმანიის სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკის საერთო ცნობებს და შევამოწმებთ ამ ცნობებთან დაკავშირებულ «კრიტიკოსების» დასკვნებს. მოგვყავს მოკლედ 1882 და 1895 წლების აღწერათა მთავარი შედეგები:

მეურნეობათა ჯგუფები	მეურნეობათა რიცხვი (ათასობით)		სასოფ.-სამ. ფართობი (ათასი ha)		შედარებითი რიცხვ.				აბსოლუტური მატება ან კლება რიცხვისა	
					მეურნეობ.		ფართობ.			
	1882	1895	1882	1895	1882	1895	1882	1895	მეურნ.	ფართ.
2 ha-მდე	3 062	3 236	1 826	1 808	58,0	58,2	5,7	5,6	+174	— 18
2 — 5 „	981	1 016	3 190	3 286	18,6	18,3	10,0	10,1	+ 35	+ 96
5 — 20 „	927	999	9 158	9 722	17,6	18,0	28,7	29,9	+ 72	+564
20 —100 „	281	282	9 908	9 870	5,3	5,1	31,1	30,3	+ 1	— 38
100 და მეტი ha	25	25	7 787	7 832	0,5	0,4	24,5	24,1	± 0	+ 45
სულ	5 276	5 558	31 869	32 518	100	100	100	100	+282	+649

ცვლილებათა ამ სურათთან დაკავშირებით უნდა გავარჩიოთ სამი გარემოება, რომელთაც სხვადასხვანაირად ხსნიან მარქსისტები და «კრიტიკოსები»: უაღრესად წვრილ მეურნეობათა რიცხვის ზრდა, ზრდა ლატიფუნდიებისა, ე. ი. ისეთ მეურნეობათა, რომელთაც 1 000 და მეტი ჰექტარი უჭირავთ და ჩვენს პატარა ცხრილში შეერთებული არიან ყველა იმ მეურნეობასთან, რომელთაც ასზე მეტი ჰექტარი უჭირავთ, და, დასასრულ, რაც ყველაზე მეტ დავას იწვევს და ყველაზე

მეტად გვხვდება თვალში — საშუალო გლეხთა მეურნეობების (5 — 20 ha) რიცხვის ზრდის ფაქტი.

უაღრესად წვრილ მეურნეობათა რიცხვის ზრდა სიღატაკისა და პროლეტარიზაციის უდიდესი ზრდის მაჩვენებელია, ვინაიდან ისეთ მეურნეთა დიდ უმეტესობას, რომელნიც ორ ჰექტარზე ნაკლებს ფლობენ, მხოლოდ მიწათმოქმედებით არსებობა არ შეუძლიათ და სხვა საშოვრით, ე. ი. ქირაზე მუშაობით გააქვთ თავი. გამონაკლისი არის, რა თქმა უნდა; როცა სპეციალურ კულტურებს მისდევენ — მევენახეობას, მებოსტნეობას, სავაჭრო-სამრეწველო მცენარეთა თესვას, საგარეუბნო მეურნეობას საერთოდ და სხვ., მაშინ შესაძლოა დამოუკიდებელი (ზოგჯერ არა წვრილი) მიწათმოქმედი 1½ ჰექტარზედაც. მაგრამ 3 მილიონი მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს საერთო ჯამში — ეს სრულიად უმნიშვნელო გამონაკლისია. ამ წვრილ «მიწათმოქმედთა» (რომლებიც მეურნეთა მთელი რიცხვის თითქმის ³/₅ შეადგენენ) დიდი ნაწილი რომ დ ა ქ ი რ ა ვ ე ბ უ ლ ი მ უ შ ე ბ ი ა, ეს აშკარად ჩანს გერმანული სტატისტიკის ცნობებიდან სხვადასხვა ჯგუფის მიწათმოქმედთა პროფესიის შესახებ. აი ეს ცნობები შემოკლებული სახით:

მ ი წ ა თ- მ ო ქ მ ე დ თ ა ჯ გ უ ფ ე ბ ი	სოფლის მეურნეები მ თ ა ვ ა რ ი საქმიანობის მიხედვით (%-ად)					დამოუკიდებელ სოფლის მეურნეთაგან დამხმარე საქმიანობასაც მისდევენ (%)
	დამოუკიდებელი		არადამოუკიდებელი შრომა	სხვა საქმიანობა	ს უ ლ	
	მიწათმოქმედება	ვაჭრობა და სხვ.				
2 ha-დე	17.4	22,5	50,3	9,8	100	26,1
2 — 5 „	72,2	16,3	8,6	2,9	100	25,5
5 — 20 „	90,8	7,0	1,1	1,1	100	15,5
20 —100 „	96.2	2,5	0,2	1,1	100	8,8
100 და მეტი ha	93.9	1,5	0,4	4,2	100	28,5
ს უ ლ	45,0	17,5	31,1	6,4	100	20,1

აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ გერმანიის მიწათმოქმედთა მთელი რიცხვიდან მხოლოდ 45%, ე. ი. ნახევარზე ნაკლები, წარმოადგენს დამოუკიდებელ მიწათმოქმედთ თავისი მთავარი საქმიანობის მიხედვითაც. მაგრამ ამ დამოუკიდებელ მიწათმოქმედთა შორისაც მეხუთედს (20,1%) კიდევ აქვს დამხმარე საქმიანობა. მიწათმოქმედთა 17,5% თავისი მთავარი საქმიანობის მიხედვით შეადგენენ ვაჭრები, მრეწველნი, მებოსტნენი და სხვ. («დამოუკიდებელნი», ე. ი. რომელთაც სათანადო დარგში მეპატრონეთა და არა მუშების მდგომარეობა აქვთ). თითქმის მესამედი (31,3%) — დაქირავებული მუშებია («არადამოუკიდებელნი» მიწათმოქმედების და მრეწველობის ყველა დარგში). მიწათმოქმედთა 6,4% უმთავრესად მოსამსახურენი არიან (სამხედრო მოსამსახურენი, მოხელეები და სხვ.), თავისუფალ პროფესიას და სხვ. საქმიანობას ეწევიან. ხოლო იმ მიწათმოქმედთა რიცხვიდან, რომელთაც აქვთ ორ ჰექტარამდე, ნახევარი დაქირავებული მუშებია; «დამოუკიდებელი» მიწათმოქმედნი ამ 3,2 მილიონ «მეურნეთა» შორის უმნიშვნელო უმცირესობაა, მთელი რიცხვის სულ 17,4%. და თვით ამ 17%-დან მეოთხედი (26,1%) დამხმარე საქმიანობას ეწევა, ე. ი. დაქირავებული მუშები არიან არა თავიანთი მთავარი საქმიანობის მიხედვით (როგორც ზემოაღნიშნული 50,3%), არამედ დამხმარე საქმიანობის მიხედვით. იმ მიწათმოქმედთა რიცხვიდანაც კი, რომელთაც 2 — 5-მდე ჰექტარი აქვთ, მხოლოდ ნახევარზე ცოტათი მეტია (546 ათასი 1 016 ათასიდან) დამოუკიდებელი მიწათმოქმედნი, რომელნიც არავითარ დამხმარე საქმიანობას არ ეწევიან.

აქედან ჩანს, რა ზომამდე საოცრად ყალბად გვიხატავს საქმის ვითარებას ბ-ნი ბულგაკოვი, როცა ის გვიმტკიცებს (თანაც, როგორც ეს უკვე ნაჩვენები იყო, შემცდარად) იმ პირთა საერთო რაოდენობის ვადიდებას, რომლებიც მართლაც მიწათმოქმედებას ეწევიან და ამას ხსნის «დამოუკიდებელ მეურნეობათა ზრდით, — როგორც უკვე ვიცით, უწინა-

რეს ყოვლისა საშუალო გლეხურ მეურნეობათა ზრდით მსხვილ მეურნეობათა ხარჯზე» (II, 133). თუ მეურნეობათა საერთო რიცხვში საშუალო გლეხურ მეურნეობათა რიცხვის წილი ყველაზე მეტად გაიზარდა (17,6%-დან 18%-მდე, ე. ი. + 0,4%), ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, თითქოს სოფლის მოსახლეობის ზრდა უნდა აიხსნას უწინარეს ყოვლისა საშუალო გლეხურ მეურნეობათა ზრდით. იმ კითხვის პასუხად, თუ რომელმა თანრიგებმა გამოიწვიეს მეურნეთა საერთო რიცხვის ყველაზე მეტად გადიდება, ჩვენ მოგვეპოვება პირდაპირი და ყოველგვარ ორაზროვნებას მოკლებული ცნობები: მეურნეობათა მთელი რიცხვი გადიდდა 282 ათასით, მათ შორის ისეთ მეურნეობათა რიცხვი, რომელთაც ორ ჰექტარამდე აქვთ, გადიდდა 174 ათასით. მაშასადამე, სოფლის მოსახლეობის ზრდა (თუ ეს მართლაც არის და რამდენადაც ეს არის) აიხსნება სწორედ არადამოუკიდებელ მეურნეობათა გადიდებით (ვინაიდან ისეთი მეურნეობანი, რომელთაც 2 ჰექტარამდე მიწა აქვთ, მეტწილად მოკლებული არიან დამოუკიდებლობას). ყველაზე მეტად დიდდება პარცელური მეურნეობანი, რომელთა ზრდა პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ზ ა ც ი ი ს ზრდას ნიშნავს. თვით ისეთ მეურნეობათა გადიდებაც კი (35 ათასით), რომელთაც 2-დან 5-მდე ჰექტარი აქვთ, არ შეგვიძლია მთლიანად დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ მეურნეობათა ზრდად ჩავთვალოთ, ვინაიდან ამ მეურნეთაგანაც მხოლოდ 546 ათასია 1 016 ათასიდან — დამოუკიდებელი მიწათმოქმედი, რომელთაც დამხმარე საშოვარი არა აქვთ.

გადავდივართ რა მსხვილ მეურნეობათა საკითხზე, უწინარეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ შემდეგი დამახასიათებელი (და ყოველგვარი აპოლოგეტიკის გასაბათილებლად ფრიად მნიშვნელოვანი) ფაქტი: მიწათმოქმედების შეერთებას სხვა საქმიანობასთან სხვადასხვა და ერთიმეორის საწინააღმდეგო მნიშვნელობა აქვს მიწათმოქმედთა სხვადასხვა ჯგუფში. წვრილ მიწათმოქმედთათვის ეს ნიშნავს პროლეტარიზაციას, მიწათმოქმედის დამოუკიდებლობის შემცირებას, ვინაიდან

აქ მიწათმოქმედებას უერთდება ისეთი საქმიანობა, როგორიცაა დაქირავებული მუშაობა, წვრილი ხელოსნობა, ვაჭრობა და სხვ. მსხვილ მიწათმოქმედთათვის ეს ნიშნავს ან მსხვილი მიწათმფლობელობის პოლიტიკური მნიშვნელობის გაძლიერებას სახელმწიფო, სამხედრო და სხვ. სამსახურის საშუალებით, ან მიწათმოქმედებასთან სატყეო მეურნეობისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკურ წარმოებათა შეერთებას. ხოლო ეს უკანასკნელი მოვლენა, როგორც ცნობილია, — მიწათმოქმედების კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი პროგრესის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. აი რატომ ვხედავთ ჩვენ, რომ იმ მიწათმოქმედთა პროცენტი, რომლებიც «დამოუკიდებელ» სოფლის მეურნეობას თავის მთავარ საქმიანობად თვლიან (ე. ი. ეწევიან მას როგორც მეპატრონე და არა როგორც მუშა), სწრაფად დიდდება მეურნეობის ფართობის გადიდებასთან ერთად (17 — 72 — 90 — 96%), ხოლო ეცემა 93%-მდე იმ მეურნეობათა ჯგუფში, რომლებსაც 100 და მეტი ჰექტარი მიწა აქვთ: ამ ჯგუფში მეურნეთა 4,2% თავის მთავარ საქმიანობად თვლის სამსახურს («სხვა საქმიანობათა თანრიგი»), მეურნეთა 0,4% თავის მთავარ საქმიანობად თვლის «არადამოუკიდებელ» შრომას (ესენი არიან არა დაქირავებული მუშები, არამედ მმართველები, ინსპექტორები და სხვ.; შეად. «Stat. d. D. R.», 112. B., S. 49). სწორედ ასევე ვხედავთ, რომ ისეთ დამოუკიდებელ მიწათმოქმედთა პროცენტი, რომელნიც დამხმარე საქმიანობასაც ეწევიან, სწრაფად ეცემა მეურნეობის ფართობის გადიდებასთან ერთად (26 — 25 — 15 — 9%), მაგრამ ძლიერ დიდდება ისეთ მეურნეთა შორის, რომელთაც 100 და მეტი ჰექტარი აქვთ (23%).

რაც შეეხება მსხვილ მეურნეობათა რიცხვს (100 და >* ha) და მათ ფართობს, ზემოთ მოყვანილი ცნობები გვიჩვენებენ მათი წილის შ ე მ ც ი რ ე ბ ა ს როგორც მე-

---

* — მეტი. რ ე დ.

ურნეობათა საერთო რიცხვში, ისე საერთო ფართობში. კითხვა იბადება, შეიძლება თუ არა აქედან დავასკვნათ, თითქოს წვრილი და საშუალო გლეხური მეურნეობა აძევებს მსხვილს, როგორც ბ-ნი ბულგაკოვი ჩქარობს ასეთი დასკვნის გაკეთებას? ჩვენ ვფიქრობთ, რომ არ შეიძლება, და რომ ბ-ნმა ბულგაკოვმა თავისი გაჯავრებული კამათით კაუტსკის წინააღმდეგ ამ პუნქტის გამო მხოლოდ ის დაამტკიცა, რომ უნარი არ შესწევს არსებითად უარჰყოს კაუტსკის შეხედულება. ჯერ-ერთი, მსხვილ მეურნეობათა წილის შემცირება მეტად პატარაა (მეურნეობათა რიცხვის მხრივ 0,47%-დან 0,45%-მდე, ე. ი. ორი მეასედი პროცენტით, ხოლო ფართობის წილის მხრივ 24,43%-დან 24,088%-მდე, ე. ი. 35 მეასედი პროცენტით). მეურნეობის ინტენსიფიკაციის დროს ზოგჯერ რომ საჭირო ხდება მიწის ფართობის რაოდენადმე შემცირება, რომ მსხვილი მეურნენი პატარ-პატარა ნაკვეთებად აძლევენ იჯარით მამულის ცენტრიდან დაშორებულ მიწას, რათა თავისთვის მუშები იშოვონ, — ეს საყოველთაოდ ცნობილი მოვლენაა. ზემოთ ჩვენ დავინახეთ, თუ აღმოსავლეთ პრუსიის მსხვილ და წვრილ მეურნეობათა დეტალური აღწერის ავტორი როგორ პირდაპირ აღიარებს წვრილი მიწათმფლობელობის სამსახურებრივ როლს მსხვილის მიმართ და გულმოდგინედ გვირჩევს ბინადარი მუშების შექმნას. მეორე მხრივ, წვრილ მეურნეობათა მიერ მსხვილ მეურნეობათა გაძევების შესახებ ლაპარაკიც შეუძლებელია, რადგან მარტო ცნობები მეურნეობის ფართობის შესახებ კიდევ არ კმარა წარმოების სიდიდეზე მსჯელობისათვის. ხოლო ამ მხრივ მსხვილმა მეურნეობებმა რომ დიდი ნაბიჯი გადადგეს წინ, ამას უარყევად ამტკიცებს ცნობები მანქანების ხმარების შესახებ (იხ. ზემოთ) და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკურ წარმოებათა შესახებ (ამ ცნობებს ჩვენ ქვემოთ ცალკე გავარჩევთ, ვინაიდან ბ-ნი ბულგაკოვი საოცარი სიყალბით ხსნის გერმანული სტატისტიკის საამისო ცნობებს). მესამე, 100 და მეტ ჰექტარიან მეურნეობათა

ჯგუფში განსაკუთრებით გამოიყოფიან ლ ა ტ ი ფ უ ნ დ ი ე-ბ ი, 1 000 და > ჰექტარიანი მეურნეობანი, რომელთა რიცხვი მეტი პროცენტითაც კი გაიზარდა, ვიდრე საშუალო გლეხურ მეურნეობათა რიცხვი, სახელდობრ 515-დან 572-მდე, ე. ი. 11%-ით, მაშინ როცა საშუალო გლეხური მეურნეობანი 926 ათასიდან 998 ათასამდე, ე. ი. 7,8%-ით გადიდდა. ლატიფუნ-დიების ფართობი გ ა ი ზ ა რ დ ა 708 ათასი ჰექტარიდან 802 ათასამდე, ე. ი. 94 ათასი ჰექტარით: 1882 წელს იგი შეად-გენდა მთელი სასოფლო-სამეურნეო ფართობის 2,22%-ს, ხოლო 1895 წელს უკვე 2,46%-ს. ბ-ნი ბულგაკოვი «ნაჩალო-ში» მოთავსებულ თავის უსაფუძვლო პასუხს კაუტსკისადმი ამ პუნქტის გამო ახლა ავსებს თავის წიგნში შემდეგი, კიდევ უფრო მეტად უსაფუძვლო, განზოგადებით: «დამახასიათებელი ნიშანი, — წერს ის, — რომელიც მოწმობს მსხვილ მეურნეო-ბათა დაცემას, არის... ლატიფუნდიების გადიდება, თუმცა სოფლის მეურნეობის პროგრესს, მისი ინტენსივობის ზრდას თან უნდა ახლდეს დაქუცმაცება» (II, 126) — და ბ-ნი ბულ-გაკოვი სრულიად წარბშეუხრელად ლაპარაკობს მსხვილი მეურნეობის უკვე პირდაპირ «ლატიფუნდიურ (!) გადაგვა-რებაზე» (II, 190, 363). ხედავთ, როგორ შესანიშნავად ლო-გიკურად მსჯელობს ჩვენი «მეცნიერი»: რ ა დ გ ა ნ ა ც მე-ურნეობის ფართობის შემცირება ზ ო გ ჯ ე რ ნიშნავს, ინტენსიფიკაციის დროს, წარმოების ზრდას, ა მ ი ტ ო მ ლა-ტიფუნდიების რიცხვის და მათი ფართობის გადიდება ს ა-ე რ თ ო დ მათს დაცემას უნდა ნიშნავდესო! მაგრამ თუ ასე უვარგისია ლოგიკა, რატომ არ უნდა მივმართოთ დახმარები-სათვის სტატისტიკას? ჩვენ ხომ იმავე წყაროში, რომლითაც ბ-ნი ბულგაკოვი სარგებლობს, გვაქვს მთელი რიგი ცნობები ამ ლატიფუნდიების მეურნეობის შესახებ. მოვიყვანოთ ზო-გიერთი ამ ცნობათაგანი: 572 უდიდეს მეურნეობას 1895 წელს ეჭირა 1 159 674 ჰექტარი ფართობი, მათ შორის 802 ათასი სასოფლო-სამეურნეო, 298 ათასი სატყეო (ლატიფუნ-დიების ამ მეპატრონეთა ერთი ნაწილი უმთავრესად ტყის

მრეწველნი არიან და არა სოფლის მეურნენი). მათში პირუტყვი ჰყავს საერთოდ 97,9%-ს; მუშა პირუტყვი—97,7%-ს; მანქანებს იყენებს 555 მეურნე და ერთ მეურნეობაზე მოდის, როგორც დავინახეთ, სხვადასხვა მანქანის გამოყენების შემთხვევათა მაქსიმალური რიცხვი; ორთქლის გუთანს იყენებდა 81 მეურნეობა, ე. ი. ყველა ლატიფუნდიის 14%. პირუტყვი მათ ჰყავთ — რქიანი — 148 678 სული, ცხენი — 55 591, ცხვარი — 703 813, ღორი — 53 543. ამ მეურნეობათაგან შაქრის ქარხნებთან შეერთებულია — 16, არაყისსახდელ ქარხნებთან — 228, ლუდსახდელ ქარხნებთან — 6, სახამებლის ქარხნებთან — 16, წისქვილებთან — 64. მათი ინტენსიფიკაცია შეგვიძლია წარმოვიდგინოთ იმით, რომ 211 მეურნეობას მოჰყავს ჭარხალი (26 ათას ჰექტარზე) და 302-ს კარტოფილი ტექნიკურად გადამუშავებისათვის. 21 ასაღებს რძეს ქალაქებში (1 882 ძროხისაგან, ე. ი. 87 ძროხა 1 მეურნეობაზე) და 204 მონაწილეობას იღებს მერძევეობის ამხანაგობებში (რომელთაც ჰყავთ 18 273 ძროხა — 89 ერთ მეურნეობაზე). განა ეს ჰგავს «ლატიფუნდიურ გადაშენებას»?

გადავდივართ საშუალო გლეხურ მეურნეობათა საკითხზე (5 — 20 ჰექტ.). მათი წილი მეურნეობათა საერთო რიცხვში გაიზარდა 17,6%-დან 18,0%-მდე (+ 0,4%), ხოლო საერთო ფართობის მიხედვით 28,7%-დან 29,9%-მდე (+1,2%). და აი ეს ცნობები, სრულიად ბუნებრივად, მიაჩნია თავის მთავარ საბუთად «მარქსიზმის» ყველა და ყოველგვარ «გამანადგურებელს». ბ-ნ ბულგაკოვს აქედან გამოჰყავს «წვრილი მეურნეობის მიერ მსხვილის გაძევებაც», «დეცენტრალიზაციისადმი მისწრაფებაც» და სხვ. და სხვ.. ზემოთ ჩვენ ცხადვყავით, რომ სწორედ «გლეხობის» მიმართ შეუმოწმებელი ცნობები განსაკუთრებით გამოუსადეგარია, განსაკუთრებით მათ შეუძლიათ შეცდომაში შეყვანა: სწორედ აქ წვრილ სამეწარმეო მეურნეობათა შექმნის პროცესებს და გლეხური ბურჟუაზიის «პროგრესებს» ყველაზე მეტად შეუძლიათ მიჩქმალონ უმრავლესობის პროლეტარიზაცია და გაღატაკება.

და თუ ჩვენ საერთოდ გერმანიის მთელი სოფლის მეურნეობის მიმართ ვხედავთ, ერთი მხრივ, მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობის უეჭველ განვითარებას (ლატიფუნდიების ზრდას, მანქანების გამოყენებისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკურ წარმოებათა განვითარებას), ხოლო, მეორე მხრივ, პროლეტარიზაციისა და გაღატაკების კიდევ უფრო უეჭველ გაძლიერებას (ქალაქებში გაქცევა, მიწის დაქუცმაცების გაძლიერება, პარცელურ მეურნეობათა რიცხვის ზრდა, დამხმარე დაქირავებული შრომის ზრდა, წვრილ გლეხთა კვების გაუარესება და სხვ.), — პირდაპირ წარმოუდგენელი და შეუძლებელი იქნებოდა, რომ იგივე პროცესები არ ხდებოდეს «ვლეხობაში». და დეტალური ცნობებიც ამ პროცესებზე მიგვითითებენ სრული გარკვეულობით და ადასტურებენ იმ აზრს, რომ მარტო ფართობის სტატისტიკა ამ შემთხვევაში სრულიად არ კმარა. ამიტომ სრულიად მართალი იყო კაუტსკი, როცა გერმანიის სოფლის მეურნეობის კაპიტალისტური განვითარების საერთო სურათის მიხედვით დაასკვნა, რომ ამ ცნობებიდან წვრილი წარმოების მსხვილ წარმოებაზე გამარჯვების დასკვნის გამოყვანა უსაფუძვლოაო.

მაგრამ არსებობს აგრეთვე პირდაპირი და თანაც მასობრივი ცნობები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ «საშუალო გლეხურ მეურნეობათა» ზრდა ნიშნავს გ ა ჭ ი რ ვ ე ბ ი ს ზ რ დ ა ს და არა დოვლათისა და კეთილდღეობის ზრდას. ეს სწორედ ის ცნობებია მუშა პირუტყვის შესახებ, რომელთაც ასე უხეიროდ მიუდგა ბ-ნი ბულგაკოვი «ნაჩალოშიც» და თავის წიგნშიც. «საჭირო რომ იყოს კიდევ ამის მტკიცება, — წერდა ბ-ნი ბულგაკოვი, როცა ამტკიცებდა საშუალო მეურნეობის პროგრესს და მსხვილის დაცემას, — მაშინ სამუშაო ძალის რაოდენობის ნიშანს შეიძლება დავურთოთ კიდევ არსებული მუშა პირუტყვის რაოდენობის ნიშანი. აი მჭევრმეტყველური ცხრილი» *:

* ჩვენ მთლიანად მოვიყვანეთ ბ-ნ ბულგაკოვის ცხრილი, დავურთეთ რა მხოლოდ ჯამის ციფრები, რომლებიც მას არა აქვს მოყვანილი.

	მეურნეობათა რიცხვი, რომელთაც ჰყავდათ პირუტყვი მინდვრად მუშაობისათვის 1882	1895	განსხვავება
0 — 2 ha	325 005	306 340	— 18 665
2 — 5 „	733 967	725 584	— 8 383
5 — 20 „	894 696	925 103	+ 30 407
20 —100 „	279 284	275 220	— 4 064
100 და მეტი ha	24 845	24 485	— 360
ს უ ლ	2 257 797	2 256 732	— 1 065

«იმ მეურნეობათა რაოდენობა, რომელთაც ჰყავდათ მუშა პირუტყვი, თანაბრად შემცირდა როგორც მსხვილ, ისე წვრილ მეურნეობაში, და გაიზარდა მხოლოდ საშუალოში» (ჟურნალი «ნაჩალო» № 1, გვ. 20).

კიდევ ეპატიებოდა ბ-ნ ბულგაკოვს, რომ მას სახელდახელოდ ჟურნალისთვის დაწერილ სტატიაში მოსვლოდა ის შეცდომა, რომელმაც გამოიწვია ამ ცნობებიდან მუშა პირუტყვის შესახებ ს წ ო რ ე დ იმის ს ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო დასკვნა გამოეყვანა, რასაც ეს ცნობები მეტყველებენ, — მაგრამ ჩვენი «მკაცრი მეცნიერი» თავის «გამოკვლევაშიც» იმეორებს იმავე შეცდომას (ტ. II, გვ. 127, სადაც, გარდა ამისა, ციფრები +30 407 და — 360 პირუტყვის რიცხვს აღნიშნავენ, მაშინ როცა ისინი იმ მეურნეობათა რიცხვს აღნიშნავენ, რომლებიც მუშა პირუტყვს იყენებენ; მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, წვრილმანია).

ვეკითხებით ჩვენს «მკაცრ მეცნიერს», რომელიც ასე გაბედულად ლაპარაკობს «მსხვილი მეურნეობის რეგრესზე» (II, 127): რა მნიშვნელობა აქვს იმ საშუალო გლეხურ მეურნეობათა რიცხვის 30 ათასით გადიდებას, რომელთაც მუშა პირუტყვი ჰყავთ, როცა საშუალო გლეხურ მეურნეობათა მ თ ე ლ ი რ ი ც ხ ვ ი 72 ათასით გადიდდა (II, 124)? განა აქედან ცხადი არ არის, რომ შ ე მ ც ი რ დ ა იმ საშუალო გლეხურ მეურნეობათა პ რ ო ც ე ნ ტ ი, რომლებსაც მუშა პირუტყვი ჰყავთ? ხოლო რახან ეს ასეა, იყო თუ არა საჭირო იმის გადახედვა, თუ სხვადასხვა ჯგუფის მეურნეობათა რ ა მ დ ე ნ პ რ ო ც ე ნ ტ ს ჰყავდა მუშა პირუტყვი 1882 და 1895

წლებში, — მით უმეტეს, რომ ეს ცნობები მოყვანილია სწორედ იმავე გვერდზე და იმავე ცხრილში, საიდანაც ბ-ნ ბულგაკოვს მოჰყავს აბსოლუტური ციფრები («Stat. d. D. R.», 112. S. 31).

აი ეს ცნობები:

	იმ მეურნეობათა პროცენტი, რომელთაც ჰყავთ მუშა პირუტყვი		
	1882	1895	განსხვავება
0 — 2 ha	10,61	9,46	— 1,15
2 — 5 „	74,79	71,39	— 3,40
5 — 20 „	96,56	92,62	— 3,94
20 —100 „	99,21	97,68	— 1,53
100 და მეტი ha	99,42	97,70	— 1,72
სულ.....	42,79	40,60	— 2,19

ამრიგად, იმ მეურნეობათა პროცენტი, რომელთაც მუშა პირუტყვი ჰყავთ, საერთოდ შემცირდა ორზე მეტი პროცენტით, ამასთანავე ეს შემცირება საშუალოზე მეტია წვრილ გლეხურ და საშუალო გლეხურ მეურნეობებში, საშუალოზე ნაკლებია — მსხვილ მეურნეობებში *. გარდა ამისა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ «სწორედ მსხვილ მეურნეობებში ხშირად პირუტყვის ძალის ნაცვლად იყენებენ მექანიკურ ძალას ყოველგვარი მანქანების სახით საერთოდ

* შემცირება ყველაზე ნაკლებია სულ წვრილ მეურნეობებში. რომელთაგან შედარებით მცირე ნაწილს ჰყავს მუშა პირუტყვი; ქვემოთ დავინახავთ, რომ სწორედ ამ მეურნეობებში (და მხოლოდ იქ) გაუმჯობესდა კიდევაც მუშა პირუტყვის შემადგენლობა, ე. ი. შედარებით მეტად ეტანებიან ცხენებსა და ხარებს, შედარებით ნაკლებად — ძროხებს. ეს ნათლად გვიჩვენებს, როგორც სამართლიანად შენიშნავენ გერმანული ანკეტის ავტორებიც (S. 32), რომ ყველაზე წვრილი ნაკვეთების მეპატრონეთ მუშა პირუტყვი ჰყავთ არა მარტო მიწათმოქმედებისათვის, არამედ აგრეთვე «დაქირავებულ გარე-სამუშაოებისთვისაც». ამიტომ მუშა პირუტყვის საკითხზე შეცდომა იქნებოდა საერთოდ ანგარიშში მიგვეღო პარცელური მეურნეობანი, რომლებიც სრულიად განსაკუთრებულ პირობებში იმყოფებიან.

და კერძოდ ორთქლის ძალას (ორთქლის გუთნები და სხვ.)» («Stat. d. D. R.». 112. B., S. 32). ამიტომ, თუ (100 და მეტ ჰექტარიან) მსხვილ მეურნეობათა შორის ისეთ მეურნეობათა რიცხვი, რომელთაც მუშა პირუტყვი ჰყავთ, შემცირდა 360-ით, ხოლო იმავე დროს იმ მეურნეობათა რიცხვი, რომელნიც ორთქლის გუთნებს იყენებენ, გადიდდა **615**-ით (710 — 1882 წელს და 1 325 — 1895 წელს), ცხადია, რომ საერთოდ და მთლიანად მსხვილმა მეურნეობებმა კი არ წააგეს, არამედ მოიგეს კიდევაც. მაშასადამე, ჩვენ ვღებულობთ იმ დასკვნას, რომ გერმანელ მიწათმოქმედთა ერთადერთი ჯგუფი, რომელმაც უეჭველად გაიუმჯობესა მეურნეობის პირობები (პირუტყვის გამოყენების მხრივ მინდვრის სამუშაოებში ან პირუტყვის შეცვლის მხრივ ორთქლით), ეს ის მსხვილი მეურნეობებია, რომელთაც 100 და > ჰექტარი აქვთ. ყველა დანარჩენ ჯგუფში მეურნეობის პირობები გაუარესდა, და ყველაზე მეტად გაუარესდა ეს პირობები სწორედ საშუალო გლეხურ მეურნეობათა ჯგუფში, სადაც ყველაზე მეტია ისეთ მეურნეობათა პროცენტის შემცირება, რომელთაც მუშა პირუტყვი ჰყავთ. განსხვავება მსხვილსა (100 და > ha) და საშუალო (5 — 20 ha) მეურნეობათა შორის მუშა-პირუტყვიან მეურნეობათა პროცენტის სიდიდის მიხედვით წინათ სამ პროცენტზე ნაკლები იყო (99,42 — 96,56), ახლა კი 5 პროცენტზე მეტი გახდა (97,70 — 92,62).

ამ დასკვნას კიდევ უფრო მეტად აძლიერებს ცნობები მუშა პირუტყვის შემადგენლობის შესახებ. რაც უფრო წვრილია მეურნეობა, მით უფრო ცუდია მუშა პირუტყვის შემადგენლობა: შედარებით მით უფრო ნაკლებად იყენებენ მინდვრის სამუშაოებზე ხარებსა და ცხენებს და მით უფრო მეტად იყენებენ ბევრად უფრო სუსტ ძროხებს. აი ცნობები, თუ როგორი იყო საქმის ვითარება ამ მხრივ 1882 და 1895 წლებში:

ას მეურნეობაში, რომელთაც მინდვრის სამუშაოებისათვის პირუტყვი ჰყავდათ, იყენებდნენ:

	მხოლოდ ძროხებს			ძროხებს, აგრეთვე ცხენებს ან ხარებს		
	1882	1895		1882	1895	
0 — 2 ha	63,74	62,10	—1,64	85,21	83,95	—1,26
2 — 5 „	68,29	69,42	+1,13	72,95	74,93	+1,98
5 — 20 „	18,49	20,30	+1,81	29,71	34,75	+5,04
20 — 100 „	0,25	0,28	+0,03	3,42	6,02	+2,60
100 და მეტი ha	0,00	0,03	+0,03	0,25	1,40	+1,15
ს უ ლ	41,61	41,82	+0,21	48,18	50,48	+2,30

ჩვენ ვხედავთ მუშა პირუტყვის შემადგენლობის საერთო გაუარესებას (პარცელური მეურნეობანი, უკვე აღნიშნული მიზეზის გამო, ანგარიშში არ შედის) და ყ ვ ე ლ ა ზ ე მ ე ტ გ ა უ ა რ ე ს ე ბ ა ს სწორედ ს ა შ უ ა ლ ო გ ლ ე ხ უ რ მ ე-ურ ნ ე ო ბ ა თ ა ჯ გ უ ფ შ ი. ამ ჯგუფში მუშა-პირუტყვიან მეურნეობათა რიცხვიდან ყ ვ ე ლ ა ზ ე მ ე ტ ა დ გაიზარდა იმ მეურნეობათა პროცენტი, რომლებიც იძულებული არიან მინდვრის სამუშაოებისათვის გამოიყენონ ძ რ ო ხ ე ბ ი ც, — აგრეთვე იმ მეურნეობათა, რომელთაც შეუძლიათ მინდვრის სამუშაოებისთვის მ ხ ო ლ ო დ ძ რ ო ხ ე ბ ი გამოიყენონ. ამ-ჟამად მუშა-პირუტყვიან საშუალო გლეხურ მეურნეობათა ერთ მესამედზე მეტი იძულებულია მინდვრის სამუშაოებისთვის გამოიყენოს ძროხები (რაც იწვევს, რა თქმა უნდა, ხვნის გაუარესებასაც და, მაშასადამე, მოსავლის შემცირებასაც, აგრეთვე ძროხების წველადობის შემცირებასაც), — და უკვე მეხუთედ ნაწილზე მეტს შეუძლია გამოიყენოს მინდვრის სა-მუშაოებისთვის მხოლოდ ძროხები.

თუ ავიღებთ მინდვრის სამუშაოებისთვის გამოყენებული პირუტყვის რაოდენობას, ყველა ჯგუფში (პარცელურ მეურ-ნეობათა გამოკლებით) დავინახავთ ძროხების რიცხვის გადი-დებას. ხოლო ცხენებისა და ხარების რიცხვი ასე შეიცვალა:

მინდვრის სამუშაოებისათვის გამოყენებული ცხენებისა და ხარების რაოდენობა (ათასობით)

	1882	1895	განსხვავება
0 — 2 ha	62,9	69,4	+ 6,5
2 — 5 „	308,3	302,3	— 6,0
5 — 20 „	1 487,4	1 430,5	— 6,9
20 —100 „	1 168,5	1 155,4	—13,1
100 და მეტი ha.....	650,5	695,2	+44,7
სულ.....	3 627,6	3 652,8	+25,2

პარცელურ მეურნეობათა გამოკლებით, საკუთრივ მუშა პირუტყვის რაოდენობის გადიდება ჩანს მხოლოდ მსხვილ მეურნეობებში.

საერთო დასკვნა, მაშასადამე, მეურნეობის პირობების შეცვლის შესახებ პირუტყვისა და მექანიკური ძალის გამოყენების მხრივ მინდვრის სამუშაოებისთვის ასეთია: გაუმჯობესებაა მხოლოდ მსხვილ მეურნეობებში, გაუარესება დანარჩენებში, ხოლო ყველაზე მეტი გაუარესება საშუალო გლეხურ მეურნეობებში.

1895 წლის ცნობები საშუალებას გვაძლევს საშუალო გლეხურ მეურნეობათა მთელი ჯგუფი კიდევ დავყოთ ორ ქვეჯგუფად: 5 — 10 ჰექტარის და 10 — 20 ჰექტარის მქონე მეურნეობანი. როგორც მოსალოდნელი იყო, პირველ (მეურნეობათა რიცხვის მხრივ გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანს) ქვეჯგუფში მეურნეობის პირობები მუშა პირუტყვის გამოყენების მხრივ შეუდარებლად უარესია. 5 — 10 ჰექტარის მფლობელ 606 ათას მეურნეთაგან მუშა პირუტყვი ჰყავს 90,5%-ს (10 — 20 ჰექტ. მფლობელ 393 ათას მეურნეთაგან — 95,8%-ს), ხოლო ამ უკანასკნელთაგან მინდვრის სამუშაოებისთვის ძროხებს იყენებს — 46,3% (17,9% 10 — 20-ჰექტარიან ჯგუფში); მხოლოდ ძროხებს იყენებს 41,3% (4,2% 10 — 20 ჰექტ. ჯგუფში). და აი აღმოჩნდა, რომ სწორედ ეს 5 — 10-ჰექტარიანი ჯგუფი, რომელიც განსაკუთრებით ცუდ პირობებშია მუშა პირუტყვის გამოყენების მხრივ, — გაიზარდა ყველაზე მეტად 1882-დან 1895 წლამდე

როგორც მეურნეობათა რიცხვის მხრივ, ისე ფართობის მხრივ. აი საამისო ცნობები:

პროცენტული შეფარდება მთელი რაოდენობისადმი

	მეურნეობათა			მთელი ფართობის			სასოფლო-სამეურ-ნეო ფართობის		
	1882	1895		1882	1895		1882	1895	
5 — 10 ha	10,50	10,90	+0,40	11,90	12,37	+0,47	12,26	13,02	+0,76
10 — 20 „	7,06	7,07	+0,01	16,70	16,59	—0.11	16,48	16,88	+0,40

10 — 20-ჰექტარიან ჯგუფში მეურნეობათა რიცხვის გადიდება სრულიად უმნიშვნელოა: მთელი ფართობის წილი კიდეც შემცირდა, ხოლო სასოფლო-სამეურნეო ფართობის წილი გაიზარდა გაცილებით ნაკლებად, ვიდრე 5 — 10-ჰექტარიან მეურნეობათა ჯგუფში. მაშასადამე, საშუალო გლეხურ მეურნეობათა ზრდა უმთავრესად მოდის (ნაწილობრივ განსაკუთრებითაც) 5 — 10-ჰექტარიან მეურნეობათა ჯგუფზე, ე. ი. იმ ჯგუფზე, რომელშიც მეურნეობის პირობები მუშა პირუტყვის გამოყენების მხრივ განსაკუთრებით ცუდია.

ამრიგად, ვხედავთ, რომ სტატისტიკა უდავოდ ხდის საშუალო გლეხურ მეურნეობათა ყბადაღებული ზრდის ნამდვილ მნიშვნელობას: ეს არის არა კეთილდღეობის, არამედ გ ა ჭ ი რ ვ ე ბ ი ს ზ რ დ ა, არა წვრილი მიწათმოქმედების პროგრესი, არამედ მ ი ს ი დ ა ქ ვ ე ი თ ე ბ ა. თუ საშუალო გლეხურმა მეურნეობებმა ყ ვ ე ლ ა ზ ე მ ე ტ ა დ გაიუარესეს მეურნეობის პირობები, იძულებული გახდნენ ყველაზე მეტად გაეფართოებინათ ძროხების გამოყენება მინდვრის სამუშაოებისთვის, ჩვენ არამცთუ უფლება გვაქვს, არამედ მოვალენიც ვართ მეურნეობის მხოლოდ ამ ერთი მხარის მიხედვით (რომელიც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მხარეა მეურნეობისა საერთოდ) გამოვიტანოთ დასკვნა მეურნეობის ყველა დანარჩენი მხარის შესახებ. თუ გაიზარდა უცხენოთა რიცხვი (რუსი მკითხველისთვის ნაცნობი და ამ შემთხვევისთვისაც სავსებით გამოსადეგი ტერმინი რომ ვიხმაროთ), თუ

გაუარესდა მუშა პირუტყვის შემადგენლობა, მაშინ ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ გაუარესდა პირუტყვის მოვლა-შენახვაც საერთოდ, გაუარესდა მიწის მოვლა, გაუარესდა მიწათმოქმედის კვება და ცხოვრების პირობები, ვინაიდან გლეხურ მეურნეობაში, როგორც ყველამ და თვითეულმა უწყის, რაც უფრო ცუდი მოვლა აქვს და რაც უფრო მძიმე სამუშაოს ასრულებს პირუტყვი, მით უფრო ცუდად ცხოვრობს და მძიმე სამუშაოს ასრულებს ადამიანიც, და პირიქით. დასკვნები, რომლებიც ჩვენ გამოვიყვანეთ ზემოთ Klawki-ს დეტალური გამოკვლევიდან, სავსებით დასტურდება მასობრივი ცნობებით გერმანიის ყველა წვრილ გლეხურ მეურნეობათა შესახებ.

IX

რძის მეურნეობა და სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობანი გერმანიაში. გერმანიის სოფლის მოსახლეობა მეურნეობაში მისი მდგომარეობის მიხედვით

ჩვენ ასე დაწვრილებით იმიტომ შევჩერდით ცნობებზე მუშა პირუტყვის შესახებ, რომ ეს ერთადერთი ცნობებია (გარდა ზემოთ განხილული ცნობებისა მანქანების შესახებ), რომლებიც საშუალებას გვაძლევს შევიხედოთ, ასე ვთქვათ, მეურნეობის შიგნით, ვნახოთ მისი მოწყობილობა, მისი დაყენება. ყველა დანარჩენი ცნობა — მიწის რაოდენობის შესახებ (რომელიც ჩვენ უკვე მოვიყვანეთ), პირუტყვის რაოდენობის შესახებ (რომელსაც ჩვენ ახლა მოვიყვანთ) — მეურნეობას გვიხატავენ მხოლოდ გარეგნულად, ერთიმეორეს უტოლებენ იმას, რაც აშკარად უთანასწორობა, ვინაიდან მიწის მოვლა და, მაშასადამე, მისი მოსავლიანობა, პირუტყვის ხარისხი და მისი ნაყოფიერება სხვადასხვანაირია სხვადასხვა მეურნეობაში. თუმცა ამ განსხვავების ფაქტი ყველასათვის ცნობილია, მაგრამ საერთო სტატისტიკურ გამოანგა-

რიშებაში მას ჩვეულებრივ ივიწყებენ, და მხოლოდ ცნობები მანქანებისა და მუშა პირუტყვის შესახებ რაოდენადმე მაინც საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ ეს განსხვავება, გვიჩვენებს — ვის სასარგებლოდაა (საერთოდ და მთლიანად) ეს განსხვავება. თუ მსხვილი მეურნეობები უფრო მეტად იყენებენ იმ განსაკუთრებით რთულ და ძვირფას მანქანებს, რომელთაც მხოლოდ აღრიცხავს სტატისტიკა, მაშინ ცხადია, რომ ყველა დანარჩენი იარაღიც, რომელთა შესახებ სტატისტიკა არაფერს ამბობს (გუთნები, ფარცხები, ურმები და სხვ.), მსხვილ მეურნეობაში უკეთესი ხარისხისაა, თვითეულ ცალკე მეურნეობაში უფრო სრულად არის წარმოდგენილი და გამოყენებული (მეურნეობის მეტი სიდიდის გამო). იგივე ითქმის ცოცხალ ინვენტარზეც. წვრილი მეურნე აუცილებლად იძულებულია ამ უპირატესობებს დაუპირისპიროს მუყაითობა და მომჭირნეობა (სხვა იარაღი საარსებო ბრძოლისათვის მას არ გააჩნია), და ამიტომაც ეს თვისებები არა შემთხვევით, არამედ ყოველთვის და აუცილებლად განასხვავებს წვრილ გლეხს კაპიტალისტურ საზოგადოებაში. ბურჟუაზიული ეკონომისტი (და თანამედროვე «კრიტიკოსი», რომელიც ამ საკითხშიც, ისე როგორც ყველა სხვა დანარჩენ საკითხში, კუდში მიჩანჩალებს მას) ამას უწოდებს მომჭირნეობის, გამძლეობის და სხვ. სათნოებას (შეად. ჰეხტი და ბულგაკოვი) და ის გლეხის დამსახურებად მიაჩნია. სოციალისტი ამას გადაჭარბებულ შრომას (Ueberarbeit) და არასაკმარის მოხმარებას (Unterkonsumption) უწოდებს და ის კაპიტალიზმის დანაშაულად მიაჩნია, ცდილობს თვალი აუხილოს გლეხს და დაანახვოს იმ მანილოვისებური წილადობილის მთელი სიყალბე, სოციალურ ჩაგვრას სათნოებად რომ ასაღებს და ამით ცდილობს ამ ჩაგვრის გამარადისებას.

განვიხილოთ ცნობები გერმანელ მიწათმოქმედთა სხვადასხვა ჯგუფს შორის 1882 და 1895 წლებში პირუტყვის განაწილების შესახებ. აი ამ ცნობების მთავარი შედეგები:

შედარებითი რიცხვები

	მთელი პირუტყვისა (ღირებულების მიხედვით)			რქიანი პირუტყვისა			ღორებისა		
	1882	1895	±	1882	1895	±	1882	1895	±
0 — 2 ha	9,3	9,4	+0,1	10,5	8,3	—2,2	24,7	25,6	+0,9
2 — 5 „	13,1	13,5	+0,4	16,9	16,4	—0,5	17,6	17,2	—0,4
5 — 20 „	33,3	34,2	+0,9	35,7	36,5	+0,8	31,4	31,1	—0,3
20 —100 „	29,5	28,8	—0,7	27,0	27,3	+0,3	20,6	19,6	—1,0
100 და მეტი ha	14,8	14,1	—0,7	9,9	11,5	+1,6	5,7	6,5	+0,8
სულ	100	100	—	100	100	—	100	100	—

ამრიგად, მსხვილი მეურნეობის წილი პირუტყვის საერთო რაოდენობაში შემცირდა, საშუალო გლეხური მეურნეობის წილი ყველაზე მეტად გაიზარდა. ჩვენ ვლაპარაკობთ მთელი პირუტყვის რაოდენობაზე, თუმცა ცნობები ეხება მის ღირებულებას, იმის გამო, რომ სტატისტიკოსთა ვარაუდი, თითქოს სხვადასხვა ჯგუფის მეურნეობის პირუტყვის თვითეულ სულს თანაბარი ღირებულება ჰქონდეს, აშკარა შეცდომაა. ცნობები ღირებულების შესახებ საშუალებას გვაძლევს შევაჯამოთ სხვადასხვა სახის პირუტყვი (ამის შედეგების მიღება შეიძლებოდა ყველა პირუტყვის მსხვილზე გადაყვანითაც, მაგრამ ეს მოითხოვდა ჩვენგან ახალ საანგარიშო მუშაობას, შედეგებს კი არსებითად საგრძნობლად ვერ შეცვლიდა) და გვიჩვენებს სწორედ მთელი ცოცხალი ინვენტარის განაწილებას რაოდენობის და არა ნამდვილი ღირებულების მიხედვით. რადგანაც პირუტყვი მსხვილ მეურნეებს უკეთესი ჰყავთ, ვიდრე წვრილთ, და, ალბათ, უფრო უმჯობესდება, ვიდრე უკანასკნელთა პირუტყვი (მკვდარი ინვენტარის გაუმჯობესების მიხედვით თუ დავასკვნით), მაშინ უნდა ითქვას, რომ ეს ცნობები მეტად ამცირებს მსხვილი მეურნეობის ნამდვილ უპირატესობას.

რაც შეეხება პირუტყვის ცალკეულ სახეებს, უნდა შევნიშნოთ, რომ მსხვილი მეურნეობის წილის შემცირება სავსებით დამოკიდებულია სავაჭრო მეცხვარეობის დაცემაზე: ცხვრის რიცხვი 1882-დან 1895 წლამდე შემცირდა 21,1 მილიონიდან

12,6 მილიონამდე, ე. ი. 8,5 მილიონით, ამასთან მთელი ამ დანაკლისის ჯამიდან შვიდი მილიონი მოდის ისეთ მეურნეობებზე, რომელთაც 20 და მეტი ჰექტარი უჭირავთ. სავაჭრო მესაქონლეობის იმ დარგს, რომელიც გერმანიაში ვითარდება, მიეკუთვნება, როგორც ცნობილია, განსაკუთრებით მერძეობისა და სახორცე მესაქონლეობა. ამიტომ ჩვენ ავიღეთ ცნობები რქიანი პირუტყვისა და ღორის შესახებ და აღმოჩნდა, რომ მსხვილი მეურნეობა (100 და > ha) მესაქონლეობის ამ ორივე დარგში ყ ვ ე ლ ა ზ ე დ ი დ ი ნაბიჯით წავიდა წინ; მისი წილის გადიდება რქიანი პირუტყვისა და ღორის საერთო რაოდენობაში ყველაზე დიდია. ეს ფაქტი მით უფრო მეტად იპყრობს ჩვენს ყურადღებას, რომ მესაქონლეობის მეურნეობათა სიდიდე ჩვეულებრივ ნაკლებია სამიწათმოქმედო მეურნეობათა სიდიდეზე, და ამიტომ მოსალოდნელი იყო უფრო სწრაფი განვითარება არა მსხვილი კაპიტალისტური, არამედ საშუალო კაპიტალისტური მეურნეობებისა. საერთო დასკვნა (პირუტყვის რაოდენობისა და არა ხარისხის მხრივ) უნდა იყოს ასეთი: მსხვილმა მეურნეებმა ყველაზე მეტად იზარალეს სავაჭრო მეცხვარეობის ძლიერი დაცემის გამო, და ეს დანაკლისი მათ კი ვერ მოსპეს, არამედ მხოლოდ შეასუსტეს რქიანი პირუტყვისა და ღორის ფართო მოშენებით (წვრილ და საშუალო მეურნეობებთან შედარებით).

როცა მერძეობის მესაქონლეობაზე ვლაპარაკობთ, არ შეგვიძლია გვერდი ავუაროთ მეტისმეტად საგულისხმო ცნობებს ამ საკითხის შესახებ; ეს ცნობები მოიპოვება გერმანულ სტატისტიკაში და, რამდენადაც ვიცით, ჯერ არავის გამოუყენებია. მაგრამ ეს შეეხება უკვე საერთო საკითხს — მიწათმოქმედებასთან ტექნიკურ წარმოებათა შეერთების შესახებ, და ჩვენ უნდა შევჩერდეთ ამ საკითხზე ბ-ნ ბულგაკოვის მიერ ფაქტების საოცრად დამახინჯების გამო. როგორც ცნობილია, მიწათმოქმედებასთან სოფლის მეურნეობის პროდუქტების ტექნიკური გადამუშავების შეერთება წარმოადგენს მიწათ-

მოქმედებაში სპეციფიკური კაპიტალისტური პროგრესის ერთ-ერთ ყველაზე რელიეფურ ნიშანს. ბ-ნი ბულგაკოვი ჯერ კიდევ «ნაჩალოში» აცხადებდა: «ჩემი აზრით, ამ შეერთების მნიშვნელობა უკიდურესობამდე გააზვიადა კაუტსკიმ: სტატისტიკის ცნობებს თუ ავიღებთ, იმ მიწის რაოდენობა, რომელიც ამნაირად არის დაკავშირებული მრეწველობასთან, სრულიად უმნიშვნელოა» (№ 3, გვ. 32). ეს მოსაზრება ძლიერ სუსტია, რადგან ასეთი შეერთების ტექნიკური პროგრესულობის უარყოფას ბ-ნი ბულგაკოვი ვერ ბედავს, ხოლო ყველაზე მთავარ საკითხს — მსხვილი თუ წვრილი წარმოებაა ასეთი პროგრესის მატარებელი — ის გვერდს უვლის. ხოლო რადგან სტატისტიკა სავსებით ზუსტ პასუხს იძლევა ამ საკითხზე, ბ-ნი ბულგაკოვი მიმართავს... sit venia verbo!.. * ოინებს. მას მოჰყავს პროცენტი იმ მეურნეობათა (საერთოდ ყველასი და არა ჯგუფების მიხედვით!), რომლებიც შეერთებული არიან ამა თუ იმ ტექნიკურ წარმოებებთან, და შენიშნავს: «არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს ისინი შეერთებული არიან უმთავრესად მსხვილ მეურნეობებთან» (II, 116). სწორედ პირიქით, პატივცემულო ბ-ნო პროფესორო: სწორედ ეს უნდა ვიფიქროთ და თქვენი ცხრილი (რომელიც ა რ იძლევა ტექნიკურ წარმოებებთან შეერთებულ მეურნეობათა პროცენტს ა მ ა თ უ ი მ ჯგუფის მეურნეობათა მთელ რიცხვთან შეფარდებით) მხოლოდ თვალს უხვევს საქმეს გაუცნობელ ან დაუკვირვებელ მკითხველს. მოგვყავს (რათა გვერდები ციფრებით არ ავაჭრელოთ) ერთად იმ მეურნეობათა რიცხვი, რომლებიც შეერთებული არიან შაქრის, არაყისსახდელ, სახამებლის, ლუდსახდელ ქარხნებთან და წისქვილებთან (ჯამი იძლევა, მაშასადამე, ისეთი შ ე მ თ ხ ვ ე ვ ე ბ ი ს რიცხვს, როცა სამიწათმოქმედო მეურნეობები შეერთებული არიან ტექნიკურ წარმოებებთან), და ვიღებთ ასეთ სურათს:

---

* — უკაცრავად პასუხია! რ ე დ.

	მეურნეობათა მთელი რიცხვი	ტექნიკურ წარმოებებთან შეერთების შემთხვევათა რიცხვი	%
0 — 2 ha	3 236 367	11 364	0,01
2 — 5 „	1 016 318	13 542	1,09
5 — 20 „	998 804	25 879	2,30
20 — 100 „	281 767	8 273	2,52
100 და მეტი ha	25 061	4 006	15,72
სულ.....	5 558 317	63 064	1,14
მეურნეობ. 1000 და მეტი ჰექტარით.....	572	330	57,69

ამრიგად, ტექნიკურ წარმოებებთან შეერთებულ მეურნეობათა პროცენტი უმნიშვნელოა წვრილ მეურნეობაში და საგრძნობ სიდიდეს აღწევს მხოლოდ მსხვილ მეურნეობაში (და უზარმაზარ ლატიფუნდიებში, რომელთაგან ნახევარზე მეტი სარგებლობს ასეთი შეერთების ხელსაყრელობით). ამ ფაქტს თუ შევუფარდებთ ზემოთ მოყვანილ ცნობებს მანქანებისა და მუშა პირუტყვის შესახებ, მკითხველისთვის აშკარა გახდება ბ-ნ ბულგაკოვის ნათქვამის პრეტენზიული სისულელე «კონსერვატიული» მარქსისტების «ილუზიების» შესახებ, «რომ მსხვილი მეურნეობა მატარებელია სამეურნეო პროგრესისა, ხოლო წვრილი — რეგრესისა» (II, 260).

«უდიდეს რაოდენობას (შაქრის ჭარხლისა და კარტოფილისა არაყის სახდელად) აწარმოებდნენ — განაგრძობს ბ-ნი ბულგაკოვი, — წვრილ მეურნეობებში».

სწორედ პირიქით: სწორედ მსხვილ მეურნეობებში:

	იმ მეურნეობათა რიცხვი, რომლებიც თესავდნენ შაქრის ჭარხალს	% მეურნეობათა მთელი რიცხვის მიმართ	ჭარხლის ფართობი ჰექტარებად	%	იმ მეურნეობათა რიცხვი, რომლებიც თესავდნენ კარტოფილს ტექნიკ. გადამუშავების მიზნით	% მეურნეობათა მთელი რიცხვის მიმართ
0 — 2 ha.....	10 781	0,33	3 781	1,0	565	0,01
2 — 5 „	21 413	2,10	12 693	3,2	847	0,09
5 — 20 „	47 145	4,72	48 213	12,1	3 028	0,30
20 — 100 „	26 643	9,45	97 782	24.7	4 298	1,52
100 და მეტი ha.....	7 262	28,98	233 820	59,0	5 195	20,72
სულ.....	113 244	2,03	396 289	100	14 028	0,25
მეურნეობები 1 000 და მეტი ჰექტარით.....	211	36,88	26 127	—	302	52,79

ესე-იგი ისევ იმ მეურნეობათა პროცენტი, რომლებიც ჭარხალსა და კარტოფილს თესავენ ტექნიკურად გადამუშავებისათვის, სრულიად უმნიშვნელოა წვრილ მეურნეობებში, მნიშვნელოვანია მსხვილ მეურნეობებში და ძლიერ მაღალია ლატიფუნდიებში. ჭარხლის უდიდესი რაოდენობა — 83,7%, ჭარხლის ფართობის მიხედვით, მოჰყავთ მსხვილ მეურნეობებში *.

სწორედ ასევე სრულიად გამოურკვეველი დარჩა ბ-ნ ბულგაკოვისთვის «მსხვილი მეურნეობის წილიც» რძის მეურნეობაში (II, 117), სავაჭრო მესაქონლეობის ეს დარგი კი განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება მთელ ევროპაში და ამასთანავე სასოფლო-სამეურნეო პროგრესის ერთ-ერთი ნიშანია. აი ცნობები იმ მეურნეობების შესახებ, რომლებიც რძესა და რძის პროდუქტებს ჰყიდიან ქალაქებში:

	ასეთ მეურნეობათა რიცხვი	% ჯამის მიმართ**	% მეურნეობათა მთელი რიცხვის მიმართ ჯგ.	ძროხის რაოდენ. ამ მეურნეობებში	% ჯამის მიმართ	ძროხის რაოდენობა ერთ მეურნეობაზე
0 — 2 ha-მდე	8 998	21,46	0.3	25 028	11,59	2,8
2 — 5 „	11 049	26,35	1,1	30 275	14,03	2,7
5 — 20 „	15 344	36,59	1,5	70 916	32,86	4,6
20 —100 „	5 676	13,54	2,0	58 439	27,07	10,3
100 და მეტი ha.....	863	2,06	3,4	31 213	14,46	36,1
ს უ ლ.....41 930		100,0	0,8	215 871	100	5,1
მეურნეობები 1000 და მეტი ჰექტარით...	21	—	3.7	1 822	—	87,0

* აშკარა... მარცხი ბ-ნ ბულგაკოვის მტკიცებისა ტექნიკურ წარმოებათა შესახებ ისე უცნაურია, რომ უნებლიედ გვებადება კითხვა: ეს მარცხი იმაზე ხომ არ არის დამოკიდებული, რომ ბ-ნმა ბულგაკოვმა ამოიწერა გერმანულ ანკეტაში მოყვანილი ცხრილები და ვერ შ ე ნ ი შ ნ ა, რომ ამ ცხრილებში ტექნიკურ წარმოებებთან შეერთებულ მეურნეობათა რიცხვის პროცენტული მიმართება მოცემულია სრ ულ ი ა დ ა ც არ ა ამ ა თ უ ი მ ჯ გ უ ფ ი ს მ ე ურ ნ ე ობ ა თ ა მ თ ე ლ ი რ ი ც ხ ვ ი ს ა დ მ ი? ერთი მხრივ, ძნელი დასაშვებია მკაცრი მეცნიერის «გამოკვლევაში» ესოდენი დაუდევრობანი (ამაყ დასკვნებთან ერთად). მეორე მხრივ, ბ-ნ ბულგაკოვის ცხრილების იგივეობა ანკეტის ცხრილებთან (S. 40 და 41) — უეჭველია... ოჰ, ეს «მკაცრი მეცნიერები»!

** ეს სვეტი მოგვყავს იმისათვის, რომ მკითხველმა ნათელი წარმოდგენა იქონიოს ბ-ნ ბულგაკოვის ოინებზე; ბ-ნი ბულგაკოვი თავისი დასკვნების დასამტკიცებლად მხოლოდ ამ სვეტს (ანკეტიდან ამოღებულს) იმოწმებს!

ამრიგად, მსხვილი მეურნეობები აქაც წინ დგანან: რძის ვაჭრობის მონაწილე სოფლის მეურნეთა პროცენტი მით უფრო მაღალია, რაც უფრო მსხვილია მეურნეობა, ხოლო ლატიფუნდიებში ის ყველაზე მაღალია («ლატიფუნდიური გადაშენება»). მაგ., საშუალო გლეხურ მეურნეობებთან (5—20 ha) შედარებით ორჯერ და უფრო მეტად მსხვილი მეურნეობები (100 და > ha) უფრო ხშირად (3,4% და 1,5%) ასაღებენ რძეს ქალაქებში.

მსხვილი (მიწის ფართობის მიხედვით) მეურნეობები რომ აგრეთვე მსხვილ რძის მეურნეობას ეწევიან, ეს ჩანს ცნობებიდან 1 მეურნეზე ძროხების რაოდენობის შესახებ, რომელთა რიცხვი აღწევს 36-მდე 100 და > ჰექტარიან მეურნეზე და 87-მდე ლატიფუნდიებში. საერთოდ აშკარად კაპიტალისტურ მეურნეობებში (20 და > ha) თავმოყრილია 41,5% ძროხების მთელი რაოდენობისა, რომელთა რძეს ასაღებენ ქალაქებში, თუმცა ეს მეურნენი მეურნეთა საერთო რაოდენობის უმნიშვნელო ნაწილს შეადგენენ (5,52%) და იმ მეურნეობათა მეტად მცირე ნაწილს, რომლებიც რძეს ქალაქებში ასაღებენ (15,6%). მაშასადამე, უდავოა სწორედ კაპიტალისტური მეურნეობის პროგრესი და სავაჭრო მესაქონლეობის ამ დარგის კაპიტალისტური კონცენტრაცია.

მაგრამ რძის მეურნეობის კონცენტრაციას სრულად როდი ახასიათებს ცნობები მეურნეობათა ჯგუფების შესახებ მათი ფართობების მიხედვით. უკვე a priori * გასაგებია, რომ შესაძლოა და უნდა იყოს კიდევაც ისეთი მეურნეობანი, რომელთაც თანასწორი ფართობი აქვთ, მაგრამ არა ჰყავთ საერთოდ პირუტყვის და კერძოდ მეწველი პირუტყვის თანასწორი რაოდენობა. უწინარეს ყოვლისა შევადაროთ მეურნეობათა შორის განაწილება მ თ ე ლ ი რქიანი პირუტყვისა და ყველა იმ ძროხისა, რომელთა რძე ქალაქებში საღდება.

* — წინდაწინ. რ ე დ.

პროცენტული წილი

	მთელი რქიანი პირუტყვისა	რიცხვი ძროხებისა, რომელთა რძე საღდება ქალაქებში	განსხვავება
0 — 2 ha	8,3	11,6	+3,3
2 — 5 „	16,4	14,0	—2,4
5 — 20 „	36,5	32,8	—3,7
20 — 100 „	27,3	27,1	—0,2
100 და მეტი ha.....	11,5	14,5	+3,0
სულ.....	100,0	100	

ამრიგად, ერთხელ კიდევ ვხედავთ, რომ ყველაზე უფრო ცუდ პირობებში იმყოფება სწორედ საშუალო გლეხური მეურნეობები: თავისი რქიანი პირუტყვის მთელი რაოდენობიდან ეს ჯგუფი უმცირეს ნაწილს იყენებს ქალაქებში რძის გასასაღებლად (ე. ი. რძის მეურნეობის ამ ყველაზე უფრო ხელსაყრელი დარგისთვის). პირიქით, მსხვილი მეურნეობებისთვის დიდად ხელსაყრელი პირობებია შექმნილი: ისინი მთელი თავიანთი რქიანი პირუტყვის შედარებით მეტ ნაწილს იყენებენ ქალაქებში რძის გასასაღებლად *. მაგრამ კიდევ უფრო ხელსაყრელია მდგომარეობა სულ წვრილი მეურნეებისა, რომლებიც თავიანთი რქიანი პირუტყვის უდიდეს ნაწილს იყენებენ ქალაქებისთვის რძის მისაწოდებლად. მაშასადამე, ამ მეურნეობებში ვითარდება უკვე სპეციალურად «მერძეობის» ფერმები და მათთვის მიწათმოქმედება მეორეხარისხოვან როლს ასრულებს ან მას სრულებით არ მისდევენ (ამ ჯგუფის 8 998 მეურნეობიდან, რომლებიც რძეს ასაღებენ ქალაქებში, 471 მეურნეობას სრულებით არ გააჩნია სამიწათმოქმედო ფართობი და ამ მეურნეებს ჰყავთ 5 344 ძროხა, ე. ი. 11,3 ძროხა 1 მეპატრონეზე).

* ეს განსხვავება არ შეიძლება აიხსნას იმით, რომ რქიანი პირუტყვის შემადგენლობაში არათანასწორი რაოდენობით შედის ხარები, ვინაიდან მსხვილ მეურნეობაში ხარების პროცენტი (ყოველ შემთხვევაში ისეთების, რომლებსაც მინდვრის სამუშაოებისათვის იყენებენ) რქიანი პირუტყვის მთელი რაოდენობის მიმართ უფრო მაღალია, ვიდრე საშუალო გლეხურ მეურნეობაში.

ჩვენ ვღებულობთ საინტერესო ცნობებს რძის მეურნეობის კონცენტრაციის შესახებ სამიწათმოქმედო ფართობის მხრივ ერთ და იმავე ჯგუფის ფარგლებში, თუ, გერმანული სტატისტიკის ცნობების საშუალებით, გამოვყოფთ იმ მეურნეობებს, რომელთაც 1 და 2 ძროხა ჰყავთ.

მეურნეობანი, რომლებიც რძის პროდუქტებს ქალაქებში ასაღებენ

	მეურნეობათა რიცხვი	მათ შორის: 1 ძრ.	2 ძრ.	სამ და მეტ. ძრ.	ამ უკანასკნელთ ძრ. ჰყავთ	ერთ მეურნ.	სულ ძროხა
0—50 ar *	1 944	722	372	850	9 789	11,5	11 255
50 ar—2 ha	7 054	3 302	2 552	1 200	5 367	4,5	13 773
0—2 ha	8 998	4 024	2 924	2 050	15 156	7,4	25 028
2—5 „	11 049	1 862	4 497	4 690	19 419	4,3	30 275

იმ მეურნეობათა შორის, რომელთაც სულ უმნიშვნელო სამიწათმოქმედო ფართობი აქვთ (0 — ½ ha), ვხედავთ რძის მეურნეობის უდიდეს კონცენტრაციას: ასეთ მეურნეთა ნახევარზე ნაკლების (850-ს 1 944-დან) ხელშია ამ ჯგუფის ყველა ძროხის თითქმის $^{9}/_{10}$ (9 789 ძროხა 11 255-დან) და თვითეულ მეურნეზე საშუალოდ მოდის 11,5 ძროხა. ესენი უკვე «წვრილ» მეურნეებად ვერ ჩაითვლებიან, — ესენი არიან მეურნეები, რომელთა ბრუნვა, ალბათ (განსაკუთრებით დიდი ქალაქების ახლოს), რამდენიმე ათას მარკას აღწევს წელიწადში, და საეჭვოა რომ ისინი არ საჭიროებდნენ დაქირავებულ მუშებს. ქალაქების სწრაფი ზრდა განუწყვეტლივ ადიდებს ასეთ «მერძევე ფერმერთა» რიცხვს, და, რა თქმა უნდა, არ გამოილევიან ჰეხტები, დავიდები, ჰერცები და ჩერნოვები, რომლებიც გაჭირვებისაგან წელში გაწყვეტილ მასობრივ წვრილ გლეხს ანუგეშებენ მის ერთეულ თანამოძმეზე მითითებით, რომელიც «კაცი გამხდარა» რძის მეურნეობით, მეთამბაქოობით და სხვ.

½ — 2-ჰექტარიან მეურნეობათა ჯგუფში ვხედავთ, რომ მეურნეთა მეხუთედზე ნაკლებს (1 200-ს 7 054-დან) ჰყავს ყველა ძროხის ორ მეხუთედზე მეტი (5 367 13 773-დან);

* — არ — ჰექტარის მეასედი. რ ე დ.

2 — 5-ჰექტარიან მეურნეობათა ჯგუფში მეურნეთა ნახევარზე ნაკლებს (4 690-ს 11 049-დან) ჰყავს ყველა ძროხის სამ მეხუთედზე მეტი (19 419 30 275-დან) და სხვ. სამწუხაროდ, გერმანიის სტატისტიკა საშუალებას არ იძლევა გამოვყოთ ისეთი ჯგუფები, რომელთაც გაცილებით უფრო მეტი ძროხა ჰყავთ *. მაგრამ მოყვანილი ცნობები სავსებით ადასტურე-

* უფრო სწორად რომ ვთქვათ, გერმანული სტატისტიკის ცნობების დ ა მ უ შ ა ვ ე ბ ა ამის შესაძლებლობას არ იძლევა, ვინაიდან ანკეტის ავტორებს ცნობები მოეპოვებოდათ თვითეულ მეურნეობაზე ცალ-ცალკე (დაგზავნილ ფურცლებზე სოფლის მეურნეთაგან მიღებული პასუხების მიხედვით). აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ცნობების ასეთი შეკრება თვითეულ მეურნეობაზე ცალ-ცალკე დადებითად განასხვავებს გერმანიის სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკას საფრანგეთის სტატისტიკისაგან, და, როგორც ჩანს, აგრეთვე ინგლისისა და სხვა ქვეყნების სტატისტიკისაგანაც. ასეთი სისტემა საშუალებას იძლევა გამოვყოთ სხვადასხვა ტიპის მეურნეობები არა მარტო ფართობის ოდენობის მიხედვით, არამედ იმის მიხედვითაც, თუ რა სიდიდისაა, მაგ., რძის მეურნეობა, იმის მიხედვით, თუ რამდენად იყენებენ მანქანებს, რა ზომამდეა განვითარებული ტექნიკური წარმოებანი და სხვ. ამისთვის საჭიროა მხოლოდ სტატისტიკური ცნობების უფრო საფუძვლიანად დამუშავება, სახელდობრ: ჯერ-ერთი, მეურნეობათა დაჯგუფება არა ერთი ნიშნის (ფართობის სიდიდე), არამედ რამდენიმე ნიშნის მიხედვით (მანქანების, პირუტყვის რაოდენობა, ფართობი, რომელიც უჭირავს სპეციალურ კულტურებს და სხვ.), ხოლო, მეორე, სხვადასხვა დაჯგუფების კომბინაციები, ე. ი. თვითეული ჯგუფის დაყოფა, მაგალითად, ფართობის სიდიდის მიხედვით ქვეჯგუფებად პირუტყვის რაოდენობის მიხედვით და სხვ. ამ მხრივ ნიმუშად გამოდგებოდა და კიდევაც უნდა გამოდგეს გლეხური მეურნეობის რუსეთის საერობო სტატისტიკა. რამდენადაც გერმანიის ოფიციალური სტატისტიკა მაღლა დგას რუსეთის ო ფ ი ც ი ა ლ უ რ სტატისტიკაზე ცნობათა სიფართოვის და სისრულის, ერთგვაროვნობის და სიზუსტის მხრივ, აგრეთვე მათი დამუშავების და გამოქვეყნების სისწრაფის მხრივ, — იმდენად ჩვენი ს ა ე რ ო ბ ო სტატისტიკა უფრო მაღლა დგას ევროპის ნაწილობრივ ანკეტებსა და გამოკვლევებზე ცალკეული ცნობების შესანიშნავი სისრულისა და მათი დამუშავების დეტალიზაციის მხრივ. რუსეთის საერობო სტატისტიკამ დიდი ხანია უკვე შემოიღო კომლობრივი გამოკვლევა, სხვადასხვაგვარი ჯგუფობრივი ცხრილებიც, და ის კომბინაციური ცხრილებიც, რომელთა შესახებ უკვე ვილაპარაკეთ. ევროპელების უფრო ახლოს გაცნობა ჩვენს საერობო სტატისტიკასთან, ალბათ, ძლიერ ბიძგს მისცემდა საერთოდ სოციალური სტატისტიკის პროგრესს.

ბენ იმ საერთო დასკვნას, რომ კაპიტალისტური მიწათმოქმედების კონცენტრაცია სინამდვილეში გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე ეს შეიძლება ვიფიქროთ მარტოოდენ ფართობის სტატისტიკის ცნობების მიხედვით. ასეთი სტატისტიკა ერთად აერთიანებს ფართობის სიდიდის მხრივ და პურის წარმოების ოდენობის მხრივ წვრილ მეურნეობებს რძის ან სახორცე მესაქონლეობის, მევენახეობის, მეთამბაქოობის, მებოსტნეობისა და სხვ. მსხვილ მეურნეობებთან. რა თქმა უნდა, ყველა ეს დარგი პურის წარმოებასთან შედარებით უკანა რიგში დგას, და გარკვეული მასობრივი დასკვნები თავიანთ სრულ მნიშვნელობას ინარჩუნებენ ფართობის შესახებ ცნობების მიხედვითაც. მაგრამ, ჯერ-ერთი, სავაჭრო მიწათმოქმედების ზოგიერთი სპეციალური დარგი განსაკუთრებით სწრაფად იზრდება სწორედ ევროპაში და განსაკუთრებით დამახასიათებელია მისი კაპიტალისტური ევოლუციის პროცესისათვის, ხოლო, მეორე, აღნიშნულ გარემოებას მუდამ ივიწყებენ ცალკე მაგალითების ან რაიონების დამოწმებისას, და აქ უფართოესი სარბიელი იშლება იმ მეშჩანური აპოლოგეტიკისათვის, რომლის ნიშნები ჩვენ მოგვცეს ჰეხტმა, დავიდმა, ჰერცმა, ჩერნოვმა. ისინი იმოწმებდნენ მეთამბაქოებს, რომლებიც, მეურნეობის საერთო ფართობის მიხედვით, «echte und rechte Kleinbauern» * არიან; მაგრამ მეთამბაქოობის სიდიდის მიხედვით ისინი სრულებითაც არ არიან «წვრილი» მეურნეები, და თუ ავიღებთ ცნობებს სპეციალურად მეთამბაქოობის შესახებ, აქაც კაპიტალისტურ კონცენტრაციას დავინახავთ. მაგ., მთელს გერმანიაში 1898 წელს ითვლებოდა 139 ათასი მეთამბაქოე, რომელთაც თამბაქო ჰქონდათ 17,6 ათას ჰექტარზე, მაგრამ ამ 139 ათასიდან 88 ათასს, ე. ი. 63%-ს, ეჭირათ ერთად არა უმეტეს 3,3 ათასი ჰექტარისა, ე. ი. თამბაქოს პლანტაციების საერთო რაოდენობის სულ

* — «ნამდვილი წვრილი გლეხებია». რ ე დ.

ერთი მეხუთედი; დანარჩენი ოთხი მეხუთედი მეურნეთა 37%-ის ხელშია *.

იგივე ითქმის მევენახეობაზეც. საერთოდ «საშუალო» ვენახის ფართობი, მაგ., გერმანიაში მეტად მცირეა: 0,36 ჰექტარი (344 850 მეურნე და 126 109 ჰექტარი ვენახი). მაგრამ მევენახეთა განაწილება ისეთია, რომ 49%-ს (20 ar-ამდე ვენახი) ეკუთვნის მთელი ვენახის მხოლოდ 13%, «საშუალო» მეურნეთა 30%-ს (20 — 50 ar) — 26% და მსხვილ მეურნეთა 20%-ს (½ და მეტი ჰექტარი) — 61%, ე. ი. სამ მეხუთედზე მეტი **. კიდევ უფრო შეუდარებლად ძლიერია კონცენტრაცია

* «Die deutsche Volkswirtschaft am Schlusse des 19. Jrhd.». Brl. 1900, S. 60 («გერმანიის სახალხო მეურნეობა მე-19 საუკუნის დასასრულს». ბერლინი, 1900 წ., გვ. 60. რ ე დ.); ეს — სახაზინო სტატისტიკის მხოლოდ დაახლოებითი ცნობების მიხედვით. რუსეთისთვის ჩვენ მოგვეპოვება ასეთი ცნობები მეთამბაქოობის განაწილების შესახებ პოლტავის გუბერნიის სამ მაზრაში: სულ არის 25 089 გლეხური მეურნეობა, რომელთაგან თამბაქოს ნათესი აქვს 3 015 მეურნეობას (ე. ი. 1/8-ზე ნაკლებს), მათვე აქვთ პურის ნათესი 74 565 დესეტინა 146 774 დესეტინიდან, ე. ი. ნახევარზე მეტი, და თამბაქოს ნათესი — 3 239 დესეტინა 6 844 დესეტინიდან, ე. ი. თითქმის ნახევარი. ხოლო ამ მეურნეობათა დაჯგუფება თამბაქოს პლანტაციების სიდიდის მიხედვით გვიჩვენებს, რომ 324 მეურნეობას (25 089-დან) აქვს თვითეულს 2 და მეტი დესეტინა თამბაქო, სულ 2 360 დესეტინა 6 844-დან. ეს ის მსხვილი მეთამბაქოე-კაპიტალისტებია, რომელთა მხრივ მუშების უმსგავსო ექსპლოატაციის შესახებ ასე ხშირად ქვეყნდება ცნობები. ნახევარ-ნახევარ დესეტინაზე მეტი თამბაქოს ნათესი ჰქონდათ სულ 2 773 მეურნეობას (1/10-ზე ცოტა მეტს), მათ თამბაქოს ნათესი ჰქონდათ 4 145 დესეტინა 6 844-დან. იხ. «რუსეთის მეთამბაქოობის მიმოხილვა», ნაკვ. II და III, სპბ. 1894.

** საინტერესოა აღინიშნოს, რომ საფრანგეთში, სადაც მევენახეობა შეუდარებლად უფრო ძლიერაა განვითარებული (1 800,5 ათასი ჰექტ.), ვენახების კონცენტრაციაც ბევრად უფრო მეტია. მაგრამ მასზე მსჯელობის დროს იძულებული ვართ დავკმაყოფილდეთ ფართობის საერთო სტატისტიკის ცნობებით, ვინაიდან საფრანგეთში არ აგროვებენ ცნობებს ცალკეულ მეურნეობათა მიხედვით და არ არის გამოკვლეული ვენახების მეპატრონეთა რიცხვი. იმ მეურნეთა ხელში, რომელთაგან თვითეულს მოეპოვება 10 და მეტი ჰექტარი მიწა, გერმანიაში არის ყველა ვენახის 12,83%, ხოლო საფრანგეთში — 57,02%.

სავაჭრო მებოსტნეობისა (Kunst- und Handelsgärtnerei), რომელიც ასეთი სისწრაფით იზრდება ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში და პირდაპირ დამოკიდებულია მსხვილი ქალაქების, რკინიგზის სადგურების, ინდუსტრიული დაბების და სხვ. ზრდაზე. 1895 წელს გერმანიაში ითვლებოდა სავაჭრო მებოსტნეობის 32 540 მეურნეობა და მათ ეჭირათ 23 570 ჰექტარი, — თვითეულს საშუალოდ ერთ ჰექტარზე ნაკლები. მაგრამ ამ ფართობის ნახევარზე მეტი (51,39%) თავმოყრილია 1 932 მეურნის, ე. ი. ყველა მებოსტნის 5,94%-ის ხელში. თუ რა დიდი ფართობი უკავია ამ მსხვილ მეურნეთა ბოსტნებს და მათ დანარჩენ მიწას, რომელზეც ისინი სოფლის მეურნეობას ეწევიან, ჩანს შემდეგი ციფრებიდან: 1 441 მებოსტნეს, რომელთა ბოსტნები შეიცავენ 2 — 5 ჰექტარს, საშუალოდ 2,76 ჰექტარი საბოსტნე მიწა აქვს თვითეულს, ხოლო მიწა საერთოდ თვითეულს — 109,6 ჰექტარი; 491 მებოსტნეს, რომელთაგან თვითეულს 5 და მეტი ჰექტარი საბოსტნე მიწა აქვს, საშუალოდ 16,54 ჰექტარი ბოსტანი და სულ 134,7 ჰექტარი მიწა აქვს თვითეულს.

დავუბრუნდეთ რძის მეურნეობას, რომლის შესახებ არსებული ცნობები დაგვეხმარება პასუხი გავცეთ კითხვას, თუ რა მნიშვნელობა აქვს კოოპერაციებს, რომელნიც ჰერცს გადაუქცევია კაპიტალიზმისაგან თავის დასაღწევ პანაცეად. «სოციალიზმის მთავარ ამოცანად» ჰერცს მიაჩნია კოოპერაციებისთვის ხელის შეწყობა (S. 21, რუს. თარგმ. 62; S. 89, რუს. თარგმ. 214), ხოლო ბ-ნმა ჩერნოვმა, რომელიც, როგორც წესია, შუბლს იხეთქავს ახალი ღმერთებისადმი თაყვანისცემით, უკვე შეთხზა «მიწათმოქმედების არაკაპიტალისტური ევოლუცია» კოოპერაციის საშუალებით. ასეთი შესანიშნავი აღმოჩენის თეორიული მნიშვნელობის შესახებ რამდენიმე სიტყვის თქმა საერთოდ ჩვენ ქვემოთ მოგვიხდება. ახლა კი აღვნიშნავთ, რომ კოოპერაციის თაყვანისმცემელთ უყვართ იმის დამოწმება, რის მიღწევაც კოოპერაციის საშუალებით

«შეიძლება» (იხ. მაგალითი ზემოთ). ჩვენ კი უმჯობესია ცხადვყოთ, თუ კოოპერაციის მეოხებით ნამდვილად რის მიღწევა შეიძლება თანამედროვე კაპიტალისტური წყობილების პირობებში. გერმანულმა სტატისტიკამ მეურნეობათა და მოსაქმეობის აღწერის დროს 1895 წელს აღრიცხა ყველა სამიწათმოქმედო მეურნეობა, რომელნიც კი მონაწილეობას იღებდნენ რძის ნაწარმის გამსაღებელ ამხანაგობებში (Molkereigenossenschaften und Sammelmolkereien) და აგრეთვე იმ ძროხების რაოდენობა, რომელთა რძის ნაწარმსაც ასაღებს თვითეული ასეთი მეურნე. ეს, რამდენადაც ვიცით, თითქმის ერთადერთი მ ა ს ო ბ რ ი ვ ი ცნობებია, რომელნიც ზუსტად ვანსაზღვრავენ არა მარტო იმას, თუ რაგვარ მონაწილეობას იღებენ ამხანაგობებში სხვადასხვა თანრიგის მეურნენი, არამედ — რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია — ამ მონაწილეობის, ასე ვთქვათ, მეურნეობრივ მოცულობასაც, ე. ი. მეურნეობის სწორედ იმ დარგის ოდენობას, რომლითაც თვითეული მათგანი შედის ამხანაგობაში (იმ ძროხების რიცხვს, რომლებიც იძლევიან პროდუქტს, რომლის გასაღებაც მოუწყვიათ ამხანაგობებს). მოგვყავს ეს ცნობები, დანაწილებული ხუთ მთავარ ჯგუფად მეურნეთა მიწის ოდენობის მიხედვით.

მეურნეობანი, რომლებიც მონაწილეობას იღებენ რძის ნაწარმის გამსაღებელ ამხანაგობებში:

	ასეთ მეურნ. რიცხვი	% ყველა მეურნ. რიცხვის მიმართ	% ჯამის მიმართ*	მათი ძროხ. რიცხვი	% ჯამის მიმართ	ერთ მეურნეზე მოდის ძროხები
0 — 2 ha ..	10 300	0,3	6,95	18 556	1,71	1,8
2 — 5 „ ...	31 819	3,1	21,49	73 156	6,76	2,3
5 — 20 „	53 597	5,4	30,19	211 236	19,51	3,9
20 —100 „ ...	43 561	15,4	29,42	418 563	38,65 } 72,02	9,6
100 და მეტი ha..	8 805	35,1	5,95	361 485	33,37	41,0
სულ.....	148 082	2,7	100,00	1 082 946	100,00	7,3
მეურნეობანი 1000 და მეტ ჰექტ..	204	35,6	—	18 273	—	89,0

* ბ-მა ბულგაკოვმა განაცხადა: «მსხვილი მეურნეობის წილი აქ ცხადი გახდება შემდეგი ციფრებიდან» (II, 117) და მოიყვანა მ ხ ო ლ ო დ ეს ციფრები, რომლებიც «მსხვილი მეურნეობის წილს» კი არ არკვევენ, არამედ უფრო (თუ სხვა ციფრებს არ შევადარებთ) ა ბ უ ნ დ ო ვ ა ნ ებ ე ნ.

ამრიგად, წვრილ მიწათმოქმედთაგან ამხანაგობებში მონაწილეობას იღებს სრულიად უმნიშვნელო უმცირესობა — 3 — 5%, ე. ი. ისეთი ნაწილი, რომელიც, ალბათ, უფრო მცირეა, ვიდრე კაპიტალისტურ მეურნეობათა წილი დაბალ ჯგუფებშიც. პირიქით, მსხვილ, აშკარა კაპიტალისტურ მეურნეობათაგან ამხანაგობებში მონაწილეობას იღებს 3 — 7-ჯერ მეტი პროცენტი, ვიდრე თუგინდ საშუალო გლეხურ მეურნეობათაგან. ხოლო ყველაზე უფრო მეტ მონაწილეობას იღებენ ამხანაგობებში ლატიფუნდიები. ჩვენ შეგვიძლია ახლა განვსაჯოთ მთელი უსაზღვრო გულუბრყვილობა ავსტრიელი ვოროშილოვის, ჰერცისა, რომელიც ეკამათება კაუტსკის — «გერმანიის სასოფლო-სამეურნეო შემყიდველ კავშირში (Bezugsvereinigung), რომელშიც შედიან მეტად მსხვილი ამხანაგობები, წარმოდგენილია 1 050 000 სოფლის მეურნეო» (S. 112, რუს. თარგმ. 267, ხაზგასმა ჰერცისაა), — და დაასკვნის, რომ, მაშასადამე, არა მარტო მსხვილი მეურნენი (რომელთაც 20 ჰექტარზე მეტი ფართობი აქვთ, სულ 306 ათასი მეურნე), არამედ გლეხებიც იღებენ მონაწილეობას ამხანაგობებშიო! საკმაო იყო ცოტა მაინც ჩაფიქრებოდა ჰერცი თავისსავე საკუთარ ვარაუდს (ყველა მსხვილ მეურნეთა მონაწილეობა ამხანაგობებში), და დაინახავდა, რომ თუ ყველა მსხვილი მეურნე შედის წევრად ამხანაგობებში, მაშასადამე, დანარჩენთაგან შედის უფრო მცირე ნაწილი, — მაშასადამე, სავსებით დასტურდება კაუტსკის დასკვნა მსხვილი მეურნეობის წვრილ მეურნეობასთან შედარებით უპირატესობის შესახებ კოოპერაციული ორგანიზებულობის მხრივაც.

მაგრამ კიდევ უფრო საინტერესოა ცნობები იმ ძროხების რიცხვის შესახებ, რომელთა ნაწარმის გასაღება ამხანაგობების მიერ არის მოწყობილი: ამ ძროხების უდიდესი ნაწილი, თითქმის სამი მეოთხედი (72%), ეკუთვნის მსხვილ მეურნეთ, რომელნიც ეწევიან კაპიტა-

ლისტურ მერძეველობას და ჰყავთ ათი, ორმოცი და ოთხმოცი (ლატიფუნდიებში) ძროხა ერთ მეურნეობაზე. ახლა კი მოუსმინეთ ჰერცს: «ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ამხანაგობები უდიდეს სარგებლობას აძლევენ წვრილ და უწვრილეს მეურნეობათა პატრონებს»... (S. 112, რუს. თარგმ. 269, ხაზგასმა ეკუთვნის ჰერცს). ვოროშილოვები ყველგან ერთნაირი არიან: რუსეთშიც და ავსტრიაშიც, როცა ვოროშილოვი გულში ხელს იცემს და ხაზგასმით ამბობს: «ჩვენ ვამტკიცებთ», — შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ ის ამტკიცებს სწორედ იმას, რაც არ არის.

გერმანული აგრარული სტატისტიკის ცნობების ჩვენი მიმოხილვის დასასრულ თვალი გადავავლოთ სოფლის მეურნეობაში ჩაბმული მოსახლეობის განაწილების საერთო სურათს იმის მიხედვით, თუ რა მდგომარეობა უკავია მეურნეობაში. ჩვენ ვიღებთ, რა თქმა უნდა, მხოლოდ სოფლის მეურნეობას ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით (A 1, და არა A 1 — 6, გერმანული აღნიშვნით, ე. ი. მიწათმოქმედთ არ მივათვლით აგრეთვე მეთევზეებს, ხე-ტყის მრეწველებს და მონადირეებს), ხოლო შემდეგ ვიღებთ ცნობებს იმ პირთა შესახებ, რომლებისთვისაც მიწათმოქმედება მთავარ საქმიანობას შეადგენდა. გერმანული სტატისტიკა ამ მოსახლეობას ჰყოფს სამ მთავარ ჯგუფად: a) დამოუკიდებელნი (ე. ი. მეურნე-მესაკუთრენი, მოიჯარადრენი და სხვ.); b) მოსამსახურენი (მმართველები, მოურავები, ზედამხედველები, კანტორის მოხელენი და სხვ.) და c) მუშები, მასთან ეს უკანასკნელი ჯგუფი იყოფა შემდეგ ოთხ ქვე-ჯგუფად: c[1]) «ოჯახის წევრები, რომლებიც მუშაობენ ოჯახის უფროსის, მამის, ძმის და სხვ. მეურნეობაში». სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს შინაური მუშებია დაქირავებული მუშებისაგან განსხვავებით, რომელთაც ეკუთვნიან c ჯგუფის დანარჩენი ქვეჯგუფები. ამიტომ ცხადია, რომ მოსახლეობის სოციალური შემადგენლობის (და მისი კაპიტალისტური ევოლუციის) შე-

სასწავლად ეს შინაური მუშაკები უნდა შეეუერთოთ ერთ ჯგუფად არა დაქირავებულ მუშებს, როგორც ამას ჩვეულებრივ შვრებიან, არამედ მეპატრონეებს (a), ვინაიდან ეს შინაური მუშაკები, არსებითად, აგრეთვე თანამეპატრონენი არიან, მეურნეობის პატრონის ოჯახის წევრები, რომელთაც აქვთ მემკვიდრეობის უფლება და სხვ. შემდეგ, c[2]) ქვე-ჯგუფი სასოფლო-სამეურნეო მოჯამაგირენი ორივე სქესისა (Knechte und Mägde); c[3]) «სოფლის მეურნეობაში დღიურად მომუშავენი და სხვა მუშები (მეცხვარეები, მწყემსები) საკუთარი ან იჯარით აღებული მიწით». მაშასადამე, ეს ისეთ პირთა ჯგუფია, რომლებიც ერთსა და იმავე დროს მეპატრონენიც არიან და დაქირავებული მუშებიც, ე. ი. შუალედი, გარდამავალი ჯგუფია, რომელიც ცალკე უნდა გამოიყოს. დასასრულ, c[4]) «იგივენი — საკუთარ და იჯარით აღებულ მიწას მოკლებულნი». ამრიგად, ჩვენ ვღებულობთ სამ ძირითად ჯგუფს: I. მეპატრონეები — მიწის მფლობელნი და მათი ოჯახის წევრები. II. მეპატრონეები — მიწის მფლობელნი და იმავე დროს დაქირავებული მუშები. III. უმიწაწყლო დაქირავებული მუშები (მოსამსახურენი, მოჯამაგირეები და დღიური მუშები). აი როგორ იყო განაწილებული გერმანიის სოფლის მოსახლეობა * ამ ჯგუფთა შორის 1882 და 1895 წლებში:

		აქტიური (მრეწავი) მოსახლეობა, რომლისთვისაც მიწათმოქმედება მთავარი მოსაქმეობაა (ათასებად)			
		1882	1895		
a) მიწის მფლობელი მეპატრონენი		2 253	2 522	+269	
c[1]) მეპატრონეთა ოჯახის წევრები		1 935	1 899	— 36	
	I	4 188	4 421	+233	+ 5,6%
c[2]) მუშები, რომელთაც მიწა აქვთ	(II)	866	383	—483	—55,8%
	I+II	5 054	4 804	—250	
b) მოსამსახურენი		47	77	+ 30	
c[3]) მოჯამაგირენი		1 589	1 719	+130	
c[4]) უმიწაწყლო მუშები		1 374	1 445	+ 71	
	III	8 010	8 241	+231	+7,7%
	სულ	8 064	8 045	— 19	—0,2%

* ჩვენ ვლაპარაკობთ მხოლოდ «აქტიურ» მოსახლეობაზე (ფრანგული თქმით; «erwerbsthätige» — გერმანულად), ე. ი. ისეთ მოსახლეობაზე, რომელიც მართლაც მიწათმოქმედებას მისდევს, შინამოსამსახურეთა და ოჯახის იმ წევრთა ჩაუთვლელად, რომლებიც არ იღებენ წესიერ და მუდ-

ამრიგად, მთელი აქტიური მოსახლეობა შემცირდა, თუმცა უმნიშვნელოდ. მის შიგნით ვხედავთ იმ მოსახლეობის შემცირებას, რომელსაც მიწა აქვს (I + II), და უმიწაწყლო მოსახლეობის (III) ზრდას. ეს ნათლად გვიჩვენებს, რომ ვითარდება სოფლის მოსახლეობის და მასთან სახელდობრ წვრილ მიწათმფლობელთა ექსპროპრიაცია, ვინაიდან ჩვენ ვიცით უკვე, რომ დაქირავებული მუშები მიწის პატარა ნაკვეთით ეკუთვნიან ყველაზე წვრილ მეურნეთა რიცხვს. შემდეგ, იმათ რიცხვს, ვისაც საკუთარი მიწა აქვთ, აკლდება მეურნე-მუშები, ხოლო იზრდება მეურნეთა რიცხვი. მაშასადამე, ჩვენ ვხედავთ საშუალო ჯგუფთა გაქრობას და უკიდურეს ჯგუფთა გაძლიერებას: შუალედი ჯგუფი ქრება, ხდება კაპიტალისტურ წინააღმდეგობათა გამწვავება. დაქირავებულ მუშათაგან იზრდება იმათი რიცხვი, ვინც უკვე სრულებით ექსპროპრიირებულნი არიან, მცირდება მიწის მეპატრონეთა რიცხვი; მეპატრონეთაგან იზრდება მეურნეობათა უშუალო მფლობელების და კლებუ-

---

მივ მონაწილეობას სამიწათმოქმედო მუშაობაში. რუსეთის სოციალური სტატისტიკა ისე განუვითარებელია, რომ განსაკუთრებული ტერმინიც კი არ არის გამომუშავებული ამ ცნებისათვის «active», «erwerbsthätig», «occupied». იანსონი, როცა ამუშავებს ცნობებს პეტერბურგის მოსახლეობის საქმიანობის შესახებ («ს.-პეტერბურგი 1890 წლის აღწერის მიხედვით»), ხმარობს ტერმინს «დამოუკიდებელნი», მაგრამ ეს ტერმინი ეხერხულია, ვინაიდან «დამოუკიდებლად», როგორც მიღებულია, იგულისხმებიან მეპატრონენი, და ამრიგად დაყოფა იმისდა მიხედვით, იღებენ თუ არა მონაწილეობას სარეწაო (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) საქმიანობაში, აირევა დაყოფაში იმისდა მიხედვით, თუ ვის რა მდგომარეობა უჭირავს სარეწაოში (მარტოხელა მეპატრონე-მუშა). გამოდგებოდა ტერმინი: «მწარმოებელი მოსახლეობა», მაგრამ ესეც არ არის ზუსტი, ვინაიდან, მაგ., სამხედრო პირნი, რანტიე და სხვ. კლასები სრულიად არ არიან «მწარმოებელნი». შესაძლოა უფრო მოხერხებული ყოფილიყო ტერმინი: «მრეწავი» მოსახლეობა, ე. ი. ისეთი, რომელიც მონაწილეობას იღებს ყოველგვარ «სარეწაო» (= შემოსავლის მომტან) საქმიანობაში, იმათგან განსხვავებით, ვინც «მრეწავთა» ანგარიშზე ცხოვრობს.

ლობს ისეთების რიცხვი, ვინც მუშაობს ოჯახის უფროსის მეურნეობაში. (ალბათ, ეს უკანასკნელი გარემოება დაკავშირებულია იმასთან, რომ გლეხის ოჯახის მომუშავე წევრები უმეტეს ნაწილად არავითარ ხელფასს არ ღებულობენ ოჯახის მეთაურისაგან და ამიტომაც ქალაქისაკენ ლტოლვის განსაკუთრებული მიდრეკილება აქვთ.)

თუ ავიღებთ ცნობებს იმ მოსახლეობის შესახებ, რომლისთვისაც მიწათმოქმედება დ ა მ ა ტ ე ბ ი თ ი მოსაქმეობაა, დავინახავთ, რომ მთელი ეს მოსახლეობა (აქტიური ანუ მრეწავი) გაზრდილა 3 144 ათასიდან 3 578 ათასამდე, ე. ი. 434 ათასით, ამასთან ეს ზრდა მოდის თითქმის მთლად მეურნეთა ოჯახების მომუშავე წევრთა ჯგუფზე, რომელიც 397 ათასით (664-დან 1 061 ათასამდე) გადიდდა. მეურნეთა რიცხვი გაიზარდა 40 ათასით (2 120-დან 2 160-მდე); მიწის მქონე მუშათა რიცხვი გაიზარდა 51 ათასით (9-დან 60 ათასამდე); უმიწაწყლო მუშების რიცხვი შემცირდა 54 ათასით (351-დან 297 ათასამდე). ეს გიგანტური ზრდა — 13 წლის განმავლობაში 664 ათასიდან 1 061 ათასამდე, ე. ი. 59,8%-ით, — ისევ ისე პროლეტარიზაციის ზრდას მოწმობს; ადგილი აქვს გლეხის ოჯახის წევრ იმ გ ლ ე ხ თ ა რიცხვის ზრდას, რომლებიც მიწათმოქმედებას უკვე დ ა მ ა ტ ე ბ ი თ მოსაქმეობად თვლიან. ჩვენ ვიცით, რომ მთავარ მოსაქმეობას ასეთ შემთხვევებში უწინარეს ყოვლისა შეადგენს დაქირავებით მუშაობა (ხოლო შემდეგ უკვე წვრილი ვაჭრობა, ხელოსნობა და სხვ.). თუ გლეხთა ოჯახების ყველა მომუშავე წევრს ერთად შევაერთებთ, როგორც იმათ, ვისთვისაც მიწათმოქმედება მთავარი მოსაქმეობაა, ისე იმათაც, ვისთვისაც ის მხოლოდ დამხმარე მოსაქმეობაა, მივიღებთ: 1882 წ. — 2 559 ათასს; 1895 წ. — 2 960 ათასს. ეს ზრდა ადვილად შეიძლება საბაბი გახდეს მცდარი გაგებისა და აპოლოგეტური დასკვნისათვის, განსაკუთრებით საერთოდ და მთლიანად კლებადი დაქირავებული მუშების რიცხვთან შედარებისას. ნამდვილად კი ეს საერთო ზრდა შედეგია იმ გლეხთა ოჯახების წევრთა რიცხვის შ ე მ ც ი რ ე ბ ი ს ა, რომლებისთვისაც მიწათმოქ-

მედება მთავარი მოსაქმეობაა, და იმათი რიცხვის გ ა დ ი დ ე-ბ ი ს ა, ვისთვისაც მიწათმოქმედება დამხმარე მოსაქმეობაა, ასე რომ უკანასკნელნი 1882 წელს შეადგენდნენ გლეხთა ოჯახების მომუშავე წევრთა მთელი რიცხვის მხოლოდ 21,7%-ს, ხოლო 1895 წელს უკვე 35,8%-ს. ამრიგად, მ თ ე-ლ ი სამიწათმოქმედო მოსახლეობის სტატისტიკა სრული სიცხადით გვიჩვენებს სწორედ პროლეტარიზაციის იმ ორ პროცესს, რომლებზეც ყოველთვის მიუთითებდა ორთოდოქ-სული მარქსიზმი და რომელთა უარყოფასაც ასეთი შაბ-ლონური ფრაზებით ცდილობენ ოპორტუნისტული კრიტიკო-სები, — ერთი მხრივ, გლეხობის მიერ მიწაწყლის დაკარგვის მზარდი პროცესი, ექსპროპრიაცია სოფლის მოსახლეობისა, რომელიც ქალაქში გარბის და რომელიც მიწის მქონე მუშე-ბიდან უმიწაწყლო მუშებად იქცევა; — მეორე მხრივ, გლეხო-ბის «დამხმარე საშოვრის» განვითარება, ე. ი. მიწათმოქმედე-ბის ის შეერთება მრეწველობასთან, რომელიც პროლეტარი-ზაციის პირველი საფეხურია და რომელიც მუდამ იწვევს გაჭირვების გაძლიერებულ ზრდას (სამუშაო დღის გაგრძე-ლება, კვების გაუარესება და სხვ.). რაოდენადმე ორივე ეს პროცესი, თუ მათ მხოლოდ გარეგნულად განვიხილავთ, ერთიმეორის საწინააღმდეგოც კი არის: უმიწაწყლო მუშების რიცხვის გადიდება — და მიწათმოქმედ-გლეხთა ოჯახების მომუშავე წევრთა რიცხვის გადიდება. ამიტომ ამ პროცესე-ბის ერთმანეთში არევით ან ერთ-ერთი მათგანის უგულებელ-ყოფით ადვილად შეიძლება მეტად უხეში შეცდომის დაშვება, რომლის ნიმუშები მრავლადაა გაბნეული ბულგაკოვის წიგნში[65]. დასასრულ, მოსაქმეობის სტატისტიკა გვიჩვენებს აგრეთვე მოსამსახურეთა რიცხვის მეტად თვალსაჩინო ზრდას*: 47 ათასიდან 77 ათასამდე, ე. ი. 63,8%-ით. პროლე-ტარიზაციის ზრდასთან ერთად — ზრდა მსხვილი კაპიტალის-ტური წარმოებისა, რომელსაც ესაჭიროება მოსამსახურეები

* ამ ფაქტის გამო მეტად უშნოდ ოხუნჯობს ბ-ნი ბულგაკოვი «ნაჩალო-ში»: «ოფიცერთა რიცხვის ზრდა არმიის შემცირებისას». გამარტივებული შეხედულება შრომის ორგანიზაციაზე მსხვილ წარმოებაში!

და თანაც მით უფრო მეტი რაოდენობით, რაც უფრო მეტად შემოდის ხმარებაში მანქანები და ვითარდება ტექნიკური წარმოებანი.

ამრიგად, ბ-ნმა ბულგაკოვმა, თუმცა ძალიან დაიკვეხა «დეტალიზაციით», სრულებით ვერ შესძლო გერმანული სტატისტიკის მონაცემებში გარკვევა. მოსაქმეობის სტატისტიკაში მან აღნიშნა მხოლოდ უმიწაწყლოთა რიცხვის გადიდება და მიწის მქონე მუშების რიცხვის შემცირება, როგორც იმ «ცვლილებათა მაჩვენებელი, რომლებიც მოხდა სასოფლო-სამეურნეო შრომის ორგანიზაციაში» (II, 106). მაგრამ შრომის ორგანიზაციის ეს ცვლილება გერმანიის მთელ მიწათმოქმედებაში მისთვის დარჩა სრულიად შემთხვევით და გაუგებარ ფაქტად, რომელიც არაფრით არ არის დაკავშირებული სამიწათმოქმედო კაპიტალიზმის საერთო წყობასთან და საერთო ევოლუციასთან. სინამდვილეში კი ეს კაპიტალიზმის განვითარების პროცესის მხოლოდ ერთ-ერთი მხარეა. გერმანიის მიწათმოქმედების ტექნიკური პროგრესი, წინააღმდეგ ბ-ნ ბულგაკოვის აზრისა, უმთავრესად მსხვილი წარმოების პროგრესს წარმოადგენს, როგორც ამას უდავოდ ამტკიცებს ცნობები მანქანების გამოყენების შესახებ, იმ მეურნეობათა პროცენტის შესახებ, რომელთაც მუშა პირუტყვი ჰყავთ და მუშა პირუტყვის შემადგენლობის, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკურ წარმოებათა, რძის მეურნეობის ზრდისა და სხვ. შესახებ. მსხვილი წარმოების ამ პროგრესთან განუყრელადაა დაკავშირებული სოფლის მოსახლეობის პროლეტარიზაციის და ექსპროპრიაციის ზრდა, პარცელურ მეურნეობათა და ისეთ გლეხთა რიცხვის გადიდება, რომელთა არსებობის მთავარ წყაროს შეადგენს დამხმარე საშოვარი, გაჭირვების ზრდა საშუალო გლეხურ მოსახლეობაში, რომელმაც ყველაზე მეტად გაიუარესა თავისი მეურნეობის პირობები (ძალზე გადიდება უცხენოთა პროცენტისა და აგრეთვე ისეთ მეურნეობათა პროცენტისა, რომლებიც მინდვრის სამუშაოებისათვის ძროხებს იყენებენ), და, მაშასადამე, მთელი თავისი ცხოვრებისა და მიწის მოვლის პირობებიც.

რსდმპ საზღვარგარეთული ორგანიზაციების «გამაერთიანებელი» ყრილობა

1901 წლის 21 — 22 სექტემბერს (4 — 5 ოქტომბერს) [66]

1
სიტყვა, წარმოთქმული 21 სექტემბერს (4 ოქტომბერს)

(საოქმო ჩანაწერი)

ამხანაგებო!

დავიწყოთ იმ პუნქტით, რომელზეც დამოკიდებულია ყრილობის წარმატება.

როგორც «ისკრის» წარმომადგენელი, მე საჭიროდ ვთვლი შევეხო სხვა ორგანიზაციებთან ჩვენი ურთიერთობის ისტორიას. «ისკრა» თავიდანვე სრულიად დამოუკიდებლად გამოვიდა, რუსეთის სოციალ-დემოკრატიასთან ის მხოლოდ იდეურ კავშირს აღიარებდა, და მოქმედებდა ბევრი რუსეთელი ამხანაგის დავალებით. თავის პირველ ნომერშივე «ისკრამ» განაცხადა, რომ არ შეეხება «რუსი სოციალ-დემოკრატების კავშირში»[67] მომხდარ ორგანიზაციულ უთანხმოებას და უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს თავის პრინციპულ პოზიციას*.

«კავშირის» წევრთა ერთმა ნაწილმა წინადადება მოგვცა კონფერენცია მოგვეწყო საზღვარგარეთულ ორგანიზაციებთან შესათანხმებლად. ეს წინადადება ჩვენ იმ აზრით გავიგეთ, რომ «კავშირში» არსებობს ჯგუფი, რომელიც იზიარებს ჩვენს მიერ წამოყენებულ პრინციპებს და რომ, მაშასადამე, შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ «კავშირიც» აღიარებს მათ. რევოლუციურმა ორგანიზაციამ «სოციალ-დემოკრატმა»[68], მიუხედავად იმისა, რომ პრინციპულ უთანხმოებათა გარდა ორგანიზაციული უთანხმოებანიც არსებობდა, თანხმობა

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 4, გვ. 464 — 466. რ ე დ.

განაცხადა. სამწუხაროდ, «კავშირმა» უარი თქვა მოლაპარაკებაზე. ინიციატორთა ახალი ჯგუფის გაჩენისთანავე «კავშირმა» მოლაპარაკებაზე თანხმობა განაცხადა. რადგან «კავშირის» ფიზიონომია ერთობ გაურკვეველი იყო, რადგან «კავშირში» გაჩნდა ახალი მიმართულება, რომელიც რევოლუციური მარქსიზმისკენ იხრებოდა, შეიძლებოდა იმედი გვქონოდა, რომ პრინციპული შეთანხმება შესაძლებელია. «ისკრა» და «სოციალ-დემოკრატი» კვლავ დათანხმდნენ, რის შემდეგ შესდგა ჟენევის კონფერენცია. ჩვენი სხდომის წინ ამხანაგმა კრუგლოვმა წაიკითხა ამ კონფერენციის რეზოლუცია და არავითარი შენიშვნები არ გაუკეთებია მისთვის. «კავშირიდან» არავის სიტყვა არ აუღია რეზოლუციის წინააღმდეგ აზრის გამოსათქმელად.

ჩვენ აღვნიშნავთ, რომ «რაბოჩეე დელომ» თავის მე-10 ნომერში გადაჭრით გაწყვიტა კავშირი რევოლუციური მარქსიზმის ტრადიციებთან და გაილაშქრა იმ პრინციპული შეთანხმების წინააღმდეგ, რაც შემუშავებული იყო ჟენევის კონფერენციაზე, რომლის ტენდენციებს, ცხადია, «კავშირი» ეთანხმებოდა.

ყოველივე ამის გამო ჩემი კრიტიკა მიმართული იქნება «რ. დ.»-ს რედაქციის წინააღმდეგ და არა მთელი «კავშირის» წინააღმდეგ.

დავუპირისპიროთ ერთმანეთს ჟენევის რეზოლუცია და «რ. დ.»-ს მე-10 ნომრის სტატიები.

ჟენევის რეზოლუცია გაოცებთ თავისი საკვირველი დეტალობით და იმ პუნქტების ხაზგასმით აღნიშვნით, რომელნიც საყოველთაოდ ცნობილად ითვლებიან.

პრინციპული შეთანხმების 1-ლი პუნქტი ამბობს: «აღვიარებთ რა მეცნიერული სოციალიზმის ძირითად პრინციპებს და ვმოქმედებთ რა საერთაშორისო რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის სოლიდარულად, ჩვენ უარვყოფთ პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლაში ოპორტუნიზმის შეტანის ყოველგვარ ცდას, რაც გამოიხატება ეგრეთწოდებული ეკონო-

მიზმით, ბერნშტეინელობით, მილიერანიზმით და სხვ.». ეჭ, ცხადია, რაღაც გადაკრულად არის ნათქვამი, აშკარაა ბრძოლა ყოფილა ოპორტუნიზმსა და რევოლუციურ მარქსიზმს შორის. როგორიც უნდა იყოს «რ. დ.»-ს მე-10 ნომრის შინაარსი, ყოველ შემთხვევაში, მას არ შეუძლია მოსპოს ის ისტორიული ფაქტი, რომ ჟენევის კონფერენცია იყო და მის მიერ მიღებული რეზოლუცია შეიძლება გაერთიანების ბაზისი გახდეს. მე-3 პუნქტში, მაგალითად, ჟენევის რეზოლუცია აღიარებს, რომ სოციალ-დემოკრატიამ უნდა იკისროს ჰეგემონია დემოკრატიისათვის ბრძოლაში. ცხადია, წინათ ამ პუნქტის გამოც არსებობდა უთანხმოება. ოპორტუნიზმისაგან ჩამოშორების მისწრაფებაში რეზოლუცია თითქმის კურიოზებამდე მიდის. (იხ. პუნქტი «ე» მე-5 პარაგრაფში.) მაშასადამე, უთანხმოება ყოფილა ასეთ ელემენტარულ საკითხებშიც. ახლა ეს რეზოლუცია დავუპირისპიროთ «რ. დ.»-ს მე-10 ნომრის სტატიებს. სამწუხაროდ, მე მხოლოდ სამიოდე დღე მქონდა — ერთი თვალის გადავლებით გავცნობოდი მათ.

ეს სტატიები დაწვრილებით არკვევენ ჩვენს შეხედულებათა შორის არსებულ განსხვავებას; მათში არის «ზარიას» და «ისკრის» მიმართ ზოგიერთი სამართლიანი მითითება, რომლებითაც ჩვენ კიდევაც ვისარგებლებთ, მაგრამ ახლა ჩვენ ეს როდი გვაინტერესებს. ჩვენ გვაინტერესებს ის პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უდევთ ამ სტატიებს. «რ. დ.»-ს მე-10 ნომრის პრინციპული პოზიცია ამხობს იმ პოზიციას, რომელიც «კავშირის» დელეგატებს ეკავათ ჟენევის კონფერენციაზე. ამ პოზიციებს შორის შერიგება შეუძლებელია. უნდა გამოვააშკარაოთ ამ პოზიციების წინააღმდეგობანი, რათა ვიცოდეთ, თუ რა ნიადაგზე დგას «კავშირი», ვიცოდეთ, შესაძლებელია თუ არა იდეური გაერთიანება, ურომლისოდ აზრი არა აქვს ორგანიზაციულ გაერთიანებას; ასეთი გაერთიანება ჩვენ არ გვიძებნია და არც შეგვეძლო გვეძებნა. «რ. დ.»-ს მე-10 ნომრის 32-ე და 33-ე გვერდზე სტატიის ავტორი უკმაყოფილოა

საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიაში მთისა და ჟირონდის დაპირისპირებით[69]. შეხედეთ ჟენევის კონფერენციას, განა ის არ წარმოადგენს შეჯახებას მთასა და ჟირონდას შორის? განა «ისკრა» არ წარმოადგენს მთას? განა «ისკრა» ჯერ კიდევ თავის პირველ სარედაქციო განცხადებაში არ ლაპარაკობს, არავითარი ორგანიზაციული გაერთიანება არა მსურს, სანამ იდეურად არ გავიმიჯნებითო? «რ. დ.»-ს მე-10 ნომერში ნათქვამია, ყველაზე თავგამოდებული ბერნშტეინელებიც კი კლასობრივი ინტერესების ნიადაგზე დგანანო. რეზოლუციაში სპეციალურადაა ლაპარაკი ბერნშტეინელობაზე, მის უარყოფაზე კონფერენციის წევრებმა უამრავი შრომა გასწიეს, და აი ახლა უკვე «რ. დ.»-ს მე-10 ნომრის სტატიებში ძველ ამბებს ღეჭავენ. რა არის ეს, გამოწვევა თუ დაცინვა? რაღა საჭირო იყო ამდენი ცოდვილობა?! თითქოს დასცინიან იმ შრომას, რაც ჩვენ გავწიეთ თეორიული ბაზისის შემუშავებაზე. არ უნდა დავივიწყოთ, რომ საერთო იდეური ბაზისის უქონლად შეუძლებელია გაერთიანების საკითხის დაყენება. შემდეგ იმავე სტატიაში ჩვენ ვპოულობთ დაპირებას—კიდევ უფრო გავაფართოებთ უთანხმოების ფარგლებსო. ასე, მაგალითად, 33-ე გვერდზე ავტორი ამბობს: «შესაძლოა ჩვენი უთანხმოებანი გამომდინარეობს მარქსიზმის სხვადასხვანაირად გაგებიდან». კიდევ ვიმეორებ, რაღა საჭირო იყო ამდენი ცოდვილობა?!

ჟენევის რეზოლუციის მე-4 §-ის «გ» პუნქტში ლაპარაკია რევოლუციური მარქსიზმის ყველა მოწინააღმდეგესთან ბრძოლის აუცილებლობაზე, აქ კი გვეუბნებიან, შეიძლება საერთოდ სხვადასხვანაირად გვესმის მარქსიზმიო.

მე იმასაც აღვნიშნავ, რომ ყოველივე ამას თან ახლავს მსჯელობა აზრის შებოჭვის მავნებლობაზე და სხვ., ე. ი. სწორედ ის, რასაც ყველა ბერნშტეინელი ლაპარაკობს. ამაზე უკვე იყო ლაპარაკი ლუბეკის პარტეიტაგზეც[70]; ამასვე იმეორებენ ეორესისტებიც; ხოლო შეთანხმების პუნქტები სწორედ ამაზე არ ლაპარაკობენ, რადგან შეთანხმება მოხდა სწორედ რევოლუციური მარქსიზმის ნიადაგზე. კრიტიციზმის

სუსტი გამოვლინებაც კი სრულ გათიშვას გამოიწვევდა. ჩვენ შევიკრიბენით იმისათვის, რომ ვილაპარაკოთ შეხედულებათა შინაარსზე და არა შეხედულებათა თავისუფლებაზე. საფრანგეთისა და გერმანიის ნიმუშების დამოწმება სრულიად უხეიროა. გერმანელებმა უკვე მიაღწიეს იმას, რისთვისაც ჩვენ ჯერ კიდევ ვიბრძვით. მათ ჰყავთ ერთიანი სოციალ-დემოკრატია, რომელსაც ჰეგემონია ეკუთვნის პოლიტიკურ ბრძოლაში. ჩვენში კი სოციალ-დემოკრატია ჯერ კიდევ არ არის რევოლუციური ჯგუფების წინამძღოლი, პირიქით, ჩვენში ვხედავთ სხვა რევოლუციური ტენდენციების გამოცოცხლებას. «რ. დ.»-ს მე-10 ნომრის სტატიებში არათუ ვერ ვხედავთ ოპორტუნიზმთან სრული პრინციპული კავშირის გაწყვეტას, არამედ რაღაც უფრო უარესიც გვაქვს: სტიქიური მოძრაობის სიჭარბის ქება-დიდება. მე სიტყვებს კილოს კი არ ვაბამ. ჩვენ ყველანი, «ისკრელი» და «სოციალ-დემოკრატელი» ამხანაგები და მე, ყურადღებას ვაქცევთ მხოლოდ სტატიების ძირითად ტენდენციებს, მაგრამ ეს სიტყვები, როგორც გერმანელები ამბობენ, ins Gesicht schlagen*. მაგრამ ამ პუნქტების გამო ჟენევის რეზოლუცია ხომ უაღრესად ნათელია. ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინათ წარმოშობილი «რუსეთის პოლიტიკური განთავისუფლების მუშათა პარტია» [71] იმავე ჰანგებზე მღერის, როგორზედაც ეს გამოცემანიც.

ყურადღება მიაქციეთ სტატიაში ცნობილ განსხვავებას ტაქტიკა-გეგმასა და ტაქტიკა-პროცესს შორის. ავტორი ამბობს, რომ ტაქტიკა-გეგმა ეწინააღმდეგება რევოლუციური მარქსიზმის ძირითად არსსო, და ფიქრობს, რომ შეიძლება ვილაპარაკოთ ტაქტიკა-«პროცესზე», რაც მას ესმის, როგორც პარტიის ზრდასთან ერთად მზარდი პარტიული ამოცანები. ჩემი აზრით, ეს მხოლოდ იმის ნიშანია, რომ ავტორს ლაპარაკი არა სურს. ჩვენ ამდენი დრო და ჯაფა მოვანდომეთ გარკვეული პოლიტიკური ამოცანების ფორმულირებას, ჟენევის კონფერენციაზე ასე ბევრს ლაპარაკობდნენ ამ ამოცა-

* — თვალში გეხედება. რ ე დ.

ნებზე. და ახლა უცბად «ტაქტიკა-გეგმასა» და «ტაქტიკა-პროცესზე» გველაპარაკებიან. ჩემი აზრით, ესაა «რაბოჩაია მისლის» ბერნშტეინელობის სპეციფიკურად ვიწრო პროდუქტისადმი დაბრუნება; «რაბოჩაია მისლი» ხომ იმას ამტკიცებდა, რომ უნდა ვაწარმოოთ მხოლოდ ის ბრძოლა, რომელიც შესაძლებელია, ხოლო შესაძლებელია მხოლოდ ის ბრძოლა, რომელიც წარმოებსო. ჩვენ კი ვამტკიცებთ, რომ იზრდება მხოლოდ მარქსიზმის გაყალბება. ენენევის რეზოლუცია ამბობს, პოლიტიკურ აგიტაციაზე გადასასვლელად არავითარი სტადია საჭირო არ არისო, და ამის შემდეგ უცბად ჩნდება სტატია, რომელშიც «მამხილებელი ლიტერატურა» უპირისპირდება «პროლეტარულ ბრძოლას». მარტინოვი წერს სტუდენტებსა და ლიბერალებზე, რომ მათ თვითონ შეუძლიათ იზრუნონ დემოკრატიულ მოთხოვნებზეო. ჩვენ კი ეფიქრობთ, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მთელი თავისებურება ის არის, რომ ლიბერალურმა დემოკრატიამ არ იკისრა პოლიტიკური ბრძოლის ინიციატივა. თუ ლიბერალებმა თვითონ უკეთ იციან რა უნდა აკეთონ და შეუძლიათ კიდეც თვითონ გააკეთონ, ჩვენ რა უნდა გავაწყოთ. სტატიის ავტორი იქამდე მიდის, რომ ფიქრობს — მთავრობა თვითონ მიიღებს კონკრეტულ და ადმინისტრაციულ ღონისძიებებსო.

ტერორის საკითხზე, როგორც ყველას მოეხსენება, ენენევის კონფერენციაზე წარმოიშვა ზოგი უთანხმოება. ამ კონფერენციის შემდეგ «კავშირის» ნაწილმა, ბუნდმა [72], თავის ყრილობაზე გადაჭრით გაილაშქრა ტერორის წინააღმდეგ. 23-ე გვერდზე კი ავტორი წერს, ჩვენ «არ გვინდა წინააღმდეგობა გავუწიოთ ტერორისტულ განწყობილებასო». ეს უაღრესად მკვეთრი ოპორტუნისტული განცხადებაა*.

იბეჭდება პირველად

იბეჭდება საოქმო ჩანაწერის მიხედვით

---

* — **საოქმო ჩანაწერი აქ წყდება. რ ე დ.**

2

შეკითხვები «რუსი სოციალ-დემოკრატების კავშირს» «გამაერთიანებელ» ყრილობაზე 1901 წლის 21 სექტემბერს (4 ოქტომბერს)

1. აღიარებს თუ არა პრინციპულად სამივე ორგანიზაცია ივნისის კონფერენციის რეზოლუციას?

2. განზრახული აქვს თუ არა ან შეუძლია თუ არა «რუსი სოციალ-დემოკრატების კავშირს» უზრუნველჰყოს ლიტერატურული მოღვაწეობის ისეთნაირად დაყენება, რომელიც შეუძლებელს გახდიდა რევოლუციური მარქსიზმიდან იმ უპრინციპო და ოპორტუნისტულ გადახვევებს, რაც ჩვენი მოძრაობისათვის ესოდენ სახიფათო აზრთა არევ-დარევას იწვევს, — აგვაშორებდა ფარულ და აშკარა ბერნშტეინელობასთან ლაქუცს და მონურ ქედის მოხრას მოძრაობის ელემენტარული ფორმებისა და სტიქიურობის წინაშე, რაც გარდუვალად იწვევს მუშათა მოძრაობის გადაქცევას ბურჟუაზიული დემოკრატიის იარაღად?

პირველად დაიბეჭდა 1901 წლის დეკემბერს ბროშურაში: ««გამაერთიანებელი» ყრილობის დოკუმენტები»

იბეჭდება ბროშურის ტექსტის მიხედვით

დამშეულებთან ბრძოლა

რა გასაოცარ მზრუნველობას იჩენს ჩვენი მთავრობა დამშეულებისადმი! რა გრძელი ცირკულარი (17 აგვისტოს) გამოუშვა შინაგან საქმეთა მინისტრმა დაზარალებულ გუბერნიათა გუბერნატორებისადმი! ეს არის მოცულობით ჩვეულებრივ სასტამბო ფურცელზე მეტი მთელი ლიტერატურული ნაწარმოები, რომელიც ბ-ნ სიპიაგინის პირით განმარტავს მთავრობის მთელ პოლიტიკას სასურსათო საქმეში. ეტყობა, ამ ნაწარმოების გამოქვეყნებით ვარაუდობდნენ შთაბეჭდილება მოეხდინათ «საზოგადოებაზე»: აი, ხომ ხედავთ, რა მზრუნველობას ვიჩენთ, როგორ ვიჩქარით დახმარების ზომების მიღებას, როგორ ვითვალისწინებთ წინასწარ როგორც სასურსათო დაწესებულებათა ორგანიზაციას, ისე მათი მოქმედების ყველა სახეს და მხარესო. და უნდა გამოვტყდეთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ცირკულარი მართლაც შთაბეჭდილებას ახდენს არა მარტო თავისი სიდიდით, არამედ (თუ მოთმინება გეყოფათ და ბოლომდე წაიკითხავთ) თავისი შინაარსითაც. მთავრობის პროგრამის გულახდილი გადმოცემა მუდამ საუკეთესო იარაღს იძლევა მეფის მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციისთვის, — და მოწიწებით მადლობას ვუცხადებთ რა ბ-ნ სიპიაგინს, ვბედავთ ვურჩიოთ დანარჩენ ბატონ მინისტრებსაც ხშირ-ხშირად ილაპარაკონ თავიანთ პროგრამაზე საყოველთაო ცნობისათვის გამოქვეყნებულ ცირკულარებში.

ჩვენ ვთქვით: თუ მოთმინება გეყოფათ და ბოლომდე წაიკითხავთ ბ-ნ სიპიაგინის ცირკულარსაო. მოთმინება კი ამისათვის

დიდია საჭირო, ვინაიდან ცირკულარის სამი მეოთხედი... — რა სათქმელია! ცხრა მეათედი — სავსეა ჩვეულებრივი გაცვეთილი ფუჭსიტყვაობით. დიდი ხნის ცნობილი და თვით «კანონთა კრებულში» ათასჯერ განმეორებული ამბების ღეჭვა, ერთი და იმავე ადგილის ტკეპნა, მანდარინთა ურთიერთდამოკიდებულების ჩინური ცერემონიალის დაწვრილებითი აღწერა, ჩინებული კანცელარიული სტილი 36-სტრიქონიანი პერიოდებით და «ენამჭევრობით», რითაც გული გეტკინება მშობლიური რუსული ენისათვის, — როდესაც დაკვირვებით კითხულობ ამ მშვენიერებას, თავს თითქოს რუსეთის საპოლიციო უბანში გრძნობ, სადაც კედლები აშმორებულია, ყოველი მხრით მოდის რაღაც სპეციფიკური სიმყრალე, მოხელენი მარტო თავის გამომეტყველებით და ქცევით — ყოვლად აუტანელი ბიუროკრატობის განხორციელებას წარმოადგენენ, ხოლო ფანჯრიდან რომ ეზოში შენობები მოჩანს, ცოცხლად გაგონებენ საწამებელ ადგილს.

მთავრობის ახალ პროგრამაში განსაკუთრებით სამი უმთავრესი პუნქტი იპყრობს ყურადღებას: ჯერ-ერთი, მოხელეთა ერთპიროვნული ხელისუფლების გაძლიერება, ზრუნვა იმაზე, რომ ბიუროკრატიზმისა და სამსახურებრივი დისციპლინის სული განმტკიცებულ და დაცულ იქნას სუფთა ჰაერის ყოველგვარი ქროლვისაგან; მეორე, დამშეულთა დახმარების ნორმის განსაზღვრა, ე. ი. მითითება იმაზე, თუ რამდენად და როგორ უნდა იქნას გამოანგარიშებული პურის რაოდენობა თვითეულ «გაჭირვებულ» ოჯახზე; მესამე, სასოწარკვეთილი ძრწოლის გამოხატვა იმის გამო, რომ დამშეულთა დასახმარებლად მიეშურებიან «არაკეთილსაიმედო» ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ აამხედრონ ხალხი მთავრობის საწინააღმდეგოდ, და წინასწარი ზომების მიღება ამ «აგიტაციის» წინააღმდეგ. შევჩერდეთ რაც შეიძლება დაწვრილებით თვითეულ ამ პუნქტზე.

სულ ერთი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც მთავრობამ სასურსათო საქმის გამგებლობა ერობებს ჩამოართვა და

ერობის უფროსებსა და სამაზრო ყრილობებს (1900 წლის 12 ივნისის კანონი) გადასცა. და აი, ამ კანონს, ძალაში არც კი შესულა, რომ უბრალო ცირკულარით აუქმებენ. საკმარისი იყო გუბერნატორების რამდენიმე მოწერილობა, რომ აზრი შეეცვალათ კანონის გამოსადეგობის შესახებ! ეს საუცხოოდ გვიჩვენებს, თუ რა მნიშვნელობა აქვს იმ კანონებს, რომელნიც ბლინებივით ცხვება პეტერბურგის დეპარტამენტებში, — სადაც მათ სერიოზულად არ იხილავენ ნამდვილად მცოდნე და დამოუკიდებელი აზრის მქონე ადამიანები, სადაც სერიოზულად არც ფიქრობენ შექმნან თავისი დანიშნულების უფრო შესაფერისი წესები, — ცხვება უბრალო პატივმოყვარეობით რომელიმე გაიძვერა მინისტრისა, რომელიც ცდილობს თავი გამოიჩინოს და რაც შეიძლება მალე გამოამჟღავნოს თავისი კეთილგანმზრახველობა. ერობა არაკეთილგანმზრახველია — ჩამოერთვას მას სასურსათო საქმე! მაგრამ ჯერ არც კი ჩამოურთმევიათ და, — თურმე, ერობის უფროსები, მარტო მოხელეთაგან შემდგარი სამაზრო ყრილობებიც კი, თითქოს ჯერ კიდევ ძალიან ბევრს მსჯელობენ: ჩანს, ერობის უფროსებში ერივნენ ისეთნი, რომელთაც თავის სისულელით შიმშილს შიმშილი დაარქვეს, რომელნიც გულუბრყვილოდ ფიქრობდნენ, რომ უნდა ვებრძოლოთ შიმშილს და არა იმათ, ვისაც მართლა სურს დაეხმაროს დამშეულებსო; სამაზრო ყრილობებში ზოგიერთმა მოხელემაც, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებაში არ ირიცხება, ალბათ, «შინაური პოლიტიკის» ჭეშმარიტი ამოცანების ასეთივე შეუგნებლობა გამოიჩინა. და აი, მინისტრის უბრალო ცირკულარით იქმნება ახალი «მაზრის ცენტრალური»... დიახ, დიახ, ეს ბეჭდვითი შეცდომა არ გახლავთ: «მაზრის ცენტრალური სასურსათო სამმართველო», რომლის მთელი დანიშნულება ის არის, რომ სასურსათო საქმეში არამც და არამც არ დაუშვას არაკეთილგანმზრახველი ადამიანები, არაკეთილგანმზრახველი აზრები, არაკეთილგონიერი საქციელი. მაგალ., მინისტრი არაკეთილგონიერად

თელის და კრძალავს გაჭირვებულთა სიების «ნაადრევად» (ე. ი. არა სწორედ პურის დარიგების წინ) შედგენას: ეს თურმე მოსახლეობაში «გადამეტებულ იმედს» იწვევს! «მაზრის ცენტრალური სასურსათო სამმართველო» ერთი პირის ხელშია, ხოლო სამინისტრო რჩევას იძლევა — ამ თანამდებობაზე მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი იყოსო. და მართლაც: იგი იმდენად მჭიდროდ არის დაკავშირებული გუბერნატორთან, იმდენად ბევრ საპოლიციო მოვალეობას ასრულებს, რომ უსათუოდ გაიგებს სასურსათო პოლიტიკის ნამდვილ სულს. ამასთან ერთად — ის არის ადგილობრივი მსხვილი მიწათმფლობელი, ყველა მემამულის მიერ პატივცემული და ნდობით აღჭურვილი. ასეთი კაცი უსათუოდ ყველაზე უკეთ გაიგებს მინისტრის ღრმა აზრს დახმარებათა «გამრყვნელი» მოქმედების შესახებ, ეს დახმარება კი ისეთ ადამიანებს ეძლევათ, რომელთაც დაუხმარებლადაც «შეუძლიათ თავი გაიტანონ». რაც შეეხება გუბერნატორის რწმუნებულებას, მინისტრი მას თავიდანვე მოგვაგონებს და ბევრჯერ იმეორებს, რომ გუბერნატორი პასუხისმგებელია ყველაფერში, გუბერნატორს ყველანი უნდა დაემორჩილონ, გუბერნატორს უნდა შეეძლოს «განსაკუთრებული» ზომების მიღებაო და სხვ.. თუ ამდენხანსაც რუსეთის პროვინციაში გუბერნატორი ნამდვილი სატრაპი იყო, რომლის მოწყალებაზეც იყო დამოკიდებული ყოველი დაწესებულების და ყოველი პირის არსებობაც კი მისდამი «რწმუნებულ» გუბერნიაში, — ახლა უკვე ნამდვილი «სამხედრო წესები» იქმნება ამ მხრივ. სისასტიკეთა არაჩვეულებრივი გაძლიერება — დამშეულთა დახმარების გამო! ეს სულ რუსული ამბავია!

მაგრამ სისასტიკის გაძლიერება, მეთვალყურეობის გადიდება, ყოველივე ეს მოითხოვს მოხელეთა აპარატის შესანახი ხარჯების გადიდებას. და მინისტრი ამასაც არ ივიწყებს: ბატონ მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლთ თუ სხვა პირთ, რომელნიც «მაზრის ცენტრალურ სასურსათო სამმართველოს»

განაგებენ, ხარჯების ასანაზღაურებლად მიეცემათ «განსაკუთრებული თანხა», «რომლის რაოდენობის შესახებაც, — დასძენს ცირკულარი თავისი «განსაკუთრებული» ენით, — თქვენი აღმატებულება ჩემთან უნდა შემოვიდეს სათანადო წარდგინებით». შემდეგ მაზრის საბჭოების «საქმის წარმოების ხარჯები» — ათას-ათასი მან. ერთდროულად, გუბერნიის საკრებულოთა საკანცელარიო საშუალებათათვის 1 000 — 1 500 მან. თვითეულს. კანცელარიები ყველაზე მეტად იმუშავებენ, მთელი მუშაობა კანცელარიულობა იქნება და მეტი არაფერი, — და, აბა, როგორ შეიძლება არ იზრუნონ საკანცელარიო საშუალებებზე? უწინარეს ყოვლისა კანცელარიებისთვის, ხოლო რაც დარჩება, ის დამშეულებს.

ბ-ნი სიპიაგინი გასაოცარ შეუპოვრობას და საზრიანობას იჩენს დამშეულთა დახმარების შ ე ს ა მ ც ი რ ე ბ ლ ა დ ზომების გამოძებნაში. უწინარეს ყოვლისა ის მოითხოვს, რომ გუბერნატორებმა განსაჯონ, რომელი მაზრებია «მოუსავლობით დაზარალებული» (საბოლოოდ ამ საკითხს თვითონ სამინისტრო გადასწყვეტს: გუბერნატორებსაც არ შეიძლება მიენდოთ, ვაითუ ვერ შეძლონ «გაზვიადების» თავიდან აცილება). და აი იწყება მითითება, თუ როდის ა რ უ ნ დ ა ჩაითვალოს მაზრა დაზარალებულად: 1) როდესაც დაზარალებულია ვოლოსტების არაუმეტეს ერთი მესამედისა; 2) როდესაც პურის ნაკლებობა ჩვეულებრივია და დანაკლისს წლითიწლობით ყიდულობენ საშოვრით; 3) როდესაც არ ყოფნის ადგილობრივი სახსრები დახმარების აღმოსაჩენად. აქ ჩვენ ვხედავთ უკვე სასურსათო საკითხების ბიუროკრატული გადაწყვეტის პატარა ნიმუშს: ერთი საზომი ყველასთვის! რამდენად დიდია ვოლოსტების ერთი მესამედის მოსახლეობა, რამდენად დაზარალდნენ ისინი, ხომ არ დაეცა ჩვეულებრივი «საშოვრები» უძლიერესი სამრეწველო კრიზისის პერიოდში, — ეს ყველა უქმი საკითხია სამინისტროს მკაცრი «ბრძანების» შემდეგ! მაგრამ ეს მხოლოდ ყვავილებია, ნაყოფს კი შემდეგ ვიხილავთ. საქმის მთელი დედაარსი ის არის, თუ ვინ უნდა ჩაი-

თვალოს გაჭირვებულად და რამდენი დახმარება უნდა მიეცეს. ბ-ნი სიპიაგინი გვირჩევს შემდეგს «დაახლოებითს გამოანგარიშებას», რომელიც «იშვიათად თუ შეიძლება იყოს რაოდენადმე მნიშვნელოვნად გადაჭარბებული» (ჩვენ ყველაზე უფრო გადაჭარბებისა გვეშინია; გვეშინია გადაჭარბებული იმედისა, გვეშინია გადაჭარბებული სესხისა! შიმშილიც და უმუშევრობაც—ყოველივე ეს «გადაჭარბება-გაზვიადებაა» და მეტი არაფერი: ასეთია მინისტრის მთელი მსჯელობის აშკარა აზრი). ჯერ-ერთი, საცდელი ლეწვის საშუალებით ირკვევა «ს ა შ უ ა ლ ო მოსავალი დესეტინაზე თვითეულ სოფელში» და შემდეგ თვითეული მეურნის მთელი ნათესის ოდენობა. რატომ არ შეიძლება აგრეთვე სხვადასხვა შეძლების მეურნეთა საშუალო მოსავლის ოდენობის გამორკვევა? ღარიბ გლეხთა მოსავალი ნაკლებია, და სწორედ გაჭირვებულთა «საშუალო» მოსავლის გამორკვევა არ არის ხელსაყრელი. მეორე, გაჭირვებულად არ ითვლება ის, ვისაც წლიურად სულ ცოტა 48 ფუთი პური მოსდის ოჯახზე (თორმეტ-თორმეტი ფუთი სამ მოზრდილზე და ექვს-ექვსი ფუთი ორ ბავშვზე). ეს უაღრესად ხელმოჭერილი «კულაკის» გამოანგარიშებაა: ჩვეულებრივ წელიწადში უღარიბესი გლეხებიც კი — 6 — 5 სულისაგან შემდგარ ოჯახზე წლიურად ხარჯავენ არა 48, არამედ 80 ფუთს, როგორც ეს ცნობილია გლეხური მეურნეობის აღწერით; საშუალო გლეხი კი ჩვეულებრივ წელიწადში ხარჯავს 110 ფუთ პურს 5 სულისაგან შემდგარ ოჯახზე. მაშასადამე, მეფის მთავრობა ს ა ნ ა ხ ე ვ რ ო დ ამცირებს იმ პურის რაოდენობას, რაც აუცილებლად საჭიროა სინამდვილეში ოჯახის გამოსაკვებად. მესამე, «ეს რაოდენობა» (ე. ი. 48 ფუთი ოჯახზე),—ამბობს ცირკულარი,—«სანახევროდ მცირდება იმის გამო, რომ მუშათა ელემენტი მოსახლეობის დაახლოებით 50%-ს შეადგენს». მთავრობა მტკიცედ იცავს თავის წესს, რომ მუშათა მოსახლეობამ სესხი არ უნდა მიიღოს, ვინაიდან მას შეუძლია საშოვარზე გავიდესო. მაგრამ მინისტრმა ერთხელ აკი გამოაცხადა, რომ დაზარალებულად არ ჩაითვალონ ის მაზრები, სადაც არის ჩვეუ-

ლებრივი საშოვრები. ხ ე ლ მ ე ო რ ე დ რატომღა უნდა გამოირიცხოს მუშათა მოსახლეობა დახმარების მიმღებთა კატეგორიიდან? ხომ ყველას მოეხსენება, რომ წლეულს არათუ განსაკუთრებული საშოვრები არ არის, არამედ ჩვეულებრივი საშოვრებიც კი დაეცა კრიზისის გამო. აკი თვითონ მთავრობამ გადაასახლა ქალაქებიდან სოფლებში ათიათასობით უმუშევარი მუშა! წინა წლების შიმშილობის გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ მუშათა მოსახლეობის გამოტოვება იწვევს არასაკმაო სესხის გაყოფას ბავშვებსა და მოზრდილთა შორის! არა, ანდაზა: «ხარს ორჯერ არ ხდიან ტყავსო» კიდევ დიდად საქებური იქნებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის, რომელიც გაჭირვებულთა რიცხვიდან ორჯერ რიცხავს ყველას, ვისაც მუშაობა შეუძლია! მეოთხე, ეს სრულიად არასაკმარისი დახმარების ერთიორად შემცირებული რაოდენობა კიდევ მ ც ი რ დ ე ბ ა 1/3 — 1/5 — 1/10-ით «იმ შეძლებულ მეურნეთა დაახლოებითი რიცხვის მიხედვით, რომელთაც გასული წლის მარაგი ან სხვა რაიმე ნივთიერი ქონება აქვთ შემონახული»!! ეს უკვე მესამედ ხდიან ტყავს ერთსა და იმავე ხარს! რაღა «ქონება» ან «მარაგი» უნდა ჰქონდეს შემონახული გლეხს, რომელსაც მხოლოდ 48 ფუთი პური მოუწევია ოჯახზე? სხვა ყოველგვარი საშოვარი ორჯერაა უკვე ნაანგარიშევი; გარდა ამისა, მარტო პურით ხომ რუსი გლეხიც კი ვერ იარსებებს მიუხედავად იმ სიღატაკისა, რომელშიც იგი ჩააგდო მთავრობის პოლიტიკამ, კაპიტალისა და მემამულეების მხრივ ჩაგვრამ. საჭიროა სათბობი, სახლის შეკეთება, ტანისამოსი, საჭმელი, პურს გარდა, და ყოველივე ამას ხარჯები უნდა. ჩვეულებრივ წელიწადში, — როგორც ეს ცნობილია გლეხური მეურნეობის მეცნიერული აღწერით, — ეღარიბესი გლეხებიც კი თავის შემოსავლის ნ ა ხ ე ვ ა რ ზ ე მ ე ტ ს ხარჯავენ სხვა საჭიროებაზე, პურს გარდა. თუ ყოველივე ამას მხედველობაში მივიღებთ, აშკარა გახდება, რომ მინისტრს დახმარების საჭიროება ო თ ხ ჯ ე რ თ უ ხ უ თ ჯ ე რ უ ფ რ ო ნ ა კ ლ ე ბ ი გამოჰყავს ნამდვილ

საჭიროებასთან შედარებით. ეს არის არა შიმშილთან ბრძოლა, არამედ ბრძოლა იმათთან, ვისაც სურს ნამდვილად დაეხმაროს დამშეულებს.

ცირკულარი თავდება იმით, რომ პირდაპირ ილაშქრებს კერძო ქველმოქმედთა წინააღმდეგ. ხშირად გამოაშკარავებულა,—გრგვინავს ბ-ნი სიპიაგინი,—რომ ზოგიერთნი ქველმოქმედნი ცდილობენ აღძრან მოსახლეობაში «უკმაყოფილება არსებული წესწყობილებით და სრულიად გაუმართლებელი მოთხოვნა მთავრობის მიმართ», აწარმოებენ «მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციას» და სხვ. ეს, არსებითად, პირდაპირ ყ ა ლ ბ ი ბრალდებაა. ცნობილია, რომ 1891 წელს გავრცელდა «გლეხების კეთილისმდომთა»[73] პროკლამაციები, რომელნიც სამართლიანად მიუთითებდნენ ხალხს, თუ ვინ არის მისი ნამდვილი მტერი; ალბათ, აგიტაციის სხვაგვარი ცდაც იყო შიმშილობის ნიადაგზე! მაგრამ არ ყოფილა არც ერთი ფაქტი, რომ რევოლუციონერები ქველმოქმედებას ამოფარებოდნენ და ისე გაეწიოთ აგიტაცია. უამრავი ქველმოქმედნი — ეს უდავო ფაქტია — მ ხ ო ლ ო დ ქველმოქმედნი იყვნენ, და თუ ბ-ნი სიპიაგინი იმოწმებს იმას, რომ ბევრი მათგანი—«უმწიკვლო პოლიტიკური წარსულის» მქონე არ ყოფილაო, ერთი მითხარით, ვინლაა ჩვენში ახლა «უმწიკვლო წარსულის» მქონე? ძალიან ხშირად თვით «მაღალთანამდებობის პირნიც» კი ახალგაზრდობაში გატაცებული ყოფილან საერთოდემოკრატიული მოძრაობით! ჩვენ, რა თქმა უნდა, იმის თქმა კი არ გვინდა, რომ აგიტაცია მთავრობის წინააღმდეგ შიმშილობის ნიადაგზე დასაშვები ანდა სასურველი არ იყოს. პირიქით, აგიტაცია აუცილებელია ყოველთვის და შიმშილის დროს განსაკუთრებით. ჩვენ მხოლოდ ის გვინდა ვთქვათ, რომ ბ-ნი სიპიაგინი ჭ ო რ ე ბ ს თ ხ ზ ა ვ ს და ცდილობს თავისი შიში და სიფრთხილე გამოცდილების ნაყოფად მოგვაჩვენოს. ჩვენ გვინდა ვთქვათ, რომ ბ-ნი სიპიაგინის სიტყვები მხოლოდ ერთ ძველ ჭეშმარიტებას ამტკიცებს: პოლიციურ მთავრობას აშინებს ხალხთან ცოტად თუ ბევრად დამოუკიდებელი და პა-

ტიოსანი ინტელიგენციის ყოველგვარი გაკარება, აშინებს ყოველი მართალი და გაბედული, პირდაპირ ხალხისადმი მიმართული სიტყვა, მას ჰგონია, — და სრულიად სამართლიანადაც ჰგონია, — რომ მარტო ზრუნვაც კი საჭიროების ნამდვილ (და არა ვითომ) დაკმაყოფილებაზე მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციას უდრის, ვინაიდან ხალხი კარგად ხედავს, რომ კერძო ქველმოქმედთ გულწრფელად უნდათ დაეხმარონ მას, ხოლო მეფის მოხელეები ამას ხელს უშლიან, ჰკვეცენ დახმარებას, ამცირებენ გაჭირვების ოდენობას, აფერხებენ სასადილოების მოწყობას და სხვ.. ახლა ახალი ცირკულარი მოითხოვს, რათა პირდაპირ «დაუმორჩილონ ხელისუფალთა კონტროლს» ყველა შემოწირულება და მოწოდება შემოწირულებისადმი, სასადილოების ყოველი მოწყობა; მოითხოვს, რათა ყველა ჩამოსულნი «წარუდგნენ» გუბერნატორს, თავიანთი თანაშემწენი აირჩიონ მხოლოდ გუბერნატორის ნებართვით, მასვე წარუდგინონ ხოლმე თავიანთი მოქმედების ანგარიში!! ვისაც სურს დაეხმაროს დამშეულებს, უნდა დაემორჩილოს პოლიციის მოხელეებს და დახმარების ყოველგვარი შეკვეცისა და უსინდისო შემცირების პოლიციურ სისტემას! ვისაც არ უნდა ამ სისაძაგლეს დაემორჩილოს, — არ გაბედოს დახმარება: ეს არის მთავრობის პოლიტიკის მთელი დედაარსი. ბ-ნი სიპიაგინი ყვირის, რომ შიმშილს «ხალისით იყენებენ პოლიტიკურად არაკეთილსაიმედო პირები თავიანთი დანაშაულებრივი მიზნებისათვის, მოყვასის დახმარების ნიღბით», და მასთან ერთად ამ ყვირილს მთელი რეაქციული პრესა იმეორებს (მაგ., «მოსკოვსკიე ვედომოსტი»). რა საშინელებაა! ხალხის გაჭირვების გამოყენება «პოლიტიკისთვის»! ნამდვილად კი საშინელებაა, პირიქით, ის გარემოება, რომ რუსეთში ყოველგვარი მოღვაწეობა, პოლიტიკისაგან ძალიან დ ა შ ო რ ე ბ უ ლ ი ც კ ი, ფილანთროპიული (საქველმოქმედო) მოღვაწეობა აუცილებლად იწვევს დამოუკიდებელ ადამიანთა შეჯახებას პოლიციურ თვითნებობასთან და «აღკვეთის», «აკრძალვის», «შეზღუდვისა» და სხვათა და სხვათა ზომებთან. საშინე-

ლება ის არის, რომ მთავრობა მაღალი პოლიტიკის მოსაზრებით ფარავს თავის იუდუშკასებურ მისწრაფებას—წაგლიჯოს ლუკმა დამშეულს, ხუთჯერ შეჰკვეცოს დახმარების ოდენობა, აუკრძალოს ყველას, პოლიციის მოხელეებს გარდა, დამშეულ მომაკვდავებთან მისვლა! და ჩვენ კვლავ ვიმეორებთ იმ მოწოდებას, რომელიც «ისკრამ» გააკეთა: დაწყებულ იქნას მამხილებელი კამპანია პოლიციური მთავრობის სასურსათო კამპანიის წინააღმდეგ, ცენზურაგაუვლელ თავისუფალ პრესაში მხილებულ იქნას ადგილობრივი სატრაპების მთელი უმსგავსოებანი, დახმარების შეკვეცის მთელი ანგარებიანი ტაქტიკა, დახმარების მთელი სიმცირე და არასაკმარისობა, შიმშილობის უბადრუკი შემცირებით დასახვა და სამარცხვინო ბრძოლა იმათ წინააღმდეგ, ვისაც სურს დაეხმაროს დამშეულებს! ჩვენ ვურჩევთ ყველას, ვინც კი ოდნავ მაინც გულწრფელად თანაუგრძნობს ხალხის უბედურებას, იზრუნონ იმისათვის, რომ ხალხში ფართოდ გავრცელდეს მინისტრის ცირკულარის ჭეშმარიტი აზრი და მნიშვნელობა. მხოლოდ ხალხის განუსაზღვრელი სიბნელით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ ა მ გ ვ ა რ ი ცირკულარები მაშინვე არ იწვევენ საყოველთაო აღშფოთებას. დაე შეგნებულმა მუშებმა, რომელნიც ყველაზე ახლოს დგანან როგორც გლეხობასთან, ისე ქალაქის განუვითარებელ მასებთან, ითავონ მთავრობის მხილება!

«ისკრა» № 9, 1901 წლის ოქტომბერი

იბეჭდება გაზეთ «ისკრის» ტექსტის მიხედვით

პასუხი ს.-პეტერბურგის კომიტეტს

«რაბოჩაია მისლის» მე-12 ნომერში სპბ. კომიტეტმა («ბრძოლის კავშირმა») დაბეჭდა «ისკრის» პირველ ნომერში მოთავსებული შენიშვნის პასუხი საზღვარგარეთული «რუს სოციალ-დემოკრატთა კავშირის» გათიშვის შესახებ. სამწუხაროდ, ეს პასუხი ვულმოდგინედ უ ვ ლ ი ს გ ვ ე რ დ ს სადავო საკითხის არსებით მხარეს. ამგვარი სისტემით პოლემიკა ვერასდროს ვერ შეუწყობს ხელს საქმის გამორკვევას. ჩვენ დაჟინებით ვამბობდით და ვამბობთ, რომ საზღვარგარეთულ «რუს სოციალ-დემოკრატთა კავშირში» სწორედ გ ა თ ი შ ვ ა მოხდა, რომ «კავშირი» ორ ნაწილად გ ა ი ყ ო მას შემდეგ, რაც 1900 წლის ყრილობიდან წავიდა წევრთა მნიშვნელოვანი უმცირესობა და მათ შორის «შრომის განთავისუფლების» ჯგუფი, რომელმაც დააარსა «კავშირი» და რომელიც წინათ ყველა მის გამოცემას რედაქტორობდა. გათიშვის შემდეგ არც ერთ ნაწილს არ შეუძლია ის ადგილი დაიკავოს, რომელიც მთლიან ძველ «კავშირს» ეკავა. სპბ. კომიტეტი ა რ ც კ ი ც დ ი ლ ო ბ ს უარჰყოს ეს აზრი; ის ლაპარაკობს (არ ვიცით რატომ) მარტო პლეხანოვზე და არა «სოციალ-დემოკრატის» ორგანიზაციაზე და მხოლოდ არაპირდაპირ ამცნობს მკითხველს, რომ «სპბ. ბრძოლის კავშირი» უარჰყოფს, როგორც ჩანს, გ ა თ ი შ ვ ი ს ფ ა ქ ტ ს და ყოფილი «კავშირის» ერთ-ერთ ნაწილს მთელ «კავშირად» თვლის.

რა საჭიროა პოლემიკა, თუ კი სურვილი არ არის არსებითად გავარჩიოთ მოწინააღმდეგის აზრი და პირდაპირ გამოვთქვათ საკუთარი შეხედულება?

შემდეგ. ჩვენ დაჟინებით ვამბობდით და ვამბობთ, რომ გათიშვის ძირითადი მიზეზი (არა საბაბი, არამედ მიზეზი) იყო პრინციპული უთანხმოება, სახელდობრ: აზრთა სხვადასხვაობა რევოლუციურ და ოპორტუნისტულ სოციალ-დემოკრატიას შორის. სხვათა შორის, მარტო ესეც საკმარისია იმისათვის, რომ საზღვარგარეთულ «რუს სოციალ-დემოკრატთა კავშირში» მომხდარ ამბავს ისე შევხედოთ, როგორც ძველი «კავშირის» გათიშვას. იბადება კითხვა: როგორ უყურებს ამ საკითხს სპბ. კომიტეტი? უარჰყოფს თუ არა ის ყოფილი «კავშირის» ორივე ნაწილს შორის ღრმა პრინციპული დავის არსებობას? არ ვიცით, ვინაიდან სპბ. კომიტეტს იმგვარად მოუხერხებია თავისი «პასუხის» დაწერა, რომ ერთი სიტყვაც არ უთქვამს ამ ძირითად საკითხზე. და ჩვენ კიდევ ვეკითხებით პეტერბურგელ, და არა მარტო პეტერბურგელ, ამხანაგებს: ხომ არ არის იმის საფრთხე, რომ ერთმანეთის ფრიად არასასიამოვნო ლანძღვად გადაიქცევა პოლემიკა, რომელიც გვერდს უხვევს საქმის დედაარსს? საზოგადოდ ღირს კი პოლემიკის დაწყება, თუ სურვილი არ არის ან თუ უდროოდ არის მიჩნეული საკითხის არსებითად განხილვა და საკუთარი აზრის გამოთქმა სრულიად გარკვევით და მიუკიბ-მოუკიბავად?

«ისკრა» № 9, 1901 წლის ოქტომბერი

იბეჭდება გაზეთ «ისკრის» ტექსტის მიხედვით

საზღვარგარეთული საქმეები

«ისკრის» ორგანიზაციის საზღვარგარეთული განყოფილება და საზღვარგარეთული რევოლუციური ორგანიზაცია «სოციალ-დემოკრატი» გაერთიანდნენ ერთ ორგანიზაციად: «რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთულ ლიგად»[74]. ახალ ორგანიზაციას, როგორც მის მიერ გამოცემული განცხადებიდან ჩანს, აზრად აქვს შეუდგეს საპროპაგანდო და საagიტაციო ხასიათის მთელი რიგი ბროშურების გამოცემას. ლიგა «ისკრის» საზღვარგარეთელი წარმომადგენელია. ამრიგად, რევოლუციური სოციალ-დემოკრატების საზღვარგარეთული ორგანიზაცია, რომელსაც «შრომის განთავისუფლების» ჯგუფი ხელმძღვანელობდა, საბოლოოდ შეუერთდა იმ ორგანიზაციას, რომელიც ჩვენს გაზეთთან არსებობს. «შრომის განთავისუფლების» ჯგუფი წინანდებურად უახლოეს სარედაქციო მონაწილეობას იღებს ჩვენი გამოცემების ხელმძღვანელობაში.

რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების გაერთიანება საზღვარგარეთ მოხდა მას შემდეგ, რაც დამარცხდა ამ ორგანიზაციების ცდა — შეერთებოდნენ «რუს სოციალ-დემოკრატთა კავშირს საზღვარგარეთ» (რომელიც სცემს «რაბოჩეე დელოს»). ზაფხულის დამდეგს სამივე ორგანიზაციის წარმომადგენლების კონფერენციამ შეიმუშავა შეთანხმების პროექტი. შეთანხმებას საფუძვლად დაედო მთელი რიგი პრინციპული რეზოლუციები, რომელნიც შეიცავდნენ «კავშირის» მიერ სრულ უარის თქმას ეკონომიზმსა და ბერნშტეინელობასთან ლაქუცზე და რევოლუცი-

ური სოციალ-დემოკრატიის პრინციპების აღიარებას. იმედი გვქონდა, რომ გაერთიანება მოხდებოდა, ვინაიდან აქამდე მხოლოდ «კავშირისა» და მისი ორგანოს — «რაბოჩეე დელოს» — პრინციპული მერყეობა უშლიდა ხელს დაახლოებას. ეს იმედი არ გამართლდა: ამას წინათ გამოსულ «რაბოჩეე დელოს» მე-10 ნომერში დაიბეჭდა სარედაქციო სტატიები, მიმართულნი პირდაპირ იმ რეზოლუციების წინააღმდეგ, რომლებიც შემუშავებული იყო კონფერენციაზე «კავშირის» დელეგატების მონაწილეობით. ცხადია, «კავშირმა» ისევ იბრუნა პირი ჩვენი მოძრაობის მემარჯვენე ფრთისკენ. მართლაც, სამივე ორგანიზაციის ყრილობაზე «კავშირმა» ისეთი «შესწორებანი» შეიტანა ხსენებულ რეზოლუციებში, რომელნიც ცხადჰყოფდნენ, რომ ის თავის წინანდელ შეცდომებს უბრუნდება. დანარჩენი ორგანიზაციები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ ყრილობა, რაც მათ კიდევაც შეასრულეს. აშკარაა, ჩვენი «კავშირელი» ამხანაგებისათვის ჯერ კიდევ საკმაოდ არ გამორკვეულა, თუ რა საფრთხეს წარმოადგენს, რომ მათს ორგანიზაციას შუალედი პოზიცია უკავია რევოლუციურ სოციალიზმსა და ლიბერალების ხელში სათამაშოდ გადაქცეულ ოპორტუნიზმს შორის. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ დრო და მწარე გამოცდილება დაარწმუნებს ამ ამხანაგებს მათი ტაქტიკის მცდარობაში. პარტიაში ყველგან არსებული მისწრაფება — იმუშაონ არა მარტო ჩვენი მოძრაობის გასაფართოებლად, არამედ მის თვისობრივ აღმავლობაზეც, იმის საუკეთესო საწინდარია, რომ მთელი ჩვენი ძალების ესოდენ სასურველი გაერთიანება მოხდება რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის იმ დროშით, რომელსაც ჩვენი გაზეთი ემსახურება.

«ისკრა» № 9, 1901 წლის ოქტომბერი

იბეჭდება გაზეთ «ისკრის» ტექსტის მიხედვით

ᲡᲐᲙᲐᲢᲝᲠᲚᲝ ᲬᲔᲡᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲐᲢᲝᲠᲚᲝ ᲒᲐᲜᲐᲩᲔᲜᲘ

კიდევ ახალი «დროებითი წესები»!

მხოლოდ ამჯერად საქმე ეხება არა ურჩობაში ბრალეულ სტუდენტებს, არამედ გლეხებს, რომელთა დანაშაული ის არის, რომ შიმშილობენ.

15 სექტემბერს უმაღლესად დამტკიცდა — და ამის შემდეგ დაუყოვნებლივ გამოქვეყნდა «დროებითი წესები მოუსავლობით დაზარალებული ადგილების მოსახლეობის მონაწილეობის მიღებაზე იმ სამუშაოებში, რომლებიც სრულდება გზათა, მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა უწყებების განკარგულებით». რუსი გლეხი რომ ამ წესებს გაეცნობა (რა თქმა უნდა, არა საგაზეთო განცხადებებით, არამედ საკუთარი გამოცდილებით), დაინახავს იმ ჭეშმარიტების ახალ დადასტურებას, რომელიც შთაუნერგა მას მემამულეებისა და მოხელეებისადმი საუკუნოვანმა დამონებამ: როდესაც მთავრობა დიდი ამბით აცხადებს, რომ გლეხს «ნება ეძლევა მონაწილეობა მიიღოს» დიდსა თუ პატარა საქმეში, მემამულეთა მიწის გამოყიდვაში თუ შიმშილობის გამო მოწყობილ საზოგადოებრივ სამუშაოებში, — მაშინ რაღაც ახალ საშინელ უბედურებას უნდა მოველოდეთ.

მართლაც, 15 სექტემბრის დროებითი წესები მთელი თავისი შინაარსით ახალი დამსჯელი კანონის, სასჯელთა დებულების დამატებითი წესების შთაბეჭდილებას ახდენს. პირველ ყოვლისა, თვით სამუშაოების მოწყობა და წარმოება ისეთ ორკეც «სიფრთხილესა» და გაჭიანურებასთან არის დაკავშირებული, თითქოს საქმე ეხებოდეს ვიღაც აჯანყებულების

ან გადასახლებული კატორღელებისადმი და არა დამშეულებისადმი მოპყრობას. თითქოს, სამუშაოთა მოწყობა — სულ უბრალო საქმეა: ერობისა და სხვა დაწესებულებანი ღებულობენ სახსრებს და ქირაობენ მუშებს გზატკეცილების გასაყვანად, ტყეების გასაწმენდად და სხვ. ჩვეულებრივ ამგვარი სამუშაოები სწორედ ასე სრულდება. ახლა კი საგანგებო წესი იქმნება: ერობის უფროსი აღნიშნავს სამუშაოებს, გუბერნატორი ადგენს თავის დასკვნას, რაც ეგზავნება სპბ-ის საგანგებო «სასურსათო საქმის თათბირს», რომელიც შესდგება სხვადასხვა სამინისტროს წარმომადგენელთაგან შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის თავმჯდომარეობით. გარდა ამისა, საერთო გამგებლობა დაკისრებული აქვს მინისტრს, რომელსაც შეუძლია დანიშნოს საგანგებო რწმუნებულებიც კი. პეტერბურგის თათბირი აწესებს მუშათა გასამრჯელოს ზღვრულ ოდენობასაც კი, ე. ი., ალბათ, თვალყურს ადევნებს, რომ გლეხი არ «გარყვნან» ერთობ მაღალი ხელფასით! აშკარაა, 15 სექტემბრის დროებითი წესების მიზანია — გ ა ა ძ ნ ე ლ ო ს საზოგადოებრივი სამუშაოების ფართოდ გამოყენება, ისე როგორც სიპიაგინის 17 აგვისტოს ცირკულარმა გ ა ა ძ ნ ე ლ ა დამშეულთათვის დახმარების გაცემა.

მაგრამ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი და გაცილებით უფრო მაენებელია განსაკუთრებული დადგენილებანი სამუშაოებზე გლეხების დაქირავების წესის შესახებ.

თუ სამუშაოები წარმოებს «მათი ბინადრობის რაიონებს გარეთ» (ცხადია, ასე იქნება უმეტეს შემთხვევაში), მუშები აარსებენ საგანგებო არტელებს ე რ ო ბ ი ს უ ფ რ ო ს ი ს ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ო ბ ი თ, რომელიც ამტკიცებს არტელის მამასახლისსაც წესრიგის სამეთვალყურეოდ. თვითონ დამშეულ გლეხებს მამასახლისის არჩევის ნება არა აქვთ, როგორც ამას შვრებიან მუშები ჩვეულებრივ. გლეხებს უმორჩილებენ როზგით შეიარაღებულ «ერობის ჩაფარს»! სდგება არტელის წევრთა განსაკუთრებული სია, რომელიც მათ კანონით დაწესებული ბ ი ნ ა დ რ ო ბ ი ს მ ო წ მ ო ბ ი ს მ ა გ ი ე რ ო ბ ა ს უ წ ე ვ ს... მაშასადამე, ცალკე პასპორ-

ტების ნაცვლად იქნება არტელის სიები. რა საჭიროა ეს? ეს საჭიროა იმისთვის, რომ შ ე ა ვ ი წ რ ო ო ნ გლეხი, რომელსაც ცალკე პასპორტით უფრო თავისუფლად შეუძლია თავის ნებაზე მოეწყოს ახალ ადგილას, უფრო ადვილად შეუძლია დაანებოს თავი სამუშაოს, თუ არ მოეწონება.

შემდეგ, «მგზავრობის დროს სათანადო წესრიგის დაცვაზე ზრუნვა და მოყვანილ მუშების ჯგუფთა ჩაბარება სამუშაოების გამგეებისთვის ენდობა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საგანგებოდ მივლინებულ მოხელეებს». თავისუფალ მუშებს ეძლევათ საგზაო ბე, ყმები კი «ჯ გ უ ფ ე ბ ა დ» «მიჰყავთ» სიის მიხედვით და «აბარებენ» განსაკუთრებულ მოხელეებს. განა მართალი არ არიან გლეხები, როცა ისინი «საზოგადოებრივ» და სახაზინო სამუშაოებს ისე უყურებენ, როგორც ახალ ბატონყმობას?

და მართლაც, 15 სექტემბრის კანონი დამშეულ გლეხებს ყმებს უახლოებს არა მარტო იმ მხრივ, რომ მათ გადანაცვლების თავისუფლებას ართმევს. კანონი მოხელეებს უფლებას ანიჭებს ' ხ ე ლ ფ ' ა ს ი ს ნ ა წ ი ლ ი დ ა უ კ ა ვ ო ნ მუშებს მათი ოჯახებისთვის გასაგზავნად, თუ ამას საჭიროდ სცნობს «იმ ადგილების საგუბერნიო ხელისუფლება, სადაც ოჯახები არიან დატოვებული». ნაშოვნი ფული თვით მუშების დაუკითხავად უნდა განაგონ! გლეხი სულელია: თვითონ თავის ოჯახზე ზრუნვას ვერ შესძლებს. ხელისუფალნი ამას თურმე გაცილებით უკეთ გააკეთებენ: მართლაც, ვის არ გაუგონია, თუ რა ჩინებულად ზრუნავდნენ ისინი გლეხთა ოჯახებზე სამხედრო დაბებში?

ერთი უბედურება კია: გლეხები ახლა, მგონი, მთლად ისე მორჩილნი აღარ არიან, როგორც სამხედრო დაბების დროს. ხომ შეუძლიათ გლეხებს მოითხოვონ, ჩვეულებრივი პასპორტები მოგვეცითო, ჩვენდა დაუკითხავად არ გაბედოთ ჩვენი შრომით ნაშოვნი ფულის დაკავებაო? ასეთი შემთხვევისათვის საჭიროა სისასტიკის გაძლიერება, და კანონიც საგანგებო მუხლით ადგენს, რომ «მუშების მიერ სამუშაოთა წარმოების ადგილებში სათანადო წესრიგის დაცვის მეთვალ-

ყურეობა, შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით, ეკისრება ადგილობრივ ერობის უფროსებს, ჟანდარმთა ცალკე კორპუსის ოფიცრებს, პოლიციის მოხელეებს ან ამისათვის საგანგებოდ დანიშნულ პირთ». ცხადია, დამშეულ გლეხებს მთავრობა წ ი ნ დ ა წ ი ნ ვ ე ისე უყურებს, როგორც «მეამბოხეთ» და გარდა მთელი რუსეთის პოლიციის საერთო მეთვალყურეობისა ყველა რუსი მუშის მიმართ, კიდევ განსაკუთრებულ უსასტიკეს მეთვალყურეობას აწესებს. წ ი ნ დ ა წ ი ნ ვ ე გადაწყვეტილია გლეხი მაგრად მოიმწყვდიონ ხელში, რადგან იგი ბედავს შიმშილის «გაზვიადებას» და იჩენს (როგორც ამბობს სიპიაგინი თავის ცირკულარში) «ყოვლად გაუმართლებელ მომთხოვნელობას მთავრობის მიმართ».

ხოლო სასამართლოებში რომ არ იტეხონ თავი მუშების რაიმე უკმაყოფილების შემთხვევაში, დროებითი წესები უფლებას ანიჭებს მოხელეებს დააპატიმრონ მუშები ვადით სამ დღემდე გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი ს ა მ ა რ თ ლ ი ს წ ა რ მ ო ე ბ ი ს მ ო უ ხ დ ე ნ ლ ა დ მყუდროობის დარღვევისათვის, მუშაობაში არაკეთილსინდისიერების გამოჩენისათვის, განკარგულებათა შეუსრულებლობისათვის!! თავისუფალი მუშა პასუხისგებაში უნდა იქნას მიცემული მომრიგებელ მოსამართლესთან, რომლის წინაშე მას შეუძლია თავი დაიცვას და გადაწყვეტილება გაასაჩივროს — დამშეული გლეხი კი შეიძლება საპატიმროში ჩაისვას სრულიად გაუსამართლებლად! თავისუფალი მუშა, თუ მუშაობა არ სურს, შეიძლება მხოლოდ დათხოვნილ იქნას, — ხოლო დამშეული გლეხი, როგორც ახალი კანონი ბრძანებს, «სამუშაოსაგან ჯიუტად თავის არიდებისათვის» ე ტ ა პ ი თ გ ა ი გ ზ ა ვ ნ ო ს ს ა მ შ ო ბ ლ ო შ ი, ქურდებთან და ავაზაკებთან ერთად!

ახალი დროებითი წესები ნამდვილი საკატორღო წესებია დამშეულთათვის — ეს არის წესები სამუშაოზე მათი გაგზავნისა და უფლებათა აყრის შესახებ იმის გამო, რომ მათ გაბედეს ხელისუფალთა შეწუხება დახმარების თხოვნით. მთავრობა არ დასჯერდა იმას, რომ წაართვა ერობას სასურ-

სათო საქმის გამგებლობა, აუკრძალა კერძო პირთ პოლიციის ნებადაურთველად სასადილოების გახსნა, ბრძანება გასცა ხუთჯერ შეემცირებინათ გაჭირვების ნამდვილი ოდენობა, — ის ამასთან ერთად გლეხებს არასრულუფლებიან ადამიანებად აცხადებს და ბრძანებას სცემს გაუსამართლებლად გაუსწორდნენ მათ. მარად მშიერ-მწყურვალედ ცხოვრებისა და აუტანელი შრომის მუდმივ კატორღას ახლა ემატება სახაზინო სამუშაოთა კატორღის მუქარაც.

ასეთია მთავრობის ღონისძიებანი გლეხების მიმართ. რაც შეეხება მუშებს, მათთან ანგარიშის გასწორებას ყველაზე ნათლად ახასიათებს ჩვენი გაზეთის წინა ნომერში დაბეჭდილი «საბრალდებო აქტი» ობუხოვის ქარხანაში მაისის მღელვარების საქმეზე. «ისკრა» უკვე წერდა ამ ამბის შესახებ ივნისის და ივლისის ნომრებში. სასამართლოს შესახებ ჩვენი ლეგალური პრესა სდუმდა, ცხადია, იმიტომ, რომ ახსოვდა თვით უკეთილგანმზრახველესი «ნოვოე ვრემიაც» კი როგორ «დაისაჯა» ამგვარ თემებზე წერის ცდისათვის. გაზეთებში დაიბეჭდა ორიოდე სტრიქონი იმის შესახებ, რომ მათი გასამართლება მოხდა სექტემბრის დამლევს, შემდეგ კი სამხრეთის ერთ-ერთ გაზეთში, შემთხვევით, გამოქვეყნდა განაჩენი: ორს — ს ა კ ა ტ ო რ ღ ო ს ა მ უ შ ა ო, რვა — გამართლდა, დანარჩენებს — პატიმრობა და ტუსაღთა გამასწორებელი განყოფილება ვადით 2-დან 3½ წლამდე.

ამრიგად, სტატიაში — «ახალი ხოცვა-ჟლეტა» («ისკრა» № 5)* ჩვენ საკმაოდ კიდევ ვერ დავაფასეთ რუსეთის მთავრობის შურისძიება. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ის შეუშინდა სასამართლოს და სამხედრო ძალით გასწორებას მიმართა როგორც ბრძოლის უკანასკნელ საშუალებას. მაგრამ თურმე ერთის გამოყენებაც მოუხერხებიათ და მეორისაც: ხალხის ცემა-ტყეპისა და სამი მუშის მოკვლის შემდეგ რამდენიმე ათასი კაციდან 37 ჩაიგდეს ხელში და მათ უსასტიკესი სასჯელი დაადეს.

* იხ. ეს ტომი, გვ. 16 — 23. რ ე დ.

როგორ ჩაიგდეს ხელში და როგორ გაასამართლეს, — ამის შესახებ ერთგვარ წარმოდგენას იძლევა საბრალდებო აქტი. მოთავედ ცნობილი არიან ან. ივ. ერმაკოვი, ეფრ. სტეპ. დახინი და ან. ივ. გავრილოვი. საბრალდებო აქტი აღნიშნავს, რომ ერმაკოვს ჰქონდა პროკლამაციები ბინაზე (სახაზინო მაგარი სასმელების დუქნის მოსამსახურე მიხაილოვას სიტყვით; ეს ქალი ა რ ყ ო ფ ი ლ ა გ ა მ ო წ ვ ე უ ლ ი ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო შ ი მოწმედ), რომ ის ლაპარაკობდა პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლის შესახებ, 22 აპრილს წავიდა ნევის პროსპექტზე და თან წაიღო წითელი დროშაო. შემდეგ ნათქვამია ხაზგასმით, რომ გავრილოვიც ინახავდა და არიგებდა პროკლამაციებს, რომელნიც მოუწოდებდნენ დემონსტრაციაზე გამოსვლას 22 აპრილს. ბრალდებულ იაკოვლევას შესახებაც ნათქვამია, რომ ის მონაწილეობას იღებდა რაღაც საიდუმლო კრებებში. ამრიგად, ეჭვს გარეშეა, რომ პროკურორი შეეცადა სწორედ ის ადამიანები გამოეყვანა მოთავეებად, რომელთაც სამძებრო პოლიცია პოლიტიკურ მოღვაწეებად თვლიდა. საქმის პოლიტიკური ხასიათი იქიდანაც ჩანს, რომ ხალხი ყვიროდა: «ჩვენ გვინდა თავისუფლება!», ჩანს იქიდანაც, რომ ეს ამბები პირველ მაისს დაუკავშირდა. ფრჩხილებში უნდა ითქვას, რომ მთელი ეს ორომტრიალი გამოიწვია 26 კაცის დათხოვნამ «გაცდენისთვის» პირველ მაისს, მაგრამ პროკურორს, რასაკვირველია, კრინტიც არ დაუძრავს ასეთი დათხოვნის უ კ ა ნ ო ნ ო ბ ა ზ ე!

საქმე ნათელია. გასასამართლებლად ხელი ჩასჭიდეს იმათ, ვისაც პოლიტიკურ მტრებად თვლიდნენ. სამძებრო პოლიციამ წარმოადგინა სიები. პოლიციელებმა კი, რა თქმა უნდა, «დაამოწმეს», რომ ეს პირნი ერივნენ ხალხში, ქვებს ისროდნენ და სხვებში გამოირჩეოდნენო.

გასამართლებით დაფარეს პოლიტიკური შურისძიების მეორეგვარი (ხოცვა-ჟლეტის შემდეგ) აქტი. და ფლიდურადაც დაფარეს: პოლიტიკა მოიხსენიეს ბრალდების დასამძიმებლად, მხოლოდ მთელი მომხდარი ამბის პოლიტიკური

ვითარების განმარტების ნება არ დართეს. გაასამართლეს როგორც სისხლის სამართლის დამნაშავენი დებულების 263-ე მუხლის ძალით, ე. ი. «მთავრობის მიერ დაყენებულ ხელისუფალთა წინააღმდეგ აშკარა აჯანყებისთვის», ამასთან ისეთი აჯანყებისთვის, რომელიც შეიარაღებულმა (?) პირებმა მოახდინეს. ბრალდება შ ე კ ო წ ი წ ებ უ ლ ი იყო: პოლიციამ უბრძანა მოსამართლეებს გაერჩიათ საქმის მხოლოდ ერთი მხარე.

უნდა აღინიშნოს, რომ დებულების 263—265-ე მუხლების მიხედვით შეიძლება კატორღაში უკრან თავი ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი მანიფესტაციისთვის: «აშკარა აჯანყება იმ განზრახვით, რომ მთავრობის განკარგულებანი და ზომები არ იქნან მოყვანილი სისრულეში», თუნდაც «აჯანყებულნი» შეიარაღებულნი არ იყვნენ და არც აშკარა ძალდატანებითს მოქმედებას სჩადიოდნენ! რუსული კანონები კატორღის მისჯაში ხელგაშლილია! დროა ჩვენც ვიზრუნოთ იმაზე, რომ ყოველი ასეთი პროცესი პოლიტიკურ პროცესად გ ა დ ა ა ქ ც ი ო ნ თვით ბრალდებულებმა, რომ მთავრობამ ვერ გაბედოს თავისი პოლიტიკური შურისძიების დაფარვა სისხლის სამართლის კომედიით!

და მერე რა «პროგრესია» თვით სამართლის წარმოებაში შედარებით, მაგალ., 1885 წელთან! მაშინ მოროზოვის ფეიქრებს ასამართლებდნენ ნაფიცი მსაჯულნი, გაზეთებში იბეჭდებოდა სრული ანგარიშები, სასამართლოში მოწმედ გამოწვეულმა მუშებმა გამოააშკარავეს მეფაბრიკის მთელი სისაძაგლე. ახლა კი — მოხელეთა სასამართლო უხმო წოდებრივი წარმომადგენლებით, სასამართლოს დახურული კარები, პრესის სრული დუმილი, ცრუმოწმეები: ქარხნის მმართველობა, ქარხნის დარაჯნი, პოლიციელები, რომელნიც ხალხს ცემა-ტყეპით უმასპინძლდებოდნენ, ჯარისკაცნი, რომელნიც ტყვიას უშენდნენ მუშებს. რა საზიზღარი კომედიაა!

შეადარეთ 1885 და 1901 წლებში მუშების აწიოკების ეს «პროგრესი» 1891 და 1901 წლებში დამშეულთა წინააღმდეგ ბრძოლის «პროგრესს», — და თქვენ მიიღებთ ერთგვარ წარ-

მოდგენას იმაზე, თუ რა სისწრაფით ღრმავდება და ფართოვდება აღშფოთება ხალხსა და საზოგადოებაში, რა მძვინვარებით იწყებს ბორგვას მთავრობა, როცა «ავიწროებს» როგორც კერძო ქველმოქმედთ, ისე გლეხებს და აშინებს მუშებს კატორღის განაჩენებით. არა, კატორღა ვერ შეაშინებს მუშებს, რომელთა წინამძღოლები არ ეპუებოდნენ სიკვდილს ქუჩაში მეფის ოპრიჩნიკებთან პირდაპირ შეტაკებაში. დახოცილი და საპყრობილეებში წამებული გმირამხანაგების ხსოვნა გააათკეცებს ახალ მებრძოლთა ძალას და დასახმარებლად მიიზიდავს ათასობით თანაშემწეებს, რომელნიც, როგორც 18 წლის მარფა იაკოვლევა, აშკარად იტყვიან: «ჩვენ ვიცავთ ჩვენს ძმებს!». მთავრობა, რომელიც პოლიციისა და სამხედრო ძალებით უსწორდება მანიფესტანტებს, მოწადინებულია გაასამართლოს ისინი აჯანყებისათვისაც; — ჩვენ ამაზე ვუპასუხებთ მთელი რევოლუციური ძალების შემჭიდროებით, მეფის თვითნებობის გამო ყველა ჩაგრულთა ჩვენს მხარეზე გადმოყვანით და საყოველთაო სახალხო აჯანყების სისტემატური მზადებით.

«ისკრა» № 10, 1901 წლის ნოემბერი

იბეჭდება გაზეთ «ისკრის» ტექსტის მიხედვით

შინაური მიმოხილვა

დაწერილია 1901 წლის ოქტომბერში

პირველად დაიბეჭდა 1901 წლის დეკემბერს ჟურნალ «ზარიას» № 2—3-ში
ხელმოწერა: ტ. ხ.

იბეჭდება «ზარიას» ტექსტის მიხედვით

I. შიმშილი[75]

ისევ შიმშილი! უკანასკნელ ათ წელში გასაოცარი სისწრაფით ხდება რუსი გლეხობის არა მარტო გაჩანაგება, არამედ მისი პირდაპირი ამოწყდომა, და, ალბათ, არც ერთ ომს, რა ხანგრძლივი და შეუპოვარიც უნდა ყოფილიყო, არ შეუწირავს ამდენი მსხვერპლი. გლეხის წინააღმდეგ შეერთდნენ თანამედროვე ეპოქის მთელი უძლიერესი ძალები: სულ უფრო სწრაფად მზარდი მსოფლიო კაპიტალიზმიც, რამაც წარმოშვა იმიეროკეანის კონკურენცია და იმ სოფლის მეურნეთა მცირე ნაწილი, რომელთაც უნარი შესწევთ გადაიტანონ არსებობისათვის თავგანწირული ბრძოლა, აღჭურვა უაღრესად გაუმჯობესებული წარმოების საშუალებებით და იარაღებით, სამხედრო სახელმწიფოც, რომელიც აწარმოებს ავანტიურულ პოლიტიკას თავის კოლონიურ სამფლობელოებში, შორეულ აღმოსავლეთსა და შუა აზიაში, და ამ პოლიტიკის, უამრავ ფულად რომ ჯდება, სიძნელეებს მუშათა მასებს აკისრებს და ამასთან ერთად ხალხის ფულებით «აღკვეთის» და «ალაგმვის» ახალ-ახალ პოლიციურ ბატარიებს აწყობს ამ მასების მზარდი უკმაყოფილებისა და აღშფოთების წინააღმდეგ.

მას შემდეგ, რაც ჩვენში შიმშილი ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა, ბუნებრივად მოსალოდნელი იყო, რომ მთავრობა შეეცდებოდა ჩამოეყალიბებინა და განემტკიცებინა თავისი ჩვეულებრივი პოლიტიკა სასურსათო საქმეში. თუ 1891—1892 წლებში მთავრობა სრულიად არაფერს მოელოდა და თავდაპირველად საკმაოდ დაიბნა, ახლა მას უკვე მდიდარი

გამოცდილება აქვს და კარგადაც იცის, თუ საით (და როგორ) წავიდეს. «ამჟამად, — წერდა «ისკრა» ივლისში (№ 6), — ჩვენს ქვეყანას ჩამოსწოლია სახალხო უბედურების შავი ღრუბელი, და მთავრობა ემზადება ხელახლა გაითამაშოს თავისი საზიზღარი როლი უსულგულო ძალისა, რომელიც ლუკმაპურს ართმევს დამშეულ მოსახლეობას და სჯის მშიერ ხალხზე ყოველი მზრუნველობის «გამოჩენას», რაც მთავრობის ანგარიშში არ შედის».

მთავრობის სამზადისი ძალიან სწრაფი და ძალიან გაბედული იყო. თუ რა სულისკვეთებით წარმოებდა ეს სამზადისი, — საკმაოდ გამოააშკარავა ელისავეტგრადის ისტორიამ. ხერსონის გუბერნიის უფროსმა, თავადმა ობოლენსკიმ, ერთბაშად გამოუცხადა ომი ყველას, ვინც კი გაბედავ და დაიწყო წერა და ლაპარაკი ელისავეტგრადის შიმშილობაზე, ვინც მოუწოდა საზოგადოებას დამშეულთა დასახმარებლად, მოაწყო კერძო წრეები და მიმართა კერძო პირთ ამ დახმარების მოსაწყობად. ერობის ექიმები გაზეთებში წერდნენ, რომ მაზრაში შიმშილობაა, ხალხი ავადმყოფობს და იხოცება, «პური», რომლითაც ის იკვებება, რაღაც წარმოუდგენელი რამაა და სულაც არ შეიძლება მას პური დაერქვასო. გუბერნატორი იწყებს პოლემიკას ერობის ექიმებთან, ოფიციალურად უარჰყოფს ამ ცნობებს გაზეთებში. ვინც ოდნავ მაინც იცნობს ჩვენი პრესის საერთო პირობებს, ვინც გაირჯება და მოიგონებს იმ გაძლიერებულ დევნას, რომელიც განიცადეს უკანასკნელ ხანებში ფრიად ზომიერმა ორგანოებმა და გაცილებით კიდევ უფრო ზომიერმა ლიტერატორებმა, — ის მიხვდება, თუ რას ნიშნავდა გუბერნიის უფროსის ეს «პოლემიკა» ვიღაც საერობო ექიმებთან, რომელნიც სახელმწიფო სამსახურშიც კი არ იმყოფებიან! ეს იყო პირში ბურთის ჩაჩრა, ეს იყო მეტად აშკარა და უტიფარი განცხადება, რომ მთავრობა არ მოითმენს სიმართლეს შიმშილობის შესახებ. განცხადება რაა! სხვას არ ვიცით და რუსეთის მთავრობას კი არა მგონია შეიძლებოდეს ვუსაყვედუროთ, რომ ის განცხადებებს სჯერდება, როდესაც შესაძლებლობა აქვს «ძალა-

უფლება გამოიყენოს». და თავადმა ობოლენსკიმაც არ დააყოვნა ძალაუფლების გამოყენება, ის პირადად გამოცხადდა ომის ასპარეზზე, — ომისა დამშეულების და იმათ წინააღმდეგ, ვინც თუმცა არც ერთ უწყებაში არ ითვლებოდა, მოწადინებული იყო ნამდვილი დახმარება გაეწია დამშეულებისთვის, — და სასადილოების მოწყობა აუკრძალა დამშეულ რაიონში მისულ რამდენიმე კერძო პირს (მათ შორის ქ-ნ უსპენსკაიას). იულიუს კეისრის მსგავსად, თავადი ობოლენსკი მივიდა, დაინახა, დაამარცხა, — და დეპეშებმაც დაუყოვნებლივ აცნობეს მთელ რუსეთს ამ გამარჯვების ამბავი. გასაკვირველი მხოლოდ ის არის, რომ ამ გამარჯვებას, ამ თავხედურ გამოწვევას, მიმართულს ყველა რუსი ადამიანისადმი, ვისაც კი ოდნავი რიგიანობა, მოქალაქობრივი გამბედაობის ნასახი შერჩენია, არავითარი წინააღმდეგობა არ გამოუწვევია, თუ შეიძლება ასე ითქვას, ყველაზე უფრო დაინტერესებულ პირთა წრეში. უეჭველია, ხერსონის გუბერნიაში ძალიან ბევრმა იცოდა და იცის შიმშილობის მიჩქმალვისა და დამშეულთა დახმარების საწინააღმდეგო ბრძოლის მთელი საიდუმლოება, მაგრამ არავის არ გამოუქვეყნებია არც ამ საგულისხმო საქმის შინაარსი, არც არავითარი დოკუმენტი მის შესახებ, არც თუნდაც უბრალო მოწოდება — პროტესტი განეცხადებინათ სასადილოების მოწყობის საზარელი აკრძალვის წინააღმდეგ. მუშები გაფიცვას აწყობენ, როცა მთავრობას სისრულეში მოჰყავს თავისი მუქარა პირველი მაისის სამუშაო დღის «გამცდენთა» დათხოვნის შესახებ; ინტელიგენტური საზოგადოება სდუმს, როცა მის წარმომადგენლებს უკრძალავენ... დამშეულთათვის დახმარების აღმოჩენას.

მთავრობა თითქოს წახალისდა იმით, რომ წარმატება ჰქონდა ამ პირველ შეტაკებას «შფოთის ამტეხებთან», რომელნიც დამშეულთათვის დახმარების გაწევას ბედავენ, — და მალე შეტევაზე გადავიდა მთელ ხაზზე. თავად ობოლენსკის სიმამაცე სახელმძღვანელო საწყისად, კანონად ხდება, რომელიც ამიერიდან აწესრიგებს ყველა ადმინისტრატორის დამოკიდე-

ბულებას სასურსათო საქმის მონაწილე ყველა პირისადმი (სიტყვა «მონაწილე», კაცმა რომ თქვას, სისხლის სამართლის ტერმინია, რომელიც სპეციალურად ჩვენს სასჯელთა დებულებას ეკუთვნის, მაგრამ ჩვენ უკვე დავინახეთ და ქვემოთაც დავინახავთ, რომ ამჟამად დამშეულთათვის ნებადაურთველი დახმარება ერთიანად სისხლის სამართლის დანაშაულის ცნებაში შედის). ასეთი კანონი კიდეც გამოიცა მალე — ამხანად «1901 წლის მოუსავლობით დაზარალებული გუბერნიების უფროსებისადმი შინაგან საქმეთა მინისტრის ცირკულარის» გამარტივებული ფორმით (1901 წლის 17 აგვისტო, № 20).

ეს ცირკულარი, უნდა ვიფიქროთ, დიდხანს დარჩება იმის ძეგლად, თუ რა ჰერკულესის ბჭეებამდე მიდის პოლიციის შიში მრისხანე სახალხო უბედურების წინაშე, შიში დამშეულთა დაახლოებისა მათ დამხმარე «ინტელიგენტებთან», იმ მტკიცე გადაწყვეტილებასთან ერთად, რომ ჩაახშონ ყოველი «ხმაური» შიმშილობაზე და დახმარება სულ უმნიშვნელო ოდენობით განსაზღვრონ. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ ამ ცირკულარის უზომო მოცულობა და მძიმე კანცელარიული ენა, რომლითაც იგია დაწერილი, ხელს შეუშლის ფართო საზოგადოების გაცნობას მასთან.

როგორც ვიცით, 1900 წლის 12 ივნისის კანონით სასურსათო საქმე ჩამოერთვა ერობას და გადაეცა ერობის უფროსებსა და სამაზრო ყრილობებს. თითქოს ამაზე უფრო კეთილსაიმედო რაღა უნდა ყოფილიყო: არჩეული ელემენტი განიდევნა, უფროსებისაგან ოდნავ მაინც დამოუკიდებელი ადამიანები ჩამოშორდნენ საქმის გაძღოლას და, მაშასადამე, ახლა ვეღარ იხმაურებენ. მაგრამ, თავად ობოლენსკის ლაშქრობის შემდეგ, ყოველივე ეს ცოტა მოეჩვენათ: საჭიროა მთელი საქმე კიდევ უფრო სასტიკად დაექვემდებაროს სამინისტროს და მის ბრძანებათა უშუალო ამსრულებელ მოხელეებს, საჭიროა საბოლოოდ აღმოიფხვრას ყოველგვარი გაზვიადების შესაძლებლობა. ამიტომ იმ საკითხს, თუ რომელი მაზრებია «მოუსავლობით დაზარალებული» ამიერიდან გ ა დ ა ს წ ყ ვ ე ტ ს მხოლოდ და მხოლოდ თვითონ სამი-

ნისტრო *, სადაც, ცხადია, მოეწყობა დამშეულთა წინააღმ-დეგ სამხედრო მოქმედების მთავარი შტაბი. და ეს შტაბი ბატონ გუბერნატორების საშუალებით წარმართავს იმ პირთა (უმთავრესად, მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლთა) მოქმედებას, რომელთა ხელშიც არის «მაზრის ცენტრალური სასურსათო სამმართველო». დამშეულთა წინააღმდეგ სამ-ხედრო მოქმედების ინიციატორს, თავად ობოლენსკის, თვი-თონ უხდებოდა მისვლა ადგილობრივ, რათა აღეკვეთა, აელაგმა და ჩაეჩუმებინა. ახლა ყოველივე ეს «მოწესრიგებუ-ლია», — და საკმარისი იქნება დეპეშების უბრალო მიმო-გზავნა (კარგია, რომ საკანცელარიო ხარჯებისთვის გადადე-ბულია ათასი მანეთი მაზრაზე) «მაზრის ცენტრალურ» და პეტერბურგის ცენტრალურ სამმართველოებს შორის «გან-კარგულების მოსახდენად». ტურგენევის განათლებული მე-მამულე თვითონ კი არ მიდიოდა თავლაში, არამედ იმით კმაყოფილდებოდა, რომ ხმადაბლა იძლეოდა შენიშვნებს ფრაკში გამოწყობილი თეთრხელთათმანიანი ფარეშის სა-შუალებით: «თედორეს შესახებ... გაეცით განკარგულება!» აი ახლა ჩვენშიც ასევე «უხმაუროდ», წყნარად და კეთილ-შობილურად მოახდენენ ხოლმე «განკარგულებას» დამშეუ-ლი მოსახლეობის უზომო მადის შესაზღუდავად.

---

* თუ როგორ წყვეტს ამ საკითხს სამინისტრო, ეს ჩანს პერმის გუბერ-ნიის მაგალითით. როგორც უკანასკნელი გაზეთები გვატყობინებენ, ეს გუ-ბერნია ისევ «მოუსავლობით დაუზარალებლად» ითვლება, თუმცა იქ მოუსავლობა (10 ოქტომბრის საგანგებო საგუბერნიო ერობის ყრილობის ცნობებით) 1898 წლის მოუსავლობაზე უ ფ რ ო დ ი დ ი ა. პურის მოსავალი შეადგენს საშუალო მოსავლის მხოლოდ 58 პროცენტს, შადრინის და ირბი-ტის მაზრებში კი — მხოლოდ 36 და 34 პროცენტს. 1898 წელს მთავრობამ გასცა (ადგილობრივ საშუალებათა ჩაუთვლელად) 1½ მილიონი ფუთი პური და ¼ მილიონ მანეთზე მეტი ფულად. ახლა კი ერობას სახსრები არა აქვს, ერობის უფლებები შეკვეცილია, მოუსავლობა გაცილებით მეტია 1898 წლისაზე. პურის ფასების აწევა დაიწყო ჯ ე რ კ ი დ ე ვ პ ი რ ვ ე ლ ი ი ვ ლ ი ს ი დ ა ნ, გლეხები უკვე ყ ი დ ი ა ნ ს ა ქ ო ნ ე ლ ს, — მთავრობა კი მაინც დაჟინებით თვლის ამ გუბერნიას «დაუზარალებლად»!!

ხოლო ბ-ნი სიპიაგინი რომ დარწმუნებულია დამშეული გლეხის მადის უზომობაში, — ეს ჩანს იმ უჯიათობიდან, რომლითაც ცირკულარი არათუ გაფრთხილებას იძლევა «გაზვიადების» აღსაკვეთად, არამედ პირდაპირ ჰქმნის ახალ-ახალ წესს, რომელიც სპობს გაზვიადების ყოველგვარ შესაძლებლობას. დამშეულთა სიების შედგენას — ნუ ჩქარობთ: ეს მოსახლეობაში «გადაჭარბებულ იმედს» იწვევსო — პირდაპირ ამბობს მინისტრი და ბრძანებას იძლევა სიები შედგეს მხოლოდ უშუალოდ პურის დარიგების წინ. შემდეგ, იმის შესახებ, თუ როდის უ ნ დ ა ჩაითვალოს მაზრა მოუსავლობით დაზარალებულად, — ცირკულარს ზედმეტად მიაჩნია ლაპარაკი, სამაგიეროდ იგი ზედმიწევნით საზღვრავს, თუ როდის ა რ უ ნ დ ა ჩაითვალოს მაზრა დაზარალებულად (მაგალითად, როცა არ არის დაზარალებული ვოლოსტების მესამედზე მეტი, როცა არის ჩვეულებრივი საშოვრები და სხვ.). ბოლოს, დამშეულთა დახმარების ნორმის შესახებ მინისტრი ისეთ წესებს აქვეყნებს, რომლებიც ცხადზე უცხადესად გვიჩვენებს, რომ მთავრობას სურს რ ა დ ა ც უ ნ დ ა დ ა ჯ დ ე ს უკიდურესად შეკვეცოს ეს დახმარება, განსაზღვროს ის ნასუფრალით, რაც სრულიად არ იფარავს მოსახლეობას ამოწყდომისაგან. მართლაც: ნორმა — 48 ფუთი პურია ოჯახზე (საშუალო მოსავლის ოდენობის მიხედვით ამა თუ იმ სოფელში); ვისაც ამაზე ნაკლები არა აქვს, ის არ საჭიროებს დახმარებას. რა გზით არის მიღებული ეს ციფრი, — არ ვიცით. ვიცით მხოლოდ, რომ დ ა უ მ შ ე ვ ე ლ წელიწადში თვით უღარიბესი გლეხებიც კი ორჯერ მეტ პურს ხარჯავენ (იხ. გლეხთა ბიუჯეტების საერობო-სტატისტიკური გამოკვლევები). მაშასადამე, სანახევროდ შიმშილობა ნორმალურ მოვლენად ითვლება თვით ბ-ნ მინისტრის ბრძანების მიხედვით. მაგრამ ეს ნორმაც მცირდება, ჯერ-ერთი, ერთიორად, რათა სესხის მიღება ვერ შესძლოს მუშურმა ელემენტმა, რომელიც მოსახლეობის დაახლოებით ნახევარს შეადგენს, მეორე, კ ი დ ე ვ $^1/_3$ — $^1/_6$ — $^1/_{10}$-ით «იმ შეძლებულ მეურნეთა დაახლოებითი რიცხვის მიხედვით, რომელთაც გასული

წლის მარაგი ან სხვა რაიმე (სწორედ ასეა: «ან სხვა რაიმე»!!) ნივთიერი ქონება აქვთ შემონახული». ამის მიხედვით შეიძლება განვსაჯოთ, თუ რა უმნიშვნელოა მოსახლეობისთვის საჭირო პურის ნამდვილი დანაკლისის ის წილი, რომლის სესხად მიცემას ფიქრობს მთავრობა! და ბ-ნი სიპიაგინი, განმარტავს რა დახმარების შეკვეცის ამ წარმოუდგენელ სისტემას, თითქოს თავის უტიფრობით გახარებული, აცხადებს. რომ ასეთი დაახლოებითი გაანგარიშება «იშვიათად თუ იქნება ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვნად გადაჭარბებული». კომენტარიები მგონი აქ ზედმეტია.

როდესაც რუსეთის მთავრობის ოფიციალურ განცხადებებში გარდა ცარიელი ბრძანებისა რაიმე ცდა მოიპოვება ამ ბრძანების ასახსნელად, ისინი თითქმის ყოველთვის შეიცავენ, — ეს ერთგვარი კანონია, გაცილებით უფრო ურყევი, ვიდრე ჩვენი კანონების უმეტესი ნაწილი, — ორ ძირითად მოტივს ან მოტივების ორ ძირითად ტიპს. ერთი მხრივ, თქვენ უსათუოდ ნახავთ რამდენიმე ზოგად ფრაზას, სადაც მაღალფარდოვნად არის ლაპარაკი ხელისუფალთა მზრუნველობაზე, მათს სურვილზე ანგარიში გაუწიონ დროის მოთხოვნებს და საზოგადოებრივი აზრის სურვილებს. მაგალითად, ლაპარაკია «სოფლის მოსახლეობაში სასურსათო გაჭირვების თავიდან აცილების მნიშვნელოვან საქმეზე», «ზნეობრივ პასუხისმგებლობაზე ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობისათვის» და სხვ. თავისთავად ცხადია, ეს ზოგადი ადგილები არსებითად არაფერს არ მოასწავებენ და არავითარ დადებითს ვალდებულებას არ გვაკისრებენ; სამაგიეროდ ისინი ძალიან გვანან უკვდავი იუდუშკა გოლოვლევის უკვდავ სიტყვებს,—იმ იუდუშკა გოლოვლევისა, რომელიც ტუქსავდა მის მიერ გაძარცულ გლეხებს. ფრჩხილებში უნდა ითქვას, რომ ამ ზოგად ადგილებს ყოველთვის იყენებს (რაოდენადმე გულუბრყვილობით, რაოდენადმე «სამსახურის მოვალეობის» გამო) ლიბერალური ლეგალური პრესა, რათა მთავრობის პრინციპული სოლიდარობა შეუგუოს თავის საკუთარ თვალსაზრისს.

მაგრამ თუ თქვენ ყურადღებით ჩაუკვირდებით მთავრობის ბრძანებათა სხვა, არა ესოდენ ზოგად და არა ესოდენ აშკარად უშინაარსო მოტივებს, ყოველთვის ნახავთ კონკრეტულ განმარტებებს, რომელნიც მ თ ლ ი ა ნ ა დ ი მ ე ო რ ე ბ ე ნ ჩვენი პრესის უაღრესად რეაქციული ორგანოების (მაგალ., «მოსკოვსკიე ვედომოსტის») ჩვეულებრივ საბუთებს. ყოველ ცალკე შემთხვევაში მთავრობის და «მოსკოვსკიე ვედომოსტის» ამ სოლიდარობის გამოაშკარავება და აღნიშვნა არ იქნებოდა, ჩვენის აზრით, უსარგებლო (და არცთუ მთლად მიუწვდომელი ლეგალურ მოღვაწეთათვისაც კი) მუშაობა. ზემოხსენებულ ცირკულარში, მაგალითად, განმეორებულია უსაზიზღრესი ბრალდებანი, რომელნიც უაღრესად «ველური მემამულეებისაგან» მომდინარეობს, — რომ გაჭირვებულთა სიების ნაადრევად შედგენა იწვევს «ზოგიერთი შეძლებული მეურნის სურვილს თავის მეურნეობას ღარიბული სახე მისცეს მარაგის, ზედმეტი პროდუქტისა და ინვენტარის გაყიდვით». მინისტრი ამბობს, რომ ეს «წინა სასურსათო კამპანიების გამოცდილებამ დაამტკიცა». მაშასადამე? მაშასადამე, მინისტრი თავის პოლიტიკურ გამოცდილებას იღებს ყველაზე თავგამოდებულ მებატონეთაგან, რომელნიც ასე ხმაურობდნენ წინანდელ დამშეულ წლებში და ახლაც ხმაურობენ გლეხების მატყუარობის შესახებ და რომელნიც ასე აღუშფოთებია «ხმაურს» დამშევით გამოწვეული ტიფის ეპიდემიის გამო.

ბ-ნმა სიპიაგინმა იმავე მებატონეთაგან ისწავლა ლაპარაკი დემორალიზაციის შესახებ: «ფრიად მნიშვნელოვანია,—წერს ის, — რომ ...ადგილობრივმა დაწესებულებებმა... ხელი შეუწყონ გადადებულ საშუალებათა დაზოგვას და, რაც უმთავრესია (sic!! *), — თავიდან აიცილონ უზრუნველყოფილ პირთათვის მთავრობის უსაფუძვლო დახმარების მავნე გამრყვნელი გავლენის მქონე შემთხვევები». და ეს ურცხვი ბრძანება — ხელი -შეუწყონ საშუალებათა დაზოგვას — შემდეგი პრინციპული დარიგებით არის დასაბუთებული: «...სა-

* — ასე!! რ ე დ.

სურსათო დახმარების ფართოდ დარიგებას იმ ოჯახებისათვის, რომელთაც უამისოდაც შეუძლიათ თავი გაიტანონ» (შეუძლიათ თავი გაიტანონ 24 ფუთი პურით წლიურად ოჯახზე?), «ამ შემთხვევაში ხაზინის მიერ უნაყოფოდ (!) გაწეული ხარჯების მიუხედავად, ასეთი სისტემის დამღუპველი შედეგებით და სახელმწიფოებრივი საჭიროებისა და სარგებლობის თვალსაზრისით არანაკლებ მავნებელი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ნამდვილ გაჭირვებულთა დატოვებას სათანადო დახმარების გაუწევლად». ძველად გულაჩვილებული მონარქები ამბობდნენ: «უმჯობესია ათი დამნაშავე გამართლდეს, ვიდრე ერთი უდანაშაულო დაისაჯოსო». ახლა კი მეფის უახლოესი თანაშემწე აცხადებს: არანაკლებ მავნეა დახმარების აღმოჩენა იმ ოჯახისთვის, რომელსაც შეუძლია წელიწადში 24 ფუთი პური იმყოფინოს, ვიდრე «ნამდვილი» გაჭირვებულის დახმარების გაუწევლად დატოვებაო. რა სამწუხაროა, რომ ეს თავისი გულახდილობით ჩინებული «თვალსაზრისი» «სახელმწიფოებრივი საჭიროებისა და სარგებლობის» შესახებ ფართო საზოგადოებისაგან გრძელი და გულის გამწვრილებელი ცირკულარით არის დაფარული! ერთი იმედია მხოლოდ: შესაძლოა, სოციალ-დემოკრატიულმა პრესამ და სოციალ-დემოკრატიულმა სიტყვიერმა აგიტაციამ ახლოს გააცნოს ხალხს მინისტრის ცირკულარის შინაარსი.

* * *

მაგრამ ცირკულარი განსაკუთრებული სიმკაცრით «ესხმის თავს» კერძო ქველმოქმედთ: ყველაფრიდან ჩანს, რომ ადმინისტრატორები, რომელნიც ომს აწარმოებენ დამშეულთა წინააღმდეგ, «მტრის» ყველაზე მნიშვნელოვან პოზიციად თვლიან დახმარების კერძო წრეებს, კერძო სასადილოებს და სხვ. ბ-ნი სიპიაგინი საქები პირდაპირობით გვიხსნის, თუ რატომ უფრთხობდა ძილს ამდენი ხანია შინაგან საქმეთა სამინისტროს ეს კერძო ქველმოქმედება. «1891 და 1892 წლების მოუსავლობით დაწყებული და ყველა მერმინდელი ამგვარივე უბედურების დროს — ამბობს ცირკულარი—ხში-

რად აღმოჩნდებოდა ხოლმე, რომ ზოგიერთი ქველმოქმედნი დაზარალებული ადგილების მცხოვრებთათვის მატერიალური დახმარების გაწევასთან ერთად ცდილობენ მათ შორის აღძრან უკმაყოფილება არსებული წესწყობილებით და ყოვლად გაუმართლებელი მოთხოვნა მთავრობის მიმართ. ამასთან არა მთლიანად დაკმაყოფილებული საჭიროება, აგრეთვე ამ დროს აუცილებელი ავადმყოფობანი და მეურნეობის მოშლილობა მეტად ხელსაყრელ ნიადაგს ჰქმნის მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციისთვის, — და ასეთ ნიადაგს ხალისით იყენებენ პოლიტიკურად არაკეთილსაიმედო პირები თავიანთი დანაშაულებრივი მიზნებისთვის მოყვასის დახმარების ნიღაბით. ჩვეულებრივ როგორც კი გავრცელდება ხმა მნიშვნელოვანი მოუსავლობის შესახებ, დაზარალებულ რაიონში ყოველი მხრიდან მიეშურებიან არაუმწიკვლო პოლიტიკური წარსულის მქონე პირები, ცდილობენ დაუკავშირდნენ დედაქალაქებიდან ჩამოსულ საქველმოქმედო საზოგადოებათა და დაწესებულებათა რწმუნებულებს, რომელნიც გაუგებლობით თანამშრომლებად იყვანენ მათ ადგილობრივ, რაც დიდ სიძნელეებს უქმნის წესრიგისა და მართვა-გამგეობის ინტერესებს».

მაგრამ, ეტყობა, რუსეთის მთავრობა ვეღარ ეტევა რუსეთის მიწა-წყალზე. იყო დრო, როცა საგანგებოდ დასაცავ წრედ მხოლოდ მოსწავლე ახალგაზრდობა ითვლებოდა: მის მიმართ დაწესებული იყო განსაკუთრებით მკაცრი მეთვალყურეობა, მასთან ურთიერთობის დაჭერა ვინმე სათაკილო პოლიტიკური წარსულის მქონე პირების მხრივ დიდ დანაშაულად ითვლებოდა, ყოველგვარ წრეს და საზოგადოებას, თუნდაც მათ მხოლოდ ნივთიერი დახმარების გაწევა ჰქონოდათ მიზნად, მთავრობის საწინააღმდეგო ზრახვები ბრალდებოდათ ღა სხვ.. იმ, — არც ისე შორეულ, — დროს არ იყო მოსახლეობის სხვა ფ ე ნ ა, მით უფრო კლასი, რომელიც მთავრობის თვალში «მეტად ხელსაყრელ ნიადაგს წარმოადგენდა მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციისათვის». მაგრამ 90-იანი წლების შუახანიდან მთავრობის ოფიციალურ განცხა-

დებებში თქვენ უკვე შეხვდებით მითითებას მოსახლეობის მეორე, გაცილებით უფრო მრავალრიცხოვან კლასზე, რომელიც განსაკუთრებულ დაცვას მოითხოვდა: ესაა ფაბრიკა-ქარხნების მუშები. მუშათა მოძრაობის ზრდამ გამოიწვია დაწესებულებათა მთელი სისტემების შექმნა ახალი შფოთიანი ელემენტის სამეთვალყურეოდ; იმ ადგილთა სიაში, რომელნიც აკრძალული ჰქონდათ საცხოვრებლად პოლიტიკურად საეჭვო პირებს, სატახტო და საუნივერსიტეტო ქალაქებთან ერთად თანდათან გაჩნდა საფაბრიკო ცენტრები, დაბები, მაზრები და მთელი გუბერნიები*. არაკეთილსაიმედო პირთაგან საგანგებოდ დაცული აღმოჩნდა ევროპის რუსეთის ორი მესამედი, ხოლო დანარჩენი ერთი მესამედი იმდენად ივსება «სათაკილო პოლიტიკური წარსულის მქონე პირებით», რომ თვით უაღრესად მიყრუებული პროვინციაც მოუსვენარი ხდება**. ახლა, თურმე, ისეთი კომპეტენტური პირის ავტორიტეტული აზრით, როგორიც ბ-ნი შინაგან საქმეთა მინისტრია, «ხელსაყრელ ნიადაგს» მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციისთვის წარმოადგენს თვით უაღრესად მიყრუებული ს ო ფ ე ლ ი ც კი, რამდენადაც იქ არის არცთუ სავსებით დაკმაყოფილებული საჭიროების, ავადმყოფობისა და მეურნეობის მოშლილობის შემთხვევები. მერე განა ბევრია ისეთი რუსული სოფელი, სადაც ამგვარი «შემთხვევები» მუდმივი არ იყოს? და ჩვენ, რუსეთის სოციალ-დემო-

* შეად., მაგალ., «ისკრის» მე-6 ნომერში დაბეჭდილი საიდუმლო ცირკულარი ს.-პეტერბურგიდან გადასასახლებელ პირთა, უმთავრესად ლიტერატორთა შესახებ, რომელთაგანაც ბევრი არასოდეს არავითარი პოლიტიკური საქმისათვის საზოგადოდ და არავითარი «მუშათა» საქმისათვის კერძოდ არ ყოფილა პასუხისგებაში მიცემული. მიუხედავად ამისა, მათ საცხოვრებლად აკრძალული აქვთ არა მარტო საუნივერსიტეტო ქალაქები, არამედ «საფაბრიკო ადგილებიც», ხოლო ზოგიერთებს მ ხ ო ლ ო დ საფაბრიკო ადგილებიც კი.

** იხ., მაგალ., კორესპონდენციები «ისკრის» მე-6 და მე-7 ნომრებში იმის შესახებ, თუ როგორ შეიპარა საზოგადოებრივი მღელვარება და მთავრობის საწინააღმდეგო «შემწეველობა» ისეთ ღვთით დაცულ ქალაქებშიც კი, როგორიცაა პენზა, სიმფეროპოლი, კურსკი და სხვ.

კრატებმა, დაუყოვნებლივ ხომ არ უნდა ვისარგებლოთ «ხელსაყრელ» ნიადაგზე ბ-ნ სიპიაგინის ამ საგულისხმო მითითებით? სწორედ ახლა, ერთი მხრივ, სოფელი დაინტერესებულია ზოგჯერ მის ყურამდე კანტიკუნტად მიღწეული ხმებით მთავრობის ოპრიჩნიკებთან ქალაქის პროლეტარიატისა და ინტელიგენტური ახალგაზრდობის თებერვლისა და მარტის შეტაკებათა შესახებ, ხოლო, მეორე მხრივ, განა ყოველი ამგვარი ფრაზა გლეხის «ყოვლად გაუმართლებელი მოთხოვნისა» და სხვათა შესახებ არ იძლევა უაღრესად უხვ პროგრამას ფართო და ყოველმხრივი აგიტაციისთვის?

ბ-ნ სიპიაგინის სასარგებლო მითითებით ჩვენ უნდა ვისარგებლოთ, ხოლო მისი გულუბრყვილობა ღირსია სასაცილოდ აგდებისა. და მართლაც, სასაცილო გულუბრყვილობაა იმის წარმოდგენა, ვითომ გუბერნატორის მეთვალყურეობისა და კონტროლისადმი კერძო ქველმოქმედების დამორჩილება გაძნელებს სოფლად «არაკეთილსაიმედო» პირთა გავლენის შესაძლებლობას. ნამდვილი ქველმოქმედნი არასოდეს არ ისახავდნენ პოლიტიკურ მიზნებს, ასე რომ აღკვეთის და ალაგმვის ახალი ზომები ყველაზე მეტად იმათ დაატყდებათ თავს, ვინც მთავრობისთვის ყველაზე ნაკლებ საშიშია. იმ ადამიანებს კი, რომელნიც მოისურვებენ გლეხების თვალის ახელას ახალი ზომების და საზოგადოდ შიმშილთან მთავრობის დამოკიდებულების მნიშვნელობის შესახებ, ალბათ, აღარ დასჭირდებათ წითელი ჯვრის რწმუნებულებთან ურთიერთობის გაბმა ან ბატონ გუბერნატორების წინაშე წარდგომაი, მაგალ., რაკი აღმოჩნდა, რომ საფაბრიკო-საქარხნო გარემო «ხელსაყრელ ნიადაგს» წარმოადგენს, — ისინი, ვისაც უნდოდა ამ გარემოსთან დაახლოება, ურთიერთობას არ აბამდნენ ფაბრიკების მმართველებთან საფაბრიკო წესების გასაცნობად და არც ბატონ საფაბრიკო ინსპექტორებთან ცხადდებოდნენ მუშების კრების მოწყობის ნებართვის მისაღებად. რა თქმა უნდა, ჩვენ სულაც არ ვივიწყებთ, რომ გლეხებში პოლიტიკური აგიტაცია უდიდეს სიძნელეს წარმოადგენს, მით უფრო, რომ ამისთვის ქალაქებიდან რევოლუციუ-

რი ძალების გაგზავნა შეუძლებელიცაა და არარაციონალურიც, მაგრამ ჩვენ არც ის უნდა გავუშვათ მხედველობიდან, რომ მთავრობის ისეთი გმირობანი, როგორიცაა კერძო ქველმოქმედების შევიწროება, სანახევროდ სპობს ამ სიძნელეებს და ჩვენც სანახევროდ გვათავისუფლებს მუშაობისაგან.

* * *

ჩვენ არ შევჩერდებით ისეთს — განხილულ ცირკულართან შედარებით — «წვრილმანზე», როგორიცაა იმავე მინისტრის ცირკულარი საქველმოქმედო კონცერტების, წარმოდგენებისადმი და სხვ. მეთვალყურეობის გაძლიერების შესახებ. (შეად. «ისკრის» № 9, «ახალი დაბრკოლებანი».)

ახლა შევეცადოთ და ვნახოთ, თუ რა დამოკიდებულებაშია მოსახლეობისათვის ახალი წესების მიხედვით დანიშნული და განაწილებული მთავრობის დახმარება ნამდვილი საჭიროების ოდენობისადმი. მართალია, ამის შესახებ ჩვენ მეტად მცირე ცნობები მოგვეპოვება. პრესა ახლა უკიდურესად ალაგმულია, სასადილოების კერძო მომწყობთა ხმა მიწყდა მათი მოქმედების «აკრძალვასთან» ერთად, — და ახალი ძკაცრი ზომების მიღებით რუსეთის გაოგნებული საზოგადოებისთვის ცნობების მისაწოდებლად დარჩა მხოლოდ ბიუროკრატიულ-პოლიციური შენიშვნები სასურსათო კამპანიის დამაკმაყოფილებელი მსვლელობის შესახებ, იმგვარივე სულით გაჟღენთილი მოკლე სტატიები «მოსკოვსკიე ვედომოსტში» და აგრეთვე ხანდახან გადმოცემული მოცლილი რეპორტიორის საუბარი ამა თუ იმ პომპადურთან, რომელიც მედიდურად გამოთქვამს «აზრებს ქალაქის უფროსთა თანამოაზრეობის, აგრეთვე ქალაქის უფროსთა ერთუფლებიანობის და სხვათა შესახებ» [76]. მაგალ., «ნოვოე ვრემიას» № 9195 გადმოგვცემს, რომ სარატოვის (ყოფილი არხანგელსკის) გუბერნატორს ა. პ. ენგელგარდტს მიუღია ადგილობრივი გაზეთის თანამშრომელი და მისთვის, სხვათა შორის, უთქვამს, რომ მან, გუბერნატორმა, ადგილობრივ პირადად

მოაწყო თავადაზნაურობის წინამძღოლთა, ერობის გამგეობათა წარმომადგენლების, ერობათა უფროსებისა და წითელი ჯვრის წარმომადგენლების თათბირი და «გაუნაწილა საქმეები».

«სურავანდი — უთქვამს ა. პ. ენგელგარდტს, — იმ სახით, როგორც მე ის არხანგელსკის გუბერნიაში მინახავს, აქ არ არის: იქ ავადმყოფს ხუთ ნაბიჯზე ვერ მიუახლოვდები; იქ ეს მართლაც «დამპალი» ავადმყოფობაა, — აქ კი ყველაზე მეტი შედეგებია დიდი სისხლნაკლებობისაგან, რომელიც ოჯახური ცხოვრების საშინელი პირობების გამო ვითარდება. აქ თითქმის ერთადერთი ნიშნეულობა სურავანდით დაავადებისა—ეს არის თეთრი ტუჩები, თეთრი ღრძილები... ასეთი ავადმყოფი, თუ წესიერი კვება აქვს, ერთ კვირაში რჩება. ახლა სწორედ ეს დამატებითი კვება მიმდინარეობს. საერთოდ დღეში 1 000 კერძი იხარჯება, თუმცა აღრიცხულია მხოლოდ 400-მდე უკიდურესად გაჭირვებული.

სურავანდით დაავადებათა გარდა, მთელ რაიონში აღნიშნულია ტიფის მხოლოდ სამი შემთხვევა. ის, იმედი უნდა ვიქონიოთ, აღარ გავრცელდება, რადგან ყველგან დაწყებულია საზოგადოებრივი სამუშაოები და მოსახლეობა საშოვრით უზრუნველყოფილია».

აი თურმე რა კეთილდღეობაა: მთელ ხვალინსკის მაზრაში (რომელზეც ბ-ნი პომპადური ლაპარაკობს) მხოლოდ 400 კაცი ყოფილა უკიდურესად გაჭირვებული (დანარჩენებს, ალბათ, «შეუძლიათ იყოფინონ», ბატონ სიპიაგინისა და ენგელგარდტის აზრით, 24 ფუთი პური წელიწადში ოჯახზე!), და მოსახლეობაც უკვე უზრუნველყოფილია და ავადმყოფებიც თურმე ერთ კვირაში რჩებიან. ამის შემდეგ როგორ არ უნდა დავუჯეროთ «მოსკოვსკიე ვედომოსტის», რომელიც საგანგებო მეთაურში (№ 258) გვარწმუნებს, რომ «მოუსავლობით დაზარალებული 12 გუბერნიიდან მიღებული უკანასკნელი ცნობების მიხედვით, ი ქ გ ა ჩ ა ღ ე ბ უ ლ ი ა ა დ მ ი ნ ი ს ტ რ ა ც ი ი ს მ უ შ ა ო ბ ა დ ა ხ მ ა რ ე ბ ი ს მ ო ს ა წ ყ ო ბ ა დ. მრავალი მაზრა უკვე გამოკვლეულია

სურსათის მხრივ მათი დაზარალებულობის აღიარებისათვის, ინიშნებიან სასურსათო ნაწილის სამაზრო გამგეები და სხვ.. როგორც ჩანს, მთავრობის თანამდებობის პირთა მხრივ რაც კი შესაძლებელია ყველაფერი კეთდება დროიანი და საკმაო დახმარების აღმოსაჩენად».

«მუშაობა გაჩაღებულია», და... «აღრიცხულია მხოლოდ 400-მდე უკიდურესად გაჭირვებული»... ხვალინსკის მაზრაში 165 ათასი სოფლის მოსახლეა, კერძი კი მხოლოდ ათასს ეძლევა. მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონში (სარატოვის გუბერნიის ჩათვლით) წელს ჭვავის მოუსავლობა 34%-ს უდრის. სარატოვის გუბერნიაში გლეხთა მიწების (1½ მილიონი დესეტინა) საერთო ნათესიდან სრულიად მოუსავლიანი იყო 15% (საგუბერნიო ერობის გამგეობის ცნობებით) და ცუდმოსავლიანი — 75%, ხოლო ხვალინსკის მაზრა, კამიშინის მაზრასთან ერთად, სარატოვის გუბერნიის ყველაზე დაზარალებული მაზრების რიცხვს ეკუთვნის. მაშასადამე, ხვალინსკის მაზრის გლეხების პურის საერთო მოუსავლობა შეადგენს არანაკლებ 30 პროცენტს. ვთქვათ, ამ მოუსავლობის ნახევარი შეძლებულ გლეხობაზე მოდის, რომელიც ამით შიმშილობამდე კიდევ არ არის მისული (თუმცა ასეთი ვარაუდი მეტად სარისკოა, ვინაიდან შეძლებული გლეხობა საუკეთესო მიწების პატრონია და უკეთესად ამუშავებს მათ, ასე რომ იგი მოუსავლობით ყოველთვის ღარიბებზე ნაკლებად ზარალობს). ასეთი ვარაუდის დროსაც კი აღმოჩნდება, რომ დამშეულები 15%, ე. ი. 25 ათასამდე უნდა იყვნენ. ჩვენ კი უნდათ იმით გვანუგეშონ, რომ ხვალინსკის სურავანდი არხანგელსკისაზე გაცილებით უფრო სუსტია, ტიფის შემთხვევა ვითომ მხოლოდ სამი იყო (მოხერხებულად მაინც სტყუოდნენ!) და რომ იხარჯება ათასი კერძი (ალბათ, გამოანგარიშებული და გამოზომილი გაზვიადებასთან ბრძოლის... სიპიაგინის სისტემით).

რაც შეეხება იმ «საშოვრებს», რომელთა აღნიშვნას ბ-ნი სიპიაგინი თავის ცირკულარში სამჯერ ცდილობდა გაზვიადებათა თავიდან ასაცილებლად (ერთხელ — როცა ბრძა-

ნებდა დაზარალებულად არ ჩაეთვალათ ის მაზრები, სადაც ჩვეულებრივ განვითარებულია საშოვრები, მეორედ — როცა ბრძანებდა სანახევროდ შეემცირებინათ 48-ფუთიანი ნორმა, ვინაიდან მუშათა მოსახლეობის 50 პროცენტს საშოვარი «ექნებოდა», და მესამედ — როცა ბრძანა შეემცირებინათ ეს უკანასკნელი ციფრიც $^1/_3$ — $^1/_{10}$-ით, ადგილობრივი პირობებისდა მიხედვით), რაც შეეხება საშოვრებს, სარატოვის გუბერნიაში დაეცა არა მარტო სამიწათმოქმედო, არამედ არასამიწათმოქმედო საშოვრებიც. «მოუსავლობის შედეგებმა, — გვამცნობს გამგეობის ზემოთ მოყვანილი მოხსენება, — გავლენა მოახდინა შინამრეწველებზეც მათი ნაწარმოების გასაღების შემცირების მეოხებით. ამ გარემოებათა გამო კ რ ი ზ ი ს ი ე მ ჩ ნ ე ვ ა სწორედ იმ მაზრებს, სადაც ყველაზე უფრო განვითარებული იყო შინამრეწველური სარეწები». ამ მაზრების რიცხვს კი ეკუთვნის ყველაზე მეტად დაზარალებული კამიშინის მაზრაც, სადაც, სხვათა შორის, მრავალი ათასი ღარიბი ცნობილ «სარპინკის» სარეწშია ჩაბმული. ამ სარეწში, რომელიც სოფლის მივარდნილ ადგილასაა გამართული, ჩვეულებრივ წლებშიც უსაზიზღრესი წესები იყო: მაგალითად, მუშაობდნენ 6 — 7 წლის ბავშვები და იღებდნენ 7—8 კაპიკს დღიურად. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ. თუ რა ხდება იქ უდიდესი მოუსავლობისა და განსაკუთრებული საშინამრეწველო კრიზისის დროს.

სარატოვის გუბერნიაში (რასაკვირველია, ისე როგორც ყველა მოუსავლიან გუბერნიაში) პურის მოუსავლობას თან სდევს პირუტყვის საკვების ნაკლებობა. უკანასკნელ თვეებში (ე. ი. უკვე ზაფხულის მეორე ნახევარში!) აღნიშნული იყო სხვადასხვა ეპიზოოტიის არაჩვეულებრივი განვითარება, რამაც მუსრი გაავლო პირუტყვს. «ხვალინსკის მაზრის ვეტერინარი ექიმის გადმოცემით (ეს ცნობა მოგვყავს იმავე გაზეთიდან, რომელშიც მოთავსებული იყო საგუბერნიო ერობის გამგეობის ზემოთ დასახელებული მოხსენების შინაარსი), დახოცილ ცხოველებს გაკვეთის დროს კუჭში მიწის მეტი არაფერი აღმოაჩნდათ».

«შინაგან საქმეთა სამინისტროს ერობის განყოფილების განცხადებაში» სასურსათო კამპანიის გაგრძელების შესახებ, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ დაზარალებულად გამოცხადებული მაზრების რიცხვიდან «მხოლოდ ხვალინსკის მაზრაში ივლისიდან ორი სოფელში გაჩნდა მთელი რიგი ეპიდემიური დაავადებანი სურავანდით, რომლის შეწყვეტისაკენ მიმართულია ადგილობრივი საექიმო პერსონალის ძალღონე, ამასთან ადგილობრივი ძალების დასახმარებლად მივლინებულია წითელი ჯვრის საზოგადოების ორი რაზმი, რომელნიც, გუბერნატორის, — (იმავე ა. პ. ენგელგარდტის, რომელსაც ჩვენ უკვე გავეცანით), — ცნობით, დიდი წარმატებით მოქმედებენ; ყველა დანარჩენ, სურსათის მხრივ დაზარალებულად აღიარებულ მაზრაში, სამინისტროს 12 სექტემბრის ცნობების მიხედვით, მწვავე დაუკმაყოფილებელი სასურსათო საჭიროების შემთხვევები არ ყოფილა და არასაკმაო კვების ნიადაგზე სხვადასხვა ავადმყოფობის განვითარება შემჩნეული არ არის».

იმის საჩვენებლად, თუ რამდენად სანდოა ეს მტკიცება, ვითომ არ ყოფილა დაუკმაყოფილებელი მ წ ვ ა ვ ე საჭიროების შემთხვევები (ქ რ ო ნ ი კ უ ლ ი საჭიროება კი იყო?) და ვითომ ავადმყოფობათა განვითარებაც არ ყოფილა შემჩნეული, ჩვენ დავჯერდებით კიდევ ორი გუბერნიის ცნობების დაპირისპირებას.

უფის გუბერნიაში დაზარალებულად გამოცხადებულია მენზელინსკის და ბელებეის მაზრები, და შინაგან საქმეთა სამინისტროს ერობის განყოფილება იტყობინება, რომ მთავრობის სესხი «საკუთრივ სურსათისთვის», «გუბერნატორის განცხადებით», საჭირო იქნება 800 000 ფუთის რაოდენობით. ამავე დროს უფის საგანგებო საგუბერნიო ერობის კრებამ, რომელიც მოწვეული იყო 27 აგვისტოს მოუსავლობით დაზარალებულთა დახმარების საკითხის განსახილველად, ამ მაზრების სურსათის საჭიროება განსაზღვრა 2,2 მილიონი ფუთი პურით, პლუს ერთი მილიონი დანარჩენი მაზრებისთვის, სათესლე სესხის (3,2 მილიონი ფუთი გუბერნიაზე) და

პირუტყვის საკვების (600 000 ფუთი) ჩაუთვლელად. მაშასადამე, სასურსათო სესხი სამინისტროს განსაზღვრით უდრის იმის ერთ მეოთხედს, რაც ერობამ განსაზღვრა.

მეორე მაგალითი. ვიატკის გუბერნიაში დაზარალებულად აღიარებული მაზრები არ ყოფილა იმ დროისათვის, როცა ერობის განყოფილებამ გამოაქვეყნა თავისი განცხადება, ხოლო სასურსათო სესხის რაოდენობა მანვე 782 000 ფუთით განსაზღვრა. ეს — იგივე ჯამია, რომელიც, გაზეთების გადმოცემით, ჯერ კიდევ ვიატკის საგუბერნიო საკრებულოს სასურსათო ნაწილმა თავის 28 აგვისტოს სხდომაზე გამოიანგარიშა (გამოიანგარიშა 18 — 25 აგვისტოს სამაზრო ყრილობათა დადგენილებების თანახმად). იმავე ყრილობებმა დაახლოებით 12 აგვისტოს სესხის რაოდენობა სხვანაირად განსაზღვრეს, სახელდობრ: 1,1 მილიონი ფუთი სურსათი და 1,4 მილიონი ფუთი სათესლე. საიდან არის ეს განსხვავება? რა მოხდა 12 და 28 აგვისტოს შუა? მოხდა ის, რომ გამოცხადდა ბ-ნ სიპიაგინის 17 აგვისტოს ცირკულარი დამშეულებთან ბრძოლის შესახებ. მაშასადამე, ცირკულარმა უეცარი გავლენა მოახდინა და მცირედი ჯამი — 230 ათასი ფუთი პური ამოშლილ იქნა, — ეს დაიხსომეთ, — სამაზრო ყრილობების მიერ, ე. ი. იმ დაწესებულებათა მიერ შედგენილი ანგარიშიდან, რომელთაც (1900 წლის 12 ივნისის კანონით) არაკეთილსაიმედო ერობა შესცვალეს, დაწესებულებათა, რომელნიც საზოგადოდ მოხელეებისაგან და განსაკუთრებით ერობის უფროსებისაგან შესდგებოდა... ნუთუ მართლაც მოვესწრებით იმ დროს, როცა ერობის უფროსებსაც ბრალად დასდებენ ლიბერალიზმს? ვინ იცის. ყოველ შემთხვევაში, ამას წინათ «მოსკოვსკიე ვედომოსტში» ჩვენ წავიკითხეთ ასეთი რეპრიმანდი ვინმე ბ-ნ ომ-ის მიმართ, რომელმაც გაბედა და «პრიაზოვსკი კრაიში» წინადადება წამოაყენა, რომ გაზეთებში იბეჭდებოდეს ქალაქის საქმეების საგუბერნიო საკრებულოთა სხდომების ოქმები (თუ შეუძლებელია ამ სხდომებზე პრესის წარმომადგენლების დაშვება):

«მიზანი მეტად აშკარაა: რ უ ს ი მ ო ხ ე ლ ე ხ შ ი რ ა დ შ ე პ ყ რ ო ბ ი ლ ი ა შ ი შ ი თ, ვ ა ი თ უ ლ ი ბ ე რ ა ლ ა დ ა რ ჩ ა მ თ ვ ა ლ ო ნ ო, — საჯაროობას კი შეუძლია აიძულოს იგი, ხანდახან სინდისის წინააღმდეგაც, მხარი დაუჭიროს ქალაქის ან ერობის რომელიმე ლიბერალურ-ფანტასტიკურ წამოწყებას. ანგარიში არცთუ სავსებით შემცდარია».

იქნებ საჭიროა საგანგებო მეთვალყურეობის დაწესება ვიატკის ერობის უფროსებზე, რომელთაც, — ცხადია, იმის შიშით, ვაითუ ლიბერალად არ გამოვჩნდიო, — შეუწყნარებელი ფუქსავატობა გამოიჩინეს სასურსათო გაჭირვების «გაზვიადებაში»?*

* აი კიდევ ერთი ნიმუში გაზვიადებასთან ბრძოლისა, რომელსაც ვიატკის გუბერნატორი აწარმოებს:

«ვიატკის გუბერნატორი ვოლოსტების სამმართველოებში დაგზავნილ «განცხადებაში» აღნიშნავს გლეხების ფრიად ფრთხილ დამოკიდებულებას სასურსათო სესხისადმი, რომელსაც მთავრობა და ერობა იძლევა. «გუბერნიის შემოვლისას, — ამბობს ბ-ნი კლინგენბერგი, — მე დავრწმუნდი, რამდენად ფრთხილად და მოფიქრებულად ეკიდებიან გლეხები ახლანდელ მდგომარეობას, მათ ეშინიათ დაიდონ ვალები, თუ ეს უკიდურესი საჭიროებით არ არის გამოწვეული, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მოთმინებით ელოდონ ღვთის მოწყალებას მომავალი წლისთვის და ცდილობენ თავისი ძალღონით დაადწიონ თავი გაჭირვებულ მდგომარეობას». ვიატკის გუბერნიის უფროსს ეს აძლევს რწმენას, რომ «ვერავითარი ხმები მთავრობის და ერობის მხრივ მუქთი დახმარების, ვალების და ნარჩენების ჩამოწერის შესაძლებლობის და აგრეთვე მოუსავლობის გაზვიადებული ოდენობის შესახებ ვერ შეაშფოთებს ვიატკის გუბერნიის მშვიდსა და კეთილგონიერ მოსახლეობას». გუბერნატორი საჭიროდ თვლის გააფრთხილოს გლეხი მოსახლეობა, «თუ განაჩენთა შემოწმების დროს აღმოჩნდება, რომ მეურნეს თუმცა არავითარი მარაგი არ გაჩნია, მაგრამ წელს საკმაო პური მოიწია ოჯახის გამოსაკვებად და ყანების დასათესად, ხოლო ეს პური გაყიდა და აღებული ფული სხვა საჭიროებას მოახმარა, რომ მას სესხის მიღების იმედი აღარ უნდა ჰქონდეს. ახალი კანონით, გაცემული სესხის გადახდევინება მოხდება ურთიერთთავდებობის პასუხისმგებლობის დაუკისრებლად, იმავე წესების მიხედვით, როგორც შეწერილ გამოსაღებთა გადახდევინება ხდება. ამიტომ მეურნეს, რომელმაც ითხოვა და მიიღო სესხი, უნდა ახსოვდეს, რომ პირადად მარტო იგია ვალდებული დააბრუნოს სესხი, რომ მას ამაში არავინ არ დაეხმარება და გადახდევინება იწარმოებს სასტიკად, — ასე რომ თუ

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ვიატკის ერობის «ლიბერალურ-ფანტასტიკური წამოწყება» (რუსეთის ბრძენ მთავრობას რომ არ ჩამოეშორებინა ის სასურსათო საქმის გაძღოლისაგან) კიდევ უფრო შორს მიდიოდა სასურსათო საჭიროების განსაზღვრაში. ყოველ შემთხვევაში, საგანგებო საგუბერნიო კრებამ, რომელიც მიმდინარეობდა 30 აგვისტოდან 2 სექტემბრამდე, პურის დანაკლისი საჭირო რაოდენობამდე განსაზღვრა 17 პროცენტით, ხოლო საკვების — 15 პროცენტით. ამ რაოდენობის სიდიდე კი — 105 მილიონი ფუთით (ჩვეულებრივი მოსავალი — 134 მილიონი ფუთია, წელს კი — 84 მილიონი ფუთი). მაშასადამე, დანაკლისი შეადგენს 21 მილიონ ფუთს. «გუბერნიაში წრევანდელი მოსავლით არაუზრუნველყოფილი ვოლოსტების საერთო რიცხვია — 158 310-დან. მათი მოსახლეობა შეადგენს ორივე სქესის 1 566 ათას სულს». დიახ, უეჭველად «გაჩაღებულია ადმინისტრაციის მუშაობა» — საჭიროების ნამდვილი რაოდენობის შესამცირებლად და დამშეულთა დახმარების მთელი საქმის — კაპიტალისტი ქველმოქმედების უცნაურ ჯამბაზობამდე ჩამოსაქვეითებლად.

თუმცა. «ქველმოქმედების ჯამბაზები» კიდევ დიდად საქები სახელწოდება იქნებოდა სიპიაგინის ცირკულარის დროშის ქვეშ შემჭიდროებული ადმინისტრატორებისათვის. მათ ქველმოქმედების ჯამბაზებთან აერთებს მათი დახმარების უბადრუკობა და ამ დახმარების გაზვიადების სურვილი. მაგრამ ქველმოქმედების ჯამბაზები მათ მიერ გაბედნიერებულ ადამიანებს უყურებენ, უარეს შემთხვევაში, როგორც მათი თავმოყვარეობის სასიამოვნოდ გამაღიზიანებელ სათამაშოს, ხოლო სიპიაგინის ადმინისტრაცია მათ უყურებს როგორც

ვინიცობაა ნარჩენები დაგროვდა, მთელი მოძრავი ქონება შეიძლება გაიყიდოს, ხოლო უძრავი ჩამოერთვას»».

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, გუბერნატორის ასეთი განცხადების შემდეგ, როგორ ექცევიან ვოლოსტის მესვეურნი სესხის მთხოვნელ დამშეულებს, რომელთაც ნარჩენები არ გადაუხდიათ!

მტრებს, როგორც ისეთ ადამიანებს, რომელთაც თითქოს რაღაც უკანონობის ჩადენა განუზრახავთ («ყოვლად გაუმართლებელი მოთხოვნა მთავრობის მიმართ») და რომელნიც ამიტომ ალაგმვის ღირსნი არიან. ეს შეხედულება მკაფიოდ გამოიხატა 1901 წლის 15 სექტემბერს უმაღლესად დამტკიცებულ შესანიშნავ «დროებითს წესებში».

ეს მთელი კანონია, 20 მუხლისაგან შემდგარი, — და საყურადღებო შიგ იმდენი რამეა, რომ ჩვენ უყოყმანოდ მოვაქცევდით მას XX საუკუნის დამდეგის უმნიშვნელოვანეს საკანონმდებლო აქტების რიცხვში. მარტო სათაური რად ღირს: «დროებითი წესები მოუსავლობით დაზარალებულ ადგილთა მოსახლეობის მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ი ს შესახებ იმ სამუშაოებში, რომელნიც გზათა და მიწათმოქმედების და სახელმწიფო ქონებათა უწყებების განკარგულებით სრულდება». ალბათ, ეს სამუშაოები იმდენ შეღავათს შეიცავენ, რომ მათში «მონაწილეობა» რაღაც განსაკუთრებული წყალობაა? თუ არა, ალბათ, არც ახალი კანონის პირველი მუხლი გაიმეორებდა: «მოუსავლობით დაზარალებული ადგილების სოფლის მცხოვრებთ ეძლევათ სამუშაოთა წარმოებაში მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ი ს მ ი ღ ე ბ ი ს უ ფ ლ ე ბ ა» და სხვ.?

მაგრამ ამ «შეღავათებზე» კანონი უკვე თავის მეორე ნახევარში ლაპარაკობს, თავდაპირველად კი დადგენილია მთელი საქმის ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა. სათანადო სამმართველოები «წინასწარ ნიშნავენ ყველაზე უფრო შესაფერის სამუშაოებს» (მუხ. 2), ამასთან «ეფარდებიან კანონით დაწესებულ წესებს» (მუხ. 3, რომელსაც, დიკენსის ზოგიერთი რომანის თავების სახელწოდების მიხედვით, შეიძლება ეწოდოს: «ახალი კანონის ის მუხლი, სადაც ლაპარაკია ძველ კანონებთან შეფარდების აუცილებლობაზე»). სამუშაოები იწყება ან სახარჯთაღრიცხვო სახსრებით, ან საგანგებოდ გახსნილი კრედიტებით, ამასთან სამუშაოთა მოწყობის საერთო გამგებლობა ეკუთვნის შინაგან საქმეთა მინისტრს, რომელსაც შეუძლია დანიშნოს საგანგებო რწმუნებულნი და რომელთანაც, მისი ამხანაგის თავმჯდომარეობით, სხვადასხვა სამინისტროს

წარმომადგენელთაგან არსდება საგანგებო «სასურსათო საქმის თათბირი». ამ თათბირის ვალდებულებაა: ა) შემოღებული წესიდან გადახვევათა ნებართვა, ბ) სახსრების დანიშნულებათა ვარაუდების განხილვა, გ) «მუშების გასამრჯელოს ზღვრული ოდენობის დაწესება, აგრეთვე სხვა პირობების განსაზღვრა აღნიშნულ სამუშაოებში მოსახლეობის მონაწილეობის მიღების შესახებ და სხვ., დ) მუშების განაწილება სამუშაოების რაიონების მიხედვით და ე) სამუშაოთა წარმოების ადგილებში ამ მუშების გადანაცვლების გამგებლობა». თათბირის დასკვნებს ამტკიცებს შინაგან საქმეთა მინისტრი, აგრეთვე, «სათანადო შემთხვევებში», სხვა უწყებათა მინისტრებიც. შემდეგ, სამუშაოების მითითება და მოსახლეობის იმ რაოდენობის გამორკვევა, რომელიც მათში მონაწილეობას საჭიროებს, ეკისრებათ ერობის უფროსებს, რომელნიც ყველა ამ ცნობას გუბერნატორებს ატყობინებენ, გუბერნატორები კი თავიანთი დასკვნითურთ შინაგან საქმეთა სამინისტროში გზავნიან «და, უკანასკნელის მითითებით, ერობის უფროსების საშუალებით განაგებენ სამუშაოების წარმოების ადგილებში მუშების გაგზავნის საქმეს»...

უჰ! როგორც იქნა დავძლიეთ ახალი საქმის მთელი «ორგანიზაცია»! ახლა იბადება კითხვა, რამდენი საცხი იქნება საჭირო ამ ვეებერთელა წმინდა რუსული ადმინისტრაციული მანქანის ყველა ბორბლის ასამოძრავებლად? სცადეთ მხოლოდ წარმოიდგინოთ მთელი ეს საქმე კონკრეტულად: უშუალოდ დამშეულების ახლოს იმყოფება მარტო ერობის უფროსი. მაშასადამე, მას ეკუთვნის ინიციატივა. ის ქაღალდს სწერს — ვის? გუბერნატორს, — ამბობს 15 სექტემბრის ღროებითი წესების მუხლი. მაგრამ 17 აგვისტოს ცირკულარის საფუძველზე უკვე შექმნილია საგანგებო «სამაზრო ცენტრალური სასურსათო სამმართველო», რომლის დანიშნულებაა «მაზრის მ თ ე ლ ი სასურსათო საქმის გამგებლობის ერთი თანამდებობის პირის ხელში მოქცევა» (17 აგვისტოს ცირკულარით — ასეთ პირად უმჯობესია დაინიშნოს მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი). იწყება «დავა»,

რაც, რა თქმა უნდა, მალე წყდება «საერთო საგუბერნიო დაწესებულების» 175-ე მუხლის ექვს პუნქტში გამოთქმულ მეტად ნათელ და მარტივ «დებულებათა» მიხედვით,—იმ მუხლისა, რომელიც საზღვრავს «სახელმწიფო დაწესებულებებსა და თანამდებობის პირთა შორის... დავის გადაწყვეტის წესს». ბოლოს და ბოლოს ქალალდი მაინც გუბერნატორის კანცელარიაში მიდის, სადაც იწყებენ «დასკვნის» შედგენას. შემდეგ ყველაფერი ეს იგზავნება პეტერბურგში საგანგებო თათბირის განსახილველად. მაგრამ თათბირის მონაწილე გზათა სამინისტროს წარმომადგენელს არ შეუძლია გადასწყვიტოს ისეთი სამუშაოს მიზანშეწონილობის საკითხი, როგორიცაა ბუგურუსლანის მაზრის გზების შეკეთება, — და აი ახალი ქალალდი იწყებს მოგზაურობას პეტერბურგსა და პროვინციას შუა. და როდესაც ბოლოს და ბოლოს სამუშაოს მიზანშეწონილობის საკითხი და სხვ. და სხვ. პრინციპულად გადაწყდება, მაშინ პეტერბურგის თათბირი შეუდგება «მუშების ჯგუფების განაწილებას» ბუზულუკის და ბუგურუსლანის მაზრებს შორის.

მერე რისთვისაა შექმნილი საქმის ასეთი უზარმაზარი გაჭიანურება? საქმის სიახლის გამო? სრულიადაც არა. 15 სექტემბრის დროებითი წესების გამოქვეყნებამდე საზოგადოებრივი სამუშაოების მოწყობა გაცილებით უფრო ადვილად შეიძლებოდა «მოქმედ კანონდებულებათა მიხედვით», და იგივე 17 აგვისტოს ცირკულარი, როცა ერობების, შრომისმოყვარეობის სახლთა სამზრუნველოების და საგუბერნიო ხელისუფალთა მიერ მოწყობილ საზოგადოებრივ სამუშაოებზე ლაპარაკობს, არავითარი განსაკუთრებული ორგანიზაციის საჭიროებას არ გულისხმობს. როგორც ხედავთ, მთავრობის «სასურსათო კამპანია» ის არის, რომ პეტერბურგის დეპარტამენტები მთელი თვე (17 აგვისტოდან 15 სექტემბრამდე) იგონებდნენ და გამოიგონეს კიდეც საქმის დაუსრულებელი გაჭიანურება. სამაგიეროდ პეტერბურგის თათბირი უეჭველად აღარ ჩავარდება გაზვიადების იმ საფრთხეში, რომლისაგანაც არ არიან დაცული ადგილობრივი მოხელენი, რო-

მელთაც «ეშინიათ, ვაითუ ლიბერალად არ გამოვიყურებითო»...

მაგრამ ახალი «დროებითი წესების» დედააზრია — კანონდებულებანი სამუშაოებზე დასაქირავებელ «სოფლის მცხოვრებთა» შესახებ. როდესაც სამუშაოები წარმოებს «მათი ბინადრობის რაიონებს გარეთ», მუშები, ჯერ-ერთი, ადგენენ განსაკუთრებულ არტელებს «ერობის უფროსის ზედამხედველობით», რომელიც ამტკიცებს არტელის მამასახლისს წესრიგის სამეთვალყურეოდ; მეორეც, ასეთ არტელში შესული მუშებისთვის დგება განსაკუთრებული სია, რომელიც «ძასში შეტანილ მუშებს — გადასვლ-გადმოსვლის და სამუშაოებში მონაწილეობის დროს — კანონით შემოღებული ბინადრობის მოწმობის მაგიერობას უწევს და რომელსაც ადგილზე მისვლამდე ინახავს მუშების გამყოლი მოხელე ან, თუ უკანასკნელი არ არის, არტელის მამასახლისი, შემდეგ კი — სამუშაოების წარმოების გამგე».

რათ დასჭირდათ განსაკუთრებული სიის შემოღება ჩვეულებრივი პასპორტების ნაცვლად, რომლის მიღება უფასოდ სხვაგან წასვლის ყოველ მსურველ გლეხს შეუძლია? მუშისთვის ეს აშკარა შევიწროებაა, იმიტომ რომ, როცა ის თავისი საკუთარი პასპორტით ცხოვრობს, გაცილებით უფრო თავისუფალია ბინის არჩევაშიც, თავისი დროის განაწილებაშიც და ერთი სამუშაოს მაგიერ მეორე, უფრო ხელსაყრელი ან მოხერხებული სამუშაოს მონახვაში. ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, რომ ეს უსათუოდ განზრახაა ჩადენილი და არა მარტო ფორმალობის სიყვარულით, არამედ სწორედ იმიტომ, რომ მუშები შეავიწროონ და გაუთანაბრონ ყმების ჯგუფებს, რომლებიც «აღწერით», ერთგვარი «სამუხლედო სიის» მიხედვით გადაჰყავდათ. ირკვევა, მაგ., რომ ზრუნვა «გზაში სათანადო წესის დაცვაზე და ჩაყვანილი მუშების სამუშაოთა გამგეებისთვის ჩაბარება (sic!) ეკისრება შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საგანგებოდ მივლინებულ მოხელეებს». რაც უფრო წინ მივდივართ, მით უარესია. პასპორტების სიებით შეცვლას მოსდევს გადასვლა-გადმოსვლის თავისუფლე-

ბის შეცვლა — «ჯგუფების მიყვანით და გადაცემით». რა არის ეს, გადასახლებულ კატორღელთა ჯგუფებზე ხომ არ არის ლაპარაკი? ხომ არ გაუქმებულა (შეიძლება, სასჯელად შიმშილის «გაზვიადებისათვის»?) უკვე ყველა კანონი იმის შესახებ, რომ გლეხს თავისი პასპორტით შეუძლია წავიდეს სადაც უნდა და როგორც უნდა? ნუთუ გადაყვანის ხარჯების გაღება ხაზინის მიერ საკმარისი საბუთია მოქალაქობრივ უფლებათა ჩამორთმევისათვის?

შემდეგ. ირკვევა, რომ მუშების განაწილების, ხელფასის დარიგების საქმის გამგეები და სამუშაოს მწარმოებელი უწყების სხვა თანამდებობის პირნი, «იმ ადგილების საგუბერნიო ხელისუფალთა ცნობით, სადაც მუშების ოჯახები დარჩენენ, შეძლებისდაგვარად, უკავებენ მუშებს ხელფასის ნაწილს და კუთვნილებისამებრ გზავნიან მას ამ ოჯახების დასახმარებლად». კიდევ უფლებათა ჩამორთმევა. როგორ ბედავენ მოხელეები მონაგარი ფულის დაკავებას? როგორ ბედავენ ჩაერიონ მუშების ოჯახურ საქმეებში და მათ მაგიერ, თითქოს ყმებთან ჰქონდეთ საქმე, გადაწყვიტონ ვისთვის და რა დახმარების გაწევა სურთ? მერე ნებას მისცემენ მუშები, ძათ დაუდასტურებლად დაუკავონ შრომით მონაგარი ფული? ეს კითხვა, ალბათ, დაებადათ თავში ახალი «კატორღული წესების» შემდგენელთაც, იმიტომ რომ კანონის მუხლი, რომელიც უშუალოდ მისდევს ზემოთ მოყვანილს, ამბობს: «სამუშაოთა წარმოების ადგილებში მუშების მიერ სათანადო წესრიგის დაცვის მეთვალყურეობა, შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით, ეკისრებათ ადგილობრივ ერობის უფროსებს, ჟანდარმთა ცალკე კორპუსის ოფიცრებს, პოლიციის მოხელეებს ან ამისთვის საგანგებოდ დანიშნულ პირთ». ჭეშმარიტად, ლაპარაკია გლეხების დასჯაზე უფლებათა აყრით შიმშილის «გაზვიადებისა» და «ყოვლად გაუმართლებელი მომთხოვნელობისთვის მთავრობის მიმართ»! ის კიდევ არაფერი, რომ საზოგადოდ ყველა რუს მუშას თვალყურს ადევნებს საერთო, საფაბრიკო და სამძებრო პოლიცია, აქ კიდევ ნაბრძანებია განსაკუთრებული მეთვალყურეობის

დაწესება. შეიძლება კაცმა იფიქროს, მთავრობას სულ თავგზა დაებნა შიშის გამო ათასნაირი სიფრთხილით გაგზავნილ, მიყვანილ და გადაცემულ დამშეულ გლეხთა ჯგუფების წინაშე!

შემდეგ. «საზოგადოებრივი მყუდროებისა და მშვიდობის დარღვევის, სამუშაოსადმი აშკარად არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულებისა თუ სამუშაოთა წარმოების გამგეების ან წესრიგის მეთვალყურე პირთა კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევებში დამნაშავე მუშები შეიძლება, განსაკუთრებული სამართალწარმოების გარეშე, მე-16 მუხლში (ჩვენ მიერ ეს-არის ახლა მოყვანილ მუხლში) მოხსენებულ მოხელეთა განკარგულებით, დაპატიმრებულ იქნან სამ დღემდე; მუშაობის განზრახ თავის არიდებისათვის ისინი, იმავე მოხელეთა განკარგულებით, შეიძლება ეტაპით იქნან გაგზავნილი მათ მუდმივ საცხოვრებელ ადგილას».

ამის შემდეგ განა შეიძლება 15 სექტემბრის დროებით წესებს დროებითი კატორღული წესები არ ვუწოდოთ? დასჯა გაუსამართლებლად, — გადასახლება ეტაპით... დიდია, ძალიან დიდია რუსი გლეხის სიბნელე და დაბეჩავება, მაგრამ ყველაფერს ხომ საზღვარი აქვს. მერე არც განუწყვეტელ შიმშილობას და ქალაქებიდან მუშების განუწყვეტელ გადასახლებას ჩაუვლია უკვალოდ. და ჩვენი მთავრობა, რომელსაც ასე გაუტკბა მართვა-გამგეობა «დროებითი წესების» საშუალებით *, ბოლოს და ბოლოს მოიმკის იმას, რასაც სთესს.

დაე 15 სექტემბრის «დროებითი წესები» საბაბი გახდეს ჩვენთვის უაღრესად ფართო აგიტაციის საწარმოებლად მუ-

---

* დიდი ხანია თქმულია, რომ საალყო წესების საშუალებით ყოველი სულელიც კი მოახერხებს მართვა-გამგეობასო. ეს ევროპაშია საჭირო: საალყო წესები, ჩვენში კი საალყო წესი ჩვეულებრივი მდგომარეობაა, რომელსაც ხან აქ, ხან იქ დროებითი წესებით ავსებენ. რუსეთში ხომ ყველა პოლიტიკური საქმე დროებითი წესების მიხედვით წარმოებს!

შათა წრეებში და გლეხობაში; მ ო დ ი თ გ ა ვ ა ვ რ ც ე-ლ ო თ თვით ამ წესების ტექსტი და მათი განმარტების ფურცლები, მოვაწყოთ კრებები, ამ კანონის წაკითხვა და მისი შინაარსის განმარტება მთავრობის მთელ «სასურსათო» პოლიტიკასთან დაკავშირებით. მივაღწიოთ იმას, რომ თვითეულ ცოტად თუ ბევრად შეგნებულ მუშას, თუ რაიმე მიზეზით სოფლად მოუხდება ყოფნა, სწორი წარმოდგენა ჰქონდეს «დროებითს კატორღულ წესებზე» და შეეძლოს კიდეც აუხსნას ყველას და თვითეულს, თუ რაშია საქმე და რა არის საჭირო შიმშილის, თვითნებობისა და უუფლებობის კატორღისაგან თავის დასაღწევად.

დაე იმ გულკეთილ რუს ინტელიგენტებს, რომელნიც არტელებს და მთავრობის მიერ შეწყნარებულ თუ წახალისებულ მათდაგვარ ლეგალურ საზოგადოებებს ელოლიავებიან, მუდმივ საყვედურად და სერიოზულ გაფრთხილებად გადაექცეს ეს დროებითი წესები მ უ შ ა თ ა ა რ ტ ე ლ ე ბ ი ს შესახებ: საყვედურად იმ გულუბრყვილობისთვის, რომლითაც მათ სწამდათ მთავრობის შეწყნარების თუ წახალისების გულწრფელობა, ხოლო უსაძაგლეს ბატონყმურ შინაარსს «სახალხო შრომის განვითარების» ნიღაბს ქვეშ ვერ ხედავდნენ და სხვ.; გაფრთხილებად, — რათა მათ ამიერიდან არტელებსა და ბატონ სიპიაგინების მიერ სხვა შეწყნარებულ საზოგადოებებზე ლაპარაკის დროს არასოდეს არ დაივიწყონ და თქვან, მთელი სიმართლე თქვან, მუშათა არტელების შესახებ 15 სექტემბრის დროებითი წესების მიხედვით, ანდა, თუ არ შეუძლიათ ილაპარაკონ ა ს ე თ ს არტელებზე, უკეთესია სულ არ ამოიღონ ხმა.

II. კრიზისისა და შიმშილისადმი დამოკიდებულება

ახალ შიმშილობასთან ერთად ისევ გრძელდება ძველი, უკვე გახანგრძლივებული, ვაჭრობა-მრეწველობის კრიზისი, რომელმაც ქუჩაში გამოყარა ათიათასობით მუშა, რომლებიც სამუშაოს ვერ შოულობენ. მათი გაჭირვება ძალიან დიდია, — და მით უფრო თვალში გეცემა მთავრობისა და განათლებული

«საზოგადოების» სრულიად სხვადასხვა დამოკიდებულება ამ გაჭირვებისა და გლეხების გაჭირვებისადმი. არც საზოგადოებრივი დაწესებულებანი და არც პრესა სრულიად არ ცდილან გამოერკვიათ გაჭირვებული მუშების რაოდენობა და მათი გაჭირვების დონე, თუნდაც დაახლოებით, იმგვარად, როგორც ირკვევენ გლეხების გაჭირვებას. არავითარი სისტემატური ღონისძიებანი არ ყოფილა მიღებული დამშეული მუშებისთვის დახმარების გასაწევად.

რით არის გამოწვეული ეს განსხვავება? ჩვენი ფიქრით: ყველაზე ნაკლებ იმით, რომ მუშების გაჭირვება ვითომ ნაკლებად ჩანს და უფრო ნაკლებ მკვეთრ ფორმებში მჟღავნდება. მართალია, ქალაქის მცხოვრებლებმა, რომელნიც მუშათა კლასს არ ეკუთვნიან, ნაკლებად იციან, როგორ იტანჯებიან ახლა ფაბრიკის მუშები, კიდევ უფრო შევიწროებულნი სარდაფებში, სხვენებსა და ქოხმახებში, ჩვეულებრივზე უფრო რომ შიმშილობენ და მევახშეებს უყრიან ხელში საოჯახო ხარახურის უკანასკნელ ნარჩენებს; მართალია, მაწანწალებისა და მათხოვრების, ღამის თავშესაფართა მუდმივი სტუმრების, საპყრობილეებისა და საავადმყოფოების მკვიდრთა რიცხვის ზრდა განსაკუთრებულ ყურადღებას არ იპყრობს, რადგან «ყველანი» ისე შეჩვეული არიან იმას, რომ დიდ ქალაქში ღამის თავშესაფრები და გამოუვალი სიღატაკის ყოველგვარი ბუნაგი გაჭედილი უნდა იყოს; მართალია, უმუშევარი მუშები გლეხებივით არ არიან მიჯაჭვული ერთ ადგილას და ისინი ან თვითონ მიდიან სახელმწიფოს სხვადასხვა კუთხეში სამუშაოს საძებნელად, ან «სამშობლოში» იგზავნებიან ადმინისტრაციის მიერ, რომელსაც აშინებს უმუშევრების ერთ ადგილზე თავმოყრა. მაგრამ, ყოველივე ამის მიუხედავად, ყველა, ვინც ოდნავ დაახლოებულია სამრეწველო ცხოვრებას და საზოგადოებრივ ცხოვრებასაც თვალყურს ადევნებს, თვალნათლივ ხედავს და გაზეთებიდან იგებს, რომ უმუშევრობა სულ იზრდება და იზრდება.

არა, აღნიშნულ განსხვავებას უფრო ღრმა მიზეზები აქვს; ეს მიზეზები უნდა ვეძიოთ იმაში, რომ სოფლის შიმშილობა

და ქალაქის უმუშევრობა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების სრულიად სხვადასხვა წყობას ეკუთვნიან, ექსპლოატატორთა კლასისა და ექსპლოატირებულთა კლასის სრულიად სხვადასხვა ურთიერთდამოკიდებულებით არიან გაპირობებული. სოფლად ამ ორი კლასის ურთიერთობა საზოგადოდ მეტად დახლართული და გართულებულია მრავალი გარდამავალი ფორმით, როდესაც სამიწათმოქმედო მეურნეობა ხან მევახშეობას უერთდება, ხან დაქირავებით მუშაობას და სხვ. და სხვ. ამასთან შიმშილობენ არა სასოფლო-სამეურნეო დაქირავებული მუშები, რომელთა ინტერესების წინააღმდეგობა მემამულეებისა და შეძლებული გლეხების ინტერესებისადმი აშკარაა ყველასათვის და მეტნაწილად თვით მუშებისთვისაც, — არამედ შიმშილობენ წვრილი გლეხები, რომელთაც თვლიან (და რომელნიც თავიანთ თავს თვლიან) დამოუკიდებელ მეურნეებად და რომელნიც მხოლოდ შემთხვევით ხანდახან ვარდებიან ამა თუ იმ «დროებით» დამოკიდებულებაში. შიმშილობის უახლოესი მიზეზი — მოუსავლობა — მასის თვალში წმინდა სტიქიური უბედურებაა, ღვთის წყრომაა. ხოლო ვინაიდან ეს მოუსავლობა შიმშილობასთან ერთად უხსოვარი დროიდან მომდინარეობს, ამიტომ კანონმდებლობაც დიდი ხანია იძულებულია ანგარიში გაუწიოს მას. უკვე დიდი ხანია არსებობს (უმთავრესად ქაღალდზე) ხალხის სურსათით მომარაგების მთელი წესდებანი, რომელნიც შეიცავენ «ღონისძიებათა» მთელ სისტემას. მართალია, ეს ღონისძიებანი, რომელნიც მეტწილად ბატონყმობისა და პატრიარქალური ნატურალური მეურნეობის ბატონობის დროიდან არის გადმოღებული, აღარ შეეფერება თანამედროვე ხანის საჭიროებას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყოველ შიმშილობას მოძრაობაში მოყავს მთელი ადმინისტრაციული და ერობის მექანიზმი. ამ მექანიზმისთვის კი,—ძალიანაც რომ სურდეთ ხელისუფალთ,— ძნელია, თითქმის შეუძლებელია შეელიოს ამ საძულველ «მესამე პირთაგან», ინტელიგენტთაგან, ყოველმხრივ დახმარებას, იმ ინტელიგენტთაგან, რომელნიც ცდილობენ «ხმაურობის» ატეხას. მეორე მხრივ, შიმშილობის კავშირი მოუსავ-

ლობასთან და გლეხის სიბეჩავე, — გლეხისა, რომელსაც არ ესმის (ან მეტად ბუნდოვანად ესმის), რომ მხოლოდ კაპიტალის გაძლიერებულმა ჩაგვრამ და მთავრობის და მემამულეების მძარცველურმა პოლიტიკამ მიიყვანა იგი ასეთ გაღატაკებამდე, — იწვევს იმას, რომ დამშეულები სრულიად უმწეოდ გრძნობენ თავს და არათუ გადაჭარბებულს, არამედ სრულიად არავითარ «მოთხოვნას» არ უდგენენ არავის.

ხოლო რაც უფრო დაბალია დაჩაგრულ კლასში თავისი დაჩაგრულობისა და მჩაგვრელთა მიმართ მომთხოვნელობის შეგნების დონე, მით უფრო ბლომად ჩნდებიან შეძლებულ კლასებში ქველმოქმედების მსურველი პირნი, შედარებით მით უფრო ნაკლებ წინააღმდეგობას უწევენ ამ ქველმოქმედებას გლეხის სიღატაკით უშუალოდ დაინტერესებული ადგილობრივი მემამულენი. თუ ამ უეჭველ ფაქტს მივიღებთ მხედველობაში, ცხადი გახდება, რომ მემამულეთა წინააღმდეგობის გაძლიერება, გამუდმებული ყვირილი გლეხის «დემორალიზაციის» შესახებ და, ბოლოს, ამგვარი სულისკვეთებით «გამსჭვალული» მთავრობის მიერ წმინდა სამხედრო ზომების მიღება დამშეულთა და ქველმოქმედთა წინააღმდეგ, — ყოველივე ეს აშკარად მოწმობს იმ ძველთაძველი, პატრიარქალური, საუკუნეობით განმტკიცებული და ვითომ სრულიად ურყევი სოფლური ყოფა-ცხოვრების სრულ დაცემას და დაშლას, რომელსაც აღტაცებაში მოჰყავდა ყველაზე თავგამოდებული სლავოფილები, ყველაზე შეგნებული რეაქციონერები და ძველი მამაპაპური ყაიდის ყველაზე გულუბრყვილო «ნაროდნიკები». ჩვენ, სოციალ-დემოკრატებს, ნაროდნიკები ყოველთვის გვაბრალებდნენ იმას, თითქოს ხელოვნურად გადაგვაქვს კლასობრივი ბრძოლის ცნება იქ, სადაც იგი სრულიად მიუყენებელია; — რეაქციონერები კი — იმას, რომ ჩვენ ვაღვივებთ კლასობრივ სიძულვილს და ერთმანეთს ვუსევთ «მოსახლეობის სხვადასხვა ნაწილს». აქ აღარ გავიმეორებთ ამ ბრალდებებზე ათასჯერ გაცემულ პასუხს, შევნიშნავთ მხოლოდ, რომ რუსეთის მთავრობა ყ ვ ე ლ ა ჩ ვ ე ნ გ ა ნ ზ ე შ ო რ ს მ ი დ ი ს კლასობრივი ბრძოლის

სიღრმის შეფასებაში და ამ შეფასებიდან გამომდინარე ღონისძიებათა მიღებაში. ყველამ, ვინც ასე თუ ისე იცნობს შიმშილობის წლებში გლეხების «გამოსაკვებად» წასულ ხალხს, — ხოლო რომელი ჩვენგანი არ იცნობს მას? — იცის, რომ ამ საქმეში მას ამოქმედებდა ადამიანური გულშემატკივრობისა და შებრალების უბრალო გრძნობა, მისთვის სრულიად უცხო იყო რაიმე «პოლიტიკური» ხასიათის გეგმა, კლასობრივი ბრძოლის იდეის პროპაგანდა ამ ხალხს სრულებით არ აინტერესებდა, მარქსისტების საბუთები სოფლის შესახებ ნაროდნიკულ შეხედულებებთან ცხარე ბრძოლაში ამ ხალხს ვერ არწმუნებდა. რა შუაშია აქ კლასობრივი ბრძოლა? ამბობდნენ ისინი. აქ მარტო ისაა, რომ გლეხები შიმშილობენ და უნდა დავეხმაროთო.

მაგრამ ვინც მარქსისტების საბუთებმა ვერ დაარწმუნა, ის, შეიძლება, ბ-ნ შინაგან საქმეთა მინისტრის «საბუთებმა» დაარწმუნოს. არა, აქ «მარტო ის როდია, რომ შიმშილობენ», — ეუბნება იგი ქველმოქმედთ, — და მთავრობის ნებადაურთველად ეს «მარტო» დახმარება არ შეიძლება, ვინაიდან ეს ავითარებს დემორალიზაციას და ყოვლად გაუმართლებელ მომთხოვნელობასო. სასურსათო კამპანიაში ჩარევა ნიშნავს იმ ღვთიურ და პოლიციურ წინასწარდასახულობაში ჩარევას, რომლის წყალობით ბატონი მემამულეები უზრუნველყოფილი არიან თითქმის მუქთი მუშახელით, ხოლო ხაზინაში შედის იძულებით აკრეფილი გადასახადები. და ვინც ყურადღებით ჩაუფიქრდება სიპიაგინის ცირკულარს, ის უსათუოდ იტყვის: დიახ, ჩვენს სოფელში სოციალური ომი წარმოებს, და, როგორც ყოველი ომის დროს, მეომარ მხარეებს უფლება აქვთ დაათვალიერონ იმ გემთა ტვირთი, რომელნიც მტრის ნავსადგურებში მიდიან თუნდაც ნეიტრალური ბაირაღით! სხვა ომებისაგან განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ აქ ერთი მხარე, რომელიც ვალდებულია მუდამ იშრომოს და მუდამ იშიმშილოს, სრულიადაც არ იბრძვის, მას უბრძოლველად ამარცხებენ... ჯერჯერობით.

საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის დარგში ამ ომის არსებობა უკვე დიდი ხანია აღარავითარ ეჭვს არ იწვევს, და «ნეიტრალურ» ქველმოქმედს არ ესაჭიროება იმის ცირკულარული განმარტება, რომ ფონის უკითხავად (ე. ი. ხელისუფალთა და ბატონ მეფაბრიკეთა უნებართვოდ) წყალში არ უნდა შეხვიდე. ჯერ კიდევ 1885 წელს, როდესაც მუშათა შორის რამდენადმე მაინც შესამჩნევ სოციალისტურ აგიტაციაზე ლაპარაკიც შეუძლებელი იყო, ცენტრალურ რაიონშიც კი, სადაც მუშები უფრო ახლოს დგანან გლეხობასთან, ვიდრე დედაქალაქში, სამრეწველო კრიზისმა იმდენად მძლავრად დატვირთა საფაბრიკო ატმოსფერო ელექტრობით, რომ აფეთქება შეუწყვეტლივ ხდებოდა ხან აქ, ხან იქ. საქმის ასეთ ვითარებაში ქველმოქმედება თავიდანვე უძლურია, ამიტომ იგი შემთხვევითი და ამა თუ იმ პირის წმინდა ინდივიდუალურ საქმედ რჩება და ვერავითარ საზოგადოებრივ მნიშვნელობას ვერ იღებს.

აღვნიშნავთ კიდევ ერთ თავისებურებას შიმშილობისადმი საზოგადოების დამოკიდებულებაში. სულ უკანასკნელ დრომდე ჩვენში, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, ის აზრი ბატონობდა, თითქოს მთელი რუსეთის ეკონომიური წყობა და თვით სახელმწიფო წყობილებაც კი დამყარებული იყოს მიწისმფლობელ და მიწის დამოუკიდებელი მეურნე გლეხობის მ ა ს ა ზ ე. თუ რამდენად იყო ეს შეხედულება გავრცელებული თვით ისეთ მოაზროვნე ადამიანთა მოწინავე წრეებშიც, რომელთაც ყველაზე ნაკლები მიდრეკილება აქვთ წამოეგონ ოფიციალური ქება-დიდების ანკესს, — ეს განსაკუთრებით მკაფიოდ ცხადჰყო ყველასთვის ნიკოლაი —ონის ცნობილმა წიგნმა, რომელიც გამოვიდა 1891 — 1892 წლების შიმშილობის შემდეგ[77]. გლეხურ მეურნეობათა დიდი რაოდენობის გაჩანაგება ისეთ აბსურდად, არარსობაში ისეთ შეუძლებელ ნახტომად ეჩვენებოდა ყველას, რომ უაღრესად ფართო, ნამდვილად «ჭრილობის მომშუშებელი» დახმარების აუცილებლობა თითქმის საერთო ლოზუნგად გადაიქცა. მერე

ისევ ბ-ნმა სიპიაგინმა იტვირთა უკანასკნელი ილუზიების გაფანტვა. მაშ რას ემყარება «რუსეთი», რით ცხოვრობენ მიწათმოქმედთა და ვაჭარ-მრეწველთა კლასები, თუ ხალხის გაჩანაგებითა და გაღატაკებით არა? ამ «ჭრილობის» მოშუშების ნამდვილი და არა მარტო სიტყვიერი ცდა — ეს ხომ სახელმწიფო დანაშაულია!

ბ-ნი სიპიაგინი უსათუოდ ხელს შეუწყობს იმ ჭეშმარიტების გავრცელებას და განმტკიცებას, რომ, მთელი კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ რევოლუციური პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის გარდა, არ არის და არც შეიძლება იყოს სხვა საშუალება არც უმუშევრობის და კრიზისების წინააღმდეგ და არც წვრილი მწარმოებლის ექსპროპრიაციის იმ აზიურ-ველური და სასტიკი ფორმების წინააღმდეგ, რაც ამ პროცესმა მიიღო ჩვენში. შიმშილისა და კრიზისების მასობრივი მსხვერპლნი კაპიტალისტური სახელმწიფოს მესვეურებს ისევე აინტერესებთ, როგორც ორთქლმავალს აინტერესებს ისინი, ვისაც იგი სრესს თავისი სვლის დროს. გვამები აბრკოლებენ ბორბლების ტრიალს, მატარებელი ჩერდება, შეიძლება ის (მეტისმეტად ენერგიულ მემანქანეთა ხელში) ასცდეს კიდეც რელსებს, მაგრამ ის ყოველ შემთხვევაში, ამა თუ იმ შეფერხების შემდეგ, მაინც განაგრძობს გზას. თქვენ ხშირად გესმით ათეული და ასეული ათასობით წვრილ მეურნეთა გაღატაკების და შიმშილით სიკვდილის ამბავი, მაგრამ ამავე დროს ისიც გესმით, რომ მშობლიური მიწათმოქმედება წინ მიდის, რომ უცხოეთის ბაზარს წარმატებით იპყრობენ რუსეთის მემამულეები, რომელთაც რუსეთის სოფლის მეურნეთა ექსპედიცია გაგზავნეს ინგლისში, ფართოვდება გაუმჯობესებული იარაღების გასაღება. ერცელდება ბალახთესვა და სხვა. რუსეთის მიწათმოქმედების მეპატრონეებისთვის (ისე როგორც ყველა კაპიტალისტური მეპატრონისთვის) გაღატაკების გაძლიერება და შიმშილობა ცალკე ხნის დაბრკოლებას წარმოადგენს, რომელსაც ისინი თითქმის არც კი მიაქცევენ ყურადღებას, თუ დამშეულებმა

არ აიძულეს მიაქციონ მათ ყურადღება. ყველაფერი თავის რიგზე მიმდინარეობს, — მეურნეთა იმ ნაწილის მიწების გაყიდვის სპეკულაციაც კი, რომელსაც შეძლებული გლეხები შეადგენენ.

აი, მაგალ., სამარის გუბერნიის ბუგურუსლანის მაზრა გამოცხადებულია «მოუსავლობით დაზარალებულად». მაშასადამე, გლეხობის მასის გაღატაკებამ და შიმშილობამ აქ უმაღლეს დონეს მიაღწია. მაგრამ მასის უბედურება არათუ ხელს უშლის, არამედ თითქოს ხელსაც კი უწყობს გლეხობის ბურჟუაზიული უმცირესობის სამეურნეო პოზიციის განმტკიცებას. აი რას ვკითხულობთ ჩვენ იმავე მაზრის შესახებ «რუსსკიე ვედომოსტის» სექტემბრის კორესპონდენციაში[78] (№ 244):

«სამარის გუბერნიის ბუგურუსლანის მაზრა. ჩვენში ახლა სადღეისო საჭირბოროტო საკითხია მიწის ფასების საყოველთაო სწრაფი ზრდა და ამ ზრდით გამოწვეული დიდი სპეკულაცია. სულ რაღაც 15 — 20 წლის წინათ აქ მშვენიერი ვაკე ადგილები **10 — 15** მან. ფასობდა დესეტინა; იყო რკინიგზას დაშორებული ადგილები, სადაც სამი წლის წინათ დესეტინაში 35 მანეთი დიდ ფასად ითვლებოდა და მხოლოდ საუკეთესო მიწა საუცხოო კარმიდამოთი და ბაზრით ერთხელ 60 მანეთად გაიყიდა დესეტინა, ახლა კი უფრო ცუდ მიწაში იძლევიან **50 — 60** მან., ხოლო დესეტინა საუკეთესო მიწის ფასი 80 და 100 მანეთამდეც კი ავიდა. მიწის ფასების ამ ზრდით გამოწვეული სპეკულაცია ორგვარია: ჯერ-ერთი, ეს არის მიწის შესყიდვა დაუყოვნებლივ გადასაყიდად (არის შემთხვევები, როცა მიწას ყიდულობდნენ 40 მანეთად და ერთი წლის შემდეგ **55** მანეთად აძლევდნენ ადგილობრივ გლეხებს; ყიდიან ჩვეულებრივ ის მემამულეები, რომელთაც არ სურთ, ანდა არ სცალიათ საგლეხო ბანკის საშუალებით გლეხებისათვის მიწის მიყიდვის ფორმალური მხარეების შესრულებასა და გაჭიანურებაზე იმტვრიონ თავი; ყიდულობენ კი ვაჭარ-კაპიტალისტები და მერე მათგან იგი-

ვე ადგილობრივი გლეხები. მეორე, სხვადასხვა ჯურის მრავალრიცხოვანი შუამავალნი ხელში აჩრიან შორეული გუბერნიების (უმთავრესად მალოროს) გლეხებს ყოველგვარ გამოუსადეგარ მიწას, რისთვისაც მამულების მფლობელთაგან კარგ პროცენტებს იღებენ (ერთიდან ორ მანეთამდე დესეტინაზე). ნათქვამიდან უკვე ჩანს, რომ მიწის სპეკულაციის მთავარი ობიექტი — გლეხია, და მის მიერ მიწის შეძენის წყურვილზეა დამყარებული მთელი ეს წარმოუდგენელი და უბრალო ეკონომიური მიზეზებით აუხსნელი მიწის ფასების ხტომა; რა თქმა უნდა, აქ რკინიგზებმაც შეასრულეს როლი, მაგრამ არა ისე დიდი, რადგან მიწის მთავარი მყიდველი ჩვენში ისევ გლეხობაა, რომლისთვისაც რკინიგზა სულაც არ წარმოადგენს პირველხარისხოვან ფაქტორს».

ეს გამძლე «მუყაითი გლეხები», რომელნიც თავიანთი «დანაზოგით» (და ნაძარცვით) ასე ხარბად დაეწაფნენ მიწის შეძენას, აუცილებლად ბოლოს მოუღებენ იმ მცირე შეძლების გლეხებსაც, რომელნიც კიდევ გადაურჩნენ ახლანდელ შიმშილობას.

თუ ბურჟუაზიული საზოგადოებისთვის ღარიბი გლეხების გაღატაკებისა და შიმშილობის საწინააღმდეგო საშუალება შეძლებული გლეხების მიერ მიწის შესყიდვაა, მაშინ კრიზისის, მრეწველობის ნაწარმოებით ბაზრის ავსების, საწინააღმდეგო საშუალებას ახალი ბაზრების ძებნა წარმოადგენს. მლიქვნელი პრესა («ნოვოე ვრემია» № 9188) აღტაცებულია სპარსეთთან ახალი ვაჭრობის წარმატებით, გაცხოველებით მსჯელობენ კომერციულ გეგმებზე შუა აზიის და განსაკუთრებით მანჯურიის მიმართ. რკინის მექარხნეები და მრეწველობის სხვა ბობოლები მხიარულ გუნებაზე დგებიან, როცა რკინიგზის მშენებლობის გაცხოველებაზე იწყება ლაპარაკი. გადაწყვეტილია რკინიგზის დიდი ხაზების გაყვანა: პეტერბურგი — ვიატკა, ბოლოგოე — სედლეცი, ორენბურგი — ტაშკენტი, მთავრობის მიერ უზრუნველყოფილია 37 მილიონი

მანეთის სარკინიგზო სესხი (მოსკოვ-ყაზანის, ლოძის და სამხრეთ-აღმოსავლეთის გზათა საზოგადოებებისათვის), განზრახულია გზები: მოსკოვი — კიშტიმი, კამიშინი — ასტრახანი და შავი ზღვისა. დამშეულ გლეხებს და უმუშევარ მუშებს შეუძლიათ თავი ინუგეშონ: რასაკვირველია, სახაზინო ფული (თუ იშოვა ხაზინამ ფული) «უნაყოფოდ» (შეად. სიპიაგინის ცირკულარი) არ დაიხარჯება დახმარებაზე, არა, ის ინჟინრებისა და მოიჯარადრეების ჯიბეში ჩაჩხრიალდება — ხაზინის გაქურდვის იმგვარი ვირტუოზების ჯიბეში, რომელნიც მთელი წლობით ქურდობდნენ ნიჟნი-ნოვგოროდში სორმოვოს ჯეგირის შენების დროს და რომელთაც მხოლოდ ახლა დასდო მსჯავრი (გამონაკლისის სახით) მოსკოვის სასამართლო პალატის სესიამ ნიჟნი-ნოვგოროდში *.

* სამწუხაროდ, ადგილის სიმცირე ნებას არ გვაძლევს დაწვრილებით შევჩერდეთ ამ პროცესზე, რომელმაც კიდევ და კიდევ ერთხელ გამოააშკარავა, თუ როგორ უძღვებიან საქმეს ინჟინრები და მოიჯარადრეები. ჩვენთვის, რუსებისთვის, ეს სწორედ ძველისძველი ისტორიაა, რომელიც მუდამ ახალი რჩება. ინჟინერი ალექსანდროვი გზათა სამინისტროს ყაზანის ოლქის ნიჟნი-ნოვგოროდის განყოფილების უფროს შნაკენბურგსა და ექვს, პასუხისგებაში მიცემულ, მოიჯარადრესთან ერთად სამი წლის განმავლობაში (1893 — 1895) თავისთვის და სხვებისთვის დიდძალ თანხებს «აგროვებდა» იმით, რომ ხაზინას უდგენდა ანგარიშებს, უწყისებს, შემოწმების ოქმებს და სხვ. არარსებული სამუშაოებისა და მიწოდებათა შესახებ. ფიქციური იყო არა მარტო სამუშაოები, არამედ თვით მოიჯარადრეებიც: უბრალო საქმისმწარმოებელი ხელს აწერდა მოიჯარადრის მაგივრად! თუ რა თანხა აუწაპნავთ ამ ძმაბიჭებს, შეიძლება წარმოიდგინოთ შემდეგიდან. ინჟ. ალექსანდროვმა წარადგინა (საბრალდებო სკამზე მოხვედრილ ბრალდებულ «მოიჯარადრეებისაგან») ორას ათას მანეთზე მეტი ანგარიშები; ამ ანგარიშებში, მაგალითად, ნამდვილი ხარჯის 400 მანეთის ნაცვლად წერდნენ 4 400 მან. ინჟ. ალექსანდროვი, ერთი მოწმის ჩვენებით, ქეიფობდა თურმე ხან ქალებთან, ხან თავის უშუალო უფროსებთან — საგზაო ინჟინრებთან და ერთ სადილზე 50 — 80 მან. ხარჯავდა.

მაგრამ ყველაზე საინტერესო ის არის, თუ როგორ წარმოებდა და რით გათავდა ეს საქმე. პოლიციმეისტერმა, რომელსაც სამძებრო პოლიციის აგენტმა მიაწოდა ცნობა ამის შესახებ, «არ მოისურვა საქმის აღძვრა» (!). «საქმე გზათა სამინისტროს ეხება და არა ჩვენო»,' და აგენტი იძულებული

III. მესამე ელემენტი

გამოთქმა «მესამე ელემენტი» ანუ «მესამე პირნი» პირველად იხმარა, თუ არ ვცდებით, სამარის ვიცე-გუბერნატორმა, ბ-ნმა კონდოიდიმ, თავის სიტყვაში 1900 წელს სამარის საგუბერნიო ერობის კრების გახსნისას იმ პირთა აღსანიშნავად, «რომელნიც არ ეკუთვნიან არც ადმინისტრაციას და არც წოდებათა წარმომადგენლების რიცხვს». ისეთ პირთა რიცხვისა და გავლენის ზრდას, რომელნიც ერობაში მსახურობენ ექიმებად, ტექნიკოსებად, სტატისტიკოსებად, აგრონომებად, პედაგოგებად და სხვ., უკვე დიდი ხანია ყურადღებას

გახდა პროკურორისთვის მიემართნა. შემდეგ, ყველაფერი მხოლოდ იმიტომ გამომეღავნდა, რომ ქურდები ერთმანეთს წაეჩხუბნენ: ალექსანდროვს არაფერი არ მიუცია ერთი საქმისმწარმოებელ-მოიჯარადრისათვის. საქმე წარმოებაში იყო მთელი ექვსი წელიწადი, ასე რომ ბევრი მოწმე გარდაიცვალა კიდეც და თითქმის ყველას გადაავიწყდა, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო. ისეთი მოწმეც კი, როგორიც ყაზანის გზათა ოლქის ყოფილი უფროსი ლოხტინია, ვერ იპოვეს (sic!): ის ან ყაზანშია, ან ქ. ენისეისკშია მივლინებული! მკითხველს ეს ხუმრობა არ ეგონოს, ეს ამოწერილია სასამართლოს საქმის განხილვის ანგარიშიდან.

ამ საქმეში რომ მარტო ბრალდებულები არ არიან გარეული, ეს ჩანს თუნდ შემდეგი ორი ფაქტით: ჯერ-ერთი, თვითონ ის პოლიციის სათნო აგენტი, რომელმაც საქმე აღძრა, ახლა პოლიციაში აღარ მსახურობს, მას სახლი შეუძენია და მისი შემოსავლით ცხოვრობს. მეორე, გზათა უწყების ყაზანის ოლქის უფროსი, ინჟინერი მაკაროვი (სორმოვოს ჯებირის კეთების დროს უფროსის ყოფილი თანაშემწე), სასამართლოში წელებზე ფეხს იდგამდა და ცდილობდა ეხსნა ალექსანდროვი; მან ისიც კი განაცხადა — სიტყვასიტყვით! — რომ თუ ჯებირი 1894 წლის გაზაფხულზე წაილეკა, «ეს ასეც უნდა ყოფილიყო». მისი, მაკაროვის, რევიზიებით, ალექსანდროვს ყველაფერი რიგზე ჰქონდა და მას გამოცდილება, გულმოდგინება და სიბეჯითე ახასიათებდაო!

შედეგი: ალექსანდროვს — ერთი წლის ციხე; შნაკენბურგს — სასტიკი საყვედური (რაც სისრულეში არ იქნა მოყვანილი 1896 წლის მანიფესტის გამო!); დანარჩენები გაამართლეს. ხაზინის სამოქალაქო სარჩელი უარყვეს. წარმოდგენილი მაქვს, რა კმაყოფილი უნდა იყვნენ მოუნახავი ლოხტინები და სამსახურში მყოფი მაკაროვები.

აქცევენ ჩვენი რეაქციონერები, რომლებმაც ამ მათთვის საძულველ «მესამე პირთ» აგრეთვე «ერობის ბიუროკრატია» უწოდეს.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენი რეაქციონერები, — მათ შორის, რა თქმა უნდა, მთელი უმაღლესი ბიუროკრატიაც, — კარგ პოლიტიკურ ალღოს იჩენენ. ისინი იმდენად დახელოვდნენ ოპოზიციასთან, სახალხო «ამბოხებებთან», სექტანტობასთან, აჯანყებებთან და რევოლუციონერებთან ბრძოლაში და იმდენი გამოცდილება შეიძინეს, რომ მუდამ «მზად არიან» და ყოველგვარ გულუბრყვილო მიამიტებსა და «პატიოსან ჯაგლაგებზე» გაცილებით უკეთ ესმით თვითმპყრობელობის შეურიგებლობა ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ თვითმყოფობასთან, პატიოსნებასთან, რწმენის დამოუკიდებლობასთან, ნამდვილი ცოდნის სიამაყესთან. მათ მშვენივრად აქვთ შეთვისებული ქედის მოხრისა და საქმისადმი ფორმალური დამოკიდებულების სულისკვეთება, რომელიც გამეფებულია რუსეთის მოხელეობის მთელს იერარქიაში; ისინი ეჭვის თვალით უყურებენ ყველას, ვინც გოგოლის «აკაკი აკაკიევიჩს» ან, უფრო თანამედროვე შედარებით, ფუტლარის ადამიანს არა ჰგავს.

და მართლაც: თუ ამა თუ იმ საზოგადოებრივი ფუნქციის ამსრულებელი ადამიანი თავისი ცოდნისა და ღირსების მიხედვით უნდა დაფასდეს და არა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით, — განა ეს ლოგიკური აუცილებლობით არ იწვევს ამ ცოდნის და ამ ღირსების შემფასებელი საზოგადოებრივი აზრისა და საზოგადოებრივი კონტროლის თავისუფლებას? განა ეს ძირს არ უთხრის იმ წოდებრივ და სამსახურებრივ პრივილეგიებს, რომელთაც ეყრდნობა თვითმპყრობელური რუსეთი? აბა, მოისმინეთ, რით ასაბუთებდა თავის უკმაყოფილებას იგივე ბ-ნი კონდოიდი:

«მოხდება ხოლმე,—ამბობს ის,—რომ წოდებათა წარმომადგენელნი შეუმოწმებლად, უსაფუძვლოდ უსმენენ ინტელიგენტებს, თუნდაც ისინი გამგეობის უბრალო ნებითდაქირავებული მოსამსახურენი იყვნენ, უსმენენ მხოლოდ მეცნიერებაზე

ან გაზეთის და ჟურნალის მწერალთა დარიგებაზე მითითების გამო». როგორ მოგწონთ? უბრალო «ნებითდაქირავებული მოსამსახურენი» და «წოდებათა წარმომადგენლებს» კი ჭკუას ასწავლიან! სხვათა შორის: ერობის ხმოსნები, რომლებზედაც ბ-ნი ვიცე გუბერნატორი ლაპარაკობს, ნამდვილად უწოდებრიო დაწესებულების წევრები არიან; მაგრამ ვინაიდან ჩვენში ყველაფერი წოდებრიობითაა გაჟღენთილი და ერობებსაც ახალი დებულებით მოესპოთ თავისი უწოდებრიობის უდიდესი ნაწილი, ამიტომ მოკლედ მართლაც შეიძლება ითქვას, რომ რუსეთში ორი მმართველი «კლასია»: 1. ადმინისტრაცია და 2. წოდებათა წარმომადგენელნი. მესამე ელემენტს წოდებრივ მონარქიაში ადგილი არა აქვს. ხოლო თუ ურჩი ეკონომიური განვითარება თვით კაპიტალიზმის ზრდით უფრო და უფრო უთხრის ძირს წოდებრივ ბურჯებს და იწვევს «ინტელიგენტების» საჭიროებას, რომელთა რიცხვი თანდათან მატულობს, აუცილებლად უნდა ველოდეთ, რომ მესამე ელემენტი შეეცდება გააფართოოს მისთვის ვიწრო ჩარჩოები.

«იმ პირთა ოცნება, რომელნიც არც ადმინისტრაციას ეკუთვნიან და არც წოდებათა წარმომადგენლებს ერობაში, — ამბობდა იგივე ბ-ნი კონდოიდი, — მხოლოდ ფანტასტიკურ ხასიათს ატარებს, მაგრამ, თუ საფუძვლად პოლიტიკური ტენდენციები დაედება, მას შეიძლება მავნე მხარეც ჰქონდეს».

«პოლიტიკური ტენდენციების» დაშვება მხოლოდ დიპლომატიური გამოთქმაა იმ რწმენის, რომ ეს ტენდენციები არსებობს. ხოლო «ოცნება» აქ ეწოდება, თუ გნებავთ, ყოველგვარ ნაგულვებს, რომელიც გამომდინარეობს ექიმისთვის — საექიმო საქმის ინტერესებიდან, სტატისტიკოსისთვის — სტატისტიკის ინტერესებიდან და რომელიც ანგარიშს არ უწევს მმართველ წოდებათა ინტერესებს. თავისთავად ეს ოცნება ფანტასტიკური ყოფილა, მაგრამ ის თურმე პოლიტიკურ უკმაყოფილებას ასაზრდოებს.

აი მეორე ადმინისტრატორის, ერთ-ერთი ცენტრალური ბუბერნიის უფროსის ცდა — სხვანაირად დაასაბუთოს მესამე

ელემენტით გამოწვეული უკმაყოფილება. მისი სიტყვით, მისდამი რწმუნებული გუბერნიის ერობის მოქმედება «წლითიწლობით სულ უფრო შორდება იმ ძირითად საფუძვლებს, რომლებზედაც დამყარებულია ერობის დაწესებულებათა დებულება». ამ დებულებით ადგილობრივი სარგებლიანობისა და საჭიროების საქმეთა გასაძღოლად მოწოდებულია ადგილობრივი მოსახლეობა; ნამდვილად კი მიწათმფლობელთა უმრავლესობის მხრივ მათთვის მინიჭებული უფლებისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულების გამო «ერობის კრებებმა მარტოოდენ ფორმალობის ხასიათი მიიღეს, ხოლო საქმეებს წყვეტენ გამგეობები, რომელთა ხასიათი ბევრნაირად არ არის დამაკმაყოფილებელი». ამან «გამოიწვია დიდი კანცელარიების შექმნა გამგეობებთან და ერობის სამსახურში სპეციალისტების, — სტატისტიკოსების, აგრონომების, პედაგოგების, სანიტარული ექიმების და სხვ. — მოწვევა; ისინი გრძნობენ თავიანთი განათლების, ხოლო ზოგჯერ გონებრივ უპირატესობასაც ერობის მოღვაწეებზე და სულ უფრო და უფრო მეტ დამოუკიდებლობას იჩენენ, რის მიღწევაც განსაკუთრებით ხდება გუბერნიაში სხვადასხვა ყრილობის, ხოლო გამგეობებთან — საბჭოების გახსნის საშუალებით. ამის შედეგად ერობის მთელი მეურნეობა ხელში ჩაუვარდა ისეთ პირთ, რომელთაც ადგილობრივ მოსახლეობასთან საერთო არაფერი აქვთ». თუმცა «ამ პირთა შორის ბევრია სავსებით კეთილგანმზრახველი და სრული პატივისცემის ღირსი პიროვნება, მაგრამ თავიანთ სამსახურს ისინი უყურებენ მხოლოდ როგორც საარსებო საშუალებას, ადგილობრივი სარგებლობა და საჭიროება კი მხოლოდ იმდენად აინტერესებთ, რამდენადაც ამაზეა დამოკიდებული მათი პირადი კეთილდღეობა», — «ერობის საქმეში, — გუბერნიის უფროსის აზრით, — დაქირავებულს არ შეუძლია მესაკუთრე შეცვალოს». ამ დასაბუთებას შეიძლება ეწოდოს უფრო ოსტატურიც და

უფრო გულახდილიც, იმისდამიხედვით, თუ როგორ შეეხედავთ მას. ის უფრო ოსტატურია, რადგან სდუმს პოლიტიკური ტენდენციების შესახებ და ცდილობს თავისი მსჯელობის საფუძველი მხოლოდ ადგილობრივი სარგებლობისა და საჭიროების ინტერესებს დაუკავშიროს. ის უფრო გულახდილია, ვინაიდან აშკარად უპირისპირებს ერთმანეთს «დაქირავებულს» და მ ე ს ა კ უ თ რ ე ს. ეს ძველის-ძველი თვალსაზრისია რუსეთის კიტ კიტიჩებისა, რომელნიც რომელიმე «მასწავლებლის» დაქირავებისას უპირველეს ყოვლისა და ყველაზე მეტად ამა თუ იმ სახის პროფესიული მომსახურების საბაზრო ფასით ხელმძღვანელობენ. ყველაფრის ნამდვილი ბატონ-პატრონნი არიან — მესაკუთრენი, ასე ქადაგებს სწორედ იმ ბანაკის წარმომადგენელი, საიდანაც მუდმივი ქებადიდება ისმის რუსეთისა და მისი მტკიცე, სრულიად დამოუკიდებელი და კლასებზე მაღლა მდგომი ხელისუფლების მიმართ, რომელიც, მადლობა ღმერთს, განთავისუფლებულა ხალხის ცხოვრებაზე იმ ანგარებიანი ინტერესების ბატონობისაგან, რასაც ჩვენ ვხედავთ პარლამენტარიზმით გარყვნილ დასავლეთის ქვეყნებში. ხოლო რაკი მესაკუთრე ბატონ-პატრონია, ის ბატონ-პატრონი უნდა იყოს აგრეთვე საექიმო, სტატისტიკური და საგანმანათლებლო «საქმისა»: ჩვენს პომპადურს წარბშეუხრელად გამოჰყავს ეს დასკვნა, რომელიც შეიცავს შეძლებული კლასების პოლიტიკური ბატონობის პირდაპირ აღიარებას. ეს კიდევ არაფერი: ის, — რაც განსაკუთრებით კურიოზულია,—დაურიდებლად აღიარებს, რომ ეს «სპეციალისტები» გრძნობენ თავიანთი განათლების, ზოგჯერ კი გონებრივ უპირატესობასაც ერობის მოღვაწეთა მიმართ. რასაკვირველია, გონებრივი უპირატესობის წინააღმდეგ, გარდა სიმკაცრის ზომებისა, არავითარი საშუალება არ არსებობს...

და აი ამას წინათ ჩვენს რეაქციულ პრესას განსაკუთრებით ხელსაყრელი შემთხვევა მიეცა ხელმეორედ მოეწოდებინა სიმკაცრის ამ ზომებისაკენ. ის გარემოება, რომ ინტელიგენტებს არა სურთ, რომ ისინი აბუჩად აიგდონ, როგორც უბრა-

ლო დაქირავებულნი, როგორც სამუშაო ძალის გამყიდველნი (და არა როგორც განსაზღვრული საზოგადოებრივი ფუნქციების შემსრულებელი მოქალაქენი), — ყოველთვის იწვევდა გამგეობების ავან-ჩავანთა კონფლიქტებს ხან ექიმებთან, რომელნიც კოლექტიურად ითხოვდნენ სამსახურიდან გადადგომას, ხან ტექნიკოსებთან და სხვ.. უკანასკნელ ხანებში კი გამგეობათა კონფლიქტებმა სტატისტიკოსებთან პირდაპირ ეპიდემიური ხასიათი მიიღო.

«ისკრაში» ჯერ კიდევ მაისში (№ 4) იყო აღნიშნული, რომ ადგილობრივი ხელისუფალნი (იაროსლავლში) უკვე დიდი ხანია ალმაცერად უყურებენ სტატისტიკას და ს.-პეტერბურგის მარტის ამბების შემდეგ მართლაც მოახდინეს ბიუროს «წმენდა» და წინადადება მისცეს გამგეს «ამიერიდან სასტიკი შერჩევით მიიღოს სტუდენტები, ისე რომ მათზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდეს, რომ ოდესმე არაკეთილსაიმედონი აღმოჩნდებიან». კორესპონდენციაში «კრამოლა კლიაზმის ვლადიმირში» («ისკრა» № 5, ივნისი) დასურათებულია ეჭვმიტანილი სტატისტიკის საერთო მდგომარეობა და გუბერნატორის, მეფაბრიკეებისა და მემამულეების მხრივ მისადმი სიძულვილის მიზეზები. ანენსკისათვის (რომელსაც 4 მარტს ყაზანის მოედანზე სცემეს) თანაგრძნობის გამომხატველი დეპეშის გაგზავნის გამო ვლადიმირელი სტატისტიკოსების დათხოვნამ გამოიწვია ბიუროს ფაქტიური დახურვა, და რადგან სხვა ქალაქთა სტატისტიკოსები უარს ამბობდნენ ემსახურათ ერობაში, რომელიც ვერ იცავს თავისი მოსამსახურეების ინტერესებს, ამიტომ ადგილობრივ ჟანდარმერიას შუამავლად გამოსელა მოუხდა დათხოვნილ სტატისტიკოსებსა და გუბერნატორს შორის. «ზოგიერთი სტატისტიკოსის ბინაზე დადიოდა ჟანდარმი და წინადადებას აძლევდა ხელახლა მიეცათ თხოვნა ბიუროში სამსახურში შესასვლელად», მაგრამ მისი მისია სრულიად უშედეგოდ დასრულდა. ბოლოს, «ისკრის» აგვისტოს ნომერში (№ 7) მოთხრობილი იყო «ინციდენტი ეკატე-

რინოსლავის ერობაში», სადაც «ფაშამ» ბ-ნმა როძიანკომ (საგუბ. ერობის გამგეობის თავმჯდომარე) დღიურის წარმოების შესახებ «ბრძანების» შეუსრულებლობისათვის სტატისტიკოსები დაითხოვა და ამ დათხოვნით გამოიწვია ბიუროს ყველა დანარჩენი წევრის გადადგომა და ხარკოველ სტატისტიკოსთა საპროტესტო წერილები (მოყვანილია «ისკრის» იმავე ნომერში). მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა. საქმეში ჩაერია ხარკოველი ფაშა, ბ-ნი გორდეენკო (ისიც საგუბ. ერობის გამგეობის თავმჯდომარე) და განუცხადა «თავის» ერობის სტატისტიკოსებს, რომ «გამგეობის შენობაში მოსამსახურეთა არავითარ თათბირს არ დაუშვებს იმ საკითხებზე, რომელნიც სამსახურებრივ მოვალეობებს არ ეხებიან». შემდეგ, ხარკოველმა სტატისტიკოსებმა ვერც კი მოასწრეს თავიანთი განზრახვის შესრულება — მოეთხოვათ მათ შორის მყოფი ჯაშუშის (ანტონოვიჩის) დათხოვნა, რომ გამგეობამ დაითხოვა სტატ. ბიუროს გამგე, რითაც კვლავ გამოიწვია ყველა სტატისტიკოსის წასვლა.

თუ რამდენად ააღელვა ამ ამბებმა სტატისტიკის დარგის ერობის მოსამსახურეების მთელი მასა, ეს ჩანს, მაგალითად, ვიატკელ სტატისტიკოსთა წერილიდან, რომელნიც ცდილობდნენ ვრცლად დაესაბუთებინათ თავიანთი სურვილი — არ მიმხრობოდნენ მოძრაობას, რისთვისაც «ისკრამ» (№ 9) სამართლიანად უწოდა მათ «ვიატკელი შტრეიკბრეხერები».

მაგრამ «ისკრა», რა თქმა უნდა, მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევას აღნიშნავდა და არა ყველა კონფლიქტს, რომელიც, ლეგალური გაზეთების ცნობით, მოხდა აგრეთვე პეტერბურგის, ოლონეცის, ნიჟნი-ნოვგოროდის, თავრიდის, სამარის გუბერნიებში (კონფლიქტებს ჩვენ აქ ვუმატებთ იმ შემთხვევებს, როცა ერთბაშად ითხოვდნენ რამდენიმე სტატისტიკოსს, რადგან ეს შემთხვევები დიდ უკმაყოფილებას და მღელვარებას იწვევდნენ). სადამდე მიდიოდა საზოგადოდ საგუბერნიო ხელისუფალთა ეჭვიანობა და უტიფრობა, ეს ჩანს, მაგალითად, შემდეგიდან:

«თავრიდის ბიუროს გამგე ს. მ. ბლეკლოვი გამგეობისადმი წარდგენილ «1901 წლის მაის—ივნისის განმავლობაში დნეპროვის მაზრის გამოკვლევის ანგარიშში» ამბობს, რომ ამ მაზრაში მუშაობა პირდაპირ გაუგონარ პირობებში წარმოებდა: თუმცა მკვლევარნი გუბერნატორის მიერ დაშვებული იყვნენ თავიანთ მოვალეობათა შესასრულებლად, მიცემული ჰქონდათ სათანადო საბუთები და, საგუბერნიო ხელისუფლების განკარგულების თანახმად, მათთვის ყოველგვარი დახმარება უნდა გაეწიათ ადგილობრივ ხელისუფალთ, მაგრამ მაზრის პოლიცია მათ მაინც დიდი ეჭვით უყურებდა, კვალდაკვალ დასდევდა, მეტად უხეშად უცხადებდა თავის უნდობლობას და ეს უხეშობა იქამდეც კი მივიდა, რომ, ერთი გლეხის სიტყვით, სტატისტიკოსებს უკან მისდევდა პოლიციელი და ეკითხებოდა გლეხებს — «სტატისტიკოსები მავნე იდეებს ხომ არ ავრცელებენ სახელმწიფოს და სამშობლოს წინააღმდეგო». ბ-ნ ბლეკლოვის სიტყვით, სტატისტიკოსებს ხშირად ეღობებოდათ სხვადასხვა დაბრკოლება და სიძნელე, რაც არათუ ხელს უშლიდა მათს მუშაობას, არამედ დიდად ლახავდა პირადი ღირსების გრძნობასაც... ხშირად სტატისტიკოსები ვარდებოდნენ გამოძიებაში მყოფ პირთა მდგომარეობაში, რომლებზედაც საიდუმლო დაკითხვა წარმოებდა, რაც ყველამ კარგად იცოდა, და რომელთა შესახებაც აუცილებლად იყო მიჩნეული სხვების გაფრთხილება. აქედან ადვილად მიხვდება ყველა, ხშირად რა აუტანელ მძიმე ზნეობრივ მდგომარეობას განიცდიდნენ ისინი».

გვარიანი ილუსტრაციაა ერობის სტატისტიკური კონფლიქტების ისტორიისა და საერთოდ «მესამე ელემენტისადმი» მეთვალყურეობის დასახასიათებლად!

გასაკვირველი არ არის, რომ რეაქციული პრესა მიესია ახალ «მეამბოხეებს». «მოსკოვსკიე ვედომოსტიმ» მოათავსა მრისხანე მეთაური «ერობის სტატისტიკოსთა გაფიცვა» (№ 263, 24 სექტ.) და ბ-ნ ნ. ა. ზნამენსკის განსაკუთრებული სტატია

«მესამე ელემენტი» (№ 279, 10 ოქტომ.). «მესამე ელემენტს» «თავს გაუვიდა», — წერდა გაზეთი, — «აუცილებელი სამსახურებრივი დისციპლინის» შემოღების ყოველ ცდას ის «სისტემატური ოპოზიციით და გაფიცვით» უპასუხებს. ყველაფერში დამნაშავენი არიან ერობის ლიბერალები, რომლებმაც თავის ნებაზე მიუშვეს მოსამსახურეები.

«ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ერობის შემფასებელ-სტატისტიკური სამუშაოების ერთგვარი მოწესრიგება დაიწყეს ყველაზე ფხიზელმა და გონიერმა ერობის მოღვაწეებმა, რომელთაც არ ისურვეს მათდამი-რწმუნებულ სამმართველოებში დაეშვათ თავგასულობა, თუნდაც ლიბერალურ-ოპოზიციური ბაირაღით. ბოლოს და ბოლოს, როგორც ოპოზიციამ, ისე გაფიცვებმა თვალი უნდა აუხილონ მათ და დაანახვონ, თუ ვისთანა აქვთ საქმე იმ გონებრივი პროლეტარიატის სახით, რომელიც დაეხეტებოდა ერთი გუბერნიიდან მეორეში და ეწოდა სტატისტიკურ გამოკვლევებსა თუ ადგილობრივ მოზარდთა სოციალურ-დემოკრატიული სულისკვეთებით განათლებას.

ყოველ შემთხვევაში, «ერობის სტატისტიკური კონფლიქტების» სახით ერობის მოღვაწეთა კეთილგონიერ ნაწილს სასარგებლო გაკვეთილი ეძლევა. ვფიქრობთ, ახლა ის სრულიად ნათლად დაინახავს, თუ რა გველი აღზარდეს თავის გულმკერდზე ერობის დაწესებულებებმა «მესამე ელემენტის» სახით» *.

ჩვენც, ჩვენი მხრივ, ეჭვი არ გვეპარება იმაში, რომ თვითმპყრობელობის ერთგულად მოდარაჯე ქოფაკის (როგორც ვიცით, ასე უწოდა თავის თავს «თვითონ» კატკოვმა, რომელმაც ასე დიდი ხნით «გაჟღენთა» თავისი სულისკვეთებით «მოსკოვსკიე ვედომოსტი») ეს გოდება და ღმუილი «თვალს აუხელს» ბევრს, ვისაც ჯერ კიდევ ვერ შეუგნია სავსებით

* «მ. ვ.» № 263.

თვითმპყრობელობის მთელი შეურიგებლობა საზოგადოებრივი განვითარების ინტერესებთან, საერთოდ ინტელიგენციის ინტერესებთან, ყოველგვარი ნამდვილი საზოგადოებრივი საქმის ინტერესებთან, რაც კი დაკავშირებული არ არის ხაზინის გაქურდვასა და გამცემლობასთან.

ჩვენთვის, სოციალ-დემოკრატებისთვის, «მესამე ელემენტის» და «საერობო-სტატისტიკური კონფლიქტების» წინააღმდეგ მიმართული ლაშქრობის ეს პატარა სურათი მნიშვნელოვანი გაკვეთილი უნდა იყოს. ჩვენ უნდა აღვიჭურვოთ იმ მუშათა მოძრაობის ყოვლისშემძლებლობის ახალი რწმენით, რომელსაც ვხელმძღვანელობთ, როცა ვხედავთ, რომ მოწინავე რევოლუციური კლასის მღელვარება საზოგადოების სხვა კლასებსა და ფენებსაც ედება, რომ მან უკვე გამოიწვია არა მარტო უმაგალითო რევოლუციური სულისკვეთების აღტყინება სტუდენტობაში *, არამედ აგრეთვე სოფლის თანდათან გაღვიძებაც და თავის თავისადმი რწმენისა და საბრძოლველად მზადყოფნის გაძლიერება ისეთ საზოგადოებრივ ჯგუფებში, რომელნიც (როგორც ჯგუფები) აქამდე ნაკლებ თანაგრძნობას იჩენდნენ.

რუსეთში საზოგადოებრივი მღელვარება იზრდება მთელ ხალხში, ყველა მის კლასში, და ჩვენი, რევოლუციური სოციალ-დემოკრატების, მოვალეობაა — მთელი ძალღონით ვეცადოთ გამოვიყენოთ იგი, განვუმარტოთ მოწინავე მუშათა ინტელიგენციას, თუ როგორი მოკავშირე ჰყავს მას გლეხობის, სტუდენტობის და საერთოდ ინტელიგენციის სახით,

* იმ დროს, როცა ჩვენ ამას ვწერთ, ყოველი მხრიდან მოდის ცნობები სტუდენტობის მღელვარების ახალი გაძლიერების შესახებ, კიევში, პეტერბურგსა და სხვ. ქალაქებში კრებების გამართვის, ოდესაში სტუდენტთა რევოლუციური ჯგუფების შექმნის და სხვ. შესახებ. შეიძლება, ისტორიამ სტუდენტობას დააკისროს დამწყების როლი გადამწყვეტ შეჯახებაშიც? როგორც უნდა მოხდეს, ყოველ შემთხვევაში ამ შეჯახებაში, გასამარჯვებლად აუცილებელია პროლეტარიატის მასების ამხედრება, — და ჩვენც რაც შეიძლება დაჩქარებით უნდა ვიზრუნოთ მათი შეგნებულობის, გამხნევებისა და დარაზმულობის გაძლიერებაზე.

ვასწავლოთ მას საზოგადოებრივი პროტესტის აქა-იქ ავარდნილი ალის გამოყენება. თავისუფლებისათვის მოწინავე მებრძოლის როლის შესრულებას ჩვენ მხოლოდ მაშინ შევძლებთ, როცა მუშათა კლასი, მებრძოლი რევოლუციური პარტიის ხელმძღვანელობით, ერთი წუთითაც არ დაივიწყებს თავის განსაკუთრებულ მდგომარეობას თანამედროვე საზოგადოებაში, არ დაივიწყებს ეკონომიური მონობისაგან კაცობრიობის განთავისუფლების თავის განსაკუთრებულ მსოფლიო-ისტორიულ ამოცანებს და ამავე დროს აღმართავს თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ბრძოლის საერთო სახალხო დროშას და ამ დროშის ქვეშ მიიზიდავს ყველა იმათ, ვისაც ახლა ბატონი-სიპიაგინები, კონდოიდები და მთელი ეს ხროვა ასე გულმოდგინედ მიერეკება საზოგადოების უაღრესად სხვადასხვაგვარი ფენებიდან გამოსულ უკმაყოფილოთა ბანაკში.

ამისათვის საჭიროა მხოლოდ, რომ ჩვენ ჩვენს მოძრაობაში შევითვისოთ არა მარტო ევროპული აზროვნების საუკუნეობრივი განვითარებით შემუშავებული ურყევი რევოლუციური თეორია, არამედ აგრეთვე დასავლეთევროპელ და რუს წინამორბედთა მიერ ნაანდერძევი რევოლუციური ენერგია და რევოლუციური გამოცდილებაც, — და მონურად არ გადმოვიღოთ ოპორტუნიზმის ყოველგვარი ფორმა, რომელსაც თანდათან აღწევენ თავს მისგან შედარებით ნაკლებად დაზარალებული ჩვენი დასავლეთელი ამხანაგები და რომელიც ასე დიდად აბრკოლებს ჩვენს მსვლელობას გამარჯვებისკენ.

რუსეთის პროლეტარიატის წინაშე ახლა დგას ყველაზე ძნელი, მაგრამ სამაგიეროდ ყველაზე მადლიერი რევოლუციური ამოცანა: მტრის გასრესა, რაც ვერ შესძლო რუსეთის მრავალტანჯულმა ინტელიგენციამ, და სოციალიზმის საერთაშორისო არმიის რიგებში ადგილის დაკავება.

IV. ორი წინამძღოლის სიტყვა

«დღემდე გაუგონარი სამწუხარო-საგულისხმო ფაქტია, — და რუსეთს მრავალ გაუგონარ უბედურებას უქადის ასეთი ფაქტები, რაც შესაძლებელია მხოლოდ დიდად შორს წასუ-

ლი ჩვენი სოციალური დემორალიზაციის დროს»... ასე წერდა «მოსკოვსკიე ვედომოსტი» თავის მოწინავე სტატიაში № 268 (29 სექტ.) ორიოლის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის მ. ა. სტახოვიჩის სიტყვის გამო მისიონერთა ყრილობაზე ორიოლში (ეს ყრილობა გათავდა 24 სექტემბერს)... ჰოდა, თუ «სოციალური დემორალიზაცია» შეიჭრა თავადაზნაურობის წინამძღოლთა, მაზრის პირველ და გუბერნიის მეორე პირთა შორის, მაშინ მართლაც სადღა უნდა ჰქონდეს ბოლო იმ «სულიერ შავ ჭირს, რომელიც მთელ რუსეთს მოსდებია»?

რა მოხდა? მოხდა ის, რომ ბ-ნმა სტახოვიჩმა (ეს ის სტახოვიჩია, რომელსაც ორიოლის აზნაურები უნდოდა მოეწყო მაგარი სასმელების მონოპოლიის გადასახადების ამკრეფთა ადგილებზე: იხ. «ზარია» № 1, «შემთხვევითი შენიშვნები»*) მხურვალე სიტყვა წარმოთქვა სინდისის თავისუფლების დასაცავად, ამასთან «თავისი უტაქტობით, რომ არ ვთქვათ ცინიზმით, იქამდე მივიდა, რომ ასეთი წინადადება შეიტანა»**:

---

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 4, გვ. 471 — 509. რ ე დ.

** «მოსკოვსკიე ვედომოსტი», იქვე. ბოდიშს ვიხდი მკითხველებთან «მოსკოვსკიე ვედომოსტისადმი» ჩემი სიმპათიის გამო. რას იზამ! ჩემი აზრით, რაც უნდა იყოს, ეს უაღრესად საინტერესო, უაღრესად თანამიმდევარი და უ ა ღ რ ე ს ა დ ს ა ქ მ ი ა ნ ი პოლიტიკური გაზეთია რუსეთში. ხომ არ შეიძლება «პოლიტიკური» ვუწოდოთ, სწორედ რომ ვთქვათ, იმ ლიტერატურას, რომელიც უკეთეს შემთხვევაში შეარჩევს ხოლმე ზოგიერთ საინტერესო ნედლ ფაქტიურ მასალას და ყოველგვარი «ბრძნობის» ნაცვლად მუდამ ოხრავს. არ ვდავობ, შეიძლება ეს ძალიან სასარგებლოცაა, მაგრამ ეს პოლიტიკა არ არის. აგრეთვე არც «ნოვოე ვრემიას» ყაიდის ლიტერატურას შეიძლება ვუწოდოთ პოლიტიკური ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, მიუხედავად იმისა (ან უკეთ — იმის გამო), რომ ის მეტისმეტად პოლიტიკოსობს. მას არავითარი გარკვეული პოლიტიკური პროგრამა და არავითარი რწმენა არა აქვს, შეუძლია მხოლოდ აჰყვეს მომენტის ტონსა და განწყობილებას, იმღიქვნელოს ამ ქვეყნის ძლიერთა წინაშე, რასაც უნდა ბრძანებდნენ ისინი, და ელაქუცოს ვითომდა საზოგადოებრივ აზრს. «მოსკოვსკიე ვედომოსტი» კი თავის ხაზს ატარებს და არც ეშინია (მას

«რუსეთში ყველაზე უფრო მისიონერთა ყრილობას ევალება საქვეყნოდ გამოაცხადოს, რომ საჭიროა სინდისის თავისუფლება, რომ საჭიროა გაუქმდეს ყოველგვარი სისხლის სამართლის სასჯელი მართლმადიდებლობისაგან განდგომის და სხვა სარწმუნოების მიღებისა და აღსარებისათვის. და მე წინადადებას ვაძლევ ორიოლის მისიონერთა ყრილობას პირდაპირ ასე გამოთქვას თავისი აზრი და ეს შუამდგომლობა აღძრას სათანადო წესით!..»

რასაკვირველია, რამდენადაც გულუბრყვილობა იყო «მოსკოვსკიე ვედომოსტის» მხრივ ბ-ნ სტახოვიჩის რობესპიერად გამოცხადება (ეს გულმხიარული მ. ა. სტახოვიჩი, რომელსაც მე დიდი ხანია ვიცნობ, რობესპიერია! — წერდა «ნოვოე ვრემიაში» ბ-ნი სუვორინი, და ძნელი იყო მისი «დასაცავი» სიტყვის ისე წაკითხვა, რომ სიცილი არ გამოეწვია), — იმდენადვე, თავისებურად, გულუბრყვილო იყო ბ-ნი სტახოვიჩი, ხუცებს რომ აძლევდა წინადადებას შუამდგომლობა აღეძრათ «სათანადო წესით» სინდისის თავისუფლების შესახებ. ეს იგივეა, რომ ბოქაულების ყრილობაზე შეიტანო წინადადება პოლიტიკური თავისუფლებისათვის შუამდგომლობის აღძვრის შესახებ!

არა მგონია საჭირო იყოს იმის თქმა მკითხველისათვის, რომ «სამღვდელოების კრებულმა მღვდელმთავრის მეთაურობით» უარჰყო ბ-ნ სტახოვიჩის წინადადება «როგორც მოხსენების დედაარსის, ისე ადგილობრივ მისიონერთა ყრილობის ამოცანებთან მისი შეუფერებლობის გამო», — მას შემდეგ, რაც მოისმინეს «სერიოზული პასუხი» ორიოლის ყოვლადსამღვდელო ეპისკოპოს ნიკანორის, ყაზანის სასულიერო აკადემიის პროფესორის ნ. ი. ივანოვსკის, ჟურნალ «მისიონერსკოე ობოზრენიეს» რედაქტორ-გამომცემლის ვ. მ. სკვორცოვის,

---

რისი უნდა ეშინოდეს!) წინ გაუსწროს მთავრობას, არ ეშინია შეეხოს, ხშირად ძალიან გულახდილადაც, მეტად საჩოთირო პუნქტებს. სასარგებლო გაზეთია, რევოლუციური აგიტაციის უბადლო თანამშრომელია!

ამა და ამ მისიონერ-მღვდლების და უნივერსიტეტის კანდიდატების — ვ. ა. ტერნავცევისა და მ. ა. ნოვოსელოვისა. შეიძლება ითქვას: «მეცნიერებისა» და ეკლესიის კავშირია!

მაგრამ ბ-ნი სტახოვიჩი, რასაკვირველია, ჩვენთვის საინტერესოა არა როგორც ნათელი და თანამიმდევარი პოლიტიკური აზროვნების მქონე ადამიანის ნიმუში, არამედ როგორც უაღრესად «გულმხიარული» რუსი აზნაურის ნიმუში, რომელიც მუდამ მზადაა წაგლიჯოს სახელმწიფო ქადის ნაჭერი. და რა უსაზღვრო დონემდე უნდა იყოს მისული «დემორალიზაცია», რომელიც საერთოდ რუსეთის ცხოვრებაში და განსაკუთრებით ჩვენი სოფლის ცხოვრებაში შეაქვს პოლიციურ თვითნებობას და ხექტანტობის ინკვიზიტორულ დევნას, რომ თვით ქვანიც კი აღაღადდნენ! რომ თავადაზნაურობის წინამძღოლნიც კი ცხარედ ალაპარაკდნენ სინდისის თავისუფლებაზე!

აი ბ-ნ სტახოვიჩის სიტყვიდან აღებული იმ წესების და უმსგავსო მოვლენების პატარა მაგალითები, რომელნიც ბოლოს და ბოლოს თვით უაღრესად «გულმხიარულთაც» კი აღაშფოთებს.

«თუნდაც აიღეთ ახლა, — ამბობს ორატორი, — ძმობის სამისიონერო ბიბლიოთეკაში საცნობარო წიგნი კანონების შესახებ, და იქ ამოიკითხავთ, რომ ერთი და იგივე 783-ე მუხლი, ტ. II, ნ. I, დუელის, პასკვილის, ლოთობის, უწესო ნადირობის, საჯარო აბანოებში მამრობითი და მდედრობითი სქესის შეთავსების აღმოფხვრაზე მზრუნველობის გარდა, ბოქაულს ავალებს აგრეთვე თვალყური ადევნოს მართლმადიდებელი სარწმუნოების დოგმატების საწინააღმდეგო კამათს და მართლმადიდებლების სხვა რჯულზე თუ მწვალებლობაზე მოქცევას!» და მართლაც ხომ არსებობს კანონის ისეთი მუხლი, რომელიც ბოქაულს აკისრებს ორატორის მიერ ჩამოთვლილის გარდა კიდევ სხვა მრავალ ასეთსავე მოვალეობას. რა თქმა უნდა, ქალაქთა მცხოვრებლების უმრავლესობას ეს მუხლი უბრალო კურიოზად მოეჩვენება, როგორც მას უწოდა ბ-ნმა სტახოვიჩმაც. მაგრამ გლეხისთვის ამ კურიოზში იმა-

ლება bitterer Ernst — მწარე სიმართლე დაბალი პოლიციის უწესოებათა შესახებ, პოლიციის, რომელმაც კარგად უწყის, რომ ღმერთი მაღლა» და მეფე — შორს.

აი კონკრეტული მაგალითები, რომლებიც ჩვენ მოგვყავს «ორიოლის მართლმადიდებელი პეტრე-პავლეს ძმობის საბჭოს და ორიოლის საეპარქიო მისიონერთა ყრილობის თავმჯდომარის, დეკანოზ პეტრე როჟდესტვენსკის» ოფიციალურ პასუხთან ერთად («მ. ვ.» № 269, «ო რ ლ ო ვ ს კ ი ვ ე ს ტ ნ ი კ ი ს» № 257-დან):

«ა) (ბ-ნ სტახოვიჩის) მოხსენებაში ნათქვამია ტრუბჩევის მაზრის ერთი სოფლის შესახებ:

«რ ო გ ო რ ც მ ღ ვ დ ლ ი ს, ი ს ე ხ ე ლ ი ს უ ფ ა ლ თ ა თ ა ნ ხ მ ო ბ ი თ და ნ ე ბ ა რ თ ვ ი თ ე ჭ ვ მ ი ტ ა ნ ი ლ ი შ ტ უ ნ დ ი ს ტ ე ბ ი ჩ ა კ ე ტ ე ს ე კ ლ ე ს ი ა ში, მ ო ა ტ ა ნ ი ნ ე ს მ ა გ ი დ ა, გ ა დ ა ა ფ ა რ ე ს სუფთა სუფრა, დაასვენეს ზედ ხატი და დაიწყეს თითო-თითოდ გამოყვანა. — ემთხვიეო!

— არ მინდა ვემთხვიო კერპებს...—ჰოო! ა ქ ვ ე გ ა ი წ კ ე პ ლ ო ს. უფრო სუსტნი, პირველი დარტყმისთანავე, უბრუნდებოდნენ მართლმადიდებლობას. ზოგნი კი ო თ ხ ა მ დ ე უ ძ ლ ე ბ დ ნ ე ნ».

ამავე დროს ჯერ კიდევ 1896 წელს ორიოლის მართლმადიდებელი პეტრე-პავლეს ძმობის ანგარიშში დაბეჭდილი ოფიციალური ცნობებით, და ყრილობაზე მღვდელ დ. პერევერზევის სიტყვიერი განცხადებით, მართლმადიდებელი მოსახლეობის მიერ ტრუბჩევის მაზრის სოფ. ლიუბეცის სექტანტების დასჯა მოხდა ს ა ს ო ფ ლ ო ყ რ ი ლ ო ბ ი ს დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ი თ ს ა დ ღ ა ც ს ო ფ ე ლ ში, და ს რ უ ლ ი ა დ ა ც ა რ ა მ ა შ ი ნ დ ე ლ ი ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ ი მ ღ ვ დ ლ ი ს თ ა ნ ხ მ ო ბ ი თ და ა რ ა ე კ ლ ე ს ი ა ში; და ეს სამწუხარო ინციდენტი მოხდა 18 — 19 წ ლ ი ს წ ი ნ ა თ, როდესაც ორიოლის ეპარქიაში მისიის ხსენებაც არ იყო».

«მოსკოვსკიე ვედომოსტი» ბეჭდავს ამას და ამბობს, რომ ბ-ნმა სტახოვიჩმა თავის სიტყვაში მ ხ ო ლ ო დ ო რ ი

ფ ა ქ ტ ი მოიყვანაო. შეიძლება. მაგრამ როგორი ფაქტებია! მართლმადიდებელი ძმობის ანგარიშის «ოფიციალურ ცნობებზე» (ბოქაულის ცნობებზე!) დამყარებული უარყოფა მ ხ ო ლ ო დ ა დ ა ს ტ უ რ ე ბ ს მთელ იმ სისაძაგლეს, რომელმაც გულმხიარული აზნაურის აღშფოთებაც კი გამოიწვია. ეკლესიაში მოხდა გაწკეპლვა თუ «სადღაც სოფელში», ნახევარი წლის თუ 18 წლის წინათ, — ეს საქმის ვითარებას სრულიადაც არა სცვლის (თუმცა, შეიძლება, ერთ რამეში სცვლიდეს: ყველამ იცის, რომ უკანასკნელ ხანებში სექტანტების დევნამ უფრო მხეცური ხასიათი მიიღო, და მისიების დაარსება პირდაპირ ამასთანაა დაკავშირებული!). ხოლო ადგილობრივ მღვდელს ვითომ შ ე ე ძ ლ ო შორს მდგარიყო ამ ზ უ ბ უ ნ შ ი გ ა მ ო წ ყ ო ბ ი ლ ი ი ნ კ ვ ი ზ ი ტ ო რ ე ბ ი ს ა გ ა ნ, — ამაზე, მამაო დეკანოზო, უკეთესი იქნებოდა პრესაში ხმა არ ამოგეღოთ*. დაგცინებენ! რა თქმა უნდა, სისხლის სამართლით პასუხსაგებ წამებაზე «ადგილობრივ მღვდელს» «თანხმობა» არ მიუცია, ისე როგორც წმიდა ინკვიზიცია თვითონ არასოდეს არ სჯიდა, არამედ ხელში უგდებდა საერო ხელისუფლებას, სისხლსაც არასოდეს არ ღვრიდა, მხოლოდ სწვავდა.

მეორე ფაქტი:

«ბ) მოხსენებაში ნათქვამია:

«მისიონერ მღვდელს მხოლოდ მაშინ არ წამოსცდება ის პასუხი, რომელიც აქ ჩვენც გავიგონეთ: — თ ქ ვ ე ნ ა მ ბ ო ბ თ, მ ა მ ა ო, რ ო მ თ ა ვ დ ა პ ი რ ვ ე ლ ა დ 40 ო ჯ ა ხ ი ი ყ ო, ა ხ ლ ა კ ი ო თ ხ ი ა ო. სადღაა დანარჩენი? — ღვთის შეწევნით გ ა დ ა ს ა ხ ლ ე ბ უ ლ ი ა რ ი ა ნ ა მ ი ე რ კ ა ვ კ ა ს ი ა ს ა დ ა ც ი მ ბ ი რ შ ი ო».

* ბ-ნი სტეზოვიჩი ოფიციალურ შესწორებათა პასუხად წერდა: «რა წერია ძმობის ოფიციალურ ანგარიშში, არ ვიცი, მაგრამ ვამტკიცებ, რომ მღვდელმა პერევერზევმა, მას შემდეგ რაც დაწვრილებით მოახსენა ყრილობას საქმის ვითარება და დაურთო, სამოქალაქო ხელისუფლებმა იცოდნენ (sic!!!) გამოტანილი განაჩენის შესახებო, პირადად ჩემს კითხვაზე: იცოდი თუ არა, მამაო? — მიპასუხა: — დიახ, მეც ვიცოდიო». კომენტარიები ზედმეტია.

ნამდვილად კი, ტრუბჩევის მაზრის სოფელ გლიბოჩკაში, რომელზედაც ლაპარაკია ამ შემთხვევაში, ძმობის ცნობებით, 1898 წელს იყო არა 40 ოჯახი შტუნდისტი, არამედ 40 სული ორივე სქესისა, 21 ბავშვის ჩათვლით; ხოლო იმავე წელს ამიერკავკასიაში გადაასახლეს, საოლქო სასამართლოს დადგენილებით, მხოლოდ 7 კაცი სხვების შტუნდად მოქცევისათვის. რაც შეეხება ადგილობრივი მღვდლის ფრაზას: «ღვთის შეწევნით გადასახლებული არიან», ის შემთხვევით წამოსცდა მას ყრილობის დახურულ სხდომაზე, უკანასკნელის წევრთა შორის აზრთა თავისუფალი გაცვლა-გამოცვლისას, მით უფრო, რომ ხსენებული მღვდელი ადრეც იყო ყველასთვის ცნობილი და ყრილობაზედაც გამოიჩინა თავი როგორც ერთ-ერთმა უღირსეულესმა მოძღვარ-მისიონერმა».

ეს პასუხი ხომ პირდაპირ შეუდარებელია! შემთხვევით თქვა აზრთა თავისუფალი გაცვლა-გამოცვლისას! სწორედ ესაა საინტერესო, იმიტომ რომ ჩვენ ყველამ ძალიან კარგად ვიცით, რა ფასი აქვს ოფიციალურ პირთა ოფიციალურ სიტყვებს. და თუ ამ «გულითადი» სიტყვების წარმომთქმელი მღვდელი — «ერთ-ერთი უღირსეულესი მოძღვარ-მისიონერია», მით უფრო დიდი მნიშვნელობა ეძლევა ამ სიტყვებს. «ღვთის შეწევნით გადასახლებული არიან ამიერკავკასიასა და ციმბირშია» — ეს საუცხოო სიტყვები ერთგვარად არანაკლებ შესანიშნავი უნდა გახდეს, ვიდრე მიტროპოლიტ ფილარეტის მიერ ბატონყმობის დაცვა საღმრთო წერილის მიხედვით.

მართლა, რაკი ფილარეტი მოვიგონეთ, უსამართლობა იქნებოდა დუმილით გვერდი აგვევლო 1901 წლის ჟურნალ «ვერა ი რაზუმში»* დაბეჭდილი «სწავლული ლიბერალის»

---

* ვსარგებლობთ შემთხვევით მადლობა გამოვუცხადოთ კორესპონდენტს, რომელმაც გამოგვიგზავნა ცალკე ამონაბეჭდი ამ ჟურნალიდან. ჩვენი გაბატონებული კლასები ძალიან ხშირად au naturel (ნატურალური

წერილისთვის ხარკოვის არქიეპისკოპოსის ყოვლად სამღვდელო ამბროსისადმი. ავტორი ხელს აწერს: «საპატიო მოქალაქე ყოფილ სასულიერო პირთაგან იერონიმე პრეობრაჟენსკი», ხოლო «სწავლული (!) ლიბერალის» სახელწოდებას მას ანიჭებს რედაქცია, რომელიც, ალბათ, დააფრთხო «სიბრძნის სიღრმემ». მოვიყვანოთ მხოლოდ ზოგიერთი ადგილი ამ წერილიდან, რომელიც ერთხელ კიდევ და კიდევ გვიჩვენებს, რომ პოლიტიკური აზროვნება და პოლიტიკური პროტესტი უხილავი გზით იჭრება გაცილებით უფრო ფართო წრეებში, ვიდრე ზოგჯერ გვგონია.

«მე უკვე მოხუცი ვარ, თითქმის 60 წლისა, ჩემს ცხოვრებაში ბევრჯერ შინახავს საეკლესიო მოვალეობათა შესრულების გვერდის ახვევა და სინდის ქვეშ უნდა ვთქვა, რომ ყოველთვის ამის მიზეზი ჩვენი სამღვდელოება იყო. «უკანასკნელი ამბებისათვის» კი დიდი მადლობაც უნდა ვუთხრათ ჩვენს ახლანდელ სამღვდელოებას, რომელიც ბევრს უჭელს თვალს. ახლა არათუ ვოლოსტის მწერლები, არამედ დიდი და პატარა, განათლებული და წერა-კითხვის მცირემცოდნენი, ყველანი ცდილობენ რუსეთის დიდებული მწვრლის წაკითხვას. დიდი ფასის გაღებით შოულობენ მის თხზულებებს («სვობოდნოე სლოვოს» [79] საზღვარგარეთულ გამოცემას, რომელიც თავისუფლად ვრცელდება ყველა ქვეყნის ხალხში, რუსეთს გარდა), კითხულობენ, მსჯელობენ, და დასკვნები, რა თქმა უნდა, სამღვდელოების სასარგებლოდ არ არის. ხალხის მასა ახლა უკვე ხვდება, სად არის სიცრუე და სად სიმართლე; ის ხედავს, რომ ჩვენი სამღვდელოება ერთს ამბობს და მეორეს აკეთებს, და ხშირად საკუთარ სიტყვებშიც ეწინააღმდეგება თავის თავს. ბევრი სიმართლე შეიძლება ითქვას, შაგრამ სამღვდელოებასთან გულახდილად ლაპარაკი შეუძლებელია, ის მაშინვე დაგაბეზღებს, რომ გაწამონ და სიკვდილით დაგსაჯონ... ქრისტე კი ხალხს იმხრობდა არა ძალით და სიკვდილით დასჯით, არამედ სიმართლით და სიყვარულით...

...თქვენი სიტყვის ბოლოში თქვენ წერთ: «ჩვენ გვაქვს დიდი ძალა საბრძოლველად, — ესაა ჩვენი უკეთილმსახურესი მეფეების თვითმპყრობელური ხელისუფლება». ესეც თაღლითობაა და ისევ არ გიჯერით თქვენ.

სახით. რ ე დ.) გვევლინებიან სპეციალურ საპატიმრო, საეკლესიო და სხვა ამგვარ გამოცემებში. დიდი ხანია დროა ჩვენ, რევოლუციონერებმა, ხელი მოვკიდოთ პოლიტიკური განათლების ამ «მდიდარი საუნჯის» სისტემატურ გამოყენებას.

თუმცა თქვენ, გ ა ნ ა თ ლ ებ უ ლ ო სამღვდელოებავ, ცდილობთ დაგვარწმუნოთ, რომ «თვითმპყრობელური ხელისუფლების ერთგული ხართ დედის ძუძუდან» (ახლანდელი ვიკარის ეპისკოპოსად კურთხევის დროს წარმოთქმული სიტყვიდან), მაგრამ ჩვენ, გ ა ა თ ლ ებ ე ლ თ, არ გვჯერა, რომ ერთი წლის ბავშვი (თუნდაც მომავალი ეპისკოპოსი) უკვე მართვა-გამგეობის ფორმებზე მსჯელობდეს და უპირატესობას თვითმპყრობელობას ანიჭებდეს. მას შემდეგ, რაც დამარცხდა პატრიარქ ნიკონის ცდა — რუსეთში შეესრულებინა რომის პაპების როლი, რომელნიც დასავლეთში სასულიერო ხელისუფლებასა და საერო მეთაურობას ერთმანეთთან ათავსებდნენ, ჩვენი ეკლესია, თავისი უმაღლესი წარმომადგენლების — მიტროპოლიტების სახით, მთლიანად და სამუდამოდ დაემორჩილა მეფეების ხელისუფლებას, რომელიც ხანდახან პირდაპირ დესპოტურად, როგორც ეს იყო პეტრე დიდის დროს, უკარნახებდა მას თავის ბრძანებულებებს. (პეტრე დიდის გავლენა სამღვდელოებაზე უფლისწულ ალექსის მსჯავრდადების საქმეში.) XIX საუკუნეში ჩვენ უკვე საერო და საეკლესიო ხელისუფლების სრულ ჰარმონიას ვხედავთ რუსეთში. ნიკოლოზ პირველის მკაცრ ხანაში, როდესაც გამოღვიძებულმა საზოგადოებრივმა თვითცნობიერებამ, დასავლეთის დიდ სოციალურ მოძრაობათა გავლენით, ჩვენშიც წამოაყენა თითო-ოროლა მებრძოლი უბრალო ხალხის აღმაშფოთებელი დამონების წინააღმდეგ, — ჩვენი ეკლესია სრულიად გულგრილად უცქეროდა ამ ხალხის ტანჯვა-წამებას და, ძიუხედავად ქრისტეს დიდებული აღთქმისა ადამიანთა ძმობის და მოყვასთა შეწყალების შესახებ, სამღვდელოების წრეებიდან არც ერთი ხმა არ ამაღლებულა დაბეჩავებული ხალხის დასაცავად მემამულეთა სასტიკი თვითნებობისაგან, და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მთავრობა ჯერ ვერ ბედავდა გაეუქმებინა ბატონყმობა, რომლის არსებობას ფილარეტ მოსკოველი პირდაპირ ძველი აღთქმის საღმრთო წერილის ტექსტებით ამართლებდა. მაგრამ აი გავარდა მეხი: რუსეთი დაამარცხეს და პოლიტიკურად დაამცირეს სევასტოპოლთან. ამ განადგურებამ ნათლად გამოააშკარავა ჩვენი რეფორმისწინადროინდელი წყობილების ყველა ნაკლი; და უპირველეს ყოვლისა ახალგაზრდა, ჰუმანურმა მეფემ (რომელიც თავისი სულისა და ნების აღზრდით პოეტ ჟუკოვსკის უნდა უმადლოდეს) დაამსხვრია მონობის საუკუნოვანი ბორკილი; და, ბედის ბოროტი ირონიით, 19 თებერვლის დიადი აქტის ტექსტი ქრისტიანული თვალსაზრისით სარედაქციოდ გადაეცა იმავე ფილარეტს, რომელმაც, ცხადია, დროის შესაბამისად შეიცვალა შეხედულებანი ბატონყმობაზე. დიდი რეფორმების ხანას არც ჩვენი სამღვდელოებისთვის ჩაუვლია უკვალოდ. ამ ხანამ სამღვდელოების წრეში მაკარის (შემდეგ მიტროპოლიტი) დროს ნაყოფიერი მუშაობა გამოიწვია სასულიერო დაწესებულებათა გარდასაქმნელად, სადაც მან გამოჭრა სარკმელი, თუმცა მცირე,

საჯაროობისა და სინათლისაკენ. 1881 წლის პირველი მარტის შემდეგ დამ-
დგარმა რეაქციამ სამღვდელოებაშიც წარმოშვა სათანადო, პობედონოსცევის
და კატკოვის ყაიდის, მოღვაწენი, — და იმ დროს, როცა ქვეყნის მოწინავე
პირები ერობასა და საზოგადოებაში პეტიციებს აძლევენ ფიზიკური დასჯის
ნაშთების გაუქმების შესახებ, ეკლესია სდუმს, იგი კრინტსაც არა სძრავს
როზგის, — ღვთის ხატად და მსგავსად შექმნილი ადამიანის ამ აღმაშფო-
თებელი დამცირების იარაღის, — დამცველთა დასაგმობად. ყოველივე
ზემონათქვამის შემდეგ, განა უსამართლობა იქნება ვიფიქროთ, რომ მთელი
ჩვენი სამღვდელოება, თავისი წარმომადგენლების სახით, ზ ე ვ ი დ ა ნ
შ ე ც ვ ლ ი ლ ი რ ე ჟ ი მ ი ს დ რ ო ს, ისევე დაუწყებს ქება-დიდებას
კონსტიტუციურ მეფეს, როგორც ახლა ქება-დიდებას ასხამს თვითმპყრო-
ბელ მეფეს. ამრიგად, რა საჭიროა ფარისევლობა, აქ მთავარია მონარქი
და არა თვითმპყრობელობა. პეტრე პირველიც ღვთითმომადლებული
თვითმპყრობელი იყო, მაგრამ სამღვდელოება მას მაინცდამაინც აქამდეც
არ სწყალობს; პეტრე მესამეც ასეთივე თვითმპყრობელი იყო, რომელსაც
უნდოდა გაეკრიჭა და გაენათლებინა ჩვენი სამღვდელოება, — სამწუხაროდ,
მას არ დაცალეს ორი-სამი წელი ემეფნა. და დღევანდელმა ჩვენმა თვით-
მპყრობელმა მეფემ ნიკოლოზ მეორემ რომ კეთილ ინებოს და მოწყალების
თვალით შეხედოს ღირსსახელოვან ლევ ნიკოლოზის-ძეს — სადღა გადაი-
მალებოდით თქვენ თქვენი მზაკვრობით, შიშის ზარითა და მუქარით?

ამაოდ მოგყავთ იმ ლოცვათა ტექსტი, რომელთაც სამღვდელოება აღავ-
ლენს მეფისათვის, — აჯამური ენის ეს სიტყვების გროვა ვერავის ვერა-
ფერში არწმუნებს. ჩვენში ხომ თვითმპყრობელობაა: გიბრძანებენ და სამ-
ჯერ უფრო გრძელსა და უფრო გამომეტყველ ლოცვებს დასწერთ».

* *
*

მეორე წინამძღოლის სიტყვა, რამდენადაც ვიცით, ჩვენს
პრესაში არ გამოქვეყნებულა. ჩვენ ეს სიტყვა ჯერ კიდევ აგ-
ვისტოში გამოგვიგზავნა რედაქციისათვის უცნობმა კორესპონ-
დენტმა; სიტყვა ჰექტოგრაფირებული იყო და ზედ ფანქრით
ეწერა: «ერთ-ერთი მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლის
სიტყვა, წარმოთქმული წინამძღოლთა კერძო კრებაზე სტუ-
დენტთა საქმეების გამო». მოგვყავს ეს სიტყვა მთლიანად:

«დროის უქონლობის გამო, ჩემს მოსაზრებებს თავადაზნაურობის წინა-
მძღოლთა კრების გამო თეზისების სახით გამოვთქვამ:

რითაა გამოწვეული ახლანდელი უწესოებანი, დაახლოებით ვიცით.
ესენი გამოწვეულია, ჯერ-ერთი, მთელ სახელმწიფო წყობილებაში გამე-

ფებული საერთო უწესრიგობით, მოხელეთა კორპორაციის ოლიგარქიული მართვა-გამგეობით, ე. ი. მოხელეთა დიქტატურით.

მოხელეთა მთავრობის დიქტატურის ეს უწესრიგობა მეღავნდება მთელ რუს საზოგადოებაში, თავიდან ბოლომდე, როგორც საყოველთაო უკმაყოფილება, რაც გარეგნულად იხატება საყოველთაო პოლიტიკანობის, მაგრამ არა დროებითი, ზერელე, არამედ ღრმა, ქრონიკული პოლიტიკანობის სახით.

ეს პოლიტიკანობა, როგორც მთელი საზოგადოების საერთო სენი, გავლენას ახდენს ყველა მის გამოვლინებაზე, საქმიანობასა და დაწესებულებაზე, ამიტომ ის აუცილებლად გავლენას ახდენს აგრეთვე სასწავლებლებზედაც, მათს უფრო ახალგაზრდა და ამიტომ უფრო ამთვისებელ მოსახლეობაზე, რომელიც იმავე ბიუროკრატიული დიქტატურის მძიმე რეჟიმის ქვეშ იმყოფება.

სტუდენტთა უწესოების ბოროტების მიზეზი საერთო სახელმწიფოებრივ უწესრიგობასა და უწესრიგობით გამოწვეულ საერთო უილაჯობაში იმალება; მაგრამ მიუხედავად ამისა—უშუალო გრძნობის და ადგილობრივი ბოროტების განვითარების შეჩერების აუცილებლობის გამო — შეუძლებელია ყურადღება არ მივაქციოთ ამ უწესოებას და არ ვეცადოთ თუნდ ამ მხრივ მაინც "შევამციროთ საერთო ბოროტების უაღრესად დამარღვეველი გამოხატულება, ისე როგორც მთელი ორგანიზმის საერთო დაავადების დროს, მის ნელ და რადიკალურ განკურნებასთან ერთად, სასწრაფო ზომებს იღებენ ამ ავადმყოფობის ადგილობრივი, მწვავე, დამარღვეველი გართულების წინააღმდეგ.

საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში მოხელური რეჟიმის ბოროტება, უმთავრესად, იმით გამოიხატება, რომ ადამიანის (ჭაბუკის) განვითარება და განათლება შეცვლილია მოხელური წვრთნით, რაც დაკავშირებულია ადამიანის პიროვნებისა და მისი ღირსების სისტემატურ შებღალვასთან.

ყოველივე ამით ახალგაზრდობაში აღძრული უნდობლობა, აღშფოთება და გაბოროტება უფროსებისა და დამრიგებლებისადმი გიმნაზიებიდან გადადის უნივერსიტეტებში, სადაც, საუბედუროდ, უნივერსიტეტების ახლანდელი მდგომარეობისას, ახალგაზრდობა ხვდება იმავე ბოროტებას, ადამიანის პიროვნებისა და მისი ღირსების იმავე შებღალვას.

ერთი სიტყვით, ახალგაზრდობა უნივერსიტეტის სახით ხედავს არა მეცნიერების ტაძარს, არამედ ფაბრიკას, რომელიც გაუპიროვნებულ სტუდენტთა მასიდან სახელმწიფოსთვის საჭირო მოხელეთა საქონელს ამზადებს.

ადამიანის პიროვნების ეს ჩახშობა (როცა სტუდენტობა განურჩეველ, საწვრთნელ მასადაა გადაქცეული), რაც იხატება ყოველივე პიროვნულის და ღირსეულის სისტემატურ, ქრონიკულ შევიწროებასა და დევნაში, ხში-

რად უხეშ ძალმომრეობაშიც, — დაედო საფუძვლად სტუდენტთა ყველა მღელვარებას, რაც აგერ რამდენიმე ათეული წელიწადია გრძელდება და გაძლიერებას გვიქადის მომავალშიც და მსხვერპლად იწირავს რუსეთის ახალგაზრდობის საუკეთესო ძალებს.

ყოველივე ეს ჩვენ ვიცით, — მაგრამ როგორ უნდა მოვიქცეთ ახლანდელ მდგომარეობაში? როგორ უნდა ვუშველოთ დღევანდელ გამწვავებულ მდგომარეობას მთელი მისი ჭირვარამით, მთელი მისი მწუხარებით და უბედურებით? თავი დავანებოთ და არაფერს შევეცადოთ? მივატოვოთ სრულიად დაუხმარებლად ჩვენი ახალგაზრდობა ბედის, მოხელეთა და პოლიციის ამარა, ხელი დავიბანოთ და გავშორდეთ? აი, ჩემი აზრით, რა არის მთავარი კითხვა, ე. ი. როგორ ვუშველოთ ახლანდელ გამწვავებულ ავადმყოფობას მისი ზოგადი ხასიათის აღიარებასთან ერთად?

ჩვენმა სხდომამ მომაგონა კეთილგანმზრახველ ადამიანთა ჯგუფი, რომელნიც უდაბურ ტყეში შესულან მის გასაწმენდად და სრულიად გაოგნებული შემდგარან უზარმაზარი დაუძლეველი საერთო სამუშაოს წინაშე, იმის ნაცვლად, რომ ერთ რომელიმე წერტილზე მიემართათ თავიანთი ძალები.

პროფესორმა კ. ტ-მ წარმოგვიდგინა უნივერსიტეტისა და სტუდენტობის თანამედროვე და ნამდვილი მდგომარეობის ზოგადი ბრწყინვალე სურათი, მან აღნიშნა ის გავლენა, რასაც შეძრწუნებულ სტუდენტობაში .ახდენს სხვადასხვა მავნე გარეგანი, არა მარტო პოლიტიკური, არამედ პოლიციური ზეძოქმედებაც; — მაგრამ ყოველივე ეს ჩვენ ცოტად თუ ბევრად ადრეც ვიცოდით, თუმცა არა ასეთი სიცხადით.

როგორც ერთადერთ შესაძლებელ ზომაზე, მან მიგვითითა საერთოდ ყველა სასწავლებლის მთელი თანამედროვე წყობის რადიკალურ გარდაქმნაზე და მის ნაცვლად ახალის, უკეთესის შემოღებაზე; მაგრამ პროფესორმა ამასთანავე აღნიშნა, რომ ეს საქმე ალბათ მეტად ხანგრძლივ დროს მოითხოვსო; ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ყოველი კერძო წყობა რუსეთის სახელმწიფოში, ისე როგორც ყოველ სხვა სახელმწიფოში, ორგანულად უკავშირდება საზოგადო წყობას, — მაშინ ამ დროს, მგონი, ბოლო აღარ უჩანს.

როგორ მოვიქცეთ ახლა, რომ ყოველ შემთხვევაში შევასუსტოთ ავადმყოფობით დღეს მოყენებული აუტანელი ტკივილი? რა პალიატიური საშუალება ვიხმაროთ? ხშირად ავადმყოფის დროებით დამამშვიდებელი ძალიატივებიც ხომ აუცილებელია? მაგრამ ამ კითხვაზე ჩვენ პასუხი არ გაგვიცია; პასუხის ნაცვლად კი, საერთოდ მოსწავლე ახალგაზრდობის მიმართ, წამოყენებული იყო რაღაც, ვიტყვი, გაურკვეველი, უთავბოლო მსჯელობა, რომელიც კიდევ უფრო აბუნდოვანებს საკითხს; ამ მსჯელობის მეხსიერებაში აღდგენაც კი ძნელია, მაგრამ მაინც ვეცდები.

ლაპარაკობდნენ კურსების მსმენელ ქალებზე, აი მათ კურსებიც მოეუწყეთ და ლექციებიც, ისინი კი რით გვიხდიან: — სტუდენტთა არეულობაში ძონაწილეობის მიღებითო!

ეს რომ თაიგულები ან ძვირფასი სამკაულები იყოს, რომელსაც ჩვენ მშვენიერ სქესს მივუძღვნიდით, ასეთი საყვედური გასაგები იქნებოდა; მაგრამ ქალთა კურსების მოწყობა — ეს არის არა თავაზიანობა, არამედ საზოგადოებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება; ასე რომ ქალთა კურსები—ეინი კი არ არის, არამედ საზოგადოებისათვის ისეთივე აუცილებელი უმაღლესი სასწავლებელია, როგორც უნივერსიტეტები და სხვანი ახალგაზრდობის უმაღლესი განათლებისათვის, განურჩევლად სქესისა, — ამიტომ ქალთა და ვაჟთა სასწავლებლებს შორის სრული ამხანაგური და საზოგადოებრივი სოლიდარობა ჩნდება.

ამ სოლიდარობით, ჩემი აზრით, სავსებით აიხსნება ისიც, რომ ახალგაზრდობის მღელვარება ითრევს ქალთა სასწავლებლების მოსწავლეთაც; საზოგადოდ შფოთავს მოსწავლე ახალგაზრდობა, სულ ერთია, რა ტანისამოსიც უნდა ეცვას მას — კაცის თუ ქალის.

შემდეგ შეეხნენ ისევ სტუდენტთა მღელვარებას და ამბობდნენ, რომ სტუდენტები არ უნდა წავაქეზოთ, მათი უმსგავსოებანი ძალით უნდა ჩავახშოთო; ამაზე, ჩემი აზრით, სრულიად საძართლიანად უპასუხებდნენ, რომ თუ ეს ძართლაც უმსგავსოებაა, იგი, ყოველ შემთხვევაში, არის არა შემთხვევითი, არამედ ქრონიკული, ღრმა მიზეზებით გაპირობებული, ამიტომ ის მარტო დამსჯელი ზომების ზემოქმედებით არ მოისპობა, რასაც წარსული გამოცდილება გვიმტკიცებს. ჩემი პირადი აზრით კი, კიდევ საკითხავია, ვისი მხრითაა მთავარი უმსგავსოება ყველა ამ უმსგავსო არეულობისა, რომელნიც აღელვებენ და ღუპავენ ჩვენს სასწავლებლებს; მთავრობის ცნობებს ძე არ ვუჯერი.

საქმეც ისაა, რომ ჩვენში მეორე მხარეს არ უსმენენ, და არც შეიძლება ძისი მოსძენა; მას პირში ბურთი აქვს ჩაჩრილი (მაგრამ მთლად არ დადასტურდა ჩემი სიტყვების სიმართლე, სახელდობრ ის, რომ ადმინისტრაცია თავის ცნობებში სტყუის და რომ ყველა უმსგავსოება უმთავრესად ძისგან, მისი უმსგავსო ზემოქმედებიდან მომდინარეობს).

აღნიშნავდნენ გარედან სხვადასხვა რევოლუციური ძალების ზეგავლენას მოსწავლე ახალგაზრდობაზე.

დიახ, ეს ზეგავლენა არსებობს, მაგრამ მას მეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ: მაგალითად, მეფაბრიკეები, რომელთა ფაბრიკებში, უმთავრესად, თავს იჩენს ეს ზეგავლენა, ყველაფერს მას აწერენ, ამბობენ, ეს ზეგავლენა რომ არ იყოს, მათს ფაბრიკებში მეუდროობა, მშვიდობა და ღვთის მადლი იქნებოდა გამეფებული, ამავე დროს კი ივიწყებენ და აფუჩეჩებენ მუშების ყოველგვარ კანონიერ და უკანონო ექსპლოატაციას, რომელიც აღა-

ტაკებს ამ უკანასკნელთ, იწვევს მათ შორის უკმაყოფილებას და შემდეგ არეულობასაც; ეს ექსპლოატაცია რომ არ იყოს, გარეშე რევოლუციურ ელემენტებსაც აღარ მიეცემოდათ ის უამრავი საბაბი და მიზეზი, რომელთა წყალობით ისინი ასე ადვილად იჭრებიან საფაბრიკო საქმეებში, — ყოველივე ეს, ჩემი აზრით, შეიძლება ითქვას აგრეთვე ჩვენს სასწავლებლებზედაც, რომელნიც მეცნიერების ტაძრებიდან ფაბრიკებად არიან გადაქცეული, სადაც სამუხელეო მასალას ამზადებენ.

ახალგაზრდობის მცირე, მაგრამ შეგნებული ჯგუფის ძალა, რომლის შესახებაც ლაპარაკობდა ბ-ნი პროფესორი, სწორედ იმ ჩაგვრის საერთო ინსტინქტური შეგნებაა, რომელსაც განიცდის მთელი მოსწავლე ახალგაზრდობა. ის საერთო ავადმყოფური გრძნობაა, რომელსაც იწვევს ეს ჩაგვრა ყველა სასწავლებლის ახალგაზრდობაში, და აი ამ ძალას შეუძლია შთააგონოს და საითკენაც გინდათ წარმართოს — გაფიცვების, სხვადასხვა არეულობის მოსახდენად — იმ ახალგაზრდობის მთელი ჯგუფები, რომელიც, ეტყობა, სულაც არ მიისწრაფის ამ არეულობისაკენ. — ასე ხდება ხოლმე ყველა ფაბრიკაში!

შემდეგ, რამდენადაც მახსოვს, აღნიშნავდნენ იმას, რომ არ უნდა ვუკმიოთ გუნდრუკი სტუდენტებს; არ უნდა გამოვიჩინოთ მათდამი თანაგრძნობა მათი არეულობის დროსო; ეს თანაგრძნობა აქეზებდა მათ ახალ-ახალი უწესოებისაკენო, რასაც მაგალითებით, ე. ი. სხვადასხვა შემთხვევით ასურათებდნენ; — ამის გამო, ჯერ-ერთი, უნდა შევნიშნო, რომ არეულობის დროს ყოველგვარი შემთხვევის სხვადასხვანაირ არევ-დარევასა და სიჭრელეში შეუძლებელია რომელიმე მათგანი მივიღოთ, როგორც დამამტკიცებელი საბუთი, ვინაიდან ყოველ შემთხვევას აღმოუჩნდება სხვა მრავალი მსგავსი საწინააღმდეგო შემთხვევა,—ამიტომაც შესაძლებელია შეჩერება მხოლოდ ზოგად ნიშნებზე, რომელნიც, შევეცდები, მოკლედ განვიხილო.

სტუდენტობა, როგორც ყველამ ვიცით, სულაც არ არის განებივრებული; მას არათუ გუნდრუკს უკმევდნენ (40-იან წლებზე მე არ ვლაპარაკობ), არამედ საზოგადოების განსაკუთრებული თანაგრძნობითაც კი არ სარგებლობდა; არეულობების დროს კი საზოგადოება სტუდენტებს ეტაცოდა ან სულ გულგრილად, ან პირდაპირ უარყოფითად, ამტყუნებდა მხოლოდ და მხოლოდ მათ და არ იცოდა და არც სურდა ცოდნოდა ის მიზეზები, რომლებიც იწვევდნენ ამ არეულობას (უჯეროდა მხოლოდ სტუდენტობის საწინააღმდეგო მთავრობის ცნობებს და ეჭვიც არ შესდიოდა მათს სიმართლეში; საზოგადოება, მგონი, პირველად დაეჭვდა ამაში), — ასე რომ რაიმე გუნდრუკის კმევაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

რაკი სტუდენტობა აღარ მოელოდა მხარისდაჭერას არც ინტელიგენტური საზოგადოებისაგან და არც პროფესორებისა და უნივერსიტეტის ხელისუფალთაგან, მან თანაგრძნობის ძებნა დაიწყო ხალხის სხვადასხვა

ელემენტებში, — და აი ვხედავთ, რომ სტუდენტობამ, ბოლოს, ცოტად თუ ბევრად ეს კიდეც მოახერხა; მან თანდათან დაიწყო ხალხის მასის თანაგრძნობის მოპოვება.

ამაში რომ დავრწმუნდეთ, საკმარისია მხოლოდ მოვიგონოთ ის განსხვავება, რომელიც არსებობს სტუდენტობისადმი მასის დამოკიდებულებაში ოხოტნი რიადის ცემა-ტყეპის დროს და ახლა. და ამაში დიდი უბედურება იმალება: უბედურებაა არა საერთოდ თანაგრძნობა, არამედ ამ თანაგრძნობის ცალმხრივობა, ის დემაგოგიური ელფერი, რომელიც მას ენიჭება.

რაკი მოსწავლე ახალგაზრდობისადმი არავითარი თანაგრძნობა და დახმარება არ არსებობს დარბაისელი ინტელიგენციის მხრივ და ამ ნიადაგზე წარმოშობილია უნდობლობა, ჩვენი ახალგაზრდობა ძალაუნებურად უვარდება ხელში დეშაგოგებსა და რევოლუციონერებს; იგი მათი იარაღი ხდება, — და თვით მასშიც, აგრეთვე ძალაუნებურად, სულ უფრო ვითარდება დემაგოგიური ელემენტები, რომელნიც აშორებენ ახალგაზრდობას მშვიდობიან კულტურულ განვითარებას და არსებულ წესწყობილებას (თუ ამას წესწყობილება შეიძლება დაერქვას) და ისვრიან მას მტრულ ბანაკში.

ჩვენსავე თავს უნდა დავაბრალოთ, თუ ახალგაზრდობა აღარ გვენდობა; ჩვენ არაფრით არ დაგვიმსახურებია მისი ნდობა!

მგონი, ეს არის ის მთავარი აზრები, რაც გამოითქვა შეკრებილთა შორის; სხვა აზრების (რაც აგრეთვე ბლომად გამოითქვა) მოგონება, მგონი, არც კი ღირს.

ამრიგად, მე ვათავებ. აქ რომ შევიკრიბენით, აზრად გვქონდა რამე გაგვეკეთებინა დღევანდელი დღის ჭირვარამის შესამსუბუქებლად; ჩვენი ახალგაზრდობის მძიმე ხვედრის შესამსუბუქებლად — დღესვე, და არა შემდეგ როდისმე, მაგრამ დავმარცხდით, — და ახალგაზრდობას უფლება ექნება კვლავ თქვას და იტყვის კიდეც, რომ დღესაც, ისე როგორც წინათ, რუსეთის მშვიდობიან, დარბაისელ ინტელიგენციას არ შეუძლია, და არც სურს, რაიმე დახმარება გაუწიოს, გამოექომაგოს მას, გაიგოს მისი სულისკვეთება და შეუმსუბუქოს მწარე ხვედრი. — განხეთქილება ჩვენსა და ახალგაზრდობას შორის კიდევ უფრო გაიზრდება, და ახალგაზრდობა კიდევ უფრო მეტად მიეკედლება სხვადასხვაგვარ დემაგოგებს, რომელნიც ხელს უწვდიან მას.

ჩვენ იმიტომ კი არ დავმარცხდით, რომ არ იქნა მიღებული ჩვენ მიერ წაძოყენებული ღონისძიება — შეფისადმი მიმართვა; შესაძლებელია, ეს ღონისძიება მართლაც არ არის პრაქტიკული (თუმცა, ჩემი აზრით, არც ის ყოფილა განხილული), — არამედ დავმარცხდით იმიტომ, რომ ჩვენში ჩაკლულ იქნა რაიმე ღონისძიების მიღების ყოველგვარი შესაძლებლობა ჩვენი გატანჯული ახალგაზრდობის სასარგებლოდ, ჩვენ აღვიარეთ ჩვენი უძლურება და წინანდებურად ისევ სიბნელეში დავრჩით.

მაშ რაღა უნდა ვქნათ?
ხელი დავიბანოთ და განზე დავდგეთ?
ამ სიბნელეში მარხია რუსეთის ცხოვრების უსაშინელესი გამოუვალი ტრაგიზმი».

ამ სიტყვას ბევრი განმარტება აღარ ესაჭიროება. ისიც, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ საკმაოდ «გულმხიარულ» რუს აზნაურს ეკუთვნის, რომელიც დოქტრინიორული თუ პირადი უშიშროების ხასიათის მოტივებით მოკრძალებულია «არსებული წესწყობილების» «მშვიდობიანი კულტურული განვითარების» წინაშე და გულისწყრომას გამოთქვამს «რევოლუციონერების» მიმართ, რომელთაც «დემაგოგებში» ურევს. მაგრამ ეს გულისწყრომა, თუ კარგად დავუკვირდებით, იმ მოხუცის (არა ასაკით, არამედ შეხედულებით) ბუზღუნს ემსგავსება, რომელიც ამასთან მზადაა იმაშიც კი აღმოაჩინოს კარგი, რაზედაც ის ბუზღუნებს. «არსებულ წესწყობილებაზე» რომ ლაპარაკობს, მას არ შეუძლია არ დასძინოს: «თუ შეიძლება ამას წესწყობილება დაერქვას». მას ბევრი ბოღმა შემოსწოლია გულზე «მოხელეთა დიქტატურის» უწესოებით, «ყოველივე პიროვნულის და ღირსეულის სისტემატური, ქრონიკული დევნით», მას არ შეუძლია არ დაინახოს, რომ მთელი სისაძაგლე უმთავრესად ადმინისტრაციის მხრიდან მომდინარეობს, მას ჰყოფნის პირდაპირობა აშკარად აღიაროს თავისი უძლურება, მთელი ქვეყნის უბედურების წინაშე «ხელის დაბანის» უხამსობა. მართალია, მას კიდევ აშინებს სტუდენტებისადმი «მასის» თანაგრძნობის «ცალმხრივობა»; მის არისტოკრატულ-განებივრებულ გონებას ელანდება «დემაგოგიური» საფრთხე, შეიძლება, სოციალიზმის საფრთხეც კი (პირდაპირობისათვის პირდაპირობით გადავუხადოთ მას!). მაგრამ უგუნურება იქნებოდა სოციალისტურ სალესავზე გამოგვეცადა თავადაზნაურობის იმ წინამძღოლის შეხედულებანი და გრძნობები, რომელსაც მობეზრებია რუსეთის მურდალი ოფიციალურობა. ჩვენ ცბიერობა არ გვესაჭიროება — **არც მასთან და არც სხვასთან; როდესაც, მაგალითად, რუსი მემამულე ფაბრიკის მუშების უკანონო ექსპლოატაციისა**

და გაღატაკების გაცამტვერებას დაიწყებს, ჩვენ არ დავაყოვნებთ ვუთხრათ მას «ფრჩხილებში»: «შენს თავზე რომ დაიხედო, ვგონებ, ის აჯობებსო!». ჩვენ ერთი წუთითაც არ დავუმალავთ მას, რომ თანამედროვე საზოგადოების «ბატონ-პატრონთა» წინააღმდეგ ვდგავართ და ვიდგებით შეურიგებელი კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისზე. მაგრამ პოლიტიკური დაჯგუფება ისაზღვრება არა მარტო საბოლოო, არამედ უახლოესი მიზნებითაც, არა მარტო ზოგადი შეხედულებებით, არამედ უშუალო პრაქტიკული აუცილებლობის ზეგავლენითაც. ყველა, ვინც ნათლად ხედავს წინააღმდეგობას ქვეყნის «კულტურულ განვითარებასა» და «ბიუროკრატიული დიქტატურის სულშემხუთავ რეჟიმს» შორის, მას ადრე თუ გვიან თვით ცხოვრება მიიყვანს იმ დასკვნამდე, რომ ამ წინააღმდეგობის მოსპობა შეუძლებელია თვითმპყრობელობის მოუსპობლად. ამ დასკვნას რომ გააკეთებს, ის აუცილებლად დაეხმარება, — იბუზღუნებს, მაგრამ მაინც დაეხმარება, — იმ პარტიას, რომელიც შესძლებს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ დასძრას (არა მარტო მის თვალში, არამედ ყველას თვალში) მრისხანე ძალა. სოციალ-დემოკრატია რომ ასეთი პარტია გახდეს, ის, ვიმეორებთ, უნდა განიწმინდოს ყოველგვარი ოპორტუნისტული სიბილწისაგან და, რევოლუციური თეორიის დროშით, ყველაზე რევოლუციურ კლასზე დაყრდნობით, თავისი საგიტაციო და ორგანიზაციული მუშაობა გადაიტანოს მოსახლეობის ყველა კლასში!

თავადაზნაურობის წინამძღოლებს კი გამომშვიდობებისას ვეტყვით: ნახვამდის, ბატონო ჩვენო ხვალინდელო მოკავშირენო!

წინასიტყვაობა ბროშურისა «„გამაერთიანებელი» ყრილობის დოკუმენტები»

«ისკრის» მე-9 ნომერში (1901 წლის ოქტომბერი)* უკვე გამოქვეყნდა «ზარიას» და «ისკრის» ორგანიზაციის საზღვარგარეთული განყოფილების, რევოლუციური ორგანიზაციის «სოციალ-დემოკრატის» და საზღვარგარეთული «რუს სოციალ-დემოკრატთა კავშირის» გაერთიანების უშედეგო ცდის ამბავი. რუსეთის ყველა სოციალ-დემოკრატმა რომ დამოუკიდებელი აზრი შეადგინოს საზღვარგარეთული გაერთიანების ცდის წარუმატებლობის მიზეზთა შესახებ, ჩვენ გადავწყვიტეთ გამოვაქვეყნოთ «გამაერთიანებელი» ყრილობის ოქმები. სამწუხაროდ, «კავშირის» მიერ არჩეულმა ყრილობის მდივანმა უარი განაცხადა ყრილობის ოქმების შედგენაში მონაწილეობის მიღებაზე (როგორც ეს ჩანს ქვემოთ, 10—11 გვერდზე მოყვანილი მისი საპასუხო წერილიდან დანარჩენი ორი ორგანიზაციის მდივნების წინადადებაზე).

ეს უარი მით უფრო უცნაურია, რომ «კავშირმა» ამჟამად თვითონ გამოსცა «გამაერთიანებელი» ყრილობის ამბავი («ორი ყრილობა», ჟენევა, 1901). მაშასადამე, «კავშირს» სურს გააცნოს რუს ამხანაგებს ყრილობის შედეგები, მაგრამ ა რ ს უ რ ს გააცნოს მათ ყრილობაზე გამართული კამათი**. მკითხველებმა თვითონვე განსაჯონ ამგვარი მოუნდომებლობის შესაძლებელი და საეგებისო მიზეზები.

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 300—301. რ ე დ.

** ყრილობის რეგლამენტით, ოქმები უნდა დაემტკიცებინა თვით ყრილობას, სახელდობრ ყოველი შემდგომი სხდომა წინა სხდომის ოქმების დამტკიცებით უნდა დაწყებულიყო. მაგრამ ყრილობის მეორე დღეს, რო-

ჩვენ, ჩვენი მხრივ, მას შემდეგ, რაც «კავშირმა» უარი თქვა, უხერხულად ჩავთვალეთ გამოგვეცა კამათის ანგარიში, რომელიც ყველა მდივნის მიერ არ იყო შედგენილი, — ამიტომ იძულებული ვხდებით დავჯერდეთ ყრილობის ბიუროში შეტანილი ყველა დოკუმენტის და განცხადების გამოქვეყნებას. ყრილობის ბიუროში მონაწილეობას იღებდნენ სამივე ორგანიზაციის თავმჯდომარენი და მდივნები და ყველა განცხადება ბიუროში მხოლოდ წერილობით შეჰქონდათ, ასე რომ ყრილობის დოკუმენტებისა და განცხადებათა მიხედვით შედგენილი აღწერის მიუდგომლობა არავითარ ეჭვს არ იწვევს.

მეორე მხრივ, ბიუროში შეტანილი ყველა დოკუმენტისა და განცხადების გამოცემა ამჟამად მით უფრო საჭიროა, რომ «კავშირმა» თავისი უცნაური უარი ოქმების შედგენაში მონაწილეობის მიღებაზე დააგვირგვინა ყრილობის ანგარიშის შედგენის კიდევ უფრო უცნაური წესით. მაგ., «კავშირს» არ მოჰყავს სრულად ის შეკითხვები, რომელნიც «ისკრის» წარმომადგენელმა (ფრეიმ) ყრილობის ბიუროში შეიტანა «ისკრის» საზღვარგარეთული განყოფილების

დესაც თავმჯდომარემ სხდომის დაწყებისთანავე წინადადება შეიტანა დაემტკიცებინათ პირველი დღის ორი სხდომის ოქმები, სამივე მდივანმა ერთხმად განაცხადა, ოქმების წარმოდგენა არ შეგვიძლიაო. უსტენოგრაფობის გამო კამათის ჩანაწერი სრულებით არ იყო დამაკმაყოფილებელი. ამიტომ, თავისთავად ცხადია, თუ ღამით, ყრილობის მეორე და მესამე დღეს შუა, მდივნებს ოქმი არ ჰქონდათ შედგენილი, მეორე დღეს საღამოს, როდესაც ჩვენ ყრილობიდან წავედით, ოქმის შესახებ ლაპარაკიც შეუძლებელი იყო. ყველამ კარგად იცოდა, რომ ოქმები არ იყო მზად. მაშასადამე, «კავშირის» აღშფოთება, ჩვენი თავმჯდომარე «გაიქცა» ისე, რომ «არ დაუცადა ყრილობის ოქმების დამტკიცებასო» (ბროშურა «ორი ყრილობა», გვ. 29), თავის დასაძვრენი ხერხია და მეტი არაფერი. რაკი სტენოგრაფიული ოქმები არ დგებოდა, ერთადერთი გამოსავალი ის იყო, რომ სამივე მდივანი შეკრებილიყვნენ და შეედგინათ კამათის მიმდინარეობის მოკლე ანგარიში. ჩვენ სწორედ ეს ვითხოვეთ, მაგრამ «კავშირმა» უარი განაცხადა. ცხადია, პასუხისმგებლობა სრული თუ არა, ყოველ შემთხვევაში მოკლე ოქმების უქონლობისათვის «კავშირს» ეკისრება.

და «სოციალ-დემოკრატის» ორგანიზაციის სახელით*, სამაგიეროდ მას მოჰყავს ბიუროში წარუდგენელი და თვით ყრილობაზე გამოუქვეყნებელი პასუხი, რომელიც მხოლოდ «შეიმუშავა» «კავშირმა» (ბროშურა «ორი ყრილობა», გვ. 26). «კავშირი» ცდება, როცა ამბობს, რომ «შეკითხვა» უკანვე წაიღესო. შეკითხვა შესდგებოდა ორი კითხვისაგან, რომელიც ფრეიმ დაუყენა «კავშირს» ორი ორგანიზაციის სახელით (იხ. ქვემოთ, გვ. 6). არც ერთი ამ კითხვათაგანი ა რ ყ ო ფ ი ლ ა წ ა ღ ე ბ უ ლ ი უ კ ა ნ, შეცვლილ იქნა მხოლოდ შეკითხვის ფორმა, შეცვლილ იქნა იმგვარად, რომ კითხვები იქცეოდნენ რეზოლუციად, რომლისთვისაც კენჭი უნდა ეყარათ (ნაცვლად კითხვისა: «ცნობს თუ არა «კავშირი» პრინციპულად ივნისის კონფერენციის რეზოლუციას?» ნათქვამი იყო: «სამივე ორგანიზაცია ცნობს პრინციპულად ივნისის კონფერენციის რეზოლუციას» და სხვ.), შემდეგ, «კავშირს» არ მოჰყავს «ბრძოლის» ჯგუფის მიერ ბ ი უ რ ო შ ი შ ე ტ ა ნ ი ლ ი განცხადება (იხ. ქვემოთ, გვ. 6—7).

«კავშირი» არათუ გვაცნობს შინაარსს, არამედ არც კი იხსენიებს** «ბრძოლის» ჯგუფის ერთ-ერთი წევრის სიტყვას, რომელიც მან წარმოთქვა «კავშირის» მიერ ივნისის რეზოლუციებში შესწორებათა შეტანის შემდეგ. ამ სიტყვაში «ბრძოლის» ჯგუფის წევრმა, რომელიც ივნისის კონფერენციაშიც მონაწილეობდა, გაილაშქრა «კავშირის» შესწორებათა წინააღმდეგ. სამაგიეროდ «კავშირი» ბეჭდავს შესწორებათა «მოტივებს», რომელნიც ყრილობაზე ბ. კრიჩევსკიმ გამოთქვა, მაგრამ ბიუროში შეტანილი არ ყოფილა. ერთი სიტყვით, «კავშირმა» უარჰყო ჩვენი წინადადება ერთად შეგვედგინა კამათის მთელი მსვლელობა და ამჯობინა გამოექვეყნებინა მხოლოდ ის, რასაც თავის სასარგებლოდ თვლიდა, ხოლო კრინტი არ დაეძრა ზოგიერთ რამეზე, რაც ბიუროში იყო შეტანილი.

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 287. რ ე დ.

** ბროშურა «ორი ყრილობა», გვ. 28.

ჩვენ არ ვფიქრობთ მივბაძოთ ამ მაგალითს. ჩვენ დავჯერდებით ბიუროში შეტანილი ყველა განცხადებისა და დოკუმენტის გადაბეჭდვას და მხოლოდ აღვნიშნავთ იმას, თუ რა აზრი გამოთქვეს ყრილობაზე წარმოდგენილი ყველა ორგანიზაციის ორატორებმა. მკითხველებმა თვითონ განსაჯონ, დაარღვიეს თუ არა «რაბოჩეე დელოს» მეათე ნომრის სტატიებმა და «კავშირის» შესწორებებმა შეთანხმების ის პრინციპული ბაზისი, რომელიც ივნისის კონფერენციამ შეიმუშავა. რასაკვირველია, ჩვენ აგრეთვე უპასუხოდ ვტოვებთ ყველა იმ მრისხანე სიტყვას, რომელნიც ასე უხვად ამშვენებენ «კავშირის» ბროშურას და ბრალადაც კი გვდებენ «ცილისწამებას» ან იმას, ვითომ ჩვენი წასვლით ყრილობა «ჩაიშალა». ასეთ ბრალდებას მხოლოდ ღიმილი შეუძლია გამოიწვიოს: სამმა ორგანიზაციამ მოიყარა თავი შეერთების საკითხის განსახილველად; ორი ორგანიზაცია დარწმუნდა, რომ მესამეს ვერ შეუერთდებიან. ბუნებრივია, მათ ისღა დარჩენოდათ, რომ თავიანთი აზრი გამოეთქვათ და წასულიყვნენ. ამის მონათვლა ყრილობის «ჩაშლად», ხოლო «კავშირის» პრინციპული მერყეობის შესახებ გამოთქმული აზრის «ცილისწამებად» გამოცხადება მხოლოდ იმ ადამიანებს შეუძლიათ, რომელნიც სწორედ იმიტომ წყრებიან, რომ მართალი არ არიან.

რაც შეეხება ჩვენს აზრს რუსეთის სოციალ-დემოკრატიის სადავო საკითხების შესახებ, ჩვენ ვამჯობინებთ არ ავურიოთ ის ყრილობის შესახებ ცნობების ობიექტურ გადმოცემაში. გარდა იმ სტატიებისა, რომელნიც დაიბეჭდა და კიდევ დაიბეჭდება «ისკრასა» და «ზარიაში», ჩვენ ვამზადებთ და ახლო მომავალში გამოქვეყნდება ბროშურა, რომელიც სპეციალურად მიეძღვნება ჩვენი მოძრაობის მტკივნეულ საკითხებს.

დაწერილია 1901 წლის ნოემბერში.

პირველად დაიბეჭდა 1901 წლის დეკემბერს «რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ლიგის» მიერ გამოცემულ ბროშურაში

იბეჭდება ბროშურის ტექსტის მიხედვით

ფინელი ხალხის პროტესტი

მოგვყავს სრულად ახალი მასობრივი ადრესი, რის საშუალებით ფინელი ხალხი მტკიცე პროტესტს აცხადებს მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელმაც ხელყო და კვლავ ხელყოფს ფინეთის კონსტიტუციას და ამით არღვევს იმ ფიცს, საქვეყნოდ რომ დასდო ყველა მეფემ, დაწყებულმა ალექსანდრე I-ით და გათავებულმა ნიკოლოზ II-ით.

ეს ადრესი 1901 წლის 17 (30) სექტემბერს გადაეცა ფინეთის სენატს მეფისათვის მისართმევად. მას ხელს აწერს საზოგადოების ყველა ფენის ორივე სქესის 473 363 ფინელი, ე. ი. თითქმის ნახევარი მილიონი მოქალაქე. ფინეთის მთელი მოსახლეობა უდრის 2½ მილიონს, ასე რომ ახალი ადრესი ჭეშმარიტად მთელი ხალხის ხმაა.

აი ამ ადრესის სრული ტექსტი:

«უთვითმპყრობელესო, ყოვლად უმოწყალესო ხელმწიფე იმპერატორო და დიდო მთავარო! თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობის მიერ ფინეთის სამხედრო ბეგრის კანონის შეცვლამ მთელ მხარეში საყოველთაო შეძრწუნება და უღრმესი მწუხარება გამოიწვია.

ამა წლის 12 ივლისს (29 ივნისს) თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობის მიერ დამტკიცებული ბრძანება, მანიფესტი და სამხედრო ბეგრის კანონი დიდი სამთავროს ძირითადი კანონებისა და იმ უძვირფასესი უფლებების აშკარა დარღვევაა, რომელნიც ეკუთვნიან ფინელ ხალხს და ჩვენი მხარის ყველა მოქალაქეს თანახმად მისი კანონებისა.

ძირითადი კანონების მიხედვით, მხარის დასაცავად მოქალაქეთა მოვალეობის შესახებ წესები შეიძლება გამოცემულ იქნას მხოლოდ ერობის წარმომადგენელთა თანხმობით. სწორედ ამ წესით გამოიცა 1878 წლის სამხედრო ბეგრის კანონი იმპერატორ ალექსანდრე II და ერობის წარმომადგენელთა შეთანხმებული გადაწყვეტილებით. იმპერატორ ალექსან-

დრე III მეფობის დროს ნაწილობრივ ბევრჯერ შეიცვალა ეს კანონი, ბაგრამ ეს ხდებოდა ყოველთვის მხოლოდ ერობის წარმომადგენელთა თანხმობით. მიუხედავად ამისა, დღეს ერობის წარმომადგენელთა დაუკითხავად გამოცხადდა, რომ 1878 წლის კანონი უქმდება, მაშინ როდესაც მის სამაგიეროდ გამოცემული ახალი დადგენილებანი ერთიანად ეწინააღმდეგება 1899 წლის საგანგებო სეიმის ერობის წარმომადგენელთა გადაწყვეტილებას.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლება, რომელიც მიკუთვნებული აქვს თვითეულ ფინელ მოქალაქეს, — ეს არის ფინეთის კანონების მფარველობით ცხოვრება და მოქმედება. დღეს ეს უფლება ერთმევა მრავალ ათას ფინელ მოქალაქეს, ვინაიდან ახალი სამხედრო ბეგრის კანონი ავალდებულებს მათ იმსახურონ რუსეთის ჯარებში და მით სამხედრო ბეგრის მოხდას ტანჯვად აქცევს ჩვენი მხარის იმ შვილთათვის, რომელნიც ძალით იქნებიან ჩარიცხულნი ენით, სარწმუნოებით, ზნითა და ჩვეულებით მათთვის უცხო ჯარებში.

ახალი დადგენილებანი აუქმებენ ყოველწლიური კონტინგენტის ყოველგვარ, კანონით განსაზღვრულ, შეზღუდვას. გარდა ამისა, ახალ დადგენილებებში არ არის აღიარებული, რომ ერობის წარმომადგენლებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სამხედრო ბიუჯეტის განსაზღვრაში, რასაც ძირითადი კანონები ითვალისწინებენ.

წინააღმდეგ 1878 წლის კანონის ძირითადი დებულებისა, ლაშქარიც კი სამხედრო სამინისტროს სრულ მიხედულებაზეა დამოკიდებული.

ამგვარი წესებიდან მიღებული შთაბეჭდილება არ სუსტდება მანიფესტში გამოცხადებული შეღავათებით ჯერ კიდევ გაურკვეველი გარდამავალი დროის განმავლობაში, ვინაიდან ახლად გაწვეულთა რიცხვის დროებით შემცირებას მოჰყვება განუსაზღვრელი გაწვევა რუსეთის ჯარებში სასამსახუროდ.

ფინელ ხალხს არ უთხოვია რაიმე შეღავათი ახლანდელი სამხედრო ბეგრის მოხდაში. ერობის წარმომადგენლებმა, რომელთაც ხალხის აზრი გამოთქვეს, დაამტკიცეს, რომ ფინეთი მზადაა შეძლებისდაგვარად გააძლიეროს თავისი მონაწილეობა სახელმწიფოს დაცვის საქმეში, იმ პირობით კი, რომ შენარჩუნებული იქნება ფინეთის ჯარის, როგორც ფინეთის დაწესებულების, უფლებრივი მდგომარეობა.

ამის საწინააღმდეგოდ ახალი დადგენილებებით წესდება, რომ ფინეთის ჯარი უმეტეს ნაწილად უქმდება; დარჩენილი მცირე ნაწილების სამსახურში შესვლა შეუძლიათ რუს ოფიცრებს: ამ ნაწილებში უნტერ-ოფიცრებმაც კი უნდა იცოდნენ რუსული ენა, რითაც ფინეთის, უმთავრესად გლეხური წოდებიდან გამოსულ, მკვიდრთ სრულიად ესპობათ საშუალება დასახელებული თანამდებობის დაკავებისა; ეს ჯარის ნაწილები რუსეთის

საშმართველოების უწყების განკარგულებაში გადადიან და ისინი მშვიდობიან დროსაც კი შეიძლება ფინეთის საზღვრებს გარეთ იქნან განლაგებული.

ეს ბრძანებანი, რომელნიც რაიმე რეფორმას კი არ წარმოადგენენ, არამედ მიზნად ისახავენ მხოლოდ ფინეთის ნაციონალური ეკარის მოსპობას, მაჩვენებელია იმ უნდობლობისა, რომელიც ფინეთის ხალხს არაფრით არ დაუმსახურებია რუსეთთან შეერთების თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში.

ახალ დადგენილებებში სამხედრო ბეგრის შესახებ გვხვდება აგრეთვე ისეთი გამოთქმები, რომელნიც შეიცავენ ფინელი ხალხის ცალკე სამშობლოს არსებობის უარყოფას, ხოლო ამ მხარის მკვიდრთათვის უარყოფენ ფინეთის მოქალაქეობის უფლებებს. ამ გამოთქმებში გამოსჭვივის განზრახვანი, რომელნიც შეუთავსებელია ფინელი ხალხის უეჭველ უფლებასთან — რუსეთთან შეერთებულმა დაიცვას ის პოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც ურყევად ჰქონდა მინიჭებული ფინეთს 1809 წელს.

უკანასკნელ წლებში ჩვენს მხარეს მძიმე მწუხარება დაატყდა თავს. თანდათან ვრწმუნდებოდით, რომ ჩვენი ქვეყნის ძირითად კანონებს უგულებელყოფდნენ ნაწილობრივ საკანონმდებლო ღონისძიებათა სფეროში, ნაწილობრივ მნიშვნელოვან თანამდებობებზე რუს მოქალაქეთა დანიშვნით. მხარის ადმინისტრაციას იმგვარი მიმართულება მიეცა, თითქოს მისი დანიშნულება იყოს შეარყიოს მშვიდობა და წესრიგი, ხელი შეუშალოს საერთო-სასარგებლო მისწრაფებებს და შუღლი ჩამოაგდოს რუსებსა და ფინელებს შორის.

მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება ჩვენი მხარისთვის ეს არის სამხედრო ბეგრის შესახებ ახალ დადგენილებათა შემოღება.

1899 წლის 27 მაისის უქვეშევრდომილეს საპასუხო წარდგინებაში ერობის წარმომადგენლებმა დაწვრილებით მოგახსენეს იმ წესის შესახებ, რომელიც ფინეთის ძირითადი კანონების თანახმად დაცულ უნდა იქნას სამხედრო ბეგრის ახალი კანონის გამოცემის დროს. ამასთან მათ აღნიშნეს, რომ თუ სამხედრო ბეგრის ახალი კანონი სხვა წესით გამოიცემოდა, ასეთი კანონი, კიდეც რომ ემოქმედნა მას ძალადობის შემწეობით, არ ჩაითვლებოდა უფლებრივ კანონად, ხოლო ფინელი ხალხის თვალში მხოლოდ ძალის გრძანების გამომხატველი იქნებოდა.

ყოველივე ის, რაც ერობის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, უცვლელად შეადგენს ფინელი ხალხის უფლებრივ შეგნებას, რომელიც ძალდატანებით არ შეიძლება შეიცვალოს.

უნდა ვეუფრთხოდეთ იმ ფრიად მძიმე შედეგებს, რომელნიც მოსალოდნელია მოჰყვეს მხარის კანონებთან შეუთანხმებელ ბრძანებებს. მოხელეებისა და მთავრობის დაწესებულებათათვის იბადება მოვალეობის გრძნობის

ძტანჯველი გაორება, ვინაიდან სინდისი არ აძლევს მათ ნებას იხელმძღვანელონ ამგვარი ბრძანებებით. უკეთუ გამოქვეყნებული დადგენილებანი ძალაში შევა, კიდევ უფრო გაიზრდება იმ შრომისუნარიან გადასახლებულთა რიცხვი, რომელნიც უკვე ამის წინათ იძულებული იყვნენ, მოსალოდნელ ცვლილებათა შიშით, გადასახლებულიყვნენ.

ახალი დადგენილებანი სამხედრო ბეგრის შესახებ, ისე როგორც სხვა, ფინელი ხალხის განსაკუთრებული პოლიტიკური და ნაციონალური არსებობის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებანი, აუცილებლად არყევენ ნდობას მონარქსა და ხალხს შორის, აგრეთვე იწვევენ თანდათან გაძლიერებულ უკმაყოფილებას, საყოველთაო ჩაგვრის გრძნობას, რწმენის უქონლობას და უდიდეს დაბრკოლებას საზოგადოებისა და მის წეერთათვის ქვეყნის საკეთილდღეო მუშაობაში. ყოველივე ამის თავიდან ასაცილებლად მხოლოდ ერთადერთი საშუალება არსებობს: ზემომოყვანილი ბრძანებანი შეიცვალოს სამხედრო ბეგრის იმ კანონით, რომელიც გამოცემულია ერობის წარმომადგენელთა მონაწილეობით. ხოლო მსარის მთავრობის ხელისუფლებმა საზოგადოდ ზუსტად იხელმძღვანელონ ძირითადი კანონების მითითებებით.

ფინელ ხალხს არ შეუძლია განსაკუთრებულ ხალხად არ დარჩეს. ჩვენ ხალხს, საერთო ისტორიული ბედით, უფლებრივი შეგნებითა და კულტურული მუშაობით შეკავშირებულს, მუდამ ეყვარება ფინეთის სამშობლო და თავისი კანონზომიერი თავისუფლება. ხალხი არ უდალატებს თავის მისწრაფებას — ხალხთა შორის ღირსეულად დაიკავოს თავისი მცირედი, ბედით განკუთვნილი ადგილი.

როგორც ჩვენ გვწამს მტკიცედ ჩვენი უფლება და პატივს ვცემთ ჩვენს კანონებს, რომელნიც ჩვენთვის დასაყრდენია ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, — ასევე მტკიცედ ვართ დარწმუნებული იმაში, რომ ძლიერი რუსეთის ერთიანობა ოდნავადაც არ შეილახება, თუ ფინეთს მომავალშიც განაგებენ 1809 წელს განსაზღვრული ძირითადი საწყისების თანახმად, რათა რუსეთთან შეერთებულმა ბედნიერად და მშვიდად იგრძნოს თავი.

სამშობლოს წინაშე მოვალეობის გრძნობა აიძულებს ყველა თემის მცხოვრებთ და საზოგადოების ყველა ფენას მიმართოს თქვენს იმპერატორობითი უდიდებულესობას საქმის ვითარების მართალი და შეულამაზებელი გადმოცემით. ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ახლახან გამოქვეყნებული დადგენილება სამხედრო ბეგრის შესახებ, რომელიც ეწინააღმდეგება დიდი სამთავროს საქვეყნოდ დადასტურებულ ძირითად კანონებს, შეუძლებელია უფლებრივ კანონად იქნას აღიარებული. მოკალეობად მიგვაჩნია ამას დაეუმატოთ, რომ სამხედრო ბეგარას თავისთავად არა აქვს ისეთი მნიშვნელობა ფინელი ხალხისთვის, როგორც მტკიცე უფლებრივ საფუძველთა დაკარგვას და ესოდენ მნიშვნელოვანი საკითხის მიმართ კანონით უზრუნველყოფილ სიმშვიდეს. ამიტომ ფიქრობ[illegible]ილესად გთხოვთ, რათა თქვენმა

იმპერატორობითმა უდიდებულესობამ კეთილ ინებოს ამ წარდგინებაში აღძრული საკითხების ისეთი ყოვლად უმოწყალესი განხილვა, რომელსაც იწვევს მათი თვისების სერიოზულობა. დავშთებით და სხვ.».

ჩვენ ცოტა რამ დაგვრჩენია დავუმატოთ ამ ადრესს, რომელიც გამოხატავს ნამდვილ სახალხო მსჯავრს ძირითადი კანონების დამრღვევ რუს მოხელეთა ხროვის მიმართ.

მოგაგონებთ უმთავრეს ცნობებს «ფინეთის საკითხზე».

ფინეთი შეერთებულია რუსეთთან 1809 წელს, შვეციასთან ომის დროს. ფინელების, შვეციის მეფის ყოფილ ქვეშევრდომთა, თავის მხარეზე გადმოსაბირებლად ალექსანდრე პირველმა გადაწყვიტა ელიარებინა და დაემტკიცებინა ფინეთის ძველი კონსტიტუცია. ამ კონსტიტუციის მიხედვით არც ერთი ძირითადი კანონი არ შეიძლება გამოიცეს, შეიცვალოს, განიმარტოს ან გაუქმდეს, თუ თანახმა არ არის სეიმი, ე. ი. ყველა წოდების წარმომადგენელთა კრება. და ალექსანდრე პირველმა რამდენიმე მანიფესტით «საქვეყნოდ» დაადასტურა დაპირება ამ მხარის განსაკუთრებული კონსტიტუციის წმიდად დაცვის შესახებ».

ამ ფიცით განმტკიცებულ დაპირებას ადასტურებდა შემდეგ რუსეთის ყველა მეფე, მათ შორის იგი დაადასტურა ნიკოლოზ II-მ 1894 წლის 25 ოქტომბრის (6 ნოემბრის) მანიფესტით: «...პირობას ვდებ დავიცვა ისინი (ძირითადი კანონები) და მათი ურყევი და გარდუვალი ძალა და მოქმედება».

და აი, ხუთი წელიც არ გასულა, რომ რუსეთის მეფე ფიცის გამტეხი შეიქნა. მოსყიდული და მლიქვნელი პრესის მიერ ფინეთის ხანგრძლივი დევნის შემდეგ 1899 წლის 3 (15) თებერვალს გამოიცა «მანიფესტი», რომელმაც ახალი წესი დაამყარა: სეიმის თანხმობის მიუღებლად შეიძლება გამოცემულ იქნას კანონები, «თუ ისინი ეხება საერთო სახელმწიფოებრივ მოთხოვნილებებს ან დაკავშირებულია იმპერიის კანონმდებლობასთან».

ეს იყო კონსტიტუციის ალმაშფოთებელი დარღვევა, ნამდვილი სახელმწიფო გადატრიალება, რადგან

ყოველი კანონის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ იგი საერთო სახელმწიფოებრივ მოთხოვნილებებს ეხება!

და ეს სახელმწიფო გადატრიალება ძ ა ლ დ ა ტ ა ნ ე ბ ი თ მოხდა: გენერალ-გუბერნატორი ბობრიკოვი ფინეთში ჯარების შეყვანით იმუქრებოდა, თუ სენატი მანიფესტს არ გამოაქვეყნებდა. ფინეთში განლაგებულ რუსეთის ჯარებს უკვე დაურიგდათ (თვით რუსი ოფიცრების სიტყვით) საბრძოლო ვაზნები, ცხენები შეკაზმული ჰყავდათ და სხვ.

პირველ ძალმომრეობას ზედიზედ მოჰყვა მრავალი სხვა: ერთიმეორის მიყოლებით კრძალავდნენ ფინურ გაზეთებს, გაუქმეს კრების თავისუფლება, აავსეს ფინეთი რუსი ჯაშუშებისა და უსაზიზღრესი პროვოკატორების ხროვებით, რომელნიც ხალხს აქეზებდნენ ასაჯანყებლად, და სხვ. და სხვ.. ბოლოს, ს ე ი მ ი ს თ ა ნ ხ მ ო ბ ი ს მ ი უ ღ ე ბ ლ ა დ, გამოქვეყნდა 29 ივნისის (12 ივლისის) კანონი სამხედრო ბეგრის შესახებ, — კანონი, რომელიც საკმაოდაა გარჩეული ადრესში.

როგორც 1899 წლის 3 თებერვლის მანიფესტი, ისე 1901 წლის 29 ივნისის კანონი უ კ ა ნ ო ნ ო ა, ეს არის იმ ფიცის გამტეხისა და იმ ბაშიბუზუკთა ბრბოს ძალმომრეობა, რომელსაც მეფის მთავრობა ეწოდება. ორ მილიონ ნახევარი ფინელის აჯანყებაზე, რა თქმა უნდა, ფიქრიც არ შეიძლება, მაგრამ ჩვენ ყველამ, რუსეთის მოქალაქეებმა, უნდა ვიფიქროთ იმ შერცხვენაზე, რომელიც ჩვენ გვხვდა. ჩვენ ყველანი ჯერ კიდევ იმდენად მონები ვართ, რომ ჩვენით სარგებლობენ სხვა ხალხების დასამონებლად. ჩვენ კიდევ ვიტანთ ისეთ მთავრობას, რომელიც ჯალათის მძვინვარებით ახშობს არათუ ყოველგვარ მისწრაფებას თავისუფლებისადმი რუსეთში, არამედ აგრეთვე სარგებლობს რუსეთის ჯარებით სხვისი თავისუფლების ძალით გასაქელავად!

«ისკრა» № 11, 1901 წლის 20 ნოემბერი

იბეჭდება გაზეთ «ისკრის» ტექსტის მიხედვით

ჟურნალ «სვოგოდას» შესახებ

პაწია ჟურნალი «სვობოდა» ყოვლად უვარგისია. მის ავტორს — ჟურნალი სწორედ ისეთს შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს თავიდან ბოლომდე ერთი პირის დაწერილი იყოს — «მუშებისათვის» პოპულარულად წერის პრეტენზია აქვს. მაგრამ ეს არის არა პოპულარობა, არამედ დაბალი ხარისხის პოპულარობანა. ერთ უბრალო სიტყვასაც ვერ იპოვით, სულ მანჭიობაა... ავტორი ერთ ფრაზასაც არ იტყვის ისე, თუ ღვლარჭნილი სიტყვები, «ხალხური» შედარებები და «ხალხური» გამოთქმები არ იხმარა. და ასეთი მახინჯი ენით იღეჭება განგებ გავულგარებული გაცვეთილი სოციალისტური აზრები ისე, რომ არავითარი ახალი ცნობები, ახალი მაგალითები, ახალი დამუშავება არა ჩანს. პოპულარიზაცია, ვეტყოდით ჩვენ ავტორს, ძალიან დაშორებულია ვულგარიზაციას, პოპულარობანას. პოპულარული მწერალი, სულ უბრალო და საყოველთაოდ ცნობილი ცნობები რომ მოჰყავს, მარტივი მსჯელობით ან ოსტატურად შერჩეული მაგალითებით რომ აღნიშნავს ამ ცნობებიდან გამოყვანილ მთავარ დასკვნებს, ამით მკითხველს უღვიძებს ღრმა აზრებს, მის წინაშე შლის ღრმა მოძღვრებას და მოაზროვნე მკითხველს აღუძრავს ახალ-ახალ კითხვას. პოპულარული მწერალი ისეთ მკითხველს როდი გულისხმობს, რომელიც არ აზროვნებს, არ ხურს იაზროვნოს ან ამის უნარი არ შესწევს, — პირიქით, განუვითარებელი მკითხველის სახით მას წარმოდგენილი აქვს გონებრივი მუშაობის სერიოზული განზრახვა და ეხმარება მას შეასრულოს ეს სერიოზული და ძნელი სამუშაო,



პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა
«ჟურნალ «სვობოდას» შესახებ». — 1901 წ.

დაპატარავებულია

ხელმძღვანელობას უწევს, შველის პირველი ნაბიჯების გადადგმაში და ასწავლის როგორ განაგრძოს გზა დამოუკიდებლად. ვულგარული მწერალი გულისხმობს ისეთ მკითხველს, რომელიც თავს არ იტკივებს აზროვნებით და არც უნარი შესწევს აზროვნებისა, იგი მკითხველს კი არ უღვიძებს აზრს — გაეცნოს სერიოზული მეცნიერების საწყისებს, არამედ დამახინჯებულ-გამარტივებული, ოხუნჯობითა და ლათაიებით შეზავებული სახით აწვდის მას «მზამზარეულად» ამა თუ იმ მოძღვრების ყველა დასკვნას, ასე რომ მკითხველს ღეჭვაც კი არ სჭირდება, მხოლოდ გადასანსლავს ამ დომხალს.

დაწერილია 1901 წლის შემოდგომაზე

პირველად დაიბეჭდა 1936 წელს
ჟურნალ «ბოლშევიკის» № 2-ში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

საუბარი ეკონომიზმის დამცველებთან

მოგვყავს სრულად ერთ-ერთი ჩვენი წარმომადგენლის მიერ გამოგზავნილი

«წერილი რუსულ სოციალ-დემოკრატიულ ორგანოებს.

პასუხად ჩვენთან ერთად გადასახლებაში მყოფი ამხანაგების წინადადებისა — გამოგვეთქვა აზრი «ისკრის» შესახებ, გადავწყვიტეთ გაცნობოთ ამ ორგანოსთან ჩვენი უთანხმოების მიზეზები.

განსაკუთრებული სოციალ-დემოკრატიული ორგანოს გამოსვლა, რომელიც სპეციალურად პოლიტიკური ბრძოლის საკითხებისადმი იქნება მიძღვნილი, ჩვენ სავსებით დროულად მიგვაჩნია, მაგრამ ვფიქრობთ, რომ «ისკრა», რომელმაც ასეთი ამოცანა იკისრა, დამაკმაყოფილებლად ვერ ასრულებს მას. ამ ორგანოს ძირითადი ნაკლი, რომელიც წითელი ზოლივითაა გავლებული ყველა მის სვეტში და რომელიც აპირობებს ყველა მის დიდსა და მცირე ნაკლს, ის არის, რომ «ისკრა» შეტად თვალსაჩინო ადგილს უთმობს მოძრაობის იდეოლოგებს ამა თუ იმ მიმართულებაზე მათი გავლენის აზრით. ამავე დროს «ისკრა» ანგარიშს არ უწევს მოძრაობის იმ მატერიალურ ელემენტებს და იმ მატერიალურ გარემოს, რომელთა ურთიერთმოქმედებიდან ყალიბდება მუშათა მოძრაობის გარკვეული ტიპი და ისაზღვრება მისი გზა, და ამ გზიდან მისი აცდენა არ ძალუძს იდეოლოგების არავითარ ცდას, თუნდაც ისინი საუკეთესო თეორიებით და პროგრამებით იყვნენ შთაგონებულნი.

«ისკრის» ეს ნაკლი განსაკუთრებით გვხვდება თვალში, როცა მას ვადარებთ «იუჟნი რაბოჩის» [80], რომელიც, «ისკრის» მსგავსად, პოლიტიკური ბრძოლის დროშას აფრიალებს და ამ ბრძოლას სამხრეთ-რუსეთის მუშათა მოძრაობის წინანდელ ფაზისს უკავშირებს. საკითხის ასეთი დაყენება სრულიად უცხოა «ისკრისთვის». იგი მიზნად ისახავს «ნაპერწკალი დიდ ხანძრად გადააქციოს», მაგრამ ავიწყდება, რომ ამისათვის აუცილებელია შესაფერი საწვავი მასალა და ხელშემწყობი გარეშე პირობები. «ისკრა» მკაცრად

ემიჯნება «ეკონომისტებს» და ამავე დროს მხედველობიდან უშვებს იმას, რომ მათმა მოღვაწეობამ მოამზადა მუშების ის მონაწილეობა თებერვლისა და მარტის ამბებში, რომელსაც ის განსაკუთრებული თავგამოდებით უსვამს ხაზს და, როგორც ჩანს, ძალიანაც აზვიადებს. «ისკრა» უარყოფით ეპყრობა 90-იანი წლების დასასრულის სოციალ-დემოკრატების მოღვაწეობას და ამავე დროს უგულებელჰყოფს იმას, რომ იმ დროს არ იყო პირობები სხვაგვარი მუშაობისთვის, გარდა წვრილმანი მოთხოვნებისათვის ბრძოლისა, და იმ უდიდეს აღმზრდელობითს მნიშვნელობას, რომელიც ამ ბრძოლას ჰქონდა. «ისკრა» სრულიად უმართებულოდ და არაისტორიულად აფასებს ამ პერიოდს და რუსეთის სოციალ-დემოკრატების მოღვაწეობის ამ ძიმართულებას და მათს ტაქტიკასა და ზუბატოვის ტაქტიკას აიგივებს; ის ვერ ხედავს განსხვავებას «წვრილმანი მოთხოვნებისათვის ბრძოლასა» და «წვრილმან დათმობებს» შორის: პირველი აფართოებს და აღრმავებს მუშათა მოძრაობას, ხოლო მეორის მიზანია მოადუნოს ყოველგვარი ბრძოლა და ყოველგვარი მოძრაობა.

«ისკრა» ერთიანად გამსჭვალულია სექტანტური შეუწყნარებლობით, რაც ესოდენ დამახასიათებელია სოციალურ მოძრაობათა სიყმაწვილის პერიოდის იდეოლოგთათვის და მზად არის «ისკრასთან» ყოველგვარი უთანხმოება გამოაცხადოს არა მარტო სოციალ-დემოკრატიული პრინციპების ღალატად, არამედ მტრის ბანაკში გადასვლადაც კი. ასეთია მისი მეტად უმართებულო გამოსვლა, სასტიკი, შეუბრალებელი გაიცხვის ღირსი გამოსვლა «რაბოჩაია მისლის» წინააღმდეგ, რომელსაც მან უძღვნა სტატია ზუბატოვის შესახებ და რომლის გავლენასაც მიაწერა ზუბატოვის წარმატება მუშების ერთ ნაწილში. «ისკრა» უარყოფით ეპყრობა სხვა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს, რომელნიც სხვანაირად, ვიდრე ის, უყურებენ რუსეთის მუშათა მოძრაობის მსვლელობასა და ამოცანებს და, მათთან პოლემიკით გატაცებული, ხანდახან ივიწყებს ჭეშმარიტებას, კილოს აბამს ცალკეულ, მართლაც უხეირო გამოთქმებს და მოწინააღმდეგეთ მიაწერს იმ შეხედულებებს, რომელნიც მათ არ გამოუთქვამთ, ხშირად ხაზგასმით აღნიშნავს არაარსებითი უთანხმოების პუნქტებს და ჯიუტად ჩქმალავს მრავალ საერთო აზრს: ჩვენ მხედველობაში გვაქვს «ისკრის» დამოკიდებულება «რაბოჩეე დელოსადმი».

პოლემიკისადმი მისი ეს გადაჭარბებული ძიდრეკილება უწინარეს ყოვლისა გამომდინარეობს იქიდან, რომ «ისკრა» აზვიადებს «იდეოლოგიის» (პროგრამების, თეორიების...) როლს მოძრაობაში, რაოდენადმე კი იგი გამოძახილია ურთიერთლანძღვისა, რომელიც რუს ემიგრანტთა შორის გაჩაღდა დასავლეთში და რომლის ამბავი მათ ქვეყანას ამცნეს მთელი რიგი პოლემიკური ბროშურებითა და სტატიებით. ჩვენი შეხედულებით, მთელ ამ უთანხმოებას თითქმის არავითარი გავლენა არა აქვს რუსეთის სოციალ-

დემოკრატიული მოძრაობის ფაქტიურ მსვლელობაზე; მხოლოდ ვნება თუ მოაქვს მოძრაობისათვის და არასასურველი განხეთქილება შეაქვს რუსეთში მომუშავე ამხანაგების წრეში; ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია უარყოფით არ მოვეკიდოთ «ისკრის» პოლემიკურ სიფიცხეს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ის მართებულობის საზღვარს სცილდება.

იგივე ძირითადი ნაკლი იწვევს «ისკრის» არათანამიმდევრობას სხვადასხვა საზოგადოებრივი კლასისა და მიმართულებისადმი სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულების საკითხში. «ისკრა» თეორიული გაანგარიშებით წყვეტს აბსოლუტიზმის წინააღმდეგ ბრძოლაზე დაუყოვნებლივი გადასვლის ამოცანას და ამავე დროს, ალბათ, გრძნობს მუშებისათვის ამ ამოცანის მთელ სიძნელეს დღევანდელ ვითარებაში, მაგრამ მოთმინება არ ჰყრიფნის დაუცადოს მათ მიერ ძალების დაგროვებას ამ ბრძოლისათვის — ამიტომ ის იწყებს მოკავშირეების ძებნას ლიბერალებისა და ინტელიგენციის რიგებში და ამ ძებნაში ხშირად სცილდება კლასობრივ თვალსაზრისს, აფუჩეჩებს კლასობრივ წინააღმდეგობებს და წინ აყენებს მთავრობით ერთნაირად უკმაყოფილებას, თუმცა «მოკავშირეების» ამ უკმაყოფილების მიზეზები და დონე სულ სხვადასხვანაირია. ასეთია, მაგ., «ისკრის» დამოკიდებულება ერობისადმი. «ისკრა» ცდილობს ერობის ოპოზიციური გამოსვლები, რაც ხშირად გამოწვეულია მთავრობის მიერ ბატონ ერობელთა აგრარული ზრახვების, მრეწველობასთან შედარებით, სუსტი დაცვით, — გადააქციოს პოლიტიკური ბრძოლის ხანძრად და მთავრობის საჩუქრებით დაუკმაყოფილებელ თავადაზნაურთ ჰპირდება მუშათა კლასის დახმარებას და ამავე დროს კრინტსაც არა სძრავს მოსახლეობის ამ ფენების კლასობრივ უთანხმოებაზე. ჩვენ შეგვიძლია დავუშვათ, რომ ერობელთა გამოვიძებაზე ლაპარაკი და ერობაზე, როგორც მთავრობასთან მებრძოლ ელემენტზე მითითება შეიძლება, მაგრამ ეს უნდა ხდებოდეს ნათელი და მკაფიო ფორმით, რომელიც არავითარ ეჭვს არ უნდა სტოვებდეს ამგვარ ელემენტებთან ჩვენი შესაძლებელი შეთანხმების ხასიათის შესახებ. «ისკრა» კი ერობისადმი დამოკიდებულების საკითხს ისე აყენებს, რომ ამას, ჩვენი აზრით, შეუძლია მხოლოდ გაბუნდოვანოს კლასობრივი შეგნება, რადგან აქ ის ლიბერალიზმის და სხვადასხვა კულტურულ წამოწყებათა მქადაგებლებთან ერთად ეწინააღმდეგება სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურის ძირითად ამოცანას, რომელიც გამოიხატება ბურჟუაზიული წყობილების კრიტიკითა და კლასობრივი ინტერესების გამოაშკარავებით და არა მათი ანტაგონიზმის მიჩქმალვით. ასეთივეა «ისკრის» დამოკიდებულება სტუდენტთა მოძრაობისადმიც. ამავე დროს სხვა სტატიებში «ისკრა» სასტიკად გმობს ყოველგვარ «კომპრომისს» და იცავს, მაგალ., გედისტების შეუწყნარებელ საქციელს.

ჩვენ აღარ ვჩერდებით «ისკრის» სხვა უფრო ნაკლებ მნიშვნელოვან ნაკლსა და შეცდომებზე; მხოლოდ დასასრულ უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენი

კრიტიკით სრულებითაც არ გვინდა დავამცირეთ ის მნიშვნელობა, რომელიც შეიძლება ჰქონდეს «ისკრას» და კარგად ვხედავთ მის ღირსებებსაც. ჩვენ მივესალმებით მას, როგორც პოლიტიკურ სოციალ-დემოკრატიულ გაზეთს რუსეთში. ჩვენ დიდ დამსახურებად მიგვაჩნია ის, რომ «ისკრამ» ძარღვვედ გაარკვია ტერორის საკითხი, რომელსაც თავის დროზე რამდენიმე სტატია უძღვნა. ბოლოს, არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ «ისკრის» საუცხოო, არალეგალურ გამოცემებში ასე იშვიათი, ლიტერატურული ენა, მისი რეგულარული გაძოსვლა და ახალი და საინტერესო მასალების სიუხვე.

1901 წლის სექტემბერი

ამხანაგები».

ამ წერილის გამო უწინარეს ყოვლისა უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენ სულითა და გულით მივესალმებით მისი ავტორების პირდაპირობას და გულახდილობას. დიდი ხანია დროა ბოლო მოეღოს კეკემალულობას, თავისი ეკონომიური «credo»-ს * დამალვას (როგორც ამას სჩადის ნაწილი ოდესის კომიტეტისა, რომელსაც «პოლიტიკოსები» გამოეყვნენ) ან ისეთ განცხადებას, თითქოს ჭეშმარიტების დასაცინად, რომ ამჟამად, «ვერც ერთს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას ეკონომიზმს ვერ დავწამებთო» («რაბოჩეე დელოს» მიერ გამოც. ბროშურა «ორი ყრილობა», გვ. 32). — ახლა კი საქმეს შევუდგეთ.

წერილის ავტორების ძირითადი შეცდომა სწორედ ისეთივეა, როგორიც «რაბოჩეე დელოს» მოსდის (იხ. განსაკუთრებით № 10). ისინი იბნევიან მოძრაობის «მატერიალურ» («რაბ. დელოს» სიტყვით, სტიქიურ) და იდეოლოგიურ (შეგნებულ, «გეგმით», მოქმედ) ელემენტთა ურთიერთდამოკიდებულების საკითხში. მათ არ ესმით, რომ «იდეოლოგი» მხოლოდ მაშინ არის იდეოლოგის სახელწოდების ღირსი, როდესაც წინ უძღვება სტიქიურ მოძრაობას და გზას უჩვენებს მას, როდესაც ის ყველაზე ადრე წყვეტს თეორიულ, პოლიტიკურ, ტაქტიკურ და ორგანიზაციულ საკითხებს, რომელთაც მოძრაობის «მატერიალური ელემენტები» სტიქიურად აწყდებიან. მართლა რომ «ანგარიში გავუწიოთ მოძრაობის მატერიალურ ელე-

* — მრწამსი, პროგრამა, მსოფლმხედველობის გადმოცემა. რ ე დ.

მენტებს», საჭიროა კრიტიკულად მოვეპყროთ მათ, უნდა შეგვეძლოს სტიქიური მოძრაობის საფრთხისა და ნაკლის აღნიშვნა, უნდა შეგვეძლოს სტიქიურობის შეგნებულობამდე ამაღლება. იმის თქმა კი, ვითომ იდეოლოგები (ე. ი. შეგნებული ხელმძღვანელები) ვერ ააცდენენ მოძრაობას გარემოს და ელემენტების ურთიერთმოქმედებით განსაზღვრულ გზასო, — ნიშნავს იმ ანბანური ჭეშმარიტების დავიწყებას, რომ შეგნებულობა მონაწილეობს ამ ურთიერთმოქმედებაში და ამ განსაზღვრაში. ევროპის კათოლიკური და მონარქიული მუშათა კავშირებიც გარემოსა და ელემენტების ურთიერთმოქმედების აუცილებელი შედეგია, მხოლოდ ამ ურთიერთმოქმედებაში მონაწილეობდა ხუცებისა და ზუბატოვების და არა სოციალისტების შეგნებულობა. წერილის ავტორთა (ისე როგორც «რაბ. დელოს») თეორიული შეხედულებანი წარმოადგენს არა მარქსიზმს, არამედ მარქსიზმის იმ პაროდიას, რომლითაც თავი მოაქვთ ჩვენს «კრიტიკოსებს» და ბერნშტეინელებს, რომელთაც არ იციან, თუ როგორ დაუკავშირონ ერთმანეთს სტიქიური ევოლუცია და შეგნებული რევოლუციური მოქმედება.

დღევანდელ მომენტში ეს დიდი თეორიული შეცდომა აუცილებლად იწვევს უდიდეს ტაქტიკურ შეცდომას, რომელმაც უკვე განუზომელი ზიანი მიაყენა და დღესაც აყენებს რუსეთის სოციალ-დემოკრატიას. საქმე ის არის, რომ როგორც მუშათა მასის, ისე (მისი გავლენით) სხვა საზოგადოებრივი ფენების სტიქიური აღმავლობა უკანასკნელ წლებში გასაოცარი სისწრაფით ხდება. მოძრაობის «მატერიალური ელემენტები» გიგანტურად გაიზარდა 1898 წელთან შედარებითაც კი, მაგრამ შეგნებული ხელმძღვანელები (სოციალ-დემოკრატები) ჩამორჩებიან ამ ზრდას. ეს არის რუსეთის სოციალ-დემოკრატიის დღევანდელი კრიზისის ძირითადი მიზეზი. მასობრივ (სტიქიურ) მოძრაობას საკმარისად არა ჰყავს თეორიულად იმდენად მომზადებული «იდეოლოგები», რომ დაზღვეულნი იყვნენ ყოველგვარი მერყეობისაგან, — საკმაოდ არა ჰყავს ისეთი ხელ-

მძღვანელები, რომელთაც ისეთი ფართო პოლიტიკური მსოფლმხედველობა, ისეთი რევოლუციური ენერგია, ისეთი ორგანიზატორული ნიჭი ჰქონდეთ, რომ ახალი მოძრაობის ბაზისზე მებრძოლი პოლიტიკური პარტია შექმნან.

მაგრამ ეს კიდევ არ იქნებოდა დიდი უბედურება. თეორიული ცოდნაც, პოლიტიკური გამოცდილებაც, ორგანიზატორული მოხერხებაც, — ყოველივე ეს ისეთი რამაა, რის შეძენა შესაძლებელია. ოღონდ სურვილი იყოს სწავლისა და საჭირო თვისებათა გამომუშავებისა. მაგრამ აი 1897 წლის დასასრულიდან და განსაკუთრებით 1898 წლის შემოდგომიდან რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში თავი წამოყვეს ისეთმა ადამიანებმა და ისეთმა ორგანოებმა, რომელნიც არა მარტო თვალს არიდებდნენ ამ ნაკლს, არამედ მას განსაკუთრებულ სათნოებადაც კი აცხადებდნენ, სტიქიურობის წინაშე ქედის მოხრასა და მონურ თაყვანისცემას თეორიად ასაღებდნენ და ქადაგებდნენ, რომ სოციალ-დემოკრატები წინ კი არ უნდა მიუძღოდნენ მოძრაობას, არამედ კუდში უნდა მიჩანჩალებდნენ მასო. (ამ ორგანოებს ეკუთვნოდა არა მარტო «რაბოჩაია მისლი», არამედ «რაბოჩეე დელოც», რომელმაც «სტადიების თეორიით» დაიწყო და სტიქიურობის, «აწმყოში მოძრაობის სრულუფლებიანობის», «ტაქტიკა-პროცესის» და სხვათა პრინციპული დაცვით დაამთავრა.)

აი ეს კი უკვე ნამდვილი უბედურება იყო. ეს იყო განსაკუთრებული მიმართულების შექმნა, რომელსაც დაერქვა ეკონომიზმი (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) და რომლის ძირითადი ნიშანია ჩამორჩენილობის გაუგებლობა და დაცვაც კი, ე. ი., როგორც უკვე განვმარტეთ, დაცვა შეგნებული ხელმძღვანელების ჩამორჩენილობისა მასების სტიქიურ აღმავლობასთან შედარებით. ამ მიმართულებას ახასიათებს: პრინციპულად — მარქსიზმის წარყვნა და უმწეობა თანამედროვე «კრიტიკის» წინაშე, ოპორტუნიზმის ამ უახლესი სახეობის წინაშე; პოლიტიკურად — მისწრაფება პოლიტიკური აგიტაციის და პოლიტიკური ბრძოლის ფარგლების შევიწროებისა და მათი წვრილ-

მანზე დახურდავებისა. იმის შეუგნებლობა, რომ, თუ სოციალ-დემოკრატიამ თავის ხელში არ აიღო საერთო დემოკრატიული მოძრაობის ხელმძღვანელობა, ის ვერ დაამხობს თვითმპყრობელობას; ტაქტიკურად—სრული მერყეობა («რაბოჩეე დელო» გაზაფხულზე საგონებელში ჩავარდა და არ იცოდა როგორ მოქცეოდა «ახლად» წამოჭრილ ტერორის საკითხს და მხოლოდ ნახევარი წლის შემდეგ, მთელი რიგი მერყეობის შემდეგ, მეტად ორაზროვან რეზოლუციაში წინ აღუდგა მას და, როგორც ყოველთვის, კუდში მოექცა მოძრაობას); ორგანიზაციულად — იმის გაუგებლობა, რომ მოძრაობის მასობრივი ხასიათი კი არ ასუსტებს, არამედ, პირიქით, აძლიერებს ჩვენს მოვალეობას — შევქმნათ რევოლუციონერთა მტკიცე და ცენტრალიზებული ორგანიზაცია, რომელსაც შეეძლება უხელმძღვანელოს როგორც მოსამზადებელ ბრძოლას, ისე ყოველგვარ მოულოდნელ აფეთქებას და, ბოლოს, უკანასკნელ გადამწყვეტ თავდასხმასაც.

ამ მიმართულების წინააღმდეგ ჩვენ ვაწარმოებდით და მომავალშიც ვაწარმოებთ შეურიგებელ ბრძოლას. წერილის ავტორები კი, როგორც ჩანს, თვითონ ეკუთვნიან ამ მიმართულებას. ისინი ჩვენ მიგვითითებენ, ეკონომიურმა ბრძოლამ მოამზადა მუშების მონაწილეობა დემონსტრაციებშიო. დიახ, და სწორედ ჩვენ ყველაზე ადრე და ყველაზე დიდად დავაფასეთ ეს მომზადება, როცა ჯერ კიდევ 1900 წლის დეკემბერში (№ 1) გავილაშქრეთ სტადიების თეორიის წინააღმდეგ *, როცა თებერვალში (№ 2), სტუდენტების ჯარისკაცებად გაგზავნისთანავე და დემონსტრაციის დაწყებამდე, მოვუწოდებდით მუშებს სტუდენტების დასახმარებლად გამოსულიყვნენ**. თებერვლისა და მარტის ამბებს კი არ «გაუბათილებიათ «ისკრის» შიში და სიფრთხილე» (როგორც ფიქრობს მარტინოვი— «რაბ. დელოს» № 10, გვ. 53 — მარტინოვი, რომელიც ამით საქმის ვითარების სრულ უცოდინარობას ააშკარავებს), არამედ

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 4, გვ. 449 — 456. რ ე დ.

** იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 4, გვ. 510 — 516. რ ე დ.

სავსებით დაადასტურეს ეს, ვინაიდან ხელმძღვანელები ჩ ა-
მ ო რ ჩ ნ ე ნ მასების სტიქიურ აღმავლობას, ისინი, რო-
გორც ხელმძღვანელნი, მოუმზადებელნი აღმოჩნდნენ თა-
ვიანთ მოვალეობათა შესასრულებლად. ეს მომზადება
ამჟამადაც არ არის კარგად დაყენებული, ამიტომ ყოველგვა-
რი ლაპარაკი «იდეოლოგიის როლის» ან სტიქიურ ელე-
მენტთან შედარებით შეგნებული ელემენტის როლის «გადა-
ჭარბებულ შეფასებაზე» და სხვ. — უაღრესად მავნე პრაქ-
ტიკულ გავლენას ახდენს ჩვენს პარტიაზე.

ასეთსავე მავნე გავლენას ახდენს ის ლაპარაკი, ვითომ
კლასობრივი თვალსაზრისით საჭიროა ნაკლებად გაესვას
ხაზი იმას, რომ მოსახლეობის სხვადასხვა ფენა ერთნაირად
უკმაყოფილოა მთავრობისა. პირიქით, ჩვენ ვამაყობთ იმით,
რომ «ისკრა» პოლიტიკურ უკმაყოფილებას აღვიძებს მოსახ-
ლეობის ყ ვ ე ლ ა ფენაში, და ვწუხვართ მხოლოდ, რომ
ამას ვერ ვახერხებთ უფრო ფართო მასშტაბით. მართალი არ
არის, რომ ამასთან ჩვენ ვითომ კლასობრივ თვალსაზრისს
ვჩქმალავდეთ: წერილის ავტორებს ასეთი მიჩქმალვის არც
ერთი კონკრეტული მაგალითი არ მოუყვანიათ და არც შეუძ-
ლიათ მოიყვანონ. მაგრამ, როგორც დემოკრატიისათვის
მოწინავე მებრძოლმა, სოციალ-დემოკრატიამ — წინააღმდეგ
«რაბოჩეე დელოს» № 10, გვ. 41, აზრისა — უნდა უხელ-
მძღვანელოს სხვადასხვა ოპოზიციური ფენის აქტიურ მოღვა-
წეობას, განუმარტოს ამ ფენებს მთავრობასთან მათი კერძო
და პროფესიულ შეტაკებათა საერთო პოლიტიკური მნიშვნე-
ლობა, მიიზიდოს ისინი რევოლუციური პარტიის მხარდასაჭ-
ერად, მან უნდა აღზარდოს თავის წრეში ისეთი ბელადები,
რომლებიც შესძლებენ პოლიტიკური გავლენა მოახდინონ
ყველა და ყოველგვარ ოპოზიციურ ფენაზე. ამ როლის ყო-
ველგვარი უარყოფა, რაც უნდა მაღალფარდოვანი ფრაზებით
ილაპარაკონ პროლეტარულ ბრძოლასთან მჭიდრო, ორგანუ-
ლი კავშირის შესახებ და სხვ., უდრის სოციალ-დემოკრატე-
ბის ისევ «ჩამორჩენილობის დაცვას», ჩამორჩენილობისა
საერთო სახალხო დემოკრატიული მოძრაობის აღმავლობას-

თან შედარებით, უდრის ხელმძღვანელი როლის გადაცემას ბურჟუაზიული დემოკრატიისათვის. დაუფიქრდნენ წერილის ავტორები იმას, თუ რატომ გამოიწვიეს გაზაფხულის ამბებმა რევოლუციურ ა რ ა სოციალ-დემოკრატიულ მიმართულებათა ასეთი გამოცოცხლება იმის ნაცვლად, რომ გამოეწვიათ სოციალ-დემოკრატიის ავტორიტეტისა და პრესტიჟის გაძლიერება!

ჩვენ არ შეგვიძლია აგრეთვე არ გავილაშქროთ იმ გასაოცარი სიბეცის წინააღმდეგ, რომელსაც ამჟღავნებენ წერილის ავტორები ემიგრანტთა პოლემიკის და ურთიერთლანძღვის საკითხში. ისინი იმეორებენ ძველ ლაყბობას ზუბატოვის შესახებ დაწერილი სტატიის «რაბოჩაია მისლისათვის» მიძღვნის «უმართებულობაზე». ხომ არ ფიქრობენ ავტორები იმის უარყოფას, რომ ეკონომიზმის გავრცელება საქმეს უმსუბუქებს ბატონ ზუბატოვებს? ჩვენც მხოლოდ ამას ვლაპარაკობთ და სრულებითაც არ «ვაიგივებთ» ეკონომისტების ტაქტიკას და ზუბატოვის ტაქტიკას, ხოლო რაც შეეხება «ემიგრანტებს» (წერილის ავტორები რომ არ იყვნენ ასე შეუწყნარებლად უდარდელნი რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში იდეათა თანამომდევნობის მიმართ, მათ ეცოდინებოდათ, რომ «ემიგრანტების», სახელდობრ «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის, გაფრთხილება ეკონომიზმის შესახებ ბრწყინვალედ გამართლდა!), შეგიძლიათ მოისმინოთ, როგორი აზრისა იყო 1852 წელს რეინის მუშებში მომუშავე ლასალი ლონდონის ემიგრაციაში გაჩაღებული კამათის შესახებ:

«არა მგონია, — სწერდა ის მარქსს, — პოლიციამ ხელი შეუშალოს «დიდი ადამიანების», კინკელის, რუგეს და სხვათა წინააღმდეგ შენი თხზულების გამოცემას. ...ჩემი აზრით, მთავრობას კიდევაც უხარია ასეთ თხზულებათა გამოქვეყნება, ვინაიდან ის ფიქრობს, რომ «რევოლუციონერები ერთმანეთს დასჭამენ». პარტიული ბრძოლა რომ ძალასა და სიცოცხლეს ძატებს პარტიას, რომ პარტიის სისუსტის უდიდესი დამამტკიცებელია მისი უსახობა და მკვეთრად აღნიშნული საზღვრების წაშლა, რომ პარტია მტკიცდება იმით, რომ

სწმენდს თავის თავს, — ამას ბიუროკრატიული ლოგიკა ვერ ამჩნევს და ეს მას არც აშინებს» (ლასალის წერილიდან მარქსისადმი 1852 წლის 24 ივნისის თარიღით) [81].

ეს ყველა იმ, დღეს ესოდენ მრავალრიცხოვანი, გულკეთილი ადამიანის საყურადღებოდ, რომელნიც წინააღმდეგ არიან სიმკაცრის, შეურიგებლობის, პოლემიკური სიფიცხისა და სხვ.!

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ სადავო საკითხებს მხოლოდ გაკვრით შევეხეთ. მათს დაწვრილებით განხილვას ჩვენ ვუძღვნით ცალკე ბროშურას, რომელიც, ვიმედოვნებთ, თვენახევარში გამოვა.

«ისკრა» № 12, 1901 წლის 6 დეკემბერი

იბეჭდება გაზეთ «ისკრის» ტექსტის მიხედვით

გ. ვ. პლეხანოვის რევოლუციური მოღვაწეობის ოცდახუთი წლისთავისათვის

«ისკრის» რედაქცია სულით და გულით უერთდება გ. ვ. პლეხანოვის რევოლუციური მოღვაწეობის ოცდახუთი წლისთავის საიუბილეო დღესასწაულს. დაე ამ დღესასწაულმა განამტკიცოს რევოლუციური მარქსიზმი, რომელსაც ერთადერთს შეუძლია უხელმძღვანელოს პროლეტარიატის მსოფლიო გამათავისუფლებელ ბრძოლას და გაუმკლავდეს ახალი სახელწოდებით ასეთი ხმაურით გამოსული მარად ძველი ოპორტუნიზმის შემოტევას. დაე ამ დღესასწაულმა განამტკიცოს კავშირი ათასობით ახალგაზრდა რუს სოციალ-დემოკრატებსა, რომელნიც მთელ თავიანთ ძალღონეს სწირავენ მძიმე პრაქტიკულ მუშაობას, და «შრომის განთავისუფლების» ჯგუფს შორის, რომელიც მოძრაობას მატებს მისთვის ესოდენ საჭირო: თეორიული ცოდნის უდიდეს მარაგს, ფართო პოლიტიკურ გონებრივ არეს და მდიდარ რევოლუციურ გამოცდილებას.

გაუმარჯოს რუსეთის რევოლუციურ, გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას!

დაწერილია 1901 წ. დეკემბრის დამდეგს

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს ჟურნალ «პროლეტარსკაია რევოლუციაში» № 7 (30)

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

დემონსტრაციების დასაწყისი

ორი კვირის წინათ ჩვენ გადავიხადეთ 25 წლისთავი რუსეთის პირველი სოციალურ-რევოლუციური დემონსტრაციისა, რომელიც 1876 წლის 6 დეკემბერს გაიმართა ყაზანის მოედანზე პეტერბურგში[82], და აღვნიშნეთ სადემონსტრაციო მოძრაობის დიდი აღმავლობა მიმდინარე წლის დამდეგს. ჩვენ ვამბობდით, რომ დემონსტრანტებმა უფრო გარკვეული პოლიტიკური ლოზუნგი უნდა წამოაყენონ, ვიდრე «მიწა და თავისუფლება» (1876 წ.),—უფრო ფართო მოთხოვნა, ვიდრე «დროებითი წესების გაუქმება» (1901 წ.). ასეთი ლოზუნგი უნდა იყოს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა, ასეთი საერთო სახალხო მოთხოვნა უნდა იყოს ხ ა ლ ხ ი ს წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ე ლ თ ა მ ო წ ვ ე ვ ი ს მ ო თ ხ ო ვ ნ ა.

და აი ჩვენ უკვე ვხედავთ, რომ დემონსტრაციები სულ სხვადასხვა საბაბით ახლდება ნიჟნშიც, მოსკოვშიც, ხარკოვშიც. მღელვარება ყველგან იზრდება,—და თანდათან აუცილებელი ხდება მისი გაერთიანება ერთ დიდ ნიაღვრად თ ვ ი თ მ პ ყ რ ო ბ ე ლ ო ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. რომელიც ყველგან თვითნებობას, ჩაგვრასა და ძალადობას თესავს. ნიჟნში 7 ნოემბრის პატარა, მავრამ მარჯვედ ჩატარებული დემონსტრაცია გამოწვეული იყო მაქსიმ გორკის გაცილებით. მთელ ევროპაში სახელგანთქმულ მწერალს, რომლის ერთადერთი იარაღი,—როგორც სამართლიანად აღნიშნა ნიჟნი-ნოვგოროდის დემონსტრაციის ორატორმა,—თავისუფალი სიტყვა იყო, თვითმპყრობელური მთავრობა გაუსამართლებლად და გამოუძიებლად ასახლებს თავისი სამშობლო ქალაქიდან. ბაში-

ბუზუკები მას ბრალად სდებენ ცუდ გავლენას ჩვენზე,— ამბობდა ორატორი ყველა იმ რუსთა სახელით, ვისაც ოდნავ მაინც მოეპოვება ლტოლვა სინათლისა და თავისუფლებისადმი.—ჩვენ კი ვაცხადებთ, რომ ეს კარგი გავლენა იყო. ოპრიჩნიკები ფარულად თარეშობენ, ჩვენ კი მათ თარეშს საზოგადოებას ვაცნობებთ, გამოვააშკარავებთ. ჩვენში სცემენ მუშებს, რომელნიც იბრძვიან უკეთესი ცხოვრების უფლებებისათვის, ჩვენში სცემენ სტუდენტებს, რომელნიც პროტესტს აცხადებენ თვითნებობის წინააღმდეგ, ჩვენში ახშობენ ყოველ პატიოსან და გაბედულ სიტყვას! — დემონსტრაცია, რომელშიც მუშებიც მონაწილეობდნენ, დამთავრდა სტუდენტის საზეიმო დეკლამაციით: «დაემხობა თვითნებობა, და აღსდგება ხალხი, თავისუფალი და ძლიერი!».

მოსკოვის ვაგზალზე გორკის ასობით მოსწავლე ახალგაზრდობა ელოდებოდა, და შეშინებულმა პოლიციამ გორკი გზაში, ვაგონშივე დაატიმრა, აუკრძალა მოსკოვში შესვლა (მიუხედავად წინათ საგანგებოდ მიცემული ნებართვისა) და აიძულა პირდაპირ გადასულიყო ნიჟნი-ნოვგოროდის გზიდან კურსკის გზაზე. დემონსტრაცია გორკის გადასახლების გამო ვერ მოეწყო, მაგრამ 18 ნოემბერს, გენერალ-გუბერნატორის სახლის წინ, სრულიად მოუმზადებლად გაიმართა სტუდენტთა და «გარეშე პირთა» (როგორც ჩვენი მინისტრები ამბობენ) პატარა დემონსტრაცია ნ. ა. დობროლიუბოვის, რომლის გარდაცვალების დღიდან 17 ნოემბერს 40 წელი გავიდა, მოსაგონარი საღამოს აკრძალვის გამო. მოსკოვში თვითმპყრობელური ხელისუფლების წარმომადგენელს უსტვენეს იმ ადამიანებმა, რომელთაც, ისე როგორც მთელ განათლებულ და მოაზროვნე რუსეთს, უყვართ მწერალი, ვისაც ასე უსაზღვროდ სძულდა თვითნებობა და მოუთმენლად ელოდა ხალხის აჯანყებას «შინაური თურქების» — თვითმპყრობელური მთავრობის წინააღმდეგ. მოსკოვის სტუდენტთა ორგანიზაციების აღმასრულებელი კომიტეტი სამართლიანად აღნიშნავდა თავის 23 ნოემბრის ბიულეტენში, რომ ეს

წინასწარ მოუმზადებელი დემონსტრაცია უკმაყოფილებისა და პროტესტის აშკარა მაჩვენებელიაო.

ხარკოვში სტუდენტთა საქმეებით გამოწვეული დემონსტრაცია გადაიქცა ქუჩის ნამდვილ ხელჩართულ ბრძოლად, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს არა მარტო სტუდენტებმა. გასული წლის გამოცდილებას სტუდენტებისთვის ამაოდ არ ჩაუვლია. მათ დაინახეს, რომ მხოლოდ ხალხის და უმთავრესად მუშების მხრივ მხარდაჭერას შეუძლია უზრუნველყოს მათი გამარჯვება, ხოლო ასეთი მხარდაჭერის მოპოვებისათვის ისინი უნდა გამოვიდნენ საბრძოლველად არა მარტო აკადემიური (სტუდენტური) თავისუფლებისათვის, არამედ მ თ ე ლ ი ხ ა ლ ხ ი ს თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს, პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს. ხარკოვის სტუდენტთა ორგანიზაციების კავშირის საბჭომ ეს უკვე პირდაპირ აღიარა თავის ოქტომბრის პროკლამაციაში. და პეტერბურგის, მოსკოვის, კიევის, რიგისა და ოდესის სტუდენტებიც ხვდებიან, როგორც ეს მათი ფურცლებიდან და პროკლამაციებიდან ჩანს, — აკადემიურ თავისუფლებაზე «ოცნების უაზრობას» ხალხის შავბნელი მონობის დროს. მოსკოვში წარმოთქმული საზიზღარი სიტყვა გენ. ვანოვსკისა. რომელმაც უარჰყო «ხმები», თითქოს ის ოდესმე ვისმე რასმე დაჰპირებოდეს; პეტერბურგში ჯაშუშის (რომელიც ჩაეჭიდა სტუდენტს ელექტროტექნიკურ ინსტიტუტში, რომ წაერთმია მისთვის შიკრიკის ხელით მიღებული წერილი) გაუგონარი თავხედობა; პოლიციის მიერ იაროსლავლის სტუდენტების მხეცური ცემა-ტყეპა ქუჩაში და პოლიციის ნაწილში,—ყველა ეს და ათასი სხვა ფაქტი ღაღადებდა ბრძოლას, ბრძოლას და ბრძოლას მთელი თვითმპყრობელური წყობილების წინააღმდეგ. მოთმინების ფიალა აავსო ხარკოველი ვეტერინარების ამბავმა. პირველი კურსის სტუდენტებმა პეტიცია წარადგინეს პროფ. ლაგერმარკის დათხოვნის შესახებ, უჩიოდნენ საქმისადმი ფორმალურ დამოკიდებულებას, ყოვლად აუტანელ უხეშობას, რაც იქამდეც კი მიდიოდა, რომ პროგრამას ახლიდა სტუდენტებს სახეში! მთავრობამ საქმის გამოუძიებლად

სტუდენტებს იმით უპასუხა, რომ ინსტიტუტიდან გამოყარა მთელი კურსი და თანაც თავის განცხადებაში ცილი დასწამა სტუდენტებს, თითქოს უკანასკნელნი პროფესორების დანიშვნის უფლებას მოითხოვდნენ. მაშინ ფეხზე დადგა მთელი ხარკოვის სტუდენტობა და დაადგინა გაფიცვისა და დემონსტრაციის მოწყობა. 28 ნოემბერს — 2 დეკემბერს ხარკოვი მეორედ გადაიქცა ამ წელს საომარ ასპარეზად, სადაც «შინაური თურქები» ებრძვიან ხალხს, რომელიც პროტესტს აცხადებდა თვითმპყრობელური თვითნებობის წინააღმდეგ ერთი მხრივ, შეძახილები: «ძირს თვითმპყრობელობა! გაუმარჯოს თავისუფლებას!». მეორე მხრივ — ხმლის რტყმევა, მათრახის ცემა, ცხენებით ხალხის გაქელვა. პოლიციამ და კაზაკებმა, რომელნიც დაუნდობლად სცემდნენ ყველას, სქესისა და ასაკის განურჩევლად, გაიმარჯვეს უიარაღო ხალხზე და ზეიმობენ...

ნუთუ ჩვენ მათ ზეიმობის ნებას მივცემთ?

მუშებო! თქვენ ძალიან კარგად იცნობთ იმ მტრის ძალას, რომელიც აბუჩად იგდებს რუს ხალხს. ეს მტრის ძალა ხელფეხს გიბოჭავთ მეპატრონეთა წინააღმდეგ თქვენს ყოველდღიურ ბრძოლაში უკეთესი ცხოვრებისა და ადამიანური ღირსებისათვის. ეს მტრის ძალა ატყვევებს ასობით და ათასობით თქვენს საუკეთესო ამხანაგს, ყრის მათ საპყრობილეებში, ასახლებს და, თითქოს დაცინვით, «მანკიერი ყოფაქცევის პირებადაც» კი აცხადებს. ამ მტრის ძალამ ტყვია დაუშინა 7 მაისს პეტერბურგში ობუხოვის მუშებს, რომელნიც გამოვიდნენ ძახილით: «ჩვენ თავისუფლება გვინდა!»,—მერე კი გასამართლების კომედია მოაწყო, რათა კატორღაში გადაეკარგა ის გმირები, რომელთაც ტყვიამ ბოლო ვერ მოუღო. ეს მტრის ძალა, რომელიც დღეს სტუდენტებს ცემა-ტყეპით უმასპინძლდება, ხვალ კიდევ უფრო მეტი გამხეცებით გეკვეთებათ თქვენ, მუშებს, და აგაწიოკებთ. ნუ კარგავთ დროს! გახსოვდეთ, რომ თქვენ მხარი უნდა დაუჭიროთ ყოველ პროტესტს და ბრძოლას თვითმპყრობელური მთავრობის ბაშიბუზუკების წინააღმდეგ! ყოველნაირი საშუალებით ეცადეთ

შეუთანხმდეთ დემონსტრანტ-სტუდენტებს, მოაწყეთ წრეები ცნობების სასწრაფოდ გადასაცემად და მოწოდებათა გასავრცელებლად; განუმარტეთ ყველას და თვითეულს, რომ თქვენ გამოდიხართ საბრძოლველად მთელი ხალხის თავისუფლებისათვის.

როდესაც აქა-იქ ენთება ხალხის აღშფოთებისა და აშკარა ბრძოლის ცეცხლი, — უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად საჭიროა ახალმა ჰაერმა ძლიერად დაუბეროს, რათა ეს ცეცხლი ძლიერ ალად ავარდეს!

«ისკრა» № 13, 1901 წლის 20 დეკემბერი

იბეჭდება გაზეთ «ისკრის» ტექსტის მიხედვით

«სამხრეთის მუშების» წერილის შესახებ

ჩვენ მივიღეთ წერილი «სამხრეთის მუშებისა», რომელნიც მიესალმებიან რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში რევოლუციური მიმართულების გაძლიერებას და გვავალებენ მათი მისალმება გადავცეთ «რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთულ ლიგას». სამწუხაროდ, ადგილის სიმცირე საშუალებას არ გვაძლევს ეს წერილი მთლიანად მოვათავსოთ. ჩვენ სავსებით ვეთანხმებით წერილის ავტორებს, რომ «პროკლამაციურ წესს, რაც ჩვენში, რუსეთში, შემოღებულია ფართო მასაში რევოლუციური იდეების გასატარებლად, არ ძალუძს პოლიტიკური შეგნება ჩაუნერგოს მასას», რომ «რუსეთის პროლეტარიატის პოლიტიკურად აღსაზრდელად აუცილებელია სპეციალური ლიტერატურის შექმნა». მაგრამ არა მგონია პრაქტიკული იყოს წერილის ავტორთა პროექტი — ამ მიზნით გამოვცეთ 3—4-გვერდიანი პოპულარული ბროშურები და გავავრცელოთ ისინი «ერთსა და იმავე დროს მთელ რუსეთში». ჩვენ ვფიქრობთ, რომ რუსეთის პროლეტარიატი უკვე სავსებით მომწიფებულია იმ სახის ლიტერატურისთვისაც, როგორითაც ყველა დანარჩენი კლასი სარგებლობს, ე. ი. გაზეთისათვის. მხოლოდ პოლიტიკურ გაზეთს შეუძლია ნამდვილად მისცეს მასას პოლიტიკური შეგნება და გააშუქოს, როგორც წერილის ავტორები ამბობენ, «მთელი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება, დაწყებული მეოთხე წოდებით და გათავებული მსხვილი ბურჟუაზიით». მხოლოდ საერთო რუსეთის გაზეთი შეიძლება, იმ პირობით, თუ მას აქტიურად დაეხმარება ყველა

კომიტეტი და ადგილობრივი წრე, გავრცელდეს ასე თუ ისე «ერთსა და იმავე დროს მთელ რუსეთში» და გამოვიდეს იმდენად ხშირად, რომ გაზეთის სახელწოდების ღირსი იყოს. და მხოლოდ ასეთი რევოლუციური ორგანოს მტკიცე ნიადაგზე დაყენება იქნება მომასწავებელი ჩვენი მოძრაობის საბოლოო გადასვლისა «საგაფიცვო-ეკონომიური ბრძოლიდან რუსეთის თვითმპყრობელური მთავრობის წინააღმდეგ ფართო რევოლუციურ ბრძოლაზე».

«ისკრა» № 13, 1901 წლის
20 დეკემბერი

იბეჭდება გაზეთ «ისკრის» ტექსტის მიხედვით

ანარქიზმი და სოციალიზმი

თეზისები:

1) ანარქიზმს თავისი არსებობის 35—40 წლის (ბაკუნინი და ინტერნაციონალი 1866—) განმავლობაში (ხოლო შტირნერიდან ბევრად უფრო მეტი წლის განმავლობაში) არაფერი არ მოუცია, გარდა ზოგადი ფრაზებისა ექსპლოატაციის წინააღმდეგ.

2 000-ზე მეტი წელია, რაც ეს ფრაზები ხმარებაშია. აკლია (α) ექსპლოატაციის მიზეზების გაგება; (β) გაგება საზოგადოების განვითარებისა, რასაც სოციალიზმისაკენ მივყავართ; (γ) კლასობრივი ბრძოლის, როგორც სოციალიზმის განხორციელების შემოქმედი ძალის, გაგება.

2) ექსპლოატაციის **მიზეზების** გაგება. კერძო საკუთრება, როგორც სასაქონლო მეურნეობის საფუძველი. წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება. Nil * გააჩნია ანარქიზმს.

ანარქიზმი უკუღმა გადაბრუნებული ბურჟუაზიული ინდივიდუალიზმია. ინდივიდუალიზმი, როგორც ანარქიზმის მთელი მსოფლმხედველობის საფუძველი.

{ მიწის წვრილი საკუთრებისა და
წვრილი მეურნეობის დაცვა.
Keine Majorität**.
ხელისუფლების გამაერთიანებელი და მაორგანიზებელი ძალის უარყოფა. }

* — Nihil — არაფერი. რედ.

** არავითარი უმრავლესობა (ესე იგი უმრავლესობისადმი უმცირესობის დაქვემდებარების უარყოფა ანარქისტების მხრივ). რედ.



პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა
«ანარქიზმი და სოციალიზმი». - 1901 წ.

© ეროვნული ბიბლიოთეკა

3) საზოგადოების განვითარების შეუგნებლობა — მსხვილი წარმოების როლი — კაპიტალიზმის სოციალიზმად განვითარების შეუგნებლობა.

(ანარქიზმი ს ა ს ო წ ა რ კ ვ ე თ ი ლ ე ბ ი ს წარმონაშობია. კალაპოტიდან ამოვარდნილი ინტელიგენტის ან მაწანწალის ფსიქოლოგიაა და არა პროლეტარისა.)

4) პროლეტარიატის კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი ბრძოლის გაუგებლობა.

ბურჟუაზიულ საზოგადოებაში პოლიტიკის უაზრო უარყოფა.

მუშების ორგანიზებისა და აღზრდის როლის გაუგებლობა.

ცალმხრივ, ერთობლიობიდან ამოგლეჯილ საშუალებათა პანაცეა.

5) ევროპის უახლეს ისტორიას რა შესძინა ანარქიზმმა, რომელიც ოდესღაც გაბატონებული იყო რომანულ ქვეყნებში?

— არა აქვს არავითარი დოქტრინა, რევოლუციური მოძღვრება, თეორია.

— მუშათა მოძრაობის დაქსაქსულობა.

— სრული fiasko * რევოლუციური მოძრაობის ცდებში (პრუდონიზმი 1871, ბაკუნიზმი 1873).

— პოლიტიკის უარყოფის სახით მუშათა კლასის **დამორჩილება ბურჟუაზიული** პოლიტიკისადმი.

დაწერილია 1901 წელს

პირველად დაიბეჭდა 1936 წელს ჟურნალ «პროლეტარსკაია რევოლუციაში» № 7

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* — ფიასკო, მარცხი. რ ე დ.

სახელმწიფო ხარჯთაღრიცხვის გამო

როგორც ყოველთვის, ჩვენმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს ფინანსთა მინისტრის უქვეშევრდომილესი მოხსენება 1902 წლის სახელმწიფო ხარჯთაღრიცხვის გამო. როგორც მინისტრი ირწმუნება, თურმე ყველაფერი რიგზეა, — როგორც ყოველთვის: «ფინანსები სავსებით კარგ მდგომარეობაშია», ბიუჯეტში «ურყევად დაცულია წონასწორობა», «რკინიგზის საქმე წარმატებით ვითარდება» და «ხალხის კეთილდღეობის მუდმივი გაუმჯობესებაც კი ხდება»! გასაკვირველი როდია, რომ ჩვენში თითქმის არავის აინტერესებს სახელმწიფო მეურნეობის საკითხები, მიუხედავად მათი დიდი მნიშვნელობისა: ინტერესი მოდუნებულია სავალდებულო ფორმალური ქებადიდებით; ყველამ იცის, რომ ქაღალდი ყველაფერს იტანს და «სულ ერთია» «ნაბრძანებია» ხალხი არ დაუშვან ოფიციალური ფინანსური ოინბაზობის კულისებში.

მაგრამ ამჟამად განსაკუთრებით შემდეგი გარემოება გვხვდება თვალში. ოინბაზი ჩვეულებრივი ხერხიანობით უჩვენებს საზოგადოებას ცარიელ ხელებს, მერე მათ აიქნევს და ზედიზედ გამოაჩენს ოქროს ფულებს. საზოგადოება ტაშს უკრავს. მაგრამ ოინბაზი მაინც დიდი გულმოდგინებით იწყებს თავის დაცვას და, თითქმის აცრემლებული, არწმუნებს ყველას, რომ ის არ თაღლითობს, დეფიციტი არ არის, ვალი ნაკლებია, ვიდრე ქონება. რუსი საზოგადოება ისე გაწაფულია სახელმწიფო ადგილებში ზრდილობიანი ქცევის მხრივ, რომ შორიდან რაღაც უხერხულად გრძნობს თავს, და მხოლოდ ზოგიერთნი თუ ჩაილაპარაკებენ ხოლმე თავისთვის

ფრანგულ ანდაზას: «ვინც ბოდიშობს, თავის თავს ამტყუნებსო».

ვნახოთ, როგორ «ბოდიშობს» ჩვენი ვიტე. უზარმაზარი გასავალი, თითქმის ორი მილიარდი (1 946 მლნ.) მანეთი, სავსებით დაფარულია მხოლოდ იმის წყალობით, რომ 144 მლნ. აღებულია სახელმწიფო ხაზინის განთქმული «თავისუფალი ნაღდი თანხებიდან», თავისუფალი ნაღდი თანხები კი შევსებულია გასული წლის 4%-იანი სესხით, 127 მლნ. მანეთით (მთელი სესხი იყო 148 მლნ. მან., მაგრამ 21 მლნ. ჯერ არ არის მიღებული). მაშასადამე, დეფიციტი დაფარულია სესხით? — სრულიადაც არა, გვარწმუნებს ჯადოქარი, «სესხის აღება გამოწვეული იყო არა ხარჯთაღრიცხვით გაუთვალისწინებელი ხარჯების დაფარვის აუცილებლობით», — რადგან მათი დაფარვის შემდეგ რჩებოდა «სრულიად თავისუფალი» 114 მლნ. მან., — არამედ ახალი რკინიგზების გაყვანის სურვილით. — ძალიან კარგი, ბატონო ვიტე! მაგრამ, ჯერ-ერთი, თქვენ ამით დეფიციტს ვერ უარყოფთ, ვინაიდან თუნდაც «სრულიად თავისუფალი» 114 მლნ. მანეთით არ შეიძლება დაიფაროს 144 მლნ. მან. გასავალი. მეორე, თავისუფალ ნაღდ თანხაში (114 მლნ. მან.) შესულია 1901 წელს ჩვეულებრივი შემოსავლის გარდამეტი — 63 მლნ. მან. წინააღმდეგ ხარჯთაღრიცხვის ვარაუდებისა, ჩვენი პრესა კი დიდი ხანია მიუთითებს, რომ თქვენ ხელოვნურად ამცირებთ შემოსავლის ხარჯთაღრიცხვის ვარაუდებს, რათა ფიქციურად გაბეროთ «თავისუფალი ნაღდი ფული» და მტკიცედ გაადიდოთ გადასახადები. მაგალითად, გასულ წელს გადიდდა საღერბო გამოსაღები (ახალი საღერბო წესდება), გადიდდა სახაზინო არაყის ფასი: 7 მანეთიდან 7 მან. 60 კაპიკამდე ვედრო, კვლავ გადიდდა საბაჟო გადასახადები (რაც 1900 წელს ვითომ «დროებით» იქნა მიღებული ჩინეთის ომის გამო) და სხვ. მესამე, როცა რკინიგზების «კულტურულ როლს» ქება-დიდებას ასხამთ, თქვენ სრულიად არ იხსენიებთ წმინდა რუსულ და სრულიად არაკულტურულ ჩვეულებას — ხაზინის ძარცვას რკინიგზების გაყვანის დროს (რომ აღარაფერი ვთქვათ

რკინიგზების მოიჯარადრეების მხრივ მუშებისა და დამშეული გლეხების საზიზღარ ექსპლოატაციაზე). მაგალ., ერთი რუსული გაზეთი ამას წინათ იტყობინებოდა, რომ ციმბირის რკინიგზის გაყვანის ღირებულება თავდაპირველად განსაზღვრული იყო 350 მლნ. მან., ნამდვილად კი დაიხარჯა 780 მლნ. მან.—სულ კი, ალბათ, მ ი ლ ი ა რ დ ს ა ც გადააჭარბებს (თუ როგორი ძარცვა ხდებოდა ციმბირის გზაზე, ამის შესახებ ზოგიერთი რამ «ისკრამ» უკვე გვაცნობა: იხ. № 2). შემოსავალს კი სწორად ანგარიშობთ, ბ-ნო ვიტე, არაფერს სტოვებთ, მაგრამ კარგი იქნებოდა გეცადათ გ ა ს ა ვ ლ ი ს ნ ა მ დ ვ ი ლ ი ო დ ე ნ ო ბ ი ს ანგარიში მოგეცათ!

გარდა ამისა, არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე ისიც, რომ 1902 წელს რკინიგზების გაყვანა გამოწვეული იყო ნაწილობრივ ჩვენი «მშვიდობისმოყვარე» მთავრობის სამხედრო მიზნებით (უდიდესი ბოლოგოე-სედლეცის ხაზი, სიგრძით 1 000 ვერსზე მეტი), რამდენადმე კი დაჩაგრული მრეწველობისთვის თუნდაც რაიმე «დახმარების» აღმოჩენის აუცილებელი საჭიროებით, — იმ მრეწველობისთვის, რომლის საქმეებში სახელმწიფო ბანკი უშუალოდაა დაინტერესებული. სახელმწიფო ბანკი არათუ უხვად აძლევდა სესხს სხვადასხვა შერყეულ საწარმოებს, არამედ ფაქტიურად თვითონ ჰკიდებდა ხელს ბევრი მათგანის მთელ გამგებლობას. სამრეწველო საწარმოთა გაკოტრებას შეეძლო გამოეწვია სახელმწიფოს გაკოტრებაც! ბოლოს, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ სესხთა ჯამის და გადასახადების ოდენობის მუდმივი ზრდა ხდება «გენიალური» ვიტეს ხელმძღვანელობით, მიუხედავად იმისა, რომ შემნახველ სალაროთა მთელი თანხები სახელმწიფო კრედიტს ხმარდება. ამ თანხებმა კი უკვე 800 მლნ. მანეთს გადააჭარბეს. მიიღეთ ყოველივე ეს მხედველობაში, — და დარწმუნდებით, რომ ვიტე ეწევა მტაცებლურ მეურნეობას, რომ თვითმპყრობელობა ნელ-ნელა და პირდაპირ უახლოვდება გაკოტრებას, ვინაიდან დაუსრულებლივ ხომ არ შეიძლება გადასახადების გადიდება და ყოველთვის საფრანგეთის ბურჟუაზია ხომ ვერ იხსნის რუსეთის მეფეს.

ვიტე სახელმწიფო დავალიანების ზრდის ბრალდებისაგან თავს იცავს პირდაპირ სასაცილო საბუთებით. ის ერთმანეთს ადარებს ვალებსა და «ქონებას», 1892 და 1902 წლების სახელმწიფო სესხთა თანხებს უპირისპირებს იმავე წლების სახაზინო რკინიგზების ღირებულებას და ამნაირად გამოყავს «წმინდა» დავალიანების შემცირება. ჩვენ კი თურმე სხვა ქონებაც გვქონია: «ციხეები და სამხედრო გემები» (ღმერთმანი, სწორედ ასეა ნათქვამი მოხსენებაში!), ნავსადგურები და სახაზინო ქარხნები, იჯარები და ტყეები. — ჩინებულია, ბ-ნო ვიტე! მაგრამ ნუთუ ვერ ამჩნევთ, რომ თქვენ იმ ვაჭარს ემსგავსებით, რომელიც უკვე გამოწვეულია სასამართლოში გაკოტრების ბრალდების გამო და რომელიც ამავე დროს თავის მართლებას იწყებს იმ ადამიანების წინაშე, რომელნიც მისი ქონების აწერას აპირებენ? სანამ საწარმო მართლაც მტკიცედ და ურყევად დგას, — არავის არ მოუვა აზრად მოითხოვოს სესხთა სპეციალური უზრუნველყოფა. არავის ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ რუს ხალხს «ქონება» ბევრი აქვს, მაგრამ რაც უფრო მეტია ეს ქონება, მით უფრო დიდია იმ ადამიანთა დანაშაული, რომელნიც, მიუხედავად ქონების სიმრავლისა, მეურნეობას სესხთა გადიდების და გადასახადების მომატების საშუალებით უძღვებიან. თქვენ მხოლოდ იმას ამტკიცებთ, რომ ხალხმა რაც შეიძლება მალე უნდა განდევნოს მისი ქონების გამომყენებელი მტაცებლები. მართლაც, სახელმწიფო სესხთა უზრუნველსაყოფად სპეციალურ სახელმწიფო ქონებას დღემდე ევროპის ყველა ქვეყნიდან მხოლოდ თურქეთი იმოწმებდა. და ეს დამოწმება ბუნებრივად იწვევდა იმას, რომ უ ც ხ ო ე ლ ი კ რ ე დ ი ტ ო რ ე ბ ი თ ა ვ ი ს კ ო ნ ტ რ ო ლ ს ა წ ე ს ებ დ ნ ე ნ იმ ქონების გამოყენებაზე, რომელსაც უნდა უზრუნველეყო მათ მიერ მიცემული სესხის დაბრუნება. «დიდი რუსეთის სახელმწიფოს» მეურნეობა როტშილდისა და ბლეიხრედერის ნოქრების კონტროლით: რა ბრწყინვალე პერსპექტივას გვისახავთ, ბ-ნო ვიტე! *

* ვიტე თვითონ ატყობს თავისი მსჯელობის უხერხულობას «ქონების» შესახებ, — ამიტომ თავისი მოხსენების მეორე ნაწილში ცდილობს «გამო-

ჩვენ იმაზე აღარ ვლაპარაკობთ, რომ ციხეებსა და სამხედრო გემებს გირაოდ არც ერთი ბანკირი არ მიიღებს, რომ ეს პლუსი კი არა, მინუსია ჩვენს სახალხო მეურნეობაში. მაგრამ რკინიგზაც მხოლოდ მაშინ შეიძლება გამოდგეს უზრუნველყოფად, როდესაც მას მოგება მოაქვს. ვიტეს იმავე მოხსენებიდან კი ჩვენ ვტყობილობთ, რომ უკანასკნელ ხანამდე საზოგადოდ რუსეთის ყველა რკინიგზას ზარალი მოჰქონდა. მხოლოდ 1900 წელს დაიფარა ციმბირის გზების დეფიციტი და შემოვიდა «მცირედი წმინდა მოგება», იმდენად მცირედი, რომ მის ოდენობაზე ვიტე მორიდებით სდუმს. იგი სდუმს იმაზეც, რომ 1901 წლის პირველ ორ მესამედში რკინიგზების ამონაგებმა ევროპის რუსეთში დაიკლო კრიზისის გამო. როგორიღა იქნებოდა ჩვენი რკინიგზის მეურნეობის ბალანსი, რომ გზების შენებაზე გაცემული ფულების ოფიციალურ ციფრებთან ერთად ჩაგვეთვალა აგრეთვე შენების დროს დატაცებული თანხების ნამდვილი ჯამიც? მართლაც განა დრო არ არის ეს ჭეშმარიტად ძვირფასი ქონება უფრო საიმედო ხალხის ხელში გადავიდეს?

სამრეწველო კრიზისზე, რასაკვირველია, ვიტე სრულიად დამამშვიდებელი კილოთი ლაპარაკობს: «შეფერხება», «უეჭველად, საერთო სამრეწველო წარმატებას არ შეეხება, და, რამდენიმე ხნის შემდეგ, ალბათ (!!), დადგება სამრეწველო გაცხოველების ახალი პერიოდი». კარგი ნუგეშია მუშათა კლასის მილიონებისათვის, რომელთაც უმუშევრობა და ხელფასის შემცირება სტანჯავთ! სახელმწიფო გასავლის ნუსხაში თქვენ ამაოდ დაუწყებთ ძებნას თუნდაც რაიმე მითითებას იმაზე, თუ რამდენი მილიონი და ათეული მილიონი გაიღო ხაზინამ კრიზისით «გატანჯულ» სამრეწველო საწარმოების

ასწოროს საქმე», და აცხადებს, რომ სახელმწიფო ქონების ღირებულების ზრდას «რუსეთის ხაზინის ვალდებულებათა მიმართ დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან რუსეთის კრედიტი სპეციალურ უზრუნველყოფას არ საჭიროებს». რაღა თქმა უნდა! ხოლო დაწვრილებითი ანგარიში ამ სპეციალურ უზრუნველყოფათა ჩამოთვლით მაინც დატოვებულია — ყოველი შემთხვევისათვის!

პირდაპირ და არაპირდაპირ დასახმარებლად. ხოლო ამ საქმეში რომ უზარმაზარ თანხებსაც არ ერიდებოდნენ, ეს ჩანს გაზეთებში გამოქვეყნებული იმ ფაქტიდან, რომ სახელმწიფო ბანკის მიერ 1899 წლის 1 იანვრიდან 1901 წლის 1 იანვრამდე გაცემული სესხის საერთო ჯამი გადიდდა 250 მლნ. მანეთიდან 449 მლნ. მანეთამდე, სამრეწველო სესხი კი 8,7 მლნ. მანეთიდან 38,8 მლნ. მანეთამდე. სამრეწველო სესხის 4 მლნ. მან. ზარალიც კი არ გასჭირვებია ხაზინას. მუშებს კი, რომელნიც «სამრეწველო წარმატების» სამსხვერპლოს სწირავდნენ არა თავიანთ ქისას, არამედ თავიანთ სიცოცხლეს და მათი ხელფასით მცხოვრებ მილიონების სიცოცხლეს, — მუშებს ხაზინა ეხმარებოდა იმით, რომ ათასობით ასახლებდა მათ «უფასოდ» სამრეწველო ქალაქებიდან დამშეულ სოფლებში!

სიტყვა «შიმშილს» ვიტე სავსებით გაურბის, ის თავის მოხსენებაში გვარწმუნებს, რომ «მოუსავლობის მძიმე შედეგი... შემსუბუქებული იქნება დაზარალებულთათვის უხვი დახმარების აღმოჩენით». ეს უხვი დახმარება, მისივე სიტყვით, უდრის **20** მლნ. მან., მაშინ როდესაც პურის დანაკლისი შეფასებულია **250** მლნ. მანეთად (ნაანგარიშევია ძალიან დაბალი ფასით, 50 კაპ. ფუთი, მაგრამ სამაგიეროდ შედარებულია კარგ მოსავლიან წლებთან). მართლაც, რა «სიუხვეა»? ვთქვათ თუნდაც, რომ მხოლოდ დანაკლისის ნახევარი მოდის ღარიბ გლეხობაზე, ამ შემთხვევაშიც კი გამოვა, რომ ჩვენ საკმაოდ კიდევ ვერ ვაფასებდით რუსეთის მთავრობის სიძუნწეს, როცა ვწერდით (სიპიაგინის ცირკულარის გამო, იხ. «ისკრა» № 9)*, რომ მთავრობა ხუთჯერ ჰკვეცს სესხსო. რუსეთის მეფე უხვია არა გლეხის დახმარების საქმეში, არამედ პოლიციური ზომების მიღებაში იმათ წინააღმდეგ, ვისაც მართლა უნდოდა დახმარებოდა დამშეულებს. უხვია ის აგრეთვე მილიონების გადაყრაში იმისათვის, რომ უფრო მსუქანი ნაჭერი წააგლიჯოს ჩინეთს. ორი წლის განმავლობაში—გვატყობინებს ვიტე — ჩინეთის ომს მოხმარდა საგანგებო ხარჯე-

* იხ. ეს ტომი, გვ. 288—297. რედ.

ბიდან 80 მლნ. მან., «ამას გარდა ფრიად მნიშვნელოვანი თანხები დაიხარჯა აგრეთვე ჩვეულებრივი ბიუჯეტის ანგარიშით». მაშასადამე, სულ, ალბათ, ას მილიონ მანეთამდე, თუ მეტი არა! უმუშევარ მუშას და დამშეულ გლეხს შეუძლიათ იმით ინუგეშონ თავი, რომ სამაგიეროდ მანჯურია უსათუოდ ჩვენი იქნება...

ადგილის უქონლობა გვაიძულებს მხოლოდ მოკლედ შევეხოთ მოხსენების დანარჩენ ნაწილებს. ვიტე უარჰყოფს აგრეთვე ბრალდებას სახალხო განათლებაზე გაღებული ხარჯების სიმცირის შესახებ: ამ სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის 36 მლნ. მანეთს ის უმატებს ყველა სხვა უწყების სასწავლო საქმის ხარჯებს და «აჰყავს» ციფრი 75 მლნ. მანეთამდე. მაგრამ ეს (საეჭვო) ციფრიც სრულიად უმნიშვნელოა მთელი რუსეთისათვის, და მთელი ბიუჯეტის ხუთ პროცენტსაც არ შეადგენს. — ის გარემოება, რომ «ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტი უმთავრესად არაპირდაპირი დაბეგვრის სისტემაზეა აგებული», ვიტეს უპირატესობად მიაჩნია და ამასთან იმეორებს გაცვეთილ ბურჟუაზიულ საბუთებს — შესაძლებელი ხდება «დაბეგრილი საგნების მოხმარება კეთილდღეობის დონეს შეუფარდდესო». ნამდვილად კი, როგორც ვიცით, არაპირდაპირი დაბეგვრა უმთავრესად მასების მოხმარების საგნებს ეხება, მას უდიდესი უსამართლობა ახასიათებს. იგი მთელი თავისი სიმძიმით ღარიბ ხალხს აწვება და პრივილეგიას უქმნის მდიდრებს. რაც უფრო ღარიბია კაცი, თავის შემოსავლის მით უფრო მეტ წილს აძლევს ის სახელმწიფოს არაპირდაპირი გადასახადების სახით. ღარიბი და ხელმოკლე მასა შეადგენს მთელი მოსახლეობის $^{9}/_{10}$-ს, ხმარობს ყველა დაბეგრილი პროდუქტის $^{9}/_{10}$-ს და იხდის არაპირდაპირი გადასახადების მთელი ჯამის $^{9}/_{10}$-ს, ამავე დროს კი მთელი სახალხო შემოსავლიდან იგი რაღაც ორ-სამ მეათედს იღებს.

დასასრულ — ერთი საინტერესო «წვრილმანი». რა მუხლებს მიხედვით გაიზარდა ყველაზე მეტად გასავალი 1901 წლიდან 1902 წლამდე? გასავლის მთელი ჯამი გაიზარდა 1 788 მლნ. მანეთიდან 1 946 მლნ. მანეთამდე, ე. ი.

ერთ მეათედზე ნაკლებით. ამავე დროს თ ი თ ქ ი ს მ ე ო თ ხ ე დ ი თ გაიზარდა გასავალი ო რ ი მუხლით: «იმპერატორის გვარეულობის წევრთა შესანახავად» — 9,8 მლნ. მანეთიდან 12,8 მლნ. მანეთამდე და... «ჟანდარმთა ცალკე კორპუსის შესანახავად» 3,96 მლნ. მანეთიდან 4,94 მლნ. მანეთამდე. ეი პასუხი კითხვაზე: «რუსი ხალხის რა საჭიროებაა» ყველაზე აუცილებელი? და რა გულამაჩუყებელი «ერთობაა» მეფისა და ჟანდარმებისა!

«ისკრა» № 15, 1902 წლის
15 იანვარი

იბეჭდება გაზეთ «ისკრის» ტექსტის მიხედვით.

პოლიტიკური აგიტაცია და «კლასობრივი თვალსაზრისი»

დავიწყოთ მაგალითით.

მკითხველებს, ალბათ, ახსოვთ, რა ალიაქოთი გამოიწვია ორიოლის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის მ. ა. სტახოვიჩის მოხსენებამ მისიონერთა ყრილობაზე სინდისის თავისუფლების კანონით აღიარების აუცილებლობის შესახებ. კონსერვატიული პრესა, «მოსკოვსკიე ვედომოსტის» მეთაურობით, ცოფსა ჰყრის ბ-ნ სტახოვიჩის წინააღმდეგ, არ იცის, როგორ გამოლანძღოს იგი, თითქმის სახელმწიფო ღალატს აბრალებს ორიოლის ყველა თავადაზნაურს იმისათვის, რომ მათ ისევ ბ-ნი სტახოვიჩი აირჩიეს წინამძღოლად. ეს არჩევანი კი მართლაც საგულისხმო მოვლენაა, რომელიც ერთგვარად პოლიციის თვითნებობისა და სისაძაგლის წინააღმდეგ თავადაზნაურთა დემონსტრაციის ხასიათს იღებს.

სტახოვიჩი — ირწმუნება «მოსკოვსკიე ვედომოსტი»—«იმდენად თავადაზნაურობის წინამძღოლი არ არის, რამდენადაც მიშა სტახოვიჩია, ხუმარა, საზოგადოების სული და გული, ტკბილმოუბარი...» (1901 წ., № 348). მით უარესი თქვენთვის, ბატონო ხელკეტის დამცველებო. თუ ხუმარა მემამულენიც კი ალაპარაკდნენ სინდისის თავისუფლებაზე, მაშასადამე, საზღვარი არ ჰქონია იმ სისაძაგლეთ, რომელთაც ჩვენი ხუცები და პოლიცია სჩადიან. — ...«რაში ენაღვლება ჩვენს ფუქსავატ, ბატონ სტახოვიჩების წარმომშობსა და ტაშის დამკვრელ «ინტელიგენტთა» მასას ჩვენი წმიდათაწმიდა, მართლმადიდებელი სარწმუნოება და მისდამი ჩვენი გულითადი დამოკიდებუ-

ლება?»... ისევ ვიტყვით: მით უარესი თქვენთვის, ბატონნო თვითმპყრობელობის, მართლმადიდებლობისა და ეროვნების დამცველებო. კარგი კი უნდა იყოს ჩვენი პოლიციური თვითმპყრობელობის წესები, თუ მან სარწმუნოებაც კი იმდენად გაჟღინთა სატუსაღოს სულით, რომ «სტახოვიჩები» (რომელთაც რელიგიურ საკითხებში არავითარი მტკიცე რწმენა არა აქვთ, მაგრამ რომელნიც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, დაინტერესებული არიან სარწმუნოების განმტკიცებით) სრული გულგრილობით (თუ სიძულვილით არა) იმსჭვალებიან ამ ყბადაღებული «ხალხური» წმიდათაწმიდისადმი! — ...«ისინი ჩვენს სარწმუნოებას «შეცდომად» ნათლავენ!! ისინი დაგვცინიან იმისათვის, რომ ჩვენ, ამ «შეცდომის» მეოხებით, გვეშინია და გავურბივართ ცოდვას, უდრტვინველად ვასრულებთ ჩვენს მოვალეობას, რაგინდ მძიმეც უნდა იყოს იგი, — დაგვცინიან იმისათვის, რომ ჩვენ ძალასა და სიმხნევეს ვპოულობთ, რათა გადავიტანოთ უბედურება, გაჭირვება და ვერიდებით ამაყობას წარმატებისა და ბედნიერების დროს»... აი რაში ყოფილა საქმის არსი! მართლმადიდებლობის წმიდათაწმიდა იმით ყოფილა ძვირფასი, რომ უბედურების «უდრტვინველად» გადატანას გვასწავლის! მართლაც, რა ხელსაყრელი ყოფილა ეს წმიდათაწმიდა გაბატონებული კლასებისთვის! როდესაც საზოგადოება ისეა მოწყობილი, რომ უმნიშვნელო უმცირესობა სარგებლობს სიმდიდრით და ძალაუფლებით, ხოლო მასა მუდამ «გაჭირვებას» განიცდის და «მძიმე მოვალეობას» ასრულებს, მაშინ სავსებით ბუნებრივია ექსპლოატატორების თანაგრძნობა რელიგიისადმი, რომელიც გვასწავლის «უდრტვინველად» გადავიტანოთ მიწიერი ჯოჯოხეთი ვითომდა ზეციური სამოთხის გულისთვის. ერთგულებით გატაცებული «მოსკოვსკიე ვედომოსტი» თავს ვერ იკავებს. მან იმდენად ვერ შეიკავა თავი, რომ უ ნ ე ბ ლ ი ე თ ს ი მ ა რ თ ლ ე თ ქ ვ ა მოუსმინეთ ქვევით: ...«მათ ეჭვიც კი არ ეპარებათ, რომ იმავე «შეცდომის» წყალობით, ისინი, ბატონი სტახოვიჩები, მაძღრისად ჭამენ, მშვიდად იძინებენ და მხიარულად ცხოვრობენ».

წმიდა ჰეშმარიტებაა! სწორედ ასეა, სწორედ ხალხის მასებში სარწმუნოებრივი «შეცდომის» ფართოდ გავრცელების წყალობით «სძინავთ მშვიდად» სტახოვიჩებსაც, ობლომოვებსაც და ყველა ჩვენს კაპიტალისტებს, რომელნიც ამ მასების შრომით ცხოვრობენ, და თვით «მოსკოვსკიე ვედომოსტისაც». და რაც უფრო მეტად გავრცელდება ხალხში განათლება, რაც უფრო განდევნის სარწმუნოებრივ ცრურწმენას სოციალისტური შეგნება, მით უფრო მოახლოვდება პროლეტარიატის გამარჯვების დღე, რომელიც დამონებისაგან გაათავისუფლებს ყველა დაჩაგრულ კლასს თანამედროვე საზოგადოებაში.

მაგრამ «მოსკოვსკიე ვედომოსტის» თუ ერთ პუნქტში წამოსცდა, სამაგიეროდ მეტად იოლად დაიძვრინა თავი მეორე საინტერესო საკითხისაგან. «მოსკოვსკიე ვედომოსტი» აშკარად ცდება, თუ ფიქრობს, რომ სტახოვიჩებს «ეჭვიც კი არ ეპარებათ» რელიგიის ამ მნიშვნელობაში და ლიბერალურ რეფორმებს მხოლოდ «ფუქსავატობით» მოითხოვენ. მტრული პოლიტიკური მიმართულების ამგვარი ახსნა მეტისმეტად ბავშვური გულუბრყვილობაა! ხოლო ბ-ნი სტახოვიჩი რომ ამ შემთხვევაში სწორედ მთელი ლიბერალური მიმართულების მქადაგებლად გამოვიდა, — ეს ყველაზე უკეთ თვით «მოსკოვსკიე ვედომოსტიმ» დაამტკიცა: თორემ რა საჭირო იყო ასეთი გალაშქრება ერთი მოხსენების წინააღმდეგ? რა საჭირო იყო ლაპარაკი არა სტახოვიჩზე, არამედ ს ტ ა ხ ო ვ ი ჩ ე ბ ზ ე, «ინტელიგენტთა მასაზე»?

«მოსკოვსკიე ვედომოსტის» ეს შეცდომა, რა თქმა უნდა, ანგარებიანი შეცდომაა. «მოსკოვსკიე ვედომოსტის», რასაკვირველია, უფრო არ სურს, ვიდრე არ იცის, კლასობრივი თვალსაზრისის გამოყენება მისთვის საძულველი ლიბერალიზმის ანალიზისათვის. სურვილის უქონლობაზე ლაპარაკი ზედმეტია. ხოლო არცოდნა ჩვენთვის დიდს საერთო ინტერესს წარმოადგენს, ვინაიდან ეს ნაკლი ფრიად ბევრ რევოლუციონერსა და სოციალისტს აქვს. ეს ნაკლი ეტყობათ «ისკრის» მე-12 ნომერში მოთავსებული წერილის ავტორებ-

საც, რომელნიც ჩვენ გვაბრალებენ «კლასობრივი თვალსაზრისიდან» გადახვევას იმის გამო, რომ ჩვენ ჩვენს გაზეთში ვცდილობთ თვალყური ვადევნოთ ლიბერალების უკმაყოფილებისა და პროტესტის ყოველგვარ გამოხატულებას;—«პროლეტარსკაია ბორბას»[83] და «სოციალ-დემოკრატიული ბიბლიოთეკის»[84] ზოგიერთი ბროშურის ავტორებსაც, რომელთაც ჰგონიათ, რომ ჩვენი თვითმპყრობელობა ბურჟუაზიის თვითმპყრობელური ბატონობაა; — მარტინოვებსაც, რომელნიც მოგვიწოდებენ თავი დავანებოთ ყოველმხრივ მამხილებელ კამპანიას (ე. ი. უაღრესად ფართო პოლიტიკურ აგიტაციას) თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და გადავიდეთ უმთავრესად ეკონომიური რეფორმებისთვის ბრძოლაზე (მივცეთ რაიმე «დადებითი» მუშათა კლასს, წამოვაყენოთ მისი სახელით საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ღონისძიებათა «კონკრეტული მოთხოვნები», «რომელნიც განსაზღვრულ ხელშესახებ შედეგებს გვიქადიან»);—ნადეჟდინებსაც, რომელნიც გაკვირვებით გვეკითხებიან ჩვენი კორესპონდენციების გამო სტატისტიკოსთა კონფლიქტების შესახებ: «ღმერთო ჩემო, ეს ორგანო ერობელთათვის ხომ არ არის დაარსებული?».

ყველა ამ სოციალისტს ავიწყდება, რომ თვითმპყრობელობის ინტერესები მხოლოდ განსაზღვრულ პირობებში და შეძლებული კლასების მხოლოდ განსაზღვრულ ინტერესებს ემთხვევიან, ამასთან ხშირად არა საზოგადოდ ყველა ამ კლასის ინტერესებს, არამედ მათი ცალკეული ფენების ინტერესებს. ხოლო ბურჟუაზიის სხვა ფენების ინტერესები, აგრეთვე მ თ ე ლ ი ბურჟუაზიის, საზოგადოდ კაპიტალიზმის მთელი განვითარების უფრო ფართოდ გაგებული ინტერესები აუცილებლად წარმოშობენ ლიბერალურ ოპოზიციას თვითმპყრობელობის მიმართ. თუ, მაგალ., თვითმპყრობელობა გარანტიას აძლევს ბურჟუაზიას გამოიყენოს ექსპლოატაციის მეტად უხეში ფორმები, — მეორე მხრივ, იგი ათასგვარ დაბრკოლებას უქმნის საწარმოო ძალების ფართო განვითარებას და განათლების გავრცელებას, რითაც იმხედრებს არა მარტო

წვრილს, არამედ ზოგჯერ მსხვილ ბურჟუაზიასაც; თუ თვითმპყრობელობა სოციალიზმისაგან დაცვის გარანტიას აძლევს (?) ბურჟუაზიას, — მეორე მხრივ, ეს დაცვა აუცილებლად იქცევა, მოსახლეობის უუფლებობის პირობებში, ისეთ პოლიციურ უმსგავსოებად, რომელიც ყველას აღაშფოთებს. როგორია ამ ერთმანეთის საწინააღმდეგო ტენდენციების შედეგი, როგორია ბურჟუაზიაში კონსერვატიული და ლიბერალური სულისკვეთების თუ მიმართულების თანაფარდობა ამა თუ იმ მომენტში, — ამის გამოყვანა არ შეიძლება ორიოდე ზოგადი დებულებიდან; ეს დამოკიდებულია ამა თუ იმ მომენტის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარემოების ყველა თავისებურებაზე. ამის გასარკვევად აუცილებელია დეტალურად ვიცოდეთ ეს გარემოება, ყურადღებით ვადევნოთ თვალყური ყოველი საზოგადოებრივი ფენის ყოველგვარ შეტაკებას მთავრობასთან. სწორედ «კლასობრივი თვალსაზრისის» გამო სოციალ-დემოკრატისთვის შ ე უ წ ყ ნ ა რ ე ბ ე ლ ი ა გულგრილად უყუროს «სტახოვიჩების» უკმაყოფილებასა და პროტესტებს.

ხსენებული სოციალისტები კი, როგორც თავიანთი მსჯელობით, ისე თავიანთი მოქმედებით ლიბერალიზმისადმი თავიანთ გულგრილობას ამტკიცებენ და ამით ამყღავნებენ «კომუნისტური მანიფესტის», საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ამ «სახარების», ძირითად დებულებათა შეუგნებლობას. გაიხსენეთ, მაგალ., სიტყვები იმის შესახებ, რომ ბურჟუაზია პროლეტარიატის პოლიტიკური აღზრდის მასალას თვითონვე იძლევა თავისი ბრძოლით ძალაუფლებისათვის, თავისი ცალკეული ფენებისა და ჯგუფების შეხლა-შემოხლით და სხვ.[85] ეს მასალა მხოლოდ პოლიტიკურად თავისუფალ ქვეყნებში შეხვდება პროლეტარიატს თავისთავად (და ისიც რაოდენადმე). მონურ რუსეთში კი ჩვენ, სოციალ-დემოკრატებმა, აქტიურად უნდა ვიმუშაოთ, რათა მუშათა კლასს მივაწოდოთ ეს «მასალა», ე. ი. უნდა ვ ი კ ი ს რ ო თ ამოცანა ყოველმხრივი პოლიტიკური აგიტაციისა, საერთო სახალხო მამხილებელი კამპანიისა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. და ეს

ამოცანა განსაკუთრებით აუცილებელია პოლიტიკური მღელვარების პერიოდებში. უნდა გვახსოვდეს, რომ პოლიტიკური გამოცოცხლების დროს პროლეტარიატს ერთ წელიწადში უფრო მეტი შეუძლია ისწავლოს რევოლუციური აღზრდის მხრივ, ვიდრე მყუდროობის რამდენიმე წლის განმავლობაში, აჰიტომაც განსაკუთრებით მავნებელია ხსენებული სოციალისტების ტენდენცია — შეგნებულად თუ შეუგნებლად შ ე ზ ღ უ დ ო ნ პოლიტიკური აგიტაციის გაქანება და შინაარსი.

შემდეგ, გაიხსენეთ სიტყვები არსებული წყობილების წინააღმდეგ კომუნისტების მიერ ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი რევოლუციური მოძრაობის მხარდაჭერის შესახებ. ეს სიტყვები ხშირად მეტად ვიწროდ ესმით და მათ არ ავრცელებენ ლიბერალური ოპოზიციის მხარდაჭერაზე. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ არის ეპოქები, როცა ყოველი შეტაკება მთავრობასთან პროგრესული საზოგადოებრივი ინტერესების ნიადაგზე, რაც უნდა პატარა იყოს იგი თავისთავად, შეიძლება განსაზღვრულ პირობებში (ჩ ვ ე ნ ი მ ხ ა რ დ ა ჭ ე რ ა კ ი ე რ თ ი ა მ პ ი რ ო ბ ა თ ა გ ა ნ ი ა) საერთო ხანძრად გადაიქცეს. საკმარისია მოვიგონოთ, რა საზოგადოებრივ მოძრაობად გადაიქცა რუსეთში სტუდენტების შეტაკება მთავრობასთან აკადემიურ მოთხოვნათა ნიადაგზე[86] ან საფრანგეთში ყველა პროგრესული ელემენტის შეტაკება სამხედრო წრეებთან ერთი, თაღლითურად გადაწყვეტილი სასამართლო საქმის ნიადაგზე[87]. ამიტომ ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა — განვუმარტოთ პროლეტარიატს საქმის ვითარება, გავაფართოოთ და, მუშების აქტიური მონაწილეობით, მხარი დავუჭიროთ ყოველგვარ ლიბერალურ და დემოკრატიულ პროტესტს, სულ ერთია რა იწვევს მას: ერობელთა შეტაკება შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, თავადაზნაურებისა — პოლიციური მართლმადიდებლობის უწყებასთან, სტატისტიკოსებისა — პომპადურებთან, გლეხებისა—«ერობის ჩაფრებთან», სექტანტებისა — პოლიციელებთან და სხვ. და სხვ.. ვინც ათვალწუნებით იქმუხნება ზოგიერთი ამ შეტაკების უმნიშვნელობის

ან მათი საერთო ხანძრად გადაქცევის «უიმედობის» გამო, მას არ ესმის, რომ ყოველმხრივი პოლიტიკური აგიტაცია სწორედ ის ფოკუსია, სადაც პროლეტარიატის პოლიტიკური აღზრდის არსებითი ინტერესები ემთხვევა მთელი საზოგადოებრივი განვითარების და მთელი ხალხის, — მისი ყველა დემოკრატიული ელემენტის სახით,—არსებითს ინტერესებს. ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა — ჩავერიოთ ყოველგვარ ლიბერალურ საკითხში, განვსაზღვროთ ჩვენი, სოციალ-დემოკრატიული, დამოკიდებულება მისდამი, მივიღოთ ზომები იმისათვის, რომ პროლეტარიატი აქტიურად მონაწილეობდეს ამ საკითხის გადაჭრაში და ეცადოს მისებურად გადაჭრან იგი. ვინც ასეთ ჩარევას თავს არიდებს, ის სინამდვილეში (როგორიც უნდა იყოს მისი განზრახვა) ქედს იხრის ლიბერალიზმის წინაშე და ხელში უგდებს მას მუშების პოლიტიკური აღზრდის საქმეს, პოლიტიკური ბრძოლის ჰეგემონიას უთმობს ისეთ ელემენტებს, რომელნიც საბოლოო ანგარიშში ბურჟუაზიული დემოკრატიის მეთაურებს წარმოადგენენ.

სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის კლასობრივი ხასიათი უნდა გამოიხატოს არა ჩვენი ამოცანების შეკვეცაში «წმინდა მუშათა» მოძრაობის უშუალო და უახლოეს საჭიროებამდე, არამედ პროლეტარიატის, — თანამედროვე საზოგადოების ამ ერთადერთი ნამდვილად რევოლუციური კლასის, — დიადი გამათავისუფლებელი ბრძოლის ყველა მხარის და ყველა გამოხატულების ხელმძღვანელობაში. სოციალ-დემოკრატიამ ყოველთვის და ურყევად უნდა გააფართოოს მუშათა მოძრაობის ზემოქმედება თანამედროვე საზოგადოების საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროზე. მან უნდა უხელმძღვანელოს არა მარტო მუშების ეკონომიურ ბრძოლას, არამედ პროლეტარიატის პოლიტიკურ ბრძოლასაც, მას ერთი წუთითაც არ უნდა გამოეპაროს მხედველობიდან ჩვენი საბოლოო მიზანი, მუდამ უნდა ავრცელოს, დაიცვას დამახინჯებათაგან და განავითაროს პროლეტარული იდეოლოგია — მეცნიერული სოციალიზმის მოძღვრება, ე. ი. მარქსიზმი. ჩვენ დაუცხრომლად უნდა ვებრძოლოთ ყოველ-

გვარ ბურჟუაზიულ იდეოლოგიას, რა ახალმოდის და ბრწყინვალე სამოსელშიც უნდა ეხვეოდეს იგი. ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებული სოციალისტები «კლასობრივ» თვალსაზრისს ღალატობენ აგრეთვე იმიტომ და იმდენად, რამდენადაც ისინი გულგრილად უყურებენ «მარქსიზმის კრიტიკასთან» ბრძოლის ამოცანას. მხოლოდ ბრმებს შეუძლიათ არ დაინახონ ის გარემოება, რომ ეს «კრიტიკა» ყველაზე სწრაფად გავრცელდა რუსეთში და მას ყველაზე უფრო დიდი ამბით ჩაებღაუჭა რუსეთის ლიბერალური პუბლიცისტიკა სწორედ იმიტომ, რომ ის ერთ-ერთი ელემენტია ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ბურჟუაზიული (ახლა უკვე შეგნებულად ბურჟუაზიული) დემოკრატიისა რუსეთში.

რაც შეეხება განსაკუთრებით პოლიტიკურ ბრძოლას, სწორედ «კლასობრივი თვალსაზრისი» მოითხოვს, რომ პროლეტარიატი ბ ი ძ გ ს ა ძ ლ ე ვ დ ე ს ყოველგვარი დემოკრატიული მოძრაობის განვითარებას. მუშათა დემოკრატია თავისი პოლიტიკური მოთხოვნებით ბურჟუაზიული დემოკრატიისაგან განსხვავდება არა პრინციპულად, არამედ მხოლოდ ამ მოთხოვნათა ოდენობით. ეკონომიური განთავისუფლებისათვის, სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლაში პროლეტარიატი დგას სულ სხვა პრინციპულ ნიადაგზე და დგას მარტოდმარტო (წვრილი მწარმოებელი მას დაეხმარება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის გადადის ან ემზადება გადასასვლელად პროლეტარიატის რიგებში). პოლიტიკური განთავისუფლებისათვის ბრძოლაში კი ჩვენ ბევრი მოკავშირე გვყავს, რომელთადმი გულგრილად მოპყრობა შეუწყნარებელია. მაგრამ მაშინ როდესაც ბურჟუაზიული დემოკრატიის წრიდან გამოსული ჩვენი მოკავშირენი ლიბერალური რეფორმებისათვის ბრძოლაში მუდამ უკან დაიწყებენ ცქერას და ეცდებიან საქმე ისე მოაწყონ, რომ კვლავ ძველებურად «მაძღრისად ჭამონ. მშვიდად იძინონ და მხიარულად იცხოვრონ» სხვის ხარჯზე, — პროლეტარიატი წინ გასწევს უკან მოუხედავად სულ ბოლომდე. როდესაც რომელიმე ბატონნი რ. ნ. ს.-ები (ვიტეს ბარათის წინასიტყვაობის ავტორი) დაიწ-

ყებენ ვაჭრობას მთავრობასთან ძალაუფლებიან ერობაზე თუ კონსტიტუციაზე, ჩვენ ვიბრძოლებთ დემოკრატიული რესპუბლიკისათვის. მხოლოდ არ უნდა დავივიწყოთ ერთი გარემოება: იმისათვის, რომ სხვას წაუბიძგო, საჭიროა ხელი მუდამ ამ სხვის მხარზე გედოს. პროლეტარიატის პარტია ყოველ ლიბერალს უნდა იჭერდეს სწორედ იმ მომენტში, როცა მას წინწაწევა მოუნდომებია ერთი გოჯით, და აიძულებდეს მას წინ წაიწიოს ერთი ადლით. ხოლო თუ გაჯიუტდება და ფეხს არ მოიცვლის, — ჩვენ წინ წავალთ უმისოდაც და მასზე გადავლითაც.

«ისკრა» № 16, 1902 წლის
1 თებერვალი

იბეჭდება გაზეთ «ისკრის»
ტექსტის მიხედვით

პასუხი «მკითხველს»

ჩვენ შემდეგი წერილი მივიღეთ რედაქციაში:

««ისკრა» ეხება აგიტაციის საკითხს (თუ არ ვცდები, № 13-ში) და ილაშქრებს პოლიტიკურ თემებზე დაწერილი სახელდახელო საგიტაციო ლიტერატურის (ორ-სამ ფურცლიანი პაწია ბროშურების) წინააღმდეგ. ასეთ ლიტერატურას, რედაქციის აზრით, წარმატებით შესცვლიან გაზეთები. გაზეთები, რა თქმა უნდა, — კარგი საქმეა. ამის წინააღმდეგ დავასაც არავინ დაიწყებს. მაგრამ შეუძლიათ თუ არა მათ შესცვალონ ისეთი სახელდახელო ფურცლები, რომელთა სპეციალური დანიშნულებაა — მასებში ფართოდ გავრცელება? რედაქციაში უკვე შემოსულია ერთი წერილი რუსეთიდან; ამ წერილში მუშა-აგიტატორთა ერთი ჯგუფი თავის აზრს გამოთქვამს ამ საკითხზე. «ისკრის» პასუხი ამ წერილზე — აშკარა გაუგებრობაა. აგიტაციის საკითხი ახლა ისევე დიდმნიშვნელოვანია, როგორც დემონსტრაციების საკითხიც. ამიტომ სასურველია რედაქციამ კვლავ აღძრას ეს საკითხი და ამჯერად უფრო ყურადღებით მოეკიდოს მას.

მკითხველი».

ვინც გაირჯება და ყურადღებით წაიკითხავს, ამ წერილთან ერთად, ჩვენს პასუხს «სამხრეთის მუშებისადმი» «ისკრის» მე-13 ნომერში *, ადვილად დარწმუნდება, რომ აშკარა გაუგებრობაში ჩავარდა სწორედ წერილის ავტორი. იმის შესახებ, რომ «ისკრას» გაელაშქროს «სახელდახელო საგიტაციო ლიტერატურის წინააღმდეგ», ლაპარაკიც კი არ ყოფილა; «სახელდახელო ფურცლების» გაზეთით «შეცვლა» აზრადაც კი არავის მოსვლია. წერილის ავტორს ვერ შეუმჩნევია, რომ სწორედ სახელდახელო ფურცლებია პროკლამაციები. რომ იმ სახის

* იხ. ეს ტომი, გვ. 404. რ ე დ.

ლიტერატურა, როგორიცაა პროკლამაციები, ყოვლად შეუცვლელია და ყოველთვის უსათუოდ საჭირო იქნება,—ამაში «სამხრეთის მუშებიც» და «ისკრაც» სავსებით ეთანხმებოდნენ ერთმანეთს. მაგრამ ისინი ერთმანეთს ეთანხმებოდნენ იმაშიც, რომ ამ სახის ლიტერატურა საკმარისი არ არის. როცა ჩვენ ვლაპარაკობთ კარგ ბინაზე მუშებისათვის და ერთმანეთს ვეთანხმებით იმაში, რომ მარტო კარგი საჭმელი მათთვის საკმარისი როდიაო, ეს აშკარაა იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ კარგი საჭმლის «წინააღმდეგი» ვიყოთ. იბადება კითხვა, რომელია საagიტაციო ლიტერატურის უფრო მაღალი სახე? როცა «სამხრეთის მუშებმა» ეს საკითხი დააყენეს, ერთი სიტყვაც არ უთქვამთ გაზეთზე. ეს დუმილი, რა თქმა უნდა, შეიძლებოდა დამოკიდებული ყოფილიყო ადგილობრივ პირობებზე; ჩვენ სრულიადაც არ ვფიქრობდით შევდავებოდით ჩვენს კორესპონდენტებს, მაგრამ, ბუნებრივია, არ შეგვეძლო არ შოგვეგონებინა მათთვის, რომ პროლეტარიატმაც უნდა გაიჩინოს თავისი გაზეთი, როგორც ეს უკვე გააკეთეს მოსახლეობის სხვა კლასებმა; — რომ მარტოოდენ დაქსაქსული მუშაობა არ არის საკმარისი, რომ აუცილებელია რეგულარული, აქტიური, ყველა ადგილის საერთო მუშაობა რევოლუციური ორგანოს შესაქმნელად.

რაც შეეხება «3—4-გვერდიან ბროშურებს», ჩვენ მათ საწინააღმდეგოდ სრულებითაც არაფერი გვითქვამს, მხოლოდ ეჭვი შეგვეპარა, რამდენად პრაქტიკული იყო გეგმა მათგან ისეთი რეგულარული ლიტერატურის შექმნისა, რომელიც «ერთსა და იმავე დროს მთელ რუსეთში» გავრცელდებოდა. 3 — 4-გვერდიანი ბროშურა, არსებითად, იგივე პროკლამაცია იქნება. ჩვენს ხელთაა რუსეთის სხვადასხვა კუთხის ბევრი ძალიან კარგი და სრულიადაც არა მძიმე ენით დაწერილი პროკლამაცია, — როგორც სტუდენტების, ისე მუშებისა,—რომელთა მოცულობა მცირე ფორმატის 6 — 8 გვერდსაც კი უდრის. ხოლო ნამდვილი პოპულარული ბროშურა, რომელიც შესძლებს განუ-

მ ა რ ტ ო ს თვით სავსებით მოუმზადებელ მუშას რომელიმე ცალკე საკითხი მაინც, ალბათ, ბევრად მეტი მოცულობისა იქნება და მისი გავრცელება «ერთსა და იმავე დროს მთელ-რუსეთში» არც შესაძლებელი იქნება და არც საჭირო (მისი არადროებითი ხასიათის გამო). ჩვენ სავსებით ვცნობთ პოლიტიკური ლიტერატურის ყველა და ყოველგვარ, ძველ და ახალ, სახეს, ოღონდ კი ეს იყოს მართლაც კარგი პოლიტიკური ლიტერატურა, მაგრამ ჩვენი რჩევაა ვიმუშაოთ არა იმაზე, რომ გამოვიგონოთ საშუალო ტიპი სახელდახელო ფურცლებსა და პოპულარულ ბროშურას შორის, არამედ რევოლუციური ორგანოს შესაქმნელად, რომელიც ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ ღირსი იქნება ეწოდოს პერიოდული (ე. ი. რომელიც გამოვა თვეში არა ერთხელ, არამედ ორჯერ-ოთხჯერ მაინც) და-ს ა ე რ თ ო რუსეთის ორგანო.

«ისკრა» № 16, 1902 წლის
1 თებერვალი

იბეჭდება გაზეთ «ისკრის» ტექსტის მიხედვით

რა ვაკეთოთ?

ჩვენი მოძრაობის საჭირბოროტო საკითხები [86]

«...პარტიული ბრძოლა ძალასა და სიცოცხლეს მატებს პარტიას. პარტიის სისუსტის უდიდესი დამამტკიცებელია მისი უსახობა და მკვეთრად აღნიშნული საზღვრების წაშლა, პარტია მტკიცდება იმით, რომ სწმენდს თავის თავს...»

(ლასალის წერილიდან მარქსისადმი 1852 წლის 24 ივნისის თარიღით).

დაწერილია 1901 წლის შემოდგომაზე — 1902 წლის თებერვალს.

პირველად დაიბეჭდა ცალკე წიგნად 1902 წლის მარტში

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით, რომელიც შეჯერებულია ტექსტთან კრებულისა: ვლ. ილინი. «12 წლის მანძილზე», 1907 წ.

Что дѣлать?

Наболѣвшіе вопросы нашего движенія

Н. ЛЕНИНА.

„Партійная борьба придаетъ партіи силу и жизненность, величайшую доказательствомъ слабости партіи является ея расплывчатость и притупленіе рѣзко обозначенныхъ границъ, партія укрѣпляется тѣмъ, что очищаетъ себя“... (Изъ письма Лассаля къ Марксу отъ 24 іюня 1852 г.)

Цѣна 1 руб.

Preis 2 Mark = 250 Francs

STUTTGART
Verlag von J. H. W. Dietz Nachf. (G. m. b. H.)
1902

გარეკანი ვ. ი. ლენინის წიგნისა «რა ვაკეთოთ?». — 1902 წ.

დაბეჭდილია

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

ამ ბროშურის საგანი უნდა ყოფილიყო, ავტორის პირვანდელი გეგმით, იმ აზრთა დაწვრილებითი განვითარება, რომლებიც გამოთქმულია სტატიაში «რით დავიწყოთ?» («ისკრა» № 4, 1901 წ. მაისი) *. ამიტომ, უწინარეს ყოვლისა, ბოდიში უნდა მოვიხადოთ მკითხველის წინაშე იქ მოცემული (და მრავალი კერძო შეკითხვისა და წერილის პასუხად განმეორებული) დაპირების დაგვიანებით შესრულებისათვის. ამ დაგვიანების ერთ-ერთი მიზეზი იყო ყველა საზღვარგარეთული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის გაერთიანების ცდა გასული (1901) წლის ივნისში. ბუნებრივი იყო დაგვეცადა ამ ცდის შედეგებისათვის, რადგან, უკეთუ ეს ცდა წარმატებით დამთავრდებოდა, შესაძლოა, საჭირო გამხდარიყო «ისკრის» ორგანიზაციულ შეხედულებათა რაოდენადმე სხვანაირი გაშუქებით ჩამოყალიბება, და ყოველ შემთხვევაში ასეთი წარმატება იმის იმედი იქნებოდა, რომ ძლიერ მალე მოეღებოდა ბოლო ორი მიმდინარეობის არსებობას რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში. როგორც მკითხველს მოეხსენება, ცდა ფუჭი გამოდგა და, როგორც ქვემოთ შევეცდებით დავამტკიცოთ, არც შეიძლებოდა ასე არ დამთავრებულიყო მას შემდეგ, რაც «რაბოჩეე დელომ» თავის მე-10 ნომერში ისევ ეკონომიზმისაკენ იბრუნა პირი. ყოვლად აუცილებელი გახდა გადამწყვეტი ბრძოლა დაგვეწყო ამ უსახო და ნაკლებად გარკვეულ, მაგრამ სამაგიეროდ მით უფრო მყარ და სხვადა-

* იხ. ეს ტომი, გვ. 1 — 15. რ ე დ.

სხვა ფორმით აღორძინების უნარმქონე მიმართულებასთან. ამისდა მიხედვით შეიცვალა და ფრიად საგრძნობლად გაფართოვდა ბროშურის პირვანდელი გეგმა.

მისი მთავარი თემა უნდა ყოფილიყო სამი საკითხი, რომლებიც დასმული იყო სტატიაში «რით დავიწყოთ?». სახელდობრ — საკითხები: ჩვენი პოლიტიკური აგიტაციის ხასიათი და მთავარი შინაარსი, ჩვენი ორგანიზაციული ამოცანები, ერთსა და იმავე დროს და სხვადასხვა მხრივ საერთო რუსეთის საბრძოლო ორგანიზაციის აგების გეგმა. ეს საკითხები დიდი ხანია უკვე აინტერესებს ავტორს, რომელმაც მათი წამოყენება სცადა ჯერ კიდევ «რაბოჩაია გაზეტაში» ამ გაზეთის განახლების ერთ-ერთი უშედეგო ცდის დროს (იხ. თავი V). მაგრამ ავტორის პირვანდელი ვარაუდი — დასჯერებოდა ბროშურაში მხოლოდ ამ სამი საკითხის განხილვას და თავისი შეხედულებანი შეძლებისდაგვარად დადებითი ფორმით ჩამოეყალიბებინა ისე, რომ არ მიემართნა ან თითქმის არ მიემართნა პოლემიკისთვის, — სრულიად განუხორციელებელი აღმოჩნდა ორი მიზეზის გამო. ერთი მხრივ, ეკონომიზმი გაცილებით უფრო გამძლე აღმოჩნდა, ვიდრე ჩვენ გვქონდა წარმოდგენილი (ჩვენ სიტყვას ეკონომიზმს ფართო მნიშვნელობით ვხმარობთ, როგორც ეს განმარტებული იყო «ისკრის» მე-12 ნომერში (1901 წლის დეკემბერი), სტატიაში «საუბარი ეკონომიზმის დამცველებთან», რომელიც შეიცავს ამ ბროშურის, ასე ვთქვათ, კონსპექტს *). უეჭველი გახდა, რომ სხვადასხვა შეხედულება ამ სამი საკითხის გადაჭრის შესახებ გაცილებით უფრო აიხსნება რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში არსებული ორი მიმართულების ძირითადი წინააღმდეგობით, ვიდრე დეტალებზე შეუთანხმებლობით. მეორე მხრივ, ეკონომისტების გაუგებრობა ჩვენ შეხედულებათა «ისკრაში» ფაქტიურად გატარების გამო აშკარად გვიჩვენებდა, რომ ჩვენ ხშირად პირდაპირ სხვადასხვა ენაზე ვლაპარაკობთ, რომ ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია რამეზე შევთანხმდეთ, თუ

* იხ. ეს ტომი, გვ. 388 — 397. რედ.

არ დავიწყებთ ab ovo *, და რომ საჭიროა შევეცადოთ რაც შეიძლება უფრო პოპულარული, მრავალი და კონკრეტული მაგალითით გაშუქებული, სისტემატური «განმარტება» მივცეთ ყველა ეკონომისტს ჩვენი უთანხმოების ყველა ძირითადი პუნქტის გამო. და მეც გადავწყვიტე მეცადა ასეთი «განმარტება», თუმცა კარგად ვიცოდი, რომ ეს ძალიან გაადიდებდა ბროშურის მოცულობას და დაგვიანებდა მის გამოსვლას, მაგრამ იმავე დროს ვერავითარ შესაძლებლობას ვერ ვხედავდი სხვანაირად შემესრულებინა ჩემ მიერ სტატიაში «რით დავიწყოთ?» მოცემული დაპირება. ამრიგად, დაგვიანებისთვის ბოდიშის მოხდას იძულებული ვარ დავურთო ბოდიშის მოხდა აგრეთვე იმის გამოც, რომ ბროშურას დიდი ნაკლი აქვს ლიტერატურულად დამუშავების მხრივ: იძულებული ვიყავი მემუშავნა მეტისმეტი აჩქარებით და თანაც სხვადასხვა სამუშაო მაწყვეტინებდა ამ საქმეს.

ბროშურის მთავარ თემას წინანდებურად ზემოაღნიშნული სამი საკითხის განხილვა შეადგენს, მაგრამ დაწყება მომიხდა ორი უფრო ზოგადი ხასიათის საკითხით: რატომ არის, რომ ასეთი «უწყინარი» და «ბუნებრივი» ლოზუნგი, როგორიცაა «კრიტიკის თავისუფლება», ჩვენთვის ნამდვილ საბრძოლო სიგნალს წარმოადგენს? რატომ არის, რომ ვერ ვახერხებთ შევთანხმდეთ ისეთ ძირითად საკითხშიც კი, როგორიცაა სტიქიური მასობრივი მოძრაობის მიმართ სოციალ-დემოკრატიის როლის საკითხი? შემდეგ, შეხედულებათა გამოთქმა პოლიტიკური აგიტაციის ხასიათისა და შინაარსის შესახებ გადაიქცა ტრედ-უნიონისტური და სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკის განსხვავების ახსნა-განმარტებად, ხოლო შეხედულებათა გამოთქმა ორგანიზაციულ ამოცანებზე — იმის ახსნა-განმარტებად, თუ რით განსხვავდება კუსტარულობა, რომელიც ეკონომისტებს აკმაყოფილებს, რევოლუციონერთა ორგანიზაციისაგან, რაც, ჩვენი შეხედულებით,

* — თავიდან. რედ.

აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. შემდეგ, საერთო რუსეთის პოლიტიკური გაზეთის «გეგმას» მით უფრო დაჟინებით ვიცავ, რაც უფრო უძლური იყო მის საწინააღმდეგოდ გამოთქმული აზრები და რაც უფრო ნაკლებად მიპასუხეს არსებითად სტატიაში «რით დავიწყოთ?» დასმულ კითხვაზე იმის შესახებ, თუ როგორ შევძლებდით ჩვენ ერთსა და იმავე დროს ყოველი მხრიდან დაგვეწყო ჩვენთვის საჭირო ორგანიზაციის შენება. დასასრულ, ბრიმურის უკანასკნელ ნაწილში იმედი მაქვს ნათელვყო, რომ ჩვენ არაფერი დაგვიკლია, რაც კი ჩვენზე იყო დამოკიდებული, რათა თავიდან აგვეცილებინა გადამწყვეტი გათიშვა ეკონომისტებთან, რაც, მიუხედავად ამისა, აუცილებელი აღმოჩნდა; — რომ «რაბოჩეე დელომ» მიიღო განსაკუთრებული, თუ გნებავთ, «ისტორიული», მნიშვნელობა იმით, რომ ყველაზე სრულად, ყველაზე რელიეფურად გამოხატა თანამიმდევარი ეკონომიზმი კი არა, არამედ ის დაბნეულობა და მერყეობა, რაც შეადგენს რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ისტორიის მთელი პერიოდის დამახასიათებელ ნიშანს; — რომ ამიტომ მნიშვნელობა ეძლევა აგრეთვე ერთი შეხედვით მეტისმეტად დაწვრილებითს პოლემიკას «რაბოჩეე დელოსთან», რადგან ჩვენ არ შეგვიძლია წინ წასვლა, უკეთუ საბოლოოდ არ მოვახდენთ ამ პერიოდის ლიკვიდაციას.

ნ. ლენინი.

1902 წლის თებერვალი

I

დოგმატიზმი და «კრიტიკის თავისუფლება»

ა) რას ნიშნავს «კრიტიკის თავისუფლება»?

«კრიტიკის თავისუფლება», უეჭველია, ამჟამად ყველაზე ახალმოდის ლოზუნგია, რომელიც სულ უფრო ხშირად იხმარება კამათში ყველა ქვეყნის სოციალისტებსა და დემოკრატებს შორის. ერთი შეხედვით, ძნელი წარმოსადგენია უფრო უცნაური რამ, ვიდრე ერთ-ერთი მოკამათე მხარის მიერ ეს დიდის ამბით დამოწმება კრიტიკის თავისუფლებისა. ნუთუ მოწინავე პარტიებიდან გაისმა ხმა ევროპის მეტწილი ქვეყნების იმ კონსტიტუციური კანონის წინააღმდეგ, რომელიც უზრუნველჰყოფს მეცნიერებისა და მეცნიერული კვლევაძიების თავისუფლებას? «აქ რაღაც სხვა ამბავია!» — იტყვის ყოველი გარეშე ადამიანი, რომელსაც ყოველ გზაჯვარედინზე ესმის ეს ახალმოდის ლოზუნგი, მაგრამ ჯერ კიდევ არ ჩასწვდომია მოკამათეთა უთანხმოების დედაარსს. «ეს ლოზუნგი, ცხადია, ერთი იმ პირობითი სიტყვათაგანია, რომელიც, როგორც მეტსახელი, ხშირი ხმარებით კანონდება და თითქმის საზოგადო სახელად იქცევა».

მართლაც, არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ თანამედროვე საერთაშორისო * სოციალ-დემოკრატიაში

* სხვათა შორის. უახლესი სოციალიზმის ისტორიაში ეს თითქმის ერთეული და ერთგვარად მეტად სანუგეშო მოვლენაა, რომ სოციალიზმის შიგნით სხვადასხვა მიმართულების დავა გამოვიდა ნაციონალური ფარგლებიდან და პირველად გახდა ინტერნაციონალური. უწინდელ დროს ლასალიანელებსა და ეიზენახელებს[90] შორის, გედისტებსა და პოსიბილისტებს[90] შორის, ფაბიანელებსა[91] და სოციალ-დემოკრატებს შორის, ნაროდოვოლცებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის დავა წმინდა ناციო-

გაჩნდა ორი მიმართულება, რომელთა შორის ბრძოლა ხან ჩაღდება და ელვარე ალს ისვრის, ხან ნელდება და ჰქრება «დაზავების» შესახებ ვრცელი «რეზოლუციებით» დაფერფლილი. რაში მდგომარეობს «ახალი» მიმართულება, რომელიც «კრიტიკულად» ეკიდება «ძველ, დოგმატურ» მარქსიზმს,—ეს საკმაო გარკვეულობით თ ქ ვ ა ბერნშტეინმა და დ ა გ ვ ა ნ ა ხ ვ ა მილიერანმა.

სოციალ-დემოკრატია სოციალური რევოლუციის პარტიიდან სოციალური რეფორმების დემოკრატიულ პარტიად უნდ: გადაიქცესო. ამ პოლიტიკურ მოთხოვნას ბერნშტეინმა გვერდში ამოუყენა საკმაოდ მწყობრად შეთანხმებული «ახალი» არგუმენტებისა და მოსაზრებების მთელი ბატარია. უარყოფილი იყო, რომ შესაძლებელია სოციალიზმის მეცნიერულად დასაბუთება და, ისტორიის მატერიალისტური გაგების თვალსაზრისით, მისი აუცილებლობისა და გარდუვალობის დამტკიცება; უარყოფილი იყო მზარდი გაღატაკების, პროლეტარიზაციისა და კაპიტალისტურ წინააღმდეგობათა გამწვავების ფაქტი; უმწეობად ცხადდებოდა თვით «ს ა ბ ო ლ ო ო მ ი ზ ნ ი ს» ცნება და უცილობლად უკუგდებული იყო პროლეტარიატის დიქტატურის იდეა; უარყოფილი იყო ლიბერალიზმისა და სოციალიზმის პრინციპული წინააღმდეგობა; უარყოფილი იყო კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი ბ რ ძ ო ლ ი ს თ ე ო რ ი ა, რომელიც ვითომდა ვერ მიუდგება ნამდვილ დემოკრატიულ საზოგადოებას. რომელსაც განაგებენ უმრავლესობის ნების თანახმად, და სხვ.

ნალურ დავად რჩებოდა, წმინდა ნაციონალური თავისებურების ანარეკლი იყო და, ასე ვთქვათ, სხვადასხვა ნიადაგზე წარმოებდა. ამჟამად (ახლა ეს უკვე ნათლად ჩანს) ინგლისელი ფაბიანელები, ფრანგი მინისტერიალისტები, გერმანელი ბერნშტეინელები, რუსი კრიტიკოსები, — ყველა ესენი ერთ ოჯახს წარმოადგენენ, ყველა ესენი ერთმანეთს აქებენ, ერთმანეთისაგან სწავლობენ და ერთად ილაშქრებენ «დოგმატური» მარქსიზმის წინააღმდეგ. შეიძლება, სოციალისტურ ოპორტუნიზმთან ამ მართლაცდა პირველ საერთაშორისო შეჯახებაში საერთაშორისო რევოლუციური სოციალ-დემოკრატია საკმაოდ განმტკიცდეს და ბოლო მოუღოს ევროპაში უკვე დიდი ხნის გაბატონებულ პოლიტიკურ რეაქციას?

ამრიგად, რევოლუციური სოციალ-დემოკრატიისაგან ბურჟუაზიული სოციალ-რეფორმატორობისაკენ გადაჭრით შემობრუნების მოთხოვნას თან სდევდა არანაკლებ გადაჭრით შემობრუნება მარქსიზმის ყველა ძირითადი იდეის ბურჟუაზიული კრიტიკისაკენ. ხოლო რადგან ამ უკანასკნელ კრიტიკას უკვე დიდი ხანია აწარმოებენ მარქსიზმის წინააღმდეგ პოლიტიკური ტრიბუნიდანაც, უნივერსიტეტის კათედრიდანაც, აუარებელ ბროშურაშიც და მთელ რიგ მეცნიერულ ტრაქტატებშიც, რადგან განათლებული კლასების მთელი მოზარდი ახალგაზრდობა ათეული წლების განმავლობაში სისტემატურად იზრდებოდა ამ კრიტიკაზე, — გასაკვირველი არ არის, რომ «ახალი კრიტიკული» მიმართულება სოციალ-დემოკრატიაში გამოვიდა როგორღაც ერთბაშად სავსებით დასრულებული სახით, როგორც მინერვა იუპიტერის თავიდან. თავისი შინაარსით, ამ მიმართულებას არ დასჭირვებია განვითარება და ჩამოყალიბება: იგი პირდაპირ იქნა გადატანილი ბურჟუაზიული ლიტერატურიდან სოციალისტურ ლიტერატურაში.

შემდეგ. თუ ბერნშტეინის თეორიული კრიტიკა და მისი პოლიტიკური ზრახვები ვისმესთვის ჯერ კიდევ არ იყო ნათელი, ფრანგებმა იკისრეს ზრუნვა «ახალი მეთოდის» თვალსაჩინო დემონსტრაციაზე. საფრანგეთმა ამ შემთხვევაშიც გაამართლა თავისი ძველებური რეპუტაცია ისეთი «ქვეყნისა, რომლის ისტორიაში კლასთა ბრძოლა, უფრო მეტად, ვიდრე სხვაგან სადმე, აღწევდა თავის გადამწყვეტ დაბოლოებამდე» (ენგელსი, წინასიტყვაობიდან მარქსის თხზულებისა: «Der 18 Brumaire» *). ფრანგი სოციალისტები თეორიული მსჯელობის ნაცვლად პირდაპირ მოქმედებას შეუდგნენ; საფრანგეთის დემოკრატიულად -უფრო განვითარებულმა პოლიტიკურმა პირობებმა ხელი შეუწყეს მათ ერთბაშად გადასულიყვნენ «პრაქტიკულ ბერნშტეინელობაზე» ყველა მისი შედეგით. მილიერანმა ამ პრაქტიკული ბერნშტეინელობის საუცხოო ნიმუში მოგვცა, — ტყუილად როდი იყო, რომ ასეთი

* — «18 ბრიუმერი» [2]. რ ე დ.

გულმოდგინებით გამოხტნენ მილიერანის დასაცავად და სადიდებლად ბერნშტეინიც და ფოლმარიც! მართლაც: თუ სოციალ-დემოკრატია არსებითად მხოლოდ რეფორმების პარტიაა და ამის საჯაროდ ალიარების გამბედაობაც უნდა ჰქონდეს, — მაშინ სოციალისტს არამცთუ უფლება აქვს შევიდეს ბურჟუაზიულ სამინისტროში, არამედ კიდევაც მუდამ ამისკენ უნდა მიილტვოდეს. თუ დემოკრატია არსებითად კლასობრივი ბატონობის მოსპობას ნიშნავს, — რატომ არ უნდა მოხიბლოს ხოლმე სოციალისტმა მინისტრმა მთელი ბურჟუაზიული სამყარო თავისი ენაწყლიანობით კლასთა თანამშრომლობის შესახებ? რატომ არ უნდა დარჩეს ის სამინისტროში იმის შემდეგაც კი, როცა ჟანდარმების მიერ მუშების დახოცვამ ასჯერ და ათასჯერ დაგვანახვა კლასთა დემოკრატიული თანამშრომლობის ჭეშმარიტი ხასიათი? რატომ არ უნდა მიიღოს მან პირადად მონაწილეობა მისალმებაში მეფისადმი, რომელსაც ფრანგი სოციალისტები ახლა ნათლავენ სახრჩობელის, მათრახისა და გადასახლების გმირად (knouteur, pendeur et déportateur)? ხოლო სამაგიეროდ მთელი ქვეყნიერების წინაშე სოციალიზმის ასეთი უსაზღვრო დამცირებისა და თვითწაბილწვის საზღაურია, მუშათა მასების — ამ ერთადერთი ბაზისის, რომელსაც შეუძლია უზრუნველჰყოს ჩვენი გამარჯვება — სოციალისტური შეგნების გახრწნის საზღაურია უბადრუკ რეფორმათა მყვირალა პ რ ო ე ქ ტ ე ბ ი, იმ ზომამდე უბადრუკთა, რომ ბურჟუაზიულ მთავრობათაგან მეტის მიღება ხერხდებოდა ხოლმე!

ვინც განზრახ არ ხუჭავს თვალს, არ შეუძლია არ დაინახოს, რომ ახალი «კრიტიკული» მიმართულება სოციალიზმში არის ო პ ო რ ტ უ ნ ი ზ მ ი ს ახალი ნაირსახეობა და მეტი არაფერი. და თუ ადამიანებს განვსჯით არა იმ ბრჭყვიალა მუნდირის მიხედვით, რომლითაც თვითონ გამოეწყვნენ, არა იმ ეფექტური სახელწოდების მიხედვით, რომელიც თვითონ დაირქვეს, არამედ იმისდა მიხედვით, თუ როგორ იქცევიან და რას ჰქადაგებენ სინამდვილეში, — მაშინ აშკარა გახდება, რომ «კრიტიკის თავისუფლება» არის თავისუფლება ოპორ-

ტუნისტული მიმართულებისა სოციალ-დემოკრატიაში, თავისუფლება სოციალ-დემოკრატიის გადაქცევისა რეფორმათა დემოკრატიულ პარტიად, თავისუფლება ბურჟუაზიული იდეების და ბურჟუაზიული ელემენტების ჩანერგვისა სოციალიზმში.

თავისუფლება — დიადი სიტყვაა, მაგრამ მრეწველობის თავისუფლების დროშით ყოვლად ყაჩაღურ ომებს აწარმოებდნენ, შრომის თავისუფლების დროშით — მშრომელებს ძარცვავდნენ. ასეთსავე შინაგან სიყალბეს შეიცავს ამ სიტყვის — «კრიტიკის თავისუფლების» — თანამედროვე ხმარება. ადამიანები, რომლებიც მართლაც დარწმუნებული არიან, რომ მათ წინ წასწიეს მეცნიერება, მოითხოვდნენ არა ახალ შეხედულებათა თავისუფლებას ძველ შეხედულებათა გვერდით, არამედ უკანასკნელთა შეცვლას პირველით. ხოლო თანამედროვე წამოძახილები — «გაუმარჯოს კრიტიკის თავისუფლებას!» ძალიან მოგვაგონებს იგავ-არაკს ცარიელი კასრის შესახებ.

ჩვენ შემჭიდროებული რიგებით მივდივართ კლდე-ღრეებიანი და ძნელი გზით, მაგრად ხელიხელჩაკიდებულნი. ყოველი მხრივ მტრებით ვართ გარშემორტყმული, და თითქმის მუდამ მათ ცეცხლს ქვეშ გვიხდება სვლა. ჩვენ შევერთდით, თავისუფლად მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, სწორედ იმისთვის, რომ ვებრძოლოთ მტრებს და არ გადავცდეთ მეზობელ ჭაობში, რომლის ბინადარნი თავიდანვე გვკიცხავდნენ იმის გამო, რომ ცალკე ჯგუფად გამოვეყავით და ბრძოლის გზა ავირჩიეთ და არა შერიგების გზა. და აი ზოგიერთი ჩვენგანი იწყებს ყვირილს: წავიდეთ ამ ჭაობშიო! — ხოლო როცა მათ არცხვენენ ამისათვის, ისინი უპასუხებენ: რარიგ ჩამორჩენილი ადამიანები ხართ! როგორ არ გრცხვენიათ იმის უარყოფა, რომ ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია გაგიწვიოთ უკეთეს გზაზეო!—ჰო, დიახ, ბატონებო, თქვენ თავისუფლად შეგიძლიათ არათუ გაწვევა, არამედ წაბრძანებაც, სადაც გნებავდეთ, თუნდაც ჭაობში; ჩვენ იმასაც კი ვფიქრობთ, რომ თქვენი ნამდვილი ადგილი სწორედ ჭაობშია, და მზადაც ვართ

შეძლებისდაგვარად ხელი შევუწყოთ თქვენს გადაბარგებას იქ. მხოლოდ მაშინ გაგვიშვით ხელი, ნულარ გვეპოტინებით ჩვენ და ნუ ბილწავთ დიად სიტყვას — თავისუფლებას, იმიტომ რომ ჩვენც ხომ «თავისუფლად» შეგვიძლია წავიდეთ საითაც გვინდა, თავისუფლად ვებრძოლოთ არა მარტო ჭაობს, არამედ იმათაც, ვინც ჭაობისაკენ უხვევს!

ბ) «კრიტიკის თავისუფლების» ახალი დამცველნი

და აი სწორედ ეს ლოზუნგი («კრიტიკის თავისუფლება») დიდი ამბით წამოაყენა სულ უკანასკნელ დროს «რაბოჩეე დელომ» (№ 10), საზღვარგარეთული «რუს სოციალ-დემოკრატთა კავშირის» ორგანომ, წამოაყენა არა როგორც თეორიული პოსტულატი, არამედ როგორც პოლიტიკური მოთხოვნა, როგორც პასუხი კითხვაზე: «შესაძლოა თუ არა, საზღვარგარეთ მოქმედი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების გაერთიანება?» — «მტკიცე გაერთიანებისათვის აუცილებელია კრიტიკის თავისუფლება» (გვ. 36).

ამ განცხადებიდან გამომდინარეობს ორი სრულიად გარკვეული დასკვნა: 1. «რაბოჩეე დელო» ჰფარველობს ოპორტუნისტულ მიმართულებას საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიაში საერთოდ; 2. «რაბოჩეე დელო» მოითხოვს ოპორტუნიზმის თავისუფლებას რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში. განვიხილოთ ეს დასკვნები.

«რაბოჩეე დელოს» «განსაკუთრებით» არ მოსწონს ««ისკრისა» და «ზარიას» მიდრეკილება — იწინასწარმეტყველონ გათიშვა საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის მთასა და ჟირონდას შორის» *.

---

* რევოლუციურ პროლეტარიატში არსებული ორი მიმდინარეობის (რევოლუციურისა და ოპორტუნისტულის) შედარება XVIII საუკუნის რევოლუციური ბურჟუაზიის ორ მიმდინარეობასთან (იაკობინური — «მთა» — და ჟირონდისტული) მოცემული იყო «ისკრის» № 2-ის (1901 წ. თებერვალი) მოწინავე სტატიაში. ამ სტატიის ავტორი იყო პლეხანოვი. რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში «იაკობინელობაზე» აქამდე ძლიერ უყვართ ლაპარაკი კადეტებსაც, «ბუნდოვანებსაც» [98] და მენშევიკებსაც. მაგრამ იმაზე, თუ

«საერთოდ ჩვენ — წერს «რაბოჩეე დელოს» რედაქტორი ბ. კრიჩევსკი — სოციალ-დემოკრატიის რიგებში მ თ ი ს ა და ჟ ი რ ო ნ დ ი ს შესახებ ლაპარაკი მიგვაჩნია ზერელე ისტორიულ ანალოგიად, უცნაურად მარქსისტის კალმისათვის: მთა და ჟირონდა წარმოადგენდნენ არა სხვადასხვა ტემპერამენტს ან გონებრივ მიმდინარეობას, როგორც ეს შეიძლება მოეჩვენოთ ისტორიკოს-იდეოლოგებს, არამედ სხვადასხვა კლასს ანუ ფენას — საშუალო ბურჟუაზიას, ერთი მხრივ, და მდაბიო ქალაქელთ პროლეტარიატთან ერთად, მეორე მხრივ. თანამედროვე სოციალისტურ მოძრაობაში კი ადგილი არა აქვს კლასობრივი ინტერესების შეტაკებას, ის მთლიანად, ყ ვ ე ლ ა (ხაზგასმა ბ. კრ.) თავისი ნაირსახეობით, თვით ყველაზე თავგამოდებულ ბერნშტეინელთა ჩათვლით, დგას პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების ნიადაგზე, პოლიტიკური და ეკონომიური განთავისუფლებისათვის მისი კლასობრივი ბრძოლის ნიადაგზე» (გვ. 32 — 33).

გაბედული მტკიცებაა! ნუთუ არაფერი გაუგონია ბ. კრიჩევსკის იმ, დიდი ხნის წინათ უკვე შენიშნული, ფაქტის შესახებ, რომ უკანასკნელი წლების სოციალისტურ მოძრაობაში სწორედ «აკადემიკოსთა» ფ ე ნ ი ს ფართო მონაწილეობამ უზრუნველჰყო ბერნშტეინელობის ასეთი სწრაფი გავრცელება? ხოლო უმთავრესი ის არის, — თუ რაზე ამყარებს ჩვენი ავტორი თავის შეხედულებას, რომ თვით «ყველაზე თავგამოდებული ბერნშტეინელებიც» დგანან კლასობრივი ბრძოლის ნიადაგზე პროლეტარიატის პოლიტიკური და ეკონომიური განთავისუფლებისათვისო? გამოუცნობია. თვით ყველაზე თავგამოდებული ბერნშტეინელების გადაჭრით დაცვა სრულიად არავითარ საბუთებს ან მოსაზრებას არ ემყარება. ავტორი, ცხადია, ფიქრობს, რომ რაკი ის იმეორებს იმას, რასაც თვით ყველაზე თავგამოდებული ბერნშტეინელებიც ამბობენ თავიანთ თავზე, — ამიტომ მის მტკიცებას არავითარი დასაბუთებაც აღარ ესაჭიროება. მაგრამ განა შეიძლება წარმოვიდგინოთ უფრო «ზერელე» რამ, ვიდრე ეს მსჯელობა მთელი მიმართულების შესახებ, დამყარებული იმაზე, თუ რას ამბობენ თავიანთ თავზე ამ მიმართულების წარმომადგენელ-

---

როგორ წამოაყენა პირველად პლეხანოვმა ეს ცნება სოციალ-დემოკრატიის მარჯვენა ფრთის წინააღმდეგ, — ამაზე ახლა არჩევენ დუმილს ან... დაიწყებას. (ავტორის შენიშვნა 1907 წლის გამოცემისათვის. რ ე დ.)

ნი? განა შეიძლება წარმოვიდგინოთ უფრო ზერელე რამ, ვიდრე შემდგომი «მორალი» პარტიული განვითარების ორი სხვადასხვა და თვით დიამეტრულად მოპირდაპირე ტიპის ან გზის შესახებ («რაბოჩეე დელო», გვ. 34 — 35)? გერმანელი სოციალ-დემოკრატები, თურმე, აღიარებენ კრიტიკის სრულ თავისუფლებას, — ფრანგები კი არა, და სწორედ მათი მაგალითი გვიჩვენებს მთელ «შეუწყნარებლობის მავნებლობას».

სწორედ ბ. კრიჩევსკის მაგალითი — ვუპასუხებთ ჩვენ ამაზე — გვიჩვენებს, რომ ზოგჯერ თავიანთ თავს მარქსისტებს უწოდებენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ზედგამოჭრით «ილოვაისკისებურად»[94] უყურებენ ისტორიას. გერმანიის სოციალისტური პარტიის ერთიანობისა და საფრანგეთის სოციალისტური პარტიის დაქსაქსულობის ასახსნელად სრულებითაც საჭირო არ არის ჰქონდეთ ერთის ან, მეორე ქვეყნის ისტორიის თავისებურებანი, ერთმანეთს დაუპირისპირო სამხედრო ნახევრადabsolუტიზმისა და რესპუბლიკური პარლამენტარიზმის პირობები, განიხილო კომუნის შედეგები და სოციალისტების შესახებ განსაკუთრებული კანონის შედეგები. ერთმანეთს შეადარო ეკონომიური ყოფა-ცხოვრება და ეკონომიური განვითარება, მოიგონო, თუ «გერმანიის სოციალ-დემოკრატიის უმაგალითო ზრდას» თან როგორ ახლდა სოციალიზმის ისტორიაში უმაგალითო ენერგიული ბრძოლა არა მარტო თეორიული (მიულბერგერი, დიურინგი *, კათედერ-

* როცა ენგელსმა გაილაშქრა დიურინგის წინააღმდეგ, უკანასკნელის შეხედულებისაკენ იხრებოდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის საკმაოდ ბევრი წარმომადგენელი, და ენგელსს საჯაროდ პარტიის ყრილობაზეც კი სდებდნენ ბრალს სიმკაცრეში, შეუწყნარებლობაში, არაამხანაგურ პოლემიკაში და სხვ.. მოსტმა თავის ამხანაგებთან ერთად შეიტანა (1877 წლის ყრილობაზე) წინადადება, რომ მოეხსნათ «Vorwärts»-დან («წინ». რ ე დ.) ენგელსის სტატიები, როგორც ისეთნი, «რომლებიც საინტერესო არ არის მკითხველთა დიდი უმეტესობისათვის», ვალტაიხმა კი (Vahlteich) განაცხადა, რომ ამ სტატიების მოთავსებამ დიდი ზიანი მიაყენა პარტიასო, რომ დიურინგმაც გაუწია სამსახური სოციალ-დემოკრატიასო: «ჩვენ უნდა გავიყენოთ ყველანი პარტიის სასარგებლოდ, ხოლო თუ პროფესორები ერთმანეთს ეკამათებიან, «Vorwärts»-ი სრულებითაც არ წარმოადგენს

სოციალისტები"[95]), არამედ აგრეთვე ტაქტიკური (ლასალი) შეცდომების წინააღმდეგ, და სხვ. და სხვ. თურმე ყოველივე ეს ზედმეტია! ფრანგები ჩხუბობენ, იმიტომ რომ ისინი შეუწყნარებელნი არიან, გერმანელებს ერთიანობა აქვთ, იმიტომ რომ ისინი დამჯერნი არიან.

და აღსანიშნავია, რომ ამ უბადლო ღრმააზროვნების საშუალებით «იცილებენ» ფაქტს, რომელიც საკვლევად უარჰყოფს ბერნშტეინელების დაცვას. დგანან თუ არა ისინი პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ნიადაგზე, ეს საკითხი საბოლოოდ და სამუდამოდ შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ ისტორიული გამოცდილებით. მაშასადამე, ამ მხრივ ყველაზე უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს სწორედ საფრანგეთის მაგალითს, როგორც ერთადერთი ქვეყნისას, სადაც ბერნშტეინელებმა სცადეს დამოუკიდებლად დამდგარიყვნენ საკუთარ ფეხზე, რაც დიდად მოუწონეს მათ გერმანელმა კოლეგებმა (და რაოდენადმე რუსმა ოპორტუნისტებმაც: შეად. «რაბოჩეე დელო», № 2 — 3, გვ. 83 — 84). ფრანგების «შეუწყნარებლობაზე» მითითება — გარდა იმისა, რომ მას «ისტორიული» (ამ სიტყვის ნოზდრევისებური აზრით) მნიშვნელობა აქვს — თურმე იმის უბრალო ცდა ყოფილა, რომ მეტად უსიამოვნო ფაქტები ბრაზიანი სიტყვებით მიაფუჩეჩონ.

გარდა ამისა, ჩვენ ჯერ სრულიადაც არ განგვიზრახავს გერმანელები ბ. კრიჩევსკის და «კრიტიკის თავისუფლების» სხვა მრავალრიცხოვან დამცველებს ვაჩუქოთ. თუ «ყველაზე თავგამოდებულ ბერნშტეინელებსაც» კი ითმენენ კიდევ გერმანიის პარტიის რიგებში, ეს იმდენად, რამდენადაც ისინი ემორჩილებიან ჰანოვერის რეზოლუციასაც[96], რო-

ადგილს ასეთი კამათისთვისო» («Vorwärts», 1877, № 65, 6 ივნისის თარიღით). როგორც ხედავთ, ესეც «კრიტიკის თავისუფლების» დაცვის მაგალითია, და ზედმეტი არ იქნებოდა ამ მაგალითს ჩაკვირვებოდნენ ჩვენი ლეგალური კრიტიკოსები და არალეგალური ოპორტუნისტები, რომელთაც ასე უყვართ გერმანელთა მაგალითის დამოწმება!

მელმაც გადაჭრით უარყო ბერნშტეინის «შესწორებანი», და ლუბეკის[70] რეზოლუციასაც, რომელიც შეიცავს (თუმცა ძალიან დიპლომატიურად) პირდაპირ გაფრთხილებას ბერნშტეინის მიმართ. შეიძლება დავა, გერმანიის პარტიის ინტერესთა თვალსაზრისით, იმის შესახებ, თუ რამდენად მისაღები იყო აქ დიპლომატობა, სჯობს თუ არა ამ შემთხვევაში ცუდი ზავი კარგ ჩხუბს; ერთი სიტყვით, შეიძლება ვერ შევთანხმდეთ იმის შეფასებაში, თუ ბერნშტეინელობის უარყოფის რომელი წ ე ს ი ა უფრო მიზანშეწონილი, მაგრამ არ შეიძლება არდანახვა იმ ფაქტისა, რომ ბერნშტეინელობა ორჯერ უ ა რ ჰ ყ ო გერმანიის პარტიამ. ამიტომ იმის ფიქრი, თითქოს გერმანელთა მაგალითი ადასტურებს თეზისს: «ყველაზე თავგამოდებული ბერნშტეინელები პროლეტარიატის ეკონომიური და პოლიტიკური განთავისუფლებისთვის კლასობრივი ბრძოლის ნიადაგზე დგანანო», იმას ნიშნავს, რომ სრულიად ვერ გაიგო ის, რაც ყველას თვალწინ ხდება *.

---

* უნდა აღვნიშნოთ, რომ ბერნშტეინელობის საკითხზე გერმანიის პარტიაში «რ. დელო» ყოველთვის სჯერდებოდა ფაქტების მშრალად გადმოცემას და სრულიად «იკავებდა თავს» საკუთარი შეფასებისაგან. იხ. მაგ., № 2 — 3, გვ. 66 — შტუტგარტის ყრილობის შესახებ[97]; მთელი უთანხმოება ამოიწურება «ტაქტიკით» და აღნიშნულია მხოლოდ, რომ დიდი უმრავლესობა ერთგულია წინანდელი რევოლუციური ტაქტიკისაო. ან № 4 — 5, გვ. 25 და შემდ. — უბრალო გადმოცემა ჰანოვერის ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვებისა ბებელის რეზოლუციის მოყვანით; ბერნშტეინის ნაწერების გადმოცემა და კრიტიკა კვლავ გადადებულია (როგორც 2 — 3 ნომერშიც) «განსაკუთრებულ სტატიამდე». კურიოზულია, რომ 4 — 5 ნომერში მე-33 გვერდზე ვკითხულობთ: «...ბებელის მიერ გამოთქმულ შეხედულებებს ემხრობა ყრილობის დიდი უმრავლესობა», ხოლო ცოტა ქვემოთ: «...დავიდი იცავდა ბერნშტეინის შეხედულებებს... ყველაზე უწინ ის ცდილობდა ეჩვენებინა, რომ... ბერნშტეინი და მისი მეგობრები რაც უნდა იყოს მაინც (sic!) (ასეა! რ ე დ.) კლასობრივი ბრძოლის ნიადაგზე დგანან»... ეს დაიწერა 1899 წლის დეკემბერში, ხოლო 1901 წლის სექტემბერში «რ. დელოს», ეტყობა, უკვე აღარ სჯერა ბებელის სიმართლე და იმეორებს დავიდის შეხედულებას როგორც თავის საკუთარს!

ეს კიდევ არაფერი. «რაბოჩეე დელო» გამოდის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რ უ ს ე თ ი ს სოციალ-დემოკრატიის წინაშე «კრიტიკის თავისუფლების» მოთხოვნით და ბერნშტეინელობის დაცვით. ცხადია, ის დარწმუნდა, რომ ჩვენში უსამართლოდ შეურაცხყოფდნენ ხოლმე ჩვენს «კრიტიკოსებს» და ბერნშტეინელებს. მაგრამ სახელდობრ ვის? ვინ? სად? როდის? სახელდობრ რით გამოიხატებოდა ეს უსამართლობა? — ამაზე «რაბოჩეე დელო» სდუმს და ერთხელაც არ იხსენიებს არც ერთ რუს კრიტიკოსს და ბერნშტეინელს! ამ ორი შესაძლებელი ვარაუდიდან ჩვენ დაგვრჩენია დავუშვათ მხოლოდ ერთ-ერთი. ა ნ უსამართლოდ დაჩაგრული მხარე არის თვით «რაბოჩეე დელო» (ეს მტკიცდება იმით, რომ მეათე ნომრის ორივე სტატიაში ლაპარაკია მხოლოდ «ზარიას» და «ისკრის» მიერ «რაბოჩეე დელოსთვის» მიყენებულ შეურაცხყოფაზე). მაგრამ მაშინ რით აიხსნება ის უცნაურობა, რომ «რაბოჩეე დელომ», რომელიც ყოველთვის ასე დაჟინებით უარჰყოფდა ბერნშტეინელობასთან ყოველივე სოლიდარობას, ვერ შეძლო თავი დაეცვა ისე, რომ არ გამოქომაგებოდა «ყველაზე თავგამოდებულ ბერნშტეინელებს» და კრიტიკის თავისუფლებას? ა ნ დ ა უსამართლოდ შეურაცხყოფილნი არიან რომელიღაც მესამე პირნი. მაშინ რა მოტივები იწვევენ დუმილს მათ შესახებ?

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ «რაბოჩეე დელო» განაგრძობს იმ კეკემალულობას, რომელსაც წარმოშობის დღიდანვე ეწეოდა (როგორც ქვემოთ დავინახავთ). შემდეგ კი ყურადღება მიაქციეთ ნაქები «კრიტიკის თავისუფლების» ამ პ ი რ ვ ე ლ ფაქტიურ გამოყენებას. სინამდვილეში ის იმთავითვე არ წარმოადგენდა არამცთუ რაიმე კრიტიკას, არამედ არც რაიმე დამოუკიდებელ მსჯელობას საერთოდ. სწორედ ის «რაბოჩეე დელო», რომელიც სდუმს, თითქოს საიდუმლო სენიაო (სტაროვერის[98] მოხდენილი გამოთქმით), რუსულ ბერნშტეინელობაზე, ამ სენის სამკურნალოდ გვირჩევს მ ხ ო ლ ო დ გ ა დ მ ო ვ წ ე რ ო თ უკანასკნელი გერმანული რე-

ცეპტი სენის გერმანული ნაირსახეობის წინააღმდეგ! კრიტიკის თავისუფლების ნაცვლად — მონური... კიდევ უფრო უარესი: მაიმუნური მიმბაძველობა! თანამედროვე ინტერნაციონალური ოპორტუნიზმის ერთი და იგივე სოციალურ-პოლიტიკური შინაარსი თავს იჩენს ამა თუ იმ ნაირსახეობით, ნაციონალურ თავისებურებათა შესაბამისად. ერთ ქვეყანაში ოპორტუნისტების ჯგუფი იმთავითვე განსაკუთრებული დროშით გამოდიოდა, მეორეში ოპორტუნისტები უგულებელჰყოფდნენ თეორიას, პრაქტიკულად რადიკალ-სოციალისტების პოლიტიკას ატარებდნენ, მესამეში — რევოლუციური პარტიის რამდენიმე წევრი გადაბარგდა ოპორტუნიზმის ბანაკში და ცდილობს თავისი მიზნების მიღწევას არა აშკარა ბრძოლით პრინციპებისა და ახალი ტაქტიკისათვის, არამედ თანდათანი, შეუმჩნეველი და, თუ შეიძლება ასე ითქვას, საკუთარი პარტიის დაუსჯელი გარყვნით, მეოთხეში — ასეთივე გაქცეულები მიმართავენ იმავე ხერხს პოლიტიკური მონობის ბურუსში და «ლეგალური» და «არალეგალური» მუშაობის სრულიად ორიგინალურ ურთიერთდამოკიდებულების პირობებში და სხვ.. ხოლო ლაპარაკი კრიტიკისა და ბერნშტეინელობის თავისუფლების შესახებ, როგორც რ უ ს ი სოციალ-დემოკრატების გაერთიანების პირობების შესახებ, და ამასთანავე იმის განუხილველად დატოვება, თუ სახელდობრ რაში გამოიხატა და რა განსაკუთრებული ნაყოფი გამოიღო რ უ ს უ ლ მ ა ბერნშტეინელობამ, — ნიშნავს იმიტომ ილაპარაკო, რომ არაფერი არა თქვა.

მაშ ვცადოთ ჩვენ თვითონ ვთქვათ, თუნდაც რამდენიმე სიტყვით, ის, რის თქმაც არ მოისურვა (ან, შეიძლება, ვერც გაიგო) «რაბოჩეე დელომ».

ბ) კრიტიკა რუსეთში

რუსეთის ძირითადი თავისებურება იმ მხრივ, რა მხრივაც ჩვენ ვიხილავთ, ის არის, რომ თ ვ ი თ დ ა ს ა წ ყ ი ს მუშათა სტიქიური მოძრაობისა, ერთი მხრივ, და მო-

წინავე საზოგადოებრივი აზრის შემობრუნებისა მარქსიზმისაკენ, მეორე მხრივ, აღინიშნა აშკარად სხვადასხვაგვარი ელემენტების შეერთებით საერთო დროშის ქვეშ და საერთო მოწინააღმდეგესთან (მოძველებულ სოციალურ-პოლიტიკურ მსოფლმხედველობასთან) საბრძოლველად. ჩვენ ვლაპარაკობთ «ლეგალური მარქსიზმის» აყვავების პერიოდზე. ეს იყო საზოგადოდ მეტისმეტად ორიგინალური მოვლენა, რომლის შესაძლებლობასაც კი ვერ დაიჯერებდა ვინმე 80-იან წლებში ან 90-იანი წლების დასაწყისში. თვითმპყრობელურ ქვეყანაში, სადაც ბეჭდვითი სიტყვა სრულიად დამონებული იყო, გააფთრებული პოლიტიკური რეაქციის ეპოქაში, — რეაქციის, რომელიც პოლიტიკური უკმაყოფილებისა და პროტესტის მცირეოდენ ნასახსაც კი სდევნიდა, — ანაზდეულად ცენზურასდაქვემდებარებულ ლიტერატურაში გზას იკვლევს რევოლუციური მარქსიზმის თეორია, რომელსაც გადმოსცემენ ეზოპის, მაგრამ ყველა «დაინტერესებულთათვის» გასაგები ენით. მთავრობა შეჩვეული იყო იმას, რომ საშიშრად მიაჩნდა მხოლოდ (რევოლუციური) ნაროდოვოლცობის თეორია, მის შინაგან ევოლუციას კი, როგორც ეს ხდება ხოლმე, ვერ ამჩნევდა, და უხაროდა ამ თეორიის წინააღმდეგ მიმართული ყოველგვარი კრიტიკა. სანამ მთავრობა გონს მოვიდოდა, სანამ ცენზორებისა და ჟანდარმების მოუქნელი არმია ახალ მტერს მიაგნებდა და თავს დაატყდებოდა, — მანამდე კარგმა დრომ განვლო (ჩვენებური რუსული ანგარიშით). ხოლო ამ ხნის განმავლობაში კი ზედიზედ გამოდიოდა მარქსისტული წიგნები, არსდებოდა მარქსისტული ჟურნალები და გაზეთები, მარქსისტებად ხდებოდნენ განურჩევლად ყველანი, მარქსისტებს ელაქუცებოდნენ, მარქსისტებს თავს ევლებოდნენ, გამომცემლები აღფრთოვანებული იყვნენ, მარქსისტული წიგნები რომ არაჩვეულებრივად ბევრი საღდებოდა. სავსებით გასაგებია, რომ ასე გაბრუებულ ახლად ფეხადგმულ მარქსისტებს შორის აღმოჩნდა არა ერთი «მწერალი, რომელიც გამედიდურდა»... [99]

ამჟამად ამ ხანაზე გულდამშვიდებით შეიძლება ლაპარაკი, როგორც წარსულზე. არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ ჩვენი ლიტერატურის ზედაპირზე მარქსიზმის ხანმოკლე აყვავება გამოწვეული იყო უკიდურესი შეხედულების ადამიანთა კავშირით მეტად ზომიერ ადამიანებთან. არსებითად, ეს უკანასკნელნი ბურჟუაზიულ დემოკრატებს წარმოადგენდნენ, და ეს დასკვნა (სრულ სიცხადემდე დადასტურებული მათი შემდგომი «კრიტიკული» განვითარებით) თავისთავად ისახებოდა ზოგიერთების წინაშე ჯერ კიდევ სანამ «კავშირი» მთელი იყო *.

მაგრამ თუ ასეა, ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა შემდგომი «შფოთისათვის» სწორედ რევოლუციურ სოციალ-დემოკრატებს ხომ არ ეკისრებათ, რომლებმაც ეს კავშირი შეჰკრეს მომავალ «კრიტიკოსებთან»? ასეთი კითხვა, და თანაც დადებითი პასუხი მასზე, ზოგჯერ გვესმის ისეთი ადამიანებისაგან, რომლებიც მეტისმეტად პირდაპირ უყურებენ საქმეს. მაგრამ ეს ადამიანები სრულიად არ არიან მართალნი. დროებითი კავშირისა, თუნდაც არასაიმედო ადამიანებთან, შეეშინდება მხოლოდ იმას, ვისაც არა აქვს თავის იმედი, და ვერც ერთი პოლიტიკური პარტია ასეთი კავშირების შეუქმნელად ვერ იარსებებდა. ხოლო ლეგალურ მარქსისტებთან შეერთება — ეს იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ერთგვარი პირველი ნამდვილი პოლიტიკური კავშირი. ამ კავშირის მეოხებით მიღწეულ იქნა საოცრად სწრაფი გამარჯვება ნაროდნიკობაზე და მარქსიზმის იდეების (თუმცა გავულგარებული სახით) მეტად ფართოდ გავრცელება. თანაც კავშირი შეიკრა არცთუ სრულიად ყოველგვარი «პირობების» დაუთქმელად. დამამტკიცებელი საბუთი: 1895 წელს ცენზურის მიერ დამწვარი მარქსისტული კრებული «მასალები რუსეთის

* აქ იგულისხმება კ. ტულინის სტატია სტრუვეს წინააღმდეგ (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 1, გვ. 397 — 616. რ ე დ.), რომელიც შედგენილია რეფერატიდან სახელწოდებით «მარქსიზმის ანარეკლი ბურჟუაზიულ ლიტერატურაში». (ავტორის შენიშვნა 1907 წლის გამოცემისათვის. რ ე დ.)

სამეურნეო განვითარების საკითხისათვის»[100]. ლეგალურ მარქსისტებთან ლიტერატურული შეთანხმება თუ კი შეიძლება შევადაროთ პოლიტიკურ კავშირს, მაშინ ეს წიგნი შეიძლება შევადაროთ პოლიტიკურ ხელშეკრულებას.

გათიშვა, რა თქმა უნდა, იმას კი არ გამოუწვევია, რომ «მოკავშირეები» ბურჟუაზიული დემოკრატები აღმოჩნდნენ. პირიქით, ამ უკანასკნელი მიმართულების წარმომადგენელნი — სოციალ-დემოკრატიის ბუნებრივი და სასურველი მოკავშირეები არიან, რამდენადაც საქმე ეხება სოციალ-დემოკრატიის დემოკრატიულ ამოცანებს, რომელთაც წინა რიგში აყენებს რუსეთის თანამედროვე მდგომარეობა. მაგრამ ასეთი კავშირის აუცილებელ პირობას შეადგენს სრული შესაძლებლობა სოციალისტებისათვის — გადაუშალონ მუშათა კლასს მტრული დაპირისპირება მისი ინტერესებისა ბურჟუაზიის ინტერესებთან. ხოლო ის ბერნშტეინელობა და «კრიტიკული» მიმართულება, რომელსაც ერთიანად დაადგა ლეგალური მარქსისტების უმრავლესობა, ამ შესაძლებლობაა სპობდა და რყვნიდა სოციალისტურ შეგნებას, ავულგარებდა მარქსიზმს, ქადაგებდა სოციალურ წინააღმდეგობათა შენელების თეორიას, სისულელედ აცხადებდა სოციალური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის იდეას, მუშათა მოძრაობასა და კლასობრივ ბრძოლას აქვეითებდა ვიწრო ტრედ-უნიონიზმამდე და «რეალისტურ» ბრძოლამდე წვრილმანი, თანდათანობითი რეფორმებისათვის. ეს სავსებით უდრიდა ბურჟუაზიული დემოკრატიის მხრივ სოციალიზმის დამოუკიდებლობის უფლებისა და, მაშასადამე, აგრეთვე, მისი არსებობის უფლების უარყოფას; პრაქტიკულად ეს ნიშნავდა მისწრაფებას, რომ ახლად ფეხადგმული მუშათა მოძრაობა ლიბერალების კუდად გადაექციათ.

ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში გათიშვა აუცილებელი იყო. მაგრამ რუსეთის «ორიგინალური» თავისებურება იმით გამოიხატა, რომ ეს გათიშვა ნიშნავდა სოციალ-დემოკრატების უბრალო ჩამოცილებას ყველასათვის უფრო ხელმისა-

წვდომი და ფართოდ გავრცელებული «ლეგალური» ლიტერატურისაგან. ამ ლიტერატურაში გამაგრდნენ «ყოფილი მარქსისტები», რომლებიც «კრიტიკის ნიშნის ქვეშ» დადგნენ და თითქმის მონოპოლია მიიღეს მარქსიზმის «გასაცამტვერებლად». ძახილი: «ორთოდოქსიის წინააღმდეგ» და «გაუმარჯოს კრიტიკის თავისუფლებას» (რასაც ახლა «რაბოჩეე დელო» იმეორებს) — ერთბაშად ახალმოდის სიტყვებად გადაიქცა, და ამ მოდით გატაცებას რომ ვერ გაუძლეს ვერც ცენზორებმა და ჟანდარმებმა, ეს ჩანს ისეთი ფაქტებიდან, როგორიც არის ს ა მ ი რუსული გამოცემა განთქმული (ჰეროსტრატესებურად განთქმული) ბერნშტეინის წიგნისა, ანდა კიდევ ზუბატოვის მიერ ბერნშტეინის, ბ-ნ პროკოპოვიჩისა და სხვ. წიგნების რეკომენდაცია («ისკრა» № 10). ახლა სოციალ-დემოკრატებს დაეკისრათ თავისთავად ძნელი, და წარმოუდგენლად გაძნელებული კიდევ წმინდა გარეგანი დაბრკოლებებით, ახალ მიმდინარეობასთან ბრძოლის ამოცანა. ხოლო ეს მიმდინარეობა მარტო ლიტერატურის სფეროთი როდი შემოიფარგლებოდა. «კრიტიკისაკენ» მობრუნებას თან ახლდა პრაქტიკოს-სოციალ-დემოკრატების შემხვედრი მიდრეკილება «ეკონომიზმისაკენ».

როგორ წარმოიშვა და იზრდებოდა ლეგალური კრიტიკის და არალეგალური ეკონომიზმის კავშირი და ურთიერთდამოკიდებულება, ეს საინტერესო საკითხი ცალკე სტატიის საგნად გამოდგებოდა. ჩვენთვის საკმაო იქნება აქ აღვნიშნოთ ამ კავშირის უეჭველი არსებობა. ყბადაღებულმა «Credo»*-მ სწორედ იმიტომ მოიხვეჭა ასეთი დამსახურებული სახელი, რომ მან აშკარად ჩამოაყალიბა ეს კავშირი და წამოროშა «ეკონომიზმის» ძირითადი პოლიტიკური ტენდენცია: მუშებმა დაე ეკონომიური ბრძოლა აწარმოონ (უფრო სწორი იქნებოდა თქმა: ტრედ-უნიონისტური ბრძოლა, ვინაიდან ეს უკანასკნელი მოიცავს აგრეთვე სპეციფიკურად მუშურ პოლიტიკასაც),

* — მრწამსი, პროგრამა, მსოფლმხედველობის გადმოცემა. რ ე დ.

ხოლო მარქსისტული ინტელიგენცია და შეუერთდეს ლიბერალებს პოლიტიკური «ბრძოლის» საწარმოებლადო. გამოდიოდა, რომ ტრედ-უნიონისტური მუშაობა «ხალხში» შეადგენდა ამ ამოცანის პირველი ნახევრის, ხოლო ლეგალური კრიტიკა — მეორე ნახევრის შესრულებას. ეს განცხადება ისეთი საუცხოო იარაღი იყო ეკონომიზმის წინააღმდეგ, რომ «Credo» რომ არ ყოფილიყო — საჭირო იქნებოდა მისი გამოგონება.

«Credo» გამოგონილი არ ყოფილა, მაგრამ ის გამოაქვეყნეს მისი ავტორების ნების გარეშე და, შეიძლება, მათი ნების წინააღმდეგაც. ყოველ შემთხვევაში, ამ სტრიქონების დამწერს, რომელიც მონაწილეობას იღებდა ამ ახალი «პროგრამის» საქვეყნოდ გამოტანის საქმეში *, მოუხდა ჩივილისა და საყვედურის მოსმენა იმის გამო, რომ ორატორების მიერ ჩაწერილი რეზიუმე მათი შეხედულებებისა გავრცელებულ იქნა ასლებად, მოინათლა «Credo»-ს სახელწოდებით და პრესაშიც კი მოხვდა პროტესტთან ერთად! ჩვენ ამ ეპიზოდს იმიტომ ვეხებით, რომ ის ნათელყოფს ჩვენი ეკონომიზმის ერთ მეტად საინტერესო თვისებას: საჯაროობის შიშს. ეს არის სწორედ ეკონომიზმის თვისება საერთოდ და არა მხოლოდ «Credo»-ს ავტორებისა: ამ თვისებას იჩენდა «რაბოჩაია მისლიც», ეკონომიზმის ეს მეტად პირდაპირი და მეტად პატიოსანი მომხრე, «რაბოჩეე დელოც» (რომელიც აღაშფოთა «ეკონომიური» დოკუმენტების გამოქვეყნებამ «Vademe-

---

* ლაპარაკია 17-თა პროტესტზე «Credo»-ს წინააღმდეგ. ამ სტრიქონების დამწერი მონაწილეობას იღებდა ამ პროტესტის შედგენაში (1899 წლის მიწურულში)[101]. პროტესტი «Credo»-სთან ერთად დაიბეჭდა საზღვარგარეთ 1900 წლის გაზაფხულზე. (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 4, გვ. 197—215. რ ე დ.) ამჟამად ქ-ნ კუსკოვას სტატიიდან (მგონი, «ბილოეში»[102]) უკვე ვიცით, რომ «Credo»-ს ავტორი იყო ის, ხოლო იმდროინდელ საზღვარგარეთელ «ეკონომისტებს» შორის ყველაზე თვალსაჩინო როლს ასრულებდა ბ-ნი პროკოპოვიჩი. (ავტორის შენიშვნა 1907 წლის გამოცემისათვის. რ ე დ.)

cum»-ში) *, კიევის კომიტეტიც, რომელმაც ამ ორი წლის წინათ არ მოისურვა ნება დაერთო თავისი «Profession de foi»-ს ** გამოქვეყნებისათვის მის წინააღმდეგ დაწერილ უარყოფასთან ერთად ***, და ეკონომიზმის ბევრი, ბევრი სხვა ცალკე წარმომადგენელიც.

კრიტიკის ეს შიში, რომელსაც კრიტიკის თავისუფლების მომხრენი იჩენენ, მარტო ცბიერებით არ შეიძლება აიხსნას (თუმცა ზოგჯერ უეჭველად აქვს აქ ადგილი ცბიერებასაც: უანგარიშობაა გამოაჩინო მოწინააღმდეგის შემოსატევად ახალი მიმართულების ჯერ კიდევ ნორჩი ყლორტები!). არა, ეკონომისტების უმრავლესობა სრულიად გულწრფელად უყურებს (და, თვით ეკონომიზმის არსის მიხედვით, უნდა უყურეს კიდევაც) მტრულად ყოველგვარ თეორიულ კამათს, ფრაქციულ უთანხმოებას, ფართო პოლიტიკურ საკითხებს, რევოლუციონერების დარაზმვის პროექტებს და სხვ. «ყოველივე ეს საზღვარგარეთს უნდა გადავულოცოთო!» — მითხრა ერთხელ ერთმა საკმაოდ თანამიმდევარმა ეკონომისტმა, და ამით გამოთქვა ფრიად გავრცელებული (და ისევ ისე წმინდა ტრედ-უნიონისტური) შეხედულება: ჩვენი საქმე — მუშათა მოძრაობაა, მუშათა ორგანიზაციები აქ, ჩვენს მხარეში, ხოლო დანარჩენი — დოქტრინიორთა მოგონილია, «იდეოლოგიის გადაფასებაა», როგორც თქვეს «ისკრის» მე-12 ნომერში მოთავსებული წერილის ავტორებმა «რაბოჩეე დელოს» მე-10 ნომერთან ხმაშეწყობით.

ახლა იბადება კითხვა: რუსული «კრიტიკისა» და რუსული ბერნშტეინელობის ასეთნაირ თავისებურებათა გამო რაში უნდა გამოხატულიყო იმათი ამოცანა, ვისაც საქმით და არა მხოლოდ სიტყვიერად სურდა ოპორტუნიზმის მოწინააღმდეგე ყოფილიყო? ჯერ-ერთი, საჭირო იყო ზრუნვა იმ თეორიული

* — «გზის მაჩვენებელი» [103]. რ ე დ.

** — მრწამსი, პროგრამა, მსოფლმხედველობის გადმოცემა [104]. რ ე დ.

*** — რამდენადაც ვიცით, კიევის კომიტეტის შემადგენლობა მას, შემდეგ შეიცვალა.

მუშაობის განახლებისათვის, რომელიც ის-ის იყო დაიწყო ლეგალური მარქსიზმის ეპოქამ და რომელიც ახლა ისევ არალეგალურ მუშაკებს დააწვა; ასეთი მუშაობის გაუწევლად შეუძლებელი იყო მოძრაობის წარმატებით ზრდა. მეორეც, აუცილებელი იყო აქტიური ბრძოლის გაჩაღება ლეგალურ «კრიტიკასთან», რომელიც უაღრესად რყვნიდა აზროვნებას. მესამეც, საჭირო იყო აქტიურად გამოსვლა პრაქტიკულ მოძრაობაში დაბნეულობისა და მერყეობის წინააღმდეგ, ჩვენი პროგრამისა და ჩვენი ტაქტიკის შეგნებულად ან შეუგნებლად ჩამოქვეითების ყოველგვარი ცდის გამოაშკარავება და უარყოფა.

«რაბოჩეე დელო» რომ არ აკეთებდა არც ერთს, არც მეორეს და არც მესამეს, ეს ცნობილია, და ქვემოთ ჩვენ მოგვიხდება დაწვრილებით გავარკვიოთ ეს ცნობილი ჭეშმარიტება ყოველმხრივ. ახლა კი გვინდა მხოლოდ ნათელვყოთ, თუ რა აშკარა წინააღმდეგობაშია «კრიტიკის თავისუფლების» მოთხოვნა ჩვენებური კრიტიკისა და რუსული ეკონომიზმის თავისებურებებთან. მართლაც, გადახედეთ იმ რეზოლუციის ტექსტს, რომლითაც «რუსი სოციალ-დემოკრატების კავშირმა საზღვარგარეთ» დაადასტურა «რაბოჩეე დელოს» თვალსაზრისი:

«სოციალ-დემოკრატიის შემდგომი იდეური განვითარების ინტერესების გულისთვის სოციალ-დემოკრატიული თეორიის კრიტიკის თავისუფლებას პარტიულ ლიტერატურაში უეჭველად საჭიროდ ვცნობთ, რამდენადაც კრიტიკა არ ეწინააღმდეგება ამ თეორიის კლასობრივ და რევოლუციურ ხასიათს» («ორი ყრილობა», გვ. 10).

და დასაბუთება: რეზოლუცია «თავის პირველ ნაწილში ემთხვევა ლუბეკის პარტეიტაგის რეზოლუციას ბერნშტეინის შესახებ»... თავისი გულუბრყვილობის გამო «მოკავშირეები» ვერც კი ამჩნევენ, თუ რა testimonium paupertatis (სიღარიბის მოწმობას) თავისი თავის შესახებ აწერენ ისინი ხელს ასეთი მიმბაძველობით!.. «მაგრამ... მეორე ნაწილში უფრო მეტად ზღუდავს კრიტიკის თავისუფლებას, ვიდრე ეს ლუბეკის პარტეიტაგმა მოიმოქმედა».

ამრიგად, «კავშირის» რეზოლუცია რუსი ბერნშტეინელების წინააღმდეგ არის მიმართული? წინააღმდეგ შემთხვევაში ხომ სრული აბსურდი იქნებოდა ლუბეკის დამოწმება! მაგრამ ეს არ არის სწორი, რომ რეზოლუცია «მეტად ზღუდავს კრიტიკის თავისუფლებას». გერმანელებმა თავიანთი ჰანოვერის რეზოლუციით ერთიმეორის მიყოლებით უარჰყვეს ს წ ო რ ე დ ი მ შესწორებათა ყველა პუნქტი, რომლებიც შეჰქონდა ბერნშტეინს, ხოლო ლუბეკის რეზოლუციით მათ გაფრთხილება მისცეს ბ ე რ ნ შ ტ ე ი ნ ს პ ი რ ა დ ა დ, მოიხსენიეს რა ის რეზოლუციაში. ჩვენს «თავისუფალ» მიმბაძველთ კი კ რ ი ნ ტ ი ც ა რ დ ა უ ძ რ ა ვ თ სპეციალურად რუსული «კრიტიკისა» და რუსული ეკონომიზმის ა რ ც ე რ თ ი ასეთი გამოვლინების შესახებ; ასეთი დუმილის დროს თეორიის კლასობრივი და რევოლუციური ხასიათის ცარიელი დამოწმება გაცილებით მეტ გასაქანს სტოვებს ყალბი ახსნა-განმარტებისთვის, მით უფრო, როდესაც «კავშირი» უარს ამბობს ოპორტუნიზმს მიაკუთვნოს «ეგრეთწოდებული ეკონომიზმი» («ორი ყრილობა», გვ. 8, პ. 1). მაგრამ ეს სხვათა შორის. მთავარი კი ის არის, რომ ოპორტუნისტების პოზიცია რევოლუციური სოციალ-დემოკრატების მიმართ ერთიმეორის დიამეტრულად მოპირდაპირეა გერმანიასა და რუსეთში. გერმანიაში რევოლუციური სოციალ-დემოკრატები, როგორც ცნობილია, მომხრენი არიან შეინარჩუნონ ის, რაც არის: ძველი პროგრამა და ტაქტიკა, ყველასთვის ცნობილი და მრავალი ათეული წლის გამოცდილებით განმარტებული დეტალურად. «კრიტიკოსებს» კი სურთ ცვლილებანი შეიტანონ; და რადგანაც ეს კრიტიკოსები უმნიშვნელო უმცირესობას წარმოადგენენ, ხოლო მათი რევიზიონისტული მისწრაფებანი ძლიერ გაუბედავია, ამიტომ გასაგებია ის მოტივები, რომელთა მიხედვით უმრავლესობა «ახალი რამის» შემოღების მშრალ უარყოფას სჯერდება. ჩვენში კი, რუსეთში, კრიტიკოსები და ეკონომისტები მომხრენი არიან შეინარჩუნონ ის, რაც არის: «კრიტიკოსებს» სურთ, რომ მათ ისევ მარქსისტებად თვლიდნენ და უზრუნ-

ველყონ მათთვის ის «კრიტიკის თავისუფლება», რომლითაც ისინი ყოველი მხრივ სარგებლობდნენ (ვინაიდან არავითარ პარტიულ კავშირს ისინი, არსებითად, არასდროს არ ცნობდნენ *, და არც გვქონდა ჩვენ ისეთი საყოველთაოდ ცნობილი პარტიული ორგანო, რომელიც შეძლებდა «შეეზღუდა» კრიტიკის თავისუფლება თუნდაც რჩევის მიცემით); ეკონომისტებს უნდათ, რევოლუციონერებმა სცნონ «მოძრაობის სრულუფლებიანობა აწმყოში» («რაბოჩეე დელო» № 10, გვ. 25), ე. ი. «კანონიერება» იმის არსებობისა, რაც არსებობს; რომ «იდეოლოგები» არ შეეცადონ მოძრაობის «გადაცდენას» იმ გზიდან, რომელიც «განისაზღვრება მატერიალური ელემენტებისა და მატერიალური გარემოს ურთიერთზემოქმედებით» («წერილი» «ისკრის» № 12-ში); რომ სასურველად სცნონ იმ ბრძოლის წარმოება, «რომელიც კი შეეძლებათ მუშებს ამა თუ იმ პირობებში», ხოლო შესაძლოდ სცნონ ის ბრძოლა, «რომელსაც ისინი ნამდვილად აწარმოებენ ამჟამად» («რაბოჩაია მისლის» ცალკე დამატება,

* უკვე მარტო ის გარემოება, რომ არ მოგვეპოვება აშკარა პარტიული კავშირი და პარტიული ტრადიცია, ისე კარდინალურად განასხვავებს რუსეთს გერმანიისაგან, რომ ამ გარემოებას უნდა გაეფრთხილებინა ყოველი გონიერი სოციალისტი ბრმა მიმბაძველობისაგან. აი იმის ნიმუშიც, თუ სადამდე მიდის «კრიტიკის თავისუფლება» რუსეთში. რუსი კრიტიკოსი, ბ-ნი ბულგაკოვი, ასეთნაირად ტუქსავს ავსტრიელ კრიტიკოსს, ჰერცს: «თუმცა ჰერცი ამ პუნქტში (კოოპერაციის შესახებ) დასკვნებს სრულიად დამოუკიდებლად აკეთებს, მაგრამ მაინც, ეტყობა, მეტისმეტად შებოჭილია თავისი პარტიის შეხედულებებით და, მართალია, დეტალებში არ ეთანხმება, მაგრამ მაინც ვერ გადაუწყვეტია გამოეთხოვოს ზოგად პრინციპს» («კაპიტალიზმი და მიწათმოქმედება», ტ. II, გვ. 287). ქვეშევრდომი პოლიტიკურად დამონებული სახელმწიფოსი, სადაც მოსახლეობის ᲫᲘ/ᲘᲘᲘᲘ სულიან-ხორციანად გახრწნილია პოლიტიკური მონობითა და პარტიული ღირსებისა და პარტიული კავშირის სრული შეუგნებლობით, — ქედმაღლურად ტუქსავს კონსტიტუციური სახელმწიფოს მოქალაქეს, რომ ის მეტისმეტად «შებოჭილია პარტიის შეხედულებებით»! ეხლოდ ისღა დარჩენიათ ჩვენს არალეგალურ ორგანიზაციებს, რომ შეუდგნენ რეზოლუციების შედგენას კრიტიკის თავისუფლების შესახებ...

გვ. 14). პირიქით, ჩვენ, რევოლუციური სოციალ-დემოკრატები, უკმაყოფილონი ვართ ასეთი ქედის მოხრით სტიქიურობის წინაშე, ე. ი. იმის წინაშე, რაც არის «ამჟამად»; ჩვენ მოვითხოვთ შეიცვალოს უკანასკნელ წლებში გაბატონებული ტაქტიკა, ჩვენ ვაცხადებთ, რომ «სანამ გავერთიანდებოდეთ და იმისთვის, რომ გავერთიანდეთ, ჩვენ ჯერ გადაჭრით და გარკვევით უნდა გავიმიჯნოთ» (განცხადებიდან «ისკრის» გამოცემის შესახებ) *. ერთი სიტყვით, გერმანელები რჩებიან არსებულ პირობებში და უარყოფენ ცვლილებებს; ჩვენ მოვითხოვთ არსებულის შეცვლას და უარვყოფთ ქედის მოხრას ამ არსებულის წინაშე და მასთან შერიგებას.

ეს «პატარა» განსხვავება ვერ შენიშნეს სწორედ გერმანული რეზოლუციების ჩვენმა «თავისუფალმა» ასლის გადამღებლებმა!

დ) ენგელსი თეორიული ბრძოლის მნიშვნელობის შესახებ

«დოგმატიზმი, დოქტრინორობა», «პარტიის გაქვავება — აუცილებელი სასჯელია აზრის ძალად შებოჭვისათვის», — ასეთი არიან ის მტრები, რომელთა წინააღმდეგ რაინდულად ილაშქრებენ «კრიტიკის თავისუფლების» მოტრფიალენი «რაბოჩეე დელოში». — ჩვენ ძლიერ მოხარული ვართ, რომ ეს საკითხი დღის წესრიგში დაისვა და წინადადებას შემოვიტანდით მხოლოდ, რომ დაემატოს მას ასეთი საკითხიც:

მსაჯულნი ვინღა არიან?

წინ გვიდევს ორი განცხადება ლიტერატურული გამომცემლობის შესახებ. ერთი — «პროგრამა რუსი სოციალ-დემოკრატების კავშირის პერიოდული ორგანოს «რაბოჩეე დელოსი» (ამონაბეჭდი «რაბოჩეე დელოს» პირველი ნომრიდან). მეორე — «განცხადება «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის გამოცემათა განახლების შესახებ». ორივე განცხადება დათარიღებულია 1899 წლით, როცა «მარქსიზმის კრიზისი» დიდი

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 4, გვ 434. რ ე დ.

ხანია უკვე დღის წესრიგში იდგა. და მერე რა? პირველ ნაწარმოებში ამაო იქნებოდა გეძებნათ ამ მოვლენაზე მითითება და იმ პოზიციის გარკვეულად ჩამოყალიბება, რომლის დაკავებასაც აპირებს ამ საკითხში ახალი ორგანო. თეორიული მუშაობის და მისი საარსებო ამოცანების შესახებ ამხანად — კრინტიც არ არის დაძრული არც ამ პროგრამაში, არც მის იმ დამატებებში, რომლებიც «კავშირის» მესამე ყრილობამ მიიღო 1901 წელს («ორი ყრილობა», გვ. 15 — 18). მთელი ამ ხნის განმავლობაში «რაბოჩეე დელოს» რედაქცია უყურადღებოდ სტოვებდა თეორიულ საკითხებს, მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხები აღელვებდა მთელი მსოფლიოს ყველა სოციალ-დემოკრატს.

მეორე განცხადება, პირიქით, უწინარეს ყოვლისა აღნიშნავს თეორიისადმი ინტერესის შესუსტებას უკანასკნელ წლებში, დაჟინებით მოითხოვს «გამახვილებულ ყურადღებას პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის თეორიული მხარისადმი» და მოუწოდებს ჩვენი მოძრაობის «ბერნშტეინული და სხვა ანტირევოლუციური ტენდენციების ულმობელი კრიტიკისაკენ». «ზარიას» გამოსული ნომრები გვიჩვენებს, როგორ სრულდებოდა ეს პროგრამა.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ აზრის გაქვავებისა და სხვ. შესახებ მყვირალა ფრაზები ფარავს მხოლოდ უზრუნველობასა და უილაჯობას თეორიული აზრის განვითარებაში. რუსი სოციალ-დემოკრატების მაგალითი განსაკუთრებით ნათელი ილუსტრაციაა იმ საერთო ევროპული მოვლენისა (რაც უკვე დიდი ხანია აღნიშნეს გერმანელმა მარქსისტებმაც), რომ ყბადაღებული კრიტიკის თავისუფლება ნიშნავს არა ერთი თეორიის შეცვლას მეორეთი, არამედ განთავისუფლებას ყოველგვარი მთლიანი და მოფიქრებული თეორიისაგან, ნიშნავს ეკლექტიზმს და უპრინციპობას. ვინც ოდნავ მაინც იცნობს ჩვენი მოძრაობის ფაქტიურ მდგომარეობას, მას არ შეუძლია არ დაინახოს, რომ მარქსიზმის ფართოდ გავრცელებას თან ახლდა თეორიული დონის რაოდენადმე ჩამოქვეითება. მოძ-

რაობას, მისი პრაქტიკული მნიშვნელობისა და პრაქტიკულ წარმატებათა გამო, ემხრობოდა ბევრი ისეთი ადამიანი, რომლებიც ძლიერ ნაკლებად, ან სრულიადაც არ იყვნენ მომზადებული თეორიულად. ამის მიხედვით შეიძლება განვსაჯოთ, ტაქტის რა უქონლობას იჩენს «რაბოჩეე დელო», როცა ძლევამოსილი სახით აყენებს მარქსის სიტყვებს: «ნამდვილი მოძრაობის თვითეული ნაბიჯი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ათეული პროგრამაო» [105]. ამ სიტყვების გამეორება თეორიული დაბნეულობის ეპოქაში იმას უდრის, სამგლოვიარო პროცესიის დანახვაზე რომ მორთო ყვირილი: «ეს ერთი და სხვა ათასიო!» თანაც მარქსის ეს სიტყვები ამოღებულია მისივე წერილიდან გოთას პროგრამის შესახებ, რომელშიც მარქსი სასტიკად ჰკიცხავს ეკლექტიზმს, დაშვებულს პრინციპების ფორმულირებაში: თუ მაინცდამაინც საჭირო იყო შეერთება, — სწერდა მარქსი პარტიის მეთაურებს, — დადეთ ხელშეკრულებანი, მოძრაობის პრაქტიკული მიზნების დასაკმაყოფილებლად, პრინციპების ვაჭრობას კი თავი დაანებეთ, ნუ დაადგებით თეორიულ «დათმობათა» გზას. აი როგორი იყო მარქსის აზრი, ჩვენში კი მოინახებიან ადამიანები, რომლებიც, მისი სახელით, ცდილობენ თეორიის მნიშვნელობის შესუსტებას!

რევოლუციური თეორიის გარეშე შეუძლებელია რევოლუციური მოძრაობაც. არ შეიძლება საკმაო დაჟინებით ამ აზრის დაცვა ისეთ დროს, როცა ოპორტუნიზმის ახალმოდის ქადაგება ჩაჰკონებია პრაქტიკული მუშაობის უკიდურესად ვიწრო ფორმებით გატაცებას. ხოლო რუსეთის სოციალ-დემოკრატიისთვის თეორიის მნიშვნელობას აძლიერებს კიდევ სამი გარემოება, რომელთაც ხშირად ივიწყებენ, სახელდობრ: ჯერ-ერთი, ის, რომ ჩვენი პარტია ჯერ მხოლოდ ყალიბდება, ჯერაც ჰქმნის თავის ფიზიონომიას და ბევრი უკლია ანგარიშების გასწორებამდე რევოლუციური აზრის სხვა მიმართულებებთან, რომლებიც მოძრაობის სწორი გზიდან გადაცდენას იმუქრებიან. პირიქით, სწორედ სულ უკანასკნელი ხანა

აღინიშნა (როგორც ამას დიდი ხანია უწინასწარმეტყველებდა ეკონომისტებს აქსელროდი) არა სოციალ-დემოკრატიულ რევოლუციურ მიმართულებათა გამოცოცხლებით. ასეთ პირობებში ერთი შეხედვით «უმნიშვნელო» შეცდომას შეუძლია გამოიწვიოს მეტისმეტად სამწუხარო შედეგები, და მხოლოდ ბეც ადამიანებს შეუძლიათ უდროოდ ან ზედმეტად მიიჩნიონ ფრაქციული დავა და ელფერთა სხვადასხვანაირობის სასტიკი გარჩევა. ამა თუ იმ «ელფერის» განმტკიცებაზე შეიძლება დამოკიდებული იყოს რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მომავალი მრავლისაგან მრავალი წლის განმავლობაში.

მეორეც, სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა საერთაშორისოა თვით თავისი არსით. ეს ნიშნავს არა მარტო იმას, რომ ჩვენ უნდა ვებრძოლოთ ნაციონალურ შოვინიზმს. ეს ნიშნავს აგრეთვე იმასაც, რომ ახალგაზრდა ქვეყანაში დაწყებულ მოძრაობას წარმატება ექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის განახორციელებს სხვა ქვეყნების გამოცდილებას. ხოლო ასეთი განხორციელებისთვის არ კმარა ამ გამოცდილების მარტოოდენ გაცნობა ან უკანასკნელი რეზოლუციების მარტოოდენ გადმოწერა. ამისთვის საჭიროა უნარი — კრიტიკულად მოეკიდო ამ გამოცდილებას და დამოუკიდებლად შეამოწმო იგი. ვინც კი წარმოიდგენს, რა გიგანტურად გაიზარდა ყოველმხრივ და განშტოვდა თანამედროვე მუშათა მოძრაობა, ის მიხვდება, თეორიული ძალების და პოლიტიკური (აგრეთვე რევოლუციური) გამოცდილების როგორი მარაგია საჭირო ამ ამოცანის შესრულებისათვის.

მესამე, რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ნაციონალური ამოცანები ისეთია, რანაირიც მსოფლიოში ჯერ არც ერთ სოციალისტურ პარტიას არა ჰქონია. ქვემოთ ჩვენ მოგვიხდება ლაპარაკი იმ პოლიტიკურ და ორგანიზაციულ მოვალეობებზე, რომლებსაც გვაკისრებს თვითმპყრობელობის უღლისაგან მთელი ხალხის განთავისუფლების ეს ამოცანა. ახლა კი მხოლოდ იმაზე გვინდა მივუთითოთ, რომ (მოწინავე მებრძოლის როლის შესრულე-

ბა შეუძლია მხოლოდ ისეთ პარტიას, რომელიც მოწინავე თეორიით ხელმძღვანელობს. ხოლო რაოდენადმე მაინც კონკრეტულად რომ წარმოიდგინოს მკითხველმა, თუ რას ნიშნავს ეს, მოიგონოს რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ისეთი წინამორბედნი, როგორიც იყვნენ გერცენი, ბელინსკი, ჩერნიშევსკი და 70-იანი წლების რევოლუციონერთა ბრწყინვალე პლეადა; დაუფიქრდეს იმ მსოფლიო მნიშვნელობას, რომელსაც ახლა იხვეჭს რუსული ლიტერატურა; დაუფიქრდეს... მაგრამ ესეც საკმარისია!

მოვიყვანოთ ენგელსის 1874 წლის შენიშვნები სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში თეორიის მნიშვნელობის საკითხზე. ენგელსი ცნობს სოციალ-დემოკრატიის დიადი ბრძოლის არა ორ ფორმას (პოლიტიკურს და ეკონომიურს), — როგორც ეს ჩვენში არის მიღებული, — არამედ სამს, და მათ გვერდით აყენებს თეორიულ ბრძოლასაც. მისი დარიგება პრაქტიკულად და პოლიტიკურად განმტკიცებული გერმანიის მუშათა მოძრაობისადმი ისე საგულისხმოა თანამედროვე საკითხებისა და დავის თვალსაზრისით, რომ მკითხველი, იმედი გვაქვს, არ გვისაყვედურებს გრძელ ამონაწერს წინასიტყვაობიდან მისი ბროშურისა «Der deutsche Bauernkrieg» *, რომელიც დიდი ხანია უკვე უდიდეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს:

«გერმანელ მუშებს დანარჩენი ევროპის მუშების წინაშე ორი არსებითი უპირატესობა აქვთ. პირველი — ის, რომ ისინი ევროპის ყველაზე უფრო თეორეტიკოს ერს ეკუთვნიან და შენარჩუნებული აქვთ ის თეორიული გულისყური, რომელიც ეგრეთწოდებულ «განათლებულ» კლასებს სრულიად დაბშული აქვთ გერმანიაში. გერმანული მეცნიერული სო-

* Dritter Abdruck. Leipzig, 1875. Verlag der Genossenschaftsbuchdruckerei («გლეხთა ომი გერმანიაში». მესამე გამოცემა, ლაიფციგი, 1875. კოოპერაციული გამომცემლობა. რ ე დ.).

ციალიზმი, — ერთადერთი მეცნიერული სოციალიზმი, — რომელიც კი ოდესმე არსებულა, ვერასოდეს ვერ შეიქმნებოდა, წინამორბედად გერმანული ფილოსოფია, განსაკუთრებით ჰეგელის ფილოსოფია, რომ არ ჰქონოდა. მუშებს რომ თეორიული გულისყური არა ჰქონოდათ, ეს მეცნიერული სოციალიზმი ვერასოდეს ვერ შეესისხლხორცებოდა მათ იმ ზომამდე, როგორც ამას ახლა ვხედავთ. ხოლო თუ რა განუზომლად დიდია ეს უპირატესობა, ამას გვიჩვენებს, ერთი მხრივ, ის გულგრილობა ყოველგვარი თეორიისადმი, რომელიც ერთი მთავარი მიზეზთაგანია იმისა, თუ რატომ მიდის წინ ასე ნელა ინგლისის მუშათა მოძრაობა, მიუხედავად ცალკე პროფესიათა საუცხოო ორგანიზაციისა, — ხოლო, მეორე მხრივ, ამას გვიჩვენებს ის არევ-დარევა და მერყეობა, რომელიც პრუდონიზმმა დათესა თავისი პირვანდელი ფორმით ფრანგებსა და ბელგიელებში, ხოლო ბაკუნინის მიერ გაკარიკატურებული ფორმით — ესპანელებსა და იტალიელებში.

მეორე უპირატესობა ის არის, რომ გერმანელები მუშათა მოძრაობაში თითქმის ყველაზე გვიან ჩაებნენ. როგორც გერმანული თეორიული სოციალიზმი ვერასოდეს ვერ დაივიწყებს, რომ იგი სენ-სიმონის, ფურიეს და ოუენის მხრებზე დგას — იმ სამი მოაზროვნის მხრებზე, რომელნიც, მიუხედავად მათ მოძღვრებათა მთელი ფანტასტიკურობისა და მთელი უტოპიზმისა, ყველა დროის უდიდეს მოაზროვნეებს ეკუთვნიან და რომელთაც გენიალურად განჭვრიტეს უამრავი ისეთი ჭეშმარიტება, რომელთა სისწორეს ჩვენ ახლა მეცნიერულად ვამტკიცებთ, — ისევე გერმანიის პრაქტიკულმა მუშათა მოძრაობამ არასოდეს არ უნდა დაივიწყოს, რომ იგი განვითარდა ინგლისისა და საფრანგეთის მუშათა მოძრაობის მხრებზე, რომ მას შესაძლებლობა მიეცა მხოლოდ გამოეყენებინა თავის სასარგებლოდ ის გამოცდილება, რომელიც ასე ძვირად დაუჯდათ ფრანგებსა და ინგლისელებს, და თავიდან აეცილებინა ახლა ის შეცდომები, რომელთა აცილება უმეტეს შემთხვევაში მაშინ არ შეიძლებოდა. სად ვიქნებოდით ჩვენ

ახლა, რომ ინგლისის ტრედ-უნიონთა და საფრანგეთის მუშათა პოლიტიკური ბრძოლის მაგალითებით არ გვესარგებლნა და ის კოლოსალური ბიძგი არ მიგვეღო, რომელიც განსაკუთრებით პარიზის კომუნამ მოგვცა?

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ გერმანელმა მუშებმა იშვიათი ოსტატობით გამოიყენეს თავიანთი მდგომარეობის უპირატესობანი. პირველად მას შემდეგ, რაც მუშათა მოძრაობა არსებობს, ბრძოლა გეგმაშეწონილად წარმოებს სამივე მიმართულებით, ერთმანეთთან შეთანხმებულად და შეკავშირებულად: თეორიული, პოლიტიკური და პრაქტიკულ-ეკონომიური (წინააღმდეგობა კაპიტალისტებისადმი) მიმართულებით. სწორედ ეს, ასე ვთქვათ, კონცენტრული თავდასხმა არის გერმანიის მუშათა მოძრაობის სიძლიერე და უძლეველობა.

ერთი მხრივ, მათი ამ ხელსაყრელი მდგომარეობის გამო, მეორე მხრივ, ინგლისის მუშათა მოძრაობის კუნძულებრივ თავისებურებათა და საფრანგეთის მუშათა მოძრაობის ძალადობით დათრგუნვის გამო, გერმანელი მუშები ამჟამად პროლეტარული ბრძოლის სათავეში არიან მოქცეული. შეუძლებელია იმის წინასწარმეტყველება, რამდენ ხანს დასტოვებს მათ მოვლენათა განვითარება ამ საპატიო პოსტზე. მაგრამ სანამ მათ იგი უჭირავთ, იმედი უნდა ვიქონიოთ, ღირსეულად შეასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას. ამისათვის საჭიროა ძალღონის გაორკეცებული დაძაბვა ბრძოლისა და აგიტაციის ყველა სფეროში. განსაკუთრებით ბელადების მოვალეობა იქნება უფრო და უფრო გათვითცნობიერდნენ ყველა თეორიულ საკითხში, უფრო და უფრო განთავისუფლდნენ ძველი მსოფლმხედველობის ტრადიციული ფრაზების გავლენისაგან და მუდამ მხედველობაში იქონიონ, რომ სოციალიზმი, მას შემდეგ რაც ის მეცნიერებად იქცა, მოითხოვს, რომ მას სწორედ ისე მოეკცნენ, როგორც მეცნიერებას, ე. ი. შეისწავლონ იგი. საჭიროა, რომ ამრიგად შეძენილი და სულ უფრო გარკვეული შეგნება სულ უფრო მეტი გულმოდგინე-

ბით გავავრცელოთ მუშათა მასებში და როგორც პარტიის, ისე პროფესიული კავშირების ორგანიზაცია უფრო და უფრო მტკიცედ დავრაზმოთ...

...თუ გერმანელი მუშები განაგრძობენ ასე წინსვლას, ისინი მოძრაობის სათავეში მარშით არ ივლიან — მოძრაობის ინტერესები სრულიად არ მოითხოვს, რომ ერთი რომელიმე ერის მუშები მის სათავეში მარშით მიდიოდნენ — მაგრამ საპატიო ადგილი კი ეკავებათ მებრძოლთა მწკრივში; და ისინი თავით ფეხამდე შეიარაღებული იდგებიან, თუ მოულოდნელად მძიმე განსაცდელმა ან დიდმა ამბებმა მისგან უფრო დიდი ვაჟკაცობა, უფრო დიდი გამბედაობა და ენერგია მოითხოვა»[106].

ენგელსის სიტყვები წინასწარმეტყველური გამოდგა. რამდენიმე წლის შემდეგ გერმანელ მუშებს უეცრად თავს დაატყდათ მძიმე განსაცდელი სოციალისტების წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებული კანონის სახით. და გერმანელი მუშები მართლაც რომ თავით ფეხამდე შეიარაღებული დაუხვდნენ მას და შეძლეს კიდევაც გამარჯვებით გამოსვლა ამ განსაცდელიდან.

რუსეთის პროლეტარიატს განუზომლად უფრო მძიმე განსაცდელი მოელის, მოელის ბრძოლა ურჩხულთან, რომელთან შედარებით კონსტიტუციურ ქვეყანაში გამოცხადებული განსაკუთრებული კანონი ნამდვილ ცეროდენად გვეჩვენება. ისტორიამ ახლა ჩვენს წინაშე დააყენა უახლოესი ამოცანა, რომელიც ყველაზე უფრო რევოლუციურია რომელიც გნებავთ სხვა ქვეყნის პროლეტარიატის ყველა უახლოეს ამოცანათა შორის. ამ ამოცანის განხორციელება, არა მარტო ევროპის, არამედ აგრეთვე (შეგვიძლია ვთქვათ ახლა) აზიის რეაქციის უაღრესად ძლიერი დასაყრდენის დანგრევა რუსეთის პროლეტარიატს საერთაშორისო რევოლუციური პროლეტარიატის ავანგარდად გახდიდა. და ჩვენც უფლება გვაქვს იმედი ვიქონიოთ, რომ მოვიპოვებთ ამ საპატიო სახელწოდებას, რომელიც ჯერ კიდევ ჩვენმა წინამორბედებმა, 70-იანი წლების რევოლუციონერებმა დაი-

მსახურეს, თუკი შევძლებთ ჩვენი ათასჯერ უფრო ფართო და ღრმა მოძრაობის აღფრთოვანებას ასეთივე თავდადებული გამბედაობითა და ენერგიით.

II

მასების სტიქიურობა და სოციალ-დემოკრატიის შეგნებულობა

ჩვენ ვთქვით, რომ ჩვენი მოძრაობა, რომელიც გაცილებით უფრო ფართო და ღრმაა, ვიდრე 70-იანი წლების მოძრაობა, საჭიროა აღვაფრთოვანოთ ისეთივე, როგორც მაშინ, თავდადებული გამბედაობით და ენერგიით. მართლაც, აქამდე, მგონი, ჯერ კიდევ არავის ეჭვი არ შეჰპარვია იმაში, რომ თანამედროვე მოძრაობის ძალა არის მასების (და, უმთავრესად, სამრეწველო პროლეტარიატის) გამოფხიზლება, ხოლო მისი სისუსტე — ხელმძღვანელ-რევოლუციონერთა შეგნებულობისა და ინიციატივის ნაკლებობა.

მაგრამ ამ ბოლო დროს მოხდა ერთი უცნაური აღმოჩენა, რომელიც გადატრიალებას უქადის ყველა დღემდე გაბატონებულ შეხედულებას ამ საკითხზე. ეს აღმოჩენა ეკუთვნის «რაბოჩეე დელოს», რომელიც «ისკრასა» და «ზარიასთან» ჯამათში არ დასჯერდა მხოლოდ კერძო საწინააღმდეგო მოსაზრებებს და შეეცადა «საერთო უთანხმოებისთვის» გამოენახა უფრო ღრმა ფესვი — «სტიქიურისა და შეგნებულად «გეგმაშეწონილი» ელემენტის შ ე დ ა რ ე ბ ი თ ი მნიშვნელობის სხვადასხვაგვარი შეფასება». «რაბოჩეე დელოს» საბრალდებო თეზისი ამბობს: «გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი ა ნ უ ს ტ ი ქ ი უ რ ი ე ლ ე მ ე ნ ტ ი ს მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ი ს შ ე მ ც ი რ ე ბ ა» *. ამაზე ჩვენ ვიტყვით: «ისკრის» და «ზარიას» პოლემიკას არავითარი სხვა შედეგიც რომ არ

* «რაბოჩეე დელო» № 10, 1901 წ. სექტემბერი, გვ. 17 და 18. ხაზგასმა «რაბოჩეე დელოსია».

მოეცა იმის გარდა, რომ «რაბოჩეე დელოს» შეაგნებინა ეს «საერთო უთანხმოება», მარტო ეს ერთი შედეგიც კი დიდად დაგვაკმაყოფილებდა: იმდენად მრავალმნიშვნელოვანია ეს თეზისი, იმდენად მკაფიოდ აშუქებს ის რუს სოციალ-დემოკრატებს შორის არსებულ თანამედროვე თეორიულ და პოლიტიკურ უთანხმოებათა მთელ არსს.

აი რატომ არის, რომ სტიქიურობისადმი შეგნებულობის დამოკიდებულების საკითხი წარმოადგენს უდიდეს ზოგად ინტერესს, და ამ საკითხზე საჭიროა მეტად დაწვრილებით შევჩერდეთ.

ა) სტიქიური აღმავლობის დასაწყისი

წინა თავში ჩვენ აღვნიშნეთ რუსეთის განათლებული ახალგაზრდობის ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო გატაცება მარქსიზმის თეორიით 90-იანი წლების ნახევარში. ასეთივე საყოველთაო ხასიათი მიიღო დაახლოებით იმავე ხანებში მუშათა გაფიცვებმა პეტერბურგის 1896 წლის განთქმულ სამრეწველო ომის შემდეგ. ამ გაფიცვების გავრცელება მთელ რუსეთში აშკარად მოწმობდა კვლავ დაწყებული სახალხო მოძრაობის სიღრმეს, და თუკი ვილაპარაკებთ «სტიქიურ ელემენტზე», რა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა სწორედ ეს საგაფიცვო მოძრაობა უნდა ჩავთვალოთ სტიქიურ მოძრაობად. მაგრამ სტიქიურობაც არის და სტიქიურობაც. გაფიცვები რუსეთში ხდებოდა როგორც 70-იან, ისე 60-იან წლებშიც (და XIX საუკუნის პირველ ნახევარშიც კი); მათ თან მოჰყვა მანქანების «სტიქიური» განადგურება და სხვ. ამ «ამბოხებებთან» შედარებით 90-იანი წლების გაფიცვებს შეიძლება «შეგნებულიც» კი ვუწოდოთ — იმ ზომამდე მნიშვნელოვანია ის ნაბიჯი, რომელიც მუშათა მოძრაობამ გადადგა ამ დროის განმავლობაში. ეს იმას გვიჩვენებს, რომ «სტიქიური ელემენტი» წარმოადგენს, არსებითად, შეგნებულობის ჩ ა ნ ა ს ა ხ ფ ო რ მ ა ს და

არა სხვა რაიმეს. (პრიმიტიული ამბოხებანიც უკვე შეგნებულობის რამდენადმე გაღვიძებას გამოხატავდნენ: მუშები ჰკარგავდნენ იმ წესწყობილების შეურყეველობის ძველისძველ რწმენას, რომლის სიმძიმე მათ აწვათ, იწყებდნენ კოლექტიური წინააღმდეგობის აუცილებლობის... არ ვიტყვი, შეგნებასმეთქი, არამედ შეგრძნობას, და გადაჭრით აღწევდნენ თავს მონურ მორჩილებას უფროსების წინაშე. მაგრამ ეს მაინც გაცილებით უფრო მეტად სასოწარკვეთილებისა და შურისძიების გამოხატულება იყო, ვიდრე ბრძოლა. 90-იანი წლების გაფიცვები გვიჩვენებენ შეგნებულობის გაცილებით მეტ გამოვლინებას: აყენებენ გარკვეულ მოთხოვნებს, წინასწარ ითვალისწინებენ, რომელი მომენტია უფრო მოხერხებული, მსჯელობენ განსაზღვრულ შემთხვევებსა და მაგალითებზე, რომელნიც სხვაგან მომხდარა და სხვ.. თუ ამბოხებანი მხოლოდ ჩაგრული ხალხის ოჯანყება იყო, მაშინ სისტემატური გაფიცვები უკვე კლასობრივი ბრძოლის ჩანასახს გამოხატავდა, მაგრამ სწორედ მხოლოდ ჩანასახს. თავისთავად აღებული, ეს გაფიცვები ტრედ-უნიონისტურ ბრძოლას წარმოადგენდნენ, ეს კიდევ არ იყო სოციალ-დემოკრატიული ბრძოლა; ეს გაფიცვები მოასწავებდნენ მუშებისა და მეპატრონეების ანტაგონიზმის გაღვიძებას, მაგრამ მუშებს არ ჰქონდათ, და არც შეიძლებოდა ჰქონოდათ შეგნება მათი ინტერესების შეურიგებელი წინააღმდეგობისა მთელ თანამედროვე პოლიტიკურ და საზოგადოებრივ წყობილებასთან, ე. ი. სოციალ-დემოკრატიული შეგნება. ამ აზრით, 90-იანი წლების გაფიცვები, მიუხედავად უდიდესი პროგრესისა «ამბოხებებთან» შედარებით, წმინდა-სტიქიური მოძრაობა იყო.)

ჩვენ ვთქვით, რომ (სოციალ-დემოკრატიული შეგნება მუშებს არც შეიძლებოდა ჰქონოდაო. ამ შეგნების შეტანა მათში შეიძლებოდა მხოლოდ გარედან. (ყველა ქვეყნის ისტორია მოწმობს, რომ მუშათა კლასს მარტოოდენ თავისი საკუთარი ძალებით შეუძლია შეიმუშაოს მხოლოდ ტრედ-უნიონისტური შეგნება, ე. ი. რწმენა იმისა, რომ აუცი-

ლებლად საჭიროა გაერთიანდნენ კავშირებში, აწარმოონ ბრძოლა მეპატრონეებთან, მოითხოვონ მთავრობისაგან მუშებისათვის საჭირო ამა თუ იმ კანონების გამოცემა და სხვ. *. ხოლო სოციალიზმის მოძღვრება აღმოცენდა იმ ფილოსოფიური, ისტორიული და ეკონომიური თეორიებიდან, რომელთაც ამუშავებდნენ მდიდართა კლასების განათლებული წარმომადგენლები, ინტელიგენცია. თანამედროვე მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებელნი, მარქსი და ენგელსი, თვითონაც, თავიანთი სოციალური მდგომარეობით, ბურჟუაზიულ ინტელიგენციას ეკუთვნოდნენ. სწორედ ასევე რუსეთშიც სოციალ-დემოკრატიის თეორიული მოძღვრება წარმოიშვა სრულიად დამოუკიდებლად მუშათა მოძრაობის სტიქიური ზრდისაგან, წარმოიშვა როგორც ბუნებრივი და აუცილებელი შედეგი რევოლუციურ-სოციალისტური ინტელიგენციის აზროვნების განვითარებისა. იმ დროისათვის, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, ე. ი. 90-იანი წლების შუახანისათვის, ეს მოძღვრება არამცთუ «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის უკვე სავსებით ჩამოყალიბებულ პროგრამას წარმოადგენდა, არამედ მან მიიმხრო კიდევაც რევოლუციური ახალგაზრდობის უმეტესობა რუსეთში.

ამრიგად, აშკარა იყო მუშათა მასების სტიქიური გამოღვიძებაც, გამოღვიძება შეგნებული ცხოვრებისა და შეგნებული ბრძოლისათვის; იყო აგრეთვე სოციალ-დემოკრატიული თეორიით შეიარაღებული რევოლუციური ახალგაზრდობა, რომელიც მიილტვოდა მუშებისაკენ. ამასთანავე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ ის ხშირად მივიწყებული (და შედარებით ნაკლებად ცნობილი) ფაქტი, რომ ამ პერიოდის

* ტრედ-უნიონიზმი სრულებითაც არ ნიშნავს ყოველგვარი «პოლიტიკის» უარყოფას, როგორც ზოგჯერ ფიქრობენ. ტრედ-უნიონები ყოველთვის ეწეოდნენ განსაზღვრულ (მხოლოდ არა სოციალ-დემოკრატიულ) პოლიტიკურ აგიტაციას და ბრძოლას. ტრედ-უნიონისტური და სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკის განსხვავების შესახებ ჩვენ ვილაპარაკებთ შემდეგ თავში.

პირველი სოციალ-დემოკრატები, რომლებიც გულმოდგინედ ეწეოდნენ ეკონომიურ აგიტაციას — (და სავსებით უწევდნენ ამ მხრივ ანგარიშს იმ დროს ჯერ კიდევ ხელნაწერი ბროშურის «აგიტაციის შესახებ» მართლაცდა სასარგებლო მითითებებს) — არამცთუ არ თვლიდნენ ამ ეკონომიურ აგიტაციას თავის ერთადერთ ამოცანად, არამედ, პირიქით, იმ თავითვე აყენებდნენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ფრიად ფართო ისტორიულ ამოცანებსაც საერთოდ და თვითმპყრობელობის დამხობის ამოცანას განსაკუთრებით. მაგალითად, პეტერბურგის სოციალ-დემოკრატების იმ ჯგუფმა, რომელმაც დააარსა «მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი», ჯერ კიდევ 1895 წლის დამლევს შეადგინა პირველი ნომერი გაზეთისა «რაბოჩეე დელოს» სახელწოდებით. ეს ნომერი, სრულიად გამზადებული დასაბეჭდად, დაუჭირეს ჟანდარმებმა 1895 წლის 8 დეკემბერს ღამით გაჩხრეკის დროს ჯგუფის ერთ-ერთ წევრს, ანატოლი ალექსის-ძე ვანეევს *, და პირველი ფორმაციის «რაბოჩეე დელოს» აღარ ეღირსა დღის სინათლის ხილვა. ამ გაზეთის მოწინავე სტატია (რომელიც, შესაძლოა, 30 წლის შემდეგ გამოქექეს რომელიმე «რუსსკაია სტარინამ» [107] პოლიციის დეპარტამენტის არქივიდან) გვიხატავდა რუსეთის მუშათა კლასის ისტორიულ ამოცანებს და ამ ამოცანების სათავეში აყენებდა პოლიტიკური თავისუფლების მოპოვებას. შემდეგი სტატია იყო «რაზე ფიქრობენ ჩვენი მინისტრები» **, რომელიც ეხებოდა პოლიციის მიერ წერა-კითხვის კომიტეტების დარბევას, და მთელი წყება კორესპონდენციები არა

---

* ა. ა. ვანეევი გარდაიცვალა 1899 წელს აღმოსავლეთ ციმბირში ჭლექით, რომელიც მას საპყრობილეში განმარტოებით ჩაკეტვამ დამართა. სწორედ ამიტომ დავინახეთ შესაძლოდ გამოგვექვეყნებინა ტექსტში მოყვანილი ცნობები, რომელთა სისწორისათვის ჩვენ ვკისრულობთ პასუხისმგებლობას, ვინაიდან ეს ცნობები ჩვენ მივიღეთ იმ პირთაგან, რომლებიც უშუალოდ და ძლიერ დაახლოებით იცნობდნენ ა. ა. ვანეევს.

** იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 2, გვ. 91 — 97. რედ.

მარტო პეტერბურგიდან, არამედ რუსეთის სხვა ადგილებიდანაც (მაგ., მუშების ხოცვა-ჟლეტის შესახებ იაროსლავლის გუბერნიაში). ამრიგად, ეს 90-იანი წლების რუსი სოციალ-დემოკრატების, თუ არ ვცდებით, «პირველი ცდა» წარმოადგენდა არა ვიწრო ადგილობრივი, მით უფრო არა «ეკონომიური» ხასიათის გაზეთს, არამედ ისეთს, რომელიც ცდილობდა საგაფიცვო ბრძოლა შეეერთებინა რევოლუციურ მოძრაობასთან თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და სოციალ-დემოკრატიისთვის მხარის დასაჭერად მიეზიდნა რეაქციული ბნელეთისმოციქულობის პოლიტიკით ყველა დაჩაგრულნი. და არავის, ვინც კი რაოდენადმე 'მაინც იცნობს იმდროინდელ მოძრაობას, ეჭვი არ შეეპარება იმაში, რომ ასეთი გაზეთი სრულ თანაგრძნობას მოიპოვებდა როგორც დედაქალაქის მუშების მხრივ. ისე რევოლუციური ინტელიგენციის მხრივ და ძლიერ ფართოდაც გავრცელდებოდა. ამ წამოწყების წარუმატებლობამ კი მხოლოდ ის დაამტკიცა, რომ მაშინდელ სოციალ-დემოკრატებს ძალა არ ეყოთ დაეკმაყოფილებინათ მომენტის არსებითი მოთხოვნა, რადგან მათ აკლდათ რევოლუციური გამოცდილება და პრაქტიკული მომზადება. იგივე უნდა ითქვას «სპბ. რაბოჩი ლისტოკის» [108] და განსაკუთრებით «რაბოჩაია გაზეტას» [109] და 1898 წლის გაზაფხულზე შექმნილი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის «მანიფესტის» შესახებაც. თავისთავად იგულისხმება, რომ ჩვენ აზრადაც არ მოგვდის ეს მოუმზადებლობა დანაშაულად ჩავუთვალოთ ძაშინდელ მოღვაწეებს. მაგრამ იმისათვის, რომ გამოვიყენოთ მოძრაობის გამოცდილება და ამ გამოცდილებიდან პრაქტიკული გაკვეთილები გამოვიტანოთ, საჭიროა სრულად გავითვალისწინოთ ამა თუ იმ ნაკლის მიზეზები და მნიშვნელობა. ამიტომ უაღრესი მნიშვნელობა აქვს იმის დადასტურებას, რომ 1895 — 1898 წლებში მომუშავე სოციალ-დემოკრატების ნაწილი (და, შეიძლება, უმეტესობაც) სრულიად სამართლიანად თვლიდა შესაძლებლად მაშინვე, «სტიქიური» მოძრაობის დაწყებისთანავე, გამოსვლას უფართოესი

პროგრამით და ბრძოლის ტაქტიკით *. რევოლუციონერთა უმრავლესობის მოუმზადებლობას კი, როგორც სავსებით ბუნებრივ მოვლენას, არავითარი განსაკუთრებული შიშის აღძვრა არ შეეძლო. რახან ამოცანების დაყენება სწორი იყო, რახან მოიპოვებოდა ენერგია ამ ამოცანების განხორციელების განმეორებითი ცდისათვის, — დროებითი წარუმატებლობანი არც ისე დიდ უბედურებას წარმოადგენდა. რევოლუციური გამოცდილება და ორგანიზატორული სიმარჯვე — ისეთი რამეა, რაც შეიძინება. ოღონდ კი იყოს ხალისი საჭირო თვისებების შეძენისა! ოღონდ კი იყოს ნაკლოვანებათა შეგნება, რაც რევოლუციურ საქმეში ამ ნაკლოვანებათა სანახევროდ — და მეტადაც — გაძოსწორებას უდრის!

მაგრამ არც ისე დიდი უბედურება ნამდვილ უბედურებად გადაიქცა. როცა ამ შეგნებამ ჩაქრობა იწყო (ზემოხსენებული ჯგუფების მოღვაწეებს კი ეს შეგნება ძალიან ცხოველი ჰქონდათ), როცა გამოჩნდნენ ადამიანები, — და სოციალ-დემოკრატიული ორგანოებიც კი, — რომლებიც მზად იყვნენ ნაკლოვანება სიქველედ გამოეცხადებინათ, რომლებიც შეეცად-

---

* «როცა 90-იანი წლების დამლევის სოციალ-დემოკრატების მუშაობას უარყოფით ეკიდება, «ისკრა» ანგარიშს არ უწევს იმ გარემოებას, რომ იმ დროს პირობები არ იყო სხვანაირი მუშაობისათვის, გარდა წვრილმანი მოთხოვნებისათვის ბრძოლისაო» — აცხადებენ ეკონომისტები თავის «წერილში რუსული სოციალ-დემოკრატიული ორგანოებისადმი» («ისკრა», № 12). ტექსტში მოყვანილი ფაქტები ადასტურებენ, რომ ეს მტკიცება «პირობები არ იყოო» დიამეტრულად ეწინააღმდეგება ჭეშმარიტებას. არათუ 90-იანი წლების დასასრულს, არამედ მის შუა ხანებშიც ყველა პირობა იყო სხვანაირი მუშაობისათვის, წვრილმან მოთხოვნათათვის ბრძოლის გარდა, ყველა პირობა, ხელმძღვანელთა საკმაო მომზადების გარდა. და აი იმის ნაცვლად, რომ აშკარად აღიარონ მომზადების ეს ნაკლოვანება ჩვენი მხრივ, იდეოლოგების, ხელმძღვანელების მხრივ, — «ეკონომისტებს» უნდათ ყველაფერი დააბრალონ «პირობების ექონლობას», იმ მატერიალური გარემოს გავლენას, რომელიც განსაზღვრავს იმ გზას, საიდანაც არც ერთ იდეოლოგს არ ძალუძს მოძრაობის გადაცდენა. რა არის ეს, თუ არა მონური მორჩილება სტიქიურობის წინაშე? თუ არა თავის ნაკლოვანებათა შეყვარება «იდეოლოგების» მიერ?

ნენ თეორიულადაც კი დაესაბუთებინათ თავისი მონური მორჩილება ქედის მოხრა სტიქიურობის წინაშე. ეს მიმართულება, რომლის შინაარსს მეტად არასწორად ახასიათებს მის გამოსახატავად ძალიან ვიწრო ცნება «ეკონომიზმი», — დროა უკვე შევაჯამოთ.

ბ) ქედის მოხრა სტიქიურობის წინაშე. «რაბოჩაია მისლი»

სანამ ამ ქედის მოხრის ლიტერატურულ გამოხატულებაზე გადავიდოდეთ, აღვნიშნოთ დამახასიათებელი ფაქტი (რაც ვვაცნობეს ზემოხსენებული წყაროდან), რომელიც ერთგვარ შუქს ჰფენს იმას, თუ პეტერბურგში მომუშავე ამხანაგებში როგორ იქმნებოდა და იზრდებოდა უთანხმოება რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მომავალ ორ მიმართულებას შორის. 1897 წლის დამდეგს ა. ა. ვანეევსა და ზოგიერთ მის ამხანაგს, ძათი გადასახლების წინ, მოუხდათ მონაწილეობის მიღება ერთ კერძო კრებაში [110], სადაც ერთმანეთს შეხვდნენ «მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის» «მოხუცი» და «ახალგაზრდა» წევრები. საუბარი შეეხებოდა უმთავრესად ორგანიზაციას და კერძოდ სწორედ იმ «მუშათა სალაროს წესდებას», რომელიც თავისი საბოლოო სახით დაბეჭდილია «ლისტოკ «რაბოტნიკას»» № 9 — 10-ში (გვ. 46) [111] «მოხუცთა» («დეკაბრისტებსა», როგორც მათ ხუმრობით უწოდებდნენ მაშინ პეტერბურგელი სოციალ-დემოკრატები) და ზოგიერთ «ახალგაზრდათა» შორის (რომლებიც შემდეგ ახლო მონაწილეობას იღებდნენ «რაბოჩაია მისლში») ერთბაშად გაჩომეღავნდა მკვეთრი უთანხმოება და ცხარე კამათი გაჩაღდა. «ახალგაზრდები» იცავდნენ წესდების მთავარ საფუძვლებს იმ სახით, როგორც ის დაბეჭდილია. «მოხუცნი» ამბობდნენ, რომ უწინარეს ყოვლისა ჩვენ გვესაჭიროება სრულებითაც არა ეს, არამედ «ბრძოლის კავშირის» განმტკიცება რევოლუციონერთა ორგანიზაციად, რომელსაც უნდა დაექვემდებარონ მუშათა სხვადასხვა სალაროები, საპროპაგანდო წრეები' მოსწავლე ახალგაზრდობაში და სხვ.. თავის-

თავად ცხადია, მოკამათეებს აზრადაც არ მოსვლიათ ეს უთანხმოება გათიშვის დასაწყისად დაენახათ და მას, პირიქით, ერთეულ და შემთხვევით უთანხმოებად თვლიდნენ. მაგრამ ეს ფაქტი გვიჩვენებს, რომ «ეკონომიზმის» წარმოშობა და გავრცელება რუსეთშიც სრულებითაც არ ხდებოდა უბრძოლველად «მოხუც» სოციალ-დემოკრატებთან (ამას ხშირად ივიწყებენ ახლანდელი ეკონომისტები). და თუ ამ ბრძოლამ არ დაგვიტოვა, უმეტეს შემთხვევაში, «დოკუმენტური» კვალი, ამის მიზეზი მ ხ ო ლ ო დ ის არის, რომ მოქმედი წრეების შემადგენლობა წარმოუდგენლად ხშირად იცვლებოდა, არავითარი თანამომდევნობა არ მყარდებოდა, და ამიტომ არც უთანხმოებათა ფიქსირება ხდებოდა რაიმე დოკუმენტში.

«რაბოჩაია მისლის» დაარსებამ ეკონომიზმი მზის სინათლეზე გამოიყვანა, მაგრამ ესეც არა ერთბაშად. საჭიროა კონკრეტულად წარმოვიდგინოთ მრავალი რუსული წრის მუშაობის პირობები და მათი არსებობის ხანმოკლეობა (ამის კონკრეტულად წარმოდგენა კი მხოლოდ იმას შეუძლია, ვინც ეს თვითონ განიცადა), რათა მივხვდეთ — რა ბევრი შემთხვევითი რამ იყო ახალი მიმართულების წარმატებასა თუ წარუმატებლობაში სხვადასხვა ქალაქში და რამდენი ხანი გავიდა ისე, რომ ამ «ახლის» ვერც მომხრეებმა და ვერც მოწინააღმდეგეებმა ვერ შეძლეს, სწორედ რომ არავითარი საშუალება არ ჰქონდათ გამოერკვიათ, მართლაც განსაკუთრებული მიმართულება იყო ეს თუ ცალკეულ პირთა მოუმზადებლობის უბრალო გამოხატულება. მაგალითად, «რაბოჩაია მისლის» პირველი ჰექტოგრაფირებული ნომრები სრულიად უცნობიც კი დარჩა სოციალ-დემოკრატების დიდი უმრავლესობისათვის, და თუ ახლა ჩვენ საშუალება გვაქვს დავიმოწმოთ მისი პირველი ნომრის მოწინავე, ეს მხოლოდ იმის წყალობით, რომ ეს მოწინავე გადაბეჭდილია ვ. ი—ს [112] სტატიაში («ლისტოკ «რაბოტნიკა»» № 9 — 10, გვ. 47 და შემდ.), რომელმაც არ დააყოვნა, რა თქმა უნდა, წრეგადასული გულმოდგინებით

შეექმ ახალი გაზეთი, რომელიც ესოდენ მკვეთრად განსხვავდებოდა ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებული გაზეთებისა და გაზეთების პროექტებისაგან *. ხოლო ამ მოწინავეზე შეჩერება ღირს — იმდენად რელიეფურად გამოხატა მან «რაბოჩაია მისლის» და საერთოდ ეკონომიზმის მ თ ე ლ ი ს უ ლ ი ს კ ვ ე თ ე ბ ა.

მოწინავე აღნიშნავს, რომ ლურჯსახელოებიან ხელს არ ძალუძს მუშათა მოძრაობის განვითარების შეჩერებაო და განაგრძობს: «... მუშათა მოძრაობის ასეთი გამძლეობა იმის შედეგია, რომ მუშა ბოლოს და ბოლოს თვითონ იწყებს თავისი ბედის წარმართვას, ხელიდან აცლის რა მას ხელმძღვანელებს», და ამ ძირითად თეზისს დაწვრილებით ავითარებს შემდეგ. სინამდვილეში კი ხელმძღვანელები (ე. ი. სოციალ-დემოკრატები, «ბრძოლის კავშირის» ორგანიზატორები) პოლიციამ გამოაცალა ხელიდან, შეიძლება ითქვას, მუშებს **, — ხოლო საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოს მუშები აწარმოებდნენ ბრძოლას ამ ხელმძღვანელებთან და განთავისუფლდნენ მათი უღლისაგან! იმის ნაცვლად, რომ მოეწოდებინათ წინსვლისაკენ, რევოლუციური ორგანიზაციის განტმკიცებისა და პოლიტიკური მუშაობის გაფართოებისაკენ, — მოუწოდებდნენ უ კ ა ნ დაეხიათ, მხოლოდ და მხოლოდ ტრედ-უნიონისტური ბრძოლისაკენ. გამოაცხადეს, რომ «მოძრაობის ეკონომიური საფუძველი იჩრდილება მისწრაფებით — მუდამ

* მართლა, ასე შეაქო «რაბოჩაია მისლი» 1898 წლის ნოემბერს, როცა ეკონომიზმი, განსაკუთრებით საზღვარგარეთ, სავსებით ჩამოყალიბდა, იმავე ვ. ი—მ, რომელიც მალე «რაბოჩეე დელოს» ერთ-ერთი რედაქტორი გახდა. და «რაბოჩეე დელო» უარჰყოფდა მაშინ რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში ორი მიმართულების არსებობას, როგორც განაგრძობს ამ უარყოფას ახლაც!

** ეს შედარება რომ სწორია, ჩანს შემდეგი დამახასიათებელი ფაქტიდან. როცა «დეკაბრისტების» დაპატიმრების შემდეგ შლისელბურგის ტრაქტის მუშებში გავრცელდა ცნობა, რომ ამ ჩავარდნას ხელი შეუწყო «დეკაბრისტებთან» დაკავშირებულ ერთ-ერთ ჯგუფთან დაახლოებულმა პროვოკატორმა ნ. ნ. მიხაილოვმაო (ცბილის ექიმი), ეს მუშები ისე აღშფოთდნენ, რომ გადაწყვიტეს მიხაილოვის მოკვლა.

გვახსოვდეს პოლიტიკური იდეალიო», რომ მუშათა მოძრაობის დევიზია — «ბრძოლა ეკონომიური მდგომარეობისათვის» (!) ან, კიდევ უკეთესი, «მუშები მუშებისთვისაო»; აცხადებდნენ, რომ საგაფიცვო სალაროები «უფრო ძვირფასია მოძრაობისათვის, ვიდრე ასეული სხვა ორგანიზაციები» (შეადარეთ ეს, 1897 წლის ოქტომბრის დროინდელი, მტკიცება «დეკაბრისტების» დავას ახალგაზრდებთან 1897 წლის დამდეგს) და სხვ.. იმის მაგვარი ლაპარაკი, რომ პირველ ადგილას უნდა დავაყენოთ არა მუშების «ნაღები», არამედ «საშუალო» მუშა, მასობრივი მუშა, რომ «პოლიტიკა მუდამ მორჩილებით მისდევს ეკონომიკასო» * და სხვ. და ა. შ., მოდაში შემოვიდა და უცილობელი გავლენა მოიპოვა მოძრაობაში მიზიდულ ახალგაზრდობის მასაზე, რომელიც უმეტეს ნაწილად მარქსიზმის მხოლოდ ნაწყვეტებს იცნობდა მისი ლეგალური გადმოცემით.

ეს იყო შეგნებულობის სრული ჩახშობა სტიქიურობის მიერ, — იმ «სოციალ-დემოკრატთა» სტიქიურობის მიერ, რომლებიც იმეორებდნენ ბ-ნ ვ. ვ-ის «იდეებს», იმ მუშების სტიქიურობის მიერ, რომლებიც მიემხრნენ იმ მოსაზრებას, რომ კაპიკის მიმატება მანეთზე უფრო ახლოა და ძვირფასი მათთვის, ვიდრე ყოველგვარი სოციალიზმი და ყოველგვარი პოლიტიკა, რომ ისინი, როცა «ბრძოლას აწარმოებენ, დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ იბრძვიან არა რომელიღაც მომავალ თაობათათვის, არამედ თავისთვის და თავისი შვილებისათვის» («რაბოჩაია მისლის» № 1-ის მოწინავე). ასეთი ფრაზები მუდამ საყვარელ იარაღს წარმოადგენდა იმ დასავლეთევროპელი ბურჟუეზისთვის, რომლებიც, თუმცა სძაგდათ

* «რაბოჩაია მისლის» პირველი ნომრის იმავე მოწინავიდან. ამის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, თუ როგორი იყო თეორიული მომზადება ამ «რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ვ. ვ-ებისა» [113], რომლებიც იმეორებდნენ «ეკონომიური მატერიალიზმის» ტლანქ ვულგარიზაციას სწორედ იმ დროს, როცა ლიტერატურაში მარქსისტებს ომი ჰქონდათ გაჩაღებული ნამდვილ ბ-ნ ვ. ვ-თან, რომელსაც უკვე დიდი ხანია დაერქვა «რეაქციულ საქმეთა ოსტატი» პოლიტიკისა და ეკონომიკის ურთიერთობის ამგვარადვე გაგებისათვის!

სოციალიზმი, მაინც თვითონვე მუშაობდნენ (მსგავსად გერმანელ «სოციალ-პოლიტიკოსის» ჰირშისა), რომ ინგლისური ტრედ-უნიონიზმი მშობლიურ ნიადაგზე გადმოენერგათ, და მუშებს ეუბნებოდნენ, მხოლოდ პროფესიული ბრძოლა* არის სწორედ ბრძოლა თავისთვის და თავისი შვილებისთვის და არა რომელიღაც მომავალ თაობათათვის და რაღაც მომავალი სოციალიზმისთვისო, — ახლა კი «რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ვ. ვ-ებმა» დაიწყეს ამ ბურჟუაზიული ფრაზების გამეორება. საჭიროა აქ აღინიშნოს სამი გარემოება, რომლებიც ძალიან გამოგვადგება თანამედროვე უთანხმოებათა შემდგომი განხილვის დროს**.

ჯერ-ერთი, შეგნებულობის ჩვენს მიერ აღნიშნული ჩახშობა სტიქიურობის მიერ აგრეთვე სტიქიურად მოხდა. ეს კალამბურად გვეჩვენება, მაგრამ — ვაი რომ ეს მწარე სიმართლეა! ეს მოხდა არა აშკარა ბრძოლით ორ სრულიად ერთიმეორის საწინააღმდეგო შეხედულებას შორის და ერთის მეორეზე გამარჯვებით, არამედ ჟანდარმების მიერ რევოლუციონერ-«მოხუცთა» სულ უფრო მეტი რიცხვის «გამოგლეჯით» და ასპარეზზე «რუსეთის სოციალ-დემოკრატიის» «ახალგაზრდა» «ვ. ვ-თა» სულ უფრო მეტი გამოსვლით. ყველამ, ვისაც კი — არ ვიტყვი: მონაწილეობა მიუღია-მეთქი რუსეთის თანამედროვე მოძრაობაში, — არამედ თუნდაც უყნოსავს მისი ჰაერი, ჩინებულად იცის, რომ საქმის ვითარება სწორედ ასეთი იყო. და თუ ჩვენ მიუხედავად ამისა მაინც დაჟინებით მოვითხოვთ, რომ მკითხველი სავსებით გაერკვეს ამ საყოველ-

---

* გერმანელებს ცალკე სიტყვაც კი აქვთ: «Nur-Gewerkschaftler», რაც ნიშნავს «მხოლოდ-პროფესიული» ბრძოლის მომხრეებს.

** ჩვენ ხაზს ვუსვამთ სიტყვას თანამედროვე იმათ მიმართ, ვინც ფარისევლურად აიჩეჩს მხრებს და იტყვის: ახლა ადვილი საქმეა «რაბოჩაია მისლის» განიავება, მაგრამ ეს ხომ არქაიზმიაო! Mutato nomine de te fabula narratur (სახელი სხვისაა, მაგრამ ივავი შენზეა ნათქვამია. რ ედ.) — მივუგებთ ჩვენ ასეთ თანამედროვე ფარისევლებს, რომელთა სრული დამონება «რაბოჩაია მისლის» იდეების მიერ ქვევით იქნება დამტკიცებული.

თაოდ ცნობილ ფაქტში, თუ ჩვენ, ასე ვთქვათ, სიცხადისათვის მოგვყავს ცნობები პირველი ფორმაციის «რაბოჩეე დელოზე» და «მოხუცთა» და «ახალგაზრდათა» შორის 1897 წლის დამდეგს ატეხილ დავაზე, — ეს იმიტომ, რომ ამ ფაქტის ფართო საზოგადოების (ან სრულიად ნორჩი ახალგაზრდობის) მიერ არცოდნაზე სპეკულაციას ეწევიან ადამიანები, რომლებსაც თავი მოაქვთ თავიანთი «დემოკრატიზმით». ამას ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით ქვემოთ.

მეორე, ეკონომიზმის პირველივე ლიტერატურული გამოვლინება გვიჩვენებს თანამედროვე სოციალ-დემოკრატებს შორის არსებული ყველა უთანხმოების გასაგებად შემდეგს უაღრესად თავისებურსა და დამახასიათებელ მოვლენას: «წმინდა მუშათა მოძრაობის» მომხრენი, პროლეტარულ ბრძოლასთან უაღრესად მჭიდრო და უაღრესად «ორგანული» («რაბოჩეე დელოს» გამოთქმა) კავშირის თაყვანისმცემელნი, ყოველგვარი არამუშური ინტელიგენციის (თუნდაც ეს სოციალისტური ინტელიგენციაც იყოს) მოწინააღმდეგენი იძულებულნი არიან თავიანთი პოზიციის დასაცავად «მხოლოდ» ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი «ტრედ-უნიონისტების» საბუთებს მიმართონ. ეს იმას გვიჩვენებს, რომ «რაბოჩაია მისლი» იმთავითვე შეუდგა — თავისდაშეუგნებლად — «Credo»-ს პროგრამის განხორციელებას. ეს გვიჩვენებს, — (რაც ვერასგზით ვერ გაუგია «რაბოჩეე დელოს»), — რომ ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი ქედის მოხრა მუშათა მოძრაობის სტიქიურობის წინაშე. «შეგნებული ელემენტის» როლის, სოციალ-დემოკრატიის როლის ყოველგვარი დამცირება ნ ი შ ნ ა ვ ს იმავე დროს, — ს რ უ ლ ი ა დ დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ა დ ი მ ი ს ა გ ა ნ, ს უ რ ს ეს დ ა მ ა მ ც ი რ ე ბ ე ლ ს თ უ ა რ ა, — მ უ შ ე ბ ზ ე ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი ი დ ე ო ლ ო გ ი ი ს გ ა ვ ლ ე ნ ი ს გ ა ძ ლ ი ე რ ე ბ ა ს. ყველას, ვინც ლაპარაკობს «იდეოლოგიის გადაფასებაზე» *, შეგნებული ელემენტის ** როლის

* «ეკონომისტების» წერილი «ისკრის» № 12-ში.

** «რაბოჩეე დელო» № 10.

გაზვიადებაზე და სხვ., ისე აქვს წარმოდგენილი, რომ წმინდა მუშათა მოძრაობას თავისთავად შეუძლია გამოიმუშაოს და გამოიმუშავებს კიდევაც თავისთვის საკუთარ იდეოლოგიას, ოღონდ კი მუშებმა «თავიანთი ბედი ხელიდან გაშორებინონ ხელმძღვანელებს». მაგრამ ეს დიდი შეცდომაა. ზემოთ ნათქვამის დამატებით მოვიყვანოთ კიდევ კ. კაუტსკის ფრიად სამართლიანი და მნიშვნელოვანი შემდეგი სიტყვები, რომლებიც მას აქვს ნათქვამი ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ახალი პროგრამის პროექტის გამო *:

«ჩვენებურ რევიზიონისტ კრიტიკოსთა შორის ბევრი ფიქრობს, ვითომც მარქსი ამტკიცებდა, რომ ეკონომიური განვითარება და კლასობრივი ბრძოლა ქმნის არა მხოლოდ პირობებს სოციალისტური წარმოებისათვის, არამედ უშუალოდ წარმოშობს აგრეთვე მისი საჭიროების შეგნებასაც (ხაზგასმა კ. კაუტსკისაა). და აი ეს კრიტიკოსები გვიპასუხებენ, რომ ყველაზე მაღალი კაპიტალისტური განვითარების ქვეყანა, ინგლისი, ყველაზე უფრო მოკლებულია ასეთ შეგნებასო. პროექტის მიხედვით შეიძლებოდა გვეფიქრნა, რომ ამ ვითომცდა ორთოდოქსულ-მარქსისტულ შეხედულებას, რომელსაც ასეთნაირად უარყოფენ, იზიარებს ის კომისიაც, რომელმაც ავსტრიული პროგრამა შეიმუშავა. პროექტში ნათქვამია: «რაც უფრო ამრავლებს კაპიტალისტური განვითარება პროლეტარიატს, მით უფრო მეტად ეს უკანასკნელი იძულებული ხდება და საშუალებაც მით უფრო ეძლევა აწარმოოს ბრძოლა კაპიტალიზმის წინააღმდეგ. პროლეტარიატი მიდის იმის შეგნებამდე», რომ სოციალიზმი შესაძლებელი არის და აუცილებელიცო. ასეთ ვითარებაში სოციალისტური შეგნება წარმოგვიდგება როგორც პროლეტარული კლასობრივი ბრძოლის აუცილებელი შედეგი. ეს კი სრული შეცდომაა. რასაკვირველია, სოციალიზმს, როგორც მოძღვრებას, ისევე აქვს ფესვები გადგმული თანამედროვე ეკონომიურ ურთიერთობაში, როგორც პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლასაც, და ისევე, როგორც ეს უკანასკნელიც, გამომდინარეობს იმ ბრძოლიდან, რომელიც მიმართულია კაპიტალიზმის მიერ წარმოშობილი მასობრივი სიღარიბისა და სიღატაკის წინააღმდეგ, მაგრამ სოციალიზმი და კლასობრივი ბრძოლა წარმოიშვიან ერთიმეორის გვერდით და არა ერთი მეორისაგან, წარმოიშვიან სხვადასხვა წანამძღვარის არსებობისას. თანა-

* «Neue Zeit»-ძ («ახალი დროება». რ ე დ.), 1901 — 1902, XX, I, № 3, გვ. 79. კომისიის პროექტი, რომლის შესახებაც კ. კაუტსკი ლაპარაკობს, მიიღო ვენის ყრილობამ (წარსული წლის ბოლოს) რაოდენადმე შეცვლილი სახით.

მედროვე სოციალისტური შეგნება შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ ღრმა მეცნიერული ცოდნის საფუძველზე. მართლაც, თანამედროვე ეკონომიური მეცნიერება იმდენადვე წარმოადგენს სოციალისტური წარმოების პირობას, როგორც, ვთქვათ, თანამედროვე ტექნიკა, პროლეტარიატს კი, ამის დიდი სურვილიც რომ ჰქონდეს, არ შეუძლია არც ერთის, არც მეორის შექმნა; ესენი ორივენი თანამედროვე საზოგადოებრივი პროცესიდან წარმოიშვიან. ხოლო მეცნიერების მატარებელი არის არა პროლეტარიატი, არამედ ბურჟუაზიული ინტელიგენცია (ბაზგასმა კ. კაუტსკისაა): ამ ფენის ცალკეულ წევრთა გონებაში ხომ წარმოიშვა თანამედროვე სოციალიზმიც, და უკვე მათ გაუზიარეს ის თავისი გონებრივი განვითარებით გამოჩენილ პროლეტარებს, რომლებსაც შემდეგ შეაქვთ ის პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლაში იქ, სადაც კი ეს შესაძლებელია პირობების მიხედვით. ამრიგად, სოციალისტური შეგნება არის გარედან შემოტანილი რამ (von Aussen Hineingetragenes) პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლაში და არა რაღაც სტიქიურად (urwüchsig) მისგან წარმოშობილი. ამის შესაბამისად ჰაინფელდის ძველი პროგრამა სრულიად სამართლიანად ამბობდა, რომ სოციალ-დემოკრატიის ამოცანაა პროლეტარიატში შეიტანოს (სიტყვასიტყვით: აავსოს პროლეტარიატი) მისი მდგომარეობისა და მისი ამოცანის შეგნებაო. ეს საჭირო აღარ იქნებოდა, ეს შეგნება რომ თავისთავად გამომდინარეობდეს კლასობრივი ბრძოლიდან. ახალმა პროექტმა კი ეს დებულება ძველი პროგრამიდან გადმოიღო და ზემოთ მოყვანილ დებულებას მიაკერა. მაგრამ ამან სრულიად გაწყვიტა აზრის მსვლელობა...»

რახან ლაპარაკიც კი შეუძლებელია დამოუკიდებელ, თვით მუშათა მასების მიერ მოძრაობის მსვლელობაში გამომუშავებულ იდეოლოგიაზე *, მაშინ საკითხი მხოლოდ

* ეს, რა თქმა უნდა, იმას როდი ნიშნავს, რომ მუშები არ იღებენ მონაწილეობას ამ გამომუშავებაში. მაგრამ ისინი ამაში მონაწილეობას იღებენ არა როგორც მუშები, არამედ როგორც სოციალიზმის თეორეტიკოსები, როგორც პრუდონები და ვაიტლინგები, მონაწილეობას იღებენ, სხვანაირად რომ ვთქვათ, მხოლოდ მაშინ და იმდენად, რამდენადაც ისინი ახერხებენ თავიანთი საუკუნის ცოდნის ცოტად თუ ბევრად დაუფლებას და ამ ცოდნის წინ წაწევას. ხოლო მუშებმა რომ ეს უფრო ხშირად მოახერხონ, ამისათვის საჭიროა რაც შეიძლება მეტი ვიზრუნოთ საერთოდ მუშათა შეგნების დონის ამაღლებაზე, ამისათვის საჭიროა, რომ მუშებმა თავი კი არ ჩაიკეტონ «მუშებისათვის განკუთვნილი ლიტერატურის» ხელოვნურად შევიწროებულ ჩარჩოებში, არამედ ისწავლონ საერთო ლიტერატურის სულ უფრო მეტად დაუფ-

ასე დგას: ბურჟუაზიული თუ სოციალისტური იდეოლოგია. შუათანა რამ აქ არ არის (ვინაიდან კაცობრიობას არავითარი «ძესამენაირი» იდეოლოგია არ გამოუმუშავებია, და საერთოდაც საზოგადოებაში, რომელსაც კლასობრივი წინააღმდეგობანი ღრღნის, არც შეიძლება არასოდეს გარეკლასობრივი ან ზეკლასობრივი იდეოლოგია არსებობდეს). ამიტომ სოციალისტური იდეოლოგიის ყოველგვარი დამცირება, მისგან ყოველგვარი ჩამოშორება ნიშნავს იმავე დროს ბურჟუაზიული იდეოლოგიის გაძლიერებას. ლაპარაკობენ სტიქიურობაზე. მაგრამ მუშათა მოძრაობის სტიქიური განვითარება მიიმართება სწორედ მისი დამორჩილებისაკენ ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი, მიიმართება სწორედ «Credo»-ს პროგრამის მიხედვით, ვინაიდან მუშათა სტიქიური მოძრაობა არის ტრედ-უნიონიზმი, არის Nur-Gewerkschaftlerei, ხოლო ტრედ-უნიონიზმი ნიშნავს სწორედ მუშების იდეურ დამონებას ბურჟუაზიის მიერ. ამიტომ ჩვენი ამოცანა, სოციალ-დემოკრატიის ამოცანა არის ბრძოლა სტიქიურობის წინააღმდეგ, ის არის, რომ მუშათა მოძრაობა ავაცდინოთ ტრედ-უნიონიზმის ამ სტიქიურ მისწრაფებას — დადგეს ბურჟუაზიის მფარველობის ქვეშ — და მივიზიდოთ ის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის მფარველობის ქვეშ. «ეკონომიური» წერილის ავტორების ფრაზა «ისკრის» მე-12 ნომერში, რომ თვით უაღრესად ზეშთაგონებული იდეოლოგების არავითარ ძალღონეს არ ძალუძს გადააცდინოს მუშათა მოძრაობა იმ გზას, რომელიც განისაზღვრება მატერიალური ელემენტებისა და მატერიალური გარემოს ურთიერთმოქმედებით, სავსებით უდრის ამიტომ სოციალიზმის უარყო-

ლება. კიდევ უფრო სწორი იქნებოდა ნაცვლად «თავი ჩაიკეტონ» ბჟეთქვა — თავი ჩააკეტვინონ, იმიტომ რომ თვითონ მუშები კითხულობენ და სურთ იკითხონ ყველაფერი, რასაც წერენ ინტელიგენციისათვისაც. და მხოლოდ ზოგიერთი (უვარგისი) ინტელიგენტი ფიქრობს, რომ «მუშებისათვის» საკმარისია ამბები საფაბრიკო წესების შესახებ და იმის გადაღეშვა, რაც დიდი ხანია ცნობილია.

ფ ა ს; ამ ავტორებს რომ შეეძლოთ ჩაფიქრება და ბოლომდე უშიშრად და თანამიმდევრად იმის აწონ-დაწონა, რასაც ისინი ამბობენ, როგორც უნდა აწონ-დაწონოს თავისი აზრები ყველამ, ვინც გამოდის ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე, მაშინ მათ სხვა აღარაფერი დარჩებოდათ, გარდა იმისა, რომ «უსაქმური ხელი დაეკრიფათ ცარიელ მკერდზე» და... და სამოქმედო ასპარეზი დაეთმოთ ბატონ სტრუვეებისა და პროკოპოვიჩებისათვის, რომლებიც მუშათა მოძრაობას ეწევიან «ნაკლები წინააღმდეგობის ხაზით», ე. ი. ბურჟუაზიული ტრედ-უნიონიზმის ხაზით, ან ბატონ ზუბატოვებისთვის, რომლებიც მას ეწევიან ხუცეს-ჟანდარმთა «იდეოლოგიის» ხაზით.

მოიგონეთ გერმანიის მაგალითი. რაში მდგომარეობდა ლასალის ისტორიული დამსახურება გერმანიის მუშათა მოძრაობის წინაშე? იმაში, რომ მან გ ა დ ა ა ც დ ი ნ ა ეს მოძრაობა პროგრესისტული ტრედ-უნიონიზმისა და კოოპერატივიზმის იმ გზას, რომლითაც ის სტიქიურად მიიმართებოდა (შ უ ლ ც ე დ ე ლ ი ჩ ე ბ ი ს ა მ ა თ მ ს გ ა ვ ს თ ა კ ე თ ი ლ გ ა ნ წ ყ ო ბ ი ლ ი მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ი თ). ამ ამოცანის შესასრულებლად საჭირო იყო რაღაც ისეთი, რაც სულ არ ემსგავსებოდა ლაპარაკს სტიქიური ელემენტის დამცირებაზე, ტაქტიკა-პროცესზე, ელემენტებისა და გარემოს ურთიერთმოქმედებაზე და სხვ.. ამისათვის საჭირო იყო თ ა ვ გ ა ნ წ ი რ უ ლ ი ბ რ ძ ო ლ ა ს ტ ი ქ ი უ რ ო ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, და მხოლოდ მრავალი, მრავალი წლის განმავლობაში წარმოებული ასეთი ბრძოლის შედეგად მიღწეულ იქნა, მაგალითად, ის, რომ ბერლინის მუშათა მოსახლეობა პროგრესისტული პარტიის ბურჯობიდან სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთ საუკეთესო სიმაგრედ გადაიქცა. და ეს ბრძოლა ჯერაც არ დამთავრებულა (როგორც შეიძლება მოეჩვენოს იმათ, ვინც გერმანიის მუშათა მოძრაობას ეცნობა პროკოპოვიჩის, ხოლო მის ფილოსოფიას — სტრუვეს მიხედვით). ახლაც გერმანიის მუშათა კლასი, თუ შეიძლება ასე ითქვას, დანაწილებულია რამდენ-

სამე იდეოლოგიას შორის: მუშების ერთი ნაწილი გაერთიანებულია კათოლიკურსა და მონარქისტულ მუშათა კავშირებში, მეორე — ჩირშ-დუნკერის[114] კავშირებში, რომლებიც დაარსებულია ინგლისური ტრედ-უნიონიზმის ბურჟუაზიული თაყვანისმცემლების მიერ, მესამე — სოციალ-დემოკრატიულ კავშირებში. უკანასკნელი ნაწილი შეუდარებლად მეტია ყველა დანარჩენზე, მაგრამ ამ უპირატესობას სოციალ-დემოკრატიულმა იდეოლოგიამ მიაღწია და ამ უპირატესობის შენარჩუნებას ის შესძლებს მხოლოდ განუხრელი ბრძოლით ყველა დანარჩენი იდეოლოგიის წინააღმდეგ.

მაგრამ რატომ არისო, — იკითხავს მკითხველი, — რომ სტიქიური მოძრაობა, მოძრაობა უმცირესი წინააღმდეგობის ხაზით მიდის სწორედ ბურჟუაზიული იდეოლოგიის ბატონობისაკენ? იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ბურჟუაზიული იდეოლოგია თავისი წარმოშობით გაცილებით უფრო ხნიერია, ვიდრე სოციალისტური, ის უფრო ყოველმხრივ არის დამუშავებული, მას აქვს გავრცელების გ ა ნ უ ზ ო მ ლ ა დ უფრო მეტი საშუალება*. და რაც უფრო ნორჩია სოციალისტური მოძრაობა რომელიმე ქვეყანაში, მით უფრო ენერგიული უნდა იყოს ამიტომ ბრძოლა არასოციალისტური იდეოლოგიის განმტკიცების ყოველგვარი ცდების წინააღმდეგ, მით უფრო გადაჭრით უნდა ვაფრთხილებდეთ მუშებს არ აჰყვნენ იმ ცუდ მრჩევლებს, რომლებიც გაჰყვირიან «შეგნებული ელემენტის

* ხშირად ამბობენ: მუშათა კლასი ს ტ ი ქ ი უ რ ა დ მიიღტვის სოციალიზმისაკენო. ეს სრულიად სამართლიანია იმ აზრით, რომ სოციალისტური თეორია ყველაზე ღრმად და ყველაზე სწორად განსაზღვრავს მუშათა კლასის გაჭირვების მიზეზებს, და ამიტომაც არის, რომ მუშები ასე ადვილად ითვისებენ მას, თუ ეს თეორია თვითონ არ ემორჩილება სტიქიურობას, თუ ის იმორჩილებს სტიქიურობას. ჩვეულებრივ ეს თავისთავად იგულისხმება, მაგრამ «რ ა ბ ო ჩ ე ე დ ე ლ ო» სწორედ ივიწყებს და ამახინჯებს ამ ნაგულისხმევს. მუშათა კლასი სტიქიურად მიიღტვის სოციალიზმისაკენ. მაგრამ ყველაზე მეტად გავრცელებული (და ყოველთვის მრავალი სხვადასხვა ფორმით მოვლინებული) ბურჟუაზიული იდეოლოგიაც ავრეთვე სტიქიურად ყველაზე მეტად აჰკვიატებია მუშას.

გაზვიადების» წინააღმდეგ და სხვ. ეკონომიური წერილის ავტორები ანადგურებენ, «რაბოჩეე დელოსთან» ხმაშეწყობით, შეუწყნარებლობას, რაც მოძრაობის სიყრმის პერიოდს ახასიათებს. ჩვენ ამაზე ვუპასუხებთ: დიახ, ჩვენი მოძრაობა მართლაც სიყრმის მდგომარეობაშია, და იმისთვის, რომ მალე დავაჟკაცდეს, ის სწორედ უნდა გაიმსჭვალოს შეუწყნარებლობით ისეთი ადამიანების მიმართ, რომლებიც აფერხებენ მის ზრდას სტიქიურობის წინაშე ქედის მოხრით. არაფერი არ არის იმაზე უფრო სასაცილო და იმაზე უფრო საზიანო, როგორც თავის მოჩვენება მოხუცებად, რომლებსაც უკვე დიდი ხანია გამოუვლიათ ბრძოლის ყველა გადამწყვეტი ეპიზოდი!

მესამე, «რაბოჩაია მისლის» პირველი ნომერი გვიჩვენებს, რომ სახელწოდება «ეკონომიზმი» (რომელზედაც ჩვენ, რასაკვირველია, არც ვფიქრობთ უარის თქმას, ვინაიდან ასე თუ ისე ეს სახელწოდება უკვე დამკვიდრებულია) საკმაო სიზუსტით ვერ გადმოგვცემს ახალი მიმართულების დედაარსს. «რაბოჩაია მისლი» სრულიადაც არ უარჰყოფს პოლიტიკურ ბრძოლას: სალაროს იმ წესდებაში, რომელიც «რაბოჩაია მისლის» პირველ ნომერშია დაბეჭდილი, ლაპარაკია მთავრობასთან ბრძოლაზე. «რაბოჩაია მისლს» ჰგონია მხოლოდ, რომ «პოლიტიკა ყოველთვის მორჩილად მისდევს ეკონომიკას» (ხოლო «რაბოჩეე დელო» ამავე თეზისს სხვანაირად გამოთქვამს, როცა თავის პროგრამაში ირწმუნება: «რუსეთში უფრო, ვიდრე ყველა სხვა ქვეყანაში, ეკონომიური ბრძოლა განუყრელია პოლიტიკურ ბრძოლასთან»). «რაბოჩაია მისლის» და «რაბოჩეე დელოს» ეს დებულებანი სრულიად არ არის სწორი, თუ პოლიტიკას გავიგებთ როგორც სოციალ-დემოკრატიულ პოლიტიკას. ძალიან ხშირად მუშების ეკონომიური ბრძოლა, როგორც უკვე დავინახეთ, ბურჟუაზიულ, კლერიკალურ და სხვ. პოლიტიკასთან არის ხოლმე დაკავშირებული (თუმცა არა განუყრელად). «რაბოჩეე დელოს» დებულებანი სწორია,

თუ პოლიტიკას გავიგებთ როგორც ტრედ-უნიონისტურ პოლიტიკას, ე. ი. ყველა მუშის საერთო მისწრაფებას — აიძულონ სახელმწიფო მიიღოს ესა თუ ის ღონისძიებანი, მიმართულნი იმ გაჭირვებათა წინააღმდეგ, რომლებიც თან ახლავს მათს მდგომარეობას, თუმცა ამ ღონისძიებებს ჯერ არ დაუძლევიათ ეს მდგომარეობა, ე. ი. არ მოუსპიათ შრომის დამორჩილება კაპიტალისადმი. ეს მისწრაფება მართლაც საერთოა როგორც ინგლისის ტრედ-უნიონელთათვის, რომლებიც მტრულად არიან განწყობილი სოციალიზმისადმი, ისე კათოლიკური მუშებისთვისაც, «ზუბატოველი» მუშებისა და სხვებისთვისაც. პოლიტიკა სხვადასხვაგვარია. ამრიგად ჩვენ ვხედავთ, რომ პოლიტიკური ბრძოლის მიმართაც «რაბოჩაია მისლი» იჩენს არა იმდენად უარყოფითს დამოკიდებულებას, რამდენადაც ქედის მოხრას მისი სტიქიურობის წინაშე, მისი შეუგნებლობის წინაშე. «რაბოჩაია მისლი» სავსებით სცნობს თვით მუშათა მოძრაობიდან სტიქიურად აღმოცენებულ პოლიტიკურ ბრძოლას (უფრო სწორად რომ ვთქვათ: მუშების პოლიტიკურ სურვილებს და მოთხოვნებს), მაგრამ სრულიად უარს ამბობს იმაზე, რომ დამოუკიდებლად გამოიმუშაოს სპეციფიკური სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკა, შეფარდებული სოციალიზმის ზოგად ამოცანებთან და რუსეთის თანამედროვე პირობებთან. ქვემოთ ჩვენ ნათელვყოფთ, რომ ასეთივეა «რაბოჩეე დელოს» შეცდომაც.

3) «თვითგანთავისუფლების ჯგუფი» და «რაბოჩეე დელო»

ჩვენ იმიტომ განვიხილეთ ასე დაწვრილებით ნაკლებად ცნობილი და ამჟამად თითქმის მივიწყებული «რაბოჩაია მისლის» პირველი ნომრის მოწინავე, რომ მან ყველაზე ადრე და ყველაზე რელიეფურად გამოხატა ის საერთო ნაკადი, რომელმაც შემდეგ იწყო ამოდინება დედამიწის ზედაპირზე მრავალ წვრილ ნაკადად, ვ. ი. სრულიად მართალი იყო, როცა მან, შეაქო რა «რაბოჩაია მისლის» პირველი ნომერი და მოწი-

ნავე. თქვა, რომ იგი დაწერილია «მკვახედ, რიხით» («ლისტოკ «რაბოტნიკა»» № 9 — 10, გვ. 49). ყოველი ადამიანი, რომელიც დარწმუნებულია თავისი აზრების სიმართლეში და ფიქრობს, რომ რაღაც ახალს იძლევა, წერს «რიხით» და თან ისე, რომ რელიეფურად გამოხატავს თავის შეხედულებებს. მხოლოდ იმ ადამიანებს არა აქვთ არავითარი «რიხი», რომლებსაც სჩვევიათ ორ სკამზე ჯდომა, მხოლოდ ასეთ ადამიანებს შესწევთ უნარი — გუშინ რომ რიხიანობა მოუწონეს «რაბოჩაია მისლს», დღეს მის მოწინააღმდეგეთ გაუკიცხონ «პოლემიკური რიხიანობა».

არ შევჩერდებით «რაბოჩაია მისლის» ცალკე დამატებაზე (ჩვენ ქვემოთ მოგვიხდება სხვადასხვა საბაბით დავიმოწმოთ ეს ნაწარმოები, რომელიც ყველაზე უფრო თანამიმდევრად გამოხატავს ეკონომისტების იდეებს) და მხოლოდ მოკლედ შევეხებით «მუშათა თვითგანთავისუფლების ჯგუფის მოწოდებას» (1899 წლის მარტი, გადაბეჭდილია ლონდონის «ნაკანუნეში»[115] № 7, 1899 წ. ივლისი). ამ მოწოდების ავტორები ძალიან სამართლიანად ამბობენ, რომ «მუშათა რუსეთი ჯერ მხოლოდ იღვიძებს, მხოლოდ ეს-არის თვალს ავლებს ირგვლივ და ინსტინქტურად ეჭიდება პირველადვე ხელში მოხვედრილ ბრძოლის საშუალებებსო». მაგრამ აქედან იმავე შემცდარ დასკვნას აკეთებენ, როგორც «რაბოჩაია მისლიც», და ივიწყებენ, რომ ინსტინქტურობა — იგივე შეუგნებლობაა (სტიქიურობა), რომელსაც უნდა მიეშველონ სოციალისტები, რომ ბრძოლის «პირველი ხელში მოხვედრილი» საშუალებანი თანამედროვე საზოგადოებაში ყოველთვის ბრძოლის ტრედ-უნიონისტური საშუალებანი იქნებიან, ხოლო «პირველი ხელში მოხვედრილი» იდეოლოგია — ბურჟუაზიული (ტრედ-უნიონისტური) იდეოლოგია. სწორედ ასევე არ «უარყოფენ» ეს ავტორები პოლიტიკასაც, ამბობენ მხოლოდ (მხოლოდ!), ბ-ნ ვ. ვ.-ის კვალდაკვალ, რომ პოლიტიკა ზედნაშენია და ამიტომ «პოლიტიკური აგიტაცია ეკონომიური ბრძოლის სასარგებლოდ წარმოებული აგიტა-

ციის ზედნაშენი უნდა იყოს, ამ ბრძოლის ნიადაგზე უნდა აღმოცენდეს და მას მიჰყვებოდესო».

რაც შეეხება «რაბოჩეე დელოს», მან თავისი საქმიანობა პირდაპირ ეკონომისტების «დაცვით» დაიწყო. «რაბოჩეე დელომ» პირდაპირ იცრუა თავის პირველსავე ნომერში (№ 1, გვ. 141—142), ვითომც მან «არ იცის, რომელ ახალგაზრდა ამხანაგებზე ლაპარაკობდა აქსელროდი», რომელიც აფრთხილებდა ეკონომისტებს თავის ცნობილ ბროშურაში *, და ის ამ ტყუილის გამო აქსელროდთან და პლეხანოვთან გაჩაღებულ პოლემიკაში იძულებული შეიქნა გამოტეხილიყო, რომ მას «სურდა გაკვირვების სახით დაეცვა ყველა» უფრო ახალგაზრდა საზღვარგარეთელი სოციალ-დემოკრატი ამ უსამართლო ბრალდებისაგან» (აქსელროდის მიერ ეკონომისტებისათვის შეზღუდულობის დაბრალება). სინამდვილეში ეს ბრალდება სავსებით სამართლიანი იყო, და «რაბოჩეე დელომ» მშვენივრად იცოდა, რომ ეს ბრალდება ედებოდა სხვათა შორის მისი რედაქციის წევრ ვ. ი-საც. აქვე შევნიშნავ, რომ აღნიშნულ პოლემიკაში აქსელროდი სრულიად მართალი იყო და «რაბოჩეე დელო» სრულიად შემცდარად აშუქებდა ჩემს ბროშურას: «რუსი სოციალ-დემოკრატების ამოცანები» **. ეს ბროშურა დაწერილია 1897 წელს, ჯერ კიდევ «რაბოჩაია მისლის» გამოსვლამდე, როცა მე გაბატონებულად ვთვლიდი და უფლებაც მქონდა ჩამეთვალა ს.-პეტერბურგის «ბრძოლის კავშირის» პირვანდელი მიმართულება, ზემოთ დახასიათებული ჩემ მიერ. და ყოველ შემთხვევაში 1898 წლის ნახევრამდე ეს მიმართულება მართლაც გაბატონებული იყო. ამიტომ «რაბოჩეე დელოს» მცირეოდენი უფლებაც კი არა ჰქონდა ეკონომიზმის არსებობისა და საშიშროების უარსაყოფად იმ ბროშურის დამოწმებისა, რომელშიც გამოთქმული იყო ის შეხედულებანი, რომელნიც

* «რუსი სოციალ-დემოკრატების თანამედროვე ამოცანებისა და ტაქტიკის საკითხისათვის». ჟენევა, 1898. ორი წერილი «რაბოჩაია გაზეტაში», დაწერილი 1897 წელს.

** იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 2, გვ. 397—431. რედ.

ს.-პეტერბურგში 1897 — 1898 წელს «ეკონომიურმა» შეხედულებებმა განდევნა*.

მაგრამ «რაბოჩეე დელო» არამცთუ «იცავდა» ეკონომისტებს, არამედ აგრეთვე თვითონაც მუდამ ვარდებოდა მათს ძირითად შეცდომებში. ამ გადაცდენის მიზეზი იყო «რაბოჩეე დელოს» პროგრამის შემდეგი თეზისის ორაზროვანი გაგება: «რუსეთის ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენად, რომელიც მეტ ნაწილად განსაზღვრავს «კავშირის» ლიტერატურული მოღვაწეობის ამოცანებს (ხაზგასმა ჩვენია) და ხასიათს, ჩვენ მიგვაჩნია უკანასკნელ წლებში წარმოშობილი მასობრივი მუშათა მოძრაობა» (ხაზგასმა «რაბოჩეე დელოსია»). მასობრივი მოძრაობა რომ უმნიშვნელოვანესი მოვლენაა, ეს უდავოა. მაგრამ მთელი საკითხი ის არის, თუ როგორ უნდა გავიგოთ «ამოცანების განსაზღვრა» ამ მასობრივი მოძრაობით. ამის გაგება ორნაირად შეიძლება: ან ქედის მოხრის აზრით ამ მოძრაობის სტიქიურობის წინაშე, ე. ი. სოციალ-დემოკრატიის როლის ჩამოქვეითება მუშათა მოძრაობის, როგორც ასეთის, უბრალო მომსახურებამდე (ასე ესმით «რაბოჩაია მისლს», «თვითგანთავისუფლების ჯგუფს» და სხვა ეკონომისტებს); ანდა იმ აზ-

* თავის პირველ ტყუილს («ჩვენ არ ვიცით, რომელ ახალგაზრდა ამხანაგებზე ლაპარაკობდა პ. ბ. აქსელროდი») «რ. დელომ», თავდაცვის დროს, დაუმატა მეორე, როცა «პასუხში» წერდა: «მას შემდეგ, რაც «ამოცანებზე» რეცენზია დაიწერა, ზოგიერთ რუს სოციალ-დემოკრატთა შორის წარმოიშვა ან ცოტად თუ ბევრად ნათლად გამოისახა ტენდენციები ეკონომიური ცალმხრივობისაკენ, რაც წარმოადგენს უკან გადადგმულ ნაბიჯს ჩვენი მოძრაობის იმ მდგომარეობასთან შედარებით, რომელიც გამოხატულია «ამოცანებში»» (გვ. 9). ასე ლაპარაკობს «პასუხი», გამოსული 1900 წ ელ ს. «რ. დელოს» პირველი ნომერი კი (რეცენზიით) გამოვიდა 1899 წ ლ ი ს აპრილში. ნუთუ მხოლოდ 1899 წელს წარმოიშვა ეკონომიზმი? არა, 1899 წელს პირველად გაისმა რ უ ს ე თ ი ს სოციალ-დემოკრატების პროტესტი ეკონომიზმის წინააღმდეგ (პროტესტი «Credo»-ს წინააღმდეგ). ეკონომიზმი კი წარმოიშვა 1897 წელს, როგორც ეს ჩანებულად იცის «რ. დელომ», ვინაიდან ვ. ი. უკვე 1898 წ ლ ი ს ნ ო ე მ ბ ე რ შ ი («ლისტ. «რაბ.»» № 9 — 10) აჭებდა «რაბ. მისლს».

რით, რომ მასობრივი მოძრაობა ჩვენს წინაშე აყენებს ახალ თეორიულ, პოლიტიკურ, ორგანიზაციულ ამოცანებს, გაცილებით უფრო რთულს, ვიდრე ის ამოცანებია, რომლებითაც შეიძლებოდა დაკმაყოფილება მასობრივი მოძრაობის წარმოშობამდე. «რაბოჩეე დელო» იხრებოდა და იხრება სწორედ პირველი გაგებისაკენ, იმიტომ რომ მას არავითარ ახალ ამოცანებზე არაფერი გარკვეული არ უთქვამს და მუდამ სწორედ ისე მსჯელობდა, თითქოს ეს «მასობრივი მოძრაობა» ჩვენ გვათავისუფლებს იმის საჭიროებისაგან, რომ ნათლად შევიგნოთ და გადავწყვიტოთ მის მიერ წამოყენებული ამოცანები. საკმარისია დავიმოწმოთ ის გარემოება, რომ «რაბოჩეე დელო» შეუძლებლად თვლიდა მუშათა მასობრივი მოძრაობისთვის უპირველეს ამოცანად თვითმპყრობელობის დამხობის დასახვას და ამ ამოცანას (მასობრივი მოძრაობის გულისთვის) უახლოესი პოლიტიკური მოთხოვნებისათვის ბრძოლის ამოცანამდე აქვეითებდა («პასუხი», გვ. 25).

გვერდი ავუაროთ «რაბოჩეე დელოს» რედაქტორის ბ. კრიჩევსკის სტატიას მე-7 ნომერში — «ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლა რუსეთის მოძრაობაში», სტატიას, რომელიც იძეორებს იმავე შეცდომებს *, და გადავიდეთ პირდაპირ «რაბოჩეე დელოს» მე-10 ნომერზე. ჩვენ არ გამოვუდგებით, რა

* «სტადიების თეორია» ანუ თეორია «გაუბედავი ზიგზაგისა» პოლიტიკურ ბრძოლაში გამოიხატება, მაგალითად, ამ სტატიაში ასე: «პოლიტიკური მოთხოვნები, თავისი ხასიათით საერთონი მთელი რუსეთისათვის, პირველ ხანებში მაინც» (ეს დაწერილია 1900 წ. აგვისტოში!) «უნდა შეესაბამებოდნენ იმ გამოცდილებას, რომელიც მიღებული აქვს მუშების ამა თუ იმ ფენას (sic!) ეკონომიური ბრძოლიდან. მხოლოდ (!) ამ გამოცდილების ნიადაგზე შეიძლება და უნდა შევუდგეთ პოლიტიკურ აგიტაციას» და სხვ. (გვ. 11). მე-4 გვერდზე ავტორი ილაშქრებს, მისი აზრით, სრულიად უსაფუძვლო ბრალდებათა წინააღმდეგ ეკონომიურ ერესში და პათეტიკურად გაიძახის: «რომელმა სოციალ-დემოკრატმა არ იცის, რომ მარქსისა და ენგელსის მოძღვრების მიხედვით ცალკეულ კლასთა ეკონომიური ინტერესები გადამწყვეტ როლს ასრულებენ ისტორიაში და, მაშასადამე, კერძოდ პროლეტარიატის პრძოლას თავისი ეკონომიური ინტერესებისათვის უნდა ჰქონდეს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა მისი

თქმა უნდა, ბ. კრიჩევსკისა და მარტინოვის ცალ-ცალკე მოსაზრებათა გარჩევას «ზარიას» და «ისკრის» წინააღმდეგ. აქ ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ ის პრინციპული პოზიცია, რომელიც დაიკავა თავის მე-10 ნომერში «რაბოჩეე დელომ». მაგალითად, ჩვენ არ შევუდგებით იმ კურიოზის გარჩევას, რომ «რაბოჩეე დელომ» «დიამეტრული წინააღმდეგობა» დაინახა შემდეგ დებულებასა:

«სოციალ-დემოკრატია ხელ-ფეხს არ იბოჭავს, თავის მოღვაწეობას არ ზღუდავს პოლიტიკური ბრძოლის ერთი რომელიმე წინასწარ მოფიქრებული გეგმით ან მეთოდით, — ის ცნობს ბრძოლის ყველა საშუალებას, ოღონდ კი ისინი შეესაბამებოდნენ პარტიის განკარგულებაში მყოფ ძალებს» და სხვ. («ისკრა» № 1) *.

და ამ დებულებას შორის:

«თუ პოლიტიკური ბრძოლის ყოველგვარ ვითარებაში და ყოველგვარ პერიოდში გამოწრთობილი მტკიცე ორგანიზაცია არ მოგეპოვება, მაშინ ლაპარაკიც ზედმეტია რაიმე ტაქტიკაზე, ვინაიდან ტაქტიკის სახელწოდების ღირსი მხოლოდ ისეთი სამოქმედო გეგმაა, რომელიც მტკიცე პრინციპებზეა აგებული და სისტემატურად და განუხრელად ხორციელდება» («ისკრა» № 4) **.

კლასობრივი განვითარებისა და გამათავისუფლებელი ბრძოლისათვის?». (ხაზგასმა ჩვენია). ეს «მაშასადამე» სრულიად უადგილოა. იქიდან, რომ ეკონომიური ინტერესები გადამწყვეტ როლს ასრულებენ, ს რ უ ლ ი ა დ ა ც ა რ გ ა მ ო მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ს რაიმე ისეთი დასკვნა, თითქოს ეკონომიურ (=პროფესიულ) ბრძოლას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდეს, ვინაიდან კლასთა ყველაზე საარსებო, «გადამწყვეტი» ინტერესები შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნას საერთოდ მ ხ ო ლ ო დ ძირითადი პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გარდაქმნებით; კერძოდ, პროლეტარიატის ძირითადი ეკონომიური ინტერესები შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნას მხოლოდ პოლიტიკური რევოლუციის საშუალებით, რომელიც ბურჟუაზიის დიქტატურას პროლეტარიატის დიქტატურით შეცვლის. ბ. კრიჩევსკი იმეორებს «რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ვ. ვ-ის» მსჯელობას (— პოლიტიკა მიჰყვება ეკონომიკას და სხვ.) და გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ბერნშტეინელების მსჯელობას (მაგ., ვოლტმანი სწორედ ასეთი მსჯელობით ამტკიცებდა, რომ მუშებმა ჯერ «ეკონომიური ძალა» უნდა მოიპოვონ, სანამ პოლიტიკურ რევოლუციაზე იფიქრებდნენო).

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 4, გვ. 455. რ ე დ.

** იხ. ეს ტომი, გვ. 7. რ ე დ.

ერთმანეთში არევა ბრძოლის ყველა საშუალების, ყველა გეგმის და მეთოდის პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ი აღიარებისა,—ოღონდ კი ისინი მიზანშეწონილი იყვნენ,—და იმის მოთხოვნისა, რომ გ ა რ კ ვ ე უ ლ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ მ ო მ ე ნ ტ შ ი იხელ-ძღვანელო გეგმით, რომელიც განუხრელად ხორციელდება, თუ ტაქტიკაზე გსურს ლაპარაკი,—ეს იგივე იქნება, რომ ბედიცინის მიერ მკურნალობის ყველა სისტემის აღიარება აურიო მოთხოვნას—გარკვეული ავადმყოფობის მკურნალობის დროს გამოიყენო ერთი გარკვეული სისტემა. მაგრამ საქშეც ის არის, რომ «რაბოჩეე დელო» თვითონ შეპყრობილია იმ ავადმყოფობით, რომელსაც ჩვენ ვუწოდეთ ქედის მოხრა სტიქიურობის წინაშე, და მას არ სურს სცნოს ა მ ავადმყოფობის «მკურნალობის» არავითარი «სისტემა». ამიტომ მან მოახდინა შესანიშნავი აღმოჩენა, რომ «ტაქტიკა-გეგმა ეწინააღმდეგება მარქსიზმის დედაარსსო» (№ 10, გვ. 18), რომ ტაქტიკა არის «პ ა რ ტ ი ი ს ი მ ა მ ო ც ა ნ ა თ ა ზ რ დ ი ს პ რ ო ც ე ს ი, რ ო მ ლ ე ბ ი ც პ ა რ ტ ი ა ს თ ა ნ ე რ თ ა დ ი ზ რ დ ე ბ ი ა ნ» (გვ. 11, ხაზგასმა «რაბოჩეე დელოსია»). ამ უკანასკნელ ნათქვამს ყველა შანსი აქვს გახდეს შესანიშნავი ნათქვამი, «რაბოჩეე დელოს» «მიმართულების» ურღვევი ძეგლი. კითხვაზე: «ს ა ი თ წ ა ვ ი დ ე თ?» ხელმძღვანელი ორგანო ასე უპასუხებს: მოძრაობა არის მოძრაობის დასაწყის და შემდგომ პუნქტებს შორის მანძილის შეცვლის პროცესი. მაგრამ ეს უბადლო ღრმააზროვნება წარმოადგენს არამცთუ კურიოზს (მაშინ არც ეღირებოდა მასზე შეჩერება), არამედ მ თ ე ლ ი მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ი ს პ რ ო გ რ ა მ ა ს ა ც, სახელდობრ: სწორედ იმ პროგრამას, რომელიც რ. მ.-მ («რაბოჩაია მისლის» ცალკე დამატებაში) გამოხატა სიტყვებით: სასურველია ის ბრძოლა, რომელიც შესაძლებელია, ხოლო შესაძლებელია ის, რომელიც ამ წუთს წარმოებსო. ეს სწორედ იმ უსაზღვრო ოპორტუნიზმის მიმართულებაა, რომელიც ბასიურად ეგუება სტიქიურობას.

«ტაქტიკა-გეგმა ეწინააღმდეგება მარქსიზმის დედაარსს!» ეს ხომ ცილისწამებაა მარქსიზმზე. მარქსიზმის გადაქცევაა

სწორედ იმ კარიკატურად, რომელსაც გვიპირდაპირებდნენ ნაროდნიკები, როცა გვებრძოდნენ. ეს არის სწორედ შეგნებულ მოღვაწეთა ინიციატივისა და ენერგიის დამცირება, მაშინ როცა მარქსიზმი, პირიქით, გიგანტურ ბიძგს აძლევს სოციალ-დემოკრატის ინიციატივასა და ენერგიას, უფართოეს პერსპექტივებს უსახავს, მის განკარგულებაში აყენებს (თუ შეიძლება ასე ითქვას) ბრძოლისთვის «სტიქიურად» ამოძრავებულ მრავალმილიონიანი მუშათა კლასის მძლავრ ძალებს! საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის მთელი ისტორია სავსეა ხან ერთი და ხან მეორე პოლიტიკური ბელადის მიერ წამოყენებული გეგმებით, რომელნიც ზოგის პოლიტიკურ და ორგანიზაციულ შეხედულებათა შორსმჭვრეტელობასა და სისწორეს ამართლებდნენ, ხოლო ზოგის სიბეცეს და პოლიტიკურ შეცდომებს ააშკარავებდნენ. როცა გერმანიამ განიცადა ერთ-ერთი უდიდესი ისტორიული გარდატეხა — იმპერიის შექმნა, რაიხსტაგის გახსნა, საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოღება, — სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკისა და საერთოდ მუშაობის ერთი გეგმა ჰქონდა ლიბკნეხტს, მეორე — შვაიცერს. როცა გერმანიის სოციალისტებს თავს დაატყდათ განსაკუთრებული კანონი, — ერთი გეგმა ჰქონდა ჰოსტსა და ჰასელმანს, რომლებიც მზად იყვნენ პირდაპირ შეეწოდებინათ ძალადობისა და ტერორისაკენ, მეორე — ჰიოხბერგს, შრამსა და (ნაწილობრივ) ბერნშტეინს, რომლებიც ის-იყო შეუდგნენ ქადაგებას სოციალ-დემოკრატებში, რომ მათ თავისი უგუნური სიმკვახითა და რევოლუციურობით გამოიწვიეს ეს კანონი და ახლა ის-ღა დარჩენიათ, რომ სამაგალითო ყოფაქცევით დაიმსახურონ პატიება; მესამე გეგმა ჰქონდათ იმათ, ვინც ამზადებდა და ახორციელებდა არალეგალური ორგანოს გამოცემას. როცა უკან მოიხედავ, მრავალი წლის შემდეგ, მას შემდეგ, რაც დამთავრდა ბრძოლა გზის ამორჩევის საკითხის გამო და ისტორიამაც თავისი უკანასკნელი მსჯავრი დასდო არჩეული გზის ვარგისიანობას, — რაღა თქმა უნდა, ადვილი საქმეა ღრმააზროვნების გამოჩენა

იმის თქმით, რომ პარტიული ამოცანები იზრდება პარტიის ზრდასთან ერთადო. მაგრამ იმ არევ-დარევის დროს *, როცა რუსი «კრიტიკოსები» და ეკონომისტები სოციალ-დემოკრატიას ტრედ-უნიონიზმამდე აქვეითებენ, ხოლო ტერორისტები თავგამოდებით ქადაგებენ იმ «ტაქტიკა-გეგმის» მიღებას, რომელიც ძველ შეცდომებს იმეორებს, ასეთ მომენტში ასეთი ღრმააზროვნებით დაკმაყოფილება იმას ნიშნავს, რომ თავის თავს «სიღარიბის მოწმობა» მისცე. იმ დროს, როცა მრავალ რუს სოციალ-დემოკრატს აკლია სწორედ ინიციატივა და ენერგია, აკლია «პოლიტიკური პროპაგანდის, აგიტაციისა და ორგანიზაციის გაქანება» **, აკლია რევოლუციური მუშაობის უფრო ფართოდ დაყენების «გეგმები», — ასეთ დროს იმის თქმა, რომ «ტაქტიკა-გეგმა ეწინააღმდეგება მარქსიზმის დედაარსს», — ნიშნავს მარქსიზმის არამცთუ თეორიულად გაუხამსებას, არამედ პრაქტიკულადაც პ ა რ ტ ი ი ს უ კ ა ნ-უ კ ა ნ წ ა ყ ვ ა ნ ა ს.

«რევოლუციონერი სოციალ-დემოკრატი ამოცანად ისახავს — გვასწავლის შემდეგ «რაბოჩეე დელო» — თავისი შეგნებული მუშაობით მხოლოდ დაარჩაროს ობიექტური განვითარება, და არა იმას, რომ გააუქმოს ან სუბიექტური გეგმებით შეცვალოს იგი. «ისკრამ» თეორიულად ყოველივე ეს იცის. მაგრამ ის უდიდესი მნიშვნელობა, რომელსაც სამართლიანად ანიჭებს მარქსიზმი შეგნებულ რევოლუციურ მუშაობას, პრაქტიკულად იტაცებს «ისკრას», ტაქტიკაზე მისი დოქტრინიორული შეხედულების გამო. გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი ა ნ უ ს ტ ი ქ ი უ რ ი ე ლ ე მ ე ნ ტ ი ს მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ი ს დ ა მ ც ი რ ე ბ ი ს ა კ ე ნ» (გვ. 18).

---

* Ein Jahr Verwirrung (არევ-დარევის წელიწადი) — ასეთი სათაური გაუკეთა მერინგმა თავისი წიგნის — «გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ისტორიის» იმ პარაგრაფს, სადაც აგვიწერს მერყეობას და გაუბედაობას, რომლებიც თავდაპირველად გამოიჩინეს სოციალისტებმა, როცა ახალი პირობების შესაბამის «ტაქტიკა-გეგმას» ირჩევდნენ.

** «ისკრის» № 1-ის მოწინავე სტატიიდან. (იხ. თხზულებანი, გამოცმე-4, ტ. 4, გვ. 453. რ ე დ.)

ისევ უდიდესი თეორიული აბდაუბდა, საკადრისი ბ-ნ ვ. ვ.-ის და ძმათა მისთა. ჩვენ შევეკითხებით ამ ჩვენს ფილოსოფოსს: რით შეიძლება გამოიხატოს ობიექტური განვითარების «დამ-ცირება» სუბიექტური გეგმების შემდგენლის მხრივ? ცხა-დია, იმით, რომ ის მხედველობიდან გაუშვებს, რომ ეს ობიექტური განვითარება ჰქმნის ან განამტკიცებს, ღუპავს ან ასუსტებს ამა და ამ კლასებს, ფენებს, ჯგუფებს, ამა და ამ ერებს, ერების ჯგუფებსა და სხვ. და ამით ჰქმნის პირობებს ძალთა ასეთი და ასეთი საერთაშორისო პოლიტიკური დაჯ-გუფებისათვის, რევოლუციური პარტიების პოზიციისათვის და სხვ.. მაგრამ ასეთი შემდგენლის დანაშაული იქნება არა სტიქიური ელემენტის დამცირება, არამედ, პირიქით, შ ე გ-ნ ე ბ უ ლ ი ელემენტის დამცირება, ვინაიდან მას არ ეყოფა «შეგნებულობა» ობიექტური განვითარების სწორი გაგები-სათვის. ამიტომ სტიქიურობისა და შეგნებულობის «შ ე დ ა-რ ე ბ ი თ ი მნიშვნელობის შეფასებაზე» (ხაზგასმა «რაბოჩეე დელოსია») უკვე მარტო ლაპარაკიც კი «შეგნებულობის» სრულ უქონლობას ააშკარავებს. თუკი განსაზღვრული «გან-ვითარების სტიქიური ელემენტები» მისაწვდომია საერთოდ ადამიანის შეგნებისათვის, მათი უმართებულო შეფასებაც «შეგნებული ელემენტის დამცირება» იქნება. ხოლო თუ ისი-ნი მიუწვდომელია შეგნებისათვის, მაშინ ჩვენ მათი არაფერი ვიცით და ამათ შესახებ ლაპარაკიც არ შეგვიძლია. მაშ რაზე ლაპარაკობს ბ. კრიჩევსკი? თუ მას «ისკრის» «სუბიექტური გეგმები» შემცდარად მიაჩნია (ის კი სწორედ ამ გეგმებს შემცდარად აცხადებს), მას უნდა ეჩვენებინა, სახელდობრ რომელ ობიექტურ ფაქტებს უგულებელჰყოფენ ეს გეგმები, და ბრალი დაედო «ისკრისთვის» ა რ ა ს ა კ მ ა ო შ ე გ ნ ე-ბ უ ლ ო ბ ი ს, «შეგნებული ელემენტის დამცირების» ასეთი უგულებელყოფისთვის. მისი გამოთქმა რომ ვიხმაროთ. ხოლო თუ მას, უკმაყოფილოს სუბიექტური გეგმებით, არ მოეპო-ვება სხვა არგუმენტები გარდა «სტიქიური ელემენტის დამ-

ცირებაზე» მითითებისა (!!), ის ამით მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ მას (1) თეორიულად — მარქსიზმი გაეგება à la * კარეევებისა და მიხაილოვსკებისა, რომლებიც საკმაოდ აიგდო სასაცილოდ ბელტოვმა [116], (2) პრაქტიკულად — ის სრულიად კმაყოფილია «განვითარების იმ სტიქიური ელემენტებით», რომლებიც ჩვენს ლეგალურ მარქსისტებს იტაცებდა ბერნშტეინელობისაკენ, ხოლო ჩვენს სოციალ-დემოკრატებს — ეკონომიზმისაკენ, და რომ ის «ფრიად განრისხებულია» იმ ადამიანებზე, რომელთაც გადაწყვიტეს რადაც უნდა დაუჯდეთ «სტიქიური» განვითარების გზას ჩ ა მ ო ა ც ი ლ ო ნ რუსეთის სოციალ-დემოკრატია.

ამას იქით კი უკვე სრულიად სამხიარულო რამე გვხვდება. «მსგავსად იმისა, როგორც ადამიანები, რა წარმატებაც უნდა ჰქონდეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებას, მაინც მამაპაპური წესით განაგრძობენ გამრავლებას,— ისევე ქვეყნად ახალი საზოგადოებრივი წესწყობილების წარმოშობა, რაგინდ წარმატებაც უნდა ჰქონდეს საზოგადოებრივ მეცნიერებას და რა რიგადაც უნდა გამრავლდნენ შეგნებული მებრძოლნი, მომავალ'შიც უ მ ე ტ ე ს ა დ სტიქიურ აფეთქებათა შედეგი იქნება» (19). მსგავსად იმისა, როგორც მამაპაპური სიბრძნე გვეუბნება, ბავ'შვების გასაჩენად ჭკუა ვის არ მოეპოვებაო? — ისევე სიბრძნე «უახლესი სოციალისტებისა» (à la ნარცის ტუპორილოვისა [117]) ღაღადებს, ქვეყნად ახალი საზოგადოებრივი წესწყობილების სტიქიურად წარმოშობაში მონაწილეობის მისაღებად ჭკუა ყველას ეყოფაო. ჩვენც ასევე ვფიქრობთ: ყველას ეყოფა. ასეთი მონაწილეობისათვის საკმარისია ა ჭ ყ ვ ე — ეკონომიზმს, როცა ეკონომიზმი ბატონობს, — ტერორიზმს, როცა ტერორიზმი წარმოიშობა. ასე, მაგალითად, «რაბოჩეე დელო» ამა წლის გაზაფხულს, როცა ასე საჭირო იყო გაფრთხილება ტერორით გატაცებისაგან, გაკვირვებული იდგა მისთვის «ახალი» საკითხის წინაშე. ახლა კი, ნახევარი

* — მსგავსად. რ ე დ.

წლის შემდეგ, როდესაც ეს საკითხი ასე საჭირბოროტო საკითხად აღარ ითვლება, «რაბოჩეე დელო» ერთსა და იმავე დროს გვიმასპინძლდება განცხადებითაც: «ჩვენ ვფიქრობთ, რომ სოციალ-დემოკრატიამ არ უნდა დაისახოს და ვერც დაისახავს ამოცანად — წინააღმდეგობა გაუწიოს ტერორისტული განწყობილების აღმავლობას» («რაბოჩეე დელო» № 10, გვ. 23), და ყრილობის რეზოლუციითაც: «ყრილობას დროის შეუფერებლად მიაჩნია სისტემატური შეტევითი ტერორი» («ორი ყრილობა», გვ. 18). რა შესანიშნავად ნათელი და დალაგებულია! წინააღმდეგობას არ ვუწევთ, — მაგრამ დროის შეუფერებლად ვაცხადებთ, ამასთან ვაცხადებთ ისე, რომ არასისტემატურ და თავდაცვითს ტერორს «რეზოლუცია» არ მოიცავსო. უნდა აღვიაროთ, რომ ასეთი რეზოლუცია მეტად უვნებელი და სავსებით უზრუნველყოფილია შეცდომებისაგან, — ისევე როგორც უზრუნველყოფილია შეცდომებისაგან ადამიანი, რომელიც მხოლოდ იმისთვის ლაპარაკობდა, რომ არაფერი ეთქვა! და ასეთი რეზოლუციის შესადგენად მხოლოდ ერთი რამ არის საჭირო: კ უ დ შ ი მოექცე მოძრაობას. როცა «ისკრამ» დასცინა იმას, რომ «რაბოჩეე დელომ» ახალ საკითხად * გამოაცხადა ტერორის საკითხი, «რაბ. დელომ» გულისწყრომით ბრალი დასდო «ისკრას»: «პირდაპირ წარმოუდგენელი პრეტენზია აქვს — თავს მოახვიოს პარტიულ ორგანიზაციას ტაქტიკური საკითხების ისეთი გადაწყვეტა, რომელიც მოუცია მწერალ-ემიგრანტების ჯგუფს 15 წლის წინათ» (გვ. 24). მართლაც, რა პრეტენზიულობა და რა გაზვიადებაა შეგნებული ელემენტისა: წინასწარ თეორიულად გადაწყვიტო საკითხი იმ ვარაუდით, რომ შემდეგ ამ გადაწყვეტილების სისწორეში დაარწმუნო ორგანიზაციაც, პარტიაც და მასაც! ** ის არა სჯობს, უკან მისდიო მოვლენებს, არავის

* იხ. ეს ტომი, გვ. 6 — 10. რ ე დ.

** არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე ისიც, რომ ტერორის საკითხის «თეორიულად» გადაჭრისას «შრომის განთავისუფლების» ჯგუფი ა ზ ო გ ა დ ე ბ დ ა ადრინდელი რევოლუციური მოძრაობის გამოცდილებას.

არაფერი «მოახვიო თავს», დაემორჩილო ყოველ «გადახვევას» ეკონომიზმისაკენაც და ტერორიზმისაკენაც. «რაბოჩეე დელო» აზოგადებს კიდეც ცხოვრების სიბრძნის ამ დიად მცნებას და ბრალს სდებს «ისკრასა» და «ზარიას», ვითომც ისინი «მოძრაობას უპირდაპირებენ თავიანთ პროგრამას, როგორც ისეთ სულს, რომელიც ზევიდან დასტრიალებს უფორმო ქაოსს» (გვ. 29). მაშ რა არის სოციალ-დემოკრატიის როლი, თუ არა ის, რომ წარმოადგენდეს «სულს», რომელიც არათუ ზევიდან დასტრიალებს სტიქიურ მოძრაობას, არამედ რომელსაც ეს უკანასკნელი კიდევაც «თ ა ვ ი ს ი პ რ ო გ რ ა მ ი ს» ს ი მ ა ღ ლ ე ზ ე ა ჰ ყ ა ვ ს? ის ხომ არა, რომ მოძრაობას აედევნოს კ უ დ შ ი: უკეთეს შეთხვევაში ეს უსარგებლოა მოძრაობისთვის, უარეს შემთხვევაში — მეტისმეტად საზიანოა. «რაბოჩეე დელო» კი არამცთუ მისდევს ამ «ტაქტიკა-პროცესს», არამედ პრინციპადაც ხდის მას, ასე რომ უფრო სწორი იქნებოდა, თუ მის მიმართულებასაც ვუწოდებდით არა ოპორტუნიზმს, არამედ «ხ ვ ო ს ტ ი ზ მ ს» (სიტყვისაგან: «хвост»). და არ შეიძლება არ აღვიაროთ, რომ ის ადამიანები, რომელთაც მტკიცედ გადაუწყვეტიათ ყოველთვის გაჰყვნენ მოძრაობას როგორც მისი კუდი, სამუდამოდ და აბსოლუტურად უზრუნველყოფილნი არიან «განვითარების სტიქიური ელემენტის დამცირებისაგან».

* *
*

ამრიგად, ჩვენ დავრწმუნდით, რომ ძირითადი შეცდომა «ახალი მიმართულებისა» რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში არის ქედის მოხრა სტიქიურობის წინაშე, გაუგებლობა იმისა, რომ მასის სტიქიურობა მოითხოვს ჩვენგან, სოციალ-დემოკრატებისაგან, დიდ შეგნებულობას. რაც უფრო მეტია მასე-

ბის სტიქიური აღმავლობა, რაც უფრო ფართოვდება მოძრაობა, მით უფრო შეუდარებლად სწრაფად იზრდება საჭიროება დიდი შეგნებულობისა სოციალ-დემოკრატიის როგორც თეორიულ, ისე პოლიტიკურ და ორგანიზაციულ მუშაობაში.

მასების სტიქიური აღმავლობა რუსეთში ისეთი სისწრაფით მოხდა (და ამჟამადაც ხდება), რომ სოციალ-დემოკრატიული ახალგაზრდობა მოუმზადებელი აღმოჩნდა ამ გიგანტური ამოცანების შესრულებისათვის. ეს მოუმზადებლობა ჩვენი საერთო უბედურებაა, უბედურება ყველა რუსი სოციალ-დემოკრატისა. მასების აღმავლობა იზრდებოდა და ფართოვდებოდა განუწყვეტლივ და თანამიმდევრად, ისე, რომ არათუ არ თავდებოდა იქ, სადაც დაიწყო, არამედ ახალ ადგილებს და მოსახლეობის ახალ ფენებსაც ედებოდა (მუშათა მოძრაობის ზეგავლენით გამოცოცხლდა მღელვარება მოსწავლე ახალგაზრდობისა, საერთოდ ინტელიგენციისა და გლეხობისაც კი). რევოლუციონერები კი ჩამორჩებოდნენ ხოლმე ამ აღმავლობას თავიანთ «თეორიებშიც» და თავიანთ მუშაობაშიც, ისინი ვერ ახერხებდნენ უწყვეტი და თანამიმდევნო ორგანიზაციის შექმნას, რომელსაც შეეძლებოდა ხელმძღვანელობა გაეწია მთელი მოძრაობისთვის.

პირველ თავში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ «რაბოჩეე დელომ» ჩვენი თეორიული ამოცანები ჩამოაქვეითა და «სტიქიურად» გაიმეორა ახალმოდის სიტყვები — «კრიტიკის თავისუფლება»: მათ, ვინც ამ სიტყვებს იმეორებდა, აღარ ეყოთ «შეგნებულობა» იმის გასაგებად, რომ დიამეტრულად ეწინააღმდეგება ერთიმეორეს «კრიტიკოს»-ოპორტუნისტებისა და რევოლუციონერების პოზიციები გერმანიასა და რუსეთში.

შემდგომ თავებში ჩვენ განვიხილავთ, როგორ გამოიხატებოდა ეს ქედის მოხრა სტიქიურობის წინაშე სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკურ ამოცანათა სფეროში და ორგანიზაციულ მუშაობაში.

III
ტრედ-უნიონისტური და სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკა

დავიწყოთ კვლავ «რაბოჩეე დელოს» ქებით. «მამხილებელი ლიტერატურა და პროლეტარული ბრძოლა» — ასეთი სათაური გაუკეთა მარტინოვმა «რაბოჩეე დელოს» მე-10 ნომერში თავის სტატიას «ისკრასთან» უთანხმოების შესახებ. «ჩვენ არ შეგვიძლია მხოლოდ იმ წესების მხილებას დავჯერდეთ, რომლებიც მისი (მუშათა პარტიის) განვითარების გზაზე გვხვდება. ჩვენ აგრეთვე უნდა გამოვეხმაუროთ პროლეტარიატის უახლოეს და მიმდინარე ინტერესებს» (გვ. 63) — ასე ჩამოაყალიბა მან ამ უთანხმოების არსი. «...«ისკრა»... ფაქტიურად რევოლუციური ოპოზიციის ორგანოა, რომელიც ამხელს ჩვენებურ წესებს და უმეტესად პოლიტიკურ წესებს... ჩვენ კი ვმუშაობთ და ვიმუშავებთ მუშათა საქმისათვის პროლეტარულ ბრძოლასთან მჭიდრო ორგანული კავშირით» (იქვე). არ შეიძლება მარტინოვის მადლიერი არ ვიყოთ ამ ფორმულირებისათვის. ეს ფორმულირება უდიდეს საერთო ინტერესს იწვევს, ვინაიდან, არსებითად, მოიცავს სრულიადაც არა მარტო ჩვენს უთანხმოებას «რაბოჩეე დელოსთან», არამედ საერთოდ პოლიტიკური ბრძოლის საკითხზე ყველა უთანხმოებას ჩვენსა და «ეკონომისტებს» შორის. ჩვენ უკვე ნათელვყავით, რომ «ეკონომისტები» უსათუოდ როდი უარყოფენ «პოლიტიკას», ისინი მხოლოდ მუდამ სცილდებიან პოლიტიკის სოციალ-დემოკრატიულ გაგებას და ის ტრედ-უნიონისტურად ესმით, სრულიად ასევე გადამცდარია მარტინოვიც, და ამიტომ ჩვენ თანახმა ვართ სწორედ მარტინოვი დავასახელოთ ეკონომიურ შეცდომათა ნ ი მ უ შ ა დ ამ საკითხში. ასეთი არჩევანისთვის — ჩვენ შევეცდებით ამის ცხადყოფას — ჩვენდამი პრეტენზიების გამოცხადების უფლება არ ექნებათ არც «რაბოჩაია მისლის» ცალკე დამატების ავტორებს, არც «თვითგანთავისუფლების ჯგუფის» პროკლამაციის ავტორებს, არც «ისკრის» მე-12 ნომერში მოთავსებული ეკონომიური წერილის ავტორებს.

ა) პოლიტიკური აგიტაცია და მისი შეზღუდვა ეკონომისტების მიერ

ყველასათვის ცნობილია, რომ რუსეთის მუშების ეკონომიური* ბრძოლის ფართოდ გავრცელება და განმტკიცება ხელიხელჩაკიდებული მიდიოდა ეკონომიურ (საფაბრიკო და პროფესიულ) მხილებათა «ლიტერატურის» შექმნასთან ერთად. «ფურცლების» მთავარი შინაარსი იყო საფაბრიკო წესების მხილება, და მუშებს შორის მალე იფეთქა ნამდვილმა გატაცებამ ასეთი მხილებით. როგორც კი დაინახეს მუშებმა, რომ სოციალ-დემოკრატების წრეებს სურთ და შეუძლიათ მიაწოდონ მათ ახალი სახის ფურცლები, რომლებიც უამბობდნენ მთელ სიმართლეს მათი ღატაკური ცხოვრების, უზომოდ მძიმე შრომისა და უუფლებო მდგომარეობის შესახებ, — მათ, შეიძლება ითქვას, აუარებელი კორესპონდენციები მიაყარეს ფაბრიკა-ქარხნებიდან. ეს «მამხილებელი ლიტერატურა» უდიდეს სენსაციას ახდენდა არა მხოლოდ იმ ფაბრიკაში, რომლის წესებსაც ამათრახებდა ესა თუ ის ფურცელი, არამედ ყველა ფაბრიკაში, სადაც კი რაიმეს გაიგონებდნენ მხილებული ფაქტების შესახებ. და რადგან სხვადასხვა საწარმოებისა და პროფესიის მუშების გაჭირვებასა და უბედურებაში ბევრი რამ არის საერთო, ამიტომ «სიმართლე მუშათა ცხოვრების შესახებ» ყ ვ ე ლ ა ს ხიბლავდა. ყველაზე ჩამორჩენილ მუშებშიც კი მეტად გაღვივდა მისწრაფება კორესპონდენციების «დაბეჭდვისა» — კეთილშობილი მისწრაფება ძარცვასა და ჩაგვრაზე აგებული თანამედროვე საზოგადოებრივი წესწყობილების წინააღმდეგ ომის ამ ჩანასახი ფორმისადმი. და

* შევნიშნავთ, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, რომ შემდგომი გადმოცემისას ყველგან ეკონომიური ბრძოლა ჩვენ გვესმის (თანახმად ჩვენში შემოღებული სიტყვახმარებისა) იმ «პრაქტიკულ-ეკონომიურ ბრძოლად», რომელსაც ენგელსმა ზემოთ მოყვანილ ციტატში «კაპიტალისტებისადმი წინააღმდეგობის გაწევა» უწოდა და რომელსაც თავისუფალ ქვეყნებში პროფესიულ, სინდიკალურ ანუ ტრედ-უნიონისტურ ბრძოლას უწოდებენ.

«ფურცლებიც» უმეტეს შემთხვევაში მართლაც ომის გამოცხადებას წარმოადგენდა, იმიტომ რომ მხილება საშინლად ამაღელვებლად მოქმედებდა, მუშები საყოველთაოდ მოითხოვდნენ მოესპოთ უაღრესად აღმაშფოთებელი სისაძაგლენი, და მზად იყვნენ ამ მოთხოვნათათვის მხარი დაეჭირათ გაფიცვების გამოცხადებით. [თვით მეფაბრიკენი, ბოლოს და ბოლოს, იმ ზომამდე იყვნენ იძულებული ეცნოთ ამ ფურცლების მნიშვნელობა, როგორც ომის გამოცხადება, რომ ხშირად არც კი სურდათ თვით ომის დაცდა.] მხილებანი, როგორც ყოველთვის, ძლიერნი გახდნენ უკვე მარტო თავის გამოქვეყნების ფაქტით. მათ მძლავრი ზნეობრივი ზეგავლენის მნიშვნელობა მოიპოვეს. არა ერთხელ მომხდარა, რომ ფურცლის მხოლოდ გამოსვლა გამხდარა საკმარისი ყველა მოთხოვნის ან მათი ნაწილის დასაკმაყოფილებლად. [ერთი სიტყვით, ეკონომიური (საფაბრიკო) მხილებანი იყო და ახლაც არის ეკონომიური ბრძოლის დიდმნიშვნელოვანი ბერკეტი. და ეს მნიშვნელობა მას ექნება მანამდე, სანამ იარსებებს კაპიტალიზმი, რომელიც აუცილებლად წარმოშობს ხოლმე მუშების თავდაცვას.] ევროპის თვით ყველაზე მოწინავე ქვეყნებში ახლაც ვხედავთ ისეთ შემთხვევებს, როცა რომელიმე მივარდნილი კუთხის «სარეწის» ან შინამუშაობის რომელიმე ყველასაგან მივიწყებული დარგის რაიმე სისაძაგლის მხილება გამოსავალ წერტილად იქცევა კლასობრივი შეგნების გაღვიძებისათვის, პროფესიული ბრძოლის დასაწყისისა და სოციალიზმის გავრცელებისათვის *.

---

* ამ თავში ჩვენ ვლაპარაკობთ მხოლოდ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ბრძოლაზე, მის უფრო ფართო ან უფრო ვიწრო გაგებაზე. ამიტომ მხოლოდ გაკვრით აღვნიშნავთ, ისე როგორც კურიოზს, «რაბოჩეე დელოს» მიერ «ისკრისადმი» წაყენებულ ბრალდებას, ვითომც «ისკრა» «ზედმეტად თავდაჭერილია» ეკონომიური ბრძოლის მიმართ («ორი ყრილობა», გვ. 27, გადაღებულია მარტინოვის მიერ მის ბროშურაში: «სოციალ-დემოკრატია და მუშათა კლასი»). ბატონ ბრალმდებელთ თუნდაც ფუთებად ან ნაბეჭდ ფურცლებად რომ გამოეხატათ (როგორც მათ ეს უყვართ) ეკონომიური ბრძოლის განყოფილება «ისკრაში» ერთი წლის განმავლობაში და შეედარებინათ ეს

უკანასკნელი დროის რუს სოციალ-დემოკრატთა დიდი უმრავლესობა თითქმის მთლად საფაბრიკო მხილებათა ამ მუშაობის მოწყობით იყო გატაცებული. საკმარისია გავიხსენოთ «რაბოჩაია ძისლი», რომ დავინახოთ, თუ რა ზომამდე აღწევდა ეს გატაცება, როგორ ივიწყებდნენ ამავე დროს, რომ თავისთავად ეს, არსებითად, ჯერ კიდევ სოციალ-დემოკრატიული მუშაობა კი არ არის, არამედ მხოლოდ ტრედ-უნიონისტურია. მხილება შეეხებოდა, არსებითად, მხოლოდ ამა თუ იმ პროფესიის მუშების ურთიერთობას მათს მეპატრონეებთან და მხოლოდ იმას აღწევდა, რომ სამუშაო ძალის გამყიდველნი ეჩვეოდნენ უფრო ხელსაყრელად გაეყიდათ ეს «საქონელი» და ებრძოლათ მყიდველთან წმინდა კომერციული გარიგების ნიადაგზე. ეს მხილებანი შეიძლებოდა გადაქცეულიყო (იმ პირობით, თუ მათ ერთგვარად გამოიყენებდა რევოლუციონერთა ორგანიზაცია) სოციალ-დემოკრატიული მუშაობის დასაწყისად და შემადგენელ ნაწილად, მაგრამ მას შეეძლო აგრეთვე გამოეწვია (ხოლო სტიქიურობის წინაშე ქედის მოხრის პირობებში უნდა გამოეწვია) «მხოლოდ პროფესიული» ბრძოლა და არა სოციალ-დემოკრატიული მუშათა მოძრაობა. სოციალ-დემოკრატია ხელმძღვანელობს მუშათა კლასის ბრძოლას არა მხოლოდ სამუშაო ძალის ხელსაყრელ პირობებში გაყიდვისათვის, არამედ იმ საზოგადოებრივი წყობილების მოსასპობადაც, რომელიც აიძულებს ღარიბებს მიეყიდონ მდიდრებს. სოციალ-დემოკრატია წარმომადგენელია მუშათა კლასისა არა მის დამოკიდებულებაში კაპიტალისტთა მხოლოდ ამა თუ იმ ჯგუფთან, არამედ მის დამო-

---

«რაბოჩეე დელოსა» და «რაბოჩაია მისლისა», ორივეს, სათანადო განყოფილებისათვის, ადვილად დაინახავდნენ, რომ ისინი ამ მხრივაც ჩამორჩებიან. ცხადია, ამ უბრალო ჭეშმარიტების შეგნება აიძულებს მათ მიმართონ ასეთ მოსაზრებებს, რომლებიც აშკარად მოწმობენ მათს დაბნევას. «ისკრას» — წერენ ისინი — «ნებით თუ უნებლიეთ (!) უხდება (!) ანვარიში გაუწიოს ცხოვრების მკაცრ მოთხოვნებს და მუშათა მოძრაობის შესახებ კორესპონდენციები მაინც (!!) მოათავსოს» («ორი ყრილობა», გვ. 27). აი ეს უკვე ნამდვილი ჩვენი მომხპობი არგუმენტია!

კიდებულებაში თანამედროვე საზოგადოების ყველა კლასთან, სახელმწიფოსთან, როგორც ორგანიზებულ პოლიტიკურ ძალასთან. აქედან გასაგებია, რომ სოციალ-დემოკრატები არამცთუ ვერ დასჯერდებიან ეკონომიურ ბრძოლას, არამედ ვერც კი იფიქრებენ, რომ ეკონომიურ მხილებათა ორგანიზაცია შეადგენდეს მათს უმთავრეს მუშაობას. ჩვენ აქტიურად უნდა შევუდგეთ მუშათა კლასის პოლიტიკურ აღზრდას, მისი პოლიტიკური შეგნების განვითარებას; ამაში ახლა, «ზარიას» და «ისკრის» პირველი იერიშის შემდეგ ეკონომიზმზე, «ყველა გვეთანხმება» (თუმცა ზოგიერთნი მხოლოდ სიტყვიერად, როგორც ამას ახლავე დავინახავთ).

[ებადება კითხვა: რაში უნდა მდგომარეობდეს პოლიტიკური აღზრდა? შეიძლება თუ არა დავკმაყოფილდეთ იმ იდეის პროპაგანდით, რომ მუშათა კლასი მტრულად არის განწყობილი თვითმპყრობელობისადმი? რა თქმა უნდა, არა. არ კმარა მუშების პოლიტიკური ჩაგვრის ახსნა (როგორც არ კმაროდა ახსნა მათთვის, რომ მათი ინტერესები ეწინააღმდეგება მეპატრონეთა ინტერესებს). აუცილებელია აგიტაციის გაწევა ამ ჩაგვრის ყოველი კონკრეტული გამოხატულების გამო (როგორც ვეწეოდით აგიტაციას ეკონომიური ჩაგვრის ყოველი კონკრეტული გამოხატულების გამო). ხოლო რადგან ამ ჩაგვრას განიცდის საზოგადოების სულ სხვადასხვა კლასი, რადგან ეს ჩაგვრა თავს იჩენს ცხოვრებისა და მუშაობის სრულიად სხვადასხვა დარგში: პროფესიულში, საერთო სამოქალაქოში, პირადში, ოჯახურში, რელიგიურში, მეცნიერულში და სხვ. და სხვ., ამიტომ განა აშკარა არ არის, რომ ჩვენ ვერ შევასრულებთ ჩვენს ამოცანას მუშების პოლიტიკური შეგნების განვითარების მხრივ, თუ არ ვიკისრებთ თვითმპყრობელობის ყოველმხრივი პოლიტიკური მხილების მოწყობას? ჩაგვრის კონკრეტული გამოხატულების გამო რომ აგიტაცია გავწიოთ, ამისთვის საჭიროა ამ გამოხატულებათა მხილება (ისევე როგორც საფაბრიკო ბოროტმოქმედებათა მხილება იყო საჭირო ეკონომიური აგიტაციის გასაწევად)?

თითქოს, ეს ნათელია. მაგრამ სწორედ აქ აღმოჩნდა, რომ პოლიტიკური შეგნების ყ ო ვ ე ლ მ ხ რ ი ვ განვითარების აუცილებელ საჭიროებას «ყველანი» ეთანხმებიან მხოლოდ სიტყვიერად. სწორედ აქ აღმოჩნდა, რომ, მაგალითად, «რაბოჩეე დელო» არამცთუ არ კისრულობდა ამოცანას — მოეწყო ყოველმხრივი პოლიტიკური მხილება (ან თაოსნობა გამოეჩინა მისი მოწყობისა), არამედ უ კ ა ნ ე წ ე ო დ ა «ისკრასაც», რომელმაც ხელი მოჰკიდა ამ ამოცანას, მოუსმინეთ: «მუშათა კლასის პოლიტიკური ბრძოლა არის მხოლოდ» (სწორედ არა მხოლოდ) «ყველაზე უფრო განვითარებული, ფართო და ნამდვილი ფორმა ეკონომიური ბრძოლისა» («რაბოჩეე დელოს» პროგრამა, «რაბოჩეე დელო» № 1, გვ. 3). «ამჟამად სოციალ-დემოკრატების წინაშე დგას ამოცანა — როგორ მისცენ, შეძლებისდაგვარად, თვით ეკონომიურ ბრძოლას პოლიტიკური ხასიათი» (მარტინოვი № 10-ში, გვ. 42). «ეკონომიური ბრძოლა არის ყველაზე უფრო ფართოდ გამოსაყენებელი საშუალება მასის ჩასაბმელად აქტიურ პოლიტიკურ ბრძოლაში» (კავშირის ყრილობის რეზოლუცია და «შესწორებანი»: «ორი ყრილობა», გვ. 11 და 17). ყველა ამ დებულებით გამსჭვალულია «რაბოჩეე დელო», როგორც მკითხველი ხედავს, მისი წარმოშობის დღიდან «რედაქციის» სულ უკანასკნელ «ინსტრუქციებამდე», და ყველა ესენი, ცხადია, გამოხატავენ ერთსა და იმავე შეხედულებას პოლიტიკურ აგიტაციასა და ბრძოლაზე. ახა ჩაუკვირდით ამ შეხედულებას ყველა ეკონომისტებს შორის გაბატონებული იმ შეხედულების თვალსაზრისით, რომ პოლიტიკური აგიტაცია უნდა მ ი ჰ ყ ვ ე ბ ო დ ე ს ეკონომიურსო. სწორეა თუ არა, ვითომც ეკონომიური ბრძოლა საერთოდ* «ყველაზე უფრო ფართოდ გამოსაყენებელი სა-

* ჩვენ ვამბობთ «საერთოდ», ვინაიდან «რაბოჩეე დელოში» ლაპარაკია სწორედ მთელი პარტიის საერთო პრინციპებსა და საერთო ამოცანებზე. უეჭველია, პრაქტიკაში არის ხოლმე ისეთი შემთხვევები, როცა პოლიტიკა მართლაც ეკონომიკას უ ნ დ ა მიჰყვებოდეს, — მაგრამ ამაზე ლაპარაკი რეზოლუციაში, რომელიც მთელ რუსეთს შეეხება, მხოლოდ ეკონომისტებს შეუძლიათ. ხომ არის ხოლმე ისეთი შემთხვევებიც, როცა «თავიდანვე»

შუალებაა» მასის ჩასაბმელად პოლიტიკურ ბრძოლაში? სრულიადაც არა. ასეთი «ჩაბმისათვის» ოდნავაც არანაკლებ «ფართოდ გამოსაყენებელი» საშუალებაა პოლიციური ჩაგვრისა და თვითმპყრობელური თარეშის ყ ვ ე ლ ა და ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი გამოვლინება და არა მხოლოდ ისეთი გამოვლინებანი, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიურ ბრძოლასთან: ერობის უფროსები და გლეხთა ფიზიკური დასჯა, მოხელეთა შეექრთამეობა და პოლიციელთა მოპყრობა ქალაქის «მდაბიო ხალხისადმი», დამშეულებთან ბრძოლა და სინათლისა და ცოდნისადმი ხალხის მისწრაფების ჩახშობა, გადასახადთა აკრეფა და სექტანტების დევნა, ჯარისკაცთა წვრთნა და სალდათური მოპყრობა სტუდენტებისა და ლიბერალური ინტელიგენციისადმი, — ყოველივე ეს და ათასი სხვა ამის მსგავსი გამოხატულება ჩაგვრისა, რაც უშუალოდ არ არის დაკავშირებული «ეკონომიურ» ბრძოლასთან, რატომ წარმოადგენს საერთოდ ნ ა კ ლ ე ბ ა დ «ფართოდ გამოსაყენებელ» საშუალებებსა და საბაბს პოლიტიკური აგიტაციისათვის, მასის ჩასაბმელად პოლიტიკურ ბრძოლაში? სწორედ პირიქით: ცხოვრების ისეთ შემთხვევათა საერთო ჯამში, როცა მუშა იტანჯება (თვითონ ან მისი ახლობელი ადამიანების გულისათვის) უუფლებობის, თვითნებობისა და ძალადობის გამო, — მხოლოდ პატარა-უმცირესობა შეადგენს, უეჭველია, პოლიციური ჩაგვრის ასეთ შემთხვევებს სწორედ პროფესიულ ბრძოლაში. მაშ რაღა საჭიროა პოლიტიკური აგიტაციის გაშლის წინასწარ შ ე კ ვ ე ც ა იმის გამოცხადებით, რომ «ყველაზე უფრო ფართოდ გამოსაყენებელია» მხოლოდ ე რ თ-ე რ თ ი საშუალება,

---

შ ე ი ძ ლ ე ბ ა პოლიტიკური აგიტაციის წარმოება «მხოლოდ ეკონომიურ ნიადაგზე», — და მიუხედავად ამისა «რაბოჩეე დელო» მაინც იმ დასკვნამდე მივიდა ბოლოს, რომ ეს «არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს» («ორი ყრილობა», გვ. 11). შემდეგ თავში ჩვენ ცხადვყოფთ, რომ «პოლიტიკოსებისა» და რევოლუციონერების ტაქტიკა არათუ არ უგულებელჰყოფს სოციალ-დემოკრატიის ტრედ-უნიონისტურ ამოცანებს, არამედ, პირიქით, მხოლოდ ის უ ზ რ უ ნ ვ ე ლ ჰ ყ ო ფ ს მათს თანმიმდევარ შესრულებას.

რომელთან ერთად სოციალ-დემოკრატისთვის უნდა იყოს სხვა, საერთოდ რომ ვთქვათ, არანაკლებ «ფართოდ გამოსაყენებელი» საშუალებანი?

ძველისძველად (ერთი წლის წინათ!..) «რაბ. დელო» წერდა: «უახლოესი პოლიტიკური მოთხოვნები გასაგები ხდებიან მასისთვის ერთი ან, უკიდურეს შემთხვევაში, რამდენიმე გაფიცვის შემდეგ», «როგორც კი მთავრობა აამოძრავებს პოლიციას და ჟანდარმერიას» (№ 7, გვ. 15, 1900 წლის ა ვ ვ ი ს ტ ო). სტადიების ეს ოპორტუნისტული თეორია ამჟამად უკვე უარყოფილია «კავშირის» მიერ, რომელიც გვითმობს, როცა აცხადებს: «არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს თავიდანვე მხოლოდ ეკონომიურ ნიადაგზე ვაწარმოოთ პოლიტიკური აგიტაცია» («ორი ყრილობა», გვ. 11). რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მომავალ ისტორიკოსს «კავშირის» მიერ თავის ძველ შეცდომათა ერთი ნაწილის მარტო ეს უარყოფა გაცილებით უკეთესად დაანახვებს, ვიდრე ყოველნაირი სხვა გრძელი მსჯელობა, თუ რა ზომამდე აქვეითებდნენ სოციალიზმს ჩვენი ეკონომისტები! მაგრამ რა გულუბრყვილობა იყო «კავშირის» მხრივ იმის წარმოდგენა, რომ პოლიტიკის შეკვეცის ერთი ფორმის ამ უარყოფის ფასით შეიძლებოდა ჩვენი დათანხმება პოლიტიკის შეკვეცის მეორე ფორმაზე! განა უფრო ლოგიკური არ იქნებოდა აქაც გვეთქვა, რომ ეკონომიური ბრძოლა რაც შეიძლება უფრო ფართოდ უნდა ვაწარმოოთ, რომ ის ყოველთვის უნდა გამოვიყენოთ პოლიტიკური აგიტაციისთვის, მაგრამ «არავითარი საჭიროება არ მოითხოვს» ეკონომიური ბრძოლა ჩავთვალოთ ყ ვ ე ლ ა ზ ე უ ფ რ ო ფართოდ გამოსაყენებელ საშუალებად მასის ჩასაბმელად აქტიურ პოლიტიკურ ბრძოლაში?

«კავშირი» მნიშვნელობას აძლევს იმას, რომ მან გამოთქმა «უკეთესი საშუალება», რომელიც ებრაელ მუშათა კავშირის (ბუნდის) მე-4 ყრილობის შესატყვის რეზოლუციაში იყო, შესცვალა გამოთქმით: «ყველაზე უფრო ფართოდ გამოსაყენებელი საშუალება». ჩვენ, მართალი გითხრათ, გაგვიჭირდებოდა გვეთქვა, რომელია ამ რეზოლუციებში უკეთესი: ჩვენი აზ-

რით, ორივე უარესია. კავშირიც და ბუნდიც აქ (რაოდენადმე, ‘ძვიძლება, შეუგნებლადაც, — ტრადიციის ზეგავლენით) პოლიტიკის ეკონომიური, ტრედ-უნიონისტური გაგების გზაზე დგებიან. საქმე, არსებითად, ოდნავაც არ იცვლება იმით, თუ რომელი სიტყვა გამოხატავს ამას: «უკეთესი» თუ «ყველაზე უფრო ფართოდ გამოსაყენებელი». «კავშირს» რომ ეთქვა: «პოლიტიკური აგიტაცია ეკონომიურ ნიადაგზე» ისეთი საშუალებაა, რომელსაც ყველაზე უფრო ფართოდ იყენებენო (და არა «გამოსაყენებელიაო»), ის მართალი იქნებოდა გარკვეული პერიოდის მიმართ ჩვენი სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის განვითარებაში. სახელდობრ ის მართალი იქნებოდა ეკონომისტების მიმართ, 1898—1901 წლების მრავალი პრაქტიკოსის მიმართ (თუ მათი უმრავლესობის მიმართ არა), ვინაიდან ეს პრაქტიკოს-ეკონომისტები, მართლაც, პოლიტიკურ აგიტაციას იყენებდნენ (საერთოდ რამდენადაც ისინი იყენებდნენ მას!) თითქმის მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიურ ნიადაგზე. ასეთ პოლიტიკურ აგიტაციას ცნობდნენ და გვირჩევდნენ კიდევაც, როგორც დავინახეთ, «რაბოჩაია მისლიც» და «თვითგანთავისუფლების ჯგუფიც»! «რაბოჩეე დელოს» გადაჭრით უნდა დაეგმო ის, რომ ეკონომიური აგიტაციის სასარგებლო საქმეს თან ახლდა პოლიტიკური ბრძოლის მავნე შეკვეცა, ის კი ამის ნაცვლად იმ საშუალებას, რომელსაც ყველაზე უფრო ფართოდ იყენებენ (ეკონომისტები), — ყველაზე უფრო ფართოდ გამოსაყენებელ საშუალებად აცხადებს! რაღა გასაკვირველია, რომ, როცა ჩვენ ამ ადამიანებს ეკონომისტებს ვუწოდებთ, მათ მხოლოდ ისღა დარჩენიათ, რომ მოგვდგნენ და გვლანძღონ: «მისტიფიკატორები», «დეზორგანიზატორები», «პაპის ნუნციები», «ცილისმწამებელნი» * გვიწოდონ, ყველას და თვითეულს შესჩივლონ — საშინელი შეურაცხყოფა მოგვაყენესო, მზად არიან

* ნამდვილი სიტყვები ბროშურისა: «ორი ყრილობა», გვ. 31, 32, 28 და 30.

დაიფიცონ: «ეკონომიზმში ახლა არც ერთ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას სრულიად არავითარი ბრალი არ მიუძღვისო *. ოჰ, ეს ცილისმწამებელები, რა ბოროტი პოლიტიკოსები არიან! განგებ ხომ არ გამოიგონეს მათ მთელი ეს ეკონომიზმი, რომ მარტოოდენ თავისი კაცთმოძულეობის გამო ბრალეულონ ადამიანს საშინელი შეურაცხყოფა?

რა კონკრეტული, რეალური აზრი აქვს მარტინოვის მიერ სოციალ-დემოკრატიის წინაშე იმ ამოცანის დაყენებას, რომ «თვით ეკონომიურ ბრძოლას პოლიტიკური ხასიათი მისცენ»? ეკონომიური ბრძოლა არის მუშების კოლექტიური ბრძოლა მეპატრონეებთან ს ა მ უ შ ა ო ძ ა ლ ი ს ხელსაყრელ პირობებში გ ა ყ ი დ ვ ი ს ა თ ვ ი ს, მუშების შრომისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. ეს ბრძოლა აუცილებლობის გამო პროფესიულ ბრძოლას წარმოადგენს, იმიტომ რომ შრომის პირობები უაღრესად სხვადასხვანაირია სხვადასხვა პროფესიაში და, მაშასადამე, ამ პირობების გ ა უ მ ჯ ო ბ ე ს ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ბრძოლაც არ შეიძლება არ წარმოებდეს პროფესიების მიხედვით (პროფესიული კავშირების მიერ დასავლეთში, პროფესიულ დროებით გაერთიანებათა მიერ და ფურცლებით რუსეთში და სხვ.). მაშასადამე, «თვით ეკონომიური ბრძოლისთვის პოლიტიკური ხასიათის» მიცემა იმას ნიშნავს, რომ ეცადო იმავე პროფესიული მოთხოვნების განხორციელებას, შრომის პირობების იმავე პროფესიულ გაუმჯობესებას «საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ღონისძიებათა» საშუალებით (როგორც ამბობს მარტინოვი თავისი სტატიის შემდგომს, 43, გვერდზე). სწორედ ასე იქცევა და მუდამ ასე იქცეოდა ყველა პროფესიული მუშათა კავშირი. ჩაიხედეთ საფუძვლიან მეცნიერთა (და «საფუძვლიან» ოპორტუნისტთა) ცოლ-ქმარ ვებების თხზულებაში, და თქვენ დაინახავთ, რომ ინგლისის მუშათა კავშირებმა უკვე დიდი ხანია შეიგნეს და ახორციელებენ კიდევაც ამოცანას — «თვით ეკონომიურ ბრძოლას მისცენ პოლიტიკური ხასიათი»,

* «ორი ყრილობა», გვ. 32.

დიდი ხანია იბრძვიან გაფიცვის თავისუფლებისათვის, ყველა და ყოველგვარი იურიდიული დაბრკოლების მოსპობისათვის კოოპერაციული და პროფესიული მოძრაობის გზაზე, ქალთა და ბავშვთა დაცვის კანონების გამოცემისათვის, შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის სანიტარული და საფაბრიკო კანონმდებლობის საშუალებით და სხვ.

ამრიგად, მაღალფარდოვან ფრაზაში: «პოლიტიკური ხასიათი თვით ეკონომიურ ბრძოლას უნდა მიეცესო», რომელიც «საშინლად» ღრმააზროვნად და რევოლუციურად მოისმის, იმალება, არსებითად, ტრადიციული მისწრაფება სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკის ჩამოქვეითებისა ტრედ-უნიონისტურ პოლიტიკამდე! «ისკრის» ცალმხრივობის გასწორების სახით, «ისკრისა», რომელიც — თურმე ნუ იტყვით — «დოგმის გარევოლუციურებას ცხოვრების გარევოლუციურებაზე უფრო მაღლა» * აყენებს, ჩვენ გვთავაზობენ, როგორც რაღაც ახალ რამეს — ბრძოლას ეკონომიური რეფორმებისათვის. მართლაც, ეკონომიური რეფორმებისათვის ბრძოლის მეტი სრულიად არავითარი შინაარსი არ მოიპოვება ფრაზაში: «თვით ეკონომიურ ბრძოლას უნდა მიეცეს პოლიტიკური ხასიათი». და მარტინოვს თვითონაც შეეძლო მოესაზრებინა ეს უბრალო დასკვნა, კარგად რომ ჩაკვირვებოდა თავისი საკუთარი სიტყვების მნიშვნელობას. «ჩვენს პარტიას, — ამბობს ის, როცა «ისკრის» წინააღმდეგ თავისი ყველაზე უფრო მძიმე იარაღი გამოაქვს, — შეეძლო და უნდა წარედგინა კიდეც მთავრობისათვის საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ღონისძიებათა კონკრეტული მოთხოვნები ეკონომიური ექსპლოატაციის წინააღმდეგ, უმუშევრობის,

* «რაბოჩეე დელო», № 10, გვ. 60. ეს არის მარტინოვის ვარიანტი ჩვენი მოძრაობის თანამედროვე, ქაოსური მდგომარეობის მიმართ იმ თეზისის გამოყენებისა, რომელიც ამბობს: «ნამდვილი მოძრაობის თვითეული ნაბიჯი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ათეული პროგრამაო» და რომელიც ჩვენ უკვე ზემოთ დავახასიათეთ. არსებითად ეს მხოლოდ თარგმანია ბერნშტეინის ყბადაღებული ფრაზისა: «მოძრაობა — ყველაფერია, საბოლოო მიზანი — არაფერი».

შიმშილობის წინააღმდეგ და სხვ.» (გვ. 42—43 «რაბოჩეე დელოს» № 10-ში). ღონისძიებათა კონკრეტული მოთხოვნები — განა ეს სოციალური რეფორმების მოთხოვნა არ არის? და ჩვენ ერთხელ კიდევ ვეკითხებით მიუდგომელ მკითხველებს, განა ჩვენ ცილს ვწამებთ რაბოჩეედელოელებს (მაპატიეთ ეს უშნო გაცვეთილი სიტყვა!), მათ რომ ფარულ ბერნშტეინელებს ვუწოდებთ, როცა ისინი სახავენ თავის უთანხმოებად «ისკრასთან» თეზისს ეკონომიური რეფორმებისათვის ბრძოლის აუცილებლობის შესახებ?

(რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას თავის საქმიანობაში მუდამ შეჰქონდა და შეაქვს ბრძოლა რეფორმებისათვის.) მაგრამ «ეკონომიური» აგიტაციით ის სარგებლობს იმისათვის, რომ მთავრობას წაუყენოს არა მარტო ყოველგვარ ღონისძიებათა მოთხოვნები, არამედ აგრეთვე (და უწინარეს ყოვლისა) მოთხოვნები, რომ შესწყვიტოს თვითმპყრობელ მთავრობად ყოფნა. გარდა ამისა, (მას) თავის მოვალეობად მიაჩნია წარუდგინოს მთავრობას ეს მოთხოვნა არა მარტო ეკონომიური ბრძოლის ნიადაგზე, არამედ საერთოდ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყოველგვარ გამოვლინებათა ნიადაგზეც. ერთი სიტყვით, რეფორმებისთვის ბრძოლას ის უქვემდებარებს, როგორც ნაწილს—მთელს, რევოლუციურ ბრძოლას თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის.) მარტინოვი კი სხვა ფორმით აღადგენს სტადიების თეორიას, ცდილობს დააწესოს უსათუოდ ეკონომიური, ასე ვთქვათ, გზა პოლიტიკური ბრძოლის განვითარებისა. როცა მარტინოვი რევოლუციური აღმავლობის მომენტში რეფორმებისათვის ბრძოლის ვითომდა განსაკუთრებული «ამოცანით» გამოდის, ის ამით პარტიას უკან ეწევა და «ეკონომიურ» და ლიბერალურ ოპორტუნიზმს უწყობს ხელს.

შემდეგ, მარტინოვმა რეფორმებისათვის ბრძოლა მორცხვად დამალა მაღალფარდოვანი თეზისით: «პოლიტიკური ხასიათი თვით ეკონომიურ ბრძოლას უნდა მიეცესო» და წამოაყენა, როგორც განსაკუთრებული რამ, მარტოოდენ ეკონო-

მ ი უ რ ი (კიდევ უარესი: მარტოოდენ საფაბრიკო) რ ე ფ ო რ მ ე ბ ი. რატომ ჩაიდინა მან ეს, ჩვენ არ ვიცით. შეიძლება — უყურადღებობით? მაგრამ მას რომ მხედველობაში ჰქონოდა არა მარტო «საფაბრიკო» რეფორმები, მაშინ მთელი მისი თეზისი, აი, ახლა რომ მოვიყვანეთ, ყოველგვარ აზრს დაკარგავდა. შეიძლება, იმიტომ, რომ მას მთავრობის მხრივ შესაძლებლად და მოსალოდნელად მიაჩნია «დათმობანი» მხოლოდ ეკონომიურ დარგში? * თუ ჰო, მაშინ ეს უცნაური შეცდომაა: დათმობანი შესაძლებელია და არის ხოლმე როზგის, პასპორტების, გამოსასყიდ გადასახდელთა, სექტანტობის, ცენზურის და სხვათა და სხვათა შესახებ საკანონმდებლო დარგშიც. «ეკონომიური» დათმობანი (ანუ ცრუ-დათმობანი) მთავრობის მხრივ, რასაკვირველია, ყველაზე უფრო იაფი და ყველაზე უფრო ხელსაყრელიცაა, ვინაიდან მთავრობას იმედი აქვს, რომ ამით მუშათა მასების ნდობას მოიპოვებს. მაგრამ ჩვენ, სოციალ-დემოკრატებმა, სწორედ ამიტომაც არამცდაარამც და აბსოლუტურად არაფრით ა რ უ ნ დ ა მივცეთ გასავალი ისეთ შეხედულებას (ან გაუგებრობას), თითქოს ჩვენთვის უფრო ძვირფასია ეკონომიური რეფორმები, თითქოს ჩვენ სწორედ ასეთ დათმობებს ვანიჭებთ განსაკუთრებულ მნიშვნელობას და სხვა. «ასეთი მოთხოვნები — ამბობს მარტინოვი მის მიერ ზემოთ წამოყენებულ კონკრეტულ საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ღონისძიებათა მოთხოვნის შესახებ — არ იქნებოდა ცარიელი სიტყვები, იმიტომ რომ, გარკვეული ხელშესახები შედეგების დაპირებისას, ამ მოთხოვნებს აქტიურად მხარს დაუჭერდნენ მუშათა მასები»... ჩვენ ეკონომისტები არა ვართ, არა! ჩვენ მხოლოდ ისევე მონურად ქედს ვიხრით კონკრეტული შედეგების «ხელშესახებლობის» წინაშე, როგორც ბატონი ბერნშტეინე-

* გვ. 43: «რა თქმა უნდა, თუ ჩვენ ვურჩევთ მუშებს — გარკვეული ეკონომიური მოთხოვნები წარუდგინონ მთავრობას, ამას ჩვენ იმიტომ ვჩადიავართ, რომ ე კ ო ნ ო მ ი უ რ სფეროში თვითმპყრობელი მთავრობა იძულებულია ზოგი რამ დათმოს».

ბი, პროკოპოვიჩები, სტრუვეები, რ. მ. და tutti quanti! * ჩვენ (ნარცის ტუპორილოვთან ერთად) მხოლოდ ის გვინდა ვთქვათ, რომ ყველაფერი, რაც «ხელშესახებ შედეგებს არ გვიქადის», «ცარიელი სიტყვაა»! ჩვენ მხოლოდ ვლაპარაკობთ ისე, თითქოს მუშათა მასას არ შესწევს უნარი (და არ დაამტკიცა უკვე იმათ წინააღმდეგ, ვინც მას თავს ახვევს თავის ფილისტერობას, თავის უნარს) აქტიურად დაუჭიროს მხარი ყოველგვარ პროტესტს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, თუნდაც ეს პროტესტი მას აბსოლუტურად არავითარ ხელშესახებ შედეგებს არ უქადდეს!

აიღეთ თუნდაც იგივე, თვით მარტინოვის მიერ მოყვანილი, ძაგალითები უმუშევრობისა და შიმშილობის წინააღმდეგ მიმართულ «ღონისძიებათა» შესახებ. მაშინ როდესაც «რაბ. დელო», მისი დაპირების მიხედვით თუ განვსჯით, ეწევა «საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ღონისძიებათა ისეთი კონკრეტული მოთხოვნების» (კანონპროექტების ფორმით?) გამომუშავებას და დამუშავებას, რომლებიც «ხელშესახებ შედეგებს გვიქადის», — ამ დროს «ისკრა», «რომელიც დოგმის გარეგოლუციურებას მუდამ უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე ცხოვრების გარეგოლუციურებას», ცდილობდა აეხსნა უმუშევრობის განუყრელი კავშირი მთელ კაპიტალისტურ წყობილებასთან, გვაფრთხილებდა — «შიმშილი მოდისო», ამხელდა პოლიციის «ბრძოლას დამშეულებთან» და აღმაშფოთებელ «დროებით-კატორღულ წესებს», ამ დროს «ზარია» უშვებდა, ცალკე ამონაბეჭდის სახით, როგორც სააგიტაციო ბროშურას, შიმშილობისადმი მიძღვნილ «შინაური მიმოხილვის» ნაწილს **. მაგრამ, ღმერთო ჩემო, რა «ცალმხრივნი» იყვნენ ამ დროს გაუსწორებლად ვიწრო ორთოდოქსები, «თვით ცხოვრების» ბრძანებათა მიმართ ყრუ დოგმატიკოსები! არც ერთ მათ სტატიაში არ მოიძებნებოდა — ჰოი საში-

* — და მსგავსნი მათნი. რ ე დ.

** იხ. ეს ტომი, გვ. 313 — 339. რ ე დ.

ნელებავ! — ა რ ც ე რ თ ი, აბა შეგიძლიათ წარმოიდგინოთ: არც ერთი «კონკრეტული მოთხოვნა», «რომელიც ხელშესახებ შედეგებს გვიქადდა»! საბრალო დოგმატიკოსები! კრიჩევსკებსა და მარტინოვებს უნდა მივაბაროთ ისინი სასწავლებლად და იმაში დასარწმუნებლად, რომ ტაქტიკა არის პროცესი ზრდისა, მზარდისა და სხვ., და რომ **თვით** ეკონომიურ ბრძოლას უნდა მიეცეს პოლიტიკური ხასიათი!

«მუშების ეკონომიურ ბრძოლას მეპატრონეებსა და მთავრობასთან («ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი ბრძოლა მთავრობასთან»!!), გარდა უშუალო რევოლუციური მნიშვნელობისა, კიდევ ის მნიშვნელობა აქვს, რომ ის მუდამ აყენებს მუშების წინაშე მათი პოლიტიკური უუფლებობის საკითხს» (მარტინოვი, გვ. 44). ჩვენ იმისთვის კი არ ამოგვიწერია ეს ციტატი, რომ მეასედ და მეათასედ გავიმეოროთ უკვე ზემოთ ნათქვამი, არამედ იმისათვის, რომ განსაკუთრებით გადავუხადოთ მადლობა მარტინოვს ამ ახალი და საუცხოო ფორმულირებისათვის: «მუშების ეკონომიური ბრძოლა მეპატრონეებთან და მთავრობასთან». რა მშვენიერებაა! როგორი შეუდარებელი ნიჭით, ეკონომისტთა შორის ყველა კერძო უთანხმოებათა და ელფერის განსხვავებათა რა ოსტატური ელიმინირებით * არის აქ გამოხატული მოკლე და ნათელ დებულებაში ეკონომიზმის მ თ ე ლ ი ა რ ს ი, დაწყებული მუშების მოწოდებით «პოლიტიკური ბრძოლისაკენ, რომელსაც ისინი ეწევიან საერთო ინტერესებისათვის, რითაც გულისხმობენ ყველა მუშის მდგომარეობის გაუმჯობესებას» **, გაგრძელებული სტადიების თეორიით და გათავებული ყრილობის რეზოლუციით «ყველაზე უფრო ფართოდ გამოსაყენებლობის» შესახებ და სხვ. «ეკონომიური ბრძოლა მთავრობასთან» წარმოადგენს სწორედ ტრედ-უნიონისტურ პოლიტიკას, რომლიდანაც სოციალ-დემოკრატიულ პოლიტიკამდე კიდევ ძალიან, ძალიან დიდი მანძილია.

---

* — უკუგდებით. რ ე დ.

** «რაბოჩაია მისლი», «ცალკე დამატება», გვ. 14.

ბ) ამბავი იმისა, თუ როგორ გააღრმავა მარტინოვმა პლეხანოვი

«რა ბლომად გამოჩნდნენ ჩვენში ამ ბოლო დროს სოციალ-დემოკრატიული ლომონოსოვები!» — თქვა ერთხელ ერთმა ამხანაგმა, რომელსაც მხედველობაში ჰქონდა ეკონომიზმისაკენ გადახრილი ბევრი ამხანაგის განსაცვიფრებელი მიდრეკილება — აუცილებლად «საკუთარი ჭკუით» მისულიყვნენ დიდ ჭეშმარიტებამდე (მსგავსად იმისა, რომ ეკონომიური ბრძოლა მუშებს აჯახებს უუფლებობის საკითხს), და თან უგულებელეყოთ, გენიალური ბუნებრივი ნიჭის საუცხოო ქედმაღლობით, ყოველივე ის, რაც უკვე მოუცია რევოლუციური აზრისა და რევოლუციური მოძრაობის ადრინდელ განვითარებას. სწორედ ასეთ ბუნებრივ ნიჭს წარმოადგენს ლომონოსოვ-მარტინოვი. ჩაიხედეთ მის სტატიაში: «მორიგი საკითხები» და დაინახავთ, როგორ უ ა ხ ლ ო ვ დ ე ბ ა ის «საკუთარი ჭკუით» იშას, რაც უკვე დიდი ხანია ნათქვამი აქვს აქსელროდს (რომლის შესახებ ჩვენი ლომონოსოვი, რალა თქმა უნდა, კრინტს არა სძრავს), როგორ ი წ ყ ე ბ ს, მაგალითად, იმის შეგნებას, რომ ჩვენ არ შეგვიძლია .უგულებელვყოთ ბურჟუაზიის ამა თუ იმ ფენების ოპოზიციურობა («რაბ. დელო» № 9, გვ. 61, 62, 71 — შეადარე «რაბ. დელოს» რედაქციის «პასუხს» აქსელროდის მიმართ, გვ. 22, 23 — 24) და სხვ. მაგრამ, — ვაი რომ მხოლოდ «უახლოვდება» და მხოლოდ «იწყებს» და მეტი არაფერი, ვინაიდან აქსელროდის აზრები მან ჯერ მაინც იმ ზომამდე ვერ გაიგო, რომ ლაპარაკობს «მეპატრონეებთან და მთავრობასთან ეკონომიურ ბრძოლაზე». სამი წლის განმავლობაში (1898 — 1901) «რაბ. დელო» ძალას იკრებდა აქსელროდის გასაგებად, და — და მაინც ვერ გაიგო! შეიძლება, ესეც იმიტომ ხდება, რომ სოციალ-დემოკრატია, «მსგავსად კაცობრიობისა», მუდამ მხოლოდ ისეთ ამოცანებს ისახავს, რომელთა განხორციელებაც შესაძლებელია?

მაგრამ ლომონოსოვები განირჩევიან არა მხოლოდ იმით, რომ მათ ბევრი რამ არ იციან (ეს კიდევ არ იქნებოდა დიდი უბედურება!), არაძედ აგრეთვე იმითაც, რომ ისინი ვერ გრძნობენ თავიანთ უმეცრებას. ეს უკვე ნამდვილი უბედურებაა, და ეს უბედურება აგულიანებს მათ ერთბაშად ხელი მიჰყონ პლეხანოვის «გაღრმავებას».

«მას შემდეგ, რაც პლეხანოვმა ხსენებული წიგნი დაწერა («სოციალისტების ამოცანები რუსეთის შიმშილობასთან ბრძოლაში»), ბევრმა წყალმა ჩაიარა, — მოგვითხრობს ლომონოსოვ-მარტინოვი. — «სოციალ-დემოკრატებს, რომლებიც ათი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდნენ მუშათა კლასის ეკონომიურ ბრძოლას... ჯერ კიდევ არ მოუციათ პარტიული ტაქტიკის ფართო თეორიული დასაბუთება. ახლა ეს საკითხი მომწიფდა, და, ჩვენ რომ მოვინდომოთ ასეთი თეორიული დასაბუთების მოცემა, — აუცილებლად მოგვიხდებოდა მნიშვნელოვნად გაგვეღრმავებინა ტაქტიკის ის პრინციპები, რომელთაც ოდესღაც პლეხანოვი ავითარებდა... ჩვენ ახლა მოგვიხდებოდა პროპაგანდასა და აგიტაციას შორის არსებული განსხვავების სხვანაირად განსაზღვრა, ვიდრე ეს პლეხანოვმა გააკეთა» (მარტინოვმა ეს-იყო მოიყვანა პლეხანოვის სიტყვები: «პროპაგანდისტი მრავალ იდეას აძლევს ერთს ან რამდენსამე პირს, ხოლო აგიტატორი მხოლოდ ერთს ან მხოლოდ რამდენიმე იდეას აძლევს, მაგრამ სამაგიეროდ ამ იდეებს ის აძლევს ბევრ პირთ»). «პროპაგანდა უნდა გვესმოდეს როგორც მთელი ახლანდელი წყობილების ან მის ნაწილობრივ გამოვლინებათა რევოლუციური გაშუქება, სულ ერთია, — რა ფორმითაც უნდა ხდებოდეს ეს: ერთეულებისთვის გასაგები, თუ ფართო მასისთვის გასაგები ფორმით. აგიტაცია, ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით (sic!), უნდა გვესმოდეს როგორც მასებისადმი მოწოდება გარკვეული კონკრეტული მოქმედებისათვის, საზოგადოებრივ ცხოვრებაში პროლეტარიატის უშუალო რევოლუციური ჩარევის ხელის შეწყობა».

მივულოცავთ რუსეთის — და აგრეთვე საერთაშორისო — სოციალ-დემოკრატიას ახალ, მარტინოვისეულ, ტერმინოლოგიას, უფრო ზუსტსა და უფრო ღრმას. დღემდე ჩვენ ვფიქრობდით (პლეხანოვთან და აგრეთვე საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ყველა მეთაურთან ერთად), რომ პროპაგანდისტმა, თუ ის ეხება, მაგ., უმუშევრობის იმავე საკითხს, უნდა განმარტოს კრიზისების კაპიტალისტური ბუნება, ცხადჰყოს მათი გარდუვალობის მიზეზი თანამედროვე საზოგადოებაში,

დაასურათოს აუცილებლობა ამ საზოგადოების გარდაქმნისა სოციალისტურ საზოგადოებად და სხვ. ერთი სიტყვით, მან უნდა მოგვცეს «ბევრი იდეა», იმდენად ბევრი, რომ ერთბაშად ყველა ამ იდეის ერთად შეთვისება შესაძლო იქნება მხოლოდ (შედარებით) მცირეოდენ პირთათვის. აგიტატორი კი, როცა იმავე საკითხზე ლაპარაკობს, აიღებს ისეთ მაგალითს, რომელიც ყველაზე უკეთ იციან მისმა მსმენელებმა და ყველაზე უფრო საყურადღებოა, — ვთქვათ, შიმშილით სიკვდილი უმუშევრის ოჯახში, მათხოვრობის გაძლიერება და სხვ. — და მთელ თავის ძალღონეს მოანდომებს იმას, რომ ამ ყველასა და თვითეულისათვის ნაცნობი ფაქტის გამოყენებით მთელ «მასას» ერთი იდეა ჩაუნერგოს: იდეა იმ წინააღმდეგობის უაზრობისა, რომელიც არსებობს სიმდიდრის ზრდასა და სიღატაკის ზრდას შორის, შეეცდება აღძრას მასაში უკმაყოფილება და გულისწყრომა ამ აღმაშფოთებელი უსამართლობის გამო, ხოლო ამ წინააღმდეგობის დაწვრილებითს ახსნას მიანდობს პროპაგანდისტს. ამიტომ პროპაგანდისტი უმთავრესად მოქმედებს ბეჭდვითი სიტყვით, აგიტატორი — ცოცხალი სიტყვით. პროპაგანდისტს მოეთხოვება სხვა თვისებანი, ვიდრე აგიტატორს. კაუტსკისა და ლაფარგს, მაგალითად, პროპაგანდისტებს ვუწოდებთ, ბებელსა და გედს — აგიტატორებს. ხოლო პრაქტიკული მუშაობის მესამე დარგის ან მესამე ფუნქციის გამოყოფა და ამ ფუნქციისთვის «მასების გარკვეული კონკრეტული მოქმედებისაკენ მოწოდების» მიკუთვნება — უდიდესი შეუსაბამობაა, ვინაიდან «მოწოდება», როგორც ერთეული აქტი, ან ბუნებრივად და აუცილებლად დაერთვის თეორიულ ტრაქტატსაც, პროპაგანდისტულ ბროშურასაც და სააგიტაციო სიტყვასაც, ან წმინდა აღმასრულებელ ფუნქციას შეადგენს. მართლაც, აიღეთ, მაგალითად, გერმანელი სოციალ-დემოკრატების ახლანდელი ბრძოლა პურის ბაჟების წინააღმდეგ. თეორეტიკოსები წერენ გამოკვლევებს საბაჟო პოლიტიკის შესახებ და, ვთქვათ, «მოუწოდებენ» იბრძოლონ სავაჭრო ხელშეკრულებებისა და ვაჭრობის თავისუფლებისათვის; ამასვე სჩადის

პროპაგანდისტი ჟურნალში, აგიტატორი — საჯარო სიტყვებში. მასის «კონკრეტული მოქმედება» — ამ შემთხვევაში იქნება ხელის მოწერა რაიხსტაგისადმი წარსადგენ პეტიციებზე პურის ბაჟების გადიდების წინააღმდეგ. მოწოდება ასეთი მოქმედებისაკენ გამომდინარეობს არაპირდაპირ თეორეტიკოსებისაგან, პროპაგანდისტებისა და აგიტატორებისაგან, ხოლო უშუალოდ — იმ მუშებისაგან, რომლებიც დაატარებენ ფაბრიკა-ქარხნებში და კერძო ბინებზე ხელმოსაწერ ფურცლებს. «მარტინოვის ტერმინოლოგიით» გამოდის, რომ კაუტსკი და ბებელი — ორივენი პროპაგანდისტები არიან, ხოლო ხელმოსაწერი ფურცლების დამტარებელნი — აგიტატორები, ასეა, არა?

გერმანელთა მაგალითმა მომაგონა გერმანული სიტყვა Verballhornung-ი, რუსულად სიტყვასიტყვით: **обалгорнивание** (გაბალჰორნება). ივანე ბალჰორნი ლაიფციგელი გამომცემელი იყო XVI საუკუნეში; მან გამოსცა ანბანი და შიგ ჩაურთო, ჩვეულებისამებრ, სურათიც, რომელიც მამალს გამოხატავდა; მაგრამ დეზებიანი ჩვეულებრივი მამლის ნაცვლად დახატა უდეზო მამალი, ამასთან ერთი წყვილი კვერცხიც დახატა მის ახლოს. ანბანის გარეკანზე კი დააწერა: «შ ე ს წ ო რ ე ბ უ ლ ი გამოცემა ივანე ბალჰორნისა». აი მას შემდეგ გერმანელები ამბობენ Verballhornung ისეთი «შესწორების» შესახებ, რომელიც სინამდვილეში გაუარესებას წარმოადგენს. და უნებლიეთ გაგონდება ბალჰორნი, როცა ხედავ, როგორ «აღრმავებენ» მარტინოვები პლეხანოვს...

რისთვის «გამოიგონა» ჩვენმა ლომონოსოვმა ეს აბდაუბდა? იმის საილუსტრაციოდ, რომ «ისკრა» «ყურადღებას აქცევს საქმის მხოლოდ ერთ მხარეს, ისევე, როგორც ამას პლეხანოვი შვრებოდა ჯერ კიდევ 15 წლის წინათ» (გვ. 39). ««ისკრაში», ყოველ შემთხვევაში ამჟამად, პროპაგანდის ამოცანები უკანა ადგილზე აყენებს აგიტაციის ამოცანებს» (გვ. 52). თუ ამ უკანასკნელ დებულებას მარტინოვის ენიდან საერთოსაკაცობრიო ენაზე გადავიტანთ (ვინაიდან კაცობრიობას ჯერ კიდევ ვერ მოუსწრია ახლად აღმოჩენილი ტერმინოლოგიის

მიღება), მივიღებთ შემდეგს: «ისკრაში» პოლიტიკური პროპაგანდის და პოლიტიკური აგიტაციის ამოცანები უკანა ადგილზე აყენებს ამოცანას, რომ «მთავრობას წარედგინოს საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ღონისძიებათა კონკრეტული მოთხოვნები», «რომლებიც განსაზღვრულ ხელშესახებ შედეგებს გვიქადიან» (ან სოციალურ რეფორმათა მოთხოვნები, თუ შეიძლება ნება მივცეთ ჩვენს თავს ერთხელ კიდევ მაინც ვიხმაროთ ძველი ტერმინოლოგია ძველი კაცობრიობისა, რომელიც ჯერ კიდევ ვერ ამაღლებულა მარტინოვამდე). მკითხველს ვთხოვთ შეადაროს ამ თეზისს შემდეგი ტირადა:

«ამ პროგრამებში» (რევოლუციური სოციალ-დემოკრატების პროგრამებში) «ჩვენ გვაოცებს მათ მიერ მუდმივ პირველ ადგილზე წამოყენება (ჩვენში არარსებულ) პარლამენტში მუშების მოღვაწეობის უპირატესობისა, მაშინ როცა ეს პროგრამები (მათი რევოლუციური ნიჰილიზმის წყალობით) სრულიად უგულებელყოფენ მუშების მონაწილეობის მნიშვნელობას ჩვენში არსებულ საფაბრიკო საქმეების მეფაბრიკეთა საკანონმდებლო კრებებში... ან თუნდაც მუშათა მონაწილეობას ქალაქის თვითმმართველობაში...»

ამ ტირადის ავტორი ცოტათი უფრო პირდაპირ, უფრო ნათლად და უფრო დაუფარავად გამოხატავს იმავე აზრს, რომელსაც მისწვდა თავისი საკუთარი ჭკუით ლომონოსოვ-მარტინოვი. ეს ავტორი კი არის რ. მ. «რაბოჩაია მისლის» ცალკე დამატებაში (გვ. 15).

1/ბ) პოლიტიკური მხილებანი და «რევოლუციური აქტიურობის აღზრდა»

როცა მარტინოვმა «ისკრის» წინააღმდეგ წამოაყენა თავისი «თეორია» «მუშათა მასის აქტიურობის ამაღლებისა», ამით სინამდვილეში გამოიჩინა მისწრაფება ამ აქტიურობის დ ა მ ც ი რ ე ბ ი ს ა, ვინაიდან მან ამ აქტიურობის გამოფხიზლების უპირატეს, განსაკუთრებით მნიშვნელოვან, «ყველაზე უფრო ფართოდ გამოსაყენებელ» საშუალებად და მის ასპარეზად გამოაცხადა იგივე ეკონომიური ბრძოლა, რომლის წინაშე ქვემძრომობდა აგრეთვე ყველა ეკონომისტი. სწორედ იმიტომ არის დამახასიათებელი ეს შეცდომა, რომ ის შეად-

გენს სრულიადაც არა მხოლოდ მარტინოვის თვისებას. ნამდვილად კი «მუშათა მასის აქტიურობის ამაღლება» შეიძლება მიღწეულ იქნას მ ხ ო ლ ო დ იმ პირობით, თუ ჩვენ ა რ დ ა ვ ჯ ე რ დ ე ბ ი თ «ეკონომიურ ნიადაგზე პოლიტიკურ აგიტაციას». ხოლო პოლიტიკური აგიტაციის აუცილებელი გაფართოების ერთ-ერთ ძირითად პირობას წარმოადგენს ყ ო ვ ე ლ მ ხ რ ი ვ პოლიტიკურ მხილებათა ორგანიზაცია. თუ ამ მხილებათა საშუალებით არა, სხვაფრივ მასების პოლიტიკური შეგნებისა და რევოლუციური აქტიურობის აღზრდა შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა. ამიტომ ამგვარი მუშაობა შეადგენს მთელი საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას, ვინაიდან პოლიტიკური თავისუფლება ოდნავადაც არ სპობს, არამედ მხოლოდ რაოდენადმე სცვლის ამ მხილებათა მიმართულების სფეროს. მაგალითად, გერმანიის პარტია განსაკუთრებით ამაგრებს თავის პოზიციებს და აფართოებს თავის გავლენას სწორედ თავისი პოლიტიკური ბამხილებელი კამპანიის შეუსუსტებელი ენერგიის წყალობით. მუშათა კლასის შეგნება არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტად პოლიტიკური შეგნება, თუ მუშები არ არიან შეჩვეული თვითნებობისა და ჩაგვრის, ძალმომრეობისა და ბოროტმოქმედების ყ ვ ე ლ ა დ ა ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ შემთხვევაზე გამოხმაურებას, რ ო მ ე ლ კ ლ ა ს ე ბ ს ა ც უნდა ეხებოდეს ეს შემთხვევები; — და თანაც გამოხმაურებას სწორედ სოციალ-დემოკრატიული და არა სხვა რომელიმე თვალსაზრისით. მუშათა მასების შეგნება არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტად კლასობრივი შეგნება, თუ მუშებმა კონკრეტული და თან აუცილებლად საჭირბოროტო (აქტუალური) პოლიტიკური ფაქტებითა და ამბებით არ ისწავლეს თ ვ ი თ ე უ ლ ი სხვა საზოგადოებრივი კლასის, ამ კლასთა გონებრივი, ზნეობრივი და პოლიტიკური ცხოვრების ყ ვ ე ლ ა გამოვლინების დაკვირვება; — თუ არ შეისწავლეს მოსახლეობის ყ ვ ე ლ ა კლასის, ფენის და ჯგუფის ცხოვრების და მოქმედების ყ ვ ე ლ ა მხარის მატერიალისტური ანალიზისა და მატერიალისტური შეფასების პრაქტიკული გამოყენება. ვინც მუშათა კლასის

ყურადღებას, დაკვირვების უნარსა და შეგნებას მიაპყრობს მხოლოდ და მხოლოდ ან თუნდაც უპირატესად მასვე, — ის არ არის სოციალ-დემოკრატი, ვინაიდან მუშათა კლასის თვითშემეცნება განუყრელადაა დაკავშირებული არა მარტო თეორიული... და კიდევ უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით: არა იმდენად თეორიული, რამდენადაც პოლიტიკური ცხოვრების გამოცდილებით გამომუშავებულ წარმოდგენათა სრულ გარკვეულობასთან თანამედროვე საზოგადოების ყ ვ ე ლ ა კლასის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. აი რატომ არის ესოდენ დიდად მავნებელი და დიდად რეაქციული თავისი პრაქტიკული მნიშვნელობით ჩვენი ეკონომისტების ქადაგება, რომ ეკონომიური ბრძოლა ყველაზე ფართოდ გამოსაყენებელი საშუალებაა მასების ჩასაბმელად პოლიტიკურ მოძრაობაში. სოციალ-დემოკრატი რომ გახდეს, მუშამ ნათლად უნდა წარმოიდგინოს მემამულისა და ხუცის, დიდი კაცისა და გლეხის, სტუდენტისა და მაწანწალის ეკონომიური ბუნება და სოციალურ-პოლიტიკური სახე, უნდა იცოდეს მათი ძლიერი და სუსტი მხარეები, უნდა ერკვეოდეს იმ გაცვეთილ ფრაზებსა და ყოველგვარ სოფიზმებში, რომლებითაც ჰ ფ ა რ ა ვ ს თვითეული კლასი და თვითეული ფენა თავის ეგოისტურ ზრახვებს და თავის ნამდვილ «ბუნებას», უნდა ერკვეოდეს იმაში, თუ რომელი დაწესებულებანი და კანონები ასახავენ და სახელდობრ როგორ ასახავენ ამა თუ იმ ინტერესებს. ამ «ნათელ წარმოდგენას» კი ვერ ამოიღებ ვერავითარი წიგნიდან: მისი მოცემა შეუძლია მხოლოდ ცოცხალ სურათებს და ახალ ნაკვალევთა მიხედვით შედგენილ მხილებას იმისა, რაც ხდება ამა თუ იმ მომენტში ჩვენს ირგვლივ, რაზეც ლაპარაკობენ თავისებურად, ან თუგინდ ჩურჩულებენ ყველანი და თვითეული, რაც გამოიხატება ამა და ამ ამბებში, ამა და ამ ციფრებში, ამა და ამ სასამართლოს განაჩენებში და სხვ. და სხვ. ეს ყოველმხრივი პოლიტიკური მხილებანი წარმოადგენენ მასების რევოლუციური აქტიურობის აღზრდის აუცილებელ და ძ ი რ ი თ ა დ პირობას.

რატომ არის, რომ რუსი მუშა ჯერ კიდევ ნაკლებად იჩენს რევოლუციურ აქტიურობას, როცა ხედავს პოლიციის მიერ ხალხისადმი მხეცურ მოპყრობას, სექტანტების დევნას, გლეხების ცემა-ტყეპას, ცენზურის სისაძაგლეს, ჯარისკაცთა წვალებას, სრულიად უვნებელ კულტურულ წამოწყებათა დევნას და სხვ.? იქიტომ ხომ არა, რომ ამის «ბიძგს» არ აძლევს მას «ეკონომიური ბრძოლა», რომ მას ეს ნაკლებად «უქადის ხელშესახებ შედეგებს», ნაკლებად აძლევს «დადებითს»? არა, ასეთი შეხედულება არის, ვიმეორებთ, მხოლოდ ცდა თავისი შეცდომების სხვებისთვის გადაბრალებისა, ცდა თავისი საკუთარი ფილისტერობა (იგივე ბერნშტეინელობა) მოახვიო თავს მუშათა მასას. ჩვენსავე თავს, მასების მოძრაობისაგან ჩვენს ჩამორჩენილობას უნდა დავაბრალოთ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ შევძელით მოგვეწყო ყველა ამ სისაძაგლის საკმაოდ ფართო, მკაფიო და სწრაფი მხილებანი. ეს რომ ჩვენ გავაკეთოთ (ხოლო ჩვენ ეს უნდა გავაკეთოთ და შეგვიძლია კიდევაც გავაკეთოთ), — სულ უბრალო მუშაც კი შეიგნებს ან იგრძნობს, რომ სტუდენტსა და სექტანტს, გლეხსა და მწერალს ლანძღავს და შეურაცხყოფს სწორედ ის ბნელი ძალა, რომელიც ასე ძლიერ ჩაგრავს და სულს უხუთავს მას მისი ცხოვრების ყოველ ნაბიჯზე; ხოლო როცა ამას იგრძნობს, მოინდომებს, თავშეუკავებლად მოინდომებს თვითონაც გამოეხმაუროს ყოველსავე ამას; ის შესძლებს მაშინ — დღეს ქვილ-ხვილი აუტეხოს ცენზორებს, ხვალ დემონსტრაცია გამართოს გლეხთა აჯანყების ჩამქრობი გუბერნატორის სახლის წინ, ზეგ ჭკუა ასწავლოს იმ ანაფორიან ჟანდარმებს, რომლებიც წმიდა ინკვიზიციის საქმეებს აკეთებენ, და სხვ. ჩვენ ჯერ კიდევ ძლიერ ცოტა, თითქმის არაფერი გაგვიკეთებია იმისათვის, რომ მუშათა მასებში გადავისროლოთ ყოველმხრივი და ახალ-ახალი მხილებანი. ბევრ ჩვენგანს ჯერ შეგნებულიც კი არა აქვს ეს თავისი მოვალეობა და სტიქიურად მისჩანჩალებს «ჩვეულებრივ მიმდინარე ბრძოლას» საფაბრიკო ყოფა-ცხოვრების ვიწრო ფარგლებში. საქმეთა ასეთი მდგომარეობის დროს ლაპარაკი: ««ისკრას» ტენ-

დენცია აქვს ჩვეულებრივი მიმდინარე ბრძოლის წინსვლის მნიშვნელობა შეამცირეროს ბრწყინვალე და დასრულებული იდეების პროპაგანდასთან შედარებითო» (მარტინოვი, გვ. 61), ნიშნავს პარტიის დაქანებას უკან, ნიშნავს ჩვენი ჩამორჩენილობისა და მოუმზადებლობის დაცვასა და შექებას.

რაც შეეხება მასების მოწოდებას სამოქმედოდ, ეს თავისთავად მოხდება, რაკი წარმოებს ენერგიული პოლიტიკური აგიტაცია, ცოცხალი და მკვეთრი მხილებანი. ვისიმე დაჭერა დანაშაულის ადგილას და მისი შერცხვენა ყველას წინაშე და ყველგან იმწამსვე — ეს თავისთავად ყოველგვარ «მოწოდებაზე» უკეთესად მოქმედებს, ეს ხშირად ისე მოქმედებს, რომ შემდეგ ვერც კი გაარკვევ არსებითად, ვინ «მოუწოდა» ხალხს და ვინ წამოაყენა ესა თუ ის გეგმა დემონსტრაციისა და სხვ. მოწოდება — ამ სიტყვის არა ზოგადი, არამედ კონკრეტული აზრით — შეიძლება მხოლოდ მოქმედების ადგილას; მოწოდება შეუძლია მხოლოდ იმას, ვინც თვითონ ახლაც მიდის. ხოლო ჩვენი, სოციალ-დემოკრატი პუბლიცისტების საქმეა გავაღრმავოთ, გავაფართოოთ და გავაძლიეროთ პოლიტიკური მხილებანი და პოლიტიკური აგიტაცია.

სხვათა შორის, «მოწოდებებზე». ერთადერთი ორგანო, რომელმაც გაზაფხულის ამბებამდე მოუწოდა მუშებს აქტიურად ჩარეულიყვნენ ისეთ საკითხში, რომელიც არავითარ ხელშესახებ შედეგებს არ უქადდა მუშას, როგორიც არის სტუდენტების ჯარისკაცებად გაგზავნის საკითხი, — იყო «ისკრა». მაშინვე, როგორც კი გამოქვეყნდა 11 იანვრის განკარგულება «183 სტუდენტის ჯარისკაცებად გაგზავნის» შესახებ, «ისკრამ» მოათავსა ამის შესახებ სტატია (№ 2, თებერვალი) * და, სანამ რაიმე დემონსტრაციები დაიწყებოდა, პირდაპირ მოუწოდებდა «მუშას გამოსულიყო სტუდენტის დასახმარებლად», მოუწოდებდა «ხალხს» — აშკარად გაეცა პასუხი მთავრობისთვის მის თავხედურ გამოწვევაზე. ჩვენ ვეკითხებით

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 4, გვ. 510 — 516. რედ.

ყველას და თვითეულს: როგორ და რით აიხსნება ის თვალსაჩინო გარემოება, რომ მარტინოვს, რომელიც ასე ბევრს ლაპარაკობს «მოწოდებებზე» და «მოწოდებებს» მოღვაწეობის ცალკე სახედაც კი გამოჰყოფს, იმავე დროს ერთი სიტყვითაც კი არ მოუხსენებია ეს მოწოდება? და ამის შემდეგ განა ფილისტერობა არ არის მარტინოვის მხრივ «ისკრის» გამოცხადება როგორც ცალმხრივისა, რადგან იგი საკმაოდ არ «მოუწოდებს» საბრძოლველად ისეთი მოთხოვნებისთვის, რომლებიც «ხელშესახებ შედეგებს გვიქადიან»?

ჩვენს ეკონომისტებს, და მათ შორის «რაბოჩეე დელოსაც», წარმატება ჰქონდათ იმის წყალობით, რომ განუვითარებელ მუშებს ეგუებოდნენ. მაგრამ მუშა-სოციალ-დემოკრატი, მუშა-რევოლუციონერი (ხოლო ასეთი მუშების რიცხვი დღითი დღე იზრდება) აღშფოთებით უარყოფს ყველა ამ მსჯელობას ისეთი მოთხოვნებისათვის ბრძოლაზე, რომელნიც «ხელშესახებ შედეგებს უქადიან», და სხვ., ვინაიდან ის მიხვდება, რომ ეს მხოლოდ ვარიანტებია ძველი ჰანგებისა კაპიკის მანეთზე მიმატების შესახებ. ასეთი მუშა «რაბოჩაიამისლელ» და «რაბოჩეედელოელ» მრჩეველთ ეტყვის: ამაოდ ცოდვილობთ, ბატონებო, ასე მეტისმეტი გულმოდგინებით რომ ერევით იმ საქმეში, რომელსაც ჩვენ თვითონაც კარგად ვართმევთ თავს, და თქვენს ნამდვილ მოვალეობათა შესრულებას კი გაურბიხართ. ეს ხომ სრული უჭკუობაა, როცა ლაპარაკობთ, ვითომ სოციალ-დემოკრატების ამოცანაა თვით ეკონომიურ ბრძოლას მისცენ პოლიტიკური ხასიათი; ეს მხოლოდ დასაწყისია, და ეს როდია სოციალ-დემოკრატების მთავარი ამოცანა, ვინაიდან მთელ ქვეყნიერებაზე და მათ რიცხვში რუსეთშიც ხშირად პოლიცია თვითონ იწყებს ხოლმე ეკონომიური ბრძოლისათვის პოლიტიკური ხასიათის მიცემას, მუშები თვითონ ეჩვევიან იმის გაგებას, თუ ვის მხარეზეა მთავრობა *. «მუშების» ის «ეკონომიური ბრძოლა

* იმის მოთხოვნა, რომ «თვით ეკონომიურ ბრძოლას მიეცეს პოლიტიკური ხასიათი», მეტად თვალსაჩინოდ გამოხატავს სტიქიურობის

მეპატრონეებთან და მთავრობასთან», რომელსაც ისე ჩასჭიდებიხართ, თითქოს ეს თქვენ მიერ აღმოჩენილი ამერიკა იყოს, — ხომ წარმოებს რუსეთის ბევრ მივარდნილ კუთხეში თვით მუშების მიერ, რომელთაც გაფიცვები კი გაუგონიათ, მაგრამ სოციალიზმის შესახებ თითქმის არაფერი სმენიათ. აკი გვაქვს ჩვენ, მუშებს, ის «აქტიურობა», რომელიც თქვენ გსურთ გააღვივოთ ჩვენში ისეთი კონკრეტული მოთხოვნების წამოყენებით, რომლებიც ხელშესახებ შედეგებს გვიქადიან; ასეთ კონკრეტულ მოთხოვნებს თვითონ ჩვენ ვაყენებთ ჩვენს ყოველდღიურ, პროფესიულ, წვრილმან მუშაობაში ხშირად ინტელიგენტების მხრივ სრულიად დაუხმარებლად. მაგრამ ჩვენთვის არ კმარა ასეთი აქტიურობა; ჩვენ ბავშვები როდი ვართ, რომ შესაძლო იყოს ჩვენი გამოკვება მარტოოდენ «ეკონომიური» პოლიტიკის ფაფით; ჩვენ გვინდა ვიცოდეთ ყოველივე ის, რაც სხვებმაც იციან, ჩვენ გვინდა დაწვრილებით გავეცნოთ პოლიტიკური ცხოვრების ყველა მხარეს და აქტიური მონაწილეობა მივიღოთ ყოველ და თვი-

---

წინაშე ქედის მოხრას პოლიტიკური მუშაობის დარგში. პოლიტიკურ ხასიათს ეკონომიური ბრძოლა იღებს ძალიან ხშირად სტიქიურად, ე. ი. «რევოლუციური ბაცილის» — ინტელიგენციის» ჩაურევლად, შეგნებული სოციალ-დემოკრატების ჩაურევლად. პოლიტიკური ხასიათი მიიღო, მაგალითად, მუშების ეკონომიურმა ბრძოლამაც ინგლისში სოციალისტების მხრივ რიმე მონაწილეობის მიუღებლად. სოციალ-დემოკრატების ამოცანა ეკონომიურ ნიადაგზე პოლიტიკური აგიტაციით კი არ ამოიწურება, მათი ამოცანაა — ეს ტრედ-უნიონისტური პოლიტიკა გადააქციონ სოციალ-დემოკრატიულ პოლიტიკურ ბრძოლად, — ისარგებლონ პოლიტიკური შეგნების იმ ნაპერწკლებით, რომლებიც ჩააგდო მუშებში ეკონომიურმა ბრძოლამ, რათა მუშები სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკური შეგნების სიმაღლემდე აიყვანონ. მარტინოვები კი, იმის ნაცვლად, რომ აამაღლონ და წინ წასწიონ სტიქიურად გაღვიძებული პოლიტიკური შეგნება, პირქვე ემხობიან სტიქიურობის წინაშე და იმეორებენ, ხშირად მომაბეზრებლად იმეორებენ, რომ ეკონომიური ბრძოლა «აჯახებს» მუშებს მათი პოლიტიკური უუფლებობის საკითხსო. ცუდი ის არის, ბატონებო, რომ თქვენ ტრედ-უნიონისტური პოლიტიკური შეგნების ეს სტიქიური გამოღვიძება არ «გაჯახებთ» ხოლმე თქვენი სოციალ-დემოკრატიული ამოცანების საკითხს!

თეულ პოლიტიკურ მოვლენაში. ამისათვის კი საჭიროა, რომ ინტელიგენტები ნაკლებად გვეჩიჩინონ იმის შესახებ, რაც ჩვენ ისედაც ვიცით *, და უფრო მეტი მოგვცეს ისეთი რამ, რაც ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, რასაც თვითონ ჩვენ ჩვენი საფაბრიკო და «ეკონომიური» გამოცდილებიდან ვერასოდეს ვერ შევიძენთ, სახელდობრ: პოლიტიკური ცოდნა. ამ ცოდნის შეძენა შეგიძლიათ თქვენ, ინტელიგენტებს, და თქვენ მ ო ვ ა ლ ე ნ ი ხ ა რ თ ეს ცოდნა მოგვაწოდოთ ასჯერ და ათასჯერ მეტი, ვიდრე ამას აქამდე გვაწოდებდით, და თანაც მოგვაწოდოთ არა მხოლოდ მსჯელობის, ბროშურების და სტა-

* იმის დასამტკიცებლად, რომ მუშების მთელი ეს სიტყვა ეკონომისტების მიმართ ჩვენ მიერ გამოგონილი არ არის, დავასახელებთ ორ მოწმეს, რომლებიც უსათუოდ უშუალოდ იცნობენ მუშათა მოძრაობას და ყველაზე ნაკლები მიდრეკილება აქვთ — მოგვიდგნენ ჩვენ, «დოგმატიკოსებს», ვინაიდან ერთი მოწმე — ეკონომისტია (რომელსაც პოლიტიკურ ორგანოდაც კი მიაჩნია «რაბოჩეე დელო»!), მეორე — ტერორისტი. პირველი მოწმე ავტორია თავისი სიმართლით და სიცხოველით შესანიშნავი სტატისა: «პეტერბურგის მუშათა მოძრაობა და სოციალ-დემოკრატიის პრაქტიკული ამოცანები», «რაბოჩეე დელოს» მე-6 ნომერში. ის ჰყოფს მუშებს 1) შეგნებულ რევოლუციონერებად, 2) შუალედ ფენად და 3) დანარჩენ მასად. და აი შუალედ ფენას «ხშირად აინტერესებს უფრო პოლიტიკური ცხოვრების საკითხები, ვიდრე თავისი უახლოესი ეკონომიური ინტერესები, რომელთა კავშირი საერთო სოციალურ ინტერესებთან მას დიდი ხანია შეგნებული აქვს»... «რაბოჩაია მისლს» «მძაფრად აკრიტიკებენ»: «სულ ერთი და იგივე, დიდი ხანია ვიცით, დიდი ხანია წაკითხული გვაქვს», «პოლიტიკურ მიმოხილვაში ისევ არაფერი არ არის» (გვ. 30 — 31). მაგრამ მესამე ფენაც კი: «უფრო გულისხმიერი, უფრო ნორჩი, სამეიტნოს და ეკლესიის მიერ უფრო ნაკლებად გარყვნილი მუშათა მასა, რომელიც თითქმის მუდამ მოკლებულია საშუალებას იშოვოს პოლიტიკური შინაარსის წიგნი, ასე თუ ისე მაინც მსჯელობს პოლიტიკური ცხოვრების მოვლენებზე, უკვირდება კანტიკუნტ ცნობებს სტუდენტების არეულობის შესახებ» და სხვ. ხოლო ტერორისტი წერს: «...ერთ-ორჯერ წაიკითხავენ სხვადასხვა, არა თავისი ქალაქის საფაბრიკო ცხოვრების წვრილმანებზე, და შემდეგ კი თავს დაანებებენ... მოსაწყენია... მუშათა გაზეთში არაფრის თქმა სახელმწიფოს შესახებ... იმას ნიშნავს, რომ მუშას უცქერდე, როგორც პატარა ბალღს... მუშა ბალღი არ არის» («სვობოდა», რევოლუციურ-სოციალისტური ჯგუფის გამოცემა, გვ. 69 და 70).

ტიების სახით (რომლებიც ხშირად — გვაპატიეთ გულახდილობა! — ცოტა არ იყოს მოსაწყენია), არამედ უეჭველად იმის ცოცხალ მხილებათა სახით, თუ სახელდობრ რას აკეთებს ამჟამად ჩვენი მთავრობა და ჩვენი მბრძანებელი კლასები ცხოვრების ყველა სფეროში. აი ეს თქვენი მოვალეობა შეასრულეთ უფრო გულმოდგინედ, და «მუშათა მასის აქტიურობის გაძლიერებაზე» რაც შეიძლება ნაკლებად ილაპარაკეთ. აქტიურობა ჩვენ გაცილებით მეტი გვაქვს, ვიდრე თქვენ ფიქრობთ, და ჩვენ შეგვიძლია აშკარა ბრძოლით ქუჩებში ისეთ მოთხოვნებსაც დავუჭიროთ მხარი, რომლებიც არავითარ «ხელშესახებ შედეგებს» არ გვიქადის! და თქვენ ვერ «გააძლიერებთ» ჩვენს აქტიურობას, ვინაიდან თვითონ თქვენ გაკლიათ სწორედ ეს აქტიურობა. რაც შეიძლება ნაკლებად მოიხარეთ ქედი სტიქიურობის წინაშე და რაც შეიძლება მეტი იფიქრეთ საკუთარი აქტიურობის გაძლიერებაზე, ბატონებო!

დ) რა არის საერთო ეკონომიზმსა და ტერორიზმს შორის?

ზემოთ, შენიშვნაში, ჩვენ ერთიმეორეს დავუპირისპირეთ ეკონომისტი და ტერორისტი, არა სოციალ-დემოკრატი, რომლებიც შემთხვევით სოლიდარულნი აღმოჩნდნენ. მაგრამ, საერთოდ რომ ვთქვათ, მათ შორის არის არა შემთხვევითი, არამედ აუცილებელი შინაგანი კავშირი, რის შესახებაც ჩვენ ქვემოთ მოგვიხდება კიდევ ლაპარაკი და რასაც აუცილებლად უნდა შევეხოთ სწორედ რევოლუციური აქტიურობის აღზრდის საკითხის გამო. ეკონომისტებსა და თანამედროვე ტერორისტებს აქვთ ერთი საერთო ფესვი: ეს არის სწორედ ის ქედის მოხრა სტიქიურობის წინაშე, რომელზედაც ჩვენ წინა თავში გვქონდა ლაპარაკი, როგორც საერთო მოვლენაზე, და რომელსაც ახლა განვიხილავთ მისი გავლენის მხრივ პოლიტიკური მუშაობისა და პოლიტიკური ბრძოლის სფეროზე. პირველი შეხედვით ჩვენი მტკი-

ცება პარადოქსად მოჩანს: იმ ზომამდე დიდია, ეტყობა, განსხვავება იმ ადამიანებს შორის, რომელთაგან ერთნი ხაზს უსვამენ «ჩვეულებრივ მიმდინარე ბრძოლას», ხოლო მეორენი უაღრესი თავგანწირული ბრძოლისაკენ მოუწოდებენ ცალკეულ პირთ. მაგრამ ეს პარადოქსი როდია. ეკონომისტები და ტერორისტები ქედს იხრიან სტიქიური მიმდინარეობის სხვადასხვა პოლუსის წინაშე: ეკონომისტები — «წმინდა-მუშური მოძრაობის» სტიქიურობის წინაშე, ტერორისტები — ინტელიგენტების მეტისმეტად ცხარე აღშფოთების სტიქიურობის წინაშე, — იმ ინტელიგენტების, რომელთაც არ იციან ან არა აქვთ შესაძლებლობა რევოლუციური მუშაობა და მუშათა მოძრაობა ერთ მთელად შეაკავშირონ. ვინც ამის რწმენა დაკარგა ან ვისაც ამის შესაძლებლობა არასოდეს არ სწამდა, მისთვის მართლაც ძნელია რაიმე სხვა გამოსავალი უპოვოს თავის აღშფოთებულ გრძნობას და თავის რევოლუციურ ენერგიას, გარდა ტერორისა. ამრიგად. სტიქიურობის წინაშე ქედის მოხრა ორივე აღნიშნული მიმართულებით — სხვა არა არის რა, თუ არა «Credo»-ს განთქმული პროგრამის განხორციელების დასაწყისი: მუშები ეწევიან თავის «ეკონომიურ ბრძოლას მეპატრონეებთან და მთავრობასთან» (გვაპატიოს «Credo»-ს ავტორმა, რომ მის აზრებს მარტინოვის სიტყვებით გამოვთქვამთ! ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამის უფლება გვაქვს, ვინაიდან «Credo»-შიც იმაზეა ლაპარაკი, თუ მუშები ეკონომიურ ბრძოლაში როგორ «ეჯახებიან პოლიტიკურ რეჟიმს»), — ხოლო ინტელიგენტები ეწევიან პოლიტიკურ ბრძოლას საკუთარი ძალებით, — ცხადია, ტერორის საშუალებით! ეს სავსებით ლოგიკური და აუცილებელი დასკვნაა, რომელსაც ვერსად გაექცევით, თუნდაც ისინი, ვინც ამ პროგრამის განხორციელებას იწყებს, თვითონ ვერც კი გრძნობდნენ მის აუცილებლობას. პოლიტიკურ მუშაობას აქვს თავისი ლოგიკა, დამოუკიდებელი იმათი შეგნებისაგან, ვინც საუკეთესო განზრახვით მიმართავს ხოლმე ან ტერორს, ან თვით ეკონომიუ-

რი ბრძოლისთვის პოლიტიკური ხასიათის მიცემას. კეთილი განზრახვებით არის მოკირწყლული ჯოჯოხეთი, და ამ შემთხვევაშიც კეთილი განზრახვები ვერ გვიხსნის კიდევ სტიქიური მისწრაფებისაგან «უმცირესი წინააღმდეგობის ხაზით», «Credo»-ს წმინდა ბურჟუაზიული პროგრამის ხაზით. შემთხვევითი ხომ არ არის აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ბევრი რუსი ლიბერალი — როგორც აშკარა ლიბერალები, ისე მარქსისტული ნიღაბის მატარებელნიც — სულითა და გულით თანაუგრძნობენ ტერორს და ცდილობენ ხელი შეუწყონ ამ მომენტში ტერორისტული განწყობილების გაძლიერებას.

და აი, როცა წარმოიშვა «რევოლუციურ-სოციალისტური ჯგუფი «თავისუფლება»», რომელმაც ამოცანად დაისახა სწორედ ყოველმხრივ ხელის შეწყობა მუშათა მოძრაობისთვის და თავის პროგრამაში შეიტანა ტერორი და თავისი, ასე ვთქვათ, ემანსიპაცია სოციალ-დემოკრატიისაგან, — ამ ფაქტმა კიდევ და კიდევ დაადასტურა შესანიშნავი შორსმჭვრეტელობა პ. ბ. აქსელროდისა, რომელმაც სიტყვასიტყვით იწინასწარმეტყველა სოციალ-დემოკრატიული მერყეობის ეს შედეგები ჯერ კიდევ 1897 წლის დამლევს («თანამედროვე ამოცანებისა და ტაქტიკის საკითხისათვის») და დასწერა თავისი განთქმული «ორი პერსპექტივა». მთელი მერმინდელი დავა და უთანხმოება რუს სოციალ-დემოკრატებს შორის მოქცეულია უკვე, როგორც მცენარე თესლში, ამ ორ პერსპექტივაში *.

---

* მარტინოვს «წარმოდგენილი აქვს მეორე, უფრო რეალური (?) დილემა» («სოციალ-დემოკრატია და მუშათა კლასი», გვ. 19): «ან სოციალ-დემოკრატია კისრულობს პროლეტარიატის ეკონომიური ბრძოლის უშუალო ხელმძღვანელობას და ამით (!) აქცევს მას რევოლუციურ კლასობრივ ბრძოლად»... «ამით», ე. ი., ცხადია, ეკონომიური ბრძოლის უშუალო ხელმძღვანელობით. დაე მიგვითითოს მარტინოვმა, სად ნახულა, რომ მარტოოდენ პროფესიული ბრძოლის ხელმძღვანელობით გამხდარიყოს შესაძლებელი ტრედ-უნიონისტური მოძრაობის გადაქცევა რევოლუციურ კლასობრივ მოძრაობად? ნუთუ მას ვერ მოუსაზრებია, რომ ამ «გადაქცევ-

აღნიშნული თვალსაზრისით ისიც გასაგები ხდება, რომ «რაბოჩეე დელო», რომელიც ვერ გაუმკლავდა ეკონომიზმის სტიქიურობას, ვერ გაუმკლავდა აგრეთვე ტერორიზმის სტიქიურობასაც. მეტად საინტერესოა აქ აღინიშნოს ტერორის დაცვის ის განსაკუთრებული არგუმენტაცია, რომელიც «სვობოდამ» წამოაყენა. ტერორის დამაშინებელ როლს ის «სრულიად უარჰყოფს» («რევოლუციონიზმის აღორძინება», გვ. 64), მაგრამ სამაგიეროდ მან წამოაყენა მისი «ექსციტატიური (აღმგზნები) მნიშვნელობა». ეს დამახასიათებელია, ჯერ-ერთი, როგორც იდეათა იმ ტრადიციული (წინასოციალ-დემოკრატიული) წრის დაშლისა და დაცემის ერთ-ერთი სტადია, რომელიც იწვევდა ტერორისთვის მხარდაჭერას. აღიარება იმისა, რომ ახლა ტერორით მთავრობის «დაშინება» — და, მაშასადამე, მისი დეზორგანიზაცია — არ შეიძლება, — არსებითად იმას ნიშნავს, რომ სრულიად დაჰგმო ტერორი, როგორც ბრძოლის სისტემა, როგორც პროგრამით აღიარებული სფერო მუშაობისა. მეორეც, ეს კიდევ უფრო დამახასიათებელია, როგორც იმის ნიმუში, რომ ჩვენ ვერ გაგვიგია ჩვენი საარსებო ამოცანები «მასების რევოლუციური აქტიურობის აღზრდის» საქმეში. «სვობოდა» ეწევა ტერორის პროპაგანდას როგორც საშუალებისას მუშათა მოძრაობის «აღსაგზნებად», მისთვის «ძლიერი ბიძგის» მისაცემად. ძნელი წარმოსადგენია სხვა ისეთი არგუმენტაცია, რომელიც უფრო მეტად უარყოფდეს თავის თავს! კითხვა იბადება, ნუთუ რუსეთის სინამდვილეში ისე ცოტა მოიპოვება სისაძაგლე, რომ

ვისათვის» ჩვენ აქტიურად უნდა მივყოთ ხელი ყ ო ვ ე ლ მ ხ რ ი ვ ი პოლიტიკური აგიტაციის «უშუალო ხელმძღვანელობას»?.. «ანდა მეორე პერსპექტივა: სოციალ-დემოკრატია თავს ანებებს მუშების ეკონომიური ბრძოლის ხელმძღვანელობას და ამით.. იკვეცავს საკუთარ ფრთებს»... «თავს ანებებს», «რაბოჩეე დელოს» ზემოთ მოყვანილი აზრის თანახმად, «ისკრა». მაგრამ ჩვენ დავინახეთ, რომ ის ეკონომიური ბრძოლის ხელმძღვანელობისათვის გ ა ც ი ლ ე ბ ი თ მ ე ტ ს ა კ ე თ ე ბ ს, ვ ი დ რ ე «რ ა ბ ო ჩ ე ე დ ე ლ ო», მასთან ამით არ კმაყოფილდება და ამის გულისთვის ა რ ჰ კ ვ ე ც ა ვ ს თავის პოლიტიკურ ამოცანებს.

საჭირო ხდება განსაკუთრებულ «აღმგზნებ» საშუალებათა გამოგონება? და, მეორე მხრივ, ვინც არ აღიგზნება და ვისი აღგზნებაც არ შეუძლია რუსულ თვითნებობასაც კი, განა აშკარა არ არის, რომ ის მთავრობისა და ერთი მუჭა ტერორისტების ორთა ბრძოლასაც დაუწყებს ცქერას «ცხვირის ჩიჩქნით»? საქმეც ის არის, რომ მუშათა მასები მეტად აღიგზნებიან რუსეთის სინამდვილის სისაძაგლეთა გამო, მაგრამ ჩვენ ვერ ვახერხებთ შეგროვებას, თუ შეიძლება ასე ითქვას, და თავმოყრას ხალხის აღგზნების ყველა იმ წვეთის და ნაკადისას, რუსეთის ცხოვრებას რომ გამოსდის გაცილებით მეტი რაოდენობით, ვიდრე ეს წარმოგვიდგენია და ვფიქრობთ, და რომლებიც სწორედ ერთ უზარმაზარ ნაკადად უნდა შევაერთოთ. ამ ამოცანის შესრულება რომ შესაძლებელი საქმეა, ამას უცილობლად ამტკიცებს მუშათა მოძრაობის უზარმაზარი ზრდა და უკვე ზემოთ აღნიშნული დაწაფება მუშებისა პოლიტიკურ ლიტერატურაზე. ხოლო მოწოდება ტერორისადმი, ისევე როგორც მოწოდება იმისადმი, რომ თვით ეკონომიურ ბრძოლას მიეცეს პოლიტიკური ხასიათი, წარმოადგენს სხვადასხვა ფორმის თავდაძვრენას რუს რევოლუციონერთა მეტად უცილობელი მოვალეობისაგან: მოაწყონ ყოველმხრივი პოლიტიკური აგიტაცია. «სვობოდას» სურს აგიტაცია ტერორით შეცვალოს, ის პირდაპირ აღიარებს, რომ «დაიწყება თუ არა გაძლიერებული, ენერგიული აგიტაცია მასებში, ტერორის ექსციტატიური (აღმგზნები) როლი გათავებულია» («რევოლუც. აღორძ.», გვ. 68). ეს სწორედ იმის მაჩვენებელია, რომ ვერც ტერორისტები, ვერც ეკონომისტები სათანადოდ ვერ აფასებენ მასების რევოლუციურ აქტიურობას, მიუხედავად გაზაფხულის აშკარად დამადასტურებელი ამბებისა*, მასთან ზოგნი ხელოვნურ «აღმგზნებთ» ეძებენ, ზოგნიც «კონკრეტულ მოთ-

* ლაპარაკია 1901 წლის გაზაფხულის შესახებ, როცა ქუჩის დიდი დემონსტრაციები დაიწყო. (ავტორის შენიშვნა 1907 წლის გამოცემისათვის. რედ.)

ხოვნებზე» ლაპარაკობენ. ერთნიც და მეორენიც საკმაო ყურადღებას ვერ აქცევენ თავიანთი საკუთარი აქტიურობის განვითარებას პოლიტიკური აგიტაციისა და პოლიტიკურ მხილებათა ორგანიზაციის საქმეში. ამ საქმის შეცვლა კი სხვა რომელიმე საქმით არ შეიძლება არც ახლა, არც რომელსამე სხვა დროს.

ე) მუშათა კლასი როგორც დემოკრატიისათვის მოწინავე მებრძოლი

ჩვენ დავინახეთ, რომ უფართოესი პოლიტიკური აგიტაციის წარმოება და, მაშასადამე, ყოველმხრივი პოლიტიკური მხილების მოწყობა უეჭველად საჭირო და ყველაზე უფრო აუცილებელი ამოცანაა მუშაობისა, თუკი ეს მუშაობა ჭეშმარიტად სოციალ-დემოკრატიულია. მაგრამ ეს დასკვნა ჩვენ გამოვიყვანეთ მხოლოდ იმ მოსაზრებიდან, რომ პოლიტიკური ცოდნა და პოლიტიკური აღზრდა მუშათა კლასის საარსებო მოთხოვნილებაა. ამავე დროს საკითხის მხოლოდ ასეთი დაყენება მეტისმეტად ვიწრო იქნებოდა, უგულებელყოფდა საერთოდ ყოველი სოციალ-დემოკრატიის და განსაკუთრებით თანამედროვე რუსეთის სოციალ-დემოკრატიის საერთო-დემოკრატიულ ამოცანებს. ამ დებულების რაც შეიძლება უფრო კონკრეტულად გაშუქებისათვის ვცადოთ საქმეს მივუდგეთ იმ მხრივ, რომელიც ეკონომისტისთვის ყველაზე უფრო «ახლობელია», სახელდობრ პრაქტიკული მხრივ. «ყველა თანახმაა», რომ აუცილებლად საჭიროა განვავითაროთ მუშათა კლასის პოლიტიკური შეგნება. კითხვა იბადება, როგორ გავაკეთოთ ეს და რა არის საჭირო იმისათვის, რომ ეს გავაკეთოთ? ეკონომიური ბრძოლა მუშებს «ეჯახებს» მხოლოდ საკითხებს მუშათა კლასისადმი მთავრობის დამოკიდებულების შესახებ და ამიტომ, რამდენიც უნდა ვიზრუნოთ ამოცანაზე, რომ «თვით ეკონომიურ ბრძოლას მივცეთ პოლიტიკური ხასიათი», ვერასოდეს ვერ შევძლებთ მუშათა პოლიტიკური შეგნების განვითარებას (სო-

ციალ-დემოკრატიული პოლიტიკური შეგნების საფეხურამდე) ამ ამოცანის ფარგლებში, ვინაიდან თვით ეს ფარგლეგია ვიწრო. მარტინოვის ფორმულა იმიტომ კი არ არის ჩვენთვის საგულისხმო, რომ ის წარმოადგენს იმის ილუსტრაციას, თუ არევ-დარევის როგორი უნარი აქვს მარტინოვს, არამედ იმიტომ, რომ ის რელიეფურად გამოხატავს ყველა ეკონომისტის ძირითად შეცდომას, სახელდობრ იმის რწმენას, თითქოს მუშათა კლასობრივი პოლიტიკური შეგნების განვითარება შეიძლებოდეს, ასე ვთქვათ, მათი ეკონომიური ბრძოლის შიგნიდან, ე. ი. მხოლოდ (ან თუნდაც უმთავრესად) ამ ბრძოლის საფუძველზე, მხოლოდ (ან თუნდაც უმთავრესად) ამ ბრძოლაზე დაყრდნობით. ასეთი შეხედულება ძირშივე შემცდარია, — და სწორედ იმიტომ, რომ ეკონომისტებს, რომლებიც ჩვენზე არიან გაჯავრებული მათ წინააღმდეგ წარმოებული პოლემიკის გამო, არ სურთ კარგად ჩაუფიქრდნენ უთანხმოების წყაროს, და ვღებულობთ ისეთ მდგომარეობას, რომ ჩვენ სრულიად არაფერი გვესმის ერთმანეთისა, სხვადასხვა ენაზე ვლაპარაკობთ.

კლასობრივი პოლიტიკური შეგნება შეიძლება ჩაენერგოს მუშას მხოლოდ გარედან, ესე-იგი ეკონომიური ბრძოლის გარედან, მეპატრონეებთან მუშების ურთიერთობის სფეროს გარედან. ის სფერო, რომლიდანაც მხოლოდ შეიძლება ამ ცოდნის გამოტანა, არის სახელმწიფოსა და მთავრობასთან ყველა კლასის და ფენის ურთიერთობის სფერო; ყველა კლასს შორის ურთიერთდამოკიდებულების სფერო. ამიტომ კითხვაზე: რა ვაკეთოთ იმისთვის, რომ მუშებს პოლიტიკური ცოდნა შევძინოთ? არ შეიძლება მხოლოდ იმით ვუპასუხოთ, რითაც უმეტეს შემთხვევაში კმაყოფილდებიან პრაქტიკოსები, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ პრაქტიკოსებზე, რომელნიც ეკონომიზმისაკენ იხრებიან, სახელდობრ არ შეიძლება ვუპასუხოთ: «წავიდეთ მუშებთან». მუშებს რომ პოლიტიკური ცოდნა შევძინოთ, სოციალ-დემოკრატები უნდა წავიდნენ მოსახლეობის ყველა კლასთან,

მათ ყოველ მხარეს უნდა დაგზავნონ თავიანთი არმიის რაზმები.

ჩვენ განგებ ამოვირჩიეთ ასეთი ტლანქი ფორმულირება და განგებ ასე გამარტივებული სიმკვეთრით გამოვთქვამთ ჩვენს აზრს — სრულებითაც არა იმიტომ, რომ პარადოქსებით ვილაპარაკოთ, არამედ იმიტომ, რათა კარგად «შევაჯახოთ» ეკონომისტები იმ ამოცანებს, რომლებსაც ისინი უგულებელჰყოფენ, რაც არ ეპატიებათ, — იმ განსხვავებას ტრედ-უნიონისტურ და სოციალ-დემოკრატიულ პოლიტიკას შორის, რომლის გაგება მათ არა სურთ. ამიტომ მკითხველს ვთხოვთ ნუ გაცხარდება და ყურადღებით მოგვისმინოს ბოლომდე.

აიღეთ ამ უკანასკნელ წლებში სოციალ-დემოკრატების წრის ყველაზე უფრო გავრცელებული ტიპი და ჩაუკვირდით მის მუშაობას. მას აქვს «კავშირი მუშებთან» და ამას სჯერდება, უშვებს ფურცლებს, რომლებშიც გამათრახებულია ფაბრიკის ბოროტმოქმედებანი, მთავრობის მიკერძება კაპიტალისტებისადმი და პოლიციის ძალადობა; მუშათა კრებებზე საუბარი ჩვეულებრივ არ სცილდება ან თითქმის არ სცილდება ამავე თემების ფარგლებს; რეფერატები და საუბრები რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან, ჩვენი მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, რუსეთისა და ევროპის ეკონომიური ევოლუციის საკითხებზე და ამა თუ იმ კლასების მდგომარეობაზე თანამედროვე საზოგადოებაში და სხვ. — მეტად იშვიათი მოვლენაა; საზოგადოების სხვა კლასებში კავშირის სისტემატურად მოპოვებასა და გაფართოებაზე არც კი ფიქრობს ვინმე. არსებითად, ასეთი წრის წევრებს იდეალად ეხატებათ, უმეტეს შემთხვევაში, ტრედ-უნიონის მდივნის გაცილებით უფრო მეტად მსგავსი ვინმე, ვიდრე სოციალისტის — პოლიტიკური ბელადის მსგავსი. ვინაიდან მდივანი, მაგ., ინგლისის რომელიმე ტრედ-უნიონისა ყოველთვის ეხმარება მუშებს ეკონომიური ბრძოლის წარმოებაში, აწყობს საფაბრიკო მხილებას, არკვევს იმ კანონთა და ღონისძიებათა უსამართლობას, რომლებიც ზღუდავენ გაფიცვების თავისუფლებას. საგუშაგოების მოწყობის თავისუფლებას (ყველასი

და თვითეულის გასაფრთხილებლად, რომ ამა და ამ ქარხანაში გაფიცვაა გამოცხადებული), ააშკარავებს იმ მედიატორე მოსამართლის მიკერძებას, რომელიც ხალხის ბურჟუაზიულ კლასებს ეკუთვნის, და სხვ. და სხვ. ერთი სიტყვით, ტრედ-უნიონის ყოველი მდივანი თვითონაც ეწევა «ეკონომიურ ბრძოლას მეპატრონეებთან და მთავრობასთან» და მუშებსაც ეხმარება ამ ბრძოლაში. და ყოვლად უდავოა, რომ ეს კიდევ არ არის სოციალ-დემოკრატიზმი, რომ სოციალ-დემოკრატის იდეალი უნდა იყოს არა ტრედ-უნიონის მდივანი, არამედ სახალხო ტრიბუნი, რომელსაც შეუძლია გამოეხმაუროს თვითნებობისა და ჩაგვრის ყველა და ყოველნაირ გამოვლინებას. სადაც უნდა მოხდეს ის, რომელ ფენას ან კლასსაც უნდა ეხებოდეს ის, — შეუძლია ყველა ეს გამოვლინება განაზოგადოს პოლიციური ძალადობისა და კაპიტალისტური ექსპლოატაციის ერთ მთლიან სურათად, — შეუძლია გამოიყენოს ყოველი წვრილმანი. რათა ყველას გადაუშალოს თავისი სოციალისტური რწმენა და თავისი დემოკრატიული მოთხოვნები, რათა ყველას და თვითეულს აუხსნას პროლეტარიატის განმათავისუფლებელი ბრძოლის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა. მაგ., შეადარეთ ერთიმეორეს ისეთი მოღვაწეები, როგორიც არიან რობერტ ნაიტი (ცნობილი მდივანი და ბელადი მექვაბეთა საზოგადოებისა, ინგლისის ერთ-ერთი უძლიერესი ტრედ-უნიონისა) და ვილჰელმ ლიბკნეხტი — და სცადეთ გამოიყენოთ მათ მიმართ ის დაპირდაპირებანი, რომლებშიც ათავსებს მარტინოვი თავის უთანხმოებას «ისკრასთან». თქვენ დაინახავთ, — მე ვიწყებ მარტინოვის სტატიის გადაფურცვლას, — რომ რ. ნაიტი გაცილებით უფრო «მოუწოდებდა მასებს განსაზღვრული კონკრეტული მოქმედებისადმი» (39), ვ. ლიბკნეხტი კი მეტწილად აწარმოებდა «მთელი თანამედროვე წყობილების ან მის კერძო გამოვლინებათა რევოლუციურად გაშუქებას» (38 — 39); რომ რ. ნაიტი «აყალიბებდა პროლეტარიატის უახლოეს მოთხოვნებს და მიუთითებდა მათი განხორციელების საშუალებებზე» (41),

ვ. ლიბკნეხტი კი ამასაც აკეთებდა და იმაზეც არ ამბობდა უარს, რომ «იმავე დროს ხელმძღვანელობა გაეწია სხვადასხვა ოპოზიციური ფენის აქტიური მუშაობისთვისაც», «ეკარნახა მათთვის მოქმედების დადებითი პროგრამა» * (41); რომ რ. ნაიტი სწორედ იმას ცდილობდა, რომ «შეძლებისდაგვარად თვით ეკონომიური ბრძოლისთვის მიეცა პოლიტიკური ხასიათი» (42) და შესანიშნავად ახერხებდა «მთავრობისათვის ისეთი კონკრეტული მოთხოვნების წაყენებას, რომლებიც ხელშესახებ შედეგებს უქადდნენ» (43), მაშინ როცა ვ. ლიბკნეხტი გაცილებით უფრო მეტად ეწეოდა «ცალმხრივ» «მხილებას» (40); რომ რ. ნაიტი მეტ მნიშვნელობას აკუთვნებდა «უბრალო მიმდინარე ბრძოლის წინსვლას» (61), ვ. ლიბკნეხტი კი — «ბრწყინვალე და დასრულებული იდეების პროპაგანდას» (61); რომ ვ. ლიბკნეხტი მის ხელმძღვანელობაში მყოფ გაზეთს ჰქმნიდა «რევოლუციური ოპოზიციის ორგანოდ, რომელიც ამხელდა ჩვენებურ წესებს, და უმეტესად პოლიტიკურ წესებს, რამდენადაც ისინი ეჯახებიან მოსახლეობის სულ სხვადასხვა ფენის ინტერესებს» (63), მაშინ როცა რ. ნაიტი «მუშაობდა მუშათა საქმისათვის მჭიდრო ორგანულ კავშირში პროლეტარიატის ბრძოლასთან» (63) — თუ ამ «მჭიდრო და ორგანულ კავშირს» გავიგებთ სტიქიურობის წინაშე იმ ქედის მოხრის აზრით, რომელიც ჩვენ ზემოთ შევისწავლეთ კრიჩევსკისა და მარტინოვის მაგალითებზე, — და «ჰკვეცავდა თავისი ზეგავლენის სფეროს», დარწმუნებული, რა თქმა უნდა, ისევე, როგორც მარტინოვიც, იმაში, რომ ის «ამით ართულებდა თვით ზეგავლენას» (63). ერთი სიტყვით, თქვენ დაინახავთ, რომ de facto ** მარტინოვი აქვეითებს სოციალ-დემოკრატიას ტრედ-უნიონიზმამდე, თუმცა ის ამას შვრება, რა თქმა უნდა, სრულებითაც არა იმიტომ, თითქოს

* მაგალითად, საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს ლიბკნეხტი უკარნახებდა მოქმედების პროგრამას მ თ ე ლ დ ე მ ო კ რ ა ტ ი ა ს, და კიდევ მეტად აკეთებდნენ ამას მარქსი და ენგელსი 1848 წელს.

** — ფაქტიურად, საქმით. რ ე დ.

მას არ სურდეს სიკეთე სოციალ-დემოკრატიისათვის, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ მან ცოტათი დაიჩქარა პლეხანოვის გაღრმავება, ნაცვლად იმისა, რომ ჯაფა გაეწია პლეხანოვის გასაგებად.

მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს საგანს. ჩვენ ვთქვით, რომ სოციალ-დემოკრატი, თუკი ის მხოლოდ სიტყვით არ არის მომხრე პროლეტარიატის პოლიტიკური შეგნების ყოველ-მხრივი განვითარების აუცილებელი საჭიროებისა, «მოსახ-ლეობის ყველა კლასში უნდა წავიდესო». იბადება კითხვები: როგორ გავაკეთოთ ეს? შეგვწევს თუ არა საამისო ძალა? არის თუ არა ნიადაგი ასეთი მუშაობისათვის ყველა სხვა კლასში? ხომ არ იქნება ეს გადაცდენა, ან ხომ არ გამოიწვევს გადაც-დენას კლასობრივი თვალსაზრისიდან? შევჩერდეთ ამ კით-ხვებზე.

«მოსახლეობის ყველა კლასში» ჩვენ უნდა «წავიდეთ» თეო-რეტიკოსებადაც, პროპაგანდისტებადაც, აგიტატორებადაც და ორგანიზატორებადაც. სოციალ-დემოკრატების თეორიული მუშაობა რომ უნდა იყოს მიმართული ცალკე კლასების სო-ციალური და პოლიტიკური მდგომარეობის ყველა თავისებუ-რების შესწავლისაკენ. — ეს არავისთვის საეჭვო არ არის. მაგრამ ამ მხრივ ძალიან და ძალიან ცოტა კეთდება, არაპრო-პორციულად ცოტა შედარებით იმ მუშაობასთან, რომელიც მიმართულია ფაბრიკის ყოფა-ცხოვრების შესწავლისკენ. კო-მიტეტებსა და წრეებში თქვენ შეხვდებით ადამიანებს, რომ-ლებიც სპეციალურად ზედმიწევნით ეცნობიან ხოლმე რომე-ლიმე რკინისმკეთებელ წარმოებასაც კი, — მაგრამ თითქმის ვერ ნახავთ იმის მაგალითს, რომ ორგანიზაციის წევრები (იძულებით, როგორც ეს ხშირად არის, ჩამოშორებულნი ამა თუ იმ მიზეზის გამო პრაქტიკულ მუშაობას) სპეციალურად ეწეოდნენ მასალების შეგროვებას ჩვენი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების რომელიმე საჭირბოროტო საკითხ-ზე, ისეთ საკითხზე, რომელიც შეიძლება საბაბი გახდეს სო-ციალ-დემოკრატიული მუშაობისათვის მოსახლეობის სხვა ფენებში. როცა მუშაობა მოძრაობის თანამედროვე ხელმძღვა-

ნელთა უმეტესობის მცირე მომზადებაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ მომზადებაც ამ მხრივ, ვინაიდან ესეც აგრეთვე დაკავშირებულია «პროლეტარიატის ბრძოლასთან მჭიდრო ორგანული კავშირის» «ეკონომიურ» გაგებასთან. მაგრამ მთავარია, რა თქმა უნდა, პ რ ო პ ა გ ა ნ დ ა და ა გ ი ტ ა ც ი ა ხალხის ყველა ფენაში. დასავლეთევროპელ სოციალ-დემოკრატს ამ ამოცანას უადვილებს სახალხო კრებები და ყრილობანი, რომლებსაც ესწრება ყ ვ ე ლ ა მსურველი, — უადვილებს პარლამენტი, სადაც ის ლაპარაკობს ყ ვ ე ლ ა კლასის დეპუტატების წინაშე. ჩვენ არც პარლამენტი გვაქვს, არც კრებების თავისუფლება, — მაგრამ მაინც ვახერხებთ კრებების მოწყობას მუშებთან ერთად, რომლებსაც სურთ მოუსმინონ ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ს. ჩვენ აგრეთვე უნდა მოვახერხოთ ისეთი კრებების გამართვა, რომლებზეც წარმოდგენილი იქნება მოსახლეობის ყველა და ყოველგვარი კლასი, ვინც კი მოისურვებს დ ე-მ ო-კ რ ა ტ ს მოუსმინოს. ვინაიდან არ არის სოციალ-დემოკრატი ის, ვინც საქმით ივიწყებს, რომ «კომუნისტები მხარს უჭერენ ყოველგვარ რევოლუციურ მოძრაობას», რომ ამიტომ მოვალენიც ვართ მ თ ე ლ ი ხ ა ლ ხ ი ს წ ი ნ ა შ ე გადავშალოთ და ხაზგასმით აღვნიშნოთ: ს ა ე რ თ ო-დ ე მ ო კ რ ა-ტ ი უ ლ ი ა მ ო ც ა ნ ე ბ ი და ერთი წუთითაც არ დავმალოთ ჩვენი სოციალისტური რწმენა. არ არის სოციალ-დემოკრატი ის, ვინც საქმით ივიწყებს თავის მოვალეობას — იყოს ყ ვ ე ლ ა ზ ე წ ი ნ ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი საერთო-დემოკრატიული საკითხის დაყენების, გამწვავებისა და გადაჭრის საქმეში.

«ამაზე ყველანი გეთანხმებით!» — გვაწყვეტინებს მოუთმენელი მკითხველი — და ახალი ინსტრუქციაც «რაბოჩეე დელოს» რედაქციისათვის, მიღებული კავშირის უკანასკნელ ყრილობაზე, პირდაპირ გვეუბნება: «პოლიტიკური პროპაგანდისა და აგიტაციის საბაბი უნდა გახდეს საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ყველა მოვლენა და ამბები, რომლებიც ეხება პროლეტარიატს ან უშუალოდ, როგორც განსაკუთრებულ კლასს, ან როგორც მ თ ე ლ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი-

ური ძალების ავანგარდს თავისუფლებისათვის ბრძოლაში» («ორი ყრილობა», გვ. 17, ხაზგასმა ჩვენია). დიახ, ძალიან სწორი და ძალიან კარგი სიტყვებია, და ჩვენც სავსებით კმაყოფილი ვიქნებოდით, «რაბოჩეე დელოს» რომ ესმოდეს ეს სიტყვები, ის რომ ამ სიტყვებთან ერთად არ ამბობდეს სრულიად ამის საწინააღმდეგოს. არ კმარა მხოლოდ ვუწოდოთ ჩვენს თავს «ავანგარდი», მოწინავე რაზმი, — საჭიროა აგრეთვე ისე ვიმოქმედოთ, რომ ყველა დანარჩენი რაზმი ხედავდეს და იძულებული გახდეს აღიაროს, რომ ჩვენ წინ მივდივართ. და ჩვენ ვეკითხებით მკითხველს: ნუთუ დანარჩენი «რაზმების» წარმომადგენელნი ისეთი ბრიყვები არიან, რომ დაგვიჯერებენ, თუ კი ვიტყვით: «ავანგარდი» ვართო? წარმოიდგინეთ მხოლოდ ასეთი სურათი კონკრეტულად: განათლებულ რუს რადიკალთა ან ლიბერალ კონსტიტუციონალისტთა «რაზმში» გამოცხადდა სოციალ-დემოკრატი და ამბობს: ჩვენ — ავანგარდი ვართო; «ახლა ჩვენს წინაშე დგას ამოცანა — როგორ მივცეთ შეძლებისდაგვარად თვით ეკონომიურ ბრძოლას პოლიტიკური ხასიათი». რაოდენადმე ჭკვიანი რადიკალი ან კონსტიტუციონალისტი (ხოლო რუს რადიკალებსა და კონსტიტუციონალისტებს შორის ბევრია ჭკვიანი ადამიანი) მხოლოდ ჩაიცინებს ასეთი ლაპარაკის გაგონებაზე და იტყვის (თავისთვის, რა თქმა უნდა, ვინაიდან ის უმეტეს შემთხვევაში გამოცდილი დიპლომატია): «სწორედ რომ გულუბრყვილო ყოფილა ეს «ავანგარდი»! ისიც კი არ სცოდნია, რომ ეს ხომ ჩვენი ამოცანაა, ბურჟუაზიული დემოკრატიის მოწინავე წარმომადგენელთა ამოცანა — მუშების თვით ეკონომიურ ბრძოლას მივცეთ პოლიტიკური ხასიათი. აკი ჩვენც ისე, როგორც ყველა დასავლეთევროპელ ბურჟუას, გვინდა ჩავითრიოთ მუშები პოლიტიკაში, მაგრამ მხოლოდ სწორედ ტრედ-უნიონისტურ და არა სოციალ-დემოკრატიულ პოლიტიკაში. მუშათა კლასის ტრედ-უნიონისტური პოლიტიკა მუშათა კლასის სწორედ ბურჟუაზიული პოლიტიკაა. ამ

«ავანგარდის» მიერ მისი ამოცანის ფორმულირება კი ზედგამოჭრილი ტრედ-უნიონისტური პოლიტიკის ფორმულირებაა! ამიტომ დაე მათ უწოდონ თავიანთ თავს, რამდენიც სურდეთ, სოციალ-დემოკრატები. მართლა, ბავშვი ხომ არა ვარ — იარლიყების გულისთვის გავცხარდე! ოღონდ, ნუ აჰყვებიან ამ მავნე ორთოდოქსულ დოგმატიკოსებს, დაე «კრიტიკის თავისუფლება» დაუტოვონ იმათ, ვინც შეუგნებლად ეწევა სოციალ-დემოკრატიას ტრედ-უნიონისტური გზისაკენ!»

და ჩვენი კონსტიტუციონალისტის ოდნავი ჩაცინება ჰომეროსულ ხარხარად გადაიქცევა, როცა ის გაიგებს, რომ სოციალ-დემოკრატიის ავანგარდზე მობაასე სოციალ-დემოკრატებს ამჟამად, როცა სტიქიურობა სავსებით გაბატონებულია ჩვენს მოძრაობაში, ყველაზე მეტად «სტიქიური ელემენტის შემცირებისა» ეშინიათ, ეშინიათ «უფერული მიმდინარე ბრძოლის წინმსვლელობის მნიშვნელობის შემცირებისა ბრწყინვალე და დასრულებული იდეების პროპაგანდასთან შედარებით» და სხვა და სხვა! «მოწინავე» რაზმი, რომელსაც ეშინია როგორმე შეგნებულობამ არ გაუსწროს წინ სტიქიურობას, ეშინია წამოაყენოს გაბედული «გეგმა», რომელიც არ შეიძლება არ სცნოს ყველამ, იმათაც კი, ვინც სხვანაირად აზროვნებს! ნეტავი ხომ არ ურევენ ისინი ერთმანეთში სიტყვებს: ავანგარდს და არიერგარდს?

მართლაც, ჩაუფიქრდით მარტინოვის შემდეგ მსჯელობას. მე-40 გვერდზე ის ამბობს, «ისკრის» მამხილებელი ტაქტიკა ცალმხრივიაო და «რამდენიც უნდა ვთესოთ უნდობლობა და სიძულვილი მთავრობისადმი, მიზანს ვერ მივაღწევთ, სანამ ვერ შევძლებთ განვავითაროთ საკმაო აქტიური საზოგადოებრივი ენერგია მის დასამხობად». ეს, ფრჩხილებში რომ ვთქვათ, ჩვენთვის უკვე ცნობილი ზრუნვაა მასის აქტიურობის ამაღლებაზე საკუთარი აქტიურობის ჩამოქვეითების მისწრაფებასთან ერთად. მაგრამ ახლა საქმე ამაში როდია. მარტინოვი აქ ლაპარაკობს, მამასადამე, რ ე ვ ო ლ უ ც ი ურ ენერგიაზე («დასამხობად»). და მერე რა დასკვნამდე მიდის ის?

რადგანაც ჩვეულებრივ დროს სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენა აუცილებლად დაქსაქსულად მიდის, «ამის გამო ცხადია, რომ ჩვენ, სოციალ-დემოკრატებს, არ შეგვიძლია ერთსა და იმავე დროს ხელმძღვანელობა გავუწიოთ სხვადასხვა ოპოზიციური ფენის აქტიურ მუშაობას, არ შეგვიძლია ვუკარნახოთ მათ მოქმედების დადებითი პროგრამა, არ შეგვიძლია მივუთითოთ მათ, რა წესით უნდა იბრძოლონ დღითი დღე თავიანთი ინტერესებისათვის... ლიბერალური ფენები უკვე თვითონ იზრუნებენ იმ აქტიურ ბრძოლაზე თავიანთი უახლოესი ინტერესებისათვის, რომელიც მათ შეაჯახებს პირისპირ ჩვენს პოლიტიკურ რეჟიმს» (41). ამრიგად, დაიწყო თუ არა მარტინოვმა ლაპარაკი რევოლუციურ ენერგიაზე, აქტიურ ბრძოლაზე თვითმპყრობელობის დამხობისათვის, ის მყისვე გადავიდა პროფესიულ ენერგიაზე, აქტიურ ბრძოლაზე უახლოესი ინტერესებისათვის! თავისთავად გასაგებია, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ვუხელმძღვანელოთ სტუდენტების, ლიბერალებისა და სხვათა ბრძოლას მათი «უახლოესი ინტერესებისათვის», მაგრამ ამაზე ხომ არ იყო ლაპარაკი, უპატივცემულესო ეკონომისტო! ლაპარაკი იყო სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენის შესაძლებელ და საჭირო მონაწილეობაზე თვითმპყრობელობის დამხობის საქმეში, ხოლო «სხვადასხვა ოპოზიციური ფენის» ამ «აქტიურ მოქმედებას» ჩვენ ჯერათუ შ ე გ ვ ი ძ ლ ი ა, არამედ უეჭველად უნდა ვუხელმძღვანელოთ, თუ გვინდა «ავანგარდი» ვიყოთ. ჩვენი სტუდენტები, ჩვენი ლიბერალები და სხვანი რომ «შეეჯახონ პირისპირ ჩვენს პოლიტიკურ რეჟიმს», ამაზე არა მარტო თვითონ ისინი იზრუნებენ, — ამაზე უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად იზრუნებს თვითმპყრობელი მთავრობის თვით პოლიცია და თვით მოხელეები. მაგრამ «ჩვენ», თუ გვინდა მოწინავე დემოკრატები ვიყოთ, უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ იმ ადამიანებს, რომლებიც უკმაყოფილონი არიან მხოლოდ თვით უნივერსიტეტის ან მხოლოდ ერობის და სხვათა წესებით, ჩ ა ვ ა გ ო ნ ო თ აზრი პოლიტიკური წესწყობილების უვარგისობისა. ჩ ვ ე ნ უნდა ვიკისროთ ისეთი ყოველმხრივი პოლიტიკური

ბრძოლის მოწყობის ამოცანა, ჩ ვ ე ნ ი პარტიის ხელ-მძღვანელობით, რომ შეძლებისამებრ დახმარების გაწევა ამ ბრძოლისათვის და ამ პარტიისათვის შეეძლოს და მართ-ლაც გაუწიოს ასეთი დახმარება ყველამ და ყოველნაირ-მა ოპოზიციურმა ფენამ. ჩ ვ ე ნ უნდა გამოვზარდოთ ჩვენი პრაქტიკოსი სოციალ-დემოკრატებისაგან ისეთი პოლიტიკური ბელადები, რომლებსაც შეეძლებათ ხელმძღვანელობა გაუ-წიონ ამ ყოველმხრივი ბრძოლის ყველა გამოვლინებას, შე-ეძლებათ, როცა საჭირო იქნება, «უკარნახონ მოქმედების და-დებითი პროგრამა» მღელვარე სტუდენტებსაც, უკმაყოფილო ერობელთაც, აღშფოთებულ სექტანტებსაც, შეურაცხყოფილ სახალხო მასწავლებლებსაც და სხვა და სხვა. ამიტომ ს რ უ-ლ ი ა დ მ ც დ ა რ ი ა მარტინოვის მტკიცება, რომ «მათ მი-მართ ჩვენ შეგვიძლია გამოვიდეთ მ ხ ო ლ ო დ არსებული წესების მამხილებლის უ ა რ ყ ო ფ ი თ როლში... ჩვენ შეგ-ვიძლია მ ხ ო ლ ო დ გავფანტოთ მათი იმედი მთავრობის სხვადასხვა კომისიაზე» (ხაზგასმა ჩვენია). ამბობს რა ამას, მარტინოვი ამითვე ააშკარავებს, რომ მას ს რ უ ლ ი ა დ ა რ ა ფ ე რ ი გ ა ე გ ე ბ ა რევოლუციური «ავანგარდის» ნამდვილი როლის საკითხში. და თუ მკითხველი ამას მხედვე-ლობაში მიიღებს, მისთვის გასაგები გახდება მარტინოვის შემ-დგომი საბოლოო სიტყვების ჭ ე შ მ ა რ ი ტ ი ა ზ რ ი: ««ისკ-რა» რევოლუციური ოპოზიციის ორგანოა, რომელიც ამხელს ჩვენებურ წესებს და განსაკუთრებით პოლიტიკურ წე-სებს, რამდენადაც ეს წესები ეჯახებიან მოსახლეობის სულ სხვადასხვა ფენის ინტერესებს. ჩვენ კი ვმუშაობთ და ვიმუ-შავებთ მუშათა საქმისათვის მჭიდროდ და ორგანულად და-კავშირებულნი პროლეტარიატის ბრძოლასთან. ვკვეცავთ რა ჩვენი ზეგავლენის სფეროს, ამითვე ვართულებთ თვით ზე-გავლენას» (63). ამ დასკვნის ჭ ე შ მ ა რ ი ტ ი ა ზ რ ი ასეთია: «ისკ-რას» სურს ა ს წ ი ო ს მუშათა კლასის ტრედ-უნიონისტური პოლიტიკა (რომლითაც ჩვენში ასე ხშირად კმაყოფილდებიან გაუგებრობის, მოუმზადებლობის ან რწმენის გამო პრაქტიკო-

სები) სოციალ-დემოკრატიულ პოლიტიკამდე. «რაბოჩეე დელოს» კი სურს ჩამოაქვეითოს სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკა ტრედ-უნიონისტურ პოლიტიკამდე. და ამასთან ის კიდევ არწმუნებს ყველას და თვითეულს, რომ ეს «სავსებით შესათავსებელი პოზიციებია საერთო საქმეში» (63). O, sancta simplicitas! *

ჩავყვეთ ქვევით. გვყავს თუ არა ძალები იმისათვის, რომ ჩვენი პროპაგანდა და აგიტაცია მივმართოთ მოსახლეობის ყველა კლასში? რა თქმა უნდა, გვყავს. ჩვენი ეკონომისტები, რომლებიც ხშირად იჩენენ მიდრეკილებას უარჰყონ ეს, ივიწყებენ იმ გიგანტურ ნაბიჯს, რომელიც ჩვენმა მოძრაობამ გადადგა 1894 წლიდან (დაახლოებით) 1901 წლამდე. ეს ნამდვილი «მაჩანჩალები» ხშირად ვერ გასცილებიან მოძრაობის დასაწყისის უკვე დიდი ხნის წინათ განვლილი პერიოდის წარმოდგენებს. მაშინ ჩვენ მართლაც საოცრად მცირე ძალები გვყავდა, მაშინ ბუნებრივი და კანონიერი იყო გადაწყვეტილება — მხოლოდ მუშებში დაგვეწყო მუშაობა და მკაცრად გაგვეკიცხა ყოველგვარი გადახრა ამ გადაწყვეტილებიდან, მაშინ მთელი ამოცანა ის იყო, რომ დავმკვიდრებულიყავით მუშათა კლასში. ახლა მოძრაობაში ჩაბმულია ძალთა გიგანტური მასა, ჩვენთან მოდიან განათლებულ კლასთა ახალი თაობის საუკეთესო წარმომადგენლები, ყველგან ყველა პროვინციაში იძულებული არიან ისხდნენ ადამიანები, რომლებიც უკვე იღებდნენ ან სურთ მიიღონ მონაწილეობა მოძრაობაში, ადამიანები, რომელთაც აქვთ მიდრეკილება სოციალ-დემოკრატიისადმი (მაშინ როცა 1894 წელს თითებზე ჩამოსათვლელი იყვნენ რუსი სოციალ-დემოკრატები). ჩვენი მოძრაობის ერთ-ერთი ძირითადი პოლიტიკური და ორგანიზაციული ნაკლი ის არის, რომ ჩვენ ვერ ვახერხებთ გამოვიყენოთ მთელი ეს ძალები, ყველას შესაფერი სამუშაო გავუჩინოთ (დაწვრილებით ამის შესახებ ჩვენ ლაპარაკი გვექნება შემდგომ თავში). ამ ძალების დიდ უმეტესობას სრულიად არ

* — ჰოი, წმიდაო გულუბრყვილობავ! რედ.

შეუძლია «მუშებთან წასვლა», ასე რომ ჩვენი ძირითადი სამუშაოდან ძალების ჩამოშორების საშიშროებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ხოლო მუშებისთვის ნამდვილი, ყოველმხრივი და ცოცხალი პოლიტიკური ცოდნის მისაწოდებლად აუცილებელია გვყავდეს «ჩვენი ხალხი», სოციალ-დემოკრატები, ყველგან და ყოველ კუთხეში, ყველა საზოგადოებრივ ფენაში, ყველა პოზიციაზე, რომელიც იძლევა იმის ცოდნის შესაძლებლობას, თუ როგორია ჩვენი სახელმწიფო მექანიზმის შინაგანი ზამბარები. და ასეთი ადამიანები საჭირონი არიან არა მხოლოდ პროპაგანდისა და აგიტაციისათვის, არამედ კიდევ უფრო მეტად ორგანიზაციული მხრივ.

არის თუ არა ნიადაგი მოსახლეობის ყველა კლასში მუშაობისათვის? ვინც ამას ვერ ხედავს, ის თავისი შეგნებულობით კვლავ ჩამორჩება მასების სტიქიურ აღმავლობას. მუშათა მოძრაობამ გამოიწვია და ახლაც იწვევს ზოგში უკმაყოფილებას, ზოგში ოპოზიციის მიერ მხარდაჭერის იმედს, ხოლო ზოგში თვითმპყრობელობის არსებობის შეუძლებლობის და მისი დამხობის აუცილებლობის შეგნებას. ჩვენ მხოლოდ სიტყვიერად ვიქნებოდით «პოლიტიკოსები» და სოციალ-დემოკრატები (როგორც ეს ძალიან, ძალიან ხშირად არის ხოლმე სინამდვილეში), რომ არ შეგვეგნო ჩვენი ამოცანა — გამოვიყენოთ უკმაყოფილების ყველა და ყოველგვარი გამოვლინება, შევაგროვოთ და დავამუშაოთ თუნდაც სუსტად ჩასახული პროტესტის ყველა ნამცეცი. იმაზე ხომ აღარაფერს ვამბობთ, რომ მშრომელი გლეხობის, შინამრეწველების, წვრილი ხელოსნებისა და სხვათა მრავალმილიონიანი მასა ყოველთვის ხარბად მოუსმენს ცოტად თუ ბევრად ფხიანი სოციალ-დემოკრატის ქადაგებას. მაგრამ განა შეიძლება დასახელება მოსახლეობის თუნდაც ერთი ისეთი კლასისა, რომელშიც არ მოიპოვებოდნენ ისეთი ადამიანები, ჯგუფები და წრეები, უკმაყოფილონი რომ არ იყვნენ არსებული უუფლებობით და თვითნებობით, და ამიტომ გულდასმით არ უსმენდნენ სოციალ-დემოკრატის, როგორც საერთო-დემოკრატიულ უაღრესად

მომწიფებულ საჭიროებათა გამომხატველის ქადაგებას. ხოლო ვისაც სურს კონკრეტულად წარმოიდგინოს სოციალ-დემოკრატის ასეთი პოლიტიკური აგიტაცია მოსახლეობის ყ ვ ე ლ ა კლასსა და ფენაში, იმას ჩვენ მივუთითებთ პ ო ლ ი ტ ი კ ურ მ ხ ი ლ ე ბ ებ ზ ე ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, როგორც ამ აგიტაციის მთავარ (მაგრამ, რასაკვირველია, არა ერთადერთს) საშუალებაზე.

«ჩვენ ხალხის ცოტად თუ ბევრად შეგნებულ ფენებში, — ვწერდი მე სტატიაში «რით დავიწყოთ?» («ისკრა» № 4, 1904 წ. მაისი), რომელზედაც ჩვენ კიდევ მოგვიხდება ქვემოთ დაწვრილებით საუბარი, — უნდა გავაღვიძოთ მისწრაფება პ ო ლ ი ტ ი კ ურ ი მხილებისადმი. არ უნდა შეგვაკრთოს იმან, რომ ამჟამად პოლიტიკური მხილების ხმები ასე სუსტად, იშვიათად და გაუბედავად გაისმის. ამის მიზეზი სრულებითაც არ არის საყოველთაო შერიგება პოლიციის თვითნებობასთან. მიზეზი ის არის, რომ იმ ადამიანებს, რომელთაც შესწევთ მხილების უნარი და მზად არიან ამხილონ, არა აქვთ ტრიბუნა, საიდანაც შეეძლებათ ლაპარაკი, — არა ჰყავთ აუდიტორია, ორატორების გატაცებით მომსმენი და გამამხნევებელი, — ისინი ვერსად ვერ ხედავენ ხალხში ისეთ ძალას, რომ გარჯად ღირდეს მას მიმართონ ჩვენილით რუსეთის «ყოვლისშემძლე» მთავრობის წინააღმდეგ... ახლა ჩვენ შეგვიძლია და მოვალენიც ვართ შევქმნათ ტრიბუნა მეფის მთავრობის საყოველთაო-სახალხო მხილებისათვის; — ასეთი ტრიბუნა უნდა იყოს სოციალ-დემოკრატიული გაზეთი» *.

სწორედ ასეთ იდეალურ აუდიტორიას პოლიტიკური მხილებისათვის წარმოადგენს მუშათა კლასი, რომელსაც ყოველმხრივი და ცოცხალი პოლიტიკური ცოდნა ესაჭიროება უწინარეს ყოვლისა და უმეტეს ყოვლისა; რომელსაც ყველაზე მეტი უნარი აქვს გადააქციოს ეს ცოდნა აქტიურ ბრძოლად, თუნდაც ეს ბრძოლა მას არავითარ «ხელშესახებ შედეგებს» არ უქადდეს. ს ა ე რ თ ო ს ა ხ ა ლ ხ ო მხილების ტრიბუნად კი შეიძლება იყოს მხოლოდ საერთო რუსეთის გაზეთი. «პოლიტიკური ორგანოს უქონლად თანამედროვე ევროპაში წარმოუდგენელია მოძრაობა, რომელიც ღირსი იქნება პოლიტიკურის სახელწოდებისა». ხოლო რუსეთიც ან

* იხ. ეს ტომი, გვ. 11 — 12. რედ.

მხრივ, უეჭველად, თანამედროვე ევროპას მიეკუთვნება. ბეჭდვითი სიტყვა უკვე დიდი ხანია ძალად იქცა ჩვენში, თორემ მთავრობა არ გაიღებდა მრავალ ათეულ ათას მანეთს მის მოსასყიდად და სხვადასხვა კატკოვებისა და მეშჩერსკებისთვის სუბსიდიების მისაცემად. და არც ახალი ამბავია თვითმპყრობელურ რუსეთში, რომ არალეგალური ბეჭდვითი სიტყვა ამსხვრევდა ცენზურის ურდულებს და ა ი ძ უ ლ ე ბ დ ა აშკარად ელაპარაკნათ მის შესახებ ლეგალურ და კონსერვატიულ ორგანოებს. ასე იყო 70-იან და თვით 50-იან წლებშიც. ხოლო რამდენად უფრო ფართოა და ღრმა ახლა ხალხის ის ფენები, რომლებიც მზად არიან იკითხონ არალეგალური გამოცემანი და ისწავლონ მით, თუ «როგორ იცხოვრონ და როგორ მოკვდნენ», ერთი მუშის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, რომელმაც წერილით მიმართა «ისკრას» (№ 7) [118]. პოლიტიკური მხილება წარმოადგენს სწორედ ისეთსავე ომის გამოცხადებას მ თ ა ვ რ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს, როგორც ეკონომიური მხილება უცხადებს ომს მეფაბრიკეს. და ომის ამ გამოცხადებას მით უფრო დიდი ზნეობრივი მნიშვნელობა აქვს, რაც უფრო ფართო და ძლიერია ეს მამხილებელი კამპანია, რაც უფრო მრავალრიცხოვანია და გაბედული ის საზოგადოებრივი კ ლ ა ს ი, რომელიც ო მ ს ა ც ხ ა დ ე ბ ს, რ ო მ ე ს ო მ ი დ ა ი წ ყ ო ს. პოლიტიკური მხილებანი ამიტომ უკვე თავისთავად წარმოადგენენ ჩვენდამი მტრულად განწყობილი წყობილების დ ა შ ლ ი ს ერთ-ერთ ძლიერ საშუალებას, მტრისაგან მისი დროებითი ან შემთხვევითი მოკავშირეების ჩამოშორების საშუალებას, თვითმპყრობელური ხელისუფლების შუდმივ მონაწილეთა შორის მტრობისა და უნდობლობის დათესვის საშუალებას.

ამჟამად <u>რევოლუციური ძალების</u> ავანგარდად შეუძლია გახდეს მხოლოდ იმ პარტიას, რომელიც მ ო ა წ ყ ო ბ ს მართლაც ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო ს ა ხ ა ლ ხ ო მხილებას. ხოლო ამ სიტყვას: «საყოველთაო სახალხოს» ძალიან დიდი შინაარსი აქვს. მამხილებელთა დიდი უმრავლესობა, არა-მუშათა კლასი-

დან გამოსული (ხოლო ავანგარდი რომ გახდე, სწორედ სხვა კლასები უნდა მიიზიდო), — ფხიზელი პოლიტიკოსები და დინჯი საქმის ხალხია. მათ მშვენივრად იციან, როგორ საფრთხილოა «ჩივილი» დაბალ მოხელეზეც კი, არამცთუ რუსეთის «ყოვლისშემძლე» მთავრობაზე. და ისინი მოგვმართავენ ჩ ვ ე ნ ჩივილით მხოლოდ მაშინ, როცა დაინახავენ, რომ ამ ჩივილს მართლაც შეეძლება გავლენა მოახდინოს, რომ ჩვენ მართლაც პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ძ ა ლ ა ს წარმოვადგენთ. გარეშე პირთა თვალში რომ ასეთ ძალად გავხდეთ, საჭიროა ბევრი და გულმოდგინედ ვიმუშაოთ იმისათვის, რომ ა ვ ა მ ა ღ ლ ო თ ჩვენი შეგნებულობა, ინიციატივა და ენერგია; ამისთვის როდი კმარა «ავანგარდის» იარლიყის ჩამოკიდება არიერგარდის თეორიასა და პრაქტიკაზე.

მაგრამ თუ ჩვენ უნდა ვითავოთ მთავრობის ნამდვილი საყოველთაო სახალხო მხილების მოწყობა, რით გამოიხატება მაშინ ჩვენი მოძრაობის კლასობრივი ხასიათი?—შეგვეკითხება და უკვე გვეკითხება «პროლეტარიატის ბრძოლასთან მჭიდრო ორგანული კავშირის» მეტისმეტად ბეჯითი თაყვანისმცემელი. — რით და აი სწორედ იმით, რომ ამ საყოველთაო სახალხო მხილებას ვაწყობთ ჩვენ, სოციალ-დემოკრატები; — იმით, რომ აგიტაციით აღძრული ყველა საკითხის გაშუქება შესრულებული იქნება განუხრელი სოციალ-დემოკრატიული სულისკვეთებით ისე, რომ ოდხავადაც არავინ დააფარებს ხელს მარქსიზმის შეგნებულად და შეუგნებლად დამახინჯებას; — იმით, რომ ამ ყოველმხრივ პოლიტიკურ აგიტაციას გასწევს პარტია, რომელიც ერთ მჭიდრო მთლიანობად აერთებს მთავრობაზე შეტევასაც მთელი ხალხის სახელით, პროლეტარიატის რევოლუციურად აღზრდასაც, მისი პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაცვასთან ერთად, მუშათა კლასის ეკონომიური ბრძოლის ხელმძღვანელობასაც, ექსპლოატატორებთან მის იმ სტიქიურ შეტაკებათა გამოყენებასაც, რაც ფეხზე აყენებს და ჩვენს ბანაკში იზიდავს პროლეტარიატის ახალ-ახალ ფენებს!

მაგრამ ეკონომიზმის ერთ-ერთი უაღრესად დამახასიათებელი თვისებაა სახელდობრ ამ კავშირის შეუგნებლობა — უფრო მეტი: პროლეტარიატის უაღრესად საარსებო მოთხოვნილებისა (ყოველმხრივი პოლიტიკური აღზრდა პოლიტიკური აგიტაციისა და პოლიტიკური მხილების საშუალებით) და საერთო დემოკრატიული მოძრაობის მოთხოვნილების დამთხვევის შეუგნებლობა. ეს შეუგნებლობა გამოიხატება არა მხოლოდ «მარტინოვისეულ» ფრაზებში, არამედ აგრეთვე ვითომდა კლასობრივი თვალსაზრისის დამოწმებაში, რაც აზრის მიხედვით ამ ფრაზების იგივეობას წარმოადგენს. აი, მაგ., რას ამბობენ ამის შესახებ «ისკრის» მე-12 ნომერში მოთავსებული «ეკონომიური» წერილის ავტორები *: ««ისკრის» იგივე ძირითადი ნაკლი (იდეოლოგიის გადაფასება) წარმოადგენს მისი არათანამიმდევრობის მიზეზს სხვადასხვა საზოგადოებრივი კლასისა და მიმართულებისადმი სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულების საკითხებში. გადაჭრა რა თეორიულ გაანგარიშებათა საშუალებით...» (და არა იმ «პარტიულ ამოცანათა ზრდის საშუალებით, რომლებიც პარტიასთან ერთად იზრდება...») «აბსოლუტიზმის წინააღმდეგ ბრძოლაზე დაუყოვნებლივ გადასვლის ამოცანა და გრძნობს რა, ალბათ, ამ ამოცანის მთელ სიძნელეს მუშებისათვის საქმის დღევანდელ ვითარებაში»... (და არა მარტო გრძნობს, არამედ მშვენივრად იცის, რომ მუშებს ეს ამოცანა უფრო იოლ საქმედ მიაჩნიათ, ვიდრე პაწია ბავშვებზე მზრუნავ «ეკონომიურ» ინტელიგენტებს, ვინაიდან მუშები მზად არიან იბრძოლონ ისეთი მოთხოვნებისთვისაც კი, რომლებიც მათ, დაუვიწყარი

* ადგილის ნაკლებობამ საშუალება არ მოგვცა დაწვრილებით დასაბუთებული პასუხი გაგვეცა «ისკრაში» ეკონომისტებისათვის ამ მეტისმეტად დამახასიათებელ წერილზე. ჩვენ ძალიან გაგვეხარდა მისი გამოქვეყნება, ვინაიდან დიდი ხანია ჩვენამდე აღწევდა ხმები სულ სხვადასხვა მხრიდან, თითქოს «ისკრას» არა აქვს მტკიცე კლასობრივი თვალსაზრისი, და ჩვენ ეუცდიდით მხოლოდ მოხერხებულ შემთხვევას ან გაცვეთილი ბრალდების გარკვეულ ჩამოყალიბებას, რათა პასუხი გაგვეცა მასზე. ხოლო პასუხის გაცემა შემოტევაზე ჩვენ გვჩვევია არა თავდაცვით, არამედ კონტრშეტევით.

მარტინოვის სიტყვით რომ ვთქვათ. არავითარ «ხელშესახებ შედეგებს» არ უქადის)... «მაგრამ არ ჰყოფნის რა მოთმინება ელოდოს ძალების შემდგომ დაგროვებას ამ ბრძოლისათვის, «ისკრა» იწყებს მოკავშირეთა ძებნას ლიბერალებისა და ინტელიგენციის რიგებში»...

დიახ, დიახ, ჩვენ მართლაც უკვე დავკარგეთ ყოველგვარი «მოთმინება» «ველოდოთ» იმ ნეტარ დროს, რასაც დიდი ხანია უკვე დაგვპირდა ათასგვარი «შემარიგებელი», როცა ჩვენი ეკონომისტები თავს დაანებებენ თ ა ვ ი ა ნ თ ი ჩამორჩენილობის გადაბრალებას მუშებზე და თავიანთი ენერგიის ნაკლებობის გამართლებას იმით, თითქოს მუშებს არ შესწევდეთ საკმაო ძალღონე. ვეკითხებით ჩვენს ეკონომისტებს: რაში უნდა მდგომარეობდეს «ძალღონის მოკრება მუშების მიერ ამ ბრძოლისათვის»? განა ცხადი არ არის, რომ ეს უნდა მდგომარეობდეს მუშების პოლიტიკურ აღზრდაში, მათ წინაშე ჩვენი საძაგელი თვითმპყრობელობის ყ ვ ე ლ ა მხარის მხილებაში? და განა ცხადი არ არის, რომ ს წ ო რ ე დ ა მ მ უ შ ა ო ბ ი ს ა თ ვ ი ს გვინდა ჩვენ ის «მოკავშირეები ლიბერალებისა და ინტელიგენციის რიგებში», რომლებიც მზად არიან დაგვეხმარონ ერობელებსა, მასწავლებლებსა, სტატისტიკოსებსა. სტუდენტებსა და სხვებზე პოლიტიკური ლაშქრობის მხილებაში? ნუთუ მართლაც ასე ძნელი გასაგებია ეს საკვირველი «ეშმაკური მექანიკა»? განა პ. ბ. აქსელროდი უკვე 1897 წლიდან არ ჩაგჩიჩინებთ: «რუსი სოციალ-დემოკრატების მიერ არაპროლეტარულ კლასებში მომხრეებისა და პირდაპირ ან არაპირდაპირ მოკავშირეთა შეძენის ამოცანა წყდება უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად თვით პროლეტარიატში პროპაგანდისტული მუშაობის ხასიათის მიხედვით»? ხოლო მარტინოვებს და სხვა ეკონომისტებს საქმე კვლავ ისე წარმოუდგენიათ, თითქოს მუშებმა ჯ ე რ «მეპატრონეებთან და მთავრობასთან ეკონომიური ბრძოლით» უნდ» დააგროვონ ძალები (ტრედ-უნიონისტური პოლიტიკისათვის) და შ ე მ დ ე გ უკვე «გადავიდნენ»,—ალბათ, «აქტიურობის» ტრედ-უნიონისტური «აღზრდიდან» სოციალ-დემოკრატიულ აქტიურობაზე!

«...თავის ძიებებში, — განაგრძობენ ეკონომისტები, — «ისკრა» ხშირად სცილდება კლასობრივ თვალსაზრისს, აფუჩეჩებს კლასობრივ წინააღმდეგობებს და წინა რიგში აყენებს საერთო უკმაყოფილებას მთავრობით, თუმცა ამ უკმაყოფილების მიზეზები და ოდენობა «მოკავშირეებს» ფრიად სხვადასხვანაირი აქვთ. ასეთია, მაგ.. «ისკრის» დამოკიდებულება ერობისადმი»... «ისკრა» თითქოს «მთავრობის ნაბოძები ნამცეცებით დაუკმაყოფილებელ თავადაზნაურებს მუშათა კლასის დახმარებას ჰპირდება და ამავე დროს ერთი სიტყვითაც კი არ ეხება იმას, რომ მოსახლეობის ეს ფენები კლასობრივად ერთიმეორისაგან გათიშული არიან». თუ მკითხველი მიმართავს სტატიებს «თვითმპყრობელობა და ერობა» («ისკრა» №№ 2 და 4), რომლებსაც გულისხმობენ, ალბათ, წერილის ავტორები, დაინახავს, რომ ეს სტატიები* შეეხება მთავრობის დამოკიდებულებას «წოდებრივ-ბიუროკრატიული ერობის რბილი აგიტაციისადმი», «თვით მქონებელ კლასთა თვითმოქმედებისადმი». სტატიაში ნათქვამია, რომ მუშამ გულგრილად არ უნდა უცქიროს მთავრობის ბრძოლას ერობის წინააღმდეგო, და ერობელებსაც მოუწოდებენ თავი გაანებონ რბილ სიტყვებს და მტკიცედ და მკაცრად ალაპარაკდნენ, როცა მთავრობის წინაშე მთელი თავისი სიგრძე-სიგანით წარმოსდგება რევოლუციური სოციალ-დემოკრატია. რას არ ეთანხმებიან აქ წერილის ავტორები? — გაუგებარია. იქნებ ფიქრობენ, რომ მუშა «ვერ მიხვდება» სიტყვებს: «მქონებელი კლასები» და «წოდებრივ-ბიუროკრატიული ერობა»? — ან, იქნებ, ერობელთა შეგულიანება — რბილი სიტყვებიდან მკაცრ სიტყვებზე გადავიდნენ — «იდეოლოგიის გადაფასებაა»? იქნებ ჰგონიათ მათ, რომ მუშებს შეუძლიათ «ძალის დაგროვება» აბსოლუტიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, თუ მათ არ ეცოდინებათ—რანაირია აბსოლუტიზმის

* ხოლო ამ სტატიებს შორის («ისკრის» № 3) მოთავსებული იყო სტატია საგანგებოდ კლასობრივ ანტაგონიზმზე ჩვენს სოფელში. (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 4, გვ. 517 — 527. რედ.)

დამოკიდებულება აგრეთვე ერობისადმი? ყოველივე ეს კვლავ გაუგებარი რჩება. ცხადია მხოლოდ ერთი რამ: ავტორებს ძლიერ ბუნდოვანად აქვთ წარმოდგენილი სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკური ამოცანები. ეს კიდევ უფრო ნათლად ჩანს მათი ფრაზიდან: «ასეთივეა» (ე. ი. აგრეთვე «კლასობრივი ანტაგონიზმის დამაბნელებელი») ««ისკრის» დამოკიდებულება სტუდენტთა მოძრაობისადმიც». იმის ნაცვლად, რომ მოგვეწოდებინა მუშებისათვის საჯარო დემონსტრაციით განაცხადონ, რომ ძალადობის, უწესოებათა და აღვირახსნილობის ნამდვილი კერა სტუდენტობა კი არ არის, არამედ რუსეთის მთავრობა («ისკრა» № 2 *), — ჩვენ, ალბათ, «რაბოჩაია მისლისებური» მსჯელობა უნდა მოგვეთავსებინა! და ასეთს აზრებს გამოთქვამენ სოციალ-დემოკრატები 1901 წლის შემოდგომაზე, თებერვლისა და მარტის ამბების შემდეგ, სტუდენტობის ახალი აღმავლობის წინ, რამაც ნათელჰყო, რომ ამ სფეროშიც თვითმპყრობელობის წინააღმდეგ პროტესტის «სტიქიურობა» წინ უსწრებს ამ მოძრაობის შეგნებულ ხელმძღვანელობას სოციალ-დემოკრატიის მხრივ. მუშების სტიქიური მისწრაფება — გამოესარჩლონ კაზაკებისა და პოლიციის მიერ ნაცემ სტუდენტებს — წინ უსწრებს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შეგნებულ მუშაობას!

«ამავე დროს, სხვა სტატიებში — განაგრძობენ წერილის ავტორები — «ისკრა» სასტიკად ჰკიცხავს ყოველგვარ კომპრომისს და გამოდის, მაგალითად, გედისტების შეუწყნარებელი ქცევის დასაცავად». ჩვენ ვურჩევთ იმ ადამიანებს, რომლებიც ჩვეულებრივ ასე გულდაჯერებით და ასე ფუქსავატურად აცხადებენ თანამედროვე სოციალ-დემოკრატების წრეში არსებული უთანხმოების შესახებ, ეს უთანხმოება არაარსებითია და გათიშვას ვერ ამართლებსო, — კარგად ჩაუფიქრდნენ ამ სიტყვებს. განა შესაძლებელია ერთ ორგანიზაციაში წარმატებით მუშაობა იმ ადამიანებისა, რომლებიც ამბობენ, რომ ჩვენ საოცრად უმნიშვნელო მიღწევები გვაქვს სხვადასხვა კლასი-

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 4, გვ. 510 — 516. რედ.

სადმი თვითმპყრობელობის მტრობის გამორკვევის საქმეში, მუშებისათვის იმ ოპოზიციის გაცნობის საქმეში, რომელსაც თვითმპყრობელობას უწევენ სულ სხვადასხვა ფენები, — და იმ ადამიანებისა, რომლებიც ამ საქმეს «კომპრომისად» თვლიან, ცხადია, კომპრომისად «მეპატრონეებთან და მთავრობასთან ეკონომიური ბრძოლის» თეორიის წინაშე?

ჩვენ ვლაპარაკობდით გლეხთა განთავისუფლების ორმოცი წლისთავის გამო სოფლად კლასობრივი ბრძოლის შეტანის აუცილებლობაზე (№ 3 *) და თვითმმართველობისა და თვითმპყრობელობის შეურიგებლობაზე ვიტეს საიდუმლო ბარათის გამო (№ 4); ჩვენ თავს ვესხმოდით მიწათმფლობელთა ბატონყმობას და მათ მსახურ მთავრობას ახალი კანონის გამო (№ 8 **), მივესალმებოდით ერობის არალეგალურ ყრილობას და ვაქებებდით ერობელებს უკუეგდოთ დამამცირებელი შუამდგომლობანი და დაეწყოთ ბრძოლა (№ 8 ***); — ჩვენ ვაქებებდით სტუდენტებს, რომლებმაც თანდათან შეიგნეს პოლიტიკური ბრძოლის აუცილებლობა და იწყებდნენ ამ ბრძოლას (№ 3), და ამავე დროს ვამათრახებდით «ველურ შეუგნებლობას», რომელიც გამოიჩინეს «მხოლოდ სტუდენტთა» მოძრაობის მომხრეებმა, რომლებიც მოუწოდებდნენ სტუდენტებს არ მიეღოთ მონაწილეობა ქუჩის დემონსტრაციებში (№ 3, მოსკოვის სტუდენტობის აღმასრულებელი კომიტეტის 25 თებერვლის მოწოდების გამო); — ჩვენ ვამხელდით გაზეთ «როსსიას» (№ 5) ლიბერალ ცბიერთა «უაზრო ოცნებებს» და «ცრუ პირფერობას» და იმავე დროს აღვნიშნავდით მთავრობის მხრივ ტანჯვა-წამების გამძაფრებას, «სასტიკად რომ უსწორდებოდა მშვიდობიან ლიტერატორებს, მოხუც პროფესორებსა და მეცნიერთ, ცნობილ ლიბერალ ერობელებს» (№ 5: «პოლიციის თავდასხმა ლიტერატურაზე»); ჩვენ ვამხელდით «მუშების ყოფა-ცხოვრების კე-

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 4, გვ. 517 — 527. რედ.
** იხ. ეს ტომი, გვ. 107 — 114. რედ.
*** იხ. ეს ტომი, გვ. 115 — 117. რედ.

თილმოწყობაზე სახელმწიფოს მზრუნველობის» პროგრამის ნამდვილ მნიშვნელობას და მივესალმებოდით იმის «საგულისხმო აღიარებას», რომ «უმჯობესია ზევიდან გარდაქმნით დავასწროთ ამ გარდაქმნის ქვევიდან მოთხოვნას, ვიდრე დავუცადოთ, სანამ ქვევიდან მოახდენენ ამასო» (№ 6 *); — ჩვენ ვაქებებდით პროტესტანტ-სტატისტიკოსებს (№ 7) და ვკიცხავდით შტრეიკბრეხერ-სტატისტიკოსებს (№ 9). ვინც ამ ტაქტიკაში ხედავს პროლეტარიატის კლასობრივი შეგნების დაბნელებას და კ ო მ პ რ ო მ ი ს ს ლ ი ბ ე რ ა ლ ი ზ მ ი ს ა დ მ ი, — ის ამით ამყღავნებს, რომ სრულიად არ ესმის «Credo»-ს პროგრამის ნამდვილი მნიშვნელობა და de facto ს წ ო რ ე დ ა მ პ რ ო გ რ ა მ ა ს ა ხ ო რ ც ი ე ლ ე ბ ს. რამდენიც უნდა უარჰყოს ის! იმიტომ რომ ს წ ო რ ე დ ა მ ი თ ეწევა ის სოციალ-დემოკრატიას, «ეკონომიური ბრძოლისაკენ მეპატრონეებთან და მთავრობასთან» და ქ ე დ ს ი ხ რ ი ს ლ ი ბ ე რ ა ლ ი ზ მ ი ს წ ი ნ ა შ ე, ხელს იღებს მოვალეობაზე — აქტიურად ჩაერიოს ყ ო ვ ე ლ «ლიბერალურ» საკითხში და გამოარკვიოს თ ა ვ ი ს ი, სოციალ-დემოკრატიული, დამოკიდებულება ამ საკითხისადმი.

3) ერთხელ კიდევ «ცილისმწამებელნი», ერთხელ კიდევ «მისტიფიკატორები»

ეს თავაზიანი სიტყვები ეკუთვნის, როგორც მკითხველს ახსოვს, «რაბოჩეე დელოს». რომელიც ასეთნაირად გვიპასუხებს ჩვენს ბრალდებაზე, რომ ის «არაპირდაპირ ამზადებს ნიადაგს მუშათა მოძრაობის გადაქცევისათვის ბურჟუაზიული დემოკრატიის იარაღად». თავისი გულუბრყვილობით «რაბოჩეე დელომ» იფიქრა, რომ ეს ბრალდება მხოლოდ პოლემიკური ფანდია: ამ ბოროტმა დოგმატიკოსებმა გადაწყვიტეს ყოველგვარი უსიამოვნება მოგვაყენონო: და, მართლაც, რა იქნება იმაზე უფრო არასასიამოვნო, როგორც ბურჟუაზიული დემოკრატიის იარაღად გადაქცევა? და აი იბეჭდება მსხვილი

* იხ. ეს ტომი, გვ. 98 — 99. რ ე დ.

შრიფტით «უარყოფა»: «სრულიად შეულამაზებელი ცილისწამება» («ორი ყრილობა», გვ. 30), «მისტიფიკაცია» (31), «მასკარადი» (33). იუპიტერის მსგავსად, «რაბოჩეე დელო» (თუმცა ის ნაკლებად წააგავს იუპიტერს) წყრება სწორედ იმიტომ, რომ ის არ არის მართალი და თავისი თავდაუჭერელი ლანძღვა-გინებით ამტკიცებს, რომ არ შეუძლია ჩაუფიქრდეს თავისი მოწინააღმდეგეების აზრთა მსვლელობას. და ეს მაშინ, როცა სულ მცირეოდენი დაფიქრებაა საკმარისი იმის გასაგებად, თუ რატომ არის, რომ ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი ქედის მოხრა მასობრივი მოძრაობის სტიქიურობის წინაშე, სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკის ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი დაქვეითება ტრედ-უნიონისტურ პოლიტიკამდე, არის სწორედ ნიადაგის მომზადება მუშათა მოძრაობის გადაქცევისათვის ბურჟუაზიული დემოკრატიის იარაღად. მუშათა სტიქიურ ჰოძრაობას თავისთავად შეუძლია მხოლოდ ტრედ-უნიონიზმის შექმნა (და აუცილებლად ჰქმნის). მუშათა კლასის ტრედ-უნიონისტური პოლიტიკა კი სწორედ მუშათა კლასის ბურჟუაზიული პოლიტიკაა. მუშათა კლასის მონაწილეობა პოლიტიკურ ბრძოლაში და თუნდაც პოლიტიკურ რევოლუციაშიც სრულიადაც არ აქცევს მის პოლიტიკას სოციალ-დემოკრატიულ პოლიტიკად. ხომ არ მოისურვებს «რაბოჩეე დელო» უარჰყოს ეს? ხომ არ მოისურვებს ის, დასასრულ, მოუთხროს ყველას პირდაპირ და მიუკიბ-მოუკიბავად, თუ როგორ ესმის მას საერთაშორისო და რუსეთის სოციალ-დემოკრატიის საჭირბოროტო საკითხები? — ოჰ, არა, ის არასდროს ამის მსგავს რამეს არ მოისურვებს, ვინაიდან მტკიცედ ადგია იმ ხერხს, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ «არა-არას ძახილის» ხერხი. მე, მე არა ვარ, ცხენი ჩემი არ არის, მე მეეტლე არა ვარ. ჩვენ არა ვართ ეკონომისტები, «რაბოჩაია მისლი» არ არის ეკონომიზმი, რუსეთში საერთოდ არ არის ეკონომიზმი. ეს — შესანიშნავად ძარღვე და «პოლიტიკოსური» ხერხია, რომელსაც მხოლოდ ის მცირე უხერხულობა ახლავს თან, რომ იმ

ორგანოებს, რომლებიც მას იყენებენ, მეტსახელად უწოდებენ: «რას ინებებთ?».

«რაბოჩეე დელოს» ჰგონია, რომ საერთოდ ბურჟუაზიული დემოკრატია რუსეთში არის «ფანტომი» («ორი ყრილობა», გვ. 32) *. რა ბედნიერი ხალხია! სირაქლემასავით თავს ფრთის ქვეშ მალავენ და ჰგონიათ, რომ მთელი გარემო ქრება ამის გამო. მთელი რიგი ლიბერალი პუბლიცისტები, რომლებიც ყოველთვიურად აუწყებენ ყველას თავიანთ ზეიმს იმის გამო, რომ მარქსიზმი დაიშალაო და გაქრა კიდევაც; მთელი რიგი ლიბერალური გაზეთები («ს.-პეტერბურგსკიე ვედომოსტი» [120], «რუსსკიე ვედომოსტი» და მრავალი სხვ.), რომლებიც აქეზებენ იმ ლიბერალებს, რომლებსაც შეაქვთ მუშებში კლასობრივი ბრძოლის ბრენტანოსეული გაგება და პოლიტიკის ტრედ-უნიონისტური გაგება; — მთელი წყება მარქსიზმის კრიტიკოსებისა, რომელთა ჭეშმარიტი ტენდენციები ასე კარგად გამოამჟღავნა «Credo»-მ და რომელთა ლიტერატურულ საქონელს აქვს, და მხოლოდ მას აქვს, პრივილეგია უხარკოდ და უბაჟოდ ინავარდოს მთელ რუსეთში; — რევოლუციურ არა სოციალ-დემოკრატიულ მიმართულებათა გამოცოცხლება, განსაკუთრებით თებერვლისა და მარტის ამბების შემდეგ; — ყოველივე ეს, ალბათ, ფანტომია! ყოველივე ამას სრულიად არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან!

«რაბოჩეე დელო», ისევე როგორც «ისკრის» მე-12 ნომერში დაბეჭდილი ეკონომიური წერილის ავტორები, «კარგად

* აქვეა დამოწმება «რუსეთის კონკრეტული პირობებისა, რომლებიც ფაქტალურად უბიძგებენ მუშათა მოძრაობას რევოლუციური გზისკენ». ამ ადამიანებს არ უნდათ გაიგონ, რომ მუშათა მოძრაობის რევოლუციური გზა შეიძლება იყოს არა სოციალ-დემოკრატიული გზაც! აკი მთელი დასავლეთ ევროპის ბურჟუაზია აბსოლუტიზმის დროს «უბიძგებდა», შეგნებულად უბიძგებდა მუშებს რევოლუციური გზისაკენ. ჩვენ კი, სოციალ-დემოკრატებს, არ შეგვიძლია ამით დავკმაყოფილდეთ. და თუ ჩვენ რითიმე ვაქვეითებთ სოციალ-დემოკრატიულ პოლიტიკას სტიქიურ, ტრედ-უნიონისტურ პოლიტიკამდე, ამით ჩვენ სწორედ ბურჟუაზიული დემოკრატიის საქმეს ვაკეთებთ.

უნდა ჩაუფიქრდნენ იმას, თუ რატომ მოხდა, რომ გაზაფხულის ამბებმა რევოლუციურ არა სოციალ-დემოკრატიულ მიმართულებათა ასეთი გამოცოცხლება გამოიწვია, ნაცვლად იმისა, რომ სოციალ-დემოკრატიის ავტორიტეტისა და პრესტიჟის გაძლიერება გამოეწვია»? — იმიტომ, რომ ჩვენ არ აღმოვჩნდით მოწოდების სიმაღლეზე, მუშათა მასების აქტიურობა ჩვენს აქტიურობაზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ჩვენ არ აღმოგვაჩნდნენ საკმაოდ მომზადებული რევოლუციური ხელმძღვანელები და ორგანიზატორები, რომლებსაც მშვენივრად ეცოდინებოდათ განწყობილება ყველა ოპოზიციური ფენისა და შეეძლებოდათ მოძრაობის სათავეში ჩადგომა, სტიქიური დემონსტრაციის პოლიტიკურ დემონსტრაციად გადაქცევა, მისი პოლიტიკური ხასიათის გაფართოება და სხვ. ასეთ პირობებში ჩვენი ჩამორჩენილობით აუცილებლად ისარგებლებენ უფრო მოძრავი, უფრო ენერგიული არა სოციალ-დემოკრატი რევოლუციონერები; და მუშები, რაგინდ თავგანწირვით და ენერგიულად ებრძოდნენ პოლიციას და ჯარს, რაგინდ რევოლუციურად გამოვიდნენ, მაინც ისეთ ძალად დარჩებიან, რომელიც გაამაგრებს ამ რევოლუციონერებს, დარჩებიან ბურჟუაზიული დემოკრატიის არიერგარდად და არა სოციალ-დემოკრატიულ ავანგარდად. აიღეთ გერმანიის სოციალ-დემოკრატია, რომლისაგან ჩვენს ეკონომისტებს უნდათ გადმოიღონ მხოლოდ მისი სუსტი მხარეები. რატომ არის, რომ ა რ ც ე რ თ ი პოლიტიკური მოვლენა ისე არ ჩაივლის გერმანიაში, რომ სოციალ-დემოკრატიის ავტორიტეტისა და პრესტიჟის უფრო და უფრო მეტად გაძლიერებაზე არ იმოქმედოს? იმიტომ, რომ სოციალ-დემოკრატია მუდამ ყველას უსწრებს წინ ამ მოვლენის ყველაზე უფრო რევოლუციურად შეფასებაში, თვითნებობის წინააღმდეგ ყოველგვარი პროტესტის გამოსარჩლებაში. ის ნანას არ უმღერის თავის თავს იმაზე მსჯელობით, თითქოს ეკონომიური ბრძოლა შეაჯახებს მუშებს მათი უუფლებობის საკითხს, ხოლო კონკრეტული პირობები ფატალურად უბიძგებენ მუშათა მოძრაობას რევოლუციური გზი-

საკენ. გერმანიის სოციალ-დემოკრატია ერევა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროსა და ყველა საკითხში, — იმ საკითხშიც, რომ ეილჰელმმა ქალაქის თავად არ დაამტკიცა ბურჟუაზიული პროგრესისტი (ჩვენმა ეკონომისტებმა ჯერ კიდევ ვერ მოასწრეს გაეანათლებინათ გერმანელები, რომ, არსებითად, ეს არის კომპრომისიო ლიბერალიზმისადმი!), იმ საკითხშიც, რომელიც შეეხება კანონის გამოცემას «უზნეო» თხზულებათა და სურათების წინააღმდეგ, პროფესორების არჩევაზე მთავრობის ზეგავლენის საკითხშიც და სხვ. და სხვ. ისინი ყველას უსწრებენ წინ, აღვივებენ პოლიტიკურ უკმაყოფილებას ყველა კლასში, აღვიძებენ მძინარეთ, ამხნევებენ ჩამორჩენილებს, იძლევიან ყოველნაირ მასალას პროლეტარიატის პოლიტიკური შეგნებისა და პოლიტიკური აქტიურობის გასავითარებლად. და ყოველივე ამის შედეგი ის არის, რომ სოციალიზმის შეგნებული მტრებიც კი პატივისცემის გრძნობით იმსჭვალებიან მოწინავე პოლიტიკური მებრძოლისადმი, და ხშირად რომელიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტი არამცთუ ბურჟუაზიული, არამედ ბიუროკრატიული და მეფის კარის სფეროებიდანაც რაღაც სასწაულით ამოჰყოფს თავს «Vorwärts»-ის სარედაქციო კაბინეტში.

აი სად არის ახსნა იმ ვითომდა «წინააღმდეგობისა», რომელიც იმ ზომამდე აღემატება «რაბოჩეე დელოს» შეგნების უნარს, რომ ის მხოლოდ ხელებს აღაპყრობს ცად და გაჰყვირის: «მასკარადიო»! წარმოიდგინეთ მართლაც: ჩვენ, «რაბ. დელო», ქვაკუთხედად ვაყენებთ მუშათა მასობრივ მოძრაობას (და ვბეჭდავთ ამას მსხვილი შრიფტით!), ყველასა და თვითეულს ვაფრთხილებთ — არ შეამცირონ სტიქიური ელემენტის მნიშვნელობა, გვინდა მივცეთ თვით, თვით, თვით ეკონომიურ ბრძოლას პოლიტიკური ხასიათი, გვინდა დავრჩეთ მჭიდრო და ორგანულ კავშირში პროლეტარიატის ბრძოლასთან! ჩვენ კი გვეუბნებიანო, რომ ვამზადებთ ნიადაგს მუშათა მოძრაობის ბურჟუაზიული დემოკრატიის იარაღად გადაქცევისათვის. და მერე ვინ ამბობს ამას?

ის ადამიანები, რომელნიც «კომპრომისს» სდებენ ლიბერალიზმთან, ერევიან ყოველ «ლიბერალურ» საკითხში (რა შეუგნებლობაა «ორგანული კავშირისა პროლეტარიატის ბრძოლასთან»!), ესოდენ დიდ ყურადღებას აქცევენ სტუდენტებსაც და (ჰოი, საშინელებავ!) ერობის მუშაკებსაც კი! ადამიანები, რომელთაც საერთოდ უნდათ თავიანთი ძალების (ეკონომისტებთან შედარებით) მეტი პროცენტი გამოჰყონ მოსახლეობის არაპროლეტარულ კლასთა შორის მუშაობისათვის! «მასკარადია» ეს, მაშ რა არის??

საბრალო «რაბ. დელო»! შესძლებს კი ოდესმე ამ რთული მექანიკის გაგებას?

IV

ეკონომისტების კუსტარულობა და რევოლუციონერების ორგანიზაცია

ჩვენს ზიერ ზემოთ განხილული «რაბოჩეე დელოს» მტკიცებანი, რომ ეკონომიური ბრძოლა არის პოლიტიკური აგიტაციის ყველაზე ფართოდ გამოსაყენებელი საშუალება, რომ ახლა ჩვენი ამოცანაა — მივცეთ თვით ეკონომიურ ბრძოლას პოლიტიკური ხასიათი და სხვ., ეს მტკიცებანი გამოხატავენ არა მარტო ჩვენი პოლიტიკური, არამედ აგრეთვე ჩვენი ორგანიზაციული ამოცანების ვიწროდ გაგებას. «მეპატრონეებთან და მთავრობასთან ეკონომიური ბრძოლისათვის» სრულებით საჭირო არ არის — და ამიტომ ასეთ ბრძოლაში არც შეიძლება გამომუშავდეს, — საერთო რუსეთის ცენტრალიზებული ორგანიზაცია, რომელიც ერთ საერთო შეტევად გააერთიანებს პოლიტიკური ოპოზიციის, პროტესტისა და აღშფოთების ყველა და ყოველგვარ გამოხატულებას, ორგანიზაცია, შემდგარი პროფესიონალი რევოლუციონერებისაგან, რომელსაც მთელი ხალხის ნამდვილი პოლიტიკური ბელადები უხელმძღვანელებენ. და ეს გასაგებიცაა. ყოველგვარი დაწესებულების ორგანიზაციის ხასიათი ბუნებრივად და

აუცილებლად განისაზღვრება ამ დაწესებულების მუშაობის შინაარსით. ამიტომ «რაბოჩეე დელო» თავისი ზემოთ განხილული მტკიცებით ადასტურებს და აკანონებს არა მარტო პოლიტიკური მუშაობის სივიწროვეს, არამედ ორგანიზაციული მუშაობის სივიწროვესაც. და ამ შემთხვევაშიც, ისე როგორც ყოველთვის, იგი წარმოადგენს ორგანოს, რომლის შეგნებულობა ქედს იხრის სტიქიურობის წინაშე. ხოლო ქედის მოხრა ორგანიზაციის ისეთი ფორმების წინაშე, რომლებიც სტიქიურად ყალიბდება, იმის შეუგნებლობა, თუ რამდენად ვიწრო და პრიმიტიულია ჩვენი ორგანიზაციული მუშაობა, თუ ჯერ კიდევ რანაირი «კუსტარები» ვართ ჩვენ ამ მნიშვნელოვან სფეროში, ამის შეუგნებლობა, ვამბობ მე, ჩვენი მოძრაობის ნამდვილ სენს წარმოადგენს. ეს არის არა დაცემის სენი, არამედ ზრდის სენი, თავისთავად ცხადია. მაგრამ სწორედ ახლა, როცა, შეიძლება ითქვას, სტიქიური აღშფოთების ტალღები გვწვდება ჩვენ, როგორც მოძრაობის ხელმძღვანელებსა და ორგანიზატორებს, — სწორედ ახლა არის განსაკუთრებით აუცილებელი უაღრესად შეურიგებელი ბრძოლა ჩამორჩენილობის ყოველგვარი დაცვის წინააღმდეგ, ამ საქმეში შეზღუდულობის ყოველნაირი დაკანონების წინააღმდეგ, — განსაკუთრებით აუცილებელია გავაღვიძოთ თვითეულში, ვინც კი მონაწილეობას იღებს პრაქტიკულ მუშაობაში ან ახლა აპირებს მოჰკიდოს ხელი ასეთ მუშაობას, უკმაყოფილება ჩვენში გაბატონებული კუსტარულობის გამო და ურყევი გადაწყვეტილება — თავი დააღწიოს მას.

ა) რა არის კუსტარულობა?

ვცადოთ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა 1894 — 1901 წლების ტიპიური სოციალ-დემოკრატიული წრის მუშაობის პატარა სურათის წარმოდგენით. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ამ პერიოდის მოსწავლე ახალგაზრდობის საყოველთაო გატაცება მარქსიზმით. ეს გატაცება მიეკუთვნებოდა, რასაკვირველია, არა მხოლოდ და არა იმდენად მარქსიზმს, როგორც თეორიას, არამედ

პასუხს კითხვაზე: «რა ვაკეთოთ?», მოწოდებას მტერზე გასალაშქრებლად. და ახალი მებრძოლნი ლაშქრობაში მიდიოდნენ საოცრად პირველყოფილი იარაღითა და მომზადებით. უმეტეს შემთხვევაში არც ყოფილა თითქმის არავითარი შეიარაღება და სრულიად არავითარი მომზადება. მიდიოდნენ ომში, როგორც მიწის მხვნელი გლეხები, მარტო კეტი ეკავათ ხელში. სტუდენტების წრე კავშირურთიერთობას ამყარებს მუშებთან და საქმეს ჰკიდებს ხელს ისე, რომ არავითარი კავშირი არა აქვს ძოძრაობის ძველ მოღვაწეებთან, არავითარი კავშირი არა აქვს არამცთუ სხვა ადგილებში, არამედ ქალაქის სხვა ნაწილებში (ან სხვა სასწავლებლებში) არსებულ წრეებთანაც კი, სრულიად მოუწყობელია რევოლუციური მუშაობის ცალკე ნაწილები, მუშაობის არავითარი სისტემატური გეგმა არ მოეპოვება რამდენადმე ხანგრძლივი პერიოდისთვის მაინც. წრე თანდათან აჩაღებს უფრო და უფრო ფართო პროპაგანდასა და აგიტაციას, თავისი გამოსვლის ფაქტით იპყრობს მუშების საკმაოდ ფართო ფენების თანაგრძნობას, განათლებული საზოგადოების ზოგიერთი ნაწილის თანაგრძნობას, — საზოგადოების, რომელიც აწვდის ფულს «კომიტეტს» და მას განკარგულებაში აძლევს ახალგაზრდობის სულ ახალსა და ახალ ჯგუფებს. იზრდება კომიტეტის (ან ბრძოლის კავშირის) ძიძზიდველობა, იზრდება მისი მუშაობის გაქანება, და ისიც აფართოებს ამ მუშაობას სრულიად სტიქიურად: იგივე ადამიანები, რომლებიც ერთი წლის ან რამდენიმე თვის წინათ გამოდიოდნენ სტუდენტების წრეებში და სწყვეტდნენ საკითხს: «საით წავიდეთ?», რომლებიც აბამდნენ და ამაგრებდნენ კავშირს მუშებთან, ამზადებდნენ და უშვებდნენ ფურცლებს, ახლა კავშირს იჭერენ რევოლუციონერების სხვა ჯგუფებთან, შოულობენ ლიტერატურას, ხელს ჰკიდებენ ადგილობრივი გაზეთის გამოცემას, იწყებენ ლაპარაკს დემონსტრაციის გამართვაზე, დასასრულ, აშკარა საომარ მოქმედებაზე გადადიან (მასთან ასეთი აშკარა საომარი მოქმედება, გარემოებათა მიხედვით, შეიძლება იყოს პირველივე სააგიტაციო ფურცელიც, გაზეთის პირველივე ნომერიც

და პირველივე დემონსტრაციაც). და ჩვეულებრივ ამ საომარი მოქმედების პირველსავე ნაბიჯებს დაუყოვნებლივ მოსდევს თან სრული მარცხი. დაუყოვნებლივ და სრული სწორედ იმიტომ, რომ ეს საომარი მოქმედებანი ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლის სისტემატური, წინასწარ მოფიქრებული და თანდათან მომზადებული გეგმის შედეგს კი არ წარმოადგენენ, არამედ მხოლოდ ტრადიციულად წარმოებული წრეობრივი მუშაობის სტიქიური ზრდის შედეგს; იმიტომ რომ პოლიციამ, ბუნებრივია, თითქმის ყოველთვის იცოდა, ვინ იყო ადგილობრივი მოძრაობის ყველა მთავარი მუშაკი, რომელთაც ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს «ისახელეს თავი». და ის მხოლოდ ელოდებოდა უფრო ხელსაყრელ მომენტს მათზე თავდასასხმელად, განგებ აცლიდა ხოლმე წრეს საკმაოდ გაზრდილიყო და გაეშალა მუშაობა, რათა უფრო ხელშესახები corpus delicti * შეექმნა, და განზრახ სტოვებდა მუდამ რამდენსამე შენიშნულ პირს «მოსაშენებლად» (ამ ტექნიკურ გამოთქმას ხმარობენ, რამდენადაც ვიცი, ჩვენებიც და ჟანდარმებიც). ასეთი ომი არ შეიძლება არ შევადაროთ ყეტებით შეიარაღებულ გლეხთა ბრბოების ლაშქრობას თანამედროვე ჯარის წინააღმდეგ. და უნდა გვიკვირდეს მხოლოდ სიცოცხლისუნარიანობა მოძრაობისა, რომელიც ფართოვდებოდა, იზრდებოდა და იმარჯვებდა მიუხედავად იმისა, რომ მებრძოლთ სრულიად არ გააჩნდათ მომზადება. მართალია, ისტორიული თვალსაზრისით, საჭურველის პრიმიტიულობა არამცთუ აუცილებელი იყო თავდაპირველად, არამედ კანონიერიც, როგორც მებრძოლთა ფართოდ მიზიდვის ერთ-ერთი პირობა. მაგრამ დაიწყო თუ არა სერიოზული საომარი მოქმედება (ის კი, არსებითად, დაიწყო უკვე 1896 წლის ზაფხულის გაფიცვებით), — ჩვენი სამხედრო ორგანიზაციის ნაკლოვანებანი სულ უფრო საგრძნობი გახდა. პირველ ხანებში მთავრობა დაიბნა და მთელი რიგი შეცდომები ჩაიდინა (როგორც იყო, მაგ., საზოგადოებისადმი მიმართვა;

* — დანაშაულის შემადგენლობა. რ ე დ.

სოციალისტების ბოროტმოქმედებათა აღწერით ანდა მუშების გადასახლება დედაქალაქებიდან პროვინციის სამრეწველო ცენტრებში), მაგრამ მალე შეეგუა ბრძოლის ახალ პირობებს და შესძლო საჭირო ადგილებში ჩაეყენებინა ყოველგვარი გაუმჯობესებული მოწყობილობით შეიარაღებული თავისი რაზმები პროვოკატორების, ჯაშუშებისა და ჟანდარმებისა. დარბევები ისე გახშირდა, იმდენ ხალხს ეხებოდა და იმდენად ანადგურებდა ადგილობრივ წრეებს, რომ მუშათა მასა სრულიად კარგავდა ყველა ხელმძღვანელს, მოძრაობა წარმოუდგენლად ნახტომისებურ ხასიათს იღებდა და აბსოლუტურად შეუძლებელი ხდებოდა მუშაობაში რაიმე თანამომდევნობისა და შეთანხმებულობის დამყარება. ადგილობრივ მუშაკთა საოცარი დაქსაქსულობა, წრეების შემადგენლობის შემთხვევითი ხასიათი, მოუმზადებლობა და ვიწრო ჰორიზონტი თეორიული, პოლიტიკური და ორგანიზაციული საკითხების სფეროში აღნიშნული პირობების აუცილებელ შედეგს წარმოადგენდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ზოგიერთ ადგილას მუშები, ჩვენი სიმტკიცისა და კონსპირაციის ნაკლებობის გამო, უნდობლობით იმსჭვალებიან ინტელიგენციის მიმართ და გაურბიან მას: ინტელიგენტებს, ამბობენ ისინი, მეტისმეტად წინდაუხედავად მივყავართ მარცხისაკენო!

ეს კუსტარულობა ბოლოს ყველა მოაზროვნე სოციალ-დემოკრატმა რომ ისე შეიგრძნო, როგორც სენი, — ყველამ იცის, ვინც კი რაოდენადმე მაინც იცნობს მოძრაობას. ხოლო ამ მოძრაობას გაუცნობელმა მკითხველმა რომ არ იფიქროს, რომ ჩვენ ხელოვნურად «ვაშენებთ» მოძრაობის განსაკუთრებულ სტადიას ან განსაკუთრებულ სენს, — დავიმოწმებთ ერთხელ უკვე მოხსენებულ მოწმეს. ნურავინ გვისაყვედურებს გრძელი ამონაწერისათვის.

«თუ უფრო ფართო პრაქტიკულ მუშაობაზე თანდათან გადასვლა, — წერს ბ—ვი «რაბოჩეე დელოს» მე-6 ნომერში, — პირდაპირ დამოკიდებული საერთო გარდამავალ ხანაზე, რომელსაც რუსეთის მუშათა მოძრაობა განიცდის, წარმოადგენს დამახასიათებელ ნიშანს... მაშინ არის კიდევ მეორე

არანაკლებ საინტერესო ნიშანი რუსეთის მუშათა რევოლუციის საერთო მექანიზმში. ჩვენ ვლაპარაკობთ მოქმედებისათვის გამოსადეგ რევოლუციურ ძალთა იმ საერთო ნაკლებობაზე*, რომელიც საგრძნობი გახდა არა მხოლოდ პეტერბურგში, არამედ მთელ რუსეთშიც. მუშათა მოძრაობის საერთო გამოცოცხლებასთან, მუშათა მასის საერთო განვითარებასთან, გაფიცვათა შემთხვევების სულ უფრო გახშირებასთან, მუშების აშკარა მასობრივი ბრძოლის უფრო და უფრო გახშირებასთან ერთად, რაც აძლიერებს მთავრობის მხრივ დევნას, დაპატიმრებას, გადასახლებას და განდევნას, სულ უფრო შესამჩნევი ხდება ხარისხობრივად მაღალი რევოლუციური ძალების ეს ნაკლებობა და, უეჭველია, გავლენას ახდენს მოძრაობის სიღრმესა და მის საერთო ხასიათზე. მრავალი გაფიცვა ისე იმართება, რომ არა ჩანს რევოლუციური ორგანიზაციების ძლიერი და უშუალო ზეგავლენა... საგრძნობია საagიტაციო ფურცლებისა და არალეგალური ლიტერატურის ნაკლებობა... მუშათა წრეები უაgიტატორებოდ რჩებიან... ამასთან ერთად შესამჩნევია ფულადი სახსრების მუდმივი გაჭირვება. ერთი სიტყვით, მუშათა მოძრაობის ზრდა წინუსწრებს რევოლუციური ორgანიზაციების ზრდასა და gანვითარებას. მოქმედ რევოლუციონერთა არსებული შემადgენლობა მეტად მცირეა იმისათვის, რომ თავის ხელში მოაქციოს gავლენა მთელს აბობოქრებულ მუშათა მასაზე, რომ ყველა მღელვარებას თუნდაც სიმწყობრისა და შეkავშრებულობის ელფერი მისცეს... ცალkეული წრეები, ცალkეული რევოლუციონერები არ არიან შეkრებილნი, gაერთიანებულნი, არ შეადgენენ ერთიანს, ძლიერსა და დისciპლინიან ორgანიზაციას ' gეgმაშეზომილად gანვითარებული ნაწილებით»... ავტორი შენიშნავს, რომ ახალი წრეების დაუყოვნებელი წარმოშობა, განადgურებულთა ადgილას, «ამkიცებს მხოლოდ მოძრაობის ცხოველუნარიანობას... მაgრამ ეს კიდევ არ gვიჩვენებს სრულიად gამოსადეg რევოლუციურ მოღვაწეთა საკმაო რიცხვის არსებობას» და დაასkვნის: «პეტერბურgელ რევოლუციონერთა პრაkტიkული მოუმზადებლობა მათი მუშაობის შედეgებსაც ემჩნევა. უkანასkნელი პროcესები, gანსkუთრებით «თვითgანთავისუფლებისა» და «kაპიტალთან შრომის ბრძოლის» [121] ჯgუფებისა, ცხადkყოფს, რომ ახალgაზრდა აgიტატორს, რომელიც დაწერილებით არ იცნობს შრომის პირობებს და, მაშასადამე, არც აgიტაციის პირობებს ამა თუ იმ kარხანაში, არ იცნობს kონსპირაციის პრინciპებს და სოciალ-დემოkრატიის მხოლოდ საერთო შეხედულებანი შეუთვისებია» (შეუთვისებია kი?), «ასეთ ახალgაზრდა აgიტატორს შეუძლია რაღაც 4, 5, 6 თვეს იმუშაოს. შემდეg მას აპატიმრებენ, რასაც ხშირად თან სდევს მთელი ორgანიზაციის ან ყოველ შემთხვევაში მისი ნაწი-

* ხაზgასმა ყველgან ჩვენია.

ლის განადგურება. კითხვა იბადება, შესაძლებელია თუ არა ჯგუფის წარმატებითი და ნაყოფიერი მუშაობა, თუ ამ ჯგუფის არსებობა თვეებით განისაზღვრება?.. ცხადია, არსებული ორგანიზაციების ნაკლოვანებანი არ შეიძლება მთლად გარდამავალ ხანას მივაწეროთ... ცხადია, მოქმედი ორგანიზაციების რიცხობრივი და, უმთავრესად, ხარისხობრივი შემადგენლობა აქ მცირემნიშვნელოვან როლს როდი ასრულებს, და ჩვენი სოციალ-დემოკრატების პირველ ამოცანას... უნდა შეადგენდეს ორგანიზაციების რეალური გაერთიანება და ამასთან წევრთა გულდასმით შერჩევა».

ბ) კუსტარულობა და ეკონომიზმი

ახლა ჩვენ უნდა შევჩერდეთ საკითხზე, რომელიც, ალბათ, თვითეულ მკითხველს უკვე ებადება თავში. შეიძლება თუ არა ეს კუსტარულობა, როგორც ზრდის სენი, რომელიც მთელ მოძრაობას ახასიათებს, დავუკავშიროთ ეკონომიზმს, როგორც რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთ მიმდინარეობას? ჩვენ ვფიქრობთ, შეიძლება. პრაქტიკული მოუმზადებლობა, ორგანიზაციული მუშაობის უცოდინარობა მართლაც ყველა ჩვენგანს ახასიათებს, და ჩვენთან ერთად იმათაც, ვინც თავიდანვე მტკიცედ იდგა რევოლუციური მარქსიზმის თვალსაზრისზე. და მარტო ეს მოუმზადებლობა რომ ავიღოთ, ამისათვის, რა თქმა უნდა, ვერავინ ბრალს ვერ დასდებდა პრაქტიკოსებს. მაგრამ მოუმზადებლობის გარდა «კუსტარულობის» ცნებაში შედის კიდევ სხვა რაღაც: საერთოდ მთელი რევოლუციური მუშაობის ვიწრო გაქანება, გაუგებლობა იმისა, რომ ამ ვიწრო სამუშაოზე ვერ ჩამოყალიბდება რევოლუციონერთა კარგი ორგანიზაცია, დასასრულ — და ეს მთავარია — ცდა ამ სივიწროვის გამართლებისა და მისი ცალკე «თეორიად» მიჩნევისა, ე. ი. სტიქიურობის წინაშე ქედის მოხრა ამ სფეროშიც. რახან ასეთი ცდები გამოაშკარავდა, — უკვე უეჭველი გახდა, რომ კუსტარულობა ეკონომიზმთან არის დაკავშირებული, და ჩვენ ვერ დავაღწევთ თავს ჩვენი ორგანიზაციული მუშაობის სივიწროვეს, თუ თავი არ დავაღწიეთ ეკონომიზმს საერთოდ

(ე. ი. როგორც მარქსიზმის თეორიის, ისე სოციალ-დემოკრატიის როლისა და მისი პოლიტიკური ამოცანების ვიწროდ გაგებას). ხოლო ეს ცდები გამოაშკარავდა ორი მიმართულებით. ზოგნი ამბობდნენ: მუშათა მასას ჯერ კიდევ თვითონ არ წამოუყენებია ისეთი ფართო და საბრძოლო პოლიტიკური ამოცანები, რომლებსაც მას «თავს ახვევენ» რევოლუციონერები, მან ჯერ კიდევ უ ა ხ ლ ო ე ს ი პოლიტიკური მოთხოვნებისთვის უნდა იბრძოლოს, უნდა აწარმოოს «ეკონომიური ბრძოლა მეპატრონეებთან და მთავრობასთან» * (ხოლო მასობრივი მოძრაობისთვის ამ «მისაწვდომ» ბრძოლას ბუნებრივად შეესაბამება თვით სრულებით მოუმზადებელი ახალგაზრდობისთვის «მისაწვდომი» ორგანიზაცია). სხვები, ყოველგვარ «თანდათანობას» დაშორებულნი, ამბობდნენ: შესაძლებელია და უნდა «მოვახდინოთ პოლიტიკური რევოლუცია», მაგრამ ამისათვის არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს რევოლუციონერთა მტკიცე ორგანიზაციის შექმნა, რომელიც წვრთნის პროლეტარიატს მედგარი და შეუპოვარი ბრძოლით; ამისთვის საკმარისია ყველამ ხელი დავავლოთ ჩვენთვის «მისაწვდომ» და უკვე ნაცნობ კეტს. თუ ალეგორიებს არ მივმართავთ და ისე ვიტყვით — საკმარისია მოვაწყოთ საყოველთაო გაფიცვა **, ანდა «ექსციტატიური ტერორის» *** საშუალებით გავაცხოველოთ მუშათა მოძრაობის «მოდუნებული» მსვლელობა. ორივე ეს მიმართულება, ოპორტუნისტებიც და «რევოლუციონისტებიც», ქედს იხრიან გაბატონებული კუსტარულობის წინაშე, არ სწამთ მისგან განთავისუფლების შესაძლებლობა, არ ესმით ჩვენი უპირველესი და ფრიად უცილობელი პრაქტიკული ამოცანა: შექმნა რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ნ ე რ თ ა ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ი ს ა, რომელსაც

* «რაბოჩაია მისლი» და «რაბოჩეე დელო», განსაკუთრებით «პასუხი» პლეხანოვს.

** ბროშურა: «ვინ მოახდენს პოლიტიკურ რევოლუციას?» — რუსეთში გამოცემულ კრებულში: «პროლეტარული ბრძოლა». ხელახლა გამოსცა აგრეთვე კიევის კომიტეტმა.

*** «რევოლუციონიზმის აღორძინება» და «სვობოდა».

უნარი ექნება უზრუნველჰყოს პოლიტიკური ბრძოლის ენერგია, სიმტკიცე და თანამომდევნობა.

ჩვენ ახლა მოვიყვანეთ ბ—ვის სიტყვები: «მუშათა მოძრაობის ზრდა წინ უსწრებს რევოლუციური ორგანიზაციების ზრდასა და განვითარებას». «ახლო მეთვალყურის» ამ «საგულისხმო ცნობას» («რაბოჩეე დელოს» რედაქციის აზრი ბ—ვის სტატიაზე) ჩვენთვის ორმაგი ღირებულება აქვს. ის ცხადჰყოფს, რომ ჩვენ მართალი ვიყავით, როცა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის თანამედროვე კრიზისის ძირითად მიზეზად ვთვლიდით ხელმძღვანელების («იდეოლოგების», რევოლუციონერების, სოციალ-დემოკრატების) ჩამორჩენილობას მასების სტიქიური აღმავლობისაგან. ის გვიჩვენებს, რომ კუსტარულობის სწორედ ქებადიდებას და დაცვას წარმოადგენს ეკონომიური წერილის ავტორების («ისკრის» № 12-ში), ბ. კრიჩევსკისა და მარტინოვის მთელი ეს მსჯელობა სტიქიური ელემენტისა და უბრალო მიმდინარე ბრძოლის მნიშვნელობის დამცირების საშიშროებაზე, ტაქტიკა-პროცესზე და სხვ. ეს ადამიანები, რომელთაც არ შეუძლიათ სხვანაირად წარმოთქვან სიტყვა: «თეორეტიკოსი», თუ არა ტუჩის აკვრით, რომლებიც «ცხოვრების ალღოს» უწოდებენ თავიანთ მუხლმოდრეკას ცხოვრებისთვის მოუმზადებლობისა და განუვითარებლობის წინაშე, სინამდვილეში ჩვენი ფრიად უცილობელი პრაქტიკული ამოცანების სრულ უცოდინარობას იჩენენ. ჩამორჩენილებს მისძახიან: მიჰყევით ფეხდაფეხ! არ გაუსწროთ! ადამიანებს, რომლებსაც აკლიათ ენერგია და ინიციატივა ორგანიზაციულ მუშაობაში, აკლიათ «გეგმები» საქმის ფართოდ და გაბედულად დაყენებისათვის, მისძახიან «ტაქტიკა-პროცესის» შესახებ! ჩვენი ძირითადი ნაკლია ჩვენი პოლიტიკური და ორგანიზაციული ამოცანების დაქვეითება მიმდინარე ეკონომიური ბრძოლის უახლოეს, «ხელშესახებ», «კონკრეტულ» ინტერესებამდე, — ჩვენ კი გვიმღერიან: თვით ეკონომიურ ბრძოლას უნდა მიეცეს პოლიტიკური ხასიათი! ერთხელ კიდევ: ეს სიტყვასიტყვით ისეთივე «ცხოვრების

ალღოა», რომელსაც იჩენდა ხალხური ეპოსის გმირი, საგლოვიარო პროცესიის დანახვაზე რომ ყვიროდა: «ეს ერთი და სხვა ათასიო!».

მოიგონეთ, როგორი შეუდარებელი, ჭეშმარიტად «ნარცისისებური» ქედმაღლობით ასწავლიდნენ ეს ბრძენნი პლეხანოვს: «მუშათა წრეებისთვის საერთოდ (sic!) მიუწვდომელია პოლიტიკური ამოცანები ამ სიტყვის ნამდვილი, პრაქტიკული მნიშვნელობით, ე. ი. პოლიტიკური მოთხოვნებისათვის მიზანშეწონილი და წარმატებითი პრაქტიკული ბრძოლის მნიშვნელობით» («„რაბოჩეე დელოს» რედაქციის პასუხი», გვ. 24). წრეებიც არის და წრეებიც, ბატონებო! «კუსტარების» წრისათვის, რა თქმა უნდა, მიუწვდომელია პოლიტიკური ამოცანები, ვიდრე ამ კუსტარებს არ შეუგნიათ თავიანთი კუსტარულობა და თავი არ დაუღწევიათ მისთვის. ხოლო თუ კუსტარები ამასთანავე შეყვარებულიც არიან თავიანთ კუსტარულობაზე, თუ ისინი სიტყვას «პრაქტიკულს» უსათუოდ ხაზგასმით წერენ და ფიქრობენ, რომ პრაქტიკულობა მოითხოვს საკუთარი ამოცანების ჩამოქვეითებას მასის ყველაზე ჩამორჩენილი ფენების შეგნების დონემდე, — მაშინ, რაღა თქმა უნდა, ეს კუსტარები უიმედონი არიან, და მათთვის, მართლაც, საერთოდ მიუწვდომელია პოლიტიკური ამოცანები. მაგრამ ისეთი კორიფეების წრისთვის, როგორიც იყვნენ ალექსეევი და მიშკინი, ხალტურინი და ჟელიაბოვი, მისაწვდომია პოლიტიკური ამოცანები ამ სიტყვის სავსებით ნამდვილი, სავსებით პრაქტიკული მნიშვნელობით, მისაწვდომია სწორედ იმიტომ და იმდენად, რამდენადაც მათი მხურვალე ქადაგება გამოძახილს პოულობს მასაში, რომელიც სტიქიურად იღვიძებს, რამდენადაც მათ დაუცხრომელ ენერგიას ერთვის და მხარს უჭერს რევოლუციური კლასის ენერგია. პლეხანოვი ათასჯერ მართალი იყო, როცა მან არამცთუ მიუთითა ამ რევოლუციურ კლასზე, არამცთუ დაამტკიცა ამ კლასის სტიქიური გამოღვიძების აუცილებლობა და გარდუვალობა, არამედ «მუშათა წრეების» წინაშე მაღალი და უდიდესი პოლიტიკური ამოცა-

ნაც კი დააყენა. თქვენ კი მას აქეთ წარმოშობილ მასობრივ მოძრაობას იმოწმებთ იმისათვის, რომ დ ა ა ქ ვ ე ი თ ო თ ეს ამოცანა, — იმისათვის, რომ შ ე კ ვ ე ც ო თ «მუშათა წრეების» მუშაობის ენერგია და გაქანება. რა არის ეს, თუ არა კუსტარის მიერ თავისი კუსტარულობის შეყვარება? თქვენ იკვეხნით თქვენს პრაქტიკულობას, ხოლო ვერ ხედავთ იმ, ყველა რუსი პრაქტიკოსისათვის ცნობილ ფაქტს, თუ რა სასწაულები შეუძლია მოახდინოს რევოლუციურ საქმეში არათუ წრის, არამედ ცალკე პიროვნების ენერგიასაც. ან იქნებ თქვენ ფიქრობთ, რომ ჩვენს მოძრაობაში არ შეიძლება იყოს ისეთი კორიფეები, როგორიც 70-იან წლებში იყვნენ? ვითომ რატომაო? იმიტომ რომ ჩვენ ნაკლებ მომზადებულნი ვართ? მაგრამ ჩვენ ვემზადებით, განვაგრძობთ მომზადებას და მოვემზადებით კიდეც! მართალია, «მეპატრონეებთან და მთავრობასთან ეკონომიური ბრძოლის» დამყაყებულ წყალს, ჩვენდა საუბედუროდ, ხავსი მოედო, გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც მუხლს იდრეკენ და ლოცულობენ სტიქიურობაზე, მოკრძალებით მისჩერებიან რა (პლეხანოვის თქმით) რუსეთის პროლეტარიატის «უკანა მხარეს». მაგრამ ჩვენ შევძლებთ თავი დავაღწიოთ ამ ხავსს. სწორედ ახლა რუს რევოლუციონერს, ჭეშმარიტად რევოლუციური თეორიით რომ ხელმძღვანელობს და ეყრდნობა ჭეშმარიტად რევოლუციურ კლასს, რომელიც სტიქიურად იღვიძებს, შეუძლია, ბოლოს და ბოლოს — ბოლოს და ბოლოს! — მთელი თავისი ახოვანებით გაიმართოს წელში და გაშალოს მთელი თავისი ბუმბერაზული ძალები. ამისთვის საჭიროა მხოლოდ, რომ ჩვენი პრაქტიკოსების მასაში და იმ ადამიანთა კიდევ უფრო დიდ მასაში, რომლებიც ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის დროიდან ოცნებობენ პრაქტიკულ მუშაობაზე, ჩვენი პოლიტიკური ამოცანებისა და ჩვენი ორგანიზაციული მუშაობის გაქანების დამცირების ყოველგვარ განზრახვას დაცინვითა და ზიზღით ხვდებოდნენ. და ჩვენც მივაღწევთ ამას, დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, ბატონებო!

სტატიაში «რით დავიწყოთ?» მე ვწერდი «რაბ. დელოს» წინააღმდეგ: «24 საათში შეიძლება შეცვალო აგიტაციის ტაქტიკა რაიმე სპეციალურ საკითხზე, პარტიული ორგანიზაციის რაიმე დეტალის გატარების ტაქტიკა, მაგრამ 24 საათში კი არა, თუნდაც 24 თვეში შეცვლა თავისი შეხედულებისა იმაზე, საჭიროა თუ არა საზოგადოდ, მუდამ და უსათუოდ მებრძოლი ორგანიზაცია და პოლიტიკური აგიტაცია მასაში,—შეუძლიათ მხოლოდ ყოვლად უპრინციპო ადამიანებს» *. «რაბ. დელო» გვიპასუხებს: ««ისკრის» ეს ერთადერთი ბრალდება, რომელსაც ფაქტიური ხასიათის პრეტენზია აქვს, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. «რაბ. დელოს» მკითხველებმა კარგად იციან, რომ ჩვენ თავიდანვე არამცთუ მოვუწოდებდით პოლიტიკური აგიტაციისათვის ჯერ კიდევ «ისკრის» გაჩენამდე»... (ამასთანავე ვამბობდით, რომ არა მარტო მუშათა წრეებმა, «არამედ მასობრივმა მუშათა მოძრაობამაც შეუძლებელია უპირველეს პოლიტიკურ ამოცანად დაისახოს აბსოლუტიზმის დამხობა». არამედ მხოლოდ ბრძოლა უახლოესი პოლიტიკური მოთხოვნებისათვის, და რომ «უახლოესი პოლიტიკური მოთხოვნები მისაწვდომი ხდება მასისათვის ერთი ან, უკიდურეს შემთხვევაში, რამდენიმე გაფიცვის შემდეგ»)... «და ჩვენი გამოცემებითაც ვაწვდიდეთ საზღვარგარეთიდან რუსეთში მოქმედ ამხანაგებს ერთადერთ სოციალ-დემოკრატიულ პოლიტიკურ-საგიტაციო მასალას»... (ამასთანავე თქვენ ამ ერთადერთ მასალაში არამცთუ ყველაზე ფართოდ ეწეოდით პოლიტიკურ აგიტაციას მხოლოდ ეკონომიური ბრძოლის ნიადაგზე, არამედ, ბოლოს, იქამდეც კი მიხვედით, რომ წარმოიდგინეთ, თითქოს ეს შეკვეცილი აგიტაცია «ყველაზე უფრო ფართოდ გამოსაყენებელია». და თქვენ ვერც კი ამჩნევთ, ბატონებო, რომ თქვენი არგუმენტაცია ამტკიცებს სწორედ «ისკრის» გამოსვლის აუცილებელ საჭიროებას — ასეთნაირი ერთადერთი მასალის არსებობი-

* იხ. ეს ტომი, გვ. 6—7. რედ.

სას — და «რაბ. დელოსთან» «ისკრის» ბრძოლის აუცილებლობას?)... «მეორე მხრივ, ჩვენი საგამომცემლო მუშაობა სინამდვილეში პარტიის ტაქტიკურ ერთიანობას ამზადებდა»... (იმ რწმენის ერთიანობას, რომ ტაქტიკა არის იმ პარტიულ ამოცანათა ზრდის პროცესი, რომელნიც პარტიასთან ერთად იზრდებიან? საგულისხმო ერთიანობა კია!)... «და ამით «მებრძოლი ორგანიზაციის» შესაძლებლობას, რომლის შესაქმნელად კავშირი ყველაფერს აკეთებდა, რაც კი მისაწვდომი იყო საზღვარგარეთული ორგანიზაციისთვის» («რაბ. დელო» № 10, გვ. 15). ამაოდ ცდილობთ თავის მართლებას! რომ თქვენ ყველაფერს აკეთებდით, რაც თქვენთვის მისაწვდომი იყო, ამის უარყოფა მე არასოდეს ფიქრადაც არ მომსვლია. მე ვამტკიცებდი და ვამტკიცებ მხოლოდ, რომ თქვენთვის «მისაწვდომის» ფ ა რ გ ლ ე ბ ი ვიწროვდება თქვენი გაგების სიბეცით. სასაცილოა ლაპარაკიც კი «მებრძოლ ორგანიზაციაზე» «უახლოესი პოლიტიკური მოთხოვნებისთვის» საბრძოლველად ან «მეპატრონეებთან და მთავრობასთან ეკონომიური ბრძოლისათვის».

მაგრამ თუკი მკითხველს სურს დაინახოს კუსტარულობაზე «ეკონომიური» შეყვარებულობის თვალ-მარგალიტები, ის. ცხადია, ეკლექტიკურ და უხერხემლო «რაბოჩეე დელოდან» თანამიმდევარ და გაბედულ «რაბოჩაია მისლზე» უნდა გადავიდეს. «ახლა ორიოდე სიტყვა თვით ეგრეთწოდებული რევოლუციური ინტელიგენციის შესახებ, — წერდა რ. მ. «ცალკე დამატებაში», გვ. 13, — ამ ინტელიგენციამ, მართალია, არა ერთხელ დაგვანახვა საქმით თავისი სრული მზადყოფნა, «მედგრად შებმოდა ცარიზმს». მთელი უბედურება მხოლოდ ის არის, რომ პოლიტიკური პოლიციის მიერ სასტიკად დევნილ ჩვენს რევოლუციურ ინტელიგენციას ამ პოლიტიკურ პოლიციასთან ბრძოლა თვითმპყრობელობასთან პოლიტიკური ბრძოლა ეგონა. ამიტომაც არის, რომ მისთვის დღესაც არ არის გარკვეული საკითხი, «სად ვიპოვოთ ძალები თვითმპყრობელობასთან საბრძოლველად?»».

ხომ მართალია, რა შეუდარებელია პოლიციასთან ბრძოლის ეს საუცხოო უგულებელყოფა ს ტ ი ქ ი უ რ ი მოძრაობის თაყვანისმცემლის მხრივ (თაყვანისმცემლისა ცუდი მნიშვნელობით)? ის მზად არის ჩვენი კონსპირაციული უუნარობა გ ა ა მ ა რ თ ლ ო ს იმით, რომ ჩვენთვის, სტიქიური მასობრივი მოძრაობის დროს, მნიშვნელოვანი არც კია, არსებითად, ბრძოლა პოლიტიკურ პოლიციასთან!! ამ განსაცვიფრებელ დასკვნას ძალიან, ძალიან ცოტანი თუ დაეთანხმებიან: იმ ზომამდე მომწიფდა ყველასთვის ჩვენი რევოლუციური ორგანიზაციების ნაკლოვანებათა საკითხი. მაგრამ ამ დასკვნას, თუ, მაგალითად, მარტინოვი არ დაეთანხმება, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მას არ შეუძლია ან გამბედაობა არ შესწევს ბოლომდე მოისაზროს თავისი დებულებანი. მართლაცდა, განა ისეთი «ამოცანა», როგორიცაა მასის მიერ ისეთ კონკრეტულ მოთხოვნათა წამოყენება, რომელნიც ხელშესახებ შედეგებს გვიქადის, მოითხოვს განსაკუთრებულ მზრუნველობას რევოლუციონერთა მტკიცე, ცენტრალიზებული, მებრძოლი ორგანიზაციის შექმნისათვის? განა ამ «ამოცანას» არ ახორციელებს ისეთი მასაც, რომელიც სრულებითაც არ «ებრძვის პოლიტიკურ პოლიციას»? უფრო მეტი: განა შესაძლებელი იქნებოდა ამ ამოცანის შესრულება, თითო-ოროლა ხელმძღვანელების გარდა მისთვის ხელი რომ არ მიეყოთ აგრეთვე (დიდი უმრავლესობით) ისეთ მუშებსაც, რომელთაც სრულებითაც არ შესწევთ უ ნ ა რ ი «ებრძოლონ პოლიტიკურ პოლიციას»? ასეთ მუშებს, მასის საშუალო ადამიანებს, შეუძლიათ გამოიჩინონ უდიდესი ენერგია და თავგანწირვა გაფიცვაში, ქუჩის ბრძოლაში პოლიციასთან და ჯართან, შეუძლიათ (და მხოლოდ მათ შეუძლიათ) გ ა დ ა ს წ ყ ვ ი ტ ო ნ მთელი ჩვენი მოძრაობის ბედი, — მაგრამ სწორედ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ პოლიციასთან ბრძოლა მოითხოვს განსაკუთრებულ თვისებებს, მოითხოვს პ რ ო ფ ე ს ი ო ნ ა ლ რევოლუციონერებს. და ჩვენც უნდა ვიზრუნოთ არა მხოლოდ იმისთვის, რომ მასამ «წამოაყენოს» კონკრეტული მოთხოვნები, არამედ იმისთვისაც, რომ მუშების მასამ რაც შეიძლება მეტი რაო-

დენობით «წამოაყენოს» ასეთი პროფესიონალი რევოლუციონერები. ამრიგად, ჩვენ მივადექით პროფესიონალ რევოლუციონერთა ორგანიზაციასა და წმინდა მუშათა მოძრაობას შორის თანაფარდობის საკითხს. ეს საკითხი საკმაოდ არ გაშუქებულა ლიტერატურაში, მაგრამ ის დიდად გვიტაცებდა ჩვენ, «პოლიტიკოსებს», კამათისა და დავის დროს იმ ამხანაგებთან, რომლებიც ცოტად თუ ბევრად «ეკონომიზმისკენ» იხრებიან. ამიტომ ღირს ამ საკითხზე განსაკუთრებით შევჩერდეთ. მაგრამ ჯერ ერთი ციტატის მოყვანით დავამთავროთ ჩვენი დებულების დასურათება ეკონომიზმთან კუსტარულობის კავშირის შესახებ.

««შრომის განთავისუფლების» ჯგუფი—წერდა ბ-ნი NN [122] თავის «პასუხში», — მოითხოვს პირდაპირ ბრძოლას მთავრობასთან, იმის გაუთვალისწინებლად, თუ სად არის მატერიალური ძალა ამ ბრძოლისთვის, იმის აღუნიშნავად, თუ ს ა დ ა რ ი ს ა მ ბ რ ძ ო ლ ი ს გ ზ ე ბ ი». და, როცა ხაზს უსვამს უკანასკნელ სიტყვებს, ავტორი სიტყვას «გზები» ასეთ შენიშვნას უკეთებს: «ამ გარემოების ახსნა არ შეიძლება კონსპირაციული მიზნებით, რადგან პროგრამაში ლაპარაკია არა შეთქმულებაზე, არამედ მ ა ს ო ბ რ ი ვ მ ო ძ რ ა ო ბ ა ზ ე. მასას კი საიდუმლო გზებით სიარული არ შეუძლია. განა შეიძლება საიდუმლო გაფიცვა? განა შეიძლება საიდუმლო მანიფესტაცია ან პეტიცია?» («Vademecum»-ი, გვ. 59.) ავტორი უშუალოდ მიადგა ამ «მატერიალურ ძალასაც» (გაფიცვებისა და მანიფესტაციების მომწყობნი) და ბრძოლისთვის საჭირო «გზებსაც», მაგრამ ის მაინც დაბნეულობამ და შეშფოთებამ მოიცვა, ვინაიდან ის «ქედს იხრის» მასობრივი მოძრაობის წინაშე, ე. ი. ამ მოძრაობას უცქერის როგორც ისეთ რამეს, რაც გ ვ ა თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ს ჩვენი, რევოლუციური, აქტიურობისაგან, და არა როგორც ისეთ რამეს, რომელმაც უნდა გაგვამხნეოს და ბ ი ძ გ ი მისცეს ჩვენს რევოლუციურ აქტიურობას. საიდუმლო გაფიცვა არ შეიძლება იმათთვის, ვინც მონაწილეობას იღებს მასში ან უშუალო კავშირი აქვს მასთან. მაგრამ რუსი მუშების მასისთვის ეს გაფიცვა შეიძ-

ლება დარჩეს (და უმეტეს შემთხვევაში კიდევაც რჩება) «საიდუმლოდ», ვინაიდან მთავრობა იზრუნებს შეუძლებელი გახადოს ყოველგვარი კავშირი გაფიცულებთან, იზრუნებს შეუძლებელი გახადოს რაიმე ცნობების გავრცელება გაფიცვის შესახებ. აი აქ უკვე საჭიროა სპეციალური «ბრძოლა პოლიტიკურ პოლიციასთან», ბრძოლა, რომელსაც ვერასოდეს ვერ აწარმოებს აქტიურად ისეთივე ფართო მასა, როგორიც მონაწილეობას იღებს გაფიცვაში. ეს ბრძოლა უნდა მოაწყონ «ხელოვნების ყველა წესის მიხედვით» იმ ადამიანებმა, რომელნიც პროფესიულად ეწევიან რევოლუციურ მოღვაწეობას. ამ ბრძოლის ორგანიზაცია ნ ა კ ლ ე ბ ა დ ს ა ჭ ი რ ო არ გამხდარა იმის გამო, რომ მოძრაობაში სტიქიურად ებმის მასა. პირიქით, ამის გამო ორგანიზაცია უ ფ რ ო მ ე ტ ა დ ს ა ჭ ი რ ო ხდება, ვინაიდან ჩვენ, სოციალისტები, ვერ შევასრულებდით ჩვენს პირდაპირ მოვალეობებს მასის წინაშე, თუ ვერ შევძლებდით ხელი შეგვეშალა პოლიციისთვის საიდუმლო გაეხადა (ხოლო ზოგჯერ თვითონაც არ მოგვემზადებინა საიდუმლოდ) ყოველგვარი გაფიცვა და ყოველგვარი მანიფესტაცია. ხოლო ამას ჩვენ შ ე ვ ძ ლ ე ბ თ სწორედ იმიტომ, რომ მასა, რომელიც სტიქიურად იღვიძებს, ა გ რ ე თ ე თ ა ვ ი ს წ რ ი დ ა ნ ა ც წ ა მ ო ა ყ ე ნ ებს სულ უფრო მეტ «პროფესიონალ რევოლუციონერებს» (თუ ჩვენ არ მოვინდომებთ წარამარა მოვუხმოთ მუშებს ერთი და იგივე ადგილი ტკეპნონ).

ბ) მუშების ორგანიზაცია და რევოლუციონერების ორგანიზაცია

თუ სოციალ-დემოკრატისთვის პოლიტიკური ბრძოლის ცნებას ამოსწურავს ცნება «ეკონომიური ბრძოლა მეპატრონეებთან და მთავრობასთან», ბუნებრივია მოველოდეთ, რომ ცნება «რევოლუციონერების ორგანიზაცია» მისთვის ცოტად თუ ბევრად ამოიწურება ცნებით: «მუშების ორგანიზაცია». და ეს მართლაც ხდება, ასე რომ, როცა ორგანიზაციაზე ვლა-

პარაკობთ, გამოდის, რომ ჩვენ სრულიად სხვადასხვა ენაზე ვლაპარაკობთ. თითქოს ამ წუთში ყოფილიყოს, ისე მახსოვს, მაგალითად, საუბარი ერთ საკმაოდ თანამიმდევარ ეკონომისტთან, რომელსაც წინათ არ ვიცნობდი. სიტყვა ჩამოვარდა ბროშურაზე: «ვინ მოახდენს პოლიტიკურ რევოლუციას?», და ჩვენ მალე შევთანხმდით იმაზე, რომ ამ ბროშურის ძირითადი ნაკლია ორგანიზაციის საკითხის უგულებელყოფა. ჩვენ უკვე გვეგონა, რომ ვეთანხმებით ერთმანეთს — მაგრამ... როცა საუბარი განვაგრძეთ, გამოირკვა, რომ სხვადასხვა რამეზე ვლაპარაკობდით. ჩემი თანამოსაუბრე ამტყუნებს ავტორს საგაფიცვო სალაროების, ურთიერთდამხმარე საზოგადოებების და სხვა ასეთის უგულებელყოფისათვის, მე კი მხედველობაში მქონდა რევოლუციონერთა ორგანიზაცია, რომელიც აუცილებელია პოლიტიკური რევოლუციის «მოსახდენად». და, როგორც კი გამოაშკარავდა ეს უთანხმოება,— ამის შემდეგ უკვე აღარ მახსოვს, რომ ოდესმე ამ ეკონომისტს საერთოდ დავთანხმებოდი რაიმე პრინციპულ საკითხში!

რა იყო ჩვენი უთანხმოების წყარო? სწორედ ის, რომ ეკონომისტებს მუდამ ერევათ გზა და სოციალ-დემოკრატიზმიდან ტრედ-უნიონიზმზე გადადიან ორგანიზაციულ, ისე როგორც პოლიტიკურ, ამოცანებშიც. სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკური ბრძოლა გაცილებით უფრო ფართო და რთულია, ვიდრე მუშების ეკონომიური ბრძოლა მეპატრონეებსა და მთავრობასთან. სწორედ ასევე (და ამის გამო) ასეთი ბრძოლისთვის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანიზაცია აუცილებლად ს ხ ვ ა ნ ა ი რ ი უნდა იყოს, ვიდრე მუშების ორგანიზაცია. მუშების ორგანიზაცია, ჯერ-ერთი, უნდა იყოს პროფესიული; მეორეც, იგი უნდა იყოს რაც შეიძლება უფრო ფართო; მესამე, იგი უნდა იყოს რაც შეიძლება ნაკლებ კონსპირაციული (თავისთავად ცხადია, მე აქ და ქვემოთაც ვგულისხმობ მხოლოდ თვითმპყრობელურ რუსეთს). პირიქით, რევოლუციონერების ორგანიზაცია უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად უნდა აერთიანებდეს ისეთ ადამიანებს, რომელთა პროფესიას რევოლუციური მუშაობა

შეადგენს (ამიტომაც ვლაპარაკობ მე რევოლუციონერების ორგანიზაციაზე, ვგულისხმობ რა რევოლუციონერ-სოციალ-დემოკრატებს). ასეთი ორგანიზაციის წევრთა საერთო ნიშნის წინაშე სრულიად უნდა გაქრეს მუშებისა და ინტელიგენტების ყოველგვარი განსხვავება, მათი ცალკე პროფესიების განსხვავებაზე რომ აღარ ვილაპარაკოთ. ეს ორგანიზაცია აუცილებლად უნდა იყოს არა ძლიერ ფართო და რაც შეიძლება უფრო კონსპირაციული. შევჩერდეთ ამ სამგვარ განსხვავებაზე.

იმ ქვეყნებში, სადაც პოლიტიკური თავისუფლებაა, პროფესიული და პოლიტიკური ორგანიზაციის განსხვავება სრულიად აშკარაა, ისე როგორც აშკარაა ტრედ-უნიონებსა და სოციალ-დემოკრატიას შორის არსებული განსხვავება. რა თქმა უნდა, უკანასკნელთა დამოკიდებულება პირველებისადმი სხვადასხვა ქვეყანაში აუცილებლად იცვლება ისტორიული, იურიდიული და სხვა პირობების მიხედვით, — ეს დამოკიდებულება შეიძლება იყოს ცოტად თუ ბევრად მჭიდრო, რთული და სხვ. (ჩვენი თვალსაზრისით, იგი უნდა იყოს რაც შეიძლება მჭიდრო და რაც შეიძლება ნაკლებ რთული), მაგრამ თავისუფალ ქვეყნებში პროფესიული კავშირების ორგანიზაციის და სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანიზაციის დამთხვევაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. რუსეთში კი თვითმპყრობელობის უღელი, ერთი შეხედვით, ყოველგვარ განსხვავებას სპობს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციასა და მუშათა კავშირს შორის, ვინაიდან ყოველგვარი მუშათა კავშირი და ყოველგვარი წრე აკრძალულია, ვინაიდან მუშების ეკონომიური ბრძოლის მთავარი გამოხატულება და იარაღი — გაფიცვა — წარმოადგენს საზოგადოდ სისხლის სამართლის დანაშაულს (ზოგჯერ კი პოლიტიკურსაც!). ამგვარად, ჩვენი პირობების მეოხებით, ერთი მხრივ, ეკონომიურ ბრძოლაში ჩაბმული მუშები ძალიან «ეჯახებიან» პოლიტიკურ საკითხებს, ხოლო, მეორე მხრივ, სოციალ-დემოკრატები «ეჯახებიან» ტრედ-უნიონიზმისა და სოციალ-

დემოკრატიზმის ერთმანეთში არევას (და ჩვენი კრიჩევსკები, მარტინოვები და კომპ., როცა გულმოდგინედ ლაპარაკობენ პირველგვარ «შეჯახებაზე», ვერ ამჩნევენ მეორეგვარ «შეჯახებას»). მართლაც, წარმოიდგინეთ ადამიანები, რომელნიც 99 მეასედით ჩაბმულან «ეკონომიურ ბრძოლაში მეპატრონეებსა და მთავრობასთან». ზოგი მათგანი მათი მუშაობის მ თ ე ლ ი პერიოდის განმავლობაში (4 — 6 თვე) ერთხელაც არ შეეჯახება საკითხს რევოლუციონერების უფრო რთული ორგანიზაციის აუცილებლობის შესახებ; სხვები, შესაძლებელია, «შეეჯახონ» შედარებით გავრცელებულ ბერნშტეინულ ლიტერატურას, რომლიდანაც გამოიტანენ «უბრალო მიმდინარე ბრძოლის წინმსვლელობის» უაღრესი მნიშვნელობის რწმენას. მესამენი, ბოლოს, შეიძლება გაიტაცოს მაცთურმა იდეამ — აჩვენონ ქვეყანას «პროლეტარულ ბრძოლასთან მჭიდრო და ორგანიზაციული კავშირის» ახალი ნიმუში, პროფესიული და სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის კავშირის ნიმუში. რაც უფრო გვიან გამოდის ქვეყანა კაპიტალიზმის და, მაშასადამე, მუშათა მოძრაობის ასპარეზზეც, — შეუძლიათ იმსჯელონ ასეთ ადამიანებს, — მით უფრო მეტ მონაწილეობას მიიღებენ სოციალისტები პროფესიულ მოძრაობაში და მხარს დაუჭერენ მას, მით უფრო ნაკლები შეიძლება იყოს და უნდა იყოს არა სოციალ-დემოკრატიული პროფესიული კავშირები. აქამდე ასეთი მსჯელობა სავსებით სწორია, მაგრამ უბედურება ის არის, რომ უფრო შორს მიდიან და ოცნებობენ სოციალ-დემოკრატიზმისა და ტრედ-უნიონიზმის სრულს შეერთებაზე. ჩვენ ახლავე «ს.-პეტერბურგის ბრძოლის კავშირის» წესდების მაგალითით დავინახავთ, თუ რა მავნედ მოქმედებს ეს ოცნება ჩვენს ორგანიზაციულ გეგმებზე.

მუშების ეკონომიური ბრძოლის ორგანიზაციები პროფესიული ორგანიზაციები უნდა იყვნენ. ყოველი სოციალ-დემოკრატი მუშა შეძლებისდაგვარად ხელს უნდა უწყობდეს და აქტიურად მუშაობდეს ამ ორგანიზაციებში. ეს ასეა. მაგრამ ჩვენს ინტერესს სრულებითაც არ შეადგენს მოვითხოვოთ,

რომ «ამქრული» კავშირების წევრებად მარტო სოციალ-დემოკრატები იყვნენ: ეს შეზღუდავდა ჩვენს გავლენას მასაზე. დაე ამქრულ კავშირში მონაწილეობა მიიღოს ყოველმა მუშამ, რომელსაც ესმის გაერთიანების აუცილებლობა მეპატრონეებსა და მთავრობასთან საბრძოლველად. თვით ამქრული კავშირების მიზანი მიუღწეველი იქნებოდა, ისინი რომ არ აერთიანებდნენ ყველას, ვინც კი შეგნების ამ ელემენტარულ საფეხურამდე მაინც მისულა, ეს ამქრული კავშირები რომ მეტად ფ ა რ თ ო ორგანიზაციები არ იყვნენ. და რაც უფრო ფართოა ეს ორგანიზაციები, მით უფრო ფართო იქნება ჩვენი გავლენაც მათზე, გავლენა, რომელსაც ახდენს არა მარტო ეკონომიური ბრძოლის «სტიქიური» განვითარება, არამედ აგრეთვე კავშირის სოციალისტ წევრთა პირდაპირი, შეგნებული ზემოქმედებაც ამხანაგებზე. მაგრამ ორგანიზაციის ფართო შემადგენლობის დროს მკაცრი კონსპირაცია (რომელიც გაცილებით მეტ მომზადებას მოითხოვს, ვიდრე ეს საჭიროა ეკონომიურ ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად) შეუძლებელია. როგორ შევათანხმოთ ეს წინააღმდეგობა ფართო შემადგენლობის აუცილებლობასა და მკაცრ კონსპირაციას შორის? როგორ მივაღწიოთ იმას, რომ ამქრული ორგანიზაციები რაც შეიძლება ნაკლებ კონსპირაციული იყვნენ? ამისათვის, საერთოდ რომ ვთქვათ, შეიძლება იყოს მხოლოდ ორი **გზა:** ან ამქრული კავშირების ლეგალიზაცია (რაც ზოგიერთ ქვეყანაში წინ უსწრებდა სოციალისტური და პოლიტიკური კავშირების ლეგალიზაციას), ან შენარჩუნება ფარული, მაგრამ იმდენად «თავისუფალი», ნაკლებად ჩამოყალიბებული, lose, როგორც გერმანელები ამბობენ, ორგანიზაციისა, რომ წევრთა მასისთვის კონსპირაცია თითქმის სრულიად მოისპოს.

რუსეთში მუშათა არა სოციალისტური და არა პოლიტიკური კავშირების ლეგალიზაცია უკვე დაიწყო, — და ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენი სწრაფად მზარდი სოციალ-დემოკრატიული მუშათა მოძრაობის თვითეული ნაბიჯი გაამრავლებს და წააქეზებს ამ ლეგალიზაციის ცდას, რაც უმთავრესად მომდინარეობს არსებული წყობილების მომხრეთაგან.

ნაწილობრივ კი თვითონ მუშებისა და ლიბერალური ინტელიგენციისაგანაც. ლეგალიზაციის დროშა უკვე ააფრიალეს ვასილიევებმა და ზუბატოვებმა, მის ხელის შეწყობას უკვე დაპირებული არიან და უწყობენ კიდეც ბატონი ოზეროვები და ვორმსები, მუშებს შორის უკვე არიან ახალი მიმდინარეობის მომხრეები. და ამიერიდან ჩვენ აღარ შეგვიძლია ანგარიში არ გავუწიოთ ამ მიმდინარეობას. თუ როგორ გავუწიოთ ანგარიში,—ამის შესახებ სოციალ-დემოკრატებს შორის არა გვგონია ორი აზრი არსებობდეს. ჩვენ ვალდებული ვართ განუხრელად ვამხილოთ ზუბატოვებისა და ვასილიევების, ჟანდარმებისა და ხუცების ყოველგვარი მონაწილეობა ამ მიმდინარეობაში და განვუმარტოთ მუშებს ამ მონაწილეთა ჭეშმარიტი განზრახვანი. ჩვენ ვალდებული ვართ აგრეთვე ვამხილოთ ყოველგვარი შემარიგებელი, «ჰარმონიული» კილო, რომელიც თავს იჩენს ლიბერალურ მოღვაწეთა სიტყვებში მუშების ღია კრებებზე, — სულ ერთია, ამ კილოს ისინი იღებენ გულწრფელი რწმენით, რომ სასურველია კლასთა მშვიდობიანი თანამშრომლობა, თუ სურვილით, რომ მთავრობის გული მოიგონ, ან, ბოლოს, უბრალო უხერხულობის გამო. დასასრულ, ჩვენ ვალდებული ვართ გავაფრთხილოთ მუშები, რომ პოლიცია მათ ხშირად მახეს უგებს, ზვერავს რა «გულმხურვალე ადამიანებს» ამ ღია კრებებზე და ნებადართულ საზოგადოებებში, ცდილობს ლეგალური ორგანიზაციების საშუალებით შეიყვანოს პროვოკატორები არალეგალურ ორგანიზაციებშიც.

მაგრამ ყოველივე ამის კეთება სრულიადაც არ ნიშნავს იმის დავიწყებას, რომ ბოლოს და ბოლოს მუშათა მოძრაობის ლეგალიზაცია სწორედ ჩვენ მოგვიტანს სარგებლობას და სრულიადაც არა ზუბატოვებს. პირიქით, სწორედ ჩვენი მამხილებელი კამპანიით ვწმენდთ ხორბლის ჯეჯილს ღვარძლისაგან. ღვარძლი ჩვენ უკვე აღვნიშნეთ. ხორბალი — ეს არის მუშათა კიდევ უფრო ფართო და ყველაზე ჩამორჩენილი ფენების ყურადღების მიპყრობა სოციალური და პოლიტიკური საკითხებისადმი, ეს არის ჩვენი, რევოლუციონერების,

განთავისუფლება ისეთი ფუნქციებისაგან, რომლებიც არსებითად ლეგალურია (ლეგალურია წიგნების გავრცელება, ურთიერთდახმარება და სხვ.) და რომელთა განვითარება აუცილებლად მოგვცემს უფრო და უფრო მეტ მასალას აგიტაციისათვის. ამ აზრით ჩვენ შეგვიძლია და კიდეც უნდა ვუთხრათ ზუბატოვებსა და ოზეროვებს: ეცადეთ, ბატონებო, ეცადეთ! რამდენადაც თქვენ მუშებს მახეს უგებთ (პირდაპირი პროვოკატორობით თუ «სტრუვიზმით» მუშების «პატიოსნად» გარყვნის აზრით) — ჩვენ უკვე ვეცდებით თქვენს გამოყვანას სააშკარაოზე. რამდენადაც თქვენ ნამდვილ ნაბიჯს დგამთ წინ, — თუნდაც ძალზე «გაუბედავი ზიგზაგის» სახით, მაგრამ ნაბიჯს წინ, — ჩვენ ვიტყვით: კეთილი ინებეთ! ნამდვილი წინგადადგმული ნაბიჯი შეიძლება იყოს მხოლოდ თავისუფლების ნამდვილი, თუნდაც მინიატურული, გაფართოება მუშებისათვის. ყოველი ასეთი გაფართოება კი ჩვენ მოგვიტანს სარგებლობას და დააჩქარებს ისეთ ლეგალურ საზოგადოებათა გაჩენას, სადაც პროვოკატორები კი ვერ დაიჭერენ სოციალისტებს, არამედ სოციალისტები შეიძენენ ადეპტებს. ერთი სიტყვით, ახლა ჩვენი საქმეა ღვარძლთან ბრძოლა. ჩვენი საქმე არ არის ოთახის ქოთნებში ვზარდოთ ხორბალი. როცა ღვარძლს ვთხრით, ამით ნიადაგს ვწმენდთ ხორბლის თესლის შესაძლებელ აღმოსაცენებლად. და სანამ ათასნაირ ივანიჩები და პულხერია ივანოვნები მცენარეთა მოყვანას მისდევენ ოთახში, ჩვენ უნდა ვამზადოთ მომკელნი, რომელთაც ეცოდინებათ როგორც დღევანდელი ღვარძლის გათიბვა, ისე ხვალინდელი ხორბლის მომკა *.

* «ისკრის» ბრძოლამ ღვარძლის წინააღმდეგ «რაბ. დელოს» ასეთი მრისხანე გამოსვლა გამოიწვია: ««ისკრისთვის» კი დროის ნიშანია იმდენად არა ეს დიდი ამბები (გაზაფხულის), რამდენადაც ზუბატოველი აგენტების უბადრუკი ცდები მუშათა მოძრაობის «ლეგალიზაციისა». ის ვერ ხედავს, რომ ეს ფაქტები სწორედ მის წინააღმდეგ მეტყველებენ; სწორედ ისინი მოწმობენ, რომ მუშათა მოძრაობამ მეტად საშიშარი ხასიათი მიიღო მთავრობის თვალში» («ორი ყრილობა», გვ. 27). ყველაფრის მიზეზია «დოგმატიზმი» ამ ორთოდოქსებისა, რომელთაც «არა ეყურე-

ამრიგად, ლეგალიზაციის საშუალებით ჩ ვ ე ნ არ შეგვიძ-ლია გ ა დ ა ვ წ ყ ვ ი ტ ო თ რაც შეიძლება ნაკლებ კონსპი-რაციული და რაც შეიძლება ფართო პროფესიული ორგანი-ზაციის შექმნის საკითხი (მაგრამ ძალიან მოხარული ვიქნე-ბოდით, ზუბატოვები და ოზეროვები თუნდ ნაწილობრივ შე-საძლებლობას რომ მოგვცემდნენ საკითხის ასე გადასაწყვე-ტად, — რისთვისაც ჩვენ რაც შეიძლება ენერგიულად უნდა ვებრძოლოთ მათ!). გვრჩება ფარული პროფესიული ორგანი-ზაციების გზა, და ჩ ვ ე ნ ყოველგვარი დახმარება უ ნ დ ა გავუწიოთ მუშებს, რომელნიც (როგორც ეს ჩვენ დანამდვი-ლებით ვიცით) უკვე ადგებიან ამ გზას. პროფესიულ ორგანი-ზაციებს არათუ შეუძლიათ დიდი სარგებლობა მოიტანონ ეკონომიური ბრძოლის განვითარებისა და განმტკიცების საქ-მეში, არამედ ფრიად მნიშვნელოვანი დახმარებაც გაუწიონ პოლიტიკურ აგიტაციას და რევოლუციურ ორგანიზაციას. ამ შედეგის მისაღწევად დაწყებული პროფესიული მოძრაობის სოციალ-დემოკრატიისათვის სასურველ კალაპოტში ჩასაყე-ნებლად — უწინარეს ყოვლისა საჭიროა ნათლად წარმოვიდ-გინოთ ორგანიზაციის იმ გეგმის უაზრობა, რომელსაც აგერ თითქმის ხუთი წელია ელოლიავებიან პეტერბურგელი ეკო-ნომისტები. ეს გეგმა მოცემულია როგორც 1897 წლის ივ-ლისის «მუშათა სალაროს წესდებაში» («ლისტოკ «რაბოტნი-კა»» № 9 — 10, გვ. 46, — «რაბოჩაია მისლის» № 1-დან), ისე 1900 წლის ოქტომბრის «მუშათა პროფესიული ორგანი-ზაციის წესდებაში» (განსაკუთრებული ფურცელი, დაბეჭდი-ლი ს.-პეტერბურგში და მოხსენებული «ისკრის» № 1-ში). ორივე წესდების ძირითადი ნაკლია — დეტალური გაფორმება მუშათა ფართო ორგანიზაციისა და ამ უკანასკნელთან რევო-ლუციონერთა ორგანიზაციის არევა. ავიღოთ მეორე წესდება,

---

ბათ რა ცხოვრების მბრძანებლური მოთხოვნებისა». განზრახ ვერ ხედავენ ადლიან ხორბალს და გოჯიან ღვარძლს ებრძვიან! ნუთუ ეს «პერსპექტი-ვის დამახინჯებული გრძნობა» არ არის «რუსეთის მუშათა მოძრაობის მი-მართ» (იქვე. გვ. 27)?

როგორც უფრო დამუშავებული. მისი ძირითადი ნაწილი შესდგება ორმოცდათორმეტი პარაგრაფისაგან: 23 პარაგრაფში გადმოცემულია იმ «მუშათა წრეების» მოწყობა, საქმეთა წარმოების წესი და საუწყებო საზღვრები, რომელთაც ყოველ ფაბრიკაში აწყობენ («არაუმეტეს 10 კაცისა») და რომელნიც ირჩევენ «ცენტრალურ (საფაბრიკო) ჯგუფებს». «ცენტრალური ჯგუფი — ნათქვამია მე-2 პარაგრაფში — თვალყურს ადევნებს ყველაფერს, რაც მის ფაბრიკაში ან ქარხანაში ხდება და იქ მომხდარი ამბების ქრონიკას აწარმოებს». «ცენტრალური ჯგუფი ყოველთვიურად აბარებს ანგარიშს ყველა გადამხდელს სალაროს მდგომარეობის შესახებ» (§ 17) და სხვ. 10 პარაგრაფი ეხება «რაიონულ ორგანიზაციას» და 19 — «მუშათა ორგანიზაციის კომიტეტის» და «ს.-პეტერბურგის ბრძოლის კავშირის კომიტეტის» უაღრესად რთულ გადახლართვას (წარმომადგენელნი თვითეული რაიონისა და «აღმასრულებელი ჯგუფებისა» — «პროპაგანდისტთა ჯგუფებისა პროვინციასთან კავშირისათვის, საზღვარგარეთთან კავშირისათვის, საწყობების, გამომცემლობის, სალაროს გამგებლობისათვის»).

სოციალ-დემოკრატია = «აღმასრულებელი ჯგუფები» მუშების ეკონომიური ბრძოლის მიმართ! ძნელი იქნებოდა უფრო მკაფიოდ ჩვენება იმისა, თუ როგორ იხრება ეკონომისტის აზრი სოციალ-დემოკრატიზმიდან ტრედ-უნიონიზმისაკენ, როგორ ეუცხოვება მას ყოველი წარმოდგენა იმაზე, რომ სოციალ-დემოკრატი უწინარეს ყოვლისა უნდა ფიქრობდეს იმ რევოლუციონერების ორგანიზაციაზე, რომელთაც უნარი შესწევთ უხელმძღვანელონ პროლეტარიატის მთელ განმათავისუფლებელ ბრძოლას. ლაპარაკი «მუშათა კლასის პოლიტიკურ განთავისუფლებაზე», «მეფის თვითნებობასთან» ბრძოლაზე — და ორგანიზაციის ასეთი წესდების წერა იმას ნიშნავს, რომ არავითარი წარმოდგენა არა გქონდეს სოციალ-დემოკრატიის ნამდვილ პოლიტიკურ ამოცანებზე. ნახევარასეული პარაგრაფიდან არც ერთი არ ამჟღავნებს იმის ოდნავ გაგებასაც, რომ

მასებში აუცილებელია უფართოესი პოლიტიკური აგიტაცია, რომელიც გააშუქებს რუსული აბსოლუტიზმის ყველა მხარეს, რუსეთის სხვადასხვა საზოგადოებრივი კლასის მთელ სახეს. ასეთი წესდებით განუხორციელებელია არამცთუ პოლიტიკური, არამედ ტრედ-უნიონისტური მიზნებიც კი, ვინაიდან ისინი მოითხოვენ პროფესიების მიხედვით ორგანიზებას, რაც სრულიად მოხსენებულიც კი არ არის.

მაგრამ თითქმის ყველაზე უფრო დამახასიათებელია გასაოცარი მოუქნელობა მთელი ამ «სისტემისა», რომელიც არჩევნების სამსაფეხურიანი სისტემის დროს ცდილობს თვითეული ცალკე ფაბრიკა დაუკავშიროს «კომიტეტს» ერთგვაროვანი და უაღრესად წვრილმანი წესების მუდმივი ძაფით. ეკონომიზმის ვიწრო შეხედულებით შეზღუდული აზრი აქ გადადის დეტალებში, რომელთაც გაჭიანურებისა და კანცელარიული ფორმალობის სუნი უდის. ნამდვილად, რა თქმა უნდა, ყველა ამ პარაგრაფის სამ მეოთხედსაც არასოდეს არ იყენებენ, მაგრამ სამაგიეროდ ასეთი «კონსპირაციული» ორგანიზაცია, რომელსაც ცენტრალური ჯგუფი ჰყავს ყოველ ფაბრიკაში, ჟანდარმებს ძალიან უადვილებს უაღრესად ფართო ჩავარდნების მოწყობას. პოლონელმა ამხანაგებმა უკვე განიცადეს მოძრაობის ისეთი ხანა, როდესაც ყველა გატაცებული იყო მუშათა სალაროების ფართოდ დაარსებით, მაგრამ მათ ძალიან მალე უკუაგდეს ეს აზრი, რადგან დარწმუნდნენ, რომ ამით მხოლოდ უხვ სამკალს აწვდიან ჟანდარმებს. თუ ჩვენ გვინდა მუშათა ფართო ორგანიზაციები და არ გვინდა ფართო ჩავარდნები, არ გვინდა ვასიამოვნოთ ჟანდარმებს, უნდა ვცდილობდეთ, რომ ეს ორგანიზაციები სრულიად გაუფორმებელი იყვნენ. — იქნება თუ არა მაშინ შესაძლებელი მათი მოქმედება? — აბა ნახეთ ეს ფუნქციები: «... თვალყური ადევნოს ყველაფერს, რაც კი ფაბრიკაში ხდება და აწარმოოს იქ მომხდარი ამბების ქრონიკა» (წესდების § 2). ნუთუ ამის გაფორმება აუცილებელია? ნუთუ ეს კიდევ უკეთ არ გაკეთდებოდა არალეგალურ გაზეთებში კორესპონდენციების მო-

თავსებით, ამისათვის საგანგებო ჯგუფების სრულიად მოუწყობლად? «... უხელმძღვანელოს მუშების ბრძოლას ქარხანაში მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად» (წესდების § 3). არც ამის გაფორმებაა საჭირო. თუ რა მოთხოვნების წამოყენება უნდათ მუშებს, ამას ყოველი ოდნავ გაგებული აგიტატორი დაწვრილებით გამოჰკითხავს უბრალო საუბრის დროს და, გამოკითხვის შემდეგ, გადასცემს რევოლუციონერთა უკვე ვიწრო, და არა ფართო, ორგანიზაციას სათანადო ფურცლის დასამზადებლად. «... მოაწყოს სალარო... მანეთიდან ორი კაპიკის შეტანით» (§ 9) — და შემდგომ ყოველთვიურად ყველას ჩააბაროს ანგარიში სალაროს შესახებ (§ 17), გარიცხოს არგადამხდელი წევრები (§ 10) და სხვ. აი ეს პოლიციისათვის პირდაპირ საშოთხეა, იმიტომ რომ იმაზე უფრო იოლი არაფერია შეიჭრა «ცენტრალური საფაბრიკო სალაროს» მთელ ამ კონსპირაციაში, ფულის კონფისკაციაც მოახდინო და საუკეთესო ადამიანებიც მოაშორო. ის არა სჯობს გამოუშვა კაპიკიანი ან ორკაპიკიანი მარკები განსაზღვრული (ძალიან ვიწრო და ძალიან კონსპირაციული) ორგანიზაციის შტემპელით, ანდა სულ უმარკოდ შეაგროვო ფული, რომლის ანგარიშს, ერთგვარი პირობითი ნიშნით, დაბეჭდავს შემდეგ არალეგალური გაზეთი? მიზანი იგივე იქნება მიღწეული, ეანდარმებს კი ათასჯერ უფრო გაუძნელდებათ მაშინ კვალის მიგნება.

მე შემეძლო განმეგრძო წესდების სანიმუშო გარჩევა, მაგრამ ვფიქრობ, ნათქვამიც საკმარისია. ყველაზე საიმედო, გამოცდილი და გამობრძმედილი მუშების პატარა, მჭიდროდ შეკავშირებულ ბირთვს, რომელსაც სანდო კაცები ეყოლება მთავარ რაიონებში და რომელიც უსასტიკესი კონსპირაციის დაცვით დაკავშირებული იქნება რევოლუციონერთა ორგანიზაციასთან, სავსებით შეუძლია შეასრულოს, მასის მეტად ფართო დახმარებით და სრულიად გაუფორმებლად, ყ ვ ე ლ ა ფუნქცია, რომლებიც დაკისრებული აქვს პროფესიულ ორგანიზაციას, და ამასთანავე შეასრულოს სწორედ ისე, რო-

გორც ეს სასურველია სოციალ-დემოკრატიისათვის. მხოლოდ ამ გზით შეიძლება გ ა ნ ვ ა მ ტ კ ი ც ო თ და განვავითაროთ, წინააღმდეგ ყველა ჟანდარმისა, ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა-ტ ი უ ლ ი პროფესიული მოძრაობა.

შემომედავებიან: ორგანიზაცია, რომელიც იმდენად lose-ა *, რომ ის სრულიადაც არ არის გაფორმებული და არც არა-ვითარი, წინასწარ ცნობილი და აღრიცხული წევრები არა ჰყავს, ორგანიზაციადაც არ შეიძლება ჩაითვალოსო. — შესაძ-ლებელია. მე სახელწოდებას არ დავეძებ. მაგრამ ყველაფერს, რაც საჭიროა, ეს «უწევრო ორგანიზაცია» გააკეთებს და თა-ვიდანვე უზრუნველჰყოფს ჩვენი მომავალი ტრედ-უნიონების მტკიცე კავშირს სოციალიზმთან. ხოლო ვისაც აბსოლუტიზ-მის დროს მუშების ფ ა რ თ ო ორგანიზაცია უნდა არჩევნე-ბით, ანგარიშებით, საყოველთაო ხმის მიცემით და სხვ., — ის პირდაპირ გაუსწორებელი უტოპისტია.

აქედან გამომდინარეობს უბრალო მორალი: თუ ჩვენ რე-ვოლუციონერთა მტკიცე ორგანიზაციის მტკიცედ შექმნით და-ვიწყებთ, შეგვიძლია უზრუნველვყოთ მთლიანად მოძრაობის სიმყარე, შეგვიძლია განვახორციელოთ როგორც სოციალ-დემოკრატიული, ისე საკუთრივ ტრედ-უნიონისტური მიზ-ნები. ხოლო თუ დავიწყებთ მასისათვის ვითომ ყველაზე უფრო «მისაწვდომი» ფართო მუშათა ორგანიზაციით (რომე-ლიც ნამდვილად ჟანდარმებისათვის იქნება მისაწვდომი და ყველაზე ადვილად ჩააგდებს რევოლუციონერებს პოლიციის ხელში), ჩვენ ვერც იმ მიზნებს განვახორციელებთ და ვერც სხვებს, «კუსტარულობას» თავს ვერ დავაღწევთ და ჩვენი დაქსაქსულობით, მუდმივი დანგრეულობით მხოლოდ მასი-სათვის უფრო მისაწვდომად გავხდით ზუბატოვის ან ოზერო-ვის ტიპის ტრედ-უნიონებს.

მაშ, სახელდობრ რას უნდა შეიცავდეს რევოლუციონერთა ამ ორგანიზაციის ფუნქციები? — ამაზე ჩვენ დაწვრილებით ვისაუბრებთ ახლა. მაგრამ ჯერ გავარჩიოთ კიდევ ერთი მე-

* — თავისუფალი, ფართო. რ ე დ.

ტად ტიპიური მსჯელობა ჩვენი ტერორისტისა, რომელიც ისევ ეკონომისტის უახლოესი მეზობელი აღმოჩნდა (სავალალოა მისი ბედი!). ჟურნალ «სვობოდაში» (№ 1), რომელიც მუშებისთვის გამოდის, დაბეჭდილია სტატია: «ორგანიზაცია», რომლის ავტორს სურს დაიცვას თავისი ნაცნობები, ივანოვო-ვოზნესენსკელი მუშა-ეკონომისტები.

«ცუდია, — წერს ის, — როცა ხალხი სდუმს, შეუგნებელია, როცა მოძრაობა მოდის არა ქვედა ფენებიდან. აბა შეხედეთ: საუნივერსიტეტო ქალაქიდან სტუდენტები უქმეებზე ან საზაფხულოდ მიდიან შინ — და მუშათა მოძრაობაც ჩერდება. განა ასეთი მუშათა მოძრაობა, რომელსაც გარედან უბიძგებენ ხოლმე, შეიძლება იყოს ნამდვილი ძალა? რა სათქმელია... მას ჯერ კიდევ ვერ უსწავლია საკუთარი ფეხით სიარული, მას ხელით ატარებენ. ასეა ყველაფერში: სტუდენტები წავიდ-წამოვიდნენ — შეჩერება; მოაშორეს ყველაზე ნიჭიერი ნაღები — რძე აიჭრა; დააპატიმრეს «კომიტეტი» — ვიდრე ახალი მოეწყობოდეს, ისევ მყუდროობაა; ამასთან არავინ იცის, როგორი იქნება ახალი — შეიძლება, სულ აღარ ჰგავდეს წინანდელს: ის ერთს ამბობდა, ეს კი სულ წინააღმდეგს იტყვის. კავშირი დღევანდელ და ხვალინდელ დღეს შორის იკარგება, წარსულის გამოცდილება მომავალს არ ადგება. და ყოველივე ეს იმიტომ, რომ ფესვები არ არის გადგმული სიღრმეში, ხალხში, მუშაობს არა ასეული სულელი, არამედ ათეული ჭკვიანი. ათეულის დაჭერა ყოველთვის ადვილად შეიძლება, მაგრამ, როცა ორგანიზაცია ხალხს მოსდებია, ყველაფერი ხალხიდან მოდის, — ვერავისი გულმოდგინება ვერ დაღუპავს საქმეს» (გვ. 63).

ფაქტები სწორად არის აწერილი. ჩვენი კუსტარულობის სურათი გვარიანია. მაგრამ დასკვნები — «რაბოჩაია მისლის» შესაფერისია როგორც მათი უგუნურობით, ისე მათი პოლიტიკური უტაქტობით. ეს — უგუნურობის მწვერვალია, ვინაიდან ავტორი ერთმანეთში ურევს ფილოსოფიურ და სოციალურ-ისტორიულ საკითხს მოძრაობის «სიღრმის» «ფესვების» შესახებ და ტექნიკურ-ორგანიზაციულ საკითხს ჟანდარმებთან უკეთესად ბრძოლის შესახებ. ეს — პოლიტიკური უტაქტობის მწვერვალია, ვინაიდან იმის ნაცვლად, რომ ცუდი ხელმძღვანელების მაგიერ კარგ ხელმძღვანელებს მიმართოს, ავტორი ხელმძღვანელების მაგიერ მიმართავს საერთოდ «ხალხს». ეს — ისეთივე ცდაა უკან დაგვახევინოს ორ-

განიზაციულად, როგორც პოლიტიკურად უკან დახევაა აზრი პოლიტიკური აგიტაციის შეცვლისა ექსციტატიური ტერორით. მე, მართალი გითხრათ, ნამდვილ embarras de richesses-ს * განვიცდი, რადგან არ ვიცი, რით დავიწყო «სვობოდას» მიერ მოწოდებული აბდაუბდის გარჩევა. თვალსაჩინობისათვის შევეცდები დავიწყო მაგალითით. აიღეთ გერმანელები. იმედია, ვერ უარყოფთ, რომ მათი ორგანიზაცია მასას მოიცავს, ყველაფერი მასიდან მოდის, მუშათა მოძრაობამ ისწავლა საკუთარი ფეხით სიარული. მერე როგორ აფასებს ეს მილიონიანი მასა «ათეულ» თავის გამობრძმედილ პოლიტიკურ ბელადს, რა მაგრად ჩაუკიდია ხელი მათთვის! პარლამენტში არა ერთხელ მომხდარა, რომ მოწინააღმდეგე პარტიების დეპუტატებს გაუჯავრებიათ სოციალისტები: «კარგი დემოკრატები კი ხართ! მხოლოდ სიტყვიერად გაქვთ მუშათა კლასის მოძრაობა, — ნამდვილად კი სულ ბელადების იგივე კომპანია გამოდის. სულ იგივე ბებელი, სულ იგივე ლიბკნეხტი წლიდან-წლამდე, ათწლეულიდან-ათწლეულამდე. თქვენი, ვითომ მუშებიდან არჩეული დელეგატები ხომ უფრო შეუცვლელნი არიან, ვიდრე იმპერატორის მიერ დანიშნული მოხელეები!». მაგრამ გერმანელები მხოლოდ ზიზღის გამომხატველი ღიმილით ხვდებოდნენ ამ დემაგოგიურ ცდას — «ბელადების» დაპირისპირებას «მასასთან», ამ უკანასკნელში ცუდი და მედიდური ინსტინქტების გაღვივებას, მოძრაობისთვის მისი სიმტკიცის და სიმყარის გამოცლას «ათეული ჭკვიანისადმი» მასის ნდობის შერყევის საშუალებით. გერმანელებს საკმაოდ განვითარებული აქვთ პოლიტიკური აზროვნება, საკმაოდ მოეპოვებათ პოლიტიკური გამოცდილება, რათა ესმოდეთ, რომ თუ არ იქნებიან ეს «ათეული» ნიჭიერი (ნიჭიერნი კი ასობით არ იბადებიან), გამოცდილი, პროფესიულად მომზადებული, ხანგრძლივი სკოლის გავლით ნასწავლი, ერთმანეთთან საუცხოოდ შეხმატკბილებული ბელადები, თანამედროვე საზოგადოებაში არც ერთ კლასს არ შეეძლება მედგარი

* — სიუხვით გამოწვეული სიძნელე. რ ე დ.

ბრძოლა. გერმანელებს თავის წრეშიც უნახავთ დემაგოგები, რომელნიც ეპირფერებოდნენ «ასეულ სულელს», «ათეულ ჭკვიანზე» მაღლა აყენებდნენ მათ, პირმოთნეობდნენ მასის «ძარღვიანი მუშტის» წინაშე, ამხედრებდნენ მას (მოსტის ან ჰასელმანის მსგავსად) მოუფიქრებელი «რევოლუციური» მოქმედებისათვის და უნდობლობას უნერგავდნენ გამობრძმედილი და მედგარი ბელადების მიმართ. და მხოლოდ სოციალიზმის შიგნით არსებულ ყველა და ყოველგვარ დემაგოგიურ ელემენტებთან განუხრელი და შეურიგებელი ბრძოლის მეოხებით ასე გაიზარდა და განმტკიცდა გერმანული სოციალიზმი. ჩვენი ბრძენნი კი იმ დროს, როდესაც რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მთელი კრიზისი იმით აიხსნება, რომ სტიქიურად გამოღვიძებულ მასებს არა ჰყავთ საკმაოდ მომზადებული, განვითარებული და გამოცდილი ხელმძღვანელები, გამოსულან და ნაცარქექიას ღრმააზროვნებით წინასწარმეტყველებენ: «ცუდია, როცა მოძრაობა ქვედა ფენებიდან არ მოდისო»!

«სტუდენტებისაგან შემდგარი კომიტეტი არ ვარგა, ის მერყეევია». — სრულიად სამართლიანია. მაგრამ აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ საჭიროა პროფესიონალი რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ნ ე რ ე ბ ი ს ა გ ა ნ შემდგარი კომიტეტი, სულ ერთია — სტუდენტი შესძლებს თუ მუშა თავისი თავი პროფესიონალ რევოლუციონერად აღზარდოს. თქვენ კი ის დასკვნა გამოგყავთ, რომ მუშათა მოძრაობას არ ესაჭიროება გარედან წაბიძგებაო! პოლიტიკური გულუბრყვილობის გამო თქვენ ვერც კი ამჩნევთ, რომ ამით ჩვენს ეკონომისტებსა და ჩვენს კუსტარულობას ეხმარებით. ნება გვიბოძეთ შეგეკითხოთ: რაში გამოიხატებოდა ჩვენი მუშების «წაბიძგება» ჩვენი სტუდენტების მიერ? მ ხ ო ლ ო დ და მ ხ ო ლ ო დ იმაში, რომ სტუდენტს მუშასთან მიჰქონდა პოლიტიკური ცოდნის ის ნაწყვეტები, რაც მას გააჩნდა, სოციალისტური იდეების ის ნამცეცები, რაც მას წილად ხვდა (ვინაიდან თანამედროვე სტუდენტის უმთავრეს გონებრივ საზრდოს — ლეგალურ

მარქსიზმს არც შეეძლო რაიმე მიეცა, გარდა ანაბანისა და ნამცეცებისა). სწორედ ამგვარი «გარედან წაბიძგება» მეტად დიდი კი არა, პირიქით, მეტად ცოტა, უღმერთოდ და უნამუსოდ ცოტა იყო ჩვენს მოძრაობაში, ვინაიდან ჩვენ მეტისმეტად გულმოდგინედ ვიხარშებოდით საკუთარ წვენში, მეტისმეტად მონურად ვიხრიდით ქედს «მეპატრონეებსა და მთავრობასთან მუშების» ელემენტარული «ეკონომიური ბრძოლის» წინაშე. სწორედ ამგვარ «წაბიძგებას» ასჯერ უფრო მეტად უნდა ვახდენდეთ და მოვახდენთ ჩვენ, პროფესიონალი რევოლუციონერები. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ თქვენ ხმარობთ ისეთ საძაგელ სიტყვას, როგორიცაა «გარედან წაბიძგება», რომელიც აუცილებლად იწვევს მუშის (ყოველ შემთხვევაში იმ მუშის, რომელიც იმდენადვე განუვითარებელია, როგორც განუვითარებელი ბრძანდებით თქვენ) უნდობლობას ყველასადმი, ვინც მას პოლიტიკურ ცოდნას და რევოლუციურ გამოცდილებას გარედან აწოდებს, იწვევს ინსტინქტურ სურვილს უკუაგდოს ყველა ასეთი ადამიანი, — სწორედ ამიტომ თქვენ დემაგოგი ხართ, დემაგოგები კი მუშათა კლასის ყველაზე უარესი მტრები არიან.

დიახ, დიახ! ნუ იჩქარით გოდებას ჩემი პოლემიკის «არაამხანაგური ხერხების» გამო! მე ეჭვიც არ მეპარება თქვენი განზრახვების სიწმინდეში, მე უკვე ვთქვი, რომ დემაგოგი შეიძლება გახდეს კაცი მარტოოდენ პოლიტიკური გულუბრყვილობითაც კი. მაგრამ მე ცხადვყავი, რომ თქვენ ჩამოქვეითდით დემაგოგიამდე. და მე მუდამ იმას ვიტყვი, რომ დემაგოგები მუშათა კლასის ყველაზე უარესი მტრები არიან. უარესნი სწორედ იმიტომ, რომ ისინი უღვივებენ მასას ცუდ ინსტინქტებს, რომ განუვითარებელ მუშებს არ შეუძლიათ გაარჩიონ ეს მტრები, რომელნიც გამოდიან და ხანდახან გულწრფელადაც გამოდიან როგორც მათი მეგობრები. უარესნი — იმიტომ, რომ დაბნეულობისა და რყევის პერიოდში, იმ პერიოდში, როცა ჩვენი მოძრაობის ფიზიონომია ეს-ესაა ისა-

ხება, იმაზე ადვილი არაფერია, რომ დემაგოგიურად გაიტაცო მასა, რომელიც შემდეგ მხოლოდ მეტად მწარე გამოცდილებას შეუძლია დაარწმუნოს მის შეცდომაში. აი რატომ უნდა იყოს თანამედროვე რუსი სოციალ-დემოკრატისთვის მომენტის ლოზუნგი — გადამწყვეტი ბრძოლა როგორც დემაგოგიამდე ჩამოქვეითებული «სვობოდას», ისე დემაგოგიამდე ჩამოქვეითებული «რაბოჩეე დელოს» წინააღმდეგ (რაზედაც კიდევ გვექნება დაწვრილებით ლაპარაკი * ქვემოთ).

«ათეული ჭკვიანის დაჭერა უფრო ადვილია, ვიდრე ასეული სულელის». ეს დიდებული ჭეშმარიტება (რომლის მიწოდებისათვის თქვენ მუდამ დაგიკრავთ ტაშს ასეული სულელი) თავისთავად ცხადად მხოლოდ იმიტომ გეჩვენებათ, რომ თქვენ მსჯელობის დროს ერთი საკითხიდან მეორეზე გადახტით. თქვენ დაიწყეთ ლაპარაკი და განაგრძობთ ლაპარაკს «კომიტეტის» დაჭერაზე, «ორგანიზაციის» დაჭერაზე, ახლა კი გადახტით მოძრაობის «სიღრმის» «ფესვების» დაჭერის საკითხზე. რა თქმა უნდა, ჩვენი მოძრაობა მხოლოდ იმიტომ არის მოუხელებელი, რომ მას ასეული ათასობით ფესვი აქვს გადგმული სიღრმეში, მაგრამ ამაზე ხომ არ არის ლაპარაკი. «სიღრმეში წასული ფესვების» მხრივ ჩვენი «დაჭერა», მიუხედავად მთელი ჩვენი კუსტარულობისა, ახლაც არავის შეუძლია; მიუხედავად ამისა ჩვენ ყველანი მაინც ვწუხვართ და არ შეიძლება არ ვწუხდეთ «ორგანიზაციების» დაჭერის გამო, რაც ანგრევს მოძრაობის ყოველგვარ თანამომდევნობას. ხოლო რაკი თქვენ დასვამთ ორგანიზაციების დაჭერის საკითხს და არ გადასცდებით მას, მაშინ მე თქვენ გეტყვით, რომ ათეული ჭკვიანის დაჭერა გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე ასეული სულელისა. მე ამ დებულებას

* აქ კი შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ყოველივე ის, რაც ითქვა «გარედან წაბიძგების» და «სვობოდას» მთელი შემდგომი მსჯელობის გამო ორგანიზაციის შესახებ, მთლიანად შეეხება ყველა ეკონომისტს და მათ შორის «რაბოჩეედელოელებსაც», ვინაიდან ისინი ნაწილობრივ აქტიურად ქადაგებდნენ და იცავდნენ იმავე შეხედულებებს ორგანიზაციის საკითხებზე, ნაწილობრივ კი უნებლიეთ იმეორებდნენ მას.

დავიცავ, რამდენიც უნდა მომისიოთ ხალხი ჩემი «ანტიდემოკრატიზმის» გამო და სხვ.. ორგანიზაციული მხრივ «ჭკვიანებად» უნდა ვიგულისხმოთ მხოლოდ, როგორც მე უკვე არა ერთხელ აღვნიშნე, პროფესიონალი რევოლუციონერები, სულ ერთია, ვისგან გამომუშავდებიან ისინი — სტუდენტებისა თუ მუშებისაგან. და აი მე ვამტკიცებ: 1) რომ არც ერთი რევოლუციური მოძრაობა არ შეიძლება მტკიცე იყოს, თუ მას არ გააჩნია ხელმძღვანელთა მტკიცე და თანამომდევნობის დამცველი ორგანიზაცია; 2) რომ, რაც უფრო ფართოა ბრძოლაში სტიქიურად ჩაბმული მასა, რომელიც მოძრაობის ბაზისს შეადგენს და მონაწილეობას იღებს მასში, მით უფრო აუცილებელია ასეთი ორგანიზაციის საჭიროება და მით უფრო მტკიცე უნდა იყოს ეს ორგანიზაცია (ვინაიდან მით უფრო ადვილად შეუძლია ყოველგვარ დემაგოგს გაიტაცოს მასის განუვითარებელი ფენები); 3) რომ ასეთი ორგანიზაცია უმთავრესად უნდა შესდგებოდეს იმ ადამიანებისაგან, რომელნიც პროფესიულად ეწევიან რევოლუციურ მუშაობას; 4) რომ თვითმპყრობელურ ქვეყანაში, რაც უფრო შევზღუდავთ ასეთი ორგანიზაციის წევრთა შემადგენლობას მასში მხოლოდ ისეთი წევრების მონაწილეობამდე, რომელნიც პროფესიულად ეწევიან რევოლუციურ მუშაობას, და რომელთაც პროფესიული მომზადება მიუღიათ პოლიტიკური პოლიციის წინააღმდეგ ბრძოლის ოსტატობაში, მით უფრო ძნელი იქნება ასეთი ორგანიზაციის «დაჭერა», და 5) — მით უფრო ფართო იქნება როგორც მუშათა კლასიდან, ისე საზოგადოების დანარჩენი კლასებიდან გამოსულ პირთა შემადგენლობა, რომელთაც შეეძლებათ მონაწილეობა მიიღონ მოძრაობაში და აქტიურად იმუშაონ მასში.

წინადადებას ვაძლევ ჩვენს ეკონომისტებს, ტერორისტებსა და «ეკონომისტ-ტერორისტებს» * უარჰყონ ეს დებულებანი,

* ეს ტერმინი, შეიძლება, უფრო სწორი იყოს «სვობოდას» მიმართ, ვიდრე წინა ტერმინი, ვინაიდან «რევოლუციონიზმის აღორძინებაში» იცავენ ტერორიზმს, ამ სტატიაში კი—ეკონომიზმს. სურვილი განუზომელია, ხვედ-

რომელთაგან მე ახლა მხოლოდ ორ უკანასკნელზე შევჩერდები. «ათეული ჭკვიანის» და «ასეული სულელის» დაჭერის სიადვილის საკითხი განისაზღვრება ზემოთ განხილული საკითხით, შესაძლებელია თუ არა მასობრივი ორგანიზაცია უსასტიკესი კონსპირაციის აუცილებლობის პირობებში. ჩვენ ვერასოდეს ვერ შევძლებთ ფართო ორგანიზაცია იმ კონსპირაციულ სიმაღლეზე დავაყენოთ, ურომლისოდაც ლაპარაკიც კი შეუძლებელია მთავრობასთან მტკიცე და თანამომდევნობის დამცველი ბრძოლის შესახებ. და ყველა კონსპირაციული ფუნქციის თავმოყრა პროფესიონალ რევოლუციონერთა რაც შეიძლება მცირე რიცხვის ხელში სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს რევოლუციონერები «ყველას მაგიერ იფიქრებენ», რომ მასა არ მიიღებს აქტიურ მონაწილეობას მოძრაობაში. პირიქით, ამ პროფესიონალ რევოლუციონერებს სულ მეტი რაოდენობით თვით მასა წამოაყენებს, ვინაიდან მასას მაშინ ეცოდინება, რომ არ კმარა რამდენიმე სტუდენტი და ეკონომიური ბრძოლის მწარმოებელი მუშა შეიკრიბოს, რათა შეადგინონ «კომიტეტი», არამედ საჭიროა მთელი წლობით გამოწრთობა პროფესიონალ რევოლუციონერად, და მასაც «იფიქრებს» არა მარტო კუსტარულობაზე, არამედ სწორედ ასეთ გამოწვრთნაზე. ორგანიზაციის კონსპირაციული ფუნქციების ცენტრალიზაცია სრულიადაც არ ნიშნავს მოძრაობის ყველა ფუნქციის

რი კი შეარ! — შეიძლება საერთოდ ითქვას «სვობოდაზე». საუკეთესო მიდრეკილებანი და საუკეთესო განზრახვები — შედეგი კი არეულ-დარეულობა, არეულ-დარეულობა უმთავრესად იმიტომ, რომ, იცავს რა ორგანიზაციის თანამომდევნობას, «სვობოდა» ამავე დროს არ სცნობს რევოლუციური აზროვნების და სოციალ-დემოკრატიული თეორიის თანამომდევნობას. ცდილობდე კვლავ ჩაბა ცხოვრებაში პროფესიონალი რევოლუციონერი («რევოლუციონიზმის აღორძინება») და ამისათვის გვთავაზობდე, ჯერ-ერთი, ექსკლუზიურ ტერორს, და, მეორეც, იმ «საშუალო მუშების ორგანიზაციას» («სვობოდა», № 1, გვ. 66 და შემდ.), რომელთაც რაც შეიძლება ნაკლებად «უბიძგებენ გარედან», — ეს, ჭეშმარიტად, იმას ნიშნავს, რომ საკუთარი ბინის გასათბობად იგივე ბინა დაანგრიო და შეშად გამოიყენო.

ცენტრალიზაციას. არალეგალურ ლიტერატურაში მეტად ფართო მასის აქტიური მონაწილეობა კი არ შემცირდება, არამედ გაათკეცდება იმით, რომ «ათეული» პროფესიონალი რევოლუციონერი ამ საქმის კონსპირაციულ ფუნქციებს ერთ ცენტრში მოუყრის თავს. ასე და მხოლოდ ასე მივაღწევთ ჩვენ იმას, რომ არალეგალური ლიტერატურის კითხვა, მასში თანამშრომლობა, რაოდენადმე მცირე გავრცელებაც კი თითქმის დაკარგავს კონსპირაციული საქმის ხასიათს, ვინაიდან პოლიცია მალე შეიგნებს სასამართლო და ადმინისტრაციული დავიდარაბის უაზრობასა და შეუძლებლობას ათასობით გავრცელებულ გამოცემათა თვითეულ ეგზემპლარის გამო. ეს ეხება არა მარტო ბეჭდვითს სიტყვას, არამედ მოძრაობის ყველა ფუნქციას, დემონსტრაციასაც. მასის უაღრესად აქტიური და უაღრესად ფართო მონაწილეობა ბეჭდვითს სიტყვაში არათუ არ დაზარალდება, არამედ, პირიქით, ბევრად მოიგებს იმით, რომ «ათეული» გამოცდილი, პროფესიულად ჩვენს პოლიციაზე არანაკლებ გამობრძმედილი, რევოლუციონერი ცენტრალიზებულად მოაწყობს საქმის ყველა კონსპირაციულ მხარეს, ფურცლების დამზადებას, დაახლოებითი გეგმის შემუშავებას, ქალაქის თვითეული რაიონის, თვითეული საფაბრიკო უბნის, თვითეული სასწავლებლისთვის და სხვ. ხელმძღვანელთა რაზმის დანიშვნას (ვიცი, მისაყვედურებენ ჩემი შეხედულების «არადემოკრატიულობის» გამო, მაგრამ ამ არა გონიერ მოსაზრებას დაწვრილებით ქვემოთ შევეხები). რევოლუციონერთა ორგანიზაციის მიერ ყველაზე კონსპირაციული ფუნქციების ცენტრალიზაცია კი არ დაასუსტებს, არამედ გაამდიდრებს უამრავი სხვა ორგანიზაციის მოქმედების სიფართოვეს და შინაარსიანობას, იმ ორგანიზაციების, რომლებიც ფართო საზოგადოებისთვის არიან განზრახული და ამიტომ რაც შეიძლება ნაკლებად გაფორმებული და რაც შეიძლება ნაკლებად კონსპირაციული არიან; ესენია: მუშათა პროფესიული კავშირები, მუშათა თვითგანვითარებისა და არალეგალური ლიტე-

რატურის კითხვის წრეები, სოციალისტური და აგრეთვე დემოკრატიული წრეები მოსახლეობის ყველა სხვა ფენაში და სხვ. და სხვ.. ასეთი წრეები, კავშირები და ორგანიზაციები საჭიროა ყველგან რაც შეიძლება მეტი რაოდენობით, სულ სხვადასხვაგვარი ფუნქციებით, მაგრამ უაზრობა და მავნებელი იქნება ავრიოთ ისინი რევოლუციონერთა ორგანიზაციაში, წავშალოთ ზღვარი მათ შორის, ჩავაქროთ მასაში ისედაც მეტად მიმქრალი შეგნება იმისა, რომ მასობრივი მოძრაობის «მომსახურებისათვის» საჭირონი არიან ადამიანები, რომელნიც სპეციალურად მხოლოდ სოციალ-დემოკრატიულ მოღვაწეობას ეწევიან, და რომ ასეთმა ადამიანებმა მოთმინებით და გულმოდგინედ უნდა აღზარდონ თავიანთი თავი პროფესიონალ რევოლუციონერებად.

დიახ, ეს შეგნება მეტისმეტად შესუსტდა. ჩვენი ძირითადი ნაკლი ორგანიზაციულ საკითხში ის არის, რომ ჩვენ ჩვენი კუსტარულობით დავადაბლეთ რევოლუციონერის პრესტიჟი რუსეთში. ძაბუნი და მერყევი თეორიულ საკითხებში, ვიწრო ჰორიზონტით, რომელიც თავისი მოდუნებულობის გასამართლებლად მასის სტიქიურობას იმოწმებს, მსგავსი უფრო ტრედ-უნიონის მდივნისა, ვიდრე სახალხო ტრიბუნისა, უნარმოკლებული — წამოაყენოს ფართო და გაბედული გეგმა, რომელიც პატივისცემას შთააგონებდა მოწინააღმდეგეებსაც კი, გამოუცდელი და მოუხერხებელი თავის პროფესიულ ოსტატობაში, — პოლიტიკურ პოლიციასთან ბრძოლაში, — რა ბრძანებაა! ეს რევოლუციონერი კი არა, რაღაც საცოდავი კუსტარია!

ნურც ერთი პრაქტიკოსი ნუ მიწყენს ამ მკაცრ სიტყვას, ვინაიდან, რამდენადაც ლაპარაკია მოუმზადებლობაზე, მე აქ უწინარეს ყოვლისა ჩემს თავს ვგულისხმობ. მე ვმუშაობდი წრეში[123], რომელიც ისახავდა ძალიან ფართო, ყოვლისმომცველ ამოცანებს, — და ჩვენ ყველანი, ამ წრის წევრები, საშინლად ვწუხდით, ვიტანჯებოდით იმის შეგნებით, რომ ჩვენ კუსტარები ვართ ისეთ ისტორიულ მომენტში, როდესაც შეგ-

ვეძლო, ცნობილი თქმულება რომ გადავასხვაფეროთ, გვეთქვა: მოგვეცით რევოლუციონერთა ორგანიზაცია — და ჩვენ გადავაბრუნებთ რუსეთს! და მას შემდეგ, რაც უფრო ხშირად ვიგონებდი სირცხვილის იმ მწვავე გრძნობას, რომელსაც მე შაშინ განვიცდიდი, მით უფრო მეტი მწარე გრძნობით ვიმსჭვალებოდი იმ ცრუ-სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ, რომელნიც თავისი ქადაგებით «არცხვენენ რევოლუციონერის სახელს», რომელთაც არ ესმით, რომ ჩვენი ამოცანაა — არა რევოლუციონერის კუსტარამდე დამდაბლების დაცვა, არამედ კუსტარების რევოლუციონერებამდე ა მ ა ღ ლ ე ბ ა.

დ) ორგანიზაციული მუშაობის გაჭანება

ჩვენ ზემოთ ბ—ვისაგან მოვისმინეთ «სამოქმედოდ გამოსადეგი რევოლუციური ძალების იმ ნაკლებობის შესახებ, რაც საგრძნობია არა მარტო პეტერბურგში, არამედ მთელ რუსეთშიც». და ეს ფაქტი არა გვგონია ვინმემ უარჰყოს. მაგრამ იბადება კითხვა: როგორ ავხსნათ ეს? ბ—ვი წერს:

«ჩვენ არ გამოვუდგებით ამ მოვლენის ისტორიული მიზეზების გამორკვევას; ვიტყვით მხოლოდ, რომ საზოგადოება, რომელიც დემორალიზებულია ხანგრძლივი პოლიტიკური რეაქციით და გათიშულია უკვე მომხდარი და მიმდინარე ეკონომიური ცვლილებებით, თავისი წრიდან გამოჰყოფს რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი მ უ შ ა ო ბ ი ს ა თ ვ ი ს გ ა მ ო ს ა დ ე გ პ ი რ თ ა ძ ლ ი ა ნ მ ც ი რ ე რ ი ც ხ ვ ს; რომ მუშათა კლასი მუშა-რევოლუციონერების გამოყოფით რამდენადმე ავსებს არალეგალური ორგანიზაციების რიგებს, — მაგრამ ამგვარ რევოლუციონერთა რიცხვი ვერ აკმაყოფილებს დროის მოთხოვნილებას. მით უფრო, რომ მუშას, რომელიც 11½ საათს მუშაობს ფაბრიკაში, თავისი მდგომარეობით უმთავრესად შეუძლია შეასრულოს აგიტატორის ფუნქციები; ხოლო პროპაგანდა და ორგანიზაცია, არალეგალური ლიტერატურის მოტანა და გამრავლება, პროკლამაციების გამოშვება და სხვა ძალაუნებურად მძიმე ტვირთად აწვება მეტად უმნიშვნელო ინტელიგენტურ ძალებს» («რაბოჩეე დელო» № 6, გვ. 38 — 39).

ჩვენ ბევრ რამეში არ ვეთანხმებით ბ—ვის ამ აზრს; განსაკუთრებით არ ვეთანხმებით ჩვენ მიერ ხაზგასმულ სიტყვებს,

რომელნიც განსაკუთრებული სიცხადით გვიჩვენებენ, რომ ბ—ვი (ისე როგორც ყოველი ცოტად თუ ბევრად დაკვირვებული პრაქტიკოსი) იმდენად დაუტანჯავს ჩვენს კუსტარულობას, რომ, ეკონომიზმით შევიწროებული, ველარ ნახულობს გაძოსავალს აუტანელი მდგომარეობიდან. არა, საზოგადოება «საქმისთვის» გამოსადეგ ძალიან ბ ე ვ რ პირს გამოჰყოფს, მაგრამ ჩვენ არ ვიცით ყველა მათი გამოყენება. ამ მხრივ ჩვენი მოძრაობის კრიტიკული, გარდამავალი მდგომარეობა შეიძლება გამოვხატოთ სიტყვებით: ხ ა ლ ხ ი ა რ ა რ ი ს დ ა — ხ ა ლ ხ ი უ ა მ რ ა ვ ი ა. ხალხი უამრავია, იმიტომ რომ როგორც მუშათა კლასი, ისე საზოგადოების სულ უფრო სხვადასხვაგვარი ფენა წლითი-წლობით გამოჰყოფს თავისი წრიდან სულ უფრო მეტ უკმაყოფილოებს, რომელთაც სურთ პროტესტი განაცხადონ. რომელნიც მზად არიან შეძლებისდაგვარად ხელი შეუწყონ ბრძოლას აბსოლუტიზმის წინააღმდეგ. რის აუტანლობა ჯერ კიდევ ყველას არა აქვს შეგნებული, მაგრამ თანდათან უფრო მწვავედ საგრძნობი ხდება ფართო მასისთვის. ამავე დროს კი ხალხი არ არის, იმიტომ რომ არა გვყავს ხელმძღვანელები, არა გვყავს პოლიტიკური ბელადები, არა გვყავს ორგანიზატორული ტალანტები, რომელთაც უნარი შესწევდეთ მოაწყონ ისეთი ფართო და ამავე დროს ერთიანი და მწყობრი მუშაობა, რომელიც საქმეს გაუჩენდა და მოიხმარდა თვითეულს, თუნდაც სულ უმნიშვნელო ძალას. «რევოლუციური ორგანიზაციების ზრდა და განვითარება» ჩამორჩება არათუ მუშათა მოძრაობის ზრდას, რასაც ბ—ვიც აღიარებს, არამედ საერთო დემოკრატიული მოძრაობის ზრდასაც ხალხის ყველა ფენაში. (თუმცა, დღეს, ალბათ, ბ—ვი ამასაც ჩათვლიდა თავისი დასკვნის დამატებად.) რევოლუციური მუშაობის გაქანება მეტად ვიწროა მოძრაობის ფართო სტიქიურ ბაზისთან შედარებით, მეტად შევიწროებულია «მეპატრონეებსა და მთავრობასთან ეკონომიური ბრძოლის» უბადრუკი თეორიით. მაგრამ ამჟამად არა მარტო პოლიტიკური აგიტატორები, არამედ ორგანიზატორი-სოციალ-

დემოკრატებიც უნდა «წავიდნენ მოსახლეობის ყველა კლასში» *. და არა გვგონია რომელიმე პრაქტიკოსი დაეჭვდეს იმაში, რომ სოციალ-დემოკრატები შესძლებდნენ თავიანთი ორგანიზაციული მუშაობის ათასნაირი წილადი ფუნქციების განაწილებას ფრიად სხვადასხვა კლასის ცალკეულ წარმომადგენელთა შორის. სპეციალიზაციის ნაკლებობა — ჩვენი ტექნიკის ერთ-ერთი უდიდესი ნაკლია, რომელსაც ასე მწარედ და ასე სამართლიანად უჩივის ბ—ვი. რაც უფრო პატარა იქნება საზოგადო საქმის ცალკეული «ოპერაციები», მით უფრო მეტი შეიძლება მოინახოს ისეთი პირნი, რომელნიც ამ ოპერაციებს შეასრულებენ (და რომელთაც უმეტეს შემთხვევაში სრულიად არ შეეძლებათ პროფესიონალი რევოლუციონერები გახდნენ), და მით უფრო გაუჭირდება პოლიციას ყველა ამ «დეტალური მუშაკის» «დაჭერა», მით უფრო გაუძნელდება მას რაიმე წვრილმანზე კაცის შეპყრობით «საქმის» შეხანხლვა, რაც ხაზინას აღუდგენდა «დაცვაზე» გაწეულ ხარჯებს. ხოლო რაც შეეხება იმ პირთა რიცხვს, რომელნიც მზად არიან დახმარება გაგვიწიონ, ჩვენ წინა თავშიც აღვნიშნეთ უკვე ის გიგანტური ცვლილება, რომელიც ამ მხრივ მოხდა სულ რაღაც ხუთი წლის განმავლობაში. მაგრამ, მეორე მხრივ, იმისთვისაც, რომ ერთად შევკრიბოთ ყველა ეს წვრილი წილადები, და იმისთვისაც, რომ მოძრაობის ფუნქციებთან ერთად არ დაქუცმაცდეს თვით მოძრაობაც და წვრილი ფუნქციების ამსრულებელს ჩავუნერგოთ მისი მუშაობის აუცილებლობისა და მნიშვნელობის ის რწმენა, ურომლისოდაც ის

* მაგალითად, უკანასკნელ დროს საძხედრო წრეში აღსანიშნავია დემოკრატიული სულისკვეთების აშკარა კაცხოველება, რაოდენადმე იმის გამო, რომ გახშირდა ქუჩაში ბრძოლის შემთხვევები ისეთი «მტრის» წინააღმდეგ, როგორიც არიან მუშები და სტუდენტები. და, როგორც კი საშუალებას მოგვცემს არსებული ძალები, ჩვენ აუცილებლად უნდა მივაქციოთ უაღრესად სერიოზული ყურადღება პროპაგანდასა და აგიტაციას ჯარისკაცებსა და ოფიცრებში, ჩვენს პარტიაში შემავალი «სამხედრო ორგანიზაციების» შექმნას.

ვერასოდეს ვერ იმუშავებს *, — ყოველივე ამისათვის აუცილებელია სწორედ გამოცდილი რევოლუციონერების მაგარი ორგანიზაცია. ასეთი ორგანიზაციის დროს რწმენა პარტიის ძალისადმი მით უფრო განმტკიცდება და მით უფრო ფართოდ გავრცელდება, რაც უფრო კონსპირაციული იქნება ეს ორგანიზაცია; ომში კი, როგორც ვიცით, ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს საკუთარი ძალების რწმენა ჩაუნერგო არა მხოლოდ შენს არმიას, არამედ მტერსაც და ყველა ნეიტრალურ ელემენტსაც; ხანდახან მეგობრულ ნეიტრალიტეტს შეუძლია გადაწყვიტოს საქმის ბედი. ასეთი ორგანიზაციის დროს, რომელიც მაგარ თეორიულ ბაზისზე დგას და რომელსაც სოციალ-დემოკრატიული ორგანო აქვს, საშიშარი არ იქნება, რომ მოძრაობას გზას აუბნევენ მრავალრიცხოვანი, მიკედლებული, «გარეშე» ელემენტები (პირიქით, სწორედ

* მახსოვს, ერთმა ამხანაგმა გადმომცა, რა მწარედ სწუხდა თურმე საფაბრიკო ინსპექტორი, რომელიც მზად იყო დახმარებოდა და ეხმარებოდა კიდეც სოციალ-დემოკრატიას, რომ მან არ იცის, აღწევს თუ არა მისი «ინფორმაცია» ნამდვილ რევოლუციურ ცენტრამდე, რამდენად საჭიროა მისი დახმარება და რამდენად შესაძლებელია მისი პატარა და მცირე სამსახურის გამოყენება. რა თქმა უნდა, ყოველმა პრაქტიკოსმა იცის არა ერთი ამგვარი შემთხვევა, როცა ჩვენი კუსტარულობა გვიკარგავდა მოკავშირეებს. ხოლო ცალ-ცალკე «მცირე» და საერთოდ ფასდაუდებელი სამსახურის გაწევას შესძლებდნენ და გაგვიწევდნენ კიდეც მოსამსახურენი და მოხელენი არა მარტო საფაბრიკო, არამედ საფოსტო, სარკინიგზო, საბაჟო, სათავადაზნაურო, სახუცესო და ყოველგვარ სხვა დარგში, თვით საპოლიციო და საკარისკაცო დარგშიც კი! ჩვენ რომ ნამდვილი პარტია, რევოლუციონერთა ნამდვილი მებრძოლი ორგანიზაცია გვყავდეს, პირდაპირ კი არ გამოვიყვანდით ყველა ამგვარ «დამხმარეს», კი არ ავჩქარდებოდით ყოველთვის და აუცილებლად შეგვეყვანა ისინი «არალეგალურობის» შუაგულში, არამედ, პირიქით, განსაკუთრებით გავუფრთხილდებოდით მათ და სპეციალურადაც კი მოვამზადებდით ხალხს ასეთი ფუნქციებისთვის, რადგან, ვიცით, ბევრ სტუდენტს პარტიისათვის უფრო მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლია როგორც «დამხმარეს» — მოხელეს, ვიდრე როგორც «მოკლევადიან» რევოლუციონერს. მაგრამ — კიდევ ვიმეორებ — ამ ტაქტიკის გამოყენების უფლება აქვს მხოლოდ უკვე სავსებით მტკიცე ორგანიზაციას, რომელიც არ განიცდის აქტიური ძალების ნაკლებობას.

დღეს, გაბატონებული კუსტარულობის დროს, ვამჩნევთ, რომ ბევრი სოციალ-დემოკრატი «Credo»-ს ხაზით მიიწევს, მხოლოდ თავისი თავი ჰგონია სოციალ-დემოკრატი). ერთი სიტყვით, სპეციალიზაცია აუცილებლად გულისხმობს ცენტრალიზაციას და, თავის მხრივ, უსათუოდ მოითხოვს მას.

მაგრამ თვით ბ—ვი, რომელიც ზსე მშვენივრად ასურათებს სპეციალიზაციის მთელ აუცილებლობას, ჩვენი აზრით, საკმარისად ვერ აფასებს მას მოყვანილი მსჯელობის მეორე ნაწილში. მუშებიდან გამოსულ რევოლუციონერთა რიცხვი საკმარისი არ არისო, ამბობს ის. ეს სავსებით სამართლიანია, — და ჩვენ ისევ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ «მახლობელი მეთვალყურის საგულისხმო ცნობა» სავსებით ადასტურებს ჩვენს შეხედულებას სოციალ-დემოკრატიის თანამედროვე კრიზისის ძიზეზებზე და, მაშასადამე, მისგან განკურნების საშუალებებზეც. რევოლუციონერები არათუ საერთოდ ჩამორჩებიან მასების სტიქიურ აღმავლობას, არამედ თვით მუშა-რევოლუციონერებიც ჩამორჩებიან მუშათა მასების სტიქიურ აღმავლობას. ხოლო ეს ფ ა ქ ტ ი მეტად თვალსაჩინოდ ადასტურებს, «პრაქტიკული» თვალსაზრისითაც კი, იმ «პედაგოგიის» არათუ უაზრობას, არამედ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ რ ე ა ქ ც ი უ ლ ო ბ ა ს ა ც, რომლითაც ჩვენ ასე ხშირად გვიმასპინძლდებიან, როცა იხილავენ მუშების მიმართ ჩვენი მოვალეობის საკითხს. ეს ფაქტი მოწმობს, რომ ჩვენი უპირველესი და ყველაზე აუცილებელი მოვალეობაა — ხელი შევუწყოთ ისეთი მუშა-რევოლუციონერების მომზადებას, რომელნიც იმგვარსავე დონეზე იდგებიან პ ა რ ტ ი უ ლ ი მ უ შ ა ო ბ ი ს მ ხ რ ი ვ, როგორც ინტელიგენტი-რევოლუციონერები (ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნავთ სიტყვებს: პარტიული მუშაობის მხრივ, ვინაიდან სხვა მხრივ იმავე დონის მიღწევა მუშების მიერ თუმცაღა საჭიროა, მაგრამ სულაც ისე ადვილი და სულაც ისე აუცილებელი არ არის). ამიტომ მ თ ა ვ ა რ ი ყურადღება იმას უნდა მიექცეს, რომ მუშები ა ვ ა მ ა ღ ლ ო თ რევოლუციონერებამდე და სრულებითაც არა იმას, რომ თვითონ ჩვენვე

დავეშვათ უსათუოდ «მუშათა მასამდე», როგორც ეს უნდათ ეკონომისტებს, უსათუოდ «საშუალო მუშების» დონემდე, როგორც ეს უნდა «სვობოდას» (რომელიც ამ მხრივ ეკონომიური «პედაგოგიის» მეორე საფეხურზე ადის). მე სრულიადაც არ უარვყოფ პოპულარული ლიტერატურის საჭიროებას მუშებისათვის და განსაკუთრებით პოპულარული (მხოლოდ, რა თქმა უნდა, არა ბალაგანური) ლიტერატურის საჭიროებას განსაკუთრებით ჩამორჩენილი მუშებისათვის. მაგრამ ჩემს აღშფოთებას იწვევს პედაგოგიის ეს მუდმივი მიტმასნება პოლიტიკის საკითხებთან, ორგანიზაციის საკითხებთან: თქვენ ხომ, ბატონო «საშუალო მუშებზე» მზრუნველნო, არსებითად, უფრო შეურაცხყოფას აყენებთ მუშებს იმით, რომ გინდათ უსათუოდ მ ო ი ღ უ ნ ო თ, სანამ მუშათა პოლიტიკაზე ან მუშათა ორგანიზაციაზე დაილაპარაკებდეთ. ილაპარაკეთ სერიოზულ რამეებზე წელში გამართულად, და პედაგოგია პედაგოგებს დაანებეთ, და არა პოლიტიკოსებს და ორგანიზატორებს! განა თვით ინტელიგენციაში არ არიან მოწინავენი, «საშუალონი» და «მასები»? განა ინტელიგენციისთვის აგრეთვე ყველას მიერ არ არის აღიარებული პოპულარული ლიტერატურის საჭიროება და არ იწერება ასეთი ლიტერატურა? მაგრამ წარმოიდგინეთ მხოლოდ, რომ სტუდენტების ან გიმნაზიელების ორგანიზების შესახებ დაწერილ სტატიაში ავტორმა, თითქოს რაღაც აღმოაჩინაო, დაიწყო იმის ღეჭვა, რომ უპირველეს ყოვლისა საჭიროა «საშუალო სტუდენტების» ორგანიზება. ასეთ ავტორს უსათუოდ დასცინებენ — და ღირსიც იქნება. თქვენ მხოლოდ მოგვეცით, ეტყვიან მას, პატარა ორგანიზაციული იდეები, თუ ისინი მოგეპოვებათ, ჩვენ კი თვითონ გავჯრკვევთ, ვინ არის ჩვენ შორის «საშუალო», ვინ არის უფრო მაღალი და ვინ უფრო დაბალი. ხოლო თუ ს ა კ უ თ ა რ ი ორგანიზაციული იდეები არ გაგაჩნიათ, — მთელი თქვენი ჯახირი «მასისა» და «საშუალოების» შესახებ მეტისმეტად მოსაწყენი იქნება. უნდა გაიგოთ, რომ უკვე თვით საკითხები «პოლიტიკის», «ორგანიზაციის» შესახებ იმდენად

სერიოზულია, რომ მათზე მხოლოდ სავსებით სერიოზულად შეიძლება ლაპარაკი: მუშები (აგრეთვე სტუდენტებიც და გიმნაზიელებიც) შეიძლება და უნდა ვამზადოთ იმისათვის, რომ მათთან შეიძლებოდეს დალაპარაკება ამ საკითხებზე, მაგრამ რაკი თქვენ უკვე დაიწყეთ ლაპარაკი მათ შესახებ, გაეცით ნამდვილი პასუხი, ნუღარ იხევთ უკან «საშუალოებისა» და «მასისაკენ», ნუ იძვრენთ თავს ლათაიებით ან ფრაზებით *.

მუშა-რევოლუციონერიც, რათა იგი სავსებით მოემზადოს თავისი საქმისათვის, უნდა გახდეს პროფესიონალი რევოლუციონერი. ამიტომ მართალი არ არის ბ—ვი, როცა ამბობს, რომ რადგან მუშა ფაბრიკაში 11½ საათს მუშაობს, ამიტომ დანარჩენი რევოლუციური ფუნქციები (აგიტაციის გარდა) «ძალაუნებურად მძიმე ტვირთად აწვება უკიდურესად უმნიშვნელო ინტელიგენტურ ძალებს». ასე ხდება ეს სრულიადაც არა «ძალაუნებურად», არამედ ჩვენი ჩამორჩენილობის გამო, იმიტომ რომ ჩვენ არა გვაქვს შეგნებული ჩვენი მოვალეობა — დავეხმაროთ თავისი ნიჭით გამოჩენილ ყოველ მუშას და გადავაქციოთ იგი პროფესიონალ აგიტატორად, ორგანიზატორად, პროპაგანდისტად, დამტარებლად და სხვ. და სხვ. ამ მხრივ ჩვენ პირდაპირ სამარცხვინოდ ვფლანგავთ ჩვენს ძალებს, არ ვიცით იმის მოვლა, რაც განსაკუთრებული მზრუნველობით უნდა ვზარდოთ და აღვზარდოთ. შეხედეთ გერმანელებს: მათ ასჯერ უფრო მეტი ძა-

* «სვობოდა» № 1, სტატია «ორგანიზაცია», გვ. 66: «მუშათა უთვალავი რაზმი მთელი თავისი სიმძიმით დაუჭერს მხარს ყველა მოთხოვნას, რომელიც წამოყენებული იქნება რუსეთის შრომის სახელით», — სიტყვა «შრომა» იწყება აუცილებლად ასომთავრულით! და ივივე ავტორი ამბობს: «მე სრულებითაც არ ვუყურებ მტრულად ინტელიგენციას. მაგრამ»... (ეს სწორედ ის მაგრამ არის, რომელსაც შჩედრინი გამოთქვამდა სიტყვებით: შუბლს ზევით ყურები არ იზრდება!)... «მაგრამ მე ყოველთვის საშინლად მაჯავრებს, როდესაც მოდის კაცი და მოჰყვება ლამაზ და მშვენიერ ამბებს და მოითხოვს, რომ უკანასკნელნი მიღებულ იქნან თავისი (მისი?) სილამაზისა და სხვა ღირსებებისთვის» (გვ. 62). დიახ, ეს მეც «ყოველთვის საშინლად მაჯავრებს»...

ლები ჰყავთ, ვიდრე ჩვენ, მაგრამ მათ მშვენივრად ესმით, რომ მართლა ნიჭიერ აგიტატორებს და სხვ. არც ისე ძალიან ხშირად იძლევიან «საშუალონი» თავისი წრიდან. ამიტომ ისინი მაშინვე ცდილობენ ყოველი ნიჭიერი მუშა ჩააყენონ ისეთ პირობებში, როცა მისი ნიჭი შესძლებდა მიეღო სრული განვითარება და სრული გამოყენება: მას ხდიან პროფესიონალ აგიტატორად, მას ახალისებენ გააფართოოს თავისი მოქმედების სარბიელი, გაავრცელოს იგი ერთი ფაბრიკიდან მთელ დარგზე, ერთი ადგილიდან მთელ სახელმწიფოზე. ის იძენს გამოცდილებას და სიმარჯვეს თავის პროფესიაში, აფართოებს თავის გონებრივ არეს და თავის ცოდნას, ახლო უკვირდება მის გვერდით მყოფ სხვა ადგილების და სხვა პარტიების გამოჩენილ პოლიტიკურ ბელადებს, ცდილობს თვითონ ავიდეს იმავე სიმაღლეზე და თავის პიროვნებაში შეაერთოს მუშათა გარემოს ცოდნა და სოციალისტური რწმენის სიახლე იმ პროფესიულ გაწვრთნასთან, ურომლისოდაც პროლეტარიატს ა რ შ ე უ ძ ლ ი ა შეუპოვარი ბრძოლა აწარმოოს თავისი ძტრების საუცხოოდ გაწვრთნილი რიგების წინააღმდეგ. ასე და მხოლოდ ასე წამოიწევიან მუშათა მასიდან ბებელები და აუერები. მაგრამ, რაც პოლიტიკურად თავისუფალ ქვეყანაში ძეტწილად თავისთავად ხდება, ის ჩვენში სისტემატურად უნდა აკეთონ ჩვენმა ორგანიზაციებმა. მუშათა წრიდან გამოსული რამდენადმე ნიჭიერი და «იმედის მომცემი» აგიტატორი ა რ უ ნ დ ა მუშაობდეს ფაბრიკაში 11 საათს. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ მან პარტიის სახსრებით იცხოვროს, დროზე იცოდეს გადასვლა არალეგალურ მდგომარეობაზე, იცვლიდეს თავისი მოქმედების ადგილს, ვინაიდან სხვანაირად ის დიდ გამოცდილებას ვერ შეიძენს, ვერ გაიფართოებს გონებრივ არეს, ვერ გაუძლებს, ყოველ შემთხვევაში. რამდენიმე წელიწადს, ჟანდარმებთან ბრძოლას. რაც უფრო ფართოვდება და ღრმავდება მუშათა მასების სტიქიური აღმავლობა, მით უფრო მეტს წარმოშობენ ისინი არათუ ნიჭიერ აგიტატორებს, არამედ ნიჭიერ ორგანიზატორებსა და პროპაგანდის-

ტებსაც და კარგ «პრაქტიკოსებსაც» (რომელნიც ასე ცოტანი არიან ჩვენს მეტწილად ცოტა რუსეთულად დაუდევარ და მოუქნელ ინტელიგენციაში). როდესაც ჩვენ გვეყოლება სპეციალურად მომზადებული და ხანგრძლივ სკოლაგავლილ მუშა-რევოლუციონერთა (ამასთან, ცხადია «ყოველგვარი საბეობის იარაღის» რევოლუციონერთა) რაზმები, — მაშინ ამ რაზმებს ვერ დასძლევს ვერავითარი პოლიტიკური პოლიცია ქვეყანაზე, ვინაიდან რევოლუციისათვის ამ თავდადებული ადამიანებისაგან შემდგარ რაზმებს მოპოვებული ექნებათ აგრეთვე განუსაზღვრელი ნდობა მუშების მეტად ფართო მასებში. ეს პირდაპირ ჩვენი დ ა ნ ა შ ა უ ლ ი ა, რომ ძალიან ხაკლებად «ვაქეზებთ» მუშებს გამოვიდნენ პროფესიულ-რევოლუციური სწავლის გზაზე, რომელიც მათ საერთო აქვთ ინტელიგენტებთან, ძალიან ხშირად ვეწევით მათ უკან ჩვენი სულელური სიტყვებით იმის შესახებ, თუ რა არის «ხელმისაწვდომი» მუშათა მასისთვის, «საშუალო მუშებისთვის» და სხვ.

როგორც ამ, ისე სხვა მხრივაც ორგანიზაციული მუშაობის ვიწრო გაქანება, უეჭველად და განუყრელად (თუმცა «ეკონომისტების» და დამწყები პრაქტიკოსების დიდი უმრავლესობის მიერ შეუცნობლად) დაკავშირებულია ჩვენი თეორიის და ჩვენი პოლიტიკური ამოცანების შეკვეცასთან. სტიქიურობის წინაშე ქედის მოხრა იწვევს რაღაც შიშს — ერთი ნაბიჯითაც არ გავცილდეთ მასისთვის «ხელმისაწვდომს», შიშს — ძალიან მაღლა არ ავშორდეთ მასის უახლოეს და უშუალო საჭიროებათა უბრალო სამსახურს. ნუ გეშინიათ, ბატონებო! გახსოვდეთ, რომ ჩვენ ორგანიზაციულად იმდენად დაბლა ვდგევართ, რომ ფიქრიც კი სისულელეა, თითქოს ჩვენ შ ე გ ვ ე ძ ლ ო ს ძ ა ლ ი ა ნ მაღლა ასვლა!

ე) «შეთქმულებითი» ორგანიზაცია და «დემოკრატიზმი»

ჩვენ შორის კი ძალიან ბევრნი არიან ისეთნი, რომელნიც იმდენ გულისხმიერებას იჩენენ «ცხოვრების ხმისადმი», რომ ყველაზე უფრო სწორედ ამისი ეშინიათ, და იმათ, ვინც აქ

მოყვანილ შეხედულებებს იცავს, აბრალებენ «ნაროდოვოლ-ცობას», «დემოკრატიზმის» შეუგნებლობას და სხვ.. უნდა შევჩერდეთ ამ ბრალდებებზე, რომელთაც, რა თქმა უნდა, «რაბოჩეე დელომაც» ჩასჭიდა ხელი.

ამ სტრიქონების დამწერმა ძალიან კარგად იცის, რომ პეტერბურგელი ეკონომისტები ნაროდოვოლცობას აბრალებდნენ «რაბოჩაია გაზეტასაც» (რაც გასაგებია, თუ შევადარებთ მას «რაბოჩაია მისლს»). ამიტომ ჩვენ სრულიად არ გაგვკვირვებია, როდესაც მალე «ისკრის» დაარსების შემდეგ ერთმა ამხანაგმა შეგვატყობინა, რომ ქალაქ X-ის სოციალ-დემოკრატები «ისკრას» «ნაროდოვოლცურ» ორგანოდ თვლიანო. ჩვენ ეს ბრალდება, რასაკვირველია, თავმოსაწონადაც კი მივიჩნიეთ, ვინაიდან რომელი რიგიანი სოციალ-დემოკრატი იყო, რომ მისთვის ეკონომისტებს ნაროდოვოლცობა არ დაებრალებინოთ?

ეს ბრალდებანი გამოწვეულია ორგვარი გაუგებრობით. ჯერ-ერთი, ჩვენში ისე ცუდად იციან რევოლუციური მოძრაობის ისტორია, რომ «ნაროდოვოლცობას» უწოდებენ ყოველ იდეას მებრძოლი ცენტრალიზებული ორგანიზაციის შესახებ, რომელიც გადამწყვეტ ომს უცხადებს ცარიზმს. მაგრამ ის საუცხოო ორგანიზაცია, რომელიც 70-იანი წლების რევოლუციონერებს ჰქონდათ და რომელიც ყველა ჩვენთვის სანიმუშო უნდა იყოს, შეჰქმნეს სრულიადაც არა ნაროდოვოლცებმა, არამედ ზემლევოლცებმა, რომელნიც გაითიშნენ ჩერნოპერედელცებად და ნაროდოვოლცებად. ამრიგად, მებრძოლ რევოლუციურ ორგანიზაციაში რაიმე სპეციფიკური ნაროდოვოლცურის დანახვა პირდაპირ უაზრობაა ისტორიულადაც და ლოგიკურადაც, ვინაიდან ყოველი რევოლუციური მიმართულება, თუკი ის მართლა ფიქრობს სერიოზულ ბრძოლაზე, ვერ იარსებებს, თუ ასეთი ორგანიზაცია არა აქვს. ნაროდოვოლცების შეცდომა ის კი არ იყო, რომ ისინი შეეცადნენ თავიანთი ორგანიზაციისაკენ მიეზიდათ ყველა უკმაყოფილო და წარემართათ ეს ორგანიზაცია გა-

დამწყვეტი ბრძოლისაკენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. პირიქით, ეს მათი დიდი ისტორიული დამსახურებაა. მათი შეცდომა ის იყო, რომ ისინი ემყარებოდნენ ისეთ თეორიას, რომელიც არსებითად სრულიადაც არ იყო რევოლუციური თეორია; მათ არ იცოდნენ ან ვერ შესძლეს განუყრელად დაეკავშირებინათ თავიანთი მოძრაობა მზარდ კაპიტალისტურ საზოგადოებაში არსებულ კლასობრივ ბრძოლასთან. და მხოლოდ მარქსიზმის სრულიად უხეშ გაუგებლობას (ან მის «სტრუვიზმისებურად» «გაგებას») შეეძლო წარმოეშვა აზრი, თითქოს მუშათა მასობრივი, სტიქიური მოძრაობის წარმოშობა გვათავისუფლებს მოვალეობისაგან — შევქმნათ ისეთივე კარგი ორგანიზაცია, როგორიც ჰქონდათ ზემლევოლცებს, შევქმნათ რევოლუციონერთა გაცილებით კიდევ უკეთესი ორგანიზაცია. პირიქით, ეს მოძრაობა სწორედ გვაკისრებს ამ მოვალეობას, ვინაიდან პროლეტარიატის სტიქიური ბრძოლა ვერც გახდება მის ნამდვილ «კლასობრივ ბრძოლად», ვიდრე ამ ბრძოლას ხელმძღვანელობას არ გაუწევს რევოლუციონერების მტკიცე ორგანიზაცია.

მეორეც, ბევრს — და მათ შორის, ეტყობა, ბ. კრიჩევსკისაც («რაბოჩეე დელო» № 10, გვ. 18) — სწორად არ ესმის ის პოლემიკა პოლიტიკურ ბრძოლაზე «შეთქმულებითი» შეხედულების წინააღმდეგ, რომელსაც ყოველთვის აწარმოებდნენ სოციალ-დემოკრატები. ჩვენ ვილაშქრებდით და, რა თქმა უნდა, ყოველთვის გავილაშქრებთ პოლიტიკური ბრძოლის შეთქმულებით შეზღუდვის წინააღმდეგ *. მაგრამ, ცხადია, ეს სრულებითაც არ მოასწავებდა მაგარი რევოლუციური ორგანიზაციის აუცილებლობის უარყოფას. და, მაგალ., ბროშურაში, რომელიც შენიშვნაშია დასახელებული, პოლიტიკური ბრძოლის შეთქმულებამდე ჩამოქვეითების წინააღმდეგ პოლემიკასთან ერთად, ისახება (როგორც სოციალ-

* შეად. «რუსი სოციალ-დემოკრატების ამოცანები», გვ. 21, პოლემიკა ბ. ლ. ლავროვის წინააღმდეგ. (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 2, გვ. 418 — 419. რედ.)

დემოკრატიული იდეალი) ორგანიზაცია, რომელიც იმდენად მტკიცეა, რომ მას შეუძლია «მიმართოს აბსოლუტიზმისთვის გადამწყვეტი ლახვრის ჩასაცემად» როგორც «აჯანყებას», ისე «შეტევის ყოველგვარ სხვა ხერხს» *. თავისი ფორმით ასეთ მტკიცე რევოლუციურ ორგანიზაციას თვითმპყრობელურ ქვეყანაში შეიძლება ეწოდოს «შეთქმულებითი» ორგანიზაციაც, ვინაიდან ფრანგული სიტყვა «კონსპირაცია» რუსული «შეთქმულების» შესატყვისია, ხოლო კონსპირაციულობა ასეთი ორგანიზაციისათვის მაქსიმალურად საჭიროა. ამგვარი ორგანიზაციისათვის კონსპირაციულობა იმდენად აუცილებელი პირობაა, რომ ყველა დანარჩენი პირობა (წევრთა რაოდენობა, მათი შერჩევა, ფუნქციები და სხვ.) მასთან უნდა იყოს შეთანხმებული. ამიტომ უდიდესი გულუბრყვილობა იქნებოდა შეგვშინებოდა ბრალდებისა, რომ ჩვენ, სოციალ-დემოკრატებს, გვინდა შევქმნათ შეთქმულებითი ორგანიზაცია. ეს ბრალდებანი ისევე თავმოსაწონი უნდა იყოს ეკონომიზმის ყოველი მტრისთვის, როგორც «ნაროდოვოლცობის» ბრალდება.

შემოგვედავებიან: ასეთ ძლიერ და უაღრესად ფარულ ორგანიზაციას, რომელიც თავს უყრის თავის ხელში კონსპირაციული მუშაობის ყველა ძაფს, ორგანიზაციას აუცილებლივ ცენტრალისტურს, შეუძლია ძალიან ადვილად გადავიდეს ნა-

* «რუსი სოციალ-დემოკრატების ამოცანები», გვ. 23 (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 2, გვ. 421. რ ედ.). კიდევ იმის ერთი ილუსტრაცია, რომ «რ ა ბ ო ჩ ე ე დ ე ლ ო ს» ან არ ესმის, რასაც ლაპარაკობს, ან თავის შეხედულებებს «ქარის მიმართულების» მიხედვით იცვლის. «რაბოჩეე დელოს» პირველ ნომერში დაბეჭდილია ხაზგასმით: «ბ რ ო შ ურ ი ს გ ა დ მ ო ც ე მ უ ლ ი შ ინ ა ა რ ს ი ს ა ვ ს ე ბ ი თ ე მ თ ხ ვ ე ვ ა «რ ა ბ ო ჩ ე ე დ ე ლ ო ს» ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო პ რ ო გ რ ა მ ა ს» (გვ. 142). მართლა? «ამოცანებს» ემთხვევა შეხედულება, რომ მასობრივ მოძრაობას უპირველეს ამოცანად არ შეიძლება დავუსახოთ თვითმპყრობელობის დამხობა? ემთხვევა «მეპატრონეებთან და მთავრობასთან ეკონომიური ბრძოლის» თეორია? ემთხვევა სტადიების თეორია? მკითხველმა თვითონ განსაჯოს, შეიძლება თუ არა იმ ორგანოს პრინციპულ სიმტკიცეზე ლაპარაკი, რომელსაც ასე ორიგინალურად ესმის «დამთხვევა».

ადრევ იერიშზე, შეუძლია მოუფიქრებლად გაამწვავოს მოძრაობა, იმაზე უფრო ადრე, ვიდრე ეს შეიძლება და საჭიროა პოლიტიკური უკმაყოფილების ზრდის, მუშათა კლასის დრტვინვისა და განრისხების ძლიერების მიხედვით და სხვ. ამაზე ჩვენ ვუპასუხებთ: განყენებულად თუ ვიტყვით, რა თქმა უნდა, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ მებრძოლ ორგანიზაციას შ ე უ ძ ლ ი ა დაიწყოს მოუფიქრებელი ბრძოლა, რომელიც შ ე ი ძ ლ ე ბ ა დამთავრდეს დამარცხებით, რაც სხვა პირობებში აუცილებელი სულაც არ იქნებოდა. მაგრამ ასეთ საკითხში განყენებული მოსაზრებებით დაკმაყოფილება შეუძლებელია, ვინაიდან ყოველი ბრძოლა შეიცავს დამარცხების განყენებულ შესაძლებლობას, და ამ შესაძლებლობის შ ე ს ა მ ც ი რ ე ბ ლ ა დ არ არსებობს სხვა საშუალება, გარდა ბრძოლის ორგანიზებული მომზადებისა. ხოლო თუ ჩვენ საკითხს რუსეთის თანამედროვე პირობების კონკრეტულ ნიადაგზე დავაყენებთ, მაშინ უნდა გამოვიყვანოთ დადებითი დასკვნა, რომ ძლიერი რევოლუციური ორგანიზაცია აუცილებლად საჭიროა სწორედ იმისათვის, რომ მოძრაობას სიმტკიცე მივცეთ და ა ვ ა რ ი დ ო თ მას მოუფიქრებელი იერიშების შესაძლებლობა. სწორედ ახლა, როცა ასეთი ორგანიზაცია არ არის და რევოლუციური მოძრაობა სწრაფად იზრდება სტიქიურად, უ კ ვ ე შ ე ს ა მ ჩ ნ ე ვ ი ა ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო უკიდურესობა (რომელნიც, როგორც მათ კიდევაც შეჰფერით, ერთმანეთს «ხვდებიან»): ან სრულიად უმწეო ეკონომიზმი და ზომიერების ქადაგება, ან იმდენადვე უმწეო «ექსციტატიური ტერორი», რაც ლამობს იმ «მოძრაობაში, რომელიც ვითარდება და მაგრდება, მაგრამ რომელიც ჯერ კიდევ დასაწყისთან უფრო ახლოს არის, ვიდრე დასასრულთან, ხელოვნურად გამოიწვიოს მისი დასასრულის სიმპტომები» (ვ. ზასულიჩი «ზარიაში», № 2 — 3, გვ. 353). «რაბოჩეე დელოს» მაგალითი გვიჩვენებს, რომ უ კ ვ ე ა რ ი ა ნ ისეთი სოციალ-დემოკრატები, რომელნიც ქედს იხრიან ორივე უკიდურესობის წინაშე. ასეთი მოვლენა, დანარჩენ მიზეზებს

გარდა, იმიტომაც არ არის საკვირველი, რომ «ეკონომიური ბრძოლა მეპატრონეებსა და მთავრობასთან» ვ ე რ ა ს ო დ ე ს ვერ დააკმაყოფილებს რევოლუციონერს, და ერთიმეორის საწინააღმდეგო უკიდურესობანი ყოველთვის წარმოიშობიან ჯოლმე ხან აქ, ხან იქ. მხოლოდ ცენტრალიზებულ მებრძოლ ორგანიზაციას, რომელიც მტკიცედ ატარებს სოციალ-დემოკრატიულ პოლიტიკას და აკმაყოფილებს, ასე ვთქვათ, ყოველ-ვვარ რევოლუციურ ინსტინქტსა და მისწრაფებას, შეუძლია მოძრაობას ააცდინოს მოუფიქრებელი იერიში და მოამზადოს ისეთი იერიში, რომელსაც წარმატება ექნება.

შემდეგ შემოგვედავებიან: აქ წამოყენებული შეხედულება ორგანიზაციაზე ეწინააღმდეგება «დემოკრატიულ პრინციპ-სო». რამდენადაც წინა ბრალდება სპეციფიკურად რუსული წარმოშობისაა, იმდენად ეს — ს პ ე ც ი ფ ი კ უ რ ა დ ს ა ზ-ღ ვ ა რ გ ა რ ე თ უ ლ ი ხასიათისაა. და მხოლოდ საზღვარ-გარეთულ ორგანიზაციას («რუსი სოციალ-დემოკრატების კავ-შირს») შეეძლო თავისი რედაქციისთვის მიეცა, სხვა ინსტრუქ-ციათა შორის, შემდეგიც:

«ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი უ ლ ი პ რ ი ნ ც ი პ ი. სოციალ-დემოკრატიის წარმა-ტებითი განვითარებისა და გაერთიანების მიზნით ხაზი უნდა გავუსვათ, განვავითაროთ და ვიბრძოლოთ მისი პარტიული ორგანიზაციის ფართო დემოკრატიული პრინციპისთვის, რაც განსაკუთრებით საჭიროა ჩვენი პარ-ტიის რიგებში გამომეღავნებული ანტი-დემოკრატიული ტენდენციების გამო» («ორი ყრილობა», გვ. 18).

სახელდობრ როგორ ებრძვის «რაბოჩეე დელო» «ისკრის» «ანტი-დემოკრატიულ ტენდენციებს», ამას შემდეგ თავში დავინახავთ. ახლა კი გავსინჯოთ კარგად ეკონომისტების ძიერ წამოყენებული ეს «პრინციპი». ყველა დაგვეთანხმება, ალბათ, რომ «ფართო დემოკრატიული პრინციპი» შეიცავს ორ შემდეგს აუცილებელ პირობას: ჯერ-ერთი, სრულ საჯა-როობას და, მეორეც, ყველა ფუნქციის არჩევითობას. თუ არ არის საჯაროობა, სასაცილო იქნებოდა დემოკრატიზმზე ლა-პარაკი, მასთან ისეთი საჯაროობა, რომელიც ორგანიზაციის

წევრებით არ უნდა განისაზღვრებოდეს. ჩვენ დემოკრატიულს დავარქმევთ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანიზაციას, ვინაიდან იქ ყველაფერი აშკარად ხდება, პარტიული ყრილობის სხდომებიც კი; მაგრამ დემოკრატიულ ორგანიზაციას ვერავინ უწოდებს ისეთ ორგანიზაციას, რომელიც საიდუმლოებითაა მოცული ყველა არაწევრთათვის. იბადება კითხვა, რაღა აზრი აქვს «ფ ა რ თ ო დემოკრატიული პრინციპის» წამოყენებას, როდესაც ამ პრინციპის ძირითადი პირობა შ ე უ ს რ უ ლ ე ბ ე ლ ი ა ფარული ორგანიზაციისათვის? «ფართო პრინციპი» მყვირალა, მაგრამ ცარიელი ფრაზა აღმოჩნდა. ეგ არაფერი. ეს ფრაზა მოწმობს მომენტის არსებითი ამოცანების სრულ გაუგებლობას ორგანიზაციული თვალსაზრისით. ყველამ იცის, რამდენად დიდია რევოლუციონერთა «ფართო» მასის ჩვენში გაბატონებული არაკონსპირაციულობა. ჩვენ დავინახეთ, რა მწარედ უჩივის ამ გარემოებას ბ—ვი, რომელიც სრულიად სამართლიანად მოითხოვს «წევრთა მკაცრ შერჩევას» («რაბოჩეე დელო» № 6, გვ. 42). და აი, გამოდიან ისეთი ადამიანები, რომელნიც იკვეხნიან თავის «ცხოვრების ალღოს», რომელნიც ასეთ მდგომარეობაში ხ ა ზ გ ა ს მ ი თ ა ღ ნ ი შ ნ ა ვ ე ნ არა უსასტიკესი კონსპირაციის და წევრთა უმკაცრესი (მაშასადამე, უფრო მჭიდრო) შერჩევის აუცილებლობას, არამედ — «ფ ა რ თ ო დემოკრატიულ პრინციპს»! ამაზე იტყვიან — განგლა, განგლაო.

უკეთესად როდია დემოკრატიზმის მეორე ნიშნის — არჩევითობის — საქმეც. იმ ქვეყნებში, სადაც პოლიტიკური თავისუფლებაა, ეს პირობა თავისთავად იგულისხმება. «პარტიის წევრად ითვლება ყველა, ვინც აღიარებს პარტიული პროგრამის პრინციპებს და ეხმარება პარტიას შეძლებისდაგვარად» — აცხადებს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანიზაციული წესდების პირველი მუხლი. და ვინაიდან მთელი პოლიტიკური სარბიელი გადაშლილია ყველასათვის, როგორც სცენა თეატრის მაყურებლების წინაშე, ამიტომ ეს აღიარება თუ არ აღიარება, მხარდაჭერა თუ წინააღმდე-

ვობის გაწევა იცის·ყველამ და თვითეულმა როგორც გაზეთებიდან, ისე სახალხო კრებებიდან. ყველამ იცის, რომ ამა და ამ პოლიტიკურმა მოღვაწემ დაიწყო ამით და ამით, განიცადა ასეთი და ასეთი ევოლუცია, გამოიჩინა თავი ცხოვრების მძიმე წუთებში ასე და ასე, საერთოდ განირჩევა ასეთი და ასეთი თვისებებით, — ამიტომ, ცხადია, ასეთი მოღვაწე პარტიის ყ ვ ე ლ ა წევრს შეუძლია შეგნებულად აირჩიოს ან არ აირჩიოს ამა თუ იმ პარტიულ თანამდებობაზე. პარტიის წევრის ყოველი ნაბიჯის საყოველთაო (ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით) კონტროლი მის პოლიტიკურ სარბიელზე ქმნის ავტომატურად მოქმედ მექანიზმს, რომელიც იძლევა იმას, რასაც ბიოლოგიაში ეწოდება «ყველაზე უფრო შეგუებულთა გადარჩენა». სრული საჯაროობის, არჩევითობისა და საყოველთაო კონტროლის «ბუნებრივი შერჩევა» უზრუნველყოფს იმას, რომ ბოლოს და ბოლოს ყოველი მოღვაწე «თავის კალაპოტში» თავსდება, ხელს ჰკიდებს თავისი ძალისა და ნიჭის ყველაზე უფრო შესაფერ საქმეს, თვითონ განიცდის თავისი შეცდომების ყველა შედეგს და ყველას წინაშე ამტკიცებს თავისი შეცდომების შეგნებისა და მათი თავიდან აცილების უნარს.

აბა სინჯეთ და ეს სურათი ჩვენი თვითმპყრობელობის ჩარჩოებში ჩასვით! განა წარმოსადგენია ჩვენში, რომ რევოლუციონერ-კონსპირატორის თვითეულ ნაბიჯს კონტროლი გაუწიოს ყველამ, «ვინც აღიარებს პარტიული პროგრამის პრინციპებს და ეხმარება პარტიას შეძლებისდაგვარად»? რომ ყველამ ესა თუ ის აირჩიოს ამ რევოლუციონერთაგან, როდესაც რევოლუციონერი მუშაობის ინტერესების გულისთვის ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ი ა თავისი ვინაობა დაუმალოს ამ «ყველას» ცხრა მეათედს? ჩაუკვირდით ცოტათი მაინც იმ მყვირალა სიტყვების ნამდვილ მნიშვნელობას, რომლებითაც «რაბოჩეე დელო» გამოდის, და დაინახავთ, რომ პარტიული ორგანიზაციის «ფართო დემოკრატიზმი» თვითმპყრობელობის ბნელეთში, ჟანდარმული შერჩევის ბატონობის დროს, მხოლოდ ფ უ ჭ ი დ ა

მ ა ვ ნ ე თ ა მ ა შ ო ბ ა ა. ეს ფუჭი თამაშობაა, ვინაიდან ნამდვილად არც ერთ რევოლუციურ ორგანიზაციას არასოდეს ფ ა რ თ ო დემოკრატიზმი არ გაუტარებია და არც შეუძლია გაატაროს, კიდეც რომ ძალიან სურდეს. ეს მავნე თამაშობაა, ვინაიდან სინამდვილეში «ფართო დემოკრატიული პრინციპის» გატარების ცდა მხოლოდ პოლიციას უადვილებს ფართო ჩავარდნებს და ამარადისებს გამეფებულ კუსტარულობას, აშორებს პრაქტიკოსების აზრს სერიოზულ, უცილობელ ამოცანას—გამოიწვრთნან პროფესიონალ რევოლუციონერებად—და გადააქვს იგი «ქაღალდის» ვრცელ წესდებათა შედგენაზე არჩევნების სისტემების შესახებ. მხოლოდ უცხოეთში, სადაც ხშირად იკრიბებიან ადამიანები, რომელთაც არ შეუძლიათ გამონახონ თავისთვის ნამდვილი, ცოცხალი საქმე, შეიძლებოდა აქა-იქ და განსაკუთრებით სხვადასხვა წვრილ ჯგუფში განვითარებულიყო ეს «დემოკრატიზმობის თამაში».

მკითხველს რომ დავანახვოთ, რამდენად უხეიროა «რაბოჩეე დელოს» მოწონებული ხერხი ისეთი კარგი «პრინციპის» წამოსაყენებლად, როგორიცაა დემოკრატიზმი რევოლუციურ საქმეში, ჩვენ ისევ მოწმეს დავასახელებთ. ამ მოწმეს — ე. სერებრიაკოვს, ლონდონის ჟურნალ «ნაკანუნეს» რედაქტორს, — ძალიან უყვარს «რაბოჩეე დელო» და ძალიან სძაგს პლეხანოვი და «პლეხანოველები»; სტატიებში საზღვარგარეთული «რუსი სოციალ-დემოკრატების კავშირის» გათიშვის შესახებ «ნაკანუნემ» გადაჭრით დაუჭირა მხარი «რაბოჩეე დელოს» და თავს დაესხა პლეხანოვს უბადრუკი სიტყვების კორიანტელით. მით უფრო ძვირფასია ჩვენთვის ეს მოწმე ამ საკითხში. «ნაკანუნეს» მე-7 ნომერში (1899 წლის ივლისი) მოთავსებულ სტატიაში: «მუშების თვითგანთავისუფლების ჯგუფის მოწოდების გამო» ე. სერებრიაკოვი აღნიშნავდა კითხვების აღძვრის «უმართებულობას» «თავის მოტყუების, მეთაურობის, ეგრეთწოდებული არეოპაგის შესახებ სერიოზულ რევოლუციურ მოძრაობაში» და, სხვათა შორის, წერდა:

«მიშკინი, როგაჩოვი, ჟელიაბოვი, მიხაილოვი, პეროვსკაია, ფიგნერი და სხვ. არასოდეს არ თვლიდნენ თავს მეთაურებად, და მათ არავინ არ ირჩევდა და არ ნიშნავდა, თუმცა სინამდვილეში ისინი სწორედ ასეთნი იყვნენ, ვინაიდან როგორც პროპაგანდის, ისე მთავრობასთან ბრძოლის პერიოდში მათ იკისრეს მუშაობის ყველაზე დიდი სიმძიმე, ისინი მიდიოდნენ ყველაზე უფრო საშიშარ ადგილას, და მათი საქმიანობა ყველაზე უფრო ნაყოფიერი იყო. მეთაურობა არა მათი სურვილების, არამედ იმის შედეგი იყო, რომ ამხანაგები ენდობოდნენ მათს ჭკუას, მათს ენერგიასა და თავდადებას. შიში კი რაღაც არეოპაგისა (თუ შიში არ არის, რა საჭიროა მასზე წერა), რომელსაც ვითომ შეუძლია თვითნებურად გაუძღვეს მოძრაობას, მეტისმეტი გულუბრყვილობაა. აბა ვინ გაუგონებს მას?»

ვეკითხებით მკითხველს, რით განსხვავდება «არეოპაგი» «ანტიდემოკრატიული ტენდენციებისაგან»? და განა აშკარა არ არის, რომ «რაბოჩეე დელოს» «კარგი» ორგანიზაციული პრინციპიც სწორედ ასევე გულუბრყვილოც არის და უმართებულოც, — გულუბრყვილო, იმიტომ რომ «არეოპაგს» ანუ «ანტიდემოკრატიული ტენდენციების» მატარებელ ადამიანებს არავინ არ გაუგონებს, რაკი «მათს ჭკუას, ენერგიასა და თავდადებას არ ენდობიან ამხანაგები». უმართებულოა, — როგორც დემაგოგიური გამოსვლა, რომელიც სპეკულაციას ეწევა ზოგის მედიდურობით, ზოგის — ჩვენი მოძრაობის ნამდვილი მდგომარეობის უცოდინარობით, ზოგისაც — მოუმზადებლობითა და რევოლუციური მოძრაობის ისტორიის უცოდინარობით. ჩვენი მოძრაობის მოღვაწეთათვის ერთადერთი სერიოზული ორგანიზაციული პრინციპი უნდა იყოს: უსასტიკესი კონსპირაცია, წევრთა უსასტიკესი შერჩევა, პროფესიონალი რევოლუციონერების მომზადება. რაკი არსებობს ეს თვისებები, — უზრუნველყოფილია რაღაც უფრო მეტიც, ვიდრე «დემოკრატიზმი», სახელდობრ: სრული ამხანაგური ნდობა რევოლუციონერებს შორის. ეს მეტი კი ჩვენთვის უსათუოდ საჭიროა, ვინაიდან დემოკრატიული საყოველთაო კონტროლით მის შეცვლაზე ჩვენში, რუსეთში, ლაპარაკიც შეუძლებელია. და დიდი შეცდომაც იქნებოდა იმის ფიქრი, რომ მართლა «დემოკრატიული» კონტროლის შეუძლებლობა

ვითომ კონტროლის გარეშე აყენებს რევოლუციური ორგანიზაციების წევრებს: მათ დრო არა აქვთ იფიქრონ დემოკრატიზმის სათამაშო ფორმების შესახებ (დემოკრატიზმისა სრული ურთიერთნდობით აღჭურვილი ამხანაგების მჭიდრო წრეში); მაგრამ ისინი თავიანთ პ ა ს უ ხ ი ს მ გ ე ბ ლ ო ბ ა ს ძალიან ცოცხლად გრძნობენ, მასთან გამოცდილებით იციან, რომ ნამდვილი რევოლუციონერების ორგანიზაცია არავითარ საშუალებას არ დაერიდება უვარგისი წევრის თავიდან მოსაშორებლად. არის კიდევაც ჩვენში საკმაოდ განვითარებული, მთელი ისტორიის მქონე საზოგადოებრივი აზრი რუსული (და საერთაშორისო) რევოლუციური წრისა, რომელიც დაუნდობელი სიმკაცრით სჯის ამხანაგობის ვალდებულებათა ყოველგვარ დარღვევას (ხოლო «დემოკრატიზმი», ნამდვილი, არა სათამაშო დემოკრატიზმი შედის, როგორც ნაწილი მთელში, ამხანაგობის ამ ცნებაში!). მიიღეთ ყოველივე ეს მხედველობაში — და თქვენ გაიგებთ, გენერლობის საზღვარგარეთული თამაშობის რა შმორიანი სუნი უდის ამ ლაპარაკს და რეზოლუციებს «ანტიდემოკრატიულ ტენდენციებზე»!

უნდა შევნიშნოთ კიდევ, რომ ამ ლაპარაკის მეორე წყაროს, ე. ი. გულუბრყვილობას, ასაზრდოებს აგრეთვე ბუნდოვანება იმის წარმოდგენისა, თუ რა არის დემოკრატია. ცოლ-ქმარ ვებების წიგნში ინგლისის ტრედ-უნიონებზე არის საყურადღებო თავი: «პრიმიტიული დემოკრატია». ავტორები აქ მოგვითხრობენ, რომ ინგლისელი მუშები მათი კავშირების არსებობის პირველ პერიოდში დემოკრატიის აუცილებელ ნიშნად თვლიდნენ იმას, რომ ყველას ყველაფერი გაეკეთებინა კავშირების მართვა-გამგეობის მხრივ: ყველა წევრის კენჭისყრით წყდებოდა არათუ ყველა საკითხი, არამედ თანამდებობებსაც ყველა წევრი რიგრიგობით ასრულებდა. საჭირო იყო ხანგრძლივი ისტორიული გამოცდილება, რომ მუშებს შეეგნოთ დემოკრატიაზე ასეთი წარმოდგენის უაზრობა და, ერთი მხრივ, წარმომადგენლობითი დაწესებულებების და, მეორე მხრივ, პროფესიულ თანამდებობის პირთა საჭიროება.

საჭირო იყო კავშირთა სალაროების ფინანსური კრახის რამდენიმე შემთხვევა, რათა მუშებს გაეგოთ, რომ საწევრო შენატანის და მისაღები დახმარების პროპორციული დამოკიდებულების საკითხი ვერ გადაწყდება მარტოოდენ დემოკრატიული კენჭისყრით, არამედ მოითხოვს აგრეთვე დაზღვევის საქმის სპეციალისტის ხმას. შემდეგ, აიღეთ კაუტსკის წიგნი პარლამენტარიზმისა და სახალხო კანონმდებლობის შესახებ,— და თქვენ დაინახავთ, რომ თეორეტიკოს-მარქსისტის დასკვნები ეთანხმება «სტიქიურად» გაერთიანებული მუშების მრავალი წლის პრაქტიკის გაკვეთილს. კაუტსკი გადაჭრით ეწინააღმდეგება რიტინჰაუზენის მიერ დემოკრატიის პრიმიტიულ გაგებას, სასაცილოდ იგდებს იმათ, ვინც მზად არის დემოკრატიის სახელით მოითხოვოს, რომ «სახალხო გაზეთებს პირდაპირ ხალხი რედაქტორობდეს», ამტკიცებს პროფესიონალი ჟურნალისტების, პარლამენტარიებისა და სხვათა აუცილებელ საჭიროებას პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის სოციალ-დემოკრატიული ხელმძღვანელობისათვის, თავს ესხმის «ანარქისტების და ლიტერატორების სოციალიზმს», «ეფექტის გამოდევნებით» რომ აქებ-ადიდებენ პირდაპირ სახალხო კანონმდებლობას და არ ესმით მისი ფრიად პირობითი გამოსაყენებლობა თანამედროვე საზოგადოებაში.

ვისაც პრაქტიკულად უმუშავნია ჩვენს მოძრაობაში, მან იცის, რა ფართოდაა გავრცელებული მოსწავლე ახალგაზრდობასა და მუშათა მასაში «პრიმიტიული» შეხედულება დემოკრატიაზე. გასაკვირველი როდია, რომ ეს შეხედულება იჭრება წესდებებშიც და ლიტერატურაშიც. ბერნშტეინული ყაიდის ეკონომისტები თავიანთ წესდებაში წერდნენ: «§ 10. ყველა საქმე, რომელიც ეხება მთელი კავშირის ორგანიზაციის ინტერესებს, წყდება მისი ყველა წევრის ხმების უმრავლესობით». ტერორისტული ყაიდის ეკონომისტები ბანს აძლევენ მათ: «აუცილებლად საჭიროა კომიტეტის გადაწყვეტილებამ ყველა წრე შემოიაროს და მხოლოდ შემდეგ იქცეს ნამდვილ გადაწყვეტილებად» («სვობოდა» № 1, გვ. 67). მი-

აქციეთ ყურადღება, რომ რეფერენდუმის ფართოდ გამოყენების ეს მოთხოვნა წამოყენებულია იმ მოთხოვნის დამატებით, რომ მთელი ორგანიზაცია აიგოს არჩევითს საფუძველზე! რა თქმა უნდა, ჩვენ სრულიადაც არ ვფიქრობთ გავკიცხოთ ამის გულისთვის პრაქტიკოსები, რომელთაც ძალიან ცოტა შესაძლებლობა ჰქონდათ გასცნობოდნენ ნამდვილი დემოკრატიული ორგანიზაციების თეორიასა და პრაქტიკას. მაგრამ როდესაც «რაბოჩეე დელო», რომელიც ლაშობს ხელმძღვანელი როლის დაჩემებას, ამგვარ პირობებში კმაყოფილდება რეზოლუციით ფართო დემოკრატიული პრინციპის შესახებ, როგორ არ ვუწოდოთ ამას მხოლოდ «ეფექტის გამოდევნება»?

3) ადგილობრივი და საერთო-რუსეთის მასშტაბით მუშაობა

თუ აქ განხილული ორგანიზაციის გეგმის წინააღმდეგ გამოთქმული მოსაზრებანი მისი არადემოკრატიზმისა და შეთქმულებითი ხასიათის თვალსაზრისით სრულიად უსაფუძვლოა, რჩება კიდევ საკითხი, რომელსაც ძალიან ხშირად აყენებენ და რომელიც დაწვრილებით განხილვის ღირსია. ეს არის ადგილობრივი და საერთო-რუსეთის მასშტაბით მუშაობის თანაფარდობის საკითხი. გამოთქვამენ შიშს, ცენტრალისტური ორგანიზაციის შექმნა ხომ არ გამოიწვევს სიმძიმის ცენტრის გადატანას პირველიდან მეორეზე? ხომ არ ავნებს ეს მოძრაობას, ხომ არ დაასუსტებს მუშათა მასასთან ჩვენი კავშირის სიმტკიცეს და საერთოდ ადგილობრივი აგიტაციის სიმყარესო? ჩვენ ამაზე ვუპასუხებთ: ჩვენი უკანასკნელი წლების მოძრაობა სწორედ იმიტომ მოიკოჭლებს, რომ ადგილობრივი მოღვაწენი მეტისმეტად არიან გართული ადგილობრივი მუშაობით; რომ ამიტომ სიმძიმის ცენტრის რამდენადმე გადაწევა საერთო-რუსეთის მასშტაბით მუშაობისაკენ უსათუოდ აუცილებელია; რომ ასეთი გადაწევა კი არ დაასუსტებს, არამედ გააძლიერებს როგორც ჩვენი კავშირის

სიმტკიცეს, ისე ჩვენი ადგილობრივი აგიტაციის სიმყარეს. ავიღოთ ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების საკითხი და ვთხოვოთ მკითხველს არ დაივიწყოს, რომ საგაზეთო საქმე ჩვენთვის მხოლოდ მ ა გ ა ლ ი თ ი ა, რომელიც გვისურათებს განუზომლად უფრო ფართო და მრავალმხრივ რევოლუციურ საქმეს საერთოდ.

მასობრივი მოძრაობის პირველ პერიოდში (1896 — 1898 წლები) ადგილობრივი მოღვაწენი ცდილობენ მოაწყონ საერთო-რუსეთის ორგანო — «რაბოჩაია გაზეტა»; შემდგომ პერიოდში (1898 — 1900 წლები) — მოძრაობა დიდ ნაბიჯს დგამს წინ, მაგრამ ხელმძღვანელთა ყურადღებას მთლად ადგილობრივი ორგანოები ნთქამს. თუ ვიანგარიშებთ ერთად ყველა ამ ადგილობრივ ორგანოს, აღმოჩნდება *, რომ საბოლოო ანგარიშში ერთ თვეზე გაზეთის თითო ნომერი მოდის. განა ეს ჩვენი კუსტარულობის თვალსაჩინო ილუსტრაცია არ არის? განა ეს არ გვიჩვენებს თვალნათლივ ჩვენი რევოლუციური ორგანიზაციის ჩამორჩენილობას მოძრაობის სტიქიური აღმავლობისაგან? გაზეთების ნომრების ი გ ი ვ ე რ ი ც ხ ვ ი რომ გამოშვებული ყოფილიყო არა დაქსაქსული ადგილობრივი ჯგუფების, არამედ ერთიანი ორგანიზაციის მიერ, — ჩვენ არათუ დავზოგავდით დიდ ძალას, არამედ უზრუნველვყოფდით კიდეც ჩვენი მუშაობის გაცილებით უფრო მეტ სიმტკიცეს და თანამომდევნობას. ამ უბრალო მოსაზრებას ძალიან ხშირად უშვებენ მხედველობიდან როგორც ის პრაქტიკოსები, რომელნიც ა ქ ტ ი უ რ ა დ მუშაობენ თითქმის მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივი ორგანოებისთვის (სამწუხაროდ, უმეტეს შემთხვევაში ეს ახლაც ასეა), ისე ის პუბლიცისტები, რომელნიც ამ საკითხში საკვირველ დონკიხოტობას იჩენენ. პრაქტიკოსი ჩვეულებრივ იმ მოსაზრებით კმაყო-

* იხ. «მოხსენება პარიზის კონგრესს» [124], გვ. 14: «იმ დროიდან (1897 წ.) 1900 წლის გაზაფხულამდე სხვადასხვა ადგილას გამოვიდა სხვადასხვა გაზეთის 30 ნომერი... საშუალოდ თვეში თითო ნომერზე მეტი გამოდიოდა».

ფილდება, რომ ადგილობრივ მოღვაწეთათვის «ძნელია» * საერთო-რუსეთის გაზეთის გამოცემის დაყენება და რომ სულ არარობას სჯობს ადგილობრივი გაზეთები გვქონდეს. უკანასკნელი მოსაზრება, რა თქმა უნდა, სავსებით სამართლიანია, და ჩვენც არც ერთ პრაქტიკოსზე ნაკლებად არ გვესმის ს ა ე რ თ ო დ ადგილობრივი გაზეთების დიდი მნიშვნელობა და დიდი სარგებლობა. მაგრამ აქ ხომ ლაპარაკია არა ამაზე, არამედ იმაზე, რომ იქნებ შესაძლებელია თავი დავაღწიოთ დაქსაქსულობას და კუსტარულობას, რასაც ასე თვალსაჩინოდ ამქღავნებს ადგილობრივი გაზეთების 30 ნომრის გამოშვება ძველ რუსეთში 2½ წლის განმავლობაში. მაშ ნუ კმაყოფილდებით უდავო, მაგრამ მეტად ზოგადი დებულებით საერთოდ ადგილობრივი გაზეთების სარგებლობის შესახებ, არამედ აგრეთვე იქონიეთ ვაჟკაცობა აშკარად აღიაროთ მათი უარყოფითი მხარეები, რაც ორნახევარი წლის გამოცდილებამ გამოააშკარავა. ეს გამოცდილება მოწმობს, რომ ჩვენს პირობებში ადგილობრივი გაზეთები მეტწილად პრინციპულად არამტკიცეა, პოლიტიკურ მნიშვნელობას მოკლებულია, რევოლუციურ ძალთა ხარჯვის მხრივ — განუზომლად ძვირია, ტექნიკურად — სრულიად არადამაკმაყოფილებელი (ცხადია, მე მხედველობაში მაქვს არა ბეჭდვის ტექნიკა, არამედ გამოსვლის სიხშირე და რეგულარობა). და ყველა აღნიშნული ნაკლი შემთხვევითი მოვლენა კი არ არის, არამედ აუცილებელი შედეგია იმ დაქსაქსულობისა, რომლითაც, ერთი მხრივ, აიხსნება ადგილობრივი გაზეთების სიჭარბე აღნიშნულ პერიოდში, და რომელსაც, მეორე მხრივ, ეს სიჭარბე ა ს ა ზ რ დ ო ე ბ ს. ცალკე ადგილობრივ ორგანიზაციას პირდაპირ ა რ ძ ა ლ უ ძ ს უზრუნველჰყოს თავისი გაზეთის პრინციპული სიმტკიცე და დააყენოს ის პოლიტიკური ორგა-

* ეს სიძნელე მოჩვენებითია მხოლოდ. ნამდვილად კი ა რ ა რ ს ე ბ ო ბ ს ისეთი ადგილობრივი წრე, რომელსაც შესაძლებლობა არ ჰქონდეს აქტიურად მოჰკიდოს ხელი საერთო-რუსეთის საქმის ამა თუ იმ ფუნქციას. «ნუ ამბობ: არ შეშიძლიაო, თქვი: არ მინდა».

ნოს სიმაღლეზე, ა რ ძ ა ლ უ ძ ს დააგროვოს და გამოიყენოს საკმაო მასალა მთელი ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების გასაშუქებლად. ის საბუთი კი, რომლითაც ჩვეულებრივ იცავენ მრავალრიცხოვანი ადგილობრივი გაზეთის აუცილებლობას თავისუფალ ქვეყნებში — მათი სიიაფე ადგილობრივი ძუშების მიერ მათი ბეჭდვის გამო და ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციის მეტი სისრულე და სისწრაფე — ეს ს ა ბ უ თ ი ჩვენში, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ადგილობრივი გაზეთების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ მეტყველებს. ისინი უზომოდ ძვირი ჯდება რევოლუციური ძალების ხარჯვის მხრივ. და გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ იშვიათადაც გამოდის ხოლმე იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ა რ ა ლ ე გ ა ლ უ რ ვაზეთს, რაც უნდა პატარა იყოს იგი, ესაჭიროება ისეთი დიდი კონსპირაციული აპარატი, რომელიც მოითხოვს მსხვილ აფაბრიკო მრეწველობას, ვინაიდან კუსტარულ სახელოსნოში ეს აპარატი არც შეიქმნება. კონსპირაციული აპარატის პრიმიტიულობა კი ძალიან ხშირად იწვევს იმას (ყოველმა პრაქტიკოსმა იცის ამის მრავალი მაგალითი), რომ პოლიცია სარგებლობს ერთი-ორი ნომრის გამოსვლით და გავრცელებით მ ა ს ო ბ რ ბ ვ ი ჩავარდნის მოსაწყობად, როცა ისე პირწმინდად ნადგურდება ყველაფერი, რომ საჭირო ხდება მთელი საქმის ისევ თავიდან დაწყება. კარგი კონსპირაციული აპარატი მოითხოვს რევოლუციონერების კარგს პროფესიულ მომზადებას და შრომის ფრიად თანამიმდევრად დანაწილებას, ამ ორივე მოთხოვნის დაკმაყოფილება კი სრულიად აღემატება ცალკე ადგილობრივი ორგანიზაციის ძალღონეს, რაც უნდა ძლიერი იყოს იგი ამ მომენტში. მთელი ჩვენი მოძრაობის საერთო ინტერესებზე რომ არაფერი ვთქვათ (მუშების პრინციპულად მტკიცე სოციალისტური და პოლიტიკური აღზრდა), სპეციალურად ადგილობრივ ინტერესებსაც უ კ ე თ ე მ ს ა ხ უ რ ე ბ ი ა ნ ა რ ა ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ ი ორგ ა ნ ო ე ბ ი: ეს პარადოქსად მოსჩანს მხოლოდ პირველი შეხედვით, ნამდვილად კი ჩვენ მიერ აღნიშნული ორწელი-

წადნახევრის გამოცდილება უცილობლად ამტკიცებს ამას. ყველა დაგვეთანხმება, რომ მთელი ის ადგილობრივი ძალები, რომელთაც 30 ნომერი გაზეთი გამოუშვეს, ერთ გაზეთზე თუ იმუშავებდნენ, სულ ადვილი იქნებოდა ამ უკანასკნელის 100 ნომრისა თუ არა — სამოცის გამოშვება, და, მაშასადამე, გაზეთი უფრო სრულადაც გამოხატავდა წმინდა ადგილობრივი ხასიათის მოძრაობის ყველა თავისებურებას. უეჭველია, ასეთი შეკავშირება ადვილი არ არის, მაგრამ საჭიროა, ბოლოს, შევიგნოთ მისი აუცილებლობა, რომ თვითეული ადგილობრივი წრე ფიქრობდეს და ა ქ ტ ი უ რ ა დ მ უ შ ა ო ბ დ ე ს მასზე, არ ელოდეს გარედან წაბიძგებას, არ მოტყუვდეს ადგილობრივი ორგანოს იმ ხელმისაწვდომობით, იმ სიახლოვით, რომელიც — ჩვენი რევოლუციური გამოცდილების მიხედვით — მეტწილად მოჩვენებითი აღმოჩნდება ხოლმე.

ცუდ სამსახურს უწევენ პრაქტიკულ მუშაობას ის, მათი აზრით, პრაქტიკოსებთან ძალიან დაახლოებული პუბლიცისტები, რომელნიც ამ მოჩვენებითობას ვერ ამჩნევენ და კმაყოფილდებიან საკვირლად ფუჭი და საკვირლად უშინაარსო მსჯელობით: საჭიროა ადგილობრივი გაზეთები, საჭიროა რაიონული გაზეთები, საჭიროა საერთო-რუსეთის გაზეთებიო. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს, საერთოდ რომ ვთქვათ, საჭიროა; მაგრამ საჭიროა აგრეთვე იფიქრო გარემოსა და მომენტის პირობებზეც, რაკი ხელს ჰკიდებ კონკრეტულ ორგანიზაციულ საკითხს. მართლაც, განა ეს დონკიხოტობა არ არის, როდესაც «სვობოდა» (№ 1, გვ. 68) სპეციალურად «ეხება გ ა ზ ე თ ი ს ს ა კ ი თ ხ ს» და წერს: «ჩვენ გვგონია, მუშათა შეჯგუფების ყოველ მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ადგილას უნდა არსებობდეს თავისი საკუთარი მუშათა გაზეთი. არა საიდანღაც მოტანილი, არამედ სწორედ თავისი საკუთარი». თუ ამ პუბლიცისტს არა სურს დაუფიქრდეს თავისი სიტყვების მნიშვნელობას, მის მაგივრად თქვენ მაინც დაუფიქრდით, მკითხველო: რამდენი ათეული, თუ ასეული არა, «მუშათა შეჯგუფების მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ადგილია» რუსეთში, და ჩვენი კუსტარულობის როგორი

უკვდავყოფა იქნებოდა, ყოველ ადგილობრივ ორგანიზაციას მართლაც რომ დაეწყო თავისი საკუთარი გაზეთის გამოცემა! როგორ გაუადვილებდა ეს დაქსაქსულობა ჩვენს ჟანდარმებს მათ ამოცანას: დაეჭირათ — და ამასთანავე «თითქმის სრულიად» გაურჯელად — ადგილობრივი მოღვაწენი მათი მოღვაწეობის დასაწყისშივე და შეეშალათ ხელი მათგან ნამდვილი რევოლუციონერების გამოზრდისათვის! — საერთო-რუსეთის გაზეთში, — განაგრძობს ავტორი, — საინტერესო არ იქნებოდა აწერა მეფაბრიკეთა ოინებისა და «საფაბრიკო ცხოვრების წვრილმანებისა სხვადასხვა, არა თავის ქალაქში», ხოლო «ორიოლელს თავის ორიოლის საქმეებზე კითხვა სრულიადაც არ მოსწყინდება. თვითეულ შემთხვევაში მან იცის, თუ ვის «გაჰკრეს», ვინ «ვაცოცხეს», და მისი სული ნავარდობს» (გვ. 69). დიახ, დიახ, ორიოლელის სული ნავარდობს, მაგრამ მეტისმეტად «ნავარდობს» აგრეთვე ჩვენი პუბლიცისტის აზრიც. ტაქტიანობაა მერე ეს დაცვა ნამცეცებისთვის ზრუნვისა? — აი რაზე უნდა დაფიქრებულიყო იგი. ჩვენ სხვაზე ნაკლებ არ ვცნობთ საფაბრიკო მხილებათა მნიშვნელობას და საჭიროებას, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ უკვე იქამდე მივედით, როცა პეტერბურგელებს მობეზრდათ პეტერბურგის გაზეთის — «რაბოჩაია მისლის» პეტერბურგის კორესპონდენციების კითხვა. საფაბრიკო მხილებებისათვის ადგილობრივ ჩვენ ყოველთვის გვქონდა და ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს უ ნ დ ა დ ა რ ჩ ე ს ფურცლები, — მაგრამ გ ა ზ ე თ ი ს ტიპი უნდა ავამაღლოთ, და არა ჩამოვაქვეითოთ საფაბრიკო ფურცლამდე. «გაზეთისთვის» ჩვენ გვესაჭიროება საფაბრიკო ცხოვრების იმდენად არა «წვრილმანის», რამდენადაც დიდ, ტიპიურ ნაკლთა მხილება, — მხილება, რომელიც შეეხება განსაკუთრებით რელიეფურ მაგალითებს და რომელსაც ამიტომ შეუძლია დააინტერესოს ყ ვ ე ლ ა მუშა და მოძრაობის ყველა ხელმძღვანელი, შეუძლია მართლაც გაამდიდროს მათი ცოდნა, გააფართოოს მათი გონებრივი არე და დასაწყისი მისცეს ახალი რაიონის, მუშების ახალი პროფესიული ფენის გამოღვიძებას.

«შემდეგ, ადგილობრივ გაზეთში ფაბრიკის უფროსების თუ სხვა ხელისუფალთა ოინები მაშინვე ახალ კვალზე შეიძლება გამოაშკარავდეს. ხოლო ვიდრე საერთო, შორეულ გაზეთამდე მიაღწევდეს ცნობა — ადგილობრივ უკვე დავიწყებული აქვთ ის, რაც მოხდა: «როდის მოხდა ეს — ღმერთო გამახსენე!»» (იქვე). სწორედ რომ: ღმერთო გამახსენე! 2½ წელიწადში გამოცემული 30 ნომერი, როგორც იმავე წყაროდან ვგებულობთ, ექვს ქალაქზე მოდის. ეს ერთ ქალაქზე იძლევა საშუალოდ თითო ნომერ გაზეთს ნახევარ წელიწადში! ჩვენმა ქარაფშუტა პუბლიცისტმა თავის წარმოდგენაში კიდევაც რომ გაასამკეცოს ადგილობრივი მუშაობის ნაყოფიერება (რაც არავითარ შემთხვევაში არ იქნებოდა სწორი საშუალო ქალაქის მიმართ, ვინაიდან კუსტარულობის ფარგლებში შეუძლებელია ნაყოფიერების მნიშვნელოვანი გაფართოება), — მაინც მხოლოდ თითო ნომერს მივიღებთ ორ თვეში, ე. ი. ისეთ რასმე, რაც სრულებითაც არა ჰგავს «ახალ კვალზე გამოაშკარავებას». ნამდვილად კი საკმარისია ათი ადგილობრივი ორგანიზაცია გაერთიანდეს და გამოჰყოს თავისი დელეგატები აქტიური ფუნქციებისათვის საერთო გაზეთის მოსაწყობად, — და მაშინ შესაძლებელი იქნებოდა მთელ რუსეთში «გამოგვეაშკარავებინა» ხოლმე ორ კვირაში ერთხელ არა წვრილმანები, არამედ მართლაც-და თვალსაჩინო და ტიპიური უმსგავსობანი. ამაში არავინ დაეჭვდება, ვინც კი იცნობს საქმის ვითარებას ჩვენს ორგანიზაციებში. ხოლო დანაშაულის ადგილას მტრის დაჭერაზე, თუ ამას სერიოზულად გავიგებთ, და არა მარტო ლამაზი სიტყვის აზრით, საერთოდ არალეგალურ გაზეთს ფიქრიც არ შეუძლია: ამას შესძლებს მხოლოდ სახელდახელო ფურცელი, ვინაიდან ამ დაჭერის მთელი ვადა მეტწილად არ აღემატება ერთ—ორ დღეს (აიღეთ, მაგალითად, ჩვეულებრივი ხანმოკლე გაფიცვა, ფაბრიკაში მომხდარი ცემა-ტყეპა ან დემონსტრაცია და სხვ.).

«მუშა ცხოვრობს არა მარტო ფაბრიკაში, არამედ ქალაქშიც», — განაგრძობს ჩვენი ავტორი, და ამნაირად გადადის

კერძოდან ზოგადზე ისეთი მკაცრი თანამიმდევრობით, რომელიც თვით ბორის კრიჩევსკისაც კი შეშურდებოდა. ის მიუთითებს ქალაქის თვითმმართველობის, ქალაქის საავადმყოფოების, ქალაქის სკოლების და სხვა საკითხებზე და მოითხოვს, რომ მუშათა გაზეთი საერთოდ ქალაქის საქმეებს დუმილით არ უვლიდეს გვერდს. — ეს მოთხოვნა თავისთავად შშვენიერია, მაგრამ იგი განსაკუთრებით თვალნათლივ ასურათებს იმ უშინაარსო აბსტრაქტულობას, რასაც ხშირად სჯერდებიან ხოლმე ადგილობრივ გაზეთებზე მსჯელობის დროს. ჯერ-ერთი, მართლაც რომ «მუშების შეჯგუფების ყოველ შეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ადგილას» გაჩნდეს გაზეთი ისეთი ვრცელი საქალაქო განყოფილებით, როგორც «სვობოდა» ფიქრობს, ეს ჩვენს რუსულ პირობებში გარდუვალად გადაგვარდებოდა ნამდვილ ნამცეცებისათვის ბრძოლად, გამოიწვევდა მეფის თვითმპყრობელობაზე მთელი რუსეთის რევოლუციური შეტევის მნიშვნელობის შეგნების შესუსტებას, გააძლიერებდა ძალიან გამძლე და უფრო მიყუჩებულ ან ჩახშულ, ვიდრე ძირფესვიანად ამოგდებულ, იმ მიმართულების ყლორტებს, რომელმაც უკვე სახელი გაითქვა შესანიშნავი სიტყვებით რევოლუციონერებზე, რომელნიც ძალიან ბევრს ლაპარაკობენ არარსებულ პარლამენტზე და ძალიან ცოტას — არსებულ საქალაქო თვითმმართველობებზე. ჩვენ ვამბობთ: გარდუვალად, და ამით ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ «სვობოდას» ეს განზრახ კი არა სურს, არამედ სურს წინააღმდეგი. მაგრამ მარტო კეთილი სურვილები არ კმარა. — ქალაქის საქმეები რომ გაშუქდეს მთელი ჩვენი მუშაობის სათანადო პერსპექტივით, თავდაპირველად საჭიროა ეს პერსპექტივა იყოს სავსებით შემუშავებული, მტკიცედ დადგენილი არა მარტოოდენ მსჯელობით, არამედ მრავალი მაგალითითაც. რათა მან ტრადიციის სიმტკიცე მოიპოვოს. ეს ჩვენ ჯერ სრულიადაც არა გვაქვს, საჭიროა ეს გვქონდეს სწორედ თავდაპირველად, სანამ დავიწყებდეთ ფიქრსა და ლაპარაკს ფართო ადგილობრივ პრესაზე.

მეორე, მართლაც კარგად და საინტერესოდ რომ დასწეროთ რამე ქალაქის საქმეებზე, საჭიროა კარგად და არა მარტო წიგნებით იცოდეთ ეს საქმეები. ისეთი სოციალ-დემოკრატები კი, რომელთაც შეიძლება ასეთი ცოდნა ჰქონდეთ, თითქმის სრულიად არ მოიპოვებიან მ თ ე ლ რ უ ს ე თ შ ი. გაზეთში (და არა პოპულარულ ბროშურაში) რომ სწეროთ საქალაქო და სახელმწიფო საქმეებზე, საჭიროა ახალი, მრავალმხრივი, მცოდნე კაცის მიერ შეკრებილი და დამუშავებული მასალა. ხოლო ასეთი მასალა რომ შეკრიბოთ და დაამუშაოთ, არ კმარა პრიმიტიული წრის «პრიმიტიული დემოკრატია», სადაც ყველანი ყველაფერს აკეთებენ და თავს ირთობენ რეფერენდუმობის თამაშით. ამისთვის საჭიროა შტაბი სპეციალისტ-მწერლების, სპეციალისტ-კორესპონდენტებისა, საჭიროა არმია რეპორტიორ-სოციალ-დემოკრატებისა, რომელნიც კავშირს აბამენ ყველგან, რომელთაც შეუძლიათ მისწვდნენ ყველა და ყოველგვარ «სახელმწიფო საიდუმლოებას» (რითაც რუსი მოხელე ასე მედიდურობს და რასაც ის ასე ადვილად ახმაურებს), გაძვრნენ ყოველნაირ «ფარულ საქმეებში», საჭიროა არმია ისეთი ადამიანებისა, რომელნიც «თავიანთი თანამდებობით» ვალდებული არიან იყვნენ ყველგანმყოფნი და ყოვლისმცოდნენი. და ჩვენ, ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი ეკონომიური, პოლიტიკური, სოციალური, ნაციონალური ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლ პარტიას, შეგვიძლია და კიდეც უნდა მოვნახოთ, თავი მოვუყაროთ, ვასწავლოთ, დავრაზმოთ და დავძრათ სალაშქროდ ასეთი ყოვლისმცოდნე ადამიანთა არმია, — მაგრამ ყოველივე ეს ჯერ კიდევ გასაკეთებელია! ჩვენ კი ადგილებზე მეტწილად არათუ ნაბიჯიც არ გადაგვადგამს ამ მიმართულებით, არამედ ხშირად მისი გადადგმის აუცილებლობის შ ე გ ნ ე ბ ა ც არა გვაქვს. აბა, მონახეთ ჩვენს სოციალ-დემოკრატიულ პრესაში ცოცხალი და საინტერესო სტატიები, კორესპონდენციები და მხილება ჩვენი დიპლომატიური, სამხედრო, საეკლესიო, საქალაქო, ფინანსური და სხვა და სხვა საქმეების შესახებ: თ ი თ-

ქმის ვერაფერს ან ძალიან ცოტას იპოვით*. აი რატომაა, რომ «ძე ყოველთვის ძალიან მაჯავრებს, როდესაც მოვა ვინმე და მოჰყვება ძალიან ლამაზ და მშვენიერ ამბებს» «მუშების შეჯგუფების ყოველ მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ადგილას» გაზეთების საჭიროების შესახებ, — გაზეთებისა, რომელნიც ამხელენ როგორც ფაბრიკის, ისე ქალაქისა და სახელმწიფოს უმსგავსობათ!

ცენტრალურ პრესასთან შედარებით ადგილობრივი პრესის სიჭარბე ნიშანია ან დაკნინების, ან ფუფუნებისა. დაკნინებისა, როდესაც მოძრაობას ჯერ კიდევ არ გამოუმუშავებია ძალები დიდი მუშაობისათვის, როდესაც იგი ისევ კუსტარულობაში ღაფავს სულს და თითქმის იხრჩობა «ფაბრიკის ცხოვრების წვრილმანებში». ფუფუნებისა — როდესაც მოძრაობამ უკვე საკმაოდ დასძლია ყოველმხრივი მხილებისა და ყოველმხრივი აგიტაციის ამოცანა, ასე რომ ცენტრალურ ორგანოს გარდა აუცილებელი ხდება მრავალრიცხოვანი ადგილობრივი ორგანოს არსებობა. ყველამ თვითონ გადასწყვიტოს, თუ რას მოასწავებს ადგილობრივი გაზეთების სიჭარბე ამჟამად ჩვენში. მე კი დავჯერდები ჩემი დასკვნის ზუსტ ფორმულირებას, რომ გაუგებრობისათვის საბაბი არავის მივცე. ჩვენში აქამდე ადგილობრივი ორგანიზაციების უმეტესობა

* ამიტომ არის, რომ განსაკუთრებით კარგი ადგილობრივი ორგანოების მაგალითიც კი საკმაოდ ადასტურებს ჩვენს თვალსაზრისს. მაგალითად, «იუჟნი რაბოჩი» — მშვენიერი გაზეთია, მას ვერ დასწამებთ პრინციპულ შერყეობას. მაგრამ, რაც მას უნდოდა მიეცა ადგილობრივი მოძრაობისთვის, ის ვერ იქნა მიღწეული, რადგან გაზეთი იშვიათად გამოდის და ხშირად ვარდება. ის, რაც ამჟამად პარტიისათვის ყველაზე უფრო აუცილებელია, — მოძრაობის ძირითადი საკითხების პრინციპული დაყენება და ყოველმხრივი პოლიტიკური აგიტაცია, — ადგილობრივმა ორგანომ ვერ შესძლო. ხოლო ის, რასაც გაზეთი განსაკუთრებით კარგს იძლეოდა, როგორც, მაგალითად, სტატიები სამთამადნო მრეწველთა ყრილობის, უმუშევრობის და სხვ. შესახებ — არ წარმოადგენდა წმინდა ადგილობრივ მასალას და საჭირო იყო მთელი რუსეთისთვის, და არა მარტო სამხრეთისთვის. ასეთი სტატიები საერთოდ მთელ ჩვენ სოციალ-დემოკრატიულ პრესაშიც არ ყოფილა.

თითქმის მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივ ორგანოებზე ფიქრობს და თითქმის მხოლოდ მათთვის მუშაობს აქტიურად. ეს არანორმალური მდგომარეობაა. უნდა იყოს პირიქით: ადგილობრივი ორგანიზაციების უმრავლესობა უმთავრესად საერთო-რუსეთის ორგანოზე უნდა ფიქრობდეს და უმთავრესად მისთვის მუშაობდეს. სანამ ეს არ იქნება, ჩვენ ვერ გამოვცემთ ვ ე რ ც ე რ თ ისეთ გაზეთს, რომელიც რაოდენადმე მაინც შესძლებს მართლა სამსახური გაუწიოს მოძრაობას ყ ო ვ ე ლ მ ხ რ ი ვ ი აგიტაციით პრესაში. ხოლო როდესაც ეს იქნება,— მაშინ ნორმალური ურთიერთობა საჭირო ცენტრალურ ორგანოსა და საჭირო ადგილობრივ ორგანოებს შორის თავისთავად დამყარდება.

*

* *

პირველი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ სპეციალურად ეკონომიური ბრძოლის სფეროს არ უდგება ჩვენი დასკვნა სიმძიმის ცენტრის ადგილობრივი მუშაობიდან საერთო-რუსეთის მუშაობაზე გადატანის აუცილებლობის შესახებ: აქ მუშების უშუალო მტრად გვევლინებიან ცალკეული მეწარმენი ან მათი ჯგუფები, რომელნიც შეკრული არ არიან ორგანიზაციით, რაც ოდნავ მაინც მოგვაგონებდეს პოლიტიკურ ბრძოლაში ჩვენი პირდაპირი მტრის — რუსეთის მთავრობის წმინდა სამხედრო, სასტიკად ცენტრალისტურ, თვით წვრილმანებშიც ერთიანი ნების ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ ორგანიზაციას.

მაგრამ ეს ასე არ არის. ეკონომიური ბრძოლა — როგორც ჩვენ უკვე მრავალჯერ აღვნიშნეთ — პროფესიული ბრძოლაა; ამიტომაც ის მოითხოვს მუშების გაერთიანებას პროფესიის და არა მარტო მათი მუშაობის ადგილის მიხედვით. და ეს პროფესიული გაერთიანება მით უფრო აუცილებლად საჭირო ხდება, რაც უფრო ჩქარა მიდის წინ ჩვენებურ მეწარმეთა გაერთიანება ყოველგვარ საზოგადოებებსა და სინდიკატებში.

ჩვენი დაქსაქსულობა და ჩვენი კუსტარულობა პირდაპირ აფერხებს ამ გაერთიანებას, რომლისთვისაც აუცილებელია რევოლუციონერების ერთიანი საერთო-რუსეთის ორგანიზაცია, რომელსაც შეეძლება იკისროს მუშების საერთო-რუსეთის პროფესიული კავშირების ხელმძღვანელობა. ჩვენ ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ ორგანიზაციის სასურველ ტიპზე ამ მიზნისთვის და ახლა დავუმატებთ მხოლოდ რამდენიმე სიტყვას ჩვენი პრესის საკითხთან დაკავშირებით.

ყოველ სოციალ-დემოკრატიულ გაზეთში რომ უნდა იყოს პროფესიული (ეკონომიური) ბრძოლის გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა,— ეს არა გვგონია ვისმესთვის საეჭვო იყოს. მაგრამ პროფესიული მოძრაობის ზრდა გვიკარნახებს ვიფიქროთ პროფესიულ პრესაზეც. თუმცა ჩვენ გვგონია, რომ ჯერჯერობით რუსეთში პროფესიულ გაზეთებზე ლაპარაკი, იშვიათ გამონაკლისს გარდა, შეუძლებელია: ეს — ფუფუნებაა, ჩვენ კი ხშირად საარსებო პურიც არ მოგვეპოვება. დღეს კი უკვე აუცილებელი და არალეგალური მუშაობის პირობების შესაფერი ფორმა პროფესიული პრესისა ჩვენში უნდა ყოფილიყო პ რ ო ფ ე ს ი ო ნ ა ლ ი ბ რ ო შ უ რ ე ბ ი. მათში უნდა დაგროვილიყო და სისტემატურად დაჯგუფებულიყო ლ ე გ ა ლ უ რ ი* და არა-

* ლეგალური მასალა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მხრივ, — და ჩვენ განსაკუთრებით ჩამოვრჩით მისი სისტემატურად შეკრების და გამოყენების უნარის მხრივ. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ მარტო ლეგალური მასალით კიდევ, ასე თუ ისე, შეიძლება დაიწეროს პროფესიული ბროშურა, მარტო არალეგალურით კი — ეს შეუძლებელია. მუშებისაგან არალეგალური მასალის შეკრებით იმგვარი საკითხების შესახებ, როგორიც გამოაქვეყნა «რაბოჩაია მისლმა», ჩვენ ტყუილ-უბრალოდ ვხარჯავთ რევოლუციონერის დიდ ძალღონეს (მას ამ შემთხვევაში ადვილად შესცვლიდა ლეგალური მოღვაწე) და მიუხედავად ამისა მაინც ვერ ვღებულობთ კარგ მასალას, ვინაიდან მუშებს, — რომლებიც მეტწილად დიდი ფაბრიკის მხოლოდ ერთ განყოფილებას იცნობენ და თითქმის ყოველთვის იცნობენ ეკონომიურ შედეგებს და არა თავისი მუშაობის საერთო პირობებსა და ნორმებს, — არ შეუძლიათ შეიძინონ ისეთი ცოდნა, როგორიც აქვთ ფაბრიკის მოსამსახურეებს, ინსპექტორებს, ექიმებს და სხვათ და რომელიც უმეტეს შემთხვევაში გაფანტულია წვრილმან საგაზეთო კორეს-

ლეგალური მასალა ამა თუ იმ სარეწში შრომის პირობების, ამ მხრივ რუსეთის სხვადასხვა ადგილის განსხვავების, ამა თუ იმ პროფესიის მუშების უმთავრესი მოთხოვნების, ამ პროფესიის კანონმდებლობის ნაკლის, ამ საამქროს მუშების ეკონომიური ბრძოლის მნიშვნელოვანი შემთხვევების, მათი პროფესიული ორგანიზაციის საწყისთა, თანამედროვე მდგომარეობისა და საჭიროების საკითხზე და სხვ. ამგვარი ბროშურები, ჯერ-ერთი, ჩვენს სოციალ-დემოკრატიულ პრესას გაათავისუფლებდა მრავალი ისეთი პროფესიული წვრილმანისაგან, რაც სპეციალურად მხოლოდ განსაზღვრული ხელობის მუშებს აინტერესებთ; მეორეც, ისინი აღბეჭდავდნენ პროფესიულ ბრძოლაში ჩვენი გამოცდილების შედეგებს, დაიცავდნენ დაგროვილ მასალას, რომელიც დღეს პირდაპირ იკარგება უამრავი ფურცლებისა და ნაწყვეტ-ნაწყვეტი კორესპონდენციების გროვაში, და განაზოგადებდნენ ამ მასალას; მესამე, ისინი შეიძლება გამომდგარიყვნენ ერთგვარ სახელმძღვანელოდ აგიტატორებისთვის, ვინაიდან შრომის პირობები შედარებით ნელა იცვლება, ამა თუ იმ ხელობის მუშების ძირითადი მოთხოვნები მეტად მტკიცეა (შეად. 1885 წლის მოსკოვის რაიონის და 1896 წლის პეტერბურგის რაიონის ფეიქრების მოთხოვნები), და ამ მოთხოვნათა და გაჭირვების შეჯა-

---

პონდენციებსა და სპეციალურ სამრეწველო, სასანიტარო, საერობო და სხვ. გამოცემებში.

ძალიან კარგად მახსოვს ჩემი «პირველი ცდა», რომელსაც მე არასოდეს აღარ გავიმეორებდი. მთელი კვირაობით გადაკიდებული ვიყავი ერთ მუშაზე, რომელიც ჩემთან დადიოდა და რომელსაც «მიკერძებით» ვეკითხებოდი ყველა და ყოველგვარ წესებზე დიდს ქარხანაში, სადაც ის მუშაობდა. მართალია, აწერა (ისიც მარტო ერთი ქარხნისა!), როგორც იქნა, დიდი ჯაფით. ასე თუ ისე შევადგინე, მაგრამ სამაგიეროდ მუშა ზოგჯერ ჩვენი მეცადინეობის გათავებისას ოფლს იწმენდდა და ღიმილით მეუბნებოდა ხოლმე: «ჩემთვის ზედმეტი მუშაობა უფრო ადვილია, ვიდრე თქვენს კითხვებზე პასუხის გაცემაო!».

რაც უფრო ენერგიულად ვაწარმოებთ რევოლუციურ ბრძოლას, მით უფრო ვაიძულებთ მთავრობას — ლეგალური გახადოს «პროფესიული» მუშაობის ნაწილი და ამით მოგვხსნას ტვირთის ერთი ნაწილი.

მება მთელი წლობით მშვენიერ სახელმძღვანელოდ გამოდგებოდა ეკონომიური აგიტაციისთვის ჩამორჩენილ ადგილებში ან მუშების ჩამორჩენილ ფენებს შორის; ერთ რაიონში წარმატებით დამთავრებული გაფიცვების მაგალითები, ცნობები ერთ ადგილას ცხოვრების უფრო მაღალი დონისა და შრომის უკეთესი პირობების შესახებ წააქეზებდნენ სხვა ადგილების მუშებსაც ახალ-ახალი ბრძოლისათვის; მეოთხე, სოციალ-დემოკრატია, იკისრებდა რა პროფესიული ბრძოლის განზოგადების თაოსნობას და ამრიგად განამტკიცებდა რა რუსეთის პროფესიული მოძრაობის კავშირს სოციალიზმთან, ამავე დროს იზრუნებდა იმისთვისაც, რომ ჩვენს ტრედ-უნიონისტურ მუშაობას დაეკავებინა არც ძალიან მცირე და არც ძალიან დიდი ადგილი ჩვენი სოციალ-დემოკრატიული მუშაობის საერთო ჯამში. ადგილობრივი ორგანიზაციისათვის, თუ იგი მოწყვეტილია სხვა ქალაქთა ორგანიზაციებს, ძალიან ძნელია, ხანდახან თითქმის შეუძლებელიცაა დაიცვას ამასთან სწორი პროპორცია (და «რაბოჩაია მისლის» მაგალითიც ცხადჰყოფს, რა საშინელ გადაჭარბებას შეიძლება ჰქონდეს ამასთან ადგილი ტრედ-უნიონიზმის მიმართულებით). მაგრამ რევოლუციონერთა საერთო-რუსეთის ორგანიზაციას, რომელიც მარქსიზმის მტკიცე თვალსაზრისზე დგას, მთელ პოლიტიკურ ბრძოლას ხელმძღვანელობს და მის განკარგულებაშია პროფესიული აგიტატორების მთელი შტაბი, არასოდეს არ გაუჭირდება ამ სწორი პროპორციის განსაზღვრა.

V

საერთო-რუსეთის პოლიტიკური გაზეთის «ბებმა»

««ისკრის» უაღრესად დიდი შეცდომა ამ მხრივ», — წერს ბ. კრიჩევსკი («რაბოჩეე დელო» № 10, გვ. 30), გვაბრალებს რა «თეორიის მკვდარ დოქტრინად გადაქცევის ტენდენციას პრაქტიკისაგან თეორიის განცალკევებით», — «ეს არის მისი საერთო პარტიული ორგანიზაციის «გეგმა»» (ე. ი. სტატია:

«რით დავიწყოთ?» *). და მარტინოვიც ბანს აძლევს მას, როცა აცხადებს, რომ ««ისკრის» ტენდენცია — დაამციროს უბრალო მიმდინარე ბრძოლის წინსვლის მნიშვნელობა ბრწყინვალე და დასრულებული იდეების პროპაგანდასთან შედარებით... დაგვირგვინდა პარტიის ორგანიზაციის გეგმით, რომელსაც ის აყენებს მე-4 ნომრის სტატიაში «რით დავიწყოთ?»» (იქვე, გვ. 61). ბოლოს, სულ უკანასკნელ ხანებში ამ «გეგმით» (ბრჭყალები უნდა გამოხატავდეს მისდამი ირონიულ დამოკიდებულებას) აღშფოთებულ ადამიანთა რიცხვს მიემატა ლ. ნადეჟდინიც ჩვენ მიერ ახლახან მიღებულ ბროშურაში «რევოლუციის წინადღე» (ჩვენთვის უკვე ცნობილი «რევოლუციურ-სოციალისტური ჯგუფის» «ს ვ ო ბ ო დ ა ს» გამოცემა), სადაც აღიარებულია, რომ «ლაპარაკი ახლა იმ ორგანიზაციაზე, რომელიც საერთო-რუსეთის გაზეთთან არის დაკავშირებული, — ნიშნავს კაბინეტური აზრის და კაბინეტური მუშაობის ხელისშეწყობას» (გვ. 126), ეს — «ლიტერატურულობის» გამოხატულებააო და სხვ.

ჩვენი ტერორისტი რომ «უბრალო მიმდინარე ბრძოლის წინმსვლელობის» დამცველებს ეთანხმება, — ეს ჩვენ ვეღარ გაგვაკვირვებს მას შემდეგ, რაც გამოვააშკარავეთ ამ სიახლოვის ფესვები ჩვენი ბროშურის წინა თავებში პოლიტიკისა და ორგანიზაციის შესახებ. მაგრამ ახლავე უნდა აღვნიშნოთ, რომ ლ. ნადეჟდინმა, და მხოლოდ მან, სცადა კეთილსინდისიერად ჩასწვდომოდა მის მიერ დაწუნებული სტატიის აზრის მსვლელობას, სცადა პასუხი გაეცა მასზე არსებითად, — მაშინ როდესაც «რაბოჩეე დელომ» არსებითად სრულიად ვერაფერი ვერა თქვა, მხოლოდ შეეცადა დაეხლართა საკითხი მთელი რიგი უმსგავსი დემაგოგიური გამოსვლებით. აშიტომ, რაც უნდა არასასიამოვნო იყოს ეს, თავდაპირველად ავგიუსის თავლის გაწმენდას ცოტა დრო უნდა მოვანდომოთ.

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 1 — 15. რ ე დ.

ა) ვინ დარჩა ნაწყენი სტატიით «რით დავიწყოთ?»?

ძოვიყვანოთ იმ გამოთქმებისა და წამოძახილების თაიგული, რომლითაც შემოგვიტია «რაბ. დელომ». «გაზეთი კი ვერ შეჰქმნის პარტიულ ორგანიზაციას, არამედ პირიქით»... «გაზეთი, რომელიც დგას პარტიაზე მაღლა, მისი კონტროლის გარეშე და რომელიც მისგან დამოუკიდებელია საკუთარი აგენტების ქსელის წყალობით»... «რა სასწაულით დაივიწყა «ისკრამ» იმ პარტიის ფაქტიურად არსებული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები, რომელსაც ის ეკუთვნის?»... «ძტკიცე პრინციპების და სათანადო გეგმის მქონენი ამავე დროს პარტიის რეალური ბრძოლის უმაღლესი რეგულატორები არიან, რომელნიც უკარნახებენ მას თავიანთი გეგმის განხორციელებას»... «გეგმა ჩვენს ცოცხალ და ცხოველმყოფელ ორგანიზაციებს აჩრდილთა სამეფოში ერეკება და მოწადინებულია გამოაცოცხლოს აგენტების ფანტასტიკური ქსელი»... ««ისკრის» გეგმა რომ სისრულეში იქნას მოყვანილი, იგი ჩვენში ჩამოყალიბების პროცესში მყოფი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ყოველგვარ კვალს აღმოფხვრიდა»... «პროპაგანდისტული ორგანო მთელი პრაქტიკული რევოლუციური ბრძოლის უკონტროლო, თვითმპყრობელი კანონმდებელი ხდება»... «როგორ უნდა შეხედოს ჩვენმა პარტიამ თავის სრულ დამორჩილებას ავტონომიური რედაქციისადმი» და სხვ. და სხვ.

როგორც მკითხველი ხედავს ამ ციტატების შინაარსიდან და კილოდან, «რაბ. დელო» ნაწყენია. მაგრამ ნაწყენია არა პირადად, არამედ ჩვენი პარტიის ორგანიზაციებისა და კომიტეტების მაგივრად, რომელთაც «ისკრა» თითქოს აჩრდილთა საძეფოში ერეკება და მათი კვალის აღმოფხვრაც კი სურს. ხედავთ, რა საშინელება მომხდარა! საოცარია მხოლოდ ერთი რამ. სტატია «რით დავიწყოთ?» გამოქვეყნდა 1901 წლის მაისში, «რაბ. დელოს» სტატიები — 1901 წლის სექტემბერში, ახლა კი უკვე 1902 წლის იანვრის

ნახევარია. მთელი ამ 5 თვის განმავლობაში (სექტემბრამდეც და სექტემბრის შემდეგაც) პარტიის ა რ ც ე რ თ კომიტეტს და ა რ ც ე რ თ ორგანიზაციას არ განუცხადებია ფორმალური პროტესტი ამ ურჩხულის წინააღმდეგ, რომელიც თურმე მოწადინებულია აჩრდილთა სამეფოში გარეკოს კომიტეტები და ორგანიზაციები! ამავე ხნის განმავლობაში კი როგორც «ისკრაში», ისე სხვა მრავალ ადგილობრივ და არა ადგილობრივ გამოცემაში მრავალი ათეული და ასეული ცნობა დაიბეჭდა რუსეთის ყველა კუთხიდან. როგორ მოხდა ეს, რომ მათ, ვისი განდევნაც უნდათ აჩრდილთა სამეფოში, ეს ვერ შეამჩნიეს და არც სწყენიათ, — ხოლო ნაწყენი დარჩა მესამე პირი?

ეს იმიტომ მოხდა, რომ კომიტეტები და სხვა ორგანიზაციები ნამდვილ საქმეს აკეთებენ და «დემოკრატიზმობას» არ თამაშობენ. კომიტეტებმა წაიკითხეს სტატია «რით დავიწყოთ?», დაინახეს, რომ ეს არის ცდა «შემუშავდეს ორგანიზაციის ერთგვარი გეგმა, რ ა თ ა მ ი ს ი შ ე ნ ე ბ ა ყ ო ვ ე ლ ი მ ხ რ ი დ ა ნ ი ქ ნ ა ს დ ა წ ყ ე ბ უ ლ ი», და რადგან მათ საუცხოოდ იცოდნენ და ხედავდნენ, რომ ამ «ყველა მხარეთაგან» ა რ ც ე რ თ ი არ იფიქრებს «შეუდგეს შენებას», ვიდრე არ დარწმუნდება მის საჭიროებასა და არქიტექტურული გეგმის სისწორეში, ამიტომ მათ, ცხადია, არც უფიქრიათ «სწყენოდათ» იმ ადამიანთა კადნიერება, რომელთაც «ისკრაში» თქვეს: «საკითხის გადაუდებელი მნიშვნელობის გამო ჩვენ, ჩვენი მხრივ, ვბედავთ და ამხანაგების საყურადღებოდ ვადგენთ იმ გეგმის მონასახს, რომელსაც დაწვრილებით ვავითარებთ ბროშურაში, დასაბეჭდად რომ მზადდება». ნუთუ, კეთილსინდისიერად თუ მივუდგებით საქმეს, ვერ გავიგებთ იმას, რომ თუ ამხანაგები მ ი ი ღ ე ბ ე ნ მათ საყურადღებოდ წარდგენილ გეგმას, ისინი გაატარებენ მას არა «მორჩილების» გამო, არამედ ჩვენი საერთო საქმისთვის მისი საჭიროების რწმენით, ხოლო თუ ისინი ა რ მ ი ი ღ ე ბ ე ნ მას, მაშინ «მონასახი» (რა პრეტენზიული სიტყვაა, ხომ მართალია?) უბრალო მონასახად დარჩება და მეტი არაფერი?

ნუთუ ეს დემაგოგია არ არის, როცა გეგმის მონასახს ებრძვიან არა მარტო იმით, რომ «აცამტვერებენ» მას და ურჩევენ ამხანაგებს უარჰყონ ეს გეგმა, — არამედ იმით, რომ რევოლუციურ საქმეში გამოუცდელ ადამიანებს უსისიანებენ მონასახის ავტორებს მხოლოდ იმიტომ, რომ უკანასკნელნი ბედავენ «იკანონმდებლონ», გამოვიდნენ «უმაღლეს რეგულატორებად», ე. ი. ბედავენ წარმოადგინონ გეგმის მონასახი?? განა შეუძლია ჩვენს პარტიას განვითარდეს და წინ წავიდეს, თუ ადგილობრივ მოღვაწეთა უფრო ფართო შეხედულებების, ამოცანების, გეგმების და სხვათა სიმაღლეზე აყვანის ცდას წინააღმდეგობას გაუწევენ არა მხოლოდ ამ შეხედულებათა მცდარობის თვალსაზრისით, არამედ იმით გამოწვეული «წყენინების» თვალსაზრისით, რომ «უნდათ» ჩვენი «მაღლა აყვანაო»? ლ. ნადეჟდინმაც ხომ «გააცამტვერა» ჩვენი გეგმა, მაგრამ ის არ დაცემულა ისეთ დემაგოგიამდე, რომელიც უკვე არ შეიძლება აიხსნას მარტო პოლიტიკურ შეხედულებათა გულუბრყვილობით ან პრიმიტიულობით, «პარტიაზე ინსპექტორობის» ბრალდება მან თავიდანვე გადაჭრით უარჰყო. ამიტომაც ნადეჟდინის მხრივ გეგმის კრიტიკაზე შეიძლება და უნდა ვუპასუხოთ არსებითად, «რაბ. დელოს» კი მხოლოდ ზიზღით შეიძლება ვუპასუხოთ.

მაგრამ «თვითმპყრობელობისა» და «დამორჩილების» შესახებ ლაყბობამდე ჩამოქვეითებული მწერლისადმი ზიზღი კიდევ არ გვათავისუფლებს მოვალეობისაგან — გავხსნათ იმ დაბნეულობის კვანძი, რომელსაც აწოდებენ მკითხველს ასეთი ადამიანები. და აი აქ ჩვენ თვალსაჩინოდ შეგვიძლია დავანახვოთ ყველას, თუ რა ყაიდისაა ეს გაცვეთილი ფრაზები «ფართო დემოკრატიზმის» შესახებ. ჩვენ გვაბრალებენ კომიტეტების დავიწყებას, მათი აჩრდილთა სამეფოში განდევნის სურვილს თუ ცდას და სხვ. როგორ ვუპასუხოთ ამ ბრალდებებზე, როდესაც ჩვენ თითქმის არავითარი ფაქტიური რამ არ შეგვიძლია ვუამბოთ მკითხველს კომიტეტებთან ჩვენი ნამდვილი დამოკიდებულების შესახებ,

არ შეგვიძლია კონსპირაციის პირობების გამო? ის ადამიანები, რომელნიც გესლიან და მასის გამაღიზიანებელ ბრალდებას ისვრიან, ჩვენზე წინ დგებიან თავიანთი აღვირახსნილობის წყალობით, რევოლუციონერის ვალდებულებისადმი უგულებელმყოფელი დამოკიდებულების მეოხებით, — რევოლუციონერის, რომელიც გულმოდგინედ უმალავს გარეშეებს იმ ურთიერთობასა და კავშირს, რომელიც მას აქვს, რომელსაც ის აგვარებს ან. ცდილობს მოაგვაროს. ცხადია, ასეთ ადამიანებთან «დემოკრატიზმის» ასპარეზზე მეტოქეობის გაწევაზე ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ უარს ვამბობთ. რაც შეეხება ყველა პარტიულ საქმეში ჩაუხედავ მკითხველს, ერთადერთ საშუალებას მის წინაშე ჩვენი ვალის მოსახდელად წარმოადგენს არა იმის თხრობა, რაც არის და რაც იმყოფება im Werden *, არამედ იმის ნ ა წ ი ლ ა კ ი ს ა, რაც უკვე იყო და რაზედაც — როგორც წარსულზე — თხრობა დასაშვებია.

ბუნდი გადაკვრით ლაპარაკობს ჩვენს «თვითმწოდობაზე» **, საზღვარგარეთული «კავშირი» გვაბრალებს პარტიის კვალის აღმოფხვრის ცდას. ინებეთ, ბატონებო. თქვენ სრულ დაკმაყოფილებას მიიღებთ, როდესაც ჩვენ მოვუთხრობთ საზოგადოებას წარსულის ო თ ხ ფ ა ქ ტ ს.

პირველი *** ფაქტი. ერთ-ერთი «ბრძოლის კავშირის» წევრები, რომელნიც უშუალო მონაწილეობას იღებდნენ ჩვენი პარტიის შექმნაში და მის დამფუძნებელ პარტიულ ყრილობაზე დელეგატის გაგზავნაში, უთანხმდებიან «ისკრის» ჯგუფის ერთ-ერთ წევრს განსაკუთრებული მუშათა ბიბლიოთეკის დაარსების შესახებ მთელი მოძრაობის საჭიროების მომსახურებისათვის. მუშათა ბიბლიოთეკის დაარსება არ ხერხდება, — და მისთვის დამზადებული ბროშურები «რუსი სო-

* — ქმნადობის, წარმოშობის პროცესში. რ ე დ.

** «ისკრა» № 8, რუსეთისა და პოლონეთის ებრაელთა საყოველთაო კავშირის ცენტრალური კომიტეტის პასუხი ჩვენს სტატიაზე ნაციონალური საკითხის შესახებ.

*** ჩვენ ამ ფაქტებს განზრახ არ ვალაგებთ იმ რიგით, როგორც ისინი ნამდვილად მოხდა [125].

ციალ-დემოკრატების ამოცანები» და «ახალი საფაბრიკო კანონი» * ფარულად და მესამე პირთა საშუალებით იგზავნება საზღვარგარეთ, სადაც მათ ბეჭდავენ [126].

მეორე ფაქტი. ბუნდის ცენტრ. კომიტეტის წევრები მიმართავენ «ისკრის» ჯგუფის ერთ-ერთ წევრს წინადადებით — მოეწყოთ, როგორც ბუნდი ლაპარაკობდა მაშინ, «ლიტერატურული ლაბორატორია». ამასთან ისინი ამბობდნენ, თუ ამის მოწყობა არ მოხერხდა, ჩვენმა მოძრაობამ შეიძლება ძალიან დაიხიოს უკანო. მოლაპარაკებას შედეგად მოჰყვა ბროშურა «მუშათა საქმე რუსეთში» **.

მესამე ფაქტი. ბუნდის ცენტრალური კომიტეტი ერთი პროვინციული ქალაქის საშუალებით მიმართავს «ისკრის» ერთ-ერთ წევრს წინადადებით—იისროს განახლებული «რაბოჩაია გაზეტას» რედაქტორობა და, რა თქმა უნდა, თანხმობას იღებს. შემდეგ წინადადება იცვლება: ითხოვენ თანამშრომლობას, რედაქციასთან ახალი კომბინაციის გამო. თავისთავად ცხადია, ამაზეც თანხმობას იღებენ [127]. იგზავნება სტატიები (რომლების შენახვა მოხერხდა)—«ჩვენი პროგრამა» — პირდაპირი პროტესტით ბერნშტეინიადის, ლეგალურ ლიტერატურასა და «რაბ. მისლში» მომხდარი შემობრუნების წინააღმდეგ; «ჩვენი უახლოესი ამოცანა» («მოწყობა პარტიის ორგანოსი, რომელიც წესიერად გამოვა და ყველა ადგილობრივ ჯგუფთან მჭიდროდ იქნება დაკავშირებული»; გაბატონებული «კუსტარულობის» ნაკლოვანებანი); «საარსებო საკითხი» (გარჩევა პასუხისა, რომ თ ა ვ დ ა პ ი რ ვ ე ლ ა დ,

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 2, გვ. 397 — 431 და 325—386. რ ე დ.

** სხვათა შორის, ამ ბროშურის ავტორი მთხოვს განვაცხადო, რომ ეს ბროშურა, ისე როგორც მისი წინანდელი ბროშურები, «კავშირს» გაეგზავნა იმ ვარაუდით, რომ მის გამოცემათა რედაქტორი იყო «შრომის განთავისუფლების» ჯგუფი (ზოგიერთი პირობის გამო მას ამ დროს, ე. ი. 1899 წლის თებერვალში, არ შეეძლო სცოდნოდა რედაქციაში მომხდარი ცვლილება). ამ ბროშურას ახლო მომავალში ხელახლა გამოსცემს ლიგა.

ვიდრე საერთო ორგანოს მოწყობას შევუდგებოდეთ, საჭიროა ადგილობრივი ჯგუფების მოქმედების განვითარებაო; დაცვა და მოთხოვნა «რევოლუციური ორგანიზაციის» პირველხარისხოვანი მნიშვნელობისა — «ორგანიზაციის, დისციპლინისა და კონსპირაციული ტექნიკის სრულყოფის უმაღლეს წერტილამდე აყვანის» საჭიროებისა) *. «რაბოჩაია გაზეტას» განახლების წინადადება არ ხორციელდება, და სტატიები დაუბეჭდავი რჩება.

მეოთხე ფაქტი. კომიტეტის წევრი, რომელიც ჩვენი პარტიის მეორე მორიგ ყრილობას აწყობს, ატყობინებს «ისკრის» ჯგუფის წევრს ყრილობის პროგრამას და ამ ჯგუფის კანდიდატურას აყენებს განახლებული «რაბოჩაია გაზეტას» რედაქტორად. მის, ასე ვთქვათ, წინასწარ ნაბიჯს ადასტურებს შემდეგ როგორც ის კომიტეტი, რომელსაც იგი ეკუთვნოდა, ისე ბუნდის ცენტრალური კომიტეტიც [128]; «ისკრის» ჯგუფი ღებულობს ცნობას ყრილობის მოწვევის ადგილისა და დროის შესახებ, მაგრამ (რადგანაც დარწმუნებული არ იყო, შესძლებდა თუ არა ის, ზოგიერთი მიზეზის გამო, დელეგატის გაგზავნას ამ ყრილობაზე) ადგენს აგრეთვე წერილობითს მოხსენებას ყრილობისათვის. ამ მოხსენებაში გატარებულია ის აზრი, რომ მარტო ცენტრალური კომიტეტის არჩევით ჩვენ არათუ ვერ გადავწყვეტთ გაერთიანების საკითხს სრული დაბნეულობის ასეთ დროს, რასაც ჩვენ განვიცდიდით, არამედ შეიძლება სახელიც გავუტეხოთ პარტიის შექმნის დიად იდეას, თუ ვინიცობაა ახალი სწრაფი და სრული ჩავარდნა მოხდა, რაც ადვილად მოსალოდნელია არსებული უკონსპირაციულობის დროს; რომ ამიტომ საჭიროა მოვუწოდოთ ყველა კომიტეტს და ყველა სხვა ორგანიზაციას მხარი დაუჭირონ განახლებულ საერთო ორგანოს, რომელიც რ ე ა ლ უ რ ა დ დააკავშირებს ყველა კომიტეტს ფ ა ქ ტ ი უ რ ი კავშირით, რ ე ა ლ უ რ ა დ მოამზადებს მთელი მოძრაობის ხელ-

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 4; გვ. 250—256, 257—263 და 264 — 270. რ ე დ.

მძღვანელთა ჯგუფს, — ხოლო კომიტეტების მიერ შექმნილი ასეთი ჯგუფის ცენტრალურ კომიტეტად გადაქცევას კომიტეტები და პარტია მერე ადვილად შესძლებენ, რაკი ასეთი ჯგუფი გაიზრდება და განმტკიცდება. მაგრამ ყრილობა არ შესდგა მთელი რიგი ჩავარდნების გამო, და მოხსენებას კონსპირაციული მოსაზრებებით სპობენ, რამდენიმე ამხანაგის. მათ შორის ერთი კომიტეტის რწმუნებულთა მიერ მისი წაკითხვის შემდეგ.

ახლა მკითხველმა თვითონ განსაჯოს, რა ხასიათისაა ბუნდის გადაკრული სიტყვა თვითმწოდობის შესახებ ან «რაბ. დელოს» მოსაზრება, თითქოს ჩვენ გვინდოდეს კომიტეტები განვდევნოთ აჩრდილთა სამეფოში და პარტიის ორგანიზაცია «შევცვალოთ» ერთი გაზეთის იდეების გავრცელების ორგანიზაციით. ჩვენც სწორედ კომიტეტებს, მ ა თ ი ა რ ა ე რ თ ი მ ო თ ხ ო ვ ნ ი ს ა მ ე ბ რ, ვუკეთებდით მოხსენებას საერთო მუშაობის განსაზღვრული გეგმის მიღების აუცილებლობის შესახებ. სწორედ პარტიული ორგანიზაციისათვის ვამუშავებდით ჩვენ ამ გეგმას «რაბოჩაია გაზეტას» სტატიებსა და პარტიის ყრილობისათვის მომზადებულ მოხსენებაში. ისევ და ისევ იმათი თხოვნით, ვისაც პარტიაში ისეთი გავლენა ჰქონდა, რომ მისი (ფაქტიური) აღდგენის ინიციატივას კისრულობდა. და მხოლოდ მას შემდეგ, რაც წარუმატებლობით დამთავრდა პარტიული ორგანიზაციის ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ია — ჩ ვ ე ნ თ ა ნ ე რ თ ა დ განეახლებინა პარტიის ცენტრალური ორგანო ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ა დ, ჩვენ პირდაპირ მოვალეობად მივიჩნიეთ ა რ ა ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ი ორგანოთი გამოვსულიყავით იმისათვის, რათა მ ე ს ა მ ე ცდის შემთხვევაში ამხანაგებს თვალწინ ჰქონოდათ გ ა მ ო ც დ ი ლ ე ბ ი ს ერთგვარი შედეგები და არა მხოლოდ საეგებისო მოსაზრებანი. ამჟამად ამ ცდის ზოგიერთ შედეგს ყველა ხედავს, და ყველა ამხანაგს შეუძლია განსაჯოს, სწორად გვესმოდა თუ არა ჩვენი მოვალეობა, და რა უნდა ვიფიქროთ იმ ადამიანებზე, რომელნიც ცდილობენ შეცდომაში შეიყვანონ

უახლოესი წარსულის არმცოდნე პირნი იმაზე გაჯავრების გამო, რომ ჩვენ ზოგს ვუმტკიცებდით მათს არათანამიმდევრობას «ნაციონალურ» საკითხში და ზოგს — უპრინციპო მერყეობათა შეუწყნარებლობას.

ბ) შეიძლება თუ არა გაზეთი კოლექტიური ორგანიზატორი იყოს?

მთელი დედააზრი სტატიისა «რით დავიწყოთ?» სწორედ ამ კითხვის დაყენებასა და მის დადებით გადაწყვეტაში მდგომარეობს. ერთადერთ, ჩვენთვის ცნობილ, ცდას ამ კითხვის არსებითად გასარჩევად და მისი უარყოფითი გადაჭრის აუცილებლობის დასამტკიცებლად ახდენს ლ. ნადეჟდინი, რომლის საბუთებსაც მთლიანად მოვიყვანთ:

«... ჩვენ ძალიან მოგვწონს «ისკრის» (№ 4) მიერ საკითხის დაყენება საერთო-რუსეთის გაზეთის საჭიროების შესახებ, მაგრამ ვერასგზით ვერ დავეთანხმებით, თითქოს საკითხის ეს დაყენება შეეფერებოდეს სტატიის «რით დავიწყოთ?» სათაურს. ეს ერთ-ერთი უსათუოდ უმნიშვნელოვანესი საქმეა, მაგრამ ამით, პოპულარული ფურცლების მთელი სერიით, უამრავი პროკლამაციით ვერ ჩაეყრება საძირკველი მებრძოლ ორგანიზაციას რევოლუციური მომენტისათვის. საჭიროა შევუდგეთ ძლიერი პოლიტიკური ორგანიზაციების მოწყობას ადგილობრივ. ჩვენ ასეთი ორგანიზაციები არა გვაქვს; ჩვენში მუშაობა წარმოებდა უმთავრესად ინტელიგენტ მუშებს შორის, მასები კი თითქმის მხოლოდ ეკონომიურ ბრძოლას აწარმოებდნენ. ადგილობრივ თუ ძლიერი პოლიტიკური ორგანიზაციები არ აღიზარდნენ, რას ნიშნავს თუნდაც საუცხოოდ დაყენებული საერთო-რუსეთის გაზეთი? ეს არის ის ბუჩქი, რომელსაც ცეცხლი უკიდია, თვითონ არ იწვის, მაგრამ არც არავის აღანთებს! მის გარშემო, მისი საქმისთვის ხალხი შემოკრბება და შეკავშირდება — ფიქრობს «ისკრა». მაგრამ ის ხომ გაცილებით უფრო მჭიდროდ შემოკრბება და შეკავშირდება უფრო კონკრეტული საქმის გარშემო! ასეთი საქმე შეიძლება იყოს და კიდევაც უნდა იყოს ადგილობრივი გაზეთების ფართოდ დაყენება, მუშათა ძალების დაუყოვნებლივი მზადება დემონსტრაციებისთვის, ადგილობრივი ორგანიზაციების მუდმივი მუშაობა უმუშევრებში (ფურცლების შეუწყვეტლივ გავრცელება მათ შორის, მათი კრებების მოწვევა, მათი დარაზმვა მთავრობისთვის წინააღმდეგობის გასაწევად და სხვ.). საჭიროა ად-

ვილობრივ გაჩაღდეს ცოცხალი პოლიტიკური მუშაობა, და როდესაც აუცილებელი გახდება ამ რეალურ ნიადაგზე გაერთიანება, — იგი ხელოვნური, ქაღალდზე დაწერილი აღარ იქნება — გაზეთებით როდი ხდება ადგილობრივ სამუშაოთა ასეთი გაერთიანება საერთო რუსეთის საქმედ!» («რევოლუციის წინადღე», გვ. 54).

ჩვენ ხაზს ვუსვამდით ამ მჭევრმეტყველური ტირადის იმ ადგილებს, რომლებიც ყველაზე უფრო მკაფიოდ გვიჩვენებს როგორც ავტორის მიერ ჩვენი გეგმის შეფასების შეცდომას, ისე საერთოდ მისი აქ «ისკრისადმი» დაპირისპირებული თვალსაზრისის შეცდომასაც. თუ ადგილობრივ არ აღიზრდებიან ძლიერი პოლიტიკური ორგანიზაციები, — არავითარი მნიშვნელობა აღარ ექნება საუცხოოდ დაყენებულ საერთო-რუსეთის გაზეთსაც. — სრული სიმართლეა. მაგრამ საქმეც სწორედ ის არის, რომ არ არსებობს სხვა საშუალება ძლიერი პოლიტიკური ორგანიზაციების **აღსაზრდელად,** გარდა საერთო-რუსეთის გაზეთისა. ავტორს გამოჰპარვია «ისკრის» ყველაზე არსებითი განცხადება, რომელიც მან გააკეთა, სანამ საკუთარი «გეგმის» განმარტებას შეუდგებოდა: საჭიროა «მოწოდება ისეთი რევოლუციური ორგანიზაციის აღსაზრდელად, რომელიც გაერთიანებს ყველა ძალას და უხელმძღვანელებს მოძრაობას არა მარტო სახელწოდებით, არამედ ნამდვილადაც, ე. ი. ყოველთვის მზად იქნება მხარი დაუჭიროს ყოველგვარ პროტესტს და ყოველგვარ აფეთქებას და გამოიყენებს მათ გადამწყვეტი ბრძოლისათვის გამოსადეგი სამხედრო ძალების გასამრავლებლად და გასამტკიცებლად». პრინციპულად მას ახლა, თებერვლისა და მარტის შემდეგ, ყველა დაეთანხმება,—განაგრძობს «ისკრა», — ჩვენ კი გვინდა საკითხის სრა პრინციპული, არამედ პრაქტიკული გადაჭრა, გვინდა დაუყოვნებლივ წამოვაყენოთ მშენებლობის ისეთი გარკვეული გეგმა, რომ ახლავე სხვადასხვა მხრივ ყველას შეეძლოს შეუდგეს შენობის აგებას. ჩვენ კი კვლავ გვაშორებენ საკითხის პრაქტიკულ გადაჭრას, ისევ უკან გვწევენ — პრინციპუ-

ლად სწორი, უდავო, დიადი, მაგრამ მომუშავეთა ფართო მასისთვის სრულიად არასაკმარ, სრულიად გაუგებარი ჭეშმარიტებისაკენ: «აღვზარდოთ ძლიერი პოლიტიკური ორგანიზაციებიო!» ამაზე კი არ არის ახლა ლაპარაკი, პატივცემულო ავტორო, არამედ იმაზე, თუ სახელდობრ როგორ აღვზარდოთ და როგორ უნდა აღზრდა!

არ არის სწორი, თითქოს «ჩვენში მუშაობა წარმოებდა უმთავრესად ინტელიგენტ მუშებს შორის, მასები კი თითქმის მხოლოდ ეკონომიურ ბრძოლას აწარმოებდნენ». ასეთი ფორმით ეს დებულება ემსგავსება «სვობოდასათვის» ჩვეულებრივ და ძირფესვიანად მცდარ დებულებას — ინტელიგენტი მუშებისა და «მასის» დაპირისპირებას. ჩვენში ინტელიგენტი მუშებიც უკანასკნელ წლებში «თითქმის ეკონომიურ ბრძოლას აწარმოებდნენ». ეს ერთი მხრივ. ხოლო მეორე მხრივ, მასებიც ვერასოდეს ვერ ისწავლიან პოლიტიკური ბრძოლის წარმოებას, ვიდრე არ შევუწყობთ ხელს ამ ბრძოლის ხელმძღვანელთა აღზრდას როგორც ინტელიგენტი მუშებიდან, ისე თვით ინტელიგენტებიდან; ასეთი ხელმძღვანელები კი შეიძლება აღიზარდონ მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების ყველა მხარის, სხვადასხვა კლასის სხვადასხვა საბაბით გამოწვეული პროტესტისა და ბრძოლის ყველა ცდის სისტემატური, მიმდინარე შეფასების ნიადაგზე. ამიტომ ლაპარაკი «პოლიტიკური ორგანიზაციების აღზრდაზე» და ამავე დროს პოლიტიკური გაზეთის «ქაღალდის საქმის» და «ადგილობრივი ცოცხალი პოლიტიკური მუშაობის» დაპირისპირება პირდაპირ სასაცილოა! «ისკრაც» ხომ გაზეთის თავის «გეგმას» სწორედ ასეთი «ბრძოლისათვის მზადყოფნის» «გეგმის» შემუშავებას უფარდებს, რათა მხარი დაუჭიროს უმუშევართა მოძრაობასაც, გლეხთა ამბოხებებსაც, ერობელთა უკმაყოფილებასაც და «მოსახლეობის აღშფოთებასაც მეფის თავგასული ბაშიბუზუკის წინააღმდეგ» და სხვ.. ყველამ, ვინც მოძრაობას იცნობს, ხომ კარგად იცის, რომ ამაზე არც კი ფიქრობს ადგილობრივი ორგანიზაციების დიდი უმრავლესობა, რომ «ცოცხალი

პოლიტიკური მუშაობის» მრავალი აქ დასახული პერსპექტივა ჯერ კიდევ არასოდეს არ განუხორციელებია არც ერთ ორგანიზაციას, რომ იმის ცდა, მაგალითად, რომ ყურადღება მიექცეს ერობის ინტელიგენციის პროტესტისა და უკმაყოფილების ზრდას, დაბნეული შეშფოთების გრძნობას იწვევს ნადეჟდინშიც («ღმერთო ჩემო, ერობელთათვის ხომ არ არის დაარსებული ეს ორგანო?», «წინადღე», გვ. 129), ეკონომისტებშიც («ისკრა» № 12, წერილი) და ბევრ პრაქტიკოსშიც. ასეთ პირობებში «დაწყება» შეიძლება მხოლოდ იმით, რომ წავაქეზოთ ადამიანები იფიქრონ ყოველივე ამაზე, წავაქეზოთ ისინი შეაჯამონ და განაზოგადონ მღელვარებისა და აქტიური ბრძოლის ყველა და ყოველგვარი გამოვლინება. ჩვენს დროს, სოციალ-დემოკრატიული ამოცანების დაკნინების დროს, «ცოცხალი პოლიტიკური მუშაობის» დაწყება შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ცოცხალი პოლიტიკური აგიტაციით, რაც შეუძლებელია, თუ არ გვექნება საერთო-რუსეთის გაზეთი, რომელიც ხშირად უნდა გამოდიოდეს და წესიერად ვრცელდებოდეს.

იმათ, ვინც «ისკრის» «გეგმაში» «ლიტერატურულობის» გამოხატულებას ხედავს, სრულიად ვერ გაუგიათ თვით გეგმის არსი; ისინი მიზანს იმაში ხედავენ, რაც წამოყენებულია როგორც დღევანდელი მომენტისათვის ყველაზე უფრო გამსადეგი საშუალება. ისინი არც კი გარჯილან ეფიქრათ იმ ორ შედარებაზე, რომლითაც თვალნათლივ დასურათებული იყო წამოყენებული გეგმა. საერთო-რუსეთის პოლიტიკური გაზეთის მოწყობა — ამბობდა «ისკრა» — უნდა იყოს ის ძირითადი ძაფი, რომლის ხელის ჩაჭიდებით ჩვენ შევძლებდით ამ ორგანიზაციის (ე. ი. რევოლუციური ორგანიზაციის, რომელიც ყოველთვის მზად არის ყოველგვარი პროტესტისა და ყოველგვარი აფეთქებისათვის მხარის დასაჭერად) განუხრელად განვითარებას, გაღრმავებასა და გაფართოებას. ბა ერთი გვითხარით: როდესაც კალატოზები სხვადასხვა ადგილას უზარმაზარი და სრულიად უმაგალითო შენობის ქვებს აწყობენ, — «ქალალდის» საქმე ხომ არ არის იმ ძაფის

გატარება, რომელიც მოგვანახვინებს ქვების დასაწყობ სწორ ადგილს, გვიჩვენებს საერთო მუშაობის საბოლოო მიზანს, საშუალებას გვაძლევს გამოვიყენოთ არა მარტო თვითეული ქვა, არამედ ქვის ყოველი ნატეხიც, რომელსაც, წინა და შემდგომ ქვებთან თანშეწყობით, აჰყავს დასრულებული და ყოვლისშემცველი ხაზი? და განა ჩვენ სწორედ ასეთ მომენტს არ განვიცდით ჩვენს პარტიულ ცხოვრებაში, როდესაც ქვებიცა გვაქვს და კალატოზებიცა გვყავს, გვაკლია მხოლოდ ის ყველასათვის დასანახი ძაფი, რომელსაც ყველანი ხელს ჩავჭიდებდით? დაე იყვირონ, რომ ძაფის გაბმით ვითომ ჩვენ მბრძანებლობა გვინდოდეს: ჩვენ რომ მბრძანებლობა გვნდომებოდა, ბატონებო, ნაცვლად «ისკრა № 1» დავწერდით — «რაბოჩაია გაზეტა № 3», როგორც გვირჩევდა ზოგიერთი ამხანაგი და როგორც ჩვენ ს რ უ ლ ი უ ფ ლ ე ბ ა გ ვ ე ქ ნ ე ბ ო დ ა მ ო ვ ქ ც ე უ ლ ი ყ ა ვ ი თ იმ ამბების შემდეგ, რომლებზეც ზემოთ ვილაპარაკეთ. მაგრამ ჩვენ ასე არ მოვიქეცით: ჩვენ გვინდოდა თავისუფალი ხელები დაგვეტოვებინა შეურიგებელი ბრძოლისათვის ყოველგვარ ცრუ-სოციალ-დემოკრატებთან; ჩვენ გვინდოდა, რომ ჩვენი ძაფისთვის, თუ იგი სწორად არის გაბმული, პატივი ეცათ მისი სისწორის გამო და არა იმის გამო, რომ ის ოფიციალური ორგანოს მიერ არის გაბმული.

«ცენტრალურ ორგანოებში ადგილობრივი მუშაობის გაერთიანების საკითხი მოჯადოებულ წრეში ტრიალებს, — გვასწავლის ლ. ნადეჟდინი, — გაერთიანებისათვის საჭიროა ელემენტების ერთგვარობა. თვით ეს ერთგვარობა კი შეიძლება შეიქმნას მხოლოდ რაიმე გამაერთიანებელით, მაგრამ ეს გამაერთიანებელი შეიძლება პროდუქტი იყოს ძლიერი ადგილობრივი ორგანიზაციებისა, რომელნიც დღეს მოკლებულნი არიან სწორედ ამ ერთგვაროვან ხასიათს». ეს იმდენადვე საპატიო და იმდენადვე უდავო, მაგრამ იმდენადვე უნაყოფო ჭეშმარიტებაა, როგორც ის, რომ საჭიროა აღვზარდოთ ძლიერი პოლიტიკური ორგანიზაციები. ყ ო ვ ე ლ ი საკითხი «მოჯადოებულ წრეში ტრიალებს», ვინაიდან მთელი პოლი-

ტიკური ცხოვრება წარმოადგენს რგოლების უსასრულო წყებისაგან შემდგარ უსასრულო ჯაჭვს. პოლიტიკოსის მთელი ოსტატობაც სწორედ ის არის, რომ მონახოს და მაგრადმაგრად ჩასჭიდოს ხელი სწორედ ისეთ რგოლს, რომლის ხელიდან გაგდებინება ყველაზე ნაკლებად შეიძლება, რომელიც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ამ მომენტში, რომელიც ყველაზე უფრო უზრუნველჰყოფს რგოლის მფლობელის მიერ მთელი ჯაჭვის ფლობას *. ბლომად რომ გვყავდეს ისეთი გამოცდილი და ერთმანეთთან შეხმატკბილებული კალატოზები, რომელთაც ძაფის გაუბმელადაც შეეძლებოდათ საშენი ქვების დაწყობა სწორედ იქ, სადაც საჭიროა (ეს შეუძლებელი სულაც არ არის, თუ განყენებულად ვილაპარაკებთ), — მაშინ ჩვენ შევძლებდით მართლაცდა მეორე რგოლისთვისაც ჩაგვეჭიდა ხელი, მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ გამოცდილი და შეხმატკბილებული კალატოზები ჩვენ ჯერ კიდევ არა გვყავს, რომ ქვები ხშირად სულ ტყუილუბრალოდ იწყობა, იწყობა არა საერთო ძაფის გასწვრივ, არამედ იმდენად დაქსაქსულად, რომ მტერი მათ ერთი შებერვით ჰყრის, თითქოს ქვები კი არა, ქვიშა იყოს.

მეორე შედარება: «გაზეთი არა მარტო კოლექტიური პროპაგანდისტი და კოლექტიური აგიტატორია, არამედ კოლექტიური ორგანიზატორიც არის. ამ უკანასკნელის მხრივ ი გ ი შ ე ი ძ ლ ე ბ ა შ ე ვ ა დ ა რ ო თ ხ ა რ ა ჩ ო ებ ს, რომლებიც კეთდება ასაგები შენობის გარშემო, სახავს შენობის გარემოხაზულობას, აადვილებს ურთიერთობას ცალკეულ მშენებელთა შორის, ეხმარება მათ მუშაობის განაწილებასა და ორგანიზებული შრომით მიღწეული საერთო შედეგების შე-

* ამხანაგო კრიჩევსკი და ამხანაგო მარტინოვ! თქვენს ყურადღებას მივაქცევ «თვითმპყრობელობის», «უკონტროლო ავტორიტეტულობის», «უზენაესი მოწესრიგების» და სხვ. ამ აღმაშფოთებელ გამოვლინებაზე. რას ბრძანებთ: სურს მთელ ჯაჭვს დ ა ე უ ფ ლ ო ს!! დასწერეთ ჩქარა საჩივარი. ეი მზამზარეული თემა «რაბოჩეე დელოს» მე-12 ნომრის ორი მოწინავესთვის!

მოწმეებში» *. მართლაც, როგორა ჰგავს ეს ლიტერატორის, კაბინეტის კაცის მიერ თავისი როლის გაზვიადებას? თვით სადგომისთვის ხარაჩოები სულაც არ არის საჭირო, ხარაჩოებს აკეთებენ ყველაზე ცუდი მასალისაგან, მოკლე ხნით და როგორც კი შენობა, ძირითადად მაინც, დამთავრდება, ღუმელში ჰყრიან ხოლმე. რევოლუციური ორგანიზაციების შენების გამოცდილება გვიმტკიცებს, რომ ხანდახან მათი აგება უხარაჩოებოდაც ხერხდება — აიღეთ სამოცდაათიანი წლები. მაგრამ დღეს ჩვენ ვერც კი წარმოვიდგენთ უხარაჩოებოდ ჩვენთვის საჭირო შენობის აგების შესაძლებლობას.

ნადეჟდინი არ ეთანხმება ამას და ამბობს: ««ისკრა» ფიქრობს, რომ გაზეთის ირგვლივ და მისი საქმისთვის ხალხი შემოკრბება და შეკავშირდება. მ ა გ რ ა მ ი ს ხ ო მ გ ა ც ი ლ ე ბ ი თ უ ფ რ ო მ ჭ ი დ რ ო დ შემოკრბება და შეკავშირდება უ ფ რ ო კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ი საქმის ირგვლივ!» სწორედ ასე: «გაცილებით უფრო მჭიდროდ უფრო კონკრეტულის ირგვლივ»... რუსული ანდაზა ამბობს: ჭაში ნუ აფურთხებ, წყლის დალევა დაგჭირდებაო. მაგრამ არიან ადამიანები, რომელნიც ისეთი ჭიდანაც კი დალევენ წყალს, რომელიც უკვე ჩაფურთხებულია. რა სისაძაგლეს არ ლაპარაკობენ ამ მეტი კონკრეტულობის გულისთვის ჩვენი დიდებული ლეგალური «მარქსიზმის კრიტიკოსები» და «რაბოჩაია მისლის» არალეგალური თაყვანისმცემლები! რა შევიწროებულია მთელი ჩვენი მოძრაობა ჩვენი შეზღუდულობით, უინიციატივობითა და გაუბედაობით, რასაც ამართლებენ ტრადიციული მოსაზრებით: «გაცილებით უფრო მჭიდროდ უფრო კონკრეტულის ირგვლივ»! ნადეჟდინი კი, რომელიც თავის თავს თვლის «ცხოვრებისადმი» განსაკუთრებით გულისხმიერად, რომელიც განსაკუთრებით მკაცრად ძრახავს

* როცა მარტინოვმა «რაბ. დელოში» მოიყვანა ამ ციტატის პირველი ფრაზა (№ 10, გვ. 62) და სწორედ მეორე ფრაზა კი გამოსტოვა, ამით თითქოს ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მას არა სურს შეეხოს საკითხის არსს ან უნარი არ შესწევს გაიგოს ეს არსი.

«კაბინეტის» ადამიანებს, რომელიც ბრალად სდებს (გონებამახვილობის პრეტენზიით) «ისკრას» ყველგან ეკონომიზმის დანახვის მიდრეკილებას და წარმოუდგენია, რომ ის ორთოდოქსებად და კრიტიკოსებად დაყოფაზე გაცილებით მაღლა დგას, — ვერც კი ამჩნევს, რომ თავისი საბუთებით ის ხელს უწყობს შეზღუდულობას, რომლითაც თვითონ არის აღშფოთებული, რომ ის სწორედ ფურთხით სავსე ჭიდან სვამს წყალს! დიახ, უაღრესი შეზღუდულობით გამოწვეული გულწრფელი აღშფოთება, უაღრესად მხურვალე სურვილი მის წინაშე მუხლმოყრილთა წამოყენებისა კიდევ არ კმარა, თუ აღშფოთებული თვითონ უგზო-უკვლოდ დაჰქრის და ისევე «სტიქიურად», როგორც 70-იანი წლების რევოლუციონერები, ჩაფრენია «ექსციტატიურ ტერორს», «აგრარულ ტერორს», «განგაშს» და სხვ. დაუკვირდით ამ «უფრო კონკრეტულს», რის ირგვლივ, — მისი ფიქრით, — «გაცილებით უფრო მჭიდროდ» შეიძლება შემოკრება და შეკავშირება: 1. ადგილობრივი გაზეთები; 2. დემონსტრაციებისათვის მზადება; 3. უმუშევართა შორის მუშაობა. პირველი შეხედვითვე ჩანს, რომ ყოველივე ეს სრულიად შემთხვევით, ალალბედზეა დასახელებული, რომ რამე ეთქვა, ვინაიდან, როგორც უნდა შეეხედოთ მათ, ისეთი რამის დანახვა მათში, რაც სპეციალურად «შემოსაკრებად და შესაკავშირებლად» გამოდგებოდეს, ყოვლად შეუსაბამო რამ არის. ბაკი თვითონ იგივე ნადეჟდინი ცოტა ქვემოთ ამბობს: «დროა პირდაპირ აღვნიშნოთ ფაქტი: ადგილობრივ მეტად უბადრუკი მუშაობა წარმოებს, კომიტეტები იმის მეათედსაც ვერ აკეთებენ, რის გაკეთებაც შეეძლოთ... ის გამაერთიანებელი ცენტრები, რომელნიც ჩვენ ახლა მოგვეპოვება, ფიქციაა, რევოლუციური კანცელარიულობაა, ერთმანეთისათვის გენერლობის ბოძებაა, და ასე იქნება მანამდე, სანამ არ გაჩნდებიან ადგილობრივი ძლიერი ორგანიზაციები». ამ სიტყვებში, უსათუოდ, გადაჭარბებასთან ერთად ბევრი მწარე ჭეშმარიტებაც არის, და ნუთუ ნადეჟდინი ვერ ხედავს კავშირს ადგილობრივ უბადრუკ მუშაობასა და მოღვაწეთა იმ გონებრივ შეზღუდულობას, მათი მუშაობის გაქანე-

ბის იმ შეზღუდულობას შორის, რაც გარდუვალია, როცა ადგილობრივი ორგანიზაციების ფარგლებში ჩაკეტილი მოღვაწენი მოუმზადებელნი არიან? ნუთუ მას, ორგანიზაციის შესახებ «სვობოდაში» მოთავსებული სტატიის ავტორის მსგავსად, დაავიწყდა ის, თუ ადგილობრივ ფართო პრესაზე გადასვლას (1898 წლიდან) როგორ მოჰყვა ეკონომიზმისა და «კუსტარულობის» განსაკუთრებული გაძლიერება? შესაძლებელიც რომ იყოს «ფართო ადგილობრივი პრესის» საქმის ოდნავ დამაკმაყოფილებელი დაყენებაც კი (ჩვენ კი ზემოთ აღვნიშნეთ, რომ იგი, სრულიად განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, შეუძლებელია), მაშინაც ვერ «შემოიკრებდნენ და შეაკავშირებდნენ» ადგილობრივი ორგანოები რევოლუციონერთა ყველა ძალებს თვითმპყრობელობაზე საერთო იერიშის მისატანად, ერთიანი ბრძოლის სახელმძღვანელოდ. ნუ დაივიწყებთ, რომ აქ ლაპარაკია მხოლოდ გაზეთის «შემკრებლობითს», ორგანიზატორულ მნიშვნელობაზე; ჩვენ შეგვეძლო დაქსაქსულობის დამცველ ნადეჟდინისთვის მიგვეცა მის მიერვე დასმული ირონიული კითხვა: «შემკვიდრეობით ხომ არ მიგვიღია საიდანმე 200 000 რევოლუციური ორგანიზატორული ძალა?» შემდეგ, «დემონსტრაციებისათვის მზადება» არ შეიძლება «ისკრის» გეგმას დაუპირისპირდეს უკვე იმიტომ, რომ ეს გეგმა სწორედ უაღრესად ფართო დემონსტრაციებს გულისხმობს როგორც ერთ-ერთ მიზანს; ხოლო ლაპარაკია პრაქტიკული საშუალების ამორჩევაზე. ნადეჟდინი ისევ დაიბნა აქ, რადგან მხედველობიდან გაუშვა, რომ დემონსტრაციების (რომლებიც აქამდე უმრავლეს შემთხვევაში სრულიად სტიქიურად ხდებოდა) «მზადება» შეუძლია მხოლოდ უკვე «შეკრებილ და შეკავშირებულ» ჯარს, ჩვენ კი სწორედ შეკრება და შეკავშირება არ ვიცით. «მუშაობა უმუშევართა შორის». ისევ იგივე არევ-დარევაა, ვინაიდან ესეც მობილიზებული ჯარის ერთ-ერთ სამხედრო მოქმედებას წარმოადგენს და არა ჯარის მობილიზაციის გეგმას. რამდენად ვერ აფასებს აქაც ნადეჟდინი ჩვენი დაქსაქსულობის, «200 000 ძალის» უყო-

ლობის მავნებლობას, ეს შემდეგიდან ჩანს. ბევრნი (მათ შორის ნადეჟდინიც) უსაყვედურებდნენ «ისკრას» უმუშევრობის შესახებ ცნობების სიმცირეს, სოფლის ცხოვრების სრულიად ჩვეულებრივი მოვლენების შესახებ შემთხვევითი ხასიათის კორესპონდენციების მოთავსებას. საყვედური სამართლიანია, მაგრამ «ისკრა» აქ «უდანაშაულო დამნაშავეა». ჩვენ ვცდილობთ «გავაბათ ძაფი» სოფელშიც, მაგრამ იქ კალატოზები თითქმის არ მოიპოვებიან; ამიტომ ძალაუნებურად უნდა წავახალისოთ ყველა, ვინც სულ უბრალო ფაქტსაც კი გვაწვდის, — იმ იმედით, რომ ეს გაამრავლებს ამ დარგის თანამშრომელთა რიცხვს, და, ბოლოს, ჩვენც ყველას შეგვასწავლის მართლაც თვალსაჩინო ფაქტების შერჩევას. მაგრამ სასწავლო მასალა იმდენად მცირეა, რომ მის განუზოგადებლად მთელი რუსეთის მასშტაბით არავითარი მასალა არ მოგვეპოვება, რომ ვისწავლოთ. უეჭველია, ის ადამიანი, რომელსაც თუნდაც დაახლოებით ისეთივე აგიტატორული ნიჭი და მაწანწალას ცხოვრების ისეთი ცოდნა აქვს, როგორიც ნადეჟდინს უჩანს, უმუშევართა შორის აგიტაციით ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევდა მოძრაობას, — მაგრამ ასეთი ადამიანი მიწაში ჩამარხავდა თავის ნიჭს, თუ არ იზრუნებდა იმაზე, რომ ყველა რუსი ამხანაგისთვის გაეცნო თავისი მუშაობის ყოველი ნაბიჯი იმ ადამიანთათვის ჭკუის სასწავლებლად და მაგალითის დასანახვებლად, რომლებმაც, მთლიანად, ჯერ კიდევ არ იციან ახალი საქმის ხელის მოკიდება.

ახლა ყველანი ლაპარაკობენ გაერთიანების მნიშვნელობაზე, «შეკრებისა და შეკავშირების» აუცილებლობაზე, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში არავითარი გარკვეული წარმოდგენა არა აქვთ იმაზე, თუ რით დავიწყოთ და როგორ წარვმართოთ ამ გაერთიანების საქმე. ალბათ, ყველა დაგვეთანხმება, რომ თუ ჩვენ «ვაერთიანებთ» ერთი ქალაქის ცალკეულ, ვთქვათ, რაიონულ წრეებს, ამისთვის საჭიროა საერთო დაწესებულებანი, ე. ი. არა მარტო «კავშირის» საერთო სახელწოდება, არამედ ნამდვილი სა-

ერთო მუშაობა, მასალის, გამოცდილების და ძალების გაცვლა-გამოცვლა, ფუნქციების განაწილება უკვე არა მარტო რაიონების, არამედ მთელი საქალაქო მუშაობის სპეციალობათა მიხედვით. ყველა დაგვეთანხმება, რომ საფუძვლიანი კონსპირაციული აპარატი ვერ ანაზღაურდება (თუ შეიძლება კომერციული სიტყვა ვიხმაროთ) ერთი რაიონის (რასაკვირველია, როგორც მატერიალური, ისე პიროვნული) «საშუალებებით», რომ ასეთ ვიწრო სარბიელზე ვერ გაიშლება სპეციალისტის ნიჭი. მაგრამ იგივე უნდა ითქვას სხვადასხვა ქალაქის გაერთიანებაზეც, ვინაიდან ისეთი სარბიელიც კი, როგორიც ცალკე ქალაქია, უკვე ძალიან ვიწრო აღმოჩნდება ხოლმე და კიდევაც აღმოჩნდა ჩვენი სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ისტორიაში: ჩვენ ამას დაწვრილებით ვამტკიცებდით ზემოთ როგორც პოლიტიკური აგიტაციის, ისე ორგანიზაციული მუშაობის მაგალითით. საჭიროა, აუცილებლად საჭიროა და უწინარეს ყოვლისა საჭიროა გავაფართოოთ ეს სარბიელი, შევქმნათ ფაქტიური კავშირი ქალაქთა შორის საერთო რეგულარული მუშაობის ნიადაგზე, ვინაიდან დაქსაქსულობა აკნინებს ადამიანებს, რომელნიც («ისკრის» ერთი წერილის ავტორის სიტყვით) «თითქოს ორმოში სხედან», არ იციან, რა ხდება ქვეყნად, ვისგან რა ისწავლონ, როგორ შეიძინონ გამოცდილება, როგორ დაიკმაყოფილონ ფართო მოღვაწეობის სურვილი. და მე ვიმეორებ, რომ ამ ფაქტიური კავშირის შექმნის დაწყება შეიძლება მხოლოდ საერთო გაზეთის ნიადაგზე, როგორც ერთადერთი რეგულარული საერთო-რუსეთის წამოწყების ნიადაგზე, რომელიც აჯამებს სულ სხვადასხვაგვარი სახის მუშაობის შედეგებს და მით ბიძგს აძლევს ადამიანებს შეუჩერებლივ იარონ წინ ყველა მრავალრიცხოვანი გზით, რომელთაც რევოლუციისაკენ მივყავართ, როგორც ყველა გზას მივყავართ რომისაკენ. თუ ჩვენ მარტო სიტყვიერად არ გვინდა გაერთიანება, საჭიროა ყოველმა ადგილობრივმა წრემ დაუყოვნებლივ მოანდომოს, ვთქვათ, თავისი ძალების მეოთხედი საერთო საქმეზე აქტიურ მუ-

შაობას, და გაზეთი მას ერთბაშად დაანახვებს * ამ საქმის საერთო მონახაზს, ზომასა და ხასიათს, დაანახვებს, სახელდობრ რა ხარვეზი უფრო ძლიერ საგრძნობია მთელ საერთო-რუსეთის მასშტაბით მუშაობაში, სად არ არის აგიტაცია, სად არის სუსტი კავშირი, საერთო უზარმაზარი მექანიზმის რომელი ბორბლის შეკეთებას ან უკეთესით შეცვლას შესძლებდა ესა თუ ის წრე. წრეს, რომელსაც ჯერ კიდევ არ უმუშავნია და რომელიც მხოლოდ ახლა ეძებს სამუშაოს, შეეძლო დაეწყო უკვე მუშაობა არა როგორც ცალკე პატარა სახელოსნოს კუსტარს, რომელსაც არა გაეგება რა არც «მრეწველობის» განვითარებისა მის დრომდე, არც წარმოების ახლანდელ სამრეწველო საშუალებათა საერთო მდგომარეობისა, — არამედ როგორც მონაწილეს ფართო საწარმოსი, რომელიც ასახავს მთელ საერთო რევოლუციურ იერიშს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. და რაც უფრო სრულყოფილი იქნებოდა თვითეული ბორბლის დამუშავება, რაც უფრო მეტი იქნებოდა საერთო საქმეზე დეტალურ მუშაკთა რიცხვი, მით უფრო გახშირდებოდა ჩვენი ქსელი და მით უფრო ნაკლებ არევ-დარევას გამოიწვევდა საერთო რიგებში აუცილებელი ჩავარდნები.

უკვე მარტო გაზეთის გავრცელების ფუნქცია შექმნიდა ფაქტიურ კავშირს (თუ იგი ღირსი იქნებოდა გაზეთის სახელწოდებისა, ე. ი. გამოვიდოდა რეგულარულად და არა ერთხელ თვეში, როგორც დიდტანიანი ჟურნალები გამოდის, არამედ ოთხჯერ). ამჟამად ქალაქებს შორის კავშირურთიერთობა რევოლუციური საქმის საჭიროებისათვის ძალიან იშ-

---

* განმარტება: თუ ის თანაუგრძნობს ამ გაზეთის მიმართულებას და საქმისათვის სასარგებლოდ მიაჩნია მის თანამშრომლად გახდეს, და ესმის ეს არა როგორც მხოლოდ ლიტერატურული, არამედ როგორც საერთოდ ყოველგვარი რევოლუციური თანამშრომლობა. შენიშვნა «რაბოჩეე დელოსთვის»: იმ რევოლუციონერებისთვის, რომელნიც აფასებენ საქმეს, და არა დემოკრატიზმობის თამაშს, რომელნიც «თანაგრძნობას» არ აცალკევებენ უაქტიურესი და ცოცხალი მონაწილეობისაგან, ეს განმარტება თავისთავად იგულისხმება.

ვიათი ამბავია, ყოველ შემთხვევაში გამონაკლისს წარმოადგენს; მაშინ ეს კავშირურთიერთობა წესად გადაიქცეოდა და, ცხადია, უზრუნველჰყოფდა არა მარტო გაზეთის გავრცელებას, არამედ აგრეთვე (რაც გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია) გამოცდილების, მასალების, ძალების და საშუალებების გაცვლა-გამოცვლას. მაშინ ორგანიზაციული მუშაობის გაქანება ერთბაშად მრავალჯერ გაფართოვდებოდა, — და ერთი ადგილის წარმატება ქვეყნის სხვა კუთხეში მოქმედი ამხანაგის მუდამ წამახალისებელი იქნებოდა შემდგომი გაუმჯობესებისათვის, სურვილისათვის, რომ გამოეყენებინა მზამზარეული გამოცდილება. ადგილობრივი მუშაობა გაცილებით უფრო მდიდარი და ყოველმხრივი შეიქნებოდა, ვიდრე დღეს არის: პოლიტიკური და ეკონომიური მხილებანი, რომელნიც მთელ რუსეთში გროვდება, გონებრივ საზრდოს მისცემდა ყველა პროფესიის და განვითარების ყველა საფეხურის მუშებს, მისცემდა მასალას და საუბრის და კითხვის საბაბს სულ სხვადასხვაგვარი საკითხის შესახებ, რომელნიც ამასთანავე აღძრულია ლეგალური პრესის გადაკრული სიტყვებითაც, საზოგადოებაში ლაპარაკითაც და მთავრობის «დარცხვენილი» განცხადებებითაც. ყოველი აფეთქება, ყოველი დემონსტრაცია განხილული და ყოველმხრივ დაფასებული იქნებოდა რუსეთის ყოველ კუთხეში, გამოიწვევდა სურვილს არ ჩამორჩნენ სხვებს, გააკეთონ სხვებზე უკეთესად — (ჩვენ, სოციალისტები, სრულიადაც არ უარვყოფთ საზოგადოდ ყოველგვარ შეჯიბრებას, ყოველგვარ «მეტოქეობას»!), — შეგნებულად მოამზადონ ის, რაც პირველად როგორღაც სტიქიურად გამოვიდა, გამოიყენონ ამა თუ იმ ადგილის ან ამა თუ იმ მომენტის ხელსაყრელი პირობები იერიშის გეგმის სახის შესაცვლელად და სხვ. ამავე დროს ადგილობრივი მუშაობის ეს გამოცოცხლება არ გამოიწვევდა ყველა ძალის იმ თავგანწირულ «სიკვდილისწინა» დაძაბვას, და ყველას განსაცდელში ჩაყენებას, როგორიც არის ახლა ხშირად ყოველი დემონსტრაცია ან ადგილობრივი გაზეთის ყოველი ნომერი: ერთი მხრივ, პოლიციისთვის გაცილებით

უფრო ძნელია «ფესვების» მიგნება, რაკი არ ეცოდინება, რომელ ადგილას ეძიოს ისინი; მეორე მხრივ, რეგულარული საერთო მუშაობა შეაჩვევდა ადამიანებს ამ ა თ უ ი მ იერიშის ძალის შეფარდებას საერთო არმიის ამა და ამ რაზმის ძალთა ამა თუ იმ მდგომარეობასთან (ახლა ასეთ შეფარდებაზე თითქმის არავინ არასოდეს არ ფიქრობს, ვინაიდან იერიშები ცხრა მეათედით სტიქიურად ხდება) და გააადვილებდა სხვა ადგილიდან არა მარტო ლიტერატურის, არამედ რევოლუციური ძალების «გადმოტანასაც».

ახლა ეს ძალები მეტწილად სისხლით იცლებიან ვიწრო ადგილობრივ სამუშაოზე, მაშინ კი შესაძლებლობა გაჩნდებოდა და ყოველთვის იქნებოდა საბაბი ცოტად თუ ბევრად ნიჭიერი აგიტატორის ან ორგანიზატორის გადასაყვანად ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორეში. ჩვენი მუშაკები დაიწყებდნენ პატარა მოგზაურობით პარტიის საქმეებზე პარტიის ხარჯით და შეეჩვეოდნენ მთლიანად პარტიის კმაყოფაზე გადასვლას, პროფესიონალ რევოლუციონერებად გახდებოდნენ, ნამდვილ პოლიტიკურ ბელადებად გამოიწვრთნებოდნენ.

და ჩვენ რომ მართლა მოვახერხებდეთ იმის მიღწევას, რომ ყველა ადგილობრივმა კომიტეტმა, ადგილობრივმა ჯგუფმა და წრემ ან მათმა დიდმა უმრავლესობამ აქტიურად მოჰკიდოს ხელი საერთო საქმეს, სულ ახლო მომავალში გამოვცემდით ყოველკვირეულ გაზეთს, რომელიც რეგულარულად ათიათასობით გავრცელდებოდა მთელ რუსეთში. ეს გაზეთი გახდებოდა იმ უზარმაზარი სამჭედლო საბერვლის ნაწილად, რომელიც კლასობრივი ბრძოლისა და სახალხო აღშფოთების ყოველ ნაპერწკალს საყოველთაო ხანძრად გადააქცევდა. ამ, თავისთავად ჯერ კიდევ ძალიან უბრალო და ძალიან მცირე, მაგრამ რეგულარული და ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით ს ა ე რ თ ო საქმის გარშემო სისტემატურად შეირჩეოდა და გაიწვრთნებოდა გამოცდილ მებრძოლთა მუდმივი არმია. ამ საერთო ორგანიზაციული შენობის ხარაჩოებით თუ ფიცარნაგებით ჩვენი რევოლუციონერებიდან მალე წარმოიშობოდნენ და დაწინაურდებოდნენ სოციალ-დემოკრატი ქე-

ლიაბოვები, ჩვენი მუშებიდან — რუსი ბებელები, რომელნიც სათავეში ჩაუდგებოდნენ მობილიზებულ არმიას და მთელ ხალხს აამხედრებდნენ რუსეთის სირცხვილისა და შეჩვენების აღსაგველად.

აი რაზე უნდა ვიოცნებოთ!

*

* *

«უნდა ვიოცნებოთ!» დავწერე ეს სიტყვები და შემეშინდა. წარმოვიდგინე, რომ ვიმყოფები «გამაერთიანებელ ყრილობაზე», ჩემს პირდაპირ სხედან «რაბოჩეე დელოს» რედაქტორები და თანამშრომლები. და აი დგება ამხანაგი მარტინოვი და მრისხანედ მომმართავს: «ნება მიბოძეთ, გკითხოთ, აქვს კიდევ ავტონომიურ რედაქციას უფლება იოცნებოს პარტიის კომიტეტების წინასწარ დაუკითხავად?». მარტინოვის შემდეგ კი დგება ამხანაგი კრიჩევსკი და (ფილოსოფიურად აღრმავებს რა ამხანაგ მარტინოვს, რომელმაც დიდი ხანია უკვე გააღრმავა ამხანაგი პლეხანოვი) კიდევ უფრო მრისხანედ განაგრძობს: «მე უფრო შორს მივდივარ. გეკითხებით, აქვს კი საერთოდ მარქსისტს უფლება იოცნებოს, თუ ის არ ივიწყებს, რომ მარქსის მიხედვით კაცობრიობა ყოველთვის განსახორციელებელ ამოცანებს ისახავს და რომ ტაქტიკა იმ ამოცანების ზრდის პროცესია, რომლებიც პარტიასთან ერთად იზრდებიან?».

ამ მრისხანე კითხვების უბრალო გახსენებაც კი ერუანტელსა მგვრის ტანში, და ვფიქრობ მხოლოდ, — სად დავიმალო, ვის ამოვეფარო. შევეცდები ამოვეფარო პისარევს.

«უთანხმოებაც არის და უთანხმოებაც, — წერდა პისარევი ოცნებასა და სინამდვილეს შორის არსებული უთანხმოების საკითხის გამო. — ჩემს ოცნებას შეუძლია წინ გაუსწროს მოვლენათა ბუნებრივ მსვლელობას, ან მას შეუძლია გაინავარდოს სულ განზე, იქითკენ, სადაც ვერასოდეს ვერ მიაღწევს მოვლენათა ვერავითარი ბუნებრივი მსვლელობა. პირველ შემთხვევაში ოცნებას არავითარი ზიანი არ მოაქვს; მას შეუძლია გაამაგროს და გააძლიეროს კიდეც მშრომელი ადამიანის ენერ-

გია... ასეთ ოცნებაში ისეთი არაფერია, რასაც შეუძლია შერყვნას ან მოადუნოს სამუშაო ძალა. სრულიად პირიქით. ადამიანი რომ სავსებით მოკლებული იყოს ამგვარი ოცნების უნარს, მას რომ არ შეეძლოს ხანდახან წინ გაუსწროს და გონებით წარმოიდგინოს მთლიან და დასრულებულ სურათში სწორედ ის ქმნილება, რომელიც ეს-ეს არის ისახება მის ხელში, — მაშინ მე სრულებით არ ძალმიძს წარმოვიდგინო, რა აღმძვრელი მიზეზი აიძულებდა ადამიანს დაეწყო და დაესრულებინა უდიდესი და დამქანცველი სამუშაოები ხელოვნების, მეცნიერებისა და პრაქტიკული ცხოვრების სფეროში... ოცნებასა და სინამდვილეს შორის უთანხმოებას არავითარი ზიანი არ მოაქვს, თუ კი მეოცნებე პიროვნებას სერიოზულად სწამს თავისი ოცნება, თუ ის ყურადღებით უკვირდება ცხოვრებას, თავის დაკვირვებას ადარებს თავის საოცნებო კოშკებს და საზოგადოდ კეთილსინდისიერად მუშაობს თავისი ფანტაზიის განსახორციელებლად. როდესაც რაიმე კავშირი არსებობს ოცნებასა და ცხოვრებას შორის, მაშინ ყველაფერი თავის რიგზეა»[129].

აი სწორედ ასეთი ოცნება, სამწუხაროდ, ძალიან ცოტაა ჩვენს მოძრაობაში. და ამაში ყველაზე მეტად დამნაშავენი არიან ლეგალური კრიტიკისა და არალეგალური «მაჩანჩალობის» წარმომადგენელნი, რომელნიც ყოყოჩობენ თავიანთი სიფხიზლით, «კონკრეტულთან» «სიახლოვით».

ბ) რა ტიპის ორგანიზაცია გვესაჭიროება?

ზემოთქმულიდან მკითხველი ხედავს, რომ ჩვენი «ტაქტიკა-ვეგმა» უარჰყოფს დაუყოვნებლივ მოწოდებას იერიშისაკენ, მოითხოვს «მტრის სიმაგრის წესიერი ალყის შემორტყმას» ანუ, სხვანაირად, მოითხოვს მთელი ძალღონის მიმართვას იმაზე, რომ შეკრებილ, ორგანიზებულ და მობილიზებულ იქნას მუდმივი ჯარი. როდესაც ჩვენ «რაბოჩეე დელო»ს სასაცილოდ ავიგდეთ ეკონომიზმიდან იერიშის ღალადზე გადახტომისთვის (ეს ღალადი გაისმა 1901 წლის აპრილში, «რაბოჩეე დელოს» ფურცლის № 6-ში),

მან, რა თქმა უნდა, ჩვენ შემოგვიტია და «დოქტრინიორობა», რევოლუციური მოვალეობის შეუგნებლობა, სიფრთხილისადმი მოწოდება და სხვ. დაგვაბრალა. რა თქმა უნდა, ჩვენ სრულებით არ გაუკვირვებივართ ამ ბრალდებებს იმ ადამიანების მხრივ, რომელთაც არავითარი საფუძველი არ გააჩნიათ და რომელნიც ღრმააზროვანი «ტაქტიკა-პროცესით» იძვრენენ თავს, როგორც არ გაუკვირვებივართ არც იმას, რომ ასეთი ბრალდებანი გაიმეორა ნადეჟდინმა, რომელიც საერთოდ მეტად გულზვიადი ათვალწუნებით უყურებს მტკიცე პროგრამულ და ტაქტიკურ საფუძვლებს.

ამბობენ, ისტორია არ მეორდებაო. მაგრამ ნადეჟდინი მთელი თავისი ძალღონით ცდილობს გაიმეოროს ის და გულმოდგინედ ბაძავს ტკაჩევს, აცამტვერებს «რევოლუციურ კულტურისნობას», გაჰყვირის «სათემო ზარის განგაშზე», «რევოლუციის წინადღის განსაკუთრებულ თვალსაზრისზე» და სხვ. ეტყობა, მას დავიწყნია ცნობილი ნაკვესი, რომ, თუ ისტორიული მოვლენის დედანი ტრაგედიაა, მისი ასლი მხოლოდ ფარსიაო [130]. ტკაჩევის ქადაგებით მომზადებული და «დამშინებელი» ტერორის (რომელიც ნამდვილადაც აშინებდა ხოლმე) საშუალებით განხორციელებული ცდა ძალაუფლების დაპყრობისა — დიდებული იყო, ხოლო პატარა ტკაჩევის «ექსციტატიური» ტერორი პირდაპირ სასაცილოა და განსაკუთრებით სასაცილოა, როდესაც მას უმატებენ საშუალო გლეხთა ორგანიზაციის იდეას.

««ისკრა» რომ გასცილებოდა ლიტერატურულობის სფეროს, — წერს ნადეჟდინი, — დაინახავდა, რომ ეს (ისეთი მოვლენები, როგორიცაა მუშის წერილი «ისკრის» მე-7 ნომერში და სხვ.) იმის სიმპტომია, რომ სულ მალე დაიწყება «იერიში». და ახლა (sic!) ლაპარაკი ორგანიზაციაზე, რომელიც საერთო-რუსეთის გაზეთთან არის დაკავშირებული, კაბინეტური აზროვნებისა და კაბინეტური მუშაობის ხელის შეწყობაა». აბა, დაუკვირდით, რა წარმოუდგენელი დომხალია: ერთი მხრივ, ექსციტატიური ტერორი და «საშუალო გლეხთა ორგანიზაცია» იმ აზრთან ერთად, რომ «ვაცილებით უფრო ადვილია» «უფრო

კონკრეტულის», როგორც, მაგალითად, ადგილობრივი გაზეთების ირგვლივ შემოკრება, — ხოლო, მეორე მხრივ, «ახლა» საერთო-რუსეთის ორგანიზაციაზე ლაპარაკი ნიშნავს კაბინეტური აზროვნების ხელისშეწყობას, ე. ი., უფრო პირდაპირ და მარტივად რომ ვთქვათ, «ახლა» უკვე დაგვიანებულიაო! ხოლო «ადგილობრივი გაზეთების ფართოდ დაყენება», — ეს არ არის დაგვიანებული, პატივცემულო ლ. ნადეჟდინ? შეადარეთ ამას «ისკრის» თვალსაზრისი და ტაქტიკა: ექსციტატიური ტერორი არაფერია, სახელდობრ საშუალო გლეხთა ორგანიზაციაზე და ადგილობრივი გაზეთების ფ ა რ თ ო დ დაყენებაზე ლაპარაკი ნიშნავს ეკონომიზმისთვის სულ მთლად კარის გაღებას. უნდა ვილაპარაკოთ რევოლუციონერების ერთიან საერთო-რუსეთის ორგანიზაციაზე, და მასზე ლაპარაკი დაგვიანებული არ იქნება მანამდე, სანამ დაიწყებოდეს ნამდვილი და არა სიტყვიერი იერიში.

«დიახ, ჩვენში ორგანიზაციის მხრივ საქმე კარგად ვერ არის, — განაგრძობს ნადეჟდინი, — დიახ, «ისკრა» სავსებით მართალია, როცა ამბობს, ჩვენი სამხედრო ძალების მთავარი მასა — მოხალისენი და მეამბოხენი არიანთ... ეს კარგია, რომ თქვენ ფხიზლად წარმოგიდგენიათ ჩვენი ძალების მდგომარეობა, მაგრამ რად ივიწყებთ ამასთან, რ ო მ ხ ა ლ ხ ი ს რ უ ლ ი ა დ ა რ ა ა რ ი ს ჩ ვ ე ნ ი და რომ ამიტომ ი ს ჩ ვ ე ნ ა რ ც შ ე გ ვ ე კ ი თ ხ ე ბ ა, როდის დაიწყოს სამხედრო მოქმედება, — და დაიწყებს «ამბოხებას»... როცა თვით ხალხი გამოვა თავისი სტიქიური დამანგრეველი ძალით, მას შ ე უ ძ ლ ი ა გაჰქელოს, გასრისოს «მუდმივი ჯარი», რომელშიც აპირებდნენ, მაგრამ ვ ე რ მ ო ა ს წ რ ე ს უაღრესად სისტემატური ორგანიზაცია შეეტანათ». (ხაზგასმა ჩვენია.)

საკვირველი ლოგიკაა! ს წ ო რ ე დ ი მ ი ტ ო მ, რომ «ხალხი ჩვენი არ არის», უგუნურება და ურიგობა იქნებოდა გვეყვირა და მოგვეთხოვა «იერიში» ახლავე, ვინაიდან იერიში მუდმივი ჯარის შეტევაა და არა ხალხის სტიქიური აფეთქება. სწორედ იმიტომ, რომ ხალხს შ ე უ ძ ლ ი ა გაჰქელოს და გასრისოს მუდმივი ჯარი, ჩვენ აუცილებლად უნდა «ვასწრებდეთ» სტიქიური აზვირთების ფეხდაფეხ მიყოლას და მუდმივ ჯარში «უაღრესად სისტემატური ორგანიზაციის შეტანას», ვინაიდან, რაც უფრო მეტად «მოვასწრებთ» ასეთი ორგანი-

ზებულობის შეტანას, მით უფრო მოსალოდნელია, რომ მუდმივი ჯარი არ იქნება ხალხის მიერ გათელილი, არამედ წინ მოექცევა და სათავეში ჩაუდგება ხალხს. ნადეჟდინი იბნევა იმიტომ, რომ მას წარმოუდგენია, თითქოს ეს სისტემატურად ორგანიზებული ჯარი ისეთ რამეს აკეთებს, რაც აშორებს მას ხალხისაგან, მაშინ როდესაც ნამდვილად იგი ეწევა მხოლოდ და მხოლოდ ყოველმხრივ და ყოვლისმომცველ პოლიტიკურ აგიტაციას, ე. ი. სწორედ ისეთ მუშაობას, რომელიც ა ა ხ ლ ო ებ ს და ა ე რ თ ებ ს ე რ თ მ თ ე ლ ა დ ხალხის სტიქიურ გამანადგურებელ ძალას და რევოლუციონერთა ორგანიზაციის შეგნებულ-გამანადგურებელ ძალას. თქვენ ხომ, ბატონებო, თქვენს სატკივარს სხვას ახვევთ თავს, ვინაიდან სწორედ «სვობოდას» ჯგუფი, პ რ ო გ რ ა მ ა შ ი ტ ე რორის შეტანით, მოუწოდებს ტერორისტების ორგანიზაციის შექმნისაკენ, ხოლო ასეთი ორგანიზაცია ნამდვილად ჩვენს ჯარს დაახლოების ნაცვლად დააშორებდა ხალხს, რომელიც ჯერ კიდევ, სამწუხაროდ, ჩვენი არ არის, რომელიც ჯერ კიდევ, სამწუხაროდ, არ გვეკითხება ან ნაკლებად გვეკითხება, როდის და როგორ დავიწყოთ სამხედრო მოქმედებაო.

«ჩვენ გამოგვეპარება თვით რევოლუცია, — განაგრძობს ნადეჟდინი «ისკრის» დაშინებას, — როგორც გამოგვეპარა ახლანდელი ამბები, რომლებიც სრულიად მოულოდნელად დაგვატყდა თავს». ეს ფრაზა, ზემოთ მოყვანილ ფრაზებთან დაკავშირებით, თვალსაჩინოდ გვიჩვენებს «სვობოდას» მიერ შეთხზული განსაკუთრებული «რევოლუციის წინადღის* თვალსაზრისის» უაზრობას. პირდაპირ თუ ვიტყვით, განსაკუთრებული «თვალსაზრისი» იმას მოასწავებს, რომ «ახლა» უკვე დაგვიანებულია მსჯელობა და მზადება. თუ ეს ასეა, «ლიტერატურულობის» უპატივცემულესო მტერო, — მაშინ რაღა საჭირო იყო 132 ნაბეჭდ გვერდზე «თეორიისა** და

* «რევოლუციის წინადღე», გვ. 62.

** თუმცა თავის «თეორიის საკითხების მიმოხილვაში» ლ. ნადეჟდინს თეორიის საკითხებზე თითქმის არაფერი არ მოუცია, თუ არ ჩავთვლით შემდეგს, «რევოლუციის წინადღის თვალსაზრისით» მეტად საყურადღებო

ტაქტიკის საკითხებზე» წერა? როგორ გგონიათ, «რევოლუციის წინადღის თვალსაზრისისთვის» უფრო შესაფერი ხომ არ იქნებოდა 132 ათასი ფურცლის გამოცემა მოკლე მოწოდებით: «დაჭკა მათ!»?

რევოლუცია ყველაზე ნაკლებად სწორედ იმას გამოეპარება, ვინც მთელი თავისი პროგრამის, ტ ა ქ ტ ი კ ი ს ა და ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი უ ლ ი მ უ შ ა ო ბ ი ს ქვაკუთხედად საყოველთაო სახალხო პოლიტიკურ აგიტაციას აყენებს, როგორც ამას შვრება «ისკრა». იმათ, ვინც მთელ რუსეთში საერთო-რუსეთის გაზეთიდან მომდინარე ორგანიზაციის ძაფებს გრეხს, არათუ არ გამოპარვიათ გაზაფხულის ამბები, არამედ, პირიქით, საშუალება მოგვცეს გვეწინასწარმეტყველნა ეს ამბები. მათ არ გამოპარვიათ არც ის დემონსტრაციები, რომლებიც აწერილია «ისკრის» მე-13 და 14 ნომრებში: პირიქით, ისინი მონაწილეობას იღებდნენ მათში, ცხოვლად გრძნობდნენ თავიანთ მოვალეობას — დახმარება გაეწიათ ხალხის სტიქიური აღმავლობისათვის და ამავე დროს, გაზეთის საშუალებით, მიშველებოდნენ ყოველ რუს ამხანაგს ამ დემონსტრაციების გაცნობისა და მათი გამოცდილების გამოყენების საქმეში. მათ, თუ ცოცხალი იქნებიან, არ გამოეპარებათ არც რევოლუცია, რომელიც მოითხოვს ჩვენგან უწინარეს ყოვლისა და ყველაზე უფრო მეტ გამოცდილებას აგიტაციის საქმეში.

ამბავს: «ბერნშტეინიადა, მთლიანად აღებული, ჩვენი მომენტისთვის თავის შუვავე ხასიათს კარგავს სწორედ ისევე, როგორც სავსებით სულ ერთია, დაამტკიცებს თუ არა ბ-ნი ადამოვიჩი, რომ ბ-ნმა სტრუვემ უკვე დაიმსახურა საპატიო ნიშანი, თუ, პირიქით, ბ-ნი სტრუვე გაამბათილებს ბ-ნ ადამოვიჩს და არ მოინდომებს გადადგომას, — ვინაიდან დგება რევოლუციის განკითხვის ჟამი» (გვ. 110). ძნელია ამაზე უფრო მკაფიოდ გამოხატვა თეორიის მიმართ ლ. ნადეჟდინის უსაზღვრო უზრუნველობისა. ჩვენ გამოვაცხადეთ «რევოლუციის წინადღე» — ა მ ი ტ ო მ «სავსებით სულ ერთია», შესძლებენ თუ არა ორთოდოქსები საბოლოოდ გადაადგონ პოზიციიდან კრიტიკოსები!! და ჩვენი ბრძენი ვერც კი ამჩნევს, რომ სწორედ რევოლუციის დროს დაგვჭირდება კრიტიკოსებთან თეორიული ბრძოლის შედეგები კრიტიკოსთა პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი პოზიციების წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისთვის!

ყოველი პროტესტისთვის მხარისდაჭერის (სოციალ-დემოკრატიული მხარისდაჭერის) უნარს, სტიქიური მოძრაობის წარმართვის უნარს, მის დაცვას როგორც მეგობრების შეცდომათაგან, ისე მტრების მახეებისაგან!

ამრიგად, ჩვენ მივადექით უკანასკნელ მოსაზრებას, რომელიც გვაიძულებს განსაკუთრებით დავიცვათ გეგმა საერთო-რუსეთის გაზეთის ირგვლივ ორგანიზებისა, საერთო გაზეთზე ერთობლივი მუშაობის საშუალებით. მხოლოდ ასეთი ორგანიზაცია უზრუნველჰყოფს სოციალ-დემოკრატიული მებრძოლი ორგანიზაციისთვის საჭირო მოქნილობას, ე. ი. ბრძოლის უაღრესად მრავალგვარ და სწრაფად ცვალებად პირობებთან დაუყოვნებლივ შეგუების უნარს, — უნარს, «ერთი მხრივ, მოერიდოს ბრძოლას გაშლილ ასპარეზზე ჭარბი ძალების მყოლ მტერთან, როცა მას ერთ ადგილას მოუყრია თავი მთელი ძალებისთვის, ხოლო, მეორე მხრივ, ისარგებლოს ამ მტრის მოუქნელობით და თავს დაესხას მას იქ და მაშინ, სადაც ყველაზე ნაკლებად მოელიან თავდასხმას» *. უდიდესი შეცდომა იქნებოდა პარტიული ორგანიზაცია გვეშენებინა მხოლოდ აფეთქებისა და ქუჩის ბრძოლის ან მხოლოდ «ჩვეულებრივი მიმდინარე ბრძოლის წინმსვლელობის» იმედით.

* «ისკრა» № 4: «რით დავიწყოთ?». — «რევოლუციურ კულტუროსნებს, რომელნიც რევოლუციის წინადღის თვალსაზრისზე არ დგანან, მუშაობის ხანგრძლივობა სრულებითაც არ აკრთობთ», — წერს ნადეჟდინი (გვ. 62). ამის გამო უნდა შევნიშნოთ შემდეგი: ჩვენ თუ ვერ შევიმუშავებთ ისეთ პოლიტიკურ ტაქტიკას, ისეთ ორგანიზაციულ გეგმას, რომელნიც აუცილებლად ნავარაუდევი იქნებოდნენ მეტად ხანგრძლივი მუშაობისათვის და ამავე დროს თვით ამ მუშაობის პროცესით უზრუნველყოფდნენ ჩვენი პარტიის მზადყოფნას — იდგეს თავის სადარაჯოზე და თავისი მოვალეობა შეასრულოს ყოველგვარი მოულოდნელობის, მოვლენათა მსვლელობის ყოველგვარი აჩქარების დროს, — მაშინ ჩვენ მხოლოდ საცოდავი პოლიტიკური ავანტიურისტები აღმოვჩნდებით. მხოლოდ ნადეჟდინს, რომელმაც გუშინდლიდან უწოდა თავის თავს სოციალ-დემოკრატი, შეუძლია დაივიწყოს ის, რომ სოციალ-დემოკრატიის მიზანია მთელი კაცობრიობის ცხოვრების პირობების ძირეული გარდაქმნა, რომ «მიტომ სოციალ-დემოკრატს არ უნდა «აკრთობდეს» მუშაობის ხანგრძლივობის საკითხი.

ჩვენ ყოველთვის უნდა ვაწარმოოთ ჩვენი ყოველდღიური მუშაობა და ყოველთვის მზად ვიყოთ ყველაფრისათვის. იმიტომ რომ აფეთქების პერიოდების მყუდროობის პერიოდებით შეცვლის განჭვრეტა ძალიან ხშირად თითქმის შეუძლებელია, — იმ შემთხვევაში კი, როცა შესაძლებელია, ვერ ვისარგებლებდით ამ განჭვრეტით ორგანიზაციის გარდასაქმნელად, ვინაიდან ეს შეცვლა თვითმპყრობელურ ქვეყანაში გასაოცარი სისწრაფით ხდება ხოლმე, ხანდახან კი დაკავშირებულია მეფის იანიჩართა ღამის ერთ თარეშთან [131]. თვითონ რევოლუციაც უნდა წარმოვიდგინოთ სრულიადაც არა ერთეული აქტის სახით (როგორც ეჩვენებათ, ალბათ, ნადეჟდინებს), არამედ ცოტად თუ ბევრად ძლიერი აფეთქების და ცოტად თუ ბევრად ძლიერი მყუდროობის რამდენიმე სწრაფი ცვლის სახით. ამიტომ ჩვენი პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის ძირითადი შინაარსი, ამ საქმიანობის ფოკუსი უნდა იყოს ისეთი მუშაობა, რომელიც შესაძლებელიც არის და საჭიროც, როგორც უაღრესად ძლიერი აფეთქების, ისე სრული მყუდროობის პერიოდში, სახელდობრ: მთელ რუსეთში გაერთიანებული პოლიტიკური აგიტაცია, რომელიც გააშუქებს ცხოვრების ყველა მხარეს და გადატანილი იქნება უფართოეს მასებში. ეს მუშაობა კი თანამედროვე რუსეთში წარმოუდგენელია, თუ არ გვექნება საერთო-რუსეთის გაზეთი. რომელიც ძალიან ხშირად გამოვა. ორგანიზაცია, რომელიც თავისთავად ყალიბდება ამ გაზეთის ირგვლივ, მისი თანამშრომლების (სიტყვის ფართო მნიშვნელობით, ე. ი. ყველა მისი მომუშავის) ორგანიზაცია სწორედ ყველაფრისთვის მზად იქნება, დაწყებული პარტიის სახელის. პრესტიჟისა და თანამომდევნობის დაცვით უმეტესი რევოლუციური «შევიწროების» მომენტში და გათავებული საყოველთაო სახალხო შეიარაღებული აჯანყების მომზადებით, დანიშვნით და მოწყობით.

მართლაც, წარმოიდგინეთ ჩვენში ძალიან ჩვეულებრივი შემთხვევა სრული ჩავარდნისა ერთს თუ რამდენსამე ადგილას. თუ ყველა ადგილობრივ ორგანიზაციას ერთი სა-

ერთო რეგულარული საქმე არა აქვს, ასეთ ჩავარდნას ხშირად მოჰყვება ხოლმე რამდენიმე თვეს მუშაობის შეწყვეტა. ხოლო თუ კი ყველას საერთო საქმე ექნება, — რა დიდი ჩავარდნაც უნდა მოხდეს, საკმარისია ორი-სამი ენერგიული ადამიანის რამდენიმე კვირის მუშაობა, რომ საერთო ცენტრს დაუკავშირონ ახალგაზრდობის ახალი წრეები, რომელნიც, როგორც ვიცით, დღესაც კი ძალიან სწრაფად ჩნდებიან; — ხოლო როდესაც ჩავარდნით შეფერხებული ეს საერთო საქმე ყველას თვალწინ არის, მაშინ ახალი წრეები შეიძლება კიდევ უფრო ჩქარა წარმოიშვას და დაუკავშირდეს მას.

მეორე მხრივ, წარმოიდგინეთ სახალხო აჯანყება. დღეს, ალბათ, ყველა დაგვეთანხმება, რომ ჩვენ უნდა ვიფიქროთ მასზე და ვემზადოთ მისთვის. მაგრამ რ ო გ ო რ ვემზადოთ? ცენტრალური კომიტეტი ხომ ვერ დანიშნავს ყველგან აგენტებს აჯანყების მოსამზადებლად! კიდეც რომ გვყავდეს ც. კ., ის ასეთი დანიშვნით ვერაფერს გახდებოდა რუსეთის თანამედროვე პირობებში. პირიქით, აგენტების * ქსელი, თავისთავად წარმოშობილი საერთო გაზეთის დაყენებისა და გავრცელების საქმის ნიადაგზე, ვერ «დაჯდებოდა და დაუცდიდა» აჯანყების ლოზუნგს, არამედ გააკეთებდა სწორედ ისეთ რეგულარულ საქმეს, რომელიც უზრუნველჰყოფდა წარმატების ყველაზე მეტ შესაძლებლობას აჯანყების შემ-

* უჰ! ისევ წამომცდა ეს საშინელი სიტყვა «აგენტი», რომელიც ასე ეხამუშება მარტინოვების დემოკრატიულ სმენას! მე მიკვირს, ამ სიტყვას რატომ არ თაკილობდნენ 70-იანი წლების კორიფეები და თაკილობენ 90-იანი წლების კუსტარები? მე მომწონს ეს სიტყვა, რადგან ის აშკარად და მკვეთრად მიუთითებს ი მ ს ა ე რ თ ო ს ა ქ მ ე ზ ე, რომელსაც ყველა აგენტი უმორჩილებს თავის გულის ზრახვებსა და მოქმედებას, და თუ საჭიროა მისი სხვა სიტყვით შეცვლა, მე შემეძლო მიმეღო მხოლოდ სიტყვა «თანამშრომელი», მას რომ ერთგვარი «ლიტერატურულობის» და ბუნდოვანობის ელფერი არ დაჰკრავდეს. ჩვენ კი გვესაჭიროება აგენტების სამხედრო ორგანიზაცია. თუმცა იმ მრავალრიცხოვან (განსაკუთრებით საზღვარგარეთ) მარტინოვებს, რომელთაც უყვართ «ერთმანეთისთვის გენერლობის ბოძება», შეუძლიათ «საპასპორტო ნაწილის აგენტის» ნაცვლად თქვან — «რევოლუციონერების პასპორტებით მომარაგების ცალკე ნაწილის მთავარმართველი» და სხვ.

თხვევაში. სწორედ ასეთი საქმე განამტკიცებდა კავშირს როგორც მუშათა უფართოეს მასებთან, ისე თვითმპყრობელობით უკმაყოფილო ყველა ფენასთან, რაც ასე მნიშვნელოვანია აჯანყებისთვის. სწორედ ასეთი საქმის ნიადაგზე შემუშავდებოდა უნარი საერთო პოლიტიკური მდგომარეობის სწორად შეფასებისა და, მაშასადამე, უნარი აჯანყებისთვის შესაფერი მომენტის შერჩევისა. სწორედ ასეთი საქმე შეაჩვევს ყ ვ ე ლ ა ადგილობრივ ორგანიზაციას ერთსა და იმავე დროს გამოეხმაუროს მთელი რუსეთის ამაღელვებელ ერთსა და იმავე პოლიტიკურ საკითხებს, შემთხვევებსა და ამბებს, გამოეხმაუროს ამ «ამბებს» რაც შეიძლება ენერგიულად, რაც შეიძლება ერთგვარად და მიზანშეწონილად, — ხოლო აჯანყება არსებითად ხომ უაღრესად ენერგიული, უაღრესად ერთგვარი და უაღრესად მიზანშეწონილი «პასუხია» მთელი ხალხისა მთავრობის მიმართ. დასასრულ, სწორედ ასეთი საქმე შეაჩვევს ყველა რევოლუციურ ორგანიზაციას რუსეთის ყოველ კუთხეში დაამყაროს უაღრესად მუდმივი და ამავე დროს უაღრესად კონსპირაციული ურთიერთობა, რაც ჰქმნის პარტიის ფ ა ქ ტ ი ს ერთიანობას, — ასეთი ურთიერთობის დაუმყარებლად კი შეუძლებელია აჯანყების გეგმის კოლექტიური განხილვა და იმ აუცილებელი მოსამზადებელი ღონისძიების განხორციელება აჯანყების წინ, რომელიც უაღრესად საიდუმლოდ უნდა იყოს დაცული.

ერთი სიტყვით, «საერთო-რუსეთის პოლიტიკური გაზეთის გეგმა» არათუ დოქტრინიორობით და ლიტერატურულობით დავადებულ პირთა კაბინეტური მუშაობის ნაყოფია (როგორც ეს მოეჩვენათ იმ ადამიანებს, რომელნიც ამ გეგმას ცუდად ჩაუკვირდნენ), არამედ, პირიქით, იგი უაღრესად პრაქტიკული გეგმაა იმისათვის, რომ ყოველმხრივ და დაუყოვნებლივ დავიწყოთ მზადება აჯანყებისათვის და ამავე დროს ერთი წუთითაც არ დავივიწყოთ ჩვენი საარსებო ყოველდღიური მუშაობა.

დასკვნა

რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ისტორია ცხადად იყოფა სამ პერიოდად.

პირველი პერიოდი მოიცავს ათიოდე წელიწადს, დაახლოებით 1884 — 1894 წლებს. ეს იყო სოციალ-დემოკრატიის თეორიისა და პროგრამის წარმოშობის და განმტკიცების პერიოდი. ახალი მიმართულების მომხრეთა რიცხვი რუსეთში ერთეულებით ისაზღვრებოდა. სოციალ-დემოკრატია უმუშათამოძრაობად არსებობდა და, როგორც პოლიტიკური პარტია, ჩანასახის განვითარების პროცესს განიცდიდა.

მეორე პერიოდი მოიცავს სამ-ოთხ წელს, 1894 — 1898 წლებს. სოციალ-დემოკრატია ჩნდება როგორც საზოგადოებრივი მოძრაობა, როგორც ხალხის მასების აღმავლობა, როგორც პოლიტიკური პარტია. ეს არის ბავშვობისა და ყრმობის პერიოდი. ეპიდემიის სისწრაფით ვრცელდება ინტელიგენციის საერთო გატაცება ნაროდნიკობასთან ბრძოლითა და მუშებში სიარულით, მუშების საერთო გატაცება გაფიცვებით. მოძრაობა უდიდესი წარმატებით იზრდება. ხელმძღვანელთა უმრავლესობა სულ ახალგაზრდებია, რომელთაც ჯერ სრულებით არ მიუღწევიათ იმ «ოცდათხუთმეტი წლის ასაკამდე», რაც ბ-ნ ნ. მიხაილოვსკის რაღაც ბუნებრივ მიჯნად მიაჩნდა. თავიანთი ახალგაზრდობის გამო ისინი მოუმზადებელნი აღმოჩნდნენ პრაქტიკული მუშაობისთვის და გასაოცარი სისწრაფით სტოვებენ ასპარეზს. მაგრამ მუშაობის გაქანება მათ მეტწილად ძალიან ფართო ჰქონდათ. ბევრი მათგანი იწყებდა რევოლუციურად აზროვნებას, როგორც ნაროდოვოლეცი. სიჭაბუ-

ქეში თითქმის ყველანი აღტაცებით ეთაყვანებოდნენ ტერორის გმირებს. ამ გმირული ტრადიციის მომხიბვლელი შთაბეჭდილების უარყოფა უბრძოლველად როდი ხდებოდა, ეს უარყოფა იწვევდა კავშირის გაწყვეტას იმ ადამიანებთან, რომელთაც უნდოდათ რადაც უნდა დამჯდარიყო «ნაროდნაია ვოლიას» ერთგული დარჩენილიყვნენ და რომელთაც ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატები დიდ პატივს სცემდნენ. ბრძოლა აიძულებდა ესწავლათ, ყოველგვარი მიმართულების არალეგალური ნაწერები ეკითხათ, გაძლიერებით შეესწავლათ ლეგალური ნაროდნიკობის საკითხები. ამ ბრძოლაზე აღზრდილი სოციალ-დემოკრატები ებმოდნენ მუშათა მოძრაობაში, «ერთი წუთითაც» არ ივიწყებდნენ არც მათი შეგნების გამაცისკროვნებელ მარქსიზმის თეორიას, არც თვითმპყრობელობის დამხობის ამოცანას. პარტიის შექმნა 1898 წლის გაზაფხულზე ამ პერიოდის სოციალ-დემოკრატების უაღრესად რელიეფური და ამავე დროს უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ი საქმე იყო.

მესამე პერიოდი, როგორც დავინახეთ, მზადდება 1897 წელს და საბოლოოდ გამოდის მეორე პერიოდის შესაცვლელად 1898 წელს (1898—?). ეს არის დაქსაქსულობის, დაშლისა და მერყეობის პერიოდი. სიყმაწვილეში ხდება ხოლმე, რომ კაცის ხმა გარდატეხას განიცდის. და აი ამ პერიოდის რუსეთის სოციალ-დემოკრატიას დაეტყო ხმის გარდატეხა, გაისმა ყალბი ბგერა,—ერთი მხრივ, ბ-ნ სტრუვესა და პროკოპოვიჩის, ბულგაკოვისა და ბერდიაევის, მეორე მხრივ, ვ. ი—ნისა და რ. მ-ის, ბ. კრიჩევსკისა და მარტინოვის ნაწერებში. მაგრამ ცალ-ცალკე ხეტიალობდნენ და უკან იხევდნენ მხოლოდ ხელმძღვანელნი: თვით მოძრაობა განაგრძობდა ზრდას და დიდ ნაბიჯებს დგამდა წინ. ბრძოლეტარული ბრძოლა ედებოდა მუშების ახალ ფენებს და მთელ რუსეთში ვრცელდებოდა; ამავე დროს ის არაპირდაპირ ახდენდა გავლენას დემოკრატიული სულისკვეთების გამოცოცხლებაზეც სტუდენტობასა და მოსახლეობის სხვა ფენებში. ხელმძღვანელების შეგნებულობამ კი წამოიჩოქა სტიქიური აღმავლობის სიფართოვისა და ძალის წინაშე; სოციალ-დემოკრატებში ჭარბობდა უკვე სხვა ფენა—

იმ მოღვაწეთა ფენა, რომელნიც აღზრდილნი იყვნენ თითქმის მარტოოდენ «ლეგალურ» მარქსისტულ ლიტერატურაზე, ეს უკანასკნელი კი მით უფრო არასაკმაო იყო, რაც უფრო მეტ შეგნებულობას მოითხოვდა მათგან მასის სტიქიურობა. ხელმძღვანელები არათუ უკან რჩებოდნენ თეორიულადაც («კრიტიკის თავისუფლება») და პრაქტიკულადაც («კუსტარულობა»), არამედ ცდილობდნენ კიდეც თავიანთი ჩამორჩენილობა ყოველგვარი მალალფარდოვანი მოსაზრებით დაეცვათ. სოციალ-დემოკრატიზმს ტრედ-უნიონიზმამდე აქვეითებდნენ ლეგალური ლიტერატურის ბრენტანისტებიც და არალეგალური ლიტერატურის მაჩანჩალებიც. «Credo»-ს პროგრამა იწყებდა განხორციელებას, განსაკუთრებით როცა სოციალ-დემოკრატების «კუსტარულობამ» რევოლუციურ არა სოციალ-დემოკრატიულ მიმართულებათა გამოცოცხლება გამოიწვია.

და აი, თუ მკითხველი მისაყვედურებს, რომ მე ძალიან დაწვრილებით შევჩერდი რაღაც «რაბოჩეე დელოზე», ამაზე ვუპასუხებ შემდეგს: «რაბოჩეე დელომ» «ისტორიული» მნიშვნელობა მოიპოვა იმიტომ, რომ ყველაზე მკაფიოდ ასახა ამ მესამე პერიოდის «სული» *. არა თანამიმდევარ რ. მ-ს, არამედ სწორედ მერყეე კრიჩევსკებს და მარტინოვებს შეეძლოთ ნამდვილად გამოეხატათ დაქსაქსულობა და მერყეობა, როგორც «კრიტიკის», ისე «ეკონომიზმის» და ტერორიზმის წინაშე დათმობისთვის მზადყოფნა. ამ პერიოდის დამახასიათებელია არა მედიდური ათვალწუნება პრაქტიკისა «აბსოლუტის» რომელიმე თაყვანისმცემლის მიერ, არამედ სწორედ წვრილმანი პრაქტიციზმის შეერთება სრულ თეორიულ უზრუნველობასთან. ამ პერიოდის გმირები იმდენად პირდაპირ

* მე შემეძლო აგრეთვე მეპასუხნა გერმანული ანდაზით: Den Sack schlägt man, den Esel meint man, ანუ ჩვენებურად: ძაღლსა სცემდნენ, რძალს ასმენდნენო. არა მარტო «რაბოჩეე დელო», არამედ პრაქტიკოსებისა და თ ე ო რ ე ტ ი კ ო ს ე ბ ი ს ფ ა რ თ ო მ ა ს ა ც იყო გატაცებული ახალმოდის «კრიტიკით», იბნეოდა სტიქიურობის საკითხში და ჩვენი პოლიტიკური და ორგანიზაციული ამოცანების სოციალ-დემოკრატიული გაგების ნაცვლად ტრედ-უნიონისტურ გაგებას ითვისებდა.

არ უარჰყოფდნენ «დიად სიტყვებს», რამდენადაც აუხამსებ-დნენ მათ: მეცნიერული სოციალიზმი აღარ წარმოადგენდა მთლიან რევოლუციურ თეორიას, იგი იქცეოდა დომხალად, რომელშიც «თავისუფლად» ურევდნენ სითხეს ყოველი ახალი გერმანული სახელმძღვანელოდან; «კლასობრივი ბრძოლის» ლოზუნგი უფრო ფართო და უფრო ენერგიულ მუშაობას კი არ უწყობდა ხელს, არამედ დამშვიდების საშუალებას წარმოადგენდა, რადგან «ეკონომიური ბრძოლა ხომ განუყრელადაა დაკავშირებული პოლიტიკურ ბრძოლასთან»; პარტიის იდეა რევოლუციონერთა მებრძოლი ორგანიზაციის შესაქმნელად მოწოდებას კი არ შეიცავდა, არამედ რაღაც «რევოლუციურ კანცელარიულობას» და «დემოკრატიული» ფორმებით ბავშვურ თამაშს ამართლებდა.

როდის თავდება მესამე პერიოდი და იწყება მეოთხე (ყოველ შემთხვევაში ძრავალი ნიშნის მიხედვით ნაწინასწარმეტყველები), — არ ვიცით. ჩვენ აქ ისტორიის სფეროდან გადავდივართ აწმყოს და რაოდენადმე მომავლის სფეროში. მაგრამ მტკიცედ გვწამს, რომ მეოთხე პერიოდი განამტკიცებს მებრძოლ მარქსიზმს, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატია კრიზისიდან გამოვა გამაგრებული და დავაჟკაცებული, რომ ოპორტუნისტების არიერგარდის «შესაცვლელად» გამოვა ყველაზე რევოლუციური კლასის ნამდვილი მოწინავე რაზმი.

ასეთი «შეცვლისადმი» მოწოდების აზრითა და ყოველივე ზემონათქვამის მიხედვით ჩვენ შეგვიძლია კითხვაზე: რა ვაკეთოთ? მოკლედ ვუპასუხოთ:

მოვახდინოთ მესამე პერიოდის ლიკვიდაცია.

დ ა მ ა ტ ე ბ ა [132]

«ისკრისა» და «რაბოჩეე დელოს» გაერთიანების ცდა

ჩვენ დაგვრჩენია დავასურათოთ ის ტაქტიკა, რომელიც მიიღო და თანამიმდევრად ატარებდა «ისკრა» «რაბ. დელოსადმი» ორგანიზაციულ დამოკიდებულებაში. ეს ტაქტიკა სავსებით გამოხატულია უკვე «ისკრის» პირველ ნომერში, სტატიაში «გათიშვა რუსი სოციალ-დემოკრატების საზღვარგარეთულ კავშირში» *. ჩვენ მაშინვე დავადექით იმ თვალსაზრისს, რომ ნ ა მ დ ვ ი ლ ი «რუსი სოციალ-დემოკრატების კავშირი საზღვარგარეთ», რომელიც ჩვენი პარტიის პირველ ყრილობაზე აღიარებულ იქნა მის საზღვარგარეთულ წარმომადგენლად, გ ა ი თ ი შ ა ო რ ორგანიზაციად;—რომ პარტიის წარმომადგენლობის საკითხი ღიად არის დატოვებული, ის მხოლოდ დროებით და პირობითად გადაწყდა იმით, რომ პარიზის საერთაშორისო კონგრესზე მუდმივ საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში რუსეთიდან არჩეულ იქნა ორი წევრი, თითო-თითო კავშირის თვითეული გათიშული ნაწილისაგან. ჩვენ განვაცხადეთ, რომ არსებითად «რაბ. დელო» ა რ ა რ ი ს მ ა რ თ ა ლ ი, ჩვენ პრინციპულად გადაჭრით მივემხრეთ «შრომის განთავისუფლების» ჯგუფს, მაგრამ ამავე დროს უარი ვთქვით გათიშვის დაწვრილებით განხილვაზე და აღვნიშნეთ კავშირის დამსახურება წმინდა-პრაქტიკული მუშაობის სფეროში **.

---

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 4, გვ. 464 — 466. რ ე დ.

** გათიშვის ასეთ შეფასებას საფუძვლად ედო არა მარტო ლიტერატურის გაცნობა, არამედ აგრეთვე ის ცნობებიც, რომელნიც შეაგროვა ჩვენი ორგანიზაციის ზოგიერთმა წევრმა საზღვარგარეთ ყოფნის დროს.

ამგვარად, ჩვენი პოზიცია რაოდენადმე დაცდის პოზიცია იყო: ჩვენ დავუთმეთ რუს სოციალ-დემოკრატთა უმრავლესობაში გაბატონებულ აზრს, რომ «კავშირთან» ხელიხელჩაკიდებულად შეუძლიათ იმუშაონ ეკონომიზმის ყველაზე შეურიგებელ მტრებსაც, ვინაიდან «კავშირს» არა ერთხელ განუცხადებია თავისი პრინციპული თანხმობა «შრომის განთავისუფლების» ჯგუფთან და ვითომ არც მოითხოვდა დამოუკიდებელი ფიზიონომიის შენარჩუნებას თეორიისა და ტაქტიკის ძირითად საკითხებში. ჩვენ მიერ დაკავებული პოზიციის სისწორე არაპირდაპირ დადასტურებულ იქნა იმით, რომ «ისკრის» თითქმის პირველი ნომრის გამოსვლისთანავე (1900 წლის დეკემბერი) «კავშირს» ჩამოსცილდა სამი წევრი, რომლებმაც შეჰქმნეს ეგრეთწოდებული «ინიციატორთა ჯგუფი» და მიმართეს: 1. «ისკრის» ორგანიზაციის საზღვარგარეთულ განყოფილებას, 2. «სოციალ-დემოკრატის» რევოლუციურ ორგანიზაციას და 3. «კავშირს» წინადადებით: შუამავლობა გაეწია შერიგების შესახებ მოლაპარაკების წარმოებაში. პირველი ორი ორგანიზაცია მაშინვე დათანხმდა წინადადებაზე; მ ე ს ა მ ე მ — უ ა რ ი თ ქ ვ ა. მართალია, როდესაც ერთმა ორატორმა გასული წლის «გამაერთიანებელ» ყრილობაზე ეს ფაქტები განმარტა, «კავშირის» ადმინისტრაციის წევრმა გაანაცხადა, რომ მათი უარი გამოწვეული იყო მ ხ ო ლ ო დ დ ა მ ხ ო ლ ო დ იმით, რომ «კავშირი» უკმაყოფილო იყო ინიციატორთა ჯგუფის შემადგენლობითო. ჩემს მოვალეობად ვთვლი მოვიყვანო ეს განმარტება, მაგრამ არ შემიძლია ჩემი მხრივ არ აღვნიშნო, რომ ეს განმარტება დამაკმაყოფილებლად არ მიმაჩნია: რაკი «კავშირმა» იცოდა ორი ორგანიზაციის თანხმობა მოლაპარაკების გამართვაზე, მას შეეძლო მიემართა მათთვის სხვა შუამავლის პირით ან უშუალოდ.

1901 წლის გაზაფხულზე «რაბ. დელოს» წინააღმდეგ პირდაპირი პოლემიკით გამოვიდნენ როგორც «ზარია» (№ 1, აპრილი), ისე «ისკრა» (№ 4, მაისი) *. უკანასკნელი განსაკუთ-

* იხ. ეს ტომი, გვ. 1 — 15. რ ე დ.

რებით ეკვეთა «რაბოჩეე დელოს» «ისტორიულ მობრუნებას», — «რაბ. დელოსი», რომელმაც თავის აპრილის ფურცელში, მაშასადამე, უკვე გაზაფხულის ამბების შემდეგ, მერყეობა გამოიჩინა ტერორით და «სისხლის მოყვარული» მოწოდებებით გატაცების მიმართ. მიუხედავად ამ პოლემიკისა, «კავშირმა» თანხმობა განაცხადა შერიგების შესახებ მოლაპარაკების განახლებაზე «შემარიგებელთა» ახალი ჯგუფის მეშვეობით. წინასწარი კონფერენცია ზემოხსენებული სამი ორგანიზაციის წარმომადგენლების მონაწილეობით შესდგა ივნისში და შეიმუშავა ხელშეკრულების პროექტი დაწვრილებითი «პრინციპული შეთანხმების» ნიადაგზე, რომელიც დაბეჭდა «კავშირმა» ბროშურაში — «ორი ყრილობა» და ლიგამ ბროშურაში: ««გამაერთიანებელი» ყრილობის დოკუმენტები».

ამ პრინციპული შეთანხმების (ანუ ივნისის კონფერენციის რეზოლუციების, როგორც მას ხშირად უწოდებენ) შინაარსი სრულიად აშკარად გვიჩვენებს, რომ ჩვენ შეერთების აუცილებელ პირობად ვაყენებდით საერთოდ ოპორტუნიზმის და, კერძოდ, რუსული ოპორტუნიზმის ყოველგვარი გამოხატულების პირდაპირ და გადაჭრით უარყოფას. «ჩვენ უარვყოფთ, — ამბობს პირველი პარაგრაფი — პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლაში ოპორტუნიზმის შეტანის ყოველგვარ ცდას, რაც გამოიხატა ეგრეთწოდებული ეკონომიზმით, ბერნშტეინელობით, მილიერანიზმით და სხვ.». «სოციალ-დემოკრატიის მოქმედების სფეროში შედის... იდეური ბრძოლა რევოლუციური მარქსიზმის ყველა მოწინააღმდეგესთან» (4, c): «საორგანიზაციო-სააგიტაციო მუშაობის არც ერთ სფეროში სოციალ-დემოკრატიას ერთი წუთითაც არ უნდა გამოეპაროს მხედველობიდან რუსეთის პროლეტარიატის უახლოესი ამოცანა — თვითმპყრობელობის დამხობა» (5, a); ...«აგიტაცია არა მარტო დაჭირავებული შრომის კაპიტალთან ყოველდღიური ბრძოლის ნიადაგზე»(5, b); ...«უარვყოფთ რა... წმინდა ეკონომიური ბრძოლის სტადიას და ბრძოლას კერძო პოლიტიკური მოთხოვნებისთვის» (5, c); ...«მოძრაობისათვის საჭიროდ მიგვაჩნია იმ მიმდინარეობათა კრიტიკა, რომელნიც

პრინციპად ხდიან ...«მოძრაობის დაბალი ფორმების ელემენტარულობასა... და სივიწროვეს» (5, d). სულ გარეშე კაციც კი, რომელიც ოდნავი ყურადღებით წაიკითხავს ამ რეზოლუციებს, დაინახავს თვით მათი ფორმულირებიდანაც, რომ ისინი მიმართულია იმ ადამიანების წინააღმდეგ, რომელნიც ოპორტუნისტები და «ეკონომისტები» იყვნენ, რომელნიც თუნდაც ერთი წუთით ივიწყებდნენ თვითმპყრობელობის დამხობის ამოცანას, რომელნიც აღიარებდნენ სტადიების თეორიას, პრინციპად ხდიდნენ შეზღუდულობას და სხვ.. და ვინც ოდნავ მაინც იცნობს «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის, «ზარიას» და «ისკრის» პოლემიკას «რაბოჩეე დელოს» წინააღმდეგ, ერთ წუთსაც არ დაეჭვდება, რომ ეს რეზოლუციები სავსებით უარჰყოფენ სწორედ იმ შეცდომებს, რომლებშიც ვარდებოდა «რაბ. დელო». ამიტომ როდესაც «გამაერთიანებელ» ყრილობაზე «კავშირის» ერთ-ერთმა წევრმა განაცხადა, «რაბ. დელოს» მეათე ნომერში მოთავსებული სტატიები გამოწვეულია «კავშირის» არა ახალი «ისტორიული მობრუნებით», არამედ რეზოლუციების მეტისმეტი «აბსტრაქტულობითო» *, — ერთ ორატორს სრული უფლება ჰქონდა სასაცილოდ აეგდო ეს განმარტება. მან უპასუხა — რეზოლუციები აბსტრაქტული კი არა, უაღრესად კონკრეტულია: მათი ერთი გადახედვაც საკმარისია იმის დასანახად, რომ აქ «ვიღაცას იჭერდნენო».

ამ უკანასკნელმა სიტყვებმა ყრილობაზე საბაბი მისცა დამახასიათებელ ეპიზოდს. ერთი მხრივ, ბ. კრიჩევსკიმ ხელი ჩასჭიდა სიტყვას «იჭერდნენ», მას ეგონა, ეს უბრალო წამოცდენა იყო, რომელიც ამქლევნებდა ცუდ განზრახვას ჩვენი მხრივ («მახის დაგება»), და პათეტიკურად წამოიძახა: «ვის, სახელდობრ ვის იჭერდნენ აქ?». — «მართლაც, ვის?» ირონიულად იკითხა პლეხანოვმა. — «მე დავეხმარები ამხანაგ პლეხანოვის მიუხვედრელობას, — უპასუხა ბ. კრიჩევსკიმ, — მე ავუხსნი მას, რომ აქ იჭერდნენ «რ ა ბ. დ ე ლ ო ს» რ ე-

* ეს მტკიცება განმეორებულია «ორ ყრილობაში», გვ. 25.

დ ა ქ ც ი ა ს (საერთო ხარხარი). მაგრამ ჩვენ თავი არ დავაჭერინეთ!» (შენიშვნა მარცხნიდან: მით უარესი თქვენთვის!). — მეორე მხრივ, «ბორბას» ჯგუფის (შემარიგებელთა ჯგუფის) წევრმა, როცა ლაპარაკობდა «კავშირის» მიერ რეზოლუციების შესწორებათა წინააღმდეგ და მოინდომა ჩვენი ორატორის დაცვა, განაცხადა, რომ სიტყვა «იჭერდნენ», აშკარაა, პოლემიკით გატაცების დროს უნებლიეთ წამოსცდა ორატორსო.

მე კი მგონია, რომ ასეთი «დაცვა» არაფრად ეჭაშნიკება ამ სიტყვის მთქმელ ორატორს. მე ვფიქრობ, სიტყვები «ვიღაცას იჭერდნენ», «ხუმრობით ნათქვამი—სერიოზულად ნაფიქრია»: ჩვენ მუდამ ვაბრალებდით «რაბ. დელოს» არასიმტკიცეს, მერყეობას, და ამიტომ, თავისთავად ცხადია, უ ნ დ ა ვცდილიყავით მის დ ა ჭ ე რ ა ს, რათა შემდეგში მერყეობა შეუძლებელი გაგვეხადა. ცუდ განზრახვაზე აქ ლაპარაკიც არ 'მეიძლებოდა, ვინაიდან საქმე ეხებოდა პრინციპულ მერყეობას. და ჩვენც შევძელით «კავშირის» «დაჭერა» იმდენად ამხანაგურად *, რომ ივნისის რეზოლუციებს ხელი მოაწერეს თვითონ ბ. კრიჩევსკიმ და «კავშირის» ადმინისტრაციის კიდევ ერთმა წევრმა.

«რაბოჩეე დელოს» მე-10 ნომერში (ჩვენმა ამხანაგებმა ეს ნომერი მხოლოდ მაშინ ნახეს, როცა ყრილობაზე მოვიდნენ,

* სახელდობრ: ჩვენ ივნისის რეზოლუციების შესავალში ვთქვით, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატია მთლიანად ყოველთვის იდგა «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის პრინციპების ნიადაგზე და რომ «კავშირის» დამსახურებას წარმოადგენდა განსაკუთრებით მისი საგამომცემლო და ორგანიზაციული მუშაობა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვენ მზად ვიყავით დავიწუებისთვის მიგვეცა წარსული და გვეცნო კავშირის წევრ ჩვენი ამხანაგების მუშაობის სარგებლიანობა (საქმისთვის) ი მ პ ი რ ო ბ ი თ, რომ სრულიად მოსპობილიყო ის მერყეობა, რომელსაც ჩვენ ვდევნიდით და «ვიჭერდით». ყოველი მიუდგომელი ადამიანი, როცა ივნისის რეზოლუციებს წაიკითხავს, სწორედ ამგვარად გაიგებს მათ. ხოლო თუ «კავშირი» დღეს, მას შემდეგ, რაც მან გათიშა გ ა მ ო ი წ ვ ი ა ეკონომიზმისაკენ თავისი ახალი მობრუნებით (მე-10 ნომრის სტატიებსა და შესწორებებში), ჩვენ დიდი ამბით გვაბრალებს ს ი ცრ უ ე ს («ორი ყრილობა», გვ. 30) მისი დამსახურების შესახებ ამ სიტყვების თქმისთვის, — ასეთ ბრალდებას, რა თქმა უნდა, მხოლოდ ღიმილი შეუძლია გამოიწვიოს.

რამდენიმე დღით ადრე სხდომების დაწყებამდე) მოთავსებულმა სტატიებმა აშკარად დაგვანახვეს, რომ ზაფხულიდან შემოდგომამდე «კავშირში» ახალი მობრუნება მოხდა: ეკონომისტებმა ისევ გაიმარჯვეს, და ყოველგვარი «ქროლვის» ამყოლი რედაქცია ისევ შეუდგა «ყველაზე თავგამოდებული ბერნშტეინელების», «კრიტიკის თავისუფლების» და «სტიქიურობის» დაცვას და მარტინოვის პირით დაიწყო ჩვენი პოლიტიკური ზემოქმედების სფეროს «შევიწროების თეორიის» ქადაგება (ვითომდა თვით ზემოქმედების გართულების მიზნით). კიდევ ერთხელ გამართლდა პარვუსის მოსწრებული შენიშვნა, ოპორტუნისტი ძნელი დასაჭერია რომელიმე ფორმულითო: ის ადვილად მოაწერს ხელს ყ ო ვ ე ლ ფორმულას და ადვილადაც უღალატებს მას, რადგან ოპორტუნიზმი სწორედ ცოტად თუ ბევრად გარკვეული და მტკიცე პრინციპების უქონლობაა. დღეს ოპორტუნისტებმა უარჰყვეს ოპორტუნიზმის შეტანის ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი ცდა, უარჰყვეს ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი სივიწროვე, დიდი ამბით აღგვითქვეს «ერთი წუთითაც არ დაივიწყონ თვითმპყრობელობის დამხობა», აწარმოონ «აგიტაცია არა მარტო დაქირავებული შრომის კაპიტალთან ყოველდღიური ბრძოლის ნიადაგზე» და სხვ. და სხვ.. ხვალ კი ისინი იცვლიან კილოს და იწყებენ ძველ ამბავს სტიქიურობის, ჩვეულებრივი, მიმდინარე ბრძოლის წინმსვლელობის დაცვის და იმ მოთხოვნათა ქება-დიდების სახით, რომელნიც ხელშესახებ შედეგებს გვიქადიან, და სხვ. როცა «კავშირი» განაგრძობს იმის მტკიცებას, რომ მე-10 ნომრის სტატიებში ««კავშირი» არ ხედავდა და არ ხედავს არავითარ ერეტიკულ გადახვევას კონფერენციის პროექტის საერთო პრინციპებიდან» («ორი ყრილობა», გვ. 26), «კავშირი» ამით მხოლოდ ააშკარავებს უთანხმოების არსის გაგების სრულ უუნარობას ან სურვილის უქონლობას.

«რაბ. დელოს» მე-10 ნომრის შემდეგ ჩვენ მხოლოდ ერთი ცდალა დაგვრჩენოდა: უნდა დაგვეწყო საერთო დისკუსია იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად ეთანხმება მთელი «კავშირი» ამ სტატიებს და თავის რედაქციას. «კავშირი» განსა-

კუთრებით ამისთვის არის ჩვენზე უკმაყოფილო, გვაბრალებს «კავშირში» განხეთქილების ჩამოგდების ცდას, სხვის საქმეში ჩარევას და სხვ. ეს აშკარა უსაფუძვლო ბრალდებებია, ვინაიდან არჩეული რედაქციის ვითარებაში, რომლის «მობრუნება» ნიავის ოდნავი მოძრაობითაც ხდება, ყველაფერი სწორედ ქარის მიმართულებაზეა დამოკიდებული, — და ჩვენ ამ მიმართულებას ვარკვევდით დახურულ სხდომებზე, სადაც გასაერთიანებლად თავმოყრილ ორგანიზაციათა წევრების მეტი არავინ არ ყოფილა. «კავშირის» სახელით ივნისის რეზოლუციებში შესწორებათა შეტანამ შეთანხმების უკანასკნელი იმედიც მოგვისპო. ამ შესწორებებით დოკუმენტურად დამტკიცდა ახალი მობრუნება ეკონომიზმისაკენ და «კავშირის» უმრავლესობის სოლიდარობა «რაბ. დელოს» მე-10 ნომერთან. ოპორტუნიზმის გამოვლინებათა სფეროდან იშლებოდა «ეგრეთწოდებული ეკონომიზმი» (ვითომდა ამ ორი სიტყვის «აზრის გაურკვევლობის» გამო, — თუმცა ასეთი დასაბუთებიდან მხოლოდ ის გამომდინარეობს, რომ საჭიროა უფრო ზუსტად განისაზღვროს ფართოდ გავრცელებული შეცდომის არსი), იშლებოდა «მილიერანიზმიც» (თუმცა ბ. კრიჩევსკი მას იცავდა «რაბ. დელოში» № 2—3, გვ. 83—84 და კიდევ უფრო აშკარად «Vorwärts»-ში) *. მიუხედავად იმისა, რომ ივნისის რეზოლუციებმა გარკვევით აღნიშნა სოციალ-დემოკრატიის ამოცანა — «უხელმძღვანელოს პროლეტარიატის ბრძოლის ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ გამოვლინებას პოლიტიკური, ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი და სოციალური ჩაგვრის ყ ვ ე ლ ა ფორმის წინააღმდეგ» და მით მოითხოვა გეგმაზომიერების და ერთიანობის შეტანა ამ ბრძოლის ყოველ გამოვლინებაში, — «კავშირი» უმატებდა კიდევ სრულიად ზედმეტ სიტყვებს, რომ «ეკონომიური ბრძოლა წარმოადგენს მასობრივი მოძრაობის მძლავრ სტიმულს» (თავისთავად ეს სიტყვები უდავოა, მაგრამ, ვიწრო «ეკონომიზმის» არსებობის დროს,

* ამის გამო «Vorwärts»-ში დაიწყო პოლემიკა მის ახლანდელ რედაქციასა, კაუტსკისა და «ზარიას» შორის. ჩვენ ამ პოლემიკას უსათუოდ გავაცნობთ რუს მკითხველებს [133].

მათ არ შეეძლოთ არ მოეცათ საბაბი ცრუგაგებისათვის). ეს კიდევ არაფერი, ივნისის რეზოლუციებში შეჰქონდათ აგრეთვე «პოლიტიკის» პირდაპირი შ ე კ ვ ე ც ა, როგორც სიტყვების «არც ერთი წუთითაც» (არ უნდა დავივიწყოთ თვითმპყრობელობის დამხობის მიზანი) ამოშლით, ისე იმ სიტყვების დამატებით, რომ «ეკონომიური ბრძოლა ყ ვ ე ლ ა ზ ე უ ფ რ ო ფ ა რ თ ო დ გამოსაყენებელი საშუალებაა მასის აქტიურ პოლიტიკურ ბრძოლაში ჩასაბმელად». გასაგებია, რომ ასეთ შესწორებათა შეტანის შემდეგ ყველა ჩვენი ორატორი უარს ამბობდა სიტყვებზე, რადგან სრულიად უსარგებლოდ მიაჩნდათ შემდგომი მოლაპარაკება იმ ადამიანებთან, რომელთაც ისევ იბრუნეს პირი ეკონომიზმისკენ და უზრუნველჰყვეს თავისთვის მერყეობის თავისუფლება.

«სწორედ ის, რაც კავშირს მომავალი შეთანხმების სიმტკიცის, ე. ი. «რაბ. დელოს» დამოუკიდებელი ფიზიონომიისა და მისი ავტონომიის შენარჩუნების sine qua non* პირობად მიაჩნდა, — სწორედ ეს «ისკრას» შეთანხმების მთავარ დაბრკოლებად მიაჩნდა» («ორი ყრილობა», გვ. 25). ეს სინამდვილეს არ შეეფერება. «რაბ. დელოს» ავტონომიის წინააღმდეგ ჩვენ არასოდეს არ გამოვსულვართ**. მისი ფიზიონომიის დამოუკიდებლობას ჩვენ მართლაც უ ს ა თ უ ო დ უ ა რ ვ ყ ო ფ დ ი თ, თუ ვიგულისხმებთ «დამოუკიდებელ ფიზიონომიას» თეორიისა და ტაქტიკის პრინციპულ საკითხებში: ივნისის რეზოლუციები შეიცავენ სწორედ ა ს ე თ ი დამოუკიდებელი ფიზიონომიის აუცილებელ უარყოფას, ვინაიდან ეს «ფიზიონომიის დამოუკიდებლობა» სინამდვილეში ყოველთვის მოასწავებდა, ვიმეორებთ, ყოველგვარ მერყეობას და ამ მერყეობით ჩვენში გაბატონებული და პარტიული თვალ-

* — აბსოლუტურად აუცილებელ. რ ე დ.

** ავტონომიის შეზღუდვად თუ არ ჩავთვლით იმ სარედაქციო თათბირებს გაერთიანებული ორგანიზაციების საერთო უმაღლესი საბჭოს დაწესებასთან დაკავშირებით, რასაც დათანხმა ივნისში თვით «რაბ. დელოც».

საზრისით ყოვლად აუტანელი დაბნეულობისთვის მხარდაჭერას. მე-10 ნომრის სტატიებითა და «შესწორებებით» «რაბ. დელომ» ნათლად დაგვანახვა თავისი სურვილი სწორედ ამ ფიზიონომიის დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა, ხოლო ასეთმა სურვილმა ბუნებრივად და აუცილებლად გამოიწვია კავშირის გაწყვეტა და ომის გამოცხადება. მაგრამ ჩვენ ყველანი მზად ვიყავით გვეცნო «რაბ. დელოს» «დამოუკიდებელი ფიზიონომია» განსაზღვრულ ლიტერატურულ ფუნქციებზე მისი მიქცევის აზრით. ამ ფუნქციების სწორი განაწილება თავისთავად იგულისხმებოდა: 1. მეცნიერული ჟურნალი, 2. პოლიტიკური გაზეთი და 3. პოპულარული კრებულები და პოპულარული ბროშურები. მხოლოდ «რაბ. დელოს» თანხმობა ასეთ განაწილებაზე დაამტკიცებდა, რომ მას. გულწრფელად სურს საბოლოოდ გაასწოროს ის შეცდომები, რომელთა წინააღმდეგაც მიმართულია ივნისის რეზოლუციები, მხოლოდ ასეთი განაწილება აღმოფხვრიდა უთანხმოების ყოველგვარ შესაძლებლობას, ნამდვილად უზრუნველყოფდა შეთანხმების სიმტკიცეს და ამავე დროს ჩვენი მოძრაობის ახალი აღმავლობისა და ახალ წარმატებათა ბაზისად გადაიქცეოდა.

ახლა არც ერთ რუს სოციალ-დემოკრატს აღარ შეეპარება ეჭვი იმაში, რომ ოპორტუნისტულ მიმართულებასთან რევოლუციური მიმართულების საბოლოოდ კავშირის გაწყვეტა გამოწვეულია არა რაიმე «ორგანიზაციული» გარემოებით, არამედ სწორედ ოპორტუნისტების სურვილით — განამტკიცონ ოპორტუნიზმის დამოუკიდებელი ფიზიონომია და განაგრძონ გონების დაბნეულობის გავრცელება კრიჩევსკებისა და მარტინოვების მსჯელობათა საშუალებით.

შესწორება ბროშურაში «რა ვაკეთოთ?»

«ინიციატორთა ჯგუფი», რომელსაც მე ვეხები ბროშურაში «რა ვაკეთოთ?», გვ. 141 *, მთხოვს შემდეგი შესწორება შევიტანო საზღვარგარეთული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შერიგების ცდაში მისი მონაწილეობის გადმოცემის გარშემო: «ამ ჯგუფის სამ წევრში «კავშირიდან» მხოლოდ ერთი გამოვიდა 1900 წლის დამლევს, დანარჩენნი კი — 1901 წელს, მხოლოდ მას შემდეგ, რაც დარწმუნდნენ, რომ «კავშირისაგან» შეუძლებელი იყო თანხმობის მიღება კონფერენციის მოწყობაზე «ისკრის» საზღვარგარეთულ ორგანიზაციასა და «სოციალ-დემოკრატის» რევოლუციურ ორგანიზაციასთან», «ინიციატორთა ჯგუფის» წინადადება სწორედ ეს იყო. ეს წინადადება «კავშირის» ადმინისტრაციამ თავდაპირველად უარჰყო და კონფერენციის ეს უარყოფა დაასაბუთა იმ პირთა «არაკომპეტენტურობით», რომელნიც შედიოდნენ «ინიციატორთა» საშუამავლო «ჯგუფში», ამასთან განაცხადა, მსურს უშუალო ურთიერთობა ვიქონიო «ისკრის» საზღვარგარეთულ ორგანიზაციასთანო. მაგრამ მალე «კავშირის» ადმინისტრაციამ აცნობა «ინიციატორთა ჯგუფს», რომ «ისკრის» პირველი ნომრის გამოსვლის შემდეგ, სადაც დაბეჭდილია შენიშვნა «კავშირში» მომხდარი გათიშვის შესახებ, მან შეიცვალა აზრი და აღარა სურს ურთიერთობა იქონიოს «ისკრასთან». ამის შემდეგ როგორ ავხსნათ «კავშირის» ადმინისტრაციის წევრის განცხადება,

* იხ. ეს ტომი, გვ. 664 — 666. რედ.

რომ «კავშირის» მიერ კონფერენციაზე უარისთქმა გამოწვეული იყო მ ხ ო ლ ო დ და მ ხ ო ლ ო დ იმით, რომ იგი უკმაყოფილო იყო «ინიციატორთა ჯგუფის» უკანასკნელი შემადგენლობით? მართალია, გაუგებარია აგრეთვე «კავშირის» ადმინისტრაციის თანხმობა კონფერენციის მოწვევაზე გასული წლის ივნისში: «ისკრის» პირველ ნომერში მოთავსებული შენიშვნა ხომ ძალაში დარჩა, ხოლო «ისკრის» «უარყოფითი» დამოკიდებულება «კავშირისადმი» კიდევ უფრო ცხადად გამოაშკარავდა «ზარიას» პირველ წიგნში და «ისკრის» მე-4 ნომერში, რომლებიც ივნისის კონფერენციამდე გამოვიდა».

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

«ისკრა» № 19, 1902 წლის 1 აპრილი

იბეჭდება გაზეთ «ისკრის» ტექსტის მიხედვით

შენიშვნები

1 ლენინის სტატიას «რ ი თ დ ა ვ ი წ ყ ო თ?», რომელიც «ისკრაში» გამოქვეყნდა, ცალკე ბროშურად სცემდნენ ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები. ციმბირის სოციალ-დემოკრატიულმა კავშირმა დაბეჭდა ამ ბროშურის 5 ათასი ეგზემპლარი და მთელ ციმბირში გაავრცელა. ამ სტატიის ცალკე გამოცემა ვრცელდებოდა აგრეთვე სამარაში, ტამბოვში, ნიჟნი-ნოვგოროდსა და რუსეთის სხვა ქალაქებში. — 1.

2 «რ ა ბ ო ჩ ე ე დ ე ლ ო» — «ეკონომისტების» ჟურნალი, «რუსი სოციალ-დემოკრატების საზღვარგარეთული კავშირის» არაპერიოდული ორგანო. ჟურნალი გამოდიოდა ჟენევაში 1899 წლის აპრილიდან 1902 წლის თებერვლამდე ბ. ნ. კრიჩევსკის, ა. ს. მარტინოვისა და ვ. პ. ივანშინის რედაქციით. სულ გამოვიდა 12 ნომერი — ცხრა წიგნად.

«რაბოჩეედელოელთა» შეხედულებების კრიტიკა მოცემულია ლენინის წიგნში «რა ვაკეთოთ?» (იხ. ეს ტომი, გვ. 431 — 673). — 5.

3 «რ ა ბ ო ჩ ა ი ა მ ი ს ლ» — «ეკონომისტების» გაზეთი; გამოდიოდა 1897 წლის ოქტომბრიდან 1902 წლის დეკემბრამდე. სულ გამოვიდა 16 ნომერი: ნომრები 3 — 11 და 16 — ბერლინში, დანარჩენი — პეტერბურგში. რედაქტორობდნენ კ. მ. ტახტარევი და სხვ.

«რაბოჩაია მისლის», როგორც საერთაშორისო ოპორტუნიზმის რუსული ნაირსახეობის, შეხედულებათა კრიტიკა ლენინმა მოგვცა მთელ რიგ ნაწარმოებებში, განსაკუთრებით «ისკრაში» გამოქვეყნებულ სტატიებსა და წიგნში «რა ვაკეთოთ?». — 6.

4 «ი ს კ რ ა» — პირველი საერთო-რუსეთის არალეგალური მარქსისტული გაზეთი, დაარსებული ლენინის მიერ 1900 წელს. რევოლუციური მარქსისტების ამ მებრძოლი ორგანოს შექმნა «ძირითადი რგოლი და ძირითადი ამოცანა იყო რგოლების ჯაჭვში და ამოცანების ჯაჭვში, რომლებიც მაშინ პარტიის წინაშე იდვა» (ს ტ ა ლ ი ნ ი).

რადგან პოლიციის მხრივ დევნის გამო რუსეთში შეუძლებელი იყო რევოლუციური გაზეთის გამოცემა, ლენინმა ჯერ კიდევ ციმბირის გადასახლებაში ყოფნის დროს დეტალურად მოისაზრა მისი საზღვარგარეთ გამოცემის გეგმა. გადასახლების ვადის მოხდის შემდეგ, 1900 წლის იანვარში, ლენინი დაუყოვნებლივ შეუდგა თავისი გეგმის განხორციელებას.

ლენინური «ისკრის» პირველი ნომერი გამოვიდა 1900 წლის 11 (24) დეკემბერს ლაიფციგში, შემდგომი ნომრები გამოდიოდა მიუნხენში, 1902 წლის აპრილიდან — ლონდონში და 1903 წლის გაზაფხულიდან — ჟენევაში.

«ისკრის» რედაქციაში შედიოდნენ: ვ. ი. ლენინი, გ. ვ. პლეხანოვი, ი. ო. მარტოვი, პ. ბ. აქსელროდი, ა. ნ. პოტრესოვი და ვ. ი. ზასულიჩი. რედაქციის მდივნად 1901 წლის გაზაფხულიდან იყო ნ. კ. კრუპსკაია. ფაქტიურად ლენინი იყო «ისკრის» მთავარი რედაქტორი და ხელმძღვანელი. «ისკრაში» ის გამოდიოდა სტატიებით პარტიის მშენებლობისა და რუსეთის პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ყველა ძირითად საკითხში, ეხმაურებოდა საერთაშორისო ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ამბებს.

რუსეთის მთელ რიგ ქალაქებში (პეტერბურგში, მოსკოვში და სხვ.) შექმნილი იყო რსდმპ ლენინურ-ისკრული მიმართულების ჯგუფები და კომიტეტები. ამიერკავკასიაში «ისკრის» იდეებს იცავდა «ბრძოლა» — თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის, მისი ლენინურ-ისკრული ჯგუფის პირველი არალეგალური ქართული გაზეთი. ამიერკავკასიაში ლენინურ-ისკრული ორგანიზაციების ფუძემდებელი და ხელმძღვანელი იყო ი. ბ. სტალინი ვ. ზ. კეცხოველთან, ა. გ. წულუკიძესთან და ვ. კ. კურნატოვსკისთან ერთად.

ისკრული ორგანიზაციები ჩნდებოდნენ და მუშაობდნენ ლენინისა და სტალინის მიერ გამოზრდილი პროფესიონალი რევოლუციონერების (ნ. ე. ბაუმანი, ი. ვ. ბაბუშკინი, ს. ი. გუსევი, მ. ი. კალინინი და სხვ.) უშუალო ხელმძღვანელობით.

ლენინის ინიციატივითა და მისი უშუალო მონაწილეობით «ისკრის» რედაქციამ შეიმუშავა პარტიის პროგრამის პროექტი (გამოქვეყნდა «ისკრის» № 21-ში) და მოამზადა რსდმპ II ყრილობა, რომელიც 1903 წლის ივლის-აგვისტოში შესდგა.

ყრილობის მოწვევის დროისთვის რუსეთის ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების უმრავლესობა შეუერთდა «ისკრას», მოიწონა მისი ტაქტიკა, პროგრამა და ორგანიზაციული გეგმა, აღიარა ის თავის ხელმძღვანელ ორგანოდ. ყრილობამ სპეციალური დადგენილებით აღნიშნა «ისკრის» განსაკუთრებული როლი პარტიისათვის ბრძოლაში და «ისკრა» გამოაცხადა რსდმპ ცენტრალურ ორგანოდ.

II ყრილობამ დაამტკიცა რედაქცია ლენინის, პლეხანოვისა და მარტოვის შემადგენლობით. მარტოვმა, მიუხედავად ყრილობის გადაწყვეტილებისა, უარი განაცხადა რედაქციაში შესვლაზე, და «ისკრის» №№ 46 — 51 ლენინისა და პლეხანოვის რედაქციით გამოვიდა. შემდეგ პლეხანოვი მენშევიზმის პოზიციებზე გადავიდა და მოითხოვა «ისკრის» რედაქციის შემადგენლობაში შეეყვანათ ყველა ძველი მენშევიკი-რედაქტორი, რომელნიც ყრილობამ უარჰყო. ლენინს არ შეეძლო დათანხმებოდა ამას და 1903 წლის 19 ოქტომბერს (1 ნოემბერს) გამოვიდა «ისკრის» რედაქციიდან იმ აზრით, რომ გამაგრებულიყო პარტიის ც. კ-ში და ამ პოზიციიდან დაერტყა ოპორტუნისტ-მენშევიკებისთვის. «ისკრის» № 52 მარტო პლეხანოვის რედაქციით გამოვიდა. 1903 წლის 13 (26) ნოემბერს პლეხანოვმა ერთპიროვნულად, ყრილობის ნების დარღვევით, «ისკრის» რედაქციის შემადგენლობაში კოოპტაციით შეიყვანა მისი ყოფილი მენშევიკი-რედაქტორები. 52 ნომრიდან მენშევიკებმა «ისკრა» თავიანთ ორგანოდ გადააქციეს.

«ამ დროიდან დაიწყეს პარტიაში ლაპარაკი ძ ვ ე ლ «ისკრაზე», როგორც ლენინურ, ბოლშევიკურ «ისკრაზე», და ა ხ ა ლ «ისკრაზე», როგორც მენშევიკურზე, ოპორტუნისტულზე» («საკ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», გვ. 55). — **6.**

5 იგულისხმება სტუდენტთა მღელვარება და მუშების გამოსვლები — მიტინგები, დემონსტრაციები და გაფიცვები — 1901 წლის თებერვალსა და მარტში, რამაც მოიცვა რუსეთის ბევრი ქალაქი: პეტერბურგი, მოსკოვი, კიევი, ხარკოვი, იაროსლავლი, ტომსკი, ვარშავა, ბელოსტოკი და სხვ. — **9.**

6 იგულისხმება კორესპონდენცია — «პირველი მაისობა რუსეთში», დაბეჭდილი «ისკრის» № 5-ში (1901 წლის ივნისი), განყოფილებაში: «მუშათა მოძრაობის ქრონიკა და წერილები ფაბრიკა-ქარხნებიდან». — **10.**

7 ლენინს მხედველობაში აქვს ფ. ენგელსის «შესავალი» კ. მარქსის ნაშრომისა «კლასობრივი ბრძოლა საფრანგეთში 1848-დან 1850 წლამდე», რომელიც გერმანელმა სოციალ-დემოკრატებმა გამოქვეყნების დროს 1895 წელს დაამახინჯეს და შემდეგ განმარტეს როგორც შეიარაღებულ აჯანყებასა და საბარიკადო ბრძოლაზე უარისთქმა.

«შესავლის» სრული ტექსტი ფ. ენგელსის ხელნაწერის მიხედვით პირველად გამოქვეყნდა მხოლოდ სსრ კავშირში (იხ. კ. მარქსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, 1940, გვ. 138 — 156). — **22.**

8 ლენინს მხედველობაში აქვს პოლიციის შეტაკება მაქსველის ფაბრიკის გაფიცულ მუშებთან პეტერბურგში 1898 წლის დეკემბერს. გაფიცვის «მოთავეთა» დასაპატიმრებლად მოსულმა პოლიციელებმა (200 ქვეითი და 100 ცხენოსანი) რამდენიმე საათის განმავლობაში ვერ შესძლეს მუშათა ყაზარმაში შეჭრა. მუშებმა ბარიკადები მოაწყეს და პოლიციისაგან თავს იცავდნენ შეშის ნაპობებით, ბოთლებით, მდუღარე წყალს ასხამდნენ პოლიციელებს. — 22.

9 ლაპარაკია მეფის პოლიციისა და კაზაკების მიერ პეტერბურგში ყაზანის მოედანზე 1901 წლის 4 (17) მარტს მომხდარი დემონსტრაციის მონაწილეთა აწიოკებაზე. სტუდენტთა ჯარისკაცებად გაგზავნის წინააღმდეგ ამ საპროტესტო დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო ათასობით სტუდენტმა და მუშამ. მეფის მთავრობამ შეიარაღებული ძალა გამოიყენა დემონსტრანტების გასარეკად. დემონსტრაციის მონაწილეთ მხეცურად სცემეს, რამდენიმე კაცი მოკლეს, ბევრი დაასახიჩრეს. ეს ამბები დაწვრილებით იყო გაშუქებული «ისკრის» № 3-ში 1901 წლის აპრილს. — 23.

10 ლენინის სტატიის «ერობის მდევნელნი და ლიბერალიზმის ჰანიბალები» საგანია საზღვარგარეთ არალეგალურად გამოცემული მეფის მინისტრის ს. ი. ვიტეს საიდუმლო ბარათის «თვითმპყრობელობა და ერობა» და ლიბერალ პ. ბ. სტრუვეს მიერ დაწერილი მისი წინასიტყვაობის კრიტიკა.

ლენინის სტატიამ სერიოზული უთანხმოება გამოიწვია «ისკრის» რედაქციაში. პლეხანოვმა და რედაქციის ზოგიერთმა სხვა წევრმა გაილაშქრეს ლენინის სტატიის წინააღმდეგ.

პოლემიკამ ამ სტატიის გარშემო «ისკრის» რედაქციის წევრთა მიწერ-მოწერაში ერთ თვემდე გასტანა. ლენინმა მიიღო ცალკეული წინადადებანი ზოგიერთი კერძო ხასიათის ფორმულირების შეცვლის შესახებ, მაგრამ გადაჭრით უარჰყო შეეცვალა სტატიის მკაცრი მამხილებელი ტონი და მისი მიმართულება. — 25.

11 «ზ ა რ ი ა» — მარქსისტული მეცნიერულ-პოლიტიკური ჟურნალი, რომელსაც 1901—1902 წლებში შტუტგარტში სცემდა «ისკრის» რედაქცია.

«ზარიაში» დაიბეჭდა ლენინის შემდეგი სტატიები: «შემთხვევითი შენიშვნები», «ერობის მდევნელნი და ლიბერალიზმის ჰანიბალები», პირველი ოთხი თავი ნაშრომისა — «აგრარული საკითხი და «მარქსის კრიტიკოსები»» (სათაურით «ბატონი «კრიტიკოსები» აგრარულ საკითხში»), «შინაური მიმოხილვა», «რუსეთის სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა». სულ გამოვიდა «ზარიას» ოთხი ნომერი — სამ წიგნად: № 1 — 1901 წლის აპრილს (ფაქტიურად № 1 გამოვიდა 23

მარტს ახალი სტილით), № 2 — 3 — 1901 წლის დეკემბერს, № 4 — 1902 წლის აგვისტოს. — **30.**

12 კატკოვი, მ. ნ. — რეაქციული პუბლიცისტი. 1851 წლიდან რედაქტორობდა გაზეთ «მოსკოვსკია ვედომოსტის». გაუსწორებელი მოწინააღმდეგე იყო არა მარტო რევოლუციური მოძრაობისა, არამედ ყოველგვარი საზოგადოებრივი პროგრესისა. ლენინი კატკოვს ახასიათებდა როგორც «თვითმპყრობელობის ერთგულ მოდარაჯე ქოფაკს». — **32.**

13 «ახალგაზრდა რუსეთი» — პროკლამაცია, გამოშვებული პ. გ. ზაიჩნევსკის რევოლუციური წრის მიერ 1862 წლის მაისში. პროკლამაცია მოუწოდებდა რევოლუციური გამოსვლებისაკენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და აყენებდა ლოზუნგს: «რუსეთის სოციალური და დემოკრატიული რესპუბლიკა» ოლქების ფედერაციული კავშირის სახით. — **33.**

14 «სოვრემენნიკ» — ყოველთვიური მეცნიერულ-პოლიტიკური და ლიტერატურული ჟურნალი, დაარსებული ა. ს. პუშკინის მიერ; გამოდიოდა პეტერბურგში 1836-დან 1866 წლამდე. 1847 წლიდან ჟურნალს სცემდნენ ნ. ა. ნეკრასოვი და ი. ი. პანაევი. ჟურნალში თანამშრომლობდნენ: ბ. გ. ბელინსკი, ნ. გ. ჩერნიშევსკი, ნ. ა. დობროლუბოვი, ნ. ვ. შელგუნოვი, მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინი, მ. ა. ანტონოვიჩი და სხვ. «სოვრემენნიკი» — თავისი დროის ყველაზე მოწინავე ჟურნალი იყო, რომელიც ასახავდა რევოლუციური დემოკრატიის მისწრაფებებს. 1866 წელს ჟურნალი დახურა მეფის მთავრობამ. — **35.**

15 «რუსსკოე სლოვო» — ყოველთვიური ლიტერატურულ-პოლიტიკური ჟურნალი, გამოდიოდა პეტერბურგში 1859-დან 1866 წლამდე; მასში თანამშრომლობდნენ დ. ი. პისარევი და ნ. ვ. შელგუნოვი. ჟურნალს დიდი გავლენა ჰქონდა 60-იანი წლების მოწინავე ახალგაზრდობაზე. «სოვრემენნიკის» შემდეგ ის თავისი დროის ყველაზე პროგრესული ჟურნალი იყო. მეფის მთავრობამ დახურა 1866 წელს. — **35.**

16 «დენ» — ყოველკვირეული გაზეთი; სცემდა ი. ს. აკსაკოვი მოსკოვში 1861-დან 1865 წლამდე. — **35.**

17 რადიშჩევი, ა. ნ. (1749 — 1802) — რუსი მწერალი და რევოლუციონერი. თავის განთქმულ ნაწარმოებში «მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვამდე» ის პირველი გამოვიდა აშკარად მეფის რუსეთის ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ. ამისათვის, ეკატერინე II ბრძანებით, სიკვდილი მიესაჯა, რაც შეუცვალეს ათი წლით ციმბირში გადასახლებით. გადასახლებიდან დაბრუნდა ამნისტიით, მაგრამ მეფის

მთავრობის მხრივ ახალი დევნის მუქარის გამო თავი მოიკლა. ლენინს რადიშჩევი მიაჩნდა რუსი ხალხის ერთ-ერთ გამოჩენილ პროგრესულ მოღვაწედ. — 36.

18 არაკჩეევი, ა. ა. — XVIII საუკუნის დამლევისა და XIX საუკუნის დამდეგის მეფის რუსეთის რეაქციული მოღვაწე; დიდი გავლენა ჰქონდა საგარეო და საშინაო პოლიტიკაზე პავლე I და ალექსანდრე I მეფობის პერიოდში. არაკჩეევის სახელთან დაკავშირებულია განუსაზღვრელი პოლიციური დესპოტიზმისა და უხეში სამხედრო წრეების თვითნებობა («არაკჩეევშჩინა»). — 36.

19 იგულისხმება აჯანყება დეკაბრისტებისა — თავადაზნაური რევოლუციონერებისა, რომლებიც გამოდიოდნენ თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ. — 36.

20 ლაპარაკია რუსეთის მეფის ნიკოლოზ I ჯარების მონაწილეობაზე ევროპის რევოლუციური მოძრაობის ჩაქრობაში 1848 — 1849 წლებში, კერძოდ უნგრეთის რევოლუციის ჩაქრობაში 1849 წელს. — 37.

21 გენერალური შტატები — XIV — XVIII საუკუნეების საფრანგეთის წოდებრივ-წარმომადგენლობითი დაწესებულება, რომელიც შესდგებოდა თავადაზნაურობის, სამღვდელოებისა და მესამე წოდების დეპუტატებისაგან; იწვევდა მეფე ადმინისტრაციულ-ფინანსური საკითხების გადასაწყვეტად. გენერალური შტატები არ შეკრებილა 175 წლის განმავლობაში — 1614-დან 1789 წლამდე. ლუი XVI მიერ 1789 წელს ფინანსური კრიზისის გადასაჭრელად მოწვეული გენერალური შტატები მესამე წოდების დეპუტატთა გადაწყვეტილებით გამოცხადებულ იქნა ეროვნულ კრებად. — 37.

22 გენერალი ვანოვსკი, 1901 წელს სახალხო განათლების მინისტრად დანიშნული, სტუდენტთა მღელვარების დასაშოშმინებლად გამოვიდა ლიბერალური ფრაზებით მოსწავლე ახალგაზრდობისადმი «სიყვარულისა» და მასზე «გულითადი მზრუნველობის» შესახებ. ვანოვსკიმ გაატარა მთელი რიგი უმნიშვნელო რეფორმები განათლების დარგში და განაგრძობდა ბრძოლის რეპრესიული ზომების მიღებას რევოლუციური სტუდენტობის წინააღმდეგ. მიმართავდა დაპატიმრებას, გადასახლებას, უნივერსიტეტებიდან გარიცხვას და სხვ. — 41.

23 «პრავიტელსტვენნი ვესტნიკ»—გაზეთი, მთავრობის ოფიციალური ორგანო; გამოდიოდა პეტერბურგში 1869-დან 1917 წლამდე. — 50.

24 «ლ უ ი XVI ნ ო ტ ა ბ ლ ე ბ ი ს კ რ ე ბ ა» — საფრანგეთის პრივილეგიურ წოდებათა წარჩინებულ პირთა კრება, რომელსაც საფრანგეთის მეფე ლუი XVI იწვევდა 1787 და 1788 წლებში ქვეყნის ფინანსური კრიზისის გადასაჭრელად. კრებამ უარი თქვა დადგენილების მიღებაზე პრივილეგიურ წოდებათა გადასახადებით დაბეგვრის შესახებ, რის შემდეგ ლუი XVI იძულებული გახდა გენერალური შტატები მოეწვია. — 52.

25 «გ უ ლ ი ს დ ი ქ ტ ა ტ უ რ ა ს» ირონიულად უწოდებდნენ მეფის დიდკაცის ლორის-შელიქოვის ლიბერალებთან ლაქუცის ხანმოკლე პოლიტიკას; ლორის-მელიქოვი 1880 წელს ჯერ დანიშნეს «კრამოლასთან» მებრძოლი «უზენაესი განმკარგულებელი კომისიის» უფროსად, შემდეგ კი შინაგან საქმეთა მინისტრად. — 53.

26 «ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ» — ლიტერატურულ-პოლიტიკური მიმოხილვა, რომელსაც სცემდა საზღვარგარეთ 1890 — 1892 წლებში «შრომის განთავისუფლების» ჯგუფი. სულ გამოვიდა ოთხი წიგნი.

ლენინს ციტატი მოჰყავს ვ. ი. ზასულიჩის სტატიიდან «ბურჟუაზიული წრის რევოლუციონერები», რომელიც დაბეჭდილი იყო «სოციალ-დემოკრატის» № 1-ში 1890 წელს. — 54.

27 მ ა კ ი ა ვ ე ლ ი ზ მ ი (მაკიაველის (1469 — 1527), ფლორენციის რესპუბლიკის პოლიტიკური მოღვაწისა და მწერლის სახელისგან) — პოლიტიკა, რომელიც არ თაკილობს ბრძოლის არავითარ ვერაგულ საშუალებას — მოტყუებას, მუხთლობას, გამცემლობასა და მკვლელობას — თავისი მიზნის მისაღწევად. — 56.

28 «ნ ა რ ო დ ნ ა ი ა ვ ო ლ ი ა» — ნაროდნიკული ფარული საზოგადოება, მოწყობილი 1879 წელს მეფის თვითმპყრობელობასთან რევოლუციური ბრძოლისთვის.

ნაროდოვოლცების მიერ მეფე ალექსანდრე II მოკვლის უმალვე (1881 წლის 1 (13) მარტს) «ნაროდნაია ვოლია» გაანადგურა მეფის მთავრობამ. ნაროდნიკების უმრავლესობამ ამის შემდეგ ხელი აიღო ცარიზმთან რევოლუციურ ბრძოლაზე, დაიწყო მეფის თვითმპყრობელობასთან შერიგების, შეთანხმების ქადაგება. ნაროდნიკობის ეს ეპიგონები — XIX საუკუნის 80-იანი და 90-იანი წლების ლიბერალური ნაროდნიკები — კულაკობის ინტერესების გამომხატველნი გახდნენ.

«ნაროდნაია ვოლიას» მოღვაწეობის შეფასება იხ. «საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის» პირველ თავში. — 69.

29 ««რ ა ბ ო ჩ ა ი ა მ ი ს ლ ი ს» ც ა ლ კ ე დ ა მ ა ტ ე ბ ა» — ბროშურა, რომელიც გამოსცა «ეკონომისტების» გაზეთ «რაბოჩაია მისლის» რედაქციამ 1899 წლის სექტემბერს. ბროშურაში, განსაკუთრებით კი

სტატიაში «ჩვენი სინამდვილე» რ. მ. ხელმოწერით, აშკარად იყო გამოთქმული «ეკონომისტების» ოპორტუნისტული შეხედულებანი. ამ ბროშურის კრიტიკა მოცემულია ლენინის სტატიაში «უკუსვლითი მიმართულება რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში» და წიგნში «რა ვაკეთოთ?» (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 4, გვ. 307 — 346 და ეს ტომი, გვ. 448 — 458, 499, 513). — 72.

80 «ნ ა რ ო დ ნ ო ე პ რ ა ვ ო ს» პარტია — დემოკრატიული ინტელიგენციის არალეგალური ორგანიზაცია, დაარსებული 1893 წელს ყოფილი ნაროდოვოლცების მონაწილეობით (მ. ა. ნატანსონი და სხვ.); 1894 წლის გაზაფხულზე ის გაანადგურა მეფის მთავრობამ. ამ ორგანიზაციამ გამოუშვა ორი საპროგრამო დოკუმენტი: «საარსებო საკითხი» და «მანიფესტი». ნაროდოპრავცების უმრავლესობა შემდეგ ესერების პარტიაში შევიდა. — 88.

81 ლენინს მხედველობაში აქვს კ. მარქსის ნაშრომის «კლასობრივი ბრძოლა საფრანგეთში 1848-დან 1850 წლამდე» დებულება (იხ. კ. მარქსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, 1940, გვ. 157). — 89.

82 «ნ ო ვ ო ე ვ რ ე მ ი ა» — გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1868-დან 1917 წლის ოქტომბრამდე. თავდაპირველად ზომიერი ლიბერალური გაზეთი იყო. 1876 წლიდან ის გადაიქცა თავადაზნაურთა და მოხელეებიუროკრატთა რეაქციული წრეების ორგანოდ. გაზეთი ბრძოლას ეწეოდა არა მარტო რევოლუციური, არამედ ლიბერალურ-ბურჟუაზიული მოძრაობის წინააღმდეგაც. 1905 წლიდან შავრაზმელთა ერთ-ერთი ორგანო გახდა. — 90.

83 იგულისხმება ბეჭდვითი სიტყვის მთავარი სამმართველოს ცირკულარი, რომელიც დაეგზავნა ჟურნალებისა და გაზეთების რედაქციებს მას შემდეგ, რაც გაზეთ «ნოვოე ვრემიაში» გამოქვეყნდა სტატია «მუშათა არეულობის გამო». ცირკულარი მოყვანილი იყო «ისკრის» № 6-ის (1901 წლის ივლისი) შენიშვნაში «ს.-პეტერბურგი» (განყოფილება «ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებიდან»). — 90.

84 «მ ო ს კ ო ვ ს კ ი ე ვ ე დ ო მ ო ს ტ ი» — გაზეთი, გამოდიოდა 1756 წლიდან; XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან გამოხატავდა მემამულეებისა და სამღვდელოების ყველაზე რეაქციული მონარქიული ფენების შეხედულებებს; 1905 წლიდან— შავრაზმელთა ერთ-ერთი მთავარი ორგანო. გამოდიოდა 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამდე. — 93.

85 ბროშურა «1897 წ ლ ი ს 2 ი ვ ნ ი ს ი ს კ ა ნ ო ნ ი ს ს ა ი დ უ მ ლ ო

დ ო კ უ მ ე ნ ტ ე ბ ი» ენენევაში გამოსცა 1898 წელს «რუსი სოციალ-დემოკრატების საზღვარგარეთულმა კავშირმა». — **93.**

36 «გ რ ა ჟ დ ა ნ ი ნ» — რეაქციული გაზეთი. გამოდიოდა პეტერბურგში 1872-დან 1914 წლამდე. XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან უკიდურესი მონარქისტების ორგანო იყო. გაზეთი უმთავრესად მეფის მთავრობის სუბსიდიებით არსებობდა. — **112.**

37 ნაშრომი «ა გ რ ა რ უ ლ ი ს ა კ ი თ ხ ი დ ა «მ ა რ ქ ს ი ს კ რ ი ტ ი კ ო ს ე ბ ი»» ლენინმა დაწერა 1901 წლის ივნის—სექტემბერში. მისი პირველი ოთხი თავი დაიბეჭდა ჟურნალ «ზარიას» № 2—3-ში 1901 წლის დეკემბერს სათაურით «ბატონი «კრიტიკოსები» აგრარულ საკითხში. ნარკვევი პირველი» — ხელმოწერილი იყო: ნ. ლ ე ნ ი ნ. შემდეგ ის ლეგალურად გამოსცა ოდესაში (წარწერით: «ნებადართულია ცენზურის მიერ. ოდესა, 1905 წლის 23 ივლისი) გამომცემლობამ «ბურეევესტნიკ» ცალკე ბროშურად შეცვლილი სათაურით: ნ. ლ ე ნ ი ნ ი. «აგრარული საკითხი და მარქსის «კრიტიკოსები»». ეს სათაური ავტორმა შეუნარჩუნა შემდგომ გამოცემებში როგორც მთელ ნაშრომს, ისე მის ცალკეულ ნაწილებს.

თავები V — IX პირველად გამოქვეყნდა ლეგალურ ჟურნალ «ობრაზოვანიეს» № 2-ში, 1906 წლის თებერვალი. მათ გაკეთებული აქვთ ქვესათაურები, რაც არ ჰქონიათ «ზარიაში» და 1905 წლის გამოცემაში გამოქვეყნებულ I — IV თავებს.

ვ ლ. ი ლ ი ნ ი ს (ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი ს) წიგნში «აგრარული საკითხი», ნაწ. I, რომელიც პეტერბურგში გამოიცა 1908 წელს, პირველად დაიბეჭდა ყველა ცხრა თავი ერთად კიდევ ორი ახლის, X და XI, მიმატებით, მასთან I — IV თავებს გაუკეთდა ქვესათაურები, ტექსტში შეტანილ იქნა ზოგიერთი რედაქციული ხასიათის ცვლილება და დაემატა რამდენიმე შენიშვნა.

თავი XII (უკანასკნელი) პირველად დაიბეჭდა 1908 წელს კრებულში «მიმდინარე ცხოვრება».

პირველი ცხრა თავი შეტანილია ამ ტომში, თავები X, XI და XII, დაწერილი 1907 წელს, შედის ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეოთხე გამოცემის მე-13 ტომში. — **121.**

38 «ო ბ რ ა ზ ო ვ ა ნ ი ე»—ყოველთვიური ლიტერატურული, მეცნიერულ-პოპულარული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1892-დან 1909 წლამდე. 1902 — 1908 წლებში ჟურნალში თანამშრომლობდნენ მარქსისტები. — **121.**

39 «რ უ ს ს კ ო ე ბ ო გ ა ტ ს ტ ვ ო» — ყოველთვიური ჟურნალი, გამოდიოდა პეტერბურგში 1876-დან 1918 წლის შუახანებამდე. 90-იანი

წლების დასაწყისიდან ჟურნალი ლიბერალური ნაროდნიკების ორგანო გახდა და მას რედაქტორობდნენ ს. ნ. კრივენკო და ნ. კ. მიხაილოვსკი. ჟურნალი ქადაგებდა მეფის მთავრობასთან შერიგებას და მასთან ყოველგვარ რევოლუციურ ბრძოლაზე ხელის აღებას, გააფთრებულ ბრძოლას ეწეოდა მარქსიზმისა და რუსი მარქსისტების წინააღმდეგ. — **123.**

40 «ნ ა ბ ა ლ ი ო» — «ლეგალური მარქსისტების» ყოველთვიური ლიტერატურული, მეცნიერული და პოლიტიკური ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1899 წლის პირველ ნახევარში პ. ბ. სტრუვეს, მ. ი. ტუგან-ბარანოვსკისა და სხვ. რედაქციით. ჟურნალში «ლეგალურ მარქსისტებს» გარდა თავიანთ სტატიებს ბეჭდავდნენ გ. ვ. პლეხანოვი, ვ. ი. ზასულიჩი და სხვ. ჟურნალი დახურა მეფის მთავრობამ 1899 წლის ივნისში.

ლენინმა ამ ჟურნალში გამოაქვეყნა რამდენიმე რეცენზია (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 4, გვ. 68 — 77, 103 — 115) და მესამე თავის ნაწილი წიგნიდან «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში» (სათაურით «კაპიტალისტური მეურნეობის მიერ საბატონო მეურნეობის განდევნა რუსეთის თანამედროვე მიწათმოქმედებაში») (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 3, გვ. 204 — 242).

ლენინს მხედველობაში აქვს ბულგაკოვის სტატია «მიწათმოქმედების კაპიტალისტური ევოლუციის საკითხისათვის», რომელიც დაიბეჭდა ჟურნალის №№ 1 — 2 და 3-ში 1899 წლის იანვარ—თებერვლისა და მარტის წიგნებში. — **124.**

41 «ქ ი ზ ნ» — ყოველთვიური ჟურნალი, გამოდიოდა პეტერბურგში 1897-დან 1901 წლამდე; 1902 წელს გამოდიოდა საზღვარგარეთ. 1899 წლიდან ჟურნალი «ლეგალური მარქსისტების» ორგანო იყო.

ლენინმა ამ ჟურნალში დაბეჭდა სტატია «პასუხი ბ-ნ პ. ნეჟდანოვს, № 12, 1899 წლის დეკემბერი და ორი სტატია სათაურით «კაპიტალიზმი სოფლის მეურნეობაში (კაუტსკის წიგნისა და ბ-ნ ბულგაკოვის სტატიის შესახებ)», №№ 1 და 2, 1900 წლის იანვარი და თებერვალი (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც. ტომი 4, გვ. 188—195, 117—187).—**124.**

42 მ ა ლ თ უ ზ ი ა ნ ო ბ ა — რეაქციული თეორია ინგლისელი ბურჟუაზიული ეკონომისტის მალთუსისა (1766 — 1834), რომელიც ამტკიცებდა, რომ სოციალურ უბედურებათა მოსპობა შეიძლება მხოლოდ მოსახლეობის ზრდის ხელოვნურად შემცირებით, ქორწინებისა და შვილოსნობისაგან თავშეკავებით. — **131.**

43 იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 581. — **137.**

44 იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 657. — **138.**

45 იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 654 — 656. — **139.**

46 იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 656 — 657. — **139.**

47 კ ლ ა ნ უ რ ი ს ი ს ტ ე მ ა — მიწის გვაროვნული საკუთრება. — **142.**

48 იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 573. — **145.**

49 იხ. კ. მარქსი. «ზედმეტი ღირებულების თეორიები», ტ. II, ნაწ. 2, 1936, გვ. 57 — 58. — **150.**

50 «S o z i a l i s t i s c h e M o n a t s h e f t e» («სოციალისტური ყოველთვიური») — ჟურნალი, გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტთა მთავარი ორგანო და საერთაშორისო ოპორტუნიზმის ერთ-ერთი ორგანო. 1914 — 1918 წლების მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს სოციალ-შოვინიზმის პოზიცია ეკავა. გამოდიოდა ბერლინში 1897-დან 1933 წლამდე. — **160.**

51 «D i e N e u e Z e i t» («ახალი დროება») — გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ჟურნალი, გამოდიოდა შტუტგარტში 1883-დან 1923 წლამდე. 1885 — 1895 წლებში «Die Neue Zeit»-ში გამოქვეყნდა ფ. ენგელსის ზოგიერთი სტატია. ის ხშირად აძლევდა მითითებას ჟურნალის რედაქციას და მკაცრად აკრიტიკებდა მას მარქსიზმისგან გადახვევისთვის. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ფ. ენგელსის გარდაცვალების შემდეგ, ჟურნალი ატარებდა კაუტსკიანურ შეხედულებებს და სისტემატურად ბეჭდავდა რევიზიონისტთა სტატიებს. მსოფლიო იმპერიალისტური ომის (1914 — 1918) წლებში ცენტრისტული პოზიცია ეკავა, ფაქტიურად კი მხარს უჭერდა სოციალ-შოვინისტებს. — **168.**

52. გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი კ ა ნ ო ნ ი ს ო ც ი ა ლ ი ს ტ ე ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ გერმანიაში შემოიღეს 1878 წელს. ამ კანონით აკრძალული იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყველა ორგანიზაცია, მასობრივი მუშათა ორგანიზაციები. მუშათა პრესა, ხდებოდა სოციალისტური ლიტერატურის კონფისკაცია, დაიწყო სოციალ-დემოკრატების გადასახლება. მასობრივი მუშათა მოძრაობის ზეგავლენით კანონი გაუქმებულ იქნა 1890 წელს. — **181.**

53 «V o r w ä r t s» («წინ») — გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური ორგანო; გაზეთის გამოსვლა დაიწყო 1876 წლიდან ვ. ლიბკნეხტის და სხვათა რედაქციით. გაზეთში ფ. ენგელსი ბრძოლას ეწეო-

და ოპორტუნიზმის ყველგვარი გამოხატულების წინააღმდეგ. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ენგელსის გარდაცვალების შემდეგ, «Vorwärts»-ში სისტემატურად იბეჭდებოდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიასა და II ინტერნაციონალში გაბატონებული ოპორტუნისტების სტატიები. — **181.**

54 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «კომუნისტური პარტიის მანიფესტი», 1939, გვ. 32. — **187.**

55 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XV, 1935, გვ. 73 — 74. — **188.**

56 იხ. ფ. ენგელსი. «ანტი-დიურინგი», 1945, გვ. 269 — 282. — **188.**

57 ნ. —ონ-ი, ნიკოლაი —ონი (ნ. ფ. დანიელსონის ფსევდონიმი)—XIX საუკუნის 80 — 90-იანი წლების ლიბერალური ნაროდნიკობის ერთ-ერთი იდეოლოგი. — **192.**

58 «Der Volksstaat» — («სახალხო სახელმწიფო») — გაზეთი, გერმანიის სოციალ-დემოკრატიის — ეიზენახელთა პარტიის ცენტრალური ორგანო: გამოდიოდა ლაიფციგში 1869-დან 1876 წლამდე ვ. ლიბკნეხტის რედაქციით. გაზეთში თანამშრომლობდნენ კ. მარქსი და ფ. ენგელსი. — **193.**

59 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XV, 1935, გვ. 60.—**194.**

60 ლენინს ციტატი მოჰყავს ნაშრომის «საბინაო საკითხის» მეორე გამოცემის ფ. ენგელსის წინასიტყვაობიდან (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნაწ. I, 1937, გვ. 276). — **194.**

61 რ უ თ ი — ქალის სახელი, რომელიც, ბიბლიის (დაბადების) მითოლოგიით, თავთავს კრეფდა სხვის ყანაში. გამოთქმა «რ უ თ ი ს მ ი ე რ თ ა ვ თ ა ვ ი ს კ რ ე ფ ა» აქ ნახმარია იოლი, უზრუნველი შრომის აღნიშვნის აზრით. — **207.**

62 «ს ო ც ი ა ლ უ რ ი პ ო ლ ი ტ ი კ ი ს კ ა ვ შ ი რ ი» («Verein für Sozialpolitik») — გერმანელ ბურჟუაზიულ ეკონომისტთა გაერთიანება; დაარსებულია 1872 წელს. კავშირი მიზნად ისახავდა მუშათა კლასზე სოციალ-დემოკრატიის გავლენის ლიკვიდაციას და ბურჟუაზიის ინტერესებისადმი მუშათა მოძრაობის დამორჩილებას. — **222.**

63 იხ. კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 711. — **230.**

64 იხ. ნ. შჩედრინი (მ. ე. სალტიკოვი). თხზულებათა სრული კრებული, ტ. XV, 1940, გვ. 101 — 102. — **240.**

65 ჟურნალ «ობრაზოვანიეში» პირველად გამოქვეყნებული VII და IX თავების ტექსტიდან ჩანს, რომ ლენინს განზრახული ჰქონდა ამ ნაშრომში განეხილა საფრანგეთის სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკის მონაცემები და ანალიზი გაეკეთებინა ფრანგი ეკონომისტის, მორისის «კრიტიკულ» შეხედულებათათვის. მაგრამ ეს გეგმა განუხორციელებელი დარჩა, და 1908 წლის გამოცემაში ლენინმა შეცვალა ტექსტის სათანადო ადგილები, რომლებიც მოწმობდნენ მის თავდაპირველ განზრახვას. მაგალითად, ფრაზაში: «გლეხობის პროლეტარიზაცია გრძელდება, — ამას ჩვენ ცხადვყოფთ ქვემოთ გერმანული და ფრანგული სტატისტიკის მასობრივი ცნობებით...» გამოტოვებული იყო ორი სიტყვა — «და ფრანგული». ფრაზაში: «ქალაქთა სწრაფი ზრდა განუხრელად ადიდებს ასეთ «მერძევე ფერმერთა» რიცხვს და. რა თქმა უნდა, ყოველთვის მოიძებნებიან ჰეხტები, დავიდები, ჰერცები და ჩერნოვები (აგრეთვე, — საფრანგეთს რომ არ ვაწყენინოთ, — მორისები, რომლის შესახებ ქვემოთ ვილაპარაკებთ)...» გამოტოვებული იყო ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები. ფრაზის ბოლო: «ამიტომ, ამ პროცესების ერთმანეთში არევით ან ერთ-ერთი მათგანის უგულებელყოფით ადვილად შეიძლება უაღრესად უხეშ შეცდომებში ჩავარდნა, რომელთა ნიმუშებს ჩვენ დავინახავთ ქვემოთ, როცა გავიხილავთ ბ-ნ ბულგაკოვის დასკვნებს ფრანგული ცნობებიდან» შეცვლილ იქნა ახლით: «რომელთა ნიმუშები მრავლადაა გაფანტული ბულგაკოვის წიგნში». — **276.**

66 «გ ა მ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ე ლ ი ყ რ ი ლ ო ბ ა», რომელიც მიმდინარეობდა ციურიხში 1901 წლის 21 — 22 სექტემბერს (4 — 5 ოქტომბერს), წარმოადგენდა რუსული საზღვარგარეთული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების პრინციპულ მარქსისტულ პლატფორმაზე გაერთიანების ცდას. ყრილობას დაესწრნენ «ისკრა» — «ზარიას» ორგანიზაციის. «სოციალ-დემოკრატის» ორგანიზაციის (რომელშიც შედიოდა «შრომის განთავისუფლების» ჯგუფი), «რუსი სოციალ-დემოკრატების საზღვარგარეთული კავშირის», ბუნდისა და «ბრძოლის» ჯგუფის საზღვარგარეთული განყოფილების წარმომადგენლები.

ყრილობის მოწვევას წინ უსწრებდა იმავე ორგანიზაციების წარმომადგენელთა კონფერენცია 1901 წლის ივნისს ჟენევაში. კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია როგორც შეთანხმებისა და ერთად მუშაობის პრინციპული საფუძველი.

ნავარაუდევი დაახლოება ოფიციალურად უნდა გაფორმებულიყო «გამაერთიანებელ» ყრილობაზე. მაგრამ კავშირის ხელმძღვანელთა სტა-

ტიებმა, რომლებიც გამოქვეყნდა «რაბოჩეე დელოს» № 10-ში 1901 წლის სექტემბერს, ჟენევის კონფერენციის რეზოლუციების შესწორებებმა და დამატებებმა, რომლებიც კავშირის წარმომადგენლებმა შეიტანეს ყრილობაზე, ცხადჰყვეს, რომ კავშირი წინანდებურად ოპორტუნისტულ პოზიციებზე იდგა. «ისკრისა» და «სოციალ-დემოკრატის» ორგანიზაციის წარმომადგენლებმა განცხადება გამოაქვეყნეს და ყრილობა დატოვეს.

ვ. ი. ლენინი დაესწრო «გამაერთიანებელ» ყრილობას და «ფრეის» სახელით გამოდიოდა. ეს იყო ლენინის პირველი საჯარო გამოსვლა საზღვარგარეთ მყოფი რუსი სოციალ-დემოკრატების წინაშე. — 279.

67 «რუსი სოციალ-დემოკრატების საზღვარგარეთული კავშირი» დაარსდა 1894 წელს ჟენევაში «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის ინიციატივით. თავდაპირველად «შრომის განთავისუფლების» ჯგუფი ხელმძღვანელობდა კავშირს და რედაქტორობდა მის გამოცემებს. შემდგომ კავშირში უპირატესობა მიიღეს ოპორტუნისტულმა ელემენტებმა («ახალგაზრდებმა» — «ეკონომისტებმა»). 1898 წლის ნოემბერს კავშირის პირველ ყრილობაზე «შრომის განთავისუფლების» ჯგუფმა უარი თქვა მის გამოცემათა რედაქტირებაზე. საბოლოო გათიშვა და «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის კავშირიდან გამოსვლა მოხდა 1900 წლის აპრილში კავშირის მეორე ყრილობაზე, როცა «შრომის განთავისუფლების» ჯგუფმა და მისმა თანამოაზრეებმა დასტოვეს ყრილობა და შექმნეს დამოუკიდებელი ორგანიზაცია «სოციალ-დემოკრატი». — 281.

68 ორგანიზაცია «სოციალ-დემოკრატი» წარმოიშვა 1900 წლის მაისში, «რუსი სოციალ-დემოკრატების საზღვარგარეთული კავშირის» გათიშვის შემდეგ, რაც მის II ყრილობაზე მოხდა (ჟენევაში 1900 წლის აპრილს). ორგანიზაციამ გამოუშვა რამდენიმე ბროშურა. 1901 წლის ოქტომბერში ის «ისკრა» — «ზარიას» საზღვარგარეთულ განყოფილებასთან ერთად გაერთიანდა «რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთულ ლიგად». — 281.

69 მთა და ჟირონდა — ბურჟუაზიის ორი პოლიტიკური დაჯგუფების სახელწოდება საფრანგეთის XVIII საუკუნის დამლევის ბურჟუაზიული რევოლუციის პერიოდისა. მთას — იაკობინელებს — უწოდებდნენ თავისი დროის რევოლუციური კლასის — ბურჟუაზიის — ყველაზე გაბედულ წარმომადგენლებს, რომლებიც იცავდნენ აბსოლუტიზმისა და ფეოდალიზმის მოსპობის აუცილებლობას. იაკობინელებისგან განსხვავებით ჟირონდისტები მერყეობდნენ რევოლუციასა და კონტრრევოლუციას შორის და მონარქიასთან შეთანხმების გზას ადგნენ.

«სოციალისტურ ჟირონდას» ლენინი უწოდებდა ოპორტუნისტულ მიმდინარეობას სოციალ-დემოკრატიაში; პროლეტარულ იაკობინელებს, «მთას» — რევოლუციურ სოციალ-დემოკრატებს. მას შემდეგ, რაც რსდმპ ბოლშევიკებად და მენშევიკებად გაითიშა, ლენინი ხშირად ხაზგასმით აღნიშნავდა, მენშევიკები ჟირონდისტულ მიმდინარეობას წარმოადგენენ მუშათა მოძრაობაშიო. — **284.**

70 «ლ უ ბ ე კ ი ს პ ა რ ტ ე ი ტ ა გ ი» — გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ყრილობა, რომელიც მიმდინარეობდა ლუბეკში 1901 წლის 9 — 15 (22 — 28) სექტემბერს. ყრილობის მუშაობაში ცენტრალური ადგილი დაიკავა რევიზიონიზმთან ბრძოლის საკითხმა; ამ დროისთვის რევიზიონიზმი ჩამოყალიბდა პარტიის მემარჯვენე ფრთად თავისი საკუთარი პროგრამით და ლიტერატურული ორგანოთი «Sozialistische Monatshefte» («სოციალისტური ყოველთვიური»). რევიზიონისტთა ლიდერი ბერნშტეინი, რომელიც ყრილობამდე დიდი ხნით ადრე გამოვიდა მეცნიერული სოციალიზმის რევიზიით, ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში მოითხოვდა მარქსიზმის «კრიტიკის თავისუფლებას». ყრილობამ უარჰყო ბერნშტეინის მომხრეების მიერ წარდგენილი რეზოლუციის პროექტი. ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში პირდაპირი გაფრთხილება ეძლეოდა ბერნშტეინს, მაგრამ პრინციპულად არ ყოფილა დაყენებული მუშათა პარტიის რიგებში ბერნშტეინელების ყოფნის შეუძლებლობის საკითხი. — **284.**

71 «რ უ ს ე თ ი ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს მ უ შ ა თ ა პ ა რ ტ ი ა» — ნაროდნიკული მიმართულების პატარა ორგანიზაცია, რომელიც არსებობდა 1899 — 1902 წლებში მინსკში, ბელოსტოკსა და ზოგიერთ სხვა ქალაქში. 1902 წელს ამ ორგანიზაციის წევრები ესერების პარტიაში შევიდნენ. — **285.**

72 ბ უ ნ დ ი — «ებრაელთა საყოველთაო მუშათა კავშირი ლიტვაში, პოლონეთსა და რუსეთში» — შეიქმნა 1897 წელს, უმთავრესად აერთიანებდა რუსეთის დასავლეთ ოლქების ებრაელ ხელოსნებს. რსდმპ I ყრილობაზე, 1898 წლის მარტში, ბუნდი შევიდა რსდმპ-ში. რსდმპ II ყრილობაზე ბუნდელები გამოვიდნენ მოთხოვნით — ეცნოთ ბუნდი ებრაელი პროლეტარიატის ერთადერთ წარმომადგენლად. მას შემდეგ, როცა ყრილობამ უარჰყო ბუნდის ორგანიზაციული ნაციონალიზმი, ბუნდი გამოვიდა პარტიიდან.

1906 წელს, IV («გამაერთიანებელი») ყრილობის შემდეგ ბუნდი კვლავ შევიდა რსდმპ-ში. ბუნდელები მუდამ მხარს უჭერდნენ მენშევიკებს და განუწყვეტლივ იბრძოდნენ ბოლშევიკების წინააღმდეგ. ბუნდი ფორმალურად შედიოდა რსდმპ შემადგენლობაში, არსებითად კი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ხასიათის ორგანიზაცია იყო. ბოლ-

შევიკების პროგრამულ მოთხოვნას — ერთა თვითგამორკვევის უფლებას — ბუნდი უპირისპირებდა კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის მოთხოვნას. 1914 — 1918 წლების პირველი მსოფლიო ომის დროს ბუნდელები სოციალ-შოვინიზმის პოზიციებზე იდგნენ; 1917 წელს ბუნდი მხარს უჭერდა კონტრრევოლუციურ დროებით მთავრობას, იბრძოდა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მტრების მხარეზე. სამოქალაქო ომის წლებში ცნობილი ბუნდელები მჭიდროდ დაუახლოვდნენ კონტრრევოლუციის ძალებს. ამავე დროს ბუნდის რიგითს წევრებს შორის დაიწყო გარდატეხა საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის სასარგებლოდ. როცა ნათლად გამოაშკარავდა პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვება შინაურ კონტრრევოლუციასა და უცხოელ ინტერვენტებზე, ბუნდმა განაცხადა — ხელს ვიღებ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაზეო. 1921 წლის მარტში ბუნდმა თვითლიკვიდაცია მოახდინა, მის წევრთა ერთი ნაწილი შევიდა რკპ(ბ)-ში საერთო საფუძველზე. პარტიაში შესულ ბუნდელებს შორის იყვნენ თვალთმაქცნი, რომლებიც პარტიაში იმ მიზნით შევიდნენ, რომ შიგნიდან გამოეთხარათ მისთვის ძირი; შემდგომ ისინი მხილებულ იქნნენ როგორც ხალხის მტრები. — 288.

73 ლენინს მხედველობაში აქვს პროკლამაცია «პ ი რ ვ ე ლ ი წ ე რ ი ლ ი დ ა მ შ ე უ ლ ი გ ლ ე ხ ე ბ ი ს ა დ მ ი», რომელიც გამოვიდა 1892 წელს ხელმოწერით: «გლეხთა კეთილისმდომნი». პროკლამაცია დაიბეჭდა დაახლოებით 1800 ეგზემპლარი პეტერბურგის «ნარჟდოვოლცების ჯგუფის» არალეგალურ ეგრეთწოდებულ ლახტის სტამბაში. — 295.

74 «რ უ ს ე თ ი ს რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი ი ს ს ა ზ ღ ვ ა რ გ ა რ ე თ უ ლ ი ლ ი გ ა» დაარსდა ვ. ი. ლენინის ინიციატივით 1901 წლის ოქტომბერში. ლიგის შემადგენლობაში შევიდნენ «ისკრა» — «ზარიას» ორგანიზაციის საზღვარგარეთული განყოფილება და ორგანიზაცია «სოციალ-დემოკრატი» (რომელშიც შედიოდა «შრომის განთავისუფლების» ჯგუფი). ლიგა «ისკრის» საზღვარგარეთული წარმომადგენელი იყო. მან გამოსცა რამდენიმე ბიულეტენი და ბროშურა, მათ შორის ვ. ი. ლენინის ბროშურა «ს ო ფ ლ ის ღ ა რ ი ბ ებ ი ს ა დ მ ი». რსდმპ II ყრილობამ ლიგა დაამტკიცა ერთადერთ საზღვარგარეთულ პარტიულ ორგანიზაციად, რომელსაც კომიტეტის საწესდებო უფლებები ჰქონდა. II ყრილობის შემდეგ «საზღვარგარეთულ ლიგაში» გამაგრდნენ მენშევიკები და იქიდან გააჩაღეს ბრძოლა ლენინის წინააღმდეგ, ბოლშევიკების წინააღმდეგ. — 300.

75 პირველი თავი ლენინის ნაშრომისა «შინაური მიმოხილვა» გამოვიდა ცალკე ბროშურად (ორი გამოცემა) სათაურით: «დამშეულებთან

ბრძოლა». პირველი გამოცემა გამოვიდა «ზარიას» № 2 — 3-დან ცალკე ამონაბეჭდის სახით; მეორე გამოცემა დაიბეჭდა კიშინიოვის ისკრულ არალეგალურ სტამბაში სამი ათას ცალად. — 318.

76 ლენინს ციტატი მოჰყავს მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის ნაწარმოებიდან «ერთი ქალაქის ისტორია» (იხ. ნ. შჩედრინი (მ. ე. სალტიკოვი). თხზულებათა სრული კრებული, ტ. IX, 1934, გვ. 427). — 325.

77 ლენინს მხედველობაში აქვს ნიკოლაი —ონის (ნ. ფ. დანიელსონის) წიგნი «ჩვენი რეფორმისშემდგომი საზოგადოებრივი მეურნეობის ნარკვევები», გამოცემული პეტერბურგში 1893 წელს. — 344.

78 «რ უ ს ს კ ი ე ვ ე დ ო მ ო ს ტ ი» — გაზეთი, სცემდნენ მოსკოვში 1863 წლიდან მოსკოვის უნივერსიტეტის ლიბერალი პროფესორები და ერობის მოღვაწენი; გაზეთი გამოხატავდა ლიბერალური მემამულეებისა და ბურჟუაზიის ინტერესებს. 1905 წლიდან — მემარჯვენე კადეტების ორგანო; 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დახურულ იქნა სხვა კონტრრევოლუციურ გაზეთებთან ერთად. — 346.

79 «ს ვ ო ბ ო დ ნ ო ე ს ლ ო ვ ო» — გამომცემლობა, რომელიც საზღვარგარეთ (ინგლისი, შვეიცარია) სცემდა ლ. ნ. ტოლსტოის რუსეთის ცენზურის მიერ აკრძალულ ნაწარმოებებს და მეფის მთავრობის მიერ სექტანტების დევნის წინააღმდეგ მიმართულ ბროშურებს. 1889-დან 1901 წლამდე გამომცემლობა უშვებდა ჟურნალს «სვობოდნაია მისლს», ხოლო 1901-დან 1905 წლამდე ჟურნალს «სვობოდნოე სლოვოს». — 366.

80 «ი უ ჟ ნ ი რ ა ბ ო ჩ ი» — სოციალ-დემოკრატიული გაზეთი, არალეგალურად სცემდა იმავე სახელწოდების ჯგუფი 1900 წლის იანვრიდან 1903 წლის აპრილამდე; სულ გამოვიდა 12 ნომერი. გაზეთი უმთავრესად ვრცელდებოდა სამხრეთ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში.

ლენინი «იუჟნი რაბოჩის» ჯგუფს აკუთვნებდა იმ ორგანიზაციებს, «რომლებიც «ისკრას» ხელმძღვანელ ორგანოდ თვლიდნენ სიტყვიერად, სინამდვილეში კი თავიანთ განსაკუთრებულ გეგმებს ისახავდნენ და რომელთაც პრინციპული მერყეობა ახასიათებდა». ჯგუფი არსებობდა რსდმპ II ყრილობამდე. ჯგუფის ხელმძღვანელი შემადგენლობის უმრავლესობა შემდგომ მენშევიკები გახდნენ. — 388.

81 ლენინი ციტატს კ. მარქსისადმი ფ. ლასალის 1852 წლის 24 ივნისის წერილიდან იძლევა საკუთარი თარგმანით (იხ. «ფერდინანდ ლასალის წერილები კ. მარქსისა და ფ. ენგელსისადმი», სპბ. 1905, გვ. 53). — 397.

82 1876 წლის 6 (18) დეკემბრის დემონსტრაცია მოაწყეს მუშებმა და სტუდენტებმა თვითმპყრობელობის თვითნებობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. გ. ვ. პლეხანოვმა, რომელიც მონაწილეობას იღებდა დემონსტრაციაში, რევოლუციური სიტყვა წარმოთქვა, დემონსტრაცია პოლიციამ გარეკა. ბევრი მისი მონაწილე დააპატიმრეს და მიუსაჯეს გადასახლება ან საკატორღო მუშაობა. — 399.

83 კრებული «პროლეტარსკაია ბორბა» № 1 გამოსცა «ურალის სოციალ-დემოკრატიულმა ჯგუფმა»; დაიბეჭდა 1899 წელს ჯგუფის სტამბაში. ამ კრებულის ავტორები «ეკონომიზმის» პოზიციებზე იდგნენ და უარყოფდნენ მუშათა კლასის დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტიის შექმნის აუცილებლობას, მათ ეგონათ, რომ პოლიტიკური რევოლუცია შეიძლება მოხდეს საყოველთაო გაფიცვით, მასების წინასწარ დაურაზმავად და მოუმზადებლად, შეიარაღებული აჯანყების მოუხდენლად. — 421.

84 «სოციალ-დემოკრატიული მუშათა ბიბლიოთეკა» — იმ ბროშურების სერია, რომელთაც არალეგალურად სცემდნენ ვილნოსა და პეტერბურგში 1900 — 1901 წლებში. — 421.

85 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «კომუნისტური პარტიის მანიფესტი», 1939, გვ. 37. — 422.

86 იგულისხმება სტუდენტთა საყოველთაო გაფიცვა, მოწყობილი 1901 — 1902 წლის ზამთარში. გაფიცვაში მონაწილეობას იღებდა 30 ათასი კაცი. — 423.

87 ლენინს მხედველობაში აქვს დრეიფუსის საქმე; დრეიფუსი იყო საფრანგეთის გენერალური შტაბის ოფიცერი, ებრაელი, რომელსაც 1894 წელს სამხედრო სასამართლომ სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა ჯაშუშობისა და სახელმწიფო ღალატის აშკარად ცრუ ბრალდების გამოეს პროვოკაციული პროცესი საფრანგეთის რეაქციულმა წრეებმა მოაწყეს. დრეიფუსის დასაცავად საფრანგეთში გაჩაღებულმა საზოგადოებრივმა მოძრაობამ გამოაშკარავა სასამართლოს მექრთამეობა და გაამწვავა პოლიტიკური ბრძოლა რესპუბლიკელებსა და მონარქისტებს შორის. 1899 წელს დრეიფუსი შეიწყალეს და გაათავისუფლეს. დრეიფუსი გამართლდა მხოლოდ 1906 წელს საქმის ხელახლა გადასინჯვის დროს. — 423.

88 წიგნი «რა ვაკეთოთ? ჩვენი მოძრაობის საჭირბოროტო საკითხები» ლენინმა დაწერა 1901 წლის დამლევს — 1902

წლის დამდეგს. სტატიაში «რით დავიწყოთ?», რომელიც გამოქვეყნდა «ისკრის» № 4-ში (1901 წლის მაისს), ლენინი წერდა, რომ სტატია წარმოადგენს «გეგმის მონასახს, რომელსაც უფრო ვრცლად ვავითარებთ დასაბეჭდად გამზადებულ ბროშურაშიო».

ლენინი წიგნზე მუშაობას პირისპირ შეუდგა 1901 წლის შემოდგომაზე. «ბროშურის ««გამაერთიანებელი» ყრილობის დოკუმენტების» წინასიტყვაობაში», რომელიც დაწერილია 1901 წლის ნოემბერში, ლენინი წერდა, რომ ნაშრომი «მზადდება და მოკლე ხანში გამოქვეყნდება». დეკემბერში «ისკრის» № 12-ში ლენინმა გამოაქვეყნა სტატია «საუბარი ეკონომიზმის დამცველებთან», რომელსაც შემდგომ წიგნის «რა ვაკეთოთ?» კონსპექტს უწოდებდა. 1902 წლის თებერვალში ლენინმა დაწერა ამ წიგნის წინასიტყვაობა. მარტის დამდეგს წიგნი «რა ვაკეთოთ?» გამოსცა შტუტგარტში დიტიცის გამომცემლობამ, რის შესახებ იტყობინებოდა «ისკრა» № 18, 1902 წლის 10 მარტს.

წიგნში «რა ვაკეთოთ?» წამოყენებულ და დასაბუთებულ ლენინის იდეებს იცავდა და ავითარებდა ამხანაგი სტალინი. მისი ბროშურა «გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე», რომელიც დაწერილია 1905 წლის გაზაფხულზე, პირდაპირ უდგება «რა ვაკეთოთს?» (იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. 1, გვ. 86 — 124). წიგნში «რა ვაკეთოთ?» განვითარებულ ლენინის იდეების დაცვას მიეძღვნა აგრეთვე ამხანაგ სტალინის სტატია «პასუხად «სოციალ-დემოკრატს»», რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ «პროლეტარიატის ბრძოლაში» 1905 წლის აგვისტოში (იხ. ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 1, გვ. 153 — 164). ლენინი მაღალ შეფასებას აძლევდა ამ სტატიას და აღნიშნავდა მასში მოცემული «ცნობილი საკითხის — «შეგნების გარედან შეტანის» საუცხოო დაყენებას».

1907 წელს ნაშრომის «რა ვაკეთოთ?» ხელმეორედ გამოცემისას კრებულში «12 წლის მანძილზე» ლენინმა გამოტოვა მეხუთე თავის «ა» პარაგრაფი: «ვინ დარჩა ნაწყენი სტატიით «რით დავიწყოთ?»?» და წინასიტყვაობაში აღნიშნა, ნაშრომს ვაქვეყნებ «სულ მცირეოდენი შემოკლებით, ვტოვებ მხოლოდ ორგანიზაციული ურთიერთობის დეტალებს ან წერილმან პოლემიკური ხასიათის შენიშვნებსო». ამავე დროს ლენინმა დაურთო ხუთი ახალი ტექსტქვეშა შენიშვნა.

ამ ტომში «რა ვაკეთოთ?» იბეჭდება 1902 წლის გამოცემის ტექსტის მიხედვით, რომელიც შეჯერებულია 1907 წლის გამოცემის ტექსტთან. — **431**.

80 ლასალიანელები და ეიზენახელები — ორი პარტია გერმანიის მუშათა მოძრაობაში XIX საუკუნის 60-იანი და 70-იანი წლების დამდეგს.

ლ ა ს ა ლ ი ა ნ ე ლ ე ბ ი — ფ. ლასალის მომხრეები და მიმდევრები. ლასალიანელების ძირითადი ბირთვი იყო «გერმანიის საყოველთაო მუშათა კავშირი», დაარსებული ლასალის მიერ 1863 წელს. ლასალიანელები აღიარებდნენ კაპიტალიზმის სოციალიზმად მშვიდობიანი გზით გარდაქმნის შესაძლებლობას მუშათა ასოციაციების შემწეობით, რომელთაც დახმარებას გაუწევდა კაპიტალისტური სახელმწიფო. ისინი ქადაგებდნენ მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის შეცვლას საყოველთაო საარჩევნო უფლებისათვის ბრძოლით და მშვიდობიანი შინაპარლამენტური მოღვაწეობით.

მარქსი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა ლასალიანელებს და აღნიშნავდა, რომ ისინი «მთელი რიგი წლების განმავლობაში ხელს უშლიდნენ პროლეტარიატის ორგანიზებას და იმით დაამთავრეს, რომ პოლიციის უბრალო იარაღი გახდნენ». ლასალიანელების თეორიულ შეხედულებათა და მათი ტაქტიკის შეფასება მარქსმა მოგვცა თავის ნაწარმოებებში «გოთას პროგრამის კრიტიკა», «ინტერნაციონალის მოჩვენებითი გათიშვა» და ენგელსთან მიწერ-მოწერაში.

ე ი ზ ე ნ ა ხ ე ლ ე ბ ი — მარქსიზმის მომხრეები, კ. მარქსისა და ფ. ენგელსის იდეური გავლენის ქვეშ მყოფნი. ვ. ლიბკნეხტისა და ა. ბებელის მეთაურობით მათ ეიზენახის ყრილობაზე 1869 წელს დააარსეს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია.

ამ პარტიებს შორის გაიფთრებული ბრძოლა წარმოებდა.

მუშათა მოძრაობის აღმავლობისა და მთავრობის რეპრესიების გაძლიერების გავლენით 1875 წელს გოთას ყრილობაზე ორივე პარტია შეერთდა გერმანიის ერთიან სოციალისტურ მუშათა პარტიად, რომელშიც ლასალიანელები ოპორტუნისტულ ფრთას წარმოადგენდნენ.

ლასალიანელებისა და ეიზენახელების დახასიათება ლენინმა მოგვცა სტატიაში «ავგუსტ ბებელი», რომელიც დაწერილია 1913 წლის აგვისტოში. — 487.

90 გ ე დ ი ს ტ ე ბ ი და პ ო ს ი ბ ი ლ ი ს ტ ე ბ ი — საფრანგეთის სოციალისტური მოძრაობის ორი მიმდინარეობა, წარმოშობილი 1882 წელს საფრანგეთის მუშათა პარტიის გათიშვის შემდეგ.

გ ე დ ი ს ტ ე ბ ი — ჟ. გედის მომხრეები — მემარცხენე, მარქსისტული მიმდინარეობა, რომელიც იცავდა პროლეტარიატის დამოუკიდებელ რევოლუციურ პოლიტიკას; 1901 წელს გედისტებმა შექმნეს საფრანგეთის სოციალისტური პარტია.

პ ო ს ი ბ ი ლ ი ს ტ ე ბ ი — წვრილბურჟუაზიული, რეფორმისტული მიმდინარეობა, რომელიც აშორებდა პროლეტარიატს ბრძოლის რევოლუციური მეთოდებისაგან. პოსიბილისტები წინადადებას იძლეოდნენ მუშათა კლასის მოქმედება განსაზღვრული ყოფილიყო კაპიტა-

ლიზმის დროს «შესაძლებელის» (possible — შესაძლებელია) ჩარჩოებით. 1902 წელს პოსიბილისტებმა სხვა რეფორმისტულ ჯგუფებთან ერთად შექმნეს ფრანგთა სოციალისტური პარტია.

1905 წელს საფრანგეთის სოციალისტური პარტია და ფრანგთა სოციალისტური პარტია ერთ პარტიად გაერთიანდნენ. 1914 — 1918 წლების იმპერიალისტური ომის პერიოდში ე. გედი ფრანგთა სოციალისტური პარტიის მთელ ხელმძღვანელობასთან ერთად სოციალშოვინიზმის პოზიციებზე გადავიდა. — **437.**

91 ფ ა ბ ი ა ნ ე ლ ე ბ ი — წევრები რეფორმისტული, ოპორტუნისტული «ფაბიანელთა საზოგადოებისა», რომელიც ბურჟუაზიული ინტელიგენციის ჯგუფმა დააარსა ინგლისში 1884 წელს. საზოგადოებას დაერქვა რომაელი სარდლის ფაბიუს კუნქტატორის («ზოზინას») სახელი, რომელიც ცნობილი იყო ლოდინის ტაქტიკით, გადამწყვეტი ბრძოლებისთვის თავის არიდებით. ფაბიანელები აშორებდნენ პროლეტარიატს კლასობრივ ბრძოლას, ქადაგებდნენ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე მშვიდობიან გადასვლას წვრილი რეფორმებით.

ფაბიანელების დახასიათება ენგელსმა მოგვცა 1893 წლის 18 იანვრის წერილში ზორგესადმი. ლენინს თავის ნაწარმოებებში არა ერთხელ დაუხასიათებია ფაბიანელები. იხ. მისი ნაშრომები: «წინასიტყვაობა წიგნის: «ი. ფ. ბეკერის, ი. დიცგენის, ფ. ენგელსის, კ. მარქსისა და სხვ. წერილები ფ. ა. ზორგესა და სხვებისადმი» რუსული თარგმანისა», «სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის რევოლუციაში», «ინგლისური პაციფიზმი და ინგლისელთა მხრივ თეორიის ათვალწუნება» და სხვ. — **437.**

92 ლენინს მოჰყავს ციტატი (საკუთარი თარგმანი) ფ. ენგელსის წინასიტყვაობიდან კ. მარქსის ნაშრომის — «ლუი ბონაპარტის მეთვრამეტე ბრიუმერის» მესამე გამოცემისათვის (იხ. კ. მარქსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, 1940, გვ. 251). — **439.**

93 «ბ ე ზ ზ ა გ ლ ა ვ ც ე ბ ი» — ჟურნალის «ბეზ ზაგლავია» ორგანიზატორები და მონაწილენი; ჟურნალს სცემდნენ პეტერბურგში 1906 წელს ს. ნ. პროკოპოვიჩი, ე. დ. კუსკოვა, ვ. ი. ბოგუჩარსკი და სხვ. «ბეზზაგლავცები» აშკარად აღიარებდნენ თავს რევიზიონიზმის მომხრეებად, მხარს უჭერდნენ მენშევიკებსა და ლიბერალებს, ილაშქრებდნენ პროლეტარიატის დამოუკიდებელი პოლიტიკის წინააღმდეგ. ლენინი «ბეზზაგლავცებს» უწოდებდა მომენშევიკო კადეტებს ან მოკადეტო მენშევიკებს. — **442.**

94 ი ლ ო ვ ა ი ს კ ი, დ. ი. (1832 — 1920) — ისტორიკოსი, ავტორი ისტორიის მრავალი ოფიციალური სახელმძღვანელოსი, რომლებიც ფარ-

თოდ იყო გავრცელებული რევოლუციამდელი რუსეთის «აწყებითსა» და საშუალო სკოლაში. მისი სახელმძღვანელოების მიხედვით ისტორია უმთავრესად წარმოადგენდა მეფეებისა და სარდლების მოღვაწეობის გადმოცემას; ისტორიულ პროცესებს განმარტავდა მეორეხარისხოვანი და შემთხვევითი გარემოებებით. — **444.**

95 კ ა თ ე დ ე რ-ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი — ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთი მიმართულება, რომელიც წარმოიშვა გერმანიაში XIX საუკუნის 70 — 80-იან წლებში. ამ მიმართულების წარმომადგენლები სოციალიზმის საბით უნივერსიტეტთა კათედრებიდან ქადაგებდნენ ბურჟუაზიულ-ლიბერალურ რეფორმიზმს. კათედერ-სოციალისტები ამტკიცებდნენ, თითქოს ბურჟუაზიული სახელმწიფო ზეკლასობრივია, რომელსაც შეუძლია შეარიგოს მტრული კლასები და თანდათან შემოიღოს «სოციალიზმი» ისე, რომ არ შელახოს კაპიტალისტთა ინტერესები და შეძლებისდაგვარად ანგარიში გაუწიოს მშრომელთა მოთხოვნებს. რუსეთში კათედერ-სოციალისტების შეხედულებებს ქადაგებდნენ «ლეგალური მარქსისტები». — **445.**

96 ჰ ა ნ ო ვ ე რ ი ს რ ე ზ ო ლ უ ც ი ა — რეზოლუცია «პარტიის ძირითად შეხედულებებსა და ტაქტიკაზე თავდასხმების» საკითხზე; რეზოლუცია მიიღო გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ყრილობამ, რომელიც შესდგა ჰანოვერში 1899 წლის 27 სექტემბერს — 2 ოქტომბერს (9 — 14 ოქტომბერს). ყრილობაზე ამ საკითხის განხილვა და სპეციალური რეზოლუციის მიღება გამოწვეული იყო იმით, რომ ოპორტუნისტები, ბერნშტეინის მეთაურობით, გამოვიდნენ მარქსისტული თეორიის რევიზიით და მოითხოვდნენ სოციალ-დემოკრატიის რევოლუციური პოლიტიკისა და ტაქტიკის გადასინჯვას. ყრილობის მიერ მიღებული რეზოლუცია უარყოფდა რევიზიონისტების მოთხოვნებს, მაგრამ მასში არ იყო მოცემული ბერნშტეინელობის კრიტიკა და მხილება. ამ რეზოლუციას ბერნშტეინის მომხრეებმაც მისცეს ხმა. — **445**

97 გერმანიის სოციალ-დემოკრატიის შ ტ უ ტ გ ა რ ტ ი ს ყ რ ი ლ ო ბ ა მ, რომელიც შესდგა 1898 წლის 21 — 26 სექტემბერს (3 — 8 ოქტომბერს), პირველად განიხილა გერმანიის სოციალ-დემოკრატიაში არსებული რევიზიონიზმის საკითხი. ყრილობაზე გამოაქვეყნეს ბერნშტეინის განცხადება (ბერნშტეინი ყრილობას არ დასწრებია), რომელშიც გადმოცემული იყო მისი ოპორტუნისტული შეხედულებანი, მის მიერ წინათ გამოთქმული მთელ რიგ სტატიებში, და იცავდა მათ. ბერნშტეინის მოწინააღმდეგეთა შორის ყრილობაზე ერთიანობა არ იყო. ზოგიერთნი (ბებელი, კაუტსკი და სხვ.) ემხრობოდნენ იდეურ ბრძოლას და ბერნშტეინის შეცდომათა კრიტიკას, მაგრამ წინააღმდეგნი

იყვნენ მის მიმართ ორგანიზაციული ზემოქმედების ზომების მიღებისა. სხვები — უმცირესობა — რ. ლუქსემბურგის მეთაურობით უფრო გაბედულად ილაშქრებდნენ ბერნშტეინელობის წინააღმდეგ. — **446.**

98 სტაროვერი — ა. ნ. პოტრესოვის, «ისკრის» რედაქციის წევრის, ფსევდონიმი. შემდეგ მენშევიკი. — **447.**

99 «მწერალზე, რომელიც გამედიდურდა» — ა. მ. გორკის ერთ-ერთი ადრინდელი მოთხრობის სათაური. — **449.**

100 ლენინს მხედველობაში აქვს კრებული «მასალები ჩვენი სამეურნეო განვითარების დახასიათებისათვის», დაბეჭდილი 2 000 ეგზემპლარად ლეგალურ სტამბაში 1905 წლის აპრილს. კრებულში მოთავსებულია ვ. ი. ლენინის სტატია (ვ. ტულინის ფსევდონიმით) «ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ-ნ სტრუვეს წიგნში (მარქსიზმის ასახვა ბურჟუაზიულ ლიტერატურაში)», მიმართული «ლეგალური მარქსისტების» წინააღმდეგ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 1, გვ. 397 — 616). — **451.**

101 «რუსეთის სოციალ-დემოკრატების პროტესტი» ლენინმა დაწერა გადასახლებაში ყოფნის დროს 1899 წელს. იგი მიმართული იყო «Credo»-ს — «ეკონომისტების» ჯგუფის (ს. ნ. პროკოპოვიჩის, ე. დ. კუსკოვას და სხვების, რომლებიც შემდგომ კადეტები გახდნენ) მანიფესტის წინააღმდეგ. ლენინმა «Credo» მიიღო თავისი დის ა. ი. ელიზაროვას საშუალებით და მაშინვე დაწერა მკაცრი მამხილებელი პროტესტი.

«პროტესტი» განიხილა და ერთხმად მიიღო პოლიტიკურ საქმეზე გადასახლებული 17 მარქსისტის თათბირმა, რომელიც მოიწვია ლენინმა მინუსინსკის ოლქის სოფ. ერმაკოვოში. გადასახლებულთა კოლონიები ტურუხანსკსა და ორლოვში (ვიატკის გუბერნია) შეუერთდნენ «პროტესტს».

«რუსეთის სოციალ-დემოკრატების პროტესტი» ლენინმა გადაუგზავნა საზღვარგარეთ «შრომის განთავისუფლების» ჯგუფს. 1900 წლის დამდეგს «პროტესტი» გ. ვ. პლეხანოვმა გადაბეჭდა კრებულში «Vademecum (გზის მაჩვენებელი. რ ედ.) «რაბოჩეე დელოს» რედაქციისათვის». — **453.**

102 «ბილო» — ისტორიული ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1906-დან 1907 წლამდე ყოველთვიური ჟურნალის სახით. 1908 წელს გამოდიოდა «მინუვშიე გოდის» სახელწოდებით და აკრძალულ იქნა მეფის მთავრობის მიერ. 1917 წლის ივლისს პეტროგრადში განახლდა ამ ჟურნალის გამოცემა და არსებობდა 1926 წლამდე. — **453.**

103 «Vademecum «რაბოჩეე დელოს» რედაქციისათვის» — მასალებისა და დოკუმენტების კრებული გ. ვ. პლეხანოვის წინასიტყვაობით; კრებული ამზელდა «რუსი სოციალ-დემოკრატების საზღვარგარეთული კავშირის» და ამ კავშირის ორგანოს — ჟურნალ «რაბოჩეე დელოს» რედაქციის ოპორტუნისტულ შეხედულებებს. კრებული შეადგინა გ. ვ. პლეხანოვმა და გამოსცა «შრომის განთავისუფლების» ჯგუფმა ჟენევაში 1900 წელს. — **454.**

104 «Profession de foi» — ფურცელი, რომელიც გადმოსცემდა კიევის კომიტეტის ოპორტუნისტულ შეხედულებებს; შედგენილია 1899 წლის დამლევს. ფურცლის შინაარსი ბევრ რამეში ემთხვევა «ეკონომისტების» ცნობილ «Credo»-ს. ამ დოკუმენტის კრიტიკა ლენინმა მოგვცა სტატიაში ««Profession de foi»-ს გამო» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტ. 4, გვ. 347 — 360). — **454.**

105 იხ. კ. მარქსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, 1940, გვ. 445. — **460.**

106 ლენინს საკუთარი თარგმანით მოჰყავს ციტატი ფ. ენგელსის წინასიტყვაობიდან მისივე ნაშრომისათვის «გლეხთა ომი გერმანიაში» (იხ. კ. მარქსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, 1940, გვ. 440 — 442). — **465.**

107 «რუსკაია სტარინა» — ყოველთვიური ისტორიული ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1870-დან 1918 წლამდე. — **470.**

108 «ს.-პეტერბურგსკი რაბოჩი ლისტოკ» — არალეგალური გაზეთი, პეტერბურგის «მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის» ორგანო. გამოვიდა ორი ნომერი: № 1 — 1897 წლის თებერვალში (დათარიღებულია იანვრით) (დაიბეჭდა რუსეთში მიმეოგრაფზე 300 — 400 ეგზემპლარად) და № 2 — 1897 წლის სექტემბერს ჟენევაში. — **471.**

109 «რაბოჩაია გაზეტა» — სოციალ-დემოკრატების კიევის ჯგუფის არალეგალური ორგანო. გამოვიდა ორი ნომერი: № 1 — 1897 წლის აგვისტოში და № 2 — იმავე წლის დეკემბერში (დათარიღებულია ნოემბრით). რსდმპ I ყრილობამ «რაბოჩაია გაზეტა» აღიარა პარტიის ოფიციალურ ორგანოდ. მაგრამ ყრილობის შემდეგ, პოლიციის მიერ სტამბის განადგურებისა და ცენტრალური კომიტეტის წევრთა დაპატიმრების გამო, გაზეთი აღარ გამოსულა. — **471.**

110 ლენინის მიერ მოხსენებული «კერძო კრება» შესდგა პეტერბურგში 1897 წლის 14 და 17 თებერვლის (26 თებერვლის და 1 მარ-

ტის) შუახანებში. კრებას დაესწრნენ ვ. ი. ლენინი, ა. ა. ვანეევი, გ. მ. კრჟიჟანოვსკი და პეტერბურგის «მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის» სხვა წევრები — «მოხუცნი», რომელნიც ციმბირის გადასახლებაში გაგზავნის წინ 3 დღით გამოუშვეს საპყრობილიდან, და «ახალგაზრდები», რომლებიც ლენინის დაპატიმრების შემდეგ «ბრძოლის კავშირს» ხელმძღვანელობდნენ. — **478.**

111 «ლისტოკ «რაბოტნიკა»» — ჟენევაში სცემდა «რუსი სოციალ-დემოკრატების საზღვარგარეთული კავშირი» 1896-დან 1899 წლამდე. გამოვიდა 10 ნომერი. «ლისტოკ «რაბოტნიკას»» 1 — 8 ნომრები გამოვიდა «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის რედაქციით. კავშირის წევრთა უმრავლესობის «ეკონომიზმისაკენ» შებრუნების გამო «შრომის განთავისუფლების» ჯგუფმა უარი თქვა მის გამოცემათა რედაქტირებაზე. «ლისტოკ «რაბოტნიკას»» № 9 — 10 გამოუშვა «კავშირის» მიერ შექმნილმა ახალმა რედაქციამ. — **473.**

112 «ვ. ი—ის სტატია» — ვ. პ. ივანშინის სტატია. — **474.**

113 ვ. ვ. — ვ. პ. ვორონცოვის, XIX საუკუნის 80 — 90-იანი წლების ლიბერალური ნაროდნიკობის ერთ-ერთი იდეოლოგის, ფსევდონიმი. «რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ვ. ვ»-ების სახით ლენინი გულისხმობს რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტული მიმდინარეობის წარმომადგენლებს — «ეკონომისტებს». — **476.**

114 ჰირშ-დუნკერის პროფკავშირები — გერმანიაში დაარსეს 1868 წელს ლიბერალურმა ბურჟუებმა — ჰირშმა და დუნკერმა, რომლებიც ქადაგებდნენ «კლასობრივი ინტერესების ჰარმონიას», აშორებდნენ მუშებს ბურჟუაზიის წინააღმდეგ რევოლუციურ, კლასობრივ ბრძოლას. პროფესიული მოძრაობის ამოცანებს ზოლდავდნენ ურთიერთდამხმარე სალაროებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციების ფარგლებით. — **483.**

115 «ნაკანუნე» — ნაროდნიკული მიმართულების ჟურნალი; გამოდიოდა რუსულ ენაზე ლონდონში 1899 წლის იანვრიდან 1902 წლის თებერვლამდე. გამოვიდა 37 ნომერი. ჟურნალი თავის ირგვლივ აჯგუფებდა სხვადასხვა წვრილბურჟუაზიული პარტიის წარმომადგენლებს. — **486.**

116 ნ. ბელტოვის ფსევდონიმით გ. ვ. პლეხანოვმა გამოაქვეყნა ცნობილი წიგნი «ისტორიაზე მონისტური შეხედულების განვითარების საკითხისათვის», რომელიც ლეგალურად გამოიცა პეტერბურგში 1895 წელს. — **495.**

417 ლაპარაკია სატირულ «უახლესი რუსი სოციალისტის ჰიმნზე», რომელიც გამოქვეყნდა «ზარიას» № 1-ში (1901 წლის აპრილს) «ნ ა რ ც ი ს ტ უ პ ო რ ი ლ ო ვ ი ს» ხელმოწერით. მასში დასცინოდნენ «ეკონომისტებს» და მათს შეგუებას სტიქიურ მოძრაობასთან. ლექსის ავტორი იყო ი. ო. მარტოვი. — **495.**

418 გაზეთ «ისკრაში», № 7 (1901 წლის აგვისტო), განყოფილებაში «მუშათა მოძრაობის ქრონიკა და წერილები ფაბრიკა-ქარხნებიდან» გამოქვეყნდა ერთი ფეიქარი მუშის წერილი, რაც მოწმობდა მოწინავე მუშებზე ლენინური «ისკრის» უდიდეს გავლენას.

«...მე ბევრ ამხანაგს ვუჩვენებდი «ისკრას» და მთელი ნომერი დაიჭერეს, ის კი ძვირფასია...», — წერდა ავტორი. «აქ ლაპარაკია ჩვენს საქმეზე, მთელ რუსეთის საქმეზე, რასაც კაპიკებით ვერ შეაფასებ და საათობით ვერ განსაზღვრავ; როცა მას კითხულობ, გასაგები ხდება, რატომ ეშინიათ ყანდარმებს და პოლიციას ჩვენი, მუშების, და ამ ინტელიგენტებისა, რომელთაც ჩვენ მივყვებით. ისინი, მართლაც, საშიშნი არიან მეფისთვისაც, მეპატრონეებისთვისაც, ყველასთვის და არა მარტო მეპატრონეთა ჯიბეებისთვის... მუშა ხალხი ახლა ადვილად აღინთება, უკვე ყველაფერი ღვიძდება ქვემოთ, საჭიროა მხოლოდ ნაპერწკალი, რომ ხანძარი გაჩნდეს. ოჰ, რა სწორად არის ნათქვამი, ნაპერწკლიდან ალი გაჩაღდებაო!.. წინათ ყოველი გაფიცვა დიდი ამბავი იყო, ახლა კი ყველა ხედავს, რომ მარტო გაფიცვა არაფერს არ წარმოადგენს, ახლა საჭიროა თავისუფლება მოვიპოვოთ, მკერდით დავიპყროთ იგი. ახლა ყველანი, მოხუციც და ახალგაზრდაც, ყველანი დავეწაფებოდით კითხვას, მაგრამ ჩვენი უბედურება ის არის, რომ წიგნები არა გვაქვს. გასულ კვირას შევყარე თერმეტი კაცი და მათ ვუკითხავდი: «რით დავიწყოთ?»; შუაღამემდე არ დავშლილვართ. რა სწორად არის ყოველივე ნათქვამი, რარიგად მისწვდომია ყველაფერს... გვინდა მაგ თქვენს «ისკრას» წერილი მივწეროთ, რომ მან არა მარტო ის გვასწავლოს, თუ როგორ დავიწყოთ, არამედ ისიც, თუ როგორ ვიცხოვროთ და დავიხოცოთ». — **545.**

419 «რ ო ს ს ი ა» — ზომიერ-ლიბერალური გაზეთი, რომელიც გამოდიოდა პეტერბურგში 1899-დან 1902 წლამდე. — **551.**

420 «ს.-პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ს კ ი ე ვ ე დ ო მ ო ს ტ ი» — გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1728 წლიდან როგორც გაგრძელება პირველი რუსული გაზეთის — «ვედომოსტისა», რომელიც 1703 წლიდან გამოდიოდა. 1728-დან 1874 წლამდე «ს.-პეტერბურგსკიე ვედომოსტის» სცემდნენ მეცნიერებათა აკადემიასთან, ხოლო 1875 წლიდან — სახალხო განათლების სამინისტროსთან. გაზეთი გამოდიოდა 1917 წლის დამლევამდე. — **554.**

121 იგულისხმება «მუშათა ჯგუფი კაპიტალთან ბრძოლისათვის» — პატარა ჯგუფი, თავისი შეხედულებებით «ეკონომიზმთან» ახლო მდგომი, შექმნილი 1899 წლის გაზაფხულზე პეტერბურგში. ჯგუფმა მიმეოგრაფით დაბეჭდა ფურცელი «ჩვენი პროგრამა», რომლის გავრცელება ვერ მოხერხდა ჯგუფის ჩავარდნის გამო. — 562.

122 N. N. — ს. ნ. პროკოპოვიჩი, ერთ-ერთი აქტიური «ეკონომისტი», შემდგომ კადეტი. — 571.

123 ლენინს მხედველობაში აქვს თავისი რევოლუციური მოღვაწეობა პეტერბურგში, 1893 — 1895 წლებში. — 592.

124 იგულისხმება ბროშურა «მოხსენება პარიზის 1900 წლის საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის შესახებ». მოხსენება «რუსი სოციალ-დემოკრატების საზღვარგარეთული კავშირის» დავალებით კონგრესს წარუდგინა «რაბოჩეე დელოს» რედაქციამ, ხოლო «კავშირმა» ცალკე ბროშურად გამოსცა ჟენევაში 1901 წელს. ბროშურაში შეტანილი იყო აგრეთვე ბუნდის მოხსენება («რუსეთისა და პოლონეთის ებრაელ მუშათა მოძრაობის ისტორია»). — 614.

125 ეს შენიშვნა ლენინმა დაურთო კონსპირაციული მიზნით. ფაქტები აქ აღნიშნულია სწორედ იმ რიგით, როგორც ისინი მოხდა. — 631.

126 იგულისხმება პეტერბურგის «მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის» მოლაპარაკება ლენინთან, რომელმაც 1897 წლის მეორე ნახევარში დაწერა ტექსტში მოხსენებული ორივე ბროშურა. — 632.

127 იგულისხმება ბუნდის ც. კ.-ის მოლაპარაკება ვ. ი. ლენინთან. — 632.

128 როცა ლენინი «მეოთხე ფაქტის» შესახებ მოგვითხრობს, მას მხედველობაში აქვს «რუსი სოციალ-დემოკრატების საზღვარგარეთული კავშირისა» და ბუნდის ცდა 1900 წლის შემოდგომაზე მოეწვიათ პარტიის მეორე ყრილობა. ლენინის მიერ მოხსენებული «კომიტეტის წევრი» არის ი. ხ. ლალაიანცი (ეკატერინოსლავის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის წევრი), რომელიც 1900 წლის თებერვალს ჩავიდა მოსკოვში ვ. ი. ლენინთან მოსალაპარაკებლად. — 633.

129 ლენინს ციტატი მოჰყავს დ. ი. პისარევის სტატიიდან «მოუმწიფებელი აზრის შეცდომები» (იხ. დ. ი. პისარევი. რჩეული თხზულებანი ორ ტომად, ტ. II, 1935, გვ. 124, 125). — 650.

130 ლენინს მხედველობაში აქვს შემდეგი ადგილი კ. მარქსის ნაშრომიდან «ლუი ბონაპარტის მეთვრამეტე ბრიუმერი»:

«ჰეგელი სადღაც შენიშნავს, ყველა დიდი მსოფლიო-ისტორიული ამბავი და პიროვნება, ასე ვთქვათ, ორჯერ გვევლინებიანო. მას დაავიწყდა დაემატებინა: პირველად — როგორც ტრაგედია, მეორედ — როგორც ფარსი» (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. VIII. 1931, გვ. 323). — **651.**

131 ი ა ნ ი ჩ რ ე ბ ი — პრივილეგიური ქვეითი ჯარი სულთნის თურქეთში, გაუქმებული 1826 წელს. იანიჩრები ძარცვაედნენ მოსახლეობას, არაჩვეულებრივ სისასტიკეს იჩენდნენ. ლენინი იანიჩრებს უწოდებს მეფის პოლიციას. — **656.**

132 ეს დამატება ლენინმა გამოტოვა ნაშრომის «რა ვაკეთოთ?» ხელახლა გამოცემისას კრებულში «12 წლის მანძილზე» 1907 წელს. — **664.**

133 «ისკრის» № 18-ში, 1902 წლის 10 მარტს, განყოფილებაში «პარტიიდან» გამოქვეყნდა შენიშვნა ««ზარიას» პოლემიკა «Vorwärts»-ის რედაქციასთან», სადაც შეჯამებული იყო ეს პოლემიკა. — **670.**

ვ. ი. ლენინის
ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები

(*1901* წლის მაისი—*1902* წლის თებერვალი)

1901

მაისი, 13 (26)-მდე.	ლენინი იწყებს მუშაობას წიგნზე «რა ვაკეთოთ?».
მაისი, 13—15 (26—28).	გაზეთ «ისკრის» მე-4 ნომერში გამოქვეყნდა ლენინის სტატია «რითი დავიწყოთ?», სადაც მან ჩამოაყალიბა მუშათა კლასის რევოლუციური პარტიის აგების კონკრეტული გეგმა, რომელიც შემდგომ განვითარებულია წიგნში «რა ვაკეთოთ?».
მაისი — ივნისი.	ლენინი ხელმძღვანელობს გაზეთ «ისკრის» რუსეთში გადმოგზავნის მოწყობის საქმეს. ლენინი მოლაპარაკებას აწარმოებს ბაქოს ისკრულ ჯგუფთან ადგილობრივ არალეგალურ სტამბაში «ისკრის» გადაბეჭდვის შესახებ; სტამბას აწყობდა ვ. ზ. კეცხოველი ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით. ლენინი თავის წერილებში «ისკრის» აგენტებს მიუთითებს კიშინიოვის ისკრულ სტამბაში დაბეჭდონ მასალები «ისკრის» გამოსული ნომრებიდან.
ივნისი, 24-მდე (ივლისის დამდეგი).	ლენინი წერს სტატიას «ერობის მდევნელნი და ლიბერალიზმის ჰანიბალები».
ივნისი, 24 და 26 (ივლისი, 7 და 9).	ლენინი «ისკრის» რედაქციის წევრების წინაშე აყენებს პარტიული პროგრამის პროექტის შემუშავების საკითხს.
ივნისი, 24—ივლისი, 17 (ივლისი, 7—30).	«ისკრის» რედაქციაში ლენინის სტატიის «ერობის მდევნელნი და ლიბერალიზმის ჰანიბალები» განხილვისას აშკარავდება უთანხმოება ლენინსა და პლეხანოვს შორის ლიბერალებისადმი დამოკიდებულების საკითხში. ლენინი უარს ამბობს სტატიის საერთო ტონისა და ლიბერალების მიმართ პრინციპული პოზიციის შეცვლაზე.

ივნისი.	ლენინის სტატია «ახალი ხოცვა-ჟლეტა», მიძღვნილი ობუხოვის ქარხნის თავდაცვისადმი, გამოქვეყნდა «ისკრის» მე-5 ნომერში.
ივნისი—ხექტემბერი.	ლენინი წერს სტატიას «აგრარული საკითხი და «მარქსის კრიტიკოსები»», რომელიც მიმართულია რევიზიონისტების, აგრარული საკითხის მარქსისტული თეორიის «კრიტიკოსების» წინააღმდეგ.
ივლისი.	ლენინი წერილში ერთ-ერთი ისკრელისადმი კატეგორიულ პროტესტს აცხადებს იმ გეგმის წინააღმდეგ, რომლის მიხედვით პეტერბურგში უნდა გამოიცეს «ისკრის» რუსეთის ორგანიზაციის რაიონული ორგანო და ამ გეგმას თვლის კუსტარულობის დაბრუნებად. ლენინის სტატია «საგულისხმო აღიარება» გამოქვეყნდა «ისკრის» მე-6 ნომერში.
ივლისი, 31—აგვისტო, 12 (აგვისტო 13—25).	ლენინი რუსეთიდან ლებულობს კიშინიოვის არალეგალურ «ისკრის» სტამბაში დაბეჭდილ ნ. კ. კრუპსკაიას პირველ ბროშურას «მუშა-ქალი».
აგვისტო.	ლენინის სტატია «კრიზისის გაკვეთილები» გამოქვეყნდა «ისკრის» მე-7 ნომერში. ლენინი «ისკრის» აგენტებს რუსეთში უგზავნის თავის მიერ შემუშავებულ «ისკრის» საერთო-რუსეთის ორგანიზაციის» პროექტს.
ხექტემბერი, 10 (23).	ლენინის სტატია «ბატონყმობის მოტრფიალენი მუშაობენ» გამოქვეყნდა «ისკრის» მე-8 ნომერში.
სექტემბერი, 20 (ოქტომბერი, 3).	ლენინი მონაწილეობას იღებს «ისკრისა» და «სოციალ-დემოკრატის» საზღვარგარეთული ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირში ციურიხს. თათბირი ლენინს ავალებს გამოვიდეს რსდპპ საზღვარგარეთული ორგანიზაციების «გამაერთიანებელ» ყრილობაზე.
სექტემბერი, 21 (ოქტომბერი, 4).	ლენინი სიტყვით გამოდის «ისკრის», «სოციალ-დემოკრატის», «რუსი სოციალ-დემოკრატების საზღვარგარეთული კავშირის», ბუნდისა და «ბორბას» ჯგუფის ორგანიზაციების «გამაერთიანებელ» ყრილობაზე და ამხელს «კავშირის» ხელმძღვანელთა ოპორტუნიზმს.

სექტემბერი, 22 (ოქტომბერი, 5).	ლენინი, «ისკრისა» და «სოციალ-დემოკრატის» საზღვარგარეთული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად, აქვეყნებს დეკლარაციას «კავშირთან» ურთიერთობის საბოლოოდ გაწყვეტის შესახებ და სტოვებს «გამაერთიანებელ» ყრილობას.
სექტემბრის დამლევი—ოქტომბრის დამდეგი (ოქტომბერი).	ლენინი მოლაპარაკებას აწარმოებს «ისკრის» რუსეთიდან ჩამოსულ აგენტთან და მითითებას აძლევს «ისკრის» საერთო-რუსეთის ორგანიზაციის შექმნის შესახებ.
	ლენინი მონაწილეობას იღებს «რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთული ლიგის» მოწყობაში; ლიგის შექმნა დაიწყო მისი ინიციატივით და ის აერთიანებდა «ისკრისა» და «სოციალ-დემოკრატის» ორგანიზაციის მომხრეებს.
ოქტომბერი.	ლენინის სტატიები «დამშეულებთან ბრძოლა», «პასუხი ს.-პეტერბურგის კომიტეტს» და «საზღვარგარეთული საქმეები» გამოქვეყნდა «ისკრის» მე-9 ნომერში.
ნოემბერი, 20-მდე (დეკემბერი, 3-მდე).	ლენინის სტატია «საკატორღო წესები და საკატორღო განაჩენი» გამოქვეყნდა «ისკრის» მე-10 ნომერში.
ნოემბერი, 20 (დეკემბერი, 3)	ლენინის სტატია «ფინელი ხალხის პროტესტი» გამოქვეყნდა «ისკრის» მე-11 ნომერში.
დეკემბერი, 5 (18)-მდე.	ლენინი წერილში რუსეთის ისკრული ორგანიზაციებისადმი იტყობინება, რომ მოკლე ხანში გამოვა წიგნი «რა ვაკეთოთ?».
დეკემბერი, 5 (18).	ლენინი წერილში «ისკრის» აგენტისადმი კატეგორიულად წინააღმდეგია კიშინიოვის ისკრული სტამბის გამოყენებისა «ეკონომიზმის» მონათესავე გამოცემათა დასაბეჭდად.
დეკემბერი, 6 (19)-მდე.	ლენინი «ისკრის» რედაქციის სახელით სწერს მისასალმებელ წერილს გ. ვ. პლეხანოვს მისი რევოლუციური მოღვაწეობის ოცდახუთი წლის იუბილესთან დაკავშირებით.
დეკემბერი, 6 (19).	ლენინის სტატია «საუბარი ეკონომიზმის დამცველებთან» გამოქვეყნდა «ისკრის» მე-12 ნომერში.

6 და 10 (19 და 23) დეკემბერს შუა.	ჟურნალ «ზარიას» № 2—3-ში დაიბეჭდა ლენინის სტატიები «ეროობის მდევნელნი და ლიბერალიზმის ჭანიბალები», პირველი ოთხი თავი ნაშრომისა «აგრარული საკითხი და «მარქსის კრიტიკოსები»» სათაურით «ბატონი «კრიტიკოსები» აგრარულ საკითხში» (პირველი ნაშრომი ნ. ლ ე ნ ი ნ ი ს ხელმოწერით) და «შინაური მიმოხილვა».
დეკემბერი, 20 (1902 წლის 2 იანვარი).	ლენინის სტატია «დემონსტრაციების დასაწყისი» გამოქვეყნდა «ისკრის» მე-13 ნომერში. ამავე ნომერში აღნიშნულია, რომ გამოვიდა გაზეთი «ბრძოლა» № 1—ლენინურ-ისკრული მიმართულების არალეგალური ქართული გაზეთი, შექმნილი ი. ბ. სტალინის ინიციატივით.
დეკემბერი, 21 (1902 წლის 3 იანვარი).	ლენინმა მიიღო «ისკრის» მე-10 ნომრის პირველი ეგზემპლარი, დაბეჭდილი «ისკრის» კიშინიოვის არალეგალურ სტამბაში.

1902

იანვრის დამდეგი (იანვრის შუა რიცხვები).	ლენინი წერს კრიტიკულ შენიშვნებს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამის პლეხანოვის მიერ შედგენილი პირველი პროექტის გამო.
იანვარი, 8 (21).	ლენინი გამოდის «ისკრის» რედაქციის მიუნხენის თათბირზე და აკრიტიკებს პლეხანოვის მიერ შედგენილ პროგრამის პირველ პროექტს, თანაც შეაქვს თავისი შესწორებანი და წინადადებანი.
8 და 2 იანვარს (21 იანვარსა და 7 თებერვალს) შუა.	ლენინი ადგენს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამის ახალ პროექტს.
იანვარი, 15 (28).	ლენინის სტატია «სახელმწიფო ხარჯთაღრიცხვის გამო» გამოქვეყნდა «ისკრის» მე-15 ნომერში.
იანვრის დამლევი (თებერვლის პირველი ნახევარი).	ლენინის მითითებით ისკრელთა ყრილობაზე სამარაში დაარსდა «ისკრის» საერთო-რუსეთის ორგანიზაცია.
თებერვალი, 1 (14).	ლენინის სტატია «პოლიტიკური აგიტაცია და «კლასობრივი თვალსაზრისი»» გამოქვეყნდა «ისკრის» მე-16 ნომერში.

თებერვალი.	ლენინი წერს წინასიტყვაობას წიგნისას «რა ვაკეთოთ?».
თებერვლის დამ-ლევი—მარტის პირველი ნახევარი (მარტი).	ლენინი წერს კრიტიკულ შენიშვნებს რსდმპ პროგრამის პლეხანოვის მიერ შედგენილი მეორე პროექტის გამო.
მარტი, 5 (18).	ლენინმა რსდმპ ბელოსტოკის კონფერენციისათვის დასწერა ««ისკრის» რედაქციის მოხსენება რსდმპ კომიტეტთა თათბირს (კონფერენციას)» და რეზოლუციის პროექტი, მონაწილეობა მიიღო «ისკრის» რედაქციის თათბირში, ინსტრუქცია მისცა ბელოსტოკის კონფერენციაზე მიმავალ «ისკრის» დელეგატს.
მარტის დამდეგი (მარტის შუა რიცხვები).	შტუტგარტში გამოდის წიგნი «რა ვაკეთოთ? ჩვენი მოძრაობის საჭირბოროტო საკითხები», რომელშიც ლენინმა შეიმუშავა მარქსისტული პარტიის იდეოლოგიური საფუძვლები.

შინაარსი

წინასიტყვაობა . . . . . IX — X

1901 წ.

რით დავიწყოთ? . . . . . 1—15

ახალი ხოცვა-ჟლეტა . . . . . 16—23

ეროგის მდევნელნი და ლიბერალიზმის ჰანიბალები . 25—89

I 30

II 40

III 47

IV 55

V 65

VI 79

საგულისხმო აღიარება . . . . . 90—99

კრიზისის გაკვეთილები . . . . . 100—106

გატაცებულ მოტრფიალენი მუშაობენ . . . . 107—114

ეროგათა ყრილობა . . . . . 115—117

აგრარული საკითხი და «მარქსის კრიტიკოსები» . . 119—277

I ნიადაგის ულებადი ნაყოფიერების «კანონი» . . . 124

II რენტის თეორია 140

III მანქანები სოფლის მეურნეობაში 154

IV წინააღმდეგობის მოსპობა ქალაქსა და სოფელს შორის. «კრიტიკოსების» მიერ აღძრული კერძო საკითხები 175

V «თანამედროვე მოწინავე წვრილ მეურნეობათა აყვავება». ბადენის მაგალითი 195

VI წვრილ და მსხვილ მეურნეობათა ნაყოფიერება. მაგალითი აღმოსავლეთ პრუსიიდან 206

VII ბადენის ანკეტა გლეხური მეურნეობის შესახებ . . 224

VIII გერმანიის 1882 და 1895 წლების სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკის საერთო მონაცემები. საშუალო მეურნეობათა საკითხი 241

IX რძის მეურნეობა და სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობანი გერმანიაში. გერმანიის სოფლის მოსახლეობა მეურნეობაში მისი მდგომარეობის მიხედვით . . 256

რსდმპ საზღვარგარეთული ორგანიზაციების «გამაერთიანებელი» ყრილობა 1901 წლის 21—22 სექტემბერს (4—5 ოქტომბერს) . . . . . 279—286

1. სიტყვა, წარმოთქმული 21 სექტემბერს (4 ოქტომბერს). (საოქმო ჩანაწერი) 281

2. შეკითხვები «რუსი სოციალ-დემოკრატების კავშირს» «გამაერთიანებელ» ყრილობაზე 1901 წლის 21 სექტემბერს (4 ოქტომბერს) 287

დამშეულებთან ბრძოლა . . . . . 288—297

პასუხი ს.-პეტერბურგის კომიტეტს . . . . . 298—299

საზღვარგარეთული საქმეები . . . . . 300—301

საკატორღო წესები და საკატორღო განაჩენი . . 302—309

შინაური მიმოხილვა . . . . . 311—375

I შიმშილი 313

II კრიზისისა და შიმშილისადმი დამოკიდებულება . . 339

III მესამე ელემენტი 349

IV ორი წინამძღოლის სიტყვა 359

წინასიტყვაობა ბროშურისა ««გამაერთიანებელი» ყრილობის დოკუმენტები» . . . . . 376—379

ფინელი ხალხის პროტესტი . . . . . 380—385

ჟურნალ «სვოგოდას» შესახებ . . . . . 386—387

საუბარი ეკონომიზმის დამცველებთან . . . . 388—397

გ. ვ. პლეხანოვის რევოლუციური მოღვაწეობის ოცდახუთი წლისთავისათვის 398
დემონსტრაციების დასაწყისი . . . . . 399—403
«სამხრეთის მუშების» წერილის შესახებ . . . . 404—405
ანარქიზმი და სოციალიზმი . . . . . 406—409

1902 წ.

სახელმწიფო ხარჯთაღრიცხვის გამო . . . . . 410—417
«პოლიტიკური აგიტაცია და «კლასობრივი თვალსაზრისი»» . . . . . 418—426
პასუხი «მკითხველს» . . . . . 427—429
რა ვაკეთოთ? ჩვენი მოძრაობის საჭირბოროტო საკითხები . 431—673
წინასიტყვაობა 433

I დოგმატიზმი და «კრიტიკის თავისუფლება» 437
ა) რას ნიშნავს «კრიტიკის თავისუფლება»? . . 437
ბ) «კრიტიკის თავისუფლების» ახალი დამცველნი . 442
გ) კრიტიკა რუსეთში 448
დ) ენგელსი თეორიული ბრძოლის მნიშვნელობის შესახებ 458

II მასების სტიქიურობა და სოციალ-დემოკრატიის შეგნებულობა 466
ა) სტიქიური აღმავლობის დასაწყისი 467
ბ) ქედის მოხრა სტიქიურობის წინაშე. «რაბოჩაია მისლი» 473
გ) «თვითგანთავისუფლების ჯგუფი» და «რაბოჩეე დელო» 485

III ტრედ-უნიონისტური და სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკა 499
ა) პოლიტიკური აგიტაცია და მისი შეზღუდვა ეკონომისტების მიერ 500

ბ) ამბავი იმისა, თუ როგორ გააღრმავა მარტინოვმა პლეხანოვი 514
გ) პოლიტიკური მხილებანი და «რევოლუციური აქტიურობის აღზრდა» 518
დ) რა არის საერთო ეკონომიზმსა და ტერორიზმს შორის? 526
ე) მუშათა კლასი როგორც დემოკრატიისათვის მოწინავე მებრძოლი 531
ვ) ერთხელ კიდევ «ცილისმწამებელნი», ერთხელ კიდევ «მისტიფიკატორები» 552

IV ეკონომისტების კუსტარულობა და რევოლუციონერების ორგანიზაცია . 557
ა) რა არის კუსტარულობა? 558
ბ) კუსტარულობა და ეკონომიზმი 563
გ) მუშების ორგანიზაცია და რევოლუციონერების ორგანიზაცია 572
დ) ორგანიზაციული მუშაობის გაქანება . . . 593
ე) «შეთქმულებითი» ორგანიზაცია და «დემოკრატიზმი» 601
ვ) ადგილობრივი და საერთო-რუსეთის მასშტაბით მუშაობა 613

V საერთო-რუსეთის პოლიტიკური გაზეთის «გეგმა» 626
ა) ვინ დარჩა ნაწყენი სტატიით «რით დავიწყოთ?»? 628
ბ) შეძლება თუ არა გაზეთი კოლექტიური ორგანიზატორი იყოს? 635
გ) რა ტიპის ორგანიზაცია გვესაჭიროება? . . . 650

დასკვნა 659
დამატება. «ისკრისა» და «რაბოჩეე დელოს» გაერთიანების ცდა 663
შესწორება ნაშრომისადმი «რა ვაკეთოთ?» 672
შენიშვნები . . . . . 675—704
ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები . . . . . 705—711

ილუსტრაციები

პირველი გვერდი გაზეთ «ისკრის» № 4-ისა ვ. ი. ლენინის სტატიით «რით დავიწყოთ?». — 1901 წ. 3

გარეკანი ჟურნალ «ზარიას» № 2—3-ისა — 1901 წ., რომელშიც დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის ნაშრომები: «ეროობის მდევნელნი და ლიბერალიზმის ჰანიბალები», პირველი ოთხი თავი ნაშრომისა «აგრარული საკითხი და «მარქსის კრიტიკოსები» (სათაურით «ბატონი კრიტიკოსები» აგრარულ საკითხში») და «შინაური მიმოხილვა» 27

თავფურცელი ჟურნალ «ობრაზოვანიეს» 1906 წ. № 2-ისა, რომელშიც დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის ნაშრომის «აგრარული საკითხი და «მარქსის კრიტიკოსების»» V—IX თავები 119

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «ჟურნალ «სვობოდას» შესახებ. — 1901 წ. . . . . 386—387

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «ანარქიზმი და სოციალიზმი». — 1901 წ. 407

გარეკანი ვ. ი. ლენინის წიგნისა «რა ვაკეთოთ?». — 1902 წ. . 432—433

ტირაჟი 20.000.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/VI—1949.
უე 01976. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 45 3/8.
ფასი 8 მან.

*

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან
არსებული პოლიგრაფიისა და გამომცემ-
ლობის საქმეთა სამმართველოს
ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი.
თბილისი. მარჯანიშვილის ქ. № 5.
შეკვეთის № 955.